ლევი კვასაძე

თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი

ლეო კვაჭაძე

თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი

მეხუთე შევსებული გამოცემა

დამტკიცებულია სტუდენტთა სახელმძღვანელოდ

თბილისი – 2010

უკკ 2გპ-2
კ. 448

წიგნში წარმოდგენილია ავტორის ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა—ძიების შედეგები ქართული ენის სინტაქსის დარგში. მასში საკმაოდ სრულად არის განხილული სიტყვათშეერთება-შეკავშირების წესები, წინადადების ტიპები რაგვარობისა და აგებულების მიხედვით, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები. წიგნს დამატების სახით დაერთვის სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

საკითხების განხილვისას ძირითადად ახალი ქართული ენის მასალაა გამოყენებული. გზადაგზა ძველი და საშუალი ქართულის მონაცემებიც არის მოხმობილი. გათვალისწინებულია ქართული ენის ცოცხალ კილოთა ზოგიერთი ჩვენებაც.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. საკითხების ენათმეცნიერული განხილვა შეხამებულია სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან. ივი ჟარკვეულ დახმარებას გაუწევს ქართული ენის მასწავლებლებს და ყველას, ვინც ქართული ენის სინტაქსის საკითხებით არის დაინტერესებული.

რედაქტორი — პროფ. მ. სუხიშვილი

© გამომცემლობა „ცოტნე“

ISBN: 978-99940-41-14-5

I. წინადადება. სიტყვათა შეკავშირება

§1. სინტაქსი როგორც გრამატიკის დარგი. სინტაქსის საგანი

ენას ყოველმხრივ რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის. ამ დისციპლინათა სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გრამატიკას, რომელიც ორი დარგისაგან – **მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან** შედგება. ეს დარგები შეისწავლიან ენის აგებულების ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეს.

მორფოლოგია სწავლობს ენაში არსებულ სიტყვათა ჯგუფებს, მათთვის დამახასიათებელ ზოგად გრამატიკულ მნიშვნელობებს, ანუ გრამატიკულ (მორფოლოგიურ) კატეგორიებს და ამ კატეგორიათა გამოხატვის ფორმებს. მაგ., სახელის ცვალების სისტემა ბრუნვისა და რიცხვის, ხოლო ზმნისა – პირის, რიცხვის, კილოსა და სხვა კატეგორიების მიხედვით მორფოლოგიის შესწავლის საგანია, მაგრამ მორფოლოგიის საგანი ზოგჯერ უფრო ფართოდ ესმით: მისი შესწავლის ობიექტად მიიჩნევენ არა მარტო სიტყვათა ფორმაცვალებას, მიმოხრას, რომელიც ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება, არამედ ახალ სიტყვათა წარმოებასაც, ე.ი. წარმოქმნასაც, რომელიც ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. შეიძლება ითქვას, რომ მტკიცე ზღვარი მიმოხრასა და წარმოქმნას შორის არ არსებობს. ერთი და იგივე მორფემა შეიძლება ორივეს განეკუთვნებოდეს. ცხადია, წარმოქმნის კატეგორიების განხილვას მორფოლოგიის კურსში გვერდს ვერ ავუვლით. ჩვეულებრივ ეს ასეცაა. მაშასადამე, ასეთი გაგებით, მორფოლოგია არის გრამატიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ენაში არსებულ სიტყვათა ფორმაცვალებასაც და წარმოქმნასაც[1].

სიტყვები მათი ლექსიკური მნიშვნელობისა და ფორმის საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებიან და ქმნიან ისეთ ორგანიზებულ ერთეულს, როგორიცაა წინადადება. სიტყვათშეერთება შინაარსთან მიმართებით სტილისტიკის შესწავლის ობიექტია, ფორმის თვალსაზრისით – სინტაქსისა. მაგ., სრულმნიშვნელობიანი სიტყვებია: **მონადირე, თოფი, დათვი, მოკვლა,** რომლებსაც გარკვეული ფორმაც აქვს (ყველა სახელობით ბრუნვაშია), მაგრამ ამ სახით ეს სიტყვები ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება. ამ სიტყვებისაგან რომ წინადადება შევადგინოთ, საჭიროა, ისინი ერთმანეთს შევუწყოთ ქართულ ენაში ისტორიულად შემუშავებული წესების შესაბამისად.

[1] Грамматика русского языка. Изд. Акад. Наук СССР, 1953. т. 1. გვ. 15-16; т. II, 1954. გვ. 5.

მაგ., ასე: **მონადირემ თოფით დათვი მოკლა.** აქ სიტყვათა შეკავშირება სწორია როგორც მნიშვნელობის, ისე ფორმის თვალსაზრისითაც. მნიშვნელობის მიხედვით შეუძლებელია ამ სიტყვათა ასეთი შეწყობა: **დათვმა მონადირით თოფი მოკლა,** მიუხედავად იმისა, რომ ზმნასთან შეწყობილი სახელები იმავე ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი, როგორც ეს გვაქვს წინადადებაში: **მონადირემ თოფით დათვი მოკლა.** მაშასადამე, სიტყვათა შეკავშირებისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო სიტყვების ფორმას, არამედ მათს ლექსიკურ შინაარსსაც.

წინადადებაში შემავალ სრულმნიშვნელობიან სიტყვას წინადადების წევრი ჰქვია. დასახელებული წინადადების ყოველი სიტყვა სრულმნიშვნელობიანია, ესე იგი ოთხივე სიტყვა წინადადების წევრია: **მონადირემ** ქვემდებარეა, **მოკლა** – შემასმენელი, **დათვი** – პირდაპირი დამატება, **თოფით** – უბრალო დამატება. წინადადების წევრი ზოგჯერ ორი სიტყვით გადმოიცემა. მაგ.: მე უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ამ წინადადებაში ოთხი სიტყვაა, მაგრამ წინადადების წევრი სამია; **სტუდენტი ვარ** ერთი წევრია, შემასმენელი.

წინადადებაში ხშირად არაწევრებიცაა. მაგ., **მაგრამ, რომ, თუ, ხოლო** კავშირებია, რომლებიც დამხმარე სიტყვებია და წინადადების წევრებად არ ითვლება.

ზემოთ დასახელებულ წინადადებაში ფორმიან სიტყვათა შეკავშირების სამი ერთეულია: **მონადირემ მოკლა, თოფით მოკლა, დათვი მოკლა.** მაგრამ ხშირად სიტყვათა შეკავშირებაში მონაწილეობს უფორმო სიტყვა, რომელიც სხვა სიტყვას მნიშვნელობის მიხედვით ეწყობა. მაგ., **გუშინ გააკეთა.** გუშინ უფორმო სიტყვაა, რომელიც ზმნის წარსული დროის ფორმასთან არის შეწყობილი, მაგრამ ალოგიკურია იგივე სიტყვა დავუკავშიროთ ახლანდელისა და მომავლის ფორმებს. ამასთანავე, ორი სრულმნიშვნელობიანი სიტყვის შეერთება აქ წინადადებას გვაძლევს. მაშასადამე, ორი სრულმნიშვნელობიანი სიტყვის შეკავშირება ზოგჯერ წინადადებას ქმნის, ზოგჯერ კი წინადადების ნაწილს წარმოადგენს.

ტერმინი **სინტაქსი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან Syntaxis, რომელიც ქართულად **დაკავშირებას, შედგენას** ნიშნავს. იგი, როგორც გრამატიკის დარგი, სწავლობს ენაში რეალურად დამკვიდრებულ სიტყვათშეხამების წესებს და სიტყვათშეხამებათაგან მიღებული აზრის გამომხატველი ერთეულების აგებულებას. ასე რომ ეს ტერმინი აერთიანებს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ცნებას – ენის სინტაქსურ წყობასა და ამ წყობის შემსწავლელ თეორიულ დისციპლინას.

სიტყვათა შეკავშირება და წინადადება ძირითადი ენობრივი ერთეულებია, რომელთაც სინტაქსი შეისწავლის. სინტაქსი არკვევს, რა და რა ტიპის სიტყვები შეეწყობა ერთმანეთს და როგორ; რა დანიშნულება აქვს წინადადებაში შემავალ სიტყვებს; განიხილავს წინადადების აღნაგობას, მის ტიპებს, მათთვის დამახასიათებელ გრამატიკულ თავისებურებას და აგრეთვე იმ საშუალებებს, რომელთა მეოხებითაც ხორციელდება სიტყვათა შეხამება წინადადებასა და სიტყვათა შეკავშირებაში[2].

წინადადება შეიძლება გადმოიცეს ერთი სიტყვითაც. ამ შემთხვევაში ეს ერთი სიტყვა სინტაქსის შესწავლის ობიექტიც არის და მორფოლოგიისაც, მაგრამ მათი თვალსაზრისი სხვადასხვაა: მორფოლოგია დაახასიათებს ამ სიტყვას ფორმის თვალსაზრისით, მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით, სინტაქსი კი განიხილავს მას ფუნქციისა და სიტყვა-წინადადების ტიპის მიხედვით.

წინადადება აზრის სიტყვებით გამოხატვის ძირითადი ენობრივი ერთეულია. ორი სრულმნიშვნელობიანი სიტყვის შეკავშირება, როცა ის წინადადების ნაწილს წარმოადგენს (და არა წინადადებას), არ არის ისეთი თავისთავადი, დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული, როგორიც წინადადება. ასეთ შემთხვევებში სიტყვათა შეკავშირებას ჩვეულებრივ წინადადებისადმი დაქვემდებარებულ ეხობრივ ერთეულად მიიჩნევენ.

იმ ენებში, სადაც სიტყვები მდიდარია მიმოსახრელი ანუ ფორმაცვალების აფიქსებით, მორფოლოგია და სინტაქსი გრამატიკის თანასწორუფლებიანი დარგებია. სინტაქსური კატეგორიები მჭიდროდ არის დაკავშირებული მორფოლოგიურ კატეგორიებთან. ასეთ ენებში სინტაქსი ემყარება მორფოლოგიას, ე.ი. მრავალ სინტაქსურ კატეგორიას საფუძვლად მორფოლოგიური კატეგორიები უძევს. მაგ., ბრუნვისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები არსებითია სინტაქსში სიტყვათა შეწყობისათვის – შეთანხმებისა და მართვისათვის (მაგ.: მაღალი სახლი, მაღალმა სახლმა... აგურის სახლი, თოფით მოკლა... ბავშვები მიდიან...).

ერთი და იგივე მორფოლოგიური ოდენობა სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდეს. მაგ., **არწივი** ამ ორ წინადადებაში: **არწივი გაფრინდა** და **არწივი დაიჭირეს** – სახელობითი ბრუნვის ფორმაა, ე.ი. მორფოლოგიურად ერთი და იგივეა, სინტაქსურად კი მათ შორის განსხვავებაა. პირველ წინადადებაში (**არწივი** გაფრინდა) ქვემდებარეა, მეორეში (**არწივი** დაიჭირეს) – პირდაპირი დამატება. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვის ფორმა ზოგჯერ მხოლოდ სიტყვათა შეკავშირებაში შეიძლება დად-

[2] **В. Г. Адмонн**. Введение в синтаксис современного немецкого языка. М. 1955, გვ. 14.

გინდეს. მაგ., **წყარომ** მოთხრობითი ბრუნვის ფორმაა ცალკეც და სხვა სიტყვასთან დაკავშირების დროსაც. მაგრამ რა ფორმაა **წყაროს**, ამაზე გარკვეული პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, თუ ვიცით, რომელ სიტყვასთან არის ის გრამატიკულად დაკავშირებული. მაგ., **წყაროს** მიცემითი ბრუნვის ფორმაა, როცა ვამბობთ „მგზავრი **წყაროს** მიუახლოვდა“, მაგრამ იგივე ფორმა ნათესაობითია წინადადებაში: „**წყაროს** წყალი სასიამოვნო დასალევია“. ერთი შეხედვით, თითქოს ერთი და იმავე ზმნის ფორმაა ნახმარი ამ ორ წინადადებაში: „ქარი **ჩადგა**“ და „შვლის ნუკრმა ფეხი წყალში **ჩადგა**“, სინამდვილეში კი აქ ერთი ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნათა ფორმებია: პირველ წინადადებაში ზმნა ერთპირიანია, ვნებითი გვარისა. მეორეში – ორპირიანი, გარდამავალი, მოქმედებითი გვარისა. ერთპირიანი „ჩადგება“ ზმნის უღლების ფორმაა, ორპირიანი – „ჩადგამს“ ზმნისა. ასევე, ერთნაირია თითქოს „მომიყვანა“ ამ ორ წინადადებაში: „მეგობარმა ამბის გასაგებად თქვენთან **მომიყვანა**“ და „მეგობარმა სტუმარი **მომიყვანა**“. პირველ წინადადებაში ზმნა ორპირიანია, სათავისო ქცევის ფორმაა, მეორეში – სამპირიანი, სასხვისო ანუ საობიექტო ქცევისა. მაშასადამე, „ი“ თავსართი პირველთან სათავისო ქცევის ნიშანია, მეორესთან – სასხვისოსი. როგორც დასახელებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, სიტყვის ამა თუ იმ ფორმის სწორი მორფოლოგიური ანალიზი ჩვეულებრივ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ის სიტყვათა შეხამება-შეკავშირების ელემენტია, ე.ი. სინტაქსის საფუძველზე. მაშასადამე, მორფოლოგია და სინტაქსი ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული გრამატიკის დარგებია. მორფოლოგია შეისწავლის სიტყვას ფორმის თვალსაზრისით, სინტაქსი კი სიტყვას განიხილავს, ერთი მხრივ, როგორც სიტყვათა შეკავშირების ელემენტს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც წინადადების წევრს, ე.ი. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით[3].

სინტაქსი სიტყვათა შეკავშირებისა და წინადადების შესწავლის დროს აბსტრაქციას ახდენს კერძოსა და კონკრეტულისაგან. იგი იკვლევს ენაში ისტორიულად შემუშავებულ ზოგად წესებს, რომლებიც საფუძვლად უძევს სიტყვათა შეკავშირებასა და წინადადების ტიპების მიღებას. მაგ., სიტყვათა შეკავშირებები: **ლამაზი ბავშვი, მაღალი სახლი, დიდი მინდორი, ძლიერი ქარი** სხვადასხვაა თავიანთი კონკრეტული შინაარსით, მაგრამ სინტაქსურად ყველა ერთი ტიპისაა.

ასევე მარტივი წინადადებები: **არწივი გაფრინდა, მდინარე ადიდდა,**

[3] Современный русский язык. Синтаксис. Изд. Московского университета. 1957, გვ. 6.

მზე ამოვიდა – სხვადასხვა შინაარსისაა, მაგრამ გრამატიკულად ყველა ერთი ტიპისაა, ყველა სიტყვათა შეკავშირების ერთ ზოგად წესს ემყარება.

საერთო სინტაქსური წესი შემუშავდება მრავალი კონკრეტული მაგალითის ანალიზზე დამყარებით, მაგრამ მიღებული წესი გულისხმობს არა მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას, არამედ იგი ეხება ყველა სათანადო შემთხვევას, რომლებზედაც ვრცელდება ესა თუ ის სინტაქსური წესი, სინტაქსური კანონი. მაშასადამე, ზოგადი წესი აერთიანებს მრავალ კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია ზოგადი წესი.

სინტაქსს, როგორც ენის შემსწავლელ თეორიულ დისციპლინას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის მამამთავრად ითვლება მეორე საუკუნის ბერძენი გრამატიკოსი აპოლონიოს დისკოლი („მძიმე აპოლონი"), რომლისთვისაც სინტაქსის საგანია სიტყვათა შეკავშირება-შეხამება. „მორფოლოგია **დიონისესი** და სინტაქსი **აპოლონიოსისა** (მცირედის ცვლილებებით) საუკუნეთა განმავლობაში მისაბაძი მაგალითი და ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ჯერ რომაელთა ხელში და მთელი აწინდელი დასავლეთ ევროპისათვის საშუალო საუკუნეთა განმავლობაში"[4].

წინადადება

§2. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული

ადამიანები ენის საშუალებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრებს, აღწევენ ურთიერთგაგებას და ამყარებენ ურთიერთობას. ძირითადი ენობრივი ერთეული კი, რომელშიც ხორციელდება ადამიანის აზრის მატერიალურ ენობრივ გარსში გამოხატვა და გაფორმება, წინადადებაა[5]. იგი რიგი გრამატიკული ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც მას ერთ მთლიან, დამოუკიდებელ (თავისთავად) ენობრივ ერთეულად წარმოგვიდგენს. გამოხატავს დამთავრებულ აზრს. წინადადების გრამატიკული სტრუქტურა შეიცავს ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული და ემსახურებიან დამთავრებული აზრის სიტყვიერ ფორ-

[4] **არნ. ჩიქობავა**, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? III, ჟურ. „ახალ სკოლისაკენ", №11-12, 1929, გვ. 75.

[5] ტერმინი „წინადადება" რთული სიტყვაა. პირველი ნაწილი („წინა" ←წინაშე) ზმნიზედაა, მეორე – „დადებს" – ზმნის საწყისი, ე.ი. „წინადადება" გულისხმობს აზრის წინ დადებას. „თუ ჩვენი რამ მსჯელობა ცნებათა შესაბამისი სიტყვებით გამოვსთქვით ისე, რომ მით ერთი ზოგადი აზრი გამოიხატა – გამოვა *წინადადება*, ე.ი. სხვების გონების (ან ჩვენისავე: ხედვით წერაში, სმენით, თავისთავად, ლაპარაკში და სხვ.) *წინაშე დადება* და წარმოჩენა იმ ფიქრისა, ანუ მსჯელობისა, რაც ჩვენში იფარებოდა" (პ. კვიცარიძე, „სწორმეტყველება", 1888, გვ. 9). „*წინადადება*", „*ქვეშდებარე*" და „*შემასმენელი*" რუსული „предложение"-ს, „подлежащее"-სა და „сказуемое"-ს თარგმანებია.

მაში გამოხატვას, სახელდობრ:

1. წინადადება, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთს, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს. მაგ.: სიტყვათა წყება: **ხავერდივით, ბიბინი, ბალახი, მწვანე, სიო, ნაზად** არ წარმოადგენს სიტყვათა შეკავშირებას, სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთს და არცაა წინადადება. მაგრამ თუ ამ სიტყვებს ერთმანეთს შევუწყობთ ენაში არსებული გრამატიკული წესების შესაბამისად, მივიღებთ წინადადებას. მაგ.: „ხავერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად“ (წერ.), ან „ხავერდივით მწვანე ბალახი ბიბინებს სიოსაგან ნაზად“ და მისთ.

2. წინადადებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია **პრედიკატულობა**, ზმნა-შემასმენელი. მაგ., ზემოთ დასახელებულ წინადადებაში დამთავრებული აზრი ექვსი სიტყვით არის გადმოცემული. წინადადებიდან რომ ზმნა-შემასმენელი (აბიბინებს) ამოვიღოთ, დანარჩენი ხუთი სიტყვა (ხავერდივით მწვანე ბალახს სიო ნაზად) არ გამოხატავს დამთავრებულ აზრს, ე.ი. ვერ ქმნის წინადადებას. როგორც კი დავუმატებთ შემასმენელს, მივიღებთ დამთავრებული აზრის გამომხატველ ენობრივ ერთეულს – წინადადებას. მაშასადამე, შემასმენელი წინადადების ძირითადი ელემენტია. ამის გამო წინადადება ხშირად მარტო ზმნა-შემასმენლით, ე.ი. ერთი სიტყვითაც გადმოიცემა. მაგ.: თენდება, გრილა, წვიმს (§124).

3. ყოველი წინადადებისათვის დამახასიათებელია გარკვეული **ინტონაცია**, რომელიც აერთიანებს მასში შემავალ სიტყვებს ერთ მთლიან ენობრივ ერთეულად (როცა წინადადება ერთზე მეტ სიტყვას შეიცავს) და გამოყოფს მას სხვა წინადადებისაგან. მაგალითად: **დადგა შემოდგომა. დაიწყო ფოთოლმა ჩამოცვენა. გრილა. ღამე რთვილს აგდებს** (ვაჟა, 6, 236). აქ ოთხი დამთავრებული აზრია გამოთქმული, ე.ი. ოთხი წინადადებაა. პირველი წინადადება ორი სიტყვით არის გადმოცემული, მესამე – ერთით, მეორე და მეოთხე – სამ-სამით. ყოველი მათგანი დამთავრებულ აზრს გამოხატავს, ინტონაციურად ერთი მთლიანი ერთეულია და გამოყოფილია მომიჯნავე წინადადებისაგან.

წინადადების დამთავრებულობა ნაწერში აღინიშნება სასვენი ნიშნით (წერტილით, კითხვისა თუ ძახილის ნიშნით).

როგორც ვხედავთ, დამთავრებული აზრი წინადადების საშუალებით გადმოიცემა, წინადადება კი ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, რომლებიც ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების შესაბამისად არიან გაფორმებული, ერთმანეთთან შეწყობილი და ინტონაციურად ერთ მთლიან ერთეულად წარმოდგენილი.

მაშასადამე, **წინადადება** ჰქვია გაბმული მეტყველების ერთ ისეთ

მთლიან ენობრივ ერთეულს, რომელიც შედგება გრამატიკის წესების შესაბამისად გაფორმებული ერთი ან რამდენიმე ერთმანეთთან შეწყობილი სიტყვისაგან და დამთავრებულ აზრს გამოხატავს. ამ განმარტებაში ასახვას პოულობს წინადადების, როგორც სინტაქსური ერთეულის, შესაქმნელად საჭირო ყველა ძირითადი პირობა: სიტყვობრივი შედგენილობა, გრამატიკული გაფორმება და ენის უშუალო კავშირი აზროვნებასთან. წინადადების კონკრეტული შინაარსი, ცხადია, გრამატიკის შესწავლის ობიექტს არ წარმოადგენს. აზრიო რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ იმას, რის გადმოცემაც სურს მთქმელს მოცემული წინადადებით. მაგ., **სითბოსაგან რკინა** ფართოვდება. ამ წინადადების შინაარსი ფიზიკის შესწავლის საგანია და არა გრამატიკისა.

წინადადება დამოუკიდებელი ერთეულია და დამთავრებულ აზრს გამოხატავსო, რომ ვამბობთ, ამას ერთგვარი შეზღუდვა სჭირდება. გაბმულ მეტყველებაში წინადადება ჩვეულებრივ ნაწილია ნათქვამისა, იგი აზრობრივ სხვა წინადადებებთან არის დაკავშირებული.. ამიტომ ზოგი რამ ცალკე აღებული წინადადების მიხედვით შეიძლება არ იყოს ნათელი. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში პირველი წინადადება („დადგა შემოდგომა“) აზრს სრულად გამოხატავს, მომდევნო წინადადებებში გადმოცემული მოქმედება რომ მაშინ ხდება, როცა შემოდგომა დადგა, – ეს პირველი წინადადების მიხედვით არის გასაგები. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ აზრის ნათლად გამოხატვას გარკვეული სიტუაცია განსაზღვრავს. მაგ., რომ გავიგონოთ, **ვანომ წააქცია**, ჩვენთვის გაუგებარი იქნება, ვინ წააქცია ვანომ. მაგრამ თუ ვიცით, რომ **გივი** და **ვანო ჭიდაობდნენ** და გავიგონეთ, **ვანომ წააქციაო**, ჩვენთვის გასაგებია, თუ ვინ იგულისხმება წაქცეულად და ამის გამო აზრის დაუმთავრებლობა არ იგრძნობა. ამგვარად, კონტექსტი თუ სიტუაცია აზუსტებს და აკონკრეტებს წინადადებით გადმოცემულ აზრს.

§3. სინტაქსური კავშირი

წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. **წინადადების წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია.**

წინადადების რომელიმე წევრი (თუ წინადადება მრავალწევრიანია) შეიძლება იმავე წინადადების ყველა სხვა წევრს უკავშირდებოდეს, ან კიდევ ერთს ან რამდენიმეს. ამ მხრივ ყველაზე მეტი უნარი ზმნა-შემასმენელს აქვს. მაგ., წინადადებაში **თოვლმა მთლად დაფარა დედამიწა** (ევდ., 3, 236) შემასმენელს სინტაქსური კავშირი აქვს

ქველა დანარჩენ წევრთან (**თოვლმა** დაფარა, **მთლად** დაფარა, დაფარა **დედამიწა**), ხოლო სხვებს – თითო წევრთან. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: მთვარემ ბადესავით გადააფარა ტყეს თავისი სხივები. (ვაჟა). აქ ექვსი წევრია: ქვემდებარე (მთვარემ), ვითარების გარემოება (ბადესავით), შემასმენელი (გადააფარა), ირიბი დამატება (ტყეს), განსაზღვრება (თავისი) და პირდაპირი დამატება (სხივები). ამათგან შემასმენელი ოთხ წევრს უკავშირდება (**მთვარემ** გადააფარა, **ბადესავით** გადააფარა, გადააფარა **ტყეს**, გადააფარა **სხივები**); პირდაპირი დამატება – ორს (**გადააფარა** სხივები, **თავისი** სხივები), ხოლო თითო-თითო წევრთან აქვს სინტაქსური კავშირი ქვემდებარეს (მთვარემ **გადააფარა**), ვითარების გარემოებას (ბადესავით **გადააფარა**), ირიბ დამატებას (ტყეს **გადააფარა**) და განსაზღვრებას (თავისი **სხივები**).

სხვა წევრებთან სინტაქსური კავშირის დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული წინადადების ესა თუ ის წევრი. მაგალითად, ქვემდებარეს, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული, შეიძლება ორი წევრი დაუკავშირდეს – შემასმენელი და განსაზღვრება. მაგ.: **შეშინებულმა ბავშვმა** სიმღერა **შეწყვიტა.** (გვეტ., 12). მაგრამ, თუ ქვემდებარე გადმოცემულია უპირო ზმნით, მაგალითად, საწყისით, შა'შინ მას სინტაქსურად შეიძლება დაუკავშირდეს გარემოებაც და უბრალო დამატებაც. მაგ.: „საამურია ზაფხულობით მთაში ყოფნა". აქ საწყისით გადმოცემულ ქვემდებარეს ორი გარემოება ახლავს – დროისა და ადგილისა. მაშასადამე, ესა თუ ის წევრი რა და რა წევრს შეიძლება დაუკავშირდეს, ამისთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა წევრია ის, არამედ იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის ეს წევრი გადმოცემული.

§4. სინტაქსური კავშირის გამოხატვის ძირითადი საშუალებანი

სინტაქსური კავშირისა თუ მიმართების გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებებია: ფორმა სიტყვისა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა განლაგება (რიგი) და ინტონაცია.

1. სინტაქსური კავშირისათვის ქართულ ენაში დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის გრამატიკულ ფორმას. მაგ., რომ ავიღოთ სიტყვები **ქორი, წიწილა, წაღება**, არაა წინადადება, რადგანაც ეს სიტყვები არ არის ერთმანეთთან შეწყობილი სათანადო ფორმით, ე.ი. მათ შორის არ არის სინტაქსური კავშირი, მაგრამ ეს სიტყვები რომ სათანადო ფორმით შევუწყოთ ერთმანეთს, მათ შორის გარკვეული სინტაქსური მიმართება დამყარდება. მაგ.: **ქორმა წიწილა წაიღო** (ვაჟა), აქ სამი ფორმიანი სიტყვის შეკავშირება წინადადებას ქმნის.

ამათგან **წაიღო** ორპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმაა, სინტაქსურად შემასმენელი; **ქორმა** მოთხრობითი ბრუნვის ფორმით არის შეწყობილი ზმნის სუბიექტურ პირთან და ქვემდებარეა, ხოლო **წიწილა** სახელობითში დგას და პირდაპირი დამატებაა.

2. დამხმარე სიტყვები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს სიტყვათა სინტაქსური კავშირისა და სინტაქსური მიმართებისათვის, თანდებულები და კავშირებია.

თანდებული დაერთვის სახელის ბრუნვის ფორმას, ავსებს მას დამატებითი მნიშვნელობით და მისი მეშვეობით ამყარებს სახელი სინტაქსურ კავშირს სხვა სიტყვასთან. მაგალითისათვის ავიღოთ **ზე, ში** და **თან** თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმა ამ სამ წინადადებაში: წიგნი **მაგიდაზე** იდო, წიგნი **მაგიდაში** იდო, წიგნი **მაგიდასთან** იდო. **მაგიდაზე, მაგიდაში, მაგიდასთან** – ყველა ადგილზე მიუთითებს, მაგრამ სხვადასხვაგვარად: **მაგიდაზე** აღნიშნავს, რომ საგანი მაგიდის ზედაპირზე იდო, **მაგიდაში** – მაგიდის შიგნით, **მაგიდასთან** კი – მაგიდის სიახლოვეს. უთანდებულო მიცემითის ფორმას (მაგიდას) კი **იდო**-სთან სინტაქსური კავშირის დამყარება და აღნიშნულ მნიშვნელობათა გადმოცემა არ შეუძლია.

კავშირი გარკვეულ მიმართებას ამყარებს სიტყვებსა და წინადადებებს შორის. ასე, მაგალითად, **და** აერთებს ორ ერთგვარ წევრს ან წინადადებას; **მაგრამ** აპირისპირებს სიტყვებსა თუ წინადადებებს; **რომ** აქვემდებარებს ერთ წინადადებას მეორესთან და სხვ. კავშირს, რომელიც ფუნქციის მიხედვით განსხვავდება თანდებულისაგან, დიდი მნიშვნელობა აქვს შერწყმული და რთული წინადადების სხვადასხვა სახეობის შექმნისათვის.

წინადადებაში გარკვეულ როლს ასრულებენ **ნაწილაკებიც.**

3. სიტყვათა განლაგების მნიშვნელობა, საერთოდ, დიდია ყველა ენაში. მაგრამ იგი სიტყვათა მიმართებისა თუ სინტაქსური ფუნქციის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებას უმეტესად იმ ენებში წარმოადგენს, სადაც არ არის განვითარებული სიტყვათა ფორმაცვალების სისტემა. ასეთ ენებში სიტყვათა წყობა შედარებით მყარია, სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას მისი ადგილი განსაზღვრავს.

ქართულ ენაში, რომელიც მდიდარია სიტყვის ფორმათა საწარმოებელი აფიქსებით, სიტყვათა განლაგება შედარებით თავისუფალია. ასე, მაგალითად, წინადადებაში **ქორმა წიწილა წაიღო** სამი წევრია და სიტყვათა განლაგების ექვსი ვარიანტია შესაძლებელი:

ქორმა წიწილა წაიღო (ვაჟა).
ქორმა წაიღო წიწილა.

წიწილა ქორმა წაიღო.
წიწილა წაიღო ქორმა.
წაიღო ქორმა წიწილა.
წაიღო წიწილა ქორმა.

როგორც ვხედავთ, სიტყვათა რიგის შეცვლისას წინადადების წევრებს შორის სინტაქსური კავშირი არ ირღვევა და არც მათი სინტაქსური ფუნქცია იცვლება: **წაიღო** ყველა შემთხვევაში შემასმენელია, **ქორმა** – ქვემდებარე, **წიწილა** კი – პირდაპირი დამატება.

ძველ ქართულში ზოგ შემთხვევაში სიტყვის სინტაქსურ ფუნქციას მისი ადგილი განსაზღვრავდა წინადადებაში. ასე იყო, მაგალითად, როცა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან შეწყობილი ქვემდებარე და პირდაპირი დამატება ადამიანის საკუთარი სახელებით გადმოიცემოდა, რომელნიც სახელობითსა და მოთხრობითში ფუძის სახით იყვნენ წარმოდგენილი. **„კაენ მოკლა აბელ“** ნიშნავდა: „კაენმა მოკლა **აბელი**“,„...**ჰეროდე** მაშინ შეიპყრა **იოვანე**“ – „ჰეროდემ მაშინ შეიპყრა იოვანე“. ადგილების შეცვლა იწვევდა მათი სინტაქსური ფუნქციის შეცვლას. მაგ., **ავთანდილ** ნახა ტარიელ (ან: **ავთანდილ ტარიელ** ნახა) ძველი ქართულის მიხედვით ნიშნავდა ამას: **ავთანდილმა** ნახა **ტარიელი**, ხოლო **ტარიელ** ნახა ავთანდილ (ან **ტარიელ ავთანდილ** ნახა) – **ტარიელმა** ნახა ავთანდილი, ე.ი. პირველი სახელი ქვემდებარე იყო, მეორე კი – პირდაპირი დამატება. ახალ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელებს ეს ორი ბრუნვა გარჩეული აქვთ ერთმანეთისაგან, ასე რომ ამ სიტყვათა სინტაქსურ ფუნქციას ფორმა განსაზღვრავს და არა ადგილი.

ზემოთ აღინიშნა, რომ სიტყვათა განლაგება ქართულში შედარებით თავისუფალია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვათა განლაგების როლი სინტაქსური და სტილისტიკური თვალსაზრისით დიდია ქართულ ენაშიც. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სიტყვის ადგილი მყარია. მაგ., სახელზმნით გადმოცემულ წევრს გარემოება (აგრეთვე უბრალო დამატება), როგორც წესი, უსწრებს. ბუნებრივია, ითქვას: **სანადიროდ წასვლა გადაწყვიტა**, მაგრამ არ ითქმის: **წასვლა სანადიროდ გადაწყვიტა**, ამიტომ წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმას სხვადასხვა შედეგი მოსდევს:

ა) სიტყვათა განლაგების ცვლას სხვადასხვა სტილისტიკური ელფერი ახლავს, მაგრამ სიტყვის მიმართება სხვა სიტყვასთან და მისი სინტაქსური როლი არ იცვლება. ამის ნიმუშია **ქორმა წიწილა წაიღო**-ს ზემოთ დასახელებული ვარიანტები.

ბ) წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმის დროს რომელიმე მათგანმა შეიძლება გაწყვიტოს სინტაქსური კავშირი ერთ სიტყვასთან და სხვა სიტყვას დაუკავშირდეს. მაგ.: **ბატარა გოგომ ჩაფით**

წყალი მოარბენინა (კლდ., 1,179). ამ წინადადებაში ზედსართავი სახელი (პატარა) ქვემდებარის განსაზღვრებაა, მაგრამ იგი რომ ქვემდებარის შემდეგ გადავსვათ ფორმის შეუცვლელად, გაწყვეტს მასთან სინტაქსურ კავშირს, მომდევნო სიტყვას (უბრალო დამატებას: ჩაფით) დაუკავშირდება და მის განსაზღვრებად იქცევა.

გ) წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმის დროს შეიძლება სულ დაირღვეს სინტაქსური კავშირი და ხელთ შეგვრჩეს მხოლოდ სიტყვები (და არა წინადადება). ავიღოთ ასეთი მაგალითი: **მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა** (ჭავ.,45). ახლა ამ წინადადებაში შემავალი სიტყვები განვალაგოთ ასე: **მოჰფენოდა მთვარისა ზედ სავსე მშობელს ნათელი ქვეყანას მკრთალი.** სიტყვებს შორის გაწყდა სინტაქსური კავშირი, რის გამოც ისინი წინადადებას ვერ ქმნიან და, ცხადია, აზრსაც ვერ გადმოგვცემენ.

მაშასადამე, როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, სიტყვათა განლაგებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს წესიერი სინტაქსური კავშირისათვის. ამასთანავე, სიტყვათა განლაგების როლი, როგორც სინტაქსური საშუალებისა, ქართულში შედარებით მკრთალია, მაგრამ როგორც სტილისტიკური საშუალება, იგი მეტად მნიშვნელოვანია და ფართოდაც არის გამოყენებული (§129).

დ) სიტყვებისაგან წინადადებათა შედგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **ინტონაციას.**

გაბმული მეტყველება, როგორც ცნობილია, იყოფა წინადადებებად, ხოლო ყოველი წინადადება წარმოადგენს ფონეტიკურ მთლიანობას[6]. წინადადებაში შემავალ სიტყვათა ერთ ენობრივ ერთეულად გამთლიანების საფუძველს ინტონაცია წარმოადგენს. წინადადების ინტონაციურ ელფერს, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადებისა და მასში შემავალ სიტყვათა სწორად გააზრებისათვის. ინტონაციის დიდი როლი, როგორც ცნობილია, ნათლად ჩანს თუნდაც იმ მარტივი მაგალითიდან, როცა წინადადებას ვუპირისპირებთ მასში შემავალ სიტყვებს ისე, რომ ისინი ინტონაციურად გათიშული არიან ერთმანეთისაგან. მაგ., ავიღოთ, ერთი მხრივ, წინადადება **მარაბდელთა ნახირი შემკრთალი ბღავილით შემოვიდა სოფელში** (ჯავ., 4,142) და, მეორე მხრივ, ამ წინადადებაში შემავალი სიტყვები ასე: **მარაბდელთა ნახირი შემკრთალი. ბღავილით. შემოვიდა. სოფელში.** ცხადია, ამ სიტყვებს სხვაგვარი ინტონაციური ელფერი ახლავს წინადადებაში და სხვაგვარი მაშინ, როცა მათ ინტონაციურად ვთიშავთ ერთმანეთისაგან.

ერთი და იმავე დაწერილობის წინადადების სხვადასხვაგვარად გააზრება ხშირად იმის მიხედვით ხდება, თუ რა ტონაციით

[6] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 138.

წარმოვთქვამთ მათ. „ამ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ინტონაცია და მახვილი აფიქსის მაგივრობის გამწევი საშუალებაა[7]. ვნახოთ ასეთი მარტივი შემთხვევა: **„ბავშვი სკოლიდან მოვიდა“**. წინადადება თხრობითია, მთქმელი ნაცნობ ამბავს გადმოგვცემს. ახლა ავიღოთ ასე: **„ბავშვი სკოლიდან მოვიდა?“** ეს წინადადება კითხვას შეიცავს. როგორც ვხედავთ, სიტყვები და მათი განლაგება ერთნაირია ორსავე შემთხვევაში, მაგრამ ისინი განსხვავებული არიან ინტონაციურად და ამის შესაბამისად მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვითაც.

ინტონაცია მეტად რთული მოვლენაა; იგი შეიცავს ერთმანეთთან შერწყმულ რამდენიმე ფონეტიკურ ელემენტს ანუ საშუალებას, როგორიცაა: პაუზა ანუ დაყოვნება წინადადების ნაწილებს შორის წარმოთქმისას, მელოდიკა ანუ ტონის მოძრაობა, მახვილი (სხვადასხვა სახისა).

წინადადებაში სიტყვათა სინტაქსური კავშირისათვის პაუზის როლი შეიძლება ვუჩვენოთ ასეთ მარტივ მაგალითზე: ბავშვი **პატარა**/ სახლში შევიდა. აქ **პატარა** ქვემდებარის განსაზღვრებაა. ბავშვი/ **პატარა** სახლში შევიდა. აქ იგივე **პატარა** სინტაქსურად ადგილის გარემოებას უკავშირდება.

წინადადების მელოდიკა მრავალფეროვანია. მისი სხვადასხვა სახეობა ხშირად სხვადასხვაგვარ მიმართებას ამყარებს წინადადების ნაწილებს შორის ან ცვლის მთელი წინადადების შინაარსს.

წინადადებისათვის მეტად მნიშვნელოვანია **ლოგიკური მახვილი**. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წინადადების აზრის ზუსტად გამოხატვისა და მსმენელის მიერ თქმულის სწორად გაგებისათვის შეიძლება რომელიმე სიტყვას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. ასეთი სიტყვა დანარჩენ სიტყვებთან შედარებით გაძლიერებულად წარმოითქმის, ე.ი. მახვილის მატარებელია წინადადების აზრის მიხედვით. ასეთ მახვილს **აზრითი** ანუ **ლოგიკური მახვილი** ჰქვია. ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა წარმოადგენს წინადადების ლოგიკურ ცენტრს და გავლენას ახდენს სიტყვათა რიგზე. მაგალითად, წინადადებაში **ქორმა წიწილა წაიღო** სიტყვათა სხვადასხვა განლაგება გვექნება იმის შესაბამისად, თუ რომელ სიტყვაზეა ლოგიკური მახვილი. მაგ.:

ქორმა წიწილა წაიღო.
წიწილა **ქორმა** წაიღო.
წაიღო ქორმა წიწილა.

ლოგიკური მახვილის სტილისტიკური ფუნქცია დიდია. იგი წი-

[7] ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 249.

ნადადებას სხვადასხვა აზრობრივ ელფერს აძლევს.

ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა ზოგჯერ დაყოფით ან განსხვავებული შრიფტით არის დაბეჭდილი, ხელნაწერში კი ჩვეულებრივ ხაზგასმას მივმართავთ.

§5. წყვილები. წყვილთა რაოდენობა წინადადებაში

წინადადება მეტწილად რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, რომლებიც ქმნიან სიტყვათა შეკავშირებებს. ორი წევრი ქმნის ერთ სიტყვათა შეკავშირებას ანუ ერთ სინტაქსურ ერთეულს. ასეთ ერთეულს წყვილი ჰქვია[8]. მას სხვანაირად სინტაგმას უწოდებენ.

წყვილი სიტყვათა შეკავშირებისაგან წარმომდგარი უმცირესი სინტაქსური ერთეულია. მრავალსიტყვიანი წინადადება ჩვეულებრივ ასეთი ერთეულებისაგან შედგება.

წყვილთა რაოდენობა წინადადებაში ყოველთვის ნაკლებია წევრთა რაოდენობაზე. მაგ., დავაწყვილოთ შემდეგი წინადადებები: დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა (რაზ., 5). ამ ნაწყვეტში სამი მარტივი წინადადებაა. პირველ წინადადებაში ორი წევრია, წყვილი – ერთი. მეორეში სამი წევრია, წყვილი – ორი: 1. ჰაერში დატრიალდა; 2. სითბო დატრიალდა. მესამე წინადადებაში ექვსი წევრია, წყვილი – ხუთი: 1. ყველგან ამოყვეს; 2. ამოყვეს თავები; 3. ამოყვეს ყვავილებმა; 4. პატარა ყვავილებმა; 5. ნაზმა ყვავილებმა.

მაშასადამე, **მარტივ წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წევრია ერთის გამოკლებით.**

მოყვანილ მაგალითებში იმდენი წევრია, რამდენიც სიტყვა, რადგანაც ყოველი სიტყვა ამავე დროს წინადადების წევრიცაა, მაგრამ თუ წინადადების წევრი ერთზე მეტი სიტყვით არის გადმოცემული, მაშინ წევრების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე სიტყვებისა. მაგ.: ... მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიმავალი ვეფხვი (ვაჟა, 6,134). ამ წინადადებაში ექვსი სიტყვაა, ხოლო წევრი ხუთია, რადგანაც **ირმის გასწვრივ** ერთი წევრია. წყვილების შედგენის თვალსაზრისით ზოგჯერ მსგავსი ვითარებაა შერწყმულ წინადადებაში. მაგ.: რწყი-

---

[8] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 4.

სინტაგმა (ბერძნ. Syntagma სიტყვასიტყვით – შეერთებული) სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. განარჩევენ შინაგან და გარეგან სინტაგმებს. *შინაგანი* სიტყვის ნაწილების მიმდევრობას გულისხმობს (სახლ+კარი, ცის+კარი, წიგნ-აკი...), *გარეგანი* – სიტყვათშეერთებასა და წინადადებას. მაგ.: სახლის+წინ, სახლის+უკან, არწივი+გაფრინდა, იქვე იდგა+ოთხსართულიანი აგურის სახლი.

სინტაქსური წყვილი, რომელიც ა. შანიძის შემოღებული ტერმინია, ერთი მნიშვნელობისაა: აღნიშნავს ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული ორი წევრის შემცველ ერთეულს, რომელიც ორი სიტყვითაც შეიძლება გადმოიცეს და ორზე მეტითაც.

სინტაგმა აქ სინტაქსური წყვილის სინონიმად არის ნახმარი.

ლი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ (ხალხ.). ამ წინადადებაში სამი სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა და სამივე წევრია წინადადებისა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ერთგვარი ქვემდებარეები, რომლებიც მხოლობითი რიცხვის ფორმით არიან წარმოდგენილი, ცალ-ცალკე არ შეიძლება დაუკავშირდნენ ზმნის მრავლობითის ფორმას: **რწყილი** და **ჭიანჭველა** ერთად შევა წყვილის ცალად ზმნა-შემასმენელთან.

რთულ წინადადებაში წყვილთა რაოდენობა მასში შემავალ წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება. მაგ.: თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა და დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა (დად., 507). ამ წინადადებაში სულ ექვსი წევრია, მაგრამ წყვილი ოთხია (და არა ხუთი), რადგანაც მოცემული რთული წინადადება ორი მარტივი წინადადებისაგან შედგება. ანალოგიური ვითარებაა ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაშიც. მაგ., მშვილდ-ისარით შაშვსა ვსდევდით, ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა, ლასტს ვუგებდით ბეღურებსა. (ერ.). ამ წინადადებაში სამი ერთგვარი შემასმენელია, რომელნიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიან სინტაქსურ კავშირებს. ამიტომ აქ იმდენი წყვილი უნდა მივიღოთ, რამდენიც წევრი არის შიგ სამის გამოკლებით. მართლაც, მოცემულ წინადადებაში ცხრა წევრია, ხოლო წყვილი ექვსია, ე.ი. სამით ნაკლები: 1. მშვილდ-ისარით ვსდევდით; 2. შაშვსა ვსდევდით; 3. ჩიტს ვუდგამდით; 4. ვუდგამდით კაკანათსა; 5. ლასტს ვუგებდით; 6. ვუგებდით ბეღურებსა.

§6. სიტყვათა მიმართების ტიპები წინადადებაში

წინადადებაში შემავალ სიტყვათა მიმართება ძირითადად ორგვარია: დაქვემდებარებითი და არადაქვემდებარებითი.

დაქვემდებარებითია ისეთ სიტყვათა შეკავშირება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არ არიან თანასწორი: წყვილის ცალთაგან ერთი მთავარი ანუ წამყვანი სიტყვაა, მეორე კი – დაქვემდებარებული, ე.ი. დაქვემდებარება ცალმხრივია. მთავარი სიტყვა იკავშირებს, დაქვემდებარებული კი უკავშირდება მას. ამიტომ დაქვემდებარებულ სიტყვას მთავარი სიტყვის მიმართ ჩვეულებრივ კითხვაც დაესმის. კავშირი ამ ორ სიტყვას შორის სინტაქსურია. დაქვემდებარება ხშირად საურთიერთოა: წყვილის წევრთაგან ერთი ნიშნის მიხედვით ერთი იქვემდებარებს მეორეს, სხვა ნიშნის მიხედვით მეორე – პირველს. ასეთი საურთიერთო დაქვემდებარება გვაქვს, მაგალითად, ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის. მაგ.: **დარცხვენილი ძაღლი უხალისოდ გაბრუნდა დერეფნისაკენ** (ჯაფ., 18) ამ წინადადებაში სიტყვათა შეკავშირება ასეთ სურათს გვაძლევს:



ზმნა-შემასმენელს (გაბრუნდა) ორი დაქვემდებარებული სიტყვა ახლავს – **უხალისოდ** (ვითარების გარემოება) და **დერეფნისაკენ** (ადგილის გარემოება). ასეთ დაქვემდებარებას თანადაქვემდებარება ჰქვია. მაშასადამე, ამ წინადადების მეორე ნაწილში არაერთგვარ წევრთა თანადაქვემდებარება გვაქვს.

დაქვემდებარებულ სიტყვას, თუ მას სხვა სიტყვის დაქვემდებარების უნარი აქვს, შეიძლება ახლდეს თავისი დაქვემდებარებული, დაქვემდებარებულის დაქვემდებარებულს – თავისი დაქვემდებარებული. ასეთ დაქვემდებარებას თანამიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება. თანადაქვემდებარება და თანამიმდევრული დაქვემდებარება შეიძლება ერთდროულად იყოს წინადადებაში. მაგალითად: ყურძნით სავსე გოდრები საღამოს ბინდში ვენახის სანაპიროდან დარაჯებივით გამოიყურებოდნენ (ევდ., 3,129). ამ წინადადებაში შემავალ სიტყვათა დაქვემდებარებითი შეკავშირების სქემა ასეთია:



ამ წინადადების მაორგანიზებელი სიტყვებია **გოდრები** (ქვემდებარე) და **გამოიყურებოდნენ** (შემასმენელი), რომლებიც ერთმანეთთან საურთიერთო დაქვემდებარებით არიან დაკავშირებული. წინადადების პირველ ნაწილში გაბატონებულ სიტყვას (გოდრები) ახლავს დაქვემდებარებული (სავსე), ამას – თავისი დაქვემდებარებული (ყურძნით), ე.ი. დაქვემდებარება თანამიმდევრულია. **ყურძნით** აქ მხოლოდ დაქვემდებარებული სიტყვაა, **სავსე** კი დაქვემდებარებულიც არის და დამქვემდებარებელიც. წინადადების მეორე ნაწილში ზმნა-შემასმენელს უშუალოდ ახლავს სამი თანადაქვემდებარებული სიტყვა (წინადადების წევრი). ამათგან პირველ ორს („ბინდში“ და „სანაპიროდან“) თავ-თავისი დაქვემდებარებული სიტყვა ახლავს, ე.ი. წინადადების ამ ნაწილში ერთდროულად თანადაქვემდებარებაც არის და თანამიმდევრული დაქვემდებარებაც.

არადაქვემდებარებითია ისეთ სიტყვათა მიმართება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ თანასწორი არიან, ე.ი. ერთი სიტყვა არ არის მეორეზე დამოკიდებული. ასეთი სიტყვები თანწყობილი არიან და

წყვილს ვერ ქმნიან; ასრულებენ ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას და ერთმანეთთან შეერთებული არიან უკავშიროდ ან ამა თუ იმ მაერთებელი კავშირით. წყვილის ცალად აქვთ საერთო სიტყვა, რომლის მიმართაც ისინი ან გაბატონებული სიტყვები არიან, ანდა დაქვემდებარებული, ან კიდევ საურთიერთო დაქვემდებარებით არიან დაკავშირებული. მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე. მაგ.: ხეხილი **წითლად, ყვითლად, თეთრად ყვაოდა** (ვაჟა, 6,91). ზმნა-შემასმენელს, რომელიც გაბატონებული სიტყვაა, სამი ერთგვარი ვითარების გარემოება ახლავს. შეერთება უკავშიროა. ახლა ვნახოთ ასეთი წინადადება: **ტბა მოსვენებით** და **შეუშფოთებლად** იდგა (ვაჟა, 5, 98). აქ ერთგვარ წევრთა შეერთება კავშირიანია. როცა წინადადებაში ერთგვარი წევრი ორზე მეტია, შეიძლება ორივე სახის შეერთება იქნეს გამოყენებული: კავშირიანიცა და უკავშიროც. მაგ.: ჩემი ავტო დარიალში **ზათქით, ღრიალითა** და **გუგუნით** შემოვაგდე (ჯავ., 3, 484).

საერთო სიტყვასთან თანწყობილ სიტყვათა საურთიერთო დაქვემდებარების მაგალითია: ხის **ფოთლებმა** და **მცენარეებმა** კანკალი დაიწყეს (ვაჟა, 5, 15). აქ ზმნა-შემასმენელთან ორი ქვემდებარე არის დაკავშირებული საურთიერთო დაქვემდებარებით.

თანწყობილი სიტყვები ზოგჯერ სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ. მაგ.: **მარად** და **ყველგან**, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! (ჭავ., 128). თანწყობილ სიტყვათაგან, რომლებიც აქ „და“ კავშირით არიან შეერთებული, პირველი (მარად) დროის გარემოებაა, მეორე კი ადგილისა (§148).

§7. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ დაქვემდებარებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეწყობილია ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ამას მორფოლოგიური გამოხატულება არ ახლავს. უფრო ხშირად სიტყვათა შეკავშირებებს ქმნიან ფორმაცვალებადი სიტყვები, რომელთაგანაც სინტაქსურად გაბატონებული სიტყვა დაქვემდებარებულს გარკვეული ფორმით შეიწყობს სათანადო შინაარსის გადმოსაცემად. ქართულში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობა უფრო რთულია: სიტყვათა სინტაქსური დაქვემდებარება საურთიერთო ხასიათისაა (§54).

სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეებია: **შეთანხმება, მართვა და მირთვა.**

§8. შეთანხმება

შეთანხმება ჰქვია სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა დაქვემდებარებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რომელიც წამყვან სიტყვას აქვს.

შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებს ზიარი გრამატიკული კატეგორია ჰქონდეს. ასეთ კატეგორიებად რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში მიჩნეულია ბრუნვა, რიცხვი, სქესი და პირი. ქართულ ენაში, როგორც ვიცით, სქესის კატეგორია არ არის, ასე რომ ამ კატეგორიის მიხედვით შეთანხმებაც არა გვაქვს.

იმ სიტყვას, რომელიც ითანხმებს, **მათანხმებელი** ეწოდება; იმ სიტყვას კი, რომელიც ეთანხმება – **შეთანხმებული**. მათანხმებელი სიტყვა სახელია, შეთანხმებული – სახელი ან ზმნა. მაგ.: შემკრთალი ბეღურები ღობეზე აფრინდნენ (ევდ., 3, 237). წყვილებია: შემკრთალი ბეღურები, ბეღურები აფრინდნენ, ღობეზე აფრინდნენ. შეთანხმებისათვის მნიშვნელოვანია პირველი ორი წყვილი. ამათგან პირველ წყვილში მთავარი სიტყვაა არსებითი სახელი (ბეღურები), მიმღეობა კი მასზე დამოკიდებული. მთავარი სიტყვა სახელობითშია (ბეღურებ-ი) და სახელობითში დგას მასთან შეწყობილი მიმღეობაც (შემკრთალ-ი). არსებითი სახელი რომ მოთხრობითში დავაყენოთ, მიმღეობაც მოთხრობითში გადადგება.: შემკრთალმა ბეღურებმა. მაშასადამე, მათ შორის შეთანხმებაა ბრუნვაში. არსებითი სახელი მათანხმებელია, მიმღეობა – შეთანხმებული.

სახელმა სახელი (და სახელზმნა) შეიძლება შეითანხმოს არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც. მაგ.: დაღამდა, **წვრილნი ვარსკვლავნი** აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (ვაჟა). **ნარ**-იან მრავლობითში დასმული საზღვრული (ვარსკვლავ-**ნ**-ი) ითანხმებს მსაზღვრელ სახელს ბრუნვასა და რიცხვშიც: წვრილ-ნ-ი ვარსკვლავ-ნ-ი, მაგრამ მოყვანილ წინადადებაში („შემკრთალი ბეღურები ღობეზე აფრინდნენ“) მრავლობითში დასმულ არსებითთან მიმღეობა მხოლობითში დგას, ე.ი. ვერ ითანხმებს რიცხვში.

ახლა ვნახოთ მეორე წყვილი: ბეღურები აფრინდნენ. წყვილში შედის არსებითი სახელი (ქვემდებარე) და ზმნა (შემასმენელი). ორივე მრავლობითში დგას. ქვემდებარე რომ მხოლობითში გადავიყვანოთ, შემასმენელიც მხოლობითში დადგება: ბეღურა აფრინდა. მაშასადამე, მათ შორის შეთანხმებაა რიცხვში. მათანხმებელია სახელი, შეთანხმებული – ზმნა (შემასმენელი).

შეთანხმება, როგორც ცნობილია, სინტაქსური წყვილის ცალთა მარტო ფორმობრივი ურთიერთობა არ არის. ხშირად წყვილის ცალთა სინტაქსური ურთიერთობა ლექსიკურ–ფორმობრივია. ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა სიტყვათა შეხამება რიცხვის მიხედვით ცვალებადია ან კიდევ სიტყვის გრამატიკულ ფორმას ორი სხვადასხვა წევრი განსაზღვრავს. შეთანხმებასთან დაკავშირებით საყურადღებოა წყვილის ცალთა შეხამების შემდეგი შემ-

თხვევები:

I. შემასმენელი რიცხვში მონაცვლე ზმნით არის გადმოცემული: ა) 1. სულ ბოლოს **ბულბული იჯდა** (ვაჟა.); 2. სუფრის გარშემო **ხალხი ისხდა**. 3. სუფრის გარშემო **ახალგაზრდები ისხდნენ** (წერ.).

ბ) 1. **პეტრე მიუჯდა** საწერ მაგიდას. (წერ.); 2. **ხალხი მიუსხდა** საწერ მაგიდას; 3. **ყველანი** სუფრას **მიუსხდნენ** (გვეტ.).

გ) 1. გოგრას **მამა** სიცილით კვდება (ვაჟა); 2. სოფლის **ახალგაზრდობა** სიცილით **იხოცებოდა**; 3. სოფლის ბიჭები სიცილით **იხოცებოდნენ.**

II. შემასმენლის რიცხვი ტოლადშერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან:

1. **და-ძმა** ერთმანეთს **გადაეხვია** (გვეტ.); 2. **და-ძმა** მხურვალედ **გადაეხვივნენ** ერთმანეთს (ევდ.).

III. შემასმენლის რიცხვი მხოლობითში დასმულ რამდენიმე ქვემდებარესთან.

ა) 1. **რწყილი** და **ჭიანჭველა დაძმობილდნენ** (ხალხ); 2. **მამალი** და **კოდალა** ყველაფერს კარგად **ხედავდნენ** (ვაჟა).

ბ) 1. აფუსფუსდა **კოღო, ბუზი, ჭივჭავი** და **ღობემძვრალა** (მღვ.); 2. **ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი** ეზიდება ზამთრის სარჩოს (ერ.). 3. ურიცხვი **ქალი** და **კაცი** ჭალაზე ჩამოეფინა (ვაჟა).

IV. სიტყვის ბრუნვისა და რიცხვის ფორმას წინადადების ორი სხვადასხვა წევრი განსაზღვრავს:

1. **ელისო, რომელიც** წყაროსთან **იჯდა,** ეძლეოდა თავის მწუხარებას (ყაზ.); 2. **მონადირემ, რომელიც** ირმებს **მისდევდა,** მგელს თვალი შეასწრო (ვაჟა); 3. კალმახები განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ **მორბედას, რომელმაც** ეს სიტყვები ამოოხვრით წარმოთქვა (გ.შატბ.); 4. ამ მცირე ხანში ერთი **ლექსი** დავწერე, **რომელსაც** ამასთანავე გიგზავნი (ბარ.); 5. ვიწროებში გამოჩნდა **ორი კაცი, რომლებიც** გულადად და უშიშრად **მოდიოდნენ** (ყაზ.); 6. ფერდობზე გამოჩნდა **რამდენიმე კაცი, რომელნიც** გამოქვაბულისკენ **მოდიოდნენ** (ყაზ.).

მიმართებითი ნაცვალსახელის რიცხვს მთავარი წინადადების მისამართი წევრი განსაზღვრავს, ბრუნვას – დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი.

დასახელებული შემთხვევები არ შეიძლება უგულებელვყოთ, როცა პირმიმართ წევრთან შემასმენლის პირში მიმართებას ვარკვევთ.

პირი სამია: პირველი, მეორე და მესამე. პირველი და მეორე

პირი პირდაპირი მნიშვნელობით მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები პირთან ერთად რიცხვსაც გამოხატავენ. **მე** და **შენ** მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელებია, **ჩვენ** და **თქვენ** – მრავლობითისა. „პირის კატეგორია დამახასიათებელია ნაცვალსახელისა და ზმნისთვის. არსებითი სახელი ყოველთვის მესამე პირია“ (გ.ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, 1991, გვ. 196). ზმნა პირსა და რიცხვს გამოხატავს გრამატიკულად. მაგ., **ვარ** პირველი პირის ფორმაა მხოლობითი რიცხვისა, **ვართ** – მრავლობითისა. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები პირსა და რიცხვს გამოხატავენ ლექსიკურად.

ზოგიერთ ენაში მესამე პირსაც საკუთარი ნაცვალსახელები აქვს. (მაგალითად რუსულ ენაში). ქართულ ენაში მესამე პირს საკუთარი ნაცვალსახელები არ მოეპოვება და ამ ფუნქციით იყენებს ჩვენებით ნაცვალსახელებს, რომლებიც სახელებსაც მიემართებიან და ზმნებსაც. მაგ.: „**ის** მოვიდა“ და „**ის** კაცი მოვიდა“. პირველ მაგალითში „ის“ პირის ნაცვალსახელად არის ნახმარი და ქვემდებარეა, მეორე მაგალითში არსებით სახელთან არის დაკავშირებული, ჩვენებითი ნაცვალსახელია და არსებითი სახელის განსაზღვრებაა.

დასახელებული ფაქტები არ შეიძლება უგულებელვყოთ, როცა პირმიმართ წევრებთან შემასმენლის პირში ურთიერთობას ვარკვევთ.

პირველი პირის ნაცვალსახელს ზმნა პირველი პირის ფორმით ეწყობა, მეორე პირის ნაცვალსახელს – მეორე პირის ფორმით, ხოლო მესამე პირის სახელებთან ზმნაც მესამე პირის ფორმით არის შეწყობილი. პირის ნაცვალსახელი აღნიშნავს პირს ლექსიკურად, ზმნაში კი პირი გამოხატულია გრამატიკულად, ფორმობრივ. მაშასადამე, ლექსიკურად გამოხატულ პირს გრამატიკული პირი ეფარდება, გრამატიკულს – ლექსიკური. სხვა ენებში (რუსულში, გერმანულში ...) ამ ურთიერთობას ჩვეულებრივ შეთანხმებად მიიჩნევენ: სახელი ითანხმებს ზმნას პირშიო. ეს თვალსაზრისი, ჩვენი აზრით, მართებულია საერთოდ და, კერძოდ, ქართული ენის მიმართაც, ასე რომ სახელისა და ზმნის ურთიერთობა პირის მიხედვით შეთანხმებად უნდა მივიჩნიოთ ქართულშიც.

შეთანხმება აქ ლექსიკურ-ფორმობრივია.

მაშასადამე, **ქართულში შეთანხმების ოთხი შემთხვევა გვაქვს**:

1. სახელი ითანხმებს სახელს (ზედსართავს, რიცხვით სახელს, მსაზღვრელად გამოყენებულ არსებითსა და ნაცვალსახელს) და სახელზმნას (ჩვეულებრივ მიმღეობას) ბრუნვაში: მაღალი სახლი, მაღალმა სახლმა... ორი კაცი, ორმა კაცმა... ურემი შეშა, ურემმა

შეშამ... ჩემი წიგნი, ჩემმა წიგნმა... შემკრთალი ბედურები, შემკრთალმა ბედურებმა...

2. სახელმა სახელი და სახელზმნა (მიმდეობა) შეიძლება შეითანხმოს ბრუნვასთან ერთად რიცხვშიც: მთანი მაღალნი, მთათა მაღალთა, მთები მაღლები ... შორნი მნათობნი მოკამკამენი ...

3. სახელი ითანხმებს ზმნას პირში: მე წავედი, შენ წახვედი, ის წავიდა; ჩვენ წავედით, თქვენ წახვედით, ისინი წავიდნენ.

4. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში (მაგრამ არა ყოველთვის). ბავშვი თამაშობს – ბავშვები თამაშობენ, მერცხალი მოფრინდა – მერცხლები მოფრინდნენ (მაგრამ: ხე დგას – **ხეები დგას**). სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმას ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა შეეწყობა, ე.ი. შეთანხმება ფორმობრივია.

წამყვანი სიტყვა ზოგჯერ არ იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით, დაქვემდებარებული სიტყვა კი მასთან შეწყობილია გარკვეული რიცხვის (და ბრუნვის) ფორმით. ასე, მაგალითად, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ისეთი სიტყვებია, რომელთაც სახელის მორფოლოგიური კატეგორიები (ბრუნვა და რიცხვი) არ გააჩნიათ. ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით **მე** და **შენ** ერთზე მიუთითებენ, **ჩვენ** და **თქვენ** კი – მრავალზე. ეს ნაცვალსახელები მათი მნიშვნელობის (და არა ფორმის) მიხედვით ითანხმებენ ზმნას რიცხვში (მე ვაკეთებ, შენ აკეთებ; ჩვენ ვაკეთებთ, თქვენ აკეთებთ), ე.ი. შეთანხმება აქ ლექსიკურ-ფორმობრივია.

§9. მართვა

მართვა ჰქვია სიტყვათა ისეთ სინტაქსურ დამოკიდებულებას, როდესაც ერთი სიტყვა მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც მას არ გააჩნია საერთოდ ან არა აქვს მოცემულ შემთხვევაში.

იმ სიტყვას, რომელიც მართავს, მმართავი ეწოდება. იმ სიტყვას კი, რომელიც იმართვის, მართული ჰქვია. მაგ.: ტყის ჰაერმა პავლე მალე გამოაცოცხლა (ჯავ., 1, 130). ავიღოთ პირველი წყვილი: **ტყის ჰაერმა**. წყვილში ორივე სახელია. მთავარი სიტყვაა **ჰაერმა**, **ტყის** კი მასზეა დამოკიდებული. მთავარი სიტყვა მოთხრობითშია, დამოკიდებული – ნათესაობითში. მთავარ სიტყვას რომ ბრუნვა ვუცვალოთ, დამოკიდებული მაინც ნათესაობითში დარჩება. **ტყის** ჰაერი, **ტყის** ჰაერით, **ტყის** ჰაერო. მაშასადამე, მთავარი სიტყვა დამოკიდებულს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც წამყვან სიტყვას საერთოდ აქვს. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში არ გააჩნია. აქ სახელი (და არა მისი ფორმა) მართავს სახელს ბრუნვაში. მმართავია **ჰაერმა**, მართული – **ტყის**. სახელმა ბრუნვაში შეიძლება მარ-

თოს არა მარტო არსებითი სახელი (ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა სახელები), არამედ სახელზმნაც. ამასთანავე, მმართავი სიტყვა შეიძლება მართული გახდეს. მაგ.: **კაცის მოკვლის** ამბავი პაპას თავზარსა სცემს (ვაჟა, 6,73). ამ წინადადებაში **კაცის** და **მოკვლის** – ორივე ნათესაობითშია, მაგრამ მათ შორის შეთანხმება კი არ არის ბრუნვაში, არამედ მართვა: **მოკვლის**, რომელიც საწყისია, მართულია სიტყვისაგან **ამბავი** (მოკვლის ამბავი, მოკვლის ამბავმა, მოკვლის ამბავს...), **კაცის** ნათესაობითში დგას იმიტომ, რომ ის მართულია **მოკვლის** მიერ (კაცის მოკვლა, კაცის მოკვლამ, კაცის მოკვლას...). მაშასადამე, **კაცის** მართულია, **მოკვლის** კი მართულიც არის (მოკვლის ამბავი) და მმართავიც (კაცის მოკვლა).

ნათესაობითში დასმულ სიტყვათაგან ორივე მართულია ამ წინადადებაშიც: **მთვარის შუქის** ანარეკლი ოდნავ ანათებდა ფარდულს (ქიაჩ.; 3,249). **ანარეკლი** სიტყვა **შუქის** მმართავია (**შუქის** ანარეკლი, **შუქის** ანარეკლმა...), ხოლო ეს უკანასკნელი მართავს სიტყვას **მთვარის** (**მთვარის** შუქი, **მთვარის** შუქმა...) მაშასადამე, **ანარეკლი** მმართავი სახელია, **მთვარის** – მხოლოდ მართული, **შუქის** კი მართულიც არის და მმართავიც.

სახელი ბრუნვაში შეიძლება მართოს ზმნამ (პირიანმა თუ უპირომ). მაგალითად, წინადადებაში **„მონადირემ თოფით დათვი მოკლა“** ზმნა მმართავია, ხოლო მასთან შეწყობილი სამივე სახელი მართულია მისგან სხვადასხვა ბრუნვაში.

პირიანი ზმნა იუღვლის, მას ბრუნვის კატეგორია არ გააჩნია, მაშასადამე, აქ მართვის იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს იმ ფორმით შეიწყობს, რომელიც მას (წამყვან სიტყვას) საერთოდ არა აქვს.

დასახელებულ შემთხვევაში მართვას გვაძლევს ორი სრულმნიშვნელობიანი სიტყვის სინტაქსური ურთიერთობა: მმართავი სიტყვა უშუალოდ მოითხოვს მართული სიტყვისაგან ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, ე.ი. მართვა **უშუალოა**, მაგრამ გვაქვს მართვის უფრო რთული შემთხვევა, როცა მართვითს ურთიერთობაში მონაწილეობს დამხმარე სიტყვა (თანდებული) ან სრულმნიშვნელობიანი სიტყვა (ზმნიზედა) დამხმარე სიტყვის (თანდებულის) მნიშვნელობით. მაგ.: დაბეჩავებული არწივი მიფრინავდა მაღალი **კლდისაკენ** (ვაჟა). **კენ**, როგორც ვიცით, თანდებულია, იგი დამხმარეა, უფორმო, მაგრამ ბრუნებადი სიტყვისაგან მოითხოვს ნათესაობითის ფორმას: კლდისაკენ. მაშასადამე, **კენ** თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში. მართავენ სახელს ბრუნვაში სხვა თანდებულებიც: ზოგი – ერთ

ბრუნვაში, ზოგიც – ორში.

მსგავსი ვითარება გვაქვს მაშინაც, როცა სახელის ბრუნვის ფორმას დაერთვის ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით. მაგ.: **გარშემო** სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა და ადგილის გარემოებას გადმოგვცემს წინადადებაში: **გარშემო** სრული მყუდროება სუფევდა (ყაზ. 1, 126); მაგრამ იგივე **გარშემო** თანდებულის მნიშვნელობით არის ნახმარი და წინადადების წევრს სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ერთად გადმოგვცემს ამ მაგალითში: იის **გარშემო** ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული (რაზ.; 1), ასე რომ თანდებულის მნიშვნელობით ნახმარი ზმნიზედა მართავს სახელს ბრუნვაში. მაგრამ ეს მართვა არ შეიძლება იმ რიგში ჩადგეს, რომელიც გვაქვს სახელის მიერ სახელისა და ზმნის მიერ სახელის უშუალო მართვის შემთხვევაში.

საქმე ის არის, რომ თანდებული დამხმარე სიტყვა ან ბგერათა კომპლექსია, რომელიც დამატებითი მნიშვნელობით ავსებს ბრუნვის ფორმის შინაარსს და გარკვეულ მიმართებას ამყარებს ზმნასთან. თანდებული წყვილის ცალი კი არ არის, არამედ წყვილის ცალის შემადგენელი ნაწილია. მაშასადამე, ისეთი სიტყვა თუ ბგერათა კომპლექსი, როგორიცაა თანდებული, არ შეიძლება იყოს გაბატონებული, წამყვანი სიტყვა, ხოლო სახელი – მასზე დაქვემდებარებული სხვა სიტყვისაგან (ზმნისაგან) დამოუკიდებლად. სინამდვილეში წამყვანი ანუ გაბატონებული სიტყვაა ზმნა, რომელიც მართავს სახელს თანდებულის მეშვეობით, ე.ი. მართვა შუალობითია.

ამგვარად, ზემოთ განხილული შემთხვევების მიხედვით ქართულში გვაქვს მართვის სამი შემთხვევა:

1. სახელი მართავს სახელს (სახელზმნითურთ) ბრუნვაში;
2. ზმნა მართავს სახელს ბრუნვაში;
3. შინაგანი მართვა: უფორმო სიტყვა (თანდებული და ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) მართავს სახელს ბრუნვაში, ე.ი. მართვა შინაგანია.
4. შუალობითი მართვა: ზმნა მართავს სახელს თანდებულის მეშვეობით.

მართული სახელი ზოგჯერ შეთანხმებულიც არის. მაგ.: [მთანი] შავს **ნისლს** შავის **ფიქრებისას** მუზარადად იხურავენ (ვაჟა, 5,135).

წყვილში **ნისლს ფიქრებისას** წამყვანი სიტყვა მიცემითში დგას (ნისლ-ს), დაქვემდებარებული სიტყვა კი ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმაა (ფიქრებ-**ისა**-ს): ნათესაობითის ფორმა **მართვით** არის გამოწვეული, მიცემითისა – **შეთანხმებით**. მაშასადამე, **ფიქრებისას** მართულ-შეთანხმებულია ბრუნვაში საზღვრული (წამყვანი) სიტ-

ყვის მიერ.

მართული სიტყვა მთავარ ანუ წამყვან სიტყვას შეიძლება შეეთანხმოს არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც. მაგ.: ყვავილთ პირს ეკონებიან ცივნი **ნამცვრევნი ცისანი** (ვაჟა). წყვილში **ნამცვრევნი ცისანი** წამყვანი სიტყვაა **ნამცვრევნი**, რომელიც **ნარიანი** მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმაა, **ცისანი** კი მასზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი მართულია ნათესაობით ბრუნვაში (ც-ის-ანი), შეთანხმებულია რიცხვსა და ბრუნვაში (ცისა-ნ-ი).

ასეთია ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც აღძრულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული შესწავლის შედეგად არის დამკვიდრებული, მაგრამ მეცნიერებაში არის ცდა იმის მტკიცებისა, რომ ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი დერივაციული ფუძეა, რომელმაც შეიძლება დაირთოს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები და ამ კატეგორიების მიხედვით შეეთანხმოს საზღვრულ სახელს. „გენეტივის მორფმა სადერივაციო მნიშვნელობა მიიღო“ და სინტაქსურ დამოკიდებულებას მსაზღვრელ-საზღვრულს შორის „ქმნის მხოლოდ ცვალებადი ფლექსია“ (ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, 1973, გვ. 275) და რომ სიტყვათა „დაქვემდებარება ერთი და იმავე კატეგორიის მიხედვით მხოლოდ ერთხელ ხდება“ (იქვე, გვ. 270). მაშასადამე, ის, რაც ზემოთ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელად დასახელდა, მხოლოდ შეთანხმებულია საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში მსგავსად ატრიბუტული მსაზღვრელისაო.

ასეთი განსაზღვრება პოსტპოზიციური, გათიშული პრეპოზიციური და განმარტოებული ისევე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, როგორც იმავე პოზიციის ატრიბუტული განსაზღვრება. მაგ.: **კაცნი ერთობას მთებისას** ვერაფრით დაიწუნებენ (ვაჟა); **წყალსა** სმენ **არაგვისასა** ჯიხვნი, ირემნი რქიანნი (ვაჟა); საბრალო **დედაბრისასა** თაგვნი **ყანასა** მკიანო (ხალხ.); ეს ხმა **მგლისას** არა ჰგავდა (ვაჟა). მსაზღვრელისათვის მათანხმებელი ნიშნის დართვას განაპირობებს იმის აუცილებლობა, რომ მან არ გაწყვიტოს სინტაქსური კავშირი საზღვრულთან და იგი სხვა სახელის წყვილის ცალად არ იქცეს. მაგ., მეორე მაგალითის მსაზღვრელს მათანხმებელი აფიქსი რომ მოვაცილოთ, იგი სინტაქსურ კავშირს გაწყვეტს საზღვრულთან და მომდევნო სახელების განსაზღვრებად გადაიქცევა: **„წყალსა სმენ არაგვის ჯიხვნი, ირემნი რქიანნი“**. მეოთხე მაგალითში მსაზღვრელი სახელი განმარტოებულია. გამოტოვებული საზღვრული რომ აღვადგინოთ, იგი მართული სახელი გახდება: **„ეს ხმა მგლის ხმას** არა ჰგავდა“.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით მყარდება ძირითადი სინტაქსური დამოკიდებულება მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად, ხოლო მათანხმებელი ნიშანი დამატებითი სინტაქსური საშუალებაა, დაიცვას ეს ურთიერთობა მსაზღვრელის სხვადასხვა პოზიციაში მოხვედრის დროს. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ასეთი მსაზღვრელი ფუძედ არის გამოყენებული და ისევე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, როგორც ატრიბუტული განსაზღვრება, იმის საბუთად არ გამოდგება, რომ ჩვენ მიერ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელად დასახელებული სახელის სინტაქსური ურთიერთობა საზღვრულ სახელთან მხოლოდ შეთანხმებით ამოიწურებოდეს.

„გენეტივის მორფმა სადერივაციო მნიშვნელობა“ რომ მიიღო, ამისი მაგალითი, ავტორის აზრით, მრავლად შეიძლება დავიმოწმოთ მორფოლოგიიდან. თქმულის საილუსტრაციოდ პირველად დასახელებულია, თუ როგორ არის მიღებული პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი: „სახ. მე>ნათ. ჩემ(თვის) >კუთვნ. ნაცვალსახელი **ჩემი**“, ხოლო შემდეგ ნათქვამია: საყურადღებოა კუთვნილებითი ნაცვალსახელი მ-ის-ი, რომელშიც აშკარად გამოიყოფა ნათესაობითის ნიშანი, მაგრამ ამ ნაცვალსახელის შეხამება არსებითთან მხოლოდ შეთანხმებაა. აღსანიშნავია, რომ დახშული პრეპოზიციული წყობის გამო ბრუნვის ნიშნის მოკვეცა ბოლოთანხმოვნიან მსაზღვრელთა მსაგავსად ხდება“ (იქვე, გვ. 275).

დასახელებული კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოქმნილი სიტყვებია. ისინი და მათი ძირეულები სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებია. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ამ შემთხვევაში სადერივაციო აფიქსია, ე.ი. ფუძის შემადგენელი ნაწილია. „ჩემი“ და „მისი“ ბოლოთანხმოვნიანი სახელებია და ისინი საზღვრულ სახელებთან მსაგვსი ფუძის ზედსართავი სახელივით რომ იბრუნვიან, – ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ ის ფორმები სახელისა, რომელთაც ჩვენ მართულსა და მართულ–შეთანხმებულს ვუწოდებთ, განა ორი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულია? რა თქმა უნდა, არა! მაგ. „არწივის“ („არწივის ბუდე“) და „არწივისამ“ („ბუდემ არწივისამ“) ორი სხვადასხვა სიტყვა კი არ არის, არამედ ერთი სიტყვის ფორმებია, ასე რომ უმართებულო ჩანს ამ ტიპის სახელთა გაიგივება დასახელებულ ნაგენეტივარ სახელებთან.

„ორფუნქციან აფიქსებს შორის ურევია ნათ. ბრუნვის ნიშანი **ის** ვარიანტებითურთ (**ისა, სა, ს**) და **თ** (**თა**), რომლებიც ახალი სახელის ფუძის საწარმოებლადაც არის გამოყენებული, მაგრამ შედეგი, რომელიც მიღებულია ამ გამოყენების დროს, სხვაა, ვიდრე წარმოქმნის სხვა შემთხვევებში, რადგანაც ამ სახელებს ფუძედ გამოყენებული აქვთ გენეტივის ფორმა, ე.ი. ფორმა ნათესაობითი

ბრუნვისა... ეს ტერმინი მიგვითითებს სახელის მორფოლოგიურ ნიშანზე, სინტაქსურად კი ასეთი სახელი იქნება **მართულ-შეთანხმებული**“ (ა.შ., საფუძ., §154).

საზღვრულს შეიძლება ახლდეს რამდენიმე მართული განსაზღვრება. მაგალითად, ხუთი მართული განსაზღვრება ახლავს საზღვრულ სახელს შემდეგ მაგალითში: ისევ იპენტებიან **ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა** და **ტყემლის** ყვავილები (ლეონ.). საზღვრული რომ წინ გადმოვსვათ და ისე ვაბრუნოთ, მათანხმებელ ბრუნვის ნიშნებს ჩვეულებრივ მხოლოდ უკანასკნელი დაირთავს (სხვებმა შეიძლება დაირთონ, შეიძლება – არა.).

სახ. ყვავილები ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და **ტყემლისა**.

მოთხ. ყვავილებმა ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და **ტყემლისამ**.

მიც. ყვავილებს ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და **ტყემლისას**.

წოდ. ყვავილებო ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და **ტყემლისავ**.

მნიშვნელობით ყველა მსაზღვრელი ერთია, ფორმით მე-5 განსხვავებულია, რომ შეჰკრას რკალი მთელი გამოთქმისა და შეეთანხმოს საზღვრულს, „მაგრამ იგი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაცაა ისევე, როგორც მის წინ მდგომი მსაზღვრელები“ (ა.შ., საფუძ., §154).

შკვეცელ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია ს. ამიტომ, როცა ამ ტიპის სახელია საზღვრულის მომდევნო, დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს. მაგ.: მუდმივი საჭმელი **პაპასი** ნიორწყალია (ვაჟა). ძველ ქართულში ამ ბრუნვის ნიშანი ემფატიკურ ხმოვანზე დაბოლოებულ მსაზღვრელსაც დაერთოდა. მაგ.: „მან ღმერთი **ცათაჲ** და **ქუეყანისაჲ** აღიარა“ (მერჩულე).

მსაზღვრელს შეიძლება ახლდეს ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის მასთან შეწყობილი. მაგ.: ქორ-შევარდენნი მაღლის მთისანი სოფელს მთებიდან თვალს ადევნებენ (ვაჟა); არწივთა მაღლის მთისათა ნეტავ რად უნდა მქებარი! (ვაჟა); [მთანი] შავს ნისლს **შავის ფიქრებისას** მუზარადად იხურავენ (ვაჟა). სამივე მაგალითში ზედსართავი სახელი ატრიბუტული განსაზღვრებაა და შეთანხმებულია ნათესაობით ბრუნვაში, ასე, რომ „მთისანი“, „მთისათა“ და „ფიქრებისას“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიცაა.

გენეტიური სახელი შეიძლება ახლდეს სახელზმნასაც. მაგ.: შორიდან **ძაღლების ყეფა** ისმოდა (გამს.); **ბარტყების დამკარგავი** ჩიტი კვლავ გოდებდა (გვეტ.). მართული სახელი პირველ მაგალითში საწყისს ახლავს, მეორეში – მიმღეობას. საწყისთან ის მიღებულია ქვემდებარისაგან (ძაღლების ყეფა < ძაღლები ყეფენ), მიმღეობასთან – პირდაპირი დამატებისაგან (ბარტყების დამკარგავი < ბარ-

ტყები დაკარგა). მართული სახელი სახელზმნასთან იშვიათად პოსტპოზიციური წყობითაც გვხვდება. მაგ.: დიდი კლდის მონაგლეჯი ვარ, **ჩამოთრეული** ღვარისა (ვაჟა). რომ ვაბრუნოთ „ჩამოთრეული ღვარისა“, მიმღეობასთან დაკავშირებული სახელი ისევე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, როგორც არსებითი სახელის გენეტიური მსაზღვრელი. მაგ.: სახ. ჩამოთრეული **ღვარისა**, მოთხ. ჩამოთრეულმა **ღვარისამ**, მიც. ჩამოთრეულს **ღვარისას**, წოდ. ჩამოთრეულო **ღვარისავ**. როგორც ვხედავთ, ფორმის თვალსაზრისით სინტაქსური ურთიერთობა აქაც ისეთივეა, როგორიც გენეტიური სახელისა სახელთან. მაგრამ ამის გამო შეხედულებას, რომ საწყისთან და მიმღეობასთან დაკავშირებული გენეტიური სახელი „სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა განსაზღვრებად ჩაგვეთვალა“ (ა, დ. გვ.283), ვერ გავიზიარებთ, რადგანაც გრამატიკული შინაარსით, სინტაქსური ფუნქციის მიხედვით მათ შორის დიდი განსხვავებაა:

1. არსებით სახელთან დაკავშირებული გენეტიური სახელი განსაზღვრებაა, სახელზმნასთან – პირმიუმართავი დამატება, რომელიც ქვემდებარისაგან ან პირდაპირი დამატებისაგან არის მიღებული (რაც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს);

2. მიმღეობებსა და მათგან მიღებულ ზმნიზედებთან დაკავშირებული გენეტიური სახელის განსაზრვრებად „ჩათვლა“ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რასაც თვალნათლივ ადასტურებენ შემდეგი მაგალითებიც: **ქარის მოტანილს** ქარივე წაიღებს (ანდ.); **ხოსროს მოქნეული** ხმალი ვიღაცას მოხვდა (გვეტ.); მერე იგი **მასწავლებლის მითითებულ** ადგილზე დაჯდა (გ. ფანჯ.); აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის ცოლ-შვილით **ბაღის დასათვალიერებლად** (ვაჟა), ...თოთო ბავშვს **ძუძუს მოსაწოვებლად** მეზობლებში კარდაკარ დაატარებდა (დ. შენგ.). გენეტიური სახელით გადმოცემული პირმიუმართავი (უბრალო) დამატება პირველ სამ მაგალითში ქვემდებარისაგან არის მიღებული, ბოლო ორში – პირდაპირი დამატებისაგან.

ქვემდებარისაგან მიღებული გენეტიური პირმიუმართავი დამატება მეტი სიცხადისათვის ხშირად „გან“ ან „მიერ“ თანდებულს დაირთავს. მაგ.: **არწივისაგან შეშინებული** წეროები სულ დაბლა-დაბლა ეშვებოდნენ (რაზ.); **წინაპრების მიერ დაღვრილი** სისხლი მძიმედ დააწვა მის სინდისს (გამს.).

ზოგჯერ ერთსა და იმავე მიმღეობასთან ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის უთანდებულო ფორმაც გვხვდება და თანდებულიანიც. მაგ.:

ა) 1. **ვეფხვას მოტანილმა** ამბავმა შემუსრა ეთერი... (არაგვ.);

2. **თადულას მიერ მოტანილმა** ახალმა ცნობამ საერთო გამოცოცხლება შეიტანა ქალებში (ჯაფ.).

ბ) 1. **დედ-მამის დალოცვილი** ... მეუღლე სტამბოლის ჭირს გაუნელებს (ლ. გოთ.);

2. **უფლისაგან დალოცვილი** კაცი ხარ (ყაზ.).

თუ მიმღეობას, ვთქვათ, „და“ კავშირით შეერთებული ორი გენეტიური სახელი ახლავს, კავშირის წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა. მაგ.: შორიდან **სიცივისა** და **შიმშილისაგან** გასაცოდავებული მგლების ყმუილი ისმოდა (გ. პ.)

თანდებულიანი სახელები უბრალო დამატებაა, ამავე ფუნქციისაა უთანდებულო ფორმებიც. მაშასადამე, სახელზმნასთან დაკავშირებული გენეტიური სახელი (უთანდებულო თუ თანდებულიანი) უბრალო (პირმიუმართავი) დამატებაა და არა განსაზღვრება.

აქ დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ირიბობიექტური პირის შესაბამისი პირმიმართი ერთეული, ე.ი. ირიბი დამატება, ვნებითი გვარის მიმღეობას ბრუნვის შეუცვლელად გადაჰყვება. მაგ.: **ხეს** მოეფარა > **ხეს** მოფარებული; **ხეს** მიეყრდნო > **ხეს** მიყრდნობილი; **გარჯას** შეეჩვია > **გარჯას** შეჩვეული; **კედელს** აეკრა > **კედელს** აკრული, **ცას** მოსწყდა > **ცას** მოწყვეტილი; **გზატკეცილს** აჰყვა > **გზატკეცილს** აყოლილი.

რა წევრია ვნებითი გვარის მიმღეობასთან მიცემითში დასმული სახელი – პირმიუმართავი დამატება თუ განსაზღვრება? თუ ვიტყვით იმას, რომ სახელზმნასთან დაკავშირებული გენეტიური სახელი განსაზღვრებაა, ლოგიკური იქნება, გვეთქვა, რომ ვნებითი გვარის მიმღეობასთან მიცემით ბრუნვაში დასმული სახელიც განსაზღვრებაა. ეს მართებული არ იქნება: მიმღეობას, როგორც ზემოთაც ითქვა, განსაზღვრება არ შეიძლება ახლდეს.

მიცემითსა და ნათესაობითში დასმული სახელები პირმიმართი წევრებისაგან არის მიღებული და მათი სინტაქსური კვალიფიკაცია ერთმანეთს ვერ დასცილდება. მაშასადამე, სახელზმნასთან მიცემითსა და ნათესაობითში დასმული სახელები უბრალო დამატებებია.

ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობა ბევრ ენაში მარტივია: სახელი (ქვემდებარე) სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით გაბატონებული, წამყვანი სიტყვაა, ზმნა-შემასმენელი კი – დაქვემდებარებული. ქვემდებარე ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში, თვითონ ზმნა-შემასმენელი კი ვერ ახდენს გავლენას სახელის (ქვემდებარის) ფორმაზე: სინტაქსური დამოკიდებულება ცალმხრივია.

ქართულში ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა. სახელი (ქვემდებარე თუ დამატება-ობიექტი) და ზმნა-შემასმენელი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას, ე.ი. სინტაქსური დამოკიდებულება ურთიერთდაქვემდებარებითია. მაგ.: ბავშვი წერს, ბავშვმა დაწერა... ბავშვები წერენ, ბავშვებმა დაწერეს. სახელი (ამ შემთხვევაში ქვემდებარე) ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში, ზმნა-შემასმენელი კი მართავს სახელს ბრუნვაში.

§10. სინტაქსური დაქვემდებარება ერთი სიტყვისა ორი სხვადასხვა სიტყვისადმი ერთდროულად

ზემოთ აღინიშნა, რომ დაქვემდებარებული სიტყვა ზოგჯერ მართულ-შეთანხმებულია, ხოლო მმართავი და მათანხმებელი სიტყვა ერთი და იგივეა (ნისლს **ფიქრებისას**, ნამცვრევნი **ცისანი**). იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სიტყვის ფორმას ორი სხვადასხვა სიტყვა განსაზღვრავს: ერთი – ბრუნვის მიხედვით, მეორე – რიცხვისა. ამის ნიმუშია მიმართებითი ნაცვალსახელი. **რომელიც** (აგრეთვე **როგორიც**). ეს ნაცვალსახელი მაქვემდებარებელი კავშირის როლს ასრულებს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. იგი ბრუნვაში ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების იმ სიტყვას, რომელთანაც სინტაქსურ კავშირშია, ხოლო რიცხვში – მთავარი წინადადების მისამართ სიტყვას. მაგ.: „მდინარის ნაპირზედ შავად მოჩანდა აქა-იქ **პატარა წისქვილები, რომლებსაც** ღამის გამო უბრალო ქვებისაგან ძლივს გამოარჩევდით“. (ყაზ.).

რომლებსაც მრავლობითში დგას იმიტომ, რომ იგი ეთანხმება რიცხვში მთავარი წინადადების ქვემდებარეს (წისქვილები). ეს უკანასკნელი რომ მხოლობითში დავაყენოთ, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობითში გადადგება: წისქვილი, **რომელსაც** ...

რომლებსაც მიცემითში დგას. მას ამ ბრუნვაში მოითხოვს დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი, რომელთანაც ის წყვილში შედის: **რომლებსაც გამოარჩევდით, რომლებიც გამოარჩიეთ.**

მაშასადამე, მოცემულ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ეთანხმება რიცხვში მთავარი წინადადების ქვემდებარეს, ხოლო ბრუნვაში მართულია დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისაგან.

§11. მირთვა

მირთვა ჰქვია სრულმნიშვნელობიან სიტყვათა ისეთ შეკავშირებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინაარსობრივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გრამატიკული გამოხატულება არ ახლავს. მაგ.: ოქროპირი **გვიან** დაბრუნდა (გვეტ. 210); განთიადი

ნელა შლიდა ფრთებს (ქიაჩ. 3,416). **გვიან** და **ნელა** უფორმო სიტყვებია, ზმნიზედები, რომლებიც მოცემულ წინადადებებში მიერთვიან შემასმენელს.

წამყვან სიტყვას მიერთვის უფორმო სიტყვა – ზმნიზედა ან ზმნიზედების წყებაში ჩამდგარი თანდებულიანი სახელი. წამყვანი სიტყვა, რომელსაც ახლავს მირთული, ჩვეულებრივ ზმნაა (პირიანი თუ უპირო): გვიან დაბრუნდა, გვიან დაბრუნება, გვიან დაბრუნებული), მაგრამ იგი შეიძლება იყოს სახელი (ჩვეულებრივ ზედსართავი) ან თვით ზმნიზედა: **ძალიან** დიდი, **ოდნავ** წითელი ... **ძალიან** შორს, **უფრო** ნელა, ძალიან გვიან ...

„მირთვა შორეულ კავშირში იმყოფება მართვასთან. მირთვა ნულამდე დაყვანილი მართვაა. მართვის დასუსტების ხაზით მივდივართ მირთვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა, მართვაა იგი თუ მირთვა“ (არნ. ჩიქობავა, მარტივი წინად. პრობლემა ქართულში, მე-2 გამოცემა, 1968, გვ. 120).

მართული სიტყვა ხშირად მირთულად იქცევა. მაგალითად, „დღეს“ არსებითი სახელია, მართულია მიცემით ბრუნვაში და ირიბი დამატებაა, როცა ვამბობთ: „**დღე დღეს** მისდევდა“, მაგრამ ზმნიზედაა, დროის გარემოებაა და მირთულია ზმნის მიერ შემდეგ წინადადებაში: „**დღეს** მერცხალი შემოფრინდა“. (წერ.). ასევე „ძირს“ არსებითი სახელია, პირდაპირი დამატებაა და მართულია მიცემით ბრუნვაში, როცა ვამბობთ: „ღორი მუხას **ძირს** უთხრიდა“, მაგრამ ზმნიზედაა, ადგილის გარემოებაა და მირთულია „ეგდო“, „ეყარა“ ... ზმნებთან: „**ძირს** დიდი ქვა ეგდო“; „**ძირს** ქვები ეყარა“, **ძირს** აგურის იატაკი ეგო. (გვეტ.).

მირთვას კავშირი აქვს შეთანხმებასთანაც. მაგ., „მეზობლისას“ (სახლსა <მეზობლისასა) და „გათენებისას“ (<ჟამსა გათენებისასა), ბრუნვაში საზღვრულთან შეთანხმებული განსაზღვრებები, განმარტოებულნი, ზმნიზედებად არიან გადაქცეული და მიერთვიან ზმნა-შემასმენლებს.

რთულია ისეთი შემთხვევები, როცა სახელის თანდებულიანი თუ უთანდებულო ფორმა, ზმნიზედად გადაქცეული, ცალკე მდგომი თანდებულებივით დაერთვიან სახელს და ორივე ერთად გადმოსცემს წინადადების წევრს – გარემოებას. მაგ.: ორი კაცი **ჭიშკრის უკან** აიტუზა (ჯავ.); **სოფლის თავში** გამოჩნდნენ ცხენოსნები (ლ.გოთ.); **თხმელის ძირში** ცეცხლი ნელა ბუტბუტებდა (ქიაჩ.); წარვედ **წყლისა პირს** სევდიანი ფიქრთ გასართველად. (ბარ.); თუ მივიჩნევთ, რომ ყოველი გარემოება მირთულია, მაშინ ორ-ორი სიტყვით გადმოცე-

მული დასახელებული გარემოებებიც მირთულად უნდა დასახელდეს. მაგრამ ყოველი გარემოება ჩაითვლება თუ არა მირთულად? მაგ. წყალნი, **მთით** დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან (გრ. ორბ.); **ბარად** შრიალებს ჭადარი. (ა. კალან.).

თითქოს მართვასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ასეთი შემთხვევებიც შეიძლება მირთვად დასახელდეს.

აქვე დაისმის კითხვა: ერთი და იმავე ფორმით შეიძლება გადმოიცეს უბრალო დამატებაცა და გარემოებაც. მაგ.: „მეგობარზე" („მეგობარზე ფიქრობდა") და „იალბუზზე" („იალბუზზე მუდამ თოვლი ძევს") ერთნაირი ფორმებია, სინტაქსური ფუნქციით – სხვადასხვა: პირველი უბრალო დამატებაა, მეორე – ადგილის გარემოება, ასეთი (და არა მარტო ასეთი) შემთხვევები გარკვეული სიძნელის წინაშე გვაყენებს და შეიძლება საორჭოფო შემთხვევებში წინადადების წევრის სინტაქსური ფუნქციის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ.

§11¹. სიტყვათა დაქვემდებარებითი შეკავშირების ტიპები

სიტყვათა დაქვემდებარება, როგორც ვიცით (§9), ორგვარია: ცალმხრივი და საურთიერთო.

ცალმხრივია დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალთაგან ერთი გაბატონებულია, მეორე – დაქვემდებარებული. მაგ.: **ახალი წიგნი**. არსებითი სახელი (წიგნი) გაბატონებული ანუ მთავარი სიტყვაა, ზედსართავი სახელი (ახალი) – დაქვემდებარებული, რომელიც უკუგავლენას ვერ ახდენს მთავარ ანუ დამქვემდებარებელ სიტყვაზე. ასეთ დაქვემდებარებას სუბორდინაცია ჰქვია (ლათ. subordinatio – საერთოდ დაქვემდებარება). დასახელებულ მაგალითში დაქვემდებარება სუბორდინაციულია.

საურთიერთოა დაქვემდებარება, როდესაც წყვილის ცალები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ისინი ერთმანეთის მიმართ დამქვემდებარებლებიც არიან და დაქვემდებარებულებიც. მაგ.: ბავშვები ხატავენ, ბავშვებმა დახატეს. სახელი (ამ შემთხვევაში – ქვემდებარე) ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში, ზმნა-შემასმენელი კი მართავს სახელს ბრუნვაში. მაშასადამე, საურთიერთო დაქვემდებარებას ქმნის სინტაქსური დამოკიდებულების ორი სახე – მართვა და შეთანხმება: სახელი მათანხმებელიც არის და მართულიც, ზმნა-შემასმენელი კი – მმართავიც და შეთანხმებულიც.

საურთიერთო დაქვემდებარება, არნ. ჩიქობავას აზრით, საურთიერთო მართვას გულისხმობს. მაგ., ორპირიანი (და სამპირიანი ზმნა) მართავს მასთან დაკავშირებულ სახელებს ბრუნვაში, სახელები (სუბიექტი, ობიექტი) მართავენ ზმნას პირში და ხშირად ითანხმებენ მას რიცხვშიც. ამ სახელების პირი ზმნის ფორმაში წარმოდგენილია ან რეალურად, ან პოტენციურად. მაგ.: ბავშვი სურათს

ხატავს. „ხატავს“ ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. „ბავშვი“ სუბიექტური პირის ფარდი სახელია, „სურათს“ – ობიექტური პირისა. პირველი რეალურად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში **ს** სუფიქსით („ხატავ-ს“), მეორე („სურათს“) – პოტენციურად.

საურთიერთო მართვას არნ. ჩიქობავა კოორდინაციას უწოდებს, ხოლო კოორდინაციის მონაწილე სიტყვებს – კოორდინატებს. ზმნა, როგორც კოორდინაციის ცენტრი, ძირითადი კოორდინატია (coordinata princeps): სინტაქსური დამოკიდებულების ძაფები მასში იყრის თავს. სახელებიც კოორდინატებია: დიდი ან მცირე. განსხვავებას მათ შორის ქმნის რიცხვის გრამატიკული კატეგორია. ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნას პირში და ითანხმებს მას რიცხვში, დიდი კოორდინატია (coordinata major), ხოლო ის კოორდინატი, რომელიც მართავს ზმნას პირში, მაგრამ ვერ ითანხმებს მას რიცხვში, მცირე კოორდინატია (coordinata minor). ჩვენს მაგალითში „ბავშვი“ დიდი კოორდინატია (ბავშვები ხატავენ), „სურათს“ – მცირე (ხატავს სურათს, ხატავს სურათებს).

კოორდინაციის თეორიის თანახმად, ერთპირიან ზმნასა და მასთან სახელობითი ბრუნვის ფორმით შეწყობილ სახელს შორის მართვა ცალმხრივია: სახელი მართავს ზმნას პირში, მაგრამ ზმნა ვერ მართავს სახელს ბრუნვაში. მაგ.: ბავშვი იზრდება, ბავშვი გაიზარდა, ბავშვი გაზრდილა; ბავშვები იზრდებიან, ბავშვები დაიზარდნენ, ბავშვები დაზრდილან.

წინადადების წევრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საურთიერთო მართვაა ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნით გადმოცემულ შემასმენელსა და მასთან დაკავშირებულ ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის, ხოლო ერთპირიანი გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის მართვა ცალმხრივია, ე.ი. კოორდინაცია არა გვაქვსო[9].

ასეთია მოკლედ კოორდინაციის თეორიის ძირითადი დებულებები.

„კოორდინაცია“, როგორც გრამატიკული ტერმინი, სპეციალურ ლიტერატურაში ამჯამად სხვა მნიშვნელობითაც იხმარება.

სახელისა და ზმნის ურთიერთობა პირის მიხედვით შეთანხმებად არის მიჩნეული სხვა ენებში, რასაც გარკვეული საფუძველი აქვს.

სახელებში გამოიყოფა პირის სახელები. მაგ., **მე** და **ჩვენ** პირველი პირის ნაცვალსახელებია, **შენ** და **თქვენ** – მეორე პირისა, ხოლო

[9] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში; ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში, 1928; რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას?, ჟურ. „კულტურული აღმშენებლობა“, №7, 1930; ენათმეცნიერების შესავალი, 1950.

დანარჩენი სახელები მესამე პირისად ითვლება. პირველი პირის აღმნიშვნელ სახელებს ზმნაც პირველი პირის ფორმით შეეწყობა (მე ვთბები, ჩვენ ვთბებით), მეორე პირის სახელებს – მეორე პირის ფორმით (შენ თბები, თქვენ თბებით), ხოლო მესამისას – მესამე პირის ფორმით (ის თბება, ისინი თბებიან). მაშასადამე, რომელი პირის აღმნიშვნელი სახელიც გვაქვს, ზმნაც იმ პირის ფორმას იღებს, რაც, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა (§8), შეთანხმებაა და არა მართვა (§54).

მარტივი წინადადების შედგენილობის განხილვისას ჩვენ ტრადიციულ ტერმინებს (ქვემდებარეს, დამატებას, შემასმენელს ...) გამოვიყენებთ და წინადადების მთავარ წევრთა სინტაქსურ მიმართებათა შესახებ მსჯელობისას საუბარი გვექნება საურთიერთო დაქვემდებარებაზე, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, საურთიერთო მართვას არ გულისხმობს.

საურთიერთო დაქვემდებარება გვაქვს მთავარ წევრებს შორის, ცალმხრივი დაქვემდებარება კი – მთავარსა და არამთავარ ან თვით არამთავარ წევრებს შორის.

ცალმხრივი დაქვემდებარებისას დამოკიდებული სიტყვა გაბატონებულ სიტყვასთან შეიძლება შეთანხმებული იყოს ბრუნვაში (მაღალ-ი მთებ-ი), ბრუნვასა და რიცხვში (მთა-ნ-ი მაღალ-ნ-ი), ან მართული ბრუნვაში (**ხის** სახლი, **დანით** დაჭრა), ან მართულ-შეთანხმებული (სახლმა **ხისამ**; ლეკვები **მგლისანი**). ან კიდევ მირთული (**გუშინ** წავიდა, **იქ** იდგა).

კოორდინაციის თეორია მტკიცედ დამკვიდრდა გრამატიკულ ლიტერატურაში. ჩვენი თვალსაზრისი გარკვეულწილად განსხვავებულია კოორდინაციის თეორიის არაერთი დებულებისაგან. საქმის ვითარება რომ უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი, საჭიროა, ვიცოდეთ ორი რამ: 1. რატომ მიაჩნია ბ-ნ არნოლდს, რომ სახელი ზმნას მართავს პირში? 2. რა შეგვიძლია დამატებით ვთქვათ, რომ სახელი ზმნას პირში კი არ მართავს, არამედ ითანხმებს?

ბ-ნი არნოლდი წერს: „ჩვენს მაგალითში („ბავშვი თამაშობს“) სახელი იცვლება ბრუნვათა მიხედვით (აქ იგი სახელობითშია), ზმნა კი („თამაშობს“) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება. ბრუნვის მიხედვით ამ ორ სიტყვას შორის დამოკიდებულებას ადგილი არა აქვს.

ახლა ზმნას მივუბრუნდეთ. ზმნის რიცხვი უკვე ვნახეთ, რომ სახელის რიცხვთან იყო შეთანხმებული. ზმნას პირიც აქვს: „თამაშობს“ მესამე პირია. რატომ მესამე და არა მეორე ან პირველი? იმიტომ, რომ არ შეიძლება „ბავშვი თამაშობ“ ან „ბავშვი ვთამაშობ“. „თამაშობ“ იქნებოდა, „ბავშვის“ ნაცვლად „შენ“ რომ ყოფი-

ლიყო („შენ თამაშობ“). „ვთამაშობ უნდა გვეხმარა, „მე რომ ყოფილიყო („მე ვთამაშობ“). ყველა სხვა სახელს (მხოლოობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში) შეეფერება მესამე პირის ფორმა „თამაშობს“.

ამ შემთხვევაში ზმნის დამოკიდებულება სახელისაგან უთუოდ განსხვავდება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც დამყარდა მათ შორის რიცხვის მიხედვით: რიცხვის მიხედვით სახელიც იცვლებოდა და ზმნაც; პირის მიხედვით ზმნა იცვლება, სახელი კი არა. ამისდა მიუხედავად გარკვეული დამოკიდებულება შეიქმნა: სახელმა მოითხოვა ზმნისაგან მესამე პირში ყოფილიყო, ესე იგი, მოითხოვა ისეთი ფორმა, რომელიც თვითონ მას, სახელს, არც ამ შემთხვევაში აქვს და არც, საერთოდ, შეიძლება ჰქონდეს. ასეთ დამოკიდებულებას მართვა ეწოდება: სახელი მართავს ზმნის პირს.

ამრიგად, კითხვაზე: რა დამოკიდებულება არსებობს ჩვენს შესიტყვებაში („ბავშვი თამაშობს“) შემავალ სიტყვათა შორის, უნდა ვუპასუხოთ: სახელი („ბავშვი“) ითანხმებს ზმნის („თამაშობს“) რიცხვს და მართავს მის პირს“.

ბ-ნ არნოლდის თვალსაზრისი აქ სრულად არის გადმოცემული: გამოიკვეთა ხუთი ძირითადი დებულება, რომელთაგანაც ზოგი უდავოა, ზოგზე კი განსხვავებული მოსაზრება გვაქვს.

1. „სახელი იცვლება ბრუნვათა მიხედვით“, ზმნა კი („თამაშობს“) ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება“. სახელი ბრუნებადი სიტყვაა, ზმნა – უღლებადი.

2 „თამაშობს“ მესამე პირის ფორმაა და არა პირველი ან მეორე პირისა; „თამაშობ“ იქნებოდა, „ბავშვის“ ნაცვლად „შენ“ რომ ყოფილიყო, ხოლო „ვთამაშობ“ უნდა გვეხმარა, „მე“ რომ ყოფილიყო“. პირველი პირის ნაცვალსახელთან ზმნაც პირველი პირის ფორმით უნდა გვეხმარა, მეორე პირის ნაცვალსახელს ზმნაც მეორე პირის ფორმით უნდა შევუწყოთ.

3. უდავოა, რომ ყველა სხვა სახელს მხოლობითისას სახელობითში შეეფერება მესამე პირის ფორმა „თამაშობს“.

4. „რიცხვის მიხედვით სახელიც იცვლება და ზმნაც. ბავშვი თამაშობს, ბავშვები თამაშობენ. სახელს (ქვემდებარეს) ზმნა (შემასმენელი) ეთანხმება რიცხვში:

5. პირის მიხედვით ზმნა იცვლება, სახელი არაო. უდავოა, ასეა და ასეც უნდა იყოს, რადგანაც ყოველ პირს თავისი სახელი აქვს: **მე** და **ჩვენ** პირველი პირის აღმნიშვნელი სახელებია, **შენ** და **თქვენ** – მეორე პირისა, ხოლო არსებითი სახელი და ნაცვალსახელები (ის, ისინი, მან, მას) მესამე პირის სახელებია.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები პირსა და რიცხვს გამოხატავენ მნიშვნელობით (სემანტიკურად) და არა გრამატიკულად: მე და ჩვენ (შენ და თქვენ) უბრუნველი ნაცვალსახელებია, რომლებიც არ არიან ერთმანეთის მიმართ გრამატიკული მხოლობით-მრავლობითი, მაგრამ მათ შეუძლიათ ზმნა-შემასმენელი შეითანხმონ პირსა და რიცხვში ისე, როგორც არსებით სახელებს. თქმულის საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი (ვაჟა); ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ (ვაჟა); ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი (ტაბ.); თქვენ, შევარდენნო, ქორნო და გავაზნო, ეცადეთ ... (ვაჟა); ჩვენ, ბავშვებს, კრებაზე არავინ გვეპატიჟებოდა. (ნ.დუმ.).

6. „სახელი „ბავშვი" არ იცვლება პირების მიხედვით, პირის ფორმა მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს; სახელი მართავს ზმნას პირში". აი ეს არის კოორდინაციის თეორიის ყველაზე „მტკივნეული" ადგილი, რომელსაც ჩვენ არ ვიზიარებთ. არსებითი სახელები და ნაცვალსახელები (ის, იგი, მან, მას), როგორც ზემოთ ითქვა, მე-3 პირის სახელებია, რომლებიც ზმნა-შემასმენელს ითანხმებენ პირსა და რიცხვში: ბავშვი თამაშობს, ბავშვები თამაშობენ, ის თამაშობს, ისინი თამაშობენ, მან ითამაშა, მათ ითამაშეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ უნდა დავივიწყოთ მესამე პირის აღმნიშვნელ სუფიქსთა დანიშნულება:

წვიმის **წვეთები დაცურავენ** ფანჯრის მინაზე (ტაბ.);

მტრედებმა მწყერს **დაუცადეს** (ვაჟა);

მდუმარედ **იდგნენ** თეთრი **კოშკები** (გამს.);

მგლები ამაღამ სოფელს **უნდა ესტუმრონ** (ვაჟა);

ზანტად **მიიზლაზნებიან ღრუბლები** ცაზე (მ. მრევლ.).

ენ, ეს, ნენ, ნ და **ან** სუფიქსები მე-3 სუბიექტური პირის ნიშნებია მრავლობით რიცხვში. პირი და რიცხვი განუყოფელია, ორივე ერთი ნიშნით არის წარმოდგენილი. ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ქვემდებარეების გადმომცემი არსებითი სახელები მე-3 პირის სახელებია, რომლებიც ზმნა-შემასმენელს ითანხმებენ პირსა და რიცხვში. ზმნის პირის კატეგორიასა და სახელის პირის კატეგორიას შორის სრული ანალოგიაა. კოორდინაციად იწოდება საურთიერთო მართვა. რაკი საურთიერთო მართვას გამოვრიცხავთ, რჩება საურთიერთო დაქვემდებარება: სახელი ითანხმებს ზმნა-შემასმენელს პირსა და რიცხვში; თვითონ კი მართულია ზმნა-შემასმენლისაგან ბრუნვაში. ზმნა-შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრია, მასთან პირით დაკავშირებული სახელები – პირმიმართი წევრები.

§11[3]. წყვილების შედგენილობა მეტყველების ნაწილთა მიხედვით ცალმხრივი დაქვემდებარებისას

წყვილების შედგენილობა სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება გაბატონებული სიტყვა ცალმხრივი დაქვემდებარების დროს. გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი: სახელური, ზმნური და ზმნიზედური.

სახელური სიტყვათა შეკავშირება, თავის მხრივ, ოთხგვარია: სუბსტანტიური (ლათ. nomen substantivum – არსებითი სახელი), ადიექტიური (ლათ. adjectivum – ზედსართავი სახელი), რიცხვითსახელური და ნაცვალსახელური.

ზმნური შეკავშირება ფართო მნიშვნელობით გულისხმობს სახელზმნურ შეკავშირებასაც. ზმნის პირიანი ფორმა ძირითადი წევრია საურთიერთო დაქვემდებარების დროს, სახელზმნა კი შეიძლება იყოს საურთიერთო დაქვემდებარების მონაწილეც, გაბატონებულიც და დაქვემდებარებულიც.

1. **სუბსტანტიური სიტყვათა შეკავშირება.** სუბსტანტიურ სიტყვათა შეკავშირებაში მთავარი ანუ გაბატონებული სიტყვა არსებითი სახელია, დაქვემდებარებული შეიძლება იყოს სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) და სახელზმნები, იშვიათად – ზმნიზედაც.

ა) დაქვემდებარებული სიტყვა არსებითი სახელია: **ურემი** შეშა, **ბოთლი** წყალი, **უღელი ხარი, ჰექტარი** მიწა ... **ამხანაგის** წიგნი, **აგურის** სახლი, **წიგნების** კარადა...

ბ) დაქვემდებარებული სიტყვა ზედსართავი სახელია: **დიდი** სახლი, **მწვანე** მინდორი, **ხავსიანი** ქვა, **იქაური** ხილი, **მომაღლო** კაცი, **უდიდესი** მთა, მთანი **მაღალნი**...

გ) დაქვემდებარებული სიტყვა რიცხვითი სახელია: **ორი** ირემი, **ცხრა** ძმა, **ასი** წელი, **ბევრი** წიგნი; **მეორე** მერხი, **მეოცე** საუკუნე; **მესამედი** ჰექტარი...

დ) დაქვემდებარებული სიტყვა ნაცვალსახელია: **ის** სახლი, **ისეთი** კაცი, **ჩემი** წიგნი, **რამდენი** ბავშვი, **რომელი** ამხანაგი, **რამდენიმე** სტუდენტი, **ვიღაცა** კაცი, **ყველა** ამხანაგი, **ყოველი** კაცი.

ე) დაქვემდებარებული სიტყვა სახელზმნაა (ჩვეულებრივ მიმღეობა): **აღელვებული** ზღვა, **დაჭრილი** არწივი, **დამჭკნარი** ყვავილი, **მდუღარე** წყალი, **წვეთა** ყველი.

არსებით სახელს ზმნიზედური მნიშვნელობით გამოყენებისას დაქვემდებარებულ სიტყვად შეიძლება ზმნიზედაც დაუკავშირდეს: **ადრე** დილით, **გვიან** ღამით, **ოდნავ** გეზად.

დაქვემდებარებული სახელი თუ სახელზმნა გაბატონებულ არ-

სებით სახელს საზღვრავს რაიმე ნიშნის მიხედვით, სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით ეთანხმება ბრუნვაში (ზოგჯერ რიცხვშიც), ოღონდ სუბსტანტიურ მსაზღვრელად შეწყობილი არსებითი სახელი მართულია ბრუნვაში (**ამხანაგის** წიგნი) ან მართულ-შეთანხმებული (წიგნმა **ამხანაგისამ**, ლეკვნი **მგლისანი**).

2. **ზმნური სიტყვათა შეკავშირება**. ზმნურ სიტყვათა შეკავშირებაში ზმნა გაბატონებული ანუ დამქვემდებარებელი სიტყვაა, მისი წყვილის ცალი კი დაქვემდებარებული, რომელიც უკუგავლენას ვერ ახდენს გაბატონებულ სიტყვაზე.

ზმნას დაქვემდებარებულ წევრად შეიძლება დაუკავშირდეს არსებითი სახელი და ზმნიზედა. პირველი დამატებითს მიმართებას გამოხატავს, მეორე – გარემოებითს. დაქვემდებარებული სიტყვა სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით მართულია ბრუნვაში ან მირთული.

ზმნა ფართო მნიშვნელობით, როგორც ვიცით, სახელზმნებსაც გულისხმობს, რომლებიც დაქვემდებარებულ წევრებს პირიანი ფორმებივით იკავშირებენ. განსხვავება მათ შორის მინიმალურია. ამიტომ სახელზმნურ სიტყვათა შეკავშირებებს ცალკე აღარ გამოვყოფთ.

ა) დაქვემდებარებული არსებითი სახელი შეიძლება იდგეს ყველა ბრუნვაში, გარდა მოთხრობითისა და წოდებითისა.

სახელობითი ბრუნვა: **ბულბულივით** გალობდა, **მერცხალივით** ჭიკჭიკებდა, **ვეფხვივით** იბრძოდა, **ჩემი** დაწერილი, **შენი** გაგზავნილი, **ბულბულივით** მგალობელი.

მიცემითი ბრუნვა: **ქალაქს** მიდიოდა, **ხეს** მოფარებული, **ორშაბათს** წავიდა, **ამხანაგზე** ფიქრობდა, **სოფელში** ცხოვრობდა, **ამხანაგებთან** თამაშობდა, **ხესთან** იდგა, **ვეფხვსავით** იბრძოდა, **მთებს შორის** მიიკლაკნებოდა, **ხესთან დგომა, სოფელში** წასვლა.

ნათესაობითი ბრუნვა: **მზის** ამოსვლა, **ხის** მოჭრა, **ხის** მჭრელი, **დედისთვის** მიუწერია, **ძმისაგან** მიუღია; **ინსტიტუტისკენ** მიდიოდა, **ლომისებრ** დაიღრიალა, **გათენებისთანავე** წავიდა, **ამხანაგის მიერ** გაიგზავნა, **სიცივის გამო** ვერ წავიდა.

მოქმედებითი ბრუნვა: **ფანქრით** დახატა, **ცოლ-შვილით** ჩამოვიდა, **ხვრელით** ამოიყვანს, **წყრომით** გადახედა, **ზამთრობით** ცივა, **სიცივით** იყინებოდა, **ცოლ-შვილითურთ** ჩამოვიდა, **სოფლიდან** დაბრუნდა, **ფანქრით** ხატვა, **ფანქრით** დახატული.

ვითარებითი ბრუნვა: **არწივად** მოეჩვენა, **ცოლშვილიანად** ესტუმრა, **სოფლად** ცხოვრობდა, **ჯგუფად** ისხდნენ, **სახლამდე** მივიდა, **საღამომდე**

უცადა, **ჯგუფად** სხდომა, **სოფლად** ჩასული.

შენიშვნა: ბრუნვის ფორმები, რომლებიც გარემოებითს მიმართებას გამოხატავენ, ზმნიზედური მნიშვნელობით არიან ნახმარი.

ბ) დაქვემდებარებული სიტყვა ზმნიზედაა (პირველადი ან მეორეული): **იქ** ცხოვრობს, **იქიდან** ჩამოვიდა, **გვიან** დაბრუნდა, **ძალიან** მოეწონა, **რატომღაც** დააგვიანდა, **კარგად** სწავლობს, **ფეხდაფეხ** მიჰყვა, **დაუყოვნებლივ** დაბრუნდა, **ორჯერ** წაიკითხა, **დასასვენებლად** წავიდნენ, **იქიდან** ჩამოსვლა, **აქედან** წასული.

3. **ადიექტიური სიტყვათა შეკავშირება**. ზედსართავი სახელი გაბატონებულ (დამქვემდებარებელ) სიტყვად იშვიათად გვხვდება. დაქვემდებარებული სიტყვა შეიძლება იყოს სახელი ან ზმნიზედა.

ა) დაქვემდებარებული სიტყვა სახელია, რომელიც სახელობითსა და მიცემითში ჩვეულებრივ თანდებულიანია, მოქმედებითში – უთანდებულო და გამოხატავს განსაზღვრებითს, დამატებითს ან გარემოებითს მიმართებას.

სახელობითი ბრუნვა: **ბაცი** მწვანე, **მუქი** ცისფერი, **სისხლივით** წითელი, **თოვლივით** თეთრი, **ლომივით** ძლიერი, **არწივივით** ლაღი, **მგელივით** ხარბი.

მიცემითი ბრუნვა: **ნახშირსავით** შავი, **თოვლსავით** თეთრი, **ლომზე** ძლიერი (<ლომზე უფრო ძლიერი), **ბულბულზე** უკეთესი, **ენაზე** ტკბილი.

შენიშვნა: უფროობითი ხარისხის ფორმებს **ზე** თანდებულიანი მიცემითის ნაცვლად წინათ ნათესაობითის ფორმა შეეწყობოდა; **გაზაფხულის** უკეკლუცესი, **შემოდგომისაგან** უფრო უმსუქნესი და **თვალთაგან** უფრო უმალესი არა რა იქნების პირსა ზედა ქვეყნისასაო. (საბა).

მოქმედებითი ბრუნვა: **ღვინით** სავსე, **გულით** კეთილი, **ფერით** წითელი, **საქმით** მართალი.

შენიშვნა: ზედსართავი, რომელიც არსებით სახელს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით იკავშირებს, მეტწილად ზმნური წარმოშობისაა.

ბ) დაქვემდებარებული სიტყვა ზმნიზედაა: **ძალიან** კარგი, **ოდნავ** თეთრი, **მეტად** ლამაზი, **დიდად** საინტერესო, **მეტისმეტად** დიდი.

4. **რიცხვითი სახელი გაბატონებულ სიტყვად**: რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ დაქვემდებარებული სიტყვაა, იშვიათად – გაბატონებულიც.

რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებიან სიტყვათა შეკავში-

რების თვალსაზრისით.

ა) რაოდენობით რიცხვით სახელს შეიძლება ახლდეს დაქვემდებარებულ სიტყვად სახელი (რიცხვითი, ნაცვალსახელი, არსებითი) და ზმნიზედა; **პირველი** ხუთი (კაცი), **მეორე** ათი (სტუდენტი), **ყოველი** ასი მეტრის შემდეგ ქოხი იდგა (ა. ბელ.) – აკი სამიაო? – **ვინ** სამი? (ნ. დუმბ.); ამ ტყვიას უნდა **ერთი** თხუთმეტამდე ტყვია მოენათლა (ვაჟა); **რიცხვით** ორმოცამდე (ცხენოსანი), **ზუსტად** ასი (კაცი), **ძალიან** ბევრი (ამხანაგი).

ბ) რიგობით რიცხვით სახელს შეიძლება შეეხამოს არსებითი სახელი, რაოდენობითი რიცხვითი სახელი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით (უთანდებულო და თანდებულიანი), თვით რიგობითი რიცხვითი სახელი და ადგილის ზმნიზედა: **ვაჟკაცობით** პირველი (კაცი), **რიგით** მესამე, **სიით** მეათე, **მაგიდიდან** მეხუთე, **ათიდან** პირველი, **ხუთიდან** მეორე, **წინიდან** პირველი, **ბოლოდან** მეორე.

რიგობით რიცხვით სახელს განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს რიგობითივე რიცხვითი სახელი. მაგ.: **მეორე** მეხუთეს კრინტი არ დაუძრავს (კ. ლორთქ.); **მესამე** მეხუთე ახალგაზრდა ქალი იყო. (კ.ლორთქ.).

გ) წილობით რიცხვით სახელს დაქვემდებარებულ სიტყვად შეიძლება ახლდეს არსებითი სახელი და რაოდენობითი რიცხვითი სახელი: **სახლის** მესამედი (ნაწილი), გავიდა **შემოდგომის** მესამედი (ჭავ.); **ვაშლის** ნახევარი, **ცხრის** მესამედი (ნაწილი), **ათის** ნახევარი. აი ამ **ქონების** მესამედი შეხვდა გოგიას. (ნინ.).

რიცხვითსახელური სიტყვათა შეკავშირება ზოგჯერ წინადადების ერთი წევრია და წყვილად არ ჩაითვლება. მაგ.: ათის ოცდახუთ წუთზე...

5. **ნაცვალსახელური სიტყვათა შეკავშირება**. ნაცვალსახელი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით გაბატონებულ სიტყვად იშვიათად იხმარება. დაქვემდებარებული სიტყვა ჩვეულებრივ ნაცვალსახელია, იშვიათად – ზედსართავი, მიმღეობა და რიცხვითი სახელი: **ყველაფერი** ეს, **ყოველივე** ის, **ყველა** ისინი; **ზოგი** ვინმე, **რაღაც** ამგვარი, **ვიღაც** სხვა, **კარგი** ვინმე, **მცირე** რამე, **ჩვენგან** არავინ; **ერთი** რამ, **ბევრი** რამ, **ერთი** ვინმე... არსენას შიში **სხვა** რამემ დასძლია (ჯავ.); **ბევრი** რამ კარგი მოაგონდა სოლომონს (არაგვ.); **ყველა** ისინი ერთი თარგისანი არიან (კ. ლორთქ.); **ასეთ** რამეებს იგონებს ხოლმე (ლ. ასათ.); დიდი კაცის სახელი **დიდ** რამეებს ავალებს ადამიანს (გამს.); **კარგი** რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია (რუსთ.);

გულგატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა. (ჭერ.).

6. **ზმნიზედური სიტყვათა შეკავშირება.** ზმნიზედურ ანუ ადვერბიალურ (ლათ. adverbium – ზმნიზედა) სიტყვათა შეერთებაში გაბატონებული სიტყვა ზმნიზედაა.

საკუთრივ ზმნიზედები, როგორიცაა, მაგალითად, აქ, იქ, გუშინ, ხვალ, შარშან და სხვა, გაბატონებულ სიტყვად არ გვხვდება. სახელისა და სახელზმნისაგან მიღებულ ზმნიზედებს კი დაქვემდებარებულ სიტყვად შეიძლება ახლდეს სახელი და ზმნიზედა, როგორც იმ სიტყვას, რომლისგანაც თვით ზმნიზედა არის წარმომდგარი.

ა) დაქვემდებარებული სიტყვა სახელია, რომელიც დგას მიცემით ში ან ნათესაობითში: **ყველაზე** კარგად (<ყველაზე უფრო კარგად) **ბულბულზედ** უკეთესად, **ვერხვის** მოსაჭრელად, **წყლის** დასალევად, **გამოცდის** ჩასაბარებლად...

ბ) დაქვემდებარებული სიტყვა ზმნიზედაა: **ძალიან** შორს, **ძალიან** კარგად, **მეტად** საამურად, **მეტისმეტად** უხალისოდ, **ერთობ** უდარდელად, **გვიან** ღამით, **ადრე** დილით.

დაქვემდებარებული სიტყვა დამატებითს ან გარემოებითს მიმართებას გამოხატავს, სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით კი სახელი მართულია ბრუნვაში, ზმნიზედა – მირთული.

II. წინადადების ტიპები მოდალობის (რაგვაროვნების) მიხედვით

§12. წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით

მტკიცების მიხედვით წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითია წინადადება, რომელიც აზრს დადებითად გამოხატავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, წართქმითია წინადადება, თუ ზმნით გამოხატული მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი (სრულდებოდა, სრულდება ან შესრულდება). მაგ.: ბავშვი მღერის; სახლი მაღალია; მდინარე ადიდდა; გაზაფხული მალე დადგება და მისთ.

უკუთქმითია წინადადება, რომელიც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ე.ი. ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულება გამორიცხულია (არ სრულდებოდა, არ სრულდება ან არ შესრულდება): ბავშვი არ მღერის; სახლი არ არის მაღალი; ბავშვი არ მღეროდა და მისთ.

უკუთქმითი წინადადება სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, უარ-

ყოფა სრულია თუ ნაწილობრივი. სრული უარყოფაა, მაგ., წინადადებაში: სპილოს ლომსავით ცალკე ცხოვრება არ მოსწონს. (გოგ., 182). ნაწილობრივი უარყოფის მაგალითია: ვანომ ლექსი კი არ დაწერა, არამედ მოთხრობა.

წინადადებას უკუთქმითს შინაარსს აძლევს:

ა) უარყოფითი ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნუღარ. მაგ.: იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს ძილი **არ** მიჰკარებია (ჭავ.); დათამ სათქმელი **აღარ** დაამთავრა. (არ. სულაკ.).

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელები: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი ...

გ) უარყოფითი ზმნიზედები: არსად, ვერსად, ნურსად, არსაიდან, ვერსაიდან, არასოდეს ... მაგ.: ზაზა არსად ჩანდა (ო. იოს.); ნათლი, ამაღამ აქ დარჩი, ნურსად წახვალ (არაგვ.); შენი ნაზი სახე ვერსად ვნახე. (ტაბ.).

ქართულში სამი უარყოფითი ნაწილაკია: არ, ვერ, ნუ. უარყოფით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში შედის რომელიმე მათგანი. სამივე ნაწილაკი უარყოფას გამოხატავს, მაგრამ მნიშვნელობით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება.

არ კატეგორიულ უარყოფას გამოხატავს და იხმარება როგორც თხრობითი კილოს, ისე უკუთქმითი ბრძანების გამოსახატავად კავშირებითის ფორმებთან (**არ** წავიდა; **არ** წახვიდე!).

არ ზოგჯერ განცვიფრების ნაწილაკია. მაგ.: ძლივს შუბლგახსნილი **არ** ვნახე! (ჭავ.); იმას ვინ **არ** იცნობს! (მიხ. მრევლ.). განცვიფრების **არ** ნაწილაკის შემცველი წინადადება ფორმით უკუთქმითია, შინაარსით – წართქმითი.

ნუ ნაწილაკი აწარმოებს უკუთქმით ბრძანებითს თხრობითი კილოს ფორმებისაგან (**ნუ** წერ! **ნუ** დაწერ!).

ვერ გამოხატავს უარყოფას შესაძლებლობის მიხედვით (ვერ წავიდა, ვერ გააკეთა და მისთ.).

უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები, რომლებიც შეიცავენ ერთ-ერთს დასახელებულ ნაწილაკთაგან, წინადადების წევრებია. მაგ.: **ნუვინ** იტყვის ობლობისა ვაებას (ბარ.); მთვარით გაშუქებულ ქუჩაში **არავინ** ჩანდა. (გვეტ. 216). ნუვინ და არავინ – ორივე ქვემდებარეა.

უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების შემცველ წინადადებაში შეიძლება ნახმარი იყოს რომელიმე უარყოფითი ნაწილაკი, რომელიც აძლიერებს უარყოფას. მაგ.: ... უკეთესს ჩემს გარშემო **ვერაფერს ვერა** ვხედავ (მიხ. მრევლ.); ჩემზე ქალაქში **ნურაფერს ნუ** იტყვი. (მიხ. მრევლ.). **ვერსად ვერ** ვნახე, **არსად არ** წახვიდე და მისთ. ამ შემთხვევაში უარყოფა ორმაგია.

ორმაგი უარყოფა ძველ ქართულში არა გვაქვს. ის ამჟამადაც

არაა ქართველურ ენებში – სვანურსა და მეგრულ-ჭანურში, ხოლო ქართულ კილოებსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში გავრცელებულია. არცთუ იშვიათად გვხვდება საშუალ ქართულშიც[10].

ორმაგი უარყოფა ქართულში მეორეული მოვლენაა. იგი ქართული ბუნებისაა, მაგრამ მის გავრცელებას ახალ ქართულში ხელი შეუწყო რუსულის გავლენამაც.[11]

§13. წინადადება მოდალობის მიხედვით

ნათქვამის მიზანი სხვადასხვაგვარია: იგი გადმოგვცემს რაიმე ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან, ან მიზნად ისახავს თანამოუბრისაგან გაიგოს რაიმე, ან კიდევ გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც მოითხოვს ის. მაშასადამე, წინადადებაში ჩანს მთქმელის მიზანი, მისი დამოკიდებულება თქმულის შინაარსისადმი.

მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვით განასხვავებენ წინადადების სამ ტიპს: თხრობითს, კითხვითსა და ბრძანებითს. თითოეულს შეიძლება ახლდეს ესა თუ ის ემოციური იერი, ან გამოხატავდეს საკუთრივ მთქმელის ძლიერ გრძნობას. ამის მიხედვით დამატებით გამოიყოფა ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებები.

მოდალობა ანუ რაგვარობა გულისხმობს, როგორია ნათქვამის შინაარსის მიმართება სინამდვილისადმი, ხოლო მთქმელისა – ნათქვამისადმი. იგი მრავალგვარია გამოხატვის საშუალებებითა და შინაარსის მიხედვით. მოდალობის გამოხატვის საშუალებებია: ინტონაცია, ზმნის კილოს ფორმები, კითხვითი ნაწილაკები, შორისდებულები ... ამის მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის წინადადება.

ა) გამოხატავს უეჭველობას, უტყუარობას, რისიმე დადასტურებას: „გუშინ მთელ დღეს წვიმდა“. სინამდვილის თვალსაზრისით, თქმულის შინაარსი შეიძლება არ იყოს ნამდვილი, მაგრამ მთავარია ის, რომ მთქმელს გადმოცემული აქვს როგორც ნამდვილი, უტყუარი ფაქტი. ამ ტიპის წინადადება მოდალობის მიხედვით ძირითადია.

ბ) გადმოგვცემს მთქმელის ვარაუდს, შესაძლებლობას, არარეალურობას, სასურველობას: ალბათ წავიდა; ეს ამბავი იმას იქნებ არც კი გაუგია. „ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა“. (ხალხ.).

გ) გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, ჩვეულებრივ მეორე პირისადმი მიმართულს, რომ მან იმოქმედოს ამ ნება-სურვილის შესაბამისად. ასეთი წინადადება კი არ გადმოგვცემს სინამდვილის

[10] ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: „წელიწდეული,“ 1-11, 1923-1924, გვ. 74-116.
[11] იქვე.

რაიმე ფაქტს, არამედ – ბრძანებას, რომელიც უნდა შესრულდეს მისამართი პირის მიერ. მაგ.: გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი მამული! (ა. კალან.); ფრთხილად, თავ-პირი არ დაიმტვრიოთ! (ვაჟა).

თვითეულ ტიპში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სახეობა. მაგ., ბრძანებითი წინადადება გამოხატავს არა მარტო საკუთრივ ბრძანებას, არამედ თხოვნას, რჩევას, გაფრთხილებას, მიწვევას ...

აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ამ წიგნში დასახელებული სახეები ერთ განყოფილებაშია მოქცეული და საკმაოდ სრულად არის განხილული მომდევნო პარაგრაფებში. ერთ განყოფილებაშია მოქცეული ეს სახეები ქართული ენის სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, ოღონდ უფრო მარტივი დასათაურებით: „წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით". ჩვეულებრივ ერთ განყოფილებაში განიხილავენ ამ სახეებს სხვა ენათა გრამატიკებშიც, ზოგჯერ სხვა დასათაურებით. განსხვავებული თვალსაზრისია გატარებული ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსში": დასახელებული სახეები ორ ჯგუფად არის გაყოფილი და ეს ჯგუფები განხილულია ერთმანეთისაგან მოწყვეტით ორ სხვადასხვა თავში შემდეგი სათაურებითა და ქვესათაურებით: „წინადადების ლოგიკური სახეები (სახეები მტკიცების მიხედვით)". აქ (გვ. 96) აღძრულ საკითხთან დაკავშირებით დასახელებულია ნაგულისხმები სახეები: ა) წართქმითი წინადადება (მსჯელობის პოზიტიური-ფორმა); ბ) უკუთქმითი წინადადება (მსჯელობის ნეგატიური ფორმა); გ) კითხვითი წინადადება (მსჯელობის ინტეროგაციული ფორმა). მომდევნო ორ პარაგრაფში განხილულია წინადადების დასახელებული სახეები (გვ. 97-106). მე-3 თავში მეორე ჯგუფში მოქცეული სახეები წარმოდგენილია ასეთი დასათაურებით: „წინადადების ემოციურ–ნებელობითი სახეები" (გვ. 159-160). აქ მოკლედ ზოგადი ხასიათის მსჯელობაა ჯგუფებში გაერთიანებულ წინადადებათა შესახებ, ხოლო შემდეგ მომდევნო სამ პარაგრაფში განხილულია მე-2 ჯგუფში შემავალი სახეები ასეთი თანამიმდევრობით: „თხრობითი წინადადება" (გვ. 161-162); „ძახილის წინადადება" (გვ. 162-163). „ბრძანებითი წინადადება" (გვ. 163-166).

§14. თხრობითი წინადადება

თხრობითია წინადადება, რომელიც გამოგვცემს რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ, ადასტურებს რასმე ან უარყოფს. მაგ.:

ამოვიდა მზე. ნამი შეშრა ყანებზე. პეპლები აფრთხიალდნენ ყვავილებზე. ფუტკარიც აბზუილდა. (რაზ., 6).

მოყვანილ ნაწყვეტში ოთხი თხრობითი წინადადებაა, რომლებიც გამოხატავენ ბუნებაში მომხდარ მოვლენებს.

საუბარში თხრობითი წინადადება ხშირად წარმოადგენს პასუხს კითხვაზე, ადასტურებს რასმე ან უარყოფს. მაგ.:

– რა ამბავია? – **რაღაც ჩხუბი მოსვლიათ.** – ვისა და ვის? – გიორგისა და მეჯინიბეს. – რაზედ? – **სწორედ არც მე ვიცი.** (ჭავ., 451).

თხრობითი წინადადება ენაში ყველა სხვა ტიპის წინადადებაზე უფროა გავრცელებული. ის, რასაც თხრობითი წინადადება გადმოგვცემს, შეიძლება იყოს ნამდვილიც და არანამდვილიც, მაგრამ ეს წინადადების ტიპს არ ცვლის. მოდალობის მიხედვით თხრობითი გადმოგვცემს არა მარტო იმას, რაც ამა თუ იმ ფიზიკურ დროში მომხდარ მოქმედებას გულისხმობს, არამედ იმასაც, რაც სავარაუდოა და შესაძლებელი. ასეთ წინადადებაში ნახმარი ზმნა ჩვეულებრივ თხრობითი კილოს ფორმაა, მაგრამ არცთუ იშვიათად კავშირებითია. ქართულ თხრობითს წინადადებაში სიტყვათა განლაგება რამდენადმე თავისუფალია.

თხრობითი წინადადების ინტონაცია მეტ-ნაკლებად რთულია. მნიშვნელობა აქვს სიტყვათა რაოდენობას და წინადადების ტიპს მოდალობისა და აღნაგობის მიხედვით (მარტივი, შერწყმული, რთული). თხრობითი წინადადების ინტონაცია აღმავალ-დამავალია. მომდევნო წინადადებისაგან (თუ ასეთი არის) გამოიყოფა პაუზით.

ყოველი თხრობითი წინადადება თავდება დაბალი ტონით[12].

თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის.

§15. კითხვითი წინადადება

კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს. ასეთი წინადადების მიზანია, მოუბარმა მიიღოს თანამოუბრისაგან მისთვის საჭირო ახალი ცნობა, დაუდასტუროს ან უარყოს კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრი.

კითხვითი წინადადება თანამედროვე ქართულში ორგვარია: ერთი ისეთი, რომელიც შეიცავს კითხვითს სიტყვას ან კითხვითს ნაწილაკს, მეორე კი ისეთი, რომელშიც არ ურევია კითხვითი სიტყვა თუ კითხვითი ნაწილაკი.

კითხვითს სიტყვებია: კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი? და სხვ.) და კითხვითი ზმნიზედები (სად? როდის? რატომ? და სხვ.), რომლებიც წინადადებაში ამა თუ იმ წევრს გადმოსცემენ.

კითხვითი ნაწილაკებია: **განა, ხომ, ნუთუ, თუ, ა,** რომლებიც კითხვასთან ერთად ამა თუ იმ ემოციურ იერსაც გამოხატავენ.

კითხვით წინადადებაში ერთდროულად შეიძლება იყოს ორი კითხვითი ნაწილაკი ან კითხვითი სიტყვა და ნაწილაკი: **განა** მართლა **ხომ** არ ვამბობთ? (ვაჟა); **განა** მაგას **ვინა** ფიქრობს? (ჭავ.).

[12] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 139.

კითხვითს წინადადებაში იშვიათად გვხვდება კავშირებითის ფორმები. თხრობითი კილოს მწკრივებიდან უფრო ხშირად აწმყოსა და წყვეტილის ფორმები იხმარება.

ინტონაციურად კითხვითი წინადადება არსებითად განსხვავდება თხრობითისაგან. თვით კითხვითი წინადადების ინტონაცია ბევრნაირია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჯგუფდება დასახელებული ორი მთავარი ტიპის გარშემო[13].

§16. კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება

კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება მოითხოვს კითხვითი სიტყვის შესაბამის პასუხს, რომელიც შეიძლება მოკლედ (ხშირად ერთი სიტყვით) გადმოიცეს. მაგ.: ასეთი წინადადებებია: **სად** წავიდა ბავშვი? **როდის** წავიდა ბავშვი? **რატომ** წავიდა ბავშვი? **რისთვის** წავიდა ბავშვი? შემკითხველმა იცის ყველა დასახელებულ შემთხვევაში რომ **ბავშვი წავიდა**, მაგრამ არ იცის ის, რასაც კითხვითი სიტყვით გადმოცემული წევრი გადმოგვცემს: პირველ შემთხვევაში – წასვლის ადგილი, მეორე შემთხვევაში – წასვლის დრო, მესამე შემთხვევაში – წასვლის მიზეზი, მეოთხე შემთხვევაში – წასვლის მიზანი. მაშასადამე, ამ ტიპის წინადადებაში კითხვის ქვეშ წინადადების ის წევრია დაყენებული, რომელიც კითხვითი სიტყვით (ნაცვალსახელით, ზმნიზედით) არის გადმოცემული, ამიტომ კითხვის მახვილიც ამ სიტყვაზეა.

კითხვას აძლიერებს განმეორება: სად მიხვალ, სადა, წყეულო? საითკენ მიეჩქარები? (ვაჟა, 3, 251).

კითხვით სიტყვათაგან ზოგი ქვემდებარეა ან დამატება, ან კიდევ განსაზღვრება (კითხვითი ნაცვალსახელები), ზოგიც ერთ-ერთი სახის გარემოება (კითხვითი ზმნიზედები); მაშასადამე, ზოგი შემასმენელთან შედის წყვილში (**როდის ჩამოვიდა**?), ზოგიც – სახელით გადმოცემულ წევრთან (**რომელი ამხანაგი** ჩამოვიდა?).

კითხვითი სიტყვა ჩვეულებრივ იწყებს წინადადებას, ხოლო მეორე ადგილზე მისი წყვილის ცალია. ასე, მაგალითად, ზმნასთან დაკავშირებულ კითხვითს სიტყვებს – ქვემდებარე–დამატებად შეწყობილ ნაცვალსახელებსა და კითხვითი ზმნიზედით გადმოცემულ გარემოებებს – უშუალოდ მოსდევს შემასმენელი, ხოლო კითხვითს ნაცვალსახელებს, რომლებიც წინადადებაში არსებით სახელთან არიან დაკავშირებული და ამის გამო მსაზღვრელებია, – საზღვრული წევრი. მაგ.: **ვინ არის** ნიჭიერი მწერალი? (ვაჟა); **რა ახსოვს** პაპას ყველაზე კარგად თავისი ბავშვობიდან? (რ. ინან.); **სადა ხარ** ახლა ამ გონიერი სიტყვის მთქმელი? (ჭავ.); **როგორ არის** შენი პატიოსანი

[13] იქვე, გვ. 140

დედა? (ჭავ.); **როდის მწიფდება** ქერი? (გოგ.); **რატომ არ დაუძინია** ციცუნიას? (რაზ.); **რომელი ფრინველია** განთქმული გალობით? (გოგ.).

ამ ტიპის კითხვითი წინადადების ინტონაცია დამავალია, მაგრამ არა იმ სიდაბლემდე, როგორც ეს თხრობითი წინადადების წარმოთქმის დროს გვაქვს, ე.ი. კითხვითსიტყვიანი წინადადების „ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა“[14]. კითხვითს სიტყვაზე ტონი ძლიერდება და ოდნავ მაღლდება[15] (შდრ.: მელამ მაშინვე ჩხიკვის ბუდისაკენ გასწია. (რაზ.). **როდის** გასწია მელამ ჩხიკვის ბუდისაკენ?).

თუ კითხვითი სიტყვა არ იწყებს წინადადებას, ინტონაცია აღმავალ-დამავალია, წინადადების ინტონაციური ცენტრი წინადადების შიგნითაა (და არა დასაწყისში). მაგ.: ყველაზე ადრე **რომელი** ყვავილები იშლება? (გოგ.); თვალებს **რად** იფშვნეტს მორცხვი ასკილი? (რ. მარგ.); პატარა ბავშვებს **რაში** აწვენენ? (გოგ.); კოდალა **სადღა** იყო? (რაზ.).

კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების ინტონაცია ზოგჯერ აღმავალია; მახვილია კითხვითს სიტყვაზე, უკანასკნელ სიტყვაზე ტონი მაღლდება და ბოლო მარცვალი გაგრძელებულად წარმოითქმის. „ასეთია ე.წ. განმეორებული შეკითხვის ინტონაცია“[16]. აქ გასარჩევია ორი შემთხვევა:

ა) კითხვა მეორდება თვით შემკითხველის მიერ (ვთქვათ, იმის გამო, რომ პასუხი გარკვევით ვერ გაიგონა, ან გაიგონა, მაგრამ დაავიწყდა): – **როდის** ჩამოვიდა მამა სოფლიდან? – გუშინ. – **როდის** ჩამოვიდა?

ბ) კითხვა მეორდება თანამოსაუბრის მიერ (ვთქვათ, იმის გამო, რომ შეკითხვა ვერ გაიგონა გარკვევით და უნდა შეამოწმოს კითხვის სისწორე, ან კიდევ იმის გამო, რომ უცებ არ შეუძლია გასცეს პასუხი და დრო სჭირდება მოსაფიქრებლად...): – **ვინ** აშენებს ელექტროსადგურს? – **ვინ** აშენებს? (ჯაფ., 47); – მიამბე, **ვინა** ხარ, გულნაკლულად ნუ გამიშვებ... – **ვინა** ვარ? (ჭავ., 268); – მაშ **რამდენია**? – **რამდენია**? (ჭავ. 331) – **ვინ** გიშლის, ჩემო კიკო? – **ვინ მიშლის**? ხელის შემშლელი ბევრია! (წერ. 7, 221); – შენ **რა** დაგემართა? – **რა** დამემართა? – აქეთ მკითხა მან. (ო. იოს.);

საპასუხო კითხვითს წინადადებას ზოგჯერ უკმაყოფილების ელფერი დაჰკრავს. მაგ.: – ვის დაეძებ? – **ვის უნდა დავეძებდე**? (გ.

[14] გ. **ახვლედიანი**, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 140; ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 285.
[15] იქვე.
[16] იქვე.

შატბ.); – რატომ დაბრუნდი? – შეეკითხა თენგო. – **შენ რატომ დარჩი**? – თენგომ არაფერი უპასუხა. (გ. შატბ.).

კითხვითი სიტყვის შემცველი წინადადება ზოგჯერ თხრობითია: **სად რას** ჩამოგლეჯდა და ისევ მილურსმავდა, **სად რას** ამოაძრობდა და ისევ ჩასჭედდა (კ.ლორთქ.); ხალხი ქუჩაში ბევრი იყო. ზოგი **სად** მიდიოდა და ზოგი **სად**. (რ. ქორ.).

შენიშვნა: კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედებისაგან ც ნაწილაკი აწარმოებს მიმართებით სიტყვებს, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებას აერთებენ მთავართან, მაგრამ ზოგჯერ მიმართებითია ც-ს დაურთველადაც.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან;
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან;
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია;
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, –
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერყ. (ჭავ.).

სადაც და **სად** – ორივე მიმართებითია, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს აქ არ ერთვის ც ნაწილაკი.

§17. კითხვითნაწილაკიანი წინადადება

როგორც უკვე აღინიშნა (§15), კითხვითი ნაწილაკებია: **განა, ნუთუ, ხომ, თუ, ა**.

ა) **განა** კითხვის და გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკია, რომელიც ჩვეულებრივ საკითხავი სიტყვის წინ დგას და მეტწილად იწყებს წინადადებას: **განა** თვითონ თავს დაანებებს? (ს. კლდ.); **განა** კარგები ცოტანი არიან? (არაგვ.); **განა** ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? (ჭავ.); **განა** კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზე შეეტყობა? (ჭავ.); **განა** იმაზე ლამაზ საკითხავ წიგნს კიდევ შეხვდება ადამიანი? (ვაჟა); **განა** არ იყვნენ ჩვენს დარბაზში განთქმული ადამიანები? (ლეონ.); სასაცილო არ არის **განა** ეს, ნაია? (ქიაჩ.).

ზოგჯერ **განა** წინადადების ბოლოს ექცევა, იშვიათად განკერძოებითაც დგას ხოლმე: მე ეგ ყოველი არ ვიცი **განა**? (ბარ.); შვილო, შენც ჩვენს დღეში ხარ, **განა**? (დ. შენგ.).

ამ ნაწილაკის შემცველი კითხვითი წინადადების ინტონაცია რთულია: ჩვეულებრივ კითხვასაც გამოხატავს და გაკვირვებასაც. როდესაც კითხვა სჭარბობს, კითხვის მახვილია შემასმენლის ბოლო მარცვალზედაც. მაგ.: **განა** კარგები ცოტანი **არიან**? ამგვარად წარმოთქმული გულისხმობს, რომ შემკითხველი დადასტურებას ან უარყოფას მოელის. მაგრამ თუ ამ წინადადებას დამავალი ინტონაციით წარმოვთქვამთ (**განა** კარგები ცოტანი არიან?), იგულისხმება: კარგები ცოტანი არ არიან.

ბ) **ხომ** ჩვეულებრივ გამოხატავს კითხვას, რომელზედაც მთქმელი დადასტურებითს პასუხს მოელის, ან „აღნიშნავს დადასტურებას იმისას, რაც წინდაწინ ითქვა: „ხომ გეუბნებოდი, ნუ წახვალმეთქი"[17]. თავადაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა? (ყაზ.); ხომ შენიშნე, ჯვარი პირველად რა ადგილას გამოჩნდა? (არაგვ.).

„ხომ"-ს ხშირად ახლავს უარყოფის სიტყვები (არ, ვერ...) და ერთგვარი დაეჭვების ელფერი დაჰკრავს. მაგ.; აქ **ხომ** არ არის მამაშენი? (ჭავ.); მე ტარბა **ხომ** არ გგონივართ? (გამს.).

„ხომ" ნაწილაკის შემცველი წინადადება ზოგჯერ კითხვასთან ერთად ერთგვარ გაკვირვებასაც გამოხატავს. მაგ: წყალი აღმა **ხომ** ვერ ივლის? (ჭავ.), ზოგჯერ კი ამ ნაწილაკის შემცველი წინადადება მეტი დამაჯერებლობის ელფერს ატარებს და კითხვითი არც არის. მაგ.: სოფლის დედაკაცებს **ხომ** უფრო ეშინოდათ ოთარაანთ ქვრივისა (ჭავ.); სოფლის დედაკაცებს **ხომ** ერთი განგაში ედგათ (ვაჟა); ბანაკში შესვლამ **ხომ** მთლად დააფეთა მერცხალა (გ. შატბ.).

გ) **ნუთუ** კითხვა-განცვიფრებას გამოხატავს, უფრო კი მეორეს (განცვიფრებას). კითხვის მახვილი თვით ამ ნაწილაკზეა: ნუთუ გული აიყარა თავის საყვარელ შვილზე? (ვაჟა); **ნუთუ** ნაღველი, დარდი და ჯავრი თან არავისი წამოგიღია? (ჭავ.); **ნუთუ** ამ წყალში თევზები არიან? (რ. ინან.); **ნუთუ** სმაზე და ჭამაზე ტრიალებს მხოლოდ ქვეყანა? (ვაჟა); **ნუთუ** ამ თვალებს ტყუილი შეუძლია? (კ. ლორთქ.).

ნუთუ რთული შედგენილობისაა (ნუ – თუ); მას კითხვითი ნაწილაკის მნიშვნელობას **თუ** აძლევს, რომელიც ჩვეულებრივ კავშირია, მაგრამ ზოგჯერ კითხვითი ნაწილაკის მნიშვნელობაც აქვს: წასვლას აპირებთ **თუ**? (გვ. 207); ხუმრობ **თუ**? (ბარნ, 1, 40); მემუქრები **თუ**? (ჭავ. 309); ჩემმა ხმაურმა **თუ** დაგაფრთხო? (დ. შენგ.); წიგნებს მაინც **თუ** კითხულობ? (გ. ფანჯ.). თუ ზოგჯერ კავშირიც არის და ნაწილაკიც: ხუმრობ თუ მართლა მეუბნები? (ჭავ.); შენს სიწითლე-

[17] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 629.

ში მე მიდევს ბრალი, თუ ეს აბანოს ორთქლის ბრალია? (გრიშ.); – ზღვით შეხვედით თუ ხმელეთით? – ვკითხე მე (ნ. დუმბ., 121); სინამდვილეა ეს თუ ზღაპარი? (ტაბ.); შენ საქმოდ გაგიშვეს თუ ნერგების საშოვნელად? (კ. ლორთქ.).

დ) თანამედროვე ქართულში ჩაკითხვას გამოხატავს ა (ჰ-ს დართვით აჰ ან ჰა), რომელიც კი არ დაერთვის რომელიმე სიტყვას, არამედ განკერძოებით დგას: იქნებ ძილი გინდა, ა? (ს. კლდ.); ა? არ მესმის კარგად, ჩემო დავით, უკაცრავად, გაიმეორე (ქიაჩ.); ეგ რაები ჩაგიდენია, ჰა? (ჭავ.); როგორ არის საქმე, აჰ? (ლომთ.).

კითხვითი წინადადება, საზოგადოდ, პასუხს მოითხოვს თანამოუბრისაგან, მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა წინადადება სტრუქტურულად კითხვითია, მაგრამ იგი არ მოითხოვს პასუხს. აქ რამდენიმე შემთხვევაა:

ა) არ მოითხოვს პასუხს შემხვედრი კითხვები, ე.ი. ისეთი კითხვითი წინადადება, რომელიც კითხვითი წინადადების საპასუხოდ არის ნათქვამი: – როგორ მოშორდი? – **რა ვითხრა, შვილო**? (ჭავ, 195); ახლა – შენ რომ მარტო დარჩები? – იკითხა კესომ. – **მარტო რად დავრჩები**? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის (ჭავ., 446); – ვის დაეძებ? – **ვის უნდა დავეძებდე**? (გ. შატბ.).

ბ) არ მოითხოვს პასუხს ისეთი კითხვითი წინადადება, რომელიც თვითვე შეიცავს პასუხს. ასეთი კითხვებს რიტორიკული ჰქვია: **ვინ** დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? (წერ.); ჩემო კალამო, ჩემო კარგო, **რად გვინდა ტაში**? (ჭავ.); ბულბულის სტვენით ნადირი **ვის** მოუგერებიაო? (წერ., 8, 27).

რიტორიკული კითხვები გამოყენებულია არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ჩვეულებრივს სასაუბრო ენაშიც, ზეპირსა და წერითს მეტყველებაში[18]. ასეთი კითხვების სტილისტიკური მნიშვნელობა დიდია: მეტ სიცხოველეს ჰმატებს ნათქვამს, ამახვილებს მსმენელისა თუ მკითხველის ყურადღებას რომელიმე ფაქტზე, მოვლენაზე ... მხატვრულ ლიტერატურაში ხშირია შემთხვევა, როცა ავტორი კითხვით მიმართავს უსულო საგნებს, ბუნებას, მკითხველს, ... მაგ.: **მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ**? პასუხი არ ისმის ... სდგანან წარბშეუხრელად, ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? (ვაჟა, 5.317).

[18] რიტორი (ბერძ. rhetor) მჭევრმეტყველს, ენამჭევრს აღნიშნავდა, რიტორიკა (ბერძ., rhetórike) – მჭევრმეტყველების თეორიას, რიტორიკული (ბერძ., rhetórikos-დან) – მჭევრმეტყველურს, ორატორულს. რიტორიკული კითხვა პოეტური ფიგურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც შეკითხვის ფორმით შეიცავს რისიმე მტკიცებას.

რიტორიკულ კითხვებზე პასუხებს ხშირად თვითონ ავტორი იძლევა. ასეთი კითხვა-პასუხები აზრის განვითარების მოხდენილი სტილისტიკური ხერხია. მაგ.: **ალარ გაათავებ**? – მკითხავს მოწყენილი, და იქნებ გაჯავრებულიც, მკითხველი. – **როგორ არა**? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, **მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ**? – დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. (ჭავ., 386).

ვინ არის ნამდვილი მწერალი? ვისი სიცილიც ნამდვილი, ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალ-წყალა სითხე. (ვაჟა).

თანამოუბრის კითხვითი წინადადება ზოგჯერ მოუბრის მიერ დასმული კითხვითი წინადადების შინაარსის დაზუსტებას მოითხოვს: – ვინ იყო ის ქალი? – **რომელი, ხმამაღლა რომ იცინოდა**? (გვეტ.).

§18. კითხვითი წინადადება. რომელიც არ შეიცავს კითხვითს სიტყვას

კითხვითი წინადადება შედგენილობით ხშირად არ განსხვავდება თხრობითი წინადადებისაგან. მასში არ მოიპოვება კითხვითი სიტყვა თუ კითხვითი ნაწილაკი. მაგ. **ბავშვი მოვიდა** თხრობითი წინადადებაა, მაგრამ იგივე წინადადება კითხვითია, როცა ვამბობთ: **ბავშვი მოვიდა**? სიტყვათა წყობა, მათი ფორმა და სინტაქსური ურთიერთობა არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა ინტონაცია და ამის შესაბამისად წინადადების მოდალობაც. ამ შემთხვევაში წინადადებას კითხვითს შინაარსს მხოლოდ ინტონაცია აძლევს.

ამ ტიპის კითხვითი წინადადების მიზანია, შემკითხველმა თანამოუბრისაგან მიიღოს დადებითი ან უარყოფითი პასუხი, რომელიც მოკლედ (ერთი სიტყვით) შეიძლება იქნეს გაცემული. მაგ.: – მეზვერემ მწვანილი მოიტანა? – ჰკითხავდა კიდევ ბატონი. – **მოიტანა** (ჭავ., 333); – გასინჯა ექიმმა? – **გასინჯა**. (ჯაფ., 46).

დადასტურება ან უარყოფა ხშირად მიგებითი სიტყვებით გადმოიცემა. მაგ.: – თქვენ ძმა გყავთ? – **არა!** (კლდ., 163); – ისევ შენ უნდა წახვიდე საზამთროს ქირაზე? – **ჰო**, დედი! სხვებს არა სცალიათ (ბარნ., 2, 66); – რასაც ფრთები არა აქვს, **ვერ** გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება? – **ვერა** (წერ. 1, 49); – გაიგონეთ, რაც გითხარით, დაიხსომეთ? – **დიახ**, ბატონო, **დიახ!** (ჭავ.).

ძველ ქართულში ისეთ კითხვითს წინადადებაში, სადაც არ ერია კითხვითი სიტყვა, იყო კითხვითი ა ნაწილაკი, რომელიც წინადადებას კითხვითად აქცევდა. ეს ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთოდა, მიუხედავად იმისა, თუ სად იყო ის წინადადებაში: თავში, შუაში თუ ბოლოში. მაგ., „შუშანიკის მარტვილობაში“ სამივე შემთხვევის დამადასტურებელი მაგალითებია: ხუცეს, **მიუძღუანოა** სამკაული ესე მისი? (23, 27); აქამომდე ცოცხალდა არსა საწყალობელი იგი? (30,2); უბადრუკო, არა მისი გაზნრდილი ხარა? (21,9); იაკობ მანდა არსა? (24, 31).

ძველ ქართულში კითხვას გამოხატავდა აგრეთვე **–მე** ნაწილაკი, რომელიც გამოყენებული იყო ცალკე ან –ა ნაწილაკთან ერთად და დაერთოდა ზმნასაც და მეტყველების სხვა ნაწილებსაც[19].

-ა ნაწილაკი იშვიათად მოგვიანო ხანის (XVII-XVIII სს.) მწერლობაშიც გვხვდება, ცოცხალია ამჟამადაც ქართულის ზოგ კილოში (მაგ., მთის კილოებში: ფშაურში, ხევსურულში ...) და ამის გამო გვხვდება XIX საუკუნის მწერლობაშიც (ვაჟასა და მისი ძმების, აგრეთვე ყაზბეგის ნაწერებში). მაგ.: არ ჩამოხვალთა ჩვენთანა, მაღლათ ნადგომნო იანო? (ხევს., 251, 609, 27); არ მოგწყინდათა, ქართველნო, რუსთ მეფის სამსახურია? (ხევს., 187, 471, 3); ტანთ არ ისხამსა აბჯარსა? (ვაჟა, 3, 186); შინა ხარა? (ვაჟა, 5, 368); ვერა ჰხედავსა შენი თვალები? (ვაჟა); ვერ შევესწრობია დამარცხებასა მტრისასა? (ბაჩანა); მაშ ჩემთვის მოხვედა? (ყაზბეგი).

მეგრულში –ა-ს ფარდი კითხვითი ნაწილაკია –ო, რომელიც ზმნას დაერთვის, კითხვის მახვილი მეორე მარცვალზეა ბოლოდან[20]. ზმნას დაერთვის კითხვითი ნაწილაკები სვანურსა და ჭანურში. ასეა ეს ქართულის იმ კილოებშიც, სადაც ეს (-ა) ნაწილაკი ჯერ კიდევ ცოცხალია. კითხვის მახვილი ქართველურ ენებში ზმნაზე ეცემა, ქართულ კილოებში ამ მხრივ ერთგვაროვნება არა გვაქვს. ასე, მაგალითად, ფშაურ კილოში მახვილი პირველ მარცვალზეა გადმოწეული (გაგონილაა?)[21]. ზემო რაჭულში, სადაც ნაშთის სახით არსებობს კითხვითი ნაწილაკი –ა, ეს ნაწილაკი ზმნა-შემასმენელს დაერთვის, „ა-ს წინმავალ მარცვალზე ხდება ხმის ამაღლება“[22].

---

[19] ეს ნაწილაკები შენიშნული ჰქონდა ზოგიერთ ძველ გრამატიკოსსაც. მაგ., პ. იოსელიანი წერს. „ზმნანი ოდესმე შეიქმნებიან კითხვითად მიმატებითა დაბოლოებითისა მარცუალისადმი ასოსა ა; შენ ჩემდა მოხუალა? მან არა მოგუცესა ხარკი?“ „მეა ოდესმე მიემატების ზმნათაცა და სახელთაც განმშუნიერებისათუის ლექსთა გამოღებისა, მაგ.: ძალუძსმეა, საქმეთაგანმეა? (რომ. 3. 17); გარნა ესე არს ხმარებულ წერილს შინა, ხოლო მდაბიურად იხმარების ხომ. მაგ., ხომ არ გინახავს? ხომ არ გიხილავს? და ესეცა უკუთქმითთა ზმნათა თანა და ნიშნავს კითხუას“.

[20] И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка. 1914, გვ. 014; 092.

[21] ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი: ვაჟა-ფშაველა, ტ. III, 1930, გვ. 405-406.

[22] შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 59.

ძველი ქართულის, ქართულის ცოცხალ კილოთა და სხვა ქართველურ ენათა მონაცემები ცხადყოფენ, რომ –ა და მისი ფარდი ნაწილაკები ქართველურ ენებში ჩვეულებრივ ზმნა-შემასმენელს დაერთვის და კითხვის მახვილიც მეტწილად მასზეა; ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ კითხვის მახვილი ქართულში ისტორიულად სწორედ შემასმენელთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაზე დაკვირვება, კილოებისა და ქართველური ენების (მეგრულ-ჭანურისა და სვანურის) მონაცემები მოწმობს, რომ მახვილი უნდა ყოფილიყო არა –ა ნაწილაკზე, არამედ წინამავალ ხმოვანზე, ე.ი. მეორე მარცვალზე ბოლოდან (მოვიდა-ა?, როგორც ეს გვაქვს ამჟამად მეგრულში (გოკონ-ო? – გინდა? სი **რექ**-ო? – შენ ხარ?). მახვილიანი წინამავალი ხმოვნის გავლენით უმახვილო –ა ნაწილაკი დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე). შედეგად მივიღეთ იმის წინ მდგომი მახვილიანი მარცვლის გაგრძელება, ასე რომ კითხვის მახვილის მატარებელი პირველი მარცვალი ბოლოდან (გააკეთე?) ისტორიულად მეორე მარცვალია (გაკეთე-ა?).

ამ ტიპის წინადადებაში საკითხავ სიტყვას რომ შემასმენელი წარმოადგენს და კითხვის მახვილიც მასთან არის დაკავშირებული, ამას ადასტურებს კითხვითი წინადადებები და მათზე გაცემული პასუხები.

– სიმინდი მოტეხეს? – **მოტეხეს,** ახლა მექი ჩალასა ჭრის (კ. ლორთქ.); დახუნდარა ნახე? – **ვნახე** (კ. ლორთქ.); – მეზერემ მწვანილი მოიტანა? – **მოიტანა** (ჭავ.); – გასინჯა ექიმმა? – **გასინჯა** (ჯაფ.); – მშობლები გყავს? – **მყავს,** ამხანაგო გენერალო. (კ. ლორთქ.).

თანამედროვე ლიტერატურულ წარმოთქმაში სრული ერთგვაროვნება და გარკვეულობაა მაშინ, როცა ზმნას წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს: ინტონაცია აღმავალია; კითხვის მახვილს ატარებს ბოლო მარცვალი, რომელიც გაგრძელებულად წარმოითქმის. მაგ., პეპიას სახლი იცი? (ჭავ.); მატარებელმა **ჩაიარა?** (ს. კლდ.); მერე მადლობა **გადაუხადე?** (ევდ.); მერე დათიკო სწავლას თავს **ანებებს?** (ჭავ.).

როცა შემასმენელი არ არის წინადადების ბოლოში (ე.ი. თავშია ან შუაში), კითხვის მახვილი მაინც მას გადაჰყვება, წინადადების დასასრულს ტონი დაბლდება, მაგრამ არა იმდენად, როგორც თხრობითში. ინტონაცია აღმავალ-დაღმავალია, მაგ., შეასრულეთ დავალება? (ს. კლდ.); გასინჯა ექიმმა? (ჯაფ.); მირზა, გახსრვს უკანასკნელი შეხვედრა ფიქრის გორაზე? (გვეტ. 92).

ასეთი წარმოთქმა სწორი ლიტერატურული წარმოთქმაა, მაგრამ ამ ტიპის წინადადებაში გვხვდება კითხვის მახვილის უკანას-

კნელი სიტყვის ბოლო მარცვალზე გადატანაც, ე.ი. აღმავალი ინტონაციით წარმოთქმა. შეასრულეთ დავალება? გასინჯა ექიმმა? მირზა, გახსოვს უკანასკნელი შეხვედრა ფიქრის გორაზე?

მეტი გამართლება პირველი სახის წარმოთქმას აქვს, ასე რომ უმჯობესია კითხვის მახვილი შემასმენელს შევუნარჩუნოთ მაშინაც, როცა ის არ არის წინადადების ბოლოში.

ინტონაციასთან ერთად კითხვითს წინადადებაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებასაც. ასე, მაგალითად, როცა კითხვის ქვეშ დაყენებულია არა შემასმენელი, არამედ წინადადების სხვა წევრი, ეს უკანასკნელი შემასმენლის წინ ექცევა და ინტონაცია უფრო რთულ სახეს იღებს: ასეთი სიტყვა ლოგიკური მახვილით გამოიყოფა, ხოლო კითხვის მახვილი შემასმენლის ბოლო მარცვალზეა. მაგ., ეს წიგნი **იმან** დაწერა? (ჭავ.). ამ წინადადებაში ლოგიკური მახვილით გამოიყოფა ქვემდებარე (იმან), კითხვის მახვილი კი შემასმენელზეა. ქვემდებარე რომ პირველ ადგილზე გადმოვსვათ, ლოგიკური მახვილის ქვეშ სხვა სიტყვა დადგება: იმან **ეს წიგნი** დაწერა?

თუ ზმნა-შემასმენელი გამოტოვებულია, კითხვის მახვილი (ჩვეულებრივი კითხვისა თუ ჩაკითხვისა) იმ სიტყვის პირველ მარცვალზეა ბოლოდან, რომელსაც წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.

- მარტო ეგ რას გვეყოფა? – ერთი კარგი ჩიხირთმა? – ჩიხირთმა?... ჰა, ჩიხირთმა? (ჭავ., 349); ლევან! ეს კარგი, მაგრამ ჩემი ბრძანება? (ბარნ., 3, 276).

თუ ამ ტიპის წინადადების ბოლოს მიმართვაა, კითხვის მახვილი მის წინ მდგომი სიტყვის პირველ მარცვალზეა (ბოლოდან).

- შენი სახელი, ძმობილო? – მკითხა იმან (ჭავ. 271);
- არა, დათო? (ჭავ.); - შენა, დარეჯან? (ჭავ.).

კითხვა ზოგჯერ მიმართვითაც არის გადმოცემული. ამ შემთხვევაში კითხვის მახვილიც მასზეა, მაგ.: - ცირა! – ბატონო? (წერ.).

ზოგჯერ თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი **არა** (ან დადასტურების **ხომ**), რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს. ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი და სიტყვა-წინადადების ბადალია. კითხვის მახვილი მასზეა. მაგ.: დილით ბებეს წინდა უეჭველად მოქსოვილი დახვდებოდა, **არა**? (რაზ., 82), ორნაქმარებია მამიდა თქვენი, **არა**? (კლდ., 1, 165); სრულებით არა ჰგავს თინა პატარძალს, **არა**? (გვეტ.); რა კარგი ღამეა, **არა**? (არ. სულაკ.).

შემასმენლის მიხედვით შერწყმულ წინადადებაში კითხვა შე-

იძლება ეხებოდეს ყველა შემასმენელს და შეიძლება არა. მაგ.: მაშ ტყუილად **ენთებოდა** და მოუსვენრად **ტოკავდა** მისი გული? (ყაზ.); ხარჯი არ დამიკლია, თავი არ დამიზოგავს, სალარო თითქმის დავაცარიელე და მეტი რა **მექნა**? (წერ.) პირველ წინადადებაში კითხვა ეხება ორივე შემასმენელს, მეორეში – უკანასკნელს, მეოთხეს.

რთულ თანწყობილ წინადადებაში კითხვითია ყველა მასში გაერთიანებული წინადადება, ანდა ერთ-ერთი (ჩვეულებრივ უკანასკნელი): **რას** ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და **რას** მეტყვის იგი მე? (ჭავ., 250); ბეჟანი **რაღას** ფიქრობდა ან დაობლებულს ბატკანს **რა** დაემართა? (ვაჟა, 6, 288); მამალი და კოდალა ყველაფერს კარგად ჰხედავდნენ დაბლა, ხოლო იმათ **ვინ** დაინახავდა? (ვაჟა, 6, 209).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვა ჩვეულებრივ მთავარს ეხება, რომელშიც შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვა (თუ ნაწილაკი) და შეიძლება არა. კითხვითი ინტონაცია მთავარს ახლავს. მაგ.: **რომელ** უბედურებას დაემორჩილებინა ისინი, ვინც ისე სიცილით და უზრუნველად სიკვდილს წინ ეგებებოდა ამ რამდენისამე წლის წინათ? (ყაზ., 191); **ნუთუ** ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? (ჭავ., 387); მეც **მგზავნი** საომრადა, დედისერთასა, რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად? (ჭავ., 142); ეგ რომ არ იყოს, **გაექცეოდი** შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?.. (ჭავ., 156).

თუ მთავარი გამოტოვებულია, კითხვის მახვილი დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზეა. მაგ.: - მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია - რომ არ იყოს ორმოცი? (ჭავ., 331); - ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ? (იქვე, 259).

ყოველგვარი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის.

§ 19. ბრძანებითი წინადადება

ბრძანებითია წინადადება, რომელიც პირველი პირის ნება-სურვილის შესრულებას მოითხოვს მისამართი პირისაგან. მაგ.: **გააკეთე! გააკეთოს! გავაკეთოთ!**

ბრძანებითი წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითია ბრძანებითი წინადადება, რომლითაც 1-ლი პირი ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების შესრულებას მოითხოვს მისამართი პირისაგან. მაგ.: **გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!** (წერ.); **გააღე კარები!** (ნინ.); **მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე!** (ვაჟა).

უკუთქმითია ბრძანებითი წინადადება, რომლითაც 1-ლი პირი მისამართ პირს უკრძალავს ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქ-

მედების შესრულებას. ასეთ ბრძანებითს აკრძალვითსაც უწოდებენ. მაგ.: კაკო, **ნუ სწყრები**! (ჭავ.); **ნუ ჩქარობ**!, ვაჟო! (ყაზ.); გასწი, **ნუღარ აგვიანებ**! (წერ.); **არ გაუშვათ**! (ლ.გოთ.); ფრთხილად, თავ-პირი **არ დაამტვრიოთ**! (ვაჟა).

წართქმითი ბრძანებითი კილოს ფორმა მე-2 პირისა ძველ ქართულში გარჩეული იყო იმავე ზმნის შესაბამისი წყვეტილის ფორმისაგან: ბრძანებითი კილოს ფორმა სუბიექტური პირის ნიშანს არ დაირთავდა, თხრობითს კი ჰქონდა. მაგ., ბრძანებითი კილოს ფორმებია: **დაწერე! მოკალ**! დროის მიხედვით ეს ფორმები მომავალია. თხრობითი კილოს წყვეტილის მწკრივის ფორმებია: დასწერე (დაჰწერე, დასწერე), მოხკალ (მოჰკალ)...

ახალ ქართულში წართქმითი ბრძანებითის მე-2 პირის ფორმას დაემთხვა თხრობითი კილოს ფორმა წყვეტილის მწკრივისა. დღეს წარსული დროის მნიშვნელობით ასეთი ფორმები თხრობითია (შენ რაც **დაწერე** და **გააკეთე**...), მომავლის მნიშვნელობით – ბრძანებითი: დაწერე! გააკეთე!

ახალ ქართულში გვაქვს ერთადერთი ზმნა, რომელსაც გარჩეული აქვს მე-2 პირის წართქმითი ბრძანებითი თხრობითისაგან. ამოდი! ჩამოდი! წადი! წამოდი! შედი! ბრძანებითის ფორმებია, ამოხვედი, ჩამოხვედი, წახვედი, წამოხვედი, შეხვედი – თხრობითისა, ე.ი. პირის ნიშნის უქონელი ფორმები ბრძანებითია, პირის ნიშნის მქონენი – თხრობითი.

სალიტერატურო ქართულში უნიშნო ბრძანებითის ფორმათა ხმარების წესი დღესაც დაცულია. მაგ., კარში **გამოდი**, ჯოყოლა! (ვაჟა); მზეო, **ამოდი, ამოდი**! (ხალხ); ახლა **წადი**! დაიკარგე! ფრთხილად! არსად შემეყარო! (წერ.). ამ ფორმათა თხრობითი კილოს მნიშვნელობით ხმარება შეცდომად ითვლება.

წართქმითი ბრძანებითის ფორმა დროის მიხედვით მომავალია. მაგ.: ზღვაო, აღელდი, აღელდი, ქარტეხილს დაემორჩილე! აამთაგორე ტალღები, კიდეებს გადააცილე! (წერ.); წერე! დაწერე!

უკუთქმითს ბრძანებითს თხრობითისა და კავშირებითის კილოებისაგან ნასესხები ფორმები აქვს გამოყენებული, რომელთაც უკუთქმითს შინაარსს აძლევს **ნუ** ან **არ** ნაწილაკები (მარტო ან სხვა ნაწილაკთან, ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედასთან შეერთებით: აღარ, ნუღარ, ნუვინ, არსად, ნურსად...): არ წახვიდე, ნუ წახვალ! ნუღარ წახვალ! არსად წახვიდე!...

ნუ (და მისი შემცველი სიტყვები) თხრობითი კილოს ფორმებთან იხმარება, **არ** (და მისი შემცველი სიტყვები) – კავშირებითთან.

მაგ.: **ნუ გახვალ** გარეთ! – **არ გახვიდე** გარეთ!

გულს **ნუ გაიტეხ**, მგოსანო! (ვაჟა) – გული **არ გაიტეხო**, მგოსანო! **ნუ** – ნაწილაკიანი ზმნა დროის მიხედვით ჩვეულებრივ ახლანდელია ან მომავალი: ნუ წერ! ნუ დაწერ! იგი იშვიათად წარსული დროის ფორმებთანაც გვხვდება. მაგ.: დაჰკარით, მაგრად დაჰკარით, **ნუ დააოჩნეთ** ხარები! (ვაჟა); **ნუ შეშინდი**, ფეფელო! (ჯავ.); ღმერთო, შეგცოდე... **ნუ გააჩენდი** ისე... (ჭავ.). ასეთს ბრძანებითში გამოხატულია საყვედური, რომ გარკვეული მოქმედებაა ჩადენილი". (ა. შანიძე, „საფუძვ"., §256).

ნუ (ნურც, ნუღა...) აქა-იქ კავშირებითთანაც გვხვდება. მაგ.: ღიმილი **ნუ მოგშლოდეთ**, მეგობრებო! (გ. შატბ.); **ნურც** ნურასოდეს **დალეოდეს** ჩვენს საყვარელ სამშობლოს სინორჩე და სიმწვანე! (გრ. აბ.); **ნუ დავიმარხო** ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის! **ნუ დამიტიროს** სატრფომ გულისამ, **ნუღა დამეცეს** ცრემლი მწუხარის! (ბარ.).

ბარათაშვილის ლექსიდან დამოწმებული პირველი მაგალითი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ ბრძანება თავის თავისადმია მიმართული (ე.ი. მხოლობითი რიცხვის 1-ლი პირისადმი: „ნუ დავიმარხო"). ეს იმით აიხსნება, რომ ფორმა ვნებითია და მოქმედება რეალურად სხვებმა უნდა შეასრულონ" (ა.შ. „საფუძვ." §255).

ბრძანებითი წინადადების ტიპისაა ნატვრის გამომხატველი მცა – ნაწილაკიანი წინადადება. მაგ.: **უწინამც დღე გაჰქრობია** შენს მკვლელს! – ამბობდნენ მუხები. (ვაჟა); შენი **მტერიმც ნუ ყოფილა** ასე! – ძვლივ-ძვლივ წაიდუდუნა ძმამ (ჭავ.); **ნეტამც არ დაგძინებოდა**, ჩიტო ნიბლია, ნარზედა! (ხალხ.); **უწინამც** დღე კი **დამელევა** მე! უცხოობაში რაა სიამე! (ბარ.).

ზმნის ფორმა ზოგჯერ შეკვეცილია: ნუ მარცხვენ ყაჩაღს, **გამეცა**, წადი! (ჭავ.), **წა**, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე! (რუსთ.); წავიდეთ ჩქარა, **მომყე!** (ვაჟა); მოდი, **დაჰკა!** (ჯავ.); **დაიჭით**! არ გაუშვათ! (ლ.გოთ.); ბიჭო, აქ **მო**! (გ. შატბ.); ღორო, **მომე** ჯაგარი! (ხალხ.); **გამო**, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს! (ერ.).

ბრძანებითს წინადადებას ხშირად აკლია ზმნა, რომელიც ადვილად შეიძლება აღვადგინოთ. მაგ.: ცხენები ჩქარა! ცხენები ჩქარა! (გვეტ.); ქუდზე კაცი! ყველანი ჯარში! (ჭავ.); წყნარად! სიჩუმე! – მოისმა მასწავლებლის ხმა და შეწყდა ჩურჩული (ევდ.); მწყობრად! მარდად! ერთად! (ჯავ.); სიკვდილი მოღალატეს! სიკვდილი! (ყაზ.); დედაკაცო, ცეცხლი! (ჭავ.); ტაში, ტაში, ტაში! (გვეტ.).

ბრძანებითი წინადადება არ არის ვრცელი, მრავალსიტყვიანი. მასში ხშირად გვხვდება ისეთი ნაწილაკები, რომლებიც აძლიერე-

ბენ ბრძანებას, ან გამოხატავენ ამა თუ იმ ნიუანსს. ასეთი ნაწილაკებია: **დაე** ‖ **დე** (<დაეხსენ ← დაეგსენ). **აბა, ბარემ, მო** (მოდი) და სხვ. მაგ.: **დეე** რისხვით ცამ იჭექოს! (ევდ); **დე** მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს და შუბლს – ოფლის ნაკადული! (ევდ.); **აბა,** ბიჭო, წავიდეთ! (ვაჟა); **აბა,** ბიჭო, ბანი! (ვაჟა); **ბარემ** ესეც წაიღე!

მო (←მოდი) იხმარება, როცა ზმნა ბრძანებითი კილოს ფორმაა პირველი პირისა მრავლობითში. მაგ.: **მო,** დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი (რუსთ.); **მოდი,** ბიჭო, ვიბანაოთ! (მღვ.).

ბრძანებითს წინადადებას სხვადასხვა ელფერი ახლავს. ამ მხრივ იგი მრავალფეროვანია. ამა თუ იმ ელფერის გამოხატვის ძირითად საშუალებას, გარდა ზმნის ფორმებისა და დამხმარე სიტყვებისა, ინტონაცია წარმოადგენს, ასე რომ ბრძანებითი წინადადების ინტონაცია მრავალფეროვანია. იგი (ბრძანებითი წინადადება) შეიძლება გამოხატავდეს:

ა) **საკუთრივ ბრძანებას**: გაიყვანეთ! – უბრძანა მან შემსრულებელს (კლდ.); ააოხრეთ! აიკელით! ნურავის დაზოგავთ! (წერ.); ხელები ზევით! (ტაბ.).

ბ) **მოწოდებას:** მეგობრებო, წინ ... წინ გასწით! (ევდ.); გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი მამული. (კალან.).

გ) **რჩევა-დარიგებას**: ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! (ვაჟა); საკუთარ თავს გაუფრთხილდი კარგად! (გვეტ.).

დ) **წაქეზება – გამხნევებას:** ნუ გეშინია, ბიჭო, გამაგრდი! (გვეტ.); ჩანჩურ! მაგრად დადექ! მაგრად დადექ! (ჯავ., 1, 8). გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო! (ვაჟა).

ე) **თხოვნასა** და **ხვეწნა-მუდარას**: ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე! (ყაზ.); აბა, თუ ღმერთი გწამს, წაიკითხე! (ჭავ.); მოდი, რა! (დ. შენგ.); დამბადებელო, დამიფარე, შეინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი! (ვაჟა); მიშველეთ! მიშველეთ! (ჯავ.).

ვ) **დალოცვას**: აი გაიზარდე, გაიზარდე! (ვაჟა); დაესწარით მრავალს მეუღლით, შვილებით! (ვაჟა); ესრე ტკბილად დამიბერდი, ჩემო შვილო! (ვაჟა).

ზ) **წყევლა-კრულვას**: შენს მოღალატეს მტერზე მოქნეული ხმალი ტარშიამც გაუტყდების! (ყაზ.); შენ გაგიხმეს ეგ ენა და ფეხები, შე პირქუშო! (ჯავ.); წყეულიმც იყოს დღე იგი! (ბარ.).

თ) **მიწვევა-მიპატიჟება**: მობრძანდით; ჩაი მიირთვით! (გვეტ., 91); მობრძანდით, მობრძანდით, გენაცვალე! (გვეტ.).

ი) **მისალმებას**: ოჰ გლახუკას გაუმარჯოს, ჩემს გლახუკას! (ჭავ.).

ბრძანება მიმართულია სუბიექტური პირისადმი. ბრძანებითი

წინადადების მთქმელი ზოგჯერ თავის თავსაც მიმართავს: ჰა, ჰეტრევ! თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე! (ჭავ.).

ბრძანებითი კილოს ფორმა პირველი პირისა მრავლობითში ინკლუზიურია (ჩვენ = მე და შენ და თქვენ) ყოველთვის: წავიდეთ ჩქარა! (ვაჟა). ექსკლუზიურია, თუ ზმნის ფორმა შეიცავს 1-ლ ობიექტურ პირს მრავლობითში. მაგ.: ბარემ ჩვენც წაგვიყვანეთ! (ჩვენ = მე და ის, მე და ისინი).

ინკლუზიურია თხრობითი კილოს ფორმა 1-ლი პირისა, თუ ის მიმართულია მე-2 პირისადმი გაძლიერებული ინტონაციით. მაგ.: აბა, წავედით! (ჭავ.); წავედით, ამხანაგებო! – გაისმა ამ დროს. (ო. იოს.).

„მთის კილოებში გვხვდება ფორმა, რომელიც ბრძანებითია, მაგრამ თხოვნის ელფერი გადაჰკრავს“[23]. მაგ.: მზაღვე მომიკითხე... **უთხროდე, მომიგონოდეს**... (ყაზ.); მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულმკერდზე **დაიწეროდი**! ბარო, წარბნი და წამწამნი იმ სიტყვით **დაიკეროდი**! (ვაჟა).

ბრძანებითი წინადადება ზოგჯერ რიტორიკულია: მიმართულია ბუნების ძალისადმი, უსულო საგნებისადმი, მიცვალებულისადმი და სხვა, რომელთაც არ შეუძლიათ, მთქმელს გამოეხმაურონ და მისი ნება-სურვილი შეასრულონ. მაგ.: აღდეე, გმირთ-გმირო, ნუ ეძინავს! (ხალხ.); მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა! (ხალხ.); ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო, დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული! (ვაჟა).

ბრძანებითი წინადადების ბადალია ფუნქციურად ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები: **არიქა**, ბიჭებო! (ჭავ.); **სუ**! ჩუმად-მეთქი! (ვაჟა); **ჩუ**! იძინოს, ძილი წამალია! (გვეტ.).

ბრძანებითი წინადადების ბოლოს ჩვეულებრივ ძახილის ნიშანი დაისმის.

შენიშვნა: ბრძანებითი წინადადების ბოლოს, თუ ის თხრობითისებრ მშვიდი ტონით წარმოთქმას გულისხმობს, წერტილი იწერება (და არა ძახილის ნიშანი): ჯერ დაწყნარდი და მერე ერთხელ კიდევ მოვიფიქროთ. (ჯავ.); შენ აქ მოიცადე. (ჭავ.).

§20. ძახილის წინადადება

თხრობითს, კითხვითსა თუ ბრძანებითს წინადადებებს მეტ-ნაკლებად შეიძლება ახლდეს მთქმელის ესა თუ ის ემოცია ანუ გრძნობა. ამ მხრივ, როგორც ეს ზემოთ განხილული შემთხვევებიდანაც კარგად ჩანს, განსაკუთრებით ბრძანებითი წინადადება გამოირჩევა. მაგრამ ყველა დასახელებული ტიპის წინადადებისათვის ემოციური იერი დამატებითი ელემენტია, ხოლო ძირითადია ის, რომ ერთ შემთხვევა-

[23] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 21.

ში რაიმე ამბავს გადმოგვცემს, მეორე შემთხვევაში კითხვას შეიცავს, მესამე შემთხვევაში კი მთქმელის ამა თუ იმ ნება-სურვილს გამოხატავს.

ძახილის წინადადებას მთქმელის დიდი გრძნობა ახლავს. ამ ტიპის წინადადებისათვის ძირითადი სწორედ მთქმელის ემოციის, მისი გრძნობის გამოხატვაა. წინადადებას ემოციურ იერს მეტწილად სპეციფიკური ინტონაცია აძლევს, რომელიც ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით გრძნობითი ელფერი. თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები ხშირად ადვილად გადაკეთდება ძახილისად, რომელიც მთქმელის ამა თუ იმ გრძნობას მეტ-ნაკლებად გამოხატავს.

ძახილის წინადადების გრძნობითი ელფერი მრავალფეროვანია, ამასთანავე, იგი ხშირად რამდენიმე გრძნობითს იერს ერთდროულად გამოხატავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი და იმავე დაწერილობის ძახილის წინადადება ხშირად სხვადასხვა ემოციურ იერს ატარებს. ყოველივე ამის გამო ცალკე აღებულ წინადადებაში ზოგჯერ ძნელდება კიდეც იმის დადგენა, თუ რა გრძნობითი იერი არის წამყვანი ანუ ძირითადი მოცემული ძახილის წინადადებისათვის. მაგალითისათვის ავიღოთ ასეთი წინადადება: **უუჰ, რა ღვინოა!** (ჯავ., 3, 479). ეს წინადადება ერთ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს: **უუჰ, რა კარგი ღვინოა!** მაგრამ შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობა გადმოგვცეს: **უუჰ, რა ცუდი ღვინოა!** წარმოთქმის დროს წინადადების მნიშვნელობა, მისი გრძნობითი იერი ზუსტდება ინტონაციისა თუ სიტუაციის საშუალებით, დაწერილი წინადადებისა კი – კონტექსტის მიხედვით. მაგ., მოყვანილი წინადადების მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით პირველია: უჰჰ, რა კარგი ღვინოა!

ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: **უჰ, რა ამინდია!** ეს წინადადებაც იმის მიხედვით, თუ რა პირობებშია ის თქმული, შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს, სახელდობრ: თუ კარგი ამინდია, მაშინ ამ წინადადების მნიშვნელობა ასეთია. **უჰ, რა კარგი ამინდია!** მაგრამ თუ ამინდი ცუდია და მაშინ გავიგონეთ ის, მას საპირისპირო მნიშვნელობა აქვს: **უჰ, რა ცუდი ამინდია!** წინადადების კონკრეტული გრძნობითი იერი ამ შემთხვევაში გასაგებია სიტუაციის მიხედვით.

ძახილის წინადადების ემოციური იერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალფეროვანია, იგი შეიძლება გამოხატავდეს:

ა) **კმაყოფილებას, სიხარულს, აღტაცებას, მოწონებას**: – ძლივს შუბლგახსნილი არ ვნახე! (ჭავ., 447); ვიშ, რა კარგი, რა ლამაზია

პატარა ია! (გრიშ.); ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ, ტკბილო! (ვაჟა, 6. 293)

ბ) **ნატვრას, სურვილს**: ახ, ნეტავი მალე გაათენდეს! ... (რაზ, 37); ახ, ნეტავი მეც ნასწავლი ვიყო! (ვაჟა, 5. 28).

გ) **გაკვირვებას, გაოცებას**: უჰ, რა ამაყი ყოფილა! (დად., 123); ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! (ჭავ., 343); ვა! მეტი რაღა გინდა! (ჭავ., 379); დახე, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია! (ჭავ., 472).

დ) **დანანებას, სიბრალულს**: ააჰ, რა ტყე გაფუჭდა, რა ტყე დაიღუპა!... აფსუს!... (ვაჟა, 6, 183); უი, ქა, საწყალი ტორუა! – ამბობდა გოგრას დედა (ვაჟა, 5, 219); საბრალო წიფელი! (ვაჟა, 5, 87).

ე) **დაცინვას, ნიშნის მოგებას**: – ეეე, რა ბლომადა ჰყვანან მაგ ჩვენს კნიაზსა და! (ვაჟა, 5, 206); იფ, იფ ... დამიხედეთ მთის მებატონის შვილს! (ყაზ., 163); – გამოიცნო?! – სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა (ჭავ., 331); ჰე, ახია შენზედ! (ვაჟა).

ვ) **აღშფოთებას, ზიზღს, სიძულვილს**: ბრიყვები, სულელები! ჰმ, ჰმ, ვერ უყურებთ მაგათ თავხედობას! (ვაჟა, 6, 249); ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! (ჭავ., 257); ფუი, მაგისთანა პატიოსნებასაც რა ვუთხრა! (კლდ.).

ზ) **მწუხარებას, გულისტკივილს, შიშს**: ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!... (ჭავ., 275); ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო! (ვაჟა, 5, 10); ოჰ, რა დროს გამოჩნდა ის ფეხმოსატეხი და! (ვაჟა).

ძახილის წინადადებაში ხშირად შორისდებულია, რომელიც ადამიანის ამა თუ იმ გრძნობას უშუალოდ გამოხატავს. ძახილის წინადადება კონკრეტული შინაარსით ავსებს შორისდებულის მნიშვნელობას. იგი (შორისდებული) დანიშნულებით წინადადების ბადალია. იხმარება ცალკეც (§157).

გარდა მრავალფეროვანი ინტონაციისა და შორისდებულებისა, ძახილის წინადადებისათვის დამახასიათებელია სპეციალური სიტყვები და ნაწილაკები, რომლებიც ამ ტიპის წინადადების შექმნის ლექსიკური საშუალებებია. სრულმნიშვნელობიან სიტყვათაგან აქ გვაქვს კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნიზედები, რომელთაც შეცვლილი აქვთ ძირითადი მნიშვნელობა: გამოხატავენ ამა თუ იმ ემოციურ იერს (და არა კითხვას). მაგ.: ეს **რა** მესმის, თქვენი ჭირიმეთ! (ჭავ., 343); ოჰ, **რა** შეშინებული იყო მსხალი! (რაზ., 99); ოჰ, **რამდენი** მტერი გვყავს! (ვაჟა, 5,10); უჰ, **როგორ** ქანაობს ეს მატარებელი! (ჯავ, 2, 100).

ნაწილაკებიდან ძახილის წინადადებისათვის დამახასიათებელია: აკი (< არ-კი), არ (არა), მც (მცა), ნეტავი (< ნეტარ ვინ), და ...

აკი „გამოხატავს გაკვირვებას მოულოდნელი ამბის გამო“[24].

არ უკუთქმითი ნაწილაკია, მაგრამ ხშირად ის განცვიფრების ნაწილაკია და წინადადება წართქმითი შინაარსისაა. **აკი** შეიცავს **არ** ნაწილაკს, მაგრამ წინადადებაში ეს ორი ზოგჯერ ერთდროულად არის წარმოდგენილი: **აკი** გაცნობე! – ჰა! ჰა! ჰა!... მეც **არ** გამიკვირდა! (ბარნ., 1, 96); – თურმე წყალი **არ** დაჰკლებია! (ვაჟა, 5, 116); **აკი** იმ ძუძუმწოვრებმა არ გამქურდეს ეს დროული კაცი! (ჭავ., 409).

ნეტავი (ნეტა) ნატვრითი ნაწილაკია. ნატვრასვე გამოხატავს **მც (მცა)** ნაწილაკიც. **და** კავშირია, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მას ძახილის ნაწილაკის მნიშვნელობაც ეძლევა და ჩვეულებრივ ისეთ წინადადებაშია, რომელიც შეიცავს ნატვრით ნაწილაკს: ეჰ, **ნეტავი** მეც იმას თან გავყოლოდი!... (ჭავ., 316); – უი, **უწინამც** დღე გაუქრება! (ჭავ., 338); **ნეტამც** არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა! (ხალხ.); ახ, **ნეტავი** წიგნი კი ვიცოდე და! (ჭავ., 414); ახ, **ნეტავი** ის ვალი კი არ მემართოს **და**! (ბარნ., 3, 13).

კითხვითი სიტყვა და ნაწილაკი ზოგჯერ ერთდროულად არის გამოყენებული: – მიხვდით ხომ მიზეზს წისქვილის დადგომისას? – ჰკითხავდა თედე ხალხს – მივხვდით, შენი ჭირიმე, **როგორ არ მივხვდით**! – უპასუხებდა ხალხი (ვაჟა, 5, 116).

ძახილის წინადადებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი ინტონაცია, რომლის წყალობითაც ხშირად სტრუქტურულად წართქმითი წინადადება უკუთქმითი შინაარსისა ხდება, უკუთქმითი წინადადება კი – წართქმითისა. მაგ., ძახილის წინადადება: **მან ყველაფერი იცის**! შეიძლება ნიშნავდეს ამას: **მან არაფერი არ იცის**, ხოლო წინადადება **მან არაფერი არ იცის**! საპირისპირო მნიშვნელობისა იყოს: **მან ყველაფერი კარგად იცის!**.

ძახილის წინადადების ინტონაცია ჩვეულებრივ დამავალია. ამ ტიპის წინადადებაში მახვილი ჩანს მეტწილად წინადადების შიგნით და მის ბოლოს[25]. მიუხედავად იმისა, რომ ძახილის წინადადების გრძნობითი იერი და ამის შესაბამისად ინტონაცია მრავალფეროვანია, წერაში ყოველთვის ერთი ნიშანი დაისმის – ძახილისა.

მოლაპარაკის მღელვარების, მისი მძიმე სულიერი მდგომარეობისა და მოზღვავებული გრძნობის გამო წინადადებები ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოითქმის, პაუზებით, დაუმთავრებლობის ინტონაციით. – კიდევ!... კიდევ მეძახის!... დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!... მოვდივარ, მოვდივარ!... (ჭავ., 471); ავჩქარდი...

[24] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 633.

[25] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 141; ს. ჯღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 287.

შევცდი... მაგრამ რაღა დროს? გვიანღა არი!... (წერ., 6, 58).

წინადადება ზოგჯერ კითხვასაც გამოხატავს და ამა თუ იმ გრძნობასაც. ასეთ წინადადებას კითხვით-ძახილის წინადადება ჰქვია. წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვისა და ძახილისა. კითხვით-ძახილის წინადადების ინტონაცია რთულია – კითხვით-ძახილისა: – იმერელი უნდა გახლდესთ ვინმე! – იმერელი?! (წერ., 1, 225); განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია?! (ვაჟა, 5, 88); მართლა გველეშაპივით არ მოიკლაკნება ეს არაგვი?! (წერ., 1, 225).

§21. წინადადების მოდალობის გამოხატვის საშუალებანი

მოდალობა არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც აღნიშნავს ნათქვამის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. მაგ., სინამდვილისადმი მიმართების თვალსაზრისით საპირისპირო მნიშვნელობისაა ერთი და იმავე ზმნის ერთი და იგივე ფორმა დასახელებულ გამონათქვამებში: „კატამ თაგვი **დაიჭირა**“ და „კატამ თაგვი **ვერ დაიჭირა**“. წინადადების მოდალობის გამოხატვის ენობრივი საშუალებებია: ზმნის კილოს ფორმა, ინტონაცია, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, წინადადების კონსტრუქცია.

ა) ზმნის კილოს ფორმები წინადადების მოდალობის გამოხატვის ძირითადი მორფოლოგიური საშუალებაა. ასე, მაგალითად, თხრობითი კილოს ფორმა, როცა ის თავისი პირდაპირი ანუ ძირითადი მნიშვნელობით არის ნახმარი, გამოხატავს მოქმედებას, როგორც ფაქტს, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში. კავშირებითის ფორმა მოქმედებას წარმოგვიდგენს არა როგორც ფაქტს, არამედ როგორც სასურველს თუ შესაძლებელს; ბრძანებითი კილოს ფორმა კი გადმოგვცემს მთქმელის ნება-სურვილს, რომელიც უნდა შესრულდეს.

წინადადების ლექსიკური შედგენილობისა და ინტონაციის საშუალებით შიძლება გადმოიცეს მოდალობის სხვადასხვა ნიუანსი. ასე, მაგალითად, ბრძანებითი კილოს ფორმით შეიძლება გადმოიცეს: კატეგორიული ბრძანება, თხოვნა-მუდარა, მიწვევა, გამხნევება და სხვ.

ბ) ყოველ წარმოთქმულ წინადადებას თან ახლავს გარკვეული ინტონაცია, რომელიც ზოგჯერ მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა. ასე, მაგალითად, სხვადასხვანაირი ინტონაციით წარმოთქმული ერთი და იმავე წინადადებით შეიძლება გამოიხატოს:

1. მოქმედების უეჭველობა: **ეს შენ გააკეთე.**
2. ეჭვი, კითხვის ქვეშ დაყენება: **ეს შენ გააკეთე?**
3. ბრძანება, დავალება: **ეს შენ გააკეთე!**

გ) მოდალური სიტყვები და სიტყვათა შეკავშირება წინადადების მოდალობის გამოხატვის ლექსიკური საშუალებაა. მოდალური სიტყვებით მდიდარია ქართული ენა. წარმოშობით იგი შეიძლება იყოს ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი, სიტყვათა ნაერთი. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი მოდალური სიტყვები: კინაღამ, თითქმის, ლამის, თითქოს, იქნებ, მაინც ...

1. **კინაღამ** მიღებულია **კნინი** სიტყვისაგან, რომელიც **მცირეს** აღნიშნავდა. იგი ზმნის წყვეტილის მწკრივს დაუკავშირდა და აღნიშნავს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას ცოტა, სულ ცოტაღა დააკლდა. მაგ.: მონადირე სიცივისაგან **კინაღამ** გაიყინა (გოგ.); კურდღელს შიშით **კინაღამ** გული გაუსკდა (წერ.); ბავშვი **კინაღამ** წყალში ჩავარდა. (შენ.).

2. **თითქმის** (←თუ ითქმის) აღნიშნავს: **ისე** და **იმდენი,** რომ სულ ცოტაღა აკლია ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას. მაგ.: მე იმ ერთმა დღემ **თითქმის** დამაბერა. (ჭავ.); საქართველოს ტყეებში **თითქმის** ყოველგვარი ხე მოიპოვება. (გოგ.).

3. **ლამის** ნაწილაკი წარმოშობით ზმნის მესამე პირის ფორმაა: **ვლამი, ჰლამი,** ლამის. „სანამ პირის გაგება ჰქონდა, ამას ნიშნავდა: აჰირებს, ცდილობს ... მნიშვნელობით „თითქმის“ სიტყვას დაუახლოვდა და მეორე კავშირებითს მოითხოვს“ (ა. შანიძე). მაგ.: მე შენს ლოდინში **ლამის** სული ამომხდეს. (წერ.); **ლამის** გულს დანა დავიცე. (ვაჟა).

4. **იქნებ** (←იქნება) ზმნური წარმოშობის ნაწილაკია და გამოხატავს ვარაუდს ან შესაძლებლობას. მაგ.: იგი **იქნებ** შინ წავიდა; ამ საქმის გაკეთება **იქნებ** მან შეძლოს.

5. **თითქოს** (←თუ ითქვას) აღნიშნავს, რომ თქმული სიმართლეს არ შეესაბამება. მაგ.: ბავშვს სიზმარში **თითქოს** ფრთები გამოესხა და სადღაც მიფრინავდა.

6. **მაინც** (←მაშინც) იხმარება მთავარ წინადადებაში და გამორიცხავს იმის შესრულებას, რაც დამოკიდებულ წინადადებაში თქმულით არის საგულვებელი. მაგ.: ტოროლას **მაინც** არ მოვკლავ, ბევრიც რომ მჭონდეს წამალი. (ხალხ.).

§22. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით

აგებულების მიხედვით ქართულში სამი ტიპის წინადადება გამოიყოფა: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივია წინადადება, რომელშიც აზრი ერთი ან ერთმანეთთან დაქვემდებარებით (და საურთიერთო დაქვემდებარებით) დაკავშირებული რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა. მაგ: გადიქუხა, ჩი-

ტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. (ვაჟა, 5, 13). აქ ორი მარტივი წინადადებაა. პირველ წინადადებაში აზრი ერთი სიტყვით არის გადმოცემული, მეორეში – ოთხი სიტყვით, რომლებიც ერთმანეთთან დაქვემდებარებით და საურთიერთო დაქვემდებარებით არიან დაკავშირებული. მაგ., დაქვემდებარებითი ურთიერთობაა წყვილში **„მორთეს ერთხმად“**, ხოლო საურთიერთო დაქვემდებარებაა წყვილებში: **„ჩიტებმა მორთეს“, მორთეს სიმღერა“**.

ტრადიციული განმარტებით, შერწყმულია წინადადება, რომელშიც წარმოდგენილია რამდენიმე ერთგვარი წევრი. მაგ.: ხის ტოტზე ჩიტუნები **ფრთხიალებენ, სრიალებენ, იშენებენ** მაღლა ბუდეს, **დაჰხარიან** და **გალობენ**. (წერ.). აქ ერთ ქვემდებარესთან ხუთი შემასმენელია დაკავშირებული, ე.ი. ეს წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით.

რთულია წინადადება, რომელიც რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი ან შერწყმული წინადადებისაგან შედგება. მაგ.: ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს ქურდულად ეპარებოდა (ყაზ., 2, 446); ზურა და სულხანი ისევ გზას გაუდგნენ, ყურშა კი არსენას ძებნას შეუდგა (ჯავ., 4, 460); ერეკლემ და როსტომმა მარჯვნივ აუხვიეს, ზურა და სულხანი კი ყურშას გაჰყვნენ და მარცხნივ დაეშვნენ. (იქვე, 460).

პირველი რთული წინადადება ორი მარტივი წინადადებისაგან შედგება, მეორე – შერწყმულისა და მარტივისაგან, მესამე კი – ორი შერწყმულისაგან.

ზოგიერთ ენაში (რუსულში, გერმანულში...) შერწყმული წინადადება მარტივის ერთ-ერთ სახედ არის მიჩნეული. დავსძენთ, რომ შერწყმულად მიჩნეულ წინადადებათა ნაწილი მართლაც მარტივ წინადადებათა გაშლილ, გავრცობილ სახედ წარმოგვიდგება, ნაწილი კი რთულ წინადადებათა შეკუმშული სახეა, ასე რომ, შეიძლება ითქვას, შერწყმულ წინადადებას შუალედური ადგილი უკავია მარტივსა და რთულ წინადადებებს შორის (§137).

რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ეს ტერმინი პირველად **ნ.ი. გრეჩის** რუსული ენის გრამატიკაში გვხვდება (1834). იხმარებოდა დიდხანს, მაგრამ ბევრი ენათმეცნიერი ამ ტერმინს იწუნებდა: არ დასტურდება, რომ ამ ტიპის წინადადება რთული წინადადების ნაწილების შერწყმით იყოს მიღებულიო. ამ აზრს იზიარებდა **ა.მ. პეშკოვსკიც**, მაგრამ თვით ტერმინის ხმარებას არ უგულებელყოფდა. ამასთანავე, ამ ტერმინის პარალელურად მან პირველმა იხმარა ტერმინი „ერთგვარწევრებიანი წინადადება“. რუსულ გრამატიკულ

ლიტერატურაში ამჟამად სწორედ ეს ტერმინია დამკვიდრებული.

ქართულ ენაში გვხვდება ისეთი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შერწყმული წინადადება რთული წინადადების ნაწილთა შეკუმშვა-შერწყმის გზითაც არის მიღებული. ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით ეს დამაჯერებლად არის ნაჩვენები ან. კიზირიას შრომებში („შერწყმული წინადადება ძველ ქართულში", იკე, IV, გვ. 205-206, „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში", 1969, გვ 28), ასე რომ „შერწყმული წინადადება", როგორც ტერმინი, დასაწუნი არ არის. ჩვენ ამ **ტერმინს თანწყობილწევრებიანი წინადადების** მნიშვნელობით ვხმარობთ, რაც გულისხმობს არა მარტო ერთგვარწევრებიან წინადადებას, არამედ **არაერთგვარწევრებიანსაც** (§§ 136,148).

III. წინადადების მთავარი წევრები

§23. წინადადების წევრის რაობა

სიტყვა, როგორც ენის ლექსიკური ერთეული, და იგივე სიტყვა, როგორც წინადადების სტრუქტურული ელემენტი, ერთი და იგივე არ არის. მაგ., **მედიდური** და **არწივი**, როგორც ლექსიკური ერთეულები, არ ასრულებენ რაიმე სინტაქსურ ფუნქციას. მაგრამ იგივე სიტყვები, როგორც ნაწილები, მაგალითად, წინადადებისა „მედიდური არწივი მთისკენ მიფრინავდა“ გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ: **არწივი** ქვემდებარეა, **მედიდური** – განსაზღვრება.

წინადადების უმარტივეს დაუნაწევრებელ სტრუქტურულ ელემენტს, რომელიც გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, წინადადების წევრი ჰქვია.

წინადადების წევრი სრულმნიშვნელობიანი სიტყვით ან სიტყვათა შენაერთით გადმოიცემა. მაგალითად: დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა. (გოგ., 71). მოცემულ წინადადებაში ხუთი სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა. ხუთივე სიტყვა წინადადების წევრია, ე.ი. აქ იმდენი წევრია, რამდენიც სიტყვა. ახლა ვნახოთ ასეთი წინადადება: დაბლა უზარმაზარი ჭალა იყო დაცემული. (ვაჟა, 5, 349). ამ წინადადებაშიც ხუთი სიტყვაა, მაგრამ წინადადების წევრი ოთხია და არა ხუთი (**იყო დაცემული** ერთი წევრია: შემასმენელი). წინადადებაში შეიძლება ერიოს ისეთი სიტყვაც, რომელიც არ არის წინადადების წევრი და არც რომელიმე წევრის შემადგენლობაში შედის. მაგალითად: ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა. (წერ.). აქ „და“ დამხმარე სიტყვაა (კავშირი), რომელიც აერთებს ორ სიტყვას, მაგრამ არ არის წინადადების წევრი და არც ახლავს რომელიმე წევრს. მაშასადამე, დასახელებულ წინადადებაში ხუთი წევრია და ერთი არაწევრი.

წინადადების წევრი ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. მაგალითი: გოჩამ გაკვირვებით გადმოხედა შვილს. (ქიაჩ., 3, 87). ამ წინადადებაში შემავალი წევრების კითხვები და პასუხებია:

რა ქნა გოჩამ? – გადმოხედა.

ვის გადმოხედა გოჩამ? – შვილს.

ვინ გადმოხედა შვილს? – გოჩამ.

როგორ გადმოხედა გოჩამ შვილს? – გაკვირვებით.

წინადადების წევრს კითხვა არ ეწყობა, „როცა წევრად ბრძა-

ნებითის ფორმაა მეორე პირისა ან თვით კითხვითი სიტყვაა"[26]. არ ეწყობა ან ძნელად ეწყობა კითხვა შემასმენელს მაშინაც, როცა ის გადმოცემულია ზოგიერთი გარდაუვალი ზმნით, რომელიც არაა ბრძანებითის ფორმა მეორე პირისა (ჰყავს, აქვს, უყვარს, ჰშია, არის და სხვ.). მაშასადამე, კითხვის დასმა-დაუსმელობა წინადადების წევრის საკონტროლო საშუალებად არ გამოდგება: წევრია წინადადებისა თუ არა, ამისათვის მთავარია სიტყვის (და სიტყვათა შეხაერთის) მნიშვნელობა და არა ის, დაესმის თუ არა მას კითხვა.

წინადადების წევრი შეიძლება გადმოიცეს მთელი წინადადებითაც. მაგალითად: **სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი აფორიზმია.** აქ სულ ორი წევრია: შემასმენელი (აფორიზმია) და ქვემდებარე (სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი), რომელიც თავისთავად ხუთწევრიანი წინადადებაა.

§24. წინადადების მთავარი და არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წევრები

წინადადების წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება და გარემოება. ამასთან ზოგი წევრი რამდენიმე სახისაა. ასე, მაგალითად, გარემოება შეიძლება იყოს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა. რამდენიმე სახისაა აგრეთვე დამატება და სხვ.

წინადადების წევრთა კლასიფიკაცია შემუშავდა მე-19 საუკუნეში რუსული, გერმანული და სხვა ევროპული ენების წინადადებათა ანალიზის საფუძველზე, ე.ი. იმ ენებისა, სადაც ზმნა მხოლოდ ერთპირიანია. დასახელებულ ენებში მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი, ხოლო დამატება, განსაზღვრება და გარემოება არამთავარი ანუ მეორეხარისხოვანი წევრებია.

წინადადების წევრთა ამგვარი კლასიფიკაცია დამკვიდრდა ქართულშიც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის გრამატიკული აგებულება არსებითად განსხვავდება დასახელებულ ენათა გრამატიკული წყობისაგან.

მარტივი წინადადების სინტაქსური მექანიზმი ქართულში მეტნაკლებად რთულია. მარტივია ეს მექანიზმი, როცა შემასმენლად ერთპირიანი ზმნა გვაქვს, ხოლო რთულია, როცა შემასმენელი ორპირიანი ან სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული. ამასთან დაკავშირებით წინადადების მთავარ და არამთავარ წევრთა საკითხიც განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს.

ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში მთავარი წევრი ორია: შემასმენელი და ქვემდებარე. მაგალითად: მთიდან ბარად მომდინარი არწივი **მის** კენწეროზე ისვენებდა. (ვაჟა, 5, 87). ზმნის ფორმაში გამოხატულია ქვემდებარის პირი (ისვენებდა); ამასთანა-

[26] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1953, გვ4.

ვე, ზმნა-შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში: **არწივი ისვენებდა, არწივები ისვენებდნენ**. ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში ქვემდებარე ერთადერთი წევრია, რომელიც გავლენას ახდენს ზმნის ფორმაზე.

ახლა ვნახოთ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველი წინადადება: სტუდენტი **მესალმება** მე. **სტუდენტი** ქვემდებარეა, მე – ირიბი დამატება. **ზმნის** ფორმაში აღნიშნულია ორივეს პირი: **მ**-ესალმებ-**ა**. შეიძლება აღინიშნოს არა მარტო ქვემდებარის მრავლობითობა, არამედ ირიბი დამატებისაც: სტუდენტები **გვ**-ესალმები-**ან** ჩვენ. ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როცა შემასმენლად ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. ზმნის ფორმაში აქაც გამოხატულია როგორც ქვემდებარის, ისე პირდაპირი დამატების პირიც (ნიშნით ან პოტენციურად). ამასთანავე, შემასმენელი რიცხვში შეიძლება შეეთანხმოს ქვემდებარესაც და პირდაპირ დამატებასაც. მაგალითად: ის მხატავს მე, ისინი **გვ**ხატავ**ენ** ჩვენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დამატება, პირდაპირი თუ ირიბი, ხშირად ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის, რადგანაც ყოველთვის ვერც ქვემდებარე ითანხმებს ზმნას რიცხვში (§56).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის არ არის არსებითი განსხვავება. დამატება, პირდაპირი თუ ირიბი, სინტაქსური უფლებით ქვემდებარეს უტოლდება. „ორპირიან ზმნებში, გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი **არსებითად** ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს. სუბიექტის ძალა განელებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შედეგად სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია. დამატება ქვემდებარეს უტოლდება. ტრადიციული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისევეა მთავარი წევრი, როგორც ქვემდებარე“[27]. მაშასადამე, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება, ხოლო უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება (სხვადასხვა სახისა) არამთავარი წევრებია. ხვედრითი წონისა და სინტაქსური ძალის მიხედვით მთავარ წევრებს შორის ერთგვარი გარჩევაცაა. შემასმენელი ძირითადი წევრია, რომელსაც უკავშირდება ფორმის საშუალებით ყველა დანარჩენი მთავარი წევრი. მეორე ადგილს ქვემდებარე იჭერს, ხოლო დამატება (პირდაპირი და ირიბი) მესამე რიგში ექცევა.

---

[27] **არნ. ჩიქობავა**, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. II, №2, 1941, გვ. 197.

ვე, ზმნა-შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს პირსა და რიცხვში: **არწივი ისვენებდა, არწივები ისვენებდნენ**. ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში ქვემდებარე ერთადერთი წევრია, რომელიც გავლენას ახდენს ზმნის ფორმაზე.

ახლა ვნახოთ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველი წინადადება: სტუდენტი **მესალმება** მე. **სტუდენტი** ქვემდებარეა, მე – ირიბი დამატება. **ზმნის** ფორმაში აღნიშნულია ორივეს პირი: **მ**-ესალმებ-**ა**. შეიძლება აღინიშნოს არა მარტო ქვემდებარის მრავლობითობა, არამედ ირიბი დამატებისაც: სტუდენტები **გვ**-ესალმები-**ან** ჩვენ. ასეთივე ვითარებაა მაშინაც, როცა შემასმენლად ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. ზმნის ფორმაში აქაც გამოხატულია როგორც ქვემდებარის, ისე პირდაპირი დამატების პირიც (ნიშნით ან პოტენციურად). ამასთანავე, შემასმენელი რიცხვში შეიძლება შეეთანხმოს ქვემდებარესაც და პირდაპირ დამატებასაც. მაგალითად: ის მხატავს მე, ისინი **გვ**ხატავენ ჩვენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დამატება, პირდაპირი თუ ირიბი, ხშირად ვერ ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ ცვლის, რადგანაც ყოველთვის ვერც ქვემდებარე ითანხმებს ზმნას რიცხვში (§56).

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის არ არის არსებითი განსხვავება. დამატება, პირდაპირი თუ ირიბი, სინტაქსური უფლებით ქვემდებარეს უტოლდება. „ორპირიან ზმნებში, გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი **არსებითად** ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს. სუბიექტის ძალა განელებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შედეგად სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია. დამატება ქვემდებარეს უტოლდება. ტრადიციული ტერმინი რომ ვიხმაროთ, დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისევეა მთავარი წევრი, როგორც ქვემდებარე“[27]. მაშასადამე, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, მთავარი წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება, ხოლო უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება (სხვადასხვა სახისა) არამთავარი წევრებია. ხვედრითი წონისა და სინტაქსური ძალის მიხედვით მთავარ წევრებს შორის ერთგვარი გარჩევაცაა. შემასმენელი ძირითადი წევრია, რომელსაც უკავშირდება ფორმის საშუალებით ყველა დანარჩენი მთავარი წევრი. მეორე ადგილს ქვემდებარე იჭერს, ხოლო დამატება (პირდაპირი და ირიბი) მესამე რიგში ექცევა.

---

[27] **არნ. ჩიქობავა**, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე. ტ. II, №2, 1941, გვ. 197.

§25. **მთავარ წევრთა რაოდენობა წინადადებაში.** მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში ზმნის ფორმა განსაზღვრავს. **წინადადებაში იმდენი მთავარი წევრია, რამდენპირიანიც არის ზმნა ერთის მიმატებით.** მაშასადამე, ქართულ მარტივ წინადადებაში მთავარ წევრთა რაოდენობა და შედგენილობა სხვადასხვაგვარია. მაგალითად: ცეცხლი იდნავღა ბუუტავდა. (ვაჟა, 6, 15). ზმნა ერთპირიანია და ამის გამო მთავარი წევრი ორია: ქვემდებარე (ცეცხლი) და შემასმენელი (ბუუტავდა). **განრისხებული ბატონი მოსამსახურეებს მიუბრუნდა.** (ევდ. 3, 15). **მიუბრუნდა** ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა. მთავარი წევრი სამია. შემასმენელი (მიუბრუნდა), ქვემდებარე (ბატონი) და ირიბი დამატება (მოსამსახურეებს). ნელი სიო ოდნავ **არხევდა** ფოთლებს. (გვეთ. 433). **არხევდა** ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. მთავარი წევრი აქაც სამია: შემასმენელი (არხევდა), ქვემდებარე (სიო) და პირდაპირი დამატება (ფოთლებს). **შვილმა დედას წერილი მისწერა.** აქ ზმნა სამპირიანია და ამის გამო წინადადებაში ოთხი მთავარი წევრია: შემასმენელი (მისწერა), ქვემდებარე (შვილმა), პირდაპირი დამატება (წერილი) და ირიბი დამატება (დედას).

წინადადებაში ზოგჯერ მხოლოდ ერთი მთავარი წევრია. მაგ.: **დასავლეთ საქართველოში გუშინ განუწყვეტლივ წვიმდა“** უსუბიექტო ანუ უქვემდებარო წინადადებაა, აქ მთავარი წევრი ერთია: შემასმენელი (წვიმდა).

მაშასადამე, ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის თვალსაზრისით შეიძლება იყოს ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი და ოთხშემადგენლიანი. ასეა ეს პირველი და მეორე სერიის ფორმებთან, მესამე სერიაში კი სამპირიანი ზმნები არ მოიპოვება და ამიტომ არც ოთხშემადგენლიანი წინადადება გვაქვს. ამასთანავე, ამ სერიაში გარდამავალ ზმნათა ფორმები ინვერსიულია, ობიექტური ნიშნით სუბიექტია გამოხატული, სუბიექტური ნიშნით – პირდაპირი ობიექტი. მაგ., **დამიწერია, გამიკეთებია** ... ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ფუძისაგან ნაწარმოებ ორპირიან და სამპირიან გარდამავალ ზმნათა სხვადასხვა მწკრივის ფორმები შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს. მაგ.:

იგი მე სურათს ***დამიხატავს*** სამპირიანი ზმნის მყოფადის მწკრივის ფორმაა. ოთხშემადგენლიანი წინადადებაა. **ს** მესამე სუბიექტური პირის ნიშანია, **მ** კი პირველი ირიბობიექტური პირისა.	ამისთანა სურათი მეც ***დამიხატავს*** – ორპირიანი ზმნის პირველი თურმეობითის ფორმაა. სამშემადგენლიანი წინადადებაა. **მ** სუბიექტური პირის ნიშანია, **ს** – პირდაპირი ობიექტური პირისა

შენიშვნა: ქართული გარდამავალი ზმნა ზოგჯერ თითქოს ოთხი პირის გაგებას იძლევა: დათიკო, თუ კაცი ხარ [შენ მე] ჩემს ცხენს სიმინდი მიჭმიე. (ლორთქ, 59). „მიჭმიე“-სთან დაკავშირებულია ქვემდებარე (შენ), პირდაპირი დამატება (სიმინდი) და ორი ირიბი დამატება (მე, ცხენს). I პირი მფლობელი ირიბია, მესამე კი (ცხენს) – კუთვნილი. ამგვარად, „მიჭმიე“-ს თუ ოთხპირიან ზმნად ჩავთვლით, მოცემულ წინადადებაში სულ ხუთი მთავარი წევრი იქნება[28].

§26. არამთავარი წევრები მთავარ და არამთავარ წევრებთან

მთავარი წევრები დამოუკიდებლად აყალიბებენ წინადადებას **(ღამე გამოეთხოვა ქვეყანას.** (ჭავ., 439), ან წარმოადგენენ წინადადების საფუძველს (თუ წინადადებაში არამთავარი წევრებიცაა: **პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ.** (გოგ., 36). ისინი წარმოადგენენ წინადადების საყრდენ ცენტრებს, მის მაორგანიზებელ წევრებს, ხოლო არამთავარი წევრები მათ გარშემო იყრიან თავს. არამთავარი წევრები სინტაქსურად უკავშირდებიან მთავარ წევრებს, ხსნიან მათ, ავრცობენ და მათთან ერთად ქმნიან სიტყვათა შეკავშირებას. გარემოება და უბრალო დამატება ჩვეულებრივ შემასმენელს ახლავს, განსაზღვრება კი – ქვემდებარესა და დამატებას. მაგალითად: პატარა მწყემსები მხიარულად დარბოდნენ მურყიანებში. აქ ქვემდებარეს ახლავს განსაზღვრება **(პატარა მწყემსები)**, შემასმენელს კი ორი გარემოება: ვითარებისა და ადგილისა **(მხიარულად** დარბოდნენ **მურყიანებში)**. სქემატურად ეს ასე გამოხატება.



არამთავარი წევრი შეიძლება ახლდეს თვით არამთავარ წევრსაც. მაგ.: ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში შეიპარა. (გოგ., 8). ამ წინადადებაში არამთავარი წევრებია: **ივანეს, სიმინდში** და **მეზობლის**. პირველი ქვემდებარეს ახლავს (ივანეს ცხენი), მეორე – შემასმენელს (სიმინდში შეიპარა). მესამე კი – არამთავარ წევრს (მეზობლის სიმინდში).



[28] **ლ. კიკნაძე.** ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში; ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №8-9, 1937, გვ. 72-74; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 344-347.

„ოთახში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან ქვემეხების გრუხუნი არღვევდა. (გვეტ. 434), ამ წინადადებაში სამი მთავარი წევრია, ოთხი – არამთავარი. ამ უკანასკნელთაგან სამი მთავარი წევრებს ახლავს, ხოლო ერთი – არამთავარს.



§27. მეტყველების ნაწილები სინტაქსური თვალსაზრისით

„სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ, გვაქვს თავისთავადი ანუ დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც წევრებად შედიან წინადადებაში, მეორე მხრივ კი – ისეთი „სიტყვები“, რომელთაც დამოუკიდებლობა აკლიათ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ მეტად საჭირონი არიან წინადადებაში: ისინი მნიშვნელობას უცვლიან წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და ამით გარკვეულ სამსახურს ასრულებენ“[29].

სრულმნიშვნელობიანი სიტყვა დამოუკიდებლად, სხვა სიტყვების დაუხმარებლად გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას საგანზე, ამა თუ იმ მოვლენაზე, საგნის ნიშან-თვისებაზე, რაოდენობაზე და სხვა, ე.ი. ასრულებს ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას. მაგალითად: ნაცრისფერ ცაზე ფერმიხდილი მთვარე ზანტად მიიზლაზნებოდა. (ლორთქ., 2, 339). ამ წინადადებაში ექვსი სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა, ე.ი. ექვსი წევრია. სრულმნიშვნელობიანი სიტყვა ფორმაცვალებადია (სახელები, ზმნები), ანდა ფორმაუცვლელი, უფორმო (ზმნიზედები).

სრულმნიშვნელობიანი სიტყვები, წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით, ოთხ ჯგუფად იყოფა[30], ესენია:

1. სიტყვები, რომელთაც წინადადების გაფორმებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ. ესენი არიან ზმნები, რომლებიც წინადადებაში შემასმენლად შედიან. ქართული ზმნა წინადადების დედაძარღვია. აზრის გამოხატვის საშუალებებით მეტყველების სხვა ნაწილები მას ვერ შეედრება. ზმნა ცალკეც გადმოგვცემს აზრს, ცალკეც წინადადებაა, დანარჩენი სიტყვები კი ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული, არ გამოხატავენ რაიმე გარკვეულ აზრს, მაშასადამე,

[29] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 36.
[30] იქვე.

არც არის წინადადება. ამიტომ არ არის გასაკვირი ის დიდი შეფასება, რომელსაც აძლევდა ზმნას ილია ჭავჭავაძე. რომლის აზრითაც, მეტყველების ნაწილებს შორის „მარტო ზმნა არის აზრის გამომეტყველი“[31]. მართლაც, ზმნა სული და გულია ქართული ენისა, ბურჯია მისი.

2. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში ქვემდებარისა და დამატების გადმოსაცემად არიან გამოყენებული, ასეთებია: არსებითი სახელები, ნაცვალსახელები (პირისა, კითხვითი...), საწყისები, მოქმედებითი გვარის მიმღეობანი, წილობითი რიცხვითი სახელები.

3. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში არსებითი სახელით ან გრამატიკულად მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემული წევრის განსაზღვრებად იხმარება. ასეთი სიტყვებია: ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები (რაოდენობითი და რიგობითი), ზოგი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი ...) და ვნებითი გვარის მიმღეობანი.

4. სიტყვები, რომლებიც ზმნასთან არიან დაკავშირებული და მის „განსაზღვრებად“ გვევლინებიან, ე.ი. გარემოებას აღნიშნავენ (ადგილისას, დროისას და სხვ.)“[32]. ასეთი სიტყვებია ზმნიზედები.

5. „სიტყვები“, რომლებიც ცალკე, ე.ი. დამოუკიდებლად, არ მიგვითითებენ არც საგანზე, არც საგნის ნიშან-თვისებაზე, არც მოქმედება-მდგომარეობაზე, არც გარემოებაზე... ასეთი სიტყვებია დამხმარე სიტყვები (თანდებული, ნაწილაკი, კავშირი), რომელთაც, საზოგადოდ, წინადადების წევრობა არ შეუძლიათ, მაგრამ გარკვეული როლი აქვთ დაკისრებული და ერთმანეთისაგან სხვადასხვა ნიშნით განსხვავდებიან. ასე, მაგალითად, კავშირი აერთებს ორ სიტყვას (ორ წევრს) ანდა ორ წინადადებას და გარკვეულ მიმართებას ამყარებს მათ შორის. თანდებული (აგრეთვე ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) დაერთვის სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და მასთან ერთად გადმოსცემს წინადადების წევრს. ნაწილაკი კი დაერთვის როგორც სახელს, ისე ზმნასა და ზმნიზედასაც, ე.ი. ახლავს ამა თუ იმ წევრს.

6. ენაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც სხვა სიტყვებთან სინტაქსურ კავშირს მოკლებული არიან, „მაგრამ სხვა სიტყვებს უპირისპირდებიან როგორც წინადადების ეკვივალენტები“[33]. ასეთი სიტყვებია შორისდებულები.

ამა თუ იმ მეტყველების ნაწილთან დაკავშირებულია რომელიმე ძირითადი სინტაქსური ფუნქცია, მაგრამ ენებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს სიტყვის ერთი მეტყველების ნაწილიდან სხვა

---

[31] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 52.
[32] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 36.
[33] იქვე.

მეტყველების ნაწილში გადასვლის პროცესი, ე.ი. გადანაცვლება ერთიდან მეორეში, და ამის შემდეგ მისი სხვა სინტაქსური ფუნქციით აღჭურვა. ეს პროცესი არც ქართულისათვის არის უცხო. ამის შედეგია სუბსტანტივაცია, ადიექტივიზაცია, ადვერბიალიზაცია. ასე, მაგალითად, ზედსართავი სახელი წინადადებაში განსაზღვრებაა (**მაღალი** სახლი), მაგრამ ის შეიძლება არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოვიყენოთ და ქვემდებარე ან დამატება გამოხატოს. მაგალითად: ამის გაგონებაზე **მაღალმა,** რომელსაც აბესალობი რქმეოდა, თვალები დააბრიალა. (ს. კლდ, 105). **მაღალმა** ქვემდებარეა.

დამოუკიდებელი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება დასუსტდეს და ის დამხმარე სიტყვად იქცეს. მაგ., **უნდა** ორპირიანი ზმნაა და შემასმენლად შედის ასეთ წინადადებაში: მას სწავლა გულით **უნდა**. იგივე უნდა დამხმარე სიტყვაა, როცა ვამბობთ: ვაჟკაცს ვაჟკაცობა ყველგან **უნდა ეტყობოდეს**. (ყაზ., 2, 35).

დამხმარე სიტყვა, თავის მხრივ, შეიძლება სრულმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობით იქნეს გამოყენებული. მაგალითად, „და" კავშირია წინადადებაში მინდორი და ველი ყვავის. (ერ.), მაგრამ არსებითი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული და ქვემდებარეა შემდეგს წინადადებაში: **და** მაჯგუფებელი კავშირია.

სახელის მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შორისდებულიც. მაგალითად: ტკივილისაგან **ვაი** წამოიძახა. **ვაი** აქ სახელია და, როგორც წინადადების წევრი, პირდაპირი დამატებაა.

შემასმენელი

§28. შემასმენლის რაობა. კითხვები

შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრია, რომელიც გამოხატავს საგნის მოქმედებას (ბულბული **გალობს**), მდგომარეობას (ბავშვი **წევს**), გრძნობითს დამოკიდებულებას ერთი საგნისას მეორისადმი (დედას შვილი **უყვარს**), ყოლა-ქონებას (ვანოს ორი შვილი **ჰყავს**, ვანოს წიგნი **აქვს**), **რა მოსდის** საგანს (სითბოსაგან რკინა **ფართოვდება**), **როგორია** საგანი (შაქარი ტკბილია), **ვინ** არის ან **რა** არის საგანი (ის კაცი **ილია წინამძღვრიშვილია** (ჭავ.; ია ყვავილია) და სხვ.

შემასმენელი ზმნის პირიანი ფორმით ან პირიანი ფორმის მონაწილეობით გადმოიცემა. ზმნა მდიდარია გრამატიკული კატეგორიებით და ამის გამო ერთდროულად მრავალ ცნებას გამოხატავს. შემასმენელიც ისეთივე მდიდარი შინაარსის, ე.ი. მრავალი ცნების, გამომხატველია, როგორისაც თვით ის ზმნა, რომლითაც შემასმენელია გადმოცემული.

მარტივი წინადადების სტრუქტურა, მისი ყალიბი ზმნის ფორმაშია მოცემული: ზმნის ფორმა განსაზღვრავს საყრდენ ანუ მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში. ზმნა-შემასმენელი აფორმებს წინადადებას და აძლევს მას დამთავრებულ სახეს (§2). მასთან ფორმის საშუალებით დაკავშირებულია სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფარდი სახელები, წინადადების მთავარი წევრები (ქვემდებარე, ირიბი დამატება, პირდაპირი დამატება). უმეტესად მასვე უკავშირდება წინადადების არამთავარი წევრებიც – უბრალო დამატება და გარემოება. სიტყვათა შეკავშირების თვალსაზრისით, ზმნა-შემასმენელს ვერც ერთი წევრი ვერ შეედრება. ის, ცალკე აღებულიც, წინადადებაა. მაშასადამე, შემასმენელი არა მარტო ერთერთი მთავარი წევრია წინადადებისა, არამედ სხვა მთავარ წევრთა შემცველიც.

შემასმენელი, გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა (§23), ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. ეს კითხვებია: რას შვრება? რას იზამს? რა ქნა? რა მოსდის? როგორია? და სხვ. კითხვაში შემავალი ზმნა შემასმენელს შესაბამისი მწკრივის, პირისა და რიცხვის ფორმით შეეწყობა.

შემასმენელი ორგვარია: მარტივი და შედგენილი. მარტივი შემასმენელი ზმნის ამა თუ იმ მწკრივის ფორმით გადმოიცემა, შედგენილი კი ბრუნებადი სიტყვითა და მეშველი ზმნით. მაგ: ეზოში ციცინათელები **დაფრინავდნენ**. (გვეტ. 314); მე და ის დიდი **მეგობრები ვიყავით**. (ლომ., 381). **დაფრინავდნენ** მარტივი შემასმენელია, **მეგობრები ვიყავით** – შედგენილი.

§29. მარტივი შემასმენელი

მარტივია შემასმენელი, რომელიც ზმნის უღლების ფორმით არის გადმოცემული. მწკრივის ერთი ფორმა, რომლითაც შემასმენელია გადმოცემული, შეიცავს ლექსიკურ მნიშვნელობასაც და კატეგორიებსაც (პირს, რიცხვს, დროს, კილოს და სხვ.). მაგ.: მთის წვერზე წამოგებული მზე ხალისიანად **ბრწყინავდა**. ფოთლებზე ცვარი **კამკამებდა** (გვეტ., 150); ტალავერში სიჩუმე **ჩამოვარდა**. (კ. ლორთ., 2, 237).

მარტივი შემასმენელი ზოგჯერ იმ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის ფორმაა, რომლითაც ქვემდებარეა გადმოცემული. მისი **დავთარი** ძველებურად ვეღარ **დავთრობდა** (კ. ლორთქ.); **თემი** ძველებურად ვეღარ **თემობს**. (ჯავ.).

ზოგი გარდაუვალი ზმნა (IV უღლების ზმნები) აწმყოს მწკრივის პირველსა და მეორე პირში რთული ფორმითაა წარმოდგენილი (მესამე პირში მარტივი ფორმაა): ვდგავარ, ვდგავართ; დგახარ, დგახართ ...

რთულია ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა ფორმები III სერიის

სამსავე მწკრივში, ხოლო ორპირიანი გარდაუვალისა – 1-ლ თურმეობითში: გავზრდილვარ, გაზრდილხარ... გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო; გავზრდილიყო, გაზრდილიყო, გაზრდილიყოს... მივსალმებივარ, მისალმებიხარ... რთულია აგრეთვე გარდამავალ ზმნათა 1-ლი თურმეობითის ფორმები I და II ობიექტურ პირში (წარმოშობით სუბიექტურში); ავუშენებივარ, აუშენებიხარ... ასეთი რთული ფორმები მწკრივის ფორმებია, ე.ი. შედის ზმნის უღლების სისტემაში, და ამიტომ მარტივ შემასმენლად მიიჩნევა.

მარტივ შემასმენლად მიიჩნევა რთული ზმნებით გადმოცემული შემასმენელიც: უზრუნველყო, უგულებელყო, ცხადყო, შეურაცხყო[34].

რამდენიმე ზმნა წარმოშობით შედგენილი შემასმენელია, ამჯამად კი – მარტივი: ცივა (<ცივ არს), თბილა (<თბილ არს), ცხელა (<ცხელ არს), გრილა (<გრილ არს), ბნელა (<ბნელ არს), ვარგა (<ვარგ არს), კმარა (<კმარის <კმა არის)[35].

რთული ზმნები უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულში, ვიდრე ახალში. ასეთი ზმნები ისტორიულად წარმომდგარი არიან ზმნა-შემასმენლის და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული წევრის (ქვემდებარის, დამატების...) შეერთებისაგან, ან კიდევ შედგენილი შემასმენლის კომპონენტთა შერწყმის შედეგად[36].

მარტივი შემასმენელი ხშირად გართულებული სახითაც გვხვდება.

ა) მარტივი შემასმენელი გამოხატულია ერთი და იმავე ზმნის განმეორებით. გამოხატავს მოქმედების ინტენსივობას, გახანგრძლივებულ პროცესს, მოქმედების ცდის არაერთხელობას. ასეთი განმეორება ჩვეულებრივია, როცა ზმნა წყვეტილის მწკრივის ფორმაა უსრული ასპექტისა. მაგ.: **ითმინა, ითმინა** ბიძინამ, მაგრამ ვეღარ მოითმინა... (რაზ., 367).

ბ) გართულებული მარტივი შემასმენელი გადმოცემულია შერწყმული ზმნებით, „რომლებიც ერთად იხმარება, მაგრამ პირველი ბოლოშეკვეცილია, მეორე კი სრული ფორმითაა წარმოდგენილი. შეირწყმება ხოლმე სინონიმური ან კონტრასტული შინაარსის მქონე ზმნები, ან კიდევ (და ეს უფრო ხშირად ხდება) ერთი და იმავე ფუძისაგან სხვადასხვა ზმნისწინით ნაწარმოები ზმნები“[37]. მაგ.: **დაწყნარდ-დადუმდა** მდინარე (ვაჟა); მამალი მედიდურად **მიდიმოდიოდა**. (ვაჟა, 5, 151).

---

[34] ჯ. თევზაძე, რთული ზმნის მიმართება შედგენილ შემასმენელთან: ა.ს.პუშკინის სახ. თბილისის სახელ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 14, 1959, გვ. 185-191.

[35] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 546-548.

[36] ჯ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1959, გვ. 398-409.

[37] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 514.

გ) მარტივი შემასმენელი შეიძლება გართულებულ იქნეს დამხმარე სიტყვების (ნაწილაკების) დართვით. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ნაწილაკი აწარმოებს კილოს ფორმას (ნუ მიდიხარ! არ წახვიდე!), ზოგი შესაძლებლობა-ვარაუდს გამოხატავს (შეიძლება, იქნებ, ეგებ), ზოგი კიდევ უნახაობას (თურმე), განმეორებულ მოქმედებას (ხოლმე) და სხვა. ზოგი ნაწილაკი მხოლოდ ერთი რომელიმე კილოს ფორმასთან იხმარება. ასეთია, მაგალითად, „უნდა“, რომელიც I ან II კავშირებითის ფორმას ახლავს, ან კიდევ მეორე თურმეობითისას, რომელიც მესამე კავშირებითის ნაცვლად არის ნახმარი[38]. ზმნა-შემასმენელს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე ნაწილაკი. ნაწილაკები სხვა ელფერს აძლევენ შემასმენელს, მეტნაკლებად ცვლიან მის მოდალობას. მაგალითი: სპილოს ლომსავით ცალკე ცხოვრება **არ მოსწონს** (გოგ., 182); ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს **ვეღარ ალოკავს** (ყაზ., 2, 314); ვაჟკაცს ვაჟკაცობა ყველგან **უნდა ეტყობოდეს** (ყაზ., 2, 35); [კურდღელს] შიშით **კინაღამ** გული **გაუსკდა** (წერ.); ვეღარ ხედავ, **ღამის** ცა **ჩამოიქცეს** (ჭავ.); ზამთრობით მგელი **ესტუმრება ხოლმე** ხმელს წიფელს. (ვაჟა).

§30. შედგენილი შემასმენელი

შედგენილი შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება: ბრუნებადი სიტყვისა და ზმნის პირიანი ფორმისაგან. მაგ.: ისინი ჩვენი **მეგობრები არიან**. (გოგ., 90) **ისინი** ქვემდებარეა, **მეგობრები არიან** კი შედგენილი შემასმენელია, რომლის პირველი ნაწილი სახელია, მეორე კი – ზმნა. შემასმენლის ლექსიკურ მნიშვნელობას ბრუნებადი სიტყვა გამოხატავს, შედგენილ შემასმენელში შემავალ ზმნას კი დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა და დამხმარე ანუ მეშველი სიტყვის როლს ასრულებს: ამყარებს კავშირს ქვემდებარესა და შედგენილ შემასმენელში შემავალ სახელს შორის და გამოხატავს ზმნურ კატეგორიებს: მწკრივს, პირს, რიცხვს, დროს, კილოს. რადგანაც შედგენილი შემასმენლის ბრუნებადი ნაწილი ჩვეულებრივ სახელია ან მორფოლოგიურად მასთან გათანაბრებული სახელზმნა, ამიტომ მას შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ჰქვია, დამხმარე ანუ მეშველ ზმნას კი – ზმნური ნაწილი. მაშასადამე, **მეგობრები** შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, **არიან** კი – ზმნური.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში ნახმარია სხვა ტერმინიც: **შემასმენლისი**[39]. შედგენილ შემასმენელს რთულსაც უწოდებენ. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს – თანასაერთს, პრედიკატივს, სახელითსა თუ სახელურ ნაწილს, ხოლო ზმნურ ნაწილს – საერთსა და კოპულას. ჩვენ ვამჯობი-

[38] იქვე, გვ. 636.

[39] **ი. იმნაიშვილი**, წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის საკუთარ სახელებში; პუშკინის სახ. თბილისის სამასწ. ინსტ. შრომები, ტ. III 1943, გვ. 269, მისივე, შედგენილი შემასმენელი ქართულში: იმავე ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 188.

ნებთ ტერმინებს: შედგენილი შემასმენელი, სახელადი ნაწილი, ზმნური ნაწილი.

ზოგჯერ შემასმენლის გამოხატვა მთლიანად სახელს აქვს დაკისრებული. მეშველი ზმნა კი ჩავარდნილია, გამოტოვებულია. მაგალითად: ჩემი სათქმელიც ეგ არის!... შენ – სტუმარი და ჩვენ მასპინძელი! (წერ., 1, 265); შენ – **მამა**, მე – **შვილიო** მითხრა. (ვაჟა, 6, 146).

შედგენილი შემასმენელი შეიძლება გართულებულ იქნეს დამხმარე სიტყვებით, მოდალური სიტყვებითა და ნაწილაკებით, სიტყვათა შეკავშირებით: ვაუკაცი ხარ, **ლაჩარი ნუ იქნები** (გან., 61). იგი **შეწუხებული უნდა ყოფილიყო**. (კლდ., 110).

§31. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გადმოცემა

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი უმეტესად ზედსართავი სახელით, არსებითი სახელითა და მიმღეობით გადმოიცემა, უფრო იშვიათად კი – რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელითა და საწყისით. ამათგან სახელადი ნაწილის გადმოსაცემად ძირითადია არსებითი სახელი, რომელიც ხშირად ჩავარდნილია (გამოტოვებულია) და მის ადგილს იკავებს მსაზღვრელი სიტყვა (ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა).

ა) სახელადი ნაწილი არსებითი სახელია: ცაცა და ვანო **დაძმანი იყვნენ**. (ევდ. 3, 8).

ბ) სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელია: სანდრო თუმცა **ზარმაცი იყო**, მაგრამ გული კი **კეთილი ჰქონდა**. (გოგ., 19).

გ) სახელადი ნაწილი მიმღეობაა: ეს კაცი **დაჭრილი უნდა ყოფილიყო** (ყაზ., 1, 52); მაშ საქმე **გაჩალხული ყოფილა**! (ყაზ).

დ) სახელადი ნაწილი რიცხვითი სახელია: – ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, **ოც-და-ათი იქნება** (ჭავ., 331); თუ კაცი ვარ, **ორმოცი უნდა იყოს**. (ჭავ., 331).

ე) სახელადი ნაწილი ნაცვალსახელია: მათის ზრუნვის საგანი **შენ ხარ** და **შენ იქნები** (ჭავ., 97); ...მომავალი **ჩვენია** (ჭავ., 97).

ქვემდებარე და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული: უსწავლელის **ყოფნა** რა **ყოფნაა**, უსწავლელის **სიცოცხლე** რა **სიცოცხლეა** (ვაჟა); ჩვენი **სოფელი** ლამაზი **სოფელია**. (ო. იოს.).

§32. სახელადი ნაწილის ბრუნვა

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ძველ ქართულში ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. მაგ.: მე ვარ **ჭაბუკ**, მე ვარ **კაც** და მისთ. ახალ ქართულში სახელადი ნაწილი ფუძის სახით იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს. მაგ: არ იყო **ხნიერ**, მაგრამ ვით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა. (ჭავ., 187). შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ სა-

ხელობით ბრუნვაში დგას (მხოლობითში ან მრავლობითში). მაგ.: მე **მწერალი გახლავარ** (ჭავ., 251); საათი მაღლა **იყო ჩამოკიდებული** (წერ., 1, 17); ჩვენ თქვენი **სტუმრები ვართ**. (ყაზ., 1, 319).

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად იშვიათად 1-ლი და მე-2 პირის უბრუნველი ნაცვალსახელებიც გვხვდება: ...ეხლა დედამ მომაგონა, რომ იმათი მწყემსი **მე ვიყავი** (ვაჟა, 5, 170); ის გვადი ბიგვა **მე ვარ**, ჭირიმე. (ქიაჩ., 3, 233).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ ნანათესაობითარი სახელობითია, რომელიც, როცა მხოლობით რიცხვშია, გარეგნულად არ განსხვავდება ნათესაობითის ფორმისაგან, მრავლობითში დასმისას კი ნათესაობით-სახელობითის რთული ფორმა მკაფიოდ არის წარმოჩენილი. მაგ.: ვასო კარგი **გულისაა**. (ვაჟა, 5, 29); მაიმუნები სხვადასხვა **ჯიშისანი არიან** (გოგ., 189); ისინი სხვანაირი **მოდგმისანი არიან**. (გვეტ., 128).

ნათესაობითის ფორმა ხშირად იხმარება წლოვანების გადმოსაცემად. მაშინ **თორმეტის წლისა ვიყავი** (ჭავ., 152); მაშინ **შევიქენ** მეც **ოცის წლისა** (ჭავ., 155); შენ **სამი წლისა იქნებოდი**. (ჭავ., 345).

უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებულ შემთხვევებში გამოტოვებულია სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი, ე.ი. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, რომლის ადგილსაც მართული განსაზღვრება იკავებს. ამას მოწმობს თუნდაც ისეთი შემთხვევები, როცა ასეთი სახელი წარმოდგენილია და არ არის გამოტოვებული: მე მაშინ ოცდახუთი წლის **ვაჟკაცი ვიქნებოდი** (ლომ., 167); [პეპია] ოცი წლის **ბიჭი გეგონებოდა**. (ჭავ., 313).

სახელადი ნაწილი გვხვდება აგრეთვე მიცემითსა და ვითარებითში[40]. ვითარებითში დასმულ სახელად ნაწილს, თუ ის ზედსართავისაგან არის მიღებული, ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს[41]. მაგ.: ეს უფრო **უხიფათოს გახდიდა** გზას (გვეტ., 558). **დედოფლად იყო** ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალი (გოგ., 270); დილაზე ავადმყოფი **უარესად შეიქნა** (კლდ.); ბალღი ვიყავ და **ბალღად ვრჩები**. (ლ. ასათ.).

სახელად ნაწილად რაოდენობითი რიცხვითი სახელის **მდე თანდებულიანი** ვითარებითი ბრუნვის ფორმაც გვხვდება: [ბასკები] რიცხვით **ერთ მილიონამდე არიან**. (ჯავ., 3, 227).

§33. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი

ზმნათა დიდზე დიდი უმეტესობა წინადადებაში მარტივი შემასმენელია, რამდენიმე ზმნა კი ხან მარტივი შემასმენელია, ხან მეშველი. მეშველი ზმნა ჩვეულებრივ გარდაუვალია, იშვიათად –

[40] **ი. იმნაიშვილი**, შედგენილი შემასმენელი ქართულში, გვ. 194.

[41] ჩვენ არ ვიზიარებთ, თითქოს თანასაერთოდ ხშირად გვხვდებოდეს ზმნიზედა (განსაკუთრებით ადგილისა). მაგ., „ბავშვი აქ არის“. „შენ შორს ხარ“ და მისთანა, მაგალითებში *არის* და *ხარ* მარტივი შემასმენლებია, *აქ* და *შორს* კი – ადგილის გარემოება.

გარდამავალიც. ყველაზე ხშირად შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად **ვარ** და მისი მონაცვლე ზმნები გვხვდება.

1. ვარ: ამ ზმნას მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმები აქვს: ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან. მყოფადის წრეში მას ენაცვლება **ვიქნები** (ვიქნებოდი, ვიქნებოდე), მეორე და მესამე სერიის მწკრივები კი **ყოფა** ზმნისაგან აქვს შევსებული. მაგ.: ჩვენ **ახალგაზრდები ვართ** (რაზ., 345); შენ ჭკვიანი **გოგო ხარ** (გვ., 268); ისინი **დაბინავებულიც იქნებიან** (ვაჟ, 5, 97); ვახშმობა **გადასული იქნებოდა** (რაზ., 78); გამიხარდი განთქმული მონადირე იყო (ვაჟა, 6, 134); ვაჟკაცი **პირდაპირი უნდა იყოს** (ყაზ., 1, 87); ეს ძაღლი ისევ **ცოცხალი ყოფილა**. (ლომ., 336).

ვარ ზმნის მესამე პირის ფორმა ხშირად შეკვეცილია, დარჩენილია მარტო თავკიდური ა, რომელიც შეერთებულია სახელად ნაწილთან ან რომელიმე სხვა სიტყვასთან.

ა) ა შეერთებულია სახელად ნაწილთან. შოშია ლამაზი **ფრინველია** (გოგ., 124); პირიმზე მზის **მოტრფიალეა**. (ვაჟა, 5, 238).

ბ) ა შეერთებულია სხვა სიტყვასთან, თვით ქვემდებარესთანაც კი: ფშატაძე დიდს საქმეებშია **გაბმული** (ვაჟა, 5, 292); არც ერთი საქმე არაა **პატარა**, რომელიც ხალხის კეთილდღეობას ემსახურება (ს. კლდ., 8); ...უზარმაზარი მთებია **აყუდებული**. (ლომ, 271).

მოყვანილ მაგალითებში შემასმენლებია: ა(რის) გაბმული, ა(რის) პატარა, ა(რის) აყუდებული.

„ა“ უერთდება იმ სიტყვას, რომელზედაც ლოგიკური მახვილია. მაგალითად, პირველ წინადადებაში „ა“ შეერთებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან და ლოგიკური მახვილიც მასზეა. თუ ვიტყვით **„პირიმზეა** მზის მოტრფიალე“, ლოგიკური მახვილი ქვემდებარეზე გადაინაცვლებს. მე-3 მაგალითში „ა“ შეერთებულია უბრალო დამატებასთან და ლოგიკური მახვილიც მასზეა. ეს „ა“ ქვემდებარეს რომ დავურთოთ („ფშატაძეა დიდ საქმეებში გართული“) ან შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს („ფშატაძე გართულია დიდ საქმეებში), ლოგიკური მახვილის ქვეშ ეს წევრები დადგება. ეს ფაქტი იმის მანიშნებელიც არის, რომ მეშველი ზმნა („ვარ“ და მისი მონაცვლენი) იმ სიტყვის გვერდით იკავებს ადგილს, რომელზედაც ლოგიკური მახვილია. მაგ.: „გიორგი **სოფელში იყო წასული**“ – „გიორგი **წასული იყო სოფელში**“ – „გიორგი **იყო სოფელში წასული**“, როგორც დასახელებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, ლოგიკური მახვილის სხვადასხვა სიტყვაზე გადანაცვლების შესაბამისად რამდენადმე შეიცვალა სიტყვათა განლაგებაც.

ა ზოგჯერ მარტივი შემასმენლის შეკვეცით არის მიღებული: გარეთ საშინელი სიცივეა (რაზ., 20); გზის პირად ერთი ტალახიანი მოედანია (წერ.); ირგვლივ მთებია დიდრონი. (ვაჟა). **სიცივე, მოედანი**

და **მთები** ქვემდებარეებია, ა(რის) კი სამსავე შემთხვევაში მარტივი შემასმენელია (და არა შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი). მაშასადამე, დასახელებულ მაგალითებში ორი დამოუკიდებული წევრი ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი.

„არის“ ერთპირიანი ზმნაა, ორპირიანად ის არ გადაკეთდება და, თუ წინადადებაში, სადაც ეს ზმნა შედგენილი შემასმენლის ნაწილია, ორპირიანი ფორმაა საჭირო, მაშინ მას ენაცვლება „მაქვს“ ან „მყავს“. პირველი („მაქვს“) მაშინ, თუ შედგენილ შემასმენელთან სახელობით ბრუნვაში შეწყობილი სახელი უსულო საგანს აღნიშნავს, და მეორე („მყავს“) მაშინ, თუ ასეთად სულიერი საგანია“[42]. მაგ.: წერილი **გაგზავნილი მაქვს** = ჩემი წერილი **გაგზავნილია**; ბავშვი **გაგზავნილი მყავს** = ჩემი ბავშვი **გაგზავნილია**. ამ ზმნებს მეორე სერიის მწკრივები აკლიათ, მყოფადის წრის მწკრივებში კი იმავე ძირისაგან ნაწარმოები **ენ**იანი ვნებითი ენაცვლება (მექნება, მეყოლება...), მესამე სერიაში კი გვაქვს **მქონია** (მქონოდა, მქონოდეს), **მყოლია** (მყოლოდა, მყოლოდეს). მაგ.: თვალები **დახუჭული მაქვს** (წერ., 1, 205); ზოგს ძაღლს ყურები **აცქვეტილი აქვს** (გოგ., 165); ონისეს თავი **დახრილი ჰქონდა** (ყაზ., 2, 457). ჩემი გეგმა **შესრულებული მექნება** (ს. კლდ., 1, 145); გალიაში დედლებთან ერთად მამალიც **ჰყავდა დამწყვდეული** (ვაჟა, 6, 195); ცოლ-შვილი **შეხიზნული ჰყავდა** სიმამრთან აჭარაში (გვეტ.); მე თავის დროზე **გაფრთხილებული მყავდით** ყველანი. (ს. კლდ.).

„არის“ ზმნას I-ლსა და მე-3 სუბიექტურ პირში ენაცვლება **გახლავს** (ერთპირიანი ზმნის მნიშვნელობით). ეს ზმნა „ლექსიკურად იგივეა, რაც „არის“, ოღონდ იხმარება მორიდებულ საუბარში, რომელიც უმცროსისაგან უფროსისადმია მიმართული“[43]. ამ ზმნას მე-2 სუბიექტური პირის ფორმა აკლია. აქ მას ენაცვლება **ბრძანდები**. ორივე დასახელებული ზმნა იხმარება შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად. მაგ.: მე **მწერალი გახლავართ** (ჭავ., 251); ქორი ორივე ფეხებით **გახლავსთ ჩამოკიდებული** (წერ. 1, 235), რუსუდანი ჭკვიანი, გამოცდილი **მანდილოსანი ბრძანდება** (ლომ., 293); თქვენ **ვინა ბრძანდებით?** (ჭავ.). მარტივი შემასმენელი, რომელიც სტატიკური ზმნით არის გადმოცემული, შეიძლება შევცვალოთ „წინადადებაში შედგენილი შემასმენლით, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის. სთესია – დათესილია, სწერია – დაწერილია, ჰმარხია – დამარხულია, ანთია – დანთებულია. აწყვია – დაწყობილია, აბარია – მიბა-

[42] ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა, II, სინტაქსი, 1963, გვ. 13.
[43] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 194.

რებული აქვს (ან ჩაბარებული აქვს) და მისთ... მაშასადამე, სტატიკური ზმნა – ეს არის ფორმა, რომელსაც შეუძლია თამამად შეცვალოს პასივის მიმღეობიანი შედგენილი შემასმენელი. ამიტომ, სადაც სტატიკური ფორმა არა გვაქვს, იქ სწორედ ასეთი შემასმენელი იხმარება: „იმ მარნის უკანა კედელზედ **ამოყვანილი გახლდათ** ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული“. (ჭავ.). „მიკვრა“ ზმნას აქვს სტატიკური ფორმა (აკრავს – ეკრა), „ამოყვანას“ კი – არა. ამიტომ ერთ შემთხვევაში ნახმარია სტატიკური ფორმა („ეკრა“), მეორე შემთხვევაში – მეშველზმნიანი მიმღეობა: „ამოყვანილი გახლდათ“ = „ამოყვანილი იყო“[44].

მეშველი ზმნის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე რამდენიმე სხვა ზმნაც: გახდა, დარჩა, ჰგონია, გამოდგა, გამოვა, ჩანს და სხვ.

ა) ...ონისეს გული ჩვილდებოდა და **მორჩილი ხდებოდა** (ყაზ., 2, 346); პატარა შიმელები დიდი **ხეები გახდნენ** (რაზ., 148); [კამეჩს] ზაქობაში გატარებული დრო **სანატრელი გაუხდა.** (რაზ., 230).

ბ) აბესალომიც **კმაყოფილი რჩებოდა** (არაგვ., 276); მოხუცებული ძალიან **კმაყოფილი დარჩა** (კლდ., 1, 149); მეზობელ სანარიელებს ეს ამბავი **შეუნიშნავი არ დარჩენიათ.** (ქიაჩ., 3, 191).

გ) ავს კაცს ყოველი კაცი თავისი **მსგავსი ჰგონია** (საბა, 132). დედას შვილი ისევ ლოგინში **მწოლარე ეგონა.** (ჭავ., 440).

დ) [ბუთქია] სამ-ოთხ დღეში უშველებელი **ძაღლი დადგება!**... (ქიაჩ., 3, 94); ბეჟანი დიახ მოხერხებული **ყმაწვილი დადგა.** (ჭავ.).

ე) რა ვუყოთ, თუ ეს სარკე **გაბზარული გამოდგება**, შიგადაშიგ ლაქებიანიცა; (ჭავ., 388); ჩვენი შიში **ტყუილი გამოდგა.** (გოგ.).

ვ) დასკვნებიც **ეჭვმიუტანელი ჩანს** (გ. ახვლ., 137); გარეგნულად მანუჩა **ჩია კაცი ჩანდა** (ქიაჩ., 3, 267).

ზ) იგი **ნიჭიერი აღმოჩნდა** (ქიაჩ., 3, 269); კედელი **წნელისა აღმოჩნდა.** (გვეტ., 463).

თ) „უიმე!... ჩემი გაზრდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ **სულელი გამოვაო!**“ (წერ., 1, 4); ...თქვენც დედათქვენსავით **მოსისხლენი** და **მტაცებლები გამოხვალთ!** (რაზ., 388).

ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი წარმოდგენილია, მეშველი ზმნა იგულისხმება: – ტანკისტი იყავით? – **ტანკისტი** (ო. იოს.); ცა იყო **ნაზი** და **წმინდა** (ლეონ.); დილა **წყნარი იყო** და **მზიანი.** (გ. რჩ.).

---

[44] იქვე, §387, გვ. 324.

§34. აღწერილობითი ვნებითი შემასმენლად

„ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება. ამიტომ მათ მაგივრობას ეწევა აღწერილობითი, ანუ პერიფრასტული ფორმები, რომლებიც ასეა ნაწარმოები: საუღლებელი ზმნა ვნ. წარსულ-დროიანი მიმღეობის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას სრულ-სახიან ზმნებში აქვს ადგილი, მაშასადამე, აღწერილობითი ვნებითი არ შეიძლება აწმყოს წრეში შეგვხვდეს, რომელიც უსრულ-სახიანი ზმნის კუთვნილებაა[45]. აღწერილობითი ვნებითით გადმოცემული შემასმენლის ნიმუშებია: მოტანილ იქნა (იქნეს, იქნება), დანიშნულ იქნა (იქნეს, იქნება) და მისთ.

აღწერილობითი ანუ „პერიფრასტული ვნებითი ახალ ქართულში თანდათან იფართოებს ხმარების არეს და ისეთ ზმნათაგანაც გვაქვს, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს“[46]. მაგ., ითქმის: დაინიშნა მასწავლებლად – დანიშნულ იქნა მასწავლებლად, გაირიცხა ინსტიტუტიდან – გარიცხულ იქნა ინსტიტუტიდან და მისთ. მაგრამ აღწერილობითი ვნებითი ერთადერთია, თუ ორპირიან მოქმედებითს არ ეწარმოება სათანადო ვნებითი. მაგ., შეიძინა წიგნები – შეძენილ იქნა წიგნები, წაიყვანა ბავშვი – წაყვანილ იქნა ბავშვი და მისთ.

“პერიფრასტული ვნებითი უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენელისაგან, რომელშიც ვნებითის მიმღეობა შედის. ასეთი შედგენილი შემასმენელი აწმყოს წრეშიც იხმარება. ამას გარდა, II სერიაში მას „იყო“ მოუდის და არა „იქნა“: „თანხა გაღებულია“, „თანხა გაღებული იყო“, „თანხა გაღებული იქნება“. ასეთ შედგენილ შემასმენელს რელატიური ფორმებიც უკეთდება: ამ შემთხვევაში „არის“ ზმნას აწმყოში „აქვს“ და „ჰყავს“ ენაცვლება: „თანხა გაღებული მაქვს“, „თანხა გაღებული მექნება“, „ძმა გაგზავნილი მყავს“, „ძმა გაგზავნილი მყავდა“, „ძმა გაგზავნილი მეყოლება“. პერიფრასტული ვნებითი კი მარტოოდენ აბსოლუტურ ფორმებს გვაძლევს. ამას გარდა, რადგანაც ფორმა აბსოლუტურია, აქ აღარ ხდება გარჩევა სულიერსა და უსულოს შორის, როგორც შედგენილ შემასმენელთან, – ყველგან „იქნება“ და „იქნა“ უნდა: „თანხა გაღებულ იქნება“, „თანხა გაღებულ იქნა“, „ძმა გაგზავნილ იქნება“, „ძმა გაგზავნილ იქნა“. როგორც მაგალითებიდან ჩანს, პერიფრასტულ შემასმენელში მიმღეობა ფუძის სახით არის წარმოდგენილი (მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მიმღეობა მიუძღვის მეშველ ზმნას), შედგენილ შემასმენელში კი მას სახელობითის ნიშანიც ახლავს დღევანდელ ქართულში“[47].

---

[45] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 304.

[46] იქვე, გვ. 304.

[47] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 304.

სიტყვათა მყარ შეკავშირებას ერთი წევრის მნიშვნელობა აქვს: ბეჟანს ეს სიტყვები **ჭკუაში დაუჯდა** (ჭავ.); დიდმა ბატონმა **თქვენი ჭირი წაიღო.** (ჭავ.). „ჭკუაში დაუჯდა“, ე.ი. „მოეწონა“, ხოლო „თქვენი ჭირი წაიღო“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოკვდა“.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებული „მინდა წავიდე“ ტიპის (მოდალური ზმნისა და კავშირებითის ფორმათა შეხამებით მიღებული სინტაქსური კონსტრუქცია) ერთ წევრად იქნეს გაგებული და მას პირობითად ორზმნიანი ანუ ბივერბალური შემასმენელი ეწოდოს. ამ მოსაზრების ავტორია პროფ. ნ. კოტინოვი, რომელიც დასახელებული ტიპის სინტაქსურ კონსტრუქციას არაერთგზის ეხებოდა თავის გამოკვლევებში. ძირითადი, რაც ამ კონსტრუქციასთან დაკავშირებით აქვს ავტორს ნათქვამი, მოკლედ ასეთია:

ბივერბალური შემასმენელი ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ქართულში. კონსტრუქციის წევრებს საერთო აქვთ ქვემდებარე. ასეთი კონსტრუქცია მიღებულია რთული ქვეწყობილი წინადადების რღვევის შედეგად. ბივერბალური შემასმენლის შემცველი წინადადება მარტივია (და არა რთული ქვეწყობილი). კონსტრუქციის წევრებს სხვადასხვა ფუნქცია აქვთ: კავშირებითის ფორმა ძირითად მოქმედებას გადმოგვცემს, მოდალური – მოქმედებისადმი განწყობა-დამოკიდებულებას. ამასთანავე, მათ შორის გარკვეული მიმართებაა: მოდალური ზმნა მართავს კავშირებითის ფორმას, საერთო ქვემდებარე მართავს მოდალურ ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში.

ბივერბალური შემასმენლის შემცველი მარტივი წინადადება რომ რთული ქვეწყობილი წინადადების გარდაქმნის შედეგად არის მიღებული, ამის დამადასტურებლად დასახელებულია ორი რამ:

ა) „უნდა“, „ჰლამის“, „ეგების“ ზმნათა ნაწილაკებად ქცევა;

ბ) მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა წევრების „აღრევა-გადაადგილება“, როგორიც გვაქვს, მაგალითად, შემდეგ წინადადებებში:

„მე, ჩემო გაბრიელ, ერთი კარგი წიგნი მინდა გაჩუქო“ (ჭავ.);

„მე კი სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა“ (მ. მაჭ.);

„ერთი მცირე გადახვევა მინდა გავაკეთო“. (რ. ჩანტლაძე).

ამათი შესაბამისი სავარაუდო ქვეწყობილი წინადადებებია:

„მე მინდა, ჩემო გაბრიელ, რომ ერთი კარგი წიგნი გაჩუქო“;

„მე კი მინდოდა, რომ სულ სხვა რამ მეთქვა“;

„მინდა, რომ ერთი მცირე გადახვევა გავაკეთო“.

ასეთია მოკლედ ნ. კოტინოვის თვალსაზრისი აღძრულ საკითხთან დაკავშირებით, რასაც ანგარიშგასაწევი დასაბუთებაც ახლავს. იწვევს გარკვეულ შენიშვნებსაც:

1. „მინდა გაჩუქო“ ტიპის გამოთქმებში მოდალური ზმნა თუ დამხმარე სიტყვის (ნაწილაკის) დონემდეა დასული, შეიძლება ასეთი გამოთქმები ორზმნიან შემასმენლებად დავასახელოთ?

2. რამდენად არის აუცილებელი, მოდალურ ზმნასა და კავშირებითის ფორმას ჰქონდეს საერთო ქვემდებარე? რა არსებითი განსხვავებაა, მაგალითად, „მინდა გაჩუქო“ და „მინდა მაჩუქო“ სინტაქსურ სიტყვათშეხამებას შორის?

3. ძნელია იმ აზრის გაზიარება, რომ „თქვენ გინდათ ტყის კონცერტს დაესწროთ?“ და მისთანა წინადადებებში ერთი შემასმენელია, რომ ასეთი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებები უკვე გარდაქმნილია მარტივებად.

ქვემდებარე და **შემასმენელი** გრამატიკაში გადმოსულია ლოგიკიდან. **ქვემდებარე** რთული სიტყვაა: **ქვე-მდებარე,** პირველი ნაწილი ადგილის ზმნიზედაა, მეორე – მიმღეობა (მ-დებ-არე). შემასმენელი მოქმედებითი გვარის მიმღეობაა (შე-მა-სმენ-ელ-ი), რომელიც ძველად „მაბეზღარს“ ნიშნავდა (საბა). ამ წევრის აღსანიშნავად დიდხანს იხმარებოდა **შესმენილი,** რომელიც ვნებითი გვარის მიმღეობაა (შე-სმენ-ილ-ი) და დაბეზღებულს, დასმენილს აღნიშნავდა. ეს ტერმინი მე-20 საუკუნის ზოგიერთ გრამატიკაშიც გეხვდება, მაგალითად, მ. ჯანაშვილისაში (1906 წ.). **ქვემდებარე** და **შემასმენელი** ანტონ პირველის გრამატიკიდან მომდინარეობს. მათ ნაცვლად სხვა ტერმინებიც უხმარიათ. მაგალითად, პ. კვიცარიძეს „სწორმეტყველებაში“ (1888) ნახმარი აქვს ტერმინები: „საუბნი“ და „სახვდომი“. ავტორს ისიც აქვს აღნიშნული, რა მნიშვნელობით ხმარობდნენ ამ ტერმინებს. იგი წერს[48]: „როგორც მსჯელობაში არის აღებული საგანი და მას შეეთქმის, ანუ მოაკლდების რამე ვითარება, ეგრეთვე წინადადებაში (მსჯელობის გარეგან სამოსელში) არის ერთი ისეთი სიტყვა, რომლითაც აღინიშვნის (უბნობის) ლაპარაკის მიზეზი, საგანი და მსჯელობის საფუძველი. მეორე სიტყვა არის ისეთი, რომელიც მიგვახვდენს და შეგვასმენს, თუ რა ვითარება მიეკუთნა, ანუ ჩამოერთვა საგანს და რა აზრია აგებული მსჯელობის საფუძველზე. პირველ სიტყვას წინადადებაში ეწოდების **საუბნი** ანუ ქვემდებარე, ხოლო მეორეს – **სახვდომი** ანუ შესმენილი“ (გვ. 11), „საუბნი და სახვდომი არიან წინადადების **თავიდათავი ნაწილები**, ანუ **პირველხარისხოვანნი წევრნი**“ (გვ. 12).

ინდოევროპულ ენებში ზმნა ერთპირიანია. მასთან დაკავშირებული პირმიმართი წევრი ერთია – ქვემდებარე. ამასთანავე, ნომინატივია მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვა. შემასმენელი აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც ქვემდებარით ნაგულისხმევ საგანს მიეწერება. ამიტომ დასახელებულ ენათა გრამატიკებში პირველად ქვემდებარეს განიხილავენ, შემდეგ – შემასმენელს. უცხო

[48] §95, გვ. 66.

ენათა გრამატიკების გავლენით დასახელებულ წევრთა განხილვის ასეთი მიმდევრობა დამკვიდრდა ქართული ენის გრამატიკებშიც. ის, რაც ლოგიკურია დასახელებულ უცხო ენათათვის, ქართულისათვის ალოგიკურია: ქართულ ენაში პირმიმართი წევრია არა მარტო ქვემდებარე, არამედ დამატება-ობიექტებიც. სახელობითი და მიცემითი დასახელებულ წევრთა საზიარო ბრუნვებია. ორ- და სამპირიან ზმნებთან თუ რომელი სახელია ქვემდებარე და რომელი პირდაპირი თუ ირიბი დამატება, ამის განსაზღვრა მხოლოდ ზმნა-შემასმენლის ანალიზით არის შესაძლებელი, ასე რომ წინადადებაში პირველად შემასმენელი უნდა დასახელდეს და ამის შემდეგ დადგინდეს, რომელი სახელია სუბიექტური პირის ფარდი სახელი, ე.ი. ქვემდებარე, და რომელი – პირდაპირი თუ ირიბი დამატება. ამან განაპირობა ის, რომ პირველი ადგილი შემასმენელმა დაიმკვიდრა. ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება – სამივე მთავარი წევრია, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც დიდია: ქვემდებარე ყოველგვარ ზმნასთან გვაქვს (ერთ-, ორ- და სამპირიან), დამატება-ობიექტები ერთპირიან ზმნებთან არა გვაქვს, ორპირიანთან ერთ-ერთია შესაძლებელი, ასე რომ ქვემდებარის ხვედრითი წონა აღემატება დამატება-ობიექტებისას და ამიტომ შემასმენლის შემდეგ ჯერ ქვემდებარის გაცნობაა გათვალისწინებული, ხოლო შემდეგ – დამატება-ობიექტებისა (პირდაპირისა და ირიბისა).

ქვემდებარე

§ 35. ქვემდებარის რაობა

ქვემდებარე, როგორც ვიცით, წინადადების მთავარი წევრია, რომელიც ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელით არის გადმოცემული.

ქვემდებარით აღნიშნული საგანი რეალური ვითარების მიხედვით ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით სუბიექტური პირი, სახელდობრ:

ა) რეალურადაც მოქმედია, აქტიურია: **არწივმა** ფრთა ფრთას შემოჰკრა. (რაზ., 286).

ბ) რეალურად უმოქმედოა: ტყეში ერთი **მუხა** იდგა. (ვაჟა, 5, 194).

გ) რეალურად სამოქმედოა: ეს სასურველი **სიტყვა** თემურაზისგან იქნა წარმოთქმული. (ლომ., 305).

დ) მოქმედების გამომწვევი მიზეზი თუ საქმის მოთავე და ხელმძღვანელია, ზმნით აღნიშნულ მოქმედებას კი რეალურად სხვა (resp. ირიბი ობიექტი) ასრულებს: ვნანობ, რომ ესე უსახელოდ **მოგეკვლევინე** [მე]. (ჭავ., 319).

ე) აღნიშნავს საგანს, რომელიც არც მოქმედია და არც სამოქმედო, რომლის შესახებაც შემასმენელი გადმოგვცემს, თუ რა არის, როგორია ან რა მდგომარეობაშია ის: **ია** მშვენიერი პაწაწინა სუნიანი ყვავილია (რაზ., 143); კარგია გაღვიძებული **ადამიანი!**... (ჭავ., 257); **ავადმყოფი** დამშვიდებულია და მისთ.

მაშასადამე, გრამატიკული სუბიექტი და რეალურად მოქმედი საგანი ზოგჯერ ერთი და იგივეა, ზოგჯერ – სხვადასხვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი რამ ყველა შემთხვევისათვის საერთოა: ქვემდებარე ყოველთვის ზმნის სუბიექტურ პირთან არის შეწყობილი, ე.ი. ის წევრია, რომელიც სუბიექტური პირის ფარდია. ეს არის საერთო, ზოგადი ნიშანი, რომელიც აერთიანებს ქვემდებარის ყველა შემთხვევას. ამიტომ ბუნებრივია, როცა ქვემდებარის რაობას ამ ზოგადი ნიშნის მიხედვით განვსაზღვრავთ.

§ 36. ქვემდებარის გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით

ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელითა და სახელზმნით გადმოიცემა. სახელთაგან უმეტესად არსებითი სახელები და ნაცვალსახელებია (პირისა, კითხვითი) გამოყენებული, სახელზმნათაგან კი – საწყისები და მოქმედებითი გვარის მიმდეობანი. მაგრამ ქვემდებარე შეიძლება გადმოიცეს ყოველგვარი სიტყვით, რომელიც არსებითი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგი შეიძლება გადმოიცეს აგრეთვე სიტყვათა შეკავშირებითა და მთელი წინადადებით.

1. არსებითი სახელი ქვემდებარედ: დილის **ნისლი** თანდათან იფანტებოდა (გვეტ., 352); გაშლილ ზღვაში **ნავი** ოდნავ ირხეოდა. (გრ. აბ., 221).

2. ზედსართავი სახელი ქვემდებარედ: **ცოფიანი** (←ცოფიანი ძაღლი) უცებ შედგა (რაზ., 354); **ღონივრები** (←ღონიერი ორაგულები) წინ მიდიოდნენ, **უღონონი** კი უკან მისდევდნენ. (გოგ., 198).

3. რიცხვითი სახელი ქვემდებარედ: აი **ერთმა** (←ერთმა წიწილამ) გატეხა ნაჭუჭი და გამოძვრა ბუდეში. მას მოჰყვა **მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე** და **მეექვსე**, მაგრამ **მეშვიდე** კი ტყუილად აკაკუნებს შიგნიდან, ვერ გამოტეხა და ვერა ნაჭუჭი. (გოგ., 120).

4. ნაცვალსახელი ქვემდებარედ: **მე** ჩემს ლექსს წავიკითხავ, **შენ** შენი ლექსი წაიკითხე (ევდ., 3, 314); **ჩვენ** სტუმრები ვართ (ყაზ., 1, 319); **თქვენ** ყმაწვილი კაცი ბრძანდებით (ჭავ., 355); **ისინი** ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულნი (ვაჟა, 5, 284); **ვინ** შეამკოს ღირსეულად ქარ-

თველ გმირთა მხარ-მკლავები? (წერ.).

5. სახელზმნა ქვემდებარედ: საამურია სიცხეში წყალში **დგომა** (ვაჟა, 5, 12); შორიდან ბულბულის **კვნესა-გალობა** ისმოდა (ვაჟა, 6, 91); **დაჭრილმა** თვალები ნელ-ნელა გაახილა. (გვეტ., 422).

6. ქვემდებარედ არსებითი სახელის მნიშვნელობით ხმარებული **ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული,** ზმნის პირიანი ფორმა თუ ასო-ბგერა: **არსად** დღეს ადგილის ზმნიზედაა. (ა. შ., 617); **თვის** აღნიშნავს დანიშნულებას. (ა.შ., 624). მაერთებელ კავშირთაგან ყველაზე გავრცელებულია **და,** რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. (ა. შ., 625); განა მართო **„ჰო“** და **„არა“** ჩხუბობენ? (ვაჟა, 7, 290); **ვაშა** მათ მოღვაწეობას, **ვაშა** მათ ამაყს დროშასა! (ვაჟა, 2, 32); დროის მიხედვით **„დავწერე“** წარსულია, რადგან მას პირისპირ უდგას **„დავწერ“,** რომელსაც მომავლის გაგება აქვს. (ა.შ., 391); ბარკალზე დაღად „ს“ იყო გამოხატული (ვაჟა, 5, 268); **ყ, ხ** და **ღ** ჰარმონიულ ჯგუფებს ქმნიან წინამავალ სამეულ ბგერებთან. (ა.შ., 23).

7. საკუთარი სახელი (გეოგრაფიული, ისტორიული მოვლენების, წიგნების, ამა თუ იმ თხზულების ან მისი ნაწილის სახელწოდება და სხვ.), რომელიც გადმოცემულია მთელი წინადადებით ან სიტყვათა შეკავშირებით, წინადადებაში ერთი წევრია. მაგალითად, როცა ვამბობთ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ა. ცაგარლის პიესააო“, ქვემდებარეა პიესის სათაური (**„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“**), რომელიც თავისთავად, ცალკე აღებული, რთული ქვეწყობილი წინადადებაა.

§37. ქვემდებარის ბრუნვები

ქვემდებარე ბევრ ენაში ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. ასეა ეს, მაგალითად, რუსულში, გერმანულსა და სხვა ევროპულ ენებში. ამიტომ, დასახელებულ ენებში ერთი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს. ესაა **ნომინატიური** ანუ სახელობითბრუნვიანი კონსტრუქცია.

ქართულში განსხვავებული ვითარებაა: ქვემდებარე სამ ბრუნვაში გვხვდება (მხოლობითსა და მრავლობითში). ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი. ამათგან მოთხრობითი საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა, სახელობითსა და მიცემითში კი, გარდა ქვემდებარისა, შეიძლება იდგეს დამატებაც. თქმული მესამე პირს ეხება. 1-ლსა და მე-2 სუბიექტურ პირთან ქვემდებარედ უბრუნველი ნაცვალსახელებია შეწყობილი: მე, შენ, ჩვენ, თქვენ. ამ ნაცვალსახელებს ქვემდებარის ბრუნვები არა აქვთ გარჩეული, ამიტომ სინტაქსური კონსტრუქცია ყოველთვის ერთგვარია. მაშასადამე, ახალ ქართულში სულ ოთხგვარი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს.

ა) ნომინატიური ანუ სახელობითბრუნვიანი: ჭალებში **ქედანი** ღუღუნებს (ჯავ.); მოწმენდილ ცაზე **ვარსკვლავები** მიმოფანტულან. (მიხ. მრევლ., 503).

ბ) **ერგატიული** ანუ მოთხრობითბრუნვიანი: **მეურმემ** ურემი გააჩერა (ევდ., 3, 125); **ქალებმა** ნაბიჯს აუჩქარეს. (ქიაჩ., 3, 157).

გ) **დატიური** ანუ მიცემითბრუნვიანი: შეხურებულს **გულს** სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. (ყაზ., 2, 294).

დ) ინდეფინიტური ანუ გაუფორმებელი. **მე** ვხატავ, **მე** დავხატე, **მე** დამიხატავს; **ჩვენ** ვხატავთ, **ჩვენ** დავხატეთ, **ჩვენ** დაგვიხატავს.

მე-4 კონსტრუქცია ნაცვალსახელთა უბრუნველობის გამო გამოიყო, თორემ იგი ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციას გულისხმობს, რაც ადვილად ირკვევა დანართი სახელის ბრუნვის ფორმით. მაგ.: „ჩვენ, **ირმები**, ენით არ ვლაპარაკობთ“. (ვაჟა); „ჩვენ, **ირმებმა**, ენით ლაპარაკი არ ვიცით“; „ჩვენ, **ირმებს**, ენით ლაპარაკი არ გვისწავლია“.

ქვემდებარე, რომელიც მოთხრობით ბრუნვაში დგას, აქტიურია, მოქმედია; ის იგივეა, რაც რეალურად მოქმედი საგანი. აქტიურია ხშირად სახელობითში დასმული ქვემდებარეც, მაგრამ ასეთი ქვემდებარე არცთუ იშვიათად რეალურად მოქმედების განმცდელი თუ სამოქმედოა, ხოლო ზოგჯერ არც მოქმედია და არც სამოქმედო. მიცემითში დასმული ქვემდებარე ინვერსიის საფუძველზეა მიღებული (III სერიაში) და რეალურად მოქმედ საგანზე მიუთითებს.

ისტორიულად პირველადია ინდეფინიტური კონსტრუქცია, რომელიც დღემდე 1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელებმა შემოგვინახეს, – „გაცილებით უფრო ძველი, ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები“[49]. ამათგან ნომინატიური კონსტრუქცია უფრო ახალია, ვინემ ერგატიული[50].

§38. ქვემდებარის კითხვები

ქვემდებარე **ვინ** ან **რა** ჯგუფის სახელით არის გადმოცემული. ამის შესაბამისად ქვემდებარეც ამ ორ კითხვაზე მიუგებს.

ვინ ნაცვალსახელს ორი ფორმა აქვს: **ვინ** და მიცემითის **ვის**, **ვინ** წარმოშობით მოთხრობითის ფორმაა (ვი-ნ), რომელიც შემდეგ სახელობითში არის გადმოსული“[51], **ვის** კი ამ ნაცვალსახელის მიცემითის (და ნათესაობითის) ფორმაა. ამიტომ სახელობითსა და

[49] **არნ. ჩიქობავა**, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, 1948, გვ. 3.

[50] იქვე, გვ. 6.

[51] ამ ნაცვალსახელის ფუძეა **ვი**. „სახელობითსა და მოთხრობითში ბრუნვის ნიშნად წარმოდგენილი **ნ**, როგორც ეს პირველად **ჰ. შუხართმა** აღნიშნა, წარმოშობით მარტოოდენ მოთხრობითისაა და სახელობითში შემდეგ არის გადასული“. **ა. შანიძე**. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 102.

მოთხრობითში დასმული ქვემდებარე, როცა ის ადამიანთა სახელითაა გადმოცემული, **ვინ** კითხვაზე მიუგებს (**ვინ** წერს? – ბავშვი. **ვინ** დაწერა? – ბავშვმა), მიცემითში დასმული კი – **ვის** კითხვაზე (**ვის** დაუწერია? – ბავშვს).

რა ნაცვალსახელს სამივე ბრუნვის ფორმა განსხვავებული აქვს (**რა** მოდის? – ძაღლი. **რამ** შეჭამა? – ძაღლმა. **რას** შეუჭამია? – ძაღლს).

ვინ, ვის, რა და **რას** კითხვებზე, გარდა ქვემდებარისა, მიუგებენ დამატება- ობიექტებიც (§45), **რამ** კი საკუთრივ ქვემდებარის კითხვაა.

ქვემდებარეს, რომელიც კითხვითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, კითხვა არ დაესმის. ამასთანავე, ბუნებრივი კითხვის დასმა ძნელდება მაშინაც, როცა ქვემდებარე მრავლობით რიცხვში დგას. ქვემდებარის ამოსაცნობად მხოლოდ კითხვებს ვერ დავეყრდნობით.

§39. ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთან

გარდამავალი ზმნის ქვემდებარე რეალურადაც მოქმედია, თუმცა ერთგვარი გარჩევა მაინც არის იმის მიხედვით, გარდამავალი ზმნა უშუალო კონტაქტის ფორმაა თუ შუალობითისა. უშუალო კონტაქტის ფორმასთან ქვემდებარე მოქმედების უშუალოდ შემსრულებელია (**ბავშვი** სურათს **ხატავს**), შუალობითი კონტაქტის ფორმასთან კი იგი საქმის ხელმძღვანელია, მოთავეა, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი კი ირიბი ობიექტია (**ბავშვი ამხანაგს** სურათს **ახატვინებს**).

გარდამავალი ზმნის (ორპირიანისა თუ სამპირიანის) მე-3 სუბიექტურ პირთან შეწყობილი ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: პირველი სერიის ფორმებთან სახელობით ბრუნვაში დგას, მეორე სერიის ფორმებთან – მოთხრობითში, მესამე სერიის ფორმებთან კი – მიცემითში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელობითში დასმულ ქვემდებარეს გარდამავალი ზმნის I სერიის ერთ-ერთი მწკრივის ფორმა შეეწყობა. მოთხრობითში დასმულს – მეორე სერიისა, ხოლო მიცემითში დასმულს – მესამე სერიისა. მაშასადამე, მწკრივის ფორმა განსაზღვრავს ქვემდებარის ბრუნვის ფორმას, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ზმნის სერიას, ე.ი. სინტაქსური დამოკიდებულება ამ მხრივ მათ შორის საურთიერთო ხასიათისაა. ვნახოთ ეს ორპირიანი გარდამავალი ზმნის მაგალითზე.

I სერია

ა) აწმყოს წრე

1. არწივი ფრთებს შლის
2. „ „ შლიდა ქვემდებარე *სახელობითშია*
3. „ „ შლიდეს

ბ) მყოფადის წრე

4. არწივი ფრთებს გაშლის
5. „ „ გაშლიდა ქვემდებარე *სახელობითშია*
6. „ „ გაშლიდეს

II სერია

7. არწივმა ფრთები გაშალა
8. „ „ გაშალოს ქვემდებარე *მოთხრობითშია*

III სერია

9. არწივს ფრთები გაუშლია
10. „ „ გაეშალა ქვემდებარე *მიცემითშია*
11. „ „ გაეშალოს

მაშასადამე, გარდამავალი ზმნის მე-3 პირის ფორმა ქვემდებარის სამგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის: ნომინატიურს ანუ სახელობითბრუნვიანს (I სერიაში), ერგატიულს ანუ მოთხრობითბრუნვიანს (II სერიაში) და დატიურს ანუ მიცემითბრუნვიანს (III სერიაში).

ამგვარი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს იმ ზმნებთანაც, რომელთაც პირდაპირი დამატება დაკარგული აქვთ და ამის გამო სამპირიანი ზმნა ორპირიანად არის გადაქცეული, ორპირიანი – ერთპირიანად, მაგრამ ინარჩუნებენ გარდამავალი ზმნის სხვა ნიშნებს (მორფოლოგიურსა და სინტაქსურს): **არჩილი** გაოცებით შეხედავს კესოს, **არჩილმა** გაოცებით შეხედა კესოს“ (ჭავ.), **არჩილს** გაოცებით შეუხედავს კესოსთვის.

ზმნები, რომელთაც პირდაპირი დამატება აღარ აქვთ და ქვემდებარე კი ბრუნვაცვალებადი ეწყობათ, წარმოშობით მოქმედებითი გვარის ფორმებია. ასეთი ზმნების ერთი წყება ენაცვლება ნაკლული მწკრივების შესავსებად საშუალი გვარის ზმნებს, რომელთაც საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში ეწარმოებათ: ცხოვრობს **იგი**, იცხოვრა **მან**, უცხოვრია **მას**.

ზოგიერთ გარდამავალ ზმნას ყველა სერიის ფორმები არ ეწარმოება. მაგ.: სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები გვაქვს I-ლსა და მე-2 სერიაში, მესამეში კი – არა. ამიტომ ასეთი ზმნები ორ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნიან: სახელობით-ბრუნვიანსა და მოთხრობითბრუნვიანს: **მეზობელი** სახლს **იშენებს, მეზობელმა** სახლი **აიშენა; კალატოზი** მეზობელს სახლს **უშენებს, კალატოზმა** მეზობელს სახლი **აუშენა.**

ამ ქცევათა შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებულია ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმები კუთვნილება-დანიშნულების

აღმნიშვნელი სიტყვების დართვით. მაგ.: ინჟინერს სახლი აუშენებია **თავისთვის**, ინჟინერს სახლი აუშენებია **მეზობლისათვის**. აღწერილობით, ე.ი. კუთვნილება-დანიშნულების სიტყვათა დართვით. სათავისო და სასხვისო ქცევათა შინაარსი გარდამავალი ზმნის საარვისო ქცევის პირველი და მეორე სერიის ფორმებითაც გადმოიცემა. მაგ.: **მეზობელი** სახლს აშენებს თავისთვის – **მეზობელი** სახლს აშენებს შვილისთვის, **მეზობელმა** სახლი ააშენა თავისთვის – მეზობელმა სახლი ააშენა შვილისთვის.

ეს ორი კონსტრუქცია გარდამავალი ზმნისაა, მესამე კი (დატიური ანუ მიცემითბრუნვიანი) ისტორიულად ინვერსიის ნიადაგზე არის მიღებული (გარდაუვალი ზმნის ირიბი დამატებისაგან).

§40. ქვემდებარე გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან

გარდაუვალი ზმნა ვნებითი ან საშუალი გვარისაა. ვნებითი, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარია: **ინ**იანი (ერთპირიანი), **ენ**იანი (ორპირიანი), **დონ**იანი (ერთპირიანი ან ორპირიანი) და უნიშნო (ერთპირიანი ან ორპირიანი). ერთპირიანია ან ორპირიანი საშუალი გვარის ზმნაც.

რეალური ვითარების მიხედვით გარდაუვალი ზმნის ქვემდებარით გადმოცემული საგანი სხვადასხვაგვარია, სახელდობრ:

ა) რეალურადაც მოქმედია: მალე **მონადირენი** ტყეში გაიფანტნენ (გვეტ. 410); **მურია** ღრინავს, ყეფს, ტრიალებს. (რაზ., 13).

ბ) რეალურად სამოქმედოა: ოჰ, როგორ ცივა, **ძვლები** მეყინება (რაზ.); ზამთარში **მდინარეები** მთლად იყინება (გოგ.); სითბოსაგან **რკინა** ფართოვდება.

გ) გამომწვევი მიზეზია, რეალურად კი მასზე სხვა მოქმედებს: ეკვლევინება **იგი** მას; ეთრევინება **იგი** ზღვის ტალღებს და მისთ.

გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეს ზოგჯერ სხვა ნიუანსიც ახლავს. დასახელებული შემთხვევები ძირითადია, ხოლო ზოგიერთ ზმნასთან ქვემდებარის საკითხი სპეციალურ განხილვას მოითხოვს. (§52).

გარდაუვალი (ვნებითი გვარის ერთპირიანი თუ ორპირიანი) ზმნის მესამე პირის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ბრუნვაუცვლელია. იგი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას. ამგვარად, გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან ერთი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს. ესაა სახელობითბრუნვიანი ანუ ნომინატიური კონსტრუქცია. ამასთანავე, სახელობითში დასმულ სახელს (resp. ქვემდებარეს) გარდაუვალი ზმნა შეიძლება შეეწყოს სამივე სერიის ფორმით. ამდენად, გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენლისა და მისი ქვემდებარის ერთმანეთთან შეწყობის წესი ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე გარდამავალი ზმნით გადმოცემული შემასმენლისა და მისი ქვემდებარისა. ვნახოთ ეს ერთ- და ორპირიან გარდაუვალ ზმნათა ნიმუშებზე.

ზმნა ერთპირიანი		ზმნა ორპირიანი	
	I სერია		
	ა) აწმყოს წრე		
1. *ბავშვი*	იმალება	1. *ბავშვი* დედას	ემალება
2. „	იმალებოდა	2. „ „	ემალებოდა
3. „	იმალებოდეს	3. „ „	ემალებოდეს
	ბ) მყოფადის წრე		
4. „	დაიმალება	4. „ „	დაემალება
5. „	დაიმალებოდა	5. „ „	დაემალებოდა
6. „	დაიმალებოდეს	6. „ „	დაემალებოდეს
	II სერია		
7. „	დაიმალა	7. „ „	დაემალა
8. „	დაიმალოს	8. „ „	დაემალოს
	III სერია		
9. „	დამალულა	9. „ „	დაჰმალვია
10. „	დამალულიყო	10. „ „	დაჰმალვოდა
11. „	დამალულიყოს	11. „ „	დაჰმალვოდეს

სახელობითში დგას ქვემდებარე დონიანი და უნიშნო ვნებითის მე-3 პირის ფორმებთანაც. მაგ., **სახლი** შენდება, **სახლი** აშენდა, **სახლი** აშენებულა; **სახლი** უშენდება, **სახლი** აუშენდა, **სახლი** აშენებია; მუხის **ტოტი** ხმება, მუხის **ტოტი** გახმა, მუხის **ტოტი** გამხმარა; მუხას **ტოტი** უხმება, მუხას **ტოტი** გაუხმა, მუხას **ტოტი** გახმობია.

ბრუნვაუცვლელია ქვემდებარე საშუალი გვარის ზმნებთანაც, ოღონდ აქ ცალკე უნდა გამოიყოს ის საშუალი გვარის ზმნები, რომლებიც „დანაკლის ფორმათა შესავსებად თავისი ფუძის მოქ. გვარის ზმნათა ფორმებს იყენებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: პირდაპირობიექტური პირის გამორიცხვით. ამის გამო ისინი რამდენადმე მოქმ. გვარის თვისებას იზიარებენ. III სერიის ფორმებს ინვერსიულად იკეთებენ. ამას ერთვის სინტაქსური მოვლენაც: სუბიექტის ბრუნვად ასეთ ზმნებთან მოთხრობითია II სერიაში და მიცემითი III-ში“[52]. მაგ.: ტირის **ბავშვი**, იტირა **ბავშვმა**, უტირია **ბავშვს**; ცხოვრობს **კაცი**, იცხოვრა **კაცმა**, უცხოვრია **კაცს**. მაშასადამე, ამ ტიპის (resp. მედიოაქტივის) ზმნათა მე-3 პირის ფორმასთან სამგვარი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს (ისევე, როგორც გარდამავალი ზმნის მე-3 პირთან). ყველა სხვა შემთხვევაში კი, გარდა ორიოდე შემთხვევისა (§§ 50, 52), გარდაუვალი ზმნის მე-3

[52] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 314, 371.

პირის ფორმასთან ქვემდებარე მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას.

გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან ქვემდებარე ყოველთვის სახელობით ბრუნვაშიაო, რომ ვამბობთ, იგულისხმება ქართული სალიტერატურო ენა, თორემ ზოგიერთ კილოში გარდაუვალი ზმნის მე-2 სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობითშიც გვხვდება მსგავსად მეგრულისა, სადაც მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქცია მე-2 სერიაში ერთადერთი კონსტრუქციაა. „მეგრულისებური ტენდენციები შენიშნულია ქართულ დიალექტებში; უფრო ინტენსიურია ეს პროცესი გურულსა და ქვემო-იმერულში, სადაც ზანურის კვალი ხელშესახებია; უფრო მკრთალია აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, კახურში...), სადაც მოვლენა დამოუკიდებლივ ჩაისახა[53]. **ბავშვმა** დაიმალა. **ბავშვმა** დაემალა, **დედამ** დაეხმარა, **კაცმა** მოვიდა და მისთ. სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებელია.

§41. ქვემდებარე პირველი და მეორე პირის ფორმებთან

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, როგორც ვიცით, უბრუნველია. ამიტომ, როგორიც უნდა იყოს ზმნა გარდამავლობისა თუ სერიების მიხედვით, მასთან ქვემდებარედ შეწყობილი ნაცვალსახელები პირველსა და მეორე პირში ყველგან ერთი და იმავე სახისა იქნება. ამასთანავე, აღნიშნული ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან ზმნა (გარდაუვალი თუ გარდამავალი) შეიძლება ვიხმაროთ სამივე სერიის ფორმით. მაშასადამე, როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმებთან ყოველთვის მხოლოდ ერთი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს. ესაა ინდეფინიტური ანუ ოდენფუძიანი კონსტრუქცია, რომელიც არსებითად განსხვავდება ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციებისგან.

მაგალითი გარდაუვალ ზმნაზე: **მე** ვიმალები, **მე** დავიმალე, **მე** დავმალულვარ. **შენ** იმალები, **შენ** დაიმალე, **შენ** დამალულხარ; **ჩვენ** ვიმალებით, **ჩვენ** დავიმალეთ, **ჩვენ** დავმალულვართ. **თქვენ** იმალებით, **თქვენ** დაიმალეთ, **თქვენ** დამალულხართ.

მაგალითი გარდამავალ ზმნაზე: **მე** ვაშენებ, **მე** ავაშენე, **მე** ამიშენებია; შენ აშენებ, **შენ** ააშენე, **შენ** აგიშენებია; **ჩვენ** ვაშენებთ, **ჩვენ** ავაშენეთ, **ჩვენ** აგვიშენებია; **თქვენ** აშენებთ, **თქვენ** ააშენეთ, **თქვენ** აგიშენებიათ.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ზმნის ფორმით ადვილად იგულისხმება, ხშირად გამოტოვებულია: ღამეს ვატარებ ხეზედა ძილით, დილას ვახარებ გალობით ტკბილით (ჭავ., 11); ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს და იმის პატრონს ნუ ეძახი

---

[53] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, გვ. 2; აგრეთვე: ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში, „ჩვენი მეცნიერება", 1923, №1.

მხდალს (ჭავ., 160); მთელი ღამე დავდიოდით ველზე. (ვაჟა, 5, 15).

თუ პირველი და მეორე პირის ფორმებთან ქვემდებარედ ბრუნვიანი სიტყვებია დაკავშირებული (ცალკე ან უბრუნველ ნაცვალსახელებთან ერთად), ისინი მათ ისე შეეწყობა, როგორადაც იმავე ზმნის მესამე პირის ფორმებს გარდამავლობისა და სერიების მიხედვით. მაგ.: ერთხელ მე და **ბაბაჩემი** ერთს ადგილს შევიყარენით (ჭავ., 76); მე და ჩემმა **ამხანაგებმა** სიცილი დავიწყეთ (ვაჟა, 5, 180); გავიზიარეთ **ყველამა** საქმე (ჭავ., 153); მაშ შენ და **ბებიამ** შეჰკარით პირობა ერთად, რომ შენი ბატონი დღეს დილით მოგეკლათ? (ჭავ., 310).

ამგვარად, სინტაქსური კონსტრუქციისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზმნის ფორმას, არამედ იმასაც, თუ მასთან ქვემდებარედ როგორი სიტყვაა შეწყობილი – ბრუნებადი თუ უბრუნველი. ამასთანავე, გარდაუვალი ზმნა ქართულში ქმნის ორგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას (ნომინატიურს და ინდეფინიტურს), გარდამავალი კი – ოთხგვარს (ნომინატიურს, ერგატიულს, დატიურსა და ინდეფინიტურს).

§42. ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან

პირველი და მეორე პირის ბრძანებითის ფორმასთან ხშირად იხმარება წოდებითში დასმული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიიჩნევს მოუბარი ანუ პირველი პირი იმას, ვინც უნდა შეასრულოს მისი ნება-სურვილი, ბრძანება. ასეთ შემთხვევებში სათანადო პირის ნაცვალსახელი შეიძლება არც კი იყოს ნახმარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვემდებარეა არა წოდებითში დასმული სიტყვა, არამედ ზმნის ფორმით ნაგულისხმევი სუბიექტური პირი, რომლის შესაფერისი ნაცვალსახელი თავისთავად იგულისხმება. მაგ.: მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! (ვაჟა, 5, 239). ქვემდებარეა მეორე სუბიექტური პირი მხოლობით რიცხვში, მისი შესაფერისი **შენ** იგულისხმება. წამოდექით, ყმაწვილებო! ქვემდებარე აქაც მე-2 სუბიექტური პირია, ოღონდ მრავლობით რიცხვში, სადაც ბრძანებითის ფორმასთან **თქვენ** იგულისხმება. წავიდეთ, ძმებო! აქ ქვემდებარეა 1-ლი სუბიექტური პირი მრავლობითი რიცხვისა, მისი შესაფერისი **ჩვენ** კი იგულისხმება. წოდებითში დასმული სახელები: **მზეო, წვიმავ, ყმაწვილებო** და **ძმებო** - ყველა მიმართვაა და წინადადების წევრი არ არის.

ბრძანებითის ფორმასთან ნაცვალსახელის ხმარება ჩვეულებრივია, როცა ლოგიკური ხაზგასმა თუ დაპირისპირებაა ქვემდებარეებისა. **ჩვენც** ავდგეთ, ძმანო, და ერთიც გამარჯვებისა დავლიოთ. (გრ. ორბ.); **მე** სოფელში წავალ, **შენ** კი აქ დარჩი.

§ 43. დამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი

ქართულში დამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი გვაქვს: დამატება-ობიექტები და უბრალო დამატებანი. დამატება-ობიექტები ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელებია. უბრალო დამატება არ არის ზმნის აგებულებით ნაგულისხმევი და ამის გამო ზმნის ობიექტურ პირთან არც არის დაკავშირებული. მაგალითად, „ტოროლამ ნისკარტით ამოგლიჯა რამდენიმე ბალახი“. (გოგ.). ამ წინადადებაში ორი დამატებაა: **ბალახი** და **ნისკარტით**. ამათგან პირველი (ბალახი) ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელია, ე.ი. დამატება-ობიექტია, მეორე კი (ნისკარტით) ზმნის ობიექტურ პირთან არ არის დაკავშირებული და უბრალო დამატებაა. ზმნა-შემასმენელთან ამგვარი მიმართების გამო დამატება-ობიექტს **პირმიმართ** დამატებას უწოდებენ, უბრალო დამატებას – **პირმიუმართავს**.

დამატება-ობიექტები წინადადების მთავარი წევრებია, უბრალო დამატებანი – არამთავარი. დამატება-ობიექტები წინადადებაში მაშინ გვაქვს, როდესაც შემასმენელი ორ- და სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული. უბრალო დამატება შეიძლება ახლდეს არა მარტო პირიან ზმნას (რამდენპირიანიც უნდა იყოს ის), არამედ უპიროსაც. მაგალითად, „**თოფით** მოკლული **დათვი ურმით** წაიღეს სოფელში“. ამ წინადადებაში სამი დამატებაა: **დათვი, ურმით** და **თოფით**. ამათგან ერთი (დათვი) ზმნა-შემასმენლის ობიექტური პირის ფარდი სახელია (წაიღეს **რა**? - დათვი), ორი დანარჩენი კი (“ურმით“ და “თოფით“) ზმნის პირთან არ არის დაკავშირებული. შეიძლება ითქვას: ურმით წასაღები, ურმით წაღებული, ურმით წაღება. **თოფით** დაკავშირებულია მიმდეობასთან (მოკლული), რომელიც მოყვანილ წინადადებაში განსაზღვრებაა (**მოკლული** დათვი), ე.ი. **თოფით** არამთავარი წევრია არამთავარ წევრთან. მაშასადამე, **დათვი** დამატება-ობიექტია, **ურმით** და **თოფით** კი ორივე უბრალო დამატებაა.

ორპირიან ზმნასთან ერთი დამატება-ობიექტია დაკავშირებული, სამპირიანთან – ორი. მაგ.: მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა. (ყაზ., 2, 446): **მოჰფარებოდა** ორპირიანი ზმნაა, ორივე პირი მესამეა. სუბიექტური პირის ფარდი სახელია **მთვარე**, ობიექტურისა – **ღრუბელს**. მაშასადამე, **მთვარე** ქვემდებარეა, **ღრუბელს** – დამატება-ობიექტი. ვანომ გრძნობიერი წერილი მისწერა დედ-მამას. (ვაჟა 6, 272): **მისწერა** სამპირიანი ზმნაა. სამივე პირი მესამეა. ამათგან ერთი პირი სუბიექტისაა, ორი – ობიექტისა. სუბიექტური პირის ფარდი სახელია **ვანომ**, ობიექტური პირებისა – **წერილი** და **დედ-მამას**. მაშასადამე, სამპირიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ფორმის საშუალებით დაკავშირებულია ქვემდებარე და ორი დამატება-ობიექტი.

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ამის შესაბამისად დამატება-ობიექტიც ორგვარია: **პირდაპირი** და **ირიბი**. ორპირიან ზმნასთან ერთ-ერთია შესაძლებელი, სამპირიანთან – ორივე.

§ 44. დამატება-ობიექტების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით

დამატება-ობიექტები იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა, რომლებითაც ქვემდებარე, ამ მხრივ ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის განსხვავება არ არის.

ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების გადმოცემასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს ქართული ენის ერთი თავისებურება: „ქართულ ენას შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნიზედაც, თანდებულიც, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებულიც, ე.ი. ყოველგვარი სიტყვა, მათ შორის ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება ითქვას: ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც კი. ქართული ენის ამ თავისებურებას უკვე **ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება**“[54]. ამ თავისებურების გამო დასახელებული მეტყველების ნაწილები თუ სიტყვათა შეკავშირება და წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ არსებითი სახელის მნიშვნელობით და დამატება-ობიექტებიც გადმოიცეს. როგორც ქვემდებარის, ისე დამატება-ობიექტების გამოტოვებისას მათს ადგილს მსაზღვრელი სახელი იჭერს. მაგ.: „ჩემი მეგობრის უფროსი შვილი უნივერსიტეტში სწავლობს, **უმცროსი** კი წელს ამთავრებს საშუალო სკოლას“.

1. არსებითი სახელი დამატება-ობიექტად: საოცარი სილამაზით მოხიბლული ლელა **სტუმარს** თვალს ვერ აშორებდა. (გრ. აბ. 441).

2. ზედსართავი დამატება-ობიექტად: გადავემტერეთ... **ავსა, კარგსა** ... (ჭავ., 416); **დიდს** ეუბნებოდნენ, **პატარას** ასმენდნენ და აგულისხმებდნენო. (ანდ.).

3. რიცხვითი სახელი დამატება-ობიექტად: [ფშატაძე] **ერთს** ქათამს მოსტაცებდა, **მეორეს** – ბატს, **მესამეს** – ინდაურს, **მეოთხეს** – ცხვარს და სხვ. (ვაჟა, 5, 296).

4. ნაცვალსახელი დამატება-ობიექტად: შენ **მე** წამახალისე, მე კიდევ **შენ** წაგახალისებ (ჭავ., 282); მერე მე ძროხა **ვის** ჩავაბარო? (ჭავ. 157).

5. სახელზმნა დამატება-ობიექტად: ნოდარმა ხარბად დაიწყო **ჭამა** (გვეტ.; 454); ნაცნობმა ხმამ **დაჭრილს** ურუანტელი მოჰგვარა. (გვეტ.; 483).

6. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები და ზმნის პირიანი

[54] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 77.

ფორმა სახელის მნიშვნელობით დამატება-ობიექტად: **ამიტომსა** და **იმიტომს** ჩირაძე ყურს არ უგდებს (ჯავ., 2, 179); **თან**-ს გასაძლიერებლად **ერთად**“ ერთვის (ა.შ., 620); ბუნებაც „**ვაშას**“ უძახის მდიდრად მორთულის ალმითა (ვაჟა, 4, 29); არც **ჰოს** ამბობდა და არც **არას** (დად.; 349); სადაც შევდივარ, ყველგან **დაბრძანდის** მეუბნებიან... (წერ., 7, 31).

7. სიტყვათა შეკავშირება თუ წინადადება დამატება-ობიექტად: 1883 წლის დასაწყისში დავწერე „**შვლის ნუკრის ნაამბობი**“, დამლევს იმავე წლისა – **მოხუცის ნათქვამი**“ (ვაჟა, 5, 506); „**მეხი კი დაგეცა**“-საც ზედ დაატანდა. (ჭავ., 329).

§45. დამატება-ობიექტების ბრუნვები და კითხვები

დამატება-ობიექტების ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი: აპრილის პირმცინარი მზე **დედამიწას** საგაზაფხულო სხივებით **გულმკერდს** უქარგავდა. (ქიაჩ.) ამ წინადადებაში ორი დამატება-ობიექტია და ორივე მიცემით ბრუნვაში დგას. „ელიზბარმა **თოფს ფალია** გამოუცვალა“. (ვაჟა, 6, 182): ამ წინადადებაშიც ორი დამატება-ობიექტია: **თოფს** და **ფალია**. ამათგან ერთი სახელობითში დგას (ფალია), მეორე – მიცემითში (თოფს). ეს ორი ბრუნვა ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების საზიარო ბრუნვებია.

დამატება-ობიექტების კითხვებია **ვინ** და **რა** სახელობითისა და მიცემითის ფორმით (**ვინ? ვის? რა? რას?**). ამ კითხვებზე მიუგებს სახელობითსა და მიცემითში დასმული ქვემდებარეც (**ვინ** კითხვაზე მოთხრობითში დასმული ქვემდებარეც). მაშასადამე, ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს საზიარო აქვთ არაა მარტო ბრუნვები (გარდა მოთხრობითისა), არამედ კითხვებიც (გარდა **რამ** კითხვისა). ამიტომ ქვემდებარისა და დამატება – ობიექტების ამოსაცნობად, ამ წევრთა ერთმანეთისაგან გასარჩევად თავისთავად არც ბრუნვები გვშველის და არც კითხვები.

§46. პირდაპირი დამატება

პირდაპირია დამატება, რომელიც წინადადებაში პირდაპირობიექტური პირის ფარდი სახელია. ასეთი დამატება მხოლოდ გარდამავალ ზმნას აქვს (ორპირიანს თუ სამპირიანს) და აღნიშნავს, რომ ქვემდებარის მოქმედება მას ეხება უშუალოდ (ტყეში გლეხი **შეშას** აპობდა, დ. შენგ.; 1, 30) ან სხვა პირის მეშვეობით (სიცივემ [წიწილას] დედის **უბე** მოაძებნინა. (რაზ.).

მესამე პირდაპირობიექტურ პირთან შეწყობილი დამატება პირდაპირია და ბრუნვაცვალებადი: პირველი სერიის ფორმებთან მი-

ცემითში დგას, ხოლო მეორე და მესამე სერიის ფორმებთან – სახელობითში. მაგ.: განთიადი ნელა შლიდა **ფრთებს** (ქიაჩ.); მთებმა შავი **ნაბდები** წამოისხეს (ვაჟა); მაყვალას მინდვრის **ყვავილები** დაუკრეფია (კ. ლორთქ.).

თქმულის მიხედვით ისიც ნათელია, რომ მიცემითში დასმულ პირდაპირ დამატებასთან ზმნა I სერიის ფორმით იხმარება, სახელობითში დასმულთან კი – II ან III სერიისა. ამასთანავე, III სერიის ფორმასთან სახელობითში დასმული პირდაპირი დამატება ისტორიულად გარდაუვალი ზმნის ქვემდებარისაგან ინვერსიის შედეგად არის წარმომდგარი.

პირდაპირი დამატების კითხვებია: ვინ? რა? ვის? რას?

გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარეც ბრუნვაცვალებადია. მაშასადამე, გარდამავალ ზმნასთან ორი ბრუნვაცვალებადი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე და პირდაპირი დამატება: მათ ორი საზიარო ბრუნვა აქვთ (მიცემითი და სახელობითი), მაგრამ არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე სახელობითში იყოს ან ორივე მიცემითში. ასე, მაგალითად, როცა ქვემდებარე სახელობითშია დგას, პირდაპირი დამატება მიცემითშია, ხოლო როცა ქვემდებარე მოთხრობითშია ან მიცემითში, პირდაპირი დამატება სახელობით ბრუნვაშია. მაგ.:

ზმნა ორპირიანი	**ზმნა სამპირიანი**
I სერია	
ა) აწმყოს წრე	
1. ბავშვი *წერილს* წერს	1. ბავშვი დედას *წერილს* სწერს
2. „ „ წერდა	2. „ „ „ სწერდა
3. „ „ წერდეს	3. „ „ „ სწერდეს
ბ) მყოფადის წრე	
4. „ „ დაწერს	4. „ „ „ მისწერს
5. „ „ დაწერდა	5. „ „ „ მისწერდა
6. „ „ დაწერდეს	6. „ „ „ მისწერდეს
II სერია	
7. ბავშვმა *წერილი* დაწერა	7. ბავშვმა დედას *წერილი* მისწერა
8. „ „ დაწეროს	8. „ „ „ მისწეროს
III სერია	
9. ბავშვს *წერილი* დაუწერია	9. ბავშვს დედისთვის *წერილი* მიუწერია
10. „ „ დაეწერა	10. „ „ „ მიეწერა
11 „ „ დაეწეროს	11. „ „ „ მიეწეროს

მაშასადამე, გარდამავალი ზმნის მე-3 პირის ფორმა პირდაპირი დამატების ორგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის: სახელობით-ბრუნვიანსა და მიცემით-ბრუნვიანს. ეს ორი კონსტრუქცია ძალაშია მაშინაც, როცა გარდამავალ ზმნას აქვს 1-ლი და მე-2 სერიის ფორმები, ხოლო მესამისა არ გააჩნია (მაგ., სათავისო ქცევას).

§47. ირიბი დამატება

ირიბია დამატება, რომელიც წინადადებაში ირიბობიექტური პირის ფარდ სახელად არის წარმოდგენილი. ირიბი დამატება აქვს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნასაც. გარდაუვალი ზმნა, რომელსაც ირიბი დამატება ახლავს, ორპირიანია, გარდამავალი კი – სამპირიანი.

ირიბი დამატება უმოქმედოა: ქვემდებარის მოქმედება მას არა-პირდაპირ ანუ ირიბად ეხება, მაგრამ რეალური ვითარების მიხედვით ირიბობიექტური პირი (და ამასთან დაკავშირებით ირიბი დამატებაც) სხვადასხვაგვარია. დავასახელოთ ზოგიერთი ნიუანსი:

ა) ქვემდებარის მოქმედება უშუალოდ ეხება: მოხუცი **ხეს** მიეყრდნო; მანქანა **სახლს** დაეჯახა; დედა **შვილს** ეფერება.

ბ) აღნიშნავს მფლობელ საგანს: **ვანოს** ამხანაგის მისამართი ახლაც უბის წიგნაკში უწერია.

გ) ზმნით აღნიშნული მოქმედების უშუალო შემსრულებელია: დედამ **შვილს** წყაროდან ცივი წყალი მოატანინა. იგულისხმება, რომ რეალურად წყლის მომტანი შვილია, ე.ი. ირიბი დამატება.

დ) მოქმედების უშუალო შემსრულებელია, ოღონდ პასიური: დათიკო უსახელოდ მოეკვლევინა **გაბროს**; ეთრევინებინა იგი ზღვის **ტალღებს**. ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე გამომწვევი მიზეზია, ირიბი დამატება კი – ზმნით აღნიშნული მოქმედების შემსრულებელი.

ირიბი დამატება ბრუნვაუცვლელია: იგი ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. ირიბი დამატების კითხვებია: ვის? რას? მაშასადამე, ირიბ დამატებას ბრუნვა და კითხვები საზიარო აქვს ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან[55].

გარდაუვალი ზმნის ირიბ დამატებასა და გარდამავალი ზმნის

---

[55] კითხვების ხერხი ძველ სასკოლო გრამატიკებში ფართოდ იყო გამოყენებული როგორც სიტყვის ფორმის, ისე სიტყვისა და დამოკიდებული წინადადების სინტაქსური ფუნქციის ამოსაცნობად. მაგრამ კითხვების ხერხმა მკაცრი კრიტიკა განიცადა. ა. **პეშკოვსკიმ** პირველად უარყოფითად შეაფასა კითხვების როლი მორფოლოგიაში („Школьная и научная граматика", 1922, გვ. 80), ხოლო შემდეგ მათი გამოყენება ზედმეტად ჩათვალა სინტაქსშიც („Вопрос о вопросах", сборник статей А.-м.; – 1925, გვ.43). ა. **პეშკოვსკის** გავლენა ჩვენშიც დიდი იყო: კითხვები ერთხანს განიდევნა გრამატიკებიდან. **ი. ფერაძე** და **ი. სიხარულიძე** „ენის დაკვირვებაში" (1927) წერდნენ: „კითხვების მეთოდი ძველი ლოღიკური გრამატიკის ნაანდერძევია, ის ფორმალი თვალსაზრისით მიუღებელი და უარსაყოფია" (გვ. XIX). ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა **ვ. თოფურიამ**, რომელმაც **ა. პეშკოვსკის** მსგავსად „კითხვების" მეთოდს უარყოფითი შეფასება მისცა („კითხვების" მეთოდით გრამატიკის სწავლებისათვის", ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ", 1928, №1-2).

მართლაც, კითხვების ხერხს მრავალი ნაკლი ახლავს (ზოგიერთ გრამატიკულ კატეგორიას კითხვა არ დაესმის; ერთი და იგივე კითხვა დაესმის სხვადასხვა გრამატიკულ ფორმას, ან კიდევ რამდენიმე სხვადასხვა კითხვა შეიძლება მოიხდინოს ამა თუ იმ გრამატიკულმა ფორმამ და სხვ.), მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იძლევა იმის საბაბს, რომ კითხვები, როგორც დამხმარე საშუალება, განვდევნოთ გრამატიკიდან. კითხვები გვეხმარება წინადადების წევრებისა და დამოკიდებულ წინადადებათა სახეების სინტაქსური ფუნქციის გარკვევასა და დადგენაში.

ირიბ დამატებას შორის განსხვავებაა: გარდაუვალ ზმნას ირიბი დამატება სამსავე სერიაში აქვს, გარდამავალს კი – მხოლოდ პირველი და მეორე სერიის ფორმებთან. ვნახოთ ეს სათანადო ნიმუშებზე:

ირიბი დამატება გარდაუვალ ზმნასთან	ირიბი დამატება გარდამავალ ზმნასთან
I სერია	
ა) აწმყო წრე	
1. მთვარე *ღრუბელს* ეფარება	1. შვილი *დედას* წერილს სწერს
2. „ „ ეფარებოდა	2. „ „ „ სწერდა
3. „ „ ეფარებოდეს	3. „ „ „ სწერდეს
ბ) მყოფადის წრე	
4. „ „ მოეფარება	4. „ „ „ მისწერს
5. „ „ მოეფარებოდა	5. „ „ „ მისწერდა
6. „ „ მოეფარებოდეს	6. „ „ „ მისწერდეს
II სერია	
7. მთვარე *ღრუბელს* მოეფარა	7. შვილმა *დედას* წერილი მისწერა
8. „ „ მოეფაროს	8. „ „ „ მისწეროს
III სერია	
9. „ „ მოჰფარებია	
10. „ „ მოჰფარებოდა	
11. „ „ მოჰფარებოდეს	

სამპირიანი გარდამავალი ზმნა მე-3 სერიაში ორპირიანი ხდება. ზმნას აკლდება ირიბობიექტური პირი (და ამის შესაბამისად ირიბი დამატება). ასეთ ზმნას ამ სერიაში შეიძლება შევუწყოთ მესამე სახელიც. შვილს **დედისთვის** წერილი მიუწერია (I თურმ.) შვილს **დედისთვის** წერილი მიეწერა (II თურმ.), შვილს **დედისთვის** წერილი მიეწეროს (III კავშ.). **დედისთვის** არ არის ზმნის ობიექტურ პირთან შეწყობილი, იგი უბრალო დამატებაა. მაშასადამე, ის სახელი, რომელიც გარდამავალ ზმნასთან 1-ლსა და მე-2 სერიაში ირიბ დამატებად არის შეწყობილი, მე-3 სერიის ფორმებთან ნათესაობითში გადადგება, **თვის** თანდებულს დაირთავს და უბრალო დამატებად გადაკეთდება.

მოყვანილი ნიმუშებიდან ნათლად ჩანს, რომ ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან ორი ბრუნვაუცვლელი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე და ირიბი დამატება, სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირველი და მეორე სერიის ფორმებთან სამი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი დამატება. ამასთან ორი წევრი ბრუნვაცვალებადია (ქვემდებარე და პირდაპირი დამა-

ტება), ერთი – ბრუნვაუცვლელი (ირიბი დამატება). ბრუნვაცვალებადი წევრები გადაჰყვება ზმნას მე-3 სერიაშიც, ირიბი დამატება კი უბრალო დამატებად იქცევა.

მაშასადამე, გარდამავალ ზმნებს შორის პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებაა I-სა და II სერიაში, III სერიაში კი ყველა გარდამავალი ზმნა ორპირიანია. „ძველი ქართული ენის ძეგლებში აქა-იქ ვხვდებით გამონაკლისებსაც. **მესამე პირის ირიბი ობიექტი III სერიის ფორმებშიც** (თურმეობითი I და II) **მიცემითი ბრუნვის ფორმით უკავშირდება გარდამავალ ზმნას**“[56]. მაგ.: მიმიცემიან მე იგინი მას. „ამ ფაქტში ნათლად აისახება ძველი ქართული ენის ცდა – III სერიის ფორმები გაუთანაბროს I და II ჯგუფის ფორმებს, სახელდობრ, დაამყაროს განსხვავება პირთა რაოდენობის მიხედვით გარდამავალ ზმნებს შორის III სერიის ფორმებში, პროცესი დაწყებულა, მაგრამ ვერ განვითარებულა“[57].

გარდაუვალი თუ გარდამავალი ზმნის მე-3 ირიბობიექტურ პირთან ყოველთვის ერთი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს, ესაა მიცემითბრუნვიანი ანუ დატიური კონსტრუქცია.

§48. დამატება-ობიექტების შეხვედრა ბრუნვაში

ირიბი დამატების ბრუნვა, როგორც უკვე ითქვა, ყოველთვის მიცემითია. პირველი სერიის ფორმებთან მიცემითში დგას პირდაპირი დამატებაც. სამპირიან ზმნას ორივე დამატება აქვს – პირდაპირიცა და ირიბიც. ამიტომ, როცა სამპირიანი ზმნა I სერიის რომელიმე მწკრივის ფორმაა, ორივე დამატება მიცემით ბრუნვაში დგას, ე.ი. გვაქვს ამ დამატებათა ბრუნვაში შეხვედრა. მაგ.: ჯავრი უკლავს **კლდეს გულს**. (ვაჟა). თუ რომელია მიცემითში დასმულ დამატებათაგან პირდაპირი და რომელი – ირიბი, ამისათვის საჭიროა, ზმნა მეორე სერიაში გადავიყვანოთ: პირდაპირი დამატება სახელობითში გადადგება, ირიბი კი ისევ მიცემითში დარჩება: ჯავრმა მოუკლა **კლდეს გული**. მაშასადამე, **კლდეს** ირიბი დამატება ყოფილა, **გულს** (გული) კი – პირდაპირი. სამპირიან ზმნასთან დამატებათა ერთმანეთისაგან გარჩევა ჩვეულებრივ ადვილად ხერხდება მე-2 სერიაში გადაუყვანლადაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ძნელდება იმის დასახელება, თუ რომელია პირდაპირი დამატება და რომელი ირიბი:

ა) ორივე დამატება ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული: **ფრთას ფრთას** შემოვკრავ. (ჭავ., 203). რომელია პირდაპირი

[56] დ. გეწაძე, სამპირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში: ალ.წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII, 1957, გვ. 469.

[57] იქვე, გვ. 471.

დამატება და რომელი – ირიბი? როგორ შევუწყოთ ზმნის მეორე სერიის ფორმას – „**ფრთა ფრთას** შემოვკარ“ თუ „**ფრთას** ფრთა შემოვკარ? ასეთ შემთხვევაში შოთა რუსთველს, ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, თ. რაზიკაშვილს, გ. ტაბიძეს რიგით პირველი პირდაპირ დამატებად აქვთ წარმოდგენილი, რიგით მეორე კი– ირიბად. მაგ.: **ფრთა ფრთას** ჰკრა და აღმაღლდა (ბარ.). არწივმა **ფრთა ფრთას** შემოჰკრა (რაზ., 286); შავმა ყორანმა **ფრთა ფრთას** შემოჰკრა (ტაბ., 422); **კაცი კაცსა** შემოსტყორცა (რუსთ.); **ხელი ხელს** დაჰკრეს (ჭავ., 363); ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს, **მხარი მხარს** მივცეთ, **ხელი – ხელს** (წერ.); **ნისკარტი ნისკარტს** გადაადვეს. (ვაჟა, 5, 85). იშვიათად გვხვდება ამ დამატებათა სხვაგვარი განლაგებაც: **თვალს თვალი** ვერ გავუსწორე. (ჭავ.).

ბ) დამატება-ობიექტები გადმოცემულია ერთი ტიპის სახელებით: ჯავრი უკლავს **დედას შვილს**. ეს წინადადება მეორე სერიაში შეიძლება გადავიყვანოთ ორგვარად: „ჯავრმა მოუკლა **დედას შვილი**“ ან „ჯავრმა მოუკლა **დედა შვილს**“. ასეთ შემთხვევაში კონტექსტის ან სხვა რაიმე პირობის მიხედვით ირკვევა, მიცემითში დასმულ დამატება-ობიექტთაგან რომელი უნდა გავიგოთ ირიბ დამატებად და რომელი – პირდაპირად.

შენიშვნა: **თან**-იან მრავლობითში დასმული ირიბი დამატება ფორმობრივ ემთხვევა ამავე რიცხვში დასმულ ქვემდებარეს. დამფრთხალ **მხედართ ცხენთაც** თავი წაართვეს. (კალან.). **თანიანი** ფორმები რომ **ებიან** მრავლობითში გადავიყვანოთ, მივიღებთ: დამფრთხალ **მხედრებს ცხენებმაც** თავი წაართვეს. მაშასადამე, **მხედართ** მიცემითის მნიშვნელობისაა (სინტაქსურად ირიბი დამატება), **ცხენთაც** – მოთხრობითისა (სინტაქსურად ქვემდებარე)

§49. დამატება-ობიექტები პირველი და მეორე პირის ფორმებთან

პირველსა და მეორე პირთან დამატებად უბრუნველი ნაცვალსახელებია შეწყობილი: მე, შენ, ჩვენ, თქვენ. ამავე ნაცვალსახელებით გადმოიცემა ქვემდებარეც პირველ და მეორე სუბიექტურ პირთან. ამიტომ ამ პირებთან დასახელებული ნაცვალსახელებით გადმოცემული ქვემდებარე და დამატება-ობიექტები ერთმანეთისაგან გარეგნულად არ არიან გარჩეული, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ზმნა (გარდაუვალი თუ გარდამავალი) და რომელი სერიის ფორმაა იგი. თუ რა სინტაქსური ფუნქციით არის ნახმარი წინადადებაში ესა თუ ის უბრუნველი ნაცვალსახელი, ამას ვარკვევთ ზმნის ფორმის ანალიზით: სუბიექტურ პირთან შეწყობისას ეს ნაცვალსახელები ქვემდებარეა, პირდაპირობიექტურ პირთან შეწყობისას – პირდაპირი დამატება, ხოლო ირიბობიექტურ პირთან შეწყობისას – ირიბი

დამატება.

ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება
მე ვხატავ	მე მხატავს	მე მიხატავს სურათს
შენ ხატავ	შენ გხატავს	შენ გიხატავს „
ჩვენ ვხატავთ	ჩვენ გვხატავს	ჩვენ გვიხატავს „
თქვენ ხატავთ თქვენ გხატავს		თქვენ გიხატავს „

ეს ნაცვალსახელები წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია, მაგრამ ზმნის ფორმის მიხედვით ჩვეულებრივ კარგად ჩანს, პირველი და მეორე პირი ქვემდებარეა თუ ერთ-ერთი სახის დამატება-ობიექტი.

თუ პირველისა და მეორე ობიექტური პირის ფორმასთან ბრუნვიანი სიტყვაა დამატებად (ცალკე თუ უბრუნველ ნაცვალსახელთან ერთად), იგი ისევე შეეწყობა ზმნას გარდამავლობისა და სერიების მიხედვით, როგორც მესამე ობიექტური პირი: პაპამ გვკითხა მე და ჩემს **ამხანაგებს**. (ვაჟა, 5, 19); რად იბურავთ თავს ხშირი ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის **შვილებს**?! (ვაჟა, 5, 318); სად მოგწვდებოდი ცაში **ვარსკვლავს**. (ჭავ., 462).

ადამიანის საკუთარ სახელებს „ძველად არ ჰქონდათ განსხვავებული სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი“[58]. ამის გამო, როცა საზოგადო სახელი სახელობითის ან მოთხრობითის ფორმით იყო მოსალოდნელი, ადამიანის საკუთარი სახელი ფუძის სახით იხმარებოდა. ასეთი რამ ჩვეულებრივია საშუალ ქართულშიც – „ვეფხისტყაოსანსა“ და მოგვიანო ხანის მწერლობაშიც. მაგ.: **ავთანდილ** და ლომი **ფრიდონ** შიგნით ერთად შეიყარნეს (რუსთ., 1417, 1); **ტარიელ, ასმათ, ავთანდილ** თვალთაგან ცრემლნი დალამნეს (რუსთ., 943, 2); **ლეონ** მარტო იყო (საბა, 52); თქვა **ლეონ** არაკი. (საბა). როცა გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმასთან ქვემდებარედ და პირდაპირ დამატებად ადამიანთა საკუთარი სახელები იყო შეწყობილი, მათი სინტაქსური ფუნქცია რიგით ირკვეოდა (§4); პირველი ქვემდებარე იყო, მეორე – პირდაპირი დამატება. მაგ.: **რა ტარიელ ფრიდონ** იცნა, თქვა: „ვნახეო, ვინცა მინა“. (რუსთ., 1380,1) **ტარიელ** ქვემდებარეა, **ფრიდონ** – პირდაპირი დამატება. მათ რომ რიგი შევუნაცვლოთ, შეიცვლებათ სინტაქსური ფუნქციაც: „რა **ფრიდონ ტარიელ** იცნა“ ... ამ შემთხვევაში ქვემდებარეა **ფრიდონ**, ხოლო **ტარიელ** პირდაპირი დამატებაა.

[58] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 52.

გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან, როგორც ვიცით, ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში დგას, პირდაპირი დამატება – მიცემითში. ამ საზოგადო წესის გამონაკლისს წარმოადგენს ორი გარდამავალი ზმნა – **იცის** და **უწყის**, რომელთაც აწმყოს წრეში ქვემდებარე მოთხრობითში შეეწყობა, პირდაპირი დამატება – სახელობითში: **ბაბამ** ანდაზებით **ლაპარაკი** იცის (ვაჟა, 6, 69); ეს **ყველამ** კარგად **უწყის**. (ვაჟა). ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების ამგვარი შეწყობა გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმასთან გამოწვეულია იმით, რომ **იცის** და **უწყის** წარმოშობით მეორე სერიის ფორმებია, სახელდობრ II ხოლმეობითისა, მაგრამ გადმოსული არიან I სერიაში და შენარჩუნებული აქვთ ის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელსაც ქმნის გარდამავალი ზმნა II სერიაში[59].

იცის და **უწყის** ერთი მნიშვნელობის ფორმებია, სინონიმებია. მეორე სერიის ფორმები ორივეს აკლია. საკუთარი წარმოებისა სამი მწკრივი აქვთ: აწმყო, უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი. უწყის მოძველებული ფორმაა, საყოველთაოდ აღარ იხმარება. მყოფადის წრეში და მესამე სერიაში მას არ ენაცვლება რომელიმე ზმნა, **ვიცი**-ს კი ენაცვლება გარდაუვალი ზმნის ტიპის ფორმები (მყოფადის წრეში – მეცოდინება, მეცოდინებოდა, მეცოდინებოდეს, III სერიაში – მცოდნია, მცოდნოდა, მცოდნოდეს), „მაშასადამე, ვიცი – მცოდნია შერეული უღლების ზმნაა. აწმყოს წრის მწკრივების ფორმები გარდამავალი ზმნის ტიპისაა, III სერიისა კი – გარდაუვალისა. გვიანდელი მწკრივებიც (მყოფადის წრისა) აგრეთვე გარდაუვალი ზმნის მსგავსად აქვს გაკეთებული: მეცოდინება, მეცოდინებოდა, მეცოდინებოდეს"[60]. მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნის აწმყოს წრის მწკრივთა ფორმები, ერთი მხრივ, და მყოფადის წრისა და III სერიის მწკრივების ფორმები, მეორე მხრივ, „სხვადასხვაგვარად აგებული ფორმებია, გრამატიკული შინაარსით ისინი ერთნია და ერთმანეთის მაგივრობას ეწევიან მწკრივებში"[61], ამიტომაა, რომ ჩვენს ცნობიერებაში ეს ფორმები (იცის-ეცოდინება-სცოდნია) ერთი ზმნის უღლების ფორმებად ისახება, ასე რომ **„ბავშვს გაკვეთილი ეცოდინება"** და **„ბავშვს გაკვეთილი სცოდნია"** სინტაქსურად იმგვარადვე უნდა შეფასდეს, როგორც „ბავშვმა გაკვეთილი იცის", ე.ი.

[59] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 6, შნშ. 2.

[60] მისივე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 224; ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 539-540.

[61] მისივე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, გვ. 225.

მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარეა, სახელობითში დასმული კი – პირდაპირი დამატება[62]. მაშასადამე, ამ ზმნის მესამე პირის ფორმები ორგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნის. მოთხრობითბრუნვიანს (აწმყოს წრის მწკრივების ფორმებთან) და მიცემითბრუნვიანს (მყოფადის წრისა და III სერიის მწკრივების ფორმებთან), პირდაპირი დამატება კი ყოველთვის სახელობითშია. ვნახოთ ეს სათანადო მაგალითის მიხედვით:

I სერია

ა) აწმყოს წრე

1. ბავშვმა გაკვეთილი იცის
2. „ „ იცოდა
3. „ „ იცოდეს

ბ) მყოფადის წრე

4. ბავშვს გაკვეთილი ეცოდინება
5. „ „ ეცოდინებოდა
6. „ „ ეცოდინებოდეს

III სერია

9. „ „ სცოდნია
10. „ „ სცოდნოდა
11. „ „ სცოდნოდეს

§51 ბრუნვაუცვლელი დამატება პირდაპირი დამატების მნიშვნელობით

ქართულში გვაქვს რამდენიმე ზმნა, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, მნიშვნელობა – მოქმედებითისა. ეს ის ზმნებია, რომელნიც გრამატიკულ ლიტერატურაში დეპონენსების სახელით აღინიშნება.

ვნებითის რელატიური ფორმა ორპირიანია, დეპონენსური ხასიათის რელატიური ფორმები კი შეიძლება იყოს არა მარტო ორპირიანი, არამედ სამპირიანიც. ორპირიანი დეპონენსებია **ეზიდება, ერეკება, ეწევა, ჰყვება** წინადადებებში:

იგი ქვებს ეზიდება
ბავშვი ხარებს ერეკება.
ძაღლი პატრონს კბილებით გარეთ ეწევა,
სტუმარი საინტერესო **ამბავს** ჰყვება.

პირველი სამი ზმნა ამ მნიშვნელობით მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში იხმარება, მეოთხე კი (ჰყვება) – სხვა მწკრივებშიც. სუბიექტი ყველგან აქტიურია და მიცემითში დასმულ სახელს

[62] იქვე.

პირდაპირი დამატების მნიშვნელობა აქვს.

სამი პირის გაგებას იძლება დეპონენსები: **ეკითხება, ემუქრება, ეუბნება, ეტყვის, ეხვეწება, ევედრება, ჰპირდება, უყვება**. ამათგან **ჰპირდება დონ**იანია, **უყვება** – უნიშნო, დანარჩენები კი პრეფიქსული წარმოებისაა (**ენ**იანი): [გოჭები **დედას ძუძუს** ეხვეწებიან (წერ.; 1, 8); მხურვალედ ევედრებოდა **ზეცას შვებას**. (კლდ., 205); მამა **შვილს საჩუქარს** ჰპირდება.

ამ ტიპის ზმნას სამპირიანობა შეიძლება მესამე სერიაშიც გადაჰყვეს: **მამა შვილს საჩუქარს** ჰპირდება (აწმყო); **მამა შვილს საჩუქარს დაჰპირდა** (წყვეტილი); **მამა შვილს საჩუქარს დაჰპირებია** (I თურმეობითი). როგორც ვხედავთ, ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ პირებთან შეწყობილი სამივე სახელი ბრუნვაუცვლელია. **მამა** ქვემდებარეა, **შვილს** და **საჩუქარს** დამატებებია (ერთი – პირისა, მეორე – ნივთისა). ორივე დამატება წარმოშობით ირიბია, მაგრამ ამჟამად პირველი (შვილს) ირიბი დამატებაა, მეორეს კი პირდაპირი დამატების მნიშვნელობა აქვს[63]. ამის გამო ასეთმა დამატებამ შეიძლება ბრუნვაც იცვალოს: წმინდა გიორგის **ჯვარი** დაჰპირდნენ იმას, ვინც ძე ახ ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მიმიტანდა (ჭავ., 318); აი, ეს **ამბავი** მოუყვა ახლა ზაქრომ ვარამაძეს და ორივემ გულიანად გაიცინა. (თ. დონე.). სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ასეთი შეწყობა მიუღებელია; უნდა: „... **ჯვარს** დაჰპირდნენ იმას“, „აი, ამ **ამბავს** მოუყვა ახლა ზაქრო ვარამაძეს“ ...

„დეპონენსობა ითქმის „იტყვის“ ზმნის შესახებაც, რომელიც აშკარად გარდამავალი ზმნაა: „იტყვის სიტყვას“, „ძმას ამბავს ეტყვის“. ეს ზმნა ამჟამად მარტო მყოფადის წრეში იხმარება, სხვაგან კი მას სხვა ზმნები ენაცვლება: იტყვის – უბნობს (ამბობს) – თქვა; ეტყვის – ეუბნება – უთხრა, რაც არაპირდაპირი გზით მის გარდამავლობას ადასტურებს“[64].

ე მოუდის პრეფიქსად „ეძებს“ ზმნას, რომელიც გარდამავალია: ეძებს ის მას, ეძება მან ის. გარდამავალ ზმნათა წყებაშია „ისვრის“ და „ესვრის“ ფორმებიც. რომელთაც ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე და დამატება შეეწყობათ: ისვრის **ის ქვას** – ისროლა **მან ქვა**; ესვრის **ის** ჩიტს **ქვას** – ესროლა **მან ჩიტს ქვა**[65]. მაგ.: მონადირემ არწივს **თოფი** ესროლა, კურდღლები კი ყირამალა გადაცვივდნენ. (ჯავ. 1, 449).

[63] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 309.
[64] იქვე, გვ. 307.
[65] ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 308.

§52. ქვემდებარისა და დამატების საკითხი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარისა და დამატების საკითხი სადავოა. ასეთ ზმნათა უმეტესობა ამა თუ იმ გრძნობას გამოხატავს: მიყვარს, მომწონს, მძულს, მეჯავრება ... ამავე ჯგუფში შემოდის ყოლა-ქონებისა და ზოგიერთი სხვა შინაარსის გამომხატველი ზმნაც: მყავს, მაქვს, მახსოვს, მძინავს ... ამ ჯგუფის ზმნათაგან ზოგი მარტო მანის რიგის ნიშნების მიხედვით იცვლება (მაქვს, მცივა, მტკივა...) ზოგი კი – ორივე რიგის ნიშნების მიხედვით (მოვწონვარ – მომწონს, ვახსოვარ – მახსოვს ...)

გარდაუვალი ზმნა, როგორც ვიცით, ერთპირიანია ან ორპირიანი. ერთპირიან ზმნაში სუბიექტური პირია, ორპირიანში – სუბიექტური და ირიბობიექტური. ამის შესაბამისად, ერთპირიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან ქვემდებარეა შეწყობილი, ორპირიანთან კი – ქვემდებარე და ირიბი დამატება. ორივე წევრი ბრუნვაუცვლელია. ქვემდებარე სამივე სერიის ფორმებთან სახელობითში დგას, ირიბი დამატება კი – მიცემითში (§47). ამ ორ ბრუნვაში დგას სადავო ზმნათა მესამე პირის ფორმასთან შეწყობილი სახელებიც: დედას უყვარს შვილი, მამას სძულს ტყუილი ... თუ ამ ზმნებთან დაკავშირებულ სახელთა სინტაქსური კვალიფიკაცია ისეთივე იქნება, როგორიც, საზოგადოდ, ორპირიან გარდაუვალ ზმხასთან დაკავშირებული სახელებისა, მაშინ სახელობითში დასმული სახელი (შვილი, ტყუილი) ქვემდებარედ დასახელდება, მიცემითში დასმული კი (დედას, მამას) – ირიბ დამატებად.

ზმნათა ეს ჯგუფი, არაერთი ენათმეცნიერის აზრით, ამჟამად ინვერსიულია. სუბიექტური პირის ნიშნით რეალური ობიექტია გამოხატული, ობიექტური პირის ნიშნით კი – რეალური სუბიექტი. ამის შესაბამისად, მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარედ უნდა გამოცხადდეს, სახელობითში დასმული კი – დამატებადო.

ქვემდებარის საკითხს **მაქვს, მომწონს** და მისთანა ზმნებთან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. **ა. შანიძემ**. ამ გამოკვლევაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ დასახელებული ტიპის ზმნები არ შეიძლება გავიგოთ ინვერსიულად, ე.ი. ვინის რიგის ნიშნით სუბიექტური პირია გადმოცემული, მანის რიგის ნიშნით კი – ირიბობიექტური. ამის შესაბამისად, მესამე პირის ფორმასთან სახელობითში დასმული სახელი ქვემდებარეა, მიცემითში დასმული კი – ირიბი დამატება. ეს ასეა როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისითაც და აი, რატომ:

1. ქვემდებარე, როგორც ვიცით, ზმნის სუბიექტურ პირთან შეწყობილი სახელია, ირიბი დამატება კი – ირიბობიექტურთან. სუბიექტურ პირს არკვევს ვინის რიგის ნიშნები, ობიექტურს კი – მანის

რიგისა. „ეს ზოგადი დებულება ირღვევა III სერიის მწკრივებში, სადაც გარდამავალ ზმნებში ინვერსიას აქვს ადგილი; აქ ფორმები მოქმედ პირად, ე.ი. სუბიექტად, გამოხატავენ იმ პირს, რომლის ობიექტური ნიშანია ნახმარი შიგ, ხოლო უმოქმედო, ე.ი. ობიექტურ პირად – იმას, რომელიც სუბიექტური ნიშნით არის შიგ წარმოდგენილი. ამიტომ მათი ფარდი სახელებიც სათანადო კვალიფიკაციას იღებენ“[66]. მიცემით-ში დასმული სახელი ქვემდებარეა, სახელობით-ში დასმული კი – პირდაპირი დამატება, მაშასადამე, მესამე სერიის ინვერსიული ფორმები, ოდესღაც გარდაუვალნი, ენას გარდამავალ ზმნათა I და II სერიის ფორმებთან აქვს გათანაბრებული, ე.ი. გარდამავალ ზმნათა წყებაშია ჩაყენებული.

გვაქვს თუ არა ასეთივე ურთიერთობა **მიყვარს** ტიპის ზმნებთან დაკავშირებულ სახელებს შორის? არა, არ გვაქვს. საქმე ის არის, რომ ეს ზმნები გარდაუვალი ზმნებია. რაკი ეს ასეა, ცხადია, მათ პირდაპირი დამატება არ შეიძლება ახლდეს და, ამდენად, ასეთ ზმნებთან დაკავშირებულ სახელებს შორის არ შეიძლება იყოს ისეთი ურთიერთობა, როგორიც გვაქვს III სერიის ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებულ სახელებს შორის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ამ საცილობელ ზმნებს მაინც ინვერსიულ ზმნებად მიიჩნევს: მიცემით ბრუნვაში დასმული სახელით გადმოცემული საგანი აქტიურია, რეალური სუბიექტია, სახელობით-ში დასმული სახელით აღნიშნული საგანი კი – სამოქმედო, რეალური ობიექტიო.

ზემოთ ნაჩვენებია ქვემდებარის ნიუანსები. აღნიშნულია, რომ იგი ხან რეალურად მოქმედია, ხან სამოქმედო, ხან კიდევ არც მოქმედია და არც სამოქმედო (§35). არც ირიბი დამატებაა ყოველთვის ერთგვარი. იგი რეალურად ზოგჯერ ის პირია, რომელსაც ეკუთვნის გრამატიკული სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი, ზოგჯერ მოქმედების უშუალო შემსრულებელია და ა.შ. (§47). ამდენად, ცხადია, „რეალური სუბიექტი“, „რეალური ობიექტი“ გრამატიკული ცნებები არ არის, „სინტაქსურ ცნებას ვერ მოგვცემს და გრამატიკულ ტერმინად ვერ გამოდგება“[67]. მაშასადამე, ეს ცნებები ვერც დაედება საფუძვლად გრამატიკული სუბიექტისა და გრამატიკული ობიექტის გარკვევას. „მართლაც, რეალურად მოქმედი პირი რომ იგივე იყოს, რაც გრამატიკული სუბიექტი (ანუ ქვემდებარე), მაშინ, ცხადია, ვნებითი გვარის ზმნის ფორმიან წინადადებაში სუბიექტის საკითხი სხვაგვარად გადაწყდებოდა, ვიდრე დღეს ჩვეულებრივ წყდება ქართულსა და სხვა ენების მასალის მიხედვით. მაგალითად, ამ წინადა-

[66] ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 213.

[67] იქვე, გვ. 212.

დებაში „გაითოხნა სიმინდები“ სუბიექტი არ გვექნებოდა, რადგან რეალურად მოქმედი პირი არ ჩანს, ხოლო ამ წინადადებაში „კლდეზე გადაჩეხილი ცხენი შეჭმულ იქნა ტურებისაგან“ სუბიექტად „ტურებისაგან“ უნდა მიგვეჩნია“[68]. მაგრამ არის კი ნამდვილად რეალურად მოქმედი მიცემითში დასმული სახელით აღნიშნული საგანი და რეალურად სამოქმედო – სახელობითში დასმული სახელით გადმოცემული საგანი? ვნახოთ საცილობელ ზმნებთან დაკავშირებული სახელები ამ თვალსაზრისითაც. ავიღოთ ასეთი წინადადება: „ვახტანგს თმა უთეთრდება“. **თმა** ქვემდებარეა, **ვახტანგს** – ირიბი დამატება. ეს არც არის სადავო. მაგრამ არის ამათგან რომელიმე მოქმედი? არა, არ არის. **უთეთრდება**-ს რომ ერთპირიანი ფორმა შევუნაცვლოთ, წინადადება ასეთ სახეს მიიღებს „ვახტანგის თმა თეთრდება“. რა მოხდა? ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე (თმა) იმავე ზმნის ერთპირიან ფორმასთან ქვემდებარედ გადავიდა. ირიბი დამატება კი ნათესაობითში გადადგა და მართულ განსაზღვრებად გადაკეთდა. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ სუბიექტი მისი კუთვნილებაა. ახლა ვნახოთ სადავო ზმნათა შემცველი ასეთი წინადადებები: „ვახტანგს დედა ცოცხალი ჰყავს“, „ვახტანგს სახლი აშენებული აქვს“. ჩანს თუ არა აქ, რომ **ვახტანგს** რეალურად მოქმედია და **დედა** და **სახლი** რეალურად სამოქმედო? არა, ეს არ ჩანს. **ჰყავს** და **აქვს** ზმნებს აბსოლუტური ფორმები არ ეწარმოებათ, ამიტომ, როცა წინადადებაში ერთპირიანი ფორმაა საჭირო, მათ არის ენაცვლება: ვახტანგის დედა ცოცხალი არის; ვახტანგის სახლი აშენებული არის. სახელობითში დასმული სახელი ერთპირიან ფორმასთან აქაც ქვემდებარედ გადავიდა, მიცემითში დასმული კი – მართულ განსაზღვრებად. ასეთივე კანონზომიერება გვაქვს სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმისათვის ერთპირიანი ზმნის შენაცვლების დროსაც: ბავშვი აკვანში მიწევს – ჩემი ბავშვი აკვანში წევს; ამხანაგს წიგნები მაგიდაზე უწყვია – ამხანაგის წიგნები მაგიდაზე აწყვია... ახლა „ავიღოთ „მძულს“, რომელიც ტიპობრივია გრძნობის გამომხატველ ზმნებს შორის (მძულს, მიყვარს, მომწონს, მსურს, მძაგს, მეზიზღება და სხვ.).

რა მოქმედებას გვიჩვენებს ის? – მხოლოდ იმას, რომ ვიღაცა სიძულვილის გრძნობით არის შეპყრობილი გარკვეული პირის ან საგნის მიმართ: ქეთოს კოტე სძულს, ქეთოს თევზი სძულს, ქეთოს ჩხუბი სძულს და მისთ. ჩანს თუ არა, რომ ქეთო მოქმედებდეს ან კოტეზე, ან სხვა რამეზე? არა, არ ჩანს. მაშ რა ურთიერთობაა მათ შორის? თუ მსჯელობის გამოსავლად ქეთოს ავიღებთ, უნდა ვთქვათ,

[68] ა. შანიძე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 213.

რომ ქეთო არის მოძულე კოტესი, თევზისა, ჩხუბისა და მისთ. და, თუ გამოსავლად კოტეს, თევზსა და სხვას ავიღებთ, გვექნება, კოტე, თევზი, ჩხუბი სიძულვილის საგნებია ქეთოსთვის, ე.ი. ეს ისეთი საგნებია, რომლებიც სიძულვილს აღძრავენ ქეთოში“[69]. მაშასადამე, არ დასტურდება, რომ მიცემითში დასმული სახელი რეალურად აქტიური იყოს ან მისგან გამომდინარეობდეს მოქმედება, სახელობითში დასმული სახელი კი – რეალურად სამოქმედო. ამიტომ „განცხადება იმისი, რომ „მაქვს“, „მყავს“, „მძულს“ ან მისთანა ზმნებში ობიექტური ნიშნით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული“[70].

2. ერთპირიან ზმნასთან ქვემდებარეა შეწყობილი: ბავშვი წევს, ძაღლი ყეფს, სახლი შენდება. ზოგიერთ საცილობელ ზმნას დაკარგული აქვს ერთი პირი და ამჟამად მხოლოდ მიცემითში დასმული სახელი შეეწყობა (ბავშვს სძინავს, პაპას სცივა); მაგრამ ეს ფაქტი არ ადასტურებს ამ ჯგუფის ზმნათა ინვერსიულობას. საქმე ის არის, რომ ზმნამ შეიძლება დაკარგოს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირიც. როცა ზმნა სუბიექტურ პირს კარგავს, ის ნახმარია უქვემდებაროდ, უსუბიექტოდ, ობიექტური პირი კი თავის ადგილას რჩება. მაგ.: **იცის** ორპირიანი ზმნაა (იცის მან ის), მაგრამ ეს ზმნა ზოგჯერ ერთი პირის გაგებას იძლევა: არაგვში კალმახი **იცის**. რა წევრია აქ **კალმახი** – ქვემდებარე თუ პირდაპირი დამატება? რა თქმა უნდა, პირდაპირი დამატება, ქვემდებარე კი გაუჩინარებულია. „დაეცა“ ორპირიანია ფორმით და ასეც იხმარება („ქორი დაეცა დედალსა“), მაგრამ ირიბი დამატება ჩვეულებრივ არამთავარ წევრად არის ქცეული და ზმნა ერთპირიანად იხმარება: წვიმის **წვეთები** მძიმედ დაეცა სახურავზე. (მიხ. მრევლ.).

რა ითქმის საცილობელ ზმნათა ორპირიანი ფორმების შესახებ, რომელთაც ამჟამად მხოლოდ მიცემითში დასმული სახელი შეეწყობა? ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა **ცივა – მცივა, ცხელა – მცხელა** ზმნათა ჩვენება.

ცივა და **ცხელა** ამჟამად მესამე სუბიექტური პირის ფორმებია, რომლებიც, როგორც ვიცით (§29), წარმოშობით შედგენილი შემასმენლებია: ცივა<ცივ არს, ცხელა<ცხელ არს. ორივე ზმნა იხმარება უსუბიექტოდ, ე.ი. სახელობითში დასმული სახელის შეუწყობლად. ცხადია, სუბიექტის აღდგენა რომ შეიძლებოდეს, ის უთუოდ სახელობითში დადგება. ამ ზმნათა ორპირიანი ფორმებია: მცივა, გცივა, სცივა, გვცივა... მცხელა, გცხელა, სცხელა, გვცხელა..., რომელთაც მხოლოდ ერთი სახელი ეწყობა და ეს სახელი მესამე პირის ფორმასთან მიცემითში დგას: პაპას სცივა (სცხელა, ღვიძავს, სძინავს). ის

[69] ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 222.

[70] იქვე.

სახელი, რომლის შეუწყობლობის გამო **ცივა** (და **ცხელა**) უსუბიექტოა, არ აღდგება ამ ზმნათა ორპირიან ფორმებთანაც. მაშასადამე, **მცივა** და **მცხელა** ისევე უსუბიექტოა, როგორც თვით **ცივა** და **ცხელა** მაშ რა წევრია ამ ზმნათა მესამე პირის ფორმასთან მიცემითში დასმული სახელი? რაკი ზმნა გარდაუვალია და უსუბიექტო, ცხადია, ეს სახელი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ირიბი დამატება. ამის შესაბამისად ირიბი დამატება იქნება ამ ზმნათა 1-ლი და მე-2 პირის ფორმებთან შეწყობილი უბრუნველი ნაცვალსახელები: **მე** მცივა, **შენ** გცივა, **ჩვენ** გვცივა, **თქვენ** გცივათ ... მართლაც, „**მცივა**-ში რომ I პირი მივიჩნიოთ გრამატიკულ სუბიექტად, ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური ფორმა (ე.ი. **ცივა**) იმიტომ გახდა იმპერსიონალური, რომ მას ჩამოეცალა **მ** ან სხვა მანის რიგის ნიშანი"[71], რაც თავისთავად ცხადია, დიდი შეუსაბამობა იქნებოდა. ასევე უსუბიექტო იქნება **სძინავს**[72], ღვიძავს და მისთანა ზმნები, ხოლო მათთან მიცემითში დასმული სახელი (აგრეთვე I და II პირის უბრუნველი ნაცვალსახელები) – ირიბი დამატება.

3. დაისმის კითხვა: საცილობელი ზმნებისა და III სერიის გარდამავალ ზმნათა ერთმანეთისაგან გათიშვა და მათთან დაკავშირებული სახელების სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ხომ არ არის თანამიმდევრობის დაუცველობა?

გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გარდაუვალ ზმნათა ინვერსიული ფორმებია: მათთან მიცემითში დასმული სახელი ოდესღაც ირიბი დამატება იყო, სახელობითში დასმული სახელი კი – ქვემდებარე. ეს ფორმები გარდამავალ ზმნათა წყებაში ჩადგნენ. მოქმედებითი გვარის ზმნათა სისტემაში მოექცნენ და აქვთ კონვერსიული ფორმები გარდაუვალ ზმნათა სახით. ამის გმოა, რომ მათთან მიცემითში დასმული სახელი, ისტორიული თვალსაზრისით ირიბი დამატება, ქვემდებარედ გვესმის, ხოლო სახელობითში დასმული სახელი, ისტორიული თვალსაზრისით ქვემდებარე, – პირდაპირ დამატებად.

როგორია საქმის ვითარება **მაქვს, მომწონს, მახსოვს** და მისთანა ზმნებთან? ეს ზმნები გარდაუვალია და ამიტომ მათი გარდამავალ ზმნებთან გათანაბრება გამორიცხულია. ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ, თუ ზმნებს ინვერსიულად მივიჩნევთ, სახელობითში დასმული სახელი არ იქნება არც პირდაპირი დამატება (ასეთი დამატება გარდაუვალ ზმნას არ ახლავს) და არც ირიბი

[71] ა. **შანიძე**, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 223.

[72] „მძინავს", „ეძინება", „იძინებს" ზმნებთან დაკარგულია „ძილი", რომელიც პირველ ორ ზმნასთან ქვემდებარედ ივარაუდება, მესამესთან – პირდაპირ დამატებად. ზოგიერთ კილოში ამ ზმნასთან ორპირიანი ფორმები ცოცხალია და გვხვდება იმ კილოებიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში: შეძრწუნებულს მთა-ბარს ძილი არ ეძინობოდა (ვაჟა, I, 176); ძილს არ იძინებდა. (ლეონ.; 17).

(ირიბი დამატების ბრუნვა მიცემითია და არა სახელობითი), არამედ რაღაც სხვა. გამოდის, რომ ქართულში სამგვარი ობიექტური პირი და ამის შესაბამისად დამატება-ობიექტის სამი სახეობა უნდა გამოიყოს: პირდაპირი, ირიბი და **მაქვს** ტიპის ზმნათა დამატება, რომელსაც სათანადო სახელი არ ეძებნება. ყველაფერი ეს კი ახალ სიძნელეს ქმნის და კიდევ უფრო ართულებს როგორც ზმნის მორფოლოგიურ ანალიზს, ისე მარტივი, შერწყმული თუ რთული წინადადების ანალიზსაც. თუ ამ ზმნათა ინვერსიულობას გამოვრიცხავთ, საკითხი მარტივად წყდება: სახელობითში დასმული სახელი ქვემდებარედ დასახელდება, მიცემითში დასმული კი – ირიბ დამატებად. მაშასადამე, როცა **მომწონს** ტიპის გარდაუვალ და III სერიის გარდამავალ ზმნებთან დაკავშირებულ სახელებს სხვადასხვაგვარად ვახასიათებთ, დაცული არის გარკვეული თანამიმდევრობა.

4. აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფის ზმნათა სხვა ენაზე თარგმნისას ქვემდებარედ მიცემითში დასმული სახელი გადადის, რაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ეს ზმნები ინვერსიულად იქნეს მიჩნეულიო. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით რამდენიმე მომენტს უნდა გაესვას ხაზი:

ა) ქართული ზმნა, როგორც ვიცით, შეიძლება იყოს არა მარტო ერთპირიანი, როგორც ეს გვაქვს რუსულში, გერმანულსა და სხვა ევროპულ ენებში, არამედ ორ- და სამპირიანიც. ქართული ზმნის კონსტრუქცია არსებითად განსხვავდება დასახელებულ ენათა ზმნის კონსტრუქციისაგან. ამის შესაბამისად განსხვავებულია მარტივი წინადადების სტრუქტურაც. ასე, მაგალითად, ქართულში პირდაპირი და ირიბი დამატება სხვა სინტაქსური ოდენობაა, ვიდრე ამავე სახელწოდების წევრები დასახელებულ ენებში. ქართულ ერთ-, ორ- და სამპირიან ზმნას ინდოევროპულ ენებში ერთპირიანი ზმნა შეენაცვლება, ამ ენათა ერთპირიანი ზმნა კი ქართულ თარგმანში ხან ერთპირიანად წარმოდგება, ხან ორპირიანად, ხან კიდევ სამპირიანად. ყოველივე ეს წინასწარვე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქართული ზმნის კონსტრუქცია ყოველთვის დაცულ იქნეს სხვა ენებზე თარგმნისას (და, პირუკუ); ამიტომ, ბუნებრივია, სადავო ზმნებთან დაკავშირებული სახელების კვალიფიკაციის დროს უნდა გამოვდიოდეთ არა ამ ზმნების სხვა ენებზე თარგმანიდან, არამედ მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურიდან თვით ქართულ ენაზე“[73].

მართლაც, „... უცხო ენებზე მითითება აქ საბუთად ვერ გამოდგება, ერთი ენის აგებულება შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს მეორისაგან, ამისდა კვალად ერთი ენის კატეგორია-სქემებით ხელმძღვანელობა მეორის შესწავლისას შეიძლება ისევე შეუ-

[73] ა. **შანიძე**, სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 69-70.

ფერებელი აღმოჩნდეს, როგორც „ერთი ქალაქის გეგმით ხელმძღვანელობა მეორე ქალაქის დათვალიერებისას“ (Mauthner)[74].

ბ) **უყვარს, აქვს, ახსოვს** და მისთანა ზმნებს ჩვეულებრივ ისე თარგმნიან რუსულ ენაზე, რომ ქვემდებარედ მიცემითში დასმული სახელი წარმოდგება: უყვარს მას ის – он любит то, აქვს მას ის – он имеет то, ახსოვს მას ის – он помнит то. ამ შემთხვევაში „ქართული ზმნის გრამატიკული ბუნება რუსულ თარგმანში დაცული არ არის. შეიძლება ისეც ითარგმნოს, რომ თავისებურება ქართული ზმნისა თარგმანშიც დაცული იყოს“[75]: უყვარს მას ის – он любим им, აქვს მას ის – то имеется у него, ახსოვს მას ის – то помнится ему. გარდა ამისა, „ჰყავს“ ტიპის ზმნებში ურევია „მოსწონს“, რომელიც რუსულად ისე ითარგმნება, რომ სუბიექტ-ობიექტის შებრუნება საჭირო არ არის; ლიზას ანდრო მოსწონს – Лизе нравится Андрей. არც ერთ ენათმეცნიერს არ შეუძლია თქვას, რომ აღნიშნულ რუსულ წინადადებაში ქვემდებარეა Лизе, ხოლო Андрей დამატებაო“[76]. მაშასადამე, თარგმანის ჩვენება არ ადასტურებს, რომ ეს ზმნები ინვერსიულად იქნეს გაგებული და ამის შესაბამისად მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარედ მივიჩნიოთ.

5. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა, როგორც ვიცით, სამპირიანი გარდამავალი ზმნის მობრუნებული ანუ კონვერსიული სახეა. კონვერსიის დროს გარდამავალი ზმნის სუბიექტური პირი (resp. სუბიექტი) იკარგება, ირიბობიექტური პირი (resp. ირიბი ობიექტი) თავის ადგილას რჩება, ხოლო პირდაპირობიექტური პირი (resp. პირდაპირი ობიექტი) სუბიექტური (resp. სუბიექტი) ხდება. თუ გამოსავლად გარდაუვალ ზმნას ავიღებთ, ამისი ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთან პირდაპირ დამატებად გადავა, ხოლო ირიბი ირიბადვე დარჩება:

კალატოზმა (ქვემდ.) მეზობელს (ირ. დამ.) სახლი (პირ. დამ.) აუშენა.

კალატოზმა (ქვემდ.)	მეზობელს (ირ. დამ.)	სახლი (პირ. დამ.)	აუშენა
	↓	↓	
	მეზობელს (ირ. დამ.)	სახლი (ქვემ.)	აუშენდა
ყინვამ (ქვემ.)	მცენარეს (ირ. დამ.)	ფესვები (პირ. დამ.)	გაუხმო
	↓	↓	
ყინვისაგან	მცენარეს (ირ. დამ.)	ფესვები (ქვემდ.)	გაუხმა

როგორია ამ მხრივ საქმის ვითარება საცილობელ ზმნებთან? შეიძლება ითქვას, რომ ეს ზოგადი წესი დაცულია ამ ზმნებთანაც. მაგ.:

[74] **არნ. ჩიქობავა**, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში; I, მეორე გამოცემა, 1968, გვ. 23.

[75] **ა. შანიძე**, სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. 1920, გვ. 69-70.

[76] მისივე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 220.

ა) ის ვახტანგს **თევზს აძულებს.**
ვახტანგს **თევზი სძულს** ‖ სძულდება.
ბ) ის ვახტანგს **ლექსს ახსომებს.**
ვახტანგს **ლექსი ახსოვს.**
გ) ის ბავშვს **წყალს აწყურებს.**
ბავშვს **წყალი სწყურია.**
დ) დედამ შვილს **შრომა შეაყვარა.**
შვილს **შრომა შეუყვარდა.**
ე) სიცხემ მგზავრს **წყალი მოაწყურა.**
მგზავრს **წყალი მოსწყურდა.**

როგორც ვხედავთ, გარდაუვალ ზმნასთან მიცემითში დასმული სახელი გარდამავალთან ირიბი დამატებაა, სახელობითში დასმული სახელი კი – პირდაპირი დამატება. მაშასადამე, ის ზოგადი წესი, რომელიც გვაქვს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კონვერსიულ ფორმებს შორის, ძალაშია საცილობელ ზმნებთანაც. ეს კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ **მაქვს, მომწონს** ტიპის ზმნებთან სახელობითში დასმული სახელი ქვემდებარედ იქნეს მიჩნეული,. მიცემითში დასმული სახელი კი – ირიბ დამატებად.

6. აღსანიშნავია ერთი გარემოება: არ არის მტკიცედ განსაზღვრული საცილობელ ზმნათა წრე, ე.ი. არ არის სრული თანხმობა იმათ შორის, ვინც გარდაუვალ ზმნათა ინვერსიას სცნობს I სერიაში. იგრძნობა ობიექტური საზომის უქონლობა. ამით აიხსნება, რომ ზოგისთვის ასეთ ზმნათა რაოდენობა სამიოდე ათეულით განისაზღვრება. ზოგისთვის კი ერთი სამად მეტია. ამას კი გარკვეული უხერხულობა ახლავს, აძნელებს და ართულებს ორპირიან გარდაუვალ ზმნათა შემცველი წინადადების სინტაქსურ ანალიზს. თუ ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან დაკავშირებული სახელების სინტაქსურ კვალიფიკაციას ერთ ზოგად წესს დავუქვემდებარებთ, ე.ი. სახელობითში დასმულ სახელს ქვემდებარედ დავასახელებთ და მიცემითში დასმულს კი – ირიბ დამატებად, გრამატიკულ წესს მწყობრი და თანამიმდევრული სახე ეძლევა, რაც აადვილებს მარტივი წინადადების სინტაქსის როგორც სწავლებას, ისე მის შესწავლასაც. ცხადია, საკითხის ამგვარად გადაწყვეტას უპირატესობა ეძლევა მეთოდიკური თვალსაზრისითაც.

გვაქვს ერთგვარი გამონაკლისიც: **მაქვს** და **მყავს** ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები (მიმაქვს, მომაქვს, გამაქვს ... მიმყავს, მომყავს, გამომყავს...) უზმნისწინო ფორმებისაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულებია და გარდამავალ ზმნათა წყებაში არიან ჩამდგარი. ამის გამო ასეთი ფორმები ინვერსიულად არის გაგებული და შესაბამისად მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარედ არის მიჩნეული, სახელობითში დასმული კი – პირდაპირ დამატებად. მაგ.: ვანოს წიგნი მოაქვს, ვანოს სტუმარი მოჰყავს. **ვანოს** ქვემდებარეა,

წიგნი და სტუმარი კი – პირდაპირი დამატება.

მყავს ზმნის ზმნისწინიანი ფორმები „მარტო აწმყოს წრეში იხმარება, სხვაგან კი ენაცვლება ყვან ფუძისაგან იმავე ზმნისწინით ნაწარმოები ზმნები: მოჰყავს – წამოიყვანს, მოიყვანს, მიჰყავს – წაიყვანს, მიიყვანს, გაჰყავს – გაიყვანს და სხვ.“[77]. მაქვს ზმნის ზმნისწინიან ფორმებს ორი გარდამავალი ზმნა ენაცვლება: მოაქვს – მოიტანს, წამოიღებს, მიაქვს – მიიტანს, წაიღებს ... მოაქვს იხმარება აწმყოს წრეში (მოაქვს, მოჰქონდა, მოჰქონდეს) და მესამე სერიაში უსრული ასპექტის გამოსახატავად: მოჰქონებია – მოუტანია“[78].

„მაშასადამე, „მოაქვს“ და „მოჰყავს“ ფორმები ენას გათანაბრებული აქვს გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან, სადაც ინვერსიას აქვს ადგილი. ამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მოაქვს“ და „მოჰყავს“ ინვერსიული ზმნებია, სხვათა შესახებ კი ამისი თქმა არ შეიძლება“[79].

§53. ქვემდებარე და დამატება გარეგნულად მსგავს შემასმენლებთან

ერთი და იგივე ფორმა ზმნისა ზოგჯერ შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული – გარდამავლად ან გარდაუვლად, მოქმედებითად ან ვნებითად..., რაც გამოწვეულია სხვადასხვა მნიშვნელობის ერთი და იმავე მწკრივის ან სხვადასხვა მწკრივის ფორმათა დამთხვევით. დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

1. სტატიკურ ვნებითს აწმყოში და გარდაუვალ ზმნებს I თურმეობითში ერთნაირი წარმოება ახასიათებს. ამის გამო სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმა სასხვისო ქცევისა გარეგნულად ხშირად არ განსხვავდება მოქმედებითი გვარის ზმნის I თურმეობითის დაუსრულებელი სახის (უზმნისწინო) ფორმისაგან.

აწმყო (სტატიკური ვნებითი)	I თურმეობითი (მოქმედებითი გვარი)
ჭაბუკობაში გაგონილი ლექსები ვახტანგს ახლაც უბის წიგნაკში უწერია.	ჭაბუკობაში ვახტანგს ლექსებიც უწერია.
ლექსები ქვემდებარეა, ვახტანგს – ირიბი დამატება.	ვახტანგს ქვემდებარეა, ლექსები – პირდაპირი დამატება.

ფორმათა დამთხვევა ხდება სხვა პირებშიც; მიწერია, გიწერია, გვიწერია, გიწერიათ.

[77] ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 226.
[78] იქვე, გვ. 226.
[79] იქვე, გვ. 227.

მოქმედებითისა და სტატიკური ვნებითის ფორმათა დამთხვევა თქმულით არ ამოიწურება: წარმოების თვალსაზრისით, მოქმედებითის II თურმეობითის ფორმა ემთხვევა სტატიკური ვნებითის წყვეტილის ფორმას, ხოლო მოქმედებითის III კავშირებითის ფორმა ემთხვევა სტატიკური ვნებითის II კავშირებითის ფორმას: ეწერა, ეწეროს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედებითი გვარისა და სტატიკური ვნებითის ფორმათა შეხვედრა ხდება მაშინაც, როცა სტატიკური ვნებითის ფორმა წყვეტილია ან II კავშირებითი, მოქ. გვარისა კი II თურმეობითი ან III კავშირებითი (შესაბამისად).

წყვეტილი (სტატიკური ვნებითი)	II თურმეობითი (მოქმედებითი გვარი)
მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული. (ჭავ.). მიცემითში დასმული სახელი (მოაჯირს) ირიბი დამატებაა, სახელობითში დასმული (ფიცრული) კი – ქვემდებარე.	ღამის წყვდიადისათვის განთიადს ნისკარტი ეკრა და ფერი ეცვლევინებინა. (ყაზ.). აქ მიცემითში დასმული სახელი (განთიადს) ქვემდებარეა, ხოლო სახელობითში დასმული სახელი (ნისკარტი) – პირდაპირი დამატება.

2. მოქმედებითი გვარის ზმნის II თურმეობითის ფორმა შეიძლება დაემთხვეს **ენ**იანი ვნებითის წყვეტილის ფორმას. ამის გამო „ზოგიერთი ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმა მეორე თურმეობითში იგივეა, როგორიც **ენ**იანი ვნებითისა წყვეტილში“[80].

წყვეტილი (**ენ**იანი ვნებითი)	II თურმეობითი (მოქმედებითი გვარი)
ტყეს თანდათან **ჩრდილი** მოეფინა. (ევდ.). მოეფინა წყვეტილის ფორმაა მოეფინება ზმნისა. მიცემითში დასმული სახელი (აქ: ტყეს) ირიბი დამატებაა, სახელობითში დასმული სახელი (აქ: ჩრდილი) – ქვემდებარე.	მზეს სოფლისთვის შუქი მოეფინა. აქ მოეფინა II თურმეობითის ფორმაა მოჰფენს ზმნისა. მიცემითში დასმული სახელი (აქ: მზეს) ქვემდებარეა, სახელობითში დასმული სახელი კი (აქ: შუქი) – პირდაპირი დამატება.

ფორმათა დამთხვევა ხდება II და III კავშირებითშიც. მაგ., **მოეფინოს ენ**იანი ვნებითის II კავშირებითის ფორმადაც შეიძლება

[80] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო არასრული საშუალო სკოლის V, VI და VII კლასებისათვის, 1939, გვ. 131.

გავიგოთ (ტყეს ჩრდილი მოეფინოს) და მოქმედებითი გვარის ზმნის III კავშირებითადაც (მზეს სოფლისთვის შუქი მოეფინოს).

3. მოქმედებითი გვარის –ავ და –ამ თემის ნიშნის მქონე ზმნათა მყოფადის სასხვისო ქცევის ფორმები ხშირად ემთხვევა I თურმეობითის ფორმებს.

მყოფადი	I თურმეობითი
დედა შვილს კაბას შეუკერავს.	დედას შვილისთვის კაბა შეუკერავს.
ზმნა სამპირიანია, ქცევა – სასხვისო, დრო მომავალია; დედა ქვემდებარეა, შვილს – ირიბი დამატება, კაბას კი პირდაპირი დამატებაა.	ზმნა ორპირიანია, ფორმა – ინვერსიული; წარმოების მიხედვით სასხვისო ქცევის ფორმაა, მაგრამ ქცევის გაგება არ ახლავს. დედას ქვემდებარეა, კაბა – პირდაპირი დამატება.

ზმნა რომ უზმნისწინოდ (უსრული ასპექტით) ავიღოთ, მაშინ ერთმანეთს I თურმეობითისა და აწმყოს ფორმები დაემთხვევა (შდრ.: დედა შვილს კაბას უკერავს და დედას შვილისთვის კაბა უკერავს).

4. სათავისო ქცევის მეორე სერიის ფორმები ემთხვევა ინიანი ვნებითის იმავე სერიის ფორმებს.

სათავისო ქცევა (წყვეტილი)	ინიანი ვნებითი (წყვეტილი)
ბავშვმა ცრემლი მოიწმინდა. (II კავშირებითი.)	ალიონზე ცა მოიწმინდა. (ევდ.) (II კავშირებითი)
ბავშვმა ცრემლი მოიწმინდოს. მოიწმინდა (მოიწმინდოს) ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. აწმყოში იქნება იწმენდს. ბავშვმა ქვემდებარეა, ცრემლი – პირდაპირი დამატება	ალიონზე ცა რომ მოიწმინდოს... მოიწმინდა (მოიწმინდოს) აქ ერთპირიანი ზმნაა. აწმყოში იქნება იწმინდება. სახელობითში დასმული სახელი (აქ: ცა) ქვემდებარეა.

5. უნიშნო ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმა წყვეტილში შეიძლება დაემთხვეს მოქმედებითი გვარის იმავე მწკრივის სასხვისო ქცევის ფორმას.

წყვეტილი (უნიშნო ვნებითი)	წყვეტილი (მოქმედებითი გვარი)
მტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. (ვაჟა, 5, 106).	დედამ ბავშვს რძიანი ბოთლი თბილ წყალში ჩაუდგა.
ზმნა ორპირიანია, სახელობითში დასმული სახელი (ნათელი) ქვემდებარეა, მიცემითში დასმული (მტრედს) – ირიბი დამატება. მყოფადში იქნება: ჩაუდგება.	ზმნა სამპირიანია, დედამ ქვემდებარეა, ბავშვს – ირიბი დამატება, ბოთლი – პირდაპირი დამატება. მყოფადში იქნება: ჩაუდგამს.

II სერიაში ერთმანეთს შეიძლება დაემთხვეს უნიშნო ვნებითისა და მოქმედებითის საარვისო ქცევის ფორმებიც. მაგალითად:

წყვეტილი (უნიშნო ვნებითი)	წყვეტილი (მოქმედებითი გვარი)
ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა. (წერ.)	ბავშვმა ბოთლი წყალში ჩადგა.

6. სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები პირველსა და მეორე ობიექტურ პირებში (I-სა და II სერიაში) გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

სათავისო ქცევა	სასხვისო ქცევა
ლეკებმა რომ დამიჭირეს [მე] დამდეგ იყო მკათათვისა. (ხალხ.).	მეძებრებმა მე მელია დამიჭირეს.
ზმნა ორპირიანია; ლეკებმა ქვემდებარეა, მე – პირდაპირი დამატება, ი (დამიჭირეს) სათავისო ქცევის ნიშანია.	ზმნა სამპირიანია; მეძებრებმა ქვემდებარეა, მე – ირიბი დამატება, მელია კი პირდაპირი დამატებაა. ი (დამიჭირეს) აქ სასხვისო ქცევის ნიშანია.

7. „სასხვისო ქცევას გარდამავალ ზმნაში პირდაპირ ობიექტად ჩვეულებრივ მე-3 პირი აქვს, ირიბად კი ყველა შეიძლება ჰქონდეს. უცვალებელია პირდაპირი, ცვალებადი–ირიბი“. (ა. შანიძე). იშვიათად პირდაპირ ობიექტად ყველა პირი შეიძლება იყოს, ირიბად – მესამე. ნიმუშად დასახელებულია **დამიყენა,** რომელიც ერთ შემთხვევაში სათავისო ქცევის ფორმაა ან სხვადასხვა მნიშვნელობის სასხვისო ქცევა. დავასახელებთ თქმულის შესაბამის მაგალითებს:

1. თუ **დამიყენა** ვინმემ მოჯამაგირედ, ხომ კარგი. (დ. ჭონ.).

2. გამიმართლდა, რომ ბალღები სწორ გზაზე **დამიყენა**. (ბ. ჩხ.).

3. ... მამაჩემმა წამიყვანა და ულმობელ ვაჭარს **დამიყენა** მოჯამაგირედ. (ვაჟა).

„დამიყენა“ პირველ წინადადებაში ორპირიანია; იგი სათავისო

ქცევის ფორმაა: და-მ-ი-ყენა (მან მე); და-გ-ი-ყენა (მან შენ); და-ი-ყენა (მან ის); მეორე წინადადებაში სამპირიანი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმაა, შემდეგი მიმდევრობით: მე-3 სუბიექტური პირი, ირიბობიექტური და პირდაპირობიექტური: და-მ-ი-ყენა (მან მე იგი), და-გ-ი-ყენა (მან შენ იგი), და-უ-ყენა (მან მას იგი). ზმნა მესამე წინადადებაშიც სასხვისო ქცევის ფორმაა განსხვავებული მიმდევრობით: და-მ-ი-ყენა (მან მას მე), და-გ-ი-ყენა (მან მას შენ), და-უ-ყენა (მან მას ის).

8. იშვიათი ფორმები სათავისო ქცევითაც გვხვდება. ამ ქცევის ფორმები ორპირიანია და პირდაპირ ობიექტად ჩვეულებრივ მესამე პირია, იშვიათად – პირველი და მეორეც. ბ-ნ აკაკის მიერ დასახელებულ ოცამდე მაგალითიდან ორი ასეთია: მიმიყვანეს არა-ღირსთა, ღირსეულად **მიმსახურეს** (გურამ.): რად დამჭერ, თუკი მორჩენით არ **გამიხდიდი** მონადა. (ვაჟა).

პირველი პირი რომ მეორე პირით შევცვალოთ, დასახელებული მაგალითები ასეთ სახეს მიიღებს:

მიგიყვანეს არაღირსთა, ღირსეულად **გიმსახურეს;**

რად დაგჭერ, თუკი მორჩენით **არ გავიხდიდი** მონადა.

9. სამპირიანი ზმნის საარვისო ქცევის ფორმა რომ სასხვისოდ გადავაკეთოთ, მოემატება მფლობელი ირიბი დამატება და წინადადებაში ორი ირიბი დამატება აღმოჩნდება: პირმიმართი და პირმიუმართავი (უბრალო). მაგ.:

ა) მან აღვირს სტაცა ხელი:

სიდედრი გამომეგება, (მან მე) **აღვირს** მიტაცა **ხელიო** (ხალხ.);

ბ) კიდევ მიართვეს (მათ) ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებული:

კიდევ მიმირთვით (თქვენ მე) ალუდას წვენ-ხორცი გაცხელებული (ვაჟა).

„მე“ მფლობელი პირმიმართი ირიბი დამატებაა, „აღვირს“ და „ალუდას“ პირმიუმართავი (უბრალო).

10. „შუალობითი კონტაქტის საარვისო ქცევის ფორმებში ჩვეულებრივ სამი პირია მოცემული: სუბიექტური, პირდაპირობიექტური და ირიბობიექტური“. (ა. შანიძე). არის შემთხვევები, სადაც სუბიექტურ და პირდაპირობიექტურ პირებთან ერთად ორი ირიბი დამატებაა წარმოდგენილი–პირმიმართი და პირმიუმართავი.

მან ცხენი ხეს მიაბა.

მან **მე** ცხენი **ხეს** მიმაბმევინა.

მან ორივე წინადადებაში ქვემდებარეა, **ცხენი** – პირდაპირი დამატება, **ხეს** პირველ წინადადებაში ირიბი (პირმიმართი) დამატებაა, მეორეში – უბრალო (პირმიუმართავი) დამატება. ასეთი დამატება შეიძლება შეიცვალოს ზედართულ უბრალო დამატებად: მან მე ცხენი **ხეზე** მიმაბმევინა. ასეც გვხვდება: მარაბდელმა ქურდი **ხეზე** მიაბმევინა. (ჯავ.).

შემასმენლის ურთიერთობა ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებთან რიცხვში

§54. შემასმენლისა და მასთან შეწყობილი მთავარი წევრების სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი საკითხები

შემასმენელი, როგორც ვიცით, წინადადების ძირითადი წევრია, რომელიც უმეტესად ზმნის პირიანი ფორმებით გადმოიცემა. ზმნა-შემასმენელი წინადადების ხერხემალია; იგი, ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დედა-ძარღვია ჩვენი მეტყველებისა“, „სული და გულია“ მისი. ზმნა-შემასმენლის ეს დიდი მნიშვნელობა კარგად აქვთ შენიშნული ძველ გრამატიკოსებსაც. მაგალითად, თ. ჟორდანიას აზრით, შემასმენელი „არის უფალი მრთელის წინადადებისა. მისგან დამოკიდებულია გრამატიკულად ქვემდებარე და დამატებითი სიტყვებიცა“.

ზმნა-შემასმენელი რომ მართლაც „უფალია წინადადებისა“, ეს ნათლად ჩანს ზემოთ წარმოდგენილი სქემებიდანაც. მეტი სიცხადისათვის აქ წარმოდგენილია უფრო მრავალწევრებიან წინადადებათა სქემები.

1. პატარა დედაკაცმა ფუნჩულა ხელით დიდი თვალებიდან პაწაწინა ცრემლი მოიწმინდა. (ჯავ.).



2. პორტში ჩაძირულ გემებს ზღვიდან ანძები ამოეყოთ დასახრჩობად განწირული კაცის ხელებივით. (ა. ბულაკ.).



შემასმენელს სინტაქსურად მრავალი წევრი უკავშირდება. მისი წყვილის ცალი შეიძლება იყოს არა მარტო ქვემდებარე და დამატება-ობიექტები (პირდაპირი და ირიბი), არამედ წინადადების არამთავარი წევრებიც – უბრალო დამატება და გარემოება (სხვადასხვა სახისა), მაგრამ შემასმენელთან მათი დაკავშირების ხასიათი სხვადასხვაგვარია. უბრალო დამატება და გარემოება დაკავშირებულია მასთან აზრის მიხედვით, ე.ი. ზმნის აგებულების მიხედვით არ იგულისხმება არც ერთი მათგანი; სინტაქსური დამოკიდებულების მიხედვით მათ შორის ცალმხრივი დაქვემდებარებაა. ზმნა-

შემასმენელი მართავს უბრალო დამატებას ბრუნვაში, გარემოება კი მირთულია. ქვემდებარე და დამატება-ობიექტები ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ფარდი სახელებია, სამივე წევრი იგულისხმება ზმნის აგებულებაში, ე.ი. მასთან დაკავშირებული არიან არა მარტო აზრის მიხედვით, არამედ ფორმის საშუალებითაც. დაქვემდებარება მათ შორის საურთიერთოა: ზმნა-შემასმენელი ენაში ისტორიულად შემუშავებული წესის შესაბამისად შეიწყობს ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს ბრუნვაში, თვითონ კი ეთანხმება მათ პირში და ხშირად რიცხვშიც.

სახელისა და ზმნის ფორმები და მათი ერთმანეთთან შეწყობა-შეკავშირების წესები ენაში შემუშავებულია საუკუნეთა განმავლობაში. ჩვენ, მოლაპარაკენი, ვიცავთ სიტყვათა შეკავშირების იმ წესებს, რომლებიც ისტორიულად არის შემუშავებული ენაში. „მაგ., თუ გვინდა, რომ „შეჭამა“ ზმნას „მგელი“ სუბიექტად შევუწყოთ, გვექნება „მგელმა შეჭამა“ და, თუ გვინდა ობიექტად, უნდა ვთქვათ: „მგელი შეჭამა“. და, თუ გვინდა, რომ „მგელმა“ ფორმა იყოს წინადადებაში, მასთან „შეჭმა“ ზმნა უთუოდ II სერიის ფორმით უნდა ვიხმაროთ: „მგელმა შეჭამა“ ან „მგელმა შეჭამოს“[81].

მართლაც, სიტყვათა ფორმები და მათი ერთმანეთთან შეწყობის წესები საუკუნეთა განმავლობაშია შექმნილი და დამკვიდრებული ყოველ ენაში. მაგრამ გრამატიკული წესები, როგორც ცნობილია, არ არის უცვლელი. „ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე“. (ილია ჭავჭავაძე). მაგალითად, ცოტა რამ როდი შეიცვალა, კერძოდ, ქართულში ზმნისა და სახელის სინტაქსურ ურთიერთობაში. მაგრამ ცვლილებები ენაში შეაქვს არა თვით ზმნას ან სახელს, არამედ ენობრივ კოლექტივს, მის თაობებს, რომლებიც თანდათან ცვლიან ერთ დროს მოქმედ წესებს, ამკვიდრებენ და მოქალაქეობრივ უფლებას ანიჭებენ ახალს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხალხია ენის კანონების დამდგენი“.

ზმნის პირი და რიცხვი განუყოფელია ერთმანეთისაგან. მათ ზმნის ფორმაში თავ-თავისი ან ერთი საერთო ნიშანი გამოხატავს. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს ერთი ზმნის ეს ფორმები: „ჩვენ **ვაშენებთ**“ და „**ისინი აშენებენ**“. პირველ ფორმაში სუბიექტურ პირს **ვ** თავსართი გამოხატავს, მის მრავლობითობას – **თ** ბოლოსართი. დაისმის კითხვა: რა სინტაქსური ურთიერთობაა ქვემდებარესა და შემასმენელს შორის პირისა და რიცხვის მიხედვით? ვამბობთ: შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვშიო. ამ ურთიერთობას მართვად არავინ მიიჩნევს. კი მაგრამ ეს როგორ? „ჩვენ“ ნაცვალსა-

[81] ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 212.

ხელი, მართალია, მრავალს (ერთზე მეტს) აღნიშნავს, მაგრამ გრამატიკული მრავლობითის ფორმა რომ არ არის? რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ არავინ ამბობს, ეს ურთიერთობა მართვაა და არა შეთანხმებაო. ცხადია, შეთანხმება აქ ლექსიკურ-ფორმობრივია. გარდა ანალოგიური სინტაქსური ურთიერთობა არ არის ქვემდებარესა და შემასმენელს შორის პირის მიხედვით. „ჩვენ“ პირველ პირს გამოხატავს სემანტიკურად, ზმნა ამავე პირს – გრამატიკულად, ე.ი. აქაც შეთანხმებაა ლექსიკურ-ფორმობრივი. ახლა ვნახოთ ამავე ზმნის მესამე პირის ფორმა: ქვემდებარე („ისინი“) მრავლობითშია, მრავლობითშია მასთან შეწყობილი ზმნაც, ე.ი. შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში: ისინი აშენებენ. „ისინი“ მე-3 პირის სახელია, „აშენებენ“ მე-3 პირის გრამატიკული ფორმაა, ე.ი. აქაც შეთანხმებაა ლექსიკურ-გრამატიკული. ზმნის ფორმაში პირი და რიცხვი ერთი ნიშნით არის გამოხატული. ეს ნიშანი შეთანხმების მორფოლოგიური გამოხატვაა (და არა მართვისა თუ მართვა-შეთანხმებისა).

სახელს, რომელიც ზმნასთან სუბიექტად ან ობიექტად არის შეწყობილი, ორი გრამატიკული კატეგორია აქვს: ბრუნვა და რიცხვი. ამასთან, მისი რიცხვის ფორმა არ არის გამოწვეული სხვა სიტყვასთან სინტაქსური ურთიერთობით, ბრუნვის ფორმას კი განსაზღვრავს ზმნა-შემასმენელი. მაშასადამე, ეს უკანასკნელი საკითხი ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების შემასმენელთან სინტაქსური ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამის შესახებ ზემოთ საკმაოდ ვრცლად იყო საუბარი.

ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების შემასმენელთან ბრუნვაში შეწყობის ძირითადი წესები ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე ბრუნვაუცვლელია: იგი სამივე სერიის ფორმებთან სახელობით ბრუნვაში დგას. გარდამავალი ზმნის ქვემდებარე ბრუნვაცვალებადია: I სერიის ფორმებთან სახელობითშია, II სერიის ფორმებთან – მოთხრობითში, ხოლო III სერიის ფორმებთან მიცემითში დგას. ბრუნვაცვალებადია პირდაპირი დამატებაც: I სერიის ფორმებთან მიცემითში დგას, II და III სერიის ფორმებთან კი – სახელობითში. ირიბი დამატება ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია. „სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვაცვალებადობა ქართული ენის დამახასიათებელი ნიშანია და მსგავსი რამ სხვა ტიპის ენებში არ მოიპოვება“[82]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირდაპირი (და ირიბი დამატება), როგორც ვიცით, ქართულში სხვა სინტაქსური ოდენობაა, ვიდრე ამავე სახელწოდების წევრები რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში.

[82] ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, გვ. 227.

ზმნის პირიან ფორმას, რომლითაც შემასმენელი გადმოიცემა, ერთდროულად მრავალი მორფოლოგიური კატეგორია აქვს (ზოგს – მეტი, ზოგს – ნაკლები). ამათგან ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებთან სინტაქსური ურთიერთობისათვის მნიშვნელოვანია პირისა და რიცხვის კატეგორიები. „რიცხვის გამოხატვა ზმნაში საზოგადოდ მჭიდროდ არის დაკავშირებული პირის კატეგორიასთან. მხოლოდ **პირი** შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე“[83]. ეს უკანასკნელი ზმნას საერთო აქვს სახელთან. ქვემდებარისა და დამატების რიცხვის ფორმა, როგორც უკვე ითქვა, არ არის გამოწვეული სხვა წევრთან სინტაქსური ურთიერთობით, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით შემასმენლზე: შემასმენელის რიცხვის ფორმა დამოკიდებულია ქვემდებარესა და დამატება – ობიექტებზე. ამიტომ, ერთი მხრივ, ქვემდებარე-შემასმენლისა და, მეორე მხრივ, დამატება-ობიექტებისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობა, ერთ-ერთ ძირითად საკითხად ამ წევრთა შორის რიცხვის (და პირის) მიხედვით დამყარებული ურთიერთობის გარკვევას გულისხმობს.

შემასმენელი, რომელიც ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული, რიცხვში ქვემდებარეზეა დამოკიდებული. როგორადაც უნდა გავავრცოთ წინადადება, სადაც შემასმენლად ერთპირიანი ზმნა გვაქვს, მასში, გარდა ქვემდებარისა, არ აღმოჩნდება სხვა წევრი, რომელსაც შეეძლება გავლენა მოახდინოს შემასმენლის ფორმაზე. სხვა ვითარებაა, როცა შემასმენლად ორპირიანი (და სამპირიანი) ზმნაა. ამ შემთხვევაში ზმნა-შემასმენლის ფორმაზე გავლენას ახდენს არა მარტო ქვემდებარე, არამედ დამატებაც (პირდაპირი და ირიბი).

ქვემდებარე და შემასმენელი

§55. შემასმენელი მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან

მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან, საზოგადოდ, შემასმენელიც მხოლობითში დგას.

ქვითინებდა შველი, კვნესოდა ჯეირანი, ოხრავდა ირემი. (ევდ.).

მხოლობითში დგას შემასმენელი მაშინაც, როცა მხოლობით რიცხვში დასმული ქვემდებარე კრებითი სახელია (ხალხი, ჯოგი, გუნდი, სტუდენტობა და სხვ.) ან რიცხვითი სახელი (ერთზე მეტი), ან კიდევ ნაცვალსახელი „ყველა“; მოზღვავებულმა **ხალხმა** ცეცხლი მალე ჩააქრო (ვაჟა, 190); **ცხვარი** მთის კალთებზე შეფენილიყო (რაზ., 6); **ყველა** მიურბოდა, უფრთხოდა ტყეს. (ვაჟა).

ქვემდებარესთან, რომელიც დასახელებული ტიპის სახელე-

[83] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 168.

ბით არის გადმოცემული, იშვიათად შემასმენელი მრავლობითშიც გვხვდება: ამ ლაპარაკში **ჩამოერივნენ** გუგუას **ნათესაობა** (ყაზ., 2, 262); **ყველა** გაოცებით **უყურებდნენ** ერთმანეთს (წერ.); ნიგვზის ქვეშ **ორივემ გაიხადეს** ჩოხები. (კლდ., 1, 173).

ამ მაგალითებში მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელი აზრის მიხედვით არის შეთანხმებული მრავლობითი რიცხვის ფორმით. ამგვარი დაკავშირება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიუღებელია. ამიტომ მრავლობითში დასმული შემასმენლები წესით მხოლობითში უნდა დაისვას.

ამ მხრივ ერთგვარობა არ გვქონდა ძველ ქართულშიც: კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენელი უფრო ხშირად მრავლობითშია დასმული (ე.ი. ასეთი სახელის ლექსიკურ მნიშვნელობას ეწევა ანგარიში), მაგრამ არცთუ იშვიათად მხოლობითში დგას (ე.ი. სიტყვის ფორმას ექცევა ყურადღება)"[84].

სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს მხოლობითი რიცხვის ფორმით ეწყობა მრავლობითის ფუძე, არაკრებითი სახელით გამოხატულ ქვემდებარეს კი – მხოლობითის ფუძე.

ქვემდებარედ არაკრებითი სახელია	**ქვემდებარედ კრებითი სახელია**
ცაცხვის ჩრდილში **ბავშვი იჯდა.**	ცაცხვის ჩრდილში **ხალხი ისხდა.**
დაჭრილი მგელი **კვდებოდა.**	შემოდგომაზე **მწერი იხოცება.**
ხის ძირში **ფოთოლი გდია.**	ხის ძირში **ფოთოლი ყრია.**
მუხის ძირში **რკო ეგდო**	ჩამოცვენილი **რკო** ზოგან მცირე ხვავად **ეყარა** (გვ. 480).
რკინის ხარს ბამბის **კუდი აბია.** (გამოცანა: ნემსი და ძაფი)	ხეს **ფოთოლი ასხია.**
ხიდან **ფოთოლი ვარდება.**	ხიდან **ფოთოლი ცვივა.**

როცა ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობაც ერთზე მეტს გულისხმობს, ქვემდებარეც მხოლობითში დაისმის და შემასმენელიც: ოთახიდან **ორი დედაკაცი გამოვიდა** (ს.კლდ., 73). ერთ ადგილსა **მრავალი** თეორი **ყარყატი** ბუდობდა (საბა); ერთ ბაღში **ბევრი ხეხილი იდგა** (გოგ., 47); **ყველა** მთიელი **მწყემსი** სამთო ქოხს ამგვარად **აკეთებს**. (ვაჟა, 5, 158).

აღნიშნული წესიდან გადახვევა ორ შემთხვევაში გვხვდება.

---

[84] **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. 1957, გვ. 314-315.

ა) შემასმენელი აზრის მიხედვით უწევს ანგარიშს ქვემდებარეს და მრავლობითში დგას: მეორე ოთახიდან **გამოცვივდნენ სამი** დამალული **ბიჭი**. (ჭავ., 309).

ბ) მრავლობითში დგას ქვემდებარეც და შემასმენელიც: **ყველა ფრინველები** გზას **უთმობენ** (ვაჟა 5, 238); სახლის უკან, ზვარში, **იდგნენ რამდენიმე** კაკლის **ხეები**. (ლომ., 257).

სალიტერატურო ქართულში ორივე სახის გადახვევა თანაბრად მიუღელია. მაშასადამე, მოყვანილი მაგალითები სალიტერატურო ენაში მიღებული წესის შესაბამისად ასე უნდა გადაკეთდეს: მეორე ოთახიდან **გამოვიდა სამი** დამალული **ბიჭი; ყველა ფრინველი** გზას **უთმობს**; სახლის უკან, ზვარში, **იდგა რამდენიმე** კაკლის **ხე**.

ზოგჯერ მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ თანაობის უბრალო დამატებას ეწევა ანგარიში და მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობითის ფორმით არის შეწყობილი: **კობა** თავის **ამხანაგებით გადავიდნენ** კლდის ძირობაში (ყაზ., 1, 276); **დედოფალი** თავის **მოახლეებით** და სასახლის **ქალებით** ხეივანში ჭილოფზე **ისხდნენ** და მძივით ვეებერთელა ფარდას **ქარგავდნენ** (ლორთქ., 2, 307); გადიოდა დრო. კვლავ ერთ ჭერქვეშ **ცხოვრობდნენ ნადირი** თავისი შკანასკნელი **ორი ცოლით**. (გაზ. „თბ“, 1958, 13.6, №126 (1529).

ასეთი შეწყობა ქართულისათვის მიუღებელია.

§56. შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან

მრავლობითი რიცხვის წარმოება სახელებში, როგორც ვიცით, ორგვარია: **ებ**იანი და **ნარ-თან**იანი. ეს ორგვარი წარმოება ერთმანეთის პარალელურად იხმარებოდა და იხმარება დღესაც, მაგრამ მათი გამოყენების არე ძველსა და ახალ ქართულში სხვადასხვაგვარია. ძველ ქართულში გაბატონებული იყო **ნარ-თან**იანი წარმოება; „**ებ**იანი მრავლობითი ძველ ქართულში მე-11 საუკუნემდის იშვიათად გვხვდება..., მე-12 საუკუნიდან მოყოლებული კი იგი თანდათან მეტსა და მეტს გასაქანს პოულობს და საქმე იქამდე მიდის, რომ ახალ ქართულში სრულ გაბატონებას აღწევს“[85]. მაშასადამე, თანამედროვე ქართულში **ებ**იანი წარმოებაა გაბატონებული, **ნარ-თან**იანი ფორმები კი შედარებით იშვიათად იხმარება.

ებიანი და **ნარ-თან**იანი მრავლობითის სინტაქსური ძალა განსხვავებული იყო წინათ და რამდენადმე განსხვავებულია დღესაც. ამიტომ **ებ**იანსა და **ნარ-თან**იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხს განვიხილავთ

[85] ა. შანიძე, ძველი ქართული ენა; ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1935, გვ. 103.

ცალ-ცალკე.

ა) **შემასმენელი ებ**იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან. **ებ**იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში ჩვეულებრივ ვერ ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში: **ყრმები** მცირნ **გამოვიდა** ქალაქით (4 მეფ. 2, 23); **ჰრქუა ყრმებმან** მან პავლეს. (თეკლ. 105, 29). მაგრამ იშვიათად თვით ძველ ქართულშიც ითანხმებდა **ებ**იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე შემასმენელს რიცხვში[86]. მაგ.: **ჰრქუეს ყრმებმან** მან პავლეს. (თეკლ. 105, 29)[87].

ებიანი მრავლობითი, როგორც უკვე აღინიშნა, თანდათანობით გაბატონდა ენაში და თანაც გაძლიერდა ამ ნიშნის სინტაქსური ძალა. **ებ**იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე თანამედროვე ქართულში ხშირად ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. შეთანხმებისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც თვით სახელს, რომლითაც ქვემდებარეა გადმოცემული, ისე ზმნა – შემასმენელსაც. ასე, მაგალითად, **ვინ** ჯგუფის სახელთა სინტაქსური ძალა უფრო დიდია, ვიდრე **რა** ჯგუფის სახელებისა. ამ უკანასკნელი ჯგუფის სახელებიდან სულიერი საგნის სახელების სინტაქსური ძალა **ვინ** ჯგუფის სახელებისას ეტოლება, არასულიერთა სახელების სინტაქსური ძალა კი ჩამორჩება სულიერ საგანთა სახელების სინტაქსურ ძალას. მნიშვნელობა აქვს იმასაც, ზმნის სუბიექტური პირი რეალური ვითარების მიხედვით აქტიურ სუბიექტს გულისხმობს თუ პასიურს და სხვ. მხატვრულ ლიტერატურაში შეთანხმებას სტილისტიკური მიზნითაც მიმართავენ, ასე რომ მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენლის შეწყობა თანამედროვე ქართულში რთულია და მრავალფეროვანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოიყოფა ისეთი შემთხვევები, სადაც მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის წესი რამდენადმე მწყობრია და თანამიმდევრული. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე.

ებიან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან, რომელიც ადამიანის ან სხვა სულიერი საგნის (ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების, ქვეწარმავლების) სახელით არის გადმოცემული, შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას, ე.ი. ეთანხმება მას რიცხვში: **გუდამაყრელები** მთაში **მიდიოდნენ** (ყაზ., 2, 438); საძოვრებიდან **ძროხები** ზოზინით **ბრუნდებოდნენ** (გვეტ., 71) **ბულბულები კვნესოდნენ** ჩირგვებში (გამს., 2, 479); მზეზე **ლიფსიტები** ვერცხლივით **ბრჭყვიალებდნენ** (გოგ.); **პეპლები აფრთხიალდნენ** ყვავილებზე. (რაზ., 6).

ზოგიერთ კილოში (გურულში, იმერულში), მსგავსად ძველი ქართულისა, ხშირად არა გვაქვს შეთანხმება[88]. შეუთანხმებლობის შემ-

[86] **ი. იმნაიშვილი**, დასახელებული წიგნი, გვ. 305-306.

[87] მაგალითები ამოღებულია **ი. იმნაიშვილის** წიგნიდან, გვ. 304-306.

თხვევები გვხვდება სალიტერატურო ენაშიც. მაგ.: **მხედრები** ერთმანეთში **ირეოდა** (ვაჟა, 5, 3); შემოდგომაზე ... ჩვენს ქვეყანას თანდათან **ფრინველები** აკლდება (გოგ., 159); ცაცხვის ქვეშ შეკაზმული **ცხენები ება**. (ბარნ., 2, 141).

სულიერი საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს, რომელიც **ებიან** მრავლობითში დგას, სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათა მრავლობითის ფუძე მრავლობითი რიცხვის ფორმით ეთანხმება. მაგ.: იქ ჯგუფად **ისხდნენ ბუზები** (ჭავ., 330); **ფრინველები** სიცილით **იხოცებიან** (ვაჟა, 6, 349); საწყალი **მეურმეები**, სიცხისაგან დაოსებულნი, კონკილაზედ აყენებულ ურმებს ქვეშ **ეყარნენ** ... (ჭავ., 485).

როცა **ებიან** მრავლობითში დასმული ქვემდებარე უსულო საგნის სახელია, შემასმენლის რიცხვში შეწყობის მტკიცე წესი არა გვაქვს: ხშირია როგორც შეთანხმების, ისე შეუთანხმებლობის შემთხვევები. თანამედროვე ქართულში ამ მხრივ დიდი რყევაა. ამითაა გამოწყეული, რომ თანაბარ პირობებში ერთი და იგივე ზმნა-შემასმენელი ხან მრავლობითში დგას და ხან მხოლობითში. ასეთი შემთხვევები გვხვდება არა მარტო სხვადასხვა მწერლის, არამედ თვით ერთი ავტორის ნაწერებშიც კი. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

1. ა) წვიმის **ცვარები** სეტყვასავით მკვეთრად **სცემდა** ფანჯრების შუშებს. (ვაჟა, 6, 78).

ბ) ხმელის წიფლის **ტოტები** ამაყად დედამიწას **სცემდნენ** ... (ვაჟა, 5, 87).

2. ა) ძამო! რა ტკბილად, რა უდარდელად ჩემი **დღეები** იქ **მიდიოდნენ!** (ჭავ., 153).

ბ) ასე **მიდიოდა** მოხუცის **დღეები** ... (ყაზ., 2, 314).

3. ა) ... ღამეში **მთები** კიდევ უფრო მაღალნი **ჩანდნენ** (ს. კლდ., 49);

ბ) ვაზის შეყვითლებულ ფოთლებში მწიფე **მტევნები ჩანდა** (ს. კლდ., 133); მოქუშულ ცაზე აქა-იქ **ჩანდა ვარსკვლავები** ... (ევდ., 3, 34);

4. ა) ეს გაფოთლილი **ხეები** ამაყად **დასცქერიან** ბეჩავს ხმელს წიფელს ... (ვაჟა, 5, 88);

ბ) ზევიდან კი ტოტებდაბურული **ხეები დასცქერის** თავზე (ევდ., 3, 211);

5. ა) **ხეებმა** თელას თვალიერება **დაუწყეს** (ვაჟა, 6, 139);

ბ) მუცელას **კბილებმა** კაწკაწი **დაუწყო** (ვაჟა, 5, 348);

6. ა) [გვადის] **მუხლები უკანკალებდნენ** (ქიაჩ., 3, 47);

---

[88] ს. ჟღენტი, გურული კილო, 1936, გვ. 68; არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 201.

ბ) ირინეს **ხელები უკანკალებდა.** (ჯაფ., 200).

„ზმნის შეთანხმება –ებიან სახელობითთან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, აღნიშნავს, შემდეგ კი ვრცელდება ისეთ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ ზმნა მოქმედებითი გვარისაა; აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყევა, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია“[89]. ეს ტენდენცია **ებიან** მრავლობითში დასმული ქვემდებარის სინტაქსური როლის გაძლიერებისაკენ არის მიმართული, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობს აუარებელი ლიტერატურის თარგმნა იმ ენებიდან, სადაც მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელიც მთავლობითში დგას[90].

რიცხვში შეთანხმება თანამედროვე ქართულში უმეტესად მაშინ ხდება, როცა ზმნის სუბიექტური პირი რეალური ვითარების მიხედვით აქტიურად მოქმედ საგანს გულისხმობს, „ან კიდევ როცა უსულო საგანი განპიროვნებულია და მას სულიერივით (ცოცხალივით) მოქმედება მიეწერება“[91]. აქტიურ სუბიექტს გულისხმობს მოქმედებითი გვარის ზმნები, ერთი წყება საშუალი გვარის ზმნებისა და ზოგიერთი ვნებითიც. მაგ.: ნაპრალთა თავზე მდგომარე **მუხები** წყრომით **არხევდნენ** ტოტებს (ვაჟა, 6, 59); **მთებმა დახუჭეს** თვალები (ვაჟა, 3, 165); **ხეები განაგრძობდნენ** თათბირს (ვაჟა, 6, 142); **მთებმა** შავი ნაბდები **წამოისხეს** (ვაჟა, 5, 54); **დუდუნებდნენ ყვავილები** ერთხმად (ვაჟა, 6, 303); ციდან **ღრუბლები** ქურდებივით **მიიპარებოდნენ** ... (რაზ., 213).

მოყვანილ მაგალითებში ყველა გვარის ზმნა გეხვდება, მაგრამ სუბიექტი ყველგან აქტიურად მოქმედს გულისხმობს: უსულო საგნის სახელები განპიროვნებულია.

შეუთანხმებლობა ხშირია განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა ვნებითი გვარისაა: **მთები ინგრეოდა, ხეები ტყდებოდა** (ვაჟა, 5, 315); **ხეები** კი **იცრცვებოდა, მინდვრები ტიტვლდებოდა** (რაზ., 179); ცას შავი **ღრუბლები გადაეკრა.** (ვაჟა, 6, 146).

ებიან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს, რომელიც უსულო საგნის სახელით არის გადმოცემული, სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნის მრავლობითის ფუძე ეწყობა (მხოლობითი რიცხვის ფორმით): ყვეთელი **ფოთლები** ყველგან მუხლებამდე **ეყარა.** (გვ. 485).

---

[89] **არნ. ჩიქობავა**, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში გვ.200.

[90] იქვე, გვ. 201.

[91] ა. **შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 114.

ბ) შემასმენელი **ნარ-თანიან** მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან. **ნარ-თანიან** მრავლობითში (ე.ი. **ნარიან** სახელობითსა და **თანიანი** მოთხრობითის მნიშვნელობით) დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში ყოველთვის ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში და ჩვეულებრივ ითანხმებს დღესაც. ამ შემთხვევაში ერთმანეთს მკვეთრად არ უპირისპირდება სულიერი და უსულო საგნის სახელებით გადმოცემული ქვემდებარეები. მაგ., **ფრინველნი** გასაფრენად **ემზადებოდნენ** (რაზ., 123); **ყვავილნი** მუდამ ჟამს სიცოცხლეზე **საუბრობდნენ** (ვაჟა, 6, 39); მისნი **კიდენი**, ხშირჩალიანნი და ზამთრისგან გაყვითლებულნი, **ამწვანდნენ** (ვაჟა, 5, 95); **ფრინველთ** ხმა **გაკმინდეს** ... **ყვავილთ** სული **განაბეს** (ვაჟა, 5, 288); **ისინი** [ლოდები] თვალდაშტერებით **დასცქერიან** უფსკრულს. (ვაჟა, 5, 237).

მრავლობითში დგას შემასმენელი მაშინაც, როცა **ნარიან** მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს განსაზღრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის გამომხატველი სახელი: გუშინ **შვიდნი გურჯანელნი** სანადიროდ **წასულიყვნენ** (ხალხ.); **ორნი კაცნი მოდიოდეს** სადაურნი სადმე გზასა (რუსთ., 255, 2); **შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი.** (საბა). ასეთი მრავლობითი ფორმალურია, რადგანაც **შვიდი** და **შვიდნი** (აგრეთვე **ორი** და **ორნი, ოთხი** და **ოთხნი**) მნიშვნელობით ერთია.

შემასმენელი **ნარიან** მრავლობიოთში დასმულ ქვემდებარესთან იშვიათად მხოლობითში დგას. ამ შემთხვევაში ქვემდებარედ ან უსულო საგნის სახელია, ან კიდევ ნაცვალსახელი, რომელიც უსულო საგნის სახელის მაგიერ არის ნახმარი[92]. მობანე **კლდენი** გვერდით **არ ახლავს** (ჭავ., 249); ძუძუს **აწოვებს** ალაზანს გაღმა-გამოღმა **მწვერვალნი** (შან.); **ყველანი** ერთად მზეზე გიშერივით საამურად **ბრწყინავდა** (რაზ., 197); ... **ესენი ხმებოდა** და ძირს ფერფლად ცვიოდა. (რაზ. 206).

ნარიან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ძველ ქართულში ითანხმებდა **მიყვარს, მაქვს** და მისთანა გარდაუვალ ზმნებსაც: მამასა **უყუარან ძენი** თუსნი; **გუძულან ეშმაკნი: მრწმანან** მე **სიტყუანი** შენნი. ასეთ ზმნებთან ქვემდებარემ შეთანხმების ძალა დაკარგა, მაგრამ შეთანხმების შემთხვევები იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ახალ ქართულშიც: მე თანა **მყვანან** რჩინისა **ძმები** (ჭავ., 150); რა კარგი **მეგობრები მყვანან** გვერდსა! (ვაჟა, 5, 60); მე დედიჩემის **ბიძები** ძლიერ **მიყვარდნენ**. (ლომ. 30).

---

[92] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 247.

§57. შედგენილი შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან

შედგენილი შემასმენელი ჩვეულებრივ სახელობითში დასმულ ქვემდებარეს ახლავს. ამავე ბრუნვაში დგას შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილიც. ამიტომ, როცა მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი მრავლობითშია, ქვემდებარესა და სახელად ნაწილს საერთო აქვს ბრუნვა და რიცხვი, ხოლო ქვემდებარესა და მეშველ ზმნას – რიცხვი. მაგ.: **პატარა შიმელები დიდი ხეები გახდნენ** (რაზ., 148); **მაიმუნები** სხვადასხვა **ჯიშისანი არიან.** (გოგ., 189).

მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის რიცხვში შეწყობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი;

ა) **ებ**იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის შეწყობის ოთხი შემთხვევაა გასარჩევი:

1. შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი მხოლობითშია: ტალავერში მაღლა ყურძნის **მტევნები იყო ჩამოკიდებული** (წერ., 1, 37); ხის ძირზე, იქვე, ხევის პირად, ჟოლოს **ფესვები იყო ამოსული.** (ვაჟა, 5, 12).

2. მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი – მხოლობითში: **კახელებიც იძულებული ყოფილან** ... (წერ., 1, 271); **ბავშვები** სოფელში **იყვნენ წასული.**

3. მეშველი ზმნაც მრავლობითშია და სახელადი ნაწილიც. ეს **ლიფსიტები** პატარა **ორაგულები იყვნენ** (გოგ., 194); **ყმაწვილები** განუყრელი **მეგობრები გახდნენ** (ქიაჩ., 3, 325); **თაგვები** დღისით სოროებში **არიან მიმალულნი.** (გოგ., 135).

4. სახელადი ნაწილი მრავლობითშია, მეშველი ზმნა – მხოლობითში; მისი **ცრემლები** სიხარულის **ცრემლები იყო.** (ევდ., 3, 253).

ბ) **ნარ**იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის შეწყობის ორი ძირითადი შემთხვევა გვაქვს:

1. შედგენილი შემასმენელის ორივე ნაწილი მრავლობითში დგას: **ისინი** ჩვენი **მეგობრები არიან** (გოგ., 90); **ყველანი ლამაზები იყვნენ** (ვაჟა, 5, 239);

2. მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი – მხოლობითში: ისინი **დაბინავებულიც იქნებიან** (ვაჟა, 5, 97); ყველანი სოფელში **იყვნენ წასული.**

დამატებით შეიძლება აღინიშნოს:

1. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან სახელით (არსებითით, ზედსართავით) გადმოცემული სახელადი ნაწილი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას, ვნებითის მიმღეობით გადმოცემული სახელადი ნაწილი კი მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც. მრავლობი-

თის გადმოსაცემად მეშველი ზმნის ფორმაც საკმარისია, ასე რომ უპირატესობა მიმღეობის მხოლობით რიცხვში დასმას უნდა მიეცეს.

2. **აქვს** და **ჰყავს** ზმნებთან სახელად ნაწილად, როგორც წესი, მიმღეობის ფორმებია დაკავშირებული. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან ამ ტიპის შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი ჩვეულებრივ მხოლობითშია: ზოგ ძაღლს **ყურები აცქვეტილი აქვს** (გოგ., 165); [კატას] თვალები **დახუჭული ჰქონდა** (გოგ., 7).

§58. შემასმენლის რიცხვი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან

1-ლი და მე-2 პირის ფორმებთან, როგორც ვიცით, ქვემდებარე უბრუნველი ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. მხოლობითი და მრავლობითი აქ გარჩეულია სიტყვის მნიშვნელობით: **მე** და **შენ** ერთზე მიუთითებს, **ჩვენ** და **თქვენ** – მრავალზე.

როცა პირველი და მეორე სუბიექტური პირი მხოლობითშია და ქვემდებარე **მე** და **შენ** ნაცვალსახელებით არის გადმოცემული (ან იგულისხმება), შემასმენელი ყოველთვის მხოლობით რიცხვში დგას: **მე** ჩემს ლექსს **წავიკითხავ**, **შენ** შენი ლექსი **წაიკითხე**. (ევდ., 3, 314).

როცა პირველი და მეორე სუბიექტური პირი მრავლობითშია და ქვემდებარედ **ჩვენ** და **თქვენ** ნაცვალსახელთა ნაცვლად მათი მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვა თუ სიტყვებია, შემასმენელი ყოველთვის მრავლობითში დგას: **ჩვენ** კაკლის ძირში **შევიყუჟენით** (ლომ., 359); ძროხას **ვუვლიდით ჩვენ** ერთგულადა, **გავიზიარეთ ყველამა** საქმე, და რიგ-რიგითა **ყველა** ძმურადა **ვყარაულობდით** ძროხასა ღამე (ჭავ., 153); **ორივემ** გულიანად **გავიცინეთ** (ჯავ., 1, 163); **მე** და **ბიძაჩემი** ვენახში **შევედით**. (ლომ. 355); **თქვენ** იმას კარგად **არ იცნობთ** (ჭავ., 83); იმას **კაცები** პირიმზეს **ეძახით**. (ვაჟა, 5, 238).

ჩვენ და **თქვენ** ნაცვალსახელებთან (ან მათ შემცვლელ სიტყვებთან) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ყოველთვის მრავლობითში დგას. მრავლობითშია ჩვეულებრივ სახელადი ნაწილიც: **ჩვენ** თქვენი **სტუმრები ვართ**. (ყაზ., 1, 58); **თქვენ** ერთგული **მეგობრები ბრძანდებით** (ლომ.); **მგლები**, საზოგადოდ, **მოხერხებულები ხართ**. (ვაჟა, 6, 254).

როცა **თქვენ** ერთი პირის მისამართით არის ნახმარი, მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი კი მხოლობითში დგას: **თქვენ** ყმაწვილი **კაცი ბრძანდებით** (ჭავ., 355); [**თქვენ** დიდი გულჩახვეული **კაცი ყოფილხართ**. (გვეტ., 244).

მიმღეობის ფორმა ორსავე რიცხვში გვხვდება, მაგრამ უფრო ბუნებრივია მისი მხოლობითში დასმა. მხოლობითში დაისმის კრებითი სახელით გადმოცემული სახელადი ნაწილიც. მაგ.: **ჩვენ** ამ

საფხულს სოფელში **ვიყავით წასული**; თქვენ სტუმრად **იყავით მიწვეული**; [თქვენ] პატიოსანი, დარბაისელი **ხალხი ბრძანდებით**. (ვაჟა, 5, 286).

დამატება-ობიექტები და შემასმენელი

§59. პირდაპირი დამატება და შემასმენელი

პირდაპირი დამატების რიცხვი პირველი პირის ფორმასთან გარჩეულია ყოველთვის: მხატავს **იგი მე**, გვხატავს **იგი ჩვენ**, მხატავენ **იგინი მე**, გვხატავენ **იგინი ჩვენ**; მხატავ შენ **მე**, გვხატავ შენ **ჩვენ**, მხატავთ თქვენ **მე**, გვხატავთ თქვენ **ჩვენ**.

მეორე პირის ფორმასთან პირდაპირი დამატების რიცხვი გარჩეულია მაშინ, როცა ქვემდებარე მხოლობითშია: გხატავთ მე **თქვენ**, გხატავთ (<გხატავსთ) იგი **თქვენ**. როცა შემასმენელი ქვემდებარესთან არის მრავლობითში შეთანხმებული, პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღუნიშვნელი დარჩება: **ჩვენ** გხატავთ შენ (თქვენ), **იგინი** გხატავენ შენ (თქვენ). ამიტომ სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია, როცა მეორე პირის ფორმასთან აღნიშნულია როგორც ქვემდებარის, ისე პირდაპირი დამატების მრავლობითობაც: როცა ჩვენგანი ვინმე ავად ხდება, „დოხტურს“ და ფერშალთან არ გავრბივართ თქვენსავით, რომლებიც თქვენ ტყუილად **გფცქვნიანთ** და **გატყავებენთ**. (ვაჟა, 7, 217).

„III პირდაპირ-ობიექტურ პირს საკუთარი ნიშანი არა აქვს არც მხოლობითში და არც მრავლობითში. ამის გამო არც გარჩევაა ფორმებისა ობიექტის რიცხვის მიხედვით, ე.ი. ზმნას ერთი და იგივე ფორმა აქვს მაშინაც, როცა ობიექტი მხოლობით რიცხვშია, და მაშინაც, როცა იგი მრ-შია; ფორმები: კლავს, ხატავს, მალავს, ტეხს, თხრის, აკეთებს, ათბობს და მისთანა ერთ ობიექტზედაც ითქმის და და ბევრზედაც: კლავს მას – კლავს მათ, ხატავს მას – ხატავს მათ, დაწვა სახლი – დაწვა სახლები, ამოთხარა ორმო – ამოთხარა ორმოები, გააკეთა საქმე – გააკეთა საქმეები და მისთ“[93].

II სერიის ფორმებთან **ნარ**იან მრავლობითში დასმული პირდაპირი დამატების მრავლობითობა ძველ ქართულში ყოველთვის აღინიშნებოდა ზმნაში **ენ**||**ნ** სუფიქსით, ე.ი. შემასმენელი ეთანხმებოდა პირდაპირ დამატებას რიცხვში[94]. შეთანხმება ჩვეულებრივია „ვეფხისტყაოსანში“ და იგი გვხვდება საშუალი ქართულის მოგვიანო ხანის ძეგლებშიც.

---

[93] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 186.

[94] არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში, თბილ. უნივ. მოამბე, ტ. IX, 1929; ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, გვ. 275; ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 186-187.

თვალთა ჴელი უკუივლო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
ჴრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა. (93, 1-2).

შევიდა, მოტირალნი გამოასხნა, **ორნივე** მკლავნი დაუხსნა და მრავალი სისხლი ადინნა. (საბა, 95).

ძველ ქართულში იშვიათად **ებ**იან მრავლობითში დასმული პირდაპირი დამატებაც ითანხმებს ზმნას[95]. განასხნა სულ**ები** იგი უკეთური სიტყჳთა. (მ. 8. 16 სქ); მაშინ დაჰფლნეს ქრისტიანეთა იდუმალ გუამ**ები** იგი მომწყდართა მათ. (კიმ. II, 25, 26).

თანამედროვე სალიტერატურო ენასა და ქართულის ბევრ კილოში პირდაპირი დამატების რიცხობრივი გარჩევა აღარ არის, მაგრამ შემორჩენილია ზოგიერთ კილოში (მაგ.: ფშაურში, ხევსურულში...) და გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც. გაშალნეს ხელნი ჩემს გასატაცებლად (ვაჟა); გრგვინვით ჩამოვლნეს ჭალა**ნი** (ვაჟა); იმათ მე მჭრეს, მე ისინი ვჭრე**ნ**. (ვაჟა).

პირდაპირი დამატება გვაქვს გარდამავალი ზმნის მე-3 სერიის ფორმებთანაც: გაუზრდია დედას **შვილი (შვილები)**. ასეთი დამატება, როგორც ვიცით, წარმოშობით ქვემდებარეა, მაგრამ იგი ძველ ქართულშივე პირდაპირ დამატებასთან არის გათანაბრებული. როცა მე-3 სერიის ფორმასთან შეწყობილი პირდაპირი დამატება, წარმოშობით ქვემდებარე, **ნარ**იან მრავლობითში იდგა, ითანხმებდა შემასმენელს რიცხვში. უპოვი**ან** მამასა შვილ**ნი**, განუზრდი**ან** მამასა შვილნი, დაუფარვა**ნ** ღრუბელსა ვარსკვლავნი. მსგავსი მაგალითი გვხვდება ილიას „აჩრდილში“: „ცისკენ აღეპყრ**ნა** თრთოლითა ხელნი და მოედრიკნა მუხლ**ნი** ძლიერნი“. ასეთმა სახელობითმა დაკარგა სინტაქსური ძალა და შემასმენელს ველარ ითანხმებს რიცხვში. გარდამავალი ზმნის მე-3 სერიის ფორმებს ახალ ქართულში ითანხმებს მიცემითში დასმული სახელი – ქვემდებარე, რომელიც წარმოშობით ირიბი დამატებაა: დაუწერი**ათ** მათ წიგნი (წიგნები), გაუზრდი**ათ** ბავშვი (ბავშვები).

პირდაპირობიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან მრავლობითში დასმულ ან კრებითი სახელით გადმოცემულ პირდაპირ დამატებასთან მრავლობითის ფუძეა შემასმენლად. მაგ.: ორმოში **ქვები ჩავყარე** (შდრ. ორმოში ქვა ჩავაგდე); ორმოში **ფეტვი ჩავყარე** (ხალხ.); ტყემ **მოისხა ფოთოლი** (ჭავ.); [კოტეს] ჩიტის **ბარტყები** ბუდიდან **ამოესხა**. (გოგ.).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, რომელიც **და** ზმნისწინის ხმარებასთან არის დაკავშირებული: როცა პირდაპირი დამატება მხოლობით რიცხვშია, მაშინ ერთი ზმნისწინია ნახმარი (გა, ამო, შე, გამო და სხვ.). მაგრამ, როცა პირდაპირი დამატება „მრავლობითში გადადგება, მაშინ შეიძლება ზმნაში ჩვეულებრივ ზმნისწინს **და** შეენაც-

[95] ი. **იმნაიშვილი**. დასახელებული შრომა, გვ. 307, 669.

ვლოს“[96]. მაგ.: აი **დააფრინეს** მერცხლებმა **ბარტყები** (გოგ.); შაშვები ძალიან შეწუხდნენ; ვერც **ბარტყები დაზარდეს**, ვერც ქურდი იპოვეს (რაზ.); ქალებმა **დაყვლიფეს ბატები, დაწიწკნეს, დატუსეს**, ფეხებსაც ჭარი წააძრეს, **მერე** გამოწვლეს, **კუჭები დაატყავეს, დარეცხეს** და ხონჩით იქვე ტახტთან თაროზე შედგეს. (რაზ., 174).

დაყოფით დაბეჭდილ ფორმებში და ზმნისწინი ყველგან გა ზმნისწინს ენაცვლება: გააფრინეს ბარტყი – დააფრინეს ბარტყები, გაზარდეს ბარტყი – დაზარდეს ბარტყები, გაყვლიფეს ბატი – დაყვლიფეს ბატები... ასეთი შენაცვლება მაშინაც არის შესაძლებელი, როცა პირდაპირი დამატება მხოლობითშია, მაგრამ მას განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი მნიშვნელობის გამომხატველი სახელი, ან განსაზღვრების დაურთველად გულისხმობს საგანთა სიმრავლეს: ... თითო დედალ-მამალი თორმეტამდე შვილს **დაზრდის** ხოლმე ერთ ზაფხულში (გოგ, 122); დიასახლისმა ჭურჭლეულობა **დარეცხა** (შდრ. შვილს გაზრდის, ლამბაქი გარეცხა).

და ზმნისწინის ასეთი შენაცვლება ამჟამად აუცილებელი აღარ არის, ასე რომ შეიძლება ითქვას: ბარტყი გააფრინეს – ბარტყები გააფრინეს, შვილი გაზარდეს – შვილები გაზარდეს, კბილი ამოაძვრეს, კბილები ამოაძვრეს და მისთ[97].

§60. ირიბი დამატება და შემასმენელი

პირველი პირის ფორმასთან ირიბი დამატების რიცხვი გარჩეულია ყოველთვის: **მესალმება** ბავშვი **მე**, **გვესალმება** ბავშვი **ჩვენ**, მესალმებიან ბავშვები **მე**, **გვესალმებიან** ბავშვები **ჩვენ**, **მესალმები** შენ **მე**, **გვესალმები** შენ **ჩვენ**, **მესალმებით** თქვენ **მე**, **გვესალმებით** თქვენ **ჩვენ**.

მეორე პირის ფორმასთან ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში შეიძლება აღინიშნოს და შეიძლება არა. ირიბი დამატების მრავლობითობა აღინიშნება, თუ შემასმენელი არ არის ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში შეთანხმებული: გესალმებით მე **თქვენ**, გესალმებათ იგი **თქვენ**. თუ შემასმენელი შეთანხმებულია ქვემდებარესთან მრავლობითში, ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება: გესალმებით **ჩვენ თქვენ**, გესალმებიან **იგინი თქვენ**. აქ, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმათა დამთხვევაც ხდება: „გესალმებით“ ფორმაში **თ** ან ქვემდებარის მრავლობითობას აღნიშნავს (გესალმებით **ჩვენ** თქვენ), ან ირიბისას (გესალმებით მე **თქვენ**).

მესამე პირის ფორმასთან შეწყობილი ირიბი დამატება, როგორც ვიცით, მუდამ მიცემითშია; გარდაუვალ ზმნას სამივე სერიის ფორმებთან ახლავს, გარდამავალს კი 1-ლი და მე-2 სერიის მწკრივებ-

[96] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 263.
[97] იქვე, გვ. 263.

თან (§47). ებიანსა თუ თანიან მრავლობითში დასმული ირიბი დამატება ძველ ქართულში ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებდა, ახალ ქართულში კი ირიბი დამატების სინტაქსური ძალა გაზრდილია და გარკვეულ შემთხვევებში ითანხმებს შემასმენელს მრავლობით რიცხვში. შეთანხმებისათვის მნიშვნელობა აქვს, შემასმენელი გარდამავალი ზმნით არის გადმოცემული თუ გარდაუვალით. ერთგვაროვნება გვაქვს ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც:

ა) ირიბი დამატების მრავლობითობა არ აღინიშნება გარდამავალი ზმნის ფორმაში: ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი ბუდეს **უკეთებს შვილებსა** („დედა ენა“, 90); კოდალა ბეჯითად **აცლიდა** ჭია-მატლებს დაზიანებულ **ხეებს** (რაზ.); პეტრემ **ყმაწვილებს** ქვეშ **გაუშალა** თავისი ნაბადი. (ჭავ., 408).

ბ) გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი ირიბი დამატების მრავლობითობა შეიძლება აღინიშნოს ზმნის ფორმაში და შეიძლება არა. „ირიბ დამატებას რომ შეეწყოს შემასმენელი მრ. რიცხვში, საჭიროა, რომ ამას ხელს არ უშლიდეს ქვემდებარე, ე.ი. არ უნდა ჰქონდეს ისეთი ქვემდებარე, რომელიც ზმნისაგან აუცილებლად მოითხოვს მრავლობითი რიცხვის ფორმას“[98]. **პატარძლებს** აკვნები გვერდით **ედგათ** (ვაჟა, 5, 244); დამშეულ **ძაღლებს** სუნი **ეცათ** (წერ.); **ხოხბებს** მამლის დანახვაზე თავზარი **დაეცათ** (ვაჟა, 6, 201); **სახლებს** წყალი წურწურით **ჩამოსდიოდათ** (ჯავ., 1, 281).

მაგრამ თუ ქვემდებარედ ისეთი სახელია, რომელიც შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს, ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში აღარ აღინიშნება: დედებს **ბავშვები** გვერდით **ედგნენ**; დამშეულ ძაღლებს **მგლები ეცნენ**[99].

ხშირად ქვემდებარე არ უშლის ხელს, მაგრამ ირიბი დამატების მრავლობითობა მაინც არ არის აღნიშნული ზმნაში: მაგდანა თავის **მოწმეებს** გულუხვად **დაუხვდა** (გაბ.); ია მალ-მალ **ამოეფარებოდა** ბუერისა და ძირხვენის **ფოთლებს** (რაზ., 1); განრისხებული ბატონი **მოსამსახურეებს მიუბრუნდა** (ევდ., 3, 15); შენი ამბავი, ეხლა მართალი, ზღაპრად **მიუვა** ჩვენს **შვილიშვილებს** (ჭავ., 151).

როცა ქვემდებარე და ირიბი დამატება ორივე მრავლობითშია, ზოგჯერ შეინიშნება ერთგვარი მერყეობაც: მაგ., „მათ **მოსვლოდნენ**

---

[98] ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, II, 1948, გვ. 118-119.

[99] არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, №6, 1941, გვ. 566; აგრეთვე ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 058.

მოკეთეები“ შეიძლება ამ სახითაც შეგვხვდეს: „მათ **მოსვლოდათ მოკეთეები**“.

ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ირიბი დამატების სინტაქსური ძალა აღემატება ქვემდებარისას. მაგ., **მოსწონს, უყვარს, აქვს** და მისთანა ზმნებში ჩვეულებრივ შეიძლება აღინიშნოს ირიბი დამატების მრავლობითობა, მრავლობითში დასმული ქვემდებარე კი შემასმენლის რიცხვზე ვერ ახდენს გავლენას: მოსწონს ან მოსწონთ მათ ისინი, აქვს ან აქვთ მათ ისინი და მისთ.

მხოლობითში დასმულ ირიბ დამატებასთან შემასმენელი ზოგჯერ აზრის მიხედვით მრავლობითშია შეწყობილი: ტიტა და ლეო ამ ორომტრიალში **ყველას დაავიწყდათ** (ევდ., 3, 130); **ორივეს** ოფლი **ჩამოსდიოდათ** (ევდ.); **ყველას** ხმლები **ერტყათ** წელზე... (ვაჟა, 5, 307).

ასეთ შემთხვევაში შემასმენლის მხოლობითში დასმაა მიღებული.

§61. მსგავსება და განსხვავება ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის

ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის მსგავსებაა:

1. ქვემდებარე და დამატება-ობიექტები მთავარი წევრებია. ისინი შემასმენლის წყვილის ცალებია, რომლებიც ზმნასთან დაკავშირებული არიან მორფოლოგიურად, ფორმის საშუალებით;

2. გადმოიცემა ერთი და იმავე მეტყველების ნაწილებით;

3. საერთო აქვთ ორი ბრუნვა (სახელობითი და მიცემითი – ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას, მიცემითი კი – ქვემდებარესა და ირიბ დამატებას);

4. დაესმის საერთო კითხვები: ვინ? ვის? რა? რას?

5. ზმნის ფორმაში შეიძლება აისახოს სამივე წევრის არა მარტო პირი, არამედ რიცხვიც;

6. მათს ბრუნვას ზმნის ფორმა განსაზღვრავს.

განსხვავებაა:

1. ქვემდებარე ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელია, დამატება-ობიექტები – ობიექტური პირებისა;

2. ქვემდებარე გვაქვს როგორც ერთ-, ისე ორ- და სამპირიან ზმნებთან, დამატება-ობიექტები კი მარტო ორ- და სამპირიან ზმნებთან (ორპირიანთან – ერთ-ერთი, სამპირიანთან – ორივე);

3. მოთხრობითი ბრუნვა საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა;

4. **რამ** კითხვაზე მარტო ქვემდებარე მიუგებს;

5. შედგენილი შემასმენელი ქვემდებარესთან არის დაკავშირებული (და არა დამატებასთან);

6. ქვემდებარის სინტაქსური ძალა აღემატება დამატება-ობიექტებისას.

IV. წინადადების არამთავარი წევრები

უბრალო დამატება

§62. ზოგადი ცნობები უბრალო დამატების შესახებ

უბრალოა დამატება, რომელიც არ არის შეწყობილი ზმნის ობიექტურ პირთან.

უბრალო დამატება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. იგი ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე უპიროსაც (საწყისსა და მიმღეობას): **ფანქრით** დახატა, **ფანქრით** დახატვა, **ფანქრით** დახატული. ასეთი დამატება გვხვდება ზედსართავ სახელსა და ზმნიზედასთანაც. მაგ.: **ამაზე ტურფა** და **კარგი** მე სხვა აღარა მგონია (ვაჟა); ფრინველებში **ყველაზე თამამად** კოდალა იქცეოდა (ვაჟა, 5, 290).

უბრალო დამატება ჩვეულებრივ არსებითი სახელით (საწყისითურთ) და ნაცვალსახელებით გადმოიცემა, იშვიათად — სხვა მეტყველების ნაწილებითაც. იგი უთანდებულია ან თანდებულიანი. მისი ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. უბრალო დამატებას კითხვად დაესმის **ვინ** და **რა** ჩვეულებრივ იმ ფორმით, რა ფორმითაც თვით უბრალო დამატებაა გადმოცემული. მაგ.: გუშინ ტყეში ვნადირობდი **როჭოზე** (გამს., I, 620); ლევან მეფეს ნიშანიც უკვე გამოეგზავნა **ქალისთვის** (ბარნ., 3, 214); დემეტრეს სახლის ეზოში **ღვინით** სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა, 6, 103); [გვადიმ] ხურჯინი **ნაბდიანად** სახლში შეათრია (ქიაჩ., 3, 52).

ზმნის პირიანი ფორმა, როგორც ვიცით, წინადადებაში შემასმენელია, ზმნიზედა — გარემოება, ხოლო უპირო ფორმითა და ზედსართავი სახელით შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა წევრი. ამიტომ უბრალო დამატება შეიძლება ახლდეს არა მარტო შემასმენელს, არამედ წინადადების სხვა წევრებსაც.

1. უბრალო დამატება შემასმენელთან: ზოგან არწივს **ხაფანგით იჭერენ** (გოგ., 149); ...ფრინველები ერთმანეთს **ეჯიბრებოდნენ მხიარულებაში**. (ევდ., 3, 284).

2. უბრალო დამატება ქვემდებარესთან: **ტანკებთან ბრძოლა** გამარჯვებით დამთავრდა. (გვეტ., 448).

3. უბრალო დამატება დამატებასთან: ზურაბმაც მშვენივრად იცოდა **თარზე დაკვრა** (გოგ., 222); ფშაველებმა ხშირად ერთმანეთთან **ლექსით შაირობა** იციან. (ვაჟა, 6, 477).

4. უბრალო დამატება განსაზღვრებასთან: **არწივისაგან შეშინებული** წეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ., 254); **სიცივისაგან დაფიჩხებული** ტოტები კანკალებენ და ცახცახე-

ბენ. (რაზ., 96).

5. უბრალო დამატება გარემოებასთან: ოტია გაიქცა **ცხენის მოსაყვანად** (კლდ., 1, 227); მთა **ყველაზე მეტად** დაჩაგრულია ზამთრისაგან. (ვაჟა, 5, 155).

სხვადასხვა ფორმით გადმოცემული უბრალო დამატება ზოგჯერ შინაარსით ერთნაირია. მაგ.: აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის **ცოლ-შვილით** ბაღის დასათვალიერებლად (ვაჟა, 6, 45); იძულებული გავხდი... წამოვსულიყავ სამშობლოში **ცოლშვილიანად** (წერ., 1, 78). **ცოლშვილით** და **ცოლშვილიანად** შინაარსით ერთნაირია (ორივე თანაობას გამოხატავს), ფორმით – განსხვავებული. გვაქვს პირიქითაც: ფორმით ერთნაირია, მნიშვნელობით – სხვადასხვა. მაგ.: სტუმრები საკუთარი **ავტომანქანით** ჩამოვიდნენ (ქიაჩ., 3, 200); სტუმრები **ცოლ-შვილით** ჩამოვიდნენ. „ავტომანქანით“ და „ცოლ-შვილით“ – ორივე უბრალო დამატებაა და ერთმანეთისაგან არ განსხვავდება არც ფორმით (ორივე მოქმედებით ბრუნვაშია), არც წყვილის ცალით (ორივე ერთსა და იმავე ზმნასთან შედის წყვილში) და მასთან სინტაქსური კავშირით (ორივე მართულია ზმნისაგან მოქ. ბრუნვაში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სხვადასხვა შინაარსისაა: **ავტომანქანით** საჭურვლის დამატებაა, **ცოლ-შვილით** – თანაობისა. განსხვავება ამ სიტყვების განსხვავებულმა ლექსიკურმა მნიშვნელობამ განსაზღვრა.

უბრალო დამატება პირმიუმართავი დამატებაა. იგი გაბატონებული სიტყვისაგან მართულია ბრუნვაში უშუალოდ ან თანდებულის მეშვეობით.

§63. უბრალო დამატება მიცემითში

მიცემითში დასმული უბრალო დამატება ჩვეულებრივ თანდებულიანია. იშვიათად – უთანდებულოც. მიუგებს კითხვებზე: ვისზე? რაზე? ვისთან? რაში? ვისთან ერთად? რასთან ერთად? უთანდებულო დამატებას კითხვაც უთანდებულოდ დაესმის. მიცემითში დასმული უბრალო დამატება შინაარსის მიხედვით რამდენიმე სახისაა.

1. უთანდებულო მიცემითი უბრალო დამატებად გვხვდება ზოგიერთი ზმნის პირიან ფორმასთან და ვნებითი გვარის მიმღეობასთან.

ა) უთანდებულო უბრალო დამატება პირიან ფორმასთან იშვიათია. მაგ.: ერთმა გლეხმა ფიცხლავ **ქუდს** ხელი იტაცა („დედა ენა“, 17); თოფიანებმა **თოფებს** ხელი გაიკრეს (ვაჟა, 5, 125).

უთანდებულო ფორმები შეიძლება შეიცვალოს **ზე** თანდებულიანით: **ქუდზე** ხელი იტაცა. **თოფებზე** გაიკრეს ხელი. ასეთ შემთხვევებში ამჟამად თანდებულიანი ფორმა უფრო ბუნებრივია. **ვაჟა-ფშაველას** ანალოგიურ შემთხვევაში უბრალო დამატება თანდებულიანი ფორმით აქვს კიდევაც გადმოცემული: ცოტა რომ გაიარეს, უფრო ფიცხად გაიკრეს თოფიანებმა ხელი **თოფებზე**, ნაჯახიანებმა

– **ნაჯახზე**, წალდუნიანებმა – **წალდუნაზე** და შუბიანებმა – **შუბზე**. (ვაჟა, 5, 125).

ბ) ზოგიერთი ზმნის ირიბი დამატება იმავე ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობას ფორმის შეუცვლელად გადაჰყვება: მელია **საქათმეს** შემოეჩვია ? **საქათმეს შემოჩვეული** მელია. მიმღეობა, რომელსაც ასეთი დამატება ახლავს, ჩვეულებრივ **ილ** და **ულ** სუფიქსებით არის ნაწარმოები. მაგ: ყველაზე უფროსი ჩვენში **თორმეტს წელს** არ იყო **გადაცილებული** (ჭავ., 418); **მართალს** შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა (ჭავ.); გაშავდნენ გარშემო **ხეებს** აყოლილი ბარდები (გამს.); **გზატკეცილს** აყოლებული თხრილის გაღმა, ცოტა მოშორებით, გოჩას სახლისაკენ ბილიკი უხვევდა (ქიაჩ., 3, 24); **მეზობლებსაც** ძალიან ვარ შეჩვეული (ბარნ., 3, 416); ბალღებით დატვირთულ ღარიბ ოჯახიდან გამოსული, ქალაქში განადგურებულ კერას შეფარებული, მშიერ-მწყურვალი და ტიტველ-შიშველი **სინათლეს** თუ **სითბოს** მოწყვეტილი, ყოველგვარ **სისუფთავეს** და **მოვლას** მოკლებული, ყოველგვარ **კეთილს** დანატრებული პატარა შეაკრთო უკიდურესმა სიღარიბემ ... (ბარნ., 3, 408).

უპირო ფორმებთან ამგვარი უბრალო დამატება უფრო ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულში. იგი პირიანი ზმნის ირიბი დამატებისაგან მომდინარეობს, საერთო აქვს მასთან ფორმაც და მნიშვნელობაც, ამის გამო ასეთ დამატებას **ირიბისებრ** უბრალო დამატებას ვუწოდებთ.

უთანდებულო მიცემითი ჩვეულებრივია **და** კავშირის წინ მდგომი დამატებისათვის; ფრინველები დიდ წინდახედულებას იჩენენ შვილების **დაზრდასა** და იმათ დაფრენაში (გოგ.); მთლად ტყავში, **ნაბადსა** და ყაბალახში გახვეული პატარა ბიჭი ცხენს მიერეკებოდა. (ყაზ.).

2. **თან** თანდებულიანი უბრალო დამატება სხვადასხვა მნიშვნელობისაა:

ა) გამოხატავს სამოქმედო საგანს: გამთენიიდან **მიწასთან** ნაბრძოლს დაღლილობამ ახლა უწია (დ. შენგ.); **ტანკებთან** ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა (გვეტ., 448), იგულისხმება: **ტანკებს ებრძოდნენ** (და ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა).

ბ) უფრო გავრცელებულია თანაობის გამოხატვა: [დედაჩემს] **ცნობისმოყვარეობასთან** შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა (წერ., 1. 18); იმ **სიბერესთან** იმ უბედურსა ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება (ჭავ., 155).

თან თანდებულიან თანაობის დამატებას ახალ ქართულში გასაძლიერებლად ჩვეულებრივ **ერთად** ზმნიზედა დაერთვის, რომელიც უფრო ნათლად გახაზავს დამატების აღნიშნულ მნიშვნელობას: გალიაში **დედლებთან ერთად** მამალიც ჰყავდათ დამწყვდეული (ვაჟა, 6, 195); **ნიავთან ერთად** მეც ვარხევდი ოცნების ხეხილს (გრიშაშ.); **მთებთან ერთადა** კლდეებიც თოფებივითა ტყვრებოდნენ (ვაჟა).

თანაობის დამატება (მიცემითში), თავის მხრივ, სხვადასხვა მნიშვნელობისაა. პირიან ფორმასთან იგი ორგვარია:

ა) შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს არა მარტო ქვემდებარე, არამედ უბრალო დამატებით გადმოცემული საგანიც, მაგრამ ისე, რომ ქვემდებარის მოქმედება თან სდევს უბრალო დამატებისას. მაგ.: მგლებიც **მეცხვარეებთან ერთად** მთაბარობენ (რაზ., 124); **ირმებთან ერთად** ისიც დანავარდობდა (ვაჟა, 5, 267); ნოდარი **უცნობთან ერთად** პუნქტისაკენ გაემართა (გვეტ., 424).

ბ) ეხება იგივე მოქმედება, რაც პირდაპირ დამატებას: გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხები **ბალახთან ერთად** ყვავილებს (ვაჟა, 6, 304); ტყვიის სადნობ ტაფაში სხვა ტყვიის **ნაჭყლეტებთან ერთად** ნინამ ერთი ტყვია ჩააგდო ... (ვაჟა, 5, 70).

თან-დართული უბრალო დამატების კითხვებია: ვისთან? რასთან? ვისთან ერთად? რასთან ერთად?

3. **ზე** თანდებულიანი დამატება აღნიშნავს საგანს, რომელსაც ეხება ზმნით გადმოცემული მოქმედება. ასეთი „დამატება მოუდის სხვადასხვა შინაარსის ზმნებს, რომელთა შორის ზოგი აღნიშნავს ფიქრს, მსჯელობას, საუბარს, ზრუნვას და სხვ.“[100] მაგ.: დედა ნიბლია ... **ფიქრობდა** მინდორში წასულ **მეუღლეზე** (რაზ., 6); ყვავილნი მუდამჟამს **სიცოცხლეზე საუბრობდნენ** (ვაჟა, 6, 39); **შენზედ მოუბნობს** კაცი და ქალი (ჭავ., 151).

ასეთი დამატება ჩვეულებრივია უპირო ფორმებთანაც: ზურაბმა მშვენივრად იცოდა **თარზე დაკვრა** (გოგ., 222); მთელი ღამე თევდორემ და ელიზბარმა **ნადირობაზე ლაპარაკში** გაატარეს (ვაჟა, 6, 180); ზედ ხის **შამფურზე აგებული** მწვადი იწვებოდა (ვაჟა).

ზე-დართული დამატება ჩვეულებრივია უფროობითი ხარისხის ფორმებთან და გამოხატავს შესადარებელ საგანს: ლუარსაბს გაუხარდა, ელისაბედს ეწყინა: **ჩემზედ უკეთესი** იქნებაო (ჭავ., 366); **ყველაზედ უძვირფასესი** განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავის ქმრისაგან (ჭავ., 429).

უფროობითი ხარისხის ფორმები ისტორიული თვალსაზრისით ზმნური წარმოშობისაა. პრეფიქსი **უ** იგივეა, რაც სასხვისო ქცევის **უ**[101]. „ძველ სალიტერატურო ქართულში (IX ს-მდე) ამ **უ**-ს წინ მიუძღოდა **ჰ** (ან **ხ**), რომელიც III პირის ნიშანი იყო ზმნაშიც და სახელშიც: **ჰ**-უ-კეთ-ეს ან **ხ**-უ-კეთ-ეს ფორმებში (ზედმიწევნით: **ჰ**-უკეთებს ან **ხ**-უკეთებს ფორმებში) ძველის-ძველად **ჰ** პრეფიქსის (resp. **-ხ** პრეფიქსის) ფუნქცია ისე აღიქმებოდა, როგორც იმაევე ბგერისა გა**ჰ**-უ-კეთ-ა ან გა**ხ**-უ-კეთ-ა ფორმებში“[102]. უფროობითი

---

[100] ა. **შანიძე**, ქარული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 31.

[101] ა. **შანიძე**, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში, თბ., უნივ. შრომები, ტ. I, 1936, გვ. 333-334.

[102] ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 144-145.

ხარისხის ფორმებთან უბრალო დამატება ძველ ქართულში ჩვეულებრივ ნათესაობითში იდგა, იშვიათად მიცემითში (უთანდებულოდ). თავდაპირველად იგი მხოლოდ მიცემითის ფორმით უნდა ყოფილიყო შეწყობილი, ხოლო შემდეგ ნათესაობითი შეენაცვლა[103]. ნათესაობითის ფორმით შეწყობაა ჩვეულებრივ საშუალ ქართულშიც. მაგ.: საშუალმან თქვა ფეროба მამისა და მოახსენა: – **დედოფლის** ულამაზესი, მეფის **ცხენის** უმსუქნესი და მეფის **შევარდნის** უმალესი არ იქნების პირსა ზედა ქვეყნისასაო. (საბა).

ახალ ქართულში უფროობითი ხარისხის ფორმებთან ჩვეულებრივია **ზე** თანდებულიანი მიცემითი, ხოლო ნათესაობითის ფორმით „შეწყობა დღეს უკვე მოძველებულია“[104].

ზე თანდებულიანი დამატება ხშირია დადებითი ხარისხის ფორმებთან; იგი შეიძლება ახლდეს ვითარების ზმნიზედებსაც: განა **იმაზე** ლამაზ საკითხავს წიგნს კიდევ შეჰხვდება ადამიანი? (ვაჟა); **ამაზე** ტურფა და კარგი მე სხვა აღარ მგონია (ვაჟა); **ყველაზე** უფრო მკაფიოდ ელიკოს ხმა ისმოდა (ქიაჩ., 3, 196).

ზე-დართული უბრალო დამატების კითხვებია: ვისზე? რაზე?

4. **ში**-დართული უბრალო დამატება ახლავს ზმნას (პირიანსა და უპიროს). მოგვიგებს კითხვებზე: რაში? ვისში?

ჩვეულებრივია ასეთ დამატებად საწყისები და აბსტრაქტული სახელები, უფრო იშვიათად კონკრეტული არსებითი სახელები და სხვა ბრუნებადი სიტყვებიც (მიმდეობა, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი); სჯობს **მონობაში** გადიდკაცებულს თავისუფლების **ძებნაში** მკვდარი (წერ.); ფრინველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ **მხიარულებაში** (ევდ., 3, 284); ჩემთან **საფრთხეში** ბევრჯერ ყოფილა (ჭავ.); ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი **მახეში** (ჭავ.); ზაზა **ცურვაში** ეჯიბრებოდა თედორეს (ლ. გოთ).

ში თანდებულიანი სახელი ზოგჯერ ზმნასთან მყარ სიტყვათა შეკავშირებას ქმნის და ცალკე წევრად აღარ გამოიყოფა: ლიზა **თვალში მოუვიდა** (გაბ., 121); მთისკაცს ეს რჩევა **ჭკუაში დაუჯდა** (ქიაჩ., 3, 333). „თვალში მოუვიდა“ და „ჭკუაში დაუჯდა“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „მოეწონა“.

§64. უბრალო დამატება ნათესაობითში

ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება უთანდებულოა ან თანდებულიანი. თანდებულთაგან აქ გვხვდება: გან, მიერ, თვის, გულისთვის, შესახებ, მიმართ და სხვ.

ნათესაობითში დასმული დამატება შინაარსით მრავალფეროვანია: ზოგი რეალური ვითარების მიხედვით მოქმედ საგანს გამო-

[103] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 446.
[104] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 32.

ხატავს, ზოგი – სამოქმედოს, ზოგი საგნის დანიშნულებაზე მიუთითებს ან კიდევ მასალაზე, რომლისგანაც რაიმე კეთდება და სხვ. უკავშირდება როგორც პირიან ფორმებს, ისე უპიროსაც, იშვიათად ზედსართავ სახელსაც.

ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებათაგან გრამატიკულ ლიტერატურაში რამდენიმე ძირითადი სახეა გამოყოფილი. ეს სახეებია: **ქვემდებარისებრი** ანუ **სუბიექტისებრი, პირდაპირისებრი** და **ირიბისებრი** დამატებები[105]. გამოიყოფა რამდენიმე სხვა შინაარსის დამატებაც, რომელთაც სახელი არა აქვს შერქმეული.

1. ქვემდებარისაგან გამოსულ უბრალო დამატებას, რომელიც რეალური ვითარების მიხედვით მოქმედ საგანს აღნიშნავს, **ქვემდებარისებრი** დამატება ეწოდება. მაგ.: პატარა კეკეს **სიცივე** ხელებს უყინავდა → „პატარა კეკეს **სიცივისაგან** ხელები ეყინებოდა“. (გოგ.). **სიცივე** ქვემდებარეა, **სიცივისაგან** – ქვემდებარისებრი დამატება.

გასარჩევია **ქვემდებარისებრი** დამატების მიღების რამდენიმე შემთხვევა:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნის ქვემდებარე სათანადო ვნებითთან ხშირად ქვემდებარისებრ დამატებად გადაკეთდება:

სამპირიანი მოქმედებითი	**სათანადო (ორპირიანი) ვნებითი**
ყინვამ მცენარეს ფესვები გაუხმო.	*ყინვისაგან* მცენარეს ფესვები გაუხმა.
ორპირიანი მოქმედებითი	**სათანადო (ერთპირიანი) ვნებითი**
ყინვამ მცენარის ფესვები გაახმო.	*ყინვისაგან* მცენარის ფესვები გახმა.

ეს, თავის მხრივ, იმასაც გულისხმობს, რომ **ქვემდებარისებრი** დამატება ქვემდებარე გახდება, თუ ზმნას ვნებითი გვარიდან მოქმედებითში გადავიყვანთ: **სითბოსაგან** რკინა ფართოვდება → **სითბო** რკინას აფართოებს.

მოქმედებითი გვარის ზმნის ქვემდებარე იშვიათად შეიძლება ქვემდებარისებრ დამატებად გადაკეთდეს სათანადო საშუალი გვარის ზმნასთანაც: **ჭექა-ქუხილი** დედამიწას აზანზარებდა → „**ჭექა-ქუხილისაგან** დედამიწა ზანზარებდა“. (ჯავ., 3, 316).

ბ) გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე იმავე ზმნის საწყისთან ქვემ-

[105] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 34.

დებარისებრ დამატებად გადაიქცევა: ჟუჟუნა **წვიმა** მოვიდა და ამან დამჭკნარი ყვავილები გამოაცოცხლა – ჟუჟუნა **წვიმის** მოსვლამ დამჭკნარი ყვავილები გამოაცოცხლა; – **მდინარე** ადიდდა და ეს ხიდს წაღებით ემუქრებოდა – **მდინარის** ადიდება ხიდს წაღებით ემუქრებოდა.

გ) გარდამავალი ზმნის ქვემდებარე იმავე ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობასთან ქვემდებარისებრი დამატება გახდება: „**ქორმა წიწილა წაიღო**, იძახდა წიავ-წიავსა“ – **ქორის წაღებული** წიწილა იძახდა წიავ-წიავსა.

ქვემდებარისებრი დამატება დასახელებულ მაგალითებში უთანდებულოა, მაგრამ იგი ჩვეულებრივ **გან** და **მიერ** თანდებულებს დაირთავს: **ფუტკრისაგან დაკბენილი** [თოთია] დათვივით ბურტყუნებდა (ჯავ., 2, 457); **სიცივისაგან** შეწუხებული მყეფრები ხმას ვეღარ იღებდნენ (რაზ., 20); **მწყემსებისაგან** გატუსულ ყუნჭის გვერდზე ... თხილი იდგა (ვაჟა, 6, 18); **თადულას მიერ** მოტანილმა ახალმა ცნობამ საერთო გამოცოცხლება შეიტანა ქალებში (ჯაფ., 154); თვითონვე გრძნობდა მარიტა **ბუნების მიერ** მომადლებულ ნიჭს (ლეონ.).

„I და II პირის ნაცვალსახელთა უბრუნველობის გამო იხმარება მათ-მათი კუთვნილებითი“[106]. **მე** ავაშენე სახლი – **ჩემი** აშენებული სახლი, **შენ**ააშენე სახლი – **შენი** აშენებული სახლი, **ჩვენ** ავაშენეთ სახლი – **ჩვენი** აშენებული სახლი, **თქვენ** ააშენეთ სახლი – **თქვენი** აშენებული სახლი. **ჩემი, შენი, ჩვენი თქვენი** მნიშვნელობით აქ იგივეა, რაც: **ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ** (ან ჩემგან, შენგან, ჩვენგან, თქვენგან).

მიერ თანდებულიანი სახელი ყოველთვის ქვემდებარისებრი დამატებაა, **გან**-დართული კი, გარდა ქვემდებარისებრისა, რამდენიმე სახისაა;

ა) „გარკვეულ ზმნებთან (მზადება, კეთება, ჩამოსხმა და სხვ.) აღნიშნავს მასალას, რომლისაგანაც რაიმე კეთდება“[107]: კოდებს, სადღვებლებს, კასრებს სულ **ცაცხვისაგან** აკეთებენ (რაზ. 149); **ქვისაგან** ციხეებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები (დად., 171).

ბ) აღნიშნავს დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას: იაგო მორჩა და სრულიად განთავისუფლდა თავის **ჭრილობისაგან** (ყაზ., 1, 30); ომარაშვილმა დაიხსნა **გაჭირვებისაგან** სამართალი (ჭავ., 436).

გ) **გან-** დართული დამატება აგრეთვე აღნიშნავს გამოყოფას, გამორჩევას: ოთხ წასულ **ამხანაგთაგან** ერთი დაბრუნდა; „**ორისაგან** ერთი მიყავ: ტყვე მქმენ ანუ მააზატე“. (რუსთ.)[108].

გან თანდებულიანი ნათესაობითი საშუალ ქართულში უფრო-

[106] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 35.
[107] იქვე, გვ. 40.
[108] იქვე, გვ. 41.

ობითი ხარისხის ფორმებთან გვხვდება (იშვიათად XIX საუკუნეშიც), ასეთი დამატება აღნიშნავს შესადარებელ საგანს[109]. **გაზაფხულის** უკეკლუცესი, **შემოდგომისაგან** უფრო უმსუქნესი და **თვალთაგან** უფრო უმალესი არა რა იქნების პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასაო. (საბა, 55). ახალ ქართულში, როგორც უკვე ითქვა, ზედსართავ სახელთან დაკავშირებული უბრალო დამატება ჩვეულებრივ **ზე**-დართული მიცემითით გადმოიცემა.

ზოგიერთი გარდაუვალი ზმნა ფორმით ორპირიანია, მაგრამ სუბიექტური პირის დაკარგვის გამო მარტო ობიექტური პირის გაგებას იძლევა და უბრალო დამატებას უთანდებულო ნათესაობითში მოითხოვს: ბავშვს ეშინია **მგლისა**, ბავშვს რცხვენია **სტუმრებისა**. ასეთი დამატება ამ ზმნებთან ძველ ქართულში უფრო ხშირად **გან** თანდებულს დაირთავს: ეშინის მას **კაცისაგან** (ან: ეშინის **კაცისა**), ჰრცხუენის მას **კაცისაგან** (ან: ჰრცხუენის **კაცისა**). ძველებური წარმოება, ე.ი. **გან**-დართული ნათესაობითი, ამჟამად შემორჩენილია ზოგიერთ კილოში (ხევსურულში, ფშაურში...), მაგრამ სალიტერატურო ენაში უთანდებულო ფორმა იხმარება[110]. I და II პირის უბრუნველ ნაცვალსახელთა მაგიერ მათ-მათი კუთვნილებითი გვაქვს: ეშინია ჩემი (შენი, ჩვენი, თქვენი).

ნათესაობითის ფორმა ჩვეულებრივ გავრცობილია. მაგ.: ყველას **ეშინოდა** ჩალხოს **მუშტისა** (ვაჟა, 6, 101); ძალიან **ეხათრებოდა დედაკაცისა** ქმარ-შვილს (ბარნ., 2, 298). ასეთი შეწყობა სწორია, მაგრამ გვხვდება ამ წესიდან გადახვევის შემთხვევაც. მაგ.: ნანას ყოველთვის ეშინოდა **ზღვის** (ო. იოს., 81); თავის **ბასუხის** რატომღაც თვითონვე შერცხვა (დ. შენდ., 2, 203).

აქვე დაისმის კითხვა: **ეშინია, რცხვენია, ეხათრება** ზმნებთან შეწყობილ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმები მართლაც ნათესაობითის ფორმებია თუ ნათესაობით-სახელობითისა? ხომ არ არის აქ ჩავარდნილი საზღვრული სახელი, რომლის ადგილიც უკავია მართულ მსაზღვრელს? ასეთ ვარაუდს აძლიერებს ის ფაქტი, რომ დასახელებულ ზმნებს გარკვეული ტიპის სახელები (და სახელზმნები) სუბიექტური პირის ფარდ სიტყვებად შეეწყობა სახელობითი ბრუნვის ფორმით, სახელდობრ:

ა) ნაგენეტივარი ნაცვალსახელები: მაშ **რად ეშინიათ ჩემი** (ჯავ., 2, 276); **შენი** არავის **ეშინიან** (ჯავ., 2, 276); **იმისიც მეშინოდა** (ჭავ., 10, 235); იმას **არავისი** ეშინოდა (ჭავ., 2, 449).

ბ) ფუძეუკვეცელი სახელები: [კურკას] მაშოსი **სცხვენოდა** და **ეშინოდა** (ჯავ., 1, 94); პატარა **ფინიასიც** კი მეშინია („დროშა", №1, 1975, გვ. 11); ნუცას **ყველასი რცხვენოდა** და **ეშინოდა** (ჯავ., 1, 36).

---

[109] **არ. მარტიროსოვი**, თანდებული ქართულში, გვ. 230.

[110] **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 715.

გ) საწყისი (და სახელი, რომელიც საწყისის მაგივრობას ეწევა): ამ ხიდზე მარტო **გავლა მეშინია** (კ. ლორთქ, 3, 223); [თამაზს] ხმის ამოღება ეშინოდა („ცისკარი", №1, 1971, გვ. 92); ...დაფასთან **დგომა მრცხვენოდა** („ცისკარი", №12, 1970, გვ. 25); **რცხვენოდა** თავის **წამოწევა** („მნათობი", №4, 1975, გვ. 100); მანქანის **მართვა მეშინია** (გაზ „თბილისი", №34, 1974, გვ.4); მასთან **ჩხუბი მრცხვენოდა** (წერ., 8, 327).

დ) იშვიათად მიმღეობაც: კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაჟებო, **ნათქვამი** არა **გვრცხვენოდეს.** (ვაჟა).

საწყისი ამ ზმნებთან ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც გვხვდება, რაც იქნებ ანალოგიით აიხსნება. მაგ.: მამაკაცს მამაკაცის სიახლოვეს მუდამ რცხვენია შიშის **გამხელისა** (გამს.); ნაბინას რცხვენოდა **გაბრაზებისა** (მიხ. მრეველ., 402); ღამე გარეთ **გამოსვლისა** ეშინია (ო. იოს., 459).

საწყისის ამგვარი ფორმები შეიძლება შეიცვალოს სახელობითით: რცხვენია შიშის **გამხელა,** რცხვენოდა **გაბრაზება,** ეშინია გარეთ **გამოსვლა.**

ასეთ შემთხვევაში ნათესაობითი მოჩვენებითი ჩანს. ნამდვილად უნიშნო სახელობითი უნდა იყოს.

2. **პირდაპირისებრია უბრალო დამატება,** რომელიც პირდაპირი დამატებისაგან არის გამოსული. ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს მხოლოდ სახელზმნას (საწყისსა თუ მიმღეობას), ნათესაობითში დგას და შინაარსით პირდაპირ დამატებას ჩამოჰგავს. იგი ყოველთვის უთანდებულოა.

გასარჩევია **პირდაპირისებრი დამატების მიღების ორი შემთხვევა:**

ა) პირიანი ზმნის პირდაპირი დამატება იმავე ზმნის საწყისთან პირდაპირისებრ დამატებად გადაკეთდება: **ურემი** გააჩერა → **ურმის** გაჩერება, **სურათი** დახატა → **სურათის** დახატვა, **ხე** მოჭრა → **ხის** მოჭრა.

ბ) პირდაპირი დამატება იმავე ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან პირდაპირისებრ დამატებად იქცევა: ვინც ეს წიგნი დაწერა, საქვეყნოდ ცნობილი მწერალია → ამ **წიგნის** დამწერი საქვეყნოდ ცნობილი მწერალია; ვინც ეს საქმე გააკეთა, ჩვენი მეგობარია – ამ **საქმის** გამკეთებელი ჩვენი მეგობარია.

მაშასადამე, პირდაპირი დამატება იმავე ზმნის საწყისთან და მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან პირდაპირისებრ დამატებად იქცევა.

პირველი და მეორე პირის უბრუნველ ნაცვალსახელთა მაგივ-

რად თავ-თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელებია ნახმარი: გადაწყვიტა, რომ მე წავეყვანე → გადაწყვიტა **ჩემი** წაყვანა; მოვიდა ის, ვისაც მე უნდა წავეყვანე → მოვიდა **ჩემი** წამყვანი და მისთ. ეს ნაცვალსახელები ისე ეთანხმებიან სახელზმნას ბრუნვაში, როგორც ატრიბუტული განსაზღვრება.

უთანდებულო ნათესაობითში, როგორც ვიცით, დგას ქვემდებარისებრი უბრალო დამატებაც. ამასთან ერთად მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის ზმნებს, საზოგადოდ, საწყისი საერთო აქვთ. ამიტომაც კონტექსტის გარეშე ზოგჯერ ძნელდება იმის გარკვევა, თუ რად უნდა იქნეს მიჩნეული საწყისთან ნათესაობითის ფორმით დაკავშირებული უბრალო დამატება – ქვემდებარისებრად თუ პირდაპირისებრად[111]. ავიღოთ ასეთი მაგალითი: **ბავშვის** დამალვა მამამ ვერ შენიშნა. **ბავშვის** უბრალო დამატებაა, მაგრამ აქ არ ჩანს, ქვემდებარისებრი დამატებაა ის თუ პირდაპირისებრი. მივმართოთ კონტექსტს: უცებ **ბავშვი** დაიმალა. **ბავშვის** დამალვა მამამ ვერ შენიშნა. **ბავშვის** აქ ქვემდებარისაგან არის მიღებული, მაშასადამე, ქვემდებარისებრი დამატებაა. ახლა ავიღოთ ასე: დედამ **ბავშვი** დამალა. **ბავშვის** დამალვა მამამ ვერ შენიშნა. ბავშვის აქ პირდაპირი დამატებისაგან არის გამოსული, ე.ი. პირდაპირისებრი დამატებაა.

3. **ირიბისებრია უბრალო დამატება**, რომელიც ჩვეულებრივ ირიბი დამატებისაგან არის მიღებული და შინაარსითაც ირიბ დამატებას ჩამოჰგავს. ასეთი დამატება **თვის**-დართული ნათესაობითით არის გადმოცემული და უკავშირდება როგორც გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღეობას. გასარჩევია ირიბისებრი დამატების მიღების რამდენიმე შემთხვევა.

ა) გარდამავალი ზმნის ირიბი დამატება მესამე სერიის ფორმასთან ნათესაობითში გადადგება, თვის თანდებულს დაირთავს და უბრალო დამატებად იქცევა: მდინარე კ-მ მწყემსს ბატკანი მოსტაცა → „მდინარე კ-ს **მწყემსისთვის** ბატკანი მოეტაცნა“. (ვაჟა, 5, 55).

ბ) როცა გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევა გამოხატავს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბისთვის არის დანიშნული, ირიბი დამატება იმავე ზმნის საარვისო ქცევის ფორმასთან ირიბისებრ დამატებად იქცევა: დიდი ხვეწნის შემდეგ ბიძამ **ლადას** კაკანათი გაუკეთა (ევდ., 3, 116) → დიდი ხვეწნის შემდეგ ბიძამ **ლადასთვის** კაკანათი გააკეთა; ერთხელ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის **ლაშქარს** ნადიმი გაუმართა. (ვაჟა) → ერთხელ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავისი **ლაშქრისათვის** ნადიმი გამართა.

გ) როცა გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა აღნიშ-

[111] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 37.

ნავს, რომ სუბიექტი ირიბისთვის არის დანიშნული, ირიბი დამატება იმავე ფუძის ზმნის ერთპირიან ფორმასთან აქაც ირიბისებრ დამატებად გადაკეთდება: **ბავშვს** საუზმე უმზადდება → **ბავშვისთვის** საუზმე მზადდება; **მეზობელს** სახლი უშენებია → **მეზობლისთვის** სახლი შენდება.

დ) პირიანი ზმნის ირიბი დამატება იმავე ზმნის უპირო ფორმასთან ზოგჯერ ირიბისებრ დამატებად გადაკეთდება: **შვილს** კაბა შეუკერა → **შვილისთვის** კაბის შეკერვა; **შვილისთვის** შეკერილი კაბა.

თვის თანდებული, საზოგადოდ, დანიშნულებას გამოხატავს. ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს არა მარტო ერთ- და ორპირიან ზმნებს, არამედ სამპირიანი ზმნის საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმებსაც: **ბავშვისთვის** შეაკერვინა, **ბავშვისთვის** შეუკერა. **თვის**- დართული დამატება ეწყობა ზოგიერთ ზედსართავ სახელსაც; **ბავშვისთვის** სასარგებლო რჩევა-დარიგება; **ქვეყნისთვის** სასახელო ახალგაზრდა და მისთ.

თვის თანდებულს დაირთავენ უბრუნველი ნაცვალსახელებიც: შენთვის, ჩვენთვის, თქვენთვის. I პირის მხოლობით რიცხვში იქნება ჩემთვის: გიგლას მართალი ეთქვა **ჩემთვის** (ვაჟა); მერე **შენთვის** დამილოცნია. (ჭავ.).

თვის თანდებულიანი უბრალო დამატების მნიშვნელობა აქვს ნათესაობითის ფორმას, რომელსაც **გულისთვის** დაერთვის: შვილმა რომ **დედის გულისთვის** ერბოკვერცხი მოიწვას ხელისგულზე, იმის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო. (ხალხ.).

თვის თანდებულიანი უბრალო დამატების მნიშვნელობით იხმარებოდა **და**-დართული ნათესაობითიც, რაც ძალიან გავრცელებული იყო ძველ ქართულში[112]. მაგ., „მხატვრისადა მიეცა“[113]. ასეთი ფორმები ამჟამად შემონახულია ფშავურ კილოში და გვხვდება ვაჟა-ფშაველასა და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწერებში. მაგ.: **ორისად** (=ორისთვის) თოფი დაეკრა ბერიძეს (ვაჟა, 5, 144); **ჯოგისად** გაესვათ ხელი და გაერეკათ (ვაჟა, 5, 144); მე **ჩემისად** მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და **შენისად** მაყურებლით-და ვიყლი და ვიცოცხლებ. (ჭავ., 449).

სალიტერატურო ქართულში უბრალო დამატების გადმოსაცემად ნათესაობითის ფორმას ამჟამად **დმი** (დამი) დაერთვის: ორივეს მადლობით გვიცემდა გული **მზისადმი, ქვეყნისადმი** (ს. კლდ. 25); სარდიონიც შორეული პატივისცემით იყო განსჭვალული **სახინოსადმი**. (ჯაფ., 57).

---

[112] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 621; ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ38.

[113] ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3), 1946, გვ. 112.

[114] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 45.

უბრალო დამატებაა აგრეთვე ნათესაობითში დასმული სახელი, რომელსაც დაერთვის თანდებულები: **შესახებ, მიმართ, მაგივრად, ნაცვლად**... მაგ.: ირინემ არაფერი იცოდა დღევანდელი პარტიული **კრების შესახებ** (ჯაფ., 85); **ამხანაგის მიმართ** გულისხმიერება გამოიჩინა; **ქალის მაგივრად** იმას ეშინოდა, შიშით ისა დნებოდა (ვაჟა, 6, 463); **პასუხის ნაცვლად** თომამ მკერდში ჩაიხითხითა. (ჯავ., 1, 251).

უბრალო დამატებაა აგრეთვე **წინააღმდეგ, წილ** და **თაობაზე** დართული ნათესაობითიც: სახეს ადრინდელი **უმანკოების წილ** ჭმუნვის ბეჭედი მიეღო... (წერ., 7, 342); **ჩემ წილ** დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა (რუსთ., 155, 3); მე მინდოდა დათიკოსთან მომელაპარაკნა პეპიას **ქალის თაობაზედა** (ჭავ., 307); **ვარდის მაგიერად** იქ ეკალი ყვაოდა და **სიოს წილ** გრიგალი ყვიროდა (გ. აბ.); მშიშარა ცხვრები რაღას გააწყობდნენ გააფთრებული **ლომების წინააღმდეგ.** (გოგ.).

თუ უბრალო დამატება რამდენიმეა (ორი ან მეტი) და **და** კავშირიც არის ნახმარი, კავშირის წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა: ეგ თქვენის **სურვილისა** და გადაწყვეტილებისათვის მიმინდვია. (გაბ.).

§65. უბრალო დამატება მოქმედებითში

მოქმედებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ძირითადად ორი სახისაა: **საჭურვლისა** და **თანაობისა.** საჭურვლის დამატება ყოველთვის უთანდებულოა, თანაობისა კი უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულიანიც.

ა) **საჭურვლისაა დამატება,** რომელიც აღნიშნავს იარაღს (საჭურველს – ძველებურად) ანუ საშუალებას, რითაც მოქმედება სრულდება: ზოგან არწივს **ხაფანგით იჭერენ** (გოგ., 149); ვერც **დაყვავებით** და ვერც **გაჯავრებით** მე ისინი ვერ შევაჩერე. (გოგ., 83).

ხაფანგით, დაყვავებით და **გაჯავრებით** – ყველა საჭურველის დამატებაა.

საჭურვლის დამატება მოგვიგებს კითხვაზე. რით? რა საშუალებით? იგი შეიძლება ახლდეს უპირო ზმნასაც (საწყისსა და მიმღეობას): გადარჩა ჩვენი ქვეყანა მტრის **ხელით** აოხრებასა (გოგ.); **მთვარით** გაშუქებულ ქუჩაში არავინ ჩანდა (გვეტ., 216); სხვები **ფოთლებით** შებურულ ხეებზე სხედან. (ვაჟა).

მოქმედებით ბრუნვაში დასმული უთანდებულო დამატება, რომელიც მიუგებს კითხვაზე **რით,** შეიძლება ახლდეს ზოგიერთ ზედსართავ სახელსა და რიგობით რიცხვით სახელს (მაგალითად, პირველს) „ასეთი ზედსართავი უმეტესად ზმნური წარმოშობისაა“[114]. სავსე, მაძღარი, მართალი... მაგ.: დემეტრეს სახლის ეზოში **ღვინით**

[115] **თ. შარაშენიძე,** მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები

სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა, 6, 103); **ფერით** წითლები იყვნენ (ვაჟა, 5, 315); **საქმით** მართალი, გულით წმინდა; ხუმარადაც ვარგებულხარ, **ვაჟკაცობით** პირველიო. (წერ., 5, 27).

უთანდებულო მოქმედებითის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშიც საჭურვლის დამატების გადმოცემა იყო. ამ ფუნქციას გავრცობილი მოქმედებითი ასრულებდა[115].

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევა, როცა ზმნის პირიან ფორმასთან უთანდებულო მოქმედებითის ფორმით მისივე საწყისია დაკავშირებული, რაც პარონომაზიის სახელით არის ცნობილი: მაგ.: **ჭამით** ისინი ვერა **ჭამენ, სმით** ისინი ვეღარა **სმენ**, რა კაცები არიან? (ჭავ. 327); **მოტეხით** ერთი წკირიც **არ მოუტეხია** (ვაჟა); **შეძლებით** რა **არ შეიძლება** (ჭავ., 350); – კარგი, **წაბრძანებით წაბრძანდებით** (დად.); ხმელი წიფელი **ამოიკვნესებს** ღრმა **კვნესით** (ვაჟა); მამა უადრესად სხვა **ცხოვრებით ცხოვრობდა** (ვ.კოტ.); ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ **თრევით მოითრია** თიჭათა შიგან. (იაკობ ხუცესი).

საწყისი გამოყოფს და აძლიერებს პირიანი ზმნით გადმოცემული მოქმედების ინტენსივობას ან უარყოფას გამოხატავს უკუთქმითი ნაწილაკების საშუალებით (როგორც ეს გვაქვს პირველ ორ მაგალითში). ინტენსივობის გასაძლიერებლად ზოგჯერ კი ნაწილაკიც არის გამოყენებული. მაგ.: **შეძლებით კი შეიძლება**, მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო. (ჭავ., 361).

პარონომაზიულ გამოთქმებში გვაქვს მონაცვლე ზმნებიც, რომლებიც მნიშვნელობით სინონიმებია: **თქმით ვეტყვი,: ყოფნით** ხვალაც **აქ ვიქნები; სმით დავლევ** და მისთ.

პარონომაზიული გამოთქმები გავრცელებული იყო ძველ ქართულში და არც ახალ ქართულშია იშვიათი[116].

საწყისს პარონომაზიულ გამოთქმებში შეიძლება ახლდეს ატრიბუტული განსაზღვრება. მაგ.: ხმელი წიფელი **ამოიკვნესებს ღრმა კვნესით** (ვაჟა); ისინი მაინც **სრულფასოვანი ცხოვრებით ცხოვრობდნენ**. („ლიტ. საქ." №15, 1973). პირველ მაგალითში საწყისი მოსდევს პირიან ფორმას, მეორეში – უსწრებს.

პარონომაზიული წყვილის ცალი ზოგჯერ იმავე ძირისაგან წარმოქმნილი აბსტრაქტული სახელია. მაგ.: თუმც ჯერ არ იყო ივრის წყლით სავსე, მაინც **სიცოცხლით ცოცხლობს** ფარულით (გრ. აბ.). ისეთი შემთხვევაც გვხვდება, როდესაც მოქმედებით ბრუნვაში

ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 415; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 720-721.

[116] **კ. წერეთელი**, პარონომაზია ქართულში; იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954, გვ. 461–502. **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 234, 727.

[117] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 44; ჩვენი: ქართული ენის სინტაქსი,

დასმული აბსტრაქტული სახელი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისაგან არის წარმოქმნილი. მაგ.: თებერა იყო **ლამაზი** სოფლური **სილამაზით**. (ბარნ., 2, 429).

მოქმედებით ბრუნვაში დასმული საწყისი თუ აბსტრაქტული სახელი იშვიათად თანადაქვემდებარებული წევრია შერწყმულ წინადადებაში. მაგ.: ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისი **ცხოვრებითა** და **თვითმოქმედებით** (ჭავ., 2, 483); იოლად კი არა, დიდი **წვალებითა** და მოუსვენარი **ცხოვრებით** ვცხოვრობდი („მნათობი", №4, 1975, გვ. 127). შერწყმული წინადადების ნაწილები იშვიათად პარონომაზიული გამოთქმებია. მაგ.: ზოგჯერ იგი [ვაჟა] მათი **სიცილით იცინის** და მათი **ტირილით ტირის**. („მნათობი", №9. 1974, გვ. 172).

გრამატიკულ ლიტერატურაში ასეთ გამოთქმათა სინტაქსური კვალიფიკაცია სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, სასკოლო გრამატიკებში საწყისის მოქმედებით ბრუნვის ფორმა უბრალო დამატებად არის დასახელებული[117]. სპეციალურ გამოკვლევაში გამოთქმულია აზრი, რომ პარონომაზია ერთ ცნებას გამოხატავს და ის სინტაქსურად სხვა არაფერია, თუ არა შედგენილი შემასმენელი[118]. მართლაც, როცა მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სიტყვას არ ახლავს ატრიბუტული განსაზღვრება, პარონომაზიული წყვილი მყარ სიტყვათა შეხამებად გვევლინება, ერთ ცნებას გამოხატავს და, როგორც წინადადების წევრი, შემასმენლად უნდა დასახელდეს, მაგრამ არა შედგენილ შემასმენლად, არამედ მყარ სიტყვათა შეკავშირებით გადმოცემულ შემასმენლად: შედგენილ შემასმენელში ზმნის პირიანი ფორმა დამხმარეა, მეშველია, შემასმენლის გამოხატვის ძირითადი დატვირთვა სახელად ნაწილზეა, პარონომაზიულ გამოთქმებში კი ზმნის პირიანი ფორმა ნახმარია თავისი ძირითადი მნიშვნელობით, იგი თავისთავადია და არა მეშველი.

მოქმედებითში დასმულ სიტყვას პარონომაზიულ გამოთქმებში ხშირად ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი, იშვიათად – სუბსტანტიურიც. ასეთ შემთხვევებს, ჩვენი აზრით, განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, სახელდობრ: როდესაც პარონომაზიული წყვილის საწყისს (თუ აბსტრაქტულ სახელს) მსაზღვრელი ახლავს, იგი თავის მსაზღვრელიანად დამოუკიდებელ წევრად გვევლინება და ზმნის პირიანი ფორმისადმი დამატებითს ან გარემოებითს მიმართებას გამოხატავს. მაგ., როგორც ზემოთ ითქვა, საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმები საჭურველის უბრალო დამატებებია წინადადებაში: „ვერც **დაყვავებით** და ვერც **გაჯავრებით** მე ისინი

1958, გვ. 90.

[118] **კ. წერეთელი**, პარონომაზია ქართულში, გვ. 477.

[119] **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 622; ქართული ენის გრამატიკა II,

ვერ შევაჩერე", მაგრამ ორივე ვითარების გარემოებაა წყვილებში: **დაყვავებით** უთხრა, **გაჯავრებით** შეხედა. ზემოთ დასახელებულ მაგალითთაგან მოქმედებითი ბრუნვის ფორმა უბრალო დამატებაა წინადადებაში: „თებერა იყო ლამაზი **სოფლური სილამაზით** (კითხვა: რით იყო ლამაზი?), მაგრამ ვითარების გარემოებაა შემდეგს წინადადებაში: „იოლად კი არა, დიდი **წვალებითა** და **მოუსვენარი ცხოვრებით** ვცხოვრობდი" (კითხვა: როგორ ვცხოვრობდი?).

საწყისი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით უნდა ახლდეს არა მარტო მისსავე პირიან ფორმას, არამედ შედგენილ შემასმენელსაც, რომლის სახელადი ნაწილი, ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოცემული, და საწყისი ერთი და იმავე პირიანი ფორმისაგან არიან ნაწარმოები: **წასვლით წასული იყო, დალევით დალეული ჰქონდა, წაყვანით წაყვანილი** ჰყავდა და მისთ. ასეთი პარონომაზიული გამოთქმები შედგენილი შემასმენლის გართულებული სახეა.

ბ) **თანაობის დამატება** მოქმედებითში უთანდებულოა ან **ურთ** თანდებულიანი. ეს თანდებული მიღებულია **ერთ**-ისაგან ხმოვნის შეცვლით და აღნიშნავს ერთადობას ანუ თანაობას[119]. ძველ ქართულში თანაობის დამატება ჩვეულებრივ **ურთ** თანდებულიანი მოქმედებითით გადმოიცემოდა[120].

ახალ ქართულში თანაობას უფრო ხშირად უთანდებულო მოქმედებითი გამოხატავს, **ურთ** თანდებულიანი ფორმა კი იშვიათად იხმარება. მნიშვნელობით ორივე ერთია. ამიტომ უთანდებულო ფორმა შეიძლება შეიცვალოს თანდებულიანით, თანდებულიანი – უთანდებულოთი: **ცოლ-შვილით** ჩამოვიდა, **ცოლ-შვილითურთ ჩამოვიდა**. ასეთი დამატება ახლავს საწყისსა და მიმღეობასაც: **ცოლ-შვილით ჩამოსვლა, ცოლ-შვილით ჩამოსული** (ან: ცოლ-შვილითურთ ჩამოსვლა, ცოლ-შვილითურთ ჩამოსული). **ცოლ-შვილით** თუ **ცოლ-შვილითურთ** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ცოლ-შვილთან ერთად, ცოლშვილიანად** მოგვიგებს კითხვაზე: ვისთან ან რასთან ერთად?

თუ ასეთი დამატება ორია და ისინი შეერთებულია „და"-თი, კავშირის წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა. მაგ.: წარვიდა იგი **ცოლით და შვილითურთ** კართა მეფისა ძმისა მისისათა („ბაჰლავარი", 21); თალაგვა კოლონკელიძე ნოკორნას მონასტერში წავიდა **სახლეულითა** და **საკლავითურთ**. (გამს.).

პირიან ზმნასთან დაკავშირებული თანაობის დამატება გულისხმობს:

1. გარდაუვალთან – თანაობას ქვემდებარესთან ერთად: აგერ

1948, გვ. 43; **არ. მარტიროსოვი**, თანდებული ქართულში, გვ. 233.

[120] **თ. შარაშენიძე**, დასახელებული შრომა, გვ. 416; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 204; 268; 352-354;

[121] **ა. შანიძე**, ქართული უნის გრამატიკა, II, 1948, გვ. 44.

ჩემი პატრონი მობრძანდება თავისი **ცოლ-შვილით** ბაღის დასათვალიერებლად (ვაჟა, 6, 45); დაესწარით მრავალს **მეუღლით** და **შვილებით** (ვაჟა); სხვებს არც გვადი ჩამორჩებოდა თავის **შვილებითურთ**. (ქიაჩ. 3, 192).

2. გარდამავალთან თანაობას პირდაპირ დამატებასთან ერთად: არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის **ძილითა** და **სიზმრებითა** და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის **ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა** და **ვაი-ვაგლახითა**“ (ჭავ., 257); [შალვას] ანკესი **ძუთურთ** ნინიამ გაუმართა. (ვაჟა, 5, 162).

ურთ თანდებულიანი მოქმედებითის ფორმა ყოველთვის თანაობის დამატებაა, უთანდებულო მოქმედებითით კი, გარდა სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატებისა, შეიძლება გადმოიცეს გარემოებაც.

§66. უბრალო დამატება ვითარებითში

ვითარებითში დასმული უბრალო დამატება, ყოველთვის უთანდებულოა. შინაარსით ძირითადად ორგვარია: თანაობისა და ახალი ვითარების აღმნიშვნელ-გადმომცემი.

ა) **იან** სუფიქსით ნაწარმოები სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ჩვეულებრივ თანაობის დამატებაა. მნიშვნელობით იგივეა, რაც **ურთ** თანდებულიანი მოქმედებითით გადმოცემული თანაობის დამატება, ე.ი. გამოხატავს:

1. გარდაუვალ ზმნასთან თანაობას ქვემდებარესთან ერთად: აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის **სტუმრებიანად** (ვაჟა, 6, 172); [მამალი] **კაკანათიანად** შეძვრა ფიჩხებში. (ევდ., 3, 287).

2. გარდამავალ ზმნასთან თანაობას პირდაპირ დამატებასთან ერთად: [გვადიმ] ხურჯინი **ნაბდიანად** სახლში შეათრია (ქიაჩ., 3, 52); [ზვავი] ათასწლოვან მუხას **ძირიანად** ჰგლეჯდა. (რაზ., 216).

ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს უპირო ზმნასაც; **ძირიანად** მოგლეჯა, **ძირიანად** მოგლეჯილი.

ურთ თანდებულიანი უბრალო დამატება ქართულში რამდენადმე მოძველებულია, მას ცვლის უთანდებულო მოქმედებითი ან **იან** სუფიქსით ნაწარმოები სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა.

ბ) ვითარებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ხშირად აღნიშნავს გარდაქმნას, ცვალებას, გადაქცევას, ე.ი. ახალ ვითარებას. ტყე უზარმაზარ **ქალაქად** იქცა (ვაჟა, 6, 79). **ქალაქად** უბრალო დამატებაა, რომელიც მიუთითებს, რომ ის ამ სიტყვით აღნიშნული საგანი კი არ იყო, – არამედ სხვა (ტყე), ე.ი. ის, რაც ტყე იყო, ქალაქი გახდა. ამის გამო ასეთ დამატებას **ვითარების** დამატებას ეძახიან. მოგვიგებს კითხვაზე: რად? „ასეთი დამატება ჩვეულებრივია ზმნებ-

თან, რომლებიც აღნიშნავენ დანიშვნას, გადაქცევას, მოჩვენებას"[121]. მაგ.: შარშან გერამ გვადი **მწყემსადაც** არ დანიშნა (ქიაჩ.); დიდი შიში დიდ **გაოცებად** გადაიქცა (გოგ., 264); ირმას ერთბაშად ლოყები **ნაკვერცხლებად** ექცა (გვეტ., 143); ცხვარს შველი **მგლად** ეჩვენებოდა (ვაჟა, 6, 387); კლდეებს შავ **ზეწრად** ჯანღი გადაჰფარებოდა. (ვაჟა, 6, 326).

ამ ტიპის უბრალო დამატება შეიძლება ახლდეს უპირო ზმნასაც: იმ წუთებში ბეჟიას, – ასე ეძახდნენ მწყემსს, – **ფრინველად** გადაქცევა უნდოდა. (ყაზ. 2, 67).

ზმნის პირიან ფორმასთან ცვალება, გარდაქმნა, გარდაქცევა ეხება ქვემდებარეს (გარდაუვალთან) ან პირდაპირ დამატებას (გარდამავალთან): ღვინო **სპილენძად** იქცა (რაზ., 19); მესამე ჩხირმა [ღვინო] **სპილენძად** აქცია. (რაზ., 19).

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია ძველ ქართულშიც ამ ტიპის უბრალო დამატების გამოხატვა იყო.

გარემოება

§67. გარემოების რაობა. სახეები და გადმოცემის საშუალებანი

გარემოება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, ზომა-ოდენობას ან ხარისხს რაიმე ნიშან-თვისებისას.

ამის მიხედვით გარემოება შეიძლება იყოს: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა და ზომა-ოდენობისა. ზოგჯერ ცალკე სახეებად გამოყოფენ აგრეთვე პირობისა და დათმობის გარემოებებსაც.[122]

გარემოება ჩვეულებრივ ზმნასთან დაკავშირებული წევრია (**დასასვენებლად** წავიდა, **დასასვენებლად** წასვლა, **დასასვენებლად** წასული), მაგრამ ზოგი სახის გარემოება შეიძლება ახლდეს ზედსართავ სახელსაც (**სისხლივით** წითელი) და ზმნიზედასაც (**ტყვიასავით** სწრაფად, **ძალიან** მაღლა) და აძლიერებს წამყვანი სიტყვის მნიშვნელობას.

გარემოების გადმოცემა ზმნიზედის ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა. ზმნიზედა წინადადებაში გარემოებაა, მაგრამ ამავე ფუნქციით გამოყენებულია სხვა მეტყველების ნაწილებიც: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და

---

[122] **А. Н. Гвоздев**, Современный русский литературный язык. ч. 2. Синтаксис. М. 1958 გვ. 108. პირობის გარემოება ცალკე სახედ არის წარმოდგენილი აკადემიის რუსული ენის გრამატიკის (სინტაქსი, II, ნ. 1, 1954, გვ. 599) და მოსკოვის უნივერსიტეტის მიერ პროფ. **ე მ. გალკინა-ფედორუკის** რედაქციით გამოსულ სინტაქსშიც (1957, გვ. 221)

[123] **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 614.

ზმნა (ჩვეულებრივ უპირო, ე.ი. საწყისი და მიმღეობა, იშვიათად პირიანი ფორმაც). გარემოება შეიძლება გადმოიცეს სიტყვათა შეკავშირებითაც.

გარემოების გადმომცემი სიტყვა უფორმოა, ან მას ბრუნვის ფორმა აქვს. იგი შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (უთანდებულოდ ან თანდებულის დართვით). გარემოება იშვიათად სახელობითი ბრუნვის ფორმითაც გადმოიცემა.

გარემოების კითხვები იგივეა, რაც ზმნიზედებისა, ოღონდ კითხვა არ დაესმის თვით კითხვითი ზმნიზედით გადმოცემულ გარემოებას. გარემოება მირთული წევრია წინადადებისა.

ადგილის გარემოება

§68. ადგილის გარემოების რაობა. კითხვები

ადგილის გარემოება გამოხატავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას. ის მოგვიგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდე?

სად კითხვაზე მოგვიგებს ადგილის გარემოება, რომელიც აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც იმყოფება საგანი ან ხდება მოქმედება: იქ **ჯგუფად** ისხდნენ ბუზები (ჭავ., 330); **ცაზე** ვარსკვლავები აკიაფდნენ (წერ., 1, 244); **ეზოში** სტუმრები მიდი-მოდიოდნენ. (კლდ., 1, 140).

მიმართულების აღნიშვნა სხვადასხვაგვარია:

ა) აღნიშნავს ადგილს, საითკენაც საგნის მოძრაობაა მიმართული: მზე კარგად გადახრილიყო **დასავლეთისაკენ** (არაგვ.). მენახირეები ნახირს **სოფლისკენ** ძოვნით მოაყოლებენ. (რაზ., 59).

დასავლეთისაკენ აღნიშნავს ქვემდებარის მოძრაობის მიმართულებას, **სოფლისკენ** – პირდაპირი დამატებისას. კითხვა: საითკენ?

ბ) გვიჩვენებს იმ პუნქტს, საიდანაც იწყება მოქმედება: **მთიდან** ნიავი წამოვიდა (ევდ., 3, 122); მართამ **ბუხრიდან** ცეცხლიანი მუგუზალი მოარბენინა. (ევდ., 3, 278).

მთიდან ქვემდებარის გამოსვლის პუნქტს აღნიშნავს, **ბუხრიდან** – პირდაპირი დამატებისას. კითხვა: **საიდან?**

გ) გამოხატავს მიწევნის პუნქტს: კესო ... ხმაამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს **სასაფლაომდე**. (ჭავ., 464). კითხვა: სადამდე?

ადგილის გარემოება ახლავს საწყისსა და მიმღეობასაც; ფრთხილ ძაღლს პატრონის **გარეთ გასვლა** არ გამოეპარა (ჭავ., 471); **სანერგიდან ამოღებული** ვაზით ახალი ვენახი გაშენდა. (ჯაფ., 182).

ადგილის გარემოება გადმოიცემა ადგილის ზმნიზედითა და არსებითი სახელით. სახელი ადგილის გარემოების გადმოსაცემად

ოთხ ბრუნვაში გვხვდება: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ნათესაობითში დასმული ადგილის გარემოება მუდამ თანდებულიანია, სხვა ბრუნვებში კი თანდებულიანიც შეიძლება იყოს და უთანდებულოც.

ადგილის გარემოება შეიძლება გადმოიცეს სხვა მეტყველების ნაწილითაც, როცა ის არსებითი სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი: **ვაიდან ვუიში** ჩაგვაგდო. (ჭავ., 415).

ზოგიერთ გამოთქმაში ზმნა გამოტოვებულია და ადგილის გარემოება ისე არის წარმოდგენილი: **ფქვილი – აქა, ქატო – იქა** (ხალხ.); **გარეთ** – ატლასი, **შიგნით** – ათასი (გამოცანა: ბროწეული).

§69. ზმნიზედა ადგილის გარემოებად

ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოება მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია:

ა) აღნიშნავს ადგილს, სადაც არის საგანი ან მოქმედება ხდება: აქ, იქ, შინ, შიგნით; გარეთ; ზევით; ქვევით; თავში, ბოლოში, შუაში; აღმა, გაღმა, გადაღმა, გამოღმა; გადმოღმა, შორს, ახლოს, შორიახლოს, ირგვლივ, აქ-იქ, ახლომახლო, დაბლა, მაღლა და მისთ.

ზმნიზედა უბრუნველი სიტყვაა. ზოგჯერ იგი სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მნიშვნელობით დაცილებულია ნამდვილი ბრუნვის ფორმებისაგან და ზმნიზედად არის ქცეული: შორს, ახლოს, ძირს, თავში, შუაში, ბოლოში, გვერდით, თავით... ადგილმდებარეობის გამომხატველ ზმნიზედებში მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გვხვდება ზოგიერთი ზმნიზედაც: გარეთ (<გარე-დთ), ზემოთ (<ზემო-დთ), ქვემოთ (<ქვემო-დთ), შიგნით, ქვევით და მისთ. ამ ჯგუფის ზმნიზედების კითხვაა: **სად**? მაგ.: **იქ** რა გინდა შენ? – ჰკითხა მან ბოლოს (ჭავ., 148); **გარეთ** ცხენები ხვიხვინებდნენ (გვეტ., 401); დედამთილი **უკან** უზის (ხალხ.); **დაღმა** დაეშვა ღამურა (წერ.); **დაბლა** მწყერი განაბულა (წერ.); **ირგვლივ** სამარისებული სიჩუმე სუფევდა (გვეტ., 403); **გარშემო** სრული მყუდროება სუფევდა (ყაზ., 1, 126); **შინ** გვიან მივედი (გვეტ., 316); ყანებში **სადღაც** ატირდა ღალღა (ტაბ.); **მარჯვნივ** მოჩანდა სოფელი სავანე (გვეტ., 5); **წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ** თუ **მარცხნივ** ყოველი მხრისკენ ჭრის მისი თვალი (წერ.); **აქა-იქ** მგლის კვალიც ეტყობა. (ვაჟა, 5, 37).

ბ) აღნიშნავს ადგილს, საითკენაც მოძრაობა არის მიმართული: **აქეთკენ, შინისკენ**... კითხვა: **საითკენ**? (საით?). ასეთ ზმნიზედებს **კენ** თანდებულიანი მოქმედებითის ან ნათესაობითის ფორმა აქვთ. მაგ.: სვავიც მხრების ტყლაშა-ტყლუშით **იქითკენ** მიეშურებოდა (რაზ.); და **შინისაკენ** მოკურცხლა აღვსილმა სიხარულითა (წერ.); სად მიხვალ, სადა, წყეულო? **საითკენ** მიეჩქარები? (ვაჟა, 3, 251).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქართულში არ არის გარჩეული ერთ ადგილას მყოფობისა და სხვა პუნქტისაკენ მიმართული მოძ-

რაობის აღმნიშვნელი ზმნიზედები, როგორც ეს არის ზოგიერთ ენაში (ვთქვათ, რუსულში); მაგ., ქართული **სად** შეესატყვისება რუს. где–საც და куда–საც: **სად** ცხოვრობს შენი ძმა? где живет твой брат? **სად** გაემგზავრა შენი ძმა? куда отправился твой брат?"[123].

გ) აღნიშნავს გამოსვლის ანუ მოქმედების დასაწყის პუნქტს; მიუგებს კითხვაზე: **საიდან?** ასეთი ზმნიზედები წარმომადგარია **გან** თანდებულიანი მოქმედებითისაგან: აქედან, იქიდან, შინიდან, გარედან, ზევიდან, ქვევიდან, გაღმიდან და მისთ. მაგ.: **შორიდან** მოდის... წინ უძევს ბევრი ცხრა მთა და ცხრა ველი (წერ.); **ქვევიდან** მტკვრის დუდუნი ისმის (ჯავ., 4, 493); თუ **იქიდან** ვერა წამოიღო-რა, **აქედან** უფრო ვერას წაიღებსო. (ხალხ.).

დ) გადმოსცემს მიწევნის პუნქტს. კითხვა: **სადამდე?** ამ ჯგუფის ზმნიზედები მიღებულია **მდე** ან **მდის** თანდებულიანი ვითარებითისაგან: აქამდე, აქამდის, იქამდე, შინამდე. მაგ.: **აქამდე** გადმოსავალი მრავალი მთა და გორია (ვაჟა); არ ეგონა, თუ **იქამდე** მიიტანდა ტყვიას. (რაზ.).

ზოგიერთი ზმნიზედა ამა თუ იმ პირთან სიახლოვესაც გამოხატავს. შდრ., აქ, მანდ, იქ: აქ დარჩი, მამაშენთან (ჭავ.); **იქ** ყვავილები გაშლილა (წერ.); რომელი ხართ **მანდ**? (წერ.).

შენიშვნა: ზემოთ დასახელებულ ზმნიზედაოაგან ზოგიერთი სხვა სახის გარემოებასაც გადმოსცემს. ამისათვის მნიშვნელობა აქვს მაკავშირებელ სიტყვას, მის ლექსიკურ შინაარსს. მაგ., ზემოთ დასახელებულ მაგალითში **აქამდე** ადგილის გარემოებაა, მაგრამ იგივე ზმნიზედა დროის გარემოებაა წინადადებაში: შვილო, სად იყავ **აქამდე**? (რაზ.).

§70. მიცემითი ადგილის გარემოებად

მიცემითის ფორმა ადგილის გარემოებად უთანდებულოა ან თანდებულიანი. აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც იმყოფება საგანი ან ხდება მოქმედება. მიუგებს კითხვაზე: სად? უთანდებულო მიცემითი, ფორმის თვალსაზრისით, ორგვარია: მარტივი და რთული.

ა) **მარტივი ფორმა ადგილის გარემოებად** ჩვეულებრივ გაუგრცობელია. ასეთი ფორმით ადგილის გარემოების გადმოსაცემად უმეტესად გეოგრაფიული სახელები გვხვდება, უფრო იშვიათად სხვა სახელებიც, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობაც ადგილზე მიუთითებს. მაგ.: იმ საღამოს **სტეფანწმინდას** ამოვედი (ჭავ., 255); ვანოს მამა დილით ადრე ურმით **ქალაქს** მიდიოდა (გოგ. 61); მეორე ზამთარს გიორგიმ **ქალაქს** ჩასვლა ვეღარ გაბედა (გაბ., 145); სახნისმა თქვა: **ქვესკნელს** დავალ, მზის შუქი მენატრებაო." (ხალხ.).

ადგილის გარემოების გადმოცემა მიცემითი ბრუნვის უძველე-

---

[124] **არ. მარტიროსოვი**. მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები

სი ფუნქციაა[124]. უთანდებულო ფორმები ადგილის გარემოებად ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულში კი იშვიათად იხმარება. მათ ჩვეულებრივ თანდებულიანი ფორმები ცვლის: სტეფანწმინდაში, ქალაქში, დიდუბეში...

ბ) ადგილის გარემოება ზოგჯერ **ნათესაობით – მიცემითის რთული ფორმით** არის გადმოცემული: ელგუჯა და მზაღვე დასახლდნენ ხარანაულებისას (ყაზ.); მეორე დღეს სოლომონმა გასწია ქაიხოსრო **ქათამაძისას** (კლდ., 1, 77); ერთხელ ყმაწვილმა კაცებმა თავი მოიყარეს ერთი **ამხანაგისას** (წერ., 7, 327); ოთარაანთ ქვრივი **არჩილიანთას** მივიდა. (ჭავ., 444).

ნათესაობით-მიცემითის ფორმები, რომელთაც ამჟამად ზმნიზედური მნიშვნელობა აქვთ და ადგილის გარემოებას გადმოსცემენ, წარმომდგარია მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის (resp. განსაზღვრების) განმარტოებისაგან. ჩავარდნილია საზღვრული სახელი **სახლსა**, ე.ი. მიცემითში დასმული ადგილის გარემოების სინტაქსური ფუნქცია გადასულია განმარტოებულ მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელზე, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული: (სახლსა) მეზობლისასა – > მეზობლისას[125].

ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი ნაგენიტივარი ნაცვალსახელებია. მათ მიცემითის ფორმაზე (ჩემსა, შენსა, ჩვენსა, თქვენსა) შეიძლება ხელახლად დაირთონ კიდევ ბრუნვის ნიშანი და „ამგვარად ორმაგი წარმოება მოგვცენ: ჩემსა-ს, შენსა-ს, ჩვენსა-ს, თქვენსა-ს“[126]. ასეთი ფორმები ადგილის გარემოების გადმოსაცემადაც გვხვდება.

ადგილის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმას დაერთვის თანდებულები: ზე (ზედ, ზედა), ში, თან (თანა-ც). შუა, შორის (აგრეთვე ზოგიერთი ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით). თანდებული აზუსტებს და უფრო კონკრეტულად გამოხატავს მოქმედების მიმართებას სახელით აღნიშნულ საგანთან. სხვადასხვა თანდებული ამ მხრივ სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემს.

ზე თანდებულიანი მიცემითი გამოხატავს საგნის ადგილმყოფობასა თუ მოქმედებას სახელით აღნიშნული საგნის ზედაპირზე: **ველზედ** სქლად იწვა ნისლი (ვაჟა); **ცაზე** ვარსკვლავები ცახცახებდნენ (გრ. აბ., 113); **აივანზე** კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა (ევდ., 215); **ბანზედ** პურის მარცვლები ეყარა (გოგ.); **ყანაზედა** მივდიოდი, ამიფრინდა თვალწინ მწყერი. (წერ.).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად **ზე** თანდებულიან სახელს შეიძლება ახლდეს ზმნიზედა ზედ: ფითრის მარცვალი **ზედ ტოტზე** აცოცდა. (რაზ., 89).

„**ში** შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოზღუდულ

ძველ ქართულში, 376.

[125] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 94; 609.

[126] იქვე, გვ. 108.

[127] იქვე, გვ. 620.

რასმე)“[127]. ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის **ქერქში** გაატარა (რაზ., 91); **ბაღში** შვლები დაკუნტრუშობდნენ. (ვაჟა, 6, 147).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად **ში** თანდებულიან სახელთან შეიძლება იყოს ზმნიზედა **შიგ**: [ყმაწვილმა] სიხარულით წამოიძახა: **შიგ** გულში არ მოხვედრია! (არაგვ.).

თან აღნიშნავს სიახლოვეს სახელით გამოხატულ საგანთან: **ბუხართან** კატა კრუტუნებდა (რაზ.); ეტლი კლუბთან გაჩერდა (გვეტ., 361); ალაყაფის **კარებთან** მანქანამ სვლა შეანელა. (ქიაჩ., 3, 200).

შუა და **შორის** ცალკე მდგომი თანდებულებია, რომლებიც იხმარება ორ (ან მეტ) სახელთან ან მრავლობითში დაყენებულ ერთ სახელთან[128], ან კიდევ ერთი სახელის მხოლობითის ფორმასთან, თუ მას განსაზღვრებად ახლავს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი. **შუა** (აგრეთვე შორის) თანდებულიანი ადგილის გარემოება გულისხმობს საგნის ადგილმდებარეობასა თუ მოქმედებას სახელით (ან სახელებით) აღნიშნულ საგნებს შორის. მაგ.: კარის თავზე ობობას აბლაბუდები გაება **კედელსა და ჭერს შუა** (ჯაფ., 174); გაუვალ **ჭაობებს შუა** აქლემის კუზივით მოჩანდა ერთი მომცრო ბორცვი (გვეტ., 397); მორჩენის გზაზე დამდგარი მეომრები **კარვებს შორის** მიმოდიოდნენ (გვეტ., 486); **ღელეთა შორის** სისინებს ქარი. (ა. გომ.).

ზოგიერთი ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის და სახელთან ერთად გადმოსცემს ადგილის გარემოებას: მზე აჭარის **მთებს იქით** ნელა ეშვება (გვეთ., 265); **ჭიშკარს გადაღმა** ბავშვებმა კიჟინით ჩაირბინეს (ს. კლდ., 115) დედა კატა **კარს უკან** ცუცქს, გრძელ კუდა–მოძუებული. (წერ.).

§71. ნათესაობითი ადგილის გარემოებად

ადგილის გარემოების გადმოსაცემად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის **კენ** თანდებული[129] ან ადგილის ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.

---

[128] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 620.

[129] „ძველად ითქმოდა „კერძო“, რომელიც მოითხოვდა მოქმედებითს (კითხვაზე: საიდან), ან ვითარებითს (კითხვაზე: საითკენ?): მარჯუენით კერძო, მთად კერძო. ბოლო მარცვლის დაკარგვის შემდეგ დარჩენილი **კერ** იცვალა **კენ**-ად და ნათესაობითს დაუკავშირდა: მარჯვენისკენ, მთისკენ და, მეორე მხრივ, **კერ**-მა **კე** მოგვცა, რაც „ვეფხისტყაოსანშიც“ არის დადასტურებული („ზღვათაკე სარკმლით გატყორცა“ 1116) და დღეს ჩვეულებრივია ვაჟას ნაწერებში, სადაც ზოგჯერ მარტო **კ** გვრჩება“. ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 622.

კენ თანდებულიანი ნათესაობითის ფორმა, ჩვენი აზრით, არ არის უბრალო დამატება, როცა ეს თანდებული სულიერი საგნის სახელს დაერთვის (შდრ. მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, 1959, გვ. 313). „ახალ ქართულში **კერ**ძო-ს შეენაცვლა **კენ** თანდებული. იგი სახელებთან მარტო ნათესაობითში იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გამოხატავს“ (არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 224). ეს რომ ასეა, ამის დასადასტურებლად თუნდაც საკმარისია მოვიყვანოთ ორიოდე ისეთი მაგალითი, სადაც სულიერი და უსულო საგნის სახელები, რომელთაც **კენ** დაერთვის, ერთმანეთის პარალელურად ერთი და იმავე ფუნქციით არის გამოყენებული: მიფრინავს გიული თავის დედისაკენ, თავის უტეხ ტყეებისაკენ, თავის ტოლ-ამხანაგებისაკენ (რაზ., 171); გულმა გამიწია გომბორისაკენ, ხალხისაკენ და ნათესავებისაკენ. (ჯავ., 2, 535). ამასვე ადასტურებს ასეთი მაგალითებიც: აქეთ, ჩემკენ, დარანებს შევაფაროთ თავი“ (გ. შატბ. 213); ... დედის მტკიცე ხელი ჯიუტად და დაჟინებით სწევდა წინ, მეფისაკენ (გრ. აბ., 7); თავდახრილმა

კენ თანდებულიანი ნათესაობითი, რომელიც შემასმენელთან არის დაკავშირებული, აღნიშნავს იმ ადგილს, საითკენაც ქვემდებარე ან პირდაპირი დამატება მიემართება, მიუგებს კითხვაზე: საითკენ? (საით?).

ა) აღნიშნავს ქვემდებარის მოძრაობის მიმართულებას: მზე **დასავლეთისკენ** გადაიწურა (ვაჟა, 6, 339); ნოდარი უცნობთან ერთად **პუნქტისაკენ** გაემართა (გვეტ., 424).

ბ) გამოხატავს პირდაპირი დამატების მოძრაობის მიმართულებას: მეორე დილას აღაზამ ძროხა გარეკა **მთისაკენ** (ვაჟა, 3, 254); მენახირეები ნახირს **სოფლისკენ** ძოვნით მოაყოლებენ. (რაზ., 59)

ადგილის ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით ჩვეულებრივ ნათესაობითის ფორმას დაერთვის და ორივე ერთად გამოხატავს ადგილის გარემოებას. ასეთი ზმნიზედები, ისევე როგორც თანდებულები, გამოხატავენ ადგილს სახელით აღნიშნულ საგანთან მიმართებით: **ხის ძირას, სახლის გარშემო, მაგიდის ქვეშ, სახლის წინ, სახლის უკან**... მიუგებს კითხვაზე: სად? მაგ.: გაზაფხულდა, **ბუჩქის ძირას** თავს იწონებს ნაზი ია (წერ.); **იის გარშემო** ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული (რაზ.); ღორი ასწლოვან **მუხის ქვეშ** რკოთი გაძღა, გაიბერა (ცახელი); ორი კაცი **ჭიშკრის უკან** აიტუზა (ჯავ.); მონადირემ **ირმის გასწვრივ** შენიშნა მიმავალი ვეფხვი (ვაჟა, 6, 134); **ტრედების ახლოს** მწყრის ჭუკჭუკი მოისმა (ვაჟა, 5, 100); მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად **მთისა გადაღმა** არ დასულიყო (ჭავ., 188); ქეთევანის **სახლის წინ** ცხენოსანი შეჩერდა (გრ. აბ.); ჯაბა **სახლის ირგვლივ** შემოყრილ ასფალტს მოჰყვებოდა (ო. იოს.); **დერეფნის ბოლოში** სანთელი იბუტებოდა (დ. შენგ.);

ღვინჯუამ ასწრაფებით გამოსწია შინისაკენ, ჯალაბისაკენ. (ლეონ., 111).

„კენ" – თანდებულიანი სახელით რომ გარემოება გადმოიცემა (ჩვეულებრივ ადგილისა §72) და არა უბრალო დამატება, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტებიც:

1. ზმნის ერთსა და იმავე ფორმასთან ხშირად დაკავშირებულია ადგილის ზმნიზედა, უსულო და სულიერ საგანთა კენ-თანდებულიანი სახელები ერთი და იმავე სინტაქსური ფუნქციით.

ა) 1. პაელიამ ღიღინით გასწია იქითკენ (რაზ.); 2. მარგომ კარებისაკენ გასწია (ჯავ.); 3. ონისემ ცხვრისკენ გასწია. (ყაზ.).

ბ) 1. მხცოვანი პოეტი სასტუმროსაკენ ფეხით გაემართა (გვტ.); 2. შუბიძე გაწვდილი ხელით გაემართა მისკენ. (ჯავ.).

გ) 1. დედას თვალები კარისკენ ეჭირა (ბარნ.); 2. კატას თვალი ზაქარიასკენ ეჭირა (რაზ.).

დ) 1. თეთრი ყანჩა წამოდგა და ნაწისქვილარისკენ გაეშურა ყიავ-ყიავით (გამს.); 2. მეორე დღეს სისხამ დილაზე მეფე გაეშურა იოთამისაკენ. (გოგ.).

ე) 1. ხეე-ხუეებს დასავლეთისაკენ მივყავართ (ჯავ.); 2. თარაშ ემხვარის იდეებს ამ მახვშისკენ მივყავართ უცილოდ. (გამს.).

2. ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა; კონკრეტულიდან განყენებულისაკენ, კერძოდან ზოგადისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ ...

3, ზმნიზედით გადმოცემულ ადგილის გარემოებას ამხსნელ-დამაზუსტებელ წევრად ახლავს კენ-თანდებულიანი არსებითი სახელი თუ ნაცვალსახელი, რომელიც ადამიანს აღნიშნავს, ორიოდე ასეთი მაგალითი იყო წინა გამოცემაშიც, ორიოდესაც დამატებით დავასახელებთ: ცალი თვალი აქეთ ეჭირათ, ჩვენკენ (ჭ.ა); თვალი ქვემოთ მეჭირა, შენკენ ... (გ. შატბ); ელგუჯა მალიმალ უკან, გოჩასკენ, იხედებოდა. (გ. შატბ.).

სკვინჩას **ვენახის თავში** ჩადგმულ თივის ბულულაში ეძინა (რ. ინან.); **მტკვრის გაღმა** მთვარე ამოგორებულიყო (გვეტ.); მთვარე აჭარის **მთებს იქით** ნელა ეშვება (გვეტ.); **თხმელის ძირში** ფიჩხის ცეცხლი ოდნავ ბუჟუტავდა (ქიაჩ.); **ბუხრის პირდაპირ** გრძელი ტახტი იდგა (ვაჟა); სამეფო კარავი **ბერმუხის ქვეშ** იდგა (გრ. აბ.); **ფარდის იქიდან** ისმოდა დედაბრის ბუტბუტი. (ა. სულაკ.).

„ქვეშ“ ზოგჯერ სახელთან არის შეზრდილი და ბრუნვის ფორმა არა ჩანს: ტრამვაი ლიანდაგის დაბალ **ხიდქვეშ** გაძვრა (დ. შენგ.); **ფეხქვეშ** ხრეში არ ხრაშუნობს. (ო. იოს.).

§72. მოქმედებითი ადგილის გარემოებად. მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში ადგილის გარემოების გადმოცემაა.

უთანდებულო მოქმედებითით გადმოცემული ადგილის გარემოება ძველ ქართულში ჩვეულებრივ აღნიშნავდა გამოსვლის ანუ მოქმედების დასაწყის პუნქტს სივრცეში (კითხვაზე; **საიდან?**). ამ ფუნქციის გადმოსაცემად უთანდებულო მოქმედებითის ფორმა ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული, **გან** თანდებულიანი კი იშვიათად იხმარებოდა[130]. უთანდებულო მოქმედებითი გამოსვლითის ფუნქციით ახალ ქართულში იშვიათად გვხვდება. მაგ.: ის იყო, რომ ბრუნდებოდა **საბერძნეთით** ქართლის ჯარი (წერ.); ვიშ, გაზაფხული მოდის მორთული, მოდის და მოაქვს **ცით** სიხარული (ჭავ., 9); **ტყვეობით** დაბრუნებული ძმებში ყოფნითა სტკბებოდა (ვაჟა); **კარით** გამოსხლტილი სინათლის შუქი მისასვლელ გზაზე სვეტივით გაწვა ეზოში (ქიაჩ., 3, 310); ოფლი წურწურით პატიოსან **შუბლით** გელვრება (ჭავ.; 52) **მთით** ანკარა წყარო მოდის (გაბ.); მთვარე გუშაგად **მაღლით** დაგვცქერის. (გრიშ.).

უთანდებულო მოქმედებითი ზოგჯერ აღნიშნავდა მოქმედების ადგილს ან მოქმედების მიმართულებას გარკვეული პუნქტისაკენ (კითხვებზე: სად? საითკენ?)[131]. ამ ფუნქციით ორიოდე სახელი (მაგ., მხარეებისა) უთანდებულო მოქმედებითის ფორმით დღესაც იხმარება: **სამხრეთით, აღმოსავლეთით** და **დასავლეთით** მთები ტყით იყვნენ დაფარულნი (ბარნ.; 1, 13); **ჩრდილოეთით**, მთელი ქართლის გაყოლებაზე, კავკასიონის უღელტეხილი აღმართულა (ჯავ., 3, 302); ქალმა ხმა ვერ გასცა, გაუშვირა ხელი **აღმოსავლეთით** (წერ., 1, 257); გიორგიმ **დასავლეთით** გაიხედა. (გ. შატბ.).

უთანდებულო მოქმედებითი ადგილის გარემოების გადმოსაცემად ჩვეულებრივია დღესაც ზოგიერთ კილოში (ფშაურში, ხევსურულში...). ადგილის გარემოების გადმოცემა **გან**-თანდებულიან მოქმედებითს შედარებით გვიან დაეკისრა. ამ ფუნქციით ჩვეულებ-

---

[130] **ქ. ძოწენიძე**, – **გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 125.

[131] **თ. შარაშენიძე**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 415.

რივ უთანდებულო მოქმედებითი და ზოგჯერ **გან**-თანდებულიანი ნათესაობითი იხმარებოდა. უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის გამოყენება ადგილის გარემოების გადმოსაცემად თანდათან შეიზღუდა და გამოსვლითის ფუნქციით ახალ ქართულში საბოლოოდ **გან** თანდებულიანი მოქმედებითი დამკვიდრდა[132]. სახლ-ით-გან, სოფლ-ით-გან, მთ-ით-გან, წყარო-თ-გან. მჟღერმა **გ**-მ (თანდებულის თავკიდურმა ბგერამ) დაიმსგავსა **თ** (ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი) და მივიღეთ ასეთი ფორმები: სახლ-იდ-გან, სოფლ-იდ-გან, მთ-იდ-გან, წყარო-დ-გან. შემდეგ **გ** დაიკარგა და ბოლოთანხმოვნიან და ფუძეკვეცად სახელებთან მივიღეთ **იდან** (სოფლ-იდან, ხ-იდან), ფუძეკვეცილ სახელებთან კი – დან (წყარო-დან) **გან** თანდებულიანი მოქმედებითი XIX საუკუნის (და XX საუკუნის დასაწყისის) წერილობითს ძეგლებში შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შენახვით (სახლ-ით-გან) ან **თ**-ს გამჟღერებით (სახლ-იდ-გან). მაგ.: და თურმე ყოვლით იმედმიხდილი **ქართლითგან** წასვლას დააპირებდა (ბარ., 50); **მთებიდგან** ჩამონადენი წყლები წუთზედ ნიაღვრებად გადაიქცნენ (ყაზ., 1, 118); დედას **ძუძუდგან** შვილსა აჰგლეჯენ (ჭავ., 131); ვირი კარებთან აიტუზა, მახათი **კარებიდგან** შეძვრა, სხვანი **ერდოდგან** ჩავიდნენ სახლში. („დედა ენა“, 26).

ამჟამად იხმარება მხოლოდ ასე: ქართლიდან, მთებიდან, ძუძუდან, კარებიდან, ერდოდან, სადაც წაშლილია როგორც ბრუნვის ნიშნის, ისე თანდებულის პირვანდელი სახე. მაგ.: **ფოთლებიდან** წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა, 6, 138); **სანერგიდან** ამოღებული ვაზით ახალი ვენახი გაშენდა (ჯაფ., 182); **მიწიდან** ბალახი იწვერებოდა (გვ. 10, 490); პაპამ **თაროდან** წიგნი გადმოიღო. (მრევლ. 281).

ადგილის გარემოებაა **დამ** თანდებულიანი მოქმედებითის ფორმაც (კითხვაზე: **საიდან**). ასეთი ფორმები ხშირია აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება უფრო ადრეც (XVII-XVIII სს.)[133]: **ოთახიდამ** გარეთ გამოვედი (ჭავ., 255); [ჩიტი] **ჩადუნიდამ** გადაჯდა ბუერაზე, **ბუერიდამ** მიესალმა გუგულის-კაბას, **გუგულის-კაბიდამ** მიგოგდა პატარა წყაროსთან. (ვაჟა, 5, 157).

დამ-დართული ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არ იხმარება.

გან თანდებულიანი მოქმედებითი ზოგჯერ ახლავს მიმღეობას, რომელიც საწყის პუნქტს ანუ გამოსვლითობას სივრცეში უფრო

---

[132] ქ. ძოწენიძე, დასახელებული შრომა, გვ. 195-202.

[133] **ოთახიდამ, სტეფანწმინდიდამ** და მისთანა ფორმები წინათ **გან** თანდებულიანი მოქმედებითის ვარიანტად მიაჩნდათ. ამჟამად **არნ.ჩიქობავას** მიერ გამორკვეულია, რომ **დამ** დამოუკიდებელი თანდებულია, რომელიც მიღებულია დაღმე||დაღმა ზმნიზედისაგან მოქმედებითის ფორმაზე დართვით, ასე რომ, ოთახიდამ, სტეფანწმინდიდამ არ არის ოთახიდან და სტეფანწმინდიდან ფორმათა ფონეტიკური ვარიანტი. თერგიდაღმე სოლაღს წავედ, სოლაღიდამ აშტრახანსა (გურ.). იხ. არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენის, ისტორიისა და მატ. კულტ. ინსტიტუტის მოამბე, ტ. 1, 1937.

მკვეთრად გამოხატავს: **აღჯაყალიდან დაწყებული**, სვიმონის მგზავრობა ერთი განუწყვეტელი დღესასწაული იყო (ბარნ., 1, 94); ხელმოკლე ხალხი მოსახლეობდა ვანქის **მოედნიდან დაწყებული** ორბელიანთ სასახლეებამდინ (ბარნ., 1, 136); – ვითომ აგრე ღრმად გაქვს აზნაურობა გამჯდარი? – **ქეჩოდან მოყოლებული** ფეხის ფრჩხილებამდე აზნაურები ვართ. (ჯავ., 2, 325).

შენიშვნა: გან თანდებული **რისგან** (ან: **ვისგან**) კითხვაზე ნათესაობითს მოითხოვს და ასეთი სახელი უბრალო დამატებაა (ან მიზეზის გარემოება). კითხვაზე **საიდან** მოქმედებითს დაერთვის და ადგილის გარემოებაა. იაგო განთავისუფლდა **ჭრილობისაგან.** (ყაზ.). ჭრილობისაგან უბრალო დამატებაა. კითხვა: **რისგან?** იაგოს **ჭრილობიდან** სისხლი აღარ სდიოდა. ჭრილობიდან ადგილის გარემოებაა. კითხვა: **საიდან?** მაგრამ არის შემთხვევა, როცა ძნელდება დადგენა, **გან** თანდებულიანი ნათესაობითი უნდა ვიხმაროთ თუ მოქმედებითი. მაგ. **ჯალაბისაგან** მოძულებულს, **ტოლ-სწორისაგან** გულაყრილს, **სატრფოსაგან** მივიწყებულს, ცხოვრების **მორევიდან** (?) გარიყულ უხმარ ვაჟკაცს ორი გზადა ედო წინ: სამარისკენ და მთხოვრობისკენ (ბარნ., 2, 24). **მორევიდან** თუ **მორევისაგან?** კონტექსტის მიხედვით მოსალოდნელი იყო **მორევისაგან** (და არა **მორევიდან**). ნათესაობითია მოსალოდნელი შემდეგ მაგალითებშიც: მაგაზე უკეთესი რა იქნება, ჩემო ბატონო! სწორედ დამიხსნი **გაჭირვებიდან** (ბარნ., 63); ტანკებთან ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ხუთი **ვაჟკაციდან** მარტო ორი დაბრუნდა. (გვეტ., 448).

§73. ვითარებითი ადგილის გარემოებად

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ფუნქცია ადგილის გარემოების გადმოცემაა.

უთანდებულო ვითარებითი ადგილის გარემოების გადმოსაცემად ძველ ქართულში ფართოდ იყო გამოყენებული. აღნიშნავდა ადგილს ან მიმართულებას (კითხვაზე: სად? საით?). ძველი ქართულის უთანდებულო ვითარებითი ბრუნვის ადგილი ახალ ქართულში თანდებულიან მიცემითს უკავია[134]. მაგ.: შევიდა **ტაძრად** – შევიდა **ტაძარში**, განვიდა **უდაბნოდ** – **უდაბნოში** წავიდა. მაგრამ იშვიათად უთანდებულო ვითარებითი ადგილის გარემოების გადმოსაცემად ახალ ქართულშიც გვხვდება, აღნიშნავს ადგილს, უპასუხებს კითხვაზე **სად?** მაგ.: ასე მიდიოდა **ქვეყნად** ცხოვრება (რაზ. 207); **ბარად** დავ-

---

[134] **არნ. ჩიქობავა**, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, 1956, გვ. 13-14; **ქ. მიქელაძე**, მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში; სახ. ბრ. ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 405; **თ. შარაშენიძე**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 423-424; **ე. ბაბუნაშვილი**, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: იმავე წიგნში, გვ. 394-395; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 735.

დიოდი სადავლოდ (ვაჟა); **მინდვრად** თოვლი აღარ იდო (რაზ., 212); წიწილის თეთრი ბუმბული **ვნლად** გაჰქონდა ნიავსა (ვაჟა); მონგოლი მოხელეები მშიერი მგლებივით დაძრწოდნენ **ქალაქად** და **სოფლად**. (გრ. აბ.).

ვითარებითი ბრუნვის ფორმას ადგილის გარემოების გადმოსაცემად ძველ ქართულში დაერთოდა თანდებულები: **მდე** (მდის), **კერძო** (>კენ), **მიმართ.** ამათგან ახალ ქართულში ვითარებით ბრუნვას მოითხოვს **მდე** (მდის), რომელიც ადგილის გარემოების გადმოსაცემად მეტწილად გეოგრაფიულსა და ადგილის აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის.

მდე (მდის) თანდებულიანი ადგილის გარემოება აღნიშნავს დასასრულ პუნქტს, ე.ი. მიწევნის პუნქტს სივრცეში. მიუგებს კითხვაზე: **სადამდე?** ქალმა ისინი ექიმ ტარსაიძის **სახლამდე** მიაცილა (ლომ.), **ქუთაისამდის** ორი დღის სავალი იყო. (წერ.).

მოქმედების დასაწყისი ადგილისა და დასასრული პუნქტის აღმნიშვნელი სიტყვები ზოგჯერ პარალელურად არის წარმოდგენილი და ორივე ერთად აღნიშნავს ადგილს (მანძილს) ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე. პირველი თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, მეორე კი – **მდე (მდის)** თანდებულიანი ვითარებითისა: **სახლიდამ ეკლესიამდე** და მერე **ეკლესიიდამ სასაფლაომდე** კუბო ეჭირა არჩილს (ჭავ., 464); იერიშზე გადასული ჯარების ყიჟინა **ცისკიდურიდან ცისკიდურამდე** გაისმოდა (დ. შენგ. 2, 9); აბა, მითხარი, **დასავლეთიდან აღმოსავლეთამდის** რამდენი ხნის სავალია? (ა. ღლ., 55); ძელქვას **მთიდან ჭალამდე** გაედგა ფესვები. (ი. ლის.).

სახლიდან ტიპის ადგილის გარემოებასთან ერთად არცთუ იშვიათად წარმოდგენილია სხვა შინაარსის ადგილის გარემოება, რომელიც ჩვეულებრივ იმავე (იშვიათად სხვა) სიტყვის თანდებულიანი მიცემითის, ნათესაობითის, უთანდებულო ვითარებითი ბრუნვის ფორმით ან ზმნიზედით არის გადმოცემული: **ბორცვიდან ბორცვზე** გადავდიოდი (გრიშ., 404); ყანწები **ხელიდან ხელში** გადადიოდა (გვეტ. 135); ღია **კარებიდან ქოხებში** მზე უხვად შედიოდა (გვეტ. 68); გახარებული ვანო **ხიდან ხესთან** სიცილით გარბოდა (დ. შენგ., 2, 340); წელში მოხრილი **ნანგრევებიდან ნანგრევებისაკენ** გადავრბოდი (დ. შენგ. 2, 108); **სოფლიდან სოფლად** დადიხარ (ჭავ., 364); **მყინვარწვერიდან იალბუზამდე** ცის კაბადონი გაბზარა მეხმა (გ. კალან.); თავაუღებლივ გარბიან **დაბლიდან მაღლა** დევკაცები. (გ. რჩ.).

ასეთივე შინაარსის ადგილის გარემოებაა გადმოცემული შემდეგ მაგალითშიც, სადაც ნათესაობითის ფორმას დაერთვის ზმნიზედა თანდებულად: **მთის იქეთიდან მთის აქეთში** მოვჩანჩალებდით. (ლეონ.).

§74. დროის გარემოების რაობა. კითხვები

დროის გარემოება გამოხატავს მოქმედების დროს. მიუგებს კითხვებზე: **როდის? რა დროიდან? რა დრომდე?** (სანამდის?) **რამდენ ხანს?**

კითხვაზე **როდის** მიუგებს დროის გარემოება, რომელიც გამოხატავს დროის გარკვეულ ერთეულს, დროის მონაკვეთს. **დღეს** მერცხალი შემოფრინდა (წერ.); **ალიონზე** ცა მოიწმინდა (გვ., 406); **ზაფხულობით** ვარდისა ხშირი სტუმარია ბულბული. (ვაჟა, 6, 43).

კითხვაზე **რა დროიდან** მიუგებს დროის გარემოება, რომელიც აღნიშნავს მოქმედების დასაწყის მომენტს. მაგ.: თეიმურაზისა და მარგოს ამოსვლის **მეორე დღიდან** ჯაყო და მისი სტუმრები ახალ ცხოვრებას შეუდგნენ (ჯავ., 2, 305); თეოფილე **სიყრმიდანვე** გარჯაში იყო. (გვეტ., 107).

დროის გარემოება, რომელიც გამოხატავს მოქმედების დასასრულს, უპასუხებს კითხვაზე: **რა დრომდე?** (სანამდის?) მაგ.: **სიკვდილამდის** ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა (რუსთ); კარგა **შუაღამემდის** გასწია ნიშნობის ვახშამმა. (გაბ.).

დროის გარემოება, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობას, მიუგებს კითხვებზე: **რამდენ ხანს? რამდენი ხნის განმავლობაში?**). მაგ.: სხდომა **სამ საათს** გაგრძელდა; **ერთი ზამთრის განმავლობაში** ასი მგელი მოვკალი. (ვაჟა, 6, 145).

დროის გარემოება დასახელებულ მაგალითებში ზმნის პირიან ფორმასთან არის დაკავშირებული, მაგრამ იგი შეიძლება ახლდეს სახელზმნასაც (საწყისსა და მიმღეობას). მაგ.: **პატარაობისას მიღებული** შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამარის კარამდე საყვარელ საგნად რჩება (ვაჟა, 5, 19); გოგოებს **ადრე ადგომა**. ეზარებოდათ (გოგ.).

დროის გარემოება გადმოიცემა საკუთრივ დროის ზმნიზედით ან არსებითი სახელით (საწყისითურთ). სახელი დროის გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (თანდებულის დართვით ან უთანდებულოდ). დროის გარემოება იშვიათად სახელობითშიც გვხვდება.

§75. ზმნიზედა დროის გარემოებად

ზმნიზედით გადმოცემული დროის გარემოება გვიჩვენებს დროის გარკვეულ ერთეულს ან დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად. მისი კითხვაა: **როდის?** – ახლა, ხვალ, გუშინ, ზეგ, შარშან, შემდეგ, მერმე, ადრე, გვიან, მუდამ, მარად (← მარადის ← მარადღის).

ზმნიზედა უფორმო სიტყვაა, მაგრამ ხშირია დროის გარემოებად ისეთი ზმნიზედები, რომლებიც სახელის (და საწყისის, ამა თუ

იმ ბრუნვის ფორმისაგან არიან წარმომდგარი, ან კიდევ ფუძისა თუ ფუძეთა კავშირიანი და უკავშირო შეერთებით მიღებულ თხზულ სიტყვებს წარმოადგენენ. მაგ.: ეგ ჭკუა **წინათ** უნდა გეხმარა, თორემ **ეხლა** რაღას გიშველისო („დედა ენა“, 44); მზევინარი **მალე** მოკეთდა (გვეტ.); **აქამდე** ჩუმად იჯდა (არ.); **გუშინწინ** წვიმიანი დღე იყო (ვაჟა); ოქროპირი **გვიან** დაბრუნდა (გვეტ. 210); **ერთხელ** ძლიერ დაცხა (ვაჟა, 5, 12); **წელს** ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა (ჭავ., 342); ...დაკუსული თვალები **არასოდეს** არ იცქირებოდნენ პირდაპირ და თამამად (გვეტ., 85); **განთიადისას** გააბა მამალმა ყივილი (ვაჟა); მელიამ **მაშინვე** ჩხიკვის ბუდისკენ გასწია (რაზ.); **ზამთარ** – თბილი, **ზაფხულ** – გრილი (წერ.); [ჩალხო] **ზამთარ-ზაფხულ** გაღეღილი დადიოდა. (ვაჟა).

ორიოდე ზმნიზედა მიუგებს კითხვაზე: სანამდე? – **აქამომდე, აქამდე, მანამდე.** ესენი **მდე** თანდებულიანი ვითარებითისაგან არიან მიღებული. ზოგი ზმნიზედა ხან ადგილის გარემოებაა და ხან დროისა: სულ **ბოლოს** სუფრაზე ბულბული იჯდა (ვაჟა); **ბოლოს** ახალგაზრდა ქალებიც გამოჩნდნენ. (ჯავ.). **ბოლოს** პირველ მაგალითში ადგილის გარემოებაა, მეორეში – დროისა.

§76. მიცემითი დროის გარემოებად

მიცემითი ბრუნვის ფორმა დროის გარემოების გადმოსაცემად უთანდებულოა ან თანდებულიანი. ასეთი ფორმა ხშირად დროის ზმნიზედად არის ქცეული.

უთანდებულო მიცემითი დროის გარემოებადაც ორგვარია: მარტივი და რთული.

1) მარტივი ფორმა (უთანდებულო) დროის გარემოებად ჩვეულებრივია, როცა ვასახელებთ დღეებს (ორშაბათს, სამშაბათს...) თვეების რიცხვს (თვრამეტ თებერვალს, ოცდაექვს მაისს...) წელს (ათას ცხრაას ოთხმოცდაათ წელს...) დღესასწაულს (ახალ წელიწადს), დროის გარკვეულ ერთეულს (ორ წუთს, ორ საათს, ორ დღეს, ორ კვირას, ორ თვეს, სამ წელიწადს...) უთანდებულოა აგრეთვე **ნა – ევ** აფიქსებით ნაწარმოები სახელები, რომელთაც ზმნიზედური გამოყენება აქვთ: აღნიშნავს „დროს“, როდესაც უკვე გავლილია ძირეულით აღნიშნული ხანი“[135]. მაგ.: თეიმურაზი **მთელ ზაფხულს** გარინდული დადიოდა (ჯავ.; 2, 248); **მეორე ზამთარს** გიორგიმ ქალაქს ჩასვლა ვერ გაბედა (გაბ., 145); **ნავახშმევს** ირაკლიმ სტუმარი თავის ოთახში წაიყვანა. (გვეტ., 91).

ბ) დროის გარემოებაა ნათესაობით-მიცემითის ფორმები საწყისებისა (და ზოგიერთი სახელისა). ასეთი ფორმები დროის გარემოებად წარმომდგარია მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელისაგან. ჩავარდნილია „უამსა“. (ჟამსა) შუაღამისასა > **შუაღამისას**[136]. მაგ.: **რიჟრაჟისას** მტრის ქვემეხებმაც იწყეს ბუბუნი (გვეტ., 429);

[135] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 135.

[136] იქვე, გვ. 135.

პატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა (გოგ., 213); **ბავშვობისას** კაკოს მეძახდნენ. (წერ., 1, 4).

დროის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმას ახალ ქართულში დაერთვის თანდებულები: ში, ზე, იშვიათად სხვაც (შორის) და ზოგიერთი ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.

ში დაერთვის თვეების სახელებს (იანვარში, თებერვალში, მარტში...), აგრეთვე წლის დროების ორ სახელს: ზაფხულში, ზამთარში. **ში** თანდებულიანია ჩვეულებრივ დროის გარემოება, როცა მოქმედება დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება: **ორ წუთში, ოთხ საათში, ორ დღეში, სამ კვირაში, ორ წელიწადში, მე-12 საუკუნეში.** ამათგან ზოგიერთი უთანდებულოც გვხვდება. მნიშვნელობა აქვს ზმნას. მაგ., ითქმის: კამათი **სამ საათს** გაგრძელდა, მაგრამ საქმე **სამ საათში** გაკეთდა.

ზე დაერთვის წლის დროების ორ სახელს (გაზაფხულზე, შემოდგომაზე) და ზოგიერთ სხვა სიტყვასაც (განთიადზე, ალიონზე, რიჟრაჟზე). **ზე** თანდებულია გამოყენებული, როცა მოქმედების დაწყება ან დამთავრება საათებსა და წუთებშია ნაჩვენები. მაგ., კრება **ორ საათზე** დაიწყო, **ხუთ საათზე** დამთავრდა. **ალიონზე** ცა მოიწმინდა (გვეტ., 406); **მეორე გაზაფხულზე** ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია. (რაზ., 1400.

დროის გარემოებაა მიცემითში დასმული დროის აღმნიშვნელი სახელები, რომელთაც **შორის** თანდებული დაერთვის: „შუშანიკის მარტვილობა“ დაწერილი უნდა იყოს **476-483 წლებს შორის**. ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ **ში**-თანდებულიან მიცემითს ხმარობენ. „შუშანიკის მარტვილობა“ დაწერილი უნდა იყოს 476-483 **წლებში**.

საწყისისა და ზოგიერთი სახელის **თან** თანდებულიანი მიცემითი, როდესაც მას **ერთად** ზმნიზედა დაერთვის, დროის გარემოების გაგებას იძლევა: **ამ სიტყვებთან** ერთად უცნობი კაცი მივიდა ქვასთან. (ყაზ.)[137].

ზოგიერთი ზმნიზედა დროის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმასაც დაერთვის. მაგ.: **მას აქეთ** დარჩა ეს ხმალი სამზეოზე (ვაჟა, 6, 389); **ამას იქით** ველარ გაჰბედავენ მაგისთანა ოინებს (ვაჟა, 6, 212); ...და **ერთს** წუთს უკან ძროხა ბღავილით გაიშლებოდა ფართო მინდორზედ. (ჭავ., 153).

სჯობს, ეს ზმნიზედები ადგილის გარემოების გადმოსაცემად გამოვიყენოთ, დროის გარემოების გადმოსაცემად კი **შემდეგ** ვიხმაროთ (ჩვეულებრივ ნათესაობითის ფორმასთან)[138].

დროის გარემოების გადმოსაცემად ახალ ქართულში (იშვიათად ძველშიც) ზოგიერთი სახელი სახელობით ბრუნვაშიც გვხვდება. მაგ.: **ორი წელიწადი** ვიყავი მებაღედ (ვაჟა, 5, 139); **მთელი ღამე**

[137] **არ. მარტიროსოვი**, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 378.
[138] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 62-63.

დავდიოდი ველად (ვაჟა, 5, 15); **მთელი დღე** გასტანა მკაცრმა ბრძოლამ. (გვ., 430).

უპირატესობა მიცემითს ეძლევა, ასე რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები, სალიტერატურო ენაში მიღებული ნორმის მიხედვით, ასეთ სახეს მიიღებს; **ორ წელიწადს** ვიყავი მებაღედ; **მთელ ღამეს** დავდიოდით ველად; **მთელს დღეს** გასტანა მკაცრმა ბრძოლამ.

მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ძველ ქართულშიც დროის გარემოების გამოხატვაა.

§77. ნათესაობითი დროის გარემოებად

ნათესაობითი ბრუნვა დროის გარემოების გადმოსაცემად შედარებით იშვიათად იხმარება. იგი ამ წევრის გამოსახატავად დაირთავს თანდებულს (თანავე, თვის) ან ზმნიზედას თანდებულის მნიშვნელობით (შემდეგ, წინ).

თანავე დროის გარემოების გადმოსაცემად საწყისის ნათესაობითის ფორმას დაერთვის და აღნიშნავს, რომ შემასმენლით გამოხატული მოქმედება უშუალოდ მოსდევს **თანავე** თანდებულიანი სიტყვით გადმოცემულ მოქმედებას. მაგ.: **გაღვიძებისთანავე** ირგვლივ გაცეცებით მიმოიხედა (გვეტ., 403); **დაბადებისთანავე** დედამ ყურცქვიტა დაუძახა, იმის პატარას და კი – ნაბია. (ევდ., 3, 135): **გაღვიძებისთანავე** ირგვლივ გაცეცებით მიმოიხედა მნიშვნელობით იგივეა, რაც: როგორც კი გაიღვიძა, ირგვლივ გაცეცებით მიმოიხედა.

დროის გარემოებაა დროის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა **თვის** თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმაც. მაგ.: პლატონმა მიიპატიჟა **დანიშნული დღისათვის** ახლო მეზობლები (კლდ., 1, 183); **ხუთშაბათისათვის** გაამზადეს ყველაფერი (ვაჟა); **შუადღისათვის** ქალაქში ჩამოცხა (გ. რჩ.). **მე-13 საუკუნის დამდეგისათვის** მათი [მონღოლების] გვაროვნული წყობილება უკვე საკმაოდ შერყეული იყო („საქართველოს ისტ.“, 242); **დღის სამი საათისათვის** უკლებლად მოვიყარეთ თავი მის ბინაზე. (გვეტ., 273).

წინ დროის გარემოების გადმოსაცემად საწყისის ან დროის აღმნიშვნელი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, მაგ.; ფრინველები **წასვლის წინ** მოგროვებას გუნდ-გუნდად იწყებენ ხოლმე (გოგ., 157); მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა **განთიადის წინ.** (გოგ.; 248).

შემდეგ დროის ზმნიზედაა, რომელიც ხშირად საწყისისა თუ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებულის მნიშვნელობით და მასთან ერთად გამოხატავს დროის გარემოებას. მგ.: დიდი **ხვეწნის შემდეგ** ბიძამ ლადას კაკანათი გაუკეთა (ევდ.,3, 116); **ცოტა ხნის შემდეგ** ახმაურებულს ვენახში სიჩუმე ჩამოვარდა (ევდ. 3, 129); **ნახევარი საათის შემდეგ** ვერხვი დაბლა ეგდო გაშო-

ტილი. (ვაჟა, 6, 41).

როცა **შემდეგ** (ან შემდგომ) სახელს ახლავს, უნდა ვივარაუდოთ, რომ საწყისია ჩავარდნილი. ასე, მაგალითად, უკანასკნელ ორ წინადადებაში ჩავარდნილი საწყისი რომ აღვადგინოთ, მივიღებთ: **ცოტა ხნის გასვლის შემდეგ... ნახევარი საათის გასვლის შემდეგ...**

შემდეგ ზოგჯერ მიცემითის ფორმასთანაც გვხვდება: **ცოტა ხანს შემდეგ** გორის პირიდან საზარელი ყმუილი შემომესმა. (რაზ., 126), მაგრამ ეს სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია.

შემდეგ-ის მნიშვნელობით **მერე** ზმნიზედაც იხმარება: მთელი არსებით შეძრწუნებულმა **ცოტა ხნის მერე** ცივი ხმით იკივლა. (გვეტ., 404). უპირატესობა პირველს (შემდეგ-ს) ეძლევა.

უთანდებულო ნათესაობითის ფორმაა ორიოდე დროის ზმნიზედა: **მყის, მარადის** (< მარადღის), **წუხელის**... ორი უკანასკნელი შემოკლებითაც იხმარება: მარად, წუხელ[139]. ძველ ქართულში, გარდა ამ ზმნიზედებისა, ნათესაობითის ფორმა დროის გარემოებად შემორჩენილია რამდენიმე სხვა სიტყვაში (ზამთრის, ზაფხულის, სამხრის, წუთის, ხვალის...)[140] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ფორმები შეიძლება მიღებული იყოს საზღვრულის ჩავარდნის შედეგად[141]. ძველ ქართულში უფრო ხშირია თანდებულიანი ნათესაობითი დროის გარემოებად: ქუხილის წინა, შემდგომად ორისა დღისა და სხვ.

„კენ“ თანდებული იშვიათად დროის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს დაერთვის. ასეთი ფორმები დროის გარემოებაა. მაგ.: **დილისკენ** თეთრი ნისლი იშლება, სამოგზაუროდ მიდის მთაბარად (ლ. ასათ.); **დილისკენ** ცოტა წამთვლიმა (რ. მიშ.); ჟღმურთლიანი დღე **საღამოსკენ** გადაიღმერთა (ლ. მრელ.); იმავე ღამეს, უფრო სწორად, **დილისკენ**, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მივიღე. (გაზ.).

§78. მოქმედებითი დროის გარემოებად

მოქმედებითი ბრუნვის ფორმა დროის გარემოებად უთანდებულოა ან თანდებულიანი.

უთანდებულო მოქმედებითით გადმოცემული დროის გარემოება რამდენიმე სახისაა, სახელდობრ:

ა) აღნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთს, როცა მოქმედება სრულდება. მიუგებს კითხვაზე: **როდის**? მაგ.: **დილით** ყველანი ადრე წამოხტნენ (რაზ., 329); **გაზაფხულითაც** წეროებმა გადაიარეს წინა და **შემდგომითაც** ისევ ისინი მიდიან (რაზ., 17); ასურეთი **მზით**

---

[139] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 609.

[140] ი. იმნაიშვილი, ძველ ქართულში დროის გარემოების გამოხატვის ზოგიერთი საშუალებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1957, №2, გვ. 73-80.

[141] თ. უთურგაიძე, დროის ზმნიზედა ნათესაობით ბრუნვაში, ნ.ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, 1956, გვ. 99-100.

გავიარეთ. (ბარნ., 2, 38).

ბ) **ობა** სუფიქსით ნაწარმოები სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა გვიჩვენებს განმეორებულ მოქმედებას ძირეულით აღნიშნულ დროის მონაკვეთებში. კითხვა: **როდის**? მაგ.: კლდე **ღამ-ღამობით** სტირის (ვაჟა, 5, 135); **დილაობით** ნამები შეგროვდებოდნენ იის ფოთლებზე (რაზ., 1); **ხაფხულობით** დერეფანში ედგა და **ზამთრობით** – შინა (ვაჟა, 5, 48); **ხაფხულობით** უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელყ. (ვაჟა).

გ) აღნიშნავს დროის ერთეულით გამოხატულ ვადას. ასეთ დროის გარემოებას, როგორც წესი, მსაზღვრელად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი **რამდენიმე**. მიუგებს კითხვაზე: **რა ხნით**? (რამდენი ხნით?) მაგ.: თორელი **წამით** შეყოვნდა (გრ. აბ.); **წუთით** სიჩუმე ჩამოვარდა (კ. ლორთქ.). იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა **ერთის კვირით** (ვაჟა, 6, 316); **ორი** (ან: რამდენიმე) **დღით** წიგნი მათხოვეო და მისთ.

გან თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს მოქმედების დასაწყისს დროში. უპასუხებს კითხვაზე: **რა დროიდან**? მაგ.: თეოფილე **სიყრმიდანვე** გარჯაში იყო (გვ., 107); **იმ დღიდან** უფრო სამჭიდროდ შეიცვალა ჩვენი განწყობილება. (წერ., 1, 178).

თანდებულიანი ფორმა ზოგჯერ ახლავს მიმღეობას, რომელიც მოქმედების დასაწყისს დროში უფრო მკვეთრად გამოხატავს. მაგ.: აი, ღმერთო, ამ **კალანდიდან მოწყებული** წაღმა შეატრიალო ჩემი იღბალი“ (ნინ., 134); უძველესი **დროიდან მოკიდებული** ლეკები და ქართველები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ (ლომ.); **გაზაფხულიდან დაწყებული** ზამთრის პირამდე მდინარე ერთთავად მღვრიე იყო... (ვაჟა, 5, 311).

მოქმედების დასაწყისს ძველ ქართულში **გან**–თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავდა. უთანდებულო მოქმედებითი ამ ფუნქციით თითქმის არ იხმარებოდა[142]. ასეა ეს ახალ ქართულშიც. უთანდებულო მოქმედებითი მოქმედების დასაწყისის გამოსახატავად ძალზე იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს. მაგ.: **სიყრმით** ჩამიკლავს მამულში თავი. (ჭავ., 157).

ზმნას ერთდროლად შეიძლება ახლდეს ორი დროის გარემოება. მაგ.: **შემოდგომით** მთაში თოვლი **ადრე** მოვიდა. (ვაჟა).

---

[142] ქ. **ძოწენიძე**, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, გვ. 196; **არ. მარტიროსოვი**, თანდებული ქართულში, გვ. 23; **თ. შარაძენიძე**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 414–415; **ა. კიზირია**, ადგილისა და დროის გარემოება ძველ ქართულში, გვ. 119; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 219, 725.

§79. ვითარებითი დროის გარემოებად

ვითარებითი ბრუნვის ფორმა დროის გარემოებად უთანდებულოა ან თანდებულიანი.

უთანდებულო ვითარებითი, ზმნიზედად ქცეული, დროის გარემოების გადმოსაცემად იშვიათია, უჩვენებს მოქმედების დროს კითხვაზე: **როდის?** მაგ.: **ძველად** ჩვენში გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა (წერ., 1, 292); **ძველად, ძველის-ძველად,** როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული ცხოვრობდა (ვაჟა, 5, 33); შაშვი **ამჟამად** თავის თავს გამარჯვებულად სთვლიდა (ვაჟა, 6, 343); [ტარიელმა] **პირველად** სულ ვერაფერი ვერ გაარკვია (ქიაჩ.); ბავშვმა **თავდაპირველად** თავის დედა-ენაზე უნდა გაიხსნას გონება (ჭავ.); **დილადრიანად** სოფელში რაღაც ხმაურობა ატყდა (ჯავ.); სწორედ **იმხანად** მარხავდნენ ციციკორეს. (ლეონ.).

მდე (მდის) თანდებული დროის გარემოების გადმოსაცემად დაერთვის საწყისს ან ისეთ სახელს, რომლის ლექსიკური მნიშვნელობაც დროზე მიუთითებს. აღნიშნავს მოქმედების დასასრულს ანუ გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას დროში. უპასუხებს კითხვებზე: **როდემდის? სანამდის? რა დრომდე?** მაგ.; ...ასე გრძელდებოდა **გათენებამდის** (ყაზ.); მზეს ერთი შუბის ტარიღა ჩაუდიოდა **ჩასვლამდის** (ვაჟა); ...მოხუცს **სიკვდილამდის** კიდევ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაკვრა და ისე დაელია სული (ყაზ., 28); **ოთხშაბათამდის** ნუ მომელოდებითო (ჭავ.); **შებინდებამდე** მინდვრიდან ნახირი დაბრუნდა. (ლეონ.).

მოქმედების დასაწყისისა და მიწევნის ანუ დასასრულის გამომხატველი სიტყვები ხშირად ერთად გვაქვს და აღნიშნავს დროს, რომელიც ორ პუნქტს შორის არის მოქცეული, პირველი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული, მეორე – ვითარებითისა. მოქმედებითის ფორმას ზოგჯერ შეიძლება ახლდეს მიმღეობაც. რომელიც მოქმედების დასაწყისს დროში უფრო თვალნათლივ მიუთითებს: **რიჟრაჟიდან დაღამებამდე** მთელს სოფელს მისი ომახიანი გრგვინვა ესმოდა (ჯავ., 2, 305); ...**დილიდან საღამომდე** როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი (წერ., 1, 59); **გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრის პირამდე** მდინარე ერთთავად მღვრიე იყო... (ვაჟა, 5, 311).

ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია ძველ ქართულშიც დროის გარემოების გადმოცემაა. ბრუნვის ფორმა მაშინაც უთანდებულო იყო ან თანდებულიანი (უმეტესად) და მნიშვნელობაც ისეთივე ჰქონდა, როგორიც დღეს.

დროის გარემოების მნიშვნელობა აქვს ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა; „ის ის იყო“, „სადაცაა“. მზე **ის-ის იყო** ამოდიოდა (ბარნ., 1, 309); **სადაცაა** ხელი უნდა წაავლოს კისერზე (გამს., 1, 124); **„ეს-ესაა** ცხენზე შეჯდა (კლდ.); **ეს-ეს არის** ჟუჟუნა წვიმამ გადაიღო. (ვაჟა).

§80. ვითარების გარემოების რაობა. კითხვები

ვითარების გარემოება მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია. მასში გარდა საკუთრივ ვითარების გარემოებისა, პირობით ვაერთიანებთ მნიშვნელობით მასთან ახლო მდგომ გარემოებებსაც – ზომა-ოდენობისა და ჯერობის გამომხატველ გარემოებებს[143]. მაშასადამე, ვითარების გარემოება, მნიშვნელობის თვალსაზრისთ, გარემოებათა ფართო წრეს მოიცავს, სახელდობრ:

ა) უშუალოდ ახასიათებს თვისებრივად მოქმედების პროცესს, ე.ი. გვიჩვენებს, როგორ ხდება მოქმედება: ხმაურობა **თანდათან** სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს **ქურდულად** ეპარებოდა. (ყაზ., 2, 447).

ბ) მოქმედება ხასიათდება მოქმედი პირის მდგომარეობაზე მითითებით: გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზე **უპაროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ**. (ჭავ., 415).

გ) მოქმედება ხასიათდება გარეგანი თანმხლები ნიშნებით: ნისკარტი გავაღე და **მხრებგაშლით** შევუტიე ურიცხვ შაშვსა. (რაზ., 67)

დ) გამოხატავს მსგავსება-შედარებას: დაჭრილმა... წნორის **ფურცელსავით** ცახცახი დაიწყო (ყაზ., 2, 448); მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, **სისხლივით** წითელი. (წერ.).

ე) აღნიშნავს ზომა-ოდენობასა და გზისობას (ჯერობას); ციცას **მეტად** უგვიანდებოდა (ყაზ., 2, 77); მცხოვრებთა რიცხვი **ერთიორად** გაზრდილიყო (ქიაჩ., 3, 38); [მგელმა] **ორჯერ** თუ **სამჯერ** კიდევ დაიყმუვლა და მერე გაჩუმდა. (რაზ., 126).

ვითარების გარემოება მიუგებს კითხვებზე: **როგორ? (რანაირად?). რამდენად? რამდენჯერ? მერამდენედ?**

...იგი ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღეობას, არაიშვიათად ზედსართავ სახელსა და ზმნიზედასაც.

მაგ.: ველზე **სქლად** იწვა ბალახი (ვაჟა, 5, 15); [გიორგის] **კოხტად** და **ფაქიზად** ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ჭავ., 431); გარშემო მარტყია **მაგრად** დაჭედილი ლოდები (ვაჟა, 5, 237); **ხავერდივით** მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად (წერ.); ვენახს ქვრივი **ძალიან კარგად** უვლიდა. (ჭავ., 428).

ვითარების გარემოება გადმოიცემა ზმნიზედით ან სახელით (არსებითით, ზედსართავით, რიცხვითით, ნაცვალსახელით) და უპირო ზმნით (საწყისით, მიმღეობით), რომელთაც ვითარების ზმნიზედის მნიშვნელობა ეძლევათ. ბრუნვიანი სიტყვა ვითარების გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში,

---

[143] ზომა-ოდენობისა და ჯერობის გარემოებები ცალკე წევრად არ არის გამოყოფილი არც პროფ. **ა. შანიძის** ქართული ენის გრამატიკაში (ნაწ. II) და არც უმაღლესი სასწავლებლების თანამედროვე ქართული ენის პროგრამებში.

მოქმედებითსა და ვითარებითში, იშვიათად – სახელობითშიც. ბრუნვის ფორმა მოქმედებითსა და ვითარებითში უთანდებულოა, სხვა ბრუნვებში – თანდებულიანი.

§81. ზმნიზედა ვითარების გარემოებად

ვითარების, ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედები სინტაქსურად ვითარების გარემოებაა. აქ შემოდის როგორც საკუთარი წარმოების ზმნიზედები, ისე სახელის მარტივი ან გაორკეცებული ფუძით გადმოცემული ზმნიზედები, აგრეთვე სახელისა და სახელ-ზმნის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ზმნიზედები. ვითარების გარემოებას, რომელიც გადმოცემულია ბრუნვის ფორმით, განვიხილავთ ცალკეულ ბრუნვათა მიხედვით, აქ კი წარმოვადგენთ ისეთ შემთხვევებს, როცა ვითარების გარემოება არ არის გადმოცემული ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით. აქვე ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებსაც, როცა ვითარების ზმნიზედას ჩამოშორებული აქვს ბრუნვის ნიშანი (სრულად ან ნაწილობრივ).

ა) ვითარების გარემოება გადმოცემულია სახელის ფუძით: შიმშილმა ბახალები **ძალიან** შეაწუხა (რაზ., 388); ერთ სახლში თაგვები **ძლიერ** გამრავლდნენ (გოგ., 6); ალექსი **ძლიერ** გამბედავი ბავშვი იყო. (გოგ., 5).

ბ) ფუძეა გაორკეცებული. შეერთება უკავშიროა ან კავშირიანი. რთული სიტყვა ზოგჯერ სხვადასხვა ფუძის შეერთებისაგან არის წარმომდგარი. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა თხზულ სიტყვას სრულად ან ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი. მაგ.: ჯარი **ფეხდაფეხ**... მისდევდა მეფესა (გოგ., 268); **გულდაგულ** ეძებდა არჩილს... (ჯაფ., 86); მგლების **ყმუილი თანდათან** ახლოვდებოდა (რაზ., (126); ...ფაფუკი ღრუბელი **ნაჭერ-ნაჭერ** აქა-იქ მიდიოდმოდიოდა (ჭავ., 440); არწივი **ნელ-ნელა** დაბლა იწევდა (ვაჟა, 6, 88); მომავლები **ხმამაღლა** ლაპარაკობდნენ. (ყაზ., 738).

ზოგი ვითარების ზმნიზედა სახელის ფუძისა და ზმნიზედის შეერთებისაგან არის წარმომდგარი: ზოგი **გულაღმა**, ზოგიც **პირქვე** ეყარნენ. (ყაზ., 33).

გ) ვითარების გარემოებას გამოხატავს სახელის **ებრ** თანდებულიანი ფუძე. აღნიშნავს მსგავსებას: [ბეჟიას] თვალები **ცეცხლებრ** ანთებოდა (ყაზ. 2, 114); წყალნი, მთით დაქანებულნი, **ალმასებრ** უფსკრულს ცვივიან. (გრ. ორბ).

დ) ვითარების გარემოება გადმოცემულია ჯერობის ზმნიზედებით, რომელთაც აწარმოებს რიცხვითი სახელებისა და ზოგიერთი ნაცვალსახელის ფუძესთან **ჯერ (გზის და ხელ)**: [მგელმა] **ორჯერ** თუ **სამჯერ** კიდევ დაიყმუვლა და მერე გაჩუმდა (რაზ., 126); ნოდარი **ოცდამეორეჯერ** გავიდა ბრძოლის ველზე (გვეტ., 431); ჩემთან საფრთხეში **ბევრჯერ** ყოფილა (ჭავ., 150); **რამდენჯერ** ქარი შეარ-

ხევს საროს, **იმდენჯერ** მტკვარი უმეტეს ოხრავს. (ბარ., 37).

ე) ვითარების გარემოება გამოხატულია ჩვენებით ნაცვალსახელთაგან **რე**-თი ნაწარმოები ზმნიზედებით, როგორიცაა: **ეგრე, აგრე, ისე** (<ისრე), **ასე** (<ასრე)... **რე** ამ შემთხვევაში „აღნიშნავს სახეს, ნაირობას“[144]. **ეგრე** ნუ მძრახავ... მომიგდე ყური (ჭავ.; (160); **აგრე** ხომ არ არის მართლა ქვეყანა მომართული, რომ ერთმა იმუშაოს და სხვამ იქეიფოს! (ჯავ., 2, 154): როგორც კრება დაადგენს, ჩვენც **ისე** მოვიქცევით (ჯაფ., 33); ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო **ესე** ლამაზად წუთისოფელი? (ჭავ., 195).

ვ) ვითარების გარემოება ხშირად გადმოცემულია **ივ** სუფიქსით ნაწარმოები ვითარების ზმნიზედით. ასეთი წარმოება განსაკუთრებით ხშირია უარყოფითი მიმღეობისაგან, ხოლო არსებით და ზედსართავ სახელთან იშვიათია[145]: მაგ.: ის მიდიოდა წყლისკენ **შეუჩერებლივ** და **მოუაზრებლივ** (ყაზ., 2, 47); **სამარებრივ** სდუმდა კლდე (ვაჟა, 6, 473); ბუხარი **ჩვეულებრივ** გუგუნებდა (გვეტ., 271); სამი დღე **განუწყვეტლივ** თოვდა. (ჯავ., 1, 45).

§82. მიცემითი და სახელობითი ვითარების გარემოებად

ვითარების გარემოებაა **ვით** თანდებულიანი მიცემითისა და სახელობითის ფორმები. გამოხატავს მსგავსება-შედარებას. ეს თანდებული დაერთვის სახელის მხოლობითისა და **ებ**იანი მრავლობითის ფორმებს მიცემითსა და სახელობითში: ბოლოხმოვნიან სახელებს – მიცემითში, ბოლოთანხმოვნებს – მიცემითშიც და სახელობითშიც[146]. მაგ.: ხალხი **ფუტკარივით** ირეოდა (გვეტ. 125); დაჭრილმა... წნორის **ფურცელსავით** ცახცახი დაიწყო. (ყაზ., 448).

„ფუტკარივით“ და „ფუტკარსავით“, „ფურცელსავით“ და „ფურცელივით“ ფორმათა სინტაქსური ფუნქცია ერთია: გამოხატავს მსგავსება-შედარებას და როგორც წინადადების სტრუქტურული ნაწილი ვითარების გარემოებაა. ასეთივე მნიშვნელობისაა **ებრ**-თანდებულიანი სახელიც. ა. დავითიანის აზრით, ასეთი ფორმები უბრალო დამატებაა (გვ. 402-403), ხოლო „ოდნავ“ და „უფრო“ – ნაწილაკები (გვ. 41). ჩვენს წიგნში „ოდნავ“ და „უფრო“ ზმნიზედებადაა მიჩნეული, ხოლო **ვით**-თანდებულიანი სახელი რომ ვითარების გარემოებაა, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტებიც:

1. შედარების გამომხატველი ვითარების გარემოებითი დამო-

---

[144] **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 612.

[145] „უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც **ივ** აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძვ. სალიტ. ქართულშიც ნაშთია“, **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 76.

[146] **ებ**-იან მრავლობითში ყველა სახელი ბოლოთანხმოვნიანია: **ებ** შედის სახელის ფუძეში. ამიტომ ფუძეების მიხედვით გარჩევა **ვით** თანდებულის დართვისას მხოლოდ მხ. რიცხვში გვაქვს. ნარ-თანიან მრავლობითში დასმულ სახელს **ვით** თანდებული არ დაერთვის.

კიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას რომ მარტივი შევუნაცვლოთ, შესაბამისი წევრის სინტაქსურ ფუნქციას ვით-თანდებულიანი სახელი შეასრულებს. მაგ.: 1. კოშკში მოჩანან ქალები, **როგორც ყვავილნი მთისანი** (ვაჟა) – კოშკში მოჩანან ქალები **მთის ყვავილებივით**; 2. შიგ ეზო ისე უწმინდური იყო, **როგორც ძველი ჩინოვნიკის გული** (ჭავ.) – შიგ ეზო **ძველი ჩინოვნიკის გულსავით** უწმინდური იყო.

2. **ვით**-თანდებულიან არსებით სახელს ამხსნელ-დამაზუსტებლად ახლავს ვითარების ზმნიზედები. მაგ.: ჩემი გულიც **მოტორივით** მუშაობდა: **მტკიცედ, მკაფიოდ** და **ხალვათად** (ჯავ.); ... ორივე ცხენის **დალალივით** სინჯავდა: **ღიმილით, ურცხვად** და **მოურიდებლად**. (ჯავ.).

ვით-თანდებულიანი სახელი, როგორც ეს დასახელებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, ხან მხოლობითშია, ხან – მრავლობითში. ამას გარკვეული კანონზომიერება განსაზღვრავს, სახელდობრ ის, რომ ემსგავსება (ეთანხმება) იმავე წინადადების იმ წევრის რიცხვის ფორმას, რომელსაც მიემართება ვითარების გარემოება. დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

1. თუ ქვემდებარე მხოლობითი რიცხვის ფორმაა, მხოლობითში დგას ვით-თანდებულიანი სახელიც. მაგ.: **მთვარე** ცეცხლის მრგვალი **ბურთივით** ამოგორდა (ჯავ.); **არწივი** ერთბაშად დედამიწისაკენ **შურდულივით** დაეშვა (ყაზ.); შავი **ნისლი** მთის ქედზე **გველეშაპივით** მოცურავს (ვაჟა.); **სულხანი ვეფხვივით** თრთოდა (ჯავ.).

2. თუ ქვემდებარე მრავლობითში დგას, მრავლობითშია ვით-თანდებულიანი სახელიც. მაგ.: **ყველანი** ქვის **ძეგლებივით** იდგნენ (ჯავ.); **ოსმალები** იქიდან ღამის **ქურდებივით** გაიპარნენ (ჯავ.); ჩვენებური **ფიჭვები** ზღაპრული **წეროებივით** ცალ ფეხზე შემდგარიყვნენ (ჯავ.); ციდან **ღრუბლები ქურდებივით** მიიპარებოდნენ (რაზ.); საქართველოში შენი **ლექსები** მშიერ **მგლებივით** დათარეშობენ (ა. აბაშელი); იქ, სადღაც, ტყეში, შრიალებს ქარი და **კაცებივით** დგანან **ხეები** (ტ. გრანელი); დაწყვეტილი ტელეფონის **მავთულები** გველის **წიწილებივით** სისინებდნენ. (გვეტ.).

3. მხოლობითში დასმულ რამდენიმე ქვემდებარესთან ვით-თანდებულიანი სახელი მრავლობითში დგას. მაგ.: **კაცი, ქალი, ბალღი** ერთი-ერთმანეთში ირეოდა **ბუზებივით** (ვაჟა); **ზურამ** და **ერეკლემ თაგვებივით** დასუნეს იქაურობა (ჯავ.); **ლაცაბიძე, ლაშქარა** და **მეშთა ლოდებივით** ჩამოგორდნენ მთიდან. (ჯავ.).

აქ დამსგავსება-შეთანხმება ლექსიკურ-გრამატიკულია. ასევეა, როცა ქვემდებარეს ატრიბუტულ განსაზღვრებად ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ახლავს. მაგ.: მთვარის შუქზე **ხუთი ცხენი** გიშრის **მძივებივით** გაიჭიმა. (ჯავ.).

4. როცა ქვემდებარე და ვითარების გარემოება კრებითი სახელებითაა გადმოცემული, ორივე მხოლობითში დგას; თუ ერთერთი მათგანი კრებითი სახელია ან მრავლობითი რიცხვის უქონელი სახელი, სხვადასხვა რიცხვის ფორმით ეხამებიან ერთმანეთს. მაგ.: **ხალხი ფუტკარივით** ირეოდა (გვეტ.); **ღრუბლები** დამფრთხალი **ნახირივით** გარბოდნენ (ჯავ.); **ყველანი** ერთად მზეზე **გიშერივით** საამურად ბრჭყვინავდნენ (რაზ.); **სინათლე ძაფებივით** შემძვრალიყო სათაგეთში (რაზ.); **გლეხები** გაწვრთნილ **ლაშქარივით** შემოვიდნენ ისანში და გაფანტულ **ბრბოსავით** გაბრუნდნენ. (ჯავ.).

5. **ვით-**თანდებულიანი სახელის მიმართება პირდაპირ დამატებასთან ანალოგიურია მისი ქვემდებარესთან მიმართებისა, ამიტომ აქ რამდენიმე მაგალითის დასახელებით დავკმაყოფილდებით: [მარგომ] **ხელები ფრთებივით** გაშალა (ჯავ.); [არწივს] ყვითელი **თვალები ისრებივით** მიეპყრო მტრედისათვის (ვაჟა); შიშის **ჯაჭვები** დამპალ **ძაფებივით** დაწყვიტა (ჯავ); [მგელმა] გაუმაძღარი **თვალები ცეცხლივით** დაუბრიალა (წერ.); იქაური **დამცველები** მორღვეული **ხრეშივით** გაფანტეს (ჯავ); ოსტატმა **ერეკლე** და **ზურა ბალღებივით** აიტაცა. (ჯავ.).

ირიბ დამატებასთან **ვით-**თანდებულიანი სახელის რიცხვში დამსგავსება-შეთანხმების მაგალითია: მოგზაურმა თვალი შეავლო **ლომებივით** პირდაღებულ **ქონგურებს.** (კ. ლორთქ.).

ვით-თანდებულიანი სახელი ხშირად მიმღეობითა თუ ზედსართავი სახელით გადმოცემულ ატრიბუტულ განსაზღვრებას ახლავს. მაგ.: სქელი, **გველებივით დაკლაკნილი ფესვები** ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ (ვაჟა); **თოვლივით თეთრი წვერი** მზესავით მოანათებდა (ვაჟა); ამ კლდესაც **ხავერდივით მწვანე ხავსი** გადაჰკვრია (ვაჟა); **ხავერდივით მწვანე ბალახს** აბიბინებს სიო ნაზად. (წერ.).

მსაზღვრელი ზოგჯერ გამოტოვებულია, **ვით-**თანდებულიანი სახელი უშუალოდ ერთვის საზღვრულს და გამოტოვებული განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას ითავსებს: **თოვლივით** [თეთრი] **წვერი** გულზე სცემს (ვაჟა); **კუბრივით** [შავი] **თმა** წვრილ კულულებად ეყარა ბეჭებზე და მკერდზე (ბარნ.); **დევებივით** [დიდი] **ქორაფები** როგორ აწვდილან ზეცად? (ვაჟა); ბუხრიდან **ბროწეულივით** [წითელი] **ნაკვერჩხალი** გადმოვარდა (ლეონ.); **ცეცხლივით** [ელვარე თუ ბრიალა] **თვალებს** აბრიალებს მგელი და კბილებით აკვესებს (რაზ.).

ზოგჯერ, როგორც ეს სწორად აქვს შენიშნული თ. კვაჭანტირაძეს თავის გამოკვლევაში[147], გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა **ვით-**თანდებულიანი სახელი რამდენიმეა და ფორმათა მიმსგავსების წესი არ არის დაცული: ისინი სხვადასხვა რიცხვის ფორმებია (მხოლობითში მოსალოდნელიდან რომელიმე მრავლობითში დგას,

[147] თ. კვაჭანტირაძე, მსგავსებითი შედარება ქართულში, 1978, გვ. 41-45.

ან მრავლობითში საგულვებლიდან ზოგი მხოლობითშია). მაგ.: [ჩხიკვი] ხან **კრუხივით** ჩხავის, ხან **ძერასავით** წივის, **კატასავით** კნავის, ან **ძაღლებივით** ყეფს და **მამალივით** ყივის (რაზ.). [მიმინო და ჯიხოლა] ხან **ბეღურებივით** ჟივჟივებდნენ, **ნიბლიებივით** წიწინებდნენ, ხან **მზეწვიასავით** წრიპინებდნენ და **ღობემძვრალასავით** წიოდნენ. (რაზ., 183).

ვით (<ვითა <ვითარ) „უფრო ადრე ცალკეც იწერებოდა და სიტყვის წინაც გვხვდებოდა“[148]. ასეთი რამ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ახალ ქართულშიც. მაგ.: ცისა ლაჟვარდი, **ვით** ნაკვერჩხალი, წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუოდა (ჭავ.; 188); ჩამავალი მზე **ვით** ფრთა-გაშლილი, უზარმაზარი, წითელი **არწივი** მიექანება უთავბოლო სივრცის გადაღმა (ჯავ.; 2, 449).

ზოგიერთი ზმნიზედა, რომელსაც **ზე** თანდებულიანი მიცემითის ფორმა აქვს, წინადადებაში ვითარების გარემოებაა. მაგ.: დათვები **ყალხზე** დგებოდნენ (ვაჟა, 6, 309); სწორედ **ჩვენებურ ყაიდაზე** იყო მოწყობილი (ჯაფ., 33); ყალიონი **ძალზედ** გამოაბოლა (ჭავ., 452); დავფრინავ ტყეებში **ჩემს ნებაზე** (რაზ., 220); [ნადირნი]... ჩხაოდენ **თავის ჰანგზე, თავის ხმაზე**... (ვაჟა, 6, 261).

§83. ნათესაობითი ვითარების გარემოებად

ებრ- და **(მებრ-)** თანდებულიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა წინადადებაში ვითარების გარემოებაა. **ებრ** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ვით**, ე.ი. აღნიშნავს მსგავსებას. ვერ გავიზიარებთ, თითქოს **ებრ** და **ვით** თანდებულიანი ფორმები უბრალო დამატება იყოს და არა ვითარების გარემოება. **ებრ** თანდებულიანი ფორმები ამჟამად რამდენადმე მოძველებულია. მაგ.: **ფრიალოსაებრ** ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე (ჭავ.; 185); მაინც **სალამურისამებრ** დაიკვნესა (ევდ., 3, 28); მეც **მისებრ**, ძამო, მიღრინავს გული (ჭავ., 148); ყველანი **ჩვეულებისამებრ** ოხუნჯობდნენ... (ყაზ.; 2, 387).

§84. მოქმედებითი ვითარების გარემოებად

მოქმედებით ბრუნვაში დასმული საწყისი ჩვეულებრივ ვითარების გარემოებაა. ამავე ფუნქციას ასრულებს მოქმედებით ბრუნვაში დასმული ზოგიერთი არსებითი სახელიც. „ვითარების გარემოებას გამოხატავს აგრეთვე **ობა**-ზე გათავებული სახელები ზომაწონის აღსანიშნავად მოქმ. ბრუნვაში: მეტრობით, კილოობით, გირვანქობით და სხვა“[149]. მაგ.: არჩილმა **გაოცებით** შეხედა კესოს (ჭავ.; 462); ჯიხვს სისხლი **თქრიალით** გასდიოდა (რაზ.; 200); ჩემი ავტო დარიალში **ზათქით, ღრიალით** და **გუგუნით** შემოვაგდე (ჯავ., 3.

[148] ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 620.

[149] ა. **შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, 1948, გვ. 71. მოქმედებითი ბრუნვის ერთერთი მთავარი ფუნქცია ძველ ქართულში ვითარების გარემოების გადმოცემა იყო. იხმარებოდა გაუვრცობელი ფორმა.

482); ...სიფრთხილით მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები (ყაზ., 1, 21); პელაგია დიდის **ამბით** შეეგება სტუმარს (კლდ., 246); თითო-ოროლა **წვეთობით** ნამს ვასხურებ (ვაჟა, 5, 237); – მერმე? – მერმედა იჭერენ **ფუთობით** (დად., 47).

§85. ვითარებითი ბრუნვა ვითარების გარემოებად

სახელისა და მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ხშირად ზმნიზედის ფუნქციით არის აღჭურვილი და წინადადებაში გარემოებაა[150], უმეტესად ვითარებითისა. ეს ბრუნვა გარემოების გადმოსაცემად ფართოდ არის გამოყენებული[151]. ბრუნვის სახელიც ა. შანიძის მიერ ამ ფუნქციის მიხედვით არის შერჩეული. აქ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული, წინადადებაში ჩვეულებრივ ვითარების გარემოებაა. მიუგებს კითხვაზე: **როგორ? რამდენად**? მაგ.: ველზე **სქლად** იწვა ბალახი (ვაჟა, 5, 15); მატარებელი **ხანტად** დაიძრა (გვეტ., 67); თოვლის წყლებმა დაიწყეს **ცელქად** დენა მინდვრად და ხევებში (ვაჟა, 5, 95); კარგუამ გამოიღო მარწუხით **თეთრად** გავარვარებული, გაღვივებული რკინა (რაზ.); შუა მინდორზე **ლურჯად** მოლაპლაპე ტბა მოჩანდა. (ვაჟა, 5, 97).

ვითარების გარემოებაა **იან** სუფიქსით ნაწარმოები ზოგიერთი ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაც. მაგ.: შიშია **გულიანად** ათვალიერებდა ამ ნაფეხურებს (რაზ., 196); მთის წვერზე წამოგებული მზე **ხალისიანად** ბრწყინავდა (გვ. 159); ფრინველები ხომ **ერთიანად** მიიმალნენ! (ევდ., 3. 318).

ბ) მიმღეობა ვითარების გარემოების გადმოსაცემად ვითარებით ბრუნვაში დაისმის. „ვითარების გარემოებად ჩვეულებრივ ვნებითი და საშუალი გვარისა იხმარება“[152]. კითხვა: **როგორ?** მაგ.: ეშმაკი მელია **მოუფიქრებლად** არაფერს გააკეთებდა (რაზ., 59); არჯალა **მდუმარედ** იჯდა (ვაჟა, 5, 172); მყინვარმა თურმე უცებ შეიკრა **მრისხანედ** წარბი. (ჭავ., 192).

გ) ვითარების გარემოება გადმოცემულია ვითარებით ბრუნვაში დასმული რიცხვითი სახელით. კითხვა: **რამდენად? მერამდენედ**? მაგ.: ხალხი **ორად** გაიყო (ყაზ., 1, 146): ...თეთრი ნაბადი **ოთხად** მოკეცა (ვაჟა, 6, 344); **შვიდად** გაგლეჯილი მიუტანეს თევდორას ქუდი (ვაჟა, 5, 131); მცხოვრებთა რიცხვი **ერთიორად** გაზრდილიყო

---

[150] ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 611.

[151] ვითარებითი ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშიც ვითარების გარემოების გადმოცემაა. **არნ. ჩიქობავა**, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, გვ. 12; 15; **თ. შარაძენიძე**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები, გვ. 424, 429, **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 742; **ა. კობერია**, ვითარების გარემოება ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, 1958, გვ. 140-141.

[152] ა. **შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 70.

(ქიაჩ., 3, 38); გავარდა ბურთი!... მარჯვედ, ბიჭებო! აღარ გაუშვათ **მეორედ** იქით! (წერ.).

დ) ვითარების გარემოებას გამოხატავს რამდენიმე არსებითი სახელი ვითარებითი ბრუნვის ფორმით. მიუგებს კითხვაზე: **როგორ?** მაგ.: იქ **ჯგუფად** ისხდნენ ბუზები (ჭავ., 330); ...ღვინის ურმები იდგნენ **მწკრივად** ლოჭინის ხევის პირს (ჭავ., 406); ...ცოტა **გეზად** უნდა დაგეჭირა. (ჭავ., 450).

ასეთი სახელები ვითარების გარემოების გადმოსაცემად ფუძის გაორკეცებითაც გვხვდება მრავლობითი რიცხვის საკომპენსაციოდ: კედლებს **ბუჩქ-ბუჩქად** მწვანე ხავსი გადაკვრია (გაბ., 41); ფრინველები წასვლის წინ მოგროვებას **გუნდ-გუნდად** იწყებენ ხოლმე (გოგ., 157); დაუდგეს წინა **ასო-ასოდ** აქნილი რაჭული ხბო (წერ., 1, 15) ქალები **ჯგუფ-ჯგუფად** დადიოდნენ ხილის საკრეფად. (ყაზ., 2, 345).

ამნაირ კომპოზიტებს სხვა ბრუნვის ფორმები არ ეწარმეობა. ძველ ქართულში კომპოზიტის პირველი ნაწილიც დაირთავდა ბრუნვის ნიშანს, ახალ ქართულში კი ის ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი ჩამოშორდება მეორე ნაწილსაც[153].

ე) ვითარების გარემოებაა ზოგიერთი ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაც, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული. მიუგებს კითხვებზე: **როგორ? რამდენად**? – ამდენად, მაგდენად, იმდენად, ამნაირად, მაგნაირად, იმნაირად... მაგ.: **რამდენადაც** გაიწია ვაჭრობამ, **იმდენად** იმატა ჯაგუს შრომამაც (ბარნ., 1, 154); ეს **ისეთნაირად** მითხრა, რომ... მაშინვე გამოვტრიალდი (ჭავ.); – დამეხსენ! – მითხრა იმან **იმგვარად**, რომ, ვისაც მართლადა დახსნა უნდა, ისე, იმრიგად არ იტყოდა. (ჭავ., 297).

სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული, ზოგჯერ ბრუნვათა რიგიდან არის ამოვარდნილი: სხვა ბრუნვის ფორმები არ ეწარმოება. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: **ერთბაშად, უცბად, ბლომად**... ხშირია აგრეთვე შემთხვევა, როცა ვითარებითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია ნაწილობრივ ან მთლიანად. მაგ.: **ნელა** (<ნელ-ად), **ჩქარა** (<ჩქარ-ად), ლუკმა-ლუკმა (<ლუკმა-ლუკმა-დ), ნაკუწ-ნაკუწ (<ნაკუწ-ნაკუწ-ად)[154].

მიზეზის გარემოება

§86. მიზეზის გარემოების რაობა. კითხვები

მიზეზის გარემოება აღნიშნავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს. მიუგებს კითხვებზე: **რატომ? რის გამო? რა მიზეზით?** მაგ.: ამ **სიმხდალის გამო** კურდღელი დღისით სულ თავის ბუნაგში იწვა.

---

[153] **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 744; ა. კიზირია, ვითარების გარემოება ძველ ქართულში, გვ. 141.

[154] **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 614.

(გოგ., 54). **სიმხდალის გამო** მიზეზის გარემოებაა, რომელიც აღნიშნავს, თუ რატომ იწვა კურდღელი დღისით თავის ბუნაგში.

დასახელებულ მაგალითში მიზეზის გარემოება ზმნის პირიან ფორმას ახლავს (სიმხდალის გამო იწვა), მაგრამ იშვიათად იგი შეიძლება ახლდეს საწყისსა და მიმღეობას (სიმხდალის გამო წოლა, სიმხდალის გამო დაწოლილი): ...ცოლთან **ჩხუბის გამო დარცხვენილი** ხოსრო შუადღეზე დაბრუნდა შინ (გვეტ., 147).

მიზეზის გარემოებას გამოხატავს მიზეზის ზმნიზედა და სახელი (საწყისითურთ) ნათესაობითსა და მოქმედებითში. ნათესაობითი ბრუნვა მიზეზის გარემოებად ყოველთვის თანდებულიანია, მოქმედებითი – უთანდებულო.

§87. ზმნიზედა მიზეზის გარემოებად

მიზეზის ზმნიზედა წინადადებაში მიზეზის გარემოებაა. ასეთი ზმნიზედები ენაში ცოტაა. ესენია: **ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ, რატომ, რატომღაც**. მაგ.: **რატომ** არ მღერით, მთებო?! (ვაჟა, 5, 317); - მაშ, არა სთხოვდები? – არა. – **რატომ? იმიტომ.** – მაინც?! – **იმიტომ** (ჭავ., 306); კარები მძიმე იყო და **ამიტომ** ცუგას ფეხი ძალიან დაშავებოდა (გოგ., 22); **რატომღაც** ჩემი შორეული წარსული, ჩემი ახალგაზრდობა მომაგონდა უეცრად. (ს. კლდ.).

§88. ნათესაობითი მიზეზის გარემოებად

ნათესაობითი ბრუნვის ფორმას მიზეზის გარემოების გადმოსაცემად დაერთვის თანდებულები: გამო, გან, თვის. ...

გამო თანდებულიანი ნათესაობითი თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივ მიზეზის გარემოებაა: **სიშორის გამო** არ მესმოდა, რას ამბობდნენ (ვაჟა); ისინი ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ მუცელას **ავადმყოფობის გამო** (ვაჟა 5, 341); უთუოდ ამ **სისხლის გამო** მარიდებს პირიმზე თვალს. (ვაჟა 5, 238).

გან თანდებულიანი მიზეზის გარემოება ძალიან ჰგავს ამავე ფორმით გადმოცემულ ქვემდებარისებრ დამატებას. მსგავსება მათ შორის ისე დიდია, რომ ზოგჯერ ძნელდება კიდეც იმის გარკვევა, თუ რად უნდა იქნეს მიჩნეული ასეთი ფორმა – ქვემდებარისებრ დამატებად თუ მიზეზის გარემოებად. ქვემდებარისებრი დამატება რეალურად მოქმედ საგანს აღნიშნავს, მიზეზის გარემოება კი მიზეზზე მიუთითებს. პირველი **მიერ** თანდებულიანი ნათესაობითით შეიძლება შეიცვალოს, მეორე კი – **გამო** თანდებულიანით. მაგ.: ლომი **სიბრაზისაგან** თვალებიდან და კბილებიდან ცეცხლსა ჰყრიდა (ვაჟა, 6, 250). **სიბრაზისაგან** მნიშვნელობით იგივეა, რაც **სიბრაზის გამო**, ე.ი. მიზეზის გარემოებაა. **არწივისაგან** შეშინებული წეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ. (რაზ., 254). **არწივისაგან** იმავე მნიშვნელობისაა, რაც **არწივის მიერ**, ე.ი. ქვემდებარისებრი დამატე-

ბაა. **გან** თანდებულიანი მიზეზის გარემოების მაგალითებია: ბავშვებმა **შიშისაგან** ტირილი მორთეს (გოგ., 83); ბეკინა ამ სოფლად აღარ იყო **ჯავრისაგან** (კლდ., 1, 191); დედაბერი **შიშისაგან** უკან გადავარდა. (ევდ. 3, 136).

მიზეზის გარემოებაა ზოგჯერ **თვის** თანდებულიანი ნათესაობითიც: მთიული მთლად გაფითრდა ამგვარი **დამცირებისათვის** (ყაზ., 1, 241); ყველანი გაუჯავრდნენ ამ **მოუთმენლობისათვის** (ვაჟა, 5, 128); ირაკლი ბავშვივით მომღიმარ მირზას ესაყვედურებოდა **დავიწყებისათვის** (გვეტ., 88).

თვის თანდებულიანი ნათესაობითი მიზეზის გარემოების გადმოსაცემად გავრცელებული იყო ძველ ქართულში, ამჟამად კი იშვიათია. მის ნაცვლად სჯობს **გამო** თანდებულიანი ნათესაობითი გამოვიყენოთ.

მიზეზის გარემოებას გადმოგვცემს ნათესაობითის ფორმა, რომელსაც დაერთვის **წყალობით, მოწყალებით, გამოისობით, მიზეზით, მეოხებით**: ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ ზოგიერთის **თავქარიანობის წყალობით**“ ოჯახი განადგურდეს (ჯაფ., 39); ... **ცოლების მოწყალებით**“ ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ (ჭავ., 368); **ამის გამოისობით** აქეთკენ გვალვა ძლიერ ხშირი სტუმარია (ლომ., 82); ყველა ეს **წყლის მეოხებით** ხდებოდა (ლომ.); თუ **თქვენი მიზეზით** მას რამე ევნო, ცოცხალი ვერ გადამირჩებით! (ს. კლდ.).

§89. მოქმედებითი მიზეზის გარემოებად

უთანდებულო მოქმედებითით მრავალი წევრი გადმოიცემა. ასეთი ფორმა მიზეზის გარემოებაა, როცა ის შეიძლება შეიცვალოს **გამო** თანდებულიანი ნათესაობითით. მაგ.: მელიამ **სიმწვავით (სიმწვავის გამო)** კინაღამ დაიყვირა. (რაზ., 71). ამ ფუნქციის გადმოსაცემად უმეტესად აბსტრაქტული სახელები და საწყისებია გამოყენებული. მაგ.: [სვავი] **სიმაძღრით** ძლივსდა ქშინავდა ... (ვაჟა, 6, 3); მგლები **შიმშილით** დაძრწოდნენ და ყმუოდნენ (ვაჟა, 6, 17); ბეკეკას **შიშით** რძე სულ დაავიწყდა (რაზ., 341); ნინიკა **სიხარულით** ფეხზე აღარ დგებოდა (ვაჟა, 6, 222); მეზობელი **სირცხვილით** დაიწვა (გოგ).

მიზნის გარემოება

§90. მიზნის გარემოების რაობა. კითხვები

მიზნის გარემოება გამოხატავს მოქმედების მიზანს. უპასუხებს კითხვებზე: **რისთვის? რა მიზნით?** მაგ.: ილია საჩქაროდ მოემზადა **წასასვლელად** (გვეტ., 251). **წასასვლელად** მიზნის გარემოებაა, რომელიც აქ ზმნის პირიან ფორმას, შემასმენელს, ახლავს და აღნიშნავს, თუ რისთვის მოემზადა ილია საჩქაროდ.

მიზნის გარემოება შეიძლება ახლდეს სახელზმნასაც – საწყისსა და მიმღეობას: წახალისებულმა ბუმ ხელად დაიწყო **სანადიროდ მზადება** (რაზ., 254); **საძებნელად წას**ული ძნადნაფიცები ხელცარიელი დაბრუნდნენ. (ჯავ.).

§91. მიზნის გარემოების გამოხატვის საშუალებანი

მიზნის გარემოება გადმოიცემა მიზნის ზმნიზედით, სახელითა და სახელზმნით. გამოყენებული აქვს ორი ბრუნვა: ნათესაობითი და ვითარებითი. პირველი ყოველთვის თანდებულიანია, მეორე – უთანდებულო.

მიზნის ზმნიზედები წარმოშობით ნაცვალსახელებია, რომელთაც **თვის** თანდებულიანი ნათესაობითის ან უთანდებულო ვითარებითის ფორმა აქვთ: **ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, მისთვის, ამად, იმად** ... ეს სიტყვები გარკვეულ შემთხვევებში ნაცვალსახელებადვე რჩებიან და წინადადებაში უბრალო დამატებებია. მაგ.: მას **მისთვის** წერილი მიუწერია; ის **ამად** იქცა, ეს – **იმად** და მისთ. მაგრამ იგივე სიტყვები ხშირად ზმნიზედებია და წინადადებაში მიზნის გარემოებას გადმოსცემენ. ეს ზმნიზედები ჩვეულებრივ რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარში იხმარება. მაგ.: მე ჩონგური **მისთვის** მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (წერ.): ძმად განა **იმად** გავფიცულვართ, რომ ეგენი მითხრა (ყაზ.); სწორედ **ამისთვის** გეახელ, რომ მეთქვა შენთვის ყოველი.

ძველ ქართულში **თვის** (თ ჳ ს) თანდებულიანი ნაცვალსახელი, ზმნიზედად ქცეული, მიზეზის გარემოებას გადმოსცემდა. ასეთი მნიშვნელობით ეს ზმნიზედები „ზოგჯერ ახალ მწერლობაშიც გვხვდება, მაგრამ, რომ მკვეთრად გარჩეულ იქნეს ერთმანეთისაგან მიზეზი და მიზანი, არ უნდა ავრიოთ „ამისთვის“ „ამიტომ“-თან და „იმისთვის“ „იმიტომ“-თან“[155].

სახელსა და სახელზმნას (ჩვეულებრივ საწყისს) მიზნის გარემოების გადმოსაცემად ნათესაობითში დაერთვის **თვის** ან **გულისთვის**, აგრეთვე **მიზნით**. მაგ.: [სარდიონმა] ბიჭი აფრინა სახლში **თოფისთვის** (ვაჟა, 6, 35); კაცი **სიმშვიდისა** და **მოსვენებისათვის** არის გაჩენილიო (წერ. 1, 19); მამალი ნიბლია ჩვეულებისამებრ მინდორში დაფრინავდა **საჭმლისათვის** (რაზ., 7); წვრილი ფრთოსნები სოფლებში იყრიდნენ თავს **საზრდოს გულისათვის** (რაზ., 179); ქართველნი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს **დაცვისათვის** (გოგ., 67); სამეგრელოში ხის სახლებს ჯანმრთელობის **დაცვის მიზნით** აგებენ. (დად., 171).

მიზნის გარემოება უმეტესად ვნებითი გვარის მომავალდროიანი მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა, რომელიც ზმნიზედად არის ქცეული. მაგ.: მასპინძლები **დასაძინებლად** ემზა-

[155] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, 1948, გვ. 159.

დებოდნენ (ჯავ., 4, 241); ხეებზე კოკორი **გასაშლელად** მომზადებულა (ვაჟა, 5, 155; ოტია გაიქცა ცხენის **მოსაყვანად** (კლდ., 1, 227); მხედარი აჩქარებით გამოვიდა ბრძანების **ასასრულებლად** (წერ., 1, 260).

მიზნით დართული ნათესაობითი ქართულისათვის არ არის ბუნებრივი მიზნის გარემოების გადმოსაცემად. მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ **თვის** თანდებულიანი ნათესაობითი ან მომავალდროიანი მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა[156].

მიზნის გარემოებაა სა – ო თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილი ზოგიერთი სახელი ვითარებითში: ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო **სანადიროდ** (ვაჟა, 5, 70); არწივმა გამოუცხადა იმათ სტუმარს მოსვლის მიზეზი და აგრეთვე ისიც, რომ ხვალისთვის **სალაშქროდ** მომზადებულიყვნენ. (ვაჟა, 6, 33).

მიზნის გარემოება ძველ ქართულში ხშირად საწყისის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემოდა, რაც ცოცხალია საშუალ ქართულშიც. მაგ.: დაჯდა **წერად** ანდერძისად, საბრალოსა საუბრისად: „ჰე, მეფეო, გავიპარე **ძებნად** ჩემგან საძებრისად (რუსთ., 788, 1-2); ორნი ამხანაგნი წავიდნენ **ნადირობად**. (საბა, 156).

საწყისი ვითარებითში მიზნის გარემოების გადმოსაცემად ახალ ქართულში არ იხმარება, მას მომავლის მიმღეობა ენაცვლება იმაყუ ბრუნვაში, თუმცა იშვიათად მაინც შეიძლება შეგვხვდეს XIX-XX სს. ზოგიერთი მწერლის ნაწერებში. მაგ.: აი, სამასნი გმირები, დუშეთით თბილისს მოსულნი, მეფის **შეწევნად** და მის წინ მისთვისვე შეფიცებულნი (გრ. ორბ.); აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭული, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის **ხედვად**, სხვის **სმენად** (ჭავ., 465); მას არ ესხნეს თვალნი **ხედვად** ქმნილებათა ჰაეროვანთა და ყურნი **სმენად** ბგერათა ეთეროვანთა (ბარნ., 3, 412); მათაც აბეჯითებდა სწავლად და წერად (ლ. გოთ.); მოვიდა მცხოვრებთა **მოსვრად** და **თრევად**, მოვიდა თვისივე სისხლისა **თხევად**. (კალ.).

ვითარებითში დასმული საწყისი მიზნის გარემოების გადმოსაცემად დღესაც იხმარება ქართულის ზოგ კილოში, მაგალითად, ხევსურულში.

პირობისა და დათმობის გარემოებანი

§92. პირობისა და დათმობის გარემოებათათვის

პირობისა და დათმობის გარემოებანი, როგორც უკვე ითქვა, ქართულში ცალკე წევრად არ არის გამოყოფილი (§67). მაგრამ ქართულშიც გვხვდება სიტყვათა შეკავშირების ისეთი შემთხვევები, რომელთაც გადაჭრით ვერ მივაკუთვნებთ ზემოთ განხილულ გარე-

[156] ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 102.

მოებათა რომელიმე სახეს: მათ პირობის ან დათმობის შინაარსი ახლავს.

პირობისა და დათმობის შინაარსის მქონე დამოკიდებული წინადადებანი ქართულშიც საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, ხოლო შესაბამის გარემოებათა გამოყენება შეზღუდულია და ერთობ მკრთალი.

პირობის გარემოება ახლავს ზმნას და აღნიშნავს იმ პირობას, რომელშიც სრულდება მოქმედება[157]. მიუგებს კითხვაზე: რა **შემთხვევაში?** რა **პირობებში?** გამოხატავს სიტყვათა შეკავშირება (და არა ცალკე სიტყვა). მაგ.: **ორივე შემთხვევაში** უცილო დაღუპვა მოელოდა შორენას (გამს.); [გაიოზი] მოღალატედ შეგიერთდათ და **არავითარ შემთხვევაში** არ ენდოთ (ქიაჩ.); დილის 6 საათამდე მე **ვერავითარ შემთხვევაში** ვერ გამოვალ ჩემი საკანიდან (ლომთ.); უნდა ვიცოდეთ, რომ **იმ პირობებში** დარჩენა, როგორშიაც ვიყავით, აღარ შეგვიძლია. (დად.).

დათმობის გარემოება აღნიშნავს ერთგვარ პირობას, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება, მაგრამ ეს უკანასკნელი გამორიცხავს ამ პირობას და მაინც სრულდება. მას შეიძლება დავუსვათ კითხვა: **მიუხედავად** რისა? ასეთ გარემოებას გამოხატავს სახელისა თუ სახელზმნის ნათესაობითის ფორმა, რომელიც ახლავს **მიუხედავად** თანდებულის მნიშვნელობით. მაგ.: **მიუხედავად მისი ახირებულობისა,** გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამაჩემი... (წერ., 1, 21); **მიუხედავად აპრილის მზიანი დღისა,** [გაიოზს] ნაბადი ეხურა. (ქიაჩ.).

განსაზღვრება

§93. განსაზღვრების რაობა. კითხვები

განსაზღვრება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ.: **ყვითელი** ფოთლები ყველგან მუხლამდე ეყარა (გვეტ., 485); თეიმურაზმა ლასლასით **რამდენიმე** ნაბიჯი გადადგა (ჯავ., 2, 416); **შენი** ამბავი, ეხლა მართალი, ზღაპრად მიუვა **ჩვენს** შვილიშვილებს (ჭავ., 151); აბა, წარმოიდგინეთ ერთ მხრით... **სოფლელი** ბავშვი და მეორე მხრით... **ქალაქელი** ყმაწვილი!... (წერ., 1, 9); ეს წერილი არ ეამა, არც მეფეს, არც მის ამალას. (ბარნ., 1, 120).

ყვითელი, რამდენიმე, შენი, ჩვენს, სოფლელი, ქალაქელი და ეს – ყველა განსაზღვრებაა. ამათგან **ყვითელი** აღნიშნავს ფერს,

[157] **А. Н. Гвоздев**, დასახელ. წიგნი, გვ. 108.

რამდენიმე – რაოდენობას, **შენი** და **ჩვენი** – კუთვნილებას, **სოფლელი** და **ქალაქელი** – სადაურობას, **ეს** კი მიუთითებს პირველ პირთან ახლო მყოფ საგანზე.

შინაარსის მიხედვით განსაზღვრება მრავალფეროვანია, რასაც დასახელებული შემთხვევები ვერ ამოწურავს. მაგრამ მათი გამაერთიანებელი ზოგადი ნიშანი ერთია: ყველა სახის განსაზღვრება მსაზღვრელია, ე.ი. ხსნის ანუ საზღვრავს არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს რაიმე ნიშნის მიხედვით.

განსაზღვრება მიუგებს კითხვებზე: რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? სადაური? როდინდელი? ვისი? რისა?

განსაზღვრება ყოველთვის დაქვემდებარებული წევრია, ხოლო მისგან განსაზღვრული წევრი, რომელიც განსაზღვრების წყვილის ცალია, სინტაქსურად გაბატონებული ანუ წამყვანი სიტყვაა.

§94. განსაზღვრების სახეები

განსაზღვრება ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური.

ატრიბუტი და **სუბსტანტივი** ლათინური ტერმინებია. პირველი საგნის ნიშან-თვისებაზე მიუთითებს, მეორე – თვით საგანზე. ატრიბუტი ანუ საგნის ნიშან-თვისება ჩვეულებრივ ზედსართავი სახელით ანუ ატრიბუტივით გადმოიცემა, მაგრამ ხშირად ზედსართავისებრ გამოიყენება და შეეწყობა სახღვრულ წევრს სხვა სახელები (რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი, ნაცვალსახელი) და სახელზმნა (ჩვეულებრივ მიმღეობა, იშვიათად საწყისიც კი): **მაღალი** სახლი, **ხუთი** წიგნი, **ურემი** შეშა, **ჩვენი** სახლი, **დაბურული** ტყე, **წველა** ყველი. **მაღალი** (ზედსართავი სახელი), **ხუთი** (რიცხვითი სახელი), **ურემი** (არსებითი სახელი), **ჩვენი** (ნაცვალსახელი), **დაბურული** (მიმღეობა) და **წველა** (საწყისი) – ყველა **ატრიბუტული** განსაზღვრებაა. მაშასადამე, ატრიბუტულია განსაზღვრება, რომელიც გადმოცემულია ზედსართავი სახელით (ატრიბუტივით) ან კიდევ სინტაქსურად მასთან გათანაბრებული სხვა მეტყველების ნაწილით.

სუბსტანტიურია განსაზღვრება, რომელიც გამოხატულია სუბსტანტივით, ე.ი. არსებითი სახელით, ან გასუბსტანტივებული სხვა მეტყველების ნაწილით. მაგ.: **ფითრის** მარცვალმა ის ზამთარი **მსხლის** ქერქში გაატარა (რაზ., 91); **ფითრის** და **მსხლის** – ორივე არსებითი სახელით გადმოცემული სუბსტანტიური განსაზღვრებაა. **პატარის** დარდი წაჰყვა ლიზიკოს (ბარნ., 3, 177); იმ **დალოცვილის** რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა (რაზ., 95). **პატარა** ზედსართავი სახელია, **დალოცვილი** – მიმღეობა, მაგრამ მოყვანილ მაგალითებში საზღვრულის გამოტოვების გამო ერთსაც და მეორესაც არსებითი სახელის მნიშვნელობა აქვს და სინტაქსურად ორივე სუბსტანტიური განსაზღვრებაა.

მაშასადამე, ატრიბუტული განსაზღვრება ზედსართავით ან

მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოიცემა, სუბსტანტიური კი არსებითი სახელით ან გასუბსტანტივებული სიტყვით. რამდენადაც ენაში სუბსტანტივაცია და ადიექტივიზაცია გავრცელებული მოვლენებია, ამდენად, ცხადია, ერთი და იმავე სიტყვით ატრიბუტული განსაზღვრებაც შეიძლება გადმოიცეს და სუბსტანტიურიც. მაგალითად, **პატარა** და **დალოცვილი** დამოწმებულ წინადადებებში, როგორც უკვე ითქვა, სუბსტანტიური განსაზღვრებებია, მაგრამ ამ სიტყვებით ჩვეულებრივ ატრიბუტული განსაზღვრება გადმოიცემა. მაგ., ხელში უჭირავს **პატარა** ჩანთა (ნონ., 35); **დალოცვილი** დარი იდგა: მშრალი, უღრუბლო. (ბარნ.).

ფორმის მიხედვით, ე.ი. საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაზღვრება სამგვარია: **შეთანხმებული, მართული** და **მართულ-შეთანხმებული**.

განსაზღვრება საზღვრულს ეთანხმება ბრუნვაში (**მაღალი** მთებ-ი, **მაღალ-მა** მთებ-**მა**), ან ბრუნვასა და რიცხვში (მთა-**ნ-ი მაღალ-ნ-ი**, მთა-**თა მაღალ-თა**). ატრიბუტული განსაზღვრება შეთანხმებული განსაზღვრებაა.

მართულია განსაზღვრება, რომელიც ნათესაობითშია დასმული: **აგურის სახლი, ამხანაგის** წიგნი და მისთ. მართული განსაზღვრება შეიძლება შეეთანხმოს საზღვრულ წევრს ბრუნვაში (წინგ-**მა** ამხანაგისა-**მ**), ბრუნვასა და რიცხვში (წიგნ-**ნ-ი** ამხანაგისა-**ნ-ი**). ასეთი განსაზღვრება მართულ-შეთანხმებულია. მართული და მართულ-შეთანხმებული განსაზღვრება სუბსტანტიურია (§9).

მაშასადამე, **ატრიბუტული განსაზღვრება შეთანხმებულია, სუბსტანტიური — მართული ან მართულ-შეთანხმებული.**

შენიშვნა: განსაზღვრება საზღვრულ წევრს ზოგჯერ ისე მჭიდროდ უკავშირდება, რომ მათი ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია: ორივე ერთად წინადადების ერთი წევრია: შავი ზღვა, წყნარი ოკეანე, კასპიის ზღვა და მისთ. ბევრი კომპოზიტი მსაზღვრელ-საზღვრულისაგან არის წარმომდგარი[158].

ატრიბუტული განსაზღვრება

§95. ატრიბუტული განსაზღვრების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით

განსაზღვრება და მისგან განსაზღვრული წევრი ბრუნებადი სიტყვებით გადმოიცემა. საზღვრული წევრი ყოველთვის არსებითი სახელით ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სიტყვით არის გამოხატული, განსაზღვრება კი შეიძლება გადმოიცეს ზედსართავითა და მასთან გათანაბრებული სხვა სახელებითა და სახელზმნით. მაგ.: ეს **უკანასკნელი** პასუხს აძლევდა პირველ „მეს“ (ვაჟა):

[158] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 154-157.

საზღვრული წევრები გადმოცემულია გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელით („უკანასკნელი“) და პირის ნაცვალსახელით („მეს“). პირველს ატრიბუტულ განსაზღვრებად ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი (ეს), მეორეს – რიგობითი რიცხვითი სახელი (პირველი).

ატრიბუტული განსაზღვრება გადმოცემის თვალსაზრისით განსხვავდება როგორც მეტყველების ნაწილებს შორის, ისე თვით ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებშიც. ზოგიერთი მეტყველების ნაწილისათვის მთლიანად ან სიტყვათა გარკვეული ჯგუფისათვის ატრიბუტული განსაზღვრების გამოხატვა ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა, ზოგისთვის – არაძირითადი. მაგალითად, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი (რაოდენობითი, რიგობითი), ზოგიერთი ნაცვალსახელი და ვნებითი გვარის მიმღეობანი, ჩვეულებრივ განსაზღვრებაა. არსებითი სახელები, მოქმედებითი გვარის მიმღეობანი ზოგიერთი ნაცვალსახელი (მაგალითად, პირისა) ძირითადად ქვემდებარე-დამატებას გადმოსცემენ, მაგრამ ზოგი ამათგანი ხშირად განსაზღვრებისა და გარემოების გადმოსაცემად არის გამოყენებული.

§96. ზედსართავი სახელი (და მიმღეობა) განსაზღვრებად

ატრიბუტული განსაზღვრების გამოხატვა, როგორც უკვე ითქვა, ზედსართავი სახელის ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა. ვითარებითი ზედსართავი გამოხატავს საგნის ნიშანს ან თვისებას თუ ნიშნის ან თვისების ხარისხს უშუალოდ, მიმართებითი კი – ძირეული სიტყვით აღნიშნულთან მიმართებით. განსაზღვრება ზოგჯერ ფუძეგაორკეცებული და ნაირფუძიანი ზედსართავი სახელით არის გადმოცემული. მიუგებს კითხვებზე: **როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?** მაგ.: ბუხარში **ნელი** ცეცხლი ენთო (ქიაჩ., 3, 311); ამ **უსიამოვნო** შემთხვევამ შეაწუხა იოთამე (ბარნ. 1,352); **დედაშვილური** სიყვარულით მძლეთა-მძლეა (ჭავ., 442); **ქართულ** სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ (წერ., 1, 9); **იქაურ** თუმანს **აქაური** მანეთი მირჩევნია (წერ.); **მაშინდელი** სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ... (წერ. 1, 70); საბძლიდან გამოვიდა **მაღალ-მაღალი** კაცი (ბარნ., 1, 206); წყალზე **წითელ-ყვითელი** ჭავლი ციმციმებდა. (ჯავ.).

მიმღეობა წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი სახელი. ატრიბუტულ განსაზღვრებად ყოველგვარი მიმღეობა გვხვდება, მაგრამ უფრო ხშირად ვნებითი და საშუალი გვარისა. კითხვები: როგორი? რომელი? მაგ.: შიმშილით **შეწუხებული** მგლები ღმუოდნენ (რაზ., 20); ...აქა-იქ მოჩანდნენ **მბჟუტავი** ვარსკვლავები (გვეტ., 204); ბარტყების **დამკარგველი** ჩიტი კვლავ გოდებდა (გვეტ., 108); **დამფრთხალი** ცხენები ახვიხვინდნენ. (დ. შენგ. 1, 130).

ხშირია ატრიბუტულ განსაზღვრებად რთული სახელები, რომელნიც არსებითი სახელისა და მიმღეობისაგან (მიმღეობა უმეტესად ვნებითი გვარისაა) ან სხვადასხვა ტიპის სახელთა შეერთები-

საგან არიან წამომდგარი. მაგ.: **თვალებგაშტერებული, ტუჩებმოკუმული, სახეგანაცრებული** მონადირე სმენად იყო გადაქცეული (ვაჟა, 6, 467); კოხტა **თავმომწონე** მსხალი უდროოდ დაბერდა (რაზ., 97); ორღობეებში **ჭრელგოჭებიანი** ღორები ღრუტუნებდნენ (გვეტ., 68); ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი **გულმაგარი** ვაჭკაცები იყვნენ... (გოგ., 314).

§97. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად

რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელი წინადადებაში ჩვეულებრივ ატრიბუტული განსაზღვრებაა. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მიუგებს კითხვაზე: **რამდენი**? რიგობითი განსაზღვრავს საგანს რიგის მიხედვით, უპასუხებს კითხვებზე: **რომელი? მერამდენე**? წილობითი რიცხვითი სახელი, განსაზღვრებად გამოყენებული, გამოხატავს საზღვრული საგნის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით[159]. მიუგებს კითხვებზე: **რამდენი? მერამდენედი?**

საზღვრული, რომელსაც განსაზღვრებად რიცხვითი სახელი ახლავს, მხოლობითში დაისმის. რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება და მისგან განსაზღვრული სახელი არსებითად წინადადების ერთი წევრია, რომელიც ადვილად შეიძლება შეიცვალოს საზღვრული სიტყვის მრავლობითის ფორმით (შდრ.: შარშან **ცხრა კალმახი** დავიჭირე (რაზ., 266) და შარშან კალმახები დავიჭირე"). მაგ.: მეორე დღეს ალაყაფში **სამი კაცი** შემოვიდა (ჯავ., 2, 163); ...ბაღში **ბევრი160 ხილი** იდგა (გოგ., 47); ბურსაჭირის ღელეში **ურიცხვი** ცხვარი იდგა (ყაზ., 2, 344); განთიადისას ნენეს **მეხუთე** გოგო გაუჩნდა (გაბ., 154); დათვს იმის **მეასედი**

---

[159] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 41.

[160] ა. დავითიანის „ქართული ენის სინტაქსში" ვკითხულობთ: ზოგიერთი ნაცვალსახელი „რიცხვითთა კლასშიც კი გადააქვთ (ბევრი, ცოტა, მრავალი), მაგრამ ყველა მათგანს აკლია რიცხვითის ძირითადი სემანტიკური თვისება: უაღრესად კონკრეტული სემანტიკის გამოხატვა, რის გარეშეც სახელი რიცხვითი არ შეიძლება იყოს". ამას მოსდევს შენიშვნა: „ბევრი, ცოტა, მრავალი რიცხვით სახელებადაა ჩათვლილი გრამატიკის სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით – სასკოლოში" (გვ. 201). დასახელებულია ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები" და ავტორთა სასკოლო გრამატიკის პირველი ნაწილის 1964 წლის გამოცემა გვერდებზე მითითებით. ეს სიტყვები რომ ნაცვალსახელებია, ამის შესახებ ცოტა რამ სხვაგანაც არის ნათქვამი (მაგ., გვ. 331).

„ბევრი", „ცოტა" და „მრავალი" ქართული ენის გრამატიკაში გაურკვეველი რაოდენობის რიცხვით სახელებად არის დასახელებული, რაც არ არის შეცდომა. ამ სიტყვათა შესატყვისი ლექსიკური ერთეულები სხვა ენათა გრამატიკებშიც რიცხვით სახელებად არის მიჩნეული. მაგალითად, რუსული ენის გრამატიკის მიხედვით, რიცხვითი სახელებია: много, немного, несколько, столько, сколько.

როგორც ცნობილია, ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობით იქნეს ნახმარი, ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადაინაცვლოს. დასახელებული ქართული სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები კარგად არის ნაჩვენები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში.

„ბევრი" ძველ ქართულში ათი ათასს ნიშნავს, ე.ი. გარკვეული რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი იყო. ის ახალ ქართულში გარკვეულ რაოდენობას აღარ გამოხატავს, მაგრამ რიცხვითი სახელის სემანტიკა შეინარჩუნა. მისი საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა „ცოტა". ორივე სიტყვა გაურკვეველ რაოდენობას აღნიშნავს, ამდენად, ისინი რიცხვითი

ზარალიც კი არ მოუცია ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და ტურა-მელებმა მოგვცესო (ვაჟა); სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა **ნაასალი** მადლიც გიორგისა არა სცხებოდა (ჭავ., 468); **ნახევარი** გზა თითქმის ჩუმად და ხმაამოუღებლად გაიარეს. (ვაჟა, 5, 122).

მდე თანდებულიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებითთან ხმარებისას ატრიბუტული განსაზღვრებაა. აღნიშნავს რაოდენობას მიახლოებით. მაგ.: **ოცდაათამდე** კაცი წავიდა დათვზე (ვაჟა, 5, 122); თითო პეპელამ **ხუთასამდე** კვერცხი დადო (გოგ., 205); როტას ზურნის ჭყვიტინით **ორმოცამდე** ქართველი მილიციელი მოსდევდა. (ჯავ., 4, 105).

ასეთი განსაზღვრება იშვიათად **მდე** თანდებულიანი ზედსართავი სახელითაც გადმოიცემა: ალი ახედავს ვარსკვლავებს და არავითარი მოსალოდნელი მოღრუბლულობა, არავითარი სისუსტიდან **მოძლიერომდე** ქარი. (ნ. დუმბაძე).

§98. ნაცვალსახელი განსაზღვრებად

ატრიბუტულ განსაზღვრებად ნაცვალსახელთაგან, გარდა პირისა და ურთიერთობითი ნაცვალსახელებისა, მეტ-ნაკლებად ყველა ჯგუფი იხმარება, მაგრამ ამ ფუნქციით უმეტესად ჩვენებითი, კუთვნილებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით, განსხვავებაა თვით ერთ ჯგუფში გაერთიანებულ ნაცვალსახელებს შორისაც. მაგ., კითხვით ნაცვალსახელთაგან **როგორი, რომელი, რამდენი** ჩვეულებრივ განსაზღვრებას გამოხატავენ, **ვინ** და **რა** კი – ქვემდებარე – დამატებას. ჩვენებითი ნაცვალსახელები წინადადებაში განსაზღვრებაა, მაგრამ ზოგი მათგანი (ეს, ეგ, ის) პირის ნაცვალსახელიც არის და ამის შესაბამისად ქვემდებარედ და დამატებად არის ნახმარი (**ის** მღერის, **ის** მოიყვანა...), **ხან** – განსაზღვრებად (**ის** ბავშვი მღერის).

ა) **ჩვენებითი ნაცვალსახელები** მიუთითებენ საგანზე, საგნის

სახელებია. მაგრამ ერთიცა და მეორეც განსხვავებული მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, „დიდი“ და „პატარა“. ზედსართავი სახელების მნიშვნელობა აქვთ ამ სიტყვებს შემდეგს მაგალითებში: ბევრი, ძალიან ბევრი ჯაფა მოელით ზაფხულში, მაგრამ ეს ფუტკრებს არ აღონებთ“ (გოგ.); „ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა“. (ხალხ.). ხშირად ზმნიზედებია: „სიკვდილი ბევრად სჯობია ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია“ (ვაჟა); „ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა, გამოუვლია ჭირი და ლხინი“ (ჭავ.); მატარებელმა ცოტა დაიგვიანა.

გაურკვეველ რაოდენობას გამოხატავს აგრეთვე „მრავალი“, რომელიც ხშირად ზმნიზედაა. მაგ.: „იქ შენი ძმებიც მრავლად არიან“ (ყაზ.); „ასეთი რამ მრავალჯერ ითქვა“. მსგავსად ზედსართავისა ეწარმოება უფროობითი ხარისხის ფორმაც.

ამ სიტყვათა ძირითადი, პირველადი მნიშვნელობა საგანთა გაურკვეველი რაოდენობის აღნიშვნაა, ასე რომ, უფრო მეტი საფუძველი გვაქვს იმისათვის, სამივე სიტყვა კვლავაც გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებად დასახელდეს.

ამათ შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ „ურიცხვი“, რომელიც აგრეთვე გაურკვეველ რაოდენობას აღნიშნავს. მაგ.: ბურსაჭირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იდგა. (ყაზ.).

ნიშან-თვისებასა და რაოდენობაზე. მიუგებენ კითხვებზე: **როგორი? რომელი? რამდენი?** აღნიშნავენ ამა თუ იმ პირთან სიახლოვესაც. მაგ.: დიდებული რამ არის **ეგ** მყინვარი (ჭავ., 255); **იმ** გზას დაადეგ, წადი, – და როცა ცხვირწამოწვდილი მთა შეგეყრება, **ის** მთა იქნება კუდი-გორაცა (ჭავ., 148); ჩხუბში **იმისთანა** სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შეგრცხვეს (ხალხ.); კაკალმაც **ისეთი** პასუხი მომცა, როგორიც მუხამ (რაზ., 90); **იმდენი** ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მენახა. (წერ., 1, 43).

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები აღნიშნავენ საზღვრული საგნის კუთვნილებას ნაცვალსახელით ნაგულისხმები პირისადმი. მიუგებენ კითხვაზე: **ვისი?** ეს ნაცვალსახელი კითხვით-კუთვნილებითია, რომელიც არსებით სახელთან ატრიბუტული განსაზღვრებაა. მაგ.: პატარა ჩემი ამხანაგები **ჩემს** გულჩვილობას იქ დასცინოდნენ (ჭავ., 152); **შენი** ამბავი, ეხლა მართალი, ზღაპრად მიუვა **ჩვენს** შვილიშვილებს (ჭავ, 151); ქალმა გამაცნო **თავისი** პატარა (ბარნ., 2, 135); მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ, – ესაა **მათი** ფიქრი და განზრახვა (ვაჟა, 6, 8); **ვისი** შვილი ხარ, პატარავ?

გ) **კითხვით ნაცვალსახელთაგან** ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია **რომელი, როგორი, რანაირი, როდინდელი, სადაური, რამდენი,** იშვიათად – **ვინ** და **რა**. ამავე ნაცვალსახელებისაგან არის ნაწარმოები მიმართებითი ნაცვალსახელებიც, რომლებიც ზოგჯერ ატრიბუტული განსაზღვრებებია. მაგ.: დარეჯან, აბა თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან ა იმ ფიცარზედ **რამდენი** ბუზი ზის? (წავ. 330); მეფემ აღარ იცოდა, **როგორი** მადლი გადაეხადა წერეთლისათვის (წერ.); ოჰ, **რანაირი** ტანჯვა გამოვიარე! (არაგვ.); **რომელ** მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? (წერ., 1, 8); – კაცი მოკლეს ... – **ვინ** კაცი? (ყაზ.,429); ის **რა** ხე იყო,იმათ რომ ხილი მოიპარეს? (ჭავ.,334); იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, **ვისიც** არ ითქმის სახელი (ჭავ., 101); **როგორიც** ავთანდილი შენ იყავ, მეც იმისთანა შერმადინობა გაგიწიე. (ჭავ.).

დ) ატრიბუტული განსაზღვრება გადმოიცემა განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებით: **ყველა, ყოველი, თვითოეული, სხვა... ერთი, ზოგი, ვიღაც, რაღაც, ვინმე, რამე**... მაგ.: **ყველა** ბუზი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუის (ანდ.); ამას იქმოდა **ყოველი** კაცი (ჭავ., 161); ჩვენ **თვითოეული** ფრინველის მოსვლა გვახარებს (გოგ.); ის **სხვა** ქვეყნისაკენ მიეშურება (რაზ.); იყო **ერთი** ღარიბი ცოლ-ქმარი (ხალხ.); **ზოგი** ჭირი მარგებელიაო (ანდ.); დაფრთხა **რომელიღაც** ფრინველი ბარდებში (გამს.); თუ გყავს **ვინმე** სტუმარი, სთქვი და გაათავე (ვაჟა, 6, 206); გამდელი... იტყოდა **რომელიმე** ზღაპარსა (არდ.); თეიმურაზმა ლასლასით **რამდენიმე** ნაბიჯი გადადგა. (ჭავ., 2, 416).

ზოგიერთ ნაცვალსახელთან (ყველა, ყოველი, რამდენიმე...) საზღვრული წევრი მხოლობითში დაისმის. ამიტომ თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით წინადადება **ყველა ფრინველები გზას უთმობენ** (ვაჟა, 5, 238) ასე შეიცვლება: ყველა ფრინველი გზას უთმობს.

§99. არსებითი სახელი ატრიბუტულ განსაზღვრებად

ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია **ზომის** სახელი (სანტიმეტრი, მეტრი, მტკაველი, ადლი, კილომეტრი, ჰექტარი, ქცევა...); **წონისა** (გრამი, მისხალი. კილოგრამი, ტონა, ფუთი...); **საწყაოსი** (კოდი, კასრი, ჭიქა, აბგა, ბოთლი, ჩაფი, დოქი, ორმო, ურემი, ვაგონი, გოდორი, გიდელი...), **პროფესიისა** (ექიმი, ვაჭარი, მებაღე, მასწავლებელი...), **წოდებათა** და **თანამდებობათა** სახელები (გლეხი, აზნაური, თავადი, პროფესორი, დოცენტი, დირექტორი...), აგრეთვე **მიმართვის** დროს სახმარებელი სიტყვები (ძია, დეიდა, მამიდა, ამხანაგი, ბატონი...) და ბევრი სხვაც (ხელი, ღერი, ძირი, ფრთა, უღელი, ცალი, წყვილი, თოფი, კომლი...)[161].

ატრიბუტულ განსაზღვრებას, რომელიც ზომის, წონის, ფართობის, საწყაოს ან რაიმე ერთეულის გამომხატველი არსებითი სახელით (ხელი, ფრთა, ძირი, უღელი...) არის გადმოცემული, ჩვეულებრივ ახლავს რიცხვითი სახელი ატრიბუტულ განსაზღვრებადვე რაოდენობის გამოსახატავად. მაგ.: ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და **სამ-სამი ადლი მიწა**? (ჭავ., 387); აქ თუნდა **ოთხი ჩაფი ღვინო** ჩაეტევა (ჭავ.); იქ **ერთი ორმო თხილი** მაქვს შენახული (ვაჟა, 6, 169); [ეფემიამ] **ერთი კასრი** ფქვილი გამტკიცა... (რაზ., 84); გლეხმა გათიბა **ცხრა ურემი თივა** (ევდ., 3, 251); [ეფემიამ] **ერთი ბატარა ლამბაქი** გოზინაყი მოადუღა (რაზ., 84); გუშინ... **ერთი აბგა** მწყერი გამოეგზავნა (ჭავ., 340); ვენახში **ათი-თორმეტი ძირი** ატამიც იდგა (ჯაფ., 62) დედამ შვილს ჩაულაგა **ერთი ხელი**... ქვეშაგები. (ჭავ., 447).

ატრიბუტულ განსაზღვრებად იშვიათად საწყისიც გამოიყენება, რომელიც „უმეტესად ოდენობის ერთეულის აღსანიშნავად იხმარება“[162]. ბაბალემ ჯიბიდან ამოიღო **ერთი გაბმა** აბრეშუმი. (ჭავ., 337).

§100. განსაზღვრება წინადადების სხვადასხვა წევრთან

განსაზღვრება, ატრიბუტული თუ სუბსტანტიური, შეიძლება ახლდეს არსებითი სახელით გადმოცემულ ყოველ წევრს, სახელდობრ:

ა) **ქვემდებარეს: გრილი ნიავი** ფოთლიანს არხევს (ჯავ., 4, 500); ...ამომავალი **მზის სხივები** მოეფინა დედამიწას. (კლდ., 1, 173).

---

[161] ა.შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 82.

[162] იქვე.

ბ) **პირდაპირ დამატებას**: პავლემ შვილებს **თბილი ტანისამოსი** უყიდა (ჯავ., 1, 118); მთათ **ორბის ფრთები** მოისხეს (ან. კალან.); ქარი ფანჯარას პეშვით აყრიდა **თოვლის ფიფქებს**. (კ. ლორთ., 1, 331).

გ) **ირიბ დამატებას: პაწაწინა ამბავს** ფარდა აეხადა (ჯავ., 3, 443); გადახრილი მზე **დარბაზის სარკმელს** ადგებოდა. (გვეტ., 401).

დ) **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს**: დათუნა ბარნაველი **დინჯი ჭაბუკია** (ჯავ., 4, 36); ეს წისქვილი **ბერას** წისქვილია. (ბარნ, 1, 12).

ე) **სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატებას**:

1. **მიცემითში დასმულს**: კარგა ხანს იჯდა ვანუას მტერი ყვავი **მოხარშულ კვერცხებზე** (რაზ., 162); ...ზედ **ხის შამფურებზე** აგებული ირმის მწვადი იწვებოდა (ვაჟა, 6, 339); ღამე... მიწას **ბნელს** სუდარაში ხვევდა. (ყაზ., 2, 387).

2. **ნათესაობითში დასმულს**: პატრონმა **გამოხარშული პარკებისაგან** წვრილი ძაფი ამოახვია (გოგ., 205); **მთიელის ცხოვრების შესახებ** მოძღვრის შეხედულება საიდუმლო არ იყო (ყაზ., 2, 461); მაგიდასთან მოჩანდა **უცნობი მხატვრის მიერ** უცნაურად დახატული შოთა რუსთაველის სურათი .(გვეტ., 152).

3) **მოქმედებითში დასმულს: ნადირის ხორცით** ძაღლებს ასუქებდნენ (ჯავ., 1, 120); აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება **თავის ცოლშვილით** ბაღის დასათვალიერებლად (ვაჟა, 6, 45); [სარდიონი] **ფქვილიანი ტომრითურთ** ჩავარდა ხრამში. (ჯაფ., 6).

4. **ვითარებითში დასმულს**: ტყე **უზარმაზარ ქალაქად** იქცა (ვაჟა, 6, 79); ...აგერ ესტატეც გამოჩნდა **თავის სტუმრებიანად** (ვაჟა, 6, 172); **ჯარის მოთავეებად**... გამოცდილი კაცები დააყენა. (ბარნ., 1, 991).

ა) **გარემოებას**:

1. **ადგილისას: დაბურულ ტყეში** დიდი მუხა იდგა (გოგ., 71); მგზავრებმა ერთ **დანგრეულ სახლთან** შეისვენეს (გვეტ., 489); **სოფლის მოედანზე** პატარა ბიჭები ბურთს თამაშობენ (ლ. კორთქ., 1, 394); **ალაყაფის კარებთან** მანქანამ სვლა შეანელა (ქიაჩ., 3, 200) უფრო გამალებული წავიდა პეტრე **ავლაბრის ბაკებისაკენ** (ჭავ.); **ღია კარებიდან** ქოხებში მზე უხვად შედიოდა. (გვეტ., 68).

2. **დროისას: მეორე გაზაფხულზე** ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია (რაზ., 140); **იმ ხანებში** მამაჩემი კახეთს წავიდა ერთის კვირით. (ვაჟა, 6, 316).

3. **ვითარების გარემოებას**: მამუკა **დასაკლავი ხარივით** აბღავლდა (გვეტ., 25); ქალი **ვერხვის ფოთოლივით** ათრთოლდა. (ბარნ., 1, 151).

4. **მიზეზის გარემოებას**: უთუოდ **ამ სისხლის გამო** მარიდებს პირიმზე თვალსა... (ვაჟა, 5, 238); **ლამპის უქონლობის გამო** ბოთლში ჩარჭობილი კარტოფილის სანთელი აენთო (გვეტ., 33); მთიული მთლად გაფითრდა **ამგვარი დამცირებისათვის**. (ყაზ., 1, 241).

5. **მიზნის გარემოებას**: იქ ყვავილები გაშლილა **ჩემს საზრდოდ**,

საწუწნელადო (წერ.); **წიწილებისა** და იმათ[ი] **დედების გულისთვის** მამალმა რამდენიმე ინდაური ცალ-ცალკე გალახა. (ვაჟა, 5, 152).

ბ) **განსაზღვრებას** (ატრიბუტულსა თუ სუბსტანტიურს) შეიძლება ახლდეს განსაზღვრება. აქ გასარჩევია რამდენიმე ძირითადი შემთხვევა:

1. **სუბსტანტიურ განსაზღვრებას** ახლავს **ატრიბუტული განსაზღვრება:** ირგვლივ **ჩამოცვენილი ფოთლების** სურნელი იდგა (გვეტ. 437); **ხმელი წიფლის** ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ. (ვაჟა, 5, 87).

2. **სუბსტანტიურ განსაზღვრებას ახლავს სუბსტანტიურივე განსაზღვრება:** დადიანმა კარგად იცოდა **მეფის ლაშქრის** მდგომარეობა (ბარნ., 1, 121); **შემოდგომის წვიმის** მსხვილი წვეთები ფოთლებზე შხაპუნობდნენ. (გვეტ., 450).

3. **ატრიბუტულ განსაზღვრებას ახლავს ატრიბუტული განსაზღვრება:** ბალღებს მინდვრიდან **ერთი შუჭა** წითელ-ყვითელი ენძელა მოეტანათ... (რაზ., 214); ეფემიამ ერთი **პატარა ლამბაქი** გოზინაყი მოადუღა. (რაზ., 84).

განსაზღვრება, როგორც ეს ზემოთ დამოწმებული მასალიდანაც კარგად ჩანს, ყველა წევრთან გვხვდება, მაგრამ ამ მხრივ განსხვავებაცაა. ქვემდებარე-დამატებასთან განსაზღვრების ხმარება ჩვეულებრივია, გავრცელებული, გარემოებასთან – იშვიათი. ერთგვარობა არც გარემოებებში გვაქვს, ზოგიერთ გარემოებას განსაზღვრება ხშირად ახლავს (მაგ., ადგილისას), ზოგს კი ძალიან იშვიათად (მაგ., მიზნისას). ეს ბუნებრივიცაა: **რაც უფრო ხშირია არსებითი სახელის გამოყენება ამა თუ იმ წევრის გადმოსაცემად, მით უფრო ხშირია მასთან განსაზღვრების ხმარება.**

§101. განსაზღვრების ადგილი

განსაზღვრება (ატრიბუტული თუ სუბსტანტიური) უსწრებს საზღვრულ წევრს (**პატარა** სახლი) ან მოსდევს მას (სახლი **პატარა**). თანამედროვე ქართულში ჩვეულებრივია წინ მდგომი (პრეპოზიციური) განსაზღვრება, მომდევნო (პოსტპოზიციური) განსაზღვრება კი იშვიათად იხმარება (ისიც უფრო პოეზიაში).

განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული წევრის იმ წყობას, რომელიც გაბატონებულია და ჩვეულებრივი თანამედროვე ქართულში, **პირდაპირი** ჰქვია, ხოლო იმ წყობას, რომელიც იშვიათად იხმარება, – **ინვერსიული** ანუ **შებრუნებული.** მაშასადამე, განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული წევრის წყობა ორგვარია: **პირდაპირი** და **ინვერსიული.**

განსაზღვრება, პრეპოზიციული თუ პოსტპოზიციური, ჩვეულებრივ უშუალოდ ეკვრის საზღვრულ წევრს: **მარინეს ძმა დაუღალავი მონადირე** იყო (ჯავ., 4, 176); **ვეღს მშვენიერსა** ჩასძინებოდა (ჭავ., 147); ფოთლები-

დან წკაპწკაპით ჩამოდიოდა **ცვარი წვიმისა**. (ვაჟა, 6, 138).

განსაზღვრება, ატრიბუტული თუ სუბსტანტიური, ზოგჯერ გათიშულია საზღვრული წევრისაგან სხვა წევრით თუ წევრებით; ასეთი გათიშვა ჩვეულებრივ ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული, მიმართავენ მას სტილისტიკური მიზნით. გათიშული განსაზღვრება შეიძლება უსწრებდეს საზღვრულ წევრს ან მოსდევდეს მას. მაგალითად: ჩამოუჭიმა ყურები მაგრად და თვალზედ **მზრუნველს** უსვამდა **ხელსა** (ჭავ., 151); **მზე** ეფინება **ნაზი** ქუთაისსა და თბილისს (ტაბ., 1, 326); **მთათ** რომ შეხედა **მაღალთა**, დაიქვითინა მწარედა (ვაჟა); **ზღუდე** გამაგრდა **ქართლისა** (ვაჟა); ცა მწყრალი **ყინულისასა** მიწას ესროდა **ზოდებსა** (ვაჟა); მთელი ღამე **ოდის** ჭრიალებდა **კარი**. (მ. ლებ.).

წინადადებაში ზოგჯერ წარმოდგენილია განსაზღვრება, საზღვრული წევრი კი გამოტოვებულია, მაგრამ კონტექსტის მიხედვით ადვილად იგულისხმება. „ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია, როცა საზღვრულის გამეორება არ ჰსურთ და სტილისტიკური მიზნით გამოტოვებენ ხოლმე“[163]. ასეთ განსაზღვრებას **განმარტოებული** განსაზღვრება ჰქვია. განმარტოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ სუბსტანტიურია: წიგნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენის სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, **ქალაქისას** სოფელში წაიღებს (ჭავ., 272); ამბობენ **ვაჟკაცობისას, თოფისასა** და **ხმლისასა** (ვაჟა); კაკლის ხეები ეზოებში და **ხილისანი** ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა. (ჭავ., 469).

ხშირია განსაზღვრების განმარტოება თავისებურ გამოთქმებში: „შე უბედურის **დღისავ**“ და მისთ[164]. კიდევ უფრო ხშირია, რომ განმარტოებულმა განსაზრღრებამ „სრულიად დაკარგოს კავშირი საზღვრულთან და ზმნიზედად იქნეს გამოყენებული ადგილისა და დროის აღსანიშნავად: ბიძისას, მამიდისას, შუაღამისას, გათენებისას, სადილობისას, ვახშმობისას და მისთ“[165].

განსაზღვრება ზოგჯერ პაუზით გამოეყოფა საზღვრულ წევრს და წინადადებაში განკერძოებით დგას (მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ). ასეთ განსაზღვრებას განკერძოებული ჰქვია (§150). მაგ.: კესოს ტახტზედ გადაეშალა დახაზული ქაღალდი, **სხვადასხვაფერად აჭრელებული** (ჭავ., 454); გვადის წინ ბრიგადირი ზოსიმე იდგა, **ცალგვერდით მისკენ მობრუნებული**. (ქიაჩ., 3, 56).

§102. რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან

საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება. **ერთგვარია** განსაზღვრებები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულ წევრს და ერთმანეთის მიმართ თანწყობილი

[163] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 93.
[164] იქვე, გვ. 94.
[165] იქვე, გვ. 94.

არიან. მაგ.: **ბნელი, თბილი** და **წყნარი** ღამე იყო (ჯავ., 1, 132); იმის ბინაში აგრეთვე მრავლად მოიპოვებოდა **ნისკარტები ბეღურასი, წიბრიასი,** ქერონა **ჩიტისა.** (ვაჟა, 5, 189).

ორივე მაგალითში სამ-სამი ერთგვარი განსაზღვრებაა: პირველში – ატრიბუტული, მეორეში – სუბსტანტიური. ერთგვარწევრებიან წინადადებას, როგორც ვიცით, შერწყმული წინადადება ჰქვია. მაშასადამე, ორივე წინადადება ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებაა (§145).

საზღვრულ წევრს შეიძლება ახლდეს რამდენიმე ატრიბუტული ან ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელნიც არ არიან ერთმანეთის მიმართ თანასწორი, თანწყობილი (ე.ი. ერთგვარი) წევრები. მაგ.: უკან **ერთი შავი საზარელი ობობა** მოსდევდა (რაზ., 113); საღირაშენში **დაბანაკებულს ქართველების ლაშქარს** ეძინა. (ბარნ., 1, 36).

პირველ მაგალითში საზღვრულს (ობობა) სამი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს (ერთი, შავი, საზარელი), მეორეში – ერთი ატრიბუტული – (დაბანაკებულს) და ერთიც სუბსტანტიური (ქართველების). ეს განსაზღვრებები არ არიან ერთგვარი წევრები, ამიტომ ორივე წინადადება მარტივია (და არა შერწყმული). ჩვენ აქ სწორედ ამ ტიპის განსაზღვრებებს განვიხილავთ, ე.ი. ისეთ შემთხვევებს, როცა საზღვრულ წევრთან დაკავშირებული განსაზღვრებანი არ არიან ერთგვარი, ერთმანეთის მიმართ თანწყობილი; ერთგვარგანსაზღვრებიანი წინადადება კი განხილული გვაქვს ქვემოთ როგორც ერთგვარწევრებიანი ანუ შერწყმული წინადადების ერთ-ერთი სახეობა (§145).

ა) **რამდენიმე ატრიბუტული განსაზღვრება ერთ საზღვრულთან.** საზღვრულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს ორი ან სამი ატრიბუტული განსაზღვრება, რომელნიც სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახასიათებენ საზღვრულით გადმოცემულ საგანს.

როცა საზღვრულ წევრს ორი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს, წყობა ორგვარია:

1. ორ ატრიბუტულ განსაზღვრებათაგან ერთი უსწრებს საზღვრულს, მეორე კი მოსდევს: **შორნი მნათობნი მოკამკამენი** იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ (ჭავ., 147); ნელად მოღელავს **მოდუდუნე მტკვარი ანკარა.** (ბარ.).

2. ორივე ატრიბუტული განსაზღვრება საზღვრული წევრის წინაა, პრეპოზიციურია. ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა, ზედსართავითა და მიმდეობით გადმოცემული – მეორე ადგილზე. მაგ.: [დათვმა] ... **ორი პატარა ბოკვერი** გამოიყვანა (ჯავ., 1, 118); **ერთი გამძღარი სვავი** კლდის თავზე იჯდა (ვაჟა, 6, 3); ფიცხლავ შეიკრიბა **ოცდაათი შეიარაღებული ვაჟკაცი** (გოგ., 231); **ჩვენი პატარა მდინარე**

მრისხანედ აბურცდა ... (გოგ., 195).

პირველ ადგილზე ის განსაზღვრებაა, რომელიც განსაზღვრავს საზღვრულს უახლოეს განსაზღვრებიანად.

ხშირია შემთხვევა, როცა ორივე განსაზღვრება ზედსართავი სახელით ან ზედსართავი სახელითა და მიმღეობით არის გადმოცემული, იშვიათად – მიმღეობებითა და ნაცვალსახელებით: მინდორში გაშლილიყო **მშვენიერი უსუნო ყვავილი** (გოგ., 7); **თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა** მოძრაობა დაიწყო (ჭავ., 406); აქ **შეფარებული დაჭრილი** ჯიხვი მონადირისაგან ხელშეუხებელი რჩებოდა ... (ყაზ., 2, 489).

საზღვრულ წევრს, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება ახლდეს სამი ატრიბუტული განსაზღვრება, რომლებიც, როგორც წესი, უსწრებენ საზღვრულს. ამათგან პირველი უმეტესად ან რიცხვითი სახელია, ანდა ნაცვალსახელი, მომდევნო ორი კი – ზედსართავები (ან ზედსართავი და მიმღეობა, ან კიდევ ზედსართავი და არსებითი). იშვიათად სამივე განსაზღვრება ზედსართავი სახელით არის გადმოცემული. ამ განსაზღვრებათაგან საზღვრულს უშუალოდ უახლოესი უკავშირდება, ყოველი წინა განსაზღვრება კი განსაზღვრავს მას მომდევნო განსაზღვრებიანად (განსაზღვრებებიანად). მაგ.: [ღამურას] მთელი ტანი **ერთს პატარა მოგრძო** გუნდას მიუგავდა (გოგ., 128); [კოდალამ] ახლაც გამოათრია **ერთი მსუქანი მოთეთრო** ჭია (ვაჟა, 6, 92); უკან **ერთი შავი საზარელი** ობობა მოსდევდა (რაზ., 113); აგერ **ის უზარმაზარი მოთეთრო ხე** ევკალიპტუსი გახლავთ (ჯავ., 3, 43); ეფემიამ **ერთი პატარა ლამბაქი გოზინაყი** მოადუღა (რაზ., 84); ია **მშვენიერი პაწაწინა სუნიანი** ყვავილია. (რაზ., 143).

ბ) ერთ საზღვრულთან დაკავშირებულ განსაზღვრებათაგან ერთ-ერთი სუბსტანტიურია, დანარჩენი – ატრიბუტული.

როცა საზღვრულ წევრს ერთი სუბსტანტიური და ერთი ატრიბუტული განსაზღვრება ახლავს, განსაზღვრებათა პოზიცია საზღვრულის მიმართ სხვადასხვაგვარია:

1. ატრიბუტული განსაზღვრება უსწრებს საზღვრულ წევრს, სუბსტანტიური კი მოსდევს მას (უშუალოდ ან გათიშულია მისგან). ამ უკანასკნელს შეიძლება ახლდეს თავისი განსაზღვრება. მაგ.: **ამოწვდილს ხმალსა მტრისასა** წინ მიაგებე ფარიო (ჭავ., 102); **ტკბილი ხმა** ისმოდა **სალამურისა** (ვაჟა, 5, 14); **მკრთალი ნათელი** სავსე **მთვარისა** მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა და **თეთრი** ზოლი შორის **მთებისა** ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა (ჭავ., 45).

2. ორივე განსაზღვრება საზღვრულის წინაა. უშუალოდ საზღვრულის წინ ხან ატრიბუტული განსაზღვრება დგას და ხან სუბსტანტიური. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საზღვრულთან და მათი გათიშვა არ იქნება. სხვა შემთხვევებში კი უშუალოდ საზღვრულის წინ შეიძლება იყოს ატ-

რიბუტული განსაზღვრება.

ა) ატრიბუტული განსაზღვრება პირველ ადგილზეა, სუბსტანტიური – მეორეზე (ე.ი. უშუალოდ საზღვრულის წინ): **დაწყვეტილი ტელეფონის მავთულები** გველის წიწილებივით სისინებდნენ (გვეტ., 217); ... ზედ ხის შამფურებზე **აგებული ირმის მწვადი** იწვებოდა (ვაჟა, 6, 339); ამ დროს მელიას სოროში **შემობარული მზის სხივი** მოჰხვდა. (რაზ., 60).

ბ) პირველ ადგილზე სუბსტანტიური განსაზღვრებაა, მეორეზე – ატრიბუტული: **ვაზის შეყვითლებულ ფოთლებში** მწიფე მტევნები ჩანდა (ს. კლდ., 133); მოედანზე **ცხენოსანთა მოზრდილი რაზმი** გამოჩნდა (ჯავ., 4, 474); მთვარე **ცეცხლის მრგვალი ბურთივით** ამოგორდა. (ჯავ., 1, 318).

ასეთ შემთხვევებში სუბსტანტიურ განსაზღვრებას, თავის მხრივ, შეიძლება ახლდეს განსაზღვრება: **შემოდგომის წვიმის მსხვილი წვეთები** ფოთლებზე შხაპუნებდნენ (გვეტ., 450); **ჩამავალი მზის ალმაცერი სხივები** ეთხოვებოდნენ ტბისპირულას კლდოვან ნაპირებს. (ჯაფ., 222).

შემოდგომის (შემოდგომის წვიმის) და **ჩამავალი** (ჩამავალი მზის) – ორივე განსაზღვრების განსაზღვრებაა (პირველი – სუბსტანტიური, მეორე – ატრიბუტული).

საზღვრულს შეიძლება ახლდეს ერთი სუბსტანტიური და ორი (და მეტი) ატრიბუტული განსაზღვრება. განსაზღვრებათა პოზიცია საზღვრულის მიმართ ანალოგიურია ზემორე განხილული შემთხვევებისა: პეტრეს **ეს ამისთანა პატივი შვილისა** ... ძალიან უხაროდა (ჭავ., 408); პირზე **შაქრის თეთრი სქელი ქაღალდი** ჰქონდა აფარებული (რაზ., 53); სახლში **ერთი თეთრი ბამბის ქულა** მეგულებოდა. (რაზ., 48).

განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების საზღვრულ წევრთან

§ 103. ძირითადი მოვლენები წინადადების საზღვრულ წევრთან განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობისა

განსაზღვრება და მისგან საზღვრული წევრი სახელებით (და მათთან გათანაბრებული სხვა სიტყვებით) გადმოიცემა. სახელს კი ქართულში, საზოგადოდ, ორი გრამატიკული კატეგორია აქვს: ბრუნება და რიცხვი. ამიტომ განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების საზღვრულ წევრთან ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, მნიშვნელობა აქვს: ა) ატრიბუტულია განსაზღვრება თუ სუბსტანტიური; ბ) პირდაპირია წყობა თუ ინვერსიული; გ) ატრიბუტული განსაზღვრება ბოლოხმოვნიანი სახელით არის გადმოცემული თუ ბოლოთანხმოვ-

ნიანით; დ) პრეპოზიციული განსაზღვრება საზღვრულთან დგას უშუალოდ თუ გათიშულია მისგან; ე) განმარტოებულია განსაზღვრება, თუ მასთან ერთად წინადადებაში წარმოდგენილია საზღვრული წევრიც; ვ) რა ტიპის სახელია ატრიბუტულ განსაზღვრებად; ზ) ებიან მრავლობითში დგას საზღვრული წევრი თუ **ნარ-თანიანში...**

§ 104. ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული

ზედსართავი სახელით (მიმღეობითურთ) გადმოცემული ატრიბუტული განსაზღვრება ძველ ქართულში მეტწილად მოსდევდა საზღვრულ წევრს, რიცხვითი სახელითა და ზოგიერთო ჯგუფის ნაცვალსახელით გადმოცემული განსაზღვრება კი უმეტესად უსწრებდა საზღვრულს.[166] მაგრამ ძველი ქართულისათვის უფრო დამახასიათებელია მომდევნო ანუ პოსტპოზიციური განსაზღვრება. განსაკუთრებით ხშირია პოსტპოზიციური განსაზღვრება ნათარგმნ ძეგლებში.[167] ამიტომ ასეთი წყობა (ე.ი. ჯერ – საზღვრული, შემდგომ – განსაზღვრება) ძველი ქართულისათვის პირდაპირ წყობად არის მიჩნეული, შებრუნებული კი (ე.ი. ჯერ – განსაზღვრება, შემდეგ – საზღვრული) – ინვერსიულად[168].

განსაზღვრება, როგორი სახელითაც უნდა იყოს ის გადმოცემული, ახალ ქართულში ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულს; ასეთი წყობაა ნორმა დღევანდელი ქართულისათვის, მომდევნო განსაზღვრება კი ძალზე იშვიათია (§101). მაშასადამე, ძველი ქართულისათვის ინვერსიულად მიჩნეული წყობა (დიდი სახლი) დღევანდელი ქართულისათვის პირდაპირია, პირდაპირ წყობად მიჩნეული კი (სახლი დიდი) – ინვერსიული.

არსებითი ხასიათის სხვაობაა ძველსა და ახალ ქართულს შორის ატრიბუტული განსაზღვრების საზღვრულთან შეწყობის თვალსაზრისითაც. განსაზღვრების საზღვრულთან შეწყობისათვის ძველ ქართულში არ ჰქონდა მნიშვნელობა არც წყობას (ე.ი. უსწრებდა ის საზღვრულს თუ მოსდევდა მას) და არც ფუძის დაბოლოებას (ე.ი. ბოლოთანხმოვნიანი სახელით იყო ის გადმოცემული თუ ბოლოხმოვნიანით); ატრიბუტული განსაზღვრება ყოველთვის ისევე სრულად დაირთავდა ბრუნვის ნიშნებს, როგორც საზღვრული. ამდენად, ატრიბუტული განსაზღვრების საზღვრულთან შეწყობის წესი ძველ ქართულში უფრო მწყობრი იყო და მარტივი, ვიდრე ახალში. მაგ.: „დიდი სახლი“ და „პატარა სახლი“ რომ ძველი ქართულის მიხედვით ვაბრუნოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: სახ.: დიდი სახლი,

[166] ვ. კახაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთაეში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 337-338; ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ.545, 556. ც. კალაძე. განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 83-84.

[167] ც. კალაძე, დასახელებული შრომა, გვ. 79.

[168] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 90.

პატარაჲ სახლი, მოთხრ.: დიდმან სახლმან, პატარამან სახლმან, მიცემ.: დიდსა სახლსა, პატარასა სახლსა, ნათეს.: დიდისა სახლისა, პატარისა სახლისა, მოქმედ.: დიდითა სახლითა, პატარითა სახლითა, ვითარ.: დიდად სახლად, პატარად სახლად, წოდებ.: დიდო სახლო, პატარაო სახლო. **ნარ-თანი**ან მრავლობითში დასმულ საზღვრულს განსაზღვრება ეთანხმებოდა რიცხვშიც. **ებ**იან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან კი გვხვდება როგორც შეთანხმების, ისე შეუთანხმებლობის შემთხვევებიც. მაგ.: დიდნი სახლნი, დიდთა სახლთა, დიდნო სახლნო, დიდები (ან დიდი) სახლები, დიდებმან (ან დიდმან) სახლებმან და შემდგომი.

ატრიბუტული განსაზღვრების შეწყობა საზღვრულთან ახალ ქართულში რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები მოკლედ ასეთია:

ა) პრეპოზიციული ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც ბოლოხმოვნიანი სახელით (სახელზმნითურთ) არის გადმოცემული, მხოლობითსა თუ მრავლობითში დასმულ საზღვრულს ფუძის სახით ეწყობა ყველა ბრუნვაში: დუდუნით მიდის **პატარა მდინარე** (ლორთქ., 2, 203); **პატარა გოგომ** ჩაფით წყალი მოარბენინა (კლდ., 1, 179); **პატარა მაროს** ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა (გოგ., 30); ვიწრო ხევიდან **პატარა მდინარის** შხუილი ისმოდა (ლორთქ., 2, 318); ...შტაბიდან ხაზზე ვბრუნდებოდი **პატარა რაზმით** (მიხ. მრევ.); რბილი, ბამბასავით ფაფუკი გინგლი **პაწაწა ბუმბულებად** გადაიქცა (რაზ., 309); ეჰ, არ დაგიჯდეს სიცოცხლის ფასად ეს სიმამაცე, **პატარა ქალო.** (ნონ., 52).

ახალ ქართულში აქა-იქ შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშანთა დართვითაც (მიცემითსა და ნათესაობითში და ანალოგიურად განვითარებული **ს** მოქმედებითში)[169]. მაგ.: მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია **მწვანეს** ბალახსა მთისასა (ვაჟა); **უცხოს** კაცისა მოზარევ, ხევსურთ მოგიკლეს ქმარია (ვაჟა); **მწვანის** ქათიბით კოხტაობს მთების კალთები ტყიანი. (ვაჟა).

ასეთი შეწყობა დღევანდელ ქართულში არ იხმარება. უნდა **მწვანე** ბალახს, **უცხო** კაცის, **მწვანე** ქათიბით.

ბ) საზღვრულის წინ მდგომი ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც ბოლოთანხმოვნიანი სახელით (მიმღეობითურთ) არის გადმოცემული, ახალ სალიტერატურო ქართულში საზღვრულს სხვადასხვაგვარად ეწყობა. ზოგიერთ ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან ატრიბუტული განსაზღვრების შეწყობის ერთი სახეობა გვაქვს, ზოგთან – ორი, ზოგთან – სამი.

1. სახელობითსა და წოდებითში დასმულ საზღრულთან ატრი-

---

[169] ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 87; ქართული ენის გრამატიკა, I, 1948, გვ.70.

ბუტული განსაზღვრება ყოველთვის დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. ასეა ჩვეულებრივ მაშინაც, როცა საზღვრული მოთხრობითშია. თუ საზღვრული ადამიანის საკუთარი სახელია, წოდებითში ფუძის სახით არის წარმოდგენილი, განსაზღვრებას კი დაერთვის ბრუნვის ნიშანი. მაგ.: ქუჩაში **მსუბუქი** მანქანა იდგა (ს. კლდ., 59); **მოზღვავებულმა** ხალხმა ცეცხლი მალე ჩააქრო (ვაჟა, 5, 190); ჰოი, **ბნელო** ღამევ, მეჯავრები შენ მე! (ჭავ., 257); მშვიდობით და გამარჯვებით, **გამარჯვებულო** გაბრიელ!... (ჭავ., 319).

განსაზღვრება მოთხრობითში დასმულ საზღვრულთან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნის მოკვეცითაც. „მაგრამ ამგვარი წარმოება ხელოვნურია და „პოეტური თავისუფლების" – licentia poetica-ს – გამოვლენად მიიჩნევა"[170]. მაგ.: გაქრა ის დროცა!... დიდმა ნაღველმა, კირთების ქვეშე **დაჩაგრულ** ბედმა, სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა (ჭავ.; 30); კვლავ ქვეყნისა **მჩაგრავ** ძალამ იგი დროშა დასცა დაბლა (ჭავ., 75); **დაბურულ** ტყემ თავჩაქინდვრით მთის კალთაზე მიიძინა (ტაბ.). ღამის სიცივით **შეყინულ** ცვარმა ხეთა ტოტები ჭირხლით გათოშა. (გრიშ).

2. მიცემითსა და ვითარებითში დასმულ საზღვრულთან შეიძლება იყოს ატრიბუტული განსაზღვრების შეწყობის ორი სახეობა:

ა) ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია, ე.ი. განსაზღვრება საზღვრულთან ფუძის სახით არის შეწყობილი: **გაფრენილ** ქორს ბაზიერები დაედევნენ (წერ., 1, 235); კლდეებს **შავ** ზეწრად ჯანღი გადაჰფარებოდა. (ვაჟა, 6, 326).

ბ) განსაზღვრება მიცემითი ბრუნვის ფორმით ეწყობა როგორც მიცემითში, ისე ვითარებითში დასმულ საზღვრულს: მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა **მშობელს** ქვეყანას ზედ მოჰფენოდა (ჭავ., 45); მეფეს ჯარი გაყოფილი ჰყავდა **სამს** ნაწილად. (გოგ., 256).

პირველი სახეობა დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია, მეორე კი შედარებით იშვიათად იხმარება. ეს უკანასკნელი გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია და ზოგჯერ ერთადერთიც. ასე, მაგალითად, თუ ატრიბუტულ განსაზღვრებად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ მიცემითსა და ვითარებითში ბრუნვის ნიშნის დართვა აუცილებელია (რომ არ აირიოს პირის ნაცვალსახელებში): ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს, მათს ამხანაგს; ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამხანაგად.

თუ ატრიბუტული განსაზღვრების ფუძედ მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული, ან კიდევ **ივ**-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელი, ბრუნვის ნიშნის დართვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც უნიშნო ფორმა შეიძლება გაგებულ იქნეს სხვა წევრად (მაგ., შდრ.: „ამას **შემთხვევითს** მოვ-

[170] **არნ. ჩიქობავა**, ქართული ენის ზოგადი დახასიათება; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 048.

ლენას უწოდებენ“ და „ამას **შემთხვევით** მოვლენას უწოდებენ“, „**პირველადს** სამედიცინო დახმარებას მოითხოვდნენ“ და „**პირველად** სამედიცინო დახმარებას მოითხოვდნენ“. „ამას **ჩვეულებრივს** მოვლენად მიიჩნევდნენ“ და „ამას **ჩვეულებრივ** მოვლენად მიიჩნევენ“).

თუ საზღვრულს უსწრებს რამდენიმე ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრება, უახლოესი ჩვეულებრივ ფუძის სახით არის შეწყობილი, სხვები კი შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნის დართვითაც, თუნდაც ბოლოხმოვნიანნი: **ახალგაზრდას, ლამაზსა** და **პატიოსან** ქვრივს მრავალი მთხოვნელი გაუჩნდა... (ჯავ. 4, 38); **შეშინებულსა** და **გაბრუებულ** მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა... (წერ., 1, 56); **ვიწროსა** და ჩაბნელებულ ტანას გაჰყვნენ. (ჯავ.).

ბრუნვის ნიშნის დართვა ხშირია მაშინაც, როცა ატრიბუტულ განსაზღვრებასა და საზღვრულს შორის ჩამდგარია ამ უკანასკნელის მართული განსაზღვრება ან სახელით გადმოცემული სხვა წევრი: საღირაშენში **დაბანაკებულს** ქართველების **ლაშქარს** ეძინა (ბარნ., 1, 36); აქ თითქმის **მთელს** თელავის **ახალგაზრდობას** ნახავდით. (ბარნ., 1, 70)

ვით თანდებულიანი სახელობითის ფორმასთან ატრიბუტული განსაზღვრება შეიძლება შეგვხვდეს ფუძის სახით, მიცემითში დასმულთან კი – სახელობითის ფორმით, რაც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით გაუმართლებელია: პავლე ხაფანგში **გაბმულ** მგელივით ტრიალებდა საღამომდე და **დაჭრილ** დათვივით ჰგმინავდა, ღმუოდა, ოხრავდა (ჯავ., 1, 111); ...მათი ტალღა **მორღვეული** გუბესავით შეიჭრა შიგნით (ჯავ., 4, 447); ...**გაფანტული** ბრბოსავით გაბრუნდნენ. (ჯავ., 4, 483).

გვაქვს: **ეს** კაცი, **ეგ** კაცი, **ის** კაცი, მაგრამ ვით თანდებულიან სახელობითთან მონაცვლე ფუძეა გამოყენებული: **ამ** კაცივით, **მაგ** კაცივით, **იმ** კაცივით.

3. ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც უშუალოდ უძღვის საზღვრულს და ბოლოთანხმოვნიანი სახელით არის გადმოცემული, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან ახალ ქართულში შეწყობის სამ სახეობას ქმნის:

1. განსაზღვრება წარმოდგენილია ნათესაობითის სრული დაბოლოებით: **ხმელის** წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ (ვაჟა, 5, 87); **დიდის** პატივით მიიღო მოსემ დავითი. (ჭავ., 362).

ასეთი შეწყობა დღევანდელ ქართულში იშვიათად იხმარება.

II. განსაზღვრებას მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი და გარეგნულად სახელობითის ფორმას ემსგავსება: ირგვლივ **ჩამოცვენილი** ფოთლების სურნელი იდგა (გვეტ., 437); მასპინძელი **დიდი** ამბით შეეგება სტუმარს.

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ასეთი შეწყო-

ბა ძირითადია.

III. ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია მთლიანად, ე.ი. განსაზღვრება ფუძის სახით არის წარმოდგენილი: არა მარტო **ტკბილ** ხმებისთვის გამომგზავნა ქვეყნად ცამა (ჭავ.); სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი გამიტაცებს **სუბუქ** ფრთითა (ჭავ.); **თეთრ** ზამბახების დგანან ფარდები (ტაბ.); **ყვითელ** ფოთლით შეიმოსა გაზაფხულის მთა და ველი. (ტაბ.).

მესამე სახეობა უფრო ხშირად პოეზიაში გვხვდება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ასეთი შეწყობა ძირითადია საერთოდაც. ასე, მაგალითად, თუ საკუთარ სახელს ატრიბუტულ განსაზღვრებად ახლავს **პროფესიის, თანამდებობის,** სამეცნიერო და სამხედრო **ხარისხისა** თუ **წოდების** აღმნიშვნელი ბოლოთანხმოვნიანი სახელი (აგრეთვე ზოგიერთი სხვაც: ამხანაგი, არტელი, გაზეთი, ჟურნალი, სტუდენტი...), იგი ფუძის სახით ოთხ ბრუნვაში შეწყობა საზღვრულს: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. მაგ.: **ექიმ** მაჩაბელს, **ექიმ** მაჩაბლის, **ექიმ** მაჩაბლით, **ექიმ** მაჩაბლად.

საკუთარი სახელის ატრიბუტულ განსაზღვრებას, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული, **დანართს** უწოდებენ. იგი განსაზღვრების ერთ-ერთ სახედ ითვლება. მაგ.: **ექიმი** მაჩაბელი, **პროფესორი** დოლიძე, თამარ **მეფე, გაზეთი** „იკერია“, დავით **რექტორი,** გოგია **უიშვილი** და სხვ.

ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც ბოლოთანხმოვნიანია და უშუალოდ უძღვის საზღვრულს, ისე შეწყობა, როგორც მხოლობითში დასმულს, ე.ი. არ ეთანხმება რიცხვში. მაგ.: მაღალი სახლები, მაღალმა სახლებმა, მაღალ სახლებს და შემდგომი. მრავლობითი რიცხვის უქონლობის საკომპენსაციოდ „ზოგჯერ ადგილი აქვს მსაზღვრელის ფუძის გაორკეცებას, რაც ერთგვარ მაგივრობას სწევს რიცხვის გამოხატვის საქმეში. ამ შემთხვევაში თვით საზღვრული შეიძლება მხოლობითშიც იდგეს. გაორკეცება თითქმის აუცილებელი ხდება, თუ საზღვრული საზოგადოდ მრავლობითს ვერ აწარმოებს“[171]. მაგრამ „ზოგჯერ გაორკეცებას სხვაგვარი ცვლილება შეაქვს მნიშვნელობაში: შავ-შავი=მოშავო, თხელ-თხელი=მოთხელო, ხმელ-ხმელი=მოხმელო“[172]. ამ შემთხვევაში ფუძეგაორკეცებულ ფორმებს ოდნაობითი ხარისხის მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ ატრიბუტულ განსაზღვრებად სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული რთული სახელია, რომელიც აგრეთვე მრავლობითი რიცხვის მაგივრობას სწევს. მაგ.: **ლამაზ-ლამაზი** ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდნენ (ხალხ.); იბერიელთა სოფელი... **მაღალ-მაღალი** ცხენები... ხალიბის ფოლადს ადნობენ

[171] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 95.
[172] იქვე, გვ. 96.

მამაცი ხალიბელები (ასათ., 72); **ფერად-ფერადი** სიზმრებივით ერთმანეთს გაჰყვნენ **ფერად-ფერადი** ბავშვობის წლები (ნონ., 6). წყალზე **წითელ-ყვითელი** ჭავლი ციმციმებდა (ჯავ., 4, 297); შემოდგომა მოვიდა **წითელ-ყვითელ** ფერებით (ასათ., 158); საბძლიდან გამოვიდა **მაღალ-მაღალი** კაცი. (ბარნ., 1, 167).

ნარიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს ატრიბუტული განსაზღვრება (ბოლოთანხმოვნიანი სახელი) ჩვეულებრივ ეთანხმება რიცხვში, **თან**იან მრავლობითში დასმულს დღევანდელ ქართულში ფუძის სახით ეწყობა (მაგრამ ეს ფუძე წარმომდგარია **თ**(ა)ს ჩამოკვეცით: მაღალნი მთანი, მაღალნო მთანო, მაღალ (<მაღალთა) მთათა. XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში მეტწილად შეთანხმებაა ორსავე შემთხვევაში; მოლხენით იყვნენ **უდარდელნი** მთიებნი ცისა! (ჭავ., 51); მთებს დაეკიდნენ **წვრილნი** ვარსკვლავნი (ვაჟა, 3, 64); ახოვანნო ფრინველნო, ვაუკაცნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან, უკან! (ვაჟა, 6, 351); რად ადენთ **ცივთა** წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით **ლაღთა** ხარ-ჯიხვთა (ვაჟა, 5, 318). **წარვლილთა** დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება (ჭავ., 128).

თუ ატრიბუტულ განსაზღვრებად ისეთი სახელია,რომლის ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტს გულისხმობს, საზღვრული წევრი მხოლობითში დაისმის: სერზედ მიდის **საძი მგელი** (ხალხ.); **ორი ათასი ქართველი** ხუმრობა არ გახლავსთ (წერ. 1, 230); **ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,** შემოხვეულო შუქთა ბადრებით. (ტაბ.).

სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებელია, როცა ამ ტიპის განსაზღვრებასთან საზღვრული მრავლობითშია: მწყემსთა შორის **მრავალი მოხევეები იყვნენ**... (ყაზ., 2, 270); **ყველა ფრინველები** გზას **უთმობენ**. (ვაჟა, 5, 238).

ნარ-თანიანი წარმოებისას საზღვრული და მისი ატრიბუტული განსაზღვრება შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითში: ...ბღარტებსავით გარს ვეხვიენით დედ-მამას **ორნი დანი** და **სამნი ძმანი** (ჭავ., 418); წაიშალა ამ **ორთა გვამთა** ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. (ჭავ., 387).

ასეთი შეწყობა იშვიათია და პრაქტიკულად მნიშვნელობა არცა აქვთ.

§105. მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული

მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება ეთანხმება საზღვრულს ყველა ბრუნვაში, მიუხედავად იმისა, ბოლოთანხმოვნიანი სახელით არის ის გადმოცემული თუ ბოლოხმოვნიანით.

სახელობითი ბრუნვა

ბაღში ვაზი **ობოლი** მეტის ლხენითა სტირის (ჭავ., 71); ხეზე შემოჯდა ჩიტი **პატარა**. (ვაჟა).

მოთხრობითი ბრუნვა

ვაჰმე, სიბერემ **წყეულმა** გრაკლად მომხარა წელშია (ვაჟა); ...ბედმა **უწყალომ** სხვა საქმისთვის არ მოაცალა. (ჭავ., 136).

მიცემითი ბრუნვა

ველს **მშვენიერსა** ჩასძინებოდა (ჭავ., 147); ქალის ქვითინსა **მდუღარეს** მთანი იწერენ მკერდზედა. (ვაჟა).

ნათესაობითი ბრუნვა

დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის **კარგისა** (ვაჟა); ანაზდად ისმის სიმღერა იადონისა **ნაზისა** (ასათ., 25); ... იმ ხის **წმინდის** ფოთოლი, ხილი საკვდავადაც დაჭრილს ეკურნებოდა. (ჭავ., 135).

მოქმედებითი ბრუნვა

გაჰყვა ნაბიჯით **ნელითა** (ვაჟა); რამ აატირა მოხუცი ეგრე ცრემლითა **ცხარითა** (ვაჟა); გადის დუმილი ოთახიდან ნაბიჯით **ზანტით.** (მ. მაჭ., 105).

ვითარებითი ბრუნვა

იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად **ბრწყინვალედ** ჩაეშვებოდა (ჭავ., 188); იმ ჩვენი ობლის სული კი იქცა პეპელად **ჭრელადა**. (ვაჟა).

წოდებითი ბრუნვა

...კლდეო **მაღალო**, შეინახე ჩემი ფესვები!... (ვაჟა, 5, 239); ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ **ტკბილო**! (ვაჟა, 6, 293); სუმბულო **ტურფავ**, მოიგონე მკაცრი ზამთარი. (ბარ., 26).

ნარ-თანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება ჩვეულებრივ ეთანხმება რიცხვშიც: ...და მას ფოთოლნიც **მოშრიალენი** ხშირად უფრთხობდნენ მოსვენებასა (ჭავ., 149); თვალნო **ლამაზნო**, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერსა ბასრობას (ბარ.); კავკასის მთების წვერთა **მაღალთა** ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი. (ჭავ., 125).

ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც: ნაქერალში დამდგარან თუშები **თექიანები**, გარს სანგლად შემოუვლიათ ხევები **ბექიანები** (ვაჟა); მოდიან, მაგრამ მასთან შეხვედრა ვერ გაუბედავთ ქუჩებს **პატარებს** (ასათ., 52); შედრკა, აკოცა ყვავილებს **გაშლილს**. (ასათ).

მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელით (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი) არის გადმო-

ცემული, მიცემითში დასმულ საზღვრულს ორმაგი მიცემითის ფორმით შეეწყობა: ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა ტკივილებს **ჩემსას**? (ასათ., 50); მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას **შენსას** სიკვდილის ხელი არ მივაკარო. (ნ. ნად.).

ში, ზე და **თან** თანდებულიანი საზღვრულის მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება თანდებულიანი ხდება. გაიფრენს გარეთ ღამეში **ბნელში** (ვაჟა, 3, 153); ზღვა ქუხდა ბურუსში **შავში** (ტაბ.). სისხლს არა სწოვდა მას თვის საზრდოდ, როგორც რამ ფითრი გალალებული მსხლის **ტოტზე დაჩაგრულზე** (ბარნ., 2, 316); ეს ორი დღეა, რატომღაც ვარ ხასიათზე **ისეთზე** (მ. მაჭ, 65); მინდა ახალ გზებზე გაჭრა, შეხლა ქართან **ახალთან**. (ლ. სულ.).

§106. გათიშული ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული

ატრიბუტული განსაზღვრების გათიშვა მეტწილად ხდება სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში, იშვიათად – სხვა ბრუნვებშიც. ასეთი განსაზღვრება, ბოლოთანხმოვნიანი თუ ბოლოხმოვნიანი, ყოველთვის სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, უსწრებს საზღვრულს თუ მოსდევს მას. ხმოვანფუძიანი სახელი სახელობით ბრუნვაში უნიშნო იქნება.

სახელობითი ბრუნვა

დიდი დააღეს ლაშები (ვაჟა, 4, 163); **ცივი** უბერავს **ნიავი** (ვაჟა); რაზე შეჰკრთი, **მტირალნი** რისთვის მომაპყარ **თვალნი**? (ჭავ., 42); **ცეცხლი** გუზგუზებდა **ძლიერი** (ბარნ., 2, 229); დილის **ნიავი** დაქროდა **ნელი**. (ჭავ., 199).

მოთხრობითი ბრუნვა

დღე ილულავდა თვალებსა, **ცივმა** დაჰბერა **ნიავმა** (ვაჟა); **ქარმა** დაჰბერა **ძლიერმა**. (ვაჟა).

მიცემითი ბრუნვა

ცოცხალს კი უნდა ეხუროს **ვაჟკაცსა** ქუდი თავზედა (ვაჟა); **უცნაურსა** ვგრძნობ **ძალასა** (ვაჟა); **მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა** ხარი ირემი რქიანი (ვაჟა); გაჭირდა, **გოლვას** ვერავინ ვერ უძლებს **ამისთანასა** (ერ.); **მთათ** რომ შეხედა **მაღალთა**, დაიქვითინა მწარედა (ვაჟა); [ბესიკი] სიამის **ბურუსში** გაეხვია **გაურკვეველში**... (ბარნ., 2, 311).

სხვა ბრუნვებში, როგორც უკვე ითქვა, ატრიბუტული განსაზღვრების გათიშვა ძალზე იშვიათია. მაგ.: თუშთ შაიჭირვეს ძალიან, **ცრემლით** ატირდნენ **ცხარითა** (ვაჟა); თუმც ჯერ არ არის ივრის წყლით სავსე, მაინც **სიცოცხლით** ცოცხლობს **ფარულით** (გრ. აბ.); ირემი დაჰვიწყებოდა, **ხედ** ქცეულიყო **ხმელადა** (ვაჟა, 3, 105); მთაო! გადმიშვი, **მაღალო**... (ყაზ.); ხმალო, გამიჭერ, **ფხიანო!** (ვაჟა).

გათიშული განსაზღვრება, რომელიც უსწრებს მოქმედებითშივე დასმულ საზღვრულს, ინარჩუნებს ამავე ბრუნვის **ით** დაბოლოებას. მაგ., ზემოთ მოყვანილ მაგალითში საზღვრულსა და მის განსაზღვრებას რომ ადგილები შევუნაცვლოთ, მივიღებთ: ...მაინც **ფარულით** ცოცხლობს **სიცოცხლით.**

ატრიბუტული განსაზღვრების გათიშვის შემთხვევები გვხვდება ძველ ქართულშიც.

განმარტოებული განსაზღვრება, მსგავსად გათიშული განსაზღვრებისა, იმ ბრუნვის ფორმას იღებს, რომელშიც საზღვრული წევრი ივარაუდება (და შეიძლება შეასრულოს საზღვრულის სინტაქსური ფუნქცია): თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით, ჩქარა ვიუბნებთ **სხვისასა** (ვაჟა); ერთ ხელში ხანჯალი მიჭირავს, **მეორეში** – ოქრო. (წერ., 1, 225).

§107. სუბსტანტიური განსაზღვრება და საზღვრული

სუბსტანტიური განსაზრვრება, როგორც უკვე ითქვა (§94), არსებითი სახელით ან არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი სხვა მეტყველების ნაწილით გადმოიცემა. მაგ.: **ლიზიკოს** დედასაც ხომ გაჰყვა მაშინ თავის **პატარების** დარდი (ბარნ., 3, 177); იმ **ჯალოცვლის** რქებში არწივი გაიკეთებდა ბუდესა (რაზ., 95); **ვიცის** დედა სტიროდაო, არ **ვიცისა** იცინოდაო. (ანდ.).

ასეთი განსაზღვრება მნიშვნელობის მიხედვით სხვადასხვაგვარია: აღნიშნავს კუთვნილებას (**სტუდენტის** წიგნი), მასალას (**აგურის** სახლი), დანიშნულებას (**ჩაის** კოვზი), საგანს, რომელიც ეკუთვნის საზღვრულით აღნიშნულ საგანს (**სახლის** მეპატრონე)...

თუ სასხვისო ქცევის ფორმა კუთვნილებითს ურთიერთობას გამოხატავს (სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის), ამავე ზმნათა საარვისო ქცევის ფორმასთან ირიბი დამატება სუბსტანტიურ განსაზღვრებად გადაკეთდება: **მგელს** ლეკვი უკვდება – **მგლის** ლეკვი კვდება; მონადირე **მგელს** ლეკვს უკლავს – მონადირე **მგლის** ლეკვს კლავს.

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც უშუალოდ უძღვის საზღვრულს, მართულია ნათესაობითში, საზღვრულის ბრუნებისას იგი არ იცვლება. მართული განსაზღვრება ახალ ქართულში ჩვეულებრივ გაუვრცობელია. მაგ.: **თამბაქოს ბოლი** დარბაზს ღრუბელივით ედება (ბან., 1, 61); ტყის ჰაერმა პავლე მალე გამოაცოცხლა (ჯავ., 1, 130); გადახრილი მზე **დარბაზის სარკმელს** ადგებოდა (გვეტ., 401); **ჭოტის ფრთების** შრიალი ჰაერში დაიკარგა (ჯავ.). **ვერცხლის ბადიით** შარბათი დაალევინეს... (ბარნ. 167); **ჯარის მოთავებად**... გამოცდილი კაცები დააყენა (ბარნ., 1, 99); მშვიდობა შენდა, **გახაფხულის სტუმარო**, მშვიდობა შენსა მოსვლას. (რაზ., 155).

მართული განსაზღვრება იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გავ-

რცობილი ფორმითაც, რაც მეტწილად ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული. **და**-ს წინ მდგომი მართული განსაზღვრება ჩვეულებრივ გავრცობილია. მაგ.: **ცისა** ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი, წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუჟოდა (ჭავ., 188); მაღლისა **მთისა** წვერზედა საფლავი გამითხაროდი (ვაჟა, 1, 5); ერთმა ქალმა ვერცხლისა და ოქროს კოვზები იყიდა.

მართულ განსაზღვრებას შეიძლება ახლდეს მართულივე განსაზღვრება: დადიანმა კარგად იცოდა **მეფის ლაშქრის** მდგომარეობა. (ბარნ., 1, 121). ნათესაობითში დასმულ სახელებს შორის თითქოს შეთანხმებაა, მაგრამ ეს მოჩვენებითია: ნამდვილად აქ ორივე სახელი მართულია თავ-თავისი საზღვრულის მიერ.

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას უშუალოდ, იშვიათად მართულ-შეთანხმებულია, რაც არც ძველი ქართულისათვის არის უცხო[173]. მაგ.: ქედანი დაფრინავს, წმინდა თევდორეს შესთხოვს **ოქროსას** ბოლოს და ფრთასა (ვაჟა); შენში **კაცისას** გრძნობას არ ხედვენ (ჭავ., 131); ძნელია, **დამარცხებისას** ამბავს ისმენდნენ დედანი. (ვაჟა, 2, 203).

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც მოსდევს საზღვრულს, ამ უკანასკნელს ეთანხმება მოთხრობითსა და მიცემითში, ხშირად წოდებითშიც (ე.ი. მართულ-შეთანხმებულია). სახელობითსა და ვითარებითში მართული გავრცობილი ფორმით არის შეწყობილი, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ასეთი წყობა არ იხმარება, მაგ.: მოვიდა შუაგული **შემოდგომისა** (ჭავ., 456); დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ **თთარაანთ ქვრივისამ** (ჭავ., 449); ბალახმა ცხვარი ამოიტყუა და მეც ამოვყევ ფარასა **ცხვრისას** (ჭავ., 192); ... და წყარო იგი წყაროდ **შვებისა** სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი (ჭავ., 135); მგოსანო **საქართველოსავ**, წამოიხედე ზეზედა (ვაჟა, 1, 181); გაშლილო მზეო, გავსილო მთვარევ, ღაჟღაჟა ვარდო **წინანდალისა**. (ასათ., 47).

მომდევნო სუბსტანტიური განსაზღვრება ზოგჯერ არაა შეთანხმებული მოთხრობითსა და მიცემითში, ხოლო სახელობითში (აგრეთვე ვითარებითში) გაუვრცობელი ფორმაა ნახმარი, რაც დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით მიუღებელია. მაგ.: აგერ მცხეთაც – სავანე გმირთა, დიდი აკლდამა დიდის **ცხოვრების** (ჭავ., 135): თითქოს ძალებმა **ბუნებისა** მხოლოდ შენ გიხმეს (ნ. ნად.): ... და ჭიკჭიკებდა, როგორც ბულბული, სიმღერას ქართლის **ბედნიერების**. (ასათ.).

---

[173] **ლ. კიკნაძე**, მართული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში; თბ., სახელმ. უნივერსიტ. შრომები, 45, 1951, გვ. 205-206; **ქ. ლორთქიფანიძე**, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ისტორიიდან ქართულში; პუშკინის სახელობის თბ., სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1959, გვ. 389-395.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით, უნდა იყოს: აკლდამა დიდი **ცხოვრებისა**, თითქოს ძალებმა **ბუნებისამ**, სიმღერას ქართლის **ბედნიერებისას**.

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც ბოლოუკვეცელი სახელით არის გადმოცემული (გარდა **ი**-ზე დაბოლოებულისა) და მოსდევს საზღვრულს, სახელობითში ფუძედ იყენებს ნათესაობითის გაუვრცობელ ფორმას და დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს. მაგ.: ლექსი **ვაჟასი**, მოთხრობა **ილიასი**, წიგნი **ნინოსი**, ამხანაგი **პეტრესი**, დედა **დუტუსი**, მაგ.: ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები **საქართველოსი** (ტაბ.); არჩილი ჩაფიქრდა, გაუკვირდა მიუხვედრელობა **კესოსი**. (ჭავ., 467).

სუბსტანტიური განსაზღვრება, რომელიც მოსდევს საზღვრულს, „თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტური და სინტაქსური ხასიათის საჭიროებით“[174].

თუ საზღვრული და მართული განსაზღვრება ისეთი სახელებით არის გადმოცემული, რომელთაც მრავლობითი ეწარმოებათ, ოთხი შემთხვევაა გასარჩევი[175].

ა) საზღვრული და მართული განსაზღვრება – ორივე მხოლობითშია: უხუცეს **ჭადრის ხეს** ფოთლები დასცვივდა. (გრიშ., 452).

ბ) საზღვრული მრავლობითშია, განსაზღვრება – მხოლობითში: **ვერხვის ფოთლებმა** თრთოლა დაიწყეს. (ვაჟა, 5, 95).

გ) საზღვრული მხოლობითშია, განსაზღვრება – მრავლობითში: ტანზე **ყვავილების** და **ფოთლების კაბა** ეცვა (ვაჟა, 6, 139).

დ) საზღვრული და მართული განსაზღვრება – ორივე მრავლობითშია: **ხეების ტოტებმა** თახთახი იწყეს სიბრაზისაგან... (ვაჟა, 6, 139).

თუ მართულ განსაზღვრებად მრავლობითის უქონელი სახელია, ხოლო საზღვრულად – ისეთი სახელი, რომელსაც მრავლობითიც ეწარმოება, ორი შემთხვევა გვაქვს:

ა) საზღვრული და მართული განსაზღვრება – ორივე მხოლობითშია: **ივანეს ცხენი** მეზობლის სიმინდში შეიპარა. (გოგ., 8).

ბ) მართული განსაზღვრება მხოლობითშია, საზღვრული – მრავლობითში: ქარი აშრიალებდა **სიმინდის** გამხმარ **კლერტოებს**. (გამს., 1, 336).

ორი შემთხვევაა გასარჩევი მაშინაც, როცა მართულ განსაზღვრებას მრავლობითი ეწარმოება, საზღვრულად კი მრავლობითი რიცხვის უქონელი სახელია.

ა) მართული განსაზღვრება და საზღვრული – ორივე მხოლობითშია: **ვეშაპის სისხლი** ნაკადულად ჩადიოდა მტკვარში. (ბარნ., 1, 78).

---

[174] **გ. თოფურია**, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 361.

[175] **ე. ნიკოლაიშვილი**, საკუთარი სახელი მსაზღვრელად ძველ ქართულში; სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 324-326.

ბ) მართული განსაზღვრება მრავლობითშია, საზღვრული – მხოლობითში:

ვეშაპების სისხლი ნაკადულად ჩადიოდა მტკვარში.

თუ საზღვრული და მართული განსაზღვრება მრავლობითი რიცხვის უქონელი სახელებით არის გადმოცემული, მათი დაკავშირების ერთი შემთხვევა გვაქვს: ორივე მხოლობითშია: **თამბაქოს ბოლი** დარბაზს ღრუბელივით ედება (ბარნ., 1, 61); **თრიალეთის ცა** სისხლის ფერად იღებება. (ჯავ., 4, 358).

მართული განსაზღვრების რიცხვის ფორმა არ არის გამოწვეული სინტაქსური ურთიერთობით.

ზოგიერთი სახელი მართულ განსაზღვრებად **თანიანი** მრავლობითით იხმარება: **მწერალთა** კავშირი, **მეცნიერებათა** აკადემია **ხელნაწერთა** ინსტიტუტი.

მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებას მრავლობითის ფორმა ჩვეულებრივ **ნარ-თანიანი** აქვს[176].

თუ საზღვრული წევრი **ნარ-თანიან** მრავლობითში დგას, მომდევნო სუბსტანტიური განსაზღვრება მართულია ბრუნვაში და შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში სახელობითში, მოთხრობითმიცემითსა და წოდებითში, სხვა ბრუნვებში არ იხმარება. მაგ.: დალეწილები ეყარნენ **აბჯარნი** ჩემის **ძმისანი** (ვაჟა, 3, 19); **ქორშავარდენნი** მაღლის **მთისანი** სოფელს მთებიდან თვალს ადევნებდნენ (ვაჟა, 3, 60); მიგცემ, გათრიონ ყუნჭივით **ტალღთა** არაგვის **წყლისათა** (ვაჟა, 3, 49); **არწივთა** მაღლის **მთისათა** ნეტავ რად უნდათ მქებარი! (ვაჟა, 3, 8); **ძალნო ბუნებისანო**, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი! (ვაჟა, 6, 5).

სუბსტანტიური განსაზღვრება ზოგჯერ გათიშულია საზღვრულისაგან (სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში). თუ წინ დასმული სუბსტანტიური განსაზღვრება გათიშულია საზღვრულისაგან, ისევე როგორც მომდევნო, ის მართულ-შეთანხმებული ხდება (გარდა სახელობითისა)[177], მაგ.; თეთრ **ზამბახების** დგანან ფარდები (ტ. ტაბ.„); **სისხლისამ** მორწყო წვიმამა... (ვაჟა, 3, 12); ცა მწყრალი **ყინულისასა** მიწას ესროდა ზოდებსა (ვაჟა, 3, 306); **სიყვარულისასა** დავწნავ გვირგვინსა (ვაჟა, 5, 228); **სიყმაწვილისას** ვიგონებ ზღაპრებს (ტაბ.).

განმარტოებული სუბსტანტიური განსაზღვრება ფორმის თვალსაზრისით ყოველთვის მართულ-შეთანხმებულია (გარდა სახელობითისა მხოლობითში)[178]: კაკლის ხეები ეზოებში და **ხილისანი** ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა (ჭავ., 469);

---

[176] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 91.
[177] იქვე, გვ. 93.
[178] იქვე, გვ. 93-94.

ხმალს აშველებენ ფარებსა, **მტრისას** დაიკვრენ ძვირადა (ვაჟა); ხან ერთის ჯიბეში ვიყავი და ხან **მეორისაში** (წერ., 8, 131); არ გეყურება, შე უბედურის **დღისავ**, რომ მძიმე საქმე მაქვს-მეთქი!... (ჭავ., 301); ხბოს ტყავი თხელიაო, **ხარისა** – სქელი.

„ასეთ შენმთხვევაში **ვითარებითშიც** კი შეთანხმება გვაქვს: თავის თავს არ თვლიდა სოფლის **მცხოვრებლად**, არამედ – **ქალაქისად**“[179].

განმარტოებული განსაზღვრება თანდებულიანია, თუ გამოტოვებულ საზღვრულად თანდებულიანი სახელი იგულისხმება:... ხევსურებმაც თავიანთ „ტალავარ“ ნაყიდ **ფარჩისაზე** გაცვალეს (ვაჟა, 7, 263); ფშაველ გლეხთა ცხოვრება შედარებით **ბარელებისასთან** სრულიად სხვა ნიადაგზეა აღმოცენებული... (ვაჟა, 7, 265); ჩვენს ყანაში სიმინდი ეთესა, **მეზობლისაში** – ქერი.

თან თანდებულის დართვისას შენახულია მიცემითი ბრუნვის ნიშანი (ბარელებისა-ს-თან), ზე და ში თანდებულების დართვისას კი დაკარგულია (ფარჩისაზე<ფარჩისასზე, მეზობლისაში<მეზობლისასში).

შენიშვნა: ამ და მე-9 პარაგრაფში სუბსტანტიური განსაზღვრება და მისი მიმართება საზღვრულთან განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისის შესაბამისად. ა. დავითიანის აზრით, „გენეტივის მორფმა სადერივაციო მნიშვნელობა მიიღო“ და ეს თვალსაზრისი სწორად ვერ ასახავს სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობას (იხ. §9). ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა თ. უთურგაიძის გამოკვლევა: „სუბსტანტიური მსაზღვრელი ძველსა და თანამედროვე ქართულში“ (ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთორმეტე, 2004). გამოკვლევაში დაბეჯითებით არის აღნიშნული, რომ მართული და მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი ენაში არ არსებობს. გამოკვლევის დასაწყისშივე წერია: „რადგან საზღვრულიცა და მსაზღვრელიც ორივე სახელია და ერთი და იგივე გრამატიკული კატეგორიები (ბრუნება, რიცხვი) აქვთ, საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის თეორიულად გამორიცხულია მართვა, ე.ი. არ არსებობს არც მართული მსაზღვრელი და, მით უმეტეს, არც მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი, რაც თავის მხრივ ორმაგ ბრუნებას ვარაუდობს“. „ძველი ქართულის – ის/ისა წარმოქმნის ელემენტია“. ისინი „ფუძის ლექსიკური შემადგენელია და არა ფლექსიური ელემენტი“ (გვ. 170).

§108. სუბსტანტიური განსაზღვრების გარჩევა უბრალო დამატებისაგან

სუბსტანტიური განსაზღვრება, როგორც ვიცით, მართულია ან მართულ-შეთანხმებული. ასეთივეა ფორმის თვალსაზრისით ზოგი სახის უბრალო დამატებაც (ქვემდებარისებრი, პირდაპირისებრი). ამ შემთხვევაში განსაზღვრებას და უბრალო დამატებას შორის გარეგნული განსხვავება არაა: ერთიცა და მეორეც მართულია ან მართულ-შეთანხმებული. მაგალითად, ამ წყვილებში: **ამხანაგის** წიგ-

[179] ვ. თოფურია, ნანათესაობითარი მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან, გვ. 360.

ნი, **ამხანაგის** წასვლა, **ამხანაგის** წაყვანა – სიტყვა **ამხანაგის** წინადადების სხვადასხვა წევრია. პირველ წყვილში განსაზღვრებაა, მეორეში (**ამხანაგის** წასვლა) – ქვემდებარისებრი უბრალო დამატება, მესამეში – (**ამხანაგის** წაყვანა) – პირდაპირისებრი დამატება. **ამხანაგის** სამსავე შემთხვევაში მართული სახელია ნათესაობითში. ახლა ავიღოთ ასე: წიგნმა **ამხანაგისამ**, წასვლამ **ამხანაგისამ**, წაყვანამ **ამხანაგისამ**. ამხანაგისამ მართულ-შეთანხმებული სახელია, მაგრამ პირველ წყვილში განსაზღვრებაა, მეორესა და მესამეში – უბრალო დამატება (ქვემდებარისებრი – მეორე წყვილში, პირდაპირისებრი – მესამეში).

ფორმის თვალსაზრისით, როგორც ვხედავთ, განსაზღვრებასა და უბრალო დამატებას შორის განსხვავება არ არის, ხოლო შინაარსის მიხედვით ისინი სხვადასხვაა. სახელთან შეწყობილი სახელი (ამხანაგის წიგნი, წიგნმა ამხანაგისამ) აღნიშნავს კუთვნილებას და განსაზღვრებაა, სახელზმნასთან (ამ შემთხვევაში საწყისთან) შეწყობილი სახელი რეალური სუბიექტია (ამხანაგის მოსვლა, მოსვლამ ამხანაგისამ) ან ობიექტი (ამხანაგის წაყვანა, წაყვანამ ამხანაგისამ), ე.ი. დამატებაა. „განსხვავება იმისაგან წარმოდგება, რომ მიმართება სახელისა სახელთან სხვაა და ზმნისა სახელთან კიდევ სხვა. საწყისი უბრალო სახელი კი არ არის, არამედ ზმნა-სახელია“[180].

პრედიკატული განსაზღვრება

§109. პრედიკატული განსაზღვრების რაობა

მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაცია გრამატიკულ ლიტერატურაში სადავოდ არის ქცეული. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორიცაა: ილია **გახარებული** გამოვიდა გარეთ (გვეტ.,251); ლუარსაბი **გაშტერებული** იდგა (ჭავ., 353) და მისთ. მართლაც, რა წევრია დამოწმებულ წინადადებებში **გახარებული** და **გაშტერებული**?

ასეთი საცილობელი ფორმები ახალ ქართულსა და ქართული ენის ცოცხალ კილოებში ფართოდ არის გავრცელებული. იგი არც ძველი ქართულისა და სხვა ქართველური ენებისათვის არის უცხო[181].

აღნიშნულ ფორმათა თავისებურება შენიშნული ჰქონდა ზოგიერთ ძველ გრამატიკოსსაც. მაგ., **თ.ჟორდანია**, რომელსაც შემასმე-

---

[180] **ა. შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 92.

[181] **ა. ღლონტი**, ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში: ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1955, გვ. 255-256; **ი. იმნაიშვილი**, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 678. ჩვენი: მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისათვის, ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №12, 1957, გვ. 35.

ნელთან დაკავშირებული სიტყვები, გარდა ქვემდებარისა, დამატებით სიტყვებად აქვს დასახელებული, წერს: „დამატებითად დაიდება სახელობითი ბრუნვა, გარნა თითქმის მუდამ მიმღეობათაგან წარმოებულნი ანუ მიმღეობითნი ზედ-შესრულნი, მაგ., **ჭაბუკი წარვიდა მხიარული** (და არა: **მხიარული** ჭაბუკი, არცა: წავიდა **მხიარულად**); პეტრე ვნახე **ფერმკრთალი, შუბლ-შეკრული, მოწყენილი**, სკამზე **მჯდარი.** სიტყვები: მხიარული, მ-კრთალი და სხვ. ზმნებისაგან წარმოებულია (მიმღეობანი) და დამატებითად ხმარებული“[182].

თ. ჟორდანიასათვის, როგორც ეს მოყვანილი ადგილიდანაც კარგად ჩანს, დასახელებული ფორმები არც ჩვეულებრივი განსაზღვრებაა და არც ვითარების გარემოება.

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ასეთი ფორმები, **ი.იმნაიშვილის** აზრით, სინტაქსურად ზმნასთან არის დაკავშირებული, ვითარების გარემოების კითხვაზე (როგორ?) მიუგებენ და ამის გამო ვითარების გარემოებად უნდა იქნენ მიჩნეული[183]. „ამგვარი ვითარების გარემოება, – წერს **ი.იმნაიშვილი**, – წარმოშობით განსაზღვრება იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან მიატოვა თავისი ჩვეულებრივი ადგილი (ქვემდებარის წინ) და ზმნას დაუახლოვდა და დაუკავშირდა, ის ვითარების გარემოებად იქცა“[184].

ი. იმნაიშვილი ამ საკითხს უფრო ვრცლად ეხება წიგნში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, სადაც მიმღეობის ზემოთ დასახელებული ტიპის ფორმები კვლავ ვითარების გარემოებად არის მიჩნეული. ამ მოსაზრების გასამაგრებლად ავტორს რამდენიმე ახალი საყურადღებო საბუთიც მოჰყავს[185]. მაშასადამე, მიმღეობის დასახელებული ფორმები, **ი.იმნაიშვილის** აზრით, წინადადების **დამოუკიდებელი** წევრია, სახელდობრ, **ვითარების გარემოება**.

დასახელებული ტიპის მიმღეობის ფორმათა სინტაქსური როლის გარკვევას სპეციალური წერილი მიუძღვნა **ა.ღლონტმა**, რომელიც ასეთ ფორმებს რთული ანუ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მიიჩნევს. გარდა გარემოებისა, ... „შემასმენელთან შეიძლება გაჩნდეს ატრიბუტივიც, რომელიც მაშინ დაკარგავს სინტაქსურ კავშირს სახელთან და ზმნას მიეკედლება. ასეთ შემასმენელს ჩვენ ატრიბუტივიანს ვუწოდებთ.

ატრიბუტივიანი შემასმენელი, – განაგრძობს ავტორი, – რთული შემასმენლის ერთ-ერთი სახეობაა. ამიტომ ქართულში შემასმენე-

---

[182] თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, 1889, გვ. 121.

[183] ი. იმნაიშვილი, შედგენილი შემასმენელი ქართულში, გვ. 211-212.

[184] იქვე, გვ. 212.

[185] ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 675-679.

ლი გვაქვს: **ზმნური, მარტივი** (დაღლილი კაცი მიდის), **შედგენილი, რთული** (კაცი **დაღლილი იყო**), **ატრიბუტივიანი რთული** (კაცი **დაღლილი მიდის**)"[186].

მაშასადამე, **ა.ღლონტის** აზრით, მიმღეობის დასახელებული ტიპის ფორმები დამოუკიდებელი ანუ ცალკე წევრი კი არ არის, არამედ ნაწილი წინადადების წევრისა, სახელდობრ, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი.

ორივე მოსაზრებას გარკვეული საფუძველი აქვს. არგუმენტები, რომლებიც მოხმობილია ამ ორი ერთიმეორის გამომრიცხველი მოსაზრების დასასაბუთებლად, საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მიმღეობის (და სახელის) საცილობელი ფორმები **არც ვითარების გარემოებაა** და **არც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი**, არამედ – განსაზღვრების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც **ბრედიკატული** ანუ **შემასმენლური განსაზღვრების** სახელით არის ცნობილი[187].

ვითარების გარემოება ზმნა-შემასმენლის „განსაზღვრებაა" ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. იგი უფორმო სიტყვით ამ სახელისა თუ სახელზმნის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით გადმოიცემა და თანაბრად შეეწყობა ზმნის პირიანსა და უპირო ფორმებს (ფაქიზად იცვამს ან იცვამენ. ფაქიზად ჩაცმა, ჩაცმული; გაოცებით უყურებდა ან უყურებდნენ, გაოცებით ყურება და მისთ.). მიმღეობისა და სახელის საცილობელი ფორმები შეიძლება იდგეს არა მარტო სახელობითში, არამედ მოთხრობითსა და მიცემითშიც (უთანდებულოდ). ეს ფორმები შეიძლება შეიცვალოს რიცხვის მიხედვითაც. ასეთი ფორმაცვალება ვითარების გარემოებისათვის შეუძლებელია. ამდენად, ზემოთ დასახელებულ მაგალითებში **გახარებული, გაშტერებული**, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ ვითარების გარემოებად.

მიმღეობა (და სახელი), რომელიც ზმნასთან არის დაკავშირებული, ხშირად მართლაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. მაგრამ ეს ხდება არა ყოველგვარ, არამედ ზოგიერთ ზმნასთან, რომელიც დამხმარე ანუ მეშველი ზმნის როლს ასრულებს. მაგ., მიმღეობები შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, როცა ვამბობთ: ილია **გახარებული იყო**, ლუარსაბი **გაშტერებული დარჩა**, ქალი **დაღონებული ყოფილა**, ქალი **გულშეწუხებული ჰყავს** და მისთ. ამ შემთხვევაში შემასმენლის გამოხატვის ძირითად როლს მიმღეობა ასრულებს, ხოლო ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა დასუსტებულია და დამხმარე სიტყვამდე არის ჩამოქვეითებული. საცილობელ

[186] ა. ღლონტი, ატრიბუტივიანი შემასმენელი ქართულში, გვ. 254-255.

[187] **Е. И. Шендельс**, Грамматика немецкого языка, 1952, გვ. 258-262. **В. Г. Адмони**. Введение в синтаксис современного немецкого языка. М. 1955, გვ.. 358-364; Е.В. Гулига. **М. Д. Натанзон**, Грамматика немецкого языка, М., 1957, გვ.. 268.

შემთხვევებში კი მიმღეობა და ზმნის პირიანი ფორმა – ორივე სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, მათ ცალ-ცალკე დაესმის კითხვა და, ამდენად, ერთიცა და მეორეც წინადადების დამოუკიდებელი წევრია; ზმნის პირიანი ფორმა შემასმენელია, მიმღეობა კი ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული განსაზღვრებაა.

შედგენილ შემასმენელში, როგორც წესი, ერთი სახელადი ნაწილი გამოიყოფა. ისეთი ფორმები კი, რომელთაც ჩვენ პრედიკატულ განსაზღვრებას ვუწოდებთ, ზმნას ერთდროულად შეიძლება ახლდეს ორიც (არაერთგვარი, ე.ი. მარტივ წინადადებაში), რაც აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ ასეთი ფორმები არ შეიძლება იყოს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. მაგ.: ...გიორგი **ცოცხალ-მკვდარი** ნახეს დედამიწაზე **ჰირქვედამხობილი** (ჭავ., 458); [ოთარაანთ ქვრივი] ცოტა ხანს ეგრე **ხელდაბჯენილი** იდგა **გარინდებული** (ჭავ., 472); დარიკო **ხმაგაკმენდილი** იჯდა მწუხარებისაგან **კრიჭაშეკრული**. (კლდ., 1, 141).

§110. პრედიკატული განსაზღვრების ძირითადი ნიშნები

პრედიკატული ანუ შემასმენლური განსაზღვრება წინადადების არამთავარი წევრია, რომელიც შემასმენლის ჯგუფში შედის, მაგრამ ამასთანავე დამოკიდებულია ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტზე და საგანს (ქვემდებარეს ან დამატება-ობიექტს) ახასიათებს ანუ განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით. იგი ერთდროულად ზმნასთანაც არის დაკავშირებული და ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტთანაც. ასეთი განსაზღვრება ჩვეულებრივ აღნიშნავს არა საგნის მუდმივ ან რამდენადმე ხანგრძლივად დამახასიათებელ ნიშანს, არამედ დროებითს, მომენტურს, ე.ი. ისეთს, რომელიც მისთვის (საგნისათვის) დამახასიათებელია ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების პროცესში. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს **სულგანაბული** ამ ორ წინადადებაში: „**სულგანაბული ნიბლია** შესცქეროდ ალალს“ და „ნიბლია **სულგანაბული** შესცქეროდა ალალს“. (რაზ., 6). პირველი წინადადება რომ დავაწყვილოთ მივიღებთ: **სულგანაბული ნიბლია, ნიბლია შესცქეროდა, შესცქეროდა ალალს.** აქ **სულგანაბული** ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრებაა, რომელიც წყვილში ქვემდებარესთან შედის და ამ უკანასკნელს განსაზღვრავს ზმნა-შემასმენლისაგან დამოუკიდებლად. მეორე წინადადების წყვილებია: **ნიბლია შესცქეროდა, სულგანაბული შესცქეროდა, შესცქეროდა ალალს.** აქ **სულგანაბული** შემასმენელთან შედის წყვილში, მაგრამ ამასთანავე დაკავშირებულია ქვემდებარესთან, რომელსაც განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების დროსთან მიმართებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ნიბლია **სულგანაბული** შესცქეროდა ალალს“, – ეს იმას ნიშნავს, რომ ნიბ-

ლია იმ მომენტში იყო **სულგანაბული**, როცა ის ალალს შესცქეროდა. მაშასადამე, **სულგანაბული** ამ შემთხვევაში პრედიკატული განსაზრვრებაა, რომელიც გამოხატავს ისეთ ნიშანს, რომელიც საზღვრულ საგანს ახასიათებს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების პროცესში, მაგრამ საერთოდ მისთვის (საგნისათვის) ეს დამახასიათებელი არ არის.

პრედიკატული განსაზღვრება ზოგჯერ ისეთ ნიშანსაც გამოხატავს, რომელიც საგანს მუდმივად ან დროის ხანგრძლივს მონაკვეთში ახასიათებს, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევი თუ ყურადღება გასამახვილებელი ხდება ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების მომენტში. მაგ.: **დიდი** და **თვალტანადი** იდგა იგი მთისკაცის წინ. (ქიაჩ., 3, 468).

პრედიკატული განსაზღვრება სხვადასხვა იერს ატარებს, მაგრამ მიუხედავად ამა თუ იმ იერისა, პრედიკატული განსაზღვრებისა და შემასმენლის ურთიერთობის ყველა შემთხვევისათვის საერთოა ის, რომ კავშირი მათ შორის არის დროის მიხედვით.

პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარეს განსაზღვრავს, მაგრამ იგი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება განსაზღვრავდეს დამატება-ობიექტსაც (პირდაპირსა და ირიბს) და იმ ბრუნვაში დგას, რომელშიაც მისგან საზღვრული წევრი. ასეთი განსაზღვრება მეტწილად გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის განსაზღვრებაა, ამიტომ უმეტესად სახელობითშია. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტთან ხშირად პრედიკატული განსაზღვრებაც მრავლობითში დგას.

ა) პრედიკატული განსაზღვრება ქვემდებარისა:

ყაფლანი **გაოცებული** უცქეროდა თეოს (გვეტ., 82); ჩვენი მურიკა **გაკვირვებული** შემომჩერებოდა (ვაჟა, 6, 213); ოქროპირი **თავდახრილი** უსმენდა თეოფილეს (გვეტ., 181); მაჩვები **დაჩოქილნი** იდგნენ დათვის წინაშე (ვაჟა, 6, 251); ვამეხმა **გაოცებულმა** შეხედა ბარამს (დად., 515); ...მელიამ დიდხანს **დაყუნთებულმა** უცადა მას თაგვის სოროს პირზე (ვაჟა, 5, 188); ბიჭი მართლაც **კარგი** იზრდებოდა (გრ. აბ.); შორიდან მთა **თეთრი** და **ლამაზი** ჩანდა. (ლ. გოთ.).

ბ) პირდაპირი დამატების პრედიკატული განსაზღვრება:

თქვენისთანა პატივსაცემ კაცს **ხელცარიელს** ვერ გავისტუმრებ (ლომ., 225); ცხენს **გამოკეთებულს** დაგახვედრებს დარიკო (კლდ., 145); მეორე დილით საგინაშვილი **ყელგამოჭრილი** იპოვეს (ჯავ., 4), 334); ის კაცი ისევ-ისე **მწოლარე** დავინახე (ჭავ., 265); [ტროლამ] განაბვა **ოსტატური** იცის (გოგ.); ის ორი კაცი **ცოცხალი** არავის უნახავს. (ლ. ლორთქ.).

გ) ირიბი დამატების პრედიკატული განსაზღვრება:

კოდალას ფულუროში **მჯდომარეს** წავაწყდი (ვაჟა); იმათ ამ

ამბავმა **მოუმზადებლებს** მოასწრო (ბარნ., 1, 94); თეკლიასაც **უვახშმოს** დაეძინა (რაზ., 79); თუ დაჭრილს **ცოცხალს** მიუსწრო, ნუ აქვს სიკვდილის დარდია. (ვაჟა).

§111. პრედიკატული განსაზღვრების გადმოცემა

პრედიკატული განსაზღვრება მეტწილად ვნებითი გვარის მიმღეობით არის გადმოცემული, უფრო იშვიათად – საშუალი გვარის მიმღეობითა და სახელით (ზედსართავით, იშვიათად სხვა სახელებითაც). ვნებითი გვარის მიმღეობათაგან უმეტესად **ულ** და **ილ** სუფიქსებით ნაწარმოები წარსულდროიანი ფორმები იხმარება.

ა) ვნებითი და საშუალი გვარის მიმღეობა პრედიკატულ განსაზღვრებად: არაგვი **ადიდებული, „ადევებული“** მოდის (ვაჟა, 5, 54); შვიდად **დაგლეჯილი** მიუტანეს თევდორას ქუდი (ვაჟა, 5, 131); ეფემია **გაუხდელი** იწვა (გვეტ. 268); დათვი მეორე დღეს შუადღემდე სოფლის შუა მოედანზე **გასატყავებელი** ეგდო (ვაჟა, 5, 133); ჭექ! – გავარდა თოფი და კურდღელი იქვე **მკვდარი** გაგორდა (გოგ., 56).

ბ) სახელი პრედიკატულ განსაზღვრებად: დოდონა **ნაღვლიანი** იდგა შოფერის კაბინასთან (ს. კლდ, 101); დედაკაცი შინ **ტუტყიანი** დადიოდა ... (ბარნ., 2, 198); იგი **პატარა** დაობლდა (ვაჟა, 4, 133); დილა **უმზეო** და **პირქუში** გათენდა (გვეტ., 256); ნოდარი **პირველი** შედგა ხიდზე (გვეტ.); მირზამ ზღაპრებიც **ბევრი** იცოდა (გვეტ.); ჩემი ხმა მე თვითონ **სხვანაირი** მომეჩვენა (დ. შენგ.); რა **ბაყბაყდევი** მე მნახეს (ჭავ.); კენგურუ იბადება **ტიტველი, შიშველი, ბრმა, უყურებო, უმწეო** (“სოფ. ცხ.“); - მე არაფერი შემაშინებს, შენ თუ **კარგი** გაიზრდები. – მაინც **როგორი**? – კარგად თუ ისწავლი. (რ. ინან.).

ხშირია პრედიკატულ განსაზღვრებად ტოლად-შერწყმული ან სხვა ტიპის რთული სიტყვები. ასეთ რთულ სიტყვათა ორივე ან მეორე (ზოგჯერ მესამე) ნაწილი ჩვეულებრივ მიმღეობაა:

... გიორგი **ცოცხალ-მკვდერი** ნახეს ... (ჭავ., 458); გიორგი **თავჩაღუნული** იდგა (ლომ.); ონოფრე იდგა **გულხელდაკრეფილი** ... (ყაზ., 2, 479); დედა ნიბლია **მხრებგაშლილი** მიეგება ძვირფას მეუღლეს ... (რაზ., 6).

პრედიკატული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალ (ერთ- და ორპირიან), ისე გარდამავალ (ორ- და სამპირიან) ზმნასაც. მაგრამ უფრო ხშირად იგი ისეთ ზმნებთან გვხვდება, რომლებიც მდგომარეობას ან მოძრაობას გამოხატავენ, ან მხედველობასთან, სმენასა და მეტყველებასთან არიან დაკავშირებული. ზმნის ფორმები უმეტესად წარსული დროისაა, უფრო იშვიათად – აწმყო-მომავლისა.

§112. პრედიკატული განსაზღვრების მიმართება ატრიბუტულ განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებასთან

პრედიკატული განსაზღვრება, საზოგადოდ, ორმაგი სინტაქსური ბუნებისაა: ერთდროულად დაკავშირებულია ზმნა-შემასმენელთან და სახელთანაც, რომელსაც იგი განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების დროსთან მიმართებით. ამ ორმაგი სინტაქსური ბუნების გამო იგი ხშირად ახასიათებს საგანსაც და საგნის მოქმედების პროცესსაც. ასეთ შემთხვევაში პირველის გამო განსაზღვრებას ეკედლება, ხოლო მეორის გამო ვითარების გარემოებას უახლოვდება. მაგრამ ამ მხრივ ყოველთვის ერთნაირი ვითარება არ არის: პრედიკატულ განსაზღვრებაში ზოგჯერ ერთ-ერთი მომენტი სჭარბობს, ზოგჯერ კი ორივე მხარე თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი. მაგალითად: იგი **პატარა** დაობლდა, დარჩა **უმწეო, ბეჩავი.** (ვაჟა, 4, 133). **პატარა,** რომელიც ზედსართავი სახელით გადმოცემული პრედიკატული განსაზღვრებაა, ახლოს დგას ჩვეულებრივს ატრიბუტულ განსაზღვრებასთან: ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: ის **თვალებდაჭყეტილი, გაყვითლებული** და **გაშტერებული** იწვა. (ლომ., 19). აქ სამი პრედიკატული განსაზღვრებაა, რომელთაგანაც **გაყვითლებულში** უფრო ჭარბად არის წარმოდგენილი განსაზღვრებასთან სიახლოვის მომენტი, ვიდრე ორ დანარჩენში. ასეთი სიახლოვით აიხსნება, რომ ზოგჯერ ძნელდება კიდეც გარკვევა იმისა, თუ რასთან გვაქვს საქმე – ჩვეულებრივს ატრიბუტულ (ან განკერძოებულ) თუ პრედიკატულ განსაზღვრებასთან. მაგ.: ალგეთის დილაც დაროსავით **უძილო, მოღუშული, ცრემლიანი** და **შფოთიანი** გათენდა. (ჯავ., 4, 350). აქ ოთხი პრედიკატული განსაზღვრებაა, რომლებიც ძლიერ ჩამოჰგავს ჩვეულებრივს ატრიბუტულ განსაზღვრებას.

ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: ჯავარა **გაკვირვებული** და **გაშტერებული** შესჩერებოდა დარეჯანს. (ვაჟა, 5, 51). **გაკვირვებული** და **გაშტერებული** – ორივე პრედიკატული განსაზღვრებაა, მაგრამ თუ მათ წინადადებისაგან ინტონაციურად გამოვაცალკევებთ და ამის შესაბამისად წერის დროს მძიმეებით გამოვყოფთ, – მაშინ ზმნასთან გაწყვეტენ კავშირს და განკერძოებული განსაზღვრებები გახდებიან. (§150; მაგ.: ჯავარა, **გაკვირვებული** და **გაშტერებული,** შესჩერებოდა დარეჯანს. ასევე, სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციისაა მიმღეობის ფორმა შემდეგ მაგალითებში: „მე, **შეშინებული,** დავბრუნდი შინ“ და „მე **შეშინებული** დავბრუნდი შინ“.

ნიშანი, რომელიც ქვემდებარეს ეკუთვნის, ხშირად ეკუთვნის ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასაც, ე.ი. წარმოადგენს როგორც ქვემდებარის, ისე ქვემდებარის მოქმედების ნიშანსაც. ასეთ შემთხვე-

ვებში პრედიკატული განსაზღვრება ახასიათებს საგანსაც (ქვემდებარეს) და საგნის (ქვემდებარის) მოქმედების პროცესსაც. მაგ.: ყაფლანი **გაოცებული** უცქეროდა თეოს. (გვეტ., 82). **გაოცებული** ახასიათებს როგორც ქვემდებარეს (თეოს რომ უცქეროდა, მაშინ იყო ყაფლანი გაოცებული), ისე ქვემდებარის მოქმედებასაც (ყაფლანი გაოცებით უცქეროდა თეოს). მეორე მომენტი, ე.ი. ვითარების გარემოებასთან სიახლოვე, აქ ისე ძლიერად არის წარმოდგენილი, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ მიმღეობას ვითარების გარემოების კითხვაც კი დასმის[188]. **როგორ** უცქეროდა ყაფლანი თეოს? ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ერთსა და იმავე ზმნასთან ერთ შემთხვევაში პრედიკატული განსაზღვრებაა წინადადებაში, მეორე შემთხვევაში – ვითარების გარემოება: **გაოცებული** შეჰყურებდა კაჭკაჭი ამ დიდრონ კლდეებს (ვაჟა); როჭოები და შურთხებიც **გაოცებით** შეჰყურებდნენ კაჭკაჭს. (ვაჟა).

პრედიკატული განსაზღვრებისა და ვითარების გარემოების ასეთი სიახლოვით აიხსნება, რომ ისინი ზოგჯერ ერთი ოდენობის სინტაქსურ ერთეულებადაც კი არიან წარმოდგენილი (§148, 1).

მაგ.: ის მიდიოდა **წყნარად** და **დაფიქრებული** (ყაზ., 2, 355); **სიფრთხილით** და **გაჩუმებულნი** მიდიოდნენ. (ყაზ., 2, 305).

მსგავსი ვითარება გვაქვს იშვიათად რთულ თანწყობილ წინადადებაშიც: ვითარების გარემოება და პრედიკატული განსაზღვრება ერთმანეთის ფარდ წევრებად არიან წარმოდგენილი დასაპირისპირებლად.

მაგ.: გლეხები **ხარხარით** გარბოდნენ, არსენა კი **გამალებული** მისდევდა ... (ჯავ., 4, 489); ხალხი **თავდაკიდებით, მორჩილად** ისმენდა ამ სიტყვებს, საბა კი **დაჩოქილი** იდგა ... (ვაჟა, 5, 85).

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრება ვითარების გარემოებას ერწყმის ან მის ფარდ (ბადალ) წევრად არის წარმოდგენილი, იგი განსხვავებულ მნიშვნელობას მაინც ინარჩუნებს. მაგ., წინადადებაში: ის მიდიოდა **წყნარად** და **დაფიქრებული** – ერთმანეთს რომ შევადაროთ **წყნარად** და **დაფიქრებული**, განსხვავებას ადვილად შევნიშნავთ: ვითარების გარემოება (წყნარად) ახასიათებს ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესს, პრედიკატული განსაზღვრება (დაფიქრებული) კი ახასიათებს საგანს (და საგნის მოქმედების პროცესსაც). ამიტომ ამ

---

[188] **ი. გრიშაშვილი** ერთ-ერთ თავის მოგონებაში წერს: „მაგონდება ერთი სცენა „ურიელ აკოსტადან" – რაბინის საზარელი წყევლა! დგას ვერიკო და ისმენს რაბინის განაჩენს,მაგრამ როგორ დგას? – **თავდახრილი**" (ხაზგასმა ჩვენია ლ.კ.). იხ. **ი. გრიშაშვილი**, მოგონების ერთი ფურცელი, „ლიტ. გაზეთი", 1957, №18 (1032).

ორი წევრის ერთმანეთთან გათანაბრება, საზოგადოდ, სტილისტიკურად გაუმართლებელია. მაგ., წინადადებაში: შემომფიცა, რომ ისე **უზიარებლად** და **შეუნდობარს** მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები! (ჭავ., 315) – უმჯობესია ორივე ვითარების გარემოებად იქნეს წარმოდგენილი (...**უზიარებლად** და **შეუნდობრად**) ან პრედიკატულ განსაზღვრებად (**უზიარებელს** და **შეუნდობარს**) და წინადადება ისე გაიმართოს. სხვა ადგილას და-თი შეერთებული სიტყვები ერთსა და იმავე ბრუნვაშია (ერთგან – პრედიკატულ განსაზღვრებად, მეორეგან – ვითარების გარემოებად): **უზიარებელი** და **მოუნანიებელი** მივდივარ სააქაოდამ! (ჭავ., 315); - პეპია რასა იქს? – მოკვდა. – **ესე უზიარებლად** და **მოუნანიებლად**, როგორც მე? (ჭავ., 319).

პრედიკატული განსაზღვრება, როგორც ვიცით, უმეტესად სახელობითში დგას და მნიშნელობით რამდენადმე უახლოვდება ვითარების გარემოებას. ამის გამო ზოგჯერ (თუმცა იშვიათად) იგი შეიძლება შეგვხვდეს სახელობითში მაშინაც, როცა სხვა ბრუნვა (მოთხრობითი ან მიცემითი) არის მოსალოდნელი.

- რა ცალები? – იკითხა იმან და გაშტერებული დაუწყო ყურება (ყაზ.); ხვარამზეს თავჩაქინდრული ეძინა (გვეტ., 25); ფეხშიშველი მოიარა გელათი და მოწამეთა (ლორთქ., 2, 118);

უნდა იყოს: ... **გაშტერებულმა** (ან: გაშტერებით) დაუწყო ყურება, **თავჩაქინდრულს** ეძინა, **ფეხშიშველმა** მოიარა.

პრედიკატული განსაზღვრება უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისაგან. შედგენილ შემასმენელში, როგორც ვიცით, ზმნა მეშველია, ე.ი. არ არის დამოუკიდებელი და სახელადი ნაწილის გარეშე შემასმენელს ვერ გამოხატავს. პრედიკატულ განსაზღვრებასთან ზმნა დამოუკიდებელია, ე.ი. შემასმენელია. შევუპირისპიროთ ერთმანეთს შემდეგი წინადადებები: „ჭაბუკი **გარინდებული იყო**“ და „ჭაბუკი **გარინდებული იჯდა**“. (გვეტ., 199). **გარინდებული იყო** შედგენილი შემასმენელია, მაშასადამე, **გარინდებული** აქ სახელადი ნაწილია, იყო – მეშველი ზმნა. მეორე წინადადებაში **გარინდებული** პრედიკატული განსაზღვრებაა, **იჯდა** – მარტივი შემასმენელი.

მიმღეობის სადავო ფორმები, როგორც ზემოთაც გარკვევით აღინიშნა, ორმაგი სინტაქსური ბუნებისაა, მაგრამ ამის გამო იმის მტკიცება, რომ ასეთი ფორმების ნაწილი პრედიკატულ განსაზღვრებად ჩავთვალოთ და ნაწილი ვითარების გარემოებად, ჩვენი აზრით, არ არის სარწმუნო. მაგალითად, ქვემოთ დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები – ყველა პრედიკატული განსაზღვრებაა და არა ვითარების გარემოება: გოგია კიდევ დიდხანს **იჯდა ჩაფიქრებული** (გ. შატბ);

ბულბული **გაჩუმებული** და **გამტკნარებული იჯდა** (ვაჟა); ანუსი **გაფითრებული იჯდა** (გვეტ.); დედაჩემი მკვდარივით გაყვითლებული იჯდა (ლომ.); ბონდო **იჯდა კუშტი** და **შუბლშეკრული.** (დ. შენგ.).

ამასთანავე, ჩვენი აზრით, არც ის დასტურდება, თითქოს პრედიკატული განსაზღვრება ძირითადად სახელებით გადმოიცემოდეს და არა მიმღეობით.[189]

§113. პრედიკატული განსაზღვრების ადგილი წინადადებაში

პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ უშუალოდ უსწრებს ზმნა-შემასმენელს ან მოსდევს მას. იგი უმეტესად შემასმენლის წინ დგას, ხოლო მომდევნო შედარებით იშვიათად იხმარება.

ა) პრედიკატული განსაზღვრება უსწრებს ზმნა-შემასმენელს:

გოგრა **დაღვრემილი** გამოიცქირება (ვაჟა, 5, 218); გოგრა **გაბღენძილი** წავიდა (ვაჟა, 5, 220); ლუარსაბი **გაშტერებული** იდგა ... (ჭავ., 353); ლევანი **გაყუჩებული** იჯდა. (კლდ., 1, 273).

დასახელებულ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრება მოსდევს საზღვრულ წევრს – ქვემდებარეს, მაგრამ ზოგჯერ შემასმენელი საზღვრული წევრის წინ არის წამოწეული და პრედიკატული განსაზღვრება დაშორებულია მისგან. მაგ.: **გაოცებული** გამოვიდნენ სახლიდან ვაჭრები (წერ., 1, 302). **პირმოკუმული** იჯდა ბებერი. (ვაჟა, 5, 343).

ბ) პრედიკატული განსაზღვრება მოსდევს ზმნა-შემასმენელს:

ოქროპირი დიდხანს იჯდა **გარინდებული** (გვეტ., 155); ონოფრე იდგა **გულხელდაკრეფილი.** (ყაზ., 2, 479).

პრედიკატული განსაზღვრება და ზმნა-შემასმენელი ზოგჯერ გათიშულია ერთმანეთისაგან ამა თუ იმ სიტყვითა თუ სიტყვებით: დიდხანს იდგა დათო კედელზე **მიყუდებული** (ევდ., 3, 234); იქვე იდგა ისიც **დაინჯშემოყრილი** (ვაჟა, 6, 299); მივსძახოდი ჩხიკვებს **გახარებული** (ვაჟა, 6, 316); დიდხანს ვიდექით ჩვენ ასე **გაშტერებული.** (ლომ., 22).

თუ ზმნას ორი პრედიკატული განსაზღვრება ახლავს, არცთუ იშვიათია ერთი უსწრებს მას, მეორე კი მოსდევს: [ოთარაანთ ქვრივი] ცოტა ხანს ეგრე **ხელდაბჯენილი** იდგა **გარინდებული** (ჭავ., 471).

რამდენიმე პრედიკატული განსაზღვრება შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს შემასმენელს. მაგ.: **თვალებდახუჭული, გაყვითლებული** და **გაშტერებული** იდგა (ლომ); **გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული** მოვაჯექ ცხენსა (ჭავ., 316); ის იდგა **გაყინული, გაციებული, ტუჩებმოკუმული.** (ყაზ., 2, 467).

პრედიკატული განსაზღვრების ადგილი დასახელებული შემთხვევებით არ ამოიწურება. მრავალწევრიან წინადადებაში იგი შე-

[189] ნ. ბახილაია, პრედიკატული განსაზღვრების შესახებ ახალ ქართულში: ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII-XIX, გვ. 260-263.

იძლება მეტ-ნაკლებად დაშორდეს შემასმენელს, მაგრამ ისე, რომ მასთან კავშირი არ გაწყვიტოს.

პრედიკატული განსაზღვრება დამოუკიდებელი წარმომავლობისა ჩანს. იგი თითქოს შედგენილი შემასმენლის შეკუმშული სახეა. სახელადი ნაწილი უმეშველზმნოდ (შდრ. „ოქროპირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს“ და „ოქროპირი თავდახრილი იყო და უსმენდა თეოფილეს“). იგი არ არის წარმომდგარი განკერძოებული თუ განმარტოებული განსაზღვრებისაგან, მით უმეტეს – ზმნიზედისაგან. არც ის არის დამაჯერებელი, თითქოს აღნიშნული მნიშვნელობის ფორმები ატრიბუტული განსაზღვრებისაგან იყოს მიღებული მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვის ან რიგის შეცვლის გზით.

№113ა. პრედიკატული განსაზღვრების შესწავლის ისტორიიდან

ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული მიმღეობის თავისებურ სინტაქსურ ფუნქციას, როგორც ეს ერთ-ერთ წინა პარაგრაფში აღინიშნა, პირველად **თ.ჟორდანიამ** მიაქცია ყურადღება. იგი წერს: „შემასმენელი არის უფალი წინადადებისა; მისგან დამოკიდებულია გრამატიკულად ქვემდებარე და დამატებითი სიტყვებიცა: „ქართულ წინადადებაში მოსპობილია ორთა უფალთა (ქვემდებარისა და შემასმენლისა) მონება, უცხო ენათაგან აღიარებულისა და გამეყებულია ერთი უფალი. კანონმდებელი ენისა, სული და გული მისი“ (გვ. 119). **თ.ჟორდანია** აღნიშნავს, რომ სახელობითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია ქვემდებარისა და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გადმოცემაა. ამას მოსდევს: „დამატებითად დაიდება სახელობითი ბრუნვა, გარნა თითქმის მუდამ მიმღეობათაგან წარმოებული ანუ მიმღეობითნი ზედშესრულნი. მაგ.: ჭაბუკი წარვიდა **მხიარული** (და არა **მხიარული** ჭაბუკი, არცა წარვიდა **მხიარულად**); პეტრე ვნახე **ფერმკრთალი, შუბლშეკრული, მოწყენილი**, სკამზე **მჯდარი.** სიტყვები: მხიარული, მკრთალი და სხვ. ზმნებისგან წარმოებულებია (მიმღეობანი) და დამატებითად ხმარებული“. (გვ.121).

დამოწმებული ადგილიდან ნათლად ჩანს, რომ **თ.ჟორდანიასთვის** მიმღეობის უთანდებულო სახელობითი ბრუნვის ფორმა არც განსაზღვრებაა და არც ვითარების გარემოება.

ი.იმნაიშვილი შედგენილი შემასმენლისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში (1927 წ.) წერს: ზმნასთან დაკავშირებული მიმღეობის სახელობითი ბრუნვის უთანდებულო ფორმა განსაზღვრება იყო, მაგრამ ის დაშორდა საზღვრულ არსებით სახელს, ზმნას დაუკავშირდა, მიუგებს ვითარების გარემოების კითხვაზე და ვითარების გარემოებააო. იმ ხანებში ამ საკითხთან დაკავშირებით ვწერდით: მიმღეობის სადავო ფორმა მნიშვნელობით ვითარების გარემოებას

უახლოვდება და ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრებისაგან განსხვავებით წინადადებაში საგნის (ჩვეულებრივ ქვემდებარის) მომენტურ განსაზღვრებად გვესახება („წინადადების წევრები ქართულში“, 1954, გვ. 3).

ა.ღლონტის აზრით, ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული მიმღეობის სახელობითი ბრუნვის ფორმა წინადადების დამოუკიდებელი წევრი არ არის. იგი ერთ-ერთი სახის შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია. ასეთი შემასმენელი **განსაზღვრებიანი** ანუ **ატრიბუტივიანი** შედგენილი შემასმენელია (1955).

1957 წელს გამოქვეყნდა ჩვენი გამოკვლევა „მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური კვალიფიკაციისთვის“ (ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №12). წერილში კრიტიკულად არის განხილული დასახელებულ ავტორთა მოსაზრებები. აღნიშნულია, რომ მიმღეობის სადავო ფორმა არც ვითარების გარემოებაა და არც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, არამედ **შემასმენლური** ანუ **პრედიკატული** განსაზღვრებაა.

გამოკვლევის შედეგები გათვალისწინებულ იქნა პედაგოგიურ სასწავლებელთათვის შედგენილ სახელმძღვანელოში („ქართული ენის სინტაქსი“, 1956). უფრო სრულად კი წარმოდგენილია „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ (1966).

1957 წელს დაიბეჭდა **ი.იმნაიშვილის** „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“. ავტორი კვლავ იცავს თავის ადრინდელ მოსაზრებას: განსაზღვრება სახელს ახლავს, მიმღეობის სადავო ფორმა-ზმნას, მასთან ერთად ქმნის სინტაქსურ წყვილს. მიუგებს ვითარების გარემოების კითხვაზე და ასეთი რამ არ შეიძლება განსაზღვრება იყოს. მისი აზრით, ამასვე ადასტურებს ისიც რომ უდავო ვითარების გარემოების ფორმებთან იმავე ფუნქციის შესასრულებლად მიმღეობის სახელობითი ბრუნვის ფორმაც არის წარმოდგენილი. მაგ.: „ელგუჯა კი **წყნარად, ჩუმად** და **პირმოკუმული** იჯურვებოდა“ (ყაზ.); ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. (ყაზ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ: „კომპრომისზე მიდიან (თუ ვინ, არ არის დასახელებული) ეძებენ რაღაც საშუალოს გარემოებასა და განსაზღვრებას შორის და ასეთ ფორმებს პრედიკატულ განსაზღვრებას უწოდებენ“. (გვ. 678). ავტორი დასძენს, რომ ჩვენს თვალსაზრისს „ახლავს ზოგიერთი დაბრკოლება, როგორიცაა, ამნაირი სიტყვების მრავლობითში დასმის შესაძლებლობა... ხანდახან მოთხრობითში გადასვლაც“ და ზოგი რამ სხვა, მაგრამ „ჯერ ერთი“, მრავლობითში დასმული ფორმები „არცაა ყოველმხრივ გამართული“, თანაც „ისინი თამამად შეიძლება შეიცვალოს ისევ მხოლობი-

თით და წინადადება ოდნავადაც არ დაზარალდეს". (გვ. 677).

სადავო საკითხს გაკვრით ეხება **ა.კიზირია**. იგი წერს: „რიგ შემთხვევაში სახელობით ბრუნვაში დასმული მიმღეობა და ზედსართავი სახელი ვითარების გარემოებას მოგვაგონებს. წინადადების ასეთი წევრი თავისი წარმოშობით განსაზღვრებაა და არა გარემოება, ოღონდ სათანადო საზღვრულის დაკარგვის გამო დაკარგულია მსაზღვრელობითი ფუნქცია და მიკედლებულია შემასმენელთან ისევე, როგორც გარემოება. მართებული იქნებოდა, მისთვის ატრიბუტული გარემოება გვეწოდებინა" („მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში", 1966, გვ. 319-320).

აღნიშნულ საკითხს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა **ნ.ბასილაიამ** (1966). ავტორის აზრით, მიმღეობისა და სახელის სადავო ფორმათა ნაწილი განსაზღვრებაა, ნაწილი – ვითარების გარემოება.

ა.დავითიანი სიტყვა პრედიკატულს ბრჭყალებში სვამს და აღნიშნავს, რომ მიმღეობისა და სახელის სადავო ფორმები განსაზღვრებაა, რომლის გაბატონებული წევრი „გარდამავალი ზმნით გამოხატულ შემასმენელთანაა კოორდინაციაში" („ქართული ენის სინტაქსი", 1973, გვ. 249). „იგი დაქვემდებარებითს კავშირშია სახელით გამოხატულ წევრთან და მისდამია შეთანხმებული, ამიტომ იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი, ე.ი. ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს". (გვ.250).

ა.დავითიანის აზრით, სადავო ფორმები მიღებულია სხვადასხვა გზით: პირის ნაცვალსახელის განკერძოებული განსაზღვრებისაგან, გაბატონებული წევრის გამოტოვებისა და ზმნიზედისათვის ვითარებითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცით (მარტოდ > მარტო).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები შემდეგნაირად გამოიკვეთა:

1. მიმღეობისა და სახელის სახელობითი ბრუნვის უთანდებულო ფორმა, რომელიც ზმნა-შემასმენელთან ერთად შეადგენს სინტაქსურ წყვილს (სინტაგმას), არც ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრებაა და არც ვითარების გარემოება;

2. ვითარების გარემოება განსაზღვრავს ზმნა-შემასმენლით გადმოცემული მოქმედების პროცესს, მიმღეობისა და სახელის ფორმები – დროის მიხედვით საგნის მდგომარეობას ამ პროცესთან დაკავშირებით. მაგ.: იგი **ჰატარა** დაობლდა (ვაჟა) = იგი **ჰატარა** იყო, როცა დაობლდა. „პატარა" შემასმენლური ანუ პრედიკატული განსაზღვრებაა.

3. პრედიკატულ განსაზღვრებას რომ ვითარების გარემოების კითხვა დაესმის, ამას სათანადო ახსნა აქვს.

ა) იგი სემანტიკურად ყველაზე უფრო ვითარების გარემოებას

უახლოვდება, ორივე ზმნა-შემასმენლის წყვილის ცალია: ერთი საგნის მოქმედების პროცესს გადმოგვცემს, მეორე – ამ პროცესთან დაკავშირებით საგნის მდგომარეობას.

ბ) **როგორი** განსაზღვრების კითხვაა, **როგორ** – ვითარების გარემოებისა. პირველი სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, მეორე ფუძისა. სხვა მხრივ მათ შორის ფორმობრივ განსხვავება არ არის. არა გვაქვს მათ შორის შუალედური მნიშვნელობის კითხვითი სიტყვა.

გ) სახელებით გადმოცემული პრედიკატული განსაზღვრება განსაზღვრების კითხვას მოიხდენს. მაგ.: დილა **უმზეო** და **პირქუში** გათენდა (გვეტ.); ბიჭი მართლაც **კარგი** იზრდებოდა (გ.აზარ.); მწევარმა დაიყეფა და **პირსისხლიანი** გამოვარდა გარეთ (ვაჟა); ჩემი ხმა მე **სხვანაირი** მომეჩვენა (დ. შენგ.); ცურვა **ჩინებული** იცოდა. (გოგ.);

ამასვე ადასტურებს შემდეგი მაგალითებიც: პურის მოსავალი **როგორი** გაქვთ? (ჭავ.); იცი, **როგორი კარგი** გაიზარდა?

დასახელებული მაგალითები მიგვანიშნებენ, რომ ვითარების გარემოების კითხვითი სიტყვა არ არის საიმედო საშუალება მიმღეობისა და სახელის სადავო ფორმათა სინტაქსური ფუნქციის დასადგენად.

4. სიტყვათა განლაგება არ არის სწორი ისეთ წინადადებაში, სადაც უდავო ვითარების გარემოებათა ფარდ წევრად წარმოდგენილია მიმღეობის უთანდებულო ფორმა. მაგ.: ელგუჯა კი **წყნარად, ჩუმად** და **პირმოკუმული** იჭურვებოდა (ყაზ.). სწორია შემდეგი განლაგება: ელგუჯა კი **პირმოკუმული** იჭურვებოდა **წყნარად** და **ჩუმად**, ან ასე; ელგუჯა კი **წყნარად** და **ჩუმად** იჭურვებოდა **პირმოკუმული**.

„პირმოკუმული“ რომ ვითარების გარემოება იყოს, სიტყვათა ავტორისეული განლაგების ამდაგვარი შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა.

5. ატრიბუტული განსაზღვრება არსებითი სახელის წყვილის ცალია, მას ახლავს ყველა ბრუნვაში. მისგან საზღვრული სახელი შეიძლება იყოს წინადადების მთავარი ან არამთავარი წევრი. პრედიკატული განსაზღვრება ზმნა-შემასმენლის წყვილის ცალია და მიემართება მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებულ მთავარ წევრებს: მის ბრუნვასა და რიცხვს პირმიმართ წევრთა ბრუნვა და რიცხვი განსაზღვრავს. იგი იმდენად თავისთავადია, რომ საზღვრული პირმიმართი წევრის დაუსახელებლადაც იხმარება.

6. პრედიკატული განსაზღვრება განსაზღვრება იყო და განსაზღვრებადვე დარჩა, ასე რომ არ ვიზიარებთ აზრს, თითქოს წინა-

დადების ასეთი წევრი „თავისი წარმოშობით განსაზღვრება იყო, მაგრამ საზღვრულის დაკარგვის გამო“ დაკარგა „მსაზღვრელობითი ფუნქცია“ და შემასმენელს მიეკედლა „როგორც გარემოება“.

7. „მარტო“ სახელი მხოლობითში იყო მარტო-ø, მრავლობითში – მარტონი. მაგ.: რა ჟამს დაღამდეს, მოვედ შენ **მარტოø** (იაკობ ხუცესი); აღიყვანნა იგინი მთასა ფრიად მაღალსა თჳსგან **მარტონი** (მრ. 9, 23). ცხადია, **მარტო** (როგორც განსაზღვრება) არ არის მიღებული „მარტოდ“ ზმნიზედისაგან „დ“-ს მოკვეცით.

8. მისამართი პირმიმართი წევრი არ დაკარგულა და იგი წინადადებაში წარმოდგენილია არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით, ან კიდევ იგულისხმება კონტექსტისა თუ სიტუაციის მიხედვით. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

დაბლა **მდინარე** ღრიალებდა **გაბრაზებული** (ვაჟა);

ყველანი ფეხზე იდგნენ **ქუდმოხდილები** (ვაჟა);

მე კარებთან **სულგანაბული** ავიტუზე (ჭავ.);

ჩვენ სულგანაბულნი ვუგდებდით ყურს (წერ.);

მუცელამ გახარებულმა გასწია შინისკენ (ვაჟა);

მართამ თვალებდახუჭულმა გახედა (რ. ინან.);

მე წელან ველის პირად გავედი **დაღონებული** (ვაჟა);

ისინი გარბოდნენ **გულგახეთქილები**. (ყაზ.).

ნაცვალსახელი მიგვანიშნებს პირმიმართ წევრს, თორემ იგი განსაზღვრებასთან ვერ ქმნის სინტაქსურ წყვილს. როცა პირმიმართი წევრი გამოტოვებულია ან ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი, პრედიკატული განსაზღვრების **ბრუნვა** და **რიცხვი** შესაბამისი არსებითი სახელით არის განსაზღვრული.

9. პრედიკატული განსაზღვრება ზმნის პირთა რაოდენობისა და გარდამავალ-გარდაუვალობის მიხედვით:

ა) ერთპირიანი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან სახელობით ბრუნვაშია. მაგ.:

მწყერი კი **მობუზული, თავბრუდასხმული იჯდა** (ვაჟა);

მამალი დიდხანს **გაქვავებული იდგა** ერთ ალაგას (ვაჟა);

ისინი **გარბოდნენ გულგახეთქილები**. (ყაზ.);

ბ) **ორპირიანი გარდაუვალი ზმნით** გადმოცემულ შემასმენელთან სახელობით ბრუნვაში დგას ან მიცემითში:

მუცელა **მშიერ-მწყურვალი შესჩერებოდა** იმათ (ვაჟა); კოდალას ფუღუროში **მჯდომარეს წავაწყდი** (ვაჟა). მე იმისთანა ხასიათის კაცი ვიყავი, რომ **გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს** იქნება უეცრად კაცი **შემომკვდომოდა**. (ჭავ.).

გ) გარდამავალი ზმნით გადმოცემული შემასმენლიან შეიძლება იდგეს

სამ ბრუნვაში:

დილით კარავი **დაცხრილული ნახეს** (ე. აბაშ.);

მელიამ დიდხანს **დაყუნთებულმა უცადა** მას თაგვის სოროს პირზე (ვაჟა);

შვილებს არც კი მოვიგონებ, თუ სარდიონს **დაღონებულს ვნახავ.** (ვაჟა).

10. ტერმინი „პრედიკატული განსაზღვრება“ გადმოღებულია გერმანული ენის გრამატიკებიდან, იგი ზუსტად გამოხატავს ნაგულისხმები წინადადების წევრის სინტაქსურ ფუნქციას.

11. პრედიკატული განსაზღვრება არ არის იშვიათი ძველ ქართულში, ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში.

მაგალითები ძველი ქართულიდან:

ა) **ქვემდებარის მიმართი**: იდგა ყრმად იგი **მკუდარი** (მრ. 5, 40); იელტოდა **შიშუელი** მათგან (მრ. 14, 52DE); **დავრდომილი** იდვა ბჭეთა თანა მისთა (ლ. 16, 20c); იგინი წარვიდიან **გულკლებულნი** და **სირცხლეულნი** (კიმ. 184,11); ტაკუკნი **ცალიერნი** დგეს მუნ (39, 21).

ბ) მიემართება პირდაპირ დამატებას და ეთანხმება მას **ნარიან** მრავლობითში: პოვის იგი **ცალიერი** (მ. 12, 44c); იხილეს იგი **მიმავალი**, (მრ. 12, 7); პოვის იგი **მოცალჱ** და **განშუენებული** და **შემკული** (მ. 12, 44); **პოვნა** იგინი **მძინარენი** (მ. 26, 40); პოვნა სხუანი **მდგომარენი** (მ. 20, 6); იხილნა ცანი **განხუმულნი** (მრ. 1, 10); გპოვნეს თქუენ **მძინარენი** (მრ. 13, 36).

მაგალითები ქართული ენის დიალექტებიდან: მოვიდა სახში **დაწუხებული** ე ბიჭი (რაჭული); **წამევიდა** კაცი **ატირებული** (იმერული); ფურნე **გახურებული** დამხთა (გურული); ბრინჯი **უნდა დეჲთესოს** გუ̈ცეხველი (აჭარული); ქალები **თმაგაშლილები მოვლენ** (მოხეური); ეს კაცი **დაღონებული წამოვა** (მესხური); სადა ხარო? — **გახარებულმა დამიძახა** (კახური); თეჰარ მირზა **გაკოჭვილი მეყვანეს** ეჯემ სულთანთან (იმერხელი); მე თქუენ **მშიერს** არ **დაქტოვებთო** (ქართლური).

მაგალითები სვანური ენიდან:

1. ლევან ლჷხრინე ანტჷს ქორთე,
(ლევანი გაბრაზებული დაბრუნდა სახლში);
2. ჰამს გიცარ **ლჷდგარ** ახხვიდ,
(დილით ვერძი **მკვდარი** დახვდა).

3. დავდ ჩვაცვირ ყორვალ **მგკარ**,
(დეემა დატოვა კარები **გაღებული**);
4. ეჯიარ **გამარჯვებულ** ანტახხ ქორთე,
(ისინი **გამარჯვებული** დაბრუნდნენ სახლში);
5. ნაბოზს ანჭადხ ლაჯმილა ქორთე **მადდარ**;
(საღამოს მოვიდნენ ძმები სახლში **მშიერი**);

პრედიკატული განსაზღვრება არ არის უცხო მეგრულ-ჭანურისთვისაც მაგალითად, მიმღეობა „გურგოხარცქილი“ პრედიკატული განსაზღვრებაა შემდეგ მეგრულ წინადადებაში:

გურგოხარცქილი გივორდი თექ.
(გულგახეთქილი ვიდექი იქ).

დასასრულ შეიძლება აღინიშნოს:

1. „პრედიკატული განსაზღვრება იმდენად თავისებური, თავისთავადი სინტაქსური ერთეულია, რომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ატრიბუტული განსაზღვრების „მხოლოდ და მხოლოდ სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად“;

2. პრედიკატული განსაზღვრება ძველ ქართულში ისე ფართოდ არის გავრცელებული, რომ მისი სათავე ძველისძველ ქართულშია საგულვებელი.

V. ბრუნვათა ფუნქციები

§114. წინასწარი შენიშვნები

სიტყვათა შეკავშირებისათვის ქართულში, როგორც აფიქსებიან ენაში, დიდი მნიშვნელობა აქვს ბრუნების კატეგორიას. ამ კატეგორიის საშუალებით მყარდება სინტაქსური კავშირი სახელისა სახელთან და ზმნასთან...

სხვადასხვა ბრუნვას სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია აქვს. ზოგ ბრუნვას ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს – რამდენიმე. ამასთანავე. ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება სხვადასხვა ბრუნვამაც გამოხატოს. მაგ.: **ბავშვი** სახელობითი ბრუნვის ფორმაა, რომელიც ქვემდებარეა წინადადებაში **„ბავშვი ხატავს“**, მაგრამ იგივე „ბავშვი“ პირდაპირი დამატებაა, როცა ვამბობთ **„ბავშვი დახატა“**. მაშასადამე, ფორმა ერთია, ფუნქცია – სხვადასხვა. ერთი და იმავე სიტყვის სახელობითი ბრუნვის ფორმა სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციისა აღმოჩნდა, რაც განსაზღვრა იმან, თუ ზმნის რა ფორმასთან არის შეწყობილი ამ სახით. ახლა ავიღოთ ასეთი მაგალითი: „ცოლ-შვილით ჩამოვიდა“ და „ცოლშვილიანად ჩამოვიდა“. **ცოლ-შვილით** მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა, **ცოლშვილიანად** – ვითარებითისა, მაგრამ ფუნქციის მიხედვით ერთნაირია: ორივე თანაობის უბრალო დამატებას გამოხატავს.

ბრუნვათა ფუნქციები ახალ ქართულში ჯერ კიდევ არა არის სათანადო სიღრმითა და სისრულით შესწავლილი[190]. წინამდებარე წინგში ამა თუ იმ წევრის განხილვასთან დაკავშირებით გზადაგზა ნაჩვენებია, თუ რომელი წევრი რა და რა ბრუნვის ფორმით გადმოიცემა. ამიტომ აქ ჩვენ ბრუნვათა ძირითადი ფუნქციების ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით.

§115. სახელობითი ბრუნვის ფუნქციები

სახელობით ბრუნვაში დასმული სახელით გადმოიცემა:

1. **ქვემდებარე** გარდაუვალი ზმნის სამივე სერიის და გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან: **გუდამაყრელები** მთაში მიდიოდნენ (ყაზ., 2, 438); **ეტლი** კლუბთან გაჩერდა (გვეტ., 316); **მთვარე** მთის წვერს ამოეფარა (მიხ. მრეველ., 539); მთვარეს **ღრუბელი** მოჰფარებოდა (დ. შემგ., 64); **ხეები** განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა, 6, 142); მთის **ნიავი** ჭალას აშრიალებს. (ჭავ.).

2. **პირდაპირი დამატება** გარდამავალი ზმნის მეორე და მესამე სერიის ფორმებთან: მეურმემ **ურემი** გააჩერა (ევდ., 3, 125); სიცოცხლის მომცემს მზეს ათასფერად აეყვავებინა **დედამიწა**. (რაზ., 1).

პირდაპირი დამატება სახელობითშია ზოგიერთი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან: **ხამთარი** ვარიანში მეტად ცივი იცის (გოგ., 59). **ეს** ყველამ კარგად უწყის. (ვაჟა).

3. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: დილა **მშვენიერი, ყუჩი** და **თბილი** იყო (ყაზ., 2, 190); ვახშმობა **გადასული** იქნებოდა (რაზ., 78).

4. დროის გარემოება: **ორი წელიწადი** ვიყავი მებაღედ (ვაჟა, 5, 139); **მთელი დღე** გასტანა მკაცრმა ბრძოლამ (გვეტ., 4300.

შენიშვნა: უპირატესობა მიცემითში დასმას ეძლევა §76).

5. ვითარების გარემოება (თანდებულიანი); ხალხი **ფუტკარი-**

---

[190] ძველ ქართულში ბრუნვათა ფუნქციებს ეხება რამდენიმე შრომა, რომელთაგანაც ზოგი სპეციალურად ეძღვნება ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციათა აღნუსხვას, ზოგიც სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამ მხრივ აღსანიშნავია: **არნ. ჩიქობავა**, მიმართებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის; **ქეთ. მიქელაძე**, მიმართებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ქართულში; **არ მარტიროსოვი**, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში; **თ. შარაძენიძე**, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში; **ე. ბაბუნაშვილი**, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში; **ჭ. ძოწენიძე**, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში; **ა. კიზირია**, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში და სხვ. ბრუნვათა ფუნქციები აღნუსხულია და ერთად თავმოყრილი **ი. იმნაიშვილის** წიგნში: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. დასახელებულ შრომებში მეტ-ნაკლებად ახალი ქართულის ბრუნვათა ფუნქციებზედაც არის საუბარი. ბრუნვათა ფუნქციები ახალ ქართულში ცალკე თავად არის წარმოდგენილი **ბ. ტ. რუდენკოს** გრამატიკაში (Грамматика грузинского языка, 1940, გვ. 75-83). ბრუნვათა ფუნქციები საკმაოდ სრულად არის აღნუსხული ცალკეულ წევრთა გადმოცემასთან დაკავშირებით **ა. შანიძის** ქართული ენის გრამატიკაში" (ნაწ. II, 1948).

ვით ირეოდა (გვეტ., 125); წამოხტა კაკო **ლომივით** ზეზე. (ჭავ., 149).

§116. მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია

მოთხრობითი ბრუნვა გამოხატავს ქვემდებარეს გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან: შეშინებულმა **ბავშვმა** სიმღერა შეწყვიტა (გვეტ., 12); **შიმშილმა** ბახალები ძალიან შეაწუხა. (რაზ., 388).

მოთხრობითში დგას ქვემდებარე **იცის** და **უწყის** ზმნათა აწმყოს წრის ფორმებთან: **პაპამ** ანდაზებით ლაპარაკი იცის (ვაჟა, 6, 69); ეს **ყველამ** კარგად უწყის. (ვაჟა).

მოთხრობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი ზოგიერთი გამოთქმა, რომელიც ფიცილის ფორმულად არის ქცეული და შორისდებულთა რიგებში დგას[191]. ჩემმა **მზემ, მამაშვილობამ, დაძმობამ** და მისთ. **დედაშვილობამ**, ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო... (წერ.). ასეთი ფორმები გარდამავალი ზმნის ქვემდებარისაგან მომდინარეობენ.

§117. მიცემითი ბრუნვის ფუნქციები

მიცემითი ბრუნვა, როგორც ვიცით, უთანდებულოა ან თანდებულიანი. ამ ბრუნვის ფუნქცია მრავალფეროვანია.

უთანდებულო მიცემითი გამოხატავს:

1. **ქვემდებარეს**:

ა) გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებთან: **შეხურებულს გულს** სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა (ყაზ., 2, 294); მინდორში **ბალღებს** ენახათ გაწიწკნილი ბუ. (რაზ., 257).

ბ) გარდამავალ ზმნათა წყებაში ჩამდგარი ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან: წიწილის თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა **ნიავსა** (ვაჟა); **გლეხს** ურმით თივა მიჰქონდა (გოგ.); **დედას** ბავშვი სკოლაში მიჰყავს.

2. **პირდაპირ დამატებას** გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან: განთიადი ნელა შლიდა **ფრთებს** (ქიაჩ., 3, 416); გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს ზაფხული **გვირგვინს** დაადგამს. (ვაჟა, 5, 198).

3. **ირიბ დამატებას**:

ა) გარდაუვალი ზმნის სამივე სერიის ფორმებთან: ნოდარი **ტყეს** უახლოვდებოდა (გვეტ., 432); ღამე გამოეთხოვა **ქვეყანას** (ჭავ., 439); **მასპინძელს** ღვინო მოჰკიდებოდა. (ჯაფ., 136).

ბ) გარდამავალი ზმნის პირველი და მეორე სერიის ფორმებთან: თვალებგაბრწყინებული მარო აღტაცებით უჩვენებდა კაჭკაჭს **და-ძმებსა** (რაზ., 318); დედაბერმა ორჯერ გადასცა **ლილეს** ლაშას

[191] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 647.

საიდუმლო წერილი. (გრ. აბ., 264).

4. **უბრალო დამატებას** ვნებითი გვარის მიმღეობასთან (იშვიათად ზმნის პირიან ფორმასთანაც): მაღალი წოდება შიშითა და ბოლმით გაჰყურებდა მომავალს, რადგან მემკვიდრეობით **უსაქმოებას** შეოვისებულს და **უზრუნველობას** შესისხლხორცებულს საკუთარი ძალა ვერ წაემძღვარებინა წინ ამ ახალ გზაზე ცხოვრებისა... (ბარნ., 3, 48).

5. **რთული შემასმენლის სახელად ნაწილს**: ის გარემოება, რომ ყური მოეკრათ ამ ამბისათვის, ჩემთვის უკვე **საინტერესოს** ხდიდა მათთან საუბარს (ს. კლდ., 43); ეს უფრო **უხიფათოს** გახდიდა გზას. (გვეტ., 458).

6. **ადგილის გარემოებას**: ...იმ სადამოს **სტეფანწმინდას** ამოვედი (ჭავ., 255); აფრინდა ქორი, აფრინდა, არაგვი ჩაინადირა, **მცხეთას** დაეცა დედალსა, **ავჭალას** მტვერი ადინა. (ხალხ.).

7. **დროის გარემოებას: ნავახშმევს** ირაკლიმ სტუმარი თავის ოთახში წაიყვანა (გვეტ., 91); თეიმურაზი მთელ **ზაფხულს** გარინდული დადიოდა. (ჯავ., 2, 248).

შენიშვნა: ადგილისა და დროის გარემოებას გადმოსცემს ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმა, რომელიც საზღვრულის ჩავარდნისაგან არის წარმომდგარი (§§70; 76); ქალი **მეზობლისას** ყოფილიყო (ბარნ., 2, 272); **განთიადისას** გააბა მამალმა ყივილი! (ვაჟა, 6, 201).

თანდებულიანი მიცემითით გადმოიცემა:

1. **სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატება**: ყვავილნი მუდამჟამს **სიცოცხლეზე** საუბრობდნენ (ვაჟა, 6, 39); მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით ტყეში **ფოთლებთან** ლაზღანდარობდა (ჭავ., 147); [დედაჩემს] **ცნობისმოყვარეობასთან** შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა (წერ., 1, 18); **ირმებთან ერთად** ისიც დანავარდობდა (ვაჟა, 5, 267); **ტანკებთან** ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. (გვეტ.).

2. **ადგილის გარემოება**: ეტლი **კლუბთან** გაჩერდა (გვეტ., 361); თრთის და კანკალებს **ცაზე** ვარსკვლავი (ტაბ.); **ტყეში** ერთი მუხა იდგა (ვაჟა, 5, 194); **ორ ზღვას შუა** ძველის-ძველად საომარი იყო ლელო (ტაბ.); მორჩენის გზაზე დამდგარი მეომრები **კარვებს შორის** მიმოდიოდნენ. (გვეტ., 486).

3. **დროის გარემოება: ალიონზე** ცა მოიწმინდა (გვეტ., 406); ასი წლის ბებერმა **იანვარში** მარწყვი მოინდომაო. (ანდ.).

4. **ვითარების გარემოება**: ... სანთლების შუქზე ექვსი ხანჯალი ექვს მოკლე **ელვასავით** დატრიალდა (ჯავ., 4, 4949); ყალიონი

ძალზედ გამოაბოლა. (ჭავ., 452).

შენიშვნა: მიცემითში შეიძლება იდგეს **ფიცილის ფორმულა**, რომელსაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვს: ერთს გკითხავ, **დედაშვილობას**, მითხარ პასუხი ამისა. (ვაჟა, 3, 168). ასეთი გამოთქმები დამატება-ობიექტებისაგან ჩანს წარმომდგარი.

§118. ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები

ნათესაობით ბრუნვაში შეიძლება იდგეს მხოლოდ წინადადების არამთავარი წევრი. ამა თუ იმ წევრის გადმოსაცემად ამ ბრუნვის ფორმას ხშირად დაერთვის თანდებული (კენ, თვის, გან, მიერ, ებრ) ან ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.

უთანდებულო ნათესაობითი გამოხატავს:

1. **უბრალო დამატებას რამდენიმე ზმნის პირიან ფორმასთან:** ...ეშინოდათ იმის გესლიანი **სიტყვისა** (ბარნ., 1, 157); საწყალ დედაკაცს რცხვენოდა **მეზობლებისა** (ბარნ., 1, 149); ძალიან ეხათრებოდა **დედაკაცისა** ქმარ-შვილს. (ბარნ., 2, 298).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასახელებულ შემთხვევებში საზღვრული სახელია ამოვარდნილი, ნათესაობითის გავრცობილი ფორმა ნამდვილად სახელობითია და არა ნათესაობითი.

2. **სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატებას** სახელზმნასთან (ქვემდებარისებრს, პირდაპირისებრს): დედა ნიბლია მოუსვენრად ელოდა **ამხანაგის** დაბრუნებას (რაზ., 7); დედაჩემი **ვახშმის** მზადებას შეუდგა. (ვაჟა, 5, 68).

3. **სუბსტანტიურ განსაზღვრებას** (რომელიც აღნიშნავს მასალას, კუთვნილებას, დანიშნულებას...) **ვერცხლის** ბადიით შარბათი დაალევინეს... (ბარნ., 1, 167); **მთის** კალთებს გარს შემოეზღუდათ მოზრდილი ვაკე. (ბარნ., 1, 13).

4. გარეგნულად ნათესაობითის ფორმა აქვს ზოგჯერ **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს** (§32): შენ სამის **წლისა** იქნებოდი (ჭავ., 354); ვასო კარგი **გულისაა** (ვაჟა, 5, 29); შენ რამდენი **წლისა იქნები**? (ვაჟა, 5, 264); იანვრის მიწურულში თერთმეტი **წლისა გახდა** ბიძინა. (ჯაფ., 79).

აქაც სახელობით ბრუნვაში დასმული საზღვრული სახელია ამოვარდნილი და ნათესაობითის გავრცობილი ფორმები ნამდვილად სახელობითს გულისხმობს.

თანდებულიანი ნათესაობითით გადმოიცემა:

1. **სხვადასხვა მნიშვნელობის უბრალო დამატება: არწივისაგან** შეშინებული წეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ., 254); **თადუასა მიერ** მოტანილმა ახალმა ცნობამ საერთო გამოცოცხლება შეიტანა ქალებში (ჯაფ., 154); მზეს პირი მოეკრა მთების წყვრეებისაგან (რაზ.); [illegible]

ხვისაგან აკეთებენ. (რაზ., 149).

2. **ადგილის გარემოება**: იხვების გუნდმა გადაიქროლა **ზღვის-კენ** (გამს., 1, 325); **იის გარშემო** ბევრი ყვავილი და ბალახი იყო ამოსული (იქვე, 1); მონადირემ **ირმის გასწვრივ** შენიშნა მიმავალი ვეფხვი (ვაჟა, 6, 134); ვასოს დედ-მამას **სახლის წინ** მშვენიერი ბაღი ჰქონდათ. (გოგ., 89).

3) **დროის გარემოება: გაღვიძებისთანავე** ირგვლივ გაცეცებით მიმოიხედა (გვეტ., 403); **ორი კვირის შემდეგ** შიშია დაბრუნდა ხევსურეთში (ვაჟა, 6, 477); მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა **განთიადის წინ**. (გოგ., 248).

4. **ვითარების გარემოება**: ყველანი **ჩვეულებისამებრ** ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ და მხიარულობდნენ (ყაზ., 2, 387); **ფრიალოსაებრ** ჩამოთლილი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე. (ჭავ., 185).

5. **მიზეზის გარემოება**: ისინი **სიშორის გამო** ვერ მიდიოდნენ პაპასთან სამასლაათოდ (ვაჟა, 5, 21); **სიცივისაგან** ყვავიც კი ვეღარ აღებდა პირს, რომ დაეჩხავლა. (ევდ., 3, 204).

6. **მიზნის გარემოება**: მამალი ნიბლია ჩვეულებისამებრ მონდორში დაფრინავდა **საჭმელისათვის** (რაზ., 7); წვრილი ფრთოსნები სოფელში იყრიდნენ თავს **საზრდოს გულისათვის**. (იქვე, 179).

§119. მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორმებით შეიძლება გადმოიცეს:

1. **უბრალო დამატება** (საჭურველისა და თანაობისა): ზოგან არწივს **ხაფანგით** იჭერენ (გოგ., 149); აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის **ცოლ-შვილით** ბაღის დასათვალიერებლად. (ვაჟა, 6, 45).

2. **ადგილის გარემოება** (სხვადასხვა მნიშვნელობისა): **ტყვეობით** დაბრუნებული ძმებში ყოფნითა სტკბებოდა (ვაჟა); მზე **დასავლეთით** მთებს ეფარებოდა (ლომ., 413); ახლა იქით გაიხედე, **ჩრდილოეთით**. (დად., 315).

3. **დროის გარემოება** (სხვადასხვა მნიშვნელობისა): **დილით** ძროხაში მგზავნიდნენ, **საღამოს** – ღორისკენაო (ხალხ.); [სოსანა] **პატარაობითვე** ამ უბანში იზრდებოდა ცალხელაანთ მართასას (ბარნ., 1, 144); **ხაფხულობით** უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი. (ვაჟა).

4. **ვითარების გარემოება**: შალვა **მოწიწებით, გაფაციცებით** ყურს უგდებდა მამას (ვაჟა, 5, 159); ჯიხვს სისხლი **თქრიალით** გასდიოდა (რაზ., 200); ...თითო-ოროლა **წვეთობით** ნამს ვასხურებ. (ვაჟა, 5, 237).

5. **მიზეზის გარემოება**: მელიამ **სიმწვავით** კინაღამ დაიყვირა (რაზ.); [სვავი] **სიმაძღრით** ძლივსღა ქშინავდა (ვაჟა, 6, 3); თაგვს **შიშით** თვალთ დაუბნელდა. (რაზ., 365).

შენიშვნა. 1. უთანდებულო მოქმედებითი მონაწილეობას იღებს პარონომაზიულ კონსტრუქციაში (§65): **კითხვით** კარგად ვკითხუ-

ლობდი (წერ., 1, 44); ვცხოვრობ **ცხოვრებით** ტკბილადაა (ვაჟა); **მოწონებით** ბევრი მოსწონდა ზურაბს. (ბარნ., 2, 89).

შენიშვნა 2. უთანდებულო მოქმედებითი ზოგჯერ კავშირის როლს ასრულებს დანართთან (§151): ეს ობიექტი, **წარმოშობით** ირიბი, თავის ალაგას რჩება სხვა ობიექტის შემყვანის შემდეგაც (ა.შ. 347).

თანდებულიანი მოქმედებითით გამოიხატება:

1. **უბრალო დამატება** (თანაობისა): [შალვას] ანკესი **ძუითურთ** ნინიამ გაუმართა (ვაჟა, 5, 162); [სარდიონი] ფქვილიანი **ტომრითურთ** ჩავარდა ხრამში. (ჯაფ., 6).

2. **ადგილის გარემოება** (რომელიც აღნიშნავს დასაწყის პუნქტს სივრცეში): **ფოთლებიდან** წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა, 6, 138); **მიწიდან** ბალახი იწვერებოდა. (გვეტ., 490).

3. **დროის გარემოება** (რომელიც უჩვენებს მოქმედების დასაწყისს დროში): თეოფილე **სიყრმიდანვე** გარჯაში იყო (გვეტ., 107); მზაღო **დილიდანვე** ფერმიხდილი იჯდა... (ყაზ., 1, 51).

§120. ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები

უთანდებულო ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

1. **უბრალო დამატება** (ვითარებისა და თანაობისა): ჩარექა ნახევარ **თუნგად** იქცევა, ნახევარი თუნგი – **თუნგადა** (რაზ., 360); ...აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის **სტუმრებიანად**. (ვაჟა, 6, 172).

2. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: დილაზე ავადმყოფი **უარესად** შეიქმნა (კლდ., 1, 210); ფშაველი კარახელი ... **ავად** არის... (ვაჟა, 6, 394); დარჩა **ქვრივად** საწყალი ლუარსაბი. (ჭავ., 387).

3. **ადგილის გარემოება:** ასე მიდიოდა **ქვეყნად** ცხოვრება... (რაზ., 207); **მინდვრად** თოვლი აღარ იდო. (რაზ., 212).

4. **დროის გარემოება: ძველად, ძველისძველად,** როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული ცხოვრობდა.(ვაჟა, 5, 33).

5. **ვითარების გარემოება:** ხეხილი **წითლად, ყვითლად, თეთრად** ჰყვაოდა (ვაჟა, 6, 91); არჯალა **მდუმარედ** იჯდა (ვაჟა, 5, 172); იქ **ჯგუფად** ისხდნენ ბუზები. (ჭავ., 330).

6. **მიზნის გარემოება:** [მამალმა] მტრების **გასაგულისებლად, გასაჯავრებლად** სამჯერ ზედიზედ დაიყივლა (ვაჟა, 6, 212); ნოდარმა ორი მებრძოლი გაგზავნა **დასაზვერად** (გვეტ., 454); ერთ დღეს გოგრა **სანადიროდ** გავიდა. (ვაჟა, 5, 219).

შენიშვნა: არსებითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა კავშირის როლს ასრულებს დანართთან (§151): დურმიშხანი, **გვარად** წამალაძე, იმერელი იყო (ჭონქ.); ლაშას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, **სახელად** დავითი... (გოგ., 300).

თანდებულიანი ვითარებითი გამოხატავს:

1. **ადგილის გარემოებას** (ე.ი. მიწევნის პუნქტს სივრცეში): კესო... ხმა-ამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს **სასაფლაომდე** (ჭავ.,

464); **ქუთაისამდის** ორი დღეს სავალი იყო. (წერ.).

2. **დროის გარემოებას** (მიწევნის პუნქტს დროში): მამა-შვილის ჩურჩულმა მამლის **ყივილამდე** გასტანა (ჯავ.); იმათი ბრძოლა დილიდან **სადამომდე** გაგრძელდა. (ვაჟა).

3. **განსაზღვრებას** (რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან): თითო პეპელამ **ხუთასამდე** კვერცხი დადო (ეოგ., 205), **ოცდაათამდე** კაცი წავიდა დათვზე. (ვაჟა).

4. **შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს**: [ბასკები] რიცხვით ერთ **მილიონამდე** არიან. (ჯავ., 3, 226).

§121. წოდებითი ბრუნვის ფუნქცია

წოდებით ბრუნვას ერთადერთი ფუნქცია აქვს. იგი გამოხატავს მიმართვას მე-2 პირად წარმოდგენილი საგნისადმი (§155). ასეთი ფორმა წინადადების წევრად არ არის მიჩნეული, მაგრამ მას შეიძლება ახლდეს მიმყოლი სიტყვა (სიტყვები) არამთავარი წევრების სახით: აი, **ძმაო**, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე (ჭავ., 283); რა მშვენიერი რამა ხარ, **დილის რიჟრაჟო**! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით **პირდაბანილო ქვეყანავ**! (იქვე, 257).

ბრუნვათა ფუნქციების განხილვასთან დაკავშირებით ზემოთ არაფერია თქმული ატრიბუტული და პრედიკატული განსაზღვრების შესახებ: პირველი იმ ბრუნვაში დგას (ან ივარაუდება), რომელშიაც საზღვრული წევრია, ე.ი. ყველა ბრუნვაში შეიძლება იდგეს. პრედიკატული განსაზღვრება ქვემდებარეს ან დამატება-ობიექტს (პირდაპირსა და ირიბს) განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების დროსთან მიმართებით და იმ ბრუნვაში დგას, რომელშიაც დასახელებული წევრები.

თანდებულთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს:

1. „ზოგიერთი თანდებული ისე მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას, თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა მზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის წყალობით შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტები მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი რამ მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცემითში“ (ა. შანიძე). გამოიყო სამი ადგილობითი ანუ ლოკალური ბრუნვა, რომლებიც სავარაუდო ბრუნვის ნიშნებითვე ასეა წარმოდგენილი: 8. სადაობითი – ქალაქ-**ში**, ქალაქ-**ზე**; 9. გამოსვლითი – ქალაქ-**იდან**, წყარო-**დან**; 10 მიწევნითი – ქალაქ-**ამდე**, წყარო-**მდე**.

დასახელებული ფორმები ბრუნვებად თუ იქნა აღიარებული, უბრალო დამატებათა და გარემოებათა განხილვა სხვა სახეს მიიღებს.

VI. მარტივი წინადადების ტიპები

§122. მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით

ინდოევროპულ ენებში, როგორც ცნობილია, წინადადების მთავარი წევრი ორია: ქვემდებარე და შემასმენელი. მარტივი წინადადება ამ ენებში ან ორივე მთავარ წევრს შეიცავს, ან ერთს. ამის შესაბამისად მარტივი წინადადება ორგვარია: **ერთშემადგენლიანი** და **ორშემადგენლიანი**.

ქართულში, როგორც ვიცით, მთავარი წევრებია არა მარტო ქვემდებარე და შემასმენელი, არამედ დამატება-ობიექტებიც (პირდაპირი და ირიბი). ამის გამო ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით არსებითად განსხვავდება ინდოევროპულ ენათა მარტივი წინადადების შედგენილობისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ ქართულშიც მარტივი წინადადების ორ ტიპს გამოყოფენ: ერთშემადგენლიანსა და ორშემადგენლიანს: ამოსავალია ქვემდებარე და შემასმენელი, ხოლო დამატება-ობიექტებს არ ეწევა ანგარიში. მაშასადამე, ქართული მარტივი წინადადება სტრუქტურულად გათანაბრებულია ინდოევროპულ ენათა მარტივ წინადადებასთან, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული: წინადადების მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადების ტიპების გამოყოფისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დამატება-ობიექტებს.

ქართული მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს: **ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი** და **ოთხშემადგენლიანი**.

ერთშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიც ერთი მთავარი წევრია: ქოხში საკმაოდ **ჩამობნელდა** (ყაზ.); საშინლად **ცხელოდა** (ვაჟა); ღამით ცოტაოდნად **წამოეწვიმა**. (ჯაფ., 111).

სამივე წინადადებაში ერთი მთავარი წევრია – **შემასმენელი**, ხოლო სხვა მთავარი წევრი არ არის და არც იგულისხმება. პირველი და მეორე წინადადება ორშემადგენლიანი წინადადებისაგან არის წარმომდგარი, მესამე კი – სამშემადგენლიანისაგან.

ორშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიაც შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული: **ქარი გრიალებდა** (რაზ.); მთიდან ბარად მომდინარი **არწივი** მის [ხმელი წიფლის] კენწეროზე **ისვენებდა**. (ვაჟა, 5, 87). ორივე წინადადებაში ორ-ორი მთავარი წევრია: ქვემდებარე და შემასმენელი. ესენია ჩვეულებრივ ორშემადგენლიანი წინადადების ნაწილები. გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ორშემადგენლიანი წინადადების ნაწილებს შემასმენელი და ერთ-ერთი დამატება (პირდაპირი ან ირიბი) წარმოადგენს: **ღამე რთვილს აგდებს** (ვაჟა, 6, 236); **მატარებელს** მცხეთაში

დაათენდა (გვეტ., 67). ორივე წინადადება ორშემადგენლიანია, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა. პირველი შეიცავს შემასმენელსა და პირდაპირ დამატებას, მეორე კი – შემასმენელსა და ირიბ დამატებას. ორივე წინადადება უქვემდებაროა და წარმომდგარია სამშემადგენლიანი წინადადებისაგან.

სამშემადგენლიანია მარტივი წინადადება, რომელშიაც შემასმენელი ორპირიანი ზმნით არის გადმოცემული: ოთახში დასადგურებულ **სიჩუმეს** ხანდახან ქვემეხების **გრუხუნი არღვევდა** (გვეტ., 434); ამ **კლდესაც** ხაერდივით მწვანე **ხავსი გადაჰკვრია**. (ვაჟა, 5, 86).

პირველ წინადადებაში ზმნა გარდამავალია, მეორეში – გარდაუვალი. ამის შესაბამისად პირველი წინადადების მთავარი წევრებია შემასმენელი, ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, ხოლო მეორისა – შემასმენელი, ქვემდებარე და ირიბი დამატება.

სამშემადგენლიანი წინადადება შეიძლება მივიღოთ ოთხშემადგენლიანისაგან პირის დაკარგვის შედეგად: ზამთარში ფანჯრის **მინებს** შიგნიდან ოფლს **დაასხამს** ხოლმე. (გოგ.). ამ წინადადებაში სამი მთავარი წევრია: შემასმენელი, ირიბი დამატება (მინებს) და პირდაპირი დამატება (ოფლს). ზმნა უსუბიექტოდ არის ნახმარი.

ოთხშემადგენლიანია წინადადება, რომელშიც შემასმენლად სამპირიანი ზმნაა: გადახრილი **მზე** უხვად **აფრქვევდა სხივებს** ამწვანებულ **სოფელს** (გვეტ., 260); თვალებგაბრწყინებული **მარო** აღტაცებით **უჩვენებდა კაჭკაჭს და-ძმებსა**. (რაზ., 318).

§123. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება

ინდოევროპულ ენებში, როგორც უკვე ითქვა, მარტივი წინადადება ერთშემადგენლიანია ან ორშემადგენლიანი, რომლებშიც, გარდა მთავარი წევრებისა, შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე არამთავარი წევრიც. იმის მიხედვით, მარტივი წინადადება მარტო მთავარ წევრებს შეიცავს თუ მთავართან ერთად არამთავარსაც, გამოყოფილია მხოლოდ წინადადების ორი სახეობა: გაუვრცობელი და გავრცობილი, გაუვრცობლად იწოდება წინადადება, რომელიც მარტო ქვემდებარესა და შემასმენელს შეიცავს (ორშემადგენლიანი) ან მარტო ერთ მთავარ წევრს (ერთშემადგენლიანი), ხოლო გავრცობილად მიჩნეულია ისეთი წინადადება, რომელშიც, გარდა მთავარი წევრებისა, მოიპოვება ერთი ან რამდენიმე არამთავარი წევრი. მაშასადამე, დასახელებულ ენებში გაუვრცობელი წინადადება შედგება ერთი ან ორი წევრისაგან, გავრცობილი კი – ორი (როცა წინადადება ერთშემადგენლიანია) და მეტი წევრისაგან.

გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადების ასეთი განსაზღვრა ბოლო ხანებამდე დამკვიდრებული იყო ქართულ გრამატიკაშიც. თუ ამოსავლად მხოლოდ ქვემდებარესა და შემასმენელს მი-

ვთნეყთ, ცხადია, გაუვრცობელ და გავრცობილ წინადადებათა მოცემული გაგება ქართულის მიმართაც ძალაში დარჩებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართულში, როგორც ვიცით, მთავარი წევრებია არა მარტო ქვემდებარე და შემასმენელი, არამედ დამატება-ობიექტებიც (პირდაპირი და ირიბი), რომელთა უგულებელყოფა გაუვრცობელ და გავრცობილ წინადადებათა განსაზღვრისას გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ, როცა შემასმენლად ორ- და სამპირიანი ზმნაა, გაუვრცობელი წინადადების შემადგენლობაში, გარდა ქვემდებარისა და შემასმენლისა, შევა ერთ-ერთი ან ორივე დამატება-ობიექტი (ერთ-ერთი, როცა ზმნა ორპირიანია, და ორივე, როცა შემასმენელი სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული). მაშასადამე, გაუვრცობელია წინადადება, რომელიც მარტო მთავარ წევრებს შეიცავს: მაგ.:

1. გაზაფხულდა (ვაჟა);
2. ქარი ჩადგა (წერ.);
3. ნოდარმა თვალები დახუჭა (გვეტ.);
4. მთვარე ღრუბელს ამოეფარა (ტაბ.);
5. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს. (ვაჟა);

პირველი გაუვრცობელი წინადადება ერთშემადგენლიანია. იგი მარტო შემასმენელს შეიცავს (გაზაფხულდა), რომელთანაც ქვემდებარე არ არის და არც იგულისხმება; მეორე – ორშემადგენლიანია, შეიცავს ქვემდებარესა (ქარი) და შემასმენელს (ჩადგა); მესამე და მეოთხე – ორივე სამშემადგენლიანია, ოღონდ მათ შორის განსხვავებაცაა: მესამე წინადადება, სადაც შემასმენლად ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, შეიცავს ქვემდებარეს (ნოდარმა), პირდაპირ დამატებასა (თვალები) და შემასმენელს (დახუჭა), მეოთხე კი, სადაც შემასმენლად ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა, – ქვემდებარეს (მთვარე), ირიბ დამატებასა (ღრუბელს) და შემასმენელს (ამოეფარა). მეხუთე წინადადებაში შემასმენელი გადმოცემულია სამპირიანი გარდამავალი ზმნით და ამის გამო წინადადება ოთხ მთავარ წევრს შეიცავს: ქვემდებარეს (ხეებმა), ირიბ დამატებას (თელას), პირდაპირ დამატებასა (თვალიერება) და შემასმენელს (დაუწყეს).

გავრცობილია წინადადება, რომელიც, გარდა მთავარი წევრებისა, შეიცავს ერთ ან რამდენიმე არამთავარ წევრს. მაგ., მოყვანილ წინადადებებს თითო-თითო წევრი რომ დავუმატოთ, ყველა გავრცობილი გახდება.

1. გვიან გაზაფხულდა;
2. ძლიერი ქარი ჩადგა;
3. ნოდარმა თვალები ოდნავ დახუჭა;
4. მთვარე თანდათან ღრუბელს ამოეფარა;
5. გაკვირვებულმა ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს.

პირველი და მეორე შემთხვევა გაუვრცობელი და გავრცობი-

ლი წინადადებებისა ქართულშიც ისეთივეა, როგორიც ევროპულ ენებში, დანარჩენი შემთხვევები კი (მე-3, მე-4, მე-5) სპეციფიკურია ქართველური ენებისათვის, სადაც ზმნა არა მარტო ერთპირიანია, არამედ ორ- და სამპირიანიც.

§124. სრული და უსრული წინადადება

წინადადება სრულია ან უსრული (არასრული).

სრულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე აუცილებელი წევრი და კონტექსტისა თუ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად გადმოგვცემს დამთავრებულ აზრს. სრულ წინადადებაში ხშირად წარმოდგენილია არა მარტო შემასმენელი და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა მთავარი წევრი, არამედ ერთი ან რამდენიმე არამთავარი წევრიც. მაგ.: გაზაფხულდა. ჯეჯილები გაბზინდა (ვაჟა, 6, 95); ქარი გრიალებდა. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა. მსხალი ნელ-ნელა ირწეოდა (რაზ., 92); მოზღვავებულმა ხალხმა ცეცხლი მალე ჩააქრო (ვაჟა, 5, 190); ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა. (ვაჟა, 6, 182).

უსრულია წინადადება, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ არამთავარი), რომლებიც ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან სხვა რაიმე გარკვეული პირობის მიხედვით. ასეთი წინადადება კონტექსტისა თუ სიტუაციის გაუთვალისწინებლად მოკლებულია თავისთავადობასა და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. ამის გამო უსრული წინადადება, ცალკე არსებული, ხშირად შეიძლება იქცეს ისეთ სიტყვად და სიტყვათა შეკავშირებად, რომელიც არ გამოხატავს რაიმე გარკვეულ აზრს. მაგ.: **კარგად** და **კარგად არიან**, ცალკე აღებული, გაუგებარია, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ კონტექსტში მათი მნიშვნელობა სავსებით ნათელია:

– გამარჯობა, ღვთისავარ!

– გაგიმარჯოს, როსტომ! როგორა გყავს საქონელი და დედამამა?

– **კარგად.** შენი საქონელი და ჯალაბობა რაღასა იქს?

– **კარგად** არიან. (ჯავ., 4, 84).

აქ **კარგად** და **კარგად არიან** – ორივე უსრული წინადადებაა. გამოტოვებული წევრები შეიძლება აღვადგინოთ კითხვების მიხედვით, ასე რომ მნიშვნელობით ეს წინადადებები ემთხვევა შემდეგ სრულ წინადადებებს: საქონელი და დედ-მამა კარგად მყავს; ჩემი საქონელი და ჯალაბობა კარგად არიან.

უსრული წინადადება ზოგჯერ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილს წარმოადგენს. გამოტოვებული წევრი (წევრები) დასახელებულია რთული წინადადების სხვა ნაწილში და ამის გამო იგი ადვილად იგულისხმება. მაგ.: ყორანი იჯდა მუხის ერთ ხმელ

ტოტზე და **თვალებიდან ცრემლი ღაბაღუბით ჩამოსდიოდა**. (ვაჟა). **ყორანი**, რომელიც დასახელებულია პირველ წინადადებაში და ქვემდებარეა, იგულისხმება მეორეში ირიბ დამატებად. მეორე წინადადება სრულად იქნება: **ყორანს თვალებიდან ცრემლი ღაბაღუბით ჩამოსდიოდა**.

ზოგჯერ რთულში შემავალი წინადადებები უსრულია, გამოტოვებული წევრი იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ წინადადების მიხედვით. მაგ.: თიბათვის დღე იყო. გაჭირვებული გუგული თავის „გუგუს“ გაიძახოდა. [გუგულს] **ბუდობის დრო მოსვლოდა** და [გუგულმა] **არ იცოდა ჯერ კიდევ თავისი ბუდე**, რომ [გუგულს] კვერცხი **ჩაედვა** და **გამოეჩეკა**. (რაზ.). გამოტოვებული წევრი, რომელიც აქ აღდგენილია, იგულისხმება წინა წინადადების მიხედვით. ასეთი აღდგენა სტილისტიკურად გაუმართლებელია.

უსრულ წინადადებას შეიძლება აკლდეს არა მარტო ერთი ან რამდენიმე წევრი, არამედ მთელი წინადადებაც – მთავარი ან დამოკიდებული. მაგ.:

– მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

– **რომ არ იყოს ორმოცი**?

– **ჯარიმა გადამახდევინე**. (ჭავ., 331).

უსრული წინადადება ჩვეულებრივია განსაკუთრებით დიალოგებში, კითხვა-მიგების დროს ხშირად უსრულია არა მარტო პასუხი, არამედ თვით კითხვაც. მაგ.:

– თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე – პატარა.

– **მერე წაართვით**?

– **წავართვით.**

– **რა უყავით?**

– **ისევ გოლას მივეცით.** (ჭავ., 433).

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში უსრული წინადადების გამოტოვებული წევრები შეიძლება აღვადგინოთ კონტექსტის მიხედვით, მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უსრული წინადადების მნიშვნელობა გასაგებია კონტექსტის გარეშეც. ამ შემთხვევაში უსრული წინადადების გამოყენება აპირობებს არაენობრივი დამატებითი ფაქტორები (ჟესტ-მიმიკა, სიტუაცია...). ასე, მაგალითად, როცა მოუბარი თანამოუბარს ხელით ანიშნებს ამა თუ იმ საგანზე და თან მიმართავს სიტყვით **მომაწოდეთ!**, უსრული წინადადების მნიშვნელობა გასაგებია. ან კიდევ, როცა ესა თუ ის პირი შემხვედრ მეგობარს მიმართავს სიტყვით **საით?**, გასაგებია, რომ მნიშვნელობით ეს ერთი სიტყვა იგივეა, რაც: **შენ საით მიდიხარ?** დასახელებულ შემთხვევებში უსრული წინადადების გამოყენებას აპირობებს ჟესტი და გარკვეული სიტუაცია.

ენობრივი და არაენობრივი ფაქტორები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს უსრული წინადადების მნიშვნელობის გაგებას. ასე, მაგალითად, მოუბრის მიერ ნათქვამი უსრული წინადადების მნიშვნელობა ზოგჯერ არ არის ნათელი თანამოუბრისათვის, რაც ამ უკანასკნელის რეპლიკას იწვევს, რომ დაზუსტდეს ნათქვამის მნიშვნელობა.

–გიორგი გიახლათ, – მოახსენა ერთს საღამოს მოსამსახურემ არჩილსა.

– **ვინ გიორგი**? – ჰკითხა არჩილმა.

– ოთარაანთ ქვრივის შვილი.

– მობრძანდეს. (ჭავ, 443).

წინადადება, რომელშიც ქვემდებარედ და დამატება-ობიექტად იგულისხმება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები (მე, ჩვენ, შენ, თქვენ), ფორმალურად უსრულია, მნიშვნელობით კი სრულია, თუ სხვა წევრი არ აკლია.

– დამინახე? – დაგინახე (კ. ლორთქ.); ხვალ მოსკოვს მივდივარ; მეგობარმა წერილი მომწერა; წავიდეთ ჩქარა, მომყე! (ვაჟა).

სრულ და უსრულ წინადადებათა შესახებ წიგნში გატარებული თვალსაზრისის მიხედვით, ანგარიში ეწევა არამთავარ წევრებსაც. ენათმეცნიერებაში არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც, სრულია წინადადება, თუ მას არ აკლია რომელიმე მთავარი წევრი, ხოლო უსრულია წინადადება, თუ აკლია მთავარი წევრი, ე.ი. ამ თვალსაზრისის მიხედვით. სრულ და უსრულ წინადადებათა შესახებ მსჯელობისას არამთავარი წევრების როლი უგულებელყოფილია.

მარტივი წინადადების სტრუქტურულ ტიპს, მის მოდელს, მთავარი წევრები ქმნიან. თუ მარტივ წინადადებაში გამოტოვებულია რომელიმე მთავარი წევრი, ასეთი წინადადება უსრული იქნება არა მარტო წინადადების სტრუქტურული მოდელის მიხედვით, არამედ აზრის გადმოცემის თვალსაზრისითაც. ამასთანავე, აზრის მეტ-ნაკლები სისრულითა და სიზუსტით გადმოცემისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვთ არამთავარ წევრებსაც. ეს რომ ასე არ იყოს. საფუძველი გამოეცლებოდა მათ არსებობასაც. ამიტომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მარტივი წინადადების სტრუქტურული მოდელის სისრულე-უსრულობა აზრის გადმოცემის სისრულე-უსრულობისაგან: სტრუქტურული მოდელის მიხედვით სრული წინადადება აზრის გადმოცემის თვალსაზრისით შეიძლება უსრული აღმოჩნდეს და, პირიქით, უსრული – სრული.

§125. უქვემდებარო წინადადება

უსუბიექტო ანუ უქვემდებარო ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელშიც შემასმენელთან ქვემდებარე არ მოიპოვება და არც ივარა-

უდება. მაგ.: **ტყეში თანდათან ჩამობნელდა**. (გვ., 460): ამ წინადადებაში შემასმებელს (ჩამობნელდა) ორი არამთავარი წევრი ახლავს: ადგილის გარემოება (ტყეში) და ვითარების გარემოება (თანდათან); ქვემდებარე არაა და ასეთად არც შეიძლება ვიგულისხმოთ რომელიმე სახელი. მაშასადამე, დასახელებული წინადადება უქვემდებარო წინადადებაა (სრული, გავრცობილი).

ზოგიერთ ენაში (მაგ., რუსულში) უქვემდებარო წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლიანია. ქართულში, სადაც ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა, უქვემდებარო წინადადება მთავარ წევრთა შემადგენლობის მიხედვით სამგვარია: ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი და სამშემადგენლიანი[192]. უქვემდებარო წინადადება გაუვრცობელია ან გავრცობილი.

ერთშემადგენლიანი უქვემდებარო წინადადება მხოლოდ ერთ მთავარ წევრს შეიცავს – შემასმენელს; იგი გაუვრცობელია ან გავრცობილი არამთავარი წევრებით. მაგ.: **დაბნელდა, დაუკუნეთდა** (ვაჟა, 5, 14); **გარიჟრაჟდა** (ჭავ., 439) თანდათან **დაბნელდა** (ვაჟა, 5, 246); სახლში მეტად **ბნელოდა** (კლდ., 1, 204); **აცივდა, აყინდა** (ჭავ.); სამ დღეს გადაუღებლად **წვიმდა** (გ. რჩ.); ტყეში თანდათან **ჩამობნელდა** (გვეტ.); იმ წელიწადს გორში ადრე **გამოზაფხულდა** (გოგ.); ერთხელ ძლიერ დაცხა. (ვაჟა).

ორშემადგენლიან უქვემდებარო წინადადებაში ორი მთავარი წევრია – შემასმენელი და დამატება-ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი).

ა) უქვემდებარო წინადადება შეიცავს შემასმენელსა და პირდაპირ დამატებას: ღამე **რთვილს აგდებს** (ვაჟა, 6, 236); **სდებს თოვლს** (ვაჟა, 5, 318); **დაიწყო** გაბმული **წვიმები** და **დაიჭირა სიცივეები** (გოგ., 76); დაუშვა კოკისპირული **წვიმა** (ვაჟა, 6, 326); **წვიმა გადაიღო** (ჯავ.); ამასობაში მთაში **თოვლი ჩამოყარა**. (რ. ინან.).

ბ) უქვემდებარო წინადადებაში შემასმენელი და ირიბი დამატებაა: **თომას** თვალთ **დაუბნელდა** (ჯავ., 1, 234); **მთიელს გააჟრჟოლა** (ყაზ.); **მატარებელს** მცხეთაში **დაათენდა** (გვეტ., 67); **სიმინდს** ძალზე **გაუჭირდა** (ო. იოს.); **გუდულის** სასტიკად **დასცხა**. (ნ. დუმბ.).

სამშემადგენლიანი უქვემდებარო წინადადება შეიცავს შემასმენელს, ირიბ დამატებასა და პირდაპირ დამატებას: ზამთარში ფანჯრის

---

[192] ქვემდებარის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ტიპის წინადადებები: უქვემდებარო, განუსაზღვრელპირიანი, განზოგადებულპირიანი წინადადება. ცალკე ტიპად არის აგრეთვე გამოყოფილი სახელდებითი წინადადება. ყველა დასახელებული ტიპის წინადადება ევროპულ ენებში ერთშემადგენლიანია: ერთშემადგენლიანად იყო მიჩნეული დასახელებული ტიპები უმაღლესი სასწავლებლების „თანამედროვე ქართული ენის პროგრამაში“ და ასეთად არის ისინი განხილული ნ. ბასილაიას სპეციალურ შრომაში: „ერთშემადგენლიანი წინადადების საკითხისათვის ახალ ქართულში“ (ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, 1958, გვ. 367-406). ერთშემადგენლიანი წინადადების ტიპებად არის განხილული ისინი ა. კიზირიას წიგნშიც: მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, 1963, გვ. 101-110.

მინებს შიგნით **ოფლს დაასხამს** ხოლმე (გოგ., 209); მთის **წვერებს**, თუ პატარა წამოწვიმა, მაშინვე **თოვლს მოჰკიდებს** (ვაჟა, 6, 236); [თაგვს] ტანზე ჭირის **ოფლი დაასხა** (იქვე, 169); ერთხელ **გოგიას... სიცხეც მისცა** (ჯავ., 1, 121); **წვიმას თოვლსაც მოაყოლებს** (ო. იოს.); საძილე **ტომრებს** მთელი **ათი სანტიმეტრი დაათოვა.** (გ. რჩ.).

1. **ერთშემადგენლიანი** უქვემდებარო წინადადება მიღებულია:

ა). ორშემადგენლიანისაგან (s-p→p): **უთოვლო** ზამთარში სასიამოვნოდ **დათბა.** (გ. რჩ.).

ბ) სამშემადგენლიანისაგან ($s\text{-}p\text{-}o^{d}\rightarrow p$): მესამე დღეს **გამოიდარა.** (ს. კლდ.).

2. **ორშემადგენლიანი** უქვემდებარო წინადადება მიღებულია:

ა) სამშემადგენლიანისაგან ($s\text{-}p\text{-}o^{d}\rightarrow p\text{-}o^{d}$): იანვრის დამლევს სუსხიანი **ამინდი დაიჭირა** (გვეტ.); ($s\text{-}p\text{-}o^{i}\rightarrow p\text{-}o^{i}$): **მატარებელს** მცხეთაში დაათენდა (გვეტ.).

ბ) ოთხშემადგენლიანისგან ($s\text{-}p\text{<}o^{i}\ o^{d}\rightarrow p\text{-}o^{d}$): ჯერ ხომ შემოდგომის გრძელი და ცივი **წვიმები გადაბა**, მერე **თოვლი მოაყოლა.** (ო. იოს.).

3. **სამშემადგენელიანი** უქვემდებარო წინადადება მიღებულია ოთხშემადგენლიანისაგან ($s\text{-}p\text{<}o^{i}\ o^{d}\rightarrow p\text{<}o^{i}\ o^{d}$): წვიმას თოვლსაც მოაყოლებს (ო. იოს.); ჩამოგვითოვა ქედები. (ვაჟა).

როგორც ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალიდანაც კარგად ჩანს, წინადადება შეიძლება იყოს უქვემდებარო და უდამატებო. განსაკუთრებით გავრცელებულია ენაში პირდაპირი დამატების დაკარგვა-გაუჩინარება. ბევრი გარდამავალი ზმნა პირდაპირი დამატება-ობიექტის დაკარგვით მონაცვლეა საშუალი გვარის ზმნებისა. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის დაკარგვა-გაუჩინარების შემთხვევები მდიდრად არის წარმოდგენილი მ. **სუხიშვილის** გამოკვლევაში[193].

უქვემდებაროდ იხმარება ჩვეულებრივ ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი პირნაკლი ზმნები მე-3 პირის მხ. რიცხვის ფორმით: **ბნელა, ცივა, თბილა, გრილა, ცხელა, თოვს, წვიმს, ყინავს, ქუხს, ელავს, გაზაფხულდა, დაზამთრდა, თენდება, ბნელდება, ბინდდება, ღამდება, ჟინჟღლავს, გარიჟრაჟდა, ჩამოცხა, წამოწვიმა, მოთოვა, ჩამოთბა** და მისთ. ამათგან ზოგი ყოველთვის უქვემდებაროდ იხმარება (**ცივა, თბილა, ცხელა** და სხვ.), ზოგი კი იშვიათად ქვემდებარიანიც გვხვდება. მაგ.: **თოვლი თოვს**, ჯიხვი ფეხს უცემს (ვაჟა, 6, 178); **გათენდა დილა** (ყაზ., 1, 15); უცებ **მთა-ბარი** შავად **დაბნელდა** (ნონ., 65); **წვიმა წვიმს** იმათ თავზედა (ვაჟა, 318); თვალთა გუგებში

[193] **მ. სუხიშვილი,** გარდამავალი ზმნები ქართულში, 1986.

შუქი ბინდდება (ა. გომ.); **ბინდი** დაეშვა ენგურის ჭალებზე და **დაბნელდნენ** გარშემო **გზები**. (გამს.).

ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ პირნაკლ ზმნებს გადატანითი მნიშვნელობით ხმარებისას აქა-იქ ქვემდებარედ შეიძლება ადამიანის სახელიც დაუკავშირდეს. მაგ.: მას აქეთ **ბავლე** სულ **დაბნელდა**, წელში უარესად მოიხარა (ჯავ., 1, 113); **თეიმურაზი** თანდათან **ბნელდებოდა** (ჯავ.); ვითა **დავღამდი**, ისევ **გავსთენდი**! (გურ.; 146).

„იმპერსონალიას მოვლენები და მდგომარეობანი აქვს თავის საგნად ნაგულისხმევი და არა საგნები“[194], ამიტომ განსაკუთრებით ხშირია უქვემდებაროდ ხმარება ისეთი ზმნებისა, რომელნიც ადამიანის (და ცხოველის) ჯანმრთელობის ვითარებასა და მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოვლენებს გამოხატავენ[195]: **მამთქნარებს, მასლოკინებს, მაზმორებს, მახველებს, მაკანკალებს, მაცახცახებს, მაციებს, მაცხელებს, ტანში მჭვალავს, მაჟრჟოლებს, მზარავს, მუხლებში მტეხს, მაძიგძიგებს, მაძმარებს, მათრთოლებს, მცივა, მცხელა** და სხვა. ქვემდებარე იშვიათად ამ ტიპის ზმნებთანაც არის ნახმარი: მაგ.: გაფითრებული **მოხუცი** მთრთოლვარე თითს **აკანკალებდა** (ჯავ.); მე **მაჟრჟოლებს** ჩემი დიდი დროება. (ლეონ.).

უქვემდებაროდ იხმარება აგრეთვე შესაძლებლობის ანუ პოსიბილიტური და გუნების ვნებითის ზოგიერთი ფორმა[196]. წაისვლება, იცხოვრება, დაიდგომება, წაესვლება, ეცხოვრება, დაედგომება, ეტირება, ემღერება, ეცინება.

ზმნა ხშირად კარგავს დამატება-ობიექტსაც (ერთს ან ორივეს) მაგ., **მოუჭირა** სამპირიანი ზმნაა (მოუჭირა მან მას იგი), მაგრამ ზოგჯერ უდამატებოდ იხმარება: „ყინვამ მოუჭირა“. (ჭავ., 470). აქ არ ჩანს, ყინვამ **რა** მოუჭირა და **რას** მოუჭირა. მსგავსი მაგალითებია; **წვიმამ უხშირა, სიომ დაჰბერა, წვიმამ უმატა** (ლორთქ.); **წვიმა** კოკისპირულად **ასხამდა** (ვაჟა, 6, 240); **მდინარემ იკლო** (ლორთქ.); დაგვიზამთრდა. **დღემ იკლო და ღამემ იმატა**. (წერ., 7, 288).

სახელი ერთსა და იმავე ზმნასთან ხან ქვემდებარედ არის შეწყობილი და ხან დამატებად, ე.ი. ზმნა ერთ შემთხვევაში უსუბიექტოდ არის ნახმარი, მეორე შემთხვევაში – უობიექტოდ. მაგ.: ეს-ეს არის უუქუნა **წვიმამ გადაიღო** (ვაჟა, 6, 343) – **წვიმა გადაიღო** (ჯავ., 1, 281); გოგონას ცივმა **ოფლმა დაასხა** (ნ. დუმბ.) – ცხენებს **ოფლი დაასხა**. (დ. შენგ.).

უსუბიექტო (და უობიექტო) წინადადება ხშირად რთული წინადადების ნაწილია. მაგ.: **გარეთ ციოდა** თუ **ცხელოდა, წვიმდა** თუ **მზიანობდა** (ჯავ., 3, 378); **ამასობაში დაბინდდა** და მთელი ბუნება საძილედ გაემზადა (ვაჟა, 6, 345); **ისე ცხელა**, რომ მზეზე კვერცხი

[194] **დ. უზნაძე**, impersonalia, „ჩვენი მეცნიერება“, №1, 1923, გვ. 14.
[195] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 89.
[196] **ნ. ბასილაია**, დასახელებული შრომა, გვ. 374.

მოიხარშება (ჯავ., 4, 293); **უკვე ბნელოდა**, როცა აკაკიმ თვალი გაახილა (გვეტ., 360); **გაზაფხულდებოდა თუ არა**, ის მთელ დღეს ვენახში ატარებდა. (ლომ., 26).

§126. განუსაზღვრელპირიანი (ქვემდებარეგაუჩინარებული) წინადადება

განუსაზღვრელპირიანი ანუ ქვემდებარეგაუჩინარებულია წინადადება, რომელშიც ქვემდებარე არ მოიპოვება და მოქმედ პირად არც შეიძლება ვიგულისხმოთ რომელიმე კონკრეტული საგანი, მაგრამ ზმნას არა აქვს დაკარგული სუბიექტური პირის გაგება. ასეთ წინადადებაში ქვემდებარე გაუჩინარებულია, მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვიღაცა გაურკვეველი პირი (თუ პირები), რომლის ვინაობაც არ არის განსაზღვრული და არც არის ამის საჭიროება მოუბრისა და თანამოუბრისათვის: მთავარი ყურადღება გადატანილია თვით მოქმედებაზე, მოქმედის ვინაობა კი არ არის მნიშვნელოვანი და ამის გამო ის განუსაზღვრელი რჩება. მაგ.: მეორე დილით საგინაშვილი ყელგამოჭრილი **იპოვეს**. (ჯავ., 4, 334). **იპოვეს** ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, რომელთანაც წარმოდგენილია პირდაპირი დამატება (საგინაშვილი), ქვემდებარე კი არ არის და ასეთად კონკრეტულად არც ერთი სახელი არ ივარაუდება (კონტექსტისა თუ სხვა რაიმე პირობის მიხედვით), მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვიღაცა. მაშასადამე, დასახელებული წინადადება **განუსაზღვრელპირიანი** ანუ **ქვემდებარეგაუჩინარებული** წინადადებაა.

განუსაზრვრელპირიან წინადადებაში შემასმენელი მე-3 სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით არის გადმოცემული, თუნდაც მოქმედი ერთი პირი იყოს. ზმნის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვა დროისა. მაგ.: ვარდსა **ჰკითხეს**: ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?“ (რუსთ.); **ამბობენ**, თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს (ჭავ.); ამ მინდიაზე **ამბობენ** დაუჯერებელ ამბებსა (ვაჟა); ღამ-ღამ **ჰხედავენ** სურათსა ზვავისგან ნაგალს[197] გორაში (ვაჟა); ომში ბევრი **წაიყვანეს** დედისერთა ძეო. (ხალხ.).

ქვემდებარეგაუჩინარებული წინადადება იმდენშემადგენლიანია, რამდენი პირიც არის ზმნის ფორმაში. მაგ.: **ჰხედავენ** ორპირიანი ზმნაა, რომლის ქვემდებარე განუსაზღვრელია, გაუჩინარებულია და ამის გამო წინადადებაში ორი მთავარი წევრია: შემასმენელი (ჰხედავენ) და დამატება-ობიექტი (სურათსა).

განუსაზღვრელპირიანი წინადადება განსხვავდება უქვემდებარო წინადადებისაგან (§125). უქვემდებარო წინადადებაში ქვემდებარე არ არის და არც იგულისხმება, განუსაზღვრელპირიან წინადა-

---

[197] ნაგალ-ი იგივეა, რაც გაგლილი: დალეწილი, დამსხვრეული, დანაყილი, გათელილი: ალ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969.

დებაში კი თუმცა ქვემდებარე არ მოიპოვება და ასეთად რომელიმე კონკრეტულ სახელს ვერც ვივარაუდებთ, მაგრამ იგი განუსაზღვრელად მაინც იგულისხმება.

უქვემდებარო და განუსაზღვრელპირიანი წინადადება განსხვავდება უსრული წინადადებისაგან, რომელშიც ზოგჯერ ქვემდებარე გამოტოვებულია, მაგრამ კონტესტისა თუ რაიმე პირობის მიხედვით იგულისხმება და ამის გამო მისი აღდგენა ადვილია (124).

განუსაზღვრელპირიანი წინადადება აღნაგობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, შერწყმული ან რთული წინადადების შემადგენელი ნაწილი: უძაღლო ქვეყანაში კატას **აყეფებდნენო** (ანდ.); შეაქეს მურია და **შეაჭამეს** მგელსაო (ანდ.); ამასობაში ის ფარაჯაში გახვეული ბიჭი მიიყვანეს და სარჩობელას ქვეშ დააყენეს. ფარაჯაში გახვეულს **გახადეს** ფარაჯა, **გადააცვეს** თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე (ჭავ.); ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს **არქმევდნენო** (ანდ.); შენზედ **ამბობენ**, რომ ხარ მამაცი. (ჭავ., 152).

§127. განზოგადებულპირიანი წინადადება

ზმნა ზოგჯერ განზოგადებულ მოქმედებას გამოხატავს, ე.ი. ისეთ მოქმედებას, რომელიც ეხება არა კონკრეტულად ზმნის ფორმით ნაგულისხმებ პირს, არამედ საერთოდ ყველას. ისეთ წინადადებას, რომელშიც ზმნით ნაგულისხმები პირი განზოგადებულია, **განზოგადებულპირიანი** წინადადება ჰქვია. მაგ., წინადადებაში: ამყოლს **აჰყევი**, დამყოლს **დაჰყევიო** (ანდ.) ორი გარდაუვალი ზმნაა, რომლებშიც სუბიექტური პირი [illegible] ამ ზმნებს ერთ-ერთი ასეთი ფორმა ეკუთვნის. ორივე ასეთი განზოგადებულ მოქმედებას გამოხატავს, რაც ფორმალურად მე-2 სუბიექტურ პირს ეხება, მაგრამ ეს პირი წინადადებაში განზოგადებულად არის წარმოდგენილი, ე.ი. მოქმედება ეხება არა კონკრეტულად მე-2 სუბიექტურ პირს, არამედ, საერთოდ, ყველას. ამ წინადადების შინაარსი იგივეა, რაც: ყოველი კაცი ამყოლს აჰყვეს, დამყოლს დაჰყვეს.

ერთპირიან ზმნაში განზოგადებული მოქმედება სუბიექტურ პირს ეხება, ორპირიანსა და სამპირიანში კი იგი შეიძლება ეხებოდეს როგორც სუბიექტურ პირს, ისე ობიექტურსაც (ირიბს). სუბიექტური თუ ობიექტური პირი, რომელსაც განზოგადებული მოქმედება ეხება, ჩვეულებრივ მეორეა მხოლობით რიცხვში, იშვიათად – მრავლობითშიც. „სათანადო ნაცვალსახელების შეწყობა არ უნდა (თუმცა კი ზოგჯერ გვხვდება)“[198]. მაგ.; თბილისიდან რომ აღმოსავლეთისკენ **წახვიდე**, ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ **მიადგები** ერთ გრძელ მთასა, რომელსაც ჰქვიან ცივი (გოგ., 221); რასაც **დასთეს**, მასვე **მომკი** (ანდ.); სადაც **მიხვიდე**, იქაური ქუდი დაიხურეო (ანდ.); როგორც **გიჭირდეს**,

[198] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 91.

ისე **გიღირდესო** (ანდ.); თუ წყალი არ **მოგყვეს**, წყალს შენ **მიჰყევიო** (ანდ.); რაც **გეზარებოდეს**, ის გეძალებოდესო. (ანდ.).

განზოგადებული მოქმედება იშვიათად შეიძლება გადმოიცეს პირველი სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმითაც. მაგ.: თვალით **ვხედავთ**, ყურით **ვისმენთ** მნიშვნელობით იგივეა, რაც ყოველი კაცი თვალით ხედავს, ყურით ისმენს.

„განზოგადებული მოქმედება გადმოიცემა აგრეთვე III სუბ. პირის ფორმით აწმყოში (იშვიათად მყოფადში), რომელსაც ხოლმეობითის გაგება აქვს. „სახლის შენებას საძირკვლიდან იწყებენ". ეს ნიშნავს, რომ სახლის შენებას „ყოველი კაცი ყოველთვის საძირკვლიდან იწყებს"[199].

მე-3 პირის ფორმებთან, რომლებიც განზოგადებულ მოქმედებას გამოხატავენ, ქვემდებარე გაუჩინარებულია.

§128. სახელდებითი წინადადება

სახელდებითია წინადადება, რომლითაც აღინიშნება საგანი თუ მოვლენა რისიმე მტკიცების გარეშე. ასეთი წინადადება ყოველთვის ერთშემადგენლიანია, მასში შემასმენელი არ არის და იგი არც გამოტოვებულად იგულისხმება. მთავარი წევრი გადმოცემულია არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით (მხოლობითსა თუ მრავლობითში), რის გამოც მას ნომინატიურ წინადადებასაც უწოდებენ. მაგ.: **უდაბნო. საღამო**. იწყება ქარიშხალი. ცა მოღუშულია (ლორთქ.); **სასადილო ოთახი**. კანკელს საჩრდილობელი აფარია. **მკრთალი სინათლე**. სამოვრის ჩუხჩუხი არღვევს სიჩუმეს. (ლორთქ., 2, 334).

სახელდებითი წინადადება ყოველთვის წართქმითია, გაუვრცობელი ან გავრცობილი. ასე, მაგალითად, **უდაბნო** და **საღამო** გაუვრცობელია, **სასადილო ოთახი** და **მკრთალი სინათლე** – გავრცობილი ატრიბუტული განსაზღვრებით. მომყოლი სიტყვა შეიძლება იყოს მართულიც.

სახელდებითი წინადადება აღნიშნავს საგანს თუ მოვლენას, რომელიც არის ახლანდელ დროში. იგი მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ბუნების სურათების თუ მოვლენების აღწერისას, უეცარი, სწრაფი, ცვალებადი მოვლენებისა თუ შემთხვევების გადმოსაცემად და სხვ.: მაყელისფერ ხავერდში ჩასმული ავეჯი. კედლებზე პორტრეტები და ნატიურმორტები. ჩვენი და უცხო კლასიკური მხატვრობა. იატაკზე სპარსული ნოხი. კუთხეებში მარმარილოს ქანდაკებანი (ცხადია, კოპიო). კედელთან ძვირფასი ხისაგან ნაკეთები, ნაირ-ნაირი წიგნებით სავსე კარადა. (მიხ. მრევლ., 365).

მხატვრულ ნაწარმოებში გვხვდება ადგილები, რომლებიც გან-

[199] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 91.

მეორებებს შეიცავს. მაგ.: მაჩვენე... – შეგუბებული ხმით თქვა ილიამ, გაზუთის ამონაბეჭდები გამოართვა, მაგიდაზე გაშალა და გოროზად დააშტერდა წითელი ფანქრით აჭრელებულ გვერდებს.

ხაზები, ხაზები... წითელი ხაზები, მოკლე და გრძელი ხაზები... ამოშლილი სიტყვები და წინადადებები. წითელი ჯვრები, დიდი წითელი კითხვის ნიშნები... შეუბრალებელ ფანქართან ბრძოლაში დახოცილი სიტყვები და აზრები... ხმაჩამწყდარი ამოძახილები... წითელი ჯვრით გადახაზული, ჩახშობილი გულის ძგერა (გ.შატბ., 3, 34)

გვხვდება სახელდებითი წინადადებებით დაწერილი ლექსებიც. ასე, მაგალითად, **ნ. ზომლეთელის** მოზრდილი ლექსი „საქართველო“ მხოლოდ სახელდებითი წინადადებებისაგან შედგება. აი, ორი სტროფი ამ ლექსიდან.

ბრინჯაო, კრამიტი, ვაზი და სურო,
შავი ქვა, ნახშირი, კუპრი და ნავთი,
მარხილი, ურემი, ცული და ურო.
ნავი და ბორანი, ტივი და კავთი,
ქედები, კლდეები, სერები, მთები,
მტკვარი და რიონი, ალაზან-ენგური,
მინდვრები, ველები, ძროხები, ცხვრები,
ზურნა, სალამური, დაფი და ჩანგური.

ასევე, მხოლოდ სახელდებითი წინადადებებისაგან შედგება რ. ინანიშვილის მოთხრობა „მშვენიერება“, რომელიც თავისი ექსპრესიულობით არ ჩამოუვარდება მის სხვა მოთხრობებს. აქ წარმოდგენილია ამ მოთხრობის პირველი ორი აბზაცი.

„ნისლინი ხეობა. ზედ ხიდი. ხიდზე მატარებელი. მთებზე ჩაშავებული მუხნარი. აქა-იქ, მწვანედ, ფიჭვი და ბზა. ხიდქვეშ მდინარე, პატარა, სულ პატარა, წმინდა, ჩუხჩუხა. მდინარის ნაპირას წნორები და ტირიფები.

პარკი, ძვირფასი ჭიშკარი, ზედ სურო. ქვის კიბე, იქვე, ხელმარცხნივ, დახავსებული ეკლესია. მოხუცი ექსკურსიამძღოლი, თვალებმოჭუტული დამსვენებლები. ქალების და კაცების ერთმანეთს ჩაჭიდებული ხელები. ეკლესიის და ხეების კენწეროების მაღლა ზღაპრული სასახლეები. პრიზმული სახურავები, აწოწოლავებული საკვამური მილები“.

სახელდებით წინადადებას ზოგჯერ წინ უძღვის ჩვენებითი „სიტყვები“: **აი (ა), აჰა, ჰაი, ჰა**... მაგ.: **აი** ცხოვრების ბედნიერი აღმოცენება, **აი** მალთაყვა, უახლოეს დღეთა მშვენება (პ. იაშვ. „მალთაყვა“); **აჰა** საზღვარიც (ჯავ., 2, 195); **ჰაი** ტყე, **ჰაი** წისქვილი, **ჰაი** ქორა! (ბარნ., 2, 66); **ჰა** ბურთი, **ჰა** მოედანი. (წერ.).

სახელდებითი წინადადება წარმოითქმის თხრობითის ან ძახილის ინტონაციით. თხრობითის ნიმუშები ზემოთ საკმაოდ არის დამოწმებული, ამიტომ აქ ძახილისას დავასახელებთ. მაგ.: აჰა სად-

გურიც! (ჯავ., 2, 576); აგერ ტფილისიც! (ჭავ., 134); ჰაი ჩვენი მსხალი, ჰაი ჩვენი მრუდე მსხალი! (ბარნ, 2, 72).

სახელდებითი წინადადება შეიძლება იყოს რთული წინადადების ნაწილი: **აჰა იმ დროითგან ერთი სახე ამოდებული**, რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ (ჭავ., 140). **აი სახლი**, რომელშიაც შენ დაიბადე, დაცუცუნებდი პატარაობის დროს, **აი შენი პატარა აკვანი**, რომელშიაც იწექი... (გოგ., 232).

სახელდებითს წინადადებას ჰგავს ნაწარმოების, დაწესებულების, მაღაზიის, ქუჩის სახელწოდება და სხვ. მაგ.: „ოთარაანთ ქვრივი", „შვლის ნუკრის ნაამბობი", „სათაგური", გველის მჭამელი", „უნივერსიტეტის ქუჩა" და მისთ.

ნაწარმოების სახელწოდება შემასმენლით ან შემასმენლის შემცველი წინადადებითაც გადმოიცემა. მაგ.; ვაჟა-ფშაველას მოთხრობებია: „კლდემ ერთხელ თქვა", „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?", „ამოდის, ნათდება!".

VII. სიტყვათა განლაგება მარტივ წინადადებაში

§129. სიტყვათა განლაგებისათვის ქართულში

სიტყვათა განლაგების (რიგის) მიხედვით ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ მხრივ ჩვეულებრივ ენათა ორ წყებას გამოყოფენ: ენები, რომლებშიც სიტყვათა განლაგება თავისუფალია, და ენები, რომელთაც სიტყვათა მყარი განლაგება ახასიათებს. განსხვავებას ქმნის ენის მორფოლოგიური ტიპი: უაფიქსო ენებში სიტყვათა ურთიერთობას ძირითადად სიტყვათა ადგილმდებარეობა განსაზღვრავს. აფიქსებიან ენებში კი სიტყვათა ურთიერთობისათვის მთავარია გრამატიკული ფორმა (§3). მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვათა განლაგების მიხედვით ენათა ორ დასახელებულ ჯგუფად დაყოფა რამდენადმე მაინც პირობითია: არ არსებობს ენა, რომელშიც სიტყვათა განლაგება აბსოლუტურად თავისუფალი იყოს, ანდა მყარი[200].

ქართული ენა, როგორც ვიცით, მდიდარია სიტყვათა მიმოსახრელი აფიქსებით, ე.ი. ისეთი აფიქსებით, რომელთა მეშვეობითაც გარკვეული მიმართება მყარდება სიტყვებით აღნიშნულ საგნებსა და მოვლენებს შორის (§4). ამითაა გამოწვეული, რომ ქართულში (და, საერთოდ, აფიქსებიან ენებში) სიტყვათა მყარი განლაგების საჭიროება არ არის, განსხვავებით უაფიქსო ენებისგან. სიტყვათა განლაგება ქართულში შედარებით თავისუფალია. ეს კი, თავის მხრივ, წინადადებაში სიტყვებისათვის ადგილების შეცვლის დიდ შესაძლებლობას იძლევა, რაც ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტილისტიკური მიზნებისათ-

[200] **Ж. Вандриес.** Язык. М. 1937, გვ. 137.

ვის, აზრის სხვადასხვა ნიუანსის გადმოსაცემად.

სიტყვების განლაგება ქართულ წინადადებაში, როგორც აღინიშნა, შედარებით თავისუფალია, მაგრამ აბსოლუტურად თავისუფალი მაინც არ არის: ხშირად ამა თუ იმ წინადადებაში წარმოდგენილ სიტყვათა განლაგების ყველა შესაძლო ვარიანტი ერთნაირი ღირებულებისა არ არის. ზოგი ბუნებრივია, ჩვეულებრივი, საყოველთაოდ ხმარებული, ზოგიც – ხელოვნური, ნაძალადევი თუ ნაკლებ ბუნებრივი, ან კიდევ სრულიად მიუღებელი. გვაქვს ერთგვარი შეზღუდვაც, ე.ი. სიტყვათა რამდენადმე მყარი წყობა გარკვეული შემთხვევებისათვის. ასე, მაგალითად, განსაზღვრება ახალ ქართულში ჩვეულებრივ საზღვრული წევრის წინ დგას (§101); წინ უსწრებს აგრეთვე გარემოება და უბრალო დამატება სახელზმნით გადმოცემულ წევრს (§132); შემასმენლის წინ დგას კითხვითს წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელებითა და კითხვითი ზმნიზედებით გადმოცემული ქვემდებარე-დამატება და გარემოება (§16).

წინადადება, როგორც ვიცით, მოდალობისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა განლაგებისათვის წინადადებაში. ის, რაც ერთი ტიპისათვის ბუნებრივია და ჩვეულებრივი, მეორისათვის შეიძლება სრულიად უჩვეულო იყოს. თვით ერთი ტიპის წინადადებაში, მაგალითად, თხრობითს მარტივ წინადადებაში, არ შეიძლება სიტყვათა განლაგების საკითხი ერთნაირად იდგეს უქვემდებარო ან ერთ-, ორ- და სამპირიან ზმნათა შემცველ წინადადებაში. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ სიტყვათა განლაგება ცალ-ცალკე იქნეს განხილული წინადადების ტიპების მიხედვით, ეს, მით უმეტეს, ითქმის ქართული მარტივი წინადადების შესახებ, რომელიც მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით არსებითად განსხვავდება ევროპულ ენათა მარტივი წინადადების შედგენილობისაგან[201].

§130. სიტყვათა განლაგება უქვემდებარო წინადადებაში

შემასმენელს, რომელიც უსუბიექტო (და უობიექტო) ზმნით არის გადმოცემული, შეიძლება ახლდეს გარემოება (ადგილისა, დროისა, ვითარებისა), იშვიათად უბრალო დამატებაც. ამ ტიპის წინადადებაში შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოშია, ხოლო გარემოება მის წინ დგას: საშინლად ცხელოდა (ვაჟა, 5, 13); თანდათან დაბნელდა (იქვე, 246); ამასობაში დაბინდდა (ვაჟა, 6, 345); ოთახში ცხელოდა. (ჯავ., 1, 23).

---

[201] სიტყვათა განლაგების საკითხი ქართულ წინადადებაში ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად სათანადოდ შესწავლილი. პირველი მკვლევარი, რომელმაც ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, **ს. გორგაძეა** („ქართული სადასიტყვაობა", თბ., 1915). გამოკვლევის ფარგალი ახალი სალიტერატურო ქართულია, ხოლო პირდაპირი საგანი – სიტყვათა დალაგების წესი „ქართულ სადასიტყვაობაში" (გვ. 3). ჩვენ შემდეგ ამ პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა **შ. აფრიდონიძემ** („სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში", თბ., 1986).

დამოწმებულ მაგალითებში თითო გარემოებაა, მაგრამ შეიძლება ერთდროულად იყოს ორი ან მეტი გარემოება სხვადასხვა სახისა. თუ წინადადებაში ადგილისა და ვითარების გარემოებაა, ან კიდევ დროისა და ვითარებისა, – შემასმენლის წინ ვითარების გარემოება დადგება, ხოლო დროისა თუ ადგილის გარემოება თავში მოექცევა. მაგ.: ქოხში საკმაოდ ჩამობნელდა (ყაზ., 1, 2170; სახლში მეტად ბნელოდა (კლდ., 1, 204); ტყეში თანდათან ჩამობნელდა (გვეტ., 460); ღამით ცოტაოდენად წამოეწვიმა. (ჯაფ., 111).

თუ შემასმენელს სამივე სახის გარემოება ახლავს, ჩვეულებრივი, ე.ი. ბუნებრივი განლაგება ასეთი იქნება: **დროის გარემოება – ადგილის გარემოება – ვითარების გარემოება – შემასმენელი**: – გუშინ ტყეში ძალიან ბნელოდა. შეიძლება პირველი ადგილი ადგილის გარემოებამ დაიკავოს, მეორე – დროისამ: ტყეში გუშინ ძალიან ბნელოდა.

გარემოება იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს შემასმენლის შემდეგაც, მაგრამ დასახელებულ წევრთა ზემოთ წარმოდგენილი განლაგება უფრო ბუნებრივია.

თუ უქვემდებარო წინადადებაში წარმოდგენილია დამატება (პირდაპირი ან ირიბი), იგი უსწრებს შემასმენელს ან მოსდევს მას. მაგ.: ღამე რთვილს აგდებს (ვაჟა, 6, 236); კოკისპირული წვიმა დაუშვა (ვაჟა, 6, 146); დაუშვა კოკისპირული წვიმა (ვაჟა, 6, 326); საშინელი ცუდი დარები დაიჭირა (ნინ., 212); მთები დათოვა, აცივდა. (ვაჟა).

§131. უბრალო დამატებისა და გარემოების ადგილი სახელზმნით გადმოცემულ წინადადების წევრთან

სახელზმნა და მასთან დაკავშირებული უბრალო დამატება თუ გარემოება, საზოგადოდ, არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაითიშოს. ამასთანავე, უბრალო დამატება და გარემოება, ცალკე თუ მიმყოლი სიტყვებითურთ, ჩვეულებრივ სახელზმნით გადმოცემული წინადადების წევრის წინ დგას. მაგ.: **სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ** (რაზ., 96); **შიშისაგან შეწუხებული მგლები** ღმუოდნენ (იქვე, 20); **ტყვეობით დაბრუნებული** ძმებში ყოფნითა სტკბებოდა (ვაჟა); ალექსი **ძლიერ გამბედავი** ბავშვი იყო (გოგ., 5); მეორე ზამთარს გიორგიმ **ქალაქს ჩასვლა** ვეღარ გაბედა. (გაბ., 145).

გარემოება და უბრალო დამატება სახელზმნით გადმოცემულ წევრს ზოგჯერ ერთდროულად ახლავს. ამ შემთხვევაში სახელზმნის წინ ჩვეულებრივ გარემოება დგას, ხოლო ამ უკანასკნელის წინ – უბრალო დამატება. მაგ.: ფრთხილს ძაღლს **ბატრონის გარეთ გასვლა** არ გამოეპარა (ჭავ., 471); **ღრუბლებისაგან სანახევროდ დაფარული** მზე მცხრალად აშუქებდა. (გვეტ.).

სახელზმნით გადმოცემულ წევრს ერთდროულად შეიძლება ახლდეს რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის გარემოება: **ცივ ამინდში ხანგრძლივად გარეთ ყოფნის** შემდეგ აგიზგიზებულ ბუხართან ჯდომა ნამდვილი ბედნიერება იყო. (ს. კლდ., 4).

უბრალო დამატება და გარემოება ჩვეულებრივ უსწრებს სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ ზედსართავსაც და ზმნიზედასაც; **ყურძნით სავსე** გოდრები საღამოს ბინდში ვენახის სანაპიროდან დარაჯებივით გამოიყურებოდნენ (ჯაფ.); ამ კლდესაც **ხავერდივით მწვანე** ხავსი გადაჰკვრია (ვაჟა, 5, 86); ვენახს ქვრივი **ძალიან კარგად** უვლიდა. (ჭავ., 428).

§132. სიტყვათა განლაგება ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში

თუ შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული, სიტყვათა განლაგების ორი ვარიანტია შესაძლებელი.

1. **ქვემდებარე — შემასმენელი**: მთა მწვანდებოდა (ვაჟა, 6, 3); ქარი გრიალებდა (რაზ., 92); დედამიწა განათდა. (ყაზ., 1, 22).

2. **შემასმენელი — ქვემდებარე**: დადგა ზამთარი (ვაჟა, 6, 17); დადგა გაზაფხული (რაზ., 5); ამოვიდა მზე. (რაზ., 6).

შემასმენელი თავშია ან ბოლოში მაშინაც, როცა ქვემდებარე გავრცობილია მიმყოლი სიტყვებით: შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუოდნენ (რაზ., 20); გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშის აღმართისა. (ყაზ., 1, 22).

წინადადება შეიძლება გავრცობილ იქნეს შემასმენელთან დაკავშირებული არამთავარი წევრებითაც, რომელთაც, თავის მხრივ, შეიძლება ახლდეს მიმყოლი სიტყვები. განვიხილოთ ამგვარ წინადადებაში სიტყვათა განლაგების რამდენიმე ძირითადი შემთხვევა.

1. შემასმენელთან ერთად წინადადებაში წარმოდგენილია ქვემდებარე და ადგილის გარემოება. ეს ორი უკანასკნელი შეიძლება გავრცობილ იქნეს მიმყოლი სიტყვებით. ამ წევრთა განლაგების ძირითადი შემთხვევებია:

ა) **ადგ. გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი**. გზაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ (გრ. აბ.); ტყეში ერთი მუხა იდგა (ვაჟა, 5, 194); ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. (ყაზ., 1, 115).

ბ) **ქვემდებარე — ადგ. გარემოება — შემასმენელი**: გუდამაყრელები მთაში მიდიოდნენ (ყაზ., 2, 438); მზე დასავლეთისაკენ გადიწურა (ვაჟა,6,339); მატარებელი გორის სადგურში შედიოდა. (კ. ლორთქ.,3,9).

ორივე განლაგება ბუნებრივია, გავრცელებული, მაგრამ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთს ეძლევა უპირატესობა: სტილისტიკურად ეს ორი შემთხვევა ერთნაირი ღირებულებისა არ არის, ისინი აზრის სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემენ, სახელდობრ:

შემასმენლის წინ ლოგიკური მახვილის მატარებელი წინადადების წევრი ექცევა.

შეიძლება შეგვხვდეს ამ წევრთა სხვადასხვა წყობაც, სახელდობრ: **ადგ. გარემოება შემასმენელი — ქვემდებარე**; მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი (გოგ., 7); ქვევით გაიმართა მკვირცხლი ოფის სროლა. (ყაზ., 2, 298).

ან კიდევ: **ქვემდებარე — შემასმენელი — ადგ. გარემოება**: ქარი სისინებს ნაპრალებში (გ. რჩ.); კოლოები აპუტუნდნენ ჭრაქის ირგვლივ. (დ. შენგ.).

2. თუ წინადადებაში ქვემდებარესა და შემასმენელთან ერთად ვითარების გარემოებაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივი წყობა ასეთია: **ქვემდებარე — ვით გარემოება — შემასმენელი:** მდინარე წყნარად მოკამკამებდა (ვაჟა, 6, 28); მატარებელი ზანტად დაიძრა (გვეტ., 67); პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ. (გოგ., 36).

გვხვდება ამ წევრთა სხვაგვარი განლაგებაც, რაც სტილისტიკური მიზნებისათვის არის გამოყენებული, ხახელდობრ:

ა) **ვით. გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი**: ყველაზე უფრო მკაფიოდ ელიკოს ხმა ისმოდა. (ქიაჩ., 3, 196).

ბ) **ვით. გარემოება — შემასმენელი — ქვემდებარე**: თეთრად გადილესა მთები (ვაჟა); თეთრად ქათქათებს მინდორი. (მღვ., 1, 45).

გ) **შემასმენელი — ქვემდებარე — ვით. გარემოება**: დუდუნებდნენ ყვავილები ერთხმად (ვაჟა, 6, 303).

3. **შემასმენლის წინ** იკავებს ადგილს ჩვეულებრივ **დროისა** და **მიზნის** გარემოებაც: ბავშვი განთიადზე დაიბადა (ს. კლდ., 15); ფრინ[illegible] გასაფრენად ემზადებოდნენ. (რაზ.).

ხშირ[illegible] ბას, მას **ქვემდებარე** [illegible] **შემასმენელია**: ალიონზე ცა მოიწმინდა (გვ. 406); მალე საღამოს ექვსი საათი შესრულდა. (ევდ., 3, 33).

4. ხშირად წინადადებაში **რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის გარემოებაა** (მაგ., ადგილისა და ვითარებისა, ადგილისა და დროისა, ადგილისა და მიზნისა...). განვიხილოთ ამ ტიპის წინადადების ორიოდე შემთხვევა:

ა) **ქვემდებარესა** და **შემასმენელთან** ერთად წარმოდგენილია **ადგილისა** და **ვითარების გარემოება** (მარტო ან მიმყოლი სიტყვებითურთ). გვხვდება სხვადასხვა წყობა, რომელთაგან გავრცელებულია.

1. **ადგ. გარემოება — ქვემდებარე ვით. გარემოება — შემასმენელი:** საძოვრებიდან ძროხები ზოზინით ბრუნდებოდნენ. (გვეტ., 71).

2. **ქვემდებარე — ადგ. გარემოება — ვით. გარემოება — შემასმენელი**: გამწარებული დედა-ჩიტი ხიდან ხეზე მოუსვენრად დაფრინავდა. (გვეტ., 108).

3. **ადგ. გარემოება — ვით. გარემოება — შემასმენელი — ქვემდებარე**: გაუვალ ჭაობებს შუა აქლემის კუზივით მოჩანდა ერთი მომცრო ბორცვი. (გვეტ., 397).

4. **ქვემდებარე — ვით. გარემოება — შემასმენელი — ადგ. გარემოება**: დარცხვენილი ძაღლი უხალისოდ გაბრუნდა დერეფნისაკენ. (ჯაფ., 18).

5. **ადგ. გარემოება — ვით. გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი**: ღია სარკმლიდან უეცრად საყვირის ხმა შემოიჭრა. (ს. კლდ., 59).

ბ) წინადადებაში **ადგილისა** და **დროის გარემოებაა** (გარდა ქვემდებარე-შემასმენლისა) მყარი წყობა არც ამ შემთხვევაში გვაქვს. უფრო გავრცელებულია:

1. **დრ. გარემოება — ქვემდებარე — ადგ. გარემოება შემასმენელი**: ცოტა ხნის შემდეგ ურმები სოფელში შემოვიდნენ. (ევდ., 3, 265).

2. **დრ. გარემოება — ადგ. გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი**: ამ დროს ჩვენი სოფლიდამ მამლის ყივილიც მოისმა. (ვაჟა, 5, 248).

3. **ქვემდებარე — დრ. გარემოება — ადგ. გარემოება — შემასმენელი**: ვანო გუშინ სოფელში წავიდა.

4. **დრ. გარემოება — ქვემდებარე შემასმენელი — ადგ. გარემოება**: ორი კვირის შემდეგ შიშია დაბრუნდა ხევსურეთში. (ვაჟა, 6, 477).

ზოგჯერ წინადადებაში ორზე მეტი სხვადასხვა სახის გარემოებაა ან კიდევ რამდენიმე გარემოებასთან ერთად უბრალო დამატებაც არის წარმოდგენილი. მაგ.: ყურძნით სავსე გოდრები საღამოს ბინდში ვენახის სანაპიროდან დარაჯებივით გამოიყურებოდნენ. (ევდ., 3, 129); ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა. (გოგ., 61).

პირველ მაგალითში წინადადების წევრები (მიმყოლი სიტყვებითურთ) ასეა განლაგებული: ქვემდებარე — დრ. გარემოება — ადგ. გარემოება — ვით. გარემოება — შემასმენელი. მეორეში: ქვემდებარე — დრ. გარემოება — უბრალო დამატება — ადგ. გარემოება — შემასმენელი. ასეთი განლაგება, რა თქმა უნდა, ერთადერთი არ არის.

როგორც ზემოთ განხილული შემთხვევიდან ჩანს, სიტყვათა მყარი რიგი არა გვაქვს, მაგრამ შეინიშნება წინადადების წევრების უფრო გავრცელებული და ბუნებრივი განლაგება. ასე მაგალითად, შემასმენელი მეტწილად ბოლოშია (უფრო იშვიათად შუაში და მით უმეტეს თავში. მაგ., გაანალიზდა 846 ერთპირიანი ზმნის შემცველი მარტივი თხრობითი წინადადება, გავრცობილი თუ გაუვრცობელი. აღმოჩნდა, რომ 751 მაგალითში შემასმენელი ქვემდებარის შემდეგაა. ვითარების გარემოება შემასმენლის წინ დგას, ადგილისა და დროის გარემოება იწყებს წინადადებას ან შემასმენლის წინ ეჭცევა და სხვ. სიტყვათა სხვადასხვაგვარი განლაგებით სხვადასხვა ნიუანსია გადმოცემული. დიდ როლს ამ მხრივ ლოგიკური მახვილი ასრულებს.

§133. სიტყვათა განლაგება ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებაში

ქვემდებარის, ირიბი დამატებისა და შემასმენლის განლაგების ექვსი ვარიანტია შესაძლებელი:

1. **ქვემდებარე — ირიბი დამ. — შემასმენელი**: მთვარე ღრუბელს მიეფარა. (გ. შატბ., 231).

2. **ქვემდებარე — შემასმენელი — ირიბი დამ.**: დამე გამოეთხოვა ქვეყანას. (ჭავ., 439).

3. **ირიბი დამატება — ქვემდებარე — შემასმენელი**: ვიქტორს სახე გაუბრწყინდა. (ჯაფ., 115).

4. **ირიბი დამატება — შემასმენელი — ქვემდებარე**: დაღლილ აბდულას გაუწყდა მოგონებათა ძაფი. (ევდ., 3, 35).

5. **შემასმენელი — ქვემდებარე — ირიბი დამატება**: მოჰფარებოდა მთვარე ღრუბელს.

6. **შემასმენელი — ირიბი დამატება — ქვემდებარე**: მოჰფარებოდა ღრუბელს მთვარე.

ამ ექვსი შესაძლო ვარიანტიდან პირველი და მესამე ყველაზე უფრო გავრცელებულია და ჩვეულებრივი, ამათ შემდგომ – მეორე და მეოთხე, ხოლო მეხუთე და მეექვსე ვარიანტები იშვიათია და მეტწილად პოეზიაში გვხვდება.

თუ მთავარი წევრები პირველი ვარიანტის მიხედვით არის განლაგებული და წინადადებაში წარმოდგენილია შემასმენელთან დაკავშირებული უბრალო დამატება ან გარემოება, ისინი მეტწილად ქვემდებარესა და ირიბ დამატებას შორის, ან ირიბ დამატებასა და შემასმენელს შორის მოექცევიან: მაგ.: დიდრონი ხეები **წვრებით** ცას ებჯინებოდნენ (ვაჟა); ბალღები **მაშინვე** ჩიბუხის ძებნას შეუდგნენ (ვაჟა, 6, 272); მეგობრის ნუგეშიანი სიტყვები იოთამს გულზე **მალამოდ** წაესო. (ვაჟა, 6, 245).

თუ მთავარი წევრები მე-2 ვარიანტის მიხედვით არის განლაგებული, უბრალო დამატება და გარემოება ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას: ბეკინა **გაკვირვებით** მიაჩერდა შვილს (კლდ., 1, 128); არჩილი **გვერდით** მიუჯდა გვადის (ქიაჩ., 3, 43); გახარებული ბეკეკა **ხუსხუსით** გაჰყვა წყეულ მელასა. (რაზ.).

შენიშვნა: მიზნის გარემოება მეტწილად ბოლოშია: ანუსია ეცა კარებს ბრძანების **ასასრულებლად**. (კლდ., 1, 204).

თუ მთავარი წევრები განლაგებულია მე-3 ვარიანტის მიხედვით, შემასმენელთან დაკავშირებული არამთავარი წევრები (მიმყოლი სიტყვებითურთ) უსწრებენ ირიბ დამატებას ან მოსდევენ მას, ან კიდევ შემასმენლის წინ თუ შემდეგ დგანან. მაგ.: **იმ ღამეს** ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია (ჭავ., 438); **მეტისმეტი**

შრომისაგან ნისლებს ოფლი სდენოდათ (ვაჟა, 6, 96); **ნადიბაიძის სიტყვებზე** მწყემსებს ჩოჩქოლი შეუდგათ (რაზ., 129). ოთარაანთ ქვრივს **სოფლის ნაპირას** ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა (ჭავ., 427); ტყეს თანდათან ჩრდილი მოეფინა (ევდ., 3, 2100; ლელას ცრემლები წამოუვიდა **სიცილისაგან**. (ვაჟა, 5, 7).

§134. სიტყვათა განლაგება ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში

ქვემდებარის, პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის განლაგების ექვსი შემთხვევაა აგრეთვე შესაძლებელი:

1. **ქვემდებარე — პირ. დამატება — შემასმენელი**: სალამურმა ქვითინი დაიწყო (გვეტ., 43).

2. **ქვემდებარე — შემასმენელი — პირდ. დამატება**: ხეები განაგრძობდნენ თათბირს. (ვაჟა, 6, 142).

3. **პირდ. დამატება — ქვემდებარე შემასმენელი**: ტყის მდუმარებას ქვემეხების ქუხილი არღვევდა. (გვეტ., 429).

4. **პირდ. დამატება — შემასმენელი — ქვემდებარე**; ანუსი შეაფიქრიანა რძლის მდგომარეობამ (გვეტ.); შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“. (ტაბ.).

5. **შემასმენელი — პირდ დამატება — ქვემდებარე**: მოაგორებდა მღვრიე ტალღებს კლდეებში ჩაჭედილი მტკვარი. (რაზ.).

6. **შემასმენელი — ქვემდებარე პირდ. დამატება**: განაგრძობდნენ ხეები თათბირს.

ამ ექვსი ვარიანტიდან ჩვეულებრივია პირველი სამი, ხოლო დანარჩენები იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს.

თუ მთავარი წევრები პირველი ვარიანტის მიხედვით არის განლაგებული და წინადადებაში შემასმენელს ახლავს გარემოება ან უბრალო დამატება, ისინი ჩვეულებრივ უსწრებენ პირდ. დამატებას ან შემასმენელს. მაგ.: გოგრამ **გაზაფხულზე** მეცხვარეობა მოიწადინა (ვაჟა, 5, 220); მართამ **ბუხრიდან** ცეცხლიანი მუგუზალი მოარბენინა (ევდ., 3, 278); პატარა გოგომ **ჩაფით** წყალი მოარბენინა (კლდ., 1, 179); კუდაც **თავმომწონედ** ულვაშებს აცმაცუნებდა (ვაჟა, 6, 171); მხედარმა ცხენი **საძოვარზე** გაუშვა (იქვე, 297); მენახირეები ნახირს **სოფლისკენ** ძოვნით მოაყოლებენ. (რაზ., 59).

თუ მთავარი წევრები მეორე ვარიანტის მიხედვით არის განლაგებული, შემასმენელთან დაკავშირებული არამთავარი წევრები ჩვეულებრივ შემასმენლის წინაა მოთავსებული: თოვლმა **მთლად** დაფარა დედამიწა (ევდ., 3, 236); განთიადი **ნელა** შლიდა ფრთებს (ქიაჩ., 3, 416); ცეცხლი **წითლად** ანათებდა ოთახს. (დ. შენგ., 1, 22).

იშვიათად შემასმენელი წინაა წამოწეული და მას მოსდევს პირდაპირი დამატება, ქვემდებარე ბოლოშია: მოაგორებს მღვრიე ზვირ-

თებს კლდეებში ჩაჭედილი მტკვარი (რაზ., 238); სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებებმა. (ჭავ., 456).

§135. სიტყვათა განლაგება სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში

სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში, როგორც ვიცით, ოთხი მთავარი წევრია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდ. დამატება და ირიბი დამ,ატება. თუ არამთავარი წევრი არ ჩაერთო, ამ წევრთა განლაგების 24 ვარიანტია შესაძლებელი, რომელთაგანაც ზოგი ბუნებრივია, გავრცელებული, ზოგიც – იშვიათად ხმარებული. ეს ვარიანტები ერთი წინადადების მაგალითზე ასეთ სურათს გვაძლევს[202]:

1. S-Oi-Od-P: ვანომ დედას წერილი მისწერა.
2. S-Oi-P-Od: ვანომ დედას მისწერა წერილი.
3. S-Od-P-Oi: ვანომ წერილი მისწერა დედას.
4. S-Od-Oi-P: ვანომ წერილი დედას მისწერა
5. S-P-Oi-Od: ვანომ მისწერა დედას წერილი.
6. S-P-Od-Oi: ვანომ მისწერა წერილი დედას.
7. Oi-S-P-Od: დედას ვანომ მისწერა წერილი.
8. Oi-S-Od-P: დედას ვანომ წერილი მისწერა.
9. OI-Od-P-S: დედას წერილი მისწერა ვანომ.
10. Oi-Od-S-P: დედას წერილი ვანომ მისწერა.
11. Oi-P-S-Od: დედას მისწერა ვანომ წერილი.
12. Oi-P-Od-S: დედას მისწერა წერილი ვანომ.
13. Od-P-Oi-S: წერილი მისწერა დედას ვანომ.
14. Od-P-S-Oi: წერილი მისწერა ვანომ დედას.
15. Od-S-Oi-P: წერილი ვანომ დედას მისწერა.
16. Od-S-P-Oi: წერილი ვანომ მისწერა დედას.
17. Od-Oi-P-S: წერილი დედას მისწერა ვანომ.
18. Od-Oi-S-P: წერილი დედას ვანომ მისწერა.
19. P-Oi-S-Od: მისწერა დედას ვანომ წერილი.
20. P-Oi-Od-S: მისწერა დედას წერილი ვანომ.
21. P-S-Oi-Od: მისწერა ვანომ დედას წერილი.
22. P-S-Od-Oi: მისწერა ვანომ წერილი დედას.
23. P-Od-S-Oi: მისწერა წერილი ვანომ დედას.
24. P-Od-Oi-S: მისწერა წერილი დედას ვანომ.

[202] წევრებს აღვნიშნავთ ლათინური ასოებით, S ქვემდებარეს ნიშნავს, P – შემასმენელს, Oi – ირიბ დამატებას, Od – პირდ. დამატებას

დასახელებული შემთხვევებიდან თხრობით წინადადებაში უფრო გავრცელებულია ის ვარიანტები, როცა წინადადებას იწყებს ქვემდებარე ან ირიბი დამატება, შემასმენელი კი ბოლოშია ან შუაში, ხოლო პირდაპირი დამატება და შემასმენელი რომ პირველ ადგილზე იყოს, ეს იშვიათია და მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება შეგვხდეს. დავასახელებთ სიტყვათა განლაგების გავრცელებული ვარიანტების რამდენიმე მაგალითს:

დარეჯანმა შამანდუხს ნაბადი დაუგო. (ვაჟა).
ვერხვი დიდ მუხას გადახვევს მკლავებს. (შან.).
ვანომ გრძნობიერი წერილი მისწერა დედ-მამას. (ვაჟა).
ყველამ თვალი კოდალას მიაპყრო. (ვაჟა).
ირაკლიმ სიხარულით ჩამოართვა ხელი მირზას. (გვეტ.).
ურმების ქარავანს მთვარე უნათებდა გზას. (მიხ. მრევლ.).
ადამიანებს გაჭირვება ხასიათს უფუჭებს. (გამს.).
დაცვარულ ბალახს ვერცხლის ზარნიში მოავლო მთვარემ. (კ. ლორთქ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სამპირიან ზმნასთან დაკავშირებულ მთავარ წევრთაგან გამოტოვებულია ქვემდებარე ან დამატება. ასეთ შემთხვევაში ესა თუ ის წევრი შეიძლება ისეთ ადგილზედაც შეგვხვდეს, რომელიც არ არის ბუნებრივი მაშინ, როცა წინადადებაში ყველა მთავარი წევრია წარმოდგენილი.

თუ წინადადებაში შემსამენელთან დაკავშირებული არამთავარი წევრებიც არის, ისინი ჩვეულებრივ ირიბი დამატების ან შემასმენლის წინ იკავებენ ადგილს, ან იწყებენ წინადადებას. მაგ.: ირაკლიმ **სიხარულით** ჩამოართვა ხელი მირზას (გვეტ., 93); თვალებგაბრწყინებული მარო **აღტაცებით** უჩვენებდა კაჭკაჭს და-ძმებსა (რაზ., 318); პეტრემ ყმაწვილებს **ქვეშ** გაუშალა თავისი ნაბადი... (ჭავ., 408); მარინემ ჩუმი **დიდინით** სკივრს ხუფი ახადა (გვეტ., 433); აკაკიმ **მადლობის ნიშნად** ხალხს თავი დაუკრა (გვეტ., 359); **დიდი ხვეწნის შემდეგ** ბიძამ ლადას კაკანათი გაუკეთა. (ევდ., 3, 116).

სიტყვათა განლაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია. მთავარ წევრთა ადგილისათვის, როგორც საერთოდ, აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურ მახვილს.

ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა შემცველ წინადადებებში მთავარ წევრთა განლაგება ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდება. თუ განლაგების რომელი ვარიანტი რა სიხშირით გვხვდება, ამისათვის გაანალიზებულ იქნა 702 მარტივი თხრობითი წინადადება (გარდაუვალისა – 374, გარდამავლისა – 328), სრული ყველა მთავარი წევრის შემცველი, გაუვრცობელი თუ გავრცობილი. შედეგები ასეთია:

ზმნა გარდაუვალია

$S\text{-}O^i\text{-}P$ მთავარე ღრუბელს ეფარება	95
$S\text{-}P\text{-}O^i$ მთავარე ეფარება ღრუბელს	96
$O^i\text{-}S\text{-}P$ ღრუბელს მთავარე ეფარება	155
$O^i\text{-}P\text{-}S$ ღრუბელს ეფარება მთავარე	21
$P\text{-}S\text{-}O^i$ ეფარება მთავარე ღრუბელს	4
$P\text{-}O^i\text{-}S$ ეფარება ღრუბელს მთავარე	3
	374

ზმნა გარდამავალია

$S\text{-}O^d\text{-}P$ არწივი ფრთებს შლის	183
$S\text{-}P\text{-}O^d$ არწივი შლის ფრთებს	95
$O^d\text{-}S\text{-}P$ ფრთებს არწივი შლის	33
$O^d\text{-}P\text{-}S$ ფრთებს შლის არწივი	12
$P\text{-}S\text{-}O^d$ შლის არწივი ფრთებს	2
$P\text{-}O^d\text{-}S$ შლის ფრთებს არწივი	3
	328

განლაგებათა სიხშირე

პირველ სვეტში ორპირიანი გარდაუვალი ზმნის მთავარ წევრთა განლაგების სიხშირე იგულისხმება, მეორე სვეტში – ორპირიანი გარდამავლისა.

S-O-P	95	183
S-P-O	96	95
O-S-P	155	33
O-P-S	21	12
P-S-O	4	2
P-O-S	3	3
	374	328

განლაგებათა სიხშირე ადგილის მიხედვით

პირველი (ზედა) ციფრები ორპირიანი გარდაუვალი ზმნის მთავარ წევრთა განლაგების სიხშირეს აღნიშნავს ადგილების მიხედვით, მეორე (ქვედა) – ორპირიანი გარდამავლისას.

	I	II	III
S	191	159	24
	278	35	15
O	176	98	100
	45	186	97
P	7	117	250
	5	107	216

შენიშვნა: თუ მარტივ წინადადებაში არამთავარი წევრებიც ჩაერთო, მთავარ წევრთა განლაგების სიხშირე, მეტ-ნაკლებად შეიცვლება.

VIII. შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადება

§136. შერწყმული წინადადების რაობა

შერწყმული ანუ **თანწყობილწევრებიანია** წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს. იგი ორგვარია; **ერთგვარწევრებიანი** და **არაერთგვარწევრებიანი**. მაგალითისათვის შევადაროთ ეს ორი წინადადება ერთმანეთს: 1. ცისა ლაჟვარდზე მოჩანდა იგი **თეთრად** და **აუმღვრევლად** (ჭავ.); 2. **მარად** და **ყველგან**, საქართველოვ, მე ვარ შენთანა. (ჭავ.). ორივე წინადადებაში ორ-ორი გარემოებაა შემასმენელთან დაკავშირებული, ხოლო ერთმანეთის მიმართ თანწყობილი არიან და შეერთებული ერთი და იმავე კავშირით, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა: პირველ წინადადებაში ორივე ზმნიზედა ვითარების გარემოებაა, ე.ი. ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადებაა. მეორე მაგალითში პირველი ზმნიზედა დროის გარემოებაა, მეორე ადგილისა, ე.ი. არაერთგვარწევრებიანი წინადადებაა.

ერთგვარწევრებიანი წინადადება ენაში ფართოდ არის გავრცელებული, არაერთგვარწევრებიანი კი იშვიათად გვხვდება. პირველად ერთგვარწევრებიან წინადადებას გავეცნობით, შემდეგ – არაერთგვარწევრებიანს (§148).

ზემოთ დასახელებული პირველი წინადადება, როგორც ითქვა, შერწყმულია ვითარების გარემოების მიხედვით. ახლა ვნახოთ სხვა სახის ერთგვარწევრებიანი წინადადება. მაგ.: ლომი სიბრაზისაგან **თვალებიდან** და **კბილებიდან** ცეცხლსა ყრიდა. (ვაჟა, 6, 250). აქ შემასმენელს ახლავს ორი ერთნაირი შინაარსის ადგილის გარემოება (თვალებიდან და კბილებიდან), რომელნიც ერთმანეთთან თანწყობის საშუალებით არიან შეერთებული. მათ კითხვაც ერთი დაესმის: საიდან? – თვალებიდან. საიდან? – კბილებიდან. მაშასადამე, **თვალებიდან** და **კბილებიდან** ორი ერთგვარი ადგილის გარემოებაა. წინადადებაში ერთ წევრთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთი სახელწოდების რამდენიმე არაერთგვარი წევრიც. მაგ.: ორი ბიჭი **ყანიდან** მოდიოდა **სოფლისაკენ**. (გოგ.). შემასმენელს აქაც ორი ადგილის გარემოება ახლავს, მაგრამ სხვადასხვა შინაარსისა; პირველი (ყანიდან) გამოსვლის პუნქტს აღნიშნავს (კითხვა: საიდან?

– ყანიდან), ხოლო მეორე (სოფლისაკენ) – გეზს, საითკენაც სუბიექტის მოძრაობა არის მიმართული (კითხვა: საითკენ? – სოფლისაკენ). მაშასადამე, **ყანიდან და სოფლისაკენ** ერთ წევრთან (შემასმენელთან) დაკავშირებული არაერთგვარი ადგილის გარემოებებია, ე.ი. ეს წინადადება მარტივია. ამგვარად, ერთგვარია წევრები, რომლებიც ასრულებენ ერთნაირ სინტაქსურ ფუნქციას, შინაარსობრივ ერთნაირად მიემართებიან ერთ საერთო წევრს, მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე და ერთმანეთის მიმართ თანწყობილი არიან.

ერთსა და იმავე კითხვაზე რომ მიუგებენ, ეს არ არის საკმარისი წევრთა ერთგვაროვნებისათვის. არის შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებენ ერთი სახელწოდების არაერთგვარი წევრებიც. მაგ.: დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა. (ვაჟა): ამ წინადადებაში ქვემდებარესთან (კატა) ორი ატრიბუტული განსაზღვრებაა (დიდი ჭრელი), რომელთაც ერთი და იგივე კითხვა დაესმის (რომელი?), მაგრამ არ არიან ერთგვარი განსაზღვრებები: მათ შორის შინაარსობრივ განსხვავებაა (**ჭრელი** ფერს აღნიშნავს, **დიდი** – სიდიდეს), თანაც **ჭრელი** უშუალოდ განსაზღვრავს ქვემდებარეს (რომელი კატა? – ჭრელი კატა), დიდი კი – ქვემდებარეს მის უშუალო განსაზღვრებიანად (რომელი ჭრელი კატა? – დიდი ჭრელი კატა). მაშასადამე, **დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა** მარტივი წინადადებაა.

ისეთ წინადადებას, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრია, ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება ჰქვია (§22).

ერთგვარი წევრები გაუვრცობელია ან გავრცობილი მიმყოლი სიტყვებით. მაგ.: მურია **ღრინავს, ყეფს, ტრიალებს** (რაზ., 13). ერთგვარი შემასმენლები გაუვრცობელია. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: **ჩვენი პატარა მდინარე მრისხანედ აბურცდა და მღვრიე ტალღებს შეუწყვეტლივ სცემდა თავის ვიწრო ნაპირებს**. (გოგ., 195). ეს წინადადებაც შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. პირველს ახლავს ვითარების გარემოება (**მრისხანედ** აბურცდა), მეორეს – ვითარების გარემოება (**შეუწყვეტლივ** სცემდა) და პირდაპირი და ირიბი დამატება თავ-თავისი განსაზღვრებითურთ (სცემდა **მღვრიე ტალღებს,** სცემდა **ვიწრო ნაპირებს**).

ზოგჯერ ერთგვარი წევრებია ერთი სახელწოდების, მაგრამ შინაარსით განსხვავებულ წევრთა წყვილეულები. მაგ.: **სახლიდან ეკლესიამდე** და მერე **ეკლესიიდან სასაფლაომდე** კუბო არჩილს ეჭირა. (ჭავ.). ამ წინადადებაში ორი ერთგვარი ადგილის გარემოებაა: 1. სახლიდან ეკლესიამდე; 2. ეკლესიიდან სასაფლაომდე. თვითეულში ორ-ორი ადგილის გარემოებაა გაერთიანებული, რომელთაგანაც პირველნი (სახლიდან, ეკლესიიდან) გამოსვლის პუნქტს აღნიშნავენ, მეორენი (ეკლესიამდე, სასაფლაომდე) – მიწევნისას.

ერთგვარი წევრები უმეტესად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით გადმოიცემა. მათ ჩვეულებრივ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ, მაგრამ, იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი და იგივე წევრი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით და სხვადასხვა ფორმით, ერთგვარი წევრები ზოგჯერ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნება და ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ., **კოდებს, სადღვებლებს, კასრებს** სულ ცაცხვისაგან აკეთებენ. (რაზ., 149). აქ სამი ერთგვარი პირდაპირი დამატებაა, რომელნიც არსებითი სახელებით არიან გადმოცემული და მათ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ: სამივე **ებ**იანი მრავლობითის მიცემითი ბრუნვის ფორმაა. ერთხელ **მე** და **პაპაჩემი** ერთ ადგილს შევიყარენით. (ჭავ.). შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით, რომელთაგანაც პირველი (მე) უბრუნველი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მეორე (პაპაჩემი) – არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით. ...თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა **მინდვრად** და **ხევებში**. (ვაჟა, 5, 95). ამ წინადადებაში ორი ერთგვარი ადგილის გარემოება ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით.

ერთგვარ წევრებს, რომელნიც ერთ საერთო წევრთან არიან დაკავშირებული, შეიძლება ახლდეს საერთო დაქვემდებარებული წევრი. მაგ.: **მახლობელ ბაღებსა** და **ზვრებში** მეზობელი გლეხები მუყაითად ტრიალებდნენ. (გვეტ., 260). ორ ერთგვარ ადგილის გარემოებას (ბაღებსა და ზვრებში) ახლავს საერთო განსაზღვრება (მახლობელ).

შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ საერთო წევრი გამოტოვებულია, მაგრამ ადვილად იგულისხმება ზმნის ფორმისა თუ კონტექსტის მიხედვით. მაგ.: კარები **შევაღე** და **შევედი** (ჯავ., 2, 135); **გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა** (რაზ., 94); **მოიფიქრე, აწონდაწონე** და ისე მოიქეცი. (გვეტ., 18).

პირველ წინადადებაში გამოტოვებულია **მე**, მეორეში – **ფითრი**, მესამეში – **შენ**.

ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმე მეორდება, რაც აძლიერებს ექსპრესიულობას. განმეორებული სიტყვები ერთგვარ წევრებად არ ითვლება. მაგ.: მზეო, ამოდი, ამოდი! (ხალხ.); **მესმის, მესმის** სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა! (ჭავ., 60); ...განუწყვეტლივ **ჰკერავს, ჰკერავს** და **ჰკერავს** (ჯავ., 1, 80).

ტოლად-შერწყმული სიტყვები წინადადებაში ერთი წევრია. ამის გამო „**და-ძმა** ერთმანეთს **გადაეხვია**“ (გოგ.) მარტივი წინადადებაა,

ხოლო „და და ძმა ერთმანეთს **გადაეხვივნენ**“ – შერწყმული.

შერწყმული წინადადება ფართოდ არის გავრცელებული ენაში. იგი ძველ ქართულშიც გავრცელებული სინტაქსური კონსტრუქციაა. შერწყმული წინადადება მოხდენილი სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად: ერთგვარი წევრები უფრო სრულად, ამომწურავად გამოხატავენ გადმოსაცემის შინაარსს, აძლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესიულობასა და ემოციურობას.

§137. ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადების ტიპები

ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება მრავალგვარია. იგი შეიძლება იყოს: ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარდამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი, ნარევი. ზოგი წევრი (მაგ., დამატება, გარემოება) რამდენიმე სახისაა. ამის შესაბამისად, შერწყმული წინადადებაც მრავალგვარია შესაძლებელი. დავასახელოთ მაგალითები:

1. **რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან: ტყე, მინდორი და ველი ბიბინებდა** (ევდ., 3, 176); **ამწვანდა მთები, ტყე და მინდვრები.** (ჭავ., 9).

2. **რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან: ჩანჩქერს მიადგა კალმახი, შეცბა, შეკრთა და გაჩერდა** (მ. ლებ.); **ხეობა გაღრმავდა, დავიწროვდა, ამაღლდა, დაბნელდა.** (ჯავ., 1, 457).

3. **რამდენიმე პირდაპირი დამატება ერთ შემასმენელთან:** თოვლს დაეფარა თეთრად **მინდორი, ტყე და ველი** (ევდ., 3, 312); **ყვავილები** ამკობენ წიფელს, **რცხილას, მუხას** და ფოთლებმთრთოლარე **ვერხვსა.** (ვაჟა, 5, 1550.

4. **რამდენიმე ირიბი დამატება ერთ შემასმენელთან: ფრინველებსა და ცხოველებს** მოუსვენრობა ეტყობოდათ (რაზ., 212); **ყვავლა კლდესა, ღრესა, ხევსა და ტყეს** ეფარებოდა. (ვაჟა, 6, 83).

5. **რამდენიმე ერთი შინაარსის უბრალო დამატება ერთ შემასმენელთან:** ფიქრობს ხმელი წიფელი **თავისთავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე** (ვაჟა, 5, 89); იბრძვიან **ხმლით, ხიშტით, ხანჯლით,** რევოლვერის **ტარებით,** თოფის **კონდახებით, ხელებით, ფეხებით და კბილებით** (ჯავ., 3, 269); მიხაროდა **დედის, ძმის, ნათესავების, მეზობლების** ნახვა. (ქიაჩ., 1, 44).

6. **რამდენიმე ერთგვარი განსახღვრება ერთ საზღვრულთან: კეთილი და პატიოსანი** გული კარგია (ჭავ., 469); **უთავბოლო, უზარმაზარი, ულრანი და ბნელი** ტყე ათასი იდუმალებით იყო სავსე (ჯავ., 1, 116); ხარ-ირემმა რქებით ჩამოუმტვრია **რცხილისა და წიფლის** ტოტები. (ვაჟა, 5, 262).

7. **რამდენიმე ერთგვარი გარემოება ერთ შემასმენელთან:**

ა) **ადგილისა:** [ჩანჩურას] **ყურიდან, შუბლიდან, ცხვირიდან** და **ხელებიდან** სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდა (ჯავ., 1, 11); **აივანზე** და **ეზოშიც** არავინ ჩანდა. (ბარნ., 1, 297).

ბ) **დროისა: გაზაფხულზე** და **ზაფხულში** თებერა სრულებით მიეფარებოდა ჩვენი თვალიდან. (ბარნ., 2, 406).

გ) **ვითარებისა:** ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი **ოქორად** და **აუმღვრევლად** (ჭავ., 255); ტბა **მოსვენებით** და **შეუშფოთებლად იდგა.** (ვაჟა, 5, 98).

დ) **მიზეზისა:** დამწყვდეული საქონელი **შიმშილისა** და **წყურვილისაგან** ძირს ეფინა (გვეტ., 68); [ჩოხა] უფრო შემოდგომის ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსა ჰგავდა **სიძველისა** და **გაურეცხაობის** გამო. (რაზ., 155).

ე) **მიზნისა:** იქ ყვავილები გაშლილა ჩემ **საზრდოდ, საწუწნელადო** (წერ.); **გასამხნევებლად** და **შესაქცევად** ზექერიამ ბევრი რამ უამბო ილიას. (გვეტ., 258).

რამდენიმე ერთგვარი არამთავარი წევრი (უბრალო დამატება, გარემოება...) შეიძლება ახლდეს სახელზმნით (საწყისით თუ მიმღეობით) გადმოცემულ წინადადების ამა თუ იმ წევრსაც: მთლად **ტყავში, ნაბადსა** და **ყაბალახში** გახვეული პატარა ბიჭი ცხენს მიერეკებოდა (ყაზ.); **კარებში** და **კედლებთან** ჩამწკრივებული სტუმრები გულიანად ხარხარებდნენ (ჯავ., 1, 16); [გიორგის] **კოხტად** და **ფაქიზად** ჩაცმა-დახურვა უყვარდა. (ჭავ., 431).

პირველ წინადადებაში სამი ერთგვარი უბრალო დამატება ახლავს მიმღეობით გადმოცემულ განსაზღვრებას (გახვეული), მეორეში – ორი ერთგვარი ადგილის გარემოება მიმღეობითვე გადმოცემულ განსაზღვრებას (ჩამწკრივებული), მესამეში კი – ორი ერთგვარი ვითარების გარემოება საწყისით გამოხატულ წინადადების მთავარ წევრს – ქვემდებარეს (ჩაცმა-დახურვა).

წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე წყება ერთგვარი წევრებისა. ისეთ წინადადებას, რომელშიც წარმოდგენილია რამდენიმე (ორი ან მეტი) წყება ერთგვარი წევრებისა, **ნარევი სახის შერწყმული წინადადება ჰქვია.** მაგ.: გარეული ბატები **მწკრივად** და **სისინით მისდევდნენ** მწვანე ბალახს და გაშმაგებით **მისთიბავდნენ** (ვაჟა, 5, 98); **შრომა** და **სიყვარული** აძლევს **შნოს** და **ლაზათს** ადამიანის სიცოცხლეს (ვაჟა, 6, 78). პირველ წინადადებაში ერთ ქვემდებარესთან ორი შემასმენელია (ბატები **მისდევდნენ** და **მისთიბავდნენ**); ამათგან პირველს ორი ვითარების გარემოება ახლავს (**მწკრივად** და **სისინით** მისდევდნენ). მეორე წინადადებაში ერთ შემასმენელთან ორი ქვემდებარეა (შრომა და სიყვარული აძლევს) და ორი პირდაპირი დამატება (აძლევს **შნოსა** და **ლაზათს**). მაშასადამე, ორივე წინადადება ნარევი სახის შერწყმული წინადადებაა.

შერეული სახის შერწყმული წინადადება ზოგჯერ უფრო გართულებული სახითაც გვხვდება. მაგალითად: ჭია-მატლები უხდენენ მცენარეებს ფესვებსა, ყლორტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ყვავილსა და ნაყოფს და ძლიერ ამცირებენ მოსავალს ბოსტნისას, ვენახისას, ნახნავ-ნათესისას. (გოგ., 136). ამ წინადადებაში ერთგვარ წევრთა სამი წყებაა, სახელდობრ: ორი შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან (ჭია-მატლები **უხდენენ** და **ამცირებენ**), ექვსი პირდაპირი დამატება პირველ შემასმენელთან (უხდენენ **ფესვებსა, ყლორტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ყვავილსა** და **ნაყოფს**) და სამი განსაზღვრება ერთ საზღვრულთან (მოსავალს **ბოსტნისას, ვენახისას, ნახნავ-ნათესისას**).

* * *

შერწყმული წინადადების წარმომავლობის, მისი სხვა ტიპის წინადადებასთან მიმართებისა და ამასთან დაკავშირებით ტერმინის შესახებ გრამატიკულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ანტონ I-ისა და ანტონის სკოლიდან გამოსულ გრამატიკებში სინტაქსის საგანს „ლექსთა თხზვა“ ანუ სიტყვათა შეკავშირება წარმოადგენს. წინადადებიანი სინტაქსი, ე.ი. სინტაქსი როგორც მოძღვრება წინადადების წევრებსა და წინადადების ტიპებზე, საკმაოდ მკაფიოდ ჩვენში მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია არ. **ჭუთათელაძისა** და თ. **ჟორდანიას** გრამატიკები. შემდეგი დროის გრამატიკოსები (ა. **ბენაშვილი**, მ. **ჯანაშვილი**, სილ. **ხუნდაძე**, ი. **ნიკოლაიშვილი**, მ. **კელენჯერიძე**), მეტ-ნაკლები სხვაობისდა მიუხედავად, „ამ შემთხვევაში განაგრძობენ და ამკვიდრებენ უკვე არსებულ ტრადიციას“[203], მაგრამ, მიუხედავად ამისა, წინადადების ტიპებზე ცოტა რამ 80-იან წლებამდე შექმნილ გრამატიკებშიც არის. ასე, მაგალითად, **ანტონ I**-ს გათვალისწინებული აქვს შეწყობა რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენლისა რიცხვში[204], აგრეთვე არსებით სახელთან რამდენიმე მსაზღვრელისა ბრუნვასა და რიცხვში[205], ხოლო ს. **დოდაშვილს** ამ ტიპის წინადადების კვალიფიკაციაც აქვს მოცემული და მის წარმომავლობაზეც მიუთითებს. იგი წერს: „წინადადება განსჯისაებრ ქუშმდებარისა და შესმენილისა განიყოფების მარტივად და რთულად“[206]. რთულ წინადადებაში ნაგულისხმებია რამდენიმე ერთგვარქვემდებარიანი და ერთგვარშემასმენლიანი წინადადება. „რთული წინადადება, – წერს ს. **დოდაშვილი**, – არს იგი, რომელიც მდგომარეობს მრავალთა ქუშმდებარეთა და შესმენილთაგან“[207]. ანალოგიური ცნობები არის გაიოზ რექტორის, პლ. **იოსელიანისა** და დ. **ჩუბინაშვილის** გრამატიკებშიც. ძველი გრამატიკო-

---

[203] **არნ. ჩიქობავა**, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი IV ჟურნალში: „კომუნისტური აღმშენებლობა“, 1930 §5, გვ. 502.

[204] **ანტონ I**, ქართული გრამმატიკა, 1885, §318, გვ. 216: §328, გვ. 221.

[205] იქვე, §328, გვ. 222.

[206] **ს. დოდაევი**, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, 1830, გვ. 78.

[207] იქვე, გვ. 79.

სები აღნიშნავენ, რომ ამ ტიპის წინადადება მიღებულია მარტივ წინადადებათა შეერთებით ან მარტივში ერთგვარი წევრის დამატებით.

არ. **ქუთათელაძე** ერთგვარწევრებიან წინადადებას რთული წინადადების ერთ-ერთ სახეობად თვლის და „გაერთებულ წინადადებას" უწოდებს. იგი მას ასე განმარტავს: „გაერთებული წინადადება არის ისეთი წინადადება, რომელშიაც ერთი ქვემდებარეა და რამდენიმე შესმენილი, ან – რამდენიმე ქვემდებარე და ერთი შესმენილი, ან – ერთი ქვემდებარე, ერთი შესმენილი და რამდენიმე ამხსნელი სიტყვა, რომელნიც მიუგებენ ერთს და იმავე კითხვაზედ"[208]. ავტორი შენიშნავს, რომ ასეთი წინადადება შეიძლება დავყოთ რამდენიმე მარტივ წინადადებად[209]. ანალოგიური აზრია გამოთქმული თ. **ჟორდანიას** გრამატიკაშიც. ტერმინიც იგივეა გამოყენებული[210]. ამავე ტერმინს იყენებენ თავიანთ გრამატიკებში ა. **ბენაშვილი**[211] და მ. **ჯანაშვილი**[212]. უკანასკნელი სამი ტიპის წინადადებას გამოყოფს: მარტივს, გაერთებულსა და რთულს. მ. **ჯანაშვილი** რთულში ქვეწყობილს განიხილავს, გაერთებულ წინადადებაში კი ის ერთგვარქვემდებარიანსა და ერთგვარშემასმენლიან წინადადებას გულისხმობს. ის წერს: „გაერთებულ წინადადებად იწოდება ისეთი, რომელშიაც რამდენიმე ქვემდებარეა ანუ რამდენიმე შესმენილი (დედა, მამა და ჩემი ძმები ცხოვრობენ სოფელში. ბულბული ვარდზედ ზის, გალობს და მხიარულობს)"[213]. ს. **ხუნდაძე** ერთგვარწევრებიან წინადადებას **შეერთებულს** უწოდებს[214]. ამავე ტერმინს იყენებს მ. **კელენჯერიძე**[215], ი. **ნიკოლაიშვილი** ერთგვარშემასმენლიან წინადადებას რთული წინადადების ნიმუშად ასახელებს თავის მოკლე გრამატიკაში[216], ვრცელ გრამატიკაში კი ამ ტიპის წინადადებას ხან რთულში განიხილავს[217], ხან კიდევ სხვა სახის ერთგვარწევრებიან წინადადებებთან ათანაბრებს და ყველას ერთად შერთულ წინადადებას უწოდებს[218]. ი. **სიხარულიძე** ერთგვარშემასმენლიან წინადადებას რთულ სათქმელად ასახელებს „ენის დაკვირვებაში" და მას „შეკავშირებულს" უწოდებს[219], „ქართულ ენაში" – ერთგვარწევრებიანს[220], ხოლო ქართული ენის გრამატიკაში ყველა ტიპის ერთგვარწევრებიანი წინადადების აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი **შერთული წინადადება**[221]. ამ უკანასკნელ ტერ-

---

[208] **არ. ქუთათელაძე**, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, 1888, გვ. 23.
[209] იქვე.
[210] **თ. ჟორდანია**, ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 34-35.
[211] **ა. ბენაშვილი**, მოკლე ქართული გრამატიკა, 1894, გვ. 30-31, 40.
[212] **მ. ჯანაშვილი**, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 134.
[213] იქვე.
[214] **სილ. ხუნდაძე**, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1894, გვ. 87.
[215] **მ. კელენჯერიძე**, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, 1920, 1925.
[216] **ი. ნიკოლაიშვილი**, ქართული მოკლე გრამატიკა, მეოთხე გამოცემა, თბ., 1919, გვ. 44-45.
[217] მისივე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1927, გვ. 108-109; 126.
[218] იქვე, გვ. 130.
[219] **ი. სიხარულიძე**, ენის დაკვირვება, 1929, გვ. 225.
[220] მისივე, ქართული ენა, 1932, გვ. 158.
[221] მისივე, ქართული ენის გრამატიკა, 1936, გვ. 9-10, 113-114.

მინს ამჟამად არნ. ჩიქობავა ხმარობს[222]. ტერმინი შერწყმული წინადადება ქართულში პირველად ა. შანიძემ იხმარა თავის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში[223]. ეს ტერმინი დამკვიდრდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის პროგრამებში, გრამატიკულსა და მეთოდიკურ ლიტერატურაში.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცნობებიდან ჩანს, პარალელურ წევრთა შემცველი წინადადების აღსანიშნავად ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მრავალი ტერმინია ნახმარი, სახელდობრ, გაერთებული წინადადება, შეერთებული წინადადება, შერთული წინადადება, შეკავშირებული წინადადება, შერწყმული წინადადება, ერთგვარწევრებიანი წინადადება (ან წინადადება ერთგვარი წევრებით). ამასთანავე ზოგიერთ გრამატიკაში ის რთულადაც იწოდება. ეს ტერმინები შერჩეულია და შემუშავებული იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეხატებოდათ წინადადების წარმომავლობა, მისი მიმართება მარტივსა და რთულ წინადადებასთან. მაგრამ ის, რაც ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გვაქვს ერთგვარწევრებიანი წინადადების გენეზისისა და ამ ტიპის წინადადების მარტივსა თუ რთულ წინადადებასთან მიმართების შესახებ, ანალოგიურია იმისა, რაც არის, პირველ რიგში, რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში. ეს ითქმის თვით ზემოთ დასახელებული ტერმინების შესახებაც, რომლებიც სათანადო რუსული ტერმინების შესაბამისადაა შემუშავებული.

„შერწყმული წინადადება“ და „თანწყობილწევრებიანი წინადადება“ ჩვენთვის სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია.

§138. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი

ერთგვარ წევრთა შეერთება ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.

კავშირიანია შეერთება, თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად გამოყენებულია საგანგებო სიტყვა – მაერთებელი კავშირი. მაგალითად: ხევი **ღრმავდებოდა** და **ვიწროვდებოდა**. (ჯავ., 2, 571). აქ ორ ერთგვარ შემასმენელს აერთებს მაჯგუფებელი და კავშირი.

უკავშიროა შეერთება, თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად არ არის გამოყენებული საგანგებო სიტყვა – კავშირი: ზურაბი **გაოცდა, დაღონდა, გაბრაზდა** (ჯავ., 2, 220); ისინი შეჰხაროდნენ **სიცოცხლეს, ბუნებას, გაზაფხულს.** (ევდ., 3, 132). ამ შემთხვევაში ერთგვარ წევრთა შეერთების მთავარ საშუალებას წარმოადგენს ინტონაცია: ყოველი ერთგვარი წევრი თანაბარმახვილიანია, ერთმანეთს შორის კი პაუზაა, ე.ი. ერთგვარ წევრთა წარმოთქმისათვის დამახასიათებელია ე.წ. ჩამოთვლის ინტონაცია. ამგვარი ინტონაცია დამახასიათებელია კავშირიანი შეერთების ზოგიერთი შემთხვევისთვისაც.

---

[222] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 300.

[223] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო არასრული საშუალო და საშუალო სკოლის V-VII კლასებისათვის, 1939, გვ. 9-10, 140.

თუ ერთგვარი წევრები გაურცობილია მიმყოლი სიტყვებით, ჩამოთვლის ინტონაცია მოიცავს მთელ სიტყვათა ჯგუფს. ნაწერში ერთგვარ წევრთა შორის პაუზების ადგილას მძიმე დაისმის, მაგ.: **მშვენიერი ბუნება, ნათელი მთვარე**, ნაზი ბუნება განმარტოებული ოცნებისათვის იზიდავდა კაცს. (ყაზ., 1, 89).

ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთება ქმნის ღია, დაუხშავ კონსტრუქციას: ახლავს იერი ერთგვარ წევრთა ჩამოთვლის დაუმთავრებლობისა, ე.ი. ქმნის შესაძლებლობას, დაემატოს ახალი ერთგვარი წევრი. უკავშირო შერწყმულ წინადადებაში ჩვეულებრივ ჩამოთვლა-დაჯგუფებაა ერთგვარი წევრებისა, ამიტომ მათ შორის შეიძლება ჩავსვათ მაჯგუფებელი **და** კავშირი.

თუ ერთგვარი წევრი ორზე მეტია, შეერთება შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც. მაგ.: **ბნელი, თბილი** და **წყნარი** ღამე იყო (ჯავ., 1, 132); **ცხვარი, ძროხა, თხა, ცხენი** და **აქლემი** ლომის საყვარელი საჭმელია (გოგ., 178); **ქვა, მდელო, ჯაგი** თუ **ბუჩქნარი** სალამს აძლევდა მას. (ბარნ., 2, 351). ამ წინადადებებში ორი უკანასკნელი ერთგვარი წევრი კავშირითაა შეერთებული, დანარჩენები – უკავშიროდ, ჩამოთვლის ინტონაციით. ასეთ შემთხვევაში მაჯგუფებელი **და** კავშირის ხმარება უკანასკნელ წევრებს შორის მიუთითებს, რომ ერთგარ წევრთა დასახელება დამთავრებულია.

უკავშიროდ ერთდება ჩვეულებრივ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც ავსებენ და აზუსტებენ ერთმანეთს. სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ზოგჯერ სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივ არ არიან სინონიმები, მაგრამ ერთ-ერთი გამოყენებულია გადატანითი მნივნელობით და ამ შემთხვევაში სინონიმად უდგას გვერდში წინა ერთგვარ წევრს.

ზოგიერთ წინადადებაში უკავშირო შეერთებას ქმნის ანტონიმების კავშირიანი წყვილეულები; მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა (ჭავ., 447); კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა თავგამოდებით მუშაობდა. (ვაჟა, 6, 430).

შინაარსობრივი მიმართება ერთგვარ წევრთა შორის სხვადასხვაგვარია. ამ მიმართებათა გამოხატვის ძირითადი საშუალებებია ინტონაცია და მაერთებელი კავშირები.

უკავშირო შეერთებისას ჩვეულებრივ ერთგვარ წევრთა დაჯგუფება გვაქვს, იშვიათად – დაპირისპირება (მაგ., ღვინოს არა გთხოვ, – წყალს). კავშირიან შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა ურთიერთმიმართება უფრო მრავალფეროვანია.

§139. კავშირიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: **მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი.**

1. მაჯგუფებელი კავშირებია: და, თუ (და-ს მნიშვნელობით), – ც – ც, არც – არც, ვერც – ვერც, ნურც – ნურც, კიდეც – კიდეც, როგორც – ისე, არა მარტო – არამედ, არა თუ – არამედ...

და: შერწყმულ წინადადებაში აერთებს ორ ერთგვარ წევრს (ზოგჯერ ორ არაერთგვარ წევრსაც. §148); ყველა **დაწყნარდა** და **დაშშვიდდა**. (ყაზ., 2, 505). თუ წინადადებაში ერთგვარი წევრი ორზე მეტია, ჩვეულებრივ ორი უკანასკნელია **და**-თი შეერთებული, დანარჩენები – ინტონაციის საშუალებით: **ბნელი, თბილი** და **წყნარი** ღამე იყო. (ჯავ., 1, 132).

და (აგრეთვე **თუ**) ზოგჯერ წყვილ-წყვილად აერთებს ერთგვარ წევრებს: წყვილეულის წევრები ან ანტონიმებია, ან კიდე შინაარსობრივ ერთმანეთთან ახლო დგანან რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგ.: მისი უთვალავი სხივები ბრწყინვალებით მოეფინა ცასა **და** ქვეყანას, მთასა **და** ბარს, ტყესა **და** მინდორს (ლომ., 377); მრავლად მოიკითხეს ნათესავები: მინდია **და** გაგა, აპარეკა **და** ბათიკა, წიქა **და** დათვია, მგელიკა **და** ძილუკა, სამძიმარი **და** თია, ნუნუკი **და** კმარა (ჯავ., 2, 455); ტყე ჰქუხს **და** ტირის, სისინებს **და** ჰბღუის, შრიალებს **და** მოსთქვამს (ჯავ., 4, 185). ყმაწვილი **და** ცქრიალა, ცოცხალი **და** განაზებული, მშვენიერი **და** კეკლუცი ელეონორა იყო ქალი მღიღარი მებატონის ვახტანგ ხელთუბნელისა. (ყაზ., 2, 315).

შერეული სახის შერწყმულ წინადადებაში **და** შეიძლება ნახმარი იყოს რამდენჯერმე. მაგ.: ტყის ნადირი **და** ფრინველები გაფრთხნენ **და** გადაიკარგნენ. (ვაჟა, 5, 35). ამ წინადადებაში პირველი და ქვემდებარეებს აერთიანებს, მეორე – შემასმენლებს.

ზოგჯერ **და**-ს სხვა ელფერი ახლავს – აღნიშნავს ერთის მიმართებას მეორე საგნისა თუ მოვლენისადმი. მაგ., **აკაკი წერეთელი და ხალხური პოეზია** მნიშვნელობით ამას უდრის: **აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ხალხური პოეზიისადმი.**

ზოგიერთი მწერლის ინდივიდუალური სტილისათვის დამახასიათებელია **და** კავშირის სხვა ნიუანსით გამოყენებაც, სახელდობრ: ერთ-ერთი ერთგვარი წევრი დასმულია საერთო წევრის წინ, რაც არ გვავარაუდებინებს კიდევ სხვა ერთგვარი წევრის დასახელებას, ნამდვილად კი ასეთი წევრი დასახელებულია დამატებით და შემოერთებულია და კავშირის საშუალებით. მაგ.: **მიიმღეროდა** ელისბარ ნელის ხმით **და მიდიოდა** (ბარნ., 3, 110); ისინი ყოველთვის სუფთად იყვნენ ჩაცმულნი **და კოხტად** (ბარნ., 2, 303). სიტყვათა ასეთი განლაგება ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. ჩვეულებრივ ითქმის: მიდიოდა და მიიმღეროდა... სუფთად და კოხტად...

და კავშირის წინ მდგომი სახელი მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩვეულებრივ გავრცობილია: **ფრინველებსა** და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდა (რაზ., 21); **ადამიანისა** და ვეფ-

ხვის მოკვლა ერთნაირი ცოდვა არისო (ვაჟა, 6, 134); სუფრიდან წამოშლილი სტუმრები ახლა **სიცილითა** და აღტაცებული ყიჟინით გაეშურნენ ყაფლანისაკენ. (გვეტ., 12).

თუ მიცემითსა და ნათესაობითში დასმულ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებასა და გარემოებას) ერთი და იგივე თანდებული მოუდის, უშუალოდ ღა-ს წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოდ იხმარება: ნადირები მიიმალნენ თბილს **ბუნაგებსა** და სოროებში (გოგ., 76); [ჩოხა] უფრო შემოდგომის ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლს ჰგავდა **სიძველისა** და გაურეცხაობის გამო. (რაზ., 155).

თუ ერთგვარ წევრებს გაძლიერების მიზნით ც ნაწილაკი დაერთვის, **და**-ს წინ მდგომიც თანდებულიანია: ერეკლემ მალე ბრწყინვალედ გაიმარჯვა **სპარსელებზედაც** და ოსმალებზედაც. (გოგ.).

როცა ერთგვარი წევრები ორზე მეტია, **და**-ს წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა, დანარჩენებთან სჯობს თანდებულის განმეორება: ფიქრობს ხმელი წიფელი **თავისთავზე, წარსულზე, აწმყოსა** და **მომავალზე**. (ვაჟა, 5, 89).

თუ **და**-თი შეერთებული ერთგვარი წევრები სხვადასხვა თანდებულს მოითხოვენ ან კიდევ მომდევნო წევრი უთანდებულოა, ხოლო წინამავალი იმავე სინტაქსური ფუნქციის გადმოსაცემად თანდებულს საჭიროებს, **და**-ს წინ მდგომი ყოველთვის თანდებულიანია: განიერ მარმარილოს **კიბესთან** და **შესავალში** კარის ხალხი ირევა (ჯავ., 3, 146); ... შეკრებილ ხალხს **ეზოებში** და **მოედნებზე** ცეცხლი დაენთო (ბარნ., 1, 259); [მიმინო] მთელი დღე დაყმენდილი დალაწლაწებდა **მინდორში, ჭალებში** და სოფლად. (რაზ., 178).

ერთგვარ წევრებს (გარდა შემასმენლებისა) გაძლიერების მიზნით შეიძლება დაერთოს ც (ცა) ნაწილაკი, რომელსაც რამდენადმე მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციაც აქვს: **ხალიჩაც მოართვი, მუთაქაცა, ქვეშაგებიც** (ჭავ., 365); ხშირად მოუკლავს პავლეს **ირემიც, ფოცხვერიც, აფთარიც**. (ჯავ., 1, 113).

ერთგვარ შემასმენლებს ამავე მიზნით ც-ს ნაცვლად **კიდეც** უძღვის წინ: **კიდეც** ვლხინობდი, **კიდეც** ვმღეროდი. (ჭავ., 153). ასეთ შემთხვევებში შეიძლება **და** კავშირიც იქნეს ნახმარი.

უკუთქმით წინადადებაში ც ნაწილაკის განმეორებულად ხმარება აუცილებელია. ამ შემთხვევაში იგი დაერთვის არა წინადადების წევრს, არამედ უარყოფით ნაწილაკებს და ვღებულობთ: არც – არც, აღარც, – აღარც (აღარც – არც), ვერც – ვერც, ნურც – ნურც. მაგ.: სისხლი სისხლით **არც** დაბანილა, **არც** დაიბანება (ვაჟა, 6, 161); აღარა მახსოვს მაშინ **აღარც** თავი, **აღარც** სახლი, **აღარც** დედა, **არც** ცხოვრება (ვაჟა, 6, 116); **ვერც** კლიტე, **ვერც** კედელი, **ვერც** ღობე ვერ იმაგრებს ამ სათოკე ქურდებსა (გოგ., 189). ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, **ნუცა** სიცხესა, **ნუცა** ავდარსა (ბარ.); ...ნუ მოუშვებ ჩემთან

ნურც ქორს, **ნურც** ალალს (ვაჟა, 6, 325).

ზოგჯერ **და** კავშირიც არის ნახმარი: იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრებდა **ვერც** ხვნას, **ვერც** თესვას და **ვერცა** მკასა. (ჭავ., 155).

როცა უკუთქმით წინადადებაში შემასმენელი წინ არის წამოწეული, მაშინ მას მაინც ახლავს უარყოფის ნაწილაკი ც-ს დაურთველად: **არ** მიყვარს **არც** მაგისთანა სიმაღლე. **არც** მაგისთანა განზედ გადგომა, **არც** მაგისთანა მიუკარებლობა (ჭავ., 256; აგრეთვე მე-2, მე-4 და მე-5 მაგალითი).

თუ შემასმენელს გადავწევთ, მას უარყოფითი ნაწილაკი აღარ უნდა: **არც** მაგისთანა სიმაღლე მიყვარს, **არც** მაგისთანა განზედ გადგომა, **არც** მაგისთანა მიუკარებლობა.

თუ-ს ზოგჯერ **და**-ს მნიშვნელობა აქვს, ე.ი. აჯგუფებს ერთგვარ წევრებს: ...**კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა** თავგამოდებით მუშაობდა (ვაჟა, 6, 430); **მარჯვნივ** თუ **მარცხნივ** მრავალი **ღელე** თუ **ნაკადული** უერთდება აქ მდინარეს. (ბარნ., 2, 133).

მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე საპირისპირო ცალების მქონე ზოგიერთი კავშირიც: არა მარტო – არამედ ...ც (არა მხოლოდ – არამედ... ც), არა თუ – არამედ კიდეც, როგორც – ისე... მაგ.: ამათ [ბუზებს] გაბეზრებული ჰყავთ არა მარტო ადამიანები, **არამედ** შინაური ცხოველებიც (გოგ., 118); [სეტყვას] ვაზებისათვის **არა მარტო** მტევნები, **არამედ** ტოტები და ფოთლებიც **კი** დაემტვრია, დაეგლიჯა და დედამიწაზე მოეფინა (ლომ., 362); იმას უნდა ეზრუნა **არა მხოლოდ** თავის თავზე, არამედ სხვაზედაც (ბარნ., 2, 356); როგორც მეფე, ისე დარბაისლები გაოცებული შეაჩერდნენ (წერ., 273); **როგორც** ვაგონებში, **ისე** სადგურებში საშინელი ხმაური იდგა. (გვეტ., 67)[224].

2. მაცალკევებელი კავშირებია: ხან – ხან (ხან – ხანაც, ხან – ხან კიდევ...); ან – ან (ან – ანდა, ან – ან კიდევ), თუ, გინდ – გინდ, თუნდ – თუნდ. უკანასკნელ წევრებს შორის ზოგჯერ **და**-ც არის ნახმარი.

ხან – ხან (ვარიანტებითურთ) აღნიშნავს მოქმედების მონაცვლეობას, რიგრიგობას დროში: მზე **ხან** გამოაშუქებს, **ხან** თვალებს ხუჭავს (ევდ., 3, 125); მისი ხმალი **ხან** კრაზანასავით ბზუოდა, **ხან** წკეპლასავით შხუოდა, **ხანაც** გველივით სისინებდა (ჯავ., 4, 211); [არსენა] უნებურად **ხან** ხმალზე ისვამდა ხელს, **ხან** ხანჯალს აწვალებდა, **ხან კიდევ** წელზე დამბაჩას ისინჯავდა. (ჯავ., 4, 58).

ან – ან (ვარიანტებითურთ) მიუთითებს, რომ ერთიმეორის გამომრიცხველ შესაძლებლობათაგან შესრულდება ერთ-ერთი, ან არ-

---

[224] როგორც – ისე გამოყენებულია რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც. ამ ტიპის შერწყმული წინადადება, გ. როგავას აზრით, „კონსტრუქციით... ქვეწყობილის შეკვეცილი სახეობაა". ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში": ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 370.

ჩვენი უნდა გაკეთდეს ერთ-ერთზე, ან კიდევ ჩამოთვლაა ისეთი საგნებისა თუ მოვლენებისა, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს: **ან** მოგიყვან იმ ცხენს, **ან** თავს შევწირავ შენს მეგობრობას (წერ.); დიდ მტერს კაცი **ან** შეეხვეწება და **ან** გარდაეხვეწება. სწორ მტერს **ან** პასუხს უზამს, **ან** მოუფრთხილდება (საბა., 78); ადამიანები თითო-თითოდ **ან** ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ. (ნ. დუმბ.).

ან მიღებულია **ანუ**-საგან, რომელიც წინათ ჩვეულებრივ მაცალკევებელი კავშირის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად **ან** მაცალკევებელი კავშირია, **ანუ** – მაიგივებელი. თუ „**და**“ და „**ან**“ გადასმულია, ვღებულობთ **ანდა**-ს: იყიდე ან ყურძენი, ან ვაშლი, **ანდა** ატამი.

ანუ მაცალკევებელ კავშირად იშვიათად ახალ ქართულშიც გვხვდება: არის არტისტის გულში კრიზისი **ან** განახლების, **ანუ** დაცემის (ტაბ.); **ან** დავიხსნათ ჩვენი ხალხი, **ანუ** გავწყდეთ ბრძოლის ველად. (გრიშ.).

თუ ზოგჯერ მაცალკევებელი კავშირია: იმათ წინ იდგა სამი **თუ** ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი. (ვაჟა, 5, 15).

ან-ს უახლოვდება მნიშვნელობით **გინდ** (<გინდა), **თუგინდ** და **თუნდ** (< თუ უნდა), ც ნაწილაკის დართვით **თუნდაც**, ზოგჯერ **და**-ც არის ნახმარი. მაგ.: ეგ შენი მადლობა **გინდა** გახიე, **გინდა** გაფხრიწე (ჭავ., 426); აწი, ჩემო მიხეილ, **გინდა** გადაუშვი და **გინდ** გადმოუშვი წყალი (ლორთქ. 2, 191); შენ **თუნდ** წადი, **თუნდ** დარჩი. (ჯავ.).

3. მაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამ, ხოლო, კი, ოღონდ, თუმცა, არამედ. ამ ჯგუფში შემავალი კავშირები ერთგვარ წევრებს ერთმანეთს უპირისპირებენ. **კი** საპირისპირო სიტყვის შემდეგ დგას, დანარჩენები კი იწყებენ ყოველთვის მეორეს. მაგ.: უმთავარო, **მაგრამ** ნათელი ღამე იყო (ლორთქ., 2, 62) კალმახებმა კარგა ხანს იმოგზაურეს, **მაგრამ** უშიშას კვალს ვერსად წააწყდნენ (გ. შატბ.); ხოსრომ თუთის ნაწილი გალიაში ჩაყარა, ხოლო დანარჩენი პეშვით თვითონ შეჭამა (გვეტ., 108); მალე ბილიკს წავაწყდით, **ხოლო** ნახევარი საათის შემდეგ ტყის ნაპირზე გავედით (ჯავ.); გოგრამ თავი დაიქნია, ხმა **კი** არ ამოიღო (ვაჟა); ცარცით სწერდნენ ხის ფიცარზე, კურდღლის ფეხით **კი** შლიდნენ დაწერილსა (გოგ., 53); იმღერეთ, **ოღონდ** ნუ აბღავლდებით (ჯავ., 3, 426); ნოდარის მოწინააღმდეგე ჯგუფი პატარა იყო, **თუმცა** უფრო საღი და მოსაწონი აზრის მატარებელი. (ბარნ., 3, 51).

არამედ ცალკე არ გვხვდება. იგი უპირისპირდება ამათ: **არ, კი არ, როდი, არამცთუ:** ჩვენ, ირმები, ენით არ ვლაპარაკობთ, **არამედ** თვალებით (ევდ., 3, 205); ...ეს ხმა სიჩუმეს **კი არ** არღვევს, **არამედ** რატომღაც ამძაფრებს კიდევაც (ს. კლდ., 49); ბებერ მუხებს და იფნებს ხალხი **როდი** სწუნობდა, **არამედ** ეთაყვანებოდა სწორედ ამ სიბერისათვის (ვაჟა, 6, 355); ამ საშინელის წამის დროს ძმანი ხერხე-

ულიძენი **არამცთუ** არ შეძრკნენ, **არამედ** ლომებად გადაიქცნენ და უფრო მომეტებული თავის განწირვით იბრძოდნენ. (გოგ., 68).

მაპირისპირებელი კავშირი ზოგჯერ რამდნიმე ერთგვარ წევრს აპირისპირებს რამდენიმე ერთგვარ წევრთან: მყინვარი!... დიდებულია, მყუდროა და მშვიდობიანი, **მაგრამ** ცივია და თეთრი. (ჭავ., 255).

მაგრამ-ს გასაძლიერებლად შეიძლება ახლდეს **მაინც**: ოთხრები ერთი ოთხად მეტნი იყვნენ ქართველებზე, **მაგრამ მაინც** (←მაშინც) საშინლად დამარცხდნენ. (გოგ.).

§140. ერთგვარქვემდებარეებიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარ ქვემდებარეებს ბრუნვის ფორმა ერთი აქვთ: ან ყველა სახელობითშია, ან მოთხრობითში, ანდა მიცემითში: **ტყე, მინდორი** და **ველი** ბიბინებდა (ევდ., 3, 176); ხის **ფოთლებმა** და **მცენარეებმა** კანკალი დაიწყეს (ვაჟა, 5, 15); **სვავებს, ორბებს, ყაჯირებს, ყვავებს** და მოსისხლე **ფრინველთაც** უკვე სუნი აეღოთ. (ვაჟა, 6, 97).

ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვის ფორმა ერთნაირი აქვთ ან სხვადასხვა, სახელდობრ:

ა) ყველა ერთგვარი ქვემდებარე მხოლობითში დგას: ამ ტყეში ცხოვრობდა **თაგვი, კურდღელი** და **მელია**. (რაზ.).

ბ) ყველა ერთგვარი ქვემდებარე მრავლობითშია: **ქუჩები, ბაღები** და **ჭალები** მოყვითალო ფოთლით არის დაფარული. (ჯავ., 1, 277).

გ) ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი მხოლობით რიცხვშია, ზოგიც – მრავლობითში: ამწვანდა **მთები, ტყე** და **მინდვრები**. (ჭავ., 9).

თუ ერთგვარ ქვემდებარეთაგან რომელიმე უბრუნველი სიტყვითაა გადმოცემული, მათ შორის ფორმობრივი განსხვავებაა; ერთხელ **მე** და **პაპაჩემი** ერთ ადგილს შევიყარენით. (ჭავ., 76).

ერთგვარ ქვემდებარეებს შეიძლება ახლდეს ან არ ახლდეს ამხსნელი ანუ მიმყოლი სიტყვები. ამ მხრივ სამგვარი შემთხვევაა გასარჩევი:

ა) ყველა ერთგვარი ქვემდებარე გაუვრცობელია: დილ-დილით **მთები** და **მიდამოები** ჭირხლით ჭაღარავდებოდა. (ჯავ. 2, 544).

ბ) ყველა ერთგვარ ქვემდებარეს ცალ-ცალკე ახლავს თავისი ამხსნელი სიტყვა (თუ სიტყვები): **ლამაზი ღუღუნა** მტრედები, **ჩასუქებული** გვრიტები, კაი ვარიის ტოლა **ყელსახვევიანი** ქედნები და სხვა **მრავალი** ფრინველი გუნდ-გუნდად მოსდებოდნენ ამ ხნულებს. (ლომ.).

გ) ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი გაუვრცობელია, ზოგიც – გავრცობილი: **ბაღი** და **მახლობელი ქუჩები** ხალხს ველარ იტევდა. (გვეტ., 165).

ერთგვარ ქვემდებარეებს შეიძლება ახლდეს საერთო დაქვემდებარებული სიტყვები, რაც ქმნის უფრო მჭიდრო სინტაქსურ კონსტრუქციას: **ჩვენი** ხუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (ჭავ., 153); **ათასგვარი** ჭია და მწერი დაძვრებოდა

იმის ახლოს. (რაზ., 1) პირველ წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეების საერთო განსაზღვრებაა **ჩვენი**, მეორეში – **ათასგვარი.**

ერთგვარი ქვემდებარეებისა და შემასმენლის მიმდევრობა (რიგი) არაა მყარი. ჩვეულებრივია ორგვარი წყობა:

ა) შემასმენელი ერთგვარი ქვემდებარეების შემდეგაა: აქა-იქ **კომში, მსხალი, ჭერამი, ვაშლი** და **ატამი** ყვითელ ქარვასავით **ქათქათებს.** (ჯავ., 4, 291).

ბ) შემასმენელი უსწრებს ერთგვარ ქვემდებარეებს: **ამწვანდა მთები, ტყე** და **მინდვრები** (ჭავ., 9); **გაფრინდა** ბავშვობის **დღეები, მინდვრები, ჭალები, ტყეები.** (ტაბ.).

შემასმენელი იშვიათად ერთგვარ ქვემდებარეებს შორისაც გვხვდება: უბრალო საქმეს ... **მოჯამაგირე აკეთებდა** და **დედაკაცი.** (ბარნ., 2, 259). ამ წევრთა ასეთი განლაგება ენისათვის არ არის დამახასიათებელი. ბუნებრივი ქართულია: ...მოჯამაგირე და დედაკაცი...

ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობისათვის მნიშვნელობა აქვს იმ წევრთა გადმომცემ სიტყვათა ლექსიკურ შინაარსს, მათ წყობას, კავშირებს... აღვნიშნავთ რამდენიმე ძირითად შემთხვევას:

1. პირველი და მესამე ან მეორე და მესამე პირთა სახელებით გადმოცემულ ერთგვარ ქვემდებარეებთან შეწყობილი შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი ყოველთვის მრავლობითშია დგას: **მე** და **ის** დიდი **მეგობრები ვიყავით** (ლომ., 381); **შენ** და შენი **თოფი** სულ მუდამ **გამარჯვებულები ხართ.** (ვაჟა, 5, 67).

2. შემასმენელი, რომელიც მოსდევს სულიერი საგნების სახელებით გადმოცემულ ერთგვარ ქვემდებარეებს, ჩვეულებრივ მრავლობითშია დგას: **არჩილი** და **კესო შებრუნდნენ** ოთახში (ჭავ., 452): ერთი **კაცი** და ერთი **დათვი დაძმობილდნენ.** (საბა, 32).

გვხვდება შემასმენლის მხოლობითში დასმის შემთხვევებიც: **დიდი** და **პატარა, კაცი** და **ქალი** იმას **მისდევდა** (ვაჟა, 6, 123); **ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება** ზამთრის სარჩოს (ერ.); **კაცი** თუ **დედაკაცი, დიდი** თუ **პატარა** თავგამოდებით **მუშაობდა.** (ვაჟა, 6, 430).

ამ შემთხვევაში ქვემდებარეთა მოქმედება იგულისხმება ცალ-ცალკე და არა ერთად.

3. თუ სულიერ საგანთა სახელებით გადმოცემულ ერთგვარ ქვემდებარეებს საერთო განსაზღვრებად ახლავს ისეთი სიტყვა, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მრავალზე მიუთითებს (ბევრი, მრავალი, ურიცხვი, რამდენიმე, ყველა, **ორი** და მისი მომდევნო რაოდენობითი რიცხვითი სახელები), შემასმენელი მხოლობითში დგას (როგორც თვით ქვემდებარეები): იქ **ბევრი** მსუქანი **ბატი** და **ინდაური დაგოგავს** (ვაჟა); **ურიცხვი ქალი** და **კაცი** ჭალაზე **შემოეფინა** (ვაჟა, 3, 245); ბაღიდან

რამდენიმე ქალი და **კაცი გამორბოდა**. (კ. ლორთქ., 3, 41).

4. თუ ჯერ შემასმენელია და შემდეგ სულიერ საგანთა სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები, ზოგჯერ შემასმენელი უახლოეს (პირველ) ქვემდებარეს უწევს ანგარიშს და მხოლობითში დგას: სისხლისაგან დაცლილი ხოსრო მესამე დღეს **ინახულა ცოლმა** და **სიმამრმა** (გვეტ., 137); **მოვიდა ყადი** და **მოწამენი** (საბა); კარების წინ **იდგა ქალი** და ვიღაც უცნობი **ვაჟი** (ლორთქ.); დაიძრა **არწივი** და მასთან ერთად **ფრინველნი**. (ვაჟა, 6, 34).

5. უსულო საგანთა სახელებით გადმოცემულ ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლობითშია დგას: **ტყე, მინდორი** და **ველი ბიბინებდა** (ევდ., 3, 176); **დაშრა** ცივი **წყაროები**, მოჩუხჩუხე **ხევები, ნაკადულები**... (ვაჟა, 6, 183).

უსულო საგანთა სახელებით გადმოცემულ რამდენიმე ქვემდებარესთან ხშირია შემასმენლის მრავლობითში შეწყობა, თუ იგი აქტიურ სუბიექტს გულისხმობს; **სიცივე** და **სიცხე** ერთნაირად შიშით **აახრჟოლებენ** ხოლმე საბრალო იას (რაზ., 1).

6. მაცალკევებელ კავშირებთან შემასმენელი უახლოესს უწევს ანგარიშს. მაგ., ხან ის მღერის, ხან მისი შვილები, მაგრამ: ხან მისი შვილები მღერიან, ხან ის; ან ბავშვი წავა, ან ბავშვის მშობლები, მაგრამ: ან ბავშვის მშობლები წავლენ, ან თვითონ ბავშვი...

სულიერ საგანთა სახელების შეერთებით მიღებული ტოლად-შერწყმული რთული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან ხშირია შემასმენლის როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში შეწყობა. სტრუქტურულად ასეთი წინადადება მარტივია (და არა შერწყმული).

ა) შემასმენელი მხოლობითშია: **და-ძმა** ერთმანეთს **გადაეხვია** (გვეტ., 424); **ქალ-ვაჟი** უზარმაზარ წიფლის ხეს **აჰკვროდა**. (ჯაფ., 201).

ბ) შემასმენელი მრავლობითშია: **და-ძმა** მხურვალედ **გადაეხვივნენ ერთმანეთს** (კლდ., 1, 1370; **ცოლ-ქმარმა** გაოცებით ერთმანეთს **შეხედეს**. (ჭავ., 379).

შემასმენელი მხოლობითში შეიძლება შეგვხვდეს ამ ტიპის რამდენიმე ქვემდებარესთანაც: მოხუცებული **დედ-მამა**, წვრილი, აღზრდას მოკლებული **და-ძმა** მძიმე ტვირთად **აწვა** ნიკოს სინდისს და ძალას ატანდა მუშაობისათვის ხელი მოეკიდა. (გაბ., 1, 418).

თუ ტოლად-შერწყმულ სახელში უსულო (არაცოცხალი) საგნების სახელებია, შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლობითში დგას: **მთა-ბარი ზანზარებდა** (ვაჟა, 5, 285): **დაიწყო** ცეკვა **მთა-ბარმა** (ვაჟა, 6, 149); **ტყე-ველი** ლაღად **ბიბინებს!** (ევდ., 1, 140).

ამ ტიპის ქვემდებარესთან იშვიათად შემასმენელი მრავლობითშიც გვხვდება: **სიკვდილ-სიცოცხლე სცვლიან** ერთმანეთს. (ევდ. 1, 148).

თუ ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემული ქვემდებარე მხოლობითში დგას, შემასმენლის მხოლობითში დასმა უფრო ბუნებრივი ჩანს.

§141. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება

შემასმენელი მარტივია ან შედგენილი. ამის შესაბამისად ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებაც სხვადასხვაგვარია, სახელდობრ:

ა) ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი: ქალი **გაჩუმდა, გაყუჩდა, დანაზდა, დაპატარავდა, დასუსტდა** (ლორთქ. 2, 56); გარეთ ქარი **ზმუის, კვნესის, ღრიალებს.** (ჭავ.).

ბ) წინადადება შერწყმულია შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილების მიხედვით: ჩვენი სკოლა **გუთანია, ცელი** და **ნამგალი, ბარი** და **თოხი** (ვაჟა); ღამე იყო **მშვენიერი, ყუჩი** და **თბილი** (ყაზ., 2, 57); ჭაობი თანდათან **ღრმა** და **წებოვანი** ხდებოდა (გვეტ., 454); ელენე **დარჩა ქვრივი, მდიდარი, მშვენიერი** და თითქმის **ბედნიერი** (გაბ., 141); [არწივს] ფრთები **აქვს გრძელი, მოყვანილი** და **ღონიერი** (გოგ., 146).

დასახელებულ მაგალითებში მეშველი ზმნა ერთხელ არის დასახელებული, მაგრამ ზოგჯერ იგი შეიძლება განმეორდეს: მყინვარი!... **დიდებულია, მყუდრო** და **მშვიდობიანი,** მაგრამ ცივია და **თეთრი.** (ჭავ., 255).

გ) ერთგვარ შემასმენელთაგან ზოგი მარტივია, ზოგიც შედგენილი, ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: ბუხარი რცხილის კუნძებით **იყო გამოტენილი** და საამურად **ღუდღუდებდა** (ვაჟა, 5, 63); [ნიკა]... თითქმის **დაეწია** მამას და მისებრ **მაღალი, მხარბეჭიანი, ტლანქი, ჩუმი** და **მოუხეშავი გამოდგა.** (ჯავ., 1, 119).

წინადადებაში ზოგჯერ წარმოდგენილია ერთგვარი შემასმენლები, ქვემდებარე კი იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ ზმნის ფორმათა მიხედვით: **ვიცხოვრე, ვიარე, ვნახე** და **გავიგე** (ჯავ., 3, 427); მუდამ **ლაღი ხარ, თავისუფალი, მხნე** და **მხიარული** (ჯავ., 3, 484); **გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა.** (რაზ., 94).

ქვემდებარისა და ერთგვარი შემასმენლების წყობა რამდენადმე თავისუფალია. გასარჩევია სამი შემთხვევა;

ა) ქვემდებარეს მოსდევს ერთგვარი შემასმენლები: განახლებული ბუნება **იმოსებოდა, ირთვებოდა** და **იკაზმებოდა** (კლდ., 1, 294); აკაკიმ ყელსახვევი **მოიხსნა,** პიჯაკი სკამზე **მიაკიდა,** ცოტა ხანს ოთახში **გაიარ-გამოიარა,** შემდეგ გაზეთი **აიღო** და **წაიკითხა.** (გვეტ., 359).

ბ) ქვემდებარე ერთგვარ შემასმენლებს შორისაა: **დაჭრიჭინებდა, დახტოდა** ჭრიჭინობელა პატარა და უშრომ-უზრუნველობით მთელი ზაფხული **ატარა** (წერ.); **მიიმღეროდა** ელისბარ ნელის ხმით **და მიდიოდა** (ბარნ., 3, 110); **გულცივია** იგი და **ბოროტი.** (ბარნ., 3, 414).

ბ) ქვემდებარეს უსწრებს ერთგვარი შემასმენლები: **თრთის** და **კანკალებს** ცაზე **ვარსკვლავი** (ტაბ.); **გაოხრებული** და **გატიალებულია** მინდვრები. (ვაჟა, 5, 37).

დასახელებული შემთხვევებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია პირველი ვარიანტი.

თანწყობილი შემასმენლები ქვემდებარეს ერთსა და იმავე ან სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ. როდესაც თანწყობილია რამდენიმე ისეთი შემასმენელი, რომლებიც ქვემდებარეს სხვადასხვა ბრუნვაში შეიწყობენ (გარდამავლობისა და სერიების მიხედვით), ქვემდებარე იმ ბრუნვაში დგას, რომელსაც მოითხოვს პირველი უახლოესი შემასმენელი. მაგალითად: **გაფრინდა მერცხალი**, გაშალა ფრთები, გაინავარდა და სიხარულის ჭიკჭიკით ჰაერი შეათრთოლა. (ყაზ., 2, 338). ამ წინადადებაში თანწყობილია ოთხი შემასმენელი: **გაფრინდა, გაშალა, გაინავარდა** და **შეათრთოლა**, ამათგან პირველი ზმნა გარდაუვალია და ქვემდებარე სახელობითში დგას, ხოლო დანარჩენები ქვემდებარეს მოთხრობითში მოითხოვენ. დასახელებულ წინადადებაში პირველ ადგილზე გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენელია (გაფრინდა) და ქვემდებარეც მასთან არის ბრუნვაში შეწყობილი. პირველ ადგილზე რომ მეორე (ან მესამე, ანდა მეოთხე) ზმნა დავსვათ, ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში გადადგება: **მერცხალმა გაშალა** ფრთები, გაფრინდა, გაინავარდა და სიხარულის ჭიკჭიკით ჰაერი შეათრთოლა.

შემასმენლები ჩვეულებრივ ზმნათა ერთი და იმავე დროის ფორმებით არის გადმოცემული, იშვიათად – სხვადასხვა დროის ფორმებითაც. მაგალითად:

1. შემასმენლებად ახლანდელი დროის ფორმებია: შემოდგომის დღე **თრთის** და **კანკალებს** (არ. სულაკ.); ზამთრისაგან დამძრალ მდელოს მზე **ათბობს** და **ახალისებს**. (გრიშ.).

2. შემასმენლებად წარსული დროის ფორმებია: ქარი ამ დროს **ზმუოდა, კვნესოდა** და **გმინავდა** (არაგვ.); მიძინებულმა ჭალამ **გამოიღვიძა** და უჩვეულოდ **ახმაურდა** (მიხ. მრევლ.); სოფლის გოგობიჭებს **დაეწნათ** გვირგვინები, **დაეკრიფათ** ბლომად ყვავილები და სოფლისაკენ მღერით **მიდიოდნენ**. (ვაჟა, 3, 86).

3. შემასმენლებად მომავალი დროის ფორმებია: ...სახარე ხბორებს **ვიყიდი**, ხარებს **დავზრდი, მოვხნავ, მოვთესავ** და **აშენებული შევიქმნები** (საბა); **შემოვა** ქალი, **დაჯდება** ქვაზე და მწარედ, მწარედ **აქვითინდება**. (ტაბ.).

4. შემასმენლებად ახლანდელისა და მომავლის ფორმებია: აღმოსავლეთით **მოდის** ვარსკვლავი და **ჩაეშვება** ამ ნანგრევებში. (ვაჟა, 3, 60).

5. შემასმენლებად წარსულისა და მომავალი დროის ფორმე-

ბია: დამპალი რიკულები ბუდიდან **გამოვარდნილა** და აგერ-აგერ შუბლით მიწას **დაეხეთქებიან**. (კ. კორთქ., I, 291).

6. შემასმენლად წარსულისა და ახლანდელი დროის ფორმებით: **დაჯდა** არზაყან და წყლის დენას **აყოლებს თვალს**. (გამს).

7. შემასმენლებად სამივე დროის ფორმებია: აკაკიზე ბევრი **დაწერილა, იწერება** და **დაიწერება**. (ნაკ., 179).

ერთგვარი შემასმენლები ჩვეულებრივ ზმნათა ერთი და იმავე მწკრივის ფორმითაა გადმოცემული: უღრანი ტყე **ღელავს, ფუსფუსებს** და ღრმა ოხვრით **ოხრავს** (ჯავ., 2, 450); გარეთ ქარი **ქროდა, ღმუოდა** საზარლად და ნამქერს **ანიავებდა** (ვაჟა, 6, 47); [სპილო] ხორთუმის ერთი დაკვრით ცხენს **წააქცევს** და ვეებერთელა ხეს **დაამტვრევს** (გოგ., 182) მათია **წამოდგა, გაწმინდა** ხანჯალი, **ჩააგო** ქარქაშში და **მოიბანა** და **შეიხვია** მსუბუქი ჭრილობა (ყაზ., 1, 77); შემხმარი ყანები სეტყვას ერთიანად **ჩაერეგვა** და მიწასთან **გაესწორებინა**. (ლომ.).

არცთუ იშვიათად ერთგვარი შემასმენლები სხვადასხვა მწკრივის ფორმითაა გადმოცემული:

1. ერთგვარ შემასმენლებად წყვეტილისა და უწყვეტლის ფორმებია: მეცხვარე იჯდა და სევდიანად სალამურს **აკაკანებდა** (რაზ., 6). ხარები **იწვნენ** ეზოში და ზანტად **იცოხნებოდნენ**. (გამს.).

2. ერთგვარ შემასმენლებად II თურმეობითისა და უწყვეტლის ფორმებია: ალალი **გაჰკვრიყო** მიწას და გაჩქარებით **მოცურავდა** ჰაერში (რაზ., 7); [მგელს] წითელი ენა **გადმოეგდო**, ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ **აშორებდა**. (ვაჟა, 6, 97).

3. ერთგვარ შემასმენლებად აწმყოსა და მყოფადის ფორმებია: ...მერცხლები ...ერთად **იკრიბებიან** და მერე გუნდ-გუნდად **გაუდგებიან** ხოლმე გზას (გოგ.); აღმოსავლეთით **მოდის** ვარსკვლავი და **ჩაეშვება** ამ ნანგრევებში. (ვაჟა, 3, 60).

4. ერთგვარ შემასმენლებად ხოლმეობითისა და უწყვეტლის მწკრივის ფორმებია: შაშვი ხან მაყვლიანში **ჩაფრინდებოდა** სტვენით, ხან **მოსწურავდა** ფრთებს და **მიჰქროდა**. (ევდ., 3, 176).

5. ერთგვარ შემასმენლებად წყვეტილისა და აწმყოს ფორმებია: **დაჯდა** არზაყან და წყლის დენას **აყოლებს** თვალს (გამს.); ლუკაიამ გარეთ **გამოიყვანა** კაც ზვამბაია და შერვაშიძეების ახალმოსახლეობას **აცნობს**. (გამს.).

6. ერთგვარ შემასმენლებად წყვეტილისა და II თურმეობითის ფორმებია: ქართველები ისევ ძველებურად **იდგნენ** თავიანთ სიმაგრეებზე, უამრავი კოცონი **დაენთოთ** და ბანაკი საქორწილო სუფრასავით **გაეჩაღებინათ**. (გრ. აბ.).

7. ერთგვარ შემასმენლებად I თურმეობითისა და მყოფადის მწკრივის ფორმებია: დამპალი რიკულები ბუდიდან **გამოვარდნილა**

და აგერ-აგერ შუბლით მიწას **დაეხეთქებიან**. (კ. ლორთქ.).

გვხვდება ერთგვარი შემასმენლების სხვადასხვა მწკრივის ფორმებით გადმოცემის სხვა შემთხვევებიც.

ერთგვარი შემასმენლები შეიძლება გამოხატავდეს:

ა) მოვლენათა ერთდროულობას: თან **ჰკერავდა** ქალი, თან ნელის ხმით **ღიღინებდა** (ბარნ., 3, 198); მეცხვარე **იჯდა** და სევდიანად სალამურს **აკაკანებდა**. (რაზ.).

ბ) მოვლენათა თანამიმდევრობას: მათია **წამოდგა, გაწმინდა** ხანჯალი, **ჩააგო** ქარქაშში და **მოიბანა** და **შეიხვია** მსუბუქი ჭრილობა (ყაზ., 1, 77); არწივმა **გაშალა** ფრთები, **აფრინდა** და **დაიწყო** ჰაერში ტრიალი. (ვაჟა).

მოვლენათა თანამიმდევრობა ზოგჯერ ლექსიკური საშუალებითაც არის გამოხატული: **ჯერ** კიბე **დაამთავრეს, მერე** საქათმე **ააშენეს, შემდეგ** წყარო რუში **ჩააგდეს** (ჯავ.); დარბაზი ჯერ **ხითხითებს,** მერე **ხარხარებს** (ჯავ., 2, 520); **ჯერ ჩამოვჯექი, მერე დავწექი, შემდეგ გავიარ-გამოვიარე** (ჯავ., 3, 552); [ჯურხა] **ჯერ** კონდახებს **აკეთებდა, მერმე** თოფის ნაწილებს **ასხამდა, ბოლოს** ზარბაზნებზედაც **გადავიდა**. (ჯავ., 2, 476).

გ) მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობას: არჩილი კომისიის **წევრი იყო** და **ამიტომ** მიეჩქარებოდა (ჯაფ., 127); მე მხოლოდ **ადამიანი ვარ** და **ამიტომ** მხოლოდ სიცოცხლეს **გაბატიებ** (ჯავ., ს, 229); **ჯერ** დაუდუღარი **მაჭარია** და **ბუყბუყებს**. (ჯავ., 446).

დ) მოვლენათა თანამიმდევრობასა და მიზეზ-შედეგობრიობას: ცხრა მთას იქით ამოვარდნილმა ქარიშხალმა გულის ფიცარი **შეუნგრია** ზურიას და მუხასავით ფესვმაგარი ხარატელი ორთავ მუხლებზე **წამოაჩოქა**. (მიხ. მრევლ., 10).

ე) სუბიექტის მოქმედების ჩამოთვლა – დასახელებას: ჩიტები **ჟღივჟღივებდნენ, გალობდნენ, უსტვენდნენ** (ყაზ., 2, 165); მურია **ღრიანავს, ყეფს, ტრიალებს** (რაზ., 13); უღრანი ტყე **ღელავს, ფუსფუსებს,** ღრმა ოხვრით **ოხრავს**. (ჯავ., 2, 450).

ვ) დაპირისპირებას, მონაცვლეობა-რიგრიგობას, ერთ-ერთის არჩევას (სხვების გამორიცხვით): მფრინავი **წაბარბაცდა,** მაგრამ **არ წაქცეულა** (თ. ჭილ.); ციცინო **ხან იცინოდა, ხან ტიროდა** (დ. შენგ., 1, 45); ჩხიკვი **ან** შველსავით **დაიხავლებდა, ან** ხის ტოტებზე ქურდულად **დაიწყებდა** ფრენას. (ვაჟა).

ერთგვარი შემასმენლებით გამოხატულ მოქმედებათა მიმართება თქმულით არ ამოიწურება.

ერთგვარ შემასმენლებს ჩვეულებრივ ერთი- და იმავე რიცხვის ფორმა აქვთ, მაგრამ გვხვდება მათი სხვადასხვა რიცხვის ფორმით შეწყობის შემთხვევებიც. სახელდობრ:

ა) მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან ზოგჯერ პირველი

შემასმენელი მხოლობითი რიცხვის ფორმითაა შეწყობილი, სხვები – მრავლობითისა: პატარა მდინარეებმაც **მოიმატა** და ვაი-ვაგლახით **მოაგორებენ** ლოდებს, კლდეებს, ხეებს ძირიდამ **ჰგლეჯენ** (ვაჟა, 5, 54); ეს ნაწილაკები იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას ეწევიან. (ა.შ., 630).

ბ) პირველი შემასმენელი მხოლობითშია და მომდევნო შემასმენლები მრავლობითში, თუ ქვემდებარეს (მხოლობითში დასმულს) განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მრავალს (ორს და ორზე მეტს) გულისხმობს, ან კიდევ თვით ქვემდებარეა ასეთი სახელით გადმოცემული: მართლაც, ბუდის შორიახლოს წნორზე ორი კაჭკაჭი **იჯდა** და ბავშვებს ყურადღებით **ათვალიერებდნენ** (რაზ., 318); მეორე დღეს... წყვილი შოშია შარშანდელ ბუდეს **დასტრიალებდა** და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ერთმანეთს რაღაცას **ჩალუკლუკებდნენ** (რაზ., 214); რამდენიმე კაცი **მიუახლოვდა** გუგუას, **გაუხსნეს** ხელები და წინ **წააყენეს** (ყაზ. 2, 309); სამი მათგანი ყაშასთან **მივიდა, შეარცხვინეს** და დამშვიდება **სცადეს**, მაგრამ ამაოდ (ჯავ., 193); სუფრიდან ყველა **აიშალა** და წასასვლელად **მოემზადნენ**. (დად.).

§142. პირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება

ერთგვარია პირდაპირი დამატებები, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთ შემასმენელთან. მაგ., სვავმა თავი **აიღო** და თვალები **გაახილა** (ვაჟა, 5, 7). ამ წინადადებაში ორი პირდაპირი დამატებაა: **თავი** და **თვალები**, მაგრამ ეს წინადადება არ არის შერწყმული პირდაპირ დამატებათა მიხედვით: ერთი პირდაპირი დამატება (თავი) პირველ შემასმენელს ახლავს (თავი აიღო), მეორე კი (თვალები) – მეორე შემასმენელს (თვალები გაახილა). მაშასადამე, ეს წინადადება ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადებაა. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: თოვლს დაეფარა თეთრად **მინდორი, ტყე** და **გელი** (ევდ., 3, 312); აქ ერთ შემასმენელთან სამი პირდაპირი დამატებაა დაკავშირებული, ასე რომ ეს წინადადება შერწყმულია პირდაპირი დამატების მიხედვით.

ყველა ერთგვარი პირდაპირი დამატება ან მიცემითში დგას, ანდა სახელობითში, ე.ი. ერთსა და იმავე ბრუნვაშია: ყვავილები ამკობენ **წიფელს, რცხილას, მუხას** და ფოთლებ-მთრთოლვარე **ვერხვსა**... (ვაჟა, 5, 155). იმისმა ხმამ დაიარა **მთები** და **კლდეები** (ვაჟა, 5, 15). პირველ მაგალითში ყველა პირდაპირი დამატება მხოლობითში დგას, მეორეში – მრავლობითში, მაგრამ შეიძლება ერთგვარი პირდაპირი დამატებები სხვადასხვა რიცხვის ფორმით იქნეს გადმოცემული, როგორც ეს, მაგალითად, ამ წინადადებაში გვაქვს: ჭია-მატლები უხდენენ მცენარეებს **ფესვებსა, ყლორტებსა, ფოთლებსა, კოკორსა, ყვავილსა** და **ნაყოფს**... (გოგ., 136).

ერთგვარი პირდაპირი დამატებები უსწრებენ შემასმენელს ან მოსდევენ მას: **სასმელი, საჭმელი, სანთელი, საკმელი** ჩანაწყო ნავში (გურ., 227); შენ ასჯერ დაამტკიცე შენი **ერთგულება, ქველობა** და **პატიოსნება**. (ჯავ., 2, 442).

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ერთგვარ პირდაპირ დამატებათაგან ზოგი უსწრებს შემასმენელს, ზოგიც მოსდევს მას: **ჩაი** მოიტანეს, **ნამცხვარი, სასმელები, ხილეული**. (ბარნ., 2, 402). ასეთი განლაგება არ არის ბუნებრივი ენისათვის.

შემასმენელსა და ერთგვარ პირდაპირ დამატებებს შორის ზოგჯერ სხვა წევრებია ჩამდგარი: **მინდვრები** და **ქედები** გოლვას სულ მთლად გადაეჭკნო. (ჭავ., 406). ამ წინადადებაში ერთგვარ პირდაპირ დამატებებსა და შემასმენელს შორის ქვემდებარე და ვითარების გარემოებაა.

თუ პირდაპირ დამატებებად **ჩვენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვებია, შემასმენელი მრავლობითშია: მამამ **მე** და ჩემი **ძმა** ქალაქში **წაგვიყვანა**. მსგავსი ვითარებაა მეორე პირის ფორმასთანაც, თუ ქვემდებარე მხოლობითშია: მამამ **შენ** და შენი **ძმა** ქალაქში წაგიყვანათ (ან: **მე შენ** და **შენს ძმას** ქალაქში **წაგიყვანთ**).

§143. რამდენიმე ერთგვარი ირიბი დამატება წინადადებაში

რამდენიმე ერთგვარი ირიბი დამატება შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელს. გარდაუვალ ზმნასთან ასეთი დამატებები შესაძლებელია სამივე სერიაში, გარდამავალთან – პირველსა და მეორეში. ბრუნვის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არ არის – ყველა მიცემითშია დგას. განსხვავებული მათ შეიძლება ჰქონდეს რიცხვის ფორმა (ისევე, როგორც ერთგვარ ქვემდებარეებსა და ერთგვარ პირდაპირ დამატებებს). მაგ.: ისინი შეჰხაროდნენ **სიცოცხლეს, ბუნებას, გაზაფხულს** (ევდ., 3, 132); **ჩიტთა, ბუზთა** და **ჭიანჭველთა** ეგებებოდა სალმითა (ვაჟა, 4, 3); თანდათან მოსწყდა ქალი **ნათესავებს, ნაცნობებს**, მთელ **ხალხს**. (ბარნ., 3, 86).

თუ ერთგვარ ირიბ დამატებებში პირველი პირის ნაცვალსახელიც ურევია, ან ასეთი დამატებები **ჩვენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობისაა, შემასმენელი ირიბობიექტური პირის მიხედვით ყოველთვის მრავლობითშია: **დაგვრჩა** ბუხარი **მე** და **ბერუას**. (ვაჟა, 5, 63).

მსგავსი ვითარებაა **თქვენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმომცემ ირიბ დამატებებთანაც, თუ შემასმენელი არ არის შეთანხმებული ქვემდებარესთან: **შენ** და შენს **მუხას** მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, – ბევრჯერ უთქვამს ჩვენთვის დედამიწას. (ვაჟა); **დაგრჩათ** ბუხარი შენ და ბერუას.

მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილ რამდენიმე ერთგვარ ირიბ

დამატებას (მხოლობითსა და მრავლობითში დასმულს) შემასმენელი ზოგჯერ მრავლობითში შეეწყობა (თუ იგი არ არის შეთანხმებული ქვემდებარესთან): **დათვსა, მგელსა** და **მელიას** ყანწები **ეჰყრათ** ხელშია (ვაჟა, 4, 165); **ფრინველებსა** და **ცხოველებს** მოუსვენრობა **ეტყობოდათ**. (რაზ., 212).

სშირია შეუთანხმებლობაც: ცხენოსანი **მიუახლოვდა გაგის** და მის **ამხანაგებს** (ყაზ., 1, 24); ყველა **კლდესა, ღრესა, ხევსა** და **ტყეს** ეფარებოდა. (ვაჟა, 6, 83).

ერთგვარი ირიბი დამატებები უსწრებენ შემასმენელს, ან მოსდევენ მას, ან შემასმენელი ირიბ დამატებებს შორისაა, ან კიდევ მათ შორის სხვა სიტყვებია ჩამდგარი: **ხერხსა, სატეხსა, ხელეჩოს, ნაჯახს, ცულს ვენაცვალები** (წერ.); თავისი პატარა ბასრი კბილებით თაგვი ფესვებს **უფუჭებს ბურსა, სიმინდსა, ქერსა, შვრიასა, ღომსა** და სხვა **ჭირნახულსა** (გოგ., 134); ბევრს **სოფლებს გადაევლო თავს, ტყეს** და **მინდორს**, დაბალ **გორაკებს** (ვაჟა, 6, 87); **ამიტომსა** და **იმიტომს** ჩირაძე ყურს **აღარ უგდებს**. (ჯავ., 179).

§143ˢ. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით

ერთგვარი შემასმენლები შეიძლება გადმოიცეს ერთ-, ორ- და სამპირიანი ზმნებით. ამის გამო ერთგვარ შემასმენელთა შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით სხვადასხვაგვარია. დავასახელებთ ძირითად შემთხვევებს:

1. შემასმენლები გადმოცემულია ერთპირიანი ზმნებით. მათი საერთო წევრია ქვემდებარე, რომელიც ჩვეულებრივ პირველ შემასმენელთან არის დასახელებული, იშვიათად – მომდევნოსთან, მაგ., **ზურაბი** გაოცდა, დაღონდა, გაბრაზდა (ჯავ., 2, 230); **ქალი** გაჩუმდა, გაყუჩდა, დანაზდა, დაპატარავდა, დასუსტდა. (ლორთქ., 2, 56); თრთის და კანკალებს **ვარსკვლავი**. (ტაბ.).

ქვემდებარე ზოგჯერ არ არის დასახელებული, მაგრამ ადვილად იგულისხმება კონტექსტისა და ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით: გასუქდა, გალაღდა, გაიბარჯღა, გაიზარდა. (რაზ., 94). კონტექსტის მიხედვით ქვემდებარედ იგულისხმება „ფითრი“.

2. შემასმენლები გადმოცემულია გარდამავალი ზმნებით. საერთო წევრია ქვემდებარე, პირდაპირი დამატება კი თავ-თავისი აქვთ: **სვავმა თავი** აიღო და **თვალები** გაახილა (ვაჟა, 6, 7); **არსენამ პირისახე** მოიწმინდა, **თვალები** გაახილა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაინახა. (ჯავ., 4, 460).

3. გარდამავალი ზმნებით გადმოცემულ შემასმენლებთან საერთო წევრებია ქვემდებარე და პირდაპირი დამატება. მთავარ წევრთა განლაგების სამი შემთხვევა გვაქვს;

ა) ქვემდებარე და პირდაპირი დამატება დასახელებულია პირ-

ველ შემასმენელთან. მაგ.: **ბარი** კლდის **ცრემლს** გულზე დაიყრის, შეისრუტავს, შეისისხლხორცებს (ვაჟა, 5, 135); ზამთრისაგან დამზრალ **მდელოს მზე** ათბობს და ახალისებს. (გრიშ.).

ბ) ქვემდებარე დასახელებულია პირველ შემასმენელთან, პირდაპირი დამატება – მომდევნოსთან; **მტრედებმა** ეხლა გაიგონეს და დაისწავლეს არწივის **სახელი** (ვაჟა, 5, 99). **სიო** არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ **იასამანს**. (ტაბ.).

გ) პირველ შემასმენელთან დასახელებულია პირდაპირი დამატება მომდევნოსთან – ქვემდებარე: ჭრელი **პეპელა** დაათრო და გააბრუა **იამა** (წერ.); ატმის ტოტზე შერჩენილი ხმელი **თესლი** აკენკეს და გაიტაცეს **ბეღურებმა**. (კალან)...

4. შემასმენლები გადმოცემულია ორპირიანი გარდაუვალი ზმნებით, რომელთაც თავ-თავისი ირიბი დამატება ახლავს: ყველანი გამოეთხოვნენ **მასპინძელს** და გაუდგნენ თავ-თავიანთ **გზას**. (კლდ., 1, 255).

5. როცა შემასმენლები გადმოცემულია სამპირიანი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნებით, საზიარო შეიძლება იყოს ქვემდებარე და ირიბი დამატება. მთავარ წევრთა განლაგება აქაც სამგვარია:

ა) ქვემდებარე და ირიბი დამატება დასახელებულია პირველ შემასმენელთან: **შალვა** გადაეხვია უცნობ **ქართველს** და კარვის კარამდე მიჰყვა (გრ. აბ., 476); **ძარღვი ძარღვს** ედავებოდა და იქნებ ებრძოდა კიდეც. (ლ. გოთ.).

ბ) პირველ შემასმენელთან დასახელებულია ქვემდებარე, მომდევნოსთან – ირიბი დამატება: **შენ** უნდა **ეყმო** და **ეძმო უმართლოდ დაჩაგრულსაო**. (წერ.).

გ) პირველ შემასმენელთან ირიბი დამატებაა, მომდევნოსთან – ქვემდებარე: **ალექსანდრეს** აუცრემლდა და აუთამაშდა მარცხენა **თვალი**. (ლ. გოთ.).

ქვემდებარე ზოგჯერ გამოტოვებულია და იგულისხმება: მგლის **ლეკვს** მგელიკა დავარქვი და ლამაზი საყელური შევაბი. (კ. ლორთქ., 1, 139).

6. შემასმენლები გადმოცემულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებით, რომელთა საზიარო წევრიც მხოლოდ ქვემდებარეა: **მოხუცმა** ხელი **ჩაიქნია** და შეწყვეტილ ზღაპარს **მიუბრუნდა** (კ. ლორთქ., 1,269); **ბიძინამ** თავი **ჩაღუნა** და ღრმა ფიქრებს **მიეცა** (ჯაფ., 163); აცტომობილმა **გადაიარა** ხიდი და ქარხანასთან **გაჩერდა**. (ს. კლდ., 35).

7. შემასმენლები გადმოცემულია ორპირიანი გარდაუვალი ზმნებით. საერთო წევრია ირიბი დამატება. მაგ.: **მურიას** ფერდი ფერდზე მიეკრა, მუხლები მოეჭრა, თვალებში სინათლე დაეკარგა, ბეწვი აებურძგნა (რაზ.); **თორელს** გატეხილი გაუმთელდა, დათეთქვილი დაუამდა და წყლულები მოუშუშდა (გრ. აბ.); **ქალს** სიტყვა გაუწყდა, პირი გაუშრა, მხრები მოეკრუნჩხა და სუნთქვა გაუძნელდა. (არაგვ.);

მესამე სერიის ფორმებთან საერთო წევრი ქვემდებარესთან ერთად შეიძლება იყოს ირიბისებრი უბრალო დამატებაც. მაგ.: ღამის **წყვდიადისათვის განთიადს** ნისკარტი ეკრა და ფერი ეცვლებინებინა. (ყაზ.).

8. შემასმენლები გადმოცემულია გარდამავალი ზმნებით, საერთო წევრია პირდაპირი დამატება. მაგ.: წარსულმა მომატყუა, აწმყო მაწვალებს, მომავალი მაშინებს. (ჯავ.).

9. შემასმენლებისათვის ქვემდებარესთან ერთად საერთო (საზიარო) წევრია გარემოებაც (ადგილისა, დროისა). მაგ.: **გარეთ ქარი** ზმუის, ჰკვნესის, ღრიალებს (ჯავ.); **გაზაფხულზე** ნორჩი **ვარდი** იშლება და ისევ ჭკნება (შან.); **ქარი ამ დროს** ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა (არაგვ.); **ამის შემდეგ ვენახებში ზღარბები** თავისუფლად იბუდებდნენ, ცხოვრობდნენ და მრავლდებოდნენ. (გოგ.).

10. მრავალშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში შემასმენელთა ნაწილს შეიძლება საზიარო დამატებაც ჰქონდეს. მაგ.: გადაუხვია მოხუცმა ტყეში, **გამოჭრა** ჯოხი და **დაიბჯინა** (წერ.). ამ წინადადებაში ქვემდებარეს სამი შემასმენელი ახლავს, რომელთაგანაც ბოლო ორი შემასმენლისთვის საზიაროა პირდაპირი დამატება. ახლა ვნახოთ უფრო რთული შემთხვევა: მათია **წამოღგა, გაწმინდა** ხანჯალი, **ჩააგო** ქარქაშში და **მოიბანა** და **შეიხვია** მსუბუქი ჭრილობა. (ყაზ.). ამ წინადადებაში ქვემდებარეს ხუთი შემასმენელი ახლავს, რომელთაგანაც მეორისა და მესამის საზიარო პირდაპირი დამატებაა „ხანჯალი“, მეოთხისა და მეხუთისა – „ჭრილობა“.

11. გვხვდება უფრო რთული შემთხვევებიც. მაგ.: 1. [მე] **დავაყვანე** ცხენი, **ჩამოვიყვანე** პეპია, **გავუშალე** ფარაჯა, **დავუდე** თავით უნაგირის ბალიში და **დავაწვინე** (ჭავ.); 2. [ელიზბარმა] ვიღაც ჩანჩურა გლეხს ნიკაპზე წითელი ძუა **მიაკრა**, თავ-პირი ინით **შეუღება**, თავზე ირანული გვირგვინი **ჩამოაფხატა**, ზაალის მამა–პაპეული ირანული ხალათი **ჩააცვა**, პირში ორადლიანი ჩიბუხი **მისცა**, ხელში ბატის ფრთა **ჩასჩარა**, ჯიბეში სიმინდი **ჩაუყარა**, აქლემზე უკუღმა **შესვა** და სოფლის დასავლელად **წაიყვანა**. (ჯავ.).

პირველ წინადადებაში ქვემდებარეს ახლავს ხუთი შემასმენელი, მეორეში – ცხრა. ამათგან „ჩამოვიყვანე“ და „დავაწვინე“ ზმნა-შემასმენელთა საერთო, საზიარო წევრია პირდაპირი დამატება. „გავუშალე“ და „დავუდე“ ზმნა-შემასმენლებისა – ირიბი დამატება. მეორე წინადადებაში „შესვა“ და „წაიყვანა“ ზმნა-შემასმენელთა საერთო წევრია პირდაპირი დამატება. დანარჩენი შვიდისა – ირიბი დამატება.

§144. რამდენიმე ერთგვარი უბრალო დამატება

უბრალო დამატება, როგორც ვიცით, თავისი ფორმითა და შინაარსით მრავალგვარია. ამის გამო უბრალო დამატებათა მიხედვით შერწყმული წინადადებაც მრავალგვარი შეიძლება იყოს. წინა-

დადება რომ შერწყმული იყოს, ყველა ერთგვარი შინაარსის უბრალო დამატება ერთსა და იმავე წევრთან უნდა იყოს დაკავშირებული. მაგ.: **თოფით** დაჭრილი დათვი **კბილებით** გლეჯდა ყველაფერს. აქ ორი ერთგვარი შინაარსის (საჭურველის) უბრალო დამატებაა (თოფით და კბილებით), მაგრამ წინადადება მარტივია და არა შერწყმული, რადგანაც ისინი სხვადასხვა წევრთან არიან დაკავშირებული (**თოფით დაჭრილი, კბილებით გლეჯდა**). ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: იბრძვიან **ხმლით, ხიშტით, ხანჯლით,** რევოლვერის **ტარებით,** თოფის **კონდახებით, ხელებით, ფეხებით** და **კბილებით**. (ჯავ., 3, 269). ამ წინადადებაში რვა ერთგვარი შინაარსის (საჭურველის) დამატება დაკავშირებულია ერთსა და იმავე წევრთან – შემასმენელთან. მაშასადამე, ეს წინადადება შერწყმულია საჭურვილის დამატებათა მიხედვით.

ერთგვარ უბრალო დამატებებს ბრუნვის ფორმა ერთნაირი აქვს, განსხვავება მათ შორის შეიძლება იყოს რიცხვის მიხედვით: ხაჭაპურის გამოცხობამდე გადაიდო **ქათმების** და **ღორის** დაკვლა. (ნინ., 133).

თუ უბრალო დამატების გადმოსაცემად თანდებულიანი ფორმაა საჭირო, უკავშირო შეერთებისას ჩვეულებრივ ყველა ერთგვარი უბრალო დამატება თანდებულიანია: საგუშაგოზე მდგარი ფარნა ფიქრობდა **სატრფოზე, დედაზე,** მეგრულ **ფაცხაზე** (გვეტ., 370); ორივეს მადლობით გვიცემდა გული **მზისადმი, ქვეყნისადმი.** (ს. კლდ., 250.

ზოგიერთი თანდებული უკავშიროდ შეერთებულ უბრალო დამატებებთან შეიძლება ერთხელ იყოს ნახმარი: [მგლები] ასე თათბირობდნენ **თარეშის, ლაშქრობის** შესახებ. (ვაჟა, 6, 8).

თუ ერთგვარი უბრალო დამატებები მაჯგუფებელი კავშირით (და, თუ) არის შეერთებული, კავშირის წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა, მაგრამ გვხვდება თანდებულის დართვითაც: მძიმე ულელი მე მიწევია ჩემის **სახლ-კარის** და **ოჯახისთვის** (ჭავ., 157); დიდ **ვაებასა** და **საგონებელში** ჩავარდა თაგვების გუნდი (ვაჟა, 6, 170); მერცხალი დილის გარიჟრაჟიდან საღამოს ჟამამდინ დაუღალავად დანავარდობს **ბუზებზე, კოღოებზე, ქინქლებზე** და სხვა ამგვარ **მწერებზე**. (გოგ., 118).

§145. რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება წინადადებაში

საზღვრულს შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება.

რამდენიმე განსაზღვრება ერთგვარია, თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საზღვრულთან და ერთნაირად მიემართებიან მას, ერთმანეთს უერთდებიან მაერთებელი კავშირით ან უკავშიროდ – მხოლოდ ჩამოთვლის ინტონაციით. მაგ., წინადადებაში „**ბნელი, თბილი** და **წყნარი** ღამე იყო“ (ჯავ., 1, 132) სამი ატრიბუტული (ფორმის

მიხედვით შეთანხმებული) განსაზღვრებაა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საზღვრულს ცალ-ცალკე. ამასთანავე, ორი უკანასკნელი **და** კავშირითაა შეერთებული, პირველი ორი კი – ჩამოთვლის ინტონაციით, მაგრამ მათ შორის შეიძლება **და** კავშირის ჩასმაც (ბნელი და თბილი). მაშასადამე, ბნელი, თბილი და წყნარი ერთგვარი განსაზღვრებებია, ხოლო თვით წინადადება – ერთგვარ-განსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება.

არაერთგვარია ატრიბუტული განსაზღვრებები, თუ ისინი, გარდა უახლოესისა, უშუალოდ არ უკავშირდებიან საზღვრულს და სხვადასხვაგვარად მიემართებიან მას. მაგ.: ია **მშვენიერი პაწაწინა სუნიანი** ყვავილია. (რაზ., 143). ამ წინადადებაშიც სამი ატრიბუტული განსაზღვრებაა, მაგრამ არაერთგვარი. აქ საზღვრულს უშუალოდ მხოლოდ უკანასკნელი უკავშირდება (სუნიანი ყვავილი), დანარჩენები კი საზღვრულს მომდევნო განსაზღვრებიანად, ე.ი. **პაწაწინა** განსაზღვრავს სუნიან ყვავილს, ხოლო **მშვენიერი – პაწაწინა სუნიან ყვავილს**. მაშასადამე, ეს წინადადება მარტივი გავრცობილია და არა შერწყმული.

არაერთგვარად ითვლება ისეთი განსაზღვრებებიც, რომელთაგან მომდევნო ხსნის და განმარტავს წინას და მნიშვნელობით მასთან არის გაიგივებული: დაღუნდარიძის ქალი და ანუსი **მეორე, სამზად** ოთახში გავიდნენ (გვეტ., 116). ასეთ განსაზღვრებებს შორის შეიძლება ჩაისვას მაიგივებელი კავშირიც: **მეორე, ე.ი.** სამზად (ან: მეორე, **სახელდობრ**, სამზად...).

წერაში უკავშიროდ შეერთებულ ასეთ განსაზღვრებებს შორის მძიმის დასმა-დაუსმელობა ცვლის ნათქვამის აზრს. მაგალითად, შევადაროთ ერთმანეთს:

ზავამა მოთხარა **მეორე** **თავმომწონე** მუხა. **მეორე** განსაზღვრავს საზღვრულს მის უახლოეს განსაზღვრებიანად: თავმომწონე მუხა, იგულისხმება, რომ პირველი მუხაც თავმომწონეა.	ზავამა მოთხარა **მეორე, თავმომწონე** მუხა. **თავმომწონე** აზუსტებს წინა განსაზღვრებას (მეორე-ს), იგულისხმება, რომ პირველი მუხა არ არის თავმომწონე.

ერთგვარ განსაზღვრებათა გამოყენების ორი ძირითადი შემთხვევაა გასარჩევი:

1. ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები ასახელებენ საზღვრულით გადმოცემულ საგანთა ერთი რიგის განმასხვავებელ ნიშნებს: ბავშვმა ბაღში **წითელი, ყვითელი** და **თეთრი** ყვავილები დაკრიფა. საგანი აქ ბევრია (ყვავილები), რომლის ნაწილებიც დახა-

სიათებულია თავთავიანთი ფერის მიხედვით. იგულისხმება, რომ ზოგი ყვავილი **წითელია**, ზოგი – **ყვითელი** და ზოგიც **თეთრი**. ამავე ტიპის ერთგვარი განსაზღვრებები გვაქვს შემდეგ წინადადებაში: ...მოჰქონდა **წითელი, მწვანე** და **ცისფერი** ბუშტები (პ. იაშვ., 191); ცაში ასგან და ათასგან ელავდნენ **წითელი, ყვითელი, ცისფერი** და **მწვანე** ელექტროს წარწერები. (ჯავ., 3, 189). ასეთ შემთხვევებში საზღვრული მრავლობითშია.

2. ერთგვარი განსაზღვრებები ასახელებენ ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ნიშან-თვისებას: ის **პატიოსანი, განათლებული** და **მშრომელი** ქალი ყოფილა (ბარნ., 2, 113); იაგო **მარჯვე, ყოჩაღი, გულადი** და **მოაზრებული** ბიჭი იყო... (ყაზ., 1, 179).

ერთგვარი განსაზღვრებები შეიძლება ახლდეს საზღვრულ-მსაზღვრელიან სიტყვათა შეკავშირებას: ტანზედ მაცვია **პატარა, მოკლებეწვიანი**, თეთრის თვლებით **მოწინწკლული** თხელი ქათიბი. (ვაჟა, 5, 9). აქ საზღვრულია **თხელი ქათიბი**, ე.ი. არსებითი სახელითა და მისი ატრიბუტული განსაზღვრებით გადმოცემული სიტყვათა შეკავშირება. **პატარა, მოკლებეწვიანი** და **მოწინწკლული** ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებებია, რომელთაგანაც უკანასკნელი გავრცობილია მიმყოლი სიტყვებით (თეთრის თვლებით მოწინწკლული). ზოგჯერ ერთგვარი განსაზღვრებები გადმოცემულია კავშირიანი წყვილეულებით: **ყმაწვილი** და **ცქრიალა, ცოცხალი** და **განაზებული, მშვენიერი** და **კეკლუცი** ელეონორა იყო ქალი მდიდარის მებატონის ვახტანგ ხელთუბნელისა. (ყაზ., 2, 315).

კავშირთაგან ერთგვარ განსაზღვრებათა შესაერთებლად ჩვეულებრივია მაჯგუფებელი კავშირი **და** (ზოგჯერ თუ-ც: **წითელი** თუ **ყვითელი** ყვავილები). იშვიათად გვხვდება სხვა ჯგუფის მაერთებელი კავშირით შეერთების შემთხვევაც (მაგ.: მაპირისპირებელი **მაგრამ** კავშირით): **უმთვარო**, მაგრამ **ნათელი** ღამე იყო (ლორთქ., 2, 62); **ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე** იყო (ევდ., 3, 33); **ქერა, მაგრამ** მბრწყინავი და რბილი თმები... ბევრს მოხევის ქალს შურს აღუძრავდა. (ყაზ., 2,6). მესამე მაგალითში „მაგრამ“ მის წინ მდგომს უპირისპირებს ორ ერთგვარ განსაზღვრებას.

უკავშიროდ შეერთებული ერთგვარი განსაზღვრებები ხშირად სინონიმური მნიშვნელობისაა: დალოცა ღმერთმა, ისევ თავზედ **ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუბოვარი** და **დაუმონავი** მღვრიე თერგი. (ჭავ., 256).

მომდევნო ერთგვარ განსაზღვრებათაგან საზღვრულთან მჭიდრო კავშირშია უახლოესი. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება:

საზღვრულის წინ მდგომი არაერთგვარი განსაზღვრებები საზღვრულის შემდეგ გადასმისას შეიძლება ერთგვარ განსაზღვრებებად გადაიქცეს. მაგ.: მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი. (გოგ., 7). ამ წინადადებაში ორი არაერთგვარი განსაზღვრებაა. ეს განსაზღვრებები რომ საზღვრულის შემდეგ გადავსვათ, ერთგვარი გახდებიან: მინდორში გაშლილიყო ყვავილი, **მშვენიერი, უსუნო**.

რამდენიმე ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრება ხშირად სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში დასმულ საზღვრულს ახლავს (სხვა ბრუნვის ფორმებთან იშვიათად გვხვდება). ამასთანავე, პირდაპირი წყობისას მოთხრობითსა და მიცემითში დასმულ საზღვრულთან ჩვეულებრივ და-ს წინ მდგომ ყველა ერთგვარ განსაზღვრებას შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშანი: **ხელმოკლემ, ჭკვიანმა, ყბედმა, ქვეშქვეშამ** და **ხერხიანმა** ოსმა კარგად იცოდა, რომ იმისმა ბატონმა ღალისა და მახანდისა არაფერი არ იცოდა (ჯავ., 1, 248); **გაბურძგნილსა** და **ჭუჭყიან** წვერზე გრძელფრჩხილებიანი თითები დაისვა (გვეტ., 261); **ვიწროსა** და **ჩაბნელებულ** ტანას გაჰყვნენ (ჯავ., 1, 143); **ახალგაზრდას, ლამაზსა** და **პატიოსან** ქვრივს მრავალი მთხოვნელი ჰყავდა. (ჯავ., 4, 38).

წინადადებაში ზოგჯერ რამდენიმე სუბსტანტიური განსაზღვრებაა, რომლებიც ფორმით მართული არიან ან მართულ-შეთანხმებული: **ალის, ბოლის, მიწისა** და **ქვების** სვეტი მაღლა ავარდა, აიშოტა და ზეცას ასწვდა (ჯავ., 3, 262); **სიმინდის, პურის, ქერის, ფეტვის, ბრინჯის** მარცვლები... ძალიან გვიყვარს (რაზ., 26); მადლსაც **სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშისცემისას**, ერთმანეთის **განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას**, – დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს (ჭავ., 523); იმის ბინაში აგრეთვე მრავლად მოიპოვებოდა ნისკარტები **ბეღურასი, წიბრიასი, ქვრონა ჩიტისა**. (ვაჟა, 5, 189).

ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები ზოგჯერ ერთგვარი წევრებია. სუბსტანტიური განსაზღვრება მართულია ან მართულ-შეთანხმებული, ატრიბუტული – შეთანხმებული. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული (შეიძლება ზედსართავითაც): ...ლექსის მაგიერ ზედიზედ ვწერ **ჩემსა** და **ზეინაბის** სახელებს (გვეტ., 264); დუღან **ოქროს** და **წითელ** ღვარებად კვირა დღეობით შენი ქუჩები (პ. იაშვ.); ბევრს რასმე ითხოვდა სოფელი, მაგრამ ზოგს სათხოვარზე უნდა სდუმდენ ბაგენი **ჩვენნი** და **სოფლისანიცა**. (ვაჟა, 5, 226).

წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე ერთგვარი პრედიკა-

ტული განსაზღვრებაც:

ა) პრედიკატული განსაზღვრება გადმოცემულია ზედსართავი სახელებით. მაგ.: შორიდან მთა **თეთრი** და **ლამაზი** ჩანდა (ლ. გოთ.); მეორე დღე **მზიანი** და **თბილი** გათენდა (ქიაჩ.); **ლამაზი, სპეტაკი, მშვიდი** და **სათნო** იწვა ბაბუა თავის სასახლეში (ნ. დუმბ.)... შვილი შალვა ახალციხელივით **ახოვანი, ძლიერი** და **გონიერი** აღეზარდა. (გრ. აბ.).

ბ) გადმოცემულია მიმღეობებით. მაგ.: ჯავარა **გაფითრებული** და **გაშტერებული** შეაჩერდა დარეჯანს (ვაჟა); ჯარი დაბრუნდა **დაღონებული, შეწუხებული** და **დარცხვენილი**. (ყაზ.);

გვხვდება ნარევი სახის წინადადებაც: ზოგი გადმოცემულია ზედსართავი სახელით, ზოგიც – მიმღეობით. მაგ.: ალგეთის დილაც დაროსავით **უძილო, მოღუშული, ცრემლიანი** და **შფოთიანი** გათენდა. (ჯავ.).

გ) გადმოცემულია რთული სიტყვებით. მაგ.: მამალი **თვალებდახუჭული, ჩიჩაღვდაკიდებული, მხრებდაშვებული, თვალცრემლიანი** საცოდავად... იჯდა ცეცხლთან. (ვაჟა).

აქაც გვხვდება ნარევი სახის წინადადება: ნაწილი რთული სიტყვით არის გადმოცემული, ნაწილიც – მარტივით. მაგ.: ის **თვალებდაჭყეტილი, გაყვითლებული** და **გაშტერებული** იწვა (ლომ.); ის იდგა **გაყინული, გაციებული, ტუჩებმოკუმული** (ყაზ.); **გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული** დაბრუნდა სონია სახლში. (კლდ.).

§146. რამდენიმე ერთგვარი გარემოება წინადადებაში

გარემოება, როგორც ვიცით, სხვადასხვა სახისაა. ამის შესაბამისად, ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც სხვადასხვაგვარია. ამათგან ზოგი სახე გავრცელებულია ენაში (მაგ., ვითარებისა, ადგილისა), ზოგი – იშვიათი (მაგ., დროისა, მიზეზისა და მიზნისა). განვიხილოთ მოკლედ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. რამდენიმე ერთგვარი ადგილის გარემოება ჩვეულებრივ გადმოცემულია ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით: ასე ხდებოდა ხშირად ხან **აქ**, ხან **იქ** (გვეტ., 156); **ნისკარტიდან, კლანჭეებიდან** არწივს სისხლი სდიოდა (ვაჟა, 6, 472); გაგიჟებით მიყვარდა **ტყეღრეებში, მთა-კლდეებში** ხეტიალი. (ვაჟა, 6, 128).

სახელით გადმოცემულ ერთგვარ ადგილის გარემოებებს უმეტესად ერთი და იმავე ბრუნვის ფორმა აქვს, იშვიათად – სხვადასხვა ბრუნვისა: **მინდვრად, მთად, ჭალად** ერთად დადიან (გურ.); „ბოროტი კაცი დამარცხდა!“ – **მთასა** და **ბარად** გაისმა (ვაჟა, 4, 172);

იყო ხალისი **სოფლად, ქალაქად, ოქროყანაში, ზვარში, მდელოზე**. (ლ. ასათ., 105).

ერთსა და იმავე ბრუნვაში მდგომ ერთგვარ ადგილის გარემოებებს ზოგჯერ სხვადასხვა თანდებული დაერთვის: **აივანზე** და **ეზოში** არავინ ჩანდა (ბარნ., 1, 297); **კარებში** და **კედლებთან** ჩამწკრივებული სტუმრები გულიანად ხარხარებდნენ. (ჯავ., 1, 16).

თუ მიცემით ბრუნვაში დასმულ ერთგვარ ადგილის გარემოებებს ერთი და იგივე თანდებული მოუდის, **და**-ს წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულია: ბულბულები **ჭალებსა** და **ტყეებში** საამურად უსტვენენ. (გოგ., 161).

ერთგვარ ადგილის გარემოებათა შეერთება კავშირიანიც არის და უკავშიროც. კავშირთაგან, გარდა მაჯგუფებლისა, მაცალკევებელიც არის გამოყენებული: წითელი ალი **ხან** ერთგან ამოვარდება, **ხან** კიდევ მეორეგან (ჯავ., 3, 343); **ან** აქ იცხოვრე, **ან** იქ.

შემასმენელთან დაკავშირებული ერთგვარი ადგილის გარემოებები უსწრებენ მას ან მოსდევენ: **სამხრეთით, აღმოსავლეთით** და **დასავლეთით** მთები ტყით იყვნენ დაფარულნი (ბარნ., 1, 13); გულმა მართლა გამიწია **გომბორისკენ, კახეთისკენ, ბარისკენ, ხალხისკენ** და **ნათესავებისკენ**. (ჯავ., 2, 535).

2. ერთგვარ დროის გარემოებათა შემცველი შერწყმული წინადადება იშვიათად გვხვდება. როცა გვაქვს, ჩვეულებრივ ორწევრიანია და კავშირიანი. კავშირებიდან აქ იხმარება მაჯგუფებელი (და, თუ) და მაცალკევებელი (ან): [სარდიონს] **გაზაფხულობით** და **ზაფხულობით** ბაღჩაში განსვენება უყვარდა (ვაჟა, 6, 24); **გაზაფხულზე** და **ზაფხულში** თებერა სრულებით მიეფარებოდა ჩვენ თვალიდან (ბარნ., 2, 406); ... თავისი დროის აზრებით გაჟღენთილი ბატონი **ზაფხულში** და **შემოდგომაზე** ნაშინდარში ცხოვრობდა... (ჯავ., 1, 240); ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ **დილით** და **საღამოთი**... (ვაჟა, 5, 9); **ან** ხვალ ჩამოვა, **ან** ზეგ.

3. რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოების შემცველი შერწყმული წინადადება ყველაზე მეტად არის გავრცელებული ენაში. ხშირად შეერთება უკავშიროა, რაც ქმნის ღია ან დაუხშავ წყობას: აქ მეწისქვილედ დაბერებულიყო **უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ**. (ჭავ., 452). ორწევრიანი კავშირიანიც არის და უკავშიროც. კავშირთაგან აქ შეიძლება შეგვხვდეს სამივე სახის კავშირი (მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი): ტბა **მოსვენებით** და **შეუშფოთებლად** იდგა (ვაჟა, 5, 98); დედისერთა სანდრო ძალიან **სათუთად** და **ნებიერად** იზრდებოდა (წერ., 7, 113); [მონადირე] მიდის ხან **გზით**, ხან **უგზოდ** (ვაჟა, 6, 468); ჰკითხა **მკაცრად**, მაგრამ **ალერსიანად**; შვილი **დინჯად, ჭკვიანად** ყურს უგდებდა დედას. (ვაჟა, 5, 96).

როცა ერთგვარი ვითარების გარემოება წინადადებაში ორზე

მეტია, ორი უკანასკნელი ხშირად კავშირითაა შეერთებული, დანარჩენები – უკავშიროდ; ჩემი ავტო დარიალში **ზათქით, ღრიალით** და **გუგუნით** შემოვაგდე. (ჯავ., 3, 482).

ერთგვარი ვითარების გარემოებები შეიძლება ახლდეს სახელზმნასაც: [გიორგის] **კოხტად** და **ფაქიზად** ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ჭავ., 431); ... ხეები, დედამიწა **წითლად, ყვითლად** და **მწვანედ** დაფარული გაჰღუოდა. (ვაჟა, 5, 95).

ერთგვარი ვითარების გარემოებები, რომელნიც გადმოცემული არიან ერთი და იმავე ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისაგან მიღებული ზმნიზედებით, ფორმობრივ ერთნაირია, ანდა განსხვავებული: ...დარბაზში **ფახით, რიხით** და **მუქარით** შეცვივდნენ (ჯავ., 3, 301); ის მიდიოდა წყლისაკენ **შეუჩერებლივ** და **მოუაზრებლივ** (ყაზ., 2, 47); დაკუსული თვალები არასოდეს არ იცქირებოდნენ **პირდაპირ** და **თამამად** (გვეტ.,); ისინი მიდიოდნენ **მხიარულად, სიმღერით** და თოფის **სროლით**. (ყაზ., 2, 248).

ერთგვარი ვითარების გარემოებები კონტექსტში ზოგჯერ ისე უახლოვდებიან და ავსებენ ერთმანეთს, რომ მათ სინონიმური მნიშვნელობა ეძლევათ: მიველ **წყნარად, ფეხაკრებით, თავაზიანად** (ევდ., 3, 313); ორივენი **ფეხაკრეფით, ფრთხილად, უხმოდ** დაიძრნენ ადგილიდან (რაზ., 39); მიდიოდა დრო **დაუდგრომლად, შეუყოვნებლად, შეუფერხებლად**. (ბარნ., 2, 332).

ვითარების გარემოებებს შორის კავშირი ზოგჯერ ახსნა-განმარტებითი ხასიათისაა: მეფემ წერილი **საჯაროდ, ხმამაღლა** წაიკითხა (ვაჟა); ციხელის სიტყვები **კარგად, გარკვევით** გვესმოდა. (ვაჟა).

ასეთი ვითარების გარემოებები უკავშიროდ არიან შეერთებული, მაგრამ ზემოთ განხილული ერთგვარი გარემოებებისაგან განსხვავდებიან (მათ შორის შეიძლება ვიხმაროთ მაიგივებელი კავშირი: **ე.ი., ანუ.** მაგ., საჯაროდ, ე.ი. ხმამაღლა; კარგად, ე.ი. გარკვევით).

ერთგვარი ვითარების გარემოებები უსწრებენ შემასმენელს ან მოსდევენ მას (როგორც ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს).

4. რამდენიმე ერთგვარი მიზეზის გარემოების შემცველი შერწყმული წინადადება იშვიათია. იგი ჩვეულებრივ ორწევრიანია და შეერთებულია მაჯგუფებელი კავშირით: დამწყვდეული საქონელი **შიმშილისა** და **წყურვილისაგან** ძირს ეფინა (გვეტ.); [ჩოხა] უფრო შემოდგომის ხიდან ჩამოვარდნილ ფოთოლსა ჰგავდა **სიძველისა** და **გაურეცხაობის** გამო (რაზ., 155); ხმა არავინ გასცა **რიდისა** და **კრძალვისაგან** (ჭავ., 460); ბავშვები ტიროდნენ **შიშით** და **სიცივით** (ყაზ., 1, 408); ღვთისოს... **სიბრაზით** და **სიმწარით** ყელში ნერწყვი უშრებოდა. (ვაჟა, 5, 168).

5. იშვიათად გვხვდება რამდენიმე ერთგვარი მიზნის გარემოების შემცველი წინადადებაც. ჩვეულებრივ აქაც ორი ერთგვარი წევრია, უკავშიროდ ან მაჯგუფებელი კავშირით შეერთებული: [მამალმა]... მტრების **გასაგულისებლად, გასაჯავრებლად** სამჯერ ზედიზედ დაიყივლა (ვაჟა, 6, 212); იქ ყვავილები გაშლილა ჩემ **საზრდოდ, საწუწნელადო** (წერ.); გოგომ წყლის **დასალევად** და **გასაგრილებლად** ძროხა ალაზანზე წაიყვანა (ლ. მრევლ.); **გასამხნევებლად** და **შესაქცევად** ზექერიამ ბევრი რამ უამბო ილიას (გვეტ., 258); ჩვენ **ხედვად** და **სმენად** უღონონი ვართ... (ჭავ., 466).

§147. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან

წინადადებაში ხშირად არის ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი, შემკრები) სიტყვა. მაგ.: **იხვსა, ბატსა** და **ქათამსა – ყველას** გავჰკარი კბილია. (ხალხ.). ერთგვარი წევრებია იხვსა, ბატსა და ქათამსა, ხოლო მათი გამაერთიანებელი ანუ შემკრები სიტყვაა **ყველას**. შემასმენელთან უშუალოდ ეს უკანასკნელია დაკავშირებული.

ერთგვარი წევრები და მათი გამაერთიანებელი სიტყვა ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებენ და ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში ერთგვარი წევრები და ამ წევრთა გამაერთიანებელი სიტყვა – ყველა ირიბი დამატებაა.

განმაზოგადებელი სიტყვა დასახელებულ მაგალითში მოსდევს ერთგვარ წევრებს, მაგრამ ასეთი სიტყვა ხშირად უსწრებს მათ. ეს ორი წყობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამიტომ განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

განმაზოგადებელი მნიშვნელობისაა სიტყვა, რომელიც კრებს და აერთიანებს ერთგვარ წევრებს. ეს მაშინ ხდება, როცა ასეთი შემკრები თუ გამაერთიანებელი სიტყვა მოსდევს ერთგვარ წევრებს. ამ მნიშვნელობით იხმარება ჩვეულებრივ ნაცვალსახელები და ნაცვალსახელური წარმომავლობის ზმნიზედები (ყველა, ყველაფერი, ყოველივე, ყველგან...) მაგ.: 1. **კაცი, მხეცი** და **ჩიტები – ყველა** საქმეს ჰკიდებს ხელსა (ერ.). 2. **ბავშვები, დედაკაცები, ხნიერები – ყველანი** მოგროვდნენ (ჯავ., 3, 498). 3. **ხვნა, თესვა, თოხნა, მკა – ყველაფერი** შეისწავლა პაწია აკაკიმ (ევდ., 3, 144). 4. **ჭურჭელი, კოლოფები, ავეჯი – ყოველივე** იმსხვრეოდა (ჯავ., 3, 469). 5. **ნიბლია, ღობემძვრალა, წყლისჩიტა, ღალღა, წუა, მწყერჩიტა** და **ათასი სხვა – სულ ყველა** საომრად ემზადებოდა (რაზ., 187). 6. **მაგიდაზე, თაროებზე, სკამებზე, ლოგინებზე – ყველგან** წიგნები ეყარა. (დ. შენგ.).

განმაზოგადებელ-გამაერთიანებელი სიტყვა მესამე წინადადებაში პირდაპირი დამატებაა (**ყველაფერი**), მეექვსეში – ადგილის

გარემოება (**ყველგან**), დანარჩენებში – ქვემდებარე. ერთგვარი წევრებიც იგივე წევრია წინადადებისა, რაც მათი გამაერთიანებელი სიტყვა. ნაცვალსახელით გადმოცემულ გამაერთიანებელ სიტყვას და ერთგვარ წევრებს ბრუნვის ფორმა ერთი და იგივე აქვთ (პირველი 5 მაგალითი), რიცხვის ფორმა კი შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ (მეორე მაგალითი), შეიძლება – სხვადასხვა (პირველი მაგალითი). შემასმენელი რიცხვში გამაერთიანებელი სიტყვით გადმოცემულ ქვემდებარეს უწევს ანგარიშს (პირველი და მეორე მაგალითი).

როცა ერთგვარ წევრებს მეორე ადგილი უჭირავს, ვითარება რამდენადმე განსხვავებულია: ამ შემთხვევაში ერთგვარი წევრები ხსნიან, აკონკრეტებენ და აზუსტებენ ასახსნელი სიტყვისა თუ სიტყვათა შეკავშირების მნიშვნელობას. მაგ.: ცაში არხეინად დასცურავდნენ **ცის მეფენი – არწივი, ქორი, სვავი** და **ძერა**. (ჯავ., 1, 116). ასახსნელი ანუ დასაზუსტებელია **ცის მეფენი**, ხოლო ამხსნელი და დამაზუსტებელი – **არწივი, ქორი, სვავი** და **ძერა**. ამ შემთხვევაში **ცის მეფენი** კი არ აზოგადებს ერთგვარ წევრებს, არამედ თვით იხსნება და ზუსტდება ერთგვარი წევრების მიერ. ასეთ ასახსნელ-დასაზუსტებელ სიტყვებს განმაზოგადებელი, ხოლო მათ ამხსნელ სიტყვებს **ერთგვარი წევრები** მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ.

ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრი შეიძლება გადმოიცეს ცალკე სიტყვითაც და სიტყვათა შეკავშირებითაც: ყველა ზედ წამომესია: **ბუ, ჭოტი, ყვავი, ყვანჩალა** (მღვ., 1, 268); ფრინველები დიდს ჭკუას იჩენენ **ყველა თავის მოქმედებაში**: საჭმლის **შოვნაში**, ბუდის **კეთებაში**, მტრის **მოგერიებასა** და იმის **მოტყუებაში**, შვილების **დაზრდასა** და იმათ **დაფრენაში**. (გოგ., 154). პირველ წინადადებაში ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრი ერთი სიტყვითაა გადმოცემული (**ყველა**), მეორეში – სიტყვათა შეკავშირებით (**ყველა თავის მოქმედებაში**).

დასაზუსტებელ-ასახსნელი სიტყვა, რომელიც ყოველთვის ერთგვარ წევრთა წინ დგას, ლექსიკურად და გრამატიკულად მრავალფეროვანია; იგი შეიძლება გადმოიცეს როგორც ნაცვალსახელებითა და ნაცვალსახელური ზმნიზედებით, ისე მეტყველების სხვა ნაწილებითაც – არსებითი სახელებით, ზედსართავებით, რაოდენობითი რიცხვითი სახელებით... მაგ.: **ყველა** შეინძრა და შეძრწუნდა: დაბლა **დედამიწა**, გარშემო **კედლები**, მაღლა **ჭერი**, ჭერის **ბანი**, ბანს ზევით **ტირიფები** (ვაჟა); **ყველაფერი** გქონიათ: **სახლი, ბაღი, ოჯახი**... (ჯავ., 2, 136); წელან **ყოველივე** უამბო ექიმს: ჯუანის სენის **დასაწყისი, სირბილი** ეტლით, **ქროლვა** ავტომობილით და **დაგვიანება** მატარებელზე – პირველზე, მეორეზე და მესამეზედაც (ჯავ., 2, 91); შინ **არავინ** არ დაუხვდა: არც **დავითი**, არც **ამირანი** (ჯავ., 2, 20);

არაფერი არ ჰქონდა საზრუნველი: არც **ბინა**, არც **საზრდო**, არც **ჩაცმა-დახურვა** (ბარნ., 3, 101); **ნურავის** დაზოგავთ: ნურც **დიდს**, ნურც **პატარას**, ნურც **ბებერს** და ნურც **ყმაწვილს**! (წერ., 7, 175); ნეტავი მართლა **რითიმე** წინ იყვეს: ან **სწავლით**, ან **გვარით** და ან **ქონებით**! (კლდ., 1, 223); **ყველგან** ერთსა და იმავეს ალაპარაკებდა: **ქუჩებში, ოჯახებში, მოედნებზე** და **ხელისუფლებთანაც** (ჯავ., 3, 347). მწვანილ-ბალახეულს გარდა კალთაში სურნელოვანი **ყვავილებიც უყრია**: მთის **შროშანი** და **დიყი, ქარცხვი** და **ასკილი, მთის კრაზანა** და **ზამბახი** (ჯავ., 4, 180); შიგ უამრავი **განძი** იყო: **ოქრო, ვერცხლი, თვალი** და **მარგალიტი** (წერ., 7, 210); შეკაზმულობაც თავისებური ჰქონდა ამ მერანს: **მსუბუქი, კოხტა**, მინანქრებით **მორთული** (ბარნ., 2, 104); შიგ ორნი სხედან: ქალი და მამაკაცი. (ჯავ., 1, 447).

ხშირია ასახსნელ-დასაზუსტებლად ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც ერთგვარ წევრთა მიმართ გვაროვნულ ცნებას გამოხატავენ: ერთმა ვინმემ აუზებში **წვრილი თევზი** გააჩინა: **ღორჯო, ჩხამა, თევზ-ნაფოტა, გველანა** და **კაბარჭინა** (წერ.). **წვრილი თევზი** გვაროვნული ცნებაა, **ღორჯო, ჩხამა, თევზ-ნაფოტა, გველანა** და **კაბარჭინა** კი სახეებს წარმოადგენენ.

ამხსნელ-დამაზუსტებლის ფუნქციით ერთგვარი წევრები შეიძლება იყოს თითქმის ყოველგვარ წევრთან:

1. ქვემდებარესთან: **ყველაფერი** მოიპოვებოდა დუქნებში: **სანოვაგე თუ სასმელები, საციქველი, ფეხთსაცმელი, წვრილმანი.** (ბარნ., 2, 246).

2. შემასმენელთან: **ბიჭები გარს უვლიდნენ ურმებს: უწყობდნენ, ასწორებდნენ, ამაგრებდნენ, აკრავდნენ**. (ბარნ., 2, 141).

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთგვარი წევრები შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს აზუსტებენ: მისი ჩამოსვლა მართლა **საუცხოო იყო: დინჯი, ვაჟკაცური, მომხიბლავი** (დად., 409); სახლში **სხვა** იყო თენგიზი: **გულხალვათი, ხელგაშლილი, უხვი, დარდიმანდი**. (ბარნ., 2, 304).

3. პირდაპირ დამატებასთან: **სამთავ ერთად** გაგვიწვია – **მე, წიქა** და **თოთია** (ჯავ., 2, 522); მრავლად მოიკითხეს **ნათესავები: მინდია** და **გაგა, აბარეკა** და **ბათაკა, წიქა** და **დათვია, მგელიკა** და **ძილუკა, სამძიმარი** და **თია, ნანუკი** და **კმარა**. (ჯავ., 2, 455).

4. ირიბ დამატებასთან: **ყველას** გამოეხმაურა იგი: **მიხაკსაც, სუმბულსაც, ყაყაჩოსაც, ნარგიზსაც, იასამანსაც, ტუხტსაც** კი, ყვითელს თუ წითელს. (ბარნ., 3, 89).

5. სხვადასხვა სახის უბრალო დამატებასთან: შინა საქმის გარდა მხარდამხარ მისდევენ კაცებს **გარე საქმეშიც**: თივის **აგროვებაში, ზიდვაში, მკაში, კალოში** (ბარნ., 1, 15); შენთვის არის საჭირო, სიდონი, შენთვის ისევ შენთვის და შენი **ნათესავებისთვის: შვილისთვის,**

ქმრისთვის, დედისთვის (ჯავ., 2, 115); ბედნაკრავ მეგობარს **ყველაფერით** უსმენდა: **ყურებით, გულით, თვალებით, შუბლით, ტვინით და კბილებითაც**... (ჯავ., 2, 218).

6. განსაზღვრებასთან: დარისპანისათვისაც არჩეული ჰყავდა **საუკეთესო** სასძლო: **მშვენიერი, ნასწავლი, გვარის შვილი, მდიდარი**. (ბარნ., 2, 104).

7. ადგილის გარემოებასთან: **ყველგან** ერთსა და იმავეს ალაპარაკებდა: **ქუჩებში, ოჯახებში, მოედნებზე** და **ხელისუფლებთანაც** (ჯავ., 3, 347); ფიქრობდა, თუ **სად** წასულიყო: **ქალაქში, ბაზრობაზე** თუ **შინისკენ** (ქიაჩ., 3, 33); ეონა **არსადა** ჩანდა: არც **სახლში**, არც **ეზო-ყურეში**. (ბარნ., 2, 3449).

8. ვითარების გარემოებასთან: დავასაფლავეთ **ეპოქალურად: ზურნით, თარით, დუდუკით** და შოპენის **მარშით**. (ჯავ., 3, 515).

სხვა სახის გარემოებებთან ამ ტიპის ამხსნელი ერთგვარი წევრები ჩვეულებრივ არ გვხვდება.

ზოგჯერ ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრი ორია და ამხსნელ-დამაზუსტებელი წევრებიც ამის შესაბამისად არის წარმოდგენილი: გვერდით **ძმები** და **ბიძები** ჰყავდა: **ქეშელა, გიბა, ტელა, მეშთა** და **ბრინკა** (ჯავ., 2, 267); **ყველანი** და **ყველაფერი** ერთმანეთში აირია: **ზარბაზანი** და **თოფი, ხმალი** და **ხიშტი, ცხენოსანი** და **ქვეითი, მტერი** და **მეგობარი** (ჯავ., 3, 264); ...შეჰხარიან **ყველასა** და **ყოველივეს**: დათენთილ **მზეს**, მომავალ **ურმებს**, უცნობ **მავალებს**, ნაცნობ **მეზობლებს**, ბუსხუნა **თოლიას**, გაოცებულ **ბოჩოლას, ერთმანეთს, თავიანთ თავსა** და მადლიან **ცხოვრებას**. (ჯავ., 2, 147).

იშვიათად ერთგვარი წევრები მოთავსებულია ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, ან კიდევ ქვემდებარესა და მის მომდევნო ასახსნელ წევრსა და შემასმენელს შორის.

სამნი – მე, მამაჩემი და **ბიძაჩემი** – ერთ ოთახში დავწექით დასაძინებლად (ვაჟა, 5, 69); **ყველაფერი – კაბაც, სამკაულიც** და ქალის ყოველი **კუნთიც** – საუცხოოდ იყო შეზავებული... (ჯავ., 3, 545); ხეები: **არყი, წიფელი, თხილი, თამელი, დიდგულა** გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ... (ვაჟა, 5, 31); კლდე **სამფეროვნად – ყვითლად, ლურჯად** და **შავად** გამოიცქირებოდა. (ვაჟა, 6, 87).

ერთგვარი წევრები, როგორც ითქვა, აკონკრეტებენ და აზუსტებენ მათ წინ მდგომი განმაზოგადებელი (resp. დასაზუსტებელი) სიტყვის იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში. ერთგვარი წევრების მიმართება მისდამი ახსნა-განმარტებითი ხასიათისაა. ამიტომ მათ შორის შეიძლება აღდგეს მაიგივებელი კავშირები (ე.ი., ანუ) ან ამ ფუნქციით გამოყენებული ზოგიერთი სხვა სიტყვაც (სახელდობრ, მაგალითად, როგორიცაა...). ასეთი სიტყვები წინადადებაში ზოგჯერ წარმოდგენილია კიდეც:

წვრილ ლექსებს გარდა დავწერე **რამდენიმე პოემა, სახელდობრ**: „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „აჩრდილი“, „დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“ და დრამატიული ეპიზოდი „დედა და შვილი“ (ჭავ., 9, 312); აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი **წაღები**, პირმოტეხილი სპილენძის **თუნგი**, ქონიანი **შანდალი**, სპილენძის საჩაიეში მოხარშული **მყრალა-ბალახი**, ზურგიელის **ნაჭერი** და **სხვანი** და **სხვანი** (ჭავ., 326); – მოგიყვეთ? – ო-ო, ეს დიდი ამბავია, ე.ი. **გრძელი** და **რთული**. (დად., 176).

§148. არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება

ერთ საერთო წევრთან იშვიათად დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა წევრი, რომლებიც ერთმანეთთან თანწყობილი არიან და მაერთებელი კავშირით თუ უკავშიროდ ისე არიან შეერთებული, როგორც ერთგვარი წევრები[225]. მაგ., გივი შადური **მუდამ** და **ყველგან** ბრალიანია. (ჯავ., 3, 479). ამ წინადადებაში შემასმენელთან ორი სხვადასხვა სახის გარემოებაა დაკავშირებული, რომლებიც ერთმანეთთან **და** კავშირით არიან შეერთებული (**მუდამ** და **ყველგან**). დავასახელებთ ამ ტიპის შერწყმული წინადადების რამდენიმე შემთხვევას:

1. წინადადება შერწყმულია ვითარების გარემოებისა და პრედიკატული განსაზღვრების მიხედვით, რაც აიხსნება ამ უკანასკნელის სიახლოვით პირველთან (§112): ის მიდიოდა **წყნარად** და **დაფიქრებული** (ყაზ., 2, 355); ...ელგუჯა... **წყნარად, ჩუმად** და **პირმოკუმული** იჭურვებოდა (ყაზ.); **სიფრთხილით** და **გაჩუმებულნი** მოდიოდნენ (ყაზ., 2, 305). ვითარების გარემობისა და პრედიკატული განსაზღვრების ასეთი დაკავშირება, როგორც ითქვა, მათი სემანტიკური სიახლოვით აიხსნება.

ამავე სიახლოვით აიხსნება, რომ ზოგჯერ ვითარების გარემოებას დამაზუსტებლად რამდენიმე პრედიკატული განსაზღვრება ახლავს: ახლა **სხვანაირად** მოვდივარ სახლისკენ – **მოთელილი, ნაცემი** და **შერცხვენილი**. (ჯავ., 3, 440). აჯობებდა, ვითარების გარემოებაც პრედიკატულ განსაზღვრებად გაფორმებულიყო: ახლა **სხვანაირი** მოვდივარ სახლისკენ – **მოთელილი, ნაცემი** და **შერცხვენილი**.

2. წინადადება შერწყმულია ორი ან ორზე მეტი არაერთგვარი გარემოების მიხედვით, რომლებიც ჩვეულებრივ შესაბამისი ზმნიზედებით არიან გადმოცემული: **მარად** და **ყველგან**, საქართველოვ, მე ვარ შენთანა! (ჭავ., 128); **როდის** და **საიდან** გაჩნდა ბაზარში ჩანჩურა – არც ერთმა ბებერმა ყასაბმა არ იცის... (ჯავ., 1, 2); ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო **სადღაც** და **როდესღაც** (ჭავ., 452); **ყველგან** და **ყოველთვის** თვალწინ ფარდა მებლანდებოდა (წერ., 1,

[225] **А. М. Пешковский**, Русский синтаксис в научном освещении. М., 1956. გვ. 442.

174); **როდის** და **რისთვის** ჩამოვიდა სოფლიდან ეს ადამიანი (ნაკ., 147); აბა, **საით** და **როგორ**, შვილო... (ვაჟა, 5, 249); მეგობრებო! **სად, რისთვის** და **როდის** ეჩქარებოდა ქართველს, რომ დაგვიანებისთვის დაღონებულიყო?! (ჯავ., 3, 478).

3. წინადადება შერწყმულია რამდენიმე გარემოების, ან გარემოებისა და ქვემდებარის თუ დამატების ძიხედვით: **ვინ, საიდან** და **რისთვის** არ მოსულიყო იმ სასწაულთმოქმედთან! (ჯავ., 3, 127); ჭეშმარიტება **ხანდახან** და **ზოგთათვის** ნამდვილი შხამია (ჯავ.). ...აზრადაც არ მოსვლია, დაფიქრებულიყო იმის შესახებ, თუ **რით** ან **როგორ** იცხოვრებდა ამ ქალაქში (ნინ., 264). ეს ამბავი **არსად, არასოდეს** და **არავის** აღარ გაუზიაროთ (ჯავ., 3, 39); ...უკან აღარ იხევდა **არსად, არასოდეს, არაფერში** (ჯავ., 1, 439); **ვინ, როდის, რად** ან **როგორ** გააბა ეს უხილავი სიმები – არც ეხლა მესმის. (ჯავ., 1, 196).

საერთო წევრი ამ ტიპის წინადადებაში, როგორც წესი, შემასმენელია. ამასთანავე, ქვემდებარე და დამატება ნაცვალსახელით გადმოიცემა, გარემოება – ზმნიზედით.

იშვიათად გვხვდება ნარევი სახის (ერთგვარ- და არაერთგვარწევრებიანი) შერწყმული წინადადება. მაგ.: **ავსული** და **ავგული** კაცი **არსად** და **არასოდეს** არ დაილევა (ვაჟა); **ბაბუცამ** და **მარომ სხვა დროს** და **სხვა ადგილსაც** რამდენჯერმე გაიგონეს ხელახლა მათთვის საყვარელი კაცის გვარი (ლომ.); **როდის** და **რომელი ქალაქიდან** ან **სოფლიდან** გადმოსახლდა [ჩანჩურა]. (ჯავ.).

გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა შემასმენელს ახლავს ნაცვალსახელებით გადმოცემული რამდენიმე სხვადასხვა წევრი და გარეგნულად რამდენადმე ჩამოჰგავს არაერთგვაროვანწევრებიან წინადადებას. მაგ., **ვინ ვის** ართმევს ხელს, **ვინ ვის** ეხვევა (ო. იოს.); **არავინ არავის არაფერს** ეკითხებოდა. (ლ. გოთ.). „ვინ“ „ქვემდებარეა ორივე შემასმენელთან, „ვის“ – ირიბი დამატება, „არავინ“ ქვემდებარეა, „არავის“ და „არაფერს“ – ორივე დამატებაა.

იშვიათად რთული წინადადების ნაწილები არაერთგვარწევრებიანია. მაგ., ჩვენ კი **ისევ** ვყიდულობთ და **იქიდან, როგორც** და **საიდანაც** სხვებიც ყიდულობენ (ბარნ.); ყველა მის ქვეშევრდომს შეეძლო აერჩია გულის სწორი **იქა** და **მაშინ, სადაც** და **როდესაც** ჰპოვებდა მას ბედნიერი. (ბარნ.). ორივე წინადადება რთული ქვეწყობილია. პირველი ნაწილი მთავარია, მეორე – დამოკიდებული. ამასთანავე, ორივე დამოკიდებული წინადადება ორფუნქციანია. პირველ მაგალითში – ვითარებისა და ადგილის გარემოებითი, მეორეში – ადგილისა და დროის გარემოებითი.

როგორც ვხედავთ, მაერთებელი კავშირი ზოგჯერ არაერთგვარ წევრებსაც აერთებს.

IX. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები

წინადადების წევრთა განკერძოება

§149. განკერძოების რაობა და პირობები

წინადადების შემადგენლობაში ხშირად გვხვდება აზრობრივად და ინტონაციურად გამოყოფილი წევრები, რომელნიც იძლევიან დამატებითს ცნობას ამა თუ იმ წევრის შესახებ. ამ მოვლენას **განკერძოება** ჰქვია, ხოლო თვით წევრებს – **განკერძოებული**. განკერძოებული წევრი არ ქმნის სიტყვათა შეკავშირებას იმ წევრთან, რომელსაც ის ახლავს, და ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა, ვიდრე იმავე სახელწოდების განუკერძოებულ წევრს. ასახსნელ-განსამარტავ სიტყვასა და განკერძოებულ წევრს შორის დამოკიდებულება ხშირად ნახევრად პრედიკატულია, რის გამოც ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი უახლოვდება დამოკიდებულ წინადადებას. მაგ., **ბედით კმაყოფილი მონადირე** სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს: ქვემდებარეს ახლავს ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრება მიმყოლი სიტყვითურთ (ბედით **კმაყოფილი**). ეს განსაზღვრება რომ საზღვრულის შემდეგ გადავსვათ, იგი განკერძოვდება: მონადირე, **ბედით კმაყოფილი**, სიმოვნებით დასცქეროდა ნანადირევს. (ვაჟა, 6, 462). ეს განკერძოებული განსაზღვრება, თავის მხრივ, ადვილად გადაკეთდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად; მონადირე, **რომელიც ბედით იყო კმაყოფილი**, სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს.

განკერძოება ვიწრო მნიშვნელობით ეხება მხოლოდ არამთავარ წევრებს: განსაზღვრებას, უბრალო დამატებასა და გარემოებას მაგრამ წინადადებაში აზრობრივად და ინტონაციურად ხშირად გამოიყოფა ისეთი სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ წევრის (მთავარისა თუ არამთავარის) დაზუსტებასა და ახსნა-განმარტებას გვაძლევს, ე.ი. დანართი წევრია თანამოსახელე წევრისა.

დაზუსტება გულისხმობს ცნების მოცულობის დავიწროებას. მაგ.: ვენახის ბოლოში, **კაკლების გასწვრივ**, ბოსტანი იყო გამართული. (ლომ., 354). ამ წინადადებაში ორი ადგილის გარემოებაა. **ვენახის ბოლოში** და **კაკლების გასწვრივ**, რომელთაგანაც პირველი შემასმენელთან არის დაკავშირებული (ვენახის ბოლოში... იყო გამართული), ხოლო მეორე განკერძოებულია და აზუსტებს პირველს. მაშასადამე, ადგილის გარემოება **კაკლების გასწვრივ** დამაზუსტებელია თანამოსახელე წევრისა, ე.ი. დანართი წევრია.

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაც, როცა დამაზუსტებელი წევრი უფრო ფართო ცნებას გა-

მოხატავს, ვიდრე დასაზუსტებელი: აკაკი დაიბადა საჩხერეში, **ზემო იმერეთში.**

ზოგჯერ დასაზუსტებელი წევრის განმეორებაა დამაზუსტებელი, რომელსაც ახლავს მასზე დამოკიდებული სიტყვები: შორს, **ძალიან შორს**, საბრალო ხმით ბუ გაჰკივის (ვაჟა, 6, 181); კედლებს, **ყორით აგებულს კედლებს**, ვათვალიერებდით (ვაჟა, 6, 18).

დამაზუსტებელ დანართ წევრს შეიძლება ახლდეს თავისი დამაზუსტებელი: ქვევით, **კედელთან, კარების ახლოს**, გაშავებული პურის კიდობანი იდგა. (რაზ., 52). ამ წინადადებაში სამი ადგილის გარემოებაა, რომელთაგანაც შემასმენელთან მხოლოდ პირველია დაკავშირებული (ქვევით იდგა), ხოლო ორი დანარჩენი განკერძოებულია. ამათგან პირველი (კედელთან) აზუსტებს შემასმენელთან დაკავშირებულ გარემოებას, ხოლო მეორე (კარების ახლოს) – წინა განკერძოებულ გარემოებას.

დამაზუსტებელ წევრებთან ახლოს დგას ისეთი განკერძოებული სიტყვები, რომელნიც ხსნიან და განმარტავენ წინადადების წევრს: ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები, ანუ ქვირითი. (გოგ.). განკერძოებული სიტყვა (ქვირითი) იმავეს გამოხატავს, რასაც **თევზის პაწაწა კვერცხები.**

განმმარტველი სიტყვები, ე.ი. დანართი, შეიძლება ახლდეს ყველა წევრს – მთავარსაც (ქვემდებარეს, შემასმენელს...) და არამთავარსაც (უბრალო დამატებას, განსაზღვრებას, გარემოებას). მათ წინ შეიძლება დავსვათ მაიგივებელი კავშირები (ე.ი., ანუ) და ამავე ფუნქციით გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა (სახელდობრ, მაგალითად, როგორიცაა...), რომლებიც ზოგჯერ ნახმარია კიდევაც, ან მათი აღდგენა შეიძლება.

განმმარტველი სიტყვა ზოგჯერ ჩართულია წინადადებაში შენიშვნისა თუ ახსნა-განმარტების სახით და წერის დროს ფრჩხილებშია ჩასმული: ნატალიას მდგმურმა ქალებმა რომ თავიანთი ხელობით (**მოსარეცხეობით**) თავი ვეღარ ირჩინეს, ნატალია ჩაერია საქმეში.... (ნინ., 267).

ზოგჯერ შემოერთებულია ესა თუ ის წევრი, რომელიც არ წარმოადგენს დაზუსტებასა თუ ახსნა-განმარტებას ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით: ივლისში ძალიან ცხელოდა, **განსაკუთრებით თბილისში**; პაპას ჭირივით ეჯავრებოდა დუქანი, იქ ქეიფი და ფულების ხარჯვა, **ნამეტნავად სასმელზე**. (ვაჟა, 6, 70).

ტერმინი განკერძოება ფართო მნიშვნელობით გულისხმობს როგორც საკუთრივ განკერძოებას, ისე დაზუსტებასა და ახსნა-განმარტებასაც, აგრეთვე შემოერთებასაც, რომელიც ახლო დგას პირველ ორთან.

თუ წინადადებიდან დასაზუსტებელსა და ასახსნელ-განსამარ-

ტავ სიტყვას (წევრს) ამოვიღებთ, მის ადგილს დამაზუსტებელი და განმმარტველი სიტყვა დაიჭერს. მაგ., ურმის ქარავანში პირველობა, ე.ი. **წინა-ურმის მეურმეობა**, გლეხობაში სასახელოა (ჭავ., 409). ამ წინადადებაში ქვემდებარეს (პირველობა) ახლავს დამაზუსტებელ-განმმარტველი (წინაურმის მეურმეობა), რომელიც ქვემდებარესთან მაიგივებელი კავშირით (ესე იგი) არის შეერთებული. ქვემდებარე რომ ამოვიღოთ, მის ადგილს განკერძოებული დაიჭერს: ურმის ქარავანში **წინა-ურმის მეურმეობა** გლეხობაში სასახელოა.

განკერძოებისათვის მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა პირობას, რომელთაგანაც ზოგი საერთოა ყველასათვის ან განკერძოებულ წევრთა უმეტესობისათვის, ზოგიც ამა თუ იმ ცალკეული სახის განკერძოებულისათვის არის დამახასიათებელი.

საერთო პირობები, რომელთაც მნიშვნელობა აქვს წინადადების წევრთა განკერძოებისათვის, არის, მაგალითად: 1. სიტყვათა რიგი ანუ განლაგება. 2. წინადადების წევრის მიმყოლი სიტყვებით გავრცობის ხარისხი; 3. აზრობრივი მიმართება ერთი წევრისა მეორისადმი და სხვ.

1. სიტყვათა განლაგების მნიშვნელობა ხელშესახებია (ნათელია), როცა ერთი და იგივე სიტყვა ცალკე თუ მიმყოლი სიტყვებითურთ ერთ შემთხვევაში წინადადების ჩვეულებრივი წევრია, ადგილის შეცვლისას კი განკერძოებული ხდება. მაგ.: შიმშილით შეწუხებული მგელი საშინლად ღმუოდა. აქ ქვემდებარეს ახლავს ჩვეულებრივი განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას და გავრცობილია მიმყოლი სიტყვით: **შიმშილით შეწუხებული**. ინვერსიული წყობისას იგი განკერძოვდება: მგელი, **შიმშილით შეწუხებული**, საშინლად ღმუოდა. ახლა ავიღოთ ასეთი მაგალითი: ჩვენთან სტუმრად იყო **ექიმი** გიორგი მაჩაბელი. **ექიმი** არსებითი სახელით გამოხატული განსაზღვრებაა, **გიორგი მაჩაბელი** კი საზღვრულია. მათ რომ ადგილები შევუნაცვლოთ, პირველი (ექიმი) განკერძოვდება. ჩვენთან სტუმრად იყო გიორგი მაჩაბელი – ექიმი.

2. წინადადების წევრი მიმყოლი სიტყვით (თუ სიტყვებით) გავრცობისას შეიძლება განკერძოვდეს. მაგ.: **მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი წითელი**. ზედსართავი სახელით გადმოცემული განსაზღვრება (წითელი), რომელიც საზღვრულის შემდეგ დგას, არა არის განკერძოებული. მაგრამ, თუ მას გავავრცობთ მიმყოლი სიტყვით, იგი განკერძოვდება: მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი. (წერ.).

3. სიტყვები, რომლებიც აზუსტებენ ან განმარტავენ ამა თუ იმ წევრს, განკერძოებულია: მე უფროსი ვარ და თქვენთვის, **უმცროსებისათვის**, სირცხვილია, მე გამგზავნოთ (ვაჟა, 5, 282); ჩვენ, **მცენარენი**, ამას ვერ მოვახერხებთ (ვაჟა, 6, 44); შორიდანვე ისმოდა **სოფიოს**,

სოსიკას დედის, ქვითინი (ვაჟა, 5, 132); იქ, **ცისკიდურზე**, ათასამდე მერცხალი შეკრებილიყო (ევდ., 3, 150); [გიორგის] ეხლა თბილად ეცვა, **იქაურულად**. (ბარნ., 3, 38).

განკერძოებას ზოგიერთი კერძოობითი ხასიათის პირობაც უწყობს ხელს. ასეთია, მაგალითად, აზრობრივად დაკავშირებულ სიტყვათა სინტაქსური დაუკავშირებლობა, განუკერძოებულობის შემთხვევაში ისეთ სიტყვასთან დაკავშირება, რომელსაც არ ახლავს ის და სხვ. მაგ., ნაცვალსახელებთან, როგორც წესი, არ შეიძლება სიტყვათა შეკავშირებაში (წყვილში) შევიდეს განსაზღვრება, რის გამოც უკანასკნელი განკერძოებულია: **ასე გაჩუმებული, სულგაკმედილი**, ის დარჩა რამდენიმე ხანს. (ყაზ., 1, 354). მსგავსი მაგალითია: უფროსმა, პეტრემ, სწავლა დაასრულა, უმცროსი, დათიკო, კვალდაკვალ მისდევდა (ჯავ., 3, 450). **უფროსი** და **უმცროსი** ზედსართავი სახელებია, რომლებიც აქ გასუბსტანტივებულია. რადგანაც ისინი საკუთარ სახელებს ვერ დაუკავშირდებიან ატრიბუტულ განსაზღვრებად, საკუთარი სახელები განკერძოებული არიან, რომლებიც ხსნიან და აზუსტებენ მათ წინ მდგომ ქვემდებარეებს. საკუთარი სახელების ნაცვლად რომ საზოგადო სახელები ჩავსვათ, განკერძოება აღარ გვექნება: **უფროსმა ძმამ** სწავლა დაასრულა, **უმცროსი ძმა** კვალდაკვალ მისდევდა.

განკერძოება ზოგჯერ იმითაა გამოწვეული, რომ თავიდან იქნეს აცილებული ამა თუ იმ წევრის იმ სიტყვასთან დაკავშირება, რომელთანაც იგი არ არის სინტაქსურად დაკავშირებული: ასეთ დროს აღარაფერს ერიდებოდა და, **გაწეწილი**, გრიგალივით დაჰქროდა. (ჯავ., 3, 469). განუკერძოებლობის შემთხვევაში **გაწეწილი** იქცეოდა განსაზღვრებად სიტყვისა **გრიგალივით**. მსგავსი მაგალითებია: ქოხში ორს მხარეზე წიფლის, **ცულით გათლილი**, ფიცრები იყო გადებული (ვაჟა, 5, 159); ...ლეკვები, **ყეფით** და **წკმუტუნით**, გულგახეთქილები შეცვივდნენ **სოროში** (გოგ., 75); ჯალათმა ორივე ხელი დაიმკლავა და, **თავჩაღუნული**, ბრმა მოზვერივით წამოვიდა. (ჯავ., 4, 500). პირველი წინადადებიდან რომ ამოვიღოთ **წიფლის**, განკერძოებაც არ გვექნება: ქოხში ორს მხარეზე **ცულით გათლილი** ფიცრები იყო გადებული. განუკერძოებლად მეორე წინადადებაში „ყეფით და წკმუტუნით“ „გულგახეთქილებს“ დაუკავშირდება, ხოლო მესამეში „თავჩაღუნული“ იქცევა განსაზღვრებად სიტყვისა „მოზვერივით“.

§150. განკერძოებული განსაზღვრება

განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადებაში გამოყოფილია ინტონაციურად, აზრობრივადაც უფრო დამოუკიდებულია, ვიდრე ჩვეულებრივი, განუკერძოებელი განსაზღვრება. იგი ამ უკანასკნელისაგან განსხვავდება ფუნქციის მიხედვითაც. მაგ., ამ

ტყეში უხარმაზარი ხეები იდგა, **თვალაუწვდენელი.** (ვაჟა, 5, 261). ქვემდებარეს (**ხეებ-ს**) ორი განსაზღვრება ახლავს: **უხარმაზარი** და **თვალაუწვდენელი.** ამათგან პირველი ჩვეულებრივი განსაზღვრებაა, მეორე – განკერძოებული. ამ უკანასკნელს ახლავს ელფერი დამატებითი ცნობისა. მისი დამოკიდებულება ქვემდებარესთან ნახევრად პრედიკატულია, რის გამოც იგი ადვილად შეიცვლება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად: ხეები, რომლებიც იყო **თვალაუწვდენელი.** განკერძოებული განსაზღვრება ამ (და მსგავს) შემთხვევაში თითქოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა.

განკერძოებულ განსაზღვრებას დასახელებულ მაგალითში არ ახლავს მიმყოლი სიტყვები, მაგრამ უფრო ხშირად ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით: ხალხი, **წუთის წინათ სულგანაბული,** ეხლა მხიარულად ყაყანებდა (ჭავ., 413); კაცი, **სიცხისაგან დაოსებული,** ძლივს სულს იქცევდა. (ჭავ., 406). განკერძოებულ განსაზღვრებას პირველ წინადადებაში ახლავს დროის გარემოება (წუთის წინათ), მეორეში – ქვემდებარისებრი დამატება (სიცხისაგან).

განკერძოებული განსაზღვრება უფრო ხშირად საზღვრულის შემდეგაა, მაგრამ გვხვდება მის წინაც. იგი ჩვეულებრივ უშუალოდ დგას საზღვრულ წევრთან, ი შვიათად კი გათიშულია მისგან: გამობრუნდა თუში, **ნახულით გაოცებული** (ჭავ., 472); იქვე ცივი წყარო გამოდის, **სიცხეში გულის გამაგრილებელი** (ვაჟა, 5, 100); მხოლოდ ერთი წიფლის – ჩიტა იჯდა პატარა წიფლის შიმელაზე დაღონებული, – **ღაბუა, გულწითელი,** – და სტიროდა (ვაჟა, 5, 155); ...**მეტი გაჯავრებისაგან ხმა-გაკმედილი,** იგი მოაჯდა ცხენს (კლდ., 1, 160); **რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა,** იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი (ჭავ., 325); **გატაცებული თავმოყვარეობით,** რუსუდანი ივიწყებდა, რომ საქართველოში მეფური უფლება გადადიოდა მამიდან და არა დედიდან... (გოგ., 302); **კონსტანტინეპოლში მობრუნებული,** ჭრილობებს იშუშებდა მახარაი (გამს., 1, 30); **სპეტაკი, მთიდან ნაშობი,** კლდიდან გადმოჰქუხს ჩანჩქერი. (ერ.).

განკერძოებული განსაზღვრება ზოგჯერ განმარტოებულია, ის წევრი კი, რომელსაც იგი მიემართება, ადვილად იგულისხმება ზმნის პირისა თუ წინათ ნათქვამის მიხედვით: **საჩხერეს მიმავალი,** გზაში ერთ მოხუცებულ ცხენოსანს წამოვეწიე (წერ., 8, 100); **ირგვლივ დამკვიდრებული მყუდროებით თავმობეზრებული,** მოუთმენლად ელოდა ჩვენს მისვლას (გვეტ., 240); **რევოლუციამდე ხალხის მწუხარების გამომხატველი,** შემდეგ თავის მშვენიერ ნაწარმოებებში ქვეყნის აღორძინებას უმღეროდა (გაზ. „თბ.“, 17/X-61, №266).

განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება ერთგვარ წევრებსაც ახლდეს: ლუარსაბმა და დარეჯანმა, **მიშისაგან სულწასულთა**, ერთ დროს და ერთ ხმად კანკალით წამოიძახეს. (ჭავ., 381).

ერთ საზღვრულთან ხშირად რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული განსაზღვრებაა. შეერთება კავშირიანიც არის და უკავშიროც: ზამთრის ღამე იყო, **ცივი, სუსხიანი, ბნელი** (ბარნ., 2, 294); ოთახში დუმილი ჩამოწვა – **უხეში, მძიმე** და **შემხუთავი.** (ჯავ., 2, 114).

განკერძოებული ერთგვარი განსაზღვრებები ერთმანეთთან შეიძლება მაპირისპირებელი კავშირითაც შეერთდნენ: იქვეა ეკლესიის კარებთან დიდად შესამჩნევი ნაძვის ხე, **აშოლტილი და ჩვენებური ჩიჩილაკივით ქვევით ფართოდ გაშლილი, შემდეგ კი შემოკვერცხლილი და ბოლოს ვიწრო ტანით ცისკენ ატყორცნილი.** (დად., 307).

განკერძოებული განსაზღვრების პრედიკატულობა ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ იგი წარმოდგენილია დამოკიდებული წინადადებითურთ: ცოლ-ქმარნი, **დაჯერებულნი** რომ მემკვიდრე ეყოლებათ და **დავითიანთ თვალები დაუდგებათ,** სადილზე გამხიარულდნენ (ჭავ., 385).

განკერძოებული განსაზღვრება საზღვრულთან იშვიათად კავშირით ან ამ ფუნქციით გამოყენებული ნაცვალსახელითა და ზმნიზედით არის დაკავშირებული: [მიხას] უყვარდა სიმღერაც, **მაგრამ მხოლოდ წყნარი** და **სევდიანი** (ბარნ., 2, 265); **როგორც ცხოვრებაში გამოუცდელს,** დარიგებას მაძლევდა (წერ., 1, 66); მესამოცე წლების მოღვაწეებში, **როგორც უფრო დაახლოებულები,** ყველაზე წინ მეხატებიან: გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე (წერ., 1, 86); ამ სადგომთან იყვნენ სხვისთვის შეუმჩნეველი, ხოლო სალომესთვის ხილულის სიმებით დაკავშირებულნი მისი სასურველი ქმარი, მისი საყვარელი შვილები, **თუმც აწ მიცვალებულნი, მაგრამ მისთვის ისევ ცოცხალნი და მარად მასთან მყოფნი.** (ბარნ., 3, 11); ცალი ფრთა კი, **თუნდაც ძლიერი,** მარტო ბრალია (ბარნ., 2, 158); ყველა გონიერი კაცი, **თუნდა უწიგნოც,** ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია (ჭავ., 450); სიბერე, **ეს ოხერი,** ცუდი ჭირი ყოფილა (ვაჟა, 6, 119); იაფი ჩითის კაბები ეცვათ, **ისიც დაკერილ–დაკონკილი** (ჯავ., 3, 410); მე, **ისეც სველი,** უფრო დავსველდი. (ვაჟა, 5, 29).

განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ მიმღეობით (უმეტესად ვნებითი გვარისა) და ზედსართავი სახელით გადმოიცემა, იშვიათად – ზოგიერთი ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით. ვნებითი გვარის მიმღეობა, როგორც წესი, წარსული დროისაა. მაგ.: იგი ნაომარს ადგილსა ჰგვანდა, **სისხლით გადალესილს** (ვაჟას, 5, 96); და დაირღვევა იგი ბორკილი, **შემფერხებელი** კაცთა ცხოვრების (ჭავ., 132); არყმა, **კლდის შუა წელზე მდგომარემ,** შეარხია ტოტები (ვაჟა, 6, 326); უფრო მეტად შეიყვარა ვანომ ერთი ბეღურა ჩიტი, სხვებზე უფრო **ცქვიტი, მარდი, ჭოჭორა** და **ლამაზი** (გოგ., 41); ...უმა-

მაკაცო საქმე, **ისიც ამისთანა**, სამფეხა ცხენს ჰგავს (ჯავ., 3, 417); ცხენოსნები, **რიცხვით ოცდახუთამდე**, თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს... (ყაზ., 1, 23).

განკერძოებული განსაზღვრება, თუ იგი არ წარმოადგენს განსაზღვრების დაზუსტებასა და ახსნა-განმარტებას, შეიძლება ახლდეს არსებითი (ან: გაარსებითებული) სახელით, ნაცვალსახელითა (ჩვეულებრივ პირისა) და რიცხვითი სახელით გამოხატულ წევრს: თიბათვის დამე იყო, **მშვიდი** და **მთვარიანი** (გვეტ., 10); **მუყაითის ხელით სუფთად გამარგლილი**, სავსე იყო ის ყოველგვარის მწვანილეულითა (ლომ., 354); დღეს ის, **ვარდივით გადაშლილი**, სულით უმანკოა და გულით წმინდა (წერ., 7, 331); **ცხოვრების ღელვისაგან გატაცებული**, ის თანდათან მიექანებოდა უფსკრულისაკენ... (წერ., 7, 334); მე, **ამ იმედით წახალისებულს**, დღედაღამ მეტი აღარ მეფიქრებოდა რა (წერ., 7, 47); **ისინი, დიდხანს უხმოდ მიმავალნი, თავ-თავიანთი იარაღით მომზადებულნი**, გულის ფანცქალით ელოდნენ დათვთან ომს (ვაჟა, 5, 129); სხვები კი, **თავზარდაცემულნი** და **დამფრთხალნი**, უგზო-უკვლოდ დარბოდნენ (ჯავ., 3, 47); მესამე, **მარჯვნივ მდგომარე**, გახლდათ დარბაისელი, ხანში შესული თავადისშვილი ზაალ ზუმბურიძე. (ჭავ., 652).

არსებითი სახელის შემდეგ მდგომ განკერძოებულ გახსაზღვრებას რომ ადგილი შევუცვალოთ, იგი ხშირად ჩვეულებრივ განსაზღვრებად გადაიქცევა: თიბათვის **მშვიდი** და **მთვარიანი** ღამე იყო.

შენიშვნა: ზოგიერთ სიტყვას (მაგალითად, ნაცვალსახელს) არ შეიძლება ახლდეს განსაზღვრება. მაგრამ რადგან მასთან საზღვრული არსებითი სახელია გამოტოვებული, როგორც ეს დასახელებული მაგალითების მიხედვითაც კარგად ჩანს, მის ადგილს ასეთი სიტყვა იკავებს და განკერძოებული განსაზღვრებაც მას მიემართება.

განკერძოებული განსაზღვრება უფრო ხშირად შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, პირდაპირ დამატებას, ირიბ დამატებასა და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, იშვიათად – არამთავარ წევრებსაც (უბრალო დამატებასა და გარემოებას). იგი ხშირად გვხვდება მიმართვასთანაც, რომელიც წინადადების წევრად არ ითვლება. ასეთი განსაზღვრება სრულად დაირთავს იმ ბრუნვის ნიშანს, რომელშიც დგას საზღვრული წევრი (ან ივარაუდება ფუნქციის მიხედვით). თუ ეს უკანასკნელი თანდებულიანია, განკერძოებული განსაზღვრებაც თანდებულს დაირთავს. მაგ., განკერძოებული განსაზღვრება ახლავს:

1. ქვემდებარეს: თეთრ ჩოხაზე შალის სარტყელი ერტყა, **ფოჩებიანი** (ბარნ., 1, 315); არყმა, კლდის **შუა წელზე მდგომარემ**, შეარხია ტოტები. (ვაჟა, 6, 326).

2. პირდაპირ დამატებას: ყაფლანმა მთვარის შუქზე ქალი დაინახა, **თმაგაჩეჩილი** და **ძონძებიანი**. (გვეტ., 71).

3. ირიბ დამატებას: [დედამ]... თვალი შეასწრო გიორგის, **კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს**. (ჭავ., 440).

4. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს: [ქორის ბახალები]... დაფრთიანდნენ და პატარა ქორები დახდნენ, **ამაყი, გულადი** და **შეუპოვრები**. (რაზ., 387).

5. უბრალო დამატებას: ...ერთი ფრთით, **თუნდაც ძლიერით**, აფრენა როგორ შეიძლებოდა (ბარნ., 1, 132); წარმოიდგენდნენ თავისთავს დანგრეულ-დაფუშვილად, ლოდებად, **ხეობებში მიფანტულ-მოფანტულად მდინარისაგან** (ვაჟა, 6, 58); ოღონდ კი ერთი კიდევ დაეხედნა წამოწოლილ ქალისთვის, **თუნდაც ავადმყოფის სარეცელზე წამოქცეულისათვის**. (ბარნ., 2, 456).

6. გარემოებას: ქალი ტახტრევანში შესვეს, **ოქროქსოვილით მოფარდაგულში** (ბარნ., 3, 251); მოწმენდილ ცაზე, **ლაჟვარდოვანზე**, გამოჩნდა მთვარე, პირმოღიმარე. (ტაბ.).

7. მიმართვას: ირემო, **მთასა მყვირალო**, რად ჩამოვარდი ბარადა? (ხალხ.).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, განკერძოებული განსაზღვრება ყველა ბრუნვაში გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივ იგი სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში დასმულ სახელებს ახლავს.

ერთგვარ წევრებთან, მრავლობითში დასმულ ერთ საზღვრულთან, აგრეთვე **ჩვენ** და **თქვენ** ნაცვალსახელებთან განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ მრავლობითში დგას: ლუარსაბმა და დარეჯანმა, **შიშისაგან სულწასულთა**, ერთ დროს და ერთ ხმად კანკალით წამოიძახეს (ჭავ., 381); ფრინველნი, **ჯერ კიდევ ძილით მოცულნი**, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ... (ყაზ., 2, 451); ამ სიცივეში, ზამთარში გარეთ შინაურ ცხოველს რა უხარიან? ჯერ ჩვენ, **ტყეში დაბადებულთ** და **გაზრდილთ**, გვეძნელება ამ დროს ცხოვრება! (ვაჟა, 5, 260).

განკერძოებული განსაზღვრება ფუნქციის მიხედვით სხვადასხვაგვარია:

ა) ეფარდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას და ხშირად შეიძლება შეიცვალოს ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებადაც (თუ იგი არ ახლავს პირის ნაცვალსახელებს); ნოდარი და მისი თანაშემწე, **ალუბლის ხეებში ცარიელ ყუთებზე ჩამომსხდარნი**, ჭადრაკს თამაშობდნენ. (გვეტ., 422). შდრ.: ნოდარი და მისი თანაშემწე, რომელნიც ალუბლის ხეებში ცარიელ ყუთებზე იყვნენ ჩამომსხდარნი, ჭადრაკს თამაშობდნენ,

ბ) ახლავს გარემოების მნიშვნელობა (მაგ., მიზეზისა, დროისა, პირობისა, დათმობისა) **გამხნევებული მეფის გამარჯვებით**, ჩვენი

ჯარი დაერია დაწიოკებულ ლეკ-ოსმალთ და დაუწყო თიბვა, როგორც ბალახსა. (ვაჟა, 6, 55). შდრ. **რადგანაც გამხნევებული იყო მეფის გამარჯვებით**, ჩვენი ჯარი დაერია ლეკ-ოსმალთ და დაუწყო თიბვა, როგორც ბალახსა.

გ) ცალკე ჯგუფს ქმნის ისეთი განკერძოებული განსაზღვრებები, რომლებიც აზუსტებენ, ხსნიან და განმარტავენ წინა განსაზღვრებას. ის კაბა ჩაიცვი, **ჩალისფერი** (ბარნ., 3, 401). ამ წინადადებაში ორი განსაზღვრებაა: **ის** და **ჩალისფერი**. ეს უკანასკნელი განკერძოებულია, რომელიც ხსნის და აზუსტებს ჩვენებითი ნაცვალსახელით გადმოცემულ განსაზღვრებას. ასეთი ამხსნელ-დამაზუსტებელი განკერძოებული განსაზღვრება ყოველთვის მეორე ადგილზეა, გადმოცემულია ზედსართავით ან მიმდეობით (იშვიათად – არსებითი სახელით, ნაცვალსახელით...) და, როგორც წესი, იმავე ბრუნვაში დგას, რომელშიც თვით საზღვრული და ასახსნელ-დასაზუსტებელი განსაზღვრება. ატრიბუტული განსაზღვრების მნიშვნელობას იშვიათად ხსნის და აზუსტებს სუბსტანტიური (resp. მართული) განსაზღვრება: [ქალს] **რბილი** ხელი ჰქონდა, **ფაფუკი** (ბარნ., 3, 166); ავადმყოფობამ **საშიში** ხასიათი მიიღო, **სახიფათო** (ბარნ. 3, 166); ტალს მოუხდა მისთვის **უჩვეულო, დაცვითი**, თამაშის წარმოება (გაზ. „კომ“, 22/X 59, №247): ადრინდელი, **რუსთველის**, დრო სხვა იყო და ახლანდელი, **ჩვენი**, კიდევ სულ სხვაა... (წერ., 1, 286).

დასახელებული ტიპის ამხსნელ-დამაზუსტებელი განსაზღვრების წინ შეიძლება აღდგეს მაიგივებული კავშირიც: რბილი, ე.ი. ფაფუკი; საშიში, ე.ი. (ან: ანუ) სახიფათო; უჩვეულო, ე.ი. დაცვითი. ასეთი კავშირი ზოგჯერ ნახმარია კიდეც: ტარიელის მიერ დევთა დამარცხება ზღაპრულ, ე.ი. **შეუძლებელ** ამბად მიიჩნიეს (გაზ. „თბ“, 7/1 – 63. №5); ...ზღაპრული, ე.ი. **არაადამიანური** თვისებები მიმატებია (იქვე).

განსაზღვრებას შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი ამხსნელ-დამაზუსტებელი განსაზღვრება: აკი გითხარით, ტრფიალება სხვა ნიჭია-მეთქი, **თავისებური, იშვიათი, განუმეორებელი** (ბარნ., 3, 279); – გეუბნები, ქალო, კაცური კაცია-მეთქი: **ჭკუიანი, მცოდნე, ნიჭიერი, დინჯი** და **ძლიერი** (ჯავ., 2, 9); ყოჩაღი ბიჭია ზურაბი – **აზრიანი, გამჭრიახი, მხნე** და **გამძლე**! (ჯავ., 2, 65); უცებ ისევ პირველი ჰანგი დაუკრა – **სევდიანი, წყნარი** და **ელეგიური** (ჯავ., 1, 220); – დიაღ, დიაღ, საშინელი ხალხია – **უდიერი, მოღალატე, მოუდრეკელი**. (ჯავ., 4, 352).

იშვიათად, როგორც ზემოთ ითქვა, შეიძლება განკერძოვდეს სუბსტანტიური განსაზღვრებაც, რომელიც ფორმის თვალსაზრისით მართულია ან მართულ-შეთანხმებული. ასეთი განსაზღვრება ფუნქციის მიხედვით სხვადასხვაგვარია:

ა) სუბსტანტიური განსაზღვრება განკერძოებულია თავისი

საზღვრულისაგან, ე.ი. განკერძოება გვაქვს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: უმეტეს წილს ნაჩალნიკებისას, **მთისას**, აუცდენლად ნაზირ-ვეზირი უნდა ჰყავდეს. (ყაზ.).

ბ) განკერძოებული სუბსტანტიური განსაზღვრება ხსნის და აზუსტებს წინა განსაზღვრებას. აქ ორი შემთხვევაა გასარჩევი:

1. ხსნის და აზუსტებს მართულ განსაზღვრებას: შორიდანვე ისმოდა სოფიოს, **სოსიკას დედის**, ქვითინი (ვაჟა, 5, 132); ...თავადაზნაურობა ნამდვილად გადაგვარების, ანუ, უკეთ, **გადაშენების** გზაზე დგას. (დად., 368).

2. აზუსტებს ატრიბუტული (შეთანხმებული) განსაზღვრების მნიშვნელობას: ორივე დაფაზე ცალ-ცალკე ორი სურათი იყო დახატული საღებავით: **სოფიოსი** და **ამირანისა** (ჯავ., 2, 34); ღვთისომ კოჭლი დევის ზღაპარი დაიწყო და ორი სხვადასხვა ხმა, **ერთი ბალღისა და მეორე მგლისა**, ერთად შაერთებული, დედის ტკბილ ნანასავით შეგვესმა და ჩაგვეძინა. (ვაჟა, 5, 181).

თუ განკერძოებული განსაზღვრება რამდენიმეა, ფორმის მიხედვით ზოგი შეიძლება მართული იყოს, ზოგიც – შეთანხმებული: დილიდან სტუდენტებში ერთი მგზავრი გაერია – **შუახნის, შუატანის, ჩასხმული** და **შავგვრემანი**. (ჯავ., 3, 51).

სუბსტანტიური დანართი განსაზღვრება, რომელიც ხსნის და განმარტავს წინა განსაზღვრებას, შეიძლება მაიგივებელი კავშირით იქნეს მასთან შეერთებული: ამ სახლის, ანუ როგორც თვითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, **დარბაზის** მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით – ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო (ჭავ., 428); ყველანი, თითქოს შეთქმულება ჰქონდათ, მხოლოდ კარახელის შესანდობარს სვამდენ, იმის მშობლებისას, „მგებრებისას“, ე.ი. **მიცვალებულებისა**, რომელნიც კარახელს საიქიოს წინ მიეგებებოდნენ. (ვაჟა, 6, 401).

განსაზრვრების განკერძოება გარკვეულ პირობებში ხდება. შეინიშნება ატრიბუტული განსაზღვრების განკერძოების რამდენიმე ძირითადი შემთხვევა:

1. მიმღეობითა და ზედსართავი სახელით გადმოცემული გავრცობილი განსაზღვრება, რომელიც საზღვრული სახელის შემდეგ დგას, ჩვეულებრივ განკერძოებულია: პეტრე, **უწინდელზედ უფრო მიბერებული**, ქალაქს მიდიოდა (ჭავ., 409); მისი ეზო, **საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის**, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. (ჭავ., 427).

შეიძლება განკერძოვდეს გაუვრცობელი მომდევნო განსაზღვრებაც (მით უმეტეს მაშინ, თუ საზღვრულს პრეპოზიციული განსაზღვრება ახლავს): დიდი მთებია იქ, **თოვლიანი** (ნაკ., 187); თეთრ ჩოხაზე შალის სარტყელი ერტყა, **ფოჩებიანი** (ბარნ., 1, 351); ამ ტყეში უზარმაზარი ხეები იდგა, **თვალაუწვდენელი**. (ვაჟა, 5, 261).

2. რამდენიმე მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება, გავრცობილი თუ გაუვრცობელი, ჩვეულებრივ განკერძოებულია: ძაღლებმა ისევ ყმუილი გააბეს – **ხანგრძლივი** და **შესაზარი** (ჯავ., 1, 132); ისევ დუმილი ჩამოწვა – **ხანგრძლივი, ცივი** და **უხერხული** (ჯავ., 3, 459); ოთახში დუმილი ჩამოწვა – **უხეში, მძიმე** და **შემხუთავი** (ჯავ., 2, 114); ზამთრის ღამე იყო, **ცივი, სუსხიანი, ბნელი.** (ბარნ., 2, 294).

რამდენიმე მომდევნო განსაზღვრების განკერძოება აუცილებელია, თუ საზღვრულს უსწრებს ატრიბუტული განსაზღვრება. მაგრამ, თუ ასეთი განსაზღვრება არ უძღვის საზღვრულ სახელს, მომდევნო რამდენიმე გაუვრცობელი განსაზღვრება შეიძლება არ განკერძოვდეს. მაგ.: რით შეედრება უკუნი დღეს მოელვარეს, **მზიანსა**?! (ვაჟა); გზის ნაპირად ღარზე წყარო მორბის **ჩქარი** და **ნათელი.** (პ. იაშვ., 154).

3. ერთი ან რამდენიმე განსაზღვრება განკერძოებულია, თუ ის (ისინი) უძღვის ან მოსდევს ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარესა თუ დამატებას: **მეტი გაჯავრებისაგან ხმაგაკმედილი,** იგი მოაჯდა ცხენს (კლდ., 1, 160); იგი, **თითონ ზორბად მოსული,** იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ (ჭავ., 258); მან კი, **თავლაფდასხმულმა,** პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე? (ჯავ., 4, 362); ყველანი, **თავ-თავიანთი იარაღით მომზადებულნი,** გულის ფანცქალით ელოდნენ დათვთან ომს (ვაჟა, 5, 129); **ტანადი, ძარღვიანი,** იგი მძიმედ მიაბიჯებდა ხევისაკენ (კ. ლორთქ., 1, 48); ჩვენც შორიახლო ვუმზერდით მას, **მხარბეჭიანს, დარბაისელს, შავჩოხაახალუხიანს,** პირდაპირ და **ჯიქურ მომზერალს.** (ნ. კეცხ., „კომ“., 22/VII-61).

4. განსაზღვრება, რომელსაც ახლავს გარემოების (დროის, მიზეზის, დათმობის, პირობის) მნიშვნელობა, ყოველთვის განკერძოებულია: მე, **ისეც სველი,** უფრო დავსველდი (ვაჟა, 5, 29); ცალი ფრთა კი, **თუნდაც ძლიერი,** მარტო ბრალია (ბარნ., 2, 158); გამოცდილი ხელით უმარჯვებდა მობაასეს, **თუნდ მასთან შეგობრულად მოლაპარაკეს** (ბარნ., 2, 412); [ამირანმა] ცოლს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მისწერა – **ისიც მშრალი** და **უგულო.** (ჯავ., 2, 46).

5. განსაზღვრება განკერძოებულია, თუ ის მოწყვეტილია საზღვრულს ან მასთანაა, მაგრამ განუკერძოებლად შეიძლება სინტაქსურად სხვა სიტყვას დაუკავშირდეს: ლაქია გაოცდა და, **გახარებული,** რესტორანის პატრონთან გაიქცა (ჯავ., 3, 83); ქოხში ორს მხარეზე წიფლის, **ცულით გათლილი,** ფიცრები იყო გადებული (ვაჟა, 5, 159); საქონელი გამოცვივდა და, **კუდაყრილი,** ბღავილით გაიფანტა ტყეში (ჯავ., 1, 133); და წყაროს პირზე დიაცი, – **ტურფა, ლამაზი,** – ქისტისა, შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს (ვაჟა, 3, 249); სოფლის გზას დავადექი, ათი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, **ძაღლის,** ენით აუწერელი კივილი შემომესმა. (ნ. დუმბ., 63).

განკერძოებული განსაზღვრება, როგორც ეს ზემოთ მოყვანი-

ლი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, ნაწერში მძიმით, ორწერტილით ან ტირეთი (ტირეებით) არის გამოყოფილი, მაგრამ იშვიათად იგი ფრჩხილებშია ჩასმული: [თავსაკრავზე] პაწაწა მსხლის მსგავსი მარგალიტი კიაფობს (**მზითევში მონაყოლი**), გათეთრებულ თავზე, ხორასნის ფარჩის მანდილი აქვს მოხვეული. (ჯავ., 4, 46).

§151. **განკერძოებული დანართი**

დანართი, როგორც ვიცით, ატრიბუტული განსაზღვრების ერთერთ სახედ ითვლება (§104) იგი არსებითი სახელით არის გადმოცემული და განსაზღვრავს მეორე არსებითს, ჩვეულებრივ საკუთარს: **გაზეთი** „ივერია“, **პროფესორი** რაზმაძე, **ჟურნალი** „მნათობი“, გოგია **უიშვილი** და მისთ. გვაქვს განკერძოებული დანართიც, რომელიც განკერძოებულ განსაზღვრებას უახლოვდება და სახელით გამოხატული რომელიმე წევრის შემავსებელ ცნობას შეიცავს დაზუსტებისა თუ ახსნა–განმარტების სახით. იგი შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, დამატებას (პირდაპირს, ირიბს, უბრალოს), შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, მიმართვას... დანართი ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს ანგარიშს უწევს ბრუნვასა და რიცხვში. იგი გაუვრცობელია ან გავრცობილი მიმყოლი სიტყვებით. მაგ.: კერაზე შვიდი წლის ბავშვი იჯდა, **შვილი თამარისა** (ვაჟა, 5, 24); ჭიშკრიდან დავინახეთ მოხუცი ქალი, **გიორგის დედა** (ლორთქ., 2, 99); ხალხი შეეხვეწა გიგოლას, **გამოჩენილ მონადირეს** (ვაჟა, 5, 118); ...იმანაც ჩიქილის (მანდილი) ტოტში გამოიკრა, რომ შვილისთვის, **ღვთისოსთვის**, წაეკითხებინა (ვაჟა, 6, 410); ეს იყო ბესია, **მანას ერთადერთი ძმა** (ნინ., 7); მშვიდობით მეორე წლამდე, **პატარძალო – გაზაფხულო**! (წერ., 7, 291).

ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრსა და მის დანართს შორის კავშირი ხშირად ნახევრად პრედიკატულია. მაგ.: **ნისლი ფიქრია მთებისა**. (ვაჟა). **ნისლი** ქვემდებარეა, **ფიქრია** – შედგენილი შემასმენელი, ხოლო **მთებისა** – მართული განსაზღვრება შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისა (**ფიქრი**), რომელიც ადვილად შეიძლება გადავაქციოთ განკერძოებულ დანართად: ნისლი, **ფიქრი მთებისა**, როგორც ვაჟა ეძახოდა, მწვერვალებს ქვემოთ, ხევისაკენ, გადაეყარათ („ლიტ. გაზ.“ 20/VII-62, №30). ეს დანართი, თავის მხრივ, ადვილად შეიძლება გადავაკეთოთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად: ნისლი, **რომელიც არის ფიქრი მთებისა**, მწვერვალებს ქვემოთ, ხევისკენ, გადაეყარათ.

თუ წინადადებიდან ამოვიღებთ იმ წევრს, რომელსაც დანართი ახლავს, მის ადგილს ჩვეულებრივ ეს უკანასკნელი იჭერს. მაგ.: ერთხელ ლომს, **ნადირთ მეფესა**, ხარი მოეკლა ირემი (ვაჟა, 3, 211). ამ წინადადებაში განკერძოებული დანართი ახლავს ქვემდებარეს (ლომს). ეს უკანასკნელი რომ ამოვიღოთ, დანართი შემასმენელს დაუკავშირდება და ქვემდებარე გახდება: ერთხელ **ნადირთ მეფესა**

ხარი მოეკლა ირემი.

განკერძოებულ დანართს ზოგჯერ გარემოების ელფერი გადაჰკრავს: გიორგი სააკაძე, **როგორც წინამძღოლი ჯარისა**, იმავ წამს თადარიგს შეუდგა. (გოგ., 285). მოცემულ წინადადებაში დანართი მნიშვნელობით უახლოვდება მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას: **რადგანაც წინამძღოლი იყო ჯარისა**.

განკერძოებული დანართი ჩვეულებრივ მოსდევს იმ წევრს, რომელსაც ახლავს, იშვიათად კი უსწრებს მას: **როგორც ფრთხილი კაცი**, როსტომი შესდგომოდა თადარიგს (ბარნ., 2, 166); **როგორც ხალხის შვილს**, მეც ყოველგვარი მისი ზნე-ჩვეულება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი... (წერ., 8, 165); **პატარა ბავშვი**, მე ვიჯექი ბუხართან სახლში (ნ. ნად.); **მეტად ღარიბი აზნაური**, იგიც სხვა ზოგიერთივით დადიოდა მაშვლად აქა-იქ... (კლდ., 1, 69).

დანართი იშვიათად გათიშულია იმ წევრისაგან, რომელსაც ის ახლავს: თქვენმა **სიძემ** გაახლათ ჩემი თავი, **ბიძინა ჩოლოყაშვილმა** (წერ., 1, 229); **ჩვენ** გადავწყვიტეთ, **ბალღებმა**, ერთად წავსულიყავით (ვაჟა, 6, 156); თინას ერთი **ბიჭი** ჰყავდა არჩეული – **კეკეს შვილი ყბაჩა**. (ჯავ., 1, 315).

განკერძოებული დანართი, მიმყოლი სიტყვებით გავრცობილი, იშვიათად განმეორებაა იმ სიტყვისა, რომელსაც ის ახლავს: (კედლებს, **ყორით აგებულ კედლებს**, ვათვალიერებდით. (ვაჟა, 6, 158).

განკერძოებულ დანართს შეიძლება მოსდევდეს სხვა დანართი: გრიგოლ წერეთლის შვილი, **ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი**, რუსეთში იყო გამოზრდილი (წერ., 1, 30); – როგორ? მე, **ლომი, ნადირთა მეფე**, ვეახლო ტარტლიანს, ყარტლიანს დათუნას, უიარაღო ხალხს რომ დაერია და დაგლიჯა და დაფლითა? (ვაჟა, 6, 250); ...ის კი მისმა შვილმა, **დავით მეფემ, ამ თეიმურაზის მამამ**, ციხეში ჩაამწყვდია (წერ., 7, 148); ღამდება, ვანოს სახლის პატრონი, **ქვრივი დედაკაცი, სალომე**, ფუსფუსებს. (ვაჟა, 6, 273).

განკერძოებული დანართი შეიძლება ახლდეს არსებითი ან გაარსებითებული სახელითა და ნაცვალსახელით გამოხატულ წევრს: ჩემი მამული, **საქართველო**, დღეს მიცოცხლდება! (ჭავ., 140); უფროსმა, **პეტრემ**, სწავლა დაასრულა, უმცროსი, **დათიკო**, კვალდაკვალ მისდევდა (ჯავ., 3, 450); მეორე, **უმცროსი**, უფროსსა ჰგვანდა კიდეც და არცა ჰგვანდა (ჭავ., 407); მე, **ქართველი ბუხაიძე**, ბალყარეთის მთებთან ვწევარ (ირ. აბ.); ჩვენ, **მცენარენი**, ამას ვერ მოვახერხებთ (ვაჟა, 6, 44); ერთ მათგანს, **სახელდობრ თიღისძეს**, შეუგროვებია ჯარი და გამოლაშქრებულა ფშავის დასარბევად. (ვაჟა, 7, 48).

განკერძოებული დანართი ჩვეულებრივ არსებითი ან არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვითაა გადმოცემული, იშვიათად – ნაცვალსახელით: ჩვენი ქვეყანა, **საქართველო**, გაღვიძებულა (ჭავ., 142); ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ ადამიანო!...

რატომ არ გებრალები **მე, პატარა**? (ვაჟა, 5, 10); სერემმა სთქვა: – მე სურემზე უფროსი ვარ და, მაშასადამე სერემი, ე.ი. **მე**, უნდა წავიდეს პურის სათხოვნელადო. (ვაჟა, 5, 282).

საზოგადო სახელს განკერძოებულ დანართად შეიძლება ახლდეს საკუთარი ან საზოგადო სახელი, საკუთარს – საზოგადო. ელიზბარმა, რაც იმ ღამეს მოიხილა, ყველაფერი ძმას, **ქურსიკას**, და დედას, **სვოურს**, უამბო (ვაჟა, 6, 391); ის იყო ყოვლად უვნებელი, მშვიდი ცხოველი – **ირემი**... (ვაჟა, 6, 123); ზურაბს, **ელიზბარის მოხუცებულს მამას**, არ მოსწონდა ელიზბარის ყოფა-ქცევა. (ვაჟა, 6, 177).

იშვიათად განკერძოებული დანართი წარმოდგენილია წინადადებაში, ხოლო ის წევრი, რომელთანაც დანართი არის დაკავშირებული, გამოტოვებულია და იგულისხმება: **როგორც პირველი მოწაფე**, კლასიდან კლასში საჩუქრებით გადადიოდა (წერ., 8, 147); **როგორც ავტორს**, რა თქმა უნდა, დაბეჭდვა მწადდა ამ ნაწერებისა. (ვაჟა, 7, 303).

განკერძოებული დანართი შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარ წევრს: სოლო და სანდრო, **სიკოს ბიძაშვილები**, ორღობის ბოლოში ატუზულან! (ჯავ., 1, 389).

ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი წევრი, ე.ი. შერწყმული იყოს (§147): მეორე დღეს მისი საუკეთესო მეგობრები – **მცხეთელი არჩილა, დუშელი მიხა** და **კასპელი ვანო** – გულცივად დაუხვდნენ. (ჯავ., 1, 68). სახელით გამოხატულ წევრს ზოგჯერ რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული დანართი ახლავს: ქალი, ე.ი. **ცოლი** მოკლულისა და **ქალიშვილი** მკვლელისა, სწყევლის თავის მამას... (ვაჟა, 7, 86).

განკერძოებულ დანართს იშვიათად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ახლავს: მარჯვკლები, ე.ი. **ის კაცები, რომელთაც დედუფალი მოიყვანეს**, მოსძებნიან ნეფეს, მოიყვანენ და სათავეში დასმენ (ვაჟა, 7, 155); ეს აზრები აღუძრა ღვთისოს შალვამ, **მეზობელმა მეცხვარემ, რომელსაც** 600-700-მდე **ცხვარი ეყოლებოდა**. (ვაჟა, 6, 415).

განკერძოებული დანართი უკავშიროა ან კავშირიანი. საკავშირებლად გამოყენებულია როგორც საკუთრივ კავშირები (მაგალითად, მაიგივებელი), ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები და ნაწილაკები: ე.ი., ანუ, და უფრო კი, და ნამეტნავად, როგორც, ...ც კი, მაგალითად, სახელად, გვარად, სახელდობრ, მოდგმით, წარმოშობით, ტომით, ჩამომავლობით, ეროვნებით, ხელობით, ისიც, წოდებით, უმეტესად, უფრო მეტად, ნამეტნავად, განსაკუთრებით, მერე, ვთქვათ და მისთ.

სახელი, რომელიც აერთებს განკერძოებულ დანართს ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრთან, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი და მიუთითებს საგნის ვინაობაზე –

წარმომავლობაზე, პროფესიაზე, სახელზე, გვარზე, სოციალურ მდგომარეობაზე და სხვ. მაგ.: „შაბაში“, **ესე იგი მუშაობის შეწყვეტის დრო**, უკვე მოტანებული იყო (ევდ., 3, 244); გურიის მუშა ხალხს, **ანუ გლეხკაცობას**, თოფისთვის მოეკიდა ხელი (ნინ.); ამის გამო სხვა ცხოველებს, და **უფრო კი ღორებს**, საზრდო აკლდებათ (ვაჟა, 6, 257); მეცხვარემ, და **ნამეტნავად თუშმა**, იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა... (ჭავ., 472); კობას, **როგორც სტუმარს**, და ფარჩოს, **როგორც იქ მყოფების უფროსს**, ცალკე მიართვეს... (ყაზ., 1, 272); ყველა იქ იყო, **ვანოც კი**; სხვა ნათესავებიცა გყავთ,**მაგალითად მე** (ჯავ.,3,461); ლაშას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, **სახელად დავითი**... (გოგ., 300); ფარნას გულითადი ამხანაგი, **მეტსახელად ციცქა**, მოახლოებულ პროფესორს გაუბედავად შეეკითხა... (გვეტ., 372); ...მისი ქმარი, **სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური**, იყო ნამდვილი გლეხი (კლდ., 1, 296); ... ჯერ ერთი ჩვენი ძმათაგანი, **სახელდობრ ერემი**, უნდა დაგვექორწინებინა (ვაჟა, 5, 273); აბო, **ტომით** (ან: ეროვნებით, ჩამომავლობით, მოდგმით...) **არაბი**, მერვე საუკუნის დამლევს აწამეს თბილისში; ეს ობიექტი, **წარმოშობით ირიბი**, თავის ალაგას რჩება სხვა ობიექტის შეყვანის შემდეგაც (ა.შ.,347); ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები,**განსაკუთრებით ქალებს** (წერ., 1, 73); ზოგიერთი ისე მოგხვდება გულზე, **ნამეტურ ლექსები**, რომ ტირილი მოგინდება (ლორთქ., 2, 100); აბა დილით გაკეთებული საჭმელი, **მერე ჩიხირთმა**, ვახშმისათვის რაღად გამოდგება (ჭავ., 497); [ლუარსაბი] ზამთარში კიდევ პერანგზე ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, **ვსთქვათ თუნდა დიანბეგი**. (ჭავ., 329).

რიგ შემთხვევაში განკერძოებული დანართი თითქოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შეკუმშული სახეა (შდრ.: ერთი იმ დროის კაცი, **სახელად გოჩი**, ზღვის პირად ცხოვრობდა... (ვაჟა, 5, 33) – ერთი იმ დროის კაცი, **რომელსაც სახელად გოჩი ერქვა**, ზღვის პირად ცხოვრობდა), ან ნაწილი წინადადებისა, რომელშიც გამოტოვებულია შემასმენელი (შდრ.: ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს – ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, მაგრამ განსაკუთრებით ქალებს მოსწონთ).

განკერძოებულ დანართს შეიძლება ახლდეს გარკვეული ემოციური იერი, რაც აძლიერებს ექსპრესიულობას. ამ ტიპის დანართებია, მაგალითად, ამ წინადადებაში: მას, **ძლევამოსილ რაინდს**, ათჯერ და ოცჯერ შეეძლო გამარჯვების რაშზე მჯდარიყო (ჯავ., 3, 332) და მღერის, მღერის კალამის წვერი, კალამის წვერი – **ბულბულის ნისკარტი** (პ. იაშვ., „პარნასი“); მთვარე – **თეთრი ხოხობი** გაეხირა ტოტებში (პ. იაშვ., „არგვეთის ღამეები“).

განკერძოებულ დანართსა და ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს რომ ადგილები შევუნაცვლოთ, სხვადასხვა შედეგს მივიღებთ:

ა) განკერძოებული დანართი განკერძოებულ დანართადვე დარჩება: მე, **როგორც ოჯახის კაცმა**, მადლობა გადავუხადე (ვაჟა, 5, 178) – **როგორც ოჯახის კაცმა**, მე მადლობა გადავუხადე.

ბ) შეიცვლება მათი სინტაქსური ფუნქცია: განკერძოებული დანართი ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრად იქცევა, ხოლო წინადადების წევრი – განკერძოებულ დანართად: ზურაბს, **ელიზბარის მოხუცებულ მამას**, არ მოსწონდა ელიზბარის ყოფაქცევა (ვაჟა, 6, 177) – ელიზბარის მოხუცებულ მამას, **ზურაბს**, არ მოსწონდა ელიზბარის ყოფაქცევა.

განკერძოებული დანართის ადგილი ხშირად მყარია: ასახსნელი წევრისა და დანართისათვის ადგილების ამგვარი შეცვლა შეუძლებელია.

თუ ასახსნელ-დასაზუსტებელი წევრი თანდებულიანია, როგორც წესი, განკერძოებული დანართიც იმავე თანდებულს დაირთავს: თავადების ზნე კი **თქვენთვის, მშრომელი გლეხებისათვის**, გამოსადეგი არ არის (დად., 299); ბატონი ვახტანგი აყვედრიდა ლევანს და მუდამ **ილიკოზე** უთითებდა, როგორც **მაგალითზე**... (ბარნ., 3, 52); რა კეთილი არიან ბიძია ხოსრო და ბიცოლა კესარია, როგორ მზრუნველობას იჩენენ მისადმი, **ობოლ ირმასადმი**. (გვეტ., 194).

განკერძოებული დანართი მიმყოლი სიტყვებითურთ ნაწერში გამოყოფილია მძიმით (მძიმეებით) ან ტირეთი (ტირეებით), მაგრამ ზოგჯერ იგი ფრჩხილებშიც არის ჩასმული: სირა (**ჩიბუხის ტარი**) დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს. (ვაჟა).

§152. განკერძოებული გარემოება

გარემოების განკერძოება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქართულში იშვიათი მოვლენაა. მაგ.: ერთი იმ დროის კაცი, სახელად გოჩი, ზღვის პირად ცხოვრობდა გამოქვებულში, **სულ მარტოდმარტო** (ვაჟა, 5, 33). შემასმენლისაგან განკერძოებულია ვითარების გარემოება, რომელიც აზრობრივად უფრო დამოუკიდებელია და ლოგიკურად ხაზგასმული, ვიდრე იგივე გარემოება განუკერძოებლად. გარემოების ამგვარ განკერძოებას სტილისტიკური მიზნით მიმართავენ, რომ ის მეტი გამომსახველობითი ძალით აღიჭურვოს.

გარემოების განკერძოება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, გულისხმობს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ერთი გარემოება მიმართება სხვა (წინა) გარემოებას და ხსნის და აზუსტებს მის მნიშვნელობას. მაგ.: გამოღმა, **მარაბდის ზემოთ**, თრიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა. (ჯავ., 4, 142); აქ ორი ადგილის გარემოებაა: **გამოღმა** და **მარაბდის ზემოთ**. ამათგან პირველი (გამოღმა) შემასმენელს ახლავს (სად ბზინავდა? – გამოღმა), ხოლო მეორე (მარაბდის ზემოთ) განკერძოებულია, რომელიც აზრობრივ წინა გარემოებას უკავშირდება და აზუსტებს მის მნიშვნელობას (გამოღმა, მაგრამ სახელდობრ სად? – მარაბდის ზემოთ). თუ წინადადებიდან ამოვი-

ღებთ შემასმენელთან დაკავშირებულ გარემოებას, განკერძოებული გარემოება მის ადგილს დაიჭერს: **მარაბდის ზემოთ** თრიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა.

ქართულში სწორედ გარემოების ამგვარი განკერძოებაა გავრცელებული. ამასთანავე, ჩვეულებრივია ადგილის, დროისა და ვითარების გარემოებათა განკერძოება, ხოლო მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოების შემთხვევები ძალზე იშვიათია.

ა) **განკერძოებული ადგილის გარემოება**. ცალკე აღებული ადგილის გარემოების განკერძოება იშვიათად გვხვდება. მაგ.: ახალუხისას, **სარტყელს ზევით**, ორს ან სამს ღილს თუ შეიკრავდა (ვაჟა, 6, 111); მე პირველად წელს ვნახე მთები, **ყაზბეგში** (გ. რჩ.); მეც თქვენსავით მთიელი ვარ, **კავკასიიდან** (გ. რჩ.); – ცოლ-შვილი ჰყავს? – მხოლოდ ერთი ქვრივი დაი ჰყავს, **ისიც სოფელში**. (გ. ფანჯ.). აქ ადგილის გარემოებაა განკერძოებული. ასეთივე განკერძოებაა ასეთ წინადადებაშიც: ძალიან ცხელოდა, **მთაშიც კი**.

ქართულში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ორი ადგილის გარემოებიდან მეორე ხსნის და აზუსტებს პირველს, ე.ი. განკერძოებულია: ჩემ წინ, **ცოტა მოშორებით**, გამოჩნდა დიდი სასახლე (ვაჟა, 6, 147); ღობესთან, **ერთი ფურცლის ხის სიახლოვეს**, მოჩანდა ძველი ჩალური... (ჭავ., 325); იქვე, **ჰატარა ჰალოებზე დაბმული კრუხების ირგვლივ**, ოქროსფერი წიწილები წიოდნენ. (გვეტ., 68).

წინადადებაში ზოგჯერ რამდენიმე განკერძოებული ადგილის გარემოებაა, რომელთაგანაც ჩვეულებრივ ყოველი მომდევნო აზუსტებს მის წინა გარემოებას: ქვევით, **კედელთან, კარების ახლოს**, გაშავებული პურის კიდობანი იდგა (რაზ., 52); ბერაანთ სახლის ბოლოს, **მურყიანში, წისქვილის სარუის გვერდზე**, დარეჯანის ყვირილი, ჯავრობა ისმოდა (ვაჟა, 5, 50); შორს, **ხრამის წყლის გაღმა, ბორჩალოს და ლორის სახღვარზე**, ლელვარის თოვლიანი მწვერვალი იწოდა (ჯავ., 4, 142); ქვევით, **ხევსგაღმა, ვერის ბაღში**, არღანი უკრავდა (გვეტ., 54); კახეთში, **წყაროსთავის ქვევით, ვეება ხვრებსა და ხეხილის ბაღებს შორის, მოშამბული სარწყავი არხის ნაპირას**, დგას ერთი ძველი, ძალიან ძველი სასახლე. (რ. ინან.).

განკერძოებული ადგილის გარემოება დასახელებულ მაგალითებში უშუალოდ მოსდევს დასაზუსტებელ ადგილის გარემოებას, მაგრამ ზოგჯერ (თუმცა იშვიათად) გათიშულია მისგან: ჯარი ალგეთის პირას იყო დაბანაკებული, **ქოთიშში**... (ბარნ., 1, 375). ახლა გაღმიდან დაუწყო თვალიერება, **რიყის მხრიდან** (ბარნ., 2, 223); აქ კიდევ შეიძლებოდა შველა, **ამ მორევში**, მაგრამ იქ, **იმ უცნაურ ჩანჩქერში**, ვინღა რას გააწყობს! (წერ., 7, 133).

აზრობრივი მიმართება განკერძოებულსა და გარემოებას შორის, რომელსაც ის ახლავს, სხვადასხვაგვარია:

ა) პირველი გარემოება გამოხატავს უფრო ფართო, ზოგად

ცნებას, ვიდრე განკერძოებული: სადღაც შორს, **ჭალის ბოლოში**, ჭოტი კიოდა (ჯავ., 1, 34); სახლის წინ, **მარჯვნივ**, ბაღჩა გაეშენებინათ... (ბარნ., 1, 211).

ბ) განკერძოებული ადგილის გარემოება უფრო ზოგადს გამოხატავს, ვიდრე მის წინ მდგომი გარემოება: ვაჟა-ფშაველა დაიბადა ჩარგალში, **ფშავში**; მელიტონი დაიბადა ზუგდიდს, **სამეგრელოში**, 1878 წელს („სახ. გან.", №96, 1972). ამ ტიპის განკერძოება იშვიათია.

გ) განკერძოებული გარემოება იმავე მოცულობის ცნებას გამოხატავს, რასაც მის წინ მდგომი: საწერეთლოში, **ზემო იმერეთში**, ბევრი კარგი სოფელია... (წერ., 1, 6). ამ ტიპის განკერძოებული ადგილის გარემოება წინა გარემოებასთან შეიძლება შეერთებული იყოს მაიგივებელი კავშირით: ორივე გზამ მიგვიყვანა... რომში, ე.ი. **ჭეშმარიტებასთან** (გოგ., 2, 118); საზეიმო განწყობილებაა არჩევნების წინა დღეებში რესპუბლიკის ერთ-ერთ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში – **ქუთაისში** („ახ. კომ." 14/VII-59).

განკერძოებული ადგილის გარემოება და წინა გარემოება ერთი და იმავე ან სხვადასხვა მეტყველების ნაწილით გადმოიცემა. ამ მხრივ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) განკერძოებული და მის წინ მდგომი ადგილის გარემოება – ორივე ზმნიზედითაა გადმოცემული: წინათ აქ, **ირგვლივ**, ყველგან სალი კლდეები იყო (ლორთქ., 2, 288); მე იქ, **მაღლა**, მეზარებოდი და შენ კი აქ, **დაბლაც**, დამხვდი? (წერ., 8, 89).

ბ) პირველი გარემოება ზმნიზედითაა გადმოცემული, განკერძოებული – სახელით; აქ, **ხევისკენ**, იდგა უზარმაზარი კაკალი (ბარნ., 2, 180); სახლის წინ მტკვარი მარჯვნივ დაქანებულიყო, **ბურჯებისაკენ**. (ბარნ., 2, 224).

გ) განკერძოებული და ასახსნელ-დასაზუსტებელი ადგილის გარემოება – ორივე სახელით არის გადმოცემული. აქ შეინიშნება რამდენიმე შემთხვევა, სახელდობრ:

1. დასაზუსტებელი და განკერძოებული გარემოებები ერთსა და იმავე ბრუნვაშია და ერთსა და იმავე თანდებულს დაირთავს; შუაგულ **ტყეში**, ერთ თითქმის მიუვალ **ნაპრალში, გამოქვაბულში**, ისხდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშიშხინებდნენ! (წერ., 264).

2. ბრუნვა ერთია, თანდებული (ან ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) – სხვადასხვა: ორივე გზამ მიგვიყვანა... **რომში**, ე.ი. **ჭეშმარიტებასთან** (გოგ., 2, 118); **მთებს აქეთ, ცის კამარაში**, ძერა ტრიალებდა (გვეტ., 159); ომგადახდილი ლაშქარი **ალაზნის გამოღმა** დაბანაკდა, **ქიზიყის ბოლოს** (ბარნ., 3, 282); – სადა ვარ? – **ჩემთან, სენაკში**... (ლორთქ., 2, 23); **კარების მარჯვნივ, წინა კედლის სისწვრივ**, ციხელს ჰქონდა გამართული ლოგინი. (ვაჟა, 6, 158).

3. ბრუნვის ფორმა ერთია, მაგრამ ერთი თანდებულიანია, მეო-

რე – უთანდებულო: **ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს,** მოჩანდა ძველი ჩალური... (ჭავ., 325)

4. ბრუნვის ფორმაც სხვადასხვაა და თანდებულიც (ან ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით): **საბძლისა და გომურის შუა, ბოსტნის კუთხეში,** ერთი წამით არსენას დედა მელანო და ჰაჰა მახარა გამოჩნდნენ (ჯავ., 4, 39); **ბაღჩაში, თალარის გარეთ,** ორ ვაჟკაცს ეძინა გაუხდელს (ბარნ., 2, 36); **საწოლის ზევით, კედელზე,** უბრალო ჩარჩოში ჩასმული სურათები ეკიდა (გვეტ., 468); ტყის **ფერდობზე, ძირიდან დაწყებული მწვერვალამდე,** მშვენიერი ნაძვის ტყეა ამართული (ევდ., 3, 312).

ბ) **განკერძოებული დროის გარემოება.** დროის გარემოების განკერძოება უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე ადგილის გარემოებისა. აქაც გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

1. განკერძოებულია ცალკეული დროის გარემოება: კავკასიონის ქედი თოვლით არის დაფარული, **ზაფხულშიც კი;** მას ფეხით სეირნობა ძალიან უყვარდა, **განსაკუთრებით მზიან ამინდში;** შინ მხოლოდ დასაძინებლად შედიოდა, **შეღამებისას** (გ. შატბ.); ზოგჯერ, **უფრო კი ავდარში,** თოფს აიკიდებს და ტყეს დაათვალიერებს (ჯავ., 1, 115); იქ ძალიან ცხელოდა, **განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში.**

2. შედარებით უფრო ხშირია, როცა განკერძოებული დროის გარემოება დანართი წევრია, აზუსტებს და განმარტავს წინა დროის გარემოებას: **ამჟამად** იქ, **ნოემბრის დამლევს,** ისევ ზაფხულია (ჯავ., 2, 99).

აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით აქაც იმის მსგავსი სურათი გვაქვს, რაც ადგილის გარემოების განკერძოებისას:

ა) განკერძოებული დროის გარემოება უფრო მცირე დროის მონაკვეთს აღნიშნავს, ვიდრე დასაზუსტებელი: იმავე დღეს, მზის ჩასვლისას, საქართველოს ძლევამოსილი ლაშქარი დიდის ამბით დაბრუნდა სიღნაღში (ლომ., 446); ქორწილის მეორე დღეს, **სადილის შემდეგ,** ჩვენი ლუარსაბი შექეიფიანებული წავიდა და ფანჩატურში დაწვა (ჭავ., 352); 1582 წელს, **აპრილში,** მეფის კარს დიდი მხიარულება იყო. (ბარნ., 1, 106).

3. განკერძოებული დროის გარემოება განმარტავს წინა გარემოებას, ე.ი. აღნიშნავს დროის იმავე მონაკვეთს, რასაც ასახსნელ-დასაზუსტებელი. ამ შემთხვევაში შეიძლება მაიგივებელი კავშირიც (ე.ი.) იქნეს გამოყენებული: ბოლოს, **ბევრი ფიქრისა და ტორტმანის შემდეგ,** ტყეში გადასახლება გადაწყვიტა (ჯავ., 1, 114); ქალვაჟის ერთმანეთისადმი თანაგრძნობა ადრევე დაიწყო, **პატარაობიდანვე** (ბარნ., 3, 201); ამ დროს, **ესე იგი მესამოცე წლებში,** იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას (წერ., 1, 71) მეორე დღეს, **კვირას,** ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა (ვაჟა, 6, 180); ეს ამბავი მოხდა მარიამობისთვის სამს, **ხუთშა-**

ბათს (ბარნ., 2, 202); ...აღარც განშორებია მას ბოლომდის, **მოლოზნად აღკვეცამდის** (ბარნ., 3, 343); ეხლაც, **ამ გაჭირვების დროს**, ამავე ადგილს მიმართა ქალმა. (ბარნ., 2, 180).

ი'შვიათად შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შემთხვევა, როცა განკერძოებული დროის გარემოება უფრო ზოგადს აღნიშნავს, ვიდრე წინა გარემოება: თამარი დაიბადა პირველ მაისს, **1954 წელს**.

ბ) **განკერძოებული ვითარების გარემოება**. მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულია ვითარების გარემოების განკერძოებაც. აქ ორი ძირითადი შემთხვევაა გასარჩევი:

1. ერთი ან რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოება განკერძოებულია შემასმენლისაგან: ერთი იმ დროის კაცი, სახელად გოჩი, ზღვის პირად ცხოვრობდა გამოქვაბულში, **სულ მარტოდ მარტო** (ვაჟა, 5, 33); დანიშნულ დღეს, **დაპირებისამებრ**, ოტია გამოწყობილი ყავისფერ ჩოხაში, სატინის წითელი წინწკლებიანი ახალუხით, თმა-წვერ შეკრეჭილი, ნათხოვარი ცხენით ჩამოვიდა ქალაქში ბიაშვილთან... (კლდ.,1,245); მეორე ღამეს,**ჩვეულებისამებრ**,ავანთე ლამპარი, დავწექ და დავიძინე (წერ., 1, 125), ... დედა პირველი მიდგა თაროზე, ჩამოიღო ხელის კანკალით მაღლიდან ჩანგური და, **ანდერძისამებრ**, სიფრთხილით ჩამოჰკრა სიმებს... (წერ., 1, 149); პელაგო მას შიგ თვალებში შესცქეროდა – **მკვახედ, ცივად** და **ბღვერით** (ჯავ., 1, 352); ვაჩემ ხელი დაადო მოზაიკას, **ფრთხილად** და **სათუთად** (გ. აბ.); ის გააცნობდა თავის ახალ აღმოჩენებს, **წყნარად, დაჯერებულად**. (ლეონ.).

ამ ტიპის განკერძოებულ ვითარების გარემოებას ზოგჯერ დათმობის ელფერი გადაჰკრავს: დამთანხმდნენ, **თუმცა უგემურად** (ბარნ., 2, 272); – დამპირდი, რომ... – შესდგა მთიელი, მაგრამ მაშინვე, **თუმცა ჩუმად**, მაგრამ **მტკიცედ** და **მკაფიოდ**, დაუმატა – დამპირდი, რომ მაზიარებდი. (ყაზ., 2, 452).

2. დანართი განკერძოებული ვითარების გარემოება აზუსტებს და ავსებს წინა ვითარების გარემოებას: მრავალნაირი ფიქრები **ერთად, რეულად**, გონების თვალწინ წარმომიდგნენ (ჭავ., 250). აქ ორი ვითარების გარემოებაა: **ერთად** და **რეულად**. ამათგან პირველი შემასმენელს უკავშირდება (როგორ წარმომიდგნენ? – **ერთად**), ხოლო მეორე დანართი წევრია და აზუსტებს პირველის მნიშვნელობას (ერთად, მაგრამ, სახელდობრ, როგორ? – **რეულად**). განკერძოებული ვითარების გარემოება დასახელებულ წინადადებაში უშუალოდ მოსდევს დასაზუსტებელ გარემოებას. ამავე ტიპის მაგალითებია: ...თვალი თვალს უსწორდება ისე, **შემთხვევით** (ტაბ.), თუ ბატონები არ მიუთითებდნენ, ისე, **თავისთავად**, ხელს არაფერსა ჰკიდებდნენ (წერ., 7, 38); ...ქვაბები გამოჩნდა შავად, **შავს ყორნებივით** (ვაჟა, 6, 365); ციხელის სიტყვები კარგად, **გარკვევით** გვესმოდა (ვაჟა, 6, 143); ერთხანს იბორგა, მერე კი იმ ღამესაც ისე დაიძინა, როგორც

ყოველთვის ეძინა – **მშვიდად, უშანკოდ და არხეინად**. (ჯავ., 3, 126).

განკერძოებული ვითარების გარემოება გათიშულია წინა გარემოებისაგან: ამაყ და გულმართალ ბიჭს ბუნება ნებას არ აძლევდა მონურად მოქცეულიყო, **სულმდაბლად** (ბარნ., 3, 40); ის კი ეუცხოვა ქალს, რომ მეფე ესე უბრალოდ მოეგება მას, **სულ ოთხი კაცის ხლებით** (ბარნ., 3, 257); [გიორგის] ეხლა თბილად ეცვა, **იქაურულად**. (ბარნ., 3, 38).

წინადადებაში ზოგჯერ წინა გარემოების რამდენიმე დამაზუსტებელი ვითარების გარემოებაა, ე.ი. შერწყმულია: ...ჩემი გული **მოტორივით** მუშაობდა – **მტკიცედ, მკაფიოდ** და **ხალვათად** (ჯავ., 3, 485); ...ორივეს ცხენების **დალალივით** სინჯავდა: **ღიმილით, ურცხვად** და **მოურიდებლად** (ჯავ., 2, 291); ყველა მოწმე, როგორც ერთი კაცი, **ერთნაირად** იმეორებდა – **მტკიცედ, დაჟინებით** და **რიხიანად**. (ჯავ., 3, 390).

რამდენიმე ერთგვარი განკერძოებული ვითარების გარემოება შეიძლება ახლდეს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას. ისე მიეგებენ ერთმანეთს, თითქოს ერთი დღის უნახავნი იყვნენო: **დინჯად, მშრალად, გულგრილად** (ჯავ., 2, 455); ...იმ ღამესაც ისე დაიძინა, როგორც ყოველთვის ეძინა – **მშვიდად, უშანკოდ და არხეინად**. (ჯავ., 3, 126).

შენიშვნა 1. მიზეზისა და მიზნის გარემოებათა განკერძოება ი შ ვ ი ა თ ი ა. დამაზუსტებელი მიზეზის გარემოებაა, მაგ., შემდეგ წინადადებაში: ბოლოს თარაში მის გამო, **არზაყანის გამო**, გადაეკიდა იმ ...ტარბებს. (გამს.)[226]. მიზნის გარემოების განკერძოების მაგალითია: ...დედაჩემმა განგებ, **გამოსაცდელად**, სწორედ ამ ადგილზე მოიცხო ტყლაპიო. (წერ.).

შენიშვნა 2. წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე სხვადასხვა სახის განკერძოებული გარემოება (მაგ., დროისა და ადგილისა): ერთხელ, **გაღმა, საბურთალოზე, მზის ჩასვლისას, ჭადარს ქვეშ**, მოეყარათ თავი ახალგაზრდა ოჯახიშვილებს და თათბირობდნენ (წერ., 8, 172). **მზის ჩასვლისას** განკერძოებული დროის გარემოებაა, **საბურთალოზე** და **ჭადარს ქვეშ** – ადგილისა.

§153. განკერძოებული (დამაზუსტებელი) შემასმენელი

შემასმენელი, როგორც ვიცით, წინადადების ძირითადი წევრია. ამიტომ მისი განკერძოება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შეუძლებელია. მას, ისევე, როგორც სხვა მთავარ წევრებს, შეიძლება ახლდეს ისეთი შემასმენელი, რომელიც განმარტავს და აზუსტებს მის მნიშვნელობას. მაგ.: [ხვარამზე] კარგა ხანს იყო ამ ყოფაში და ბოლოს ეშველა – **მოკვდა**. (ნინ., 341). მესამე შემასმენელი (მოკვდა) ხსნის და განმარტავს წინა შემასმენელს (**ეშველა**-ს), რომელიც, ამ

[226] ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, 1956, გვ. 258.

ახსნა – განმარტების გარეშე, შეიძლება კაცმა სულ სხვაგვარად გაიგოს. ასეთ დანართ-დამაზუსტებელ შემასმენელს განკერძოებული მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ.

დასახელებულ მაგალითში შეერთება უკავშიროა, მაგრამ ზოგჯერ იგი წინა შემასმენელთან მაიგივებელი კავშირით არის შეერთებული. განკერძოებული შემასმენელი ხშირად გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით: ...მშვილდის ბაწარს ჰგრეხს, ანუ, როგორც ფშაველი ამბობს, **სძახს** (ვაჟა, 5, 73); ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე.ი. **რასმე ვისაუზმებდით** (წერ., 1, 36); მერცხალას შარშან ჭირისაგან საქონელი დაეხოცა **(დაელია)**. (ვაჟა, 7, 32).

დამაზუსტებელი შეიძლება ახლდეს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილსაც: მშვენიერი იყო ბუნება, **მომხიბლავი** (ბარნ., 2 442); ეს წუთი მძიმე იყო მისთვის, **აუტანელი**. (ბარნ., 2, 282).

მარტივ შემასმენელს თუ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს ზოგჯერ რამდენიმე ერთგვარი დამაზუსტებელ – განმმარტველი ახლავს: ბიჭები გარს უვლიდნენ ურმებს: **უწყობდნენ, ასწორებდნენ, ამაგრებდნენ, აკრავდნენ** (ბარნ., 2, 141); შეკაზმულობაც თავისებური ჰქონდა ამ მერანს: **მსუბუქი, კოხტა, მინანქრებით მორთული.** (ბარნ., 3, 197).

შემასმენელს, რომელიც აზუსტებს და განმარტავს წინა შემასმენლის კონკრეტულ მნიშვნელობას, შეიძლება ახლდეს საკუთარი ქვემდებარე (და სხვა წევრებიც): შენ იყავ მაშინ გასათხოვარი, ესე იგი **შენ ჯერ გაყიდული არ იყავ**. (ჭავ., 513). ამ ტიპის დამაზუსტებელ წინადადებას შეიძლება განმარტებითი ვუწოდოთ (§616).

§154. ორიოდე დამატებითი ცნობა არამთავარ წევრთა განკერძოების შესახებ

წინადადებაში ზოგჯერ არის ისეთი განკერძოებულიც, რომელიც უბრალო დამატებისა თუ გარემოების გაგებას იძლევა. ასეთია, მაგალითად, **გარდა** და **მიუხედავად** თანდებულიანი გამოთქმები, რომლებიც სასკოლო გრამატიკაში ჩართულადაა მიჩნეული.

გარდა ჩვეულებრივ ნათესაობითის ფორმას დაერთვის და ორგვარი მნიშვნელობითი იხმარება:

ა) გამოყოფს და გამორიცხავს სახელით აღნიშნულ საგანს: ...ყველანი, **გარდა მამიჩემისა**, შემოვუსხედით სუფრას (ვაჟა, 5, 69); უცხოელებიც, **ერთის გარდა**, ჯერ თვალებგაფართოებული უსმენდნენ (დად., 37); ...მისვლას ვერავინა ბედავდა, **გარდა არწივებისა** (ვაჟა, 6, 473); სახეზე კი არაფერი ეტყობათ, **გარდა მტრობისა** (ვაჟა, 5, 315); ცოდნა, **გარდა ანბანისა**, არაფერი ჰქონდა (ვაჟა, 5, 91); [მელიებს] ერთხელ მთელი დღე არაფერი უჭამიათ, **გარდა დამპალი ვაშლებისა**. (გოგ., 76).

ბ) გამოყოფს და ჩარიცხავს სახელით გადმოცემულ საგანს: პავლემ ...გოგიას, **ტანისამოსის გარდა**, ხმელი ხილიც მიუტანა (ჯავ., 1, 118); ...**გარდა ბულბულისა**, აქ სხვა მგალობლებიც გახლავანთ (ვაჟა, 6, 352); ამოდენა ხალხში, **ლამაზ მეამანქანეთა გარდა**, კიდევ ერთი ქალი ურევია. (ჯავ., 3, 251).

გარდა-ს მნიშვნელობით იხმარება **მეტი**, რომელიც აგრეთვე ნათესაობითის ფორმას დაერთვის: არ მოუკლავს ვეფხვი, **ერთის მეტი**, და ისიც უნებურად თურმე შემოაკვდა (ვაჟა, 6, 1340; „წიგნის“ სწავლა მთაში საკუთარი მეცადინეობით არის გავრცელებული და, ვფიქრობ, ამ მხრივ, მაგალითად, ფშავ-ხევსურეთს, **გურიის მეტი**, სხვა მხარე ვერ შეედაროს. (ვაჟა, 7, 341).

ასეთ გამოთქმებს, რომელთაც განკერძოებული უბრალო დამატების მნიშვნელობა აქვთ, ზოგჯერ დამოკიდებული წინადადებაც ახლავს: ...ვერავინ დავინახე, **პატარა ბავშვის გარდა, რომელიც ბურთს დასდევდა** (ჯავ., 2, 134); მცხეთელებს, **გარდა იმისა, რომ ფაცერს გვიდგამენ** იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, შემოუღიათ სხვანაირი, გუდულის მსგავსი ბადეები, რომელსაც საორაგულე ბადეს ეძახიან. (ვაჟა, 6, 330).

მიუხედავად აგრეთვე ნათესაობითის ფორმას დაერთვის და მთელ გამოთქმას გარემოების მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, დათმობისა: **მიუხედავად ამისა**, ქამუშაძეების წინადადება არ იქნა ღირსეულად მიღებული (კლდ., 1, 215); **მიუხედავად ამ ახირებულობისა**, ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა (წერ., 1, 84); **მიუხედავად ასეთი გამარჯვებისა**, მორჩაძის ბრძოლას ნათელი აკლდა. (გვეტ., 173).

განკერძოებული გარემოების მნიშვნელობა აქვს ისეთ გამოთქმას, როგორიცაა: **უპირველესად ყოვლისა**: მწერალს, **უპირველესად ყოვლისა**, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს. (ვაჟა, 7, 309).

წინადადებასთან ბრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები

§155. მიმართვა

განკერძოებულ სიტყვას ან სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც აღნიშნავს მისამართ პირს, **მიმართვა** ჰქვია. მაგ.: შენ იცნობ კარგად, **სოლომონ**, ჩემს გულს (ბარ., 52). მიმართვაა **სოლომონ**, რომელიც სინტაქსურად არ არის დაკავშირებული რომელიმე წევრთან. აქ მიმართვა შედის წინადადების შემადგენლობაში, მაგრამ იგი ზოგჯერ ცალკე დგას: – **თამრო**!... – შევკივლე მე კანკალით და თრთოლვით. – **გაბრიელ**!... – მომაძახა იმან და ზედ მკერდზედ ფერმიხდილი დამეცა. (ჭავ., 317).

დასახელებულ მაგალითებში მიმართვა ერთი სიტყვით არის გადმოცემული, ე.ი. გაუვრცობელია, მაგრამ იგი ხშირად გავრცობილია მიმყოლი სიტყვებით. მიმართვასთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვა ჩვეულებრივ განსაზღვრებაა, იშვიათად – სხვა არამთავარი წევრიც: ჰოი, **ბნელო** ღამევ! მეჯავრები შენ მე! (ჭავ., 257); **ბუნების ძალნო**, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა (ვაჟა, 5, 256); **ძალნო ბუნებისანო**, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი! (ვაჟა, 6, 5). პირველ წინადადებაში მიმართვას ახლავს შეთანხმებული განსაზღვრება (**ბნელო**), მეორეში – მართული (**ბუნების**), მესამეში – **მართულ-შეთანხმებული** (ბუნებისანო).

მიმართვასთან უშუალოდ დაკავშირებულ წევრს შეიძლება ახლდეს თავისი ამხსნელი სიტყვა და ა.შ. მაგ.: რა მშვენიერი რამა ხარ, **დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!** (ჭავ., 257). აქ მიმართვას უშუალოდ ახლავს შეთანხმებული განსაზღვრება (**პირდაბანილო**), რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს უბრალო დამატება (**ცვრით**), ხოლო ამ უკანასკნელს – მართული განსაზღვრება (**დილის**).

მაშასადამე, მიმართვას შეიძლება ახლდეს არამთავარი წევრები, მაგრამ თვითონ გრამატიკულად არ უკავშირდება რომელიმე წევრს და წინადადების წევრადაც არ ითვლება. ამიტომ მას, ცალკე თუ მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, წინადადებაში სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს.

მიმართვა გადმოიცემა არსებითი სახელით. მეორე პირი, რომელსაც მოუბარი მიმართავს, საზოგადოდ, ადამიანია, ამიტომ მიმართვად ძალიან ხშირია ადამიანთა საკუთარი სახელები, აგრეთვე ნათესაობის, სქესის, ასაკის, წოდების, პროფესიის, თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები. მიმართვა პოეტურ მეტყველებაში არცთუ იშვიათად გვხვდება არამოუბარი საგნების მიმართაც, ამიტომ მიმართვად ხშირად იხმარება როგორც სხვა სულიერ საგანთა (ცხოველების, ფრინველების...), ისე უსულო და განყენებულ საგანთა სახელებიც. მაგ.: – გამარჯობა, **გიორგი**! – გაგიმარჯოს, **არსენ**! (ჯავ., 4, 547); რას ამბობ, **კაცო**? (ჭავ., 443); ვინა ხარ, **შვილო**? (ჭავ., 192); გასწი, **მერანო**, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი! (ბარ., 29); ტყე ხშირია, **კურდღელო**, და დაბურული (რაზ., 336); არა სტყუი, არა, **ბატონო მამალო** (ვაჟა, 6, 198); **თავისუფლებავ**, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი (ჭავ., 141); **სულო ბოროტო**, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად? (ბარ., 33).

მიმართვა არსებითი სახელის გამოტოვებისას ზედსართავი სახელით, მიმღეობით, ნაცვალსახელით და რიცხვითი სახელითაც გადმოიცემა, რომელნიც ამ შემთხვევაში არსებითი სახელის მნიშვნელობით არიან გამოყენებული: ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, **კარგებო**! (ვაჟა, 5, 317); რა გატირებს, **ჩემო კარგო**!... (ჭავ., 460); ნუ გეშინიან, **პატარავ**, არ დაშრები, არ დაიკარგებიო! (ვაჟა, 5, 61); ისმინე,

სწავლის მძებნელო! მოჰყევ დავითის მცნებასა (გურ.); მშვიდობით, **ჩემნო**, თვალში ცრემლით განებებთ თავსა. (ჭავ., 4).

ნაცვალსახელთაგან მიმართვად უფრო ხშირად მეორე პირის ნაცვალსახელებია გამოყენებული. ცალკე ეს ნაცვალსახელები მიმართვის გადმოსაცემად იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირად მათ ახლავს მიმყოლი სიტყვები, რომლებიც იძლევიან მისამართი პირის თვისებრივ დახასიათებას. ნაცვალსახელებს ჩვეულებრივ ჩამოშორებული აქვს **ნ**. ასეთი მიმართვა სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და ატარებს შინაურულობის, ზოგჯერ უხეშობის ელფერს: **შენ**, ე.ი. **ჩიტუნიავ**, მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი, მოგილოცო შენი დღესასწაული (ვაჟა, 6, 348); თქვენ, ეი, **ხალხნო** და **ჯამაათნო**, სმენა იყოს და გაგონება! (რაზ., 151); მოგწყინდა განა, **შე ცუღლუტო**, წიგნის კითხვა? (ჭავ., 274); გაგეგებათ, **თქვე საწყლებო**? (რაზ., 307); **თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო**, ჩემი ჩურჩხელებისათვის გვერდები გიტკენიათო... (ევდ., 3, 183).

ნაცვალსახელები შეიძლება განმეორდეს **შენა**-სა და **თქვენა**-ს სახით; ეჰ, **შე დალოცვილო, შენა**, რა ქნან? (რაზ., 284); აი, **თქვე საძაგლებო, თქვენა**, კინაღამ წიწილებს არ შემაჭამეს! წინათვე ვერ გამაგებინებდით, **თქვე კუდიანებო, თქვენა**! – იცინოდა მამა. (რაზ., 325).

არსებითი სახელით გადმოცემულ მიმართვას არაიშვიათად მოსდევს მეორე პირის ნაცვალსახელის შემცველი მიმართვა განსაზღვრებად, რომელიც მისგან განკერძოებულია: **კატავ, შე ამოსაგდებო**, ცოტა ხანს დამაცალეო! (ვაჟა, 2, 59); **ბიჭო, შე ოჯახქორო**, სუ, გაჩუმდი, რას ამბობ, **შე თავხედო**? (ვაჟა, 5, 290).

მოუბარი (პირველი) პირი ზოგჯერ თავისთავსაც მიმართავს. ამ შემთხვევაში მიმართვად თვით მოუბარი პირის სახელია ან უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად, ან კიდევ მეორე პირის ნაცვალსახელი **შენ**, რომელსაც ახლავს უკუქცევითი ნაცვალსახელი მიმყოლი სიტყვებითურთ: ჰა, **პეტრევ**! – არიგებდა პეტრე თავისთავს, – არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს, მართალი არ გეგონოს!... (ჭავ., 410); **ჩემო თავო**, ბედი არ გიწერია (წერ.); [სვავი მიმართავს თავისთავს]: რაზე კვდები მშიერი, **შე ბრიყვო ჩემო თავო**, ადექ. (რაზ., 103).

„კუთვნილებითი **შენი** და **თქვენი** წოდებითს ვერ აწარმოებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელოვნურს, რუსული ენის ზეგავლენით გაკეთებულს „თქვენო აღმატებულებავ“ და მისთანა ფორმებს“[227]. გლეხები გახლავან, **თქვენო მაღალაღმატებულებავ**, ახლო-მახლო სოფლების თავი კაცები არიან. (ჯავ., 4, 98).

მიმართვის გამოყენების სფერო მრავალფეროვანია. იგი ხშირად გვხვდება დიალოგებში (იშვიათად ავტორის მეტყველებაშიც),

[227] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 101.

ლოზუნგებში, მოწოდებებში, მისალმება-გამომშვიდობების ფორმულებში, კერძო და საქმიან მიმოწერაში, საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში...

მიმართვა შეიძლება განმეორდეს, რაც აძლიერებს ემოციურობას, მის ექსპრესიულობას. განმეორების ხასიათი სხვადასხვაგვარია:

ა) მიმართვა მეორდება უცვლელად: ჰე, **ცაო, ცაო**, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული! (ბარ.); **მთებო, მთებო!** რას ელით, ვის ელით? (ვაჟა, 5, 317).

განმეორებული მიმართვა შეიძლება გათიშულ იქნეს (მაგ., ჩართულით, წინადადების წევრებით და სხვ.); **დარეჯან**, შენი ჭირიმე, **დარეჯან!** სიზმარი ცხადდება! (ჭავ., 379).

ბ) გავრცობილ მიმართვას განმეორებისას შეიძლება დაერთოს განმსაზღვრელი სიტყვები... **შვილებო, ჩემო ტკბილო შვილებო**, თქვენ გენაცვალოსთ თქვენი... დედა-მშობელი. (ვაჟა, 6, 323).

გ) გავრცობილ მიმართვას განმეორებისას შეიძლება დაემატოს ახალი განსაზღვრება: ოჰ, **ჩემო შვილო, ჩემო პატარავ, პაწაწკინტელა შვილო**, ვინ იცის, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი?. (ვაჟა, 6, 289).

გაუვრცობელი მიმართვის განმეორების თავისებურ შემთხვევას წარმოადგენს ისეთი ორგზისი განმეორება, როცა მეორე პირველთან შეერთებულია აი (ჰა, ჰაი) ნაწილაკით. ასეთი განმეორება გვხვდება სასაუბრო მეტყველებაში და გამოხატავს დაჟინებითსა და დაბეჯითებითს მისწრაფებას, მიიპყროს იმ პირის ყურადღება, ვისაც მიმართავს მთქმელი: **პეტრე, აი პეტრე**! – დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს (ჭავ., 457); **ბეკო, ჰა ბეკო**! (ვაჟა, 6, 366); **გიო, ჰაი გიო**! – მოისმა ამ დროს ხმა გარედან (ევდ., 3, 62); მამა, **ჰაი მამა**! – დაიძახა პატარა მიხამ. (ლომ., 343).

ერთი და იმავე პირისა თუ საგნისადმი ზოგჯერ რამდენიმე მიმართვა არის ნახმარი. ასეთი მიმართვები ერთგვარებია, რომელთა ემოციურობისა და გამომსახველობის ძალა უფრო მეტია, ვიდრე ერთეული მიმართვისა: **გიორგი! შვილო!** არ მეტყვი, **ბიჭო**, რა წაგეკიდა? (ჭავ., 437); უი, შენ კი გენაცვალოს დედა-შენი, **ჩემო ქებავ და დიდებავ**! (ჭავ., 433).

განმეორებულ მიმართვას ან რამდენიმე მიმართვას ერთი და იმავე პირისადმი შეიძლება თან ახლდეს შემასმენლის განმეორება, ან ერთგვარი შემასმენლები: ადე, **ბიჭო**, ადე, **შვილო**, გაიღვიძე, ყველამ წაასხა საქონელი! (ვაჟა, 6, 151); იხტუნე, **გიულ**, ჩაბუქნე, **გიულ**, უფრო ბევრ ფულს მოგცემენ! (რაზ., 166).

როცა ერთი და იმავე პირისა თუ საგნისადმი რამდენიმე მიმართვაა, რომელიმე მათგანი შეიძლება განმეორდეს: მაშ კარგი!... **დათო! ბიჭო! დათო**! – დაიყვირა ლუარსაბმა (ჭავ.,337); **გიულ, შვი-**

ლო, შვილო, სად იყავ აქამდე, ვინ გამოგწუწნა მაგრე და გამოგხრა, **შვილო**?! (რაზ., 171).

თუ მეორე პირი ან მეორე პირად წარმოდგენილი საგანი მრავალია და სხვადასხვა, მიმართვაც შეიძლება რამდენიმე იყოს, რომელთაგანაც თვითეული გარკვეული პირისა თუ საგნის მისამართით არის ნახმარი: **სოსიკა, ზაქარია, ბერუა, თედუა**! – ყვიროდა გაბრაზებული სარდიონი (ვაჟა, 6, 25); თქვენ, **შევარდენნო, ქორნო** და **გავაზნო**, ეცადეთ, რომ რამდენი კაციც ჩვენ ბრძოლას დაგვიწყებს, იმდენსვე ქუდი მოსტაცოთ (ვაჟა, 6, 34); ნუ ტირით, **დანო** და **ძმანო**! (ვაჟა, 6, 169).

მიმართვა და მისი განსაზღვრება შეიძლება გათიშულ იქნეს ერთმანეთისაგან: **მთაო**! გადმიშვი, **მაღალო**, რას ნისლი მოგიხვევია? (ყაზ.,2, 391).

მიმართვას ხშირად მოსდევს განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც იძლევა მიმართვით აღნიშნული საგნის თვისებრივ დახასიათებას. განკერძოებული განსაზღვრება მიმართვას შეიძლება ახლდეს ერთზე მეტიც: პირიმზევ, **ტურფავ, ლამაზო**! შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! (ვაჟა, 5, 239); ხომ არ დაგეძინა, შავ-კლდეო, ბოღმა-ნაღველით **შედედებულო, უბედურო, უდაბურო, გულღრძუვო**! – გავუმეორე კვალად (ვაჟა, 6, 21); ირემო, **მთასა მყვირალო**, რად ჩამოვარდი ბარადა? (ხალხ.).

განკერძოებულ განსაზრვრებას, რომელიც მიმართვას ახლავს, ზოგჯერ დათმობის შინაარსი აქვს: მეც შენსავით, **ჩემო ჭაბუკო მკითხველო, თუნდა მოხუცო** და **დარბაისელო**, ჭაბუკობისას სოფლად მიკრეფია იის კონები, თაიგულად შემიკრავს და მოკრძალებით მიმირთმევია იმისათვის... (დად., 85).

ერთგვარი მიმართვებისაგან უნდა გავარჩიოთ მიმართვა და მისი დანართი (დანართები): **ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო**! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული! (ვაჟა, 5, 240); **ტყეო, დედამიწის გვირგვინო**, მუდამაც იხარე ფოთლით და ნაყოფით (ვაჟა, 6, 5); **არწივო, მედიდურო ფრინველო**! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად სულდგმულთა სისხლს აქცევ (ვაჟა, 5, 240).

დასახელებულ მაგალითებში ერთგვარი მიმართვები კი არა გვაქვს, როგორც შეიძლება იფიქროს კაცმა, არამედ მიმართვა და მისი დანართი მიმართვები, რომლებიც აზუსტებენ წინა მიმართვის მნიშვნელობას.

რამდენიმე მიმართვა ერთი და იმავე ან სხვადასხვა პირისა თუ საგნისადმი, ან კიდევ მიმართვის მიმყოლი დანართები და განსაზღვრებები შეიძლება შეერთებულ იქნეს უკავშიროდ ან მაერთებელი

კავშირებით: ვაჰმე, ვაჰმე, ვაი **ჩემო ამაგო, ჩემო უნაყოფო შრომავ!** – ამბობდა მწარე ღიმილით მოხუცი (ვაჟა, 5, 274); დაგიმიწდა, **თოფო** და **ხმალო**, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... (ჭავ., 429); **ლომო** და **გმირო** ტარიელ, ვის თავი გინაზებია (რუსთ, 285, 2); შენ გენაცვალე, **ტყევ დაბურულო, ჩემო სიცოცხლევ, სულო** და **გულო**... (ვაჟა, 5, 157); ნეტავი შენა, **შავნისლო, შეუბოვარად მდინარო**, ხან **ქვეყნის დამბნელებელო, ხან ზღვის უბეში მძინარო!** (ვაჟა, 1, 19); ... ის, რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, **ჩემო ძველის გზის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!**... (ჭავ., 387).

მიმართვას არაიშვიათად შეიძლება ახლდეს მთქმელის ამა თუ იმ გრძნობის, ემოციის გამოხატვა, რომელიც მთელ გამონათქვამს ეკუთვნის. ეს ემოცია შეიძლება იყოს ალერსობითი, ზიზღისა, დაცინვისა, თანაგრძნობისა, საყვედურისა, დანანებისა, შიშისა, თხოვნა-მუდარისა, გულთბილობისა... ამა თუ იმ ემოციური შეფერილობის გამოსახატავად მნიშვნელობა აქვს მიმართვის ლექსიკურ შინაარსს, განსაზღვრებას, შორისდებულებს, ინტონაციას. მაგ.: **ეჰ, ძმობილო!** – ვუთხარი გულნატკენად (ჭავ., 272); აფსუს! აფსუს! **წისქვილო!** (ვაჟა, 5, 113); **ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა!** ეგ არის თქვენი ბიჭობა?! (ვაჟა, 6, 168); **ეჰ, დედი!**... ზოგჯერ ძილიც ძილი არ არის...(ჭავ., 437); ოჰ, რა კარგი ხარ, **ჩემო დედილო!** (რაზ., 337); **ჰოი, ბნელო ღამევ!** მეჯავრები შენ მე! (ჭავ., 257); **ჰი, შე უმადურო, შენა!** (ვაჟა, 6, 99); **ეჰ, შე დალოცვილო, შენა**, რა ქნან? (რაზ., 284).

მიმართვას საკუთარი ფორმა აქვს – წოდებითი ბრუნვა. ამ ბრუნვაში დასმულ სახელს კი, როგორც ვიცით, თანამედროვე ქართულში დაერთვის **ო** ან **ვ**, ან კიდევ სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი და იგი ფორმობრივ სახელობითისაგან არ განსხვავდება. **მზეო**, დამხედე! **წვიმავ**, დამნამე! (ვაჟა, 5, 239); რას მიჩივი, **დედა**? (ჭავ., 441).

ზოგიერთი სახელი ჩვეულებრივ მიმართვისათვის არის გამოყენებული. ასეთი სიტყვებია **დედილო** და **მამილო**. ესენი **ილ** სუფიქსით ნაწარმოები კნინობითის ფორმებია, რომელთაც დაერთვის წოდებითის **ო**-ც და ალერსობითის მნიშვნელობა აქვს: როდის მოვა მამა, **დედილო**? (რაზ., 296); შენი ჭირიმე, **მამილო**, ზღაპარი გვითხარი. (ჭავ., 419).

ამ ფორმებს ხშირად ეკვეცებათ მარცვალი **ლო** და გვაქვს: **მამი, დედი**: ეგეც დრომ იცის, **დედი**! (ჭავ., 438); რა უნდა მოკლა, **მამი**? (ვაჟა, 6, 306).

ილ სუფიქსი გვხვდება სხვა სახელებშიც (მამობილი, დედობილი, ძმობილი...), რომლებიც წარმოშობით მიმდეობის ფორმებია და, გარდა წოდებითისა, სხვა ბრუნვათა ფორმებსაც აწარმოებენ (მაგ., ძმობილი, ძმობილმა, ძმობილს, ძმობილის, ძმობილით, ძმობილად, ძმო-

ბილო), დედილო და მამილო კი მხოლოდ მიმართვისათვის არიან გამოყენებული.

რამდენიმე საზოგადო სახელი, რომლებიც **იკო**-თი არიან ნაწარმოები, ჩვეულებრივ მიმართვისას იხმარება. ასეთებია; **დედიკო, მამიკო, დაიკო, ძამიკო, შვილიკო, ბიჭიკო, ბებიკო**... ამათაც ალერსობითის მნიშვნელობა აქვთ. ისტორიულად წარმოქმნის აფიქსია **იკ**, ხოლო **ო** ფუძესთან შეზრდილი წოდებითი ბრუნვის ნიშანია. ჩვეულებრივ მიმართვისათვის არის აგრეთვე გამოყენებული **ა**-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი, რომელიც **ია** სუფიქსით არის ნაწარმოები: **დაია, ძამია**, (<ძამაია)... დამცირებისა თუ ალერსობითობის მნიშვნელობა აქვს მიმართვად გამოყენებულ ისეთ ფორმებს, რომლებიც წარმოქმნილია კნინობითის სხვა მაწარმოებლებით (**ა, უკ, უნ**, გართულებით: უკ-ა, უნ-ა, უნ-ია...). მაგ.: კმარა, **ჩემო შვილიკო**, კმარა,... (გრიშ.); დილა მშვიდობისა, დილა კარგად ყოფნისა, **ჩემო კეთილო დაიავ**! (ევდ. 3, 176); – გამარჯობა, **ბეკეკო**! – მიესალმა თაგვი, – გაგიმარჯოს, **თაგუნავ**, – უპასუხა ამაყად ბეკეკამ (რაზ., 334). შენ, ეი, **ჩიტუნიავ**, მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი, მოგილოცო შენი დღესასწაული (ვაჟა, 6, 348); არა, **გლახუკავ**? (ჭავ., 280).

იკო-თი ნაწარმოები საკუთარი სახელები ფუძედ არის გაგებული და სხვა ბრუნვებსაც აწარმოებენ: **დათიკო, დათიკომ**, დათიკოს... შეიძლება იბრუნოს ამ სუფიქსით (იკო-თი) ნაწარმოები საზოგადო სახელებიც, რომელთაც საკუთარი სახელის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული (დედიკო, დედიკომ, დედიკოს...): ჩავეტკბი და ჩამიტკბო ჩემმა **დედიკომაც** (წერ.).

ა-ზე დაბოლოებულ ზოგიერთ საზოგადო სახელს (მაგ., ნათლიდედა, ნათლიმამა), აგრეთვე **ა**-თი და **ია**-თი წარმოქმნილ საკუთარ სახელებს, მიმართვად გამოყენებისას ხშირად ეკვეცებათ ბოლოკიდური **ა**: ბრძენი დედაკაცი ხარ, **ნათლიდედ**, ბრძენი!... (ჭავ., 446); გაბედე – მეთქი, **ნათლიმამ**, გაბედე! (ჭონქ.); მოდი, **ბიძინ**, ჯერ თავზე შემოგავლო, რომ შენი ხველა-სურდო ამას გაჰყვეს (რაზ., 369); ძილი ნებისა, **არსენ!** (ჯავ., 4, 184); გეთაყვა, **დათუნი** (<დათუნია), ოძელაანთან ვერ გადახვალ? (ჯავ., 4, 38).

ზოგიერთი მწერლის ნაწერებში მიმართვად შეიძლება შეგვხვდეს მართულ-შეთანხმებული განმარტოებული განსაზღვრება ან სხვაგვარი წარმოების ფორმებიც: ბეჭაობით გაზრდილი ვარ, **ძმისავ** (ვაჟა, 5, 27); ნუნუა მქვიან, **ძმისაო** (ვაჟა, 3, 26); აი ეგ არის, **შვილოსან**, ხორველა, ეგ არის ნამდვილად (ვაჟა, 5, 247); შენ ეი, მყვირალავ, ღვინოს კი არა სვამ, **შვილონიავ**, და რა იქნება? (ვაჟა, 5, 285).

ადამიანის საკუთარი სახელი, მიმართვად გამოყენებული, ძველ ქართულში არ დაირთავდა ბრუნვის ნიშანს, ე.ი. ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. ეს მოქმედი ნორმაა ახალ სალიტერატურო ქართულ-

შიც: **ლუარსაბ**! – დაუძახა ძმას დავითმა (ჭავ., 367); მშვიდობით, ჩემო **გაბრიელ**! (ჭავ., 294); სად ბრძანდებოდი, ჩემო **შერმადინ**? (ჭავ., 307).

მაგრამ ახალ ქართულში, ამასთან ერთად, არცთუ იშვიათად, ადამიანის საკუთარ სახელს დართული აქვს წოდებითი ბრუნვის ნიშანი. ამგვარი შემთხვევა გვხვდება საშუალ ქართულშიც. მაგ.: ჰე, **ასმათო**, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით (რუსთ., 1357, 2); მე მესმის, **ჭკვიანო პეტრევ**, შენი გულის ვითარება (ჭავ., 275); **პეპიავ**, კაცო, შენა ხარ? (ჭავ., 311); ოჰ, საღამო მშვიდობისა, **ეფემიავ**! (ვაჟა, 6, 162); დაასხი, **ერეკლევ**! (ჯავ., 4, 80); დაგვისხი, **ზურავ**, თორემ ყელში გოლვა ჩაგვიდგა (ჯავ., 4, 80); შენა ხარ, **არჩილო**? (ჯაფ., 225).

სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით, მიუღებელია, რომ ადამიანის საკუთარი სახელით გამოხატულ მიმართვას დართული ჰქონდეს წოდებითი ბრუნვის ნიშანი.

მიმართვა ყოველთვის უთანდებულოა, მაგრამ მას შეიძლება დაერთოს ზოგიერთი ნაწილაკი: „სად წახველ, **ჩემო მადლო-მეთქი**“ – ვდუდუნებდი (ვაჟა, 5, 61); **შვილო გიორგი-მეთქი, ჩემო კარგო და პატიოსანო-მეთქი**, თქვენმა მზემ, სწორედ ამ სიტყვით, ერთი მოდი და შენის ლამაზ-ლამაზ, მადლიან თათებითა ნიჩაბი აიღე და ბანი დამიტკეპნე (ჭავ., 404); დიახ, თვითონ თავის პირით მიბრძანა: **ჩემო დაოო**, ვიცი, რა სიყვარული და ტრფიალება გაქვს შენა და ჩემს ცოლსაო, წადი, ფეხთით მიუჯექო, იამება, შენ რომ გნახავსო... (ჭავ., 534).

მიმართვას, რომელიც წინადადების შემადგენლობაშია მოქცეული, საზოგადოდ, მტკიცედ განსაზღვრული ადგილი არა აქვს: იგი შეიძლება იყოს წინადადების თავში, წინადადების შიგნით ან წინადადების ბოლოს: **ბუნების ძალნო**, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა (ვაჟა, 5, 256); მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, **ჩემო თერგო**, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი (ჭავ., 256); მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, **ჩემო კარგო**! (ჭავ., 307).

თუ წინადადება ერთწევრიანია, მიმართვა შეიძლება იყოს თავში ან ბოლოში: **მზეო**, დამხედე! (ვაჟა, 5, 239); გამიშვი, **ადამიანო**! (ჭავ., 298). ასეა მაშინაც, როცა წინადადება ერთზე მეტ წევრს შეიცავს, მაგრამ ამ წევრების ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია. მაგ.: სად ბრძანდებოდი, **ჩემო შერმადინ**? (ჭავ., 307). მიმართვა ბოლოშია. იგი შეიძლება თავში გადმოვსვათ: **ჩემო შერმადინ**, სად ბრძანდებოდი? მაგრამ წინადადების შიგნით ვერ მოვათავსებთ (სად, ჩემო შერმადინ, ბრძანდებოდი? არაბუნებრივია).

მიმართვას, როგორც ითქვა, არა აქვს მყარი ადგილი წინადადებაში: იგი თავშია ან ბოლოში, ან კიდევ წინადადებაშია მოქცეული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეინიშნება გარკვეული შემთხვევები, როცა მისი ამა თუ იმ ადგილას მოთავსება ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს, სახელდობრ:

ა) მიმართვა ჩვეულებრივ თავშია, როცა ის ნახმარია ვისიმე

ყურადღების მისაპყრობად. განპიროვნებული უსულო საგნების მიმართ... ასე, მაგალითად, მოწოდებები, ლოზუნგები, საზოგადოების წინაშე წარმოთქმული სიტყვები, კერძო წერილები, როგორც წესი, მიმართვით იწყება. მაგ.: **მარაბდელებო,** ყური მიგდეთ და მომისმინეთ (ჯავ.); **საყვარელო ძიავ!** გთხოვ მომიტევოთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერლობა (ბარ., 77); **სამშობლო მთებო,** თქვენი შვილი განებებთ თავსა (ჭავ.); **დათო!** ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (ჭავ., 332); **დედი! დედი!** ეს რა ამბავია? (ჭავ.).

თავშია მიმართვა ჩვეულებრივ მაშინაც, როცა იგი მეორდება მაგ. – **დედი! დედი!** ეს რა ამბავია? (ჭავ.); **მთებო, მთებო!** რას ელით? ვის ელით? (ვაჟა).

ბ) მიმართვა ბოლოშია ჩვეულებრივ მისალმება-გამომშვიდობების ფორმულებში. კითხვითსიტყვიან კითხვითსა და მოწონება-აღტაცების შინაარსის ძახილის წინადადებებში; მიმართვა, როგორც წესი, მოსდევს მიგებითი სიტყვებით გამოხატულ „სიტყვა-წინადადებას“, ხოლო მიმართვის შემდეგ ხშირად წარმოდგენილია „სიტყვა-წინადადების“ მნიშვნელობის გამომხატველი წინადადება: – გამარჯობა, გიორგი! – გაგიმარჯოს, **არსენ!** (ჯავ, 4, 547); – ღამე მშვიდობისა, **ძმებო!** – ძილი ნებისა, **არსენ!** (ჯავ., 4, 184); საით მიდიხარ, **არსენ?** (ჯავ., 4, 114); რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! (ჭავ., 257); ოჰ, რა კარგი ხარ, **ოცნებავ ტკბილო!** (ვაჟა, 6, 293); არა, **ჩემო საყვარელო დაო!** (ჭავ., 467); არა, **ბატონებო,** ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს (ჭავ., 367); დიახ, **ბატონო,** მე ვმღეროდი. (ჯავ.).

გ) თუ ქვემდებარე და დამატება გამოხატულია მეორე პირის ნაცვალსახელებით, მიმართვა ჩვეულებრივ წინადადებაშია მოქცეული: შენ, ჩემო გაბრიელ, შავარდენი ჰყოფილხარ (ჭავ., 282); შენ, **ჩემო ძმაო,** ის ვენახი ვეღარ დაგიბრუნდება (ჭავ., 396); თქვენ, **ჩემო საყვარელო ტრედებო,** მხიარულადა ბრძანდებით (ვაჟა, 5, 103).

როცა მეორდება წინადადების წევრი (საზოგადოდ, შემასმენელი) ან თვით წინადადება (მთლიანად ან ნაწილობრივ), მიმართვა ჩვეულებრივ განმეორებულ წევრებსა თუ წინადადებებს შორის არის, რაც ხელს უწყობს ნათქვამის დანაწევრებას აზრობრივად და ინტონაციურად: დამსეტყვე, **ცაო,** დამსეტყვე, აქა ვარ ჩემის თავითა (ვაჟა, 1, 118); უყურე, **ვარდო,** უყურე, რა ჩოხას გიქსოვს ეს ფერია (რაზ., 109); რა ამბავია, **ძმებო,** რა ამბავია? (ჭავ., 288); რას ამბობ, **ადამიანო,** რას? (ჭავ., 305).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართვა ჩვეულებრივ მთავარსა და დამოკიდებულს შორისაა; მიგიხვდი, **ჩემო მოხევევ,** რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი (ჭავ., 262); იცით, **ძმებო,** რა მოვიგონე? (რაზ., 272); თქვენ იცით, **ჩემო პატარა მკითხველებო,** კოშკი რა არის? (ყაზ., 2, 162); ისიც კარგია, **ჩემო პირუტყვო,** რომ იქა-ჰკვდები, სადაც

დაიბადე. (ჭავ., 264).

მიმართვა წინადადებაშია ჩვეულებრივ მაშინაც, როცა იგი გამოხატავს მისამართი პირისადმი გულთბილ დამოკიდებულებას, ხოლო თვით წინადადება მრავალწევრიანია: მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, **ჩემო თერგო,** ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი (ჭავ., 256): მე მესმის, **ჭკვიანო პეტრევ,** შენი გულის ვითარება. (ჭავ., 275).

ინტონაციურად მიმართვა მრავალფეროვანია. ამისათვის მნიშვნელობა აქვს მის ფუნქციას, ადგილს, გავრცობის ხარისხს. სპეციფიკური ინტონაცია დამახასიათებელია გაუვრცობელი მიმართვისათვის, რომელიც ცალკე, წინადადების გარეშე დგას. ასეთი მიმართვა იხმარება შორ მანძილზე დასაძახებლად, მისამართი პირის ყურადღების მისაპყრობად, ან კიდევ პასუხად დამძახებლის მისამართით და წარმოითქმის ძახილის ინტონაციით, ე.ი. ამაღლებული ტონით, რამდენადმე განგრძობილადაც. ამგვარი მიმართვა ფუნქციით უახლოვდება ბრძანებითსა თუ კითხვით წინადადებას: **ლუარსაბ! ლუარსაბ!** – დაუძახა ქმარსა, რომელიც შორიახლო ბოლთასა სცემდა... (ჭავ., 337); – **დათო! დათო!** – დაუყვირა ბატონმა. – **ბატონო!** – სადღაც შორიდამ მოისმა დათოს ხმა (ჭავ., 346); – **ცირა!** – **ბატონო?** (წერ.); – **დედი, დედილო, ჰა დედა!** (არაგვ).

განგრძობილად შეიძლება წარმოითქვას მიმართვა მაშინაც, როცა ის წინადადების ბოლოშია: – საით ხარ, **ბიჭოო?** – აქეთ, აქეთ, მამი! (ევდ.); ნუ შემჭამ, **მგელოო!** – დაიბღავლა საწყალმა ბეკეკამ. (რაზ.).

მიმართვა, რომელიც წინადადების თავშია, ჩვეულებრივ გამოყოფილია წინადადებისაგან ინტონაციურად: წარმოითქმის უფრო მაღალი ტონით, ვიდრე თვით წინადადება, და მისგან გამოიყოფა მეტ-ნაკლები ხანგრძლივობის პაუზით. მაგ., წინადადებაში „დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?“ (ჭავ., 332) მიმართვა მაღალი ტონით წარმოითქმის და დიდი პაუზით, მაგრამ წინადადებაში „**დათო,** ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?“ იგივე მიმართვა მცირე პაუზით გამოეყოფა წინადადებას და ტონიც უფრო დაბალია, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

გაუვრცობელი მიმართვა უფრო მაღალი ტონით წარმოითქმის, ვიდრე გავრცობილი: **კესო,** ნათლიდედას ჩაი მოართვი (ჭავ., 445); **ჩემო ბატარა მკითხველებო,** მე მინდა გიამბოთ ჩემი თავგადასავალი. (ევდ., 3, 132).

მიმართვა, რომელიც წინადადების შიგნითაა მოქცეული, ჩვეულებრივ დაბალი ტონით და სწრაფი ტემპით წარმოითქმის; წინადადებისაგან გამოიყოფა პაუზებით, განსაკუთრებით მაშინ, თუ მიმართვა გავრცობილია და ისეთ ადგილას არის, სადაც წინადადება ნაწევრდება აზრობრივ და ინტონაციურ ნაწილებად (მაგ., მთავარსა და დამოკიდებულს შორის და სხვ): შენ, **ჩემო გაბრიელ,** შავარდენი

ჰყოფილხარ (ჭავ., 282); ყველას, **ჩემო დაო**, თავისი თავი აბარია (ჭავ., 398); მალე გაიგებ, **ჩემო ხმატკბილო აშუღო**, შენგან დავალებული ჩიტები რა წვეულებას გაგიმართავენ. (რაზ., 187).

მიმართვა, რომელიც წინადადების ბოლოშია, ჩვეულებრივ მცირე პაუზით გამოეყოფა წინადადებას: მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, **ჩემო კარგო**! (ჭავ., 307): შენი კითხვა მაკვირვებს, **კესო**! (ჭავ., 467).

მიმართვას რამდენადმე პრედიკატულობის იერიც გადაჰკრავს. მაგ., როცა ვაჟა მიმართავს მე-2 პირად წარმოდგენილ საგანს „ჩემი სამშობლოს არწივნო, მოგესალმებით მთურადა“, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ „თქვენ ჩემი სამშობლოს არწივები ხართ და მოგესალმებით მთურადაო“. მიმართვების საშუალებით შეიძლება შეიქმნას პოეტური სახეები. ნიმუშად დავასახელებთ **თ. რაზიკაშვილის** პატარა ლექსს, მიმართულს კახეთისადმი, სადაც მხოლოდ ერთი ზმნაა:

„მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა, ივრის პირებზე ჩალაო;
ბარდებში მძრომო ხოხობო, ტურფაო ხარის თვალაო?
შირაქო, ცხვრების დედაო, ზედ ჯეირნების ფარაო“.

ასევე, მიმართვებისგან შედგება ალ. აბაშელის მოზრდილი ლექსი „ახალ საქართველოს“, სადაც აგრეთვე მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმნელია.

§156. ჩართული

ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვასა თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან კიდევ მიუთითებს წყაროს და სხვ.

ჩართული, რომელიც ინტონაციურად (ნაწერში სასვენი ნიშნით) გამოყოფილია წინადადებისაგან, მეტწილად ეხება მთელ წინადადებას, ი შ ვ ი ა თ ა დ კი – მის რომელიმე წევრს[228]. მაგ.: **რასაკვირველია**, ჩემი ბრძანება მყისვე ასრულდა (ვაჟა, 5, 279). ჩართული აქ მთელ წინადადებას ეხება. ახლა ვნახოთ ასეთი წინადადება: მელამაც სიცილი დაიწყო, **რასაკვირველია**, ძალაუნებურად (ვაჟა, 5, 103). აქ ჩართული ეხება არა მთელ წინადადებას, არამედ მის ერთ წევრს, სახელდობრ ვითარების გარემოებას (ძალაუნებურად), რომელსაც ის უსწრებს უშუალოდ. ზოგჯერ ჩართული მოსდევს იმ წევრს, რომელსაც ის ეხება: კატა მოჰპარვოდა, ჯიბეც გამოეჭამა და კალმახიც, **რასაკვირველია** (ვაჟა, 5, 184). აქ ჩართული ეხება პირდაპირ დამატებას – **კალმახიც**.

ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის

---

[228] Современный русский язык, Синтаксис, под редакцией проф. Е.М. Галкиной-Федорук, 1957, გვ. 319.

მიხედვით მრავალგვარია. ძირითადი ჯგუფებია:

1. ჩართული სიტყვა და გამოთქმა გამოხატავს მოდალობას, ე.ი. იმას, თუ როგორ უცქერის მთქმელი თქმულის შინაარსს, როგორც ფაქტს თუ როგორც შესაძლებელ-სავარაუდოს. ამის შესაბამისად ამ ჯგუფში ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი **დარწმუნებულია თქმულის უეჭველობა-უტყუარობაში**: ცხადია, თავისთავად ცხადია. რა თქმა უნდა, უეჭველია, რასაკვირველია, უთუოდ, აშკარაა, მართლაც და სხვ. მაგ.: სასამართლოში გაირჩევა და იქ, **ცხადია**, ჩვენ მოვიგებთ (დად., 487); **რადა თქმა უნდა**, არც ამ სახლის პატრონი იჯდა გულხელდაკრეფილი (ლომ., 2180; ყაშამ, **რა თქმა უნდა**, მეორე გზა აირჩია (ჯავ., 1, 178); ავადმყოფს, **უეჭველია**, რაღაცა აწუხებდა (ყაზ., 2, 450); იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, **რასაკვირველია** (ჭავ., 366); **რასაკვირველია**, ეგ აგრე იქნება (ჭავ., 345); იმათ, **რასაკვირველია**, ზრდილობიანად მიგვიღეს (წერ., 1, 160); ადგა, **მართლაც**, ერთ ღამეს და გასწია მზეთუნახავის გამოსატაცებლად. (ვაჟა, 5, 189).

ბ) გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას: მგონია, ვგონებ, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, ვიმედოვნებ და სხვ. მაგ.: მამათქვენი, **მგონია**, მაშინ მიცვალებული იყო (ჭავ., 353); [პირიმზემ] გუშინ, **ვგონებ**, მეც გადმომხედა (ვაჟა, 238); შენ, **ჩანს**, მარტოკას არ გეყო (ვაჟა, 4, 83); იქიდამ, **ალბათ**, მტერს მოელის (ვაჟა, 5, 134); სალხინოსაკენ, **ეტყობა**, წვიმს (დად., 8); **როგორც ეტყობა**, სვიმონა დღეს მხიარულ გუნებაზეა (ლომ., 184); თადა, **ეტყობოდა**, ფიქრში იყო გართული (დად., 261); ერთხელ, **თუ არ ვცდები**, ჩემს ბალღობაში, **ვგონებ**, ცელქამა ჰკითხა. (ვაჟა, 7, 242).

2. ჩართული გამოხატავს მთქმელის გრძნობას, რომელსაც იწვევს თქმულის შინაარსი, და იძლევა ფაქტის შეფასებას: საბედნიეროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, სამწუხაროდ, საუბედუროდ და სხვ. მაგ.: საქართველოში, **ჩვენდა საბედნიეროდ**, ის ერთი არ არის (დად., 32); ამის ნიშნებს, **ჩვენდა სასიხარულოდ**, ვხედავთ დღეს (ვაჟა, 7, 306); უცბად, **მისდა იღბლად**, გაღმიდან გადმოდგა უფროსი ტარტაროზი (ვაჟა, 5, 341); **საუბედუროდ**, ლამბალომ თვალები გაახილა (ჯავ., 1, 212); ამ დროს, **ჩემდა საუბედუროდ**, ინსპექტორი შემოვიდა (წერ., 1, 54); ბევრს, **სამწუხაროდ**, შინაარსიც არ ესმის ფშაურის ლექსებისა (ვაჟა, 7, 107).

3. ჩართული გამოხატავს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, ე.ი. იმას, თუ ვის ეკუთვნის ის: როგორც იტყვიან, ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ, ჩემი აზრით, გაზეთების ცნობით და მისთ. მაგ.: ვაჟკაცს, **ფშავლის წარმოდგენით**, სიდარბაისლე უხდება (ვაჟა, 7, 67); ელოს, **როგორც თვითონ ამბობს**, არ ახსოვს (ნაკ., 213);

მისი ფიქრით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო (დად., 187); ეგ მარტო ლამაზი ფრაზაა, **ჩემის ფიქრით** (ჭავ, 509); **როგორც იტყვიან**, სახლში ეკლის ჯაგი რომ გექნია მთელი დღე, არაფერს მოედებოდა (ვაჟა, 6, 157); დიაღ, გმირი, **ფშავლის აზრით**, თავის საკუთარ ნამუსს უფრთხილდება. (ვაჟა).

4. ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებს მთქმელი მეტყველების სტილს, აზრის გამოხატვის ფორმას. ეს ჯგუფი მრავალფეროვანია: უკეთა ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლედ რომ ვთქვათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიმართლით რომ ვთქვათ, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ასე რომ ვთქვათ და სხვ. მაგ.: იმაზე ზრუნვა ძმის, **ანუ უკეთა ვთქვათ**, ძმობილის მოვალეობა იყო (ყაზ.); არიან, **ასე რომ ვთქვათ**, ვინიცობის გულისათვის (ვაჟა, 7, 240); ის ხომ, **თუ შეიძლება ასე ითქვას**, სრულიად ხელუხლებელი ყამირია (დად., 446); სირცხვილი იყო, **სხვა რომ არა ვთქვა რა**, ეს არ აღმენუსხა... (დად., 17); **ჩვენთვის რომ ვთქვათ**, წერა მაინც არც სხაპასხუპით იცოდა (ვაჟა, 5, 347); **სიმართლით რომ ვთქვათ**, ენა უფრო ცოდვიანია ფიქრზე (ვაჟა, 7, 187); წვიმა ისეთ დროს მოდიოდა, როცა, **ხალხურად რომ ვთქვათ**, დანა და ყელი ერთად იყო (ჯაფ., 208).

5. ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ სახის მიმართვას თანამოუბრისადმი. ასეთი გამოთქმა ჩვეულებრივ შეიცავს ზმნის მე-2 პირის ფორმას, რომელიც კილოს მიხედვით ბრძანებითია ან თხრობითი: წარმოიდგინეთ, ნუ გაგიკვირდებათ, მერწმუნეთ, დამეთანხმებით, შენ ხარ ჩემი ბატონი და მისთ. მაგ.: მე, **ნუ გაგიკვირდებათ**, ასე ვფიქრობ (ვაჟა, 6, 383); ეს დედაკაცი გახლდათ, **როგორც თავადაც მიხვდებოდით**, ბეკინა სამანიშვილის ქვრივი ელენე (კლდ., 194); ამ აბდაუბდაგადასკუპდას, **ნუ დაივიწყებთ**, განათლებული კაცი ამბობს (ვაჟა, 7, 370); მე, **იცით**, რასა ვფიქრობ, – განაგრძო კუდამ (ვაჟა, 6, 170); მიმიყვანეს იქა, **შენ ხარ ჩემი ბატონი**, და მითხრეს... (ვაჟა, 5, 22).

6. ჩართული გვიჩვენებს აზრების თანამიმდევრობას, ან კიდევ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას...): ჯერ ერთი, ერთი, მეორე, პირველი, მერმე, კიდევ, მაშასადამე, ამგვარად, პირიქით (პირუკუ), ერთი სიტყვით, სხვათა შორის, მაგალითად, ნაწილობრივ და სხვ. მაგ.: ორგვარი თავლაფდასხმა ის იყო, რომ, **ერთი**, კესარიამ გლეხის შვილი შეიყვარა და, **მეორე**, ჯვარდაუწერლად შვილიც გაიჩინა (დად., 111); შინაარსი ამ წერილისა მკითხველებს უკვე ეცოდინებათ და, **მაშასადამე**, მისი გამეორება საჭირო არაა (ვაჟა, 7, 257); არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა, **პირიქით**, უხაროდა კიდეც თავისი ბედი (ჭავ., 456); ბატიჩკომ არ ისურვა დარჩენა, იმიტომ რომ, **ჯერ ერთი**, ჩქარობდა, **მერმე კიდევ**, აღდგომის დღესასწაული არცთუ ისე სწამ-

და (დად., 203). ყველა ის, **ვიმეორებ**, ჩვენის უცოდინარობით და შეუგნებლობით გვემართება (ვაჟა, 7, 255); ბიძაჩემმა, **სხვათა შორის**, ერთის დათვის ამბავი მითხრა (ვაჟა, 5, 68); ხევსურეთს, **მაგალითად**, მოაკლდა მთების შემოსავალი მეცხვარეობისაგან (ვაჟა., 7, 433); **ამრიგად**, შირაქელების ბედი ბეწვზე ჰკიდია (ვაჟა, 7, 300); **ერთი სიტყვით**, სჯობია ორივენი გაჩუმდნენ (ჯავ., 3, 388); სახლი, **როგორცა ვთქვით**, ფიცრულია (ჭავ., 427).

7. ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვთ: გენაცვალე, გეთაყვა, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, თქვენმა მზემ, ღმერთმანი, ძმობამ, დედაშვილობას და მისთ. მაგ.: ყმაწვილის გული, **შენი ჭირიმე**, ადრეულა ყვავილსა ჰგავს (ჭავ., 269); აი ეხლაც, **შენი კვნესამე**, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი (ჭავ., 337); ნუ დაგვკარგავ, **შენ გენაცვალე**, ამ ჩვენი გაჭირვებულობისათვის (კლდ., 1, 269); არ ვიცი, **ღმერთმანი**, ასე რადა ჰხდება? (ვაჟა, 6, 349); **შენ ნუ მომიკვდები**, იმისთანა ქალის მნახველი არა ვარ (ჭავ., 366); ერთი წყალი დამალევინე, **შენს გაზრდას** (ბარნ., 2, 426); იროდიონ, **შენმა გაზრდამ**, ძალიან მიამა შენი ნახვა! – უთხრა აკაკიმ (ნაკ., 80); არა, **თქვენმა მზემ**, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. (ჭავ., 340).

ჩართული სიტყვა-გამოთქმები იმდენად მრავალფეროვანია, რომ დასახელებული შემთხვევები ამ მრავალფეროვნებას ვერ ამოწურავს, იგი მრავალფეროვანია გადმოცემის საშუალებათა მიხედვითაც. ასე, მაგალითად, როგორც ეს ზემოთ წარმოდგენილი მასალიდანაც კარგად ჩანს, ჩართულის გადმოსაცემად გამოყენებულია სახელები (არსებითი, რიცხვითი), ზმნიზედები, ზმნები და სრულმნიშვნელობიან სიტყვათა შეკავშირება, ხშირად მთელი წინადადებაც. ამით აიხსნება, რომ ერთი და იგივე სიტყვა თუ გამოთქმა ერთ შემთხვევაში წინადადების წევრია, მეორე შემთხვევაში – ჩართული. მაგ., **ამგვარად** ვითარების გარემოებაა წინადადებაში: ყველა მთიელი მწყემსი სამთო ქოხს ამგვარად აკეთებს (ვაჟა), მაგრამ ჩართულია, როცა ვამბობთ: **ამგვარად**, დასკვნები ეჭვმიუტანელი ჩანს. ასევე, „ერთი სიტყვით“ ჩართულია წინადადებაში: **ერთი სიტყვით**, სჯობია ორივენი გაჩუმდნენ (ჯავ., 3, 388). მაგრამ წინადადების ორგანული ნაწილია ამ წინადადებაში: **ერთის სიტყვით მოგახსენებთ.** (ვაჟა).

ჩართული წინადადება მნიშვნელობის მიხედვით ჩართულ სიტყვა-გამოთქმათა ამა თუ იმ ჯგუფს განეკუთვნება. იგი წინადადების შემადგენლობაში შედის უკავშიროდ ან მაკავშირებელი სიტყვის საშუალებით (როგორც, თუ, რომ...), მაგრამ ორივე შემთხვევაში წინადადებისაგან გამოყოფილია ინტონაციურად და განკერძოებით დგას.

ჩართულს, რომელიც ზმნის ფორმას შეიცავს, ზოგჯერ რომ

კავშირი მოსდევს წინადადების ნაწილითურთ: ეს სტუმრები, **რაღა თქმა უნდა, რომ** უფრო თავადაზნაურობისაგან შედგებოდა (დად., 302); ისინიც ყოველი მხრით მოფრინავენ, ჟრიამულით მისდევენ მტაცებელს და, **თქვენ წარმოიდგინეთ, რომ** აძევებენ (დად., 302); შენ, **ვგონებ, რომ** ღობემძვრალასაც კი ვერ გაუმკლავდები. (ვაჟა, 6, 348).

ასეთ შემთხვევებში **რომ** კავშირის ხმარება არ არის აუცილებელი.

ჩართულ წინადადებაში ისეთებიც გამოიყოფა, რომლებიც იძლევიან დამატებითს ცნობას ან შენიშვნას ძირითადი წინადადებისა და მისი ნაწილების შესახებ; ამ ტიპის ჩართული მოთავსებულია ძირითადს წინადადებაში ან წინადადების ბოლოს (თავში შეუძლებელია); იგი შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც: ძლივს არ გავისტუმრე ურმები (**ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა**), ძლივს (ჭავ., 334); აი ამოდენა (**დაბლა ხელით აჩვენა**) ხელში მჭერიხართ, მითამაშებიხართ (ჭავ., 353); აი, ეს წიგნი (**აქ უჩვენა კარგა მოზრდილი ყდიანი რვეული**) თქვენი მამულის შესავალ-გასავლის წიგნი გახლავთ (ლომ., 319); იმ წუთებში ბეჟიას, – **ასე ეძახდნენ მწყემსს**, – ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ყაზ., 2, 67); ქათმებიც, **თითქოს ესმოდათ ლექსოს დარიგება**, ხმას როდი იღებდნენ (ვაჟა, 6, 107); შენ, ჩიტუნიავ, მომილოცნია (**რას ულოცავს, ის ავიწყდება: ალბათ არ იცის**) (ვაჟა, 6, 349); ჩემი პირისახის სუსხმა თანდათან იკლო (**რა ჩემი ბრალია, დროს სცოდნია სევდის წაშლა და ამორეცხვა!**) (ჯავ., 1, 477); გარდა ამისა, მე ძალიან კარგად მესმის მოვალეობა დედისა და ცოლისა (**ღმერთო ჩემო, რა ბავშვური ტიტინია!**). (ჯავ., 1, 488).

§157. შორისდებული

შორისდებული, რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს უშუალოდ გამოხატავს, თავისი დანიშნულებით წინადადების ბადალია. იგი დაუნაწევრებელი ენობრივი ერთეულია და ამა თუ იმ გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს ზოგადი სახით, თვით გრძნობისა და ნება-სურვილის დაუსახელებლად. ამიტომ შორისდებულს ხშირად ახლავს წინადადება, რომელიც მის მნიშვნელობას უფრო მეტი გარკვეულობითა და სიცხადით გადმოგვცემს.

ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებული, რომელიც ეფარდება ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმას, წარმოადგენს თანამოუბრისადმი მიმართვას, რომ უკანასკნელმა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება: **სუ**, ჩუმად-მეთქი! (ვაჟა, 5, 309); **სუ**, იყუჩე! (ჯავ., 4, 538); **სუთ! სუთ!** – დაიძახეს რამდენიმე ბიჭმა ერთად (რაზ., 125); **ციც**! უპირველესად კანონი და წესიერება! (შანშ.); **აბათ, აჰათ**, ბალღებო! (ვაჟა); **არიქათ**, ჩქარა, ბიჭებო, ცხენები! (რაზ.).

შორისდებულების მეორე ჯგუფი, რომელიც შედგენილობით

მრავალრიცხოვანია, მოლაპარაკის შინაგანი განცდებისა და გრძნობების გამოძახილს წარმოადგენს გარემომცველი სინამდვილის მოვლენებსა და თანამოუბრის ნათქვამზე: **ყოჩაღ**, ბიჭო! – წამოიძახა ყველამ (ბარნ., 1, 146); **ჰმ, ჰმ**, – წამოიძახა მამალმა თავმომწონედ (ვაჟა, 6, 199); **აბაიმე, აბაიმე**! – სთქვა გულში პეტრემ, ეხლა კი ცოტა წყენითაც (ჭავ., 412); **ფუუუჰ!** (ვაჟა); **უჰ! უჰ!** შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე (ჭავ., 349); **ერიჰააა**! ე კარგი კაპუეტი დაგიჭერიათ! – სთქვა ერთმა. (ჯავ., 1, 382).

შორისდებულის მნიშვნელობა აქვს მისალმების, გამომშვიდობების, ბოდიშისა და მადლობის გამომხატველ გამოთქმებს: **გამარჯობა! ნახვამდის! მშვიდობით! გმადლობთ! უკაცრავად!** და მისთ.

შორისდებულს, რომელიც წინადადების ეკვივალენტია, სიტყვა-წინადადებასაც უწოდებენ. ასეთი შორისდებული შეიძლება იყოს ერთ-ერთი კომპონენტი რთული წინადადებისა: **ჰაი, ჰაი,** რომ ცოდოა! (ჭავ., 459); **ჰაი, ჰაი,** რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, გაწბილებას – ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა (ყაზ., 2, 278); დასწვდა, ბატონებო, ი შეშინებულ ქალს, შემოიგდო ტახტზე და **ჰერი**! (ბარნ., 3, 50); მარო, ისეთი კარგია რკინისგზა, ისეთი, რომ **ჰაა**! (ლომ., 477).

შორისდებული ხშირად დამოუკიდებელი კი არ არის, როგორც ეს ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვაქვს, არამედ შედის წინადადების შედგენილობაში და აძლევს მას ემოციურ იერს. ამ მნიშვნელობით ნახმარი შორისდებული არ განეკუთვნება წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვა-გამოთქმებს.

შორისდებული, რომელიც სახელის მნიშვნელობით არის ნახმარი, ბრუნვის ფორმას იღებს და წინადადების წევრია. მაგ.: ოთხი გამოქცეული **ვაის** გაეყარა და **ვუის** შეეყარა. (ჯავ., 4, 447). **ვაის** და **ვუის** ორივე მიცემითშია და, როგორც წინადადების წევრი, ირიბი დამატებაა.

შორისდებული ინტონაციურად მრავალფეროვანია. ნაწერში შორისდებულის შემდეგ მძიმე ან ძახილის ნიშანი დაისმის.

§158. მიგებითი ნაწილაკები

მიგებითი ნაწილაკები დადასტურებითია ან უარყოფითი. დადასტურებითია: **ჰო, კი, დიახ** (←დიაღ). უარყოფითია: **არა, ვერა**. მიგებითი ნაწილაკები წინადადების მაგივრობას ეწევიან და ამიტომ მათ ჩვეულებრივ „სიტყვა-წინადადებას“ უწოდებენ. ასეთი „სიტყვა-წინადადება“ წინადადების წევრი არ არის; იგი დაუნაწევრებელი ერთეულია, რომელიც, ცალკე აღებული, არაფერს აღნიშნავს, მაგრამ მეტყველებაში საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს, გამოხატავს მოდალობას და ეკვივალენტია სრული თუ უსრული წინადადებისა. „სიტყვა-წინადადება“ არსებითად განსხვავდება

ერთსიტყვიანი უსრული წინადადებისაგან. მაგ., შევადაროთ ერთმანეთს **დიახ** და **შეასრულა** პასუხად კითხვისა: ბავშვმა დავალება შეასრულა? **დიახ** „სიტყვა-წინადადებაა“, წინადადების წევრი არ არის, **შეასრულა** კი უსრული წინადადებაა და, როგორც წინადადების წევრი, შემასმენელია.

ასეთი „სიტყვა-წინადადების“ ნაწილაკად მიჩნევა და მისი განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებში შეტანა რამდენადმე პირობითია.

მიგებითი ნაწილაკები იხმარება არა მარტო კითხვის პასუხად, არამედ ბრძანების, თხოვნის ან რაიმე ვარაუდის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, ან კიდევ წინა თქმულის გასაძლიერებლად თუ დასაპირისპირებლად. მათი კონკრეტული მნიშვნელობა, საზოგადოდ, ირკვევა კითხვისა და კონტექსტის მიხედვით. ამიტომ ერთი და იგივე ნაწილაკი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა შინაარსს გადმოგვცემს.

დადასტურებითი ნაწილაკები სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, სახელდობრ:

ა) წარმოადგენს დადასტურებითს პასუხს დასმულ კითხვაზე. თუ რა მნიშვნელობით არის ნახმარი დადასტურებითი ნაწილაკი, – ეს გასაგებია კითხვის მიხედვით. მორიდებულ საუბარში პასუხად **დიახ** (დიად) იხმარება. პასუხად ნახმარი დადასტურებითი ნაწილაკი შეიძლება განმეორდეს. ნაწილაკს ხშირად მოსდევს წინადადება, რომელიც **გადმოგვცემს** მის მნიშვნელობას მოცემულ შემთხვევაში: – გეტყობა, ქართველი უნდა იყო. – **დიახ**, ქართველი ვარ (გვ. 466); – გაიგონეთ, რაც გითხარით? დაიხსომეთ? – **დიახ**, ბატონო, **დიახ** (ჭავ.); – მაშ ქათმები არ გინახავს, ფრინველები სახლების კარმიდამოში? – დაეკითხა მამალი. – **კი, კი**, როგორ არ მინახავს! (ვაჟა); – ისევ შენ უნდა წახვიდე საზამთროს ქირაზე? – **ჰო**, დედი! სხვებს არა სცალიანთ. (ბარნ., 2, 66).

ამავე ფუნქციით გამოიყენება ზოგიერთი სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება – გაათავეთ მოლაპარაკება? – **რასაკვირველია** (კლდ., 1, 58); – ხომ ნამდვილად ნახე? – **რა თქმა უნდა**; – აღარ გაათავებ? – **როგორ არა**! ხომ ხედავ? – მკითხა მამაჩემმა. – **რატომ არა**! (წერ., 1, 12); – ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ? – **რატომ**! (ჭავ., 386); – დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო? – **სწორედ** (ჭავ., 469); – იცნობ შენ, ოტია? – **აბა რა**, ძალიან კარგად! (კლდ., 1, 233).

აქ: **რასაკვირველია, რა თქმა უნდა, როგორ არა, რატომ არა, რატომ, სწორედ, აბა რა** – ყველა დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობით არის ნახმარი, ოღონდ თითოეულს ახლავს თავისებური ემოციური იერი.

ბ) მიგებითი ნაწილაკი გამოხატავს არა პასუხს დასმულ კითხვაზე, არამედ თანხმობას: – მგონი მწყრები მაშინ მოილევიან, როცა

სამალავი და საფარავი აღარ არის მინდვრებში. – **დიაღ**, შემოდგომაზე მწყერი ილევა (ჭავ.); – თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ჩემო ვერიჩკა, ერთი ბოთლი ეხლავე შემომირბენინე! – **კი**, ბატონო! (კლდ.).

ამავე მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ზოგიერთი სხვა სიტყვაც ან სიტყვათა შეკავშირება: – ნუ შემრისხავ, ძვირფასო, ნუ ამიქოლავ შენკენ გზას. – **კარგი**, ყმაწვილო! (ბარნ., 2, 51); დაღამდა, მოვიდა თითონ ბერა და მოახსენა მღვდელს, მეფე-დედოფალი მოდის და წამობრძანდითო. – **კეთილი!** (ბარნ., 3, 435); – ბოროტმოქმედი ეხლავე დააპატიმრეთ! – **არის**, ამხანაგო კაპიტანო!; – ეს ამბავი, როგორც ჩანს, ტყუილია. – **რა თქმა უნდა.**

გ) მიგებითი (დადასტურებითი) ნაწილაკი ადასტურებს და აძლიერებს თვით მთქმელის აზრსა თუ ნათქვამს: როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა; წინათ-კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას; მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდნენ. ხმელის წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდნენ, ასკდებოდნენ, **დიაღ**, ეხლა ქარს ველარ მიჰყვება ხმელი წიფელი, სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ველარ უპობს ქარიშხალს (ვაჟა, 5, 87); ეს ამბავი დღის თორმეტ საათზე მოხდა. **დიახ**, სწორედ თორმეტ საათზე.

უარყოფითი ნაწილაკების გამოყენების სამი შემთხვევაა აგრეთვე გასარჩევი:

ა) ნაწილაკი წარმოადგენს უარყოფით პასუხს კითხვაზე. უარყოფითი ნაწილაკი შეიძლება განმეორდეს, რაც აძლიერებს ექსპრესიულობას. როგორც დადასტურებითს ნაწილაკებს, ამათაც შეიძლება ახლდეს წინადადება, რომელიც გადმოგვცემს ნაწილაკის მნიშვნელობას მოცემულ შემთხვევაში: – როგორ? არ ირთავს? – **არა** (ჭავ., 359); – ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე? – **არა**, არსად არ უნახავს, მაგრამ შეუტყვია (ჭავ., 359); – ნიაღვარმა ხომ არავინ დაგახრჩოთ, ნიაღვარმა? – დანახვის უმალვე დაუძახა მან ცოლსა – **არა, არა**, ნუ გეშინიან, – უპასუხა ცოლმა (ლომ., 364); – რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება? – **ვერა** (წერ., 1, 490.

ბ) უარყოფითი ნაწილაკი წარმოადგენს არა პასუხს დასმულ კითხვაზე, არამედ გამოხატავს, რომ მთქმელი არ ეთანხმება თანამოუბრის მიერ გამოთქმულ აზრს: – ნიშნობის ღამეს ფულს სრულად ჩაგაბარებ. ეხლა თუ გინდა, ეს ხუთი თუმანი ბე ისევ წაიღე. – **არა**, ათი თუმანი მიბოძე, რა ვიცი, იქნება როგორ დამჭირდეს, აქ ხომ ვერ გამოვიქცევი. (ჭავ., 361).

უარყოფითი პასუხი დასმულ კითხვაზე თუ გამოთქმული აზრისადმი დაუთანხმებლობა შეიძლება გამოიხატოს შორისდებულით

ცაჰ [229] და ნწუ (ნწ), რომელთაც არა-ს მნიშვნელობა აქვს. ცაჰ ვერ გადმოიცემა აჰ-ით, ვერც ნწუ და ნწ ბგერათა კომპლექსები გადმოსცემენ ზუსტად ნაგულისხმევ შორისდებულს[230]: – მერე... არ გეშინოდა? – შემომკივლა დედამ. – არა! დავასხვერტებდი ხოლმე რიყეზე. – რომ ეკბინა? – **ნწუ, აჰაა!** წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან (წერ., 12). – როდის იყო, ნათლი, ეგ ამბავი? – ჩაეკითხნენ მეზობლები. – დიდხორველობის დროს თუ იქნებოდა. – **ნწ**, არა! (ს. მგალ.); ავად ხომ აღარაა? – არა, **აჰ**! (კლდ., 1, 41); – თუ შვილი ყავდა მაინც იმ დედინაცვლობაში? აჰ! შვილი არც უწინდელ ქმრის ხელში ყოლია და არც ამ მეორე ქმრის ხელში (კლდ., 1, 134); – ხელად ერთი ზაკუსკა მოგვართვი, თუ ქალი ხარ! – **აჰ**, შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს... (კლდ., 1, 56).

გ) წარმოადგენს უარყოფით პასუხს მთქმელის მიერვე დასმულ კითხვაზე ან უარყოფს მისსავე წინათ თქმულს, რომელიც არ არის კითხვითი შინაარსისა. ამ შემთხვევაში იგი გამოყენებულია მონოლოგში, რომელსაც შინაგანი დიალოგის სახე აქვს. უარყოფის ნაწილაკს გასაძლიერებლად შეიძლება ახლდეს სიტყვები: **სულაც, სრულებითაც, სრულიადაც** ... მაგ.: **არა!** აყვავდეს იმედი! გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა (წერ.); იქნება იმისი მოკვლა სურდათ და სიკვდილს გაექცა?! **არა**, მურია შიშს არ უფრთხის (რაზ., 11); გოგოლაანთ ბიჭმა რომ ხუთი მანეთი გადმოგვიგდო იმ დღეს, ძალიან ღარიბია? **სულაც არა**! (ბარნ., 3, 435); ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ ამგვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამაჩემი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. **სრულიადაც არა**, ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც (წერ., 1, 21); განა მეტად ხელმომჭირნო იყო, ან ვისმე ავიწროებდა და სხვის მარჯვენით მუქთად სარგებლობასა სცდილობდა! **სრულებითაც არა**! (ბარნ., 3, 102).

მიგებითი ნაწილაკები ზოგჯერ კითხვასა და ძლიერ გრძნობასაც გამოხატავენ: არჩილმა გამოგაგზავნა, **არა**? (ჯაფ., 47); **ჰოო**? მაიკოს ეეჭვება ლევანის ნაამბობი? კეთილი და პატიოსანი (ჯავ., 1, 143); იცი, დედი, მე ეხლა წავალ, დავიძინებ და მალე გათენდება, **ჰო**? (ბარნ., 1, 53); – არ მოხვალ? – სად უნდა წამოვიდე, ყმაწვილო? – **არა**?! (კლდ. 1, 160).

მიგებით ნაწილაკს იშვიათად შეიძლება დამოკიდებული წინადადებაც ახლდეს: – რაო, რაო? ჩემი ბრალია, ეგეც ჩემი ბრალია? – **დიახ, რომ შენი ბრალია**. (ევდ.).

---

[229] „ც“ ხორხში წარმოებული მკვეთრია – სახმო სიმების ხშვა-სკდომით – და ახასიათებს მეგრულს (მაგ., სიტყვაში სც'უდე); ქართულ მეტყველებაში გეხვდება, როგორც კვნესის ან ჭინთვის ბგერა, აგრეთვე აკრძალვის შორისდებულში: სც'აჰ. მეგრულში იგი ფონემაა, ქართულში არა“. გ. **ახვლედიანი**, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 88.

[230] ა. **შანიძე**, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 643.

X. რთული წინადადების შედგენის საშუალებანი და ტიპები

§159. რთული წინადადების რაობა

რთული წინადადება შედგება ორი ან ორზე მეტი მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან: დაღამდა და ყველანი განსვენებას მიეცნენ (ყაზ., 1, 115); ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყივის, ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის (ჭავ., 71); გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიისფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს (ყაზ., 2, 268). პირველი წინადადება ორი მარტივისაგან შედგება. მეორე — სამისაგან, მესამე კი — ერთი მარტივისა და ორი შერწყმულისაგან.

მარტივი წინადადება სიტყვით ან სიტყვათა შეკავშირებით გადმოიცემა, რთული კი რამდენიმე წინადადების შეერთებისაგან წარმოდგება. ეს მომენტი არსებითად განასხვავებს ამ ორი ტიპის წინადადებას ერთმანეთისაგან სტრუქტურულად. რთული წინადადების ნაწილები, ე.ი. მასში გაერთიანებული მარტივი (და შერწყმული) წინადადებები სტრუქტურულად ემთხვევიან ცალკე აღებულ მარტივ (და შერწყმულ) წინადადებებს, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. მაგ., **დაღამდა** უქვემდებარო წინადადებაა ცალკე და მაშინაც, როცა ის რთულის ნაწილს წარმოადგენს. მაშასადამე, სტრუქტურულად ორივე შემთხვევაში ერთნაირია. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაცაა: **დაღამდა** ცალკე დამოუკიდებელი, დასრულებული, ინტონაციურად დამთავრებული ერთეულია, იგივე **დაღამდა**, როგორც რთული წინადადების ნაწილი, დაკავშირებულია სხვა წინადადებასთან და ამის გამო არ არის დამოუკიდებელი, დასრულებული, ინტონაციურად დამთავრებული სინტაქსური ერთეული: აზრობრივ და ინტონაციურად დამთავრებულ ერთეულს წარმოადგენს მთლიანად რთული წინადადება და არა რომელიმე მისი ნაწილი. ამიტომ არის, რომ რთული წინადადების ნაწილების წინადადებებად მიჩნევა რამდენადმე პირობითია. რთული წინადადება არ წარმოადგენს მარტივ (და შერწყმულ) წინადადებათა ფორმალურსა თუ მექანიკურ შეერთებას. რთული წინადადება აზრობრივ და ინტონაციურად ერთი მთლიანი, დასრულებული, დამთავრებული სინტაქსური ერთეულია, ხოლო მასში გაერთიანებული მარტივი (თუ შერწყმული) წინადადებები ამ მთლიანი ერთეულის ორგანული ნა-

წილებია. მაშასადამე, **რთული ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან და აზრობრივ და ინტონაციურად ერთ მთლიან დასრულებულ ერთეულს წარმოადგენს**[231].

რთულში შემავალი მარტივი (თუ შერწყმული) წინადადება შეიძლება გამოვყოთ და შეუცვლელად ცალკეც ვიხმაროთ როგორც აზრობრივად და ინტონაციურად დასრულებული, დამთავრებული ერთეული. მაგ., **ყველანი განსვენებას მიეცნენ**, ცალკე აღებული, დასრულებული, ინტონაციურად დამთავრებული ერთეულია. მაგრამ ხშირად ასეთი გამოცალკევება შეუძლებელია. რთული წინადადების ნაწილები დამოუკიდებლად არ შეიძლება ვიხმაროთ. მაგ., ორი მარტივი წინადადებისაგან შედგება **როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ** (ჭავ.), მაგრამ ცალ-ცალკე ეს ნაწილები დამოუკიდებელი, დამთავრებული ერთეულები არ შეიძლება იყოს.

რთულში გაერთიანებულ მარტივსა თუ შერწყმულ წინადადებებს თავ-თავისი მთავარი (და არამთავარი) წევრები აქვთ, რომლებიც სინტაქსურად არ არიან დაკავშირებული სხვა წინადადების რომელიმე წევრთან. მაგრამ გვაქვს ამ წესიდან გადახვევის შემთხვევაც, სახელდობრ: ერთი წინადადების ესა თუ ის წევრი სინტაქსურად ანგარიშს უწევს არა მარტო იმ წინადადების რომელიმე წევრს, რომელშიც შედის, არამედ სხვა წინადადების ერთ-ერთ წევრსაც. მაგ.: ცა მოიცვა **ღრუბლებმა, რომლებსაც** ქარი აქანებდა. (ბარნ., 1, 65). ეს რთული წინადადება ორი მარტივისაგან შედგება: 1) ცა მოიცვა **ღრუბლებმა.** 2) **რომლებსაც** ქარი აქანებდა. მიმართებითი ნაცვალსახელი პირდაპირი დამატებაა და მიცემითში დგას, რადგანაც ზმნა-შემასმენელი (აქანებდა) პირველი სერიის ფორმაა. რიცხვში ეს ნაცვალსახელი ემსგავსება, ე.ი. ეთანხმება, პირველი წინადადების ქვემდებარეს (რაც სინტაქსური ასიმილაციის ერთ-ერთი შემთხვევაა): **ღრუბელმა, რომელსაც; ღრუბლებმა, რომლებსაც**. მაშასადამე, ეს ნაცვალსახელი (ამ შემთხვევაში პირდ. დამატება) ბრუნვაში ანგარიშს უწევს იმ წინადადების შემასმენელს, რომელშიც თვითონ შედის, ხოლო რიცხვში – პირველი წინადადების ქვემდებარეს (§10).

ზოგჯერ რთული წინადადების ნაწილებს საერთო სიტყვაც აქვთ. აქ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) საერთო სიტყვა მეორდება რთული წინადადების ნაწილებში და ერთი და იგივე წევრია: გუგუნებს **თერგი**, ხმაურობს **თერგი** (ტაბ.); **ზოგი** იჯდა, **ზოგიც** იდგა, **ზოგი** ნიჩბებს იმარჯვებდა (გვეტ., 439); **დაფრთხნენ** ვაზები, **დაფრთხნენ** ჭალები, **დაფრთხნენ** ყანები,

[231] ტერმინი „რთული წინადადება“, ა. პეშკოვსკის აზრით, გაუმართლებელია. იგი მის ნაცვლად ხმარობს ტერმინს „сложное целое“. „Термин „сложное предложение“ мы отвергаем, так как он называет несколько предложений одним „предложением“ и тем создает путаницу“. Русский синтаксис в научном освещений, გვ. 455.

დაფრთხნენ ვეღები. (მ. მაჭ.). პირველ ორ წინადადებაში საერთო სიტყვა ქვემდებარეა, მესამეში – შემასმენელი. თუ საერთო სიტყვას ერთხელ ვიხმართ, პირველი და მესამე წინადადება შერწყმულად გადაკეთდება.

ბ) საერთო სიტყვა დასახელებულია რთული წინადადების პირველ ნაწილში, მომდევნო ნაწილში (თუ ნაწილებში) იგულისხმება იმავე წევრად: **მე** რომ დილით შინიდან გამოვდივარ, ენას შაქარში ვაცლებ, რომ ტკბილად ვილაპარაკო. (ლეონ., 34). ეს რთული წინადადება სამი მარტივისაგან შედგება. ქვემდებარე დასახელებულია პირველში, მომდევნო ორში კი იგულისხმება.

გ) თუ საერთო სიტყვა ადვილად იგულისხმება კონტექსტის ან ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით, ის შეიძლება რთული წინადადების პირველ ნაწილშიც არ იქნეს დასახელებული: თვალს რომ ვაცლებდი, ვხედავდი თმა-წვერს მადალის მთისასა (ვაჟა, 1, 262); ხევს რომ გასცდნენ, აღმართს შეუდგნენ. (ვაჟა, 5, 125). გამოტოვებული საერთო სიტყვა ორივე რთული წინადადების ნაწილებში ქვემდებარედ იგულისხმება.

დ) საერთო სიტყვა დასახელებულია რთული წინადადების პირველ ნაწილში, მომდევნოში გამოტოვებულია და იგულისხმება სხვა წევრად: **თორელს** ცრემლი წასკდა და თვალებზე ხელი აიფარა (გრ. აბ., 526); **ვაჩე** გაშრა და ენა ჩაუვარდა. (გრ. აბ., 436). პირველ წინადადებაში საერთო სიტყვაა **თორელს**, რომელიც ირიბი დამატებაა პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილში ქვემდებარედ იგულისხმება. მეორე რთულ წინადადებაში საერთო სიტყვაა **ვაჩე**, რომელიც ქვემდებარეა პირველ ნაწილში, ხოლო მომდევნოში ირიბ დამატებად ივარაუდება.

ე) საერთო სიტყვა, რომელიც არ არის დასახელებული, რთული წინადადების ნაწილებში იგულისხმება სხვადასხვა წევრად: მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები (მ. მაჭ.); ოთხმოც წელს მიაღწია და არაფერი ასტკივებია (ლეონ., 50); ხელები გაუცივდა და ჟრუანტელმა აიტანა. (გრ. აბ., 667). პირველ მაგალითში საერთო სიტყვაა **მე** ნაცვალსახელი, მეორეში – **ნინია** (კონტექსტის მიხედვით); მესამეში – **თორელი** (ესეც კონტექსტის მიხედვით). **მე** და **ნინია** ქვემდებარედ იგულისხმება რთული წინადადების პირველ ნაწილში (მე მივდივარ; ნინიამ მიაღწია), ირიბ დამატებად – მეორეში (**მე** მომდევენ; **ნინიას** ასტკივებია), ხოლო **თორელი** ირიბ დამატებად იგულისხმება პირველ შემასმენელთან, ქვემდებარედ – მეორესთან.

ვ) რთული წინადადების ნაწილებისათვის იშვიათად საერთოა ერთი ან რამდენიმე არამთავარი წევრი, რომლებიც დასახელებულია პირველ ნაწილში: **ლაფაროში** ბატები დოგდოგობდნენ და იხვები ბანს აძლევდნენ (დ. შენგ.); **ეხლა თებერას ეზოში** ქათამი

დადიოდა, ძაღლი იყეფებოდა, ღორი ღრუტუნებდა. (ბარნ., 2, 428);

§160. რთულში გაერთიანებულ წინადადებათა დაკავშირების საშუალებანი

რთულში გაერთიანებულ წინადადებათა ურთიერთმიმართება მრავალფეროვანია. მათი ერთ მთლიან ერთეულად შეერთება-შეკავშირებისა და სხვადასხვა მიმართების გამოხატვის საშუალებებია: 1) ინტონაცია. 2) კავშირები. 3) მიმართებითი სიტყვები. 4) მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვები. 5) წინადადებათა წყობა (განლაგება). 6) ზმნის მწკრივთა ფორმები.

1. **ინტონაცია.** ინტონაცია რთული წინადადების ნაწილების შეერთებისა და მათი ურთიერთმიმართების გამოხატვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მაგ., რთული წინადადებაა: წვიმამ გადიღო, მაგრამ ცაზედ მზე მაინც არა ჩანდა. (ვაჟა, 5, 160). ეს რთული წინადადება ორი მარტივისაგან შედგება: 1) წვიმამ გადიღო. 2) მაგრამ ცაზე მზე მაინც არა ჩანდა. აქ დამთავრებულობის ინტონაცია მეორე მარტივი წინადადების ბოლოსაა, პირველი მარტივი წინადადების წარმოთქმა კი დაუმთავრებლობასთან ერთად მომდევნო წინადადებასა და მასთან კავშირს გვავარაუდებინებს. რთული წინადადების ინტონაცია მრავალფეროვანია, რომელიც, გარდა აღნიშნულისა, რთული წინადადების ნაწილებს შორის სხვადასხვაგვარ მიმართებასაც გამოხატავს.

2. რთული წინადადების ნაწილების შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, რომლებიც წარმოადგენენ მასში შემავალ წინადადებათა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული მიმართების დამყარების ტიპობრივ საშუალებას. მაგ.: დათქმული დილაც გათენდა, **მაგრამ** პაპა პეტრე არსად ჩანდა (შატბ.); ზოგჯერ ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, **რომ** სუნთქვაც კი ისმოდა. (ჯავ.). „მაგრამ“ მაერთებელი კავშირია, „რომ“ – მაქვემდებარებელი. ორივე დამხმარე სიტყვაა და წინადადების წევრი არც ერთია და არც მეორე. ისინი აერთებენ რთული წინადადების მეორე ნაწილს პირველთან და ამყარებენ გარკვეულ მიმართებას: „**მაგრამ**“ აპირისპირებს მეორე მარტივ წინადადებას პირველთან, **რომ** კი უქვემდებარებს.

3. საკავშირებელი სიტყვებია მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: ვინც, რაც, რომელიც... სადაც, საიდანაც, როგორც, როდესაც... ესენი ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებენ: აერთებენ ერთ წინადადებას მეორესთან (როგორც კავშირები) და თანაც ამა თუ იმ წევრს გამოხატავენ. მაგ.: მოხდა ის, რაც ფშავში ხშირად ხდება. (ვაჟა, 6, 423). „რაც“ აერთებს მეორე წინადადებას პირველთან, რითაც ის კავშირის ფუნქციას ასრულებს, თანაც ქვემდებარედ არის შეწყობილი მეორე წინადადების შემასმენელთან, ე.ი. **წევრ-კავშირია**. კავშირები დამხმარე სიტყვებია, წევრ-

კავშირები კი – სრულმნიშვნელობიანი.

4. რთული წინადადების ერთ ნაწილში ხშირად არის ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელიც წინადადების წევრის მხოლოდ ზოგად დასახელებას წარმოადგენს, მის კონკრეტულ მნიშვნელობას კი ხსნის და განმარტავს მეორე წინადადება. მაგ.: ზემოთ დასახელებული რთული წინადადების პირველ ნაწილში ქვემდებარე გადმოცემულია **ის** ნაცვალსახელით, რომლის კონკრეტულ მნიშვნელობასაც ხსნის და განმარტავს მეორე წინადადება. ასეთ ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, რომლებიც დასახელებული არიან რთული წინადადების ერთ ნაწილში და აუცილებლად ვარაუდობენ მათს ამხსნელ წინადადებას, **მისათითებელი** ანუ **საკორელაციო** სიტყვები ჰქვია. ისინი, ე.ი. კორელატები, წარმოადგენენ რთული წინადადების ნაწილების შეერთების ერთ-ერთ საშუალებას. ასეთი მისათითებელი სიტყვებია: **ის, ისეთი, იქ, ისე** და მისთ. მაგრამ ასეთი სიტყვები ყოველთვის როდია მისათითებელი. ხშირად ისინი უკვე ცნობილისა და კონკრეტულის აღსანიშნავად იხმარება. მაგ.: ბუნება ნამქერს პირში აყრიდა მგზავრს, სუნთქვას უძნელებდა, სულს უხუთავდა, მაგრამ **ის** მაინც წინ მიიწევდა. (ვაჟა, 6, 321). **ის აქ მგზავრის** ნაცვალია და საკორელაციო სიტყვას არ წარმოადგენს.

5. ცალკეულ წინადადებებს რთულის შემადგენლობაში გარკვეული ადგილი უჭირავთ. ხშირად მათი განლაგება რამდენადმე თავისუფალია: ადგილების შეცვლა არ იწვევს მათ შორის დამყარებული მიმართების დარღვევასა თუ შეცვლას. მაგ.: უკვე ბნელოდა, როცა აკაკიმ თვალი გაახილა (გვ., 360). ამ რთული წინადადების ნაწილებს რომ ადგილები შევუნაცვლოთ, მიმართება მათ შორის არ შეიცვლება: როცა აკაკიმ თვალი გაახილა, უკვე ბნელოდა. მაგრამ ხშირად რთულში გაერთიანებულ წინადადებათა ადგილი განსაზღვრულია, მყარია: მათთვის ადგილების შეცვლა ან სრულიად შეუძლებელია, ანდა განსხვავებულ მიმართებას იწვევს. მაგ.: **ცა მოიწმინდა და გამოჩნდა მზე**. (ლორთქ., 2, 288). არ ითქმის: **გამოჩნდა მზე და ცა მოიწმინდა**. წინადადებათა ადგილი მყარია. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: **ჰაერში დატრიალდა ზაფხულის სუნი და ბუნებამ გაიღვიძა.** (ყაზ., 2, 165). ამ რთულში შემავალ მარტივ წინადადებებს რომ ადგილები შევუნაცვლოთ, მათ შორის რამდენადმე განსხვავებული აზრობრივი მიმართება დამყარდება: **ბუნებამ გაიღვიძა და ჰაერში დატრიალდა ზაფხულის სუნი**. მაშასადამე, როგორც განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, რთულში გაერთიანებულ წინადადებათა ურთიერთმიმართებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ რიგს, განლაგებას.

6. რთული წინადადების ნაწილებს შორის გარკვეული მიმართების დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს ზმნის დროისა და კილოს (მწკრივის) ფორმების გამოყენებას. ხშირად რთულის ნაწი-

ლებში ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია ნახმარი, ზოგჯერ კი – სხვადასხვა მწკრივისა,. მაგ.: ერთბაშად რაღაცა შრიალი **მოისმა** და ამხანაგები **შეკრთენ**. (ყაზ., 1, 115): ამ რთულ წინადადებაში ორი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული და შემასმენლები ორივეში წყვეტილის ფორმით არის გადმოცემული. მეორე შემასმენლის სხვა მწკრივის ფორმით ხმარება შეუძლებელია. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება. ბარტყები ნისკარტს **სცემენ** ნაჭუჭსა, რომ **გამოამტვრიონ** და **გამოვიდნენ** გარეთ. (გოგ., 12). რთული წინადადების პირველ ნაწილში აწმყოს მწკრივის ფორმაა (სცემენ), მეორეში – მეორე კავშირებითისა (გამოამტვრიონ და გამოვიდნენ). გახარებულმა ალალმა **გასწია** ტყისკენ, რომ **იქ შეეჭამა** თავისი მსხვერპლი (რაზ., 7): აქ პირველ ნაწილში წყვეტილის ფორმაა ნახმარი (გასწია), მეორეში – მეორე თურმეობითისა (III კავშირებითის მნიშვნელობით).რთულის მეორე ნაწილში ზმნის მწკრივის ფორმათა გამოყენებას განსაზღვრავს პირველ ნაწილში ნახმარი ზმნის ფორმა. ამგვარად, რთული წინადადების ნაწილებში მწკრივების ფორმათა გამოყენება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ზემოთ განხილულ სინტაქსურ საშუალებათაგან ერთდროულად რამდენიმეა გამოყენებული. გარდა აღნიშნულისა, წინადადებათა მიმართება ზოგჯერ სხვა საშუალებითაც არის გამოხატული. მაგ.: ქართველების ბედზე ბრძოლის ველი **ვიწრო იყო** და **ამის გამო** ლეკების ბრბო ვერ იშლებოდა თავისუფლად. (ლომ., 427). ამ რთულ წინადადებაში მეორე მარტივი წინადადების აზრობრივი მიმართება პირველთან ლექსიკური საშუალებითაც არის გადმოცემული. **ამის გამო** მიგვითითებს, რომ პირველში მიზეზია დასახელებული, მეორეში – შედეგი.

§161. რთული წინადადების ძირითადი ტიპები

რთული წინადადების ნაწილების აზრობრივი და გრამატიკული მიმართება მრავალფეროვანია. ტრადიციულად რთულ წინადადებებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: **რთულ თანწყობილად** და **რთულ ქვეწყობილად. თანწყობა** და **ქვეწყობა** რთულ წინადადებათა შედგენის ძირითადი საშუალებებია. წინადადებათა თანწყობას **პარატაქსს** უწოდებენ (ბერძ. parataxis), ქვეწყობას – **ჰიპოტაქს** (ბერძ. hypotaxis),

თანწყობა გულისხმობს ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას, ხოლო თანწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას **რთული თანწყობილი წინადადება** ჰქვია. მაგალითად, რთული თანწყობილი წინადადებაა „**მგლები ღმუოდნენ მდუმარ ველებზე** და **წეროები ტიროდნენ** ცაში“. (ნ. ნად.). ამ რთულ წინადადებაში ორი მარტივი წინადადებაა: 1) მგლები ღმუოდნენ მდუმარ ველებზე. 2) წეროები ტიროდნენ ცაში. ეს ორი მარტივი წინადადება, რომლებიც აქ **და** კავშირით

არიან შეერთებული, ერთიმეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორი, ტოლი წინადადებებია და ამის გამო შეუცვლელად ცალცალკე შეიძლება ვიხმაროთ, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულები. მაგრამ მოცემულ რთულ წინადადებაში ისინი გაერთიანებულია ერთ რთულ სინტაქსურ ერთეულად. მათი გაერთიანების საფუძველს ამ წინადადებაში გამოხატულ მოვლენათა ერთდროულობა წარმოადგენს.

ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც გრამატიკულად ერთიმეორის მიმართ არ არიან თანასწორი: ერთი გაბატონებულია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული.

ქვეწყობის საშუალებით მიღებულ წინადადებას **რთული ქვეწყობილი** წინადადება ეწოდება. გაბატონებულ წინადადებას **მთავარი** ჰქვია, დაქვემდებარებულს კი – **დამოკიდებული**. მაშასადამე, რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებია მთავარი და დამოკიდებული წინადადება. მაგალითად: ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვალად ამაღლებული გორაკა, რომელსაც ფერდოები შემოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა. (ყაზ., 2, 654). პირველი წინადადება (ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვალად ამაღლებული გორაკა) მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული. მთავარი წინადადება ამ მაგალითში დამოკიდებული წინადადების გარეშეც გასაგებია და ის ცალკე შეიძლება ვიხმაროთ, დამოკიდებული წინადადება კი წარმოდგენილი სახით (შეუცვლელად) ცალკე არც შეიძლება ვიხმაროთ. დამოკიდებული წინადადება იძლევა დამატებითს ცნობას მთავარი წინადადების ქვემდებარის შესახებ (გორაკა), განსაზღვრავს მას წინადადების სახით. დამოკიდებული წინადადება, საზოგადოდ, ასრულებს რომელიმე წევრის ფუნქციას, ან კონკრეტულად ხსნის და განმარტავს მთავარ წინადადებაში მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვის ზოგად მნიშვნელობას. დასახელებულ მაგალითში დამოკიდებული წინადადება განსაზღვრების სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს მთავარი წინადადების ქვემდებარესთან. ახლა ვნახოთ ეს წინადადება: **ისეთი** ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო. (წერ., 1, 147). პირველი წინადადება (ისეთი ბნელი ღამე იყო) აქაც მთავარია, მეორე კი – დამოკიდებული. მთავარში არის ნაცვალსახელი **ისეთი**, რომლის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებასაც დამოკიდებული წინადადება იძლევა. ქვეწყობის პროცესი ნათლად ჩანს, როცა დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, ან კიდევ ის მთავარში წარმოდგენილი მისათითებელი სიტყვის ახსნა-განმარტებას წარმოადგენს. მაგრამ ენაში გვაქვს ისეთი ტიპის დამოკიდებული წინადადებებიც, რომლებიც არ ასრულებენ ამა თუ იმ წევრის ფუნქციას და არც მთავრის რომელიმე სიტყვის მნიშვნელობას განმარტავენ. მაგალითად: ბორბლები რაღაც უცნაურად

ხმაურობდნენ, რაც თეოს წინათ არასოდეს შეუმჩნევია. (გვეტ., 67). აქ დამოკიდებული წინადადება „რაც თეოს წინათ არასოდეს შეუმჩნევია“ არ ასრულებს რომელიმე წევრის ფუნქციას და არც დაზუსტება და განმარტებაა მთავარი წინადადების რომელიმე სიტყვისა. ის მთლიანად მთავარს მიემართება.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს მაერთებელი კავშირები აერთებენ, რთული ქვეწყობილისას კი – მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები (წევრ-კავშირები). გვაქვს უკავშირო შეერთების შემთხვევებიც.

ზემოთ დასახელებულია თანწყობისა და ქვეწყობის ტიპობრივი შემთხვევები. მაგრამ ის, რაც ითქვა, თანაბრად არ ვრცელდება რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილში შემავალ ყველა წინადადებაზე. ამდენად, ზემოთ თქმული ამ ორი ტიპის წინადადების შესახებ რამდენადმე ზოგადია. მართლაც, რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები ყოველთვის თანასწორი არ არიან ერთმანეთის მიმართ. ხშირად რთულ თანწყობილში გაერთიანებულ წინადადებათაგან პირველია თავისთავადი, დამოუკიდებლად გაფორმებული, მომდევნო წინადადების გრამატიკული გაფორმება კი პირველზეა დამოკიდებული და, ამდენად, პირველის გარეშე მოკლებულია აზრობრივ დამოუკიდებლობასაც. მაგ.: მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით. (ჭავ., 419). ამ რთული თანწყობილი წინადადების პირველი ნაწილი (მამა გავიდა მეორე ოთახში) თავისთავადი, დამოუკიდებლად გაფორმებული მარტივი წინადადებაა. მეორე მარტივი წინადადება (ჩვენც გავყევით) არ არის ისეთი თავისთავადი და დამოუკიდებლად გაფორმებული, როგორც პირველი: თუ ვის გავყევით და სად გავყევით, – ეს გასაგებია პირველი წინადადების მიხედვით. მაშასადამე, ვერ ვიტყვით, რომ ამ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები ერთიმეორის მიმართ ყოველმხრივ თანასწორია.

რთული ქვეწყობილი წინადადება, როგორც ვიცით, მთავარი და დამოკიდებული წინადადებებისაგან შედგება. მთავარი წინადადება ხშირად რამდენადმე თავისთავადია, დამოუკიდებელია: სოფელს გვერდით ჩამოუდიოდა მდინარე, რომლის ნაპირებზე ვენახები იყო გაშენებული. (ბარნ., 2, 342). მთავარი (სოფელს გვერდით ჩამოუდიოდა მდინარე) არ მოითხოვს დამოკიდებულს, ის აქ დამოკიდებული წინადადების გარეშეც შეიძლება ვიხმაროთ. მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავარი მოითხოვს დამოკიდებულს და ამ უკანასკნელის გარეშე ის დამოუკიდებლად არც შეიძლება ვიხმაროთ. ასეთ შემთხვევებში დაქვემდებარება ორმხრივია, საურთიერთოა. მაგალითად: ისე ცხელა, რომ მზეზე კვერცხი მოიხარშება. (ჯავ., 4, 293). პირველი წინადადება (ისე ცხელა) მთავარია, მაგრამ ის არ არის თავისთავად დამოუკიდებელი და ცალკე, დამოკიდებული

წინადადების შეუხამებლად, შეუცვლელად არც შეიძლება ვიხმაროთ. მაშასადამე, **რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთმიმართება სხვადასხვაგვარია.**

მკვეთრი ზღვარის გავლება რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს შორის ზოგჯერ ძნელდება. მართლაც, მათი ნაწილების აზრობრივი მიმართება ზოგჯერ ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ სინონიმური მნიშვნელობის წინადადებებს ვღებულობთ. მაგალითად, ამ **ჯურღმულის მარცხენა და უკანა კედელი მუდამ სველი იყო, რის გამო ნესტი იდგა და სუნთქვა ჭირდა** (გვეტ., 76) რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომლის აზრიც რთული თანწყობილი წინადადებით ასე გადმოიცემა: ამ ჯურღმულის მარცხენა და უკანა კედელი მუდამ სველი იყო და ამის გამო ნესტი იდგა და სუნთქვა ჭირდა. აქ, თანწყობილ წინადადებაში, დაქვემდებარების ელემენტებიცაა: როგორც ქვეწყობილი, ისე თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში მიზეზია დასახელებული, მეორეში კი – შედეგი. ამ თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება არც არის.

* * *

რთული წინადადება ენაში ისტორიულად გაცილებით გვიან შემუშავდა, ვიდრე მარტივი წინადადება. ეს ბუნებრივიცაა: ადამიანის მეტყველება მისი აზროვნების დონესთან არის შეფარდებული. პირველყოფილი ადამიანის აზროვნება, როგორც ეს საყოველთაოდ არის აღიარებული, პრიმიტიული იყო და უაღრესად კონკრეტული. ამიტომ ადამიანი სინამდვილის სხვადასხვა მხარეს, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებს ადრინდელ ხანაში გამოხატავდა მარტივი წინადადებებით, რომლებიც არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. შემდეგ კი ადამიანის აბსტრაქტული აზროვნების განვითარებასა და მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასთან დაკავშირებით იგი თანდათან უფრო ღრმად ჩასწვდა სინამდვილის მოვლენებსა და მათ შორის არსებულ კავშირსა თუ მიმართებას. ამის შედეგად ცალკეულ მარტივ წინადადებათა შეერთებით შემუშავდა რთული წინადადება, რომელიც სინამდვილის შემეცნების უფრო რთულ პროცესს ასახავს.

რთული წინადადების წარმოქმნა ადამიანის აზროვნებისა და მეტყველების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. იგი ენის სინტაქსური წყობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მაუწყებელია.

ვარაუდობენ, რომ მარტივ წინადადებებს პირველ ხანებში სვამდნენ ერთმანეთზე მიყოლებით რაიმე საგანგებო სიტყვებით დაკავშირება-გადაბმის გარეშე, ე.ი. უკავშირო შეერთება უფრო ადრინდელია, ვიდრე კავშირიანი[232].

ამასთანავე, მეცნიერებაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ თანწყობა უფრო ადრინდელია და წინადადებათა ერთმანეთთან გადაბმა-დაკავშირების უფრო პრიმიტიული საშუალებაა, ვიდრე ქვეწყობა[233], რომელიც განვითარებულია პირველისაგან, მისი გართულების გზით თვით აზროვნების ფორმის განვითარება-გაღრმავების შესაბამისად[234].

---

[232] **А. Мейе**. Введение и сравнительное изучение индоевропейских языков, М.Л., 1938, გვ.375: **А.М.Пешковский.** Русский синтаксис в научном освещении, М. 1956, გვ. 474.

[233] ა. პეშკოვსკი. დასახელებული წიგნი, გვ. 173.

[234] **А. Б. Шапиро**. О принципах классификации подчиненных предложении: «Русский язык в школе», 1937, №2 გვ. 14

პარატაქსი ანუ წინადადებათა თანწყობა ტიპობრივია სასაუბრო მეტყველებისათვის, ჰიპოტაქსი ანუ ქვეწყობა – წერილობითისათვის. ეს უკანასკნელი ყალიბდება და სინტაქსურ ნორმად იქცევა ენის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. მისი ჩამოყალიბება განვითარებული აზროვნების კუთვნილებაა. იგი გულისხმობს სინთეზურ მსჯელობას და გამოხატავს უფრო რთულსა და მრავალფეროვან მიმართებებს მოვლენათა შორის, ვიდრე თანწყობა, რომელიც ანალიზურ მსჯელობას შეესატყვისება.

რთული ქვეწყობილი წინადადების სათავე არ არის მწერლობა, მაგრამ მის განმტკიცებასა და თანწყობილი წინადადებისაგან მკვეთრად გამოყოფას, როგორც ვარაუდობენ, სწორედ მწერლობამ შეუწყო ხელი[235].

რთული წინადადების სინტაქსური ბუნება, შეიძლება ითქვას, თეორიულად ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გაშუქებული[236], მიუხედავად იმისა, რომ მოძღვრებას რთული წინადადების შესახებ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

XVIII საუკუნის დამლევისათვის საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივია ტერმინები მთავარი და დამოკიდებული წინადადება"[237], ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოძღვრება პარატაქსსა და ჰიპოტაქსზე უფრო სრული და თანამიმდევრული ხდება.

ცნობები რთული წინადადების შესახებ რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირველად ნ. გრეჩის გრამატიკაშია[238] წარმოდგენილი, ხოლო დასრულებული სახით რთული წინადადების ტიპებზე მოძღვრება მოცემული აქვს ო. ბუსლაევს[239], რომლის გრამატიკული შეხედულებებიც საფუძვლად დაედო რუსულ გრამატიკებს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში[240].

ტრადიციული მოძღვრება პარატაქსსა და ჰიპოტაქსზე ზოგიერთმა ენათმეცნიერმა ეჭვის ქვეშ დააყენა. ასე, მაგალითად, ეს მოძღვრება მკვეთრად გააკრიტიკა მ. პეტერსონმა, რომელმაც სრულებით უარყო თანწყობისა და ქვეწყობის არსებობა. თანწყობასა და ქვეწყობას, მ. პეტერსონის აზრით, არ მოეპოვებათ განმასხვავებელი ობიექტური ნიშნები, ამიტომ არც იმის საჭიროებაა, რომ შევინარჩუნოთ რთული წინადადების ტიპებზე შექმნილი მოძღვრების მემკვიდრეობაო[241].

ა. პეშკოვსკიმ, რომელმაც სპეციალური წერილი[242] მიუძღვნა რუსულ ენაში პარატაქსისა და ჰიპოტაქსის საკითხს, კრიტიკულად განიხილა მ. პეტერსონის შეხედულება. ა. პეშკოვსკიმ დაასახელა რამდენიმე არსებითი ხასიათის ნიშანი, რომლებიც განასხვავებენ ერთმანეთისაგან რთულ თანწყობილსა და ქვეწყობილ წინადადებებს, და ამით დამაჯერებლად დაასაბუთა რთული წინადადების დასახელებული ტიპების არსებობა რუსულ ენაში.

იგივე ითქმის რთული წინადადების ტიპების თაობაზე ქართულ ენაში. მართლაც,

---

[235] კ. დონდუა, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, ენიმკის მოამბე, V-VI 1940, გვ. 330.

[236] **Н. С. Поспелов**. О граматической природе сложного предложения: Вопросы синтаксиса современного русского языка, под ред. акад. В.В.Виноградова, М. 1950. გვ. 321.

[237] **А. Г. Руднев**. Синтаксис современного русского языка, გვ. 262.

[238] **Н. Г. Греч**. Практическая русская грамматика, 1827.

[240] **С. И. Абакумов**. О придаточтых предложениях: «Русский язык в школе», 1938. №2, გვ. 88

[241] **М. Н. Петерсон**. Очерк синтаксиса русского языка, М. 1923 გვ. 32-33

[242] **А. М. Пешковский**. Существует ли в русском языке сочинение и подчинение предложений? კრებულში «Вопросы методики родного языка, лингвистики и стилистики», 1930.

ჩვენ არ გვაქვს რაიმე საფუძველი, რომ უარვყოთ ქართულში თანწყობა და ქვეწყობა, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული სინტაქსური პროცესები. ამიტომ ქვემოთ რთულ წინადადებას განვიხილავთ დასახელებული ტიპების მიხედვით ცალ-ცალკე, რასაც ზურგს უმაგრებს არა მარტო ტრადიცია, არამედ, რაც მთავარია, ისიც, რომ ასეთი დაყოფა გამართლებულია გრამატიკულად.

რთული წინადადების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ ანტონის სკოლის გრამატიკებში გვხვდება. მაგალითად, სოლ. დოდაშვილისაში (1830); მაგრამ რამდენადმე დასრულებული სახით რთული წინადადების საკითხები (ძირითადად ქვეწყობილისა) ჩვენს სინამდვილეში პირველად არ. ქუთათელაძისა და თ. ჟორდანიას გრამატიკებშია წარმოდგენილი. XIX საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრებულ ტრადიციას, მეტ-ნაკლები სხვაობისდა მიუხედავად, ამ მხრივაც აგრძელებენ შემდეგი დროის გრამატიკები (მ. ჯანაშვილისა, სიმ. ხუნდაძისა, ი. ნიკოლაიშვილისა, მ. კელენჯერიძისა). ქართული გრამატიკებიდან ყველაზე სრულად და თანამიმდევრულად, რამდენადაც ეს სასკოლო გრამატიკაშია შესაძლებელი, რთული წინადადების ტიპები განხილულია ა. შანიძის ქართული ენის გრამატიკაში“ (1939), რომლის მე-4 გამოცემაში (1948) რთული წინადადების სინტაქსი კიდევ უფრო მეტი სისრულით არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ტერმინები თანწყობა, ქვეწყობა, თანწყობილი და ქვეწყობილი პირველად ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში (1939) არის ნახმარი.

XI. რთული თანწყობილი წინადადება

§162. თანწყობილ წინადადებათა შეერთების საშუალებანი

რთული თანწყობილი წინადადება კავშირიანია ან უკავშირო. მაგ.: ქვითინებდა შველი, კვნესოდა ჯეირანი, ოხრავდა ირემი (ევდ., 3, 316); მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო **და** მზის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა. (ყაზ., 2, 436).

პირველი წინადადება უკავშიროა, მეორე – კავშირიანი, უკავშირო თანწყობილ წინადადებათა შეერთების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. კავშირთაგან წინადადებათა შესაერთებლად აქ გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: **მაჯგუფებელი, მაცალკევებელი** და **მაბირისპირებელი**. მაერთებელი კავშირები არა მარტო წინადადებათა გადაბმის საშუალებაა, არამედ მათი აზრობრივი მიმართების გამოხატვის საშუალებაც. ინტონაცია გარკვეულ როლს ასრულებს კავშირიანი შეერთების დროსაც. კავშირების საშუალებით თანწყობილ წინადადებათა შორის მრავალფეროვანი მიმართების გამოხატვა შეიძლება, უკავშირო შეერთება კი ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია.

კავშირებისა და ინტონაციის გარდა, რთული თანწყობილი წინადადების ნაწილების აზრობრივი მიმართების გამოხატვისათვის მნიშვნელობა აქვს ზმნის ფორმებსა და ისეთი სიტყვისა თუ სიტყვების გამოყენებას, რომლებიც ამა თუ იმ მიმართებას უფრო ნათლად და ზუსტად გამოხატავენ. მაგ.: უცებ გაღმა ხრიალი მოისმა. **მერმე** საზარელმა ხარხარმა ამოხეთქა, **შემდეგ ის** გიჟური სიცილი უძირო ხეობას სასოწარკვეთილ გოდებად და დრტვინვად მოედო, **ბოლოს** ის თავგანწირული ვალალი და ძრწუნვა, ხევით-ხევამდე არეკილი, სადღაც წყვდიადში დაიკარგა (ჯავ., 2, 451); ჩვენ შორის ნიადაგი **ჯერ** გაიკაწრა, **მერმე** ხნულმა გაიარა, ის ხნული არხად გადაიქცა და **ბოლოს** ღრმა ხრამს დაემსგავსა. (ჯავ., 2, 545). ორივე წინადადება უკავშირო რთული თანწყობილი წინადადებაა. ამ რთულ წინადადებათა ნაწილებში ნახმარი დროის ზმნიზედები მიგვითითებენ მოქმედებათა თანამიმდევრობაზე, ე.ი. წინადადებათა აზრობრივი მიმართება ლექსიკური საშუალებითაც არის გადმოცემული.

თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი წინადადებაა გაერთიანებული, შეერთება შეიძლება კავშირიანიც იყოს და უკავშიროც: გაზაფხული გავიდა, დადგა შემოდგომა, დაიწყო გაბმული წვიმები **და** დაიჭირა სიცივეები. (გოგ., 76). აქ მესამე და მეოთხე წინადადება და კავშირით არის შეერთებული, პირველი და მეორე – უკავშიროდ.

§163. მაჯგუფებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება

მაჯგუფებელ კავშირთაგან თანწყობილი წინადადების ნაწილების შესაერთებლად ყველაზე ხშირად **და** კავშირია გამოყენებული. და-თი შეერთებული წინადადებები ხშირად სტრუქტურუ-

ლად ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებია: ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა **და** ღამის უფსკრული მიდამოს ქურდულად ეპარებოდა (ყაზ., 2, 446); წმინდა გაკრიალებულ ჰაერში ისარივით დაქროდა მარად მხიარული მერცხალი **და** კოპწია მარდი ტოროლა ზარივით წკრიალა გალობით ლაჟვარდ სივრცეში დაქანაობდა (ლომ., 347); დაიჭექა თოფმა დაბლა **და** მაღლა ქორმა შეიფრთხიალა. (წერ., 1, 235).

მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც თავისთავად, სტრუქტურულად, დამოუკიდებლად გაფორმებული არის პირველი ნაწილი, მეორის გაფორმება კი განსაზღვრულია პირველით და, ამდენად, ის მოკლებულია თავისთავადობასა და სტრუქტურულ დამოუკიდებლობას. დავასახელებთ ამის ორიოდე შემთხვევას:

ა) რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს აქვთ საერთო სიტყვა, რომელიც დასახელებულია პირველ ნაწილში, მეორე ნაწილში კი გამოტოვებულია და იგულისხმება სხვა წევრად: **ციცია** წყნარად სუნთქავდა და ცხვრის ნაზი ნესტოები ებერებოდა. (ყაზ., 2, 97).

საერთო სიტყვაა **ციცია,** რომელიც ქვემდებარეა პირველ მარტივ წინადადებაში (**ციცია** სუნთქავდა) და ირიბ დამატებად იგულისხმება მომდევნო წინადადების შემასმენელთან (**ციციას** ცხვრის ნესტოები ებერებოდა). ზოგჯერ რთული თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში რამდენიმე საერთო სიტყვაა დასახელებული. მაგ.: **ასეთ ხმაურობასა** და **ოცნებაში** მზეც ჩავიდა და ბინდმაც მოაღწია. (ჯავ., 2, 281).

ბ) თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში არის ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობა გასაგებია პირველ ნაწილში დასახელებული სიტყვის მიხედვით: გაზაფხულითაც **წეროებმა** გადაიარეს წინა და შემოდგომითაც ისევ **ისინი** მოდიან (რაზ., 17); პაექრობაში ზოგჯერ **ლაშაც** ჩაგვერეოდა და **მისი** ხმის გაგონება ხალისს გვმატებდა (გვეტ., 240); წყალზე **სხვებიც** ჩამოსულიყვნენ და **იმათგან** გაიგო [თებერამ] ეს ახალი ამბავი (ბარნ., 2, 454); იმ ოთახის **კარები** ღია იყო და **იქიდან** მოზრდილი დარბაზი მოჩანდა. (ჯავ., 1, 18).

და-თი შეერთებულ წინადადებათა აზრობრივი მიმართება სხვადასხვაგვარია, სახელდობრ: წინადადებათა ნაწილებში დასახელებული ზმნები გამოხატავს:

ა) **ერთდროულ მოვლენებს**: ბაღში ნელი სიო **ფუსფუსებს** და კუთხეში თაგვი **ცოდვილობს** (ჯავ.); ნაღვერდალს **ფერფლი** ეფარებოდა და მიდამო იდუმალებით **ივსებოდა** (ყაზ., 2, 405); ყორანი **იჯდა** მუხის ერთ ხმელს ტოტზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით **ჩამოსდიოდა** (ვაჟა); ტურა-მელები ფრინველებს **იბარავდნენ**, მგლები ოთხფეხს **იტაცებდნენ** და დათვი იქაურობას **ტორავდა** და **ანადგურებდა** ... (წერ., 8, 190).

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა და-თი შეერთებული წინადადებები ერთდროულ მოვლენებს გამოხატავენ, მაგრამ ერთმანეთის მიმართ დათმობითის შინაარსისანი არიან: პირველ ნაწილში გამოხატული აზრის მიხედვით არ არის მოსალოდნელი ის, რაც მეორე ნაწილშია გამოთქმული, და პირიქით: შემოდგომა იდგა და მაინც ცხელოდა. (მიხ. მრევლ.).

თანწყობილი წინადადებების ნაწილებში ნახმარი ზმნები ჩვეულებრივ ერთი და იმავე დროის ფორმებია, მეტწილად ერთია მწკრივიც. ერთდროულობას შეიძლება ხაზი გაესვას საერთო დროის გარემოების გამოყენებით პირველ ნაწილში: **სადამოზე** ცა მოიწმინდა და ქარი ჩადგა. (ჯავ.).

ბ) **თანამიმდევრულ მოვლენებს**: ჩქარა **ჩავიდა** მზე და დღის სიცხე ღამის სიომ **შესცვალა**. (ყაზ., 2, 102). იგულისხმება, რომ ჯერ **ჩავიდა მზე** და შემდეგ **დღის სიცხე ღამის სიომ შეცვალა**. მსგავსი მაგალითია: კარი სწრაფად **გაიღო** და ოთახში ქალი **შემოვიდა**. (რ. ინან.).

მოვლენათა თანამიმდევრობა ჩვეულებრივია, როცა წარსულში მომხდარ ფაქტებზეა საუბარი. თუ რა დროით არის დაცილებული ერთი მოქმედება მეორისგან, - ეს შეიძლება აღნიშნულ იქნეს მომდევნო წინადადებაში სათანადო სიტყვების ხმარებით: ერთ ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაცა კაცი გამოჩნდა (ყაზ., 2, 355); ამოვარდა ქარი და **ცოტა ხნის შემდეგ** კოკისპირული წვიმა დაუშვა (კ. ლორთქ., 3, 61); საათმა სასაცილოდ გაიჟღარუნა და **მაშინვე** ხმა ჩაუწყდა (არ. სულაკ.); სიმღერა მინელდა და **მალე** დუმილიც ჩამოვარდა. (დ. შენგ.).

გ) **მოვლენათა მიზეზშედეგობრიობას**: მე ექიმი ვარ და საქმე მე უნდა გადავწყვიტო. (ჯავ., 1, 213). პირველ წინადადებაში მიზეზია დასახელებული, მეორეში – შედეგი. ამ წინადადების აზრი ისაა, რომ რადგანაც **მე ექიმი ვარ**, ამიტომ **საქმე მე უნდა გადავწყვიტო**. მიზეზშედეგობრიობაა გამოხატული შემდეგ მაგალითებშიც: იმან ხელი ჰკრა პაპას და პაპა წაიქცა (ვაჟა, 5, 21); ერთხელ ყანაში ღორი მოკლეს და მთელი დღე არაფერი მიჭამია (წერ., 42); ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგ მოსავალს იძლეოდა (ჭავ., 428). ასეთ წინადადებებში და კავშირის შემდეგ შეიძლება ვიხმაროთ ზმნიზედები: **ამიტომ, იმიტომ, ამის გამო** და მისთ., რომლებიც აზუსტებენ და უფრო ნათლად წარმოგვიდგენენ თანწყობილ წინადადებათა აზრობრივ მიმართებას. ასეთი სიტყვები ზოგჯერ წარმოდგენილია კიდეც, რომლებიც მიზეზის გარემოებად შედიან წინადადებაში და თანწყობილი წინადადების ნაწილების მიმართებასაც უფრო ნათლად გამოხატავენ: მრავალ ცხარე ბრძოლაში მორჩაძე გაუკაწრავი დარჩენილა და **ამის გამო** სოფლად არაკად ლაპარაკობდნენ (გვეტ., 173). ქართველების ბედზე ბრძოლის ველი ვიწრო იყო და

ამის გამო ლეკების ბრბო ვერ იშლებოდა თავისუფლად (ლომ., 427); ღვინო მჟავეა, არაყი – მწარე, ჩაი – ცხელი, პირს დაგწვავს და **იმიტომ** არ გიახლებით (რაზ., 26); კვირტი სკდებოდა და ტოტი **იმიტომ** ირხეოდა. (კ. ლორთქ., 3, 21).

კავშირი **და** ზოგჯერ გამოტოვებულია: [პავლე] მუყაითი, ერთგული, ბეჯითი და ჩუმი მუშაკი იყო, **ამიტომ** მემამულეც და ნაცნობ-მეგობრებიც აფასებდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. (ჯავ., 1, 112).

ამ ტიპის თანწყობილი წინადადება უახლოვდება ქვეწყობილს და აზრის შეუცვლელად ასეთად ადვილადაც გადაკეთდება.

მოვლენათა თანამიმდევრობა ხშირად გართულებულია მიზეზ-შედეგობრიობის გამოხატვით: ჭალას ნისლი დააწვა და ისედაც ჩამობურულ-ჩამობნელებული არემარე უფრო დაბნელდა. აქ იგულისხმება: ა) ჯერ „ჭალას ნისლი დააწვა შავად“ და მერე „ისედაც ჩამობურულ-ჩამობნელებული არემარე უფრო დაბნელდა“. ბ) ამასთანავე, ჭალას რომ „ნისლი დააწვა შავად“, ეს მიზეზია იმისა, რომ „ისედაც ჩამობურულ-ჩამობნელებული არემარე უფრო დაბნელდა“, მაშასადამე. აქ ერთდროულად მოვლენათა თანამიმდევრობაც არის გამოხატული და მიზეზშედეგობრიობაც. მსგავსი მაგალითია: დაიჭექა დაბლა თოფმა და მაღლა ქორმა შეიფრთხიალა. (წერ., 1, 235).

დ) **და**-თი შეერთებული წინადადება ზოგჯერ ახსნა-განმარტებასა თუ განსაზღვრებას წარმოადგენს იმისას, რაზედაც პირველ წინადადებაშია ლაპარაკი. მეორე წინადადებაში **და**-ს შემდეგ ჩვენებითი ნაცვალსახელია (ეს), რომელიც ჩვეულებრივ ქვემდებარეა და გარკვეულ მიმართებას ამყარებს თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილთან. მაგ.: გავარდა ერთბაშად თოფი **და ეს** ნიშანი იყო საერთო იერიშისა. (ყაზ.). „და ეს“ მნიშვნელობით ახლოა მიმართებით ნაცვალსახელთან **რაც**, მთლიანად წინადადება – ქვეწყობილთან და მიმართების შეუცვლელად ადვილად გადაკეთდება ამ უკანასკნელად: გავარდა ერთბაშად თოფი, რაც ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

ამ ტიპის რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ზოგჯერ დამატებით ცნობას იძლევა არა მთლიანად პირველზე, არამედ არსებითი სახელით გამოხატულ მის რომელიმე წევრზე. ამ შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელის შემდეგ გამეორდება პირველი წინადადების ის სიტყვა, რომელსაც აზუსტებს და განსაზღვრავს მეორე წინადადება. მაგ.: ქალაქში არსებობდა ქალთა სასწავლებელიც და **ეს სასწავლებელი** ქალაქის მეორე ნაპირას იყო გამართული. (ბარნ., 2, 303). „და ეს სასწავლებელი“ შეიძლება შეიცვალოს მიმართებითი ნაცვალსახელით „რომელიც“ და თანწყობილი წინადადება გადაკეთდეს სინონიმური მნიშვნელობის რთულ ქვეწყობილ წინადადებად: ქალაქში არსებობდა ქალთა სასწავლებელიც, **რომელიც** ქალაქის მეორე ნაპირას იყო გამართული. შეიძ-

ლება ჩვენებით ნაცვალსახელს მოსდევდეს ისეთი სიტყვა, რომელიც პირველ წინადადებაში, მართალია, არ არის დასახელებული, მაგრამ აზრის მიხედვით იგულისხმება: დაჰკრავდა კოდალა ნისკარტს სადმე ხმელ ხეს და ეს ხმა თოფის ხმასავით მოედებოდა ამ უდაბურ ტყეს (რაზ., 147); ჩვენც მაშინათვე წინ დავუხვდებოდით და ეს ხალხიც ფაცაფუცით ყიდულობდა ხოლმე ჩვენგან ჩატანილ ხილეულობას. (ლომ.).

ე) **და**-თი შეერთებულ თანწყობილ წინადადებათა შორის იშვიათად დაპირისპირება ან განსხვავებული მიმართებაა, ვიდრე ეს ზემოთ განხილულ შემთხვევებში გვაქვს: ამისაგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო! (საბა, 31). მნიშვნელობით ეს იგივეა, რაც: ამისაგან შენ ისწავლე, შენ კი მე მასწავლეო. დაპირისპირებაა ამ მაგალითშიც: წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდნენ კიჟინით. (წერ., 1, 45). რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები ჩვეულებრივ თხრობითია. იშვიათად გვხვდება, როცა ამ ტიპის წინადადების პირველი ნაწილი თხრობითია, მეორე (resp. **და**-ს მომდევნო) – კითხვითი, ან კიდევ კითხვითია ორივე ნაწილი: მთელმა კახეთმა ვერა უყო რა და ახლა **ორი ათასი კაცით უპირებენ გადენას**? (წერ., 1, 230); ქორი ორივე ფეხებით გახლავსთ ჩამოკიდებული, გაფართხულად, და **ვროი ტყვია ორივე თასმას ხომ ვერ მიუდგებოდა**? (წერ., 1, 235); **რას** ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და **რას** მეტყვის იგი მე? (ჭავ.); **ნუთუ** არდაშლილამ ყველაფერზე ხელი ჩაიქნია და სიცოცხლემ ფასი დაკარგა მის თვალში? (კ. ლორთქ.).

ვ) რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი წარმოდგენილია წინადადების ტოლფასი გამონათქვამით – შორისდებულითა თუ მიმართვით, რომელსაც უძღვის შორისდებული: მოვა მატარებელი და **ჰაიდა**! (ო. იოს.); ოთახში შევიხედე და **ჰოი, საკვირველება**! (ო. დგებ.). **და**-ს მომდევნო ნაწილი პირველ მაგალითში ბრძანებითი წინადადების ტოლფასია, მეორეში – ძახილის წინადადებისა.

ზ) რთული თანწყობილი წინადადების პირველი ნაწილი წარმოდგენილია უშემასმენლოდ,ჩვეულებრივ დროის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებით[243]: **კიდევ წუთი** და ცა ტყვიისფრად მოიქცა (ყაზ.); **ცოტა ხანი** და ყავრის სახურავზე წვიმის მომსხო წვეთებმა გაიბრახუნეს (ქიაჩ., 321); **წამიც** და უზარმაზარი მტაცებელი ნაფლეთებად აქცევდა მერცხალს (გ. შატბ.); **ერთი ორი დღე** და ისევ კარგად გავხდები (ბარნ., 1, 279); **ერთი კვირაც** და მიწა გაშრება (კ. ლორთქ.); **ორი-სამი** ყლაპი და რძეც გათავდა. (კ. ლორთქ.).

იშვიათად რთული წინადადების ორივე ნაწილი უზმნოდ არის წარმოდგენილი: აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად (ჭავ.); შენა და წიგნის აბუჩად აგდება? (ჭავ.); აწმყოს დიდება დიდი და დღეს მომავალს ვაშა! (ტაბ.).

---

[243] ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ნ. უსტიაშვილმა.

უარყოფითი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში გამეორდება ც-დართული უარყოფითი ნაწილაკები: **არც, ვერც, ნურც, აღარც, ვეღარც**... ეს ნაწილაკები ითავსებენ მაჯგუფებელი კავშირისა და გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციებს. და შეიძლება იყოს ნახმარი და შეიძლება არა. წინადადებებს ჩამოთვლის ხასიათი აქვს: **არც** ჩოჩქოლი ისმის, **არც** შექუჩული ხალხი მოსჩანს (ჯავ., 3, 475); ქათამს **არც** მჭრელი ნისკარტი აქვს, **არც** ბასრი ბრჭყალები ასხია, **არც** ღონიერი ფრთების პატრონია (გოგ., 93); **აღარ** წვიმს სისხლის წვიმები, **აღარც** ქუხს ჩოფიკაშვილის გორია. (ჯავ., 3, 482).

თანწყობილი წინადადების ნაწილებში შეიძლება სხვადასხვა უარყოფითი ნაწილაკი იყოს ნახმარი: **ვეღარც** გაჯავრებამ გასჭრა, **აღარც** ცემამ იმოქმედა (ბარნ., 2, 407); **არც** მე ვერჩი, **ნურც** მე მერჩიან. (ჯავ., 3, 343).

§164. მაცალკევებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება

მაცალკევებელი კავშირები ჩვეულებრივ მეორდება რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში. წინადადებათა მიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ამავე კავშირებით შეერთებულ ერთგვარ წევრთა შორის.

ან ცალკეც გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივ განმეორებულად იხმარება. განმეორებისას ის ასეთ ვარიანტებს გვაძლევს: **ან – ან, ან – ანდა, ან – ან არადა, ან – ან კიდევ**. **ან** კავშირის ხმარება გულისხმობს რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის არჩევას, ან ერთ-ერთის შესრულების შესაძლებლობას სხვების გამორიცხვით. პირველ წინადადებაში **ან** ზოგჯერ არ არის ნახმარი: **ან** მონადირე წამომადგება თავს, **ან** მგელს შევეფეთები (ევდ., 3, 186); ღამით სადმე ტურა დაიჩხავლებს, **ან** აფთარი აგოდდება, **ან** მგელი დაიღმუვლებს (ჯავ., 2, 510); [მაყვალას] **ან** დათვი დაჰფათრავდა, **ან** მგლების კერძად შეიქმნებოდა, **ან კიდევ**, რაც უფრო ძნელი იყო, თოვლში გახვეული მიწასაც კი ვეღარ ეღირსებოდა სამარედ (ყაზ., 2, 353); **ან** უნდა ჯვარი დაიწეროს, **ან არადა** აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! (ჭავ., 367).

ან კავშირი ზოგჯერ კითხვით წინადადებებს აერთებს: ბეჟანი რაღას ფიქრობდა, **ან** დაობლებულ ბატკანს რა დაემართა? (ვაჟა, 6, 288); ვინ არის შენთვის იგი, **ან** რა ხარ შენ იმისთვის? (ჯავ., 3, 350).

რთული თანწყობილი წინადადება, რომლის ნაწილებიც **ან** კავშირით არის შეერთებული, ზოგჯერ უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებული წინადადების როლს ასრულებს, წინა წინადადების მნიშვნელობის ერთგვარ დაზუსტებასა და კონკრეტიზაციას წარმოადგენს: შენ ეს მითხარი: მამიდა როგორაა, ან ბიძია ავთანდილი რასა იქს? (გვეტ., 36); [საპეგამ] ბოლოს ამიკრძალა მის კლასში შესვლა და რჩევაში ითხოვა: **ან** მე აღარ ვიქნები, **ან** ის მოწაფე

გააგდეთო. (წერ., 55).

ხან ყოველთვის განმეორებულად იხმარება. გასაძლიერებლად, გარდა პირველისა, შეიძლება ნაწილაკიც დაერთოს: **კი, ც, კიდევ** თანწყობილ წინადადებათა შორის შეიძლება **და** კავშირიც იქნეს ნახმარი. რთულში შემავალ წინადადებათა რაოდენობა არ არის განსაზღვრული: შეიძლება იყოს ორი და ორზე მეტიც. პირველ წინადადებას „ხან“ შეიძლება არ იწყებდეს. ის ამ შემთხვევაში იმ სიტყვის წინ იკავებს ადგილს,რომელსაც ლოგიკური მახვილი აქვს. „ხან – ხან“ აღნიშნავს რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში დასახელებული ამბებისა და მოვლენების მონაცვლეობას დროში: **ხან** წვიმდა, **ხან** თოვდა (რაზ., 320); მის შორიახლო **ხან** შევარდენი გამოინავარდებდა, **ხან** ქორი გამოიქროლებდა (ვაჟა); **ხან** დათვი ბურტყუნებდა, **ხან** მგელი ყმუოდა **და ხან** კიდევ ტურების ჩხავილი აყრუებდა იქაურობას.

შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებაში, როგორც ვიცით, ერთნაირი (მაერთებელი) კავშირებია გამოყენებული, ამიტომ რთულ წინადადებაში ზოგჯერ ერთი და იგივე კავშირი ერთ შემთხვევაში ერთგვარ წევრებს აერთებს, მეორე შემთხვევაში – თანწყობილი წინადადების ნაწილებს. მაგალითად: ის **ხან** იღიმებოდა ტკბილად, **ხან** ფიქრს ეძლეოდა, **ხან** უზომოდ ჭიკჭიკებდა და **ხან** ხანგრძლივი სიჩუმე მოიცავდა, **ხან** გაუნძრევლად იჯდა ერთ ალაგას, **ხან** საათობით დაეხეტებოდა ოთახებში. (გაბ.).

„გინდ“ და „თუნდ“ განმეორებულად იხმარება (გინდ – გინდ, თუნდ – თუნდ) და მნიშვნელობით ერთნაირია. ესენი მიგვითითებენ, რომ თანწყობილი წინადადების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთი უნდა იქნეს არჩეული: **გინდ** მე წავალ, **გინდ** შენ წადი (ან: **თუნდ** მე წავალ, **თუნდ** შენ წადი).

„თუნდა“ ჩვეულებრივ განუმეორებლად იხმარება და უფრო მაქვემდებარებელი კავშირია. მაგ.: ძველი სამონადირეო ჩვეულების ძალით აღარ შეეძლო იმას ნადირის მოკვლა, **თუნდა** ნადირის ხროვა შინ შეჰხტომოდა. (ვაჟა).

მაცალკევებელი კავშირის ფუნქციით იხმარება ზოგჯერ – „თუ“, რომელიც თანწყობილი წინადადების ნაწილებს კითხვით შინაარსს აძლევს. მაგალითად: მართალია ეგ თქვენი სიტყვები **თუ** ხუმრობთ? (ლომ., 142).

შენიშვნა: ზოგჯერ **თუ** ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებებს აერთებს. ამ შემთხვევაში **თუ** კითხვას აღარ გამოხატავს: არავინ იცოდა, შუადღე იყო **თუ** სადამო, გარეთ ციოდა **თუ** ცხელოდა, წვიმდა **თუ** მზიანობდა. (ჭავ., 3, 378).

თანწყობილი წინადადების ნაწილებში ჩვეულებრივ ერთი და იმავე დროისა და კილოს ფორმებია ნახმარი, საზოგადოდ, ერთი და იმავე მწკრივისა.

§165. მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება

მაპირისპირებელ კავშირთაგან რთული თანწყობილი წინადადების ნაწილების შესაერთებლად ჩვეულებრივია **მაგრამ, ხოლო** და **კი.** ამათგან ყველაზე გავრცელებულია **მაგრამ** კავშირი, **ხოლო** და **კი** უფრო სამწერლობო ენის კუთვნილებაა.

მაგრამ კავშირი იწყებს ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს მას პირველთან. მაგ.: დღე იყო, **მაგრამ** მზე გამქრალიყო. (ვაჟა, 6, 96). თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც არ არის მოსალოდნელი პირველი ნაწილის მიხედვით, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს შესაძლებელია. მართლაც, თუ დღე იყო, არ არის მოსალოდნელი, რომ მზე გამქრალიყო.

ზოგჯერ დაპირისპირებული წინადადება ზღუდავს იმას, რაზედაც პირველ ნაწილშია ლაპარაკი: შენ გინდა დაიძინო, **მაგრამ** მე არ დაგაძინებ. შენ გინდა ის ქალი დაივიწყო, **მაგრამ** მე არ დაგავიწყებ. (ყაზ., 1, 76).

მაგრამ კავშირს ზოგჯერ აძლიერებს ნაწილაკი **მაინც** (←მაშინაც): წვიმამ გადაიღო, **მაგრამ** ცაზედ მზე **მაინც** არა ჩანდა (ვაჟა, 5, 160); მამამ ცალკე მიუალერსა თებროს, **მაგრამ** ის **მაინც** სლუკუნებდა. (ვაჟა, 6, 340).

თუ თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში ქვემდებარე გამოტოვებულია, მაგრამ ის იგულისხმება პირველ ნაწილში დასახელებული საერთო სიტყვის მიხედვით, **მაინც** ჩვეულებრივ უშუალოდ მოსდევს **მაგრამ** კავშირს: ჩაი პირს უთუთქავდა მირზას, **მაგრამ მაინც** შეუსვენებლად სვამდა (გვეტ., 92), ეწყინა მეუღლის სიტყვა ლევანს, **მაგრამ მაინც** თავი შეიმაგრა. (ბარნ., 3, 326).

მაგრამ იშვიათად მომდევნო წინადადებას აპირისპირებს სხვა ჯგუფის მაერთებელი კავშირებით შეერთებულ წინადადებებთან: **ხან** ეკალი ედება, **ხან** მაყვალი სწევს უკან, **მაგრამ** გაგნა **მაინც** მისდევს ციკანს. (ევდ., 3, 192).

იშვიათად პირველი ნაწილი თხრობითი წინადადებაა, მეორე კი – კითხვითი: ლევან! ეს კარგი, **მაგრამ ჩემი ბრძანება?** (ბარნ., 3, 276); ღმუთუნებდა ტოტია და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, **მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა?** (ვაჟა, 6, 10); ამგვარი რამ ბევრი უთხრა, **მაგრამ გამგონე სად იყო?** (წერ., 300); ყველას გვეცინებოდა, **მაგრამ ვინ გაბედავდა სიცილს უფროსთან?** (წერ., 1, 158). ასეთი კითხვითი წინადადება ჩვეულებრივ რიტორიკულია. მაგალითად, მეორე და მესამე კითხვითი წინადადების შინაარსი ასეთია:... მაგრამ იმისი ღრენა ვერავის შეაშინებდა: ... მაგრამ გამგონე არსად იყო.

საერთო სიტყვა ჩვეულებრივ პირველ ნაწილშია დასახელებული, მეორეში კი იგულისხმება სხვა წევრად (იშვიათად იმავე წევრა-

დაც): **ელგუჯა** მიდიოდა ლაშქრად, **მაგრამ** გული კი შინ დარჩენოდა. (ყაზ., 1, 17). „**ელგუჯა**“, რომელიც პირველ ნაწილშია დასახელებული და ქვემდებარეა, ირიბ დამატებად იგულისხმება მეორე ნაწილში. იშვიათად საერთო სიტყვა საპირისპირო წინადადებაშია დასახელებული: **ხან** ეკალი ედება, **ხან** მაყვალი სწევს უკან, **მაგრამ** გაგნა მაინც მისდევს ციკანს. (ევდ., 3, 192). საერთო სიტყვაა **გაგნა**, რომელიც დასახელებულია მესამე (საპირისპირო) წინადადებაში და ქვემდებარეა, ხოლო პირველსა და მეორეში იგულისხმება: **პირველში** – ირიბ დამატებად (**გაგნას** ედება ეკალი), მეორეში – პირდაპირად (**გაგნას** მაყვალი სწევს უკან). მსგავსი მაგალითია: რამდენჯერმე შეეკითხა ირემა გზაში, მაგრამ **მახარემ** პასუხი არ გასცა. (არაგვ.). საერთო სიტყვა, თუ ის ადვილად იგულისხმება ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით, ზოგჯერ გამოტოვებულია ორივე ნაწილში: პირი დავაღე, მაგრამ სათქმელი კბილებში გამეჭედა. (ჯავ., 2, 478).

მეორე ნაწილში ზოგჯერ ნაცვალსახელია, რომელიც ცვლის პირველ ნაწილში ნახმარ არსებით სახელს: მამამ ცალკე მიუალერსა **თებროს**, მაგრამ **ის** მაინც სლუკუნებდა (ვაჟა, 6, 340); დილის **მზე** ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ **მისი** სხივები ქვეყიდან უკვე ელამუნებოდნენ კავკასიის მთის მწვერვალს (ევდ., 3, 119); ფრთოსნებში ყველაზე თვალწარმტაცი **ხოხობი** იყო, მაგრამ **მას** კეკლუცობაში არც კაკაბი ჩამოუვარდებოდა (ევდ., 3, 316); **ხოსიტამ** ფეხი მოითრია, მაგრამ **იგიც** მიჰყვა პაპას. (ლ. გოთ.).

ჩვენებითი ნაცვალსახელი იშვიათად მთლიანად პირველ ნაწილს მიემართება, ან განსაზღვრებად უდგას ისეთ სიტყვებს, რომლებიც პირველ ნაწილში არ არიან დასახელებული, მაგრამ საერთო აზრის მიხედვით ივარაუდება: ნათელი და თბილი დღეები ზამთარშიაც გამოვარდება ხოლმე, მაგრამ **ის** გაზაფხული არ არის (რაზ., 377); იქ ხშირი ტყე აღარ იყო: ათასში ერთგან თითო-ოროლა არყი და ცირცელი იდგა, მაგრამ ეს **ტიტველი** ნაწილი მთისა ბალახით და ყვავილებით იყო მდიდარი. (ვაჟა, 5, 158). ასეთ შემთხვევებში თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი განსაზღვრების ელემენტს შეიცავს; ის იძლევა ახსნა-განმარტებითი ხასიათის შემავსებელ დამატებით ცნობებს მთლიანად პირველი ნაწილის ან მისი რომელიმე წევრის შესახებ (დაპირისპირებასთან ერთად).

ხოლო კავშირი იწყებს აგრეთვე ყოველთვის თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს და აპირისპირებს მას პირველთან, თუმცა ეს დაპირისპირება აქ ისე მკვეთრად არ არის, როგორც **მაგრამ** კავშირით შეერთებისას. მაგალითად: ირმა ტარანს ძრიან საწებელში აწყობდა, **ხოლო** ეფროსინე კეცებზე ჭადებს აკრავდა. (გვეტ., 160). ამ თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი არ გამოხატავს ისეთ რამეს, რაც არ არის მოსალოდნელი პირველი ნაწილის მიხედვით. აქ თანწყობილი წინადადების ნაწილები სტრუქტურულად

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მარტივი წინადადებებია, მაგრამ ხშირად მეორე ნაწილის გაფორმება პირველზეა დამოკიდებული. გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა, სახელდობრ:

ა) პირველ წინადადებაში დასახელებული სიტყვა მეორე ნაწილში იგულისხმება იმავე ან სხვა წევრად: **კურდღელს** დაჭყეტილი თვალები უფრო დაეჭყიტა, **ხოლო** თვალებიდან ცრემლი ჩამოსდიოდა (ვაჟა); დედის პასუხი ველარ გაიგონა **ლექსომ, ხოლო** მამის სიტყვების გაგონებაზე ურუანტელმა თავში დაჰკრა და ფეხებში გაურბინა (ვაჟა, 6, 106); **მაღე** მატარებელმა სიჩქარეს უმატა, **ხოლო** მდევრებმა თანდათან სირბილს უკლეს. (გვეტ., 43).

ბ) თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში დასახელებულ სიტყვას (თუ სიტყვებს) მეორე ნაწილში ნაცვალსახელი ენაცვლება: დაბლა დაეშვა **ხეს** დატვირთული ტოტები, ხოლო **მისი** ჩრდილი წინ წამდგარიყო ლბილ მდელოზე (ბარნ., 3, 264); **მამალი** და **კოდალა** ყველაფერს კარგად ჰხედავდნენ დაბლა, ხოლო **იმათ** ვინ დაინახავდა? (ვაჟა, 6, 209).

მეორე ნაწილში დასახელებული ნაცვალსახელი იშვიათად პირველ ნაწილს მიემართება მთლიანად: ტყუილი გამოდგა ქალის ოცნებები, ხოლო ვაჟი **ამაში** სრულებითაც არ იყო დამნაშავე. (ბარნ., 3, 130).

გ) თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილში მეორდება პირველ ნაწილში ნახმარი სიტყვა, რომელსაც განსაზღვრებად ჩვენებითი ნაცვალსახელი ახლავს. მაგალითად: თვითონ **სოფელი** ლიახვის ნაპირზე ვიწრო ზოლად გაჭიმულა, ხოლო თეიმურაზის ნასახლარი **იმ სოფლის** თავზე მაღალი ტახტივით აღმართულა. (ჯავ., 2, 302).

დ) თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში ნახმარ სიტყვას მეორე ნაწილში ენაცვლება მასთან მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვა, რომელსაც განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს ჩვენებითი ნაცვალსახელი: მატარებელი **მარგოს** ქართლისაკენ მიაქროლებდა, **ხოლო დედაკაცის** აჩუყებული გული კვნესით უკანვე იწევდა (ჯავ., 2, 277); **ბორცვს**, ერთის მხრივ, შემორტყმული აქვს გრეხილი ხევი მდინარისა, **ხოლო**, მეორე მხრივ, **ამ მაღლობის** კალთები ჩაფენილია ზღვაში. (ბარნ., 3, 192).

თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ზოგჯერ პირველი ნაწილის რომელიმე წევრისა თუ მთლიანად პირველი წინადადების ერთგვარ განსაზღვრებას თუ დამატებით ცნობასაც შეიცავს. მაგ.: იქ დამსწრე საზოგადოება დიდის ამბით, ტაშის კვრით და ქება—დიდებით მიეგება ახალგაზრდა ორატორს, **ხოლო ეს უკანასკნელი** მძიმე თავის დაკვრით და გულზე ხელის მიდებით უხდიდა ყველას მადლობას (ლომ., 216); ტყუილი გამოდგა ქალის ოცნებები, **ხოლო** ვაჟი **ამაში** სრულებითაც არ იყო დამნაშავე. (ბარნ., 3, 130).

თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ამ მაგალითებში მნიშვნელობით დამოკიდებულ წინადადებას უახლოვდება. მართლაც,

„ხოლო ეს უკანასკნელი“ და „ხოლო ამაში“ რომ მიმართებითი ნაცვალსახელებით შევცვალოთ, როული წინადადების მეორე ნაწილის აზრობრივი მიმართება პირველთან არსებითად არ შეიცვლება, თუმცა კონსტრუქციულად სხვა ტიპის წინადადებას მივიღებთ. მაგალითად: იქ დამსწრე საზოგადოება დიდის ამბით, ტაშის კვრით და ქება–დიდებით მიეგება ახალგაზრდა ორატორს, **რომელიც** მძიმე თავის დაკვრით და გულზე ხელის მიდებით უხდიდა ყველას მადლობას; ტყუილი გამოდგა ქალის ოცნებები, **რაშიც** ვაჟი სრულებითაც არ იყო დამნაშავე. მაშასადამე, **ხოლო** კავშირით შეერთებული წინადადება დაპირისპირებასთან ერთად ზოგჯერ რამდენადმე დაქვემდებარებული წინადადების ფუნქციასაც ასრულებს.

ხოლო კავშირს უახლოვდება ფუნქციით **კი**, რომელიც არასოდეს არ იწყებს თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს. ის იმ სიტყვის (თუ სიტყვების) შემდეგ იკავებს ადგილს, რომელზედაც (თუ რომლებზედაც) მოდის ლოგიკური მახვილი. ასეთი სიტყვა (თუ სიტყვები) უმეტესად ქვემდებარეა, უფრო იშვიათად – სხვა წევრი: მე ჭერს შევსცქეროდი, **დათიკო კი** ისევ ქუჩას ათვალიერებდა (ჯავ., 3, 457); თითისოდენა ბალღი კივილით იბადება, ვაჟკაცი **კი** ფეხაკრეფით უნდა გაიპაროს ამ ქვეყნიდან (ჯავ., 3, 474); ერეკლემ და როსტომმა მარჯვნივ აუხვიეს, **ზურა** და **სულხანი კი** ყურშას გაჰყვნენ და მარცხნივ დაეშვნენ (ჯავ., 4, 460); ბარში შემოდგომა მოდის, აქ **კი** ზამთრის პირს ვხედავ. (ჯავ., 2, 544).

თანწყობილი წინადადების ნაწილებს იშვიათად აქაც აქვთ საერთო სიტყვა (სიტყვები): **ძალუა მართა** მხოლოდ თვალებს აჭყეტდა, სმენით **კი** აღარაფერი ესმოდა (ბარნ., 2, 75). **ძალუა მართა** ქვემდებარეა პირველ ნაწილში, ირიბ დამატებად იგულისხმება მეორეში. **მონადირე** ნადირს დასდევდა, **ნადირი კი** მონადირეს თვითონვე წააწყდაო. (ჯავ., 3, 277): აქ ორი სიტყვაა საერთო, რომლებიც თანწყობილი წინადადების ნაწილებში მეორდება და სხვადასხვა წევრებია. მაგ.: პირველ ნაწილში **მონადირე** ქვემდებარეა, **ნადირს** – ირიბი დამატება, მეორე ნაწილში კი ქვემდებარეა **ნადირი**, ირიბი დამატება – **მონადირეს**.

პირველ ნაწილში დასახელებულ სიტყვას მეორე ნაწილში შეიძლება ნაცვალსახელი შეენაცვლოს: წელან **ჭოტი** მაინც გაჰკიოდა, ეხლა კი **ისიც** მიყუჩდა. (ჯავ., 2, 569).

თანწყობილი წინადადების ნაწილებს იშვიათად საერთო სიტყვა აქვთ, რომელიც ერთი და იგივე წევრია: ირგვლივ **ზოგნი** უკვე იცინოდნენ, **ზოგნი** კი შიშნაჭამ თვალებს აფეთებდნენ. (ჯავ., 3, 262). **ზოგნი** ქვემდებარეა ორივე შემასმენელთან.

„კი“ ზოგჯერ ისეთ წინადადებაში გვხვდება, რომელიც წინა წინადადებასთან სხვა კავშირითაც არის შეერთებული (და, მაგრამ, ხოლო); სხვები ლხინობდნენ **და მე კი** ლული ცრემლისა თვალ-

ზედ არა მშრებოდა (ჭავ., 152); დილის მზე ჯერ არსად ჩანდა, **მაგრამ** მისი სხივები **კი** ქვევიდან უკვე ელამუნებოდნენ კავკასიის მთის მწვერვალს (ევდ., 3, 119); მტრედები გაკვრით მიდიოდნენ, **ხოლო** მწყერი **კი** მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა. (ვაჟა, 5, 98).

ორი მაპირისპირებელი კავშირიდან დასაპირისპირებლად საზოგადოდ ერთ-ერთი მათგანიც საკმარისია. **კი** კავშირი ამ შემთხვევაში გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციას იძენს.

„ოღონდ“ ზოგჯერ მაპირისპირებელი კავშირია რთულ თანწყობილ წინადადებაში: პეტრე დადგმას მაინც აპირებდა, **ოღონდ** ერთი რამ აბრკოლებდა (დ. შენგ.); სიჩუმე ჩამოვარდა, **ოღონდ** მონადიმეთა... სიმღერა მაინც სწვდებოდა წიგნის თაღის ოთახს. (ლ. გოთ.). ეს კავშირი სხვა ფუნქციითაც იხმარება.

§166. მაიგივებელკავშირიანი რთული წინადადება

მაიგივებელ კავშირთაგან ერთი წინადადების მეორესთან შესაერთებლად ჩვეულებრივ **ესე იგი** (ე.ი.) არის გამოყენებული, იშვიათად – **ანუ**-ც. ამ ტიპის კავშირით შეერთებული წინადადება წარმოადგენს მთელი წინადადების ან მისი რომელიმე ნაწილის დაზუსტებასა თუ ახსნა-განმარტებას წინადადების სახით. **ანუ**-ს შემდეგ ჩვეულებრივ ჩართულიც იხმარება: იგი კანონის გარეშე დგას, **ესე იგი მას ყოველივე უფლება აყრილი აქვს** (ჯავ., 3, 362); შეხ იყავ მაშინ გასათხოვარი, **ესე იგი შენ ჯერ გაყიდული არ იყავ** (ჭავ., 513); მეცადინეობამ რწმუნებულებს ამაოდ არ ჩაუარა და, როგორც იყო, თამარისეული დაიხსნეს მტრის ხელიდან, ანუ, როგორც თავად ხალხი ამბობდა, **დროშამ თავისთავი თავად დაიხსნაო**. (ვაჟა, 6, 377).

მაიგივებელი კავშირით შეერთებული წინადადება, რომელიც დანართისნაირია წინადადების სახით, ფუნქციურად დამოკიდებულ წინადადებას უახლოვდება. მას, როგორც ზემოთაც ითქვა, პირობით განმარტებითი წინადადება შეიძლება ვუწოდოთ (§153).

განმარტებითი წინადადება ზოგჯერ დამოკიდებულ წინადადებას ახლავს. ამ შემთხვევაში მაიგივებელ კავშირთან ერთად მასში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი, ზოგჯერ კი ასეთი სიტყვა გამოტოვებულია: [მდინარე] დაიბადება თუ არა, ე.ი. **თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე**, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ახალფეხადგმული ბავშვივით... (წერ., 1, 3); როცა არ ვმუშაობდი, **ესე იგი როცა მიწას არ ვჩიჩქნიდი**, რომელიმე წიგნს გადავშლიდი და განდეგილი ბერივით ვკითხულობდი (ჯავ., 1, 411); დიაღ, ჩემო ბატონო, იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულებაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, **ანუ რომელსაც მცირე საგნებიდან გონება მაღლა ვეღარ აუცილებია**, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა (ჭავ., 510); როცა ავიბარგე, ე.ი. **ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოს-**

კაში, მოვუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს გამოსასალმებლად. (ჭავ., 247).

თუ განმარტებითი წინადადება კითხვითს ახლავს, თვითონაც კითხვითია: – ძალიან კარგი, ბერიკაცო, ძალიან კარგი! მაშ ეხლა ეს მითხარი: არც წინათ ატარებდი? ფულს არ აგროვებდი? ე.ი. **საჩუქარს არავინ გაძლევდა ან არ იღებდი?** – დაეკითხა კვალად ბოქაული ხევისბერს. (ვაჟა).

§167. უკავშირო რთული წინადადების ზოგადი დახასიათება

უკავშიროა რთული წინადადება, რომლის ნაწილებიც ერთ მთლიან სინტაქსურ ერთეულად გაერთიანებულია ინტონაციის საშუალებით კავშირებისა და მიმართებითი სიტყვების დაუხმარებლად, ე.ი. გარეგნული კავშირის გარეშე. უკავშირო რთული წინადადების სინტაქსურ მთლიანობას განაპირობებს მისი ნაწილების სტრუქტურული აგებულება და აზრობრივი მიმართება.

მართალია, უკავშირო რთული წინადადების ნაწილების დაკავშირება გარეგნულად არ არის გამოხატული, მაგრამ ეს არ იძლევა იმის მტკიცე საფუძველს, რომ ისინი არ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან და არ დავყოთ ორ ჯგუფად – რთულ თანწყობილად და რთულ ქვეწყობილად. ასეთი დაყოფა შეიძლება რამდენადმე ხელოვნურიც იყოს და პირობითი, მაგრამ ამას მაინც გარკვეული გამართლება აქვს, ისევე **როგორც** კავშირიან რთულ წინადადებათა დაყოფას თანწყობილად და ქვეწყობილად[244], სახელდობრ:

ა) უკავშირო რთული წინადადების ნაწილები ტიპობრივად ერთგვარია ან არაერთგვარი. როცა უკავშირო რთული წინადადების ნაწილები ერთგვარია, მათი აზრობრივი მიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორიც კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებისა: გამოხატავენ მოქმედებათა ერთდროულობას, თანამიმდევრობას, დაპირისპირებას... ამ ტიპის რთულ უკავშირო წინადადებაში შეიძლება ჩავსვათ ესა თუ ის მაერთებელი კავშირი. მაგ., უკავშირო წინადადებაა: ტახები კბილებს ილესავდნენ, დათვები ყალყზე დგებოდნენ. (ვაჟა, 6, 309). შეიძლება ვიხმაროთ მაპირის-

---

[244] რთულ წინადადებათა სისტემაში უკავშირო წინადადებათა ადგილისა და ხასიათის შესახებ გრამატიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი ავტორი, მაგ. ნ. პოსპელოვი, უკავშირო რთულ წინადადებათა თანწყობილად და ქვეწყობილად დაყოფას გაუმართლებლად თვლის, რადგან უკავშირო რთული წინადადების ნაწილებს შორის დაკავშირება არ არის გამოხატული ფორმალურად, მაერთებელი თუ მაქვემდებარებელი კავშირის საშუალებით, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი, რომ უკავშირო რთული წინადადების შემადგენლობაში გამოვყოთ და ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ უკავშირო რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებებიო.

Современный русский язык, синтаксис, изд. Московского университета, 1958, გვ. 415,აგრეთვე წერილი: «О грамматической природе и принципах классификации бессоюзных сложных предложений», «Вопросы синтаксиса современного русского языка», под ред. акад. В.В.Виноградова, М., 1950. გვ. 338-354.

პირებელი კავშირი: ტახები კბილებს ილესავდნენ, დათვები **კი** ყალყზე დგებოდნენ. უკავშირო და კავშირიან რთულ წინადადებათა სიახლოვით აიხსნება, რომ ერთი და იმავე შედგენილობის რთული წინადადების ნაწილები ერთ შემთხვევაში უკავშიროდ იყოს შეერთებული, მეორე შემთხვევაში კი – კავშირის საშუალებით. მაგ., უკავშირო რთული წინადადება „ბევრი უშალეს, არ დაიშალა“ (წერ.). ასეც გვხვდება: ბევრი უშალეს, **მაგრამ** არ დაიშალა... (ბარნ., 1, 125).

ბ) უკავშირო რთული წინადადება, რომლის ნაწილებიც არ არის ერთგვარი, ერთიმეორის მიმართ თანასწორი, უახლოვდება კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადების ამა თუ იმ შემთხვევას. ამ ტიპის უკავშირო რთულ წინადადებაში ხშირად შეიძლება ჩავსვათ ესა თუ ის მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა. მაგ., **ვალდებული ხარ, ჩვენი სურვილი უყოყმანოდ შეასრულო** (გვეტ., 276) უკავშირო წინადადებაა, რომლის შინაარსიც იგივეა, რაც კავშირიანი ქვეწყობილისა: ვალდებული ხარ, რომ ჩვენი სურვილი უყოყმანოდ შეასრულო.

§168. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება

თანწყობილ წინადადებათა უკავშირო გადაბმა ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ მეტყველებასა და სალიტერატურო ენაში. ის განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში, როცა ჩამოთვლაა სხვადასხვა ამბისა, ან აღწერაა რომელიმე მოვლენისა, ან კიდევ დაპირისპირება.

ა) უკავშირო თანწყობილი წინადადების ნაწილებში აღწერა თუ ჩამოთვლაა ერთდროული მოვლენებისა. შემასმენლები, როგორც წესი, გადმოცემულია ერთი და იმავე დროისა და კილოს ფორმებით (იშვიათად სხვადასხვა დროის ფორმებითაც). ზმნები ჩვეულებრივ ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია, იშვიათად – სხვადასხვა მწკრივისაც. მაგ.: ქარი **ქროდა, თოვდა,** ნამქერი **ტრიალებდა** (რაზ., 89); ზოგი **წიოდა,** ზოგი **სტვენდა,** ზოგი **ღმუოდა** (დ. შენგ., 2, 136); [ტყეში] ერთ ადგილას მდევებსავით **ჩამწკრივებულან** უზარმაზარი მუხები, მეორე ადგილას ალვის ხესავით მაღლა ცაში **ატყორცნილან** ჭანდრები, მესამე ადგილას მშვენიერ სუნს **ჰფენენ** ხშირფოთლიანი ცაცხვები, მეოთხე ადგილას **ამშვენიერებენ** ტყეს დიდი წიფელი, მაგარი ნეკერჩხალი და სხვანი. (გოგ., 57).

ამ ტიპის წინადადებისათვის დამახასიათებელია ჩამოთვლის ინტონაცია.

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში არცთუ იშვიათად მეორდება რომელიმე სიტყვა, რომლითაც ერთი და იგივე წევრია გადმოცემული: გუგუნებს **თერგი,** ხმაურობს **თერგი** (ტაბ.); **წავიდა** მერცხალი, **წავიდა** გუგული (ვაჟა, 6, 17); **უძიროა** კაცის ხედვა, **უძიროა** კაცის გული (ტაბ.); **ყველას** მოსწონს თავი,

ყველას უხარიან სიცოცხლე, **ყველას** უყვარს ბუნება (ვაჟა, 5, 31); **სადღაც** მატარებელი კიოდა, **სადღაც** ნახშირის მდევრები ქშინავდნენ. (მიხ. მრევლ., 481).

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა საერთოა რამდენიმე სიტყვა, რომელთაგანაც ზოგი შეიძლება ერთსა და იმავე წევრს გადმოსცემდეს რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში, ზოგიც – სხვადასხვას. ამასთანავე, რომელიმე სიტყვა შეიძლება ნახმარი იყოს ერთ-ერთ ნაწილში, იგულისხმებოდეს – მეორეში: **ბევრჯერ იმათ** გვაჯობეს, **ბევრჯერ ჩვენ** ვაჯობეთ. (ვაჟა, 5, 161). „ბევრჯერ“ ერთი და იგივე წევრია ორივე ნაწილში, „იმათ“ ქვემდებარეა პირველ ნაწილში, ირიბ დამატებად იგულისხმება მეორეში; „ჩვენ“ ქვემდებარეა „ვაჯობეთ“ ზმნასთან, ირიბ დამატებად იგულისხმება ამავე ზმნის „გვაჯობეს“ ფორმასთან.

თუ საერთო სიტყვა დამოუკიდებელი ზმნაა ან მეშველი, მისი გამოტოვება მომდევნო ნაწილებში ტირეთი აღინიშნება: დღეს ღამე მოსდევს, დარს – ავდარი, ტკბილს – მწარე, სიცოცხლეს – სიკვდილი, ლხინს – მწუხარება, ასეთია წუთისოფელი (ვაჟა, 6, 235); კაცს თევდორე ერქვა, დედაკაცს – ეფემია (რ. ინან.); ფშაველი ფშავლად დარჩა, ხევსური – ხევსურად, თუში – თუშად, ქისტი – ქისტად (ვაჟა). ცხრა-კარი მთლად მიტოვებულია, ბატონო! წყალსადენი – გატეხილი, აუზი – ღორღით სავსე, ქვევრები – პირღია, ოთახები – ჩაობებული. (ბარნ., 3, 349).

ბ) უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები გამოხატავს მოვლენათა თანამიმდევრობას: გადიღო ჟუჟუნა წვიმამ, ცამ ისევ მოიკრიალა, მზე ზღვის ტალღებზე დაეშვა, სხივები ააცილა. (მღვ.).

მოვლენათა თანამიმდევრობა ზოგჯერ დამატებით ლექსიკური საშუალებით (დროის ზმნიზედებით) არის გადმოცემული: **ჯერ** შინდი აყვითლდა, **მერმე** პანტა, მაჟალო, კუნელი და ტყემალი აიპენტნენ, ათეთრდნენ და შევარდისფერდნენ (ჯავ., 1, 121); უცებ გაღმა ხრიალი მოისმა, **მერმე** საზარელმა ხარხარმა ამოხეთქა, **შემდეგ** ის გიჟური სიცილი უძირო ხეობას სასოწარკვეთილ გოდებად და დრტვინვად მოედო, **ბოლოს** ის თავგანწირული ვალალი და ძრწუნვა, ხევით-ხევამდე არეკილი, სადღაც წყვდიადში დაიკარგა. (ჯავ., 2, 451).

ერთდროულობისა და თანამიმდევრულ მოვლენათა გამომხატველ წინადადებათა რაოდენობა შეიძლება იყოს ორი და ორზე მეტიც.

გ) უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის დაპირისპირებაა. ასეთი რთული წინადადება ჩვეულებრივ ორი მარტივი წინადადებისაგან წარმოდგება. მეორე ნაწილში შეიძლება ჩავსვათ რომელიმე მაპირისპირებელი კავშირი: მამები ჭმუნ-

ვამ მოიცვა, დედებს ცრემლისაგან დასეტყვილ ღაწვებზე ნაოჭები უმრავლდებოდათ (გვეტ., 155); გასპარამ დოში დაალბო, მე ცხვრის ხორცი ჩავსჭერ ქვაბში (ვაჟა, 5, 244); ქვეყანა მოსვენებული იყო, კახეთის ცა – მოწმენდილი (ბარნ., 3, 266); აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად ჩანდნენ. (ყაზ., 2, 249).

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადების ნაწილები ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფა, მაგრამ ზოგჯერ ამ ნაწილებს მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს და ამის გამო მათ შორის წერტილ–მძიმე დაისმის. მაგალითად: ბინდი შეთხელდა; ცამ ფერი შეიცვალა; ბაღში ჩიტებმა ჟივილ-ხივილი ასტეხეს; სადღაც კაკაბი კაკანებს. (ჯავ., 2, 300).

როცა რთულ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი წინადადებაა, ხშირად უკანასკნელი კავშირითაა შეერთებული, დანარჩენები კი – უკავშიროდ: მუხა ჰგმინავს, წიფელი ჰბურტყუნებს, თელა ჰკვნესის, იფანი შიშინებს, ხმელი ხე ჭრიჭინებს **და** ნედლი ოხრავს (ჯავ., 4, 185); ჩამოცხა, ჩამობნელდა **და** მოისმა ჭექა-ქუხილი (ყაზ., 2, 354); იჭექა, გრგვინვა მოისმა, იელა სადღაც ცაშია, **მაგრამ** ნამი კი არა ჩანს არსად ცის კამარაშია. (ერ.).

§168[3]. შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა მსგავსება და განსხვავება

ინდოევროპულ ენებში აგებულების მიხედვით წინადადების ორ ძირითად ტიპს გამოყოფენ – მარტივსა და რთულს. ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება მარტივი წინადადების გაფართოებულ სახედ ითვლება. დასახელებულ ენებში ზმნა ერთპირიანია და ერთგვარშემასმენლიანი წინადადება კარგად არის გარჩეული რთული თანწყობილი წინადადებისაგან: თუ ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია დაკავშირებული, წინადადება შერწყმულია, მაგრამ თუ ყოველ შემასმენელს თავისი ქვემდებარე აქვს, წინადადება რთული თანწყობილი იქნება. შერწყმული წინადადების მიმართება რთულ თანწყობილთან ქართულში ასე მარტივად ვერ გადაწყდება. მიზეზი ქართული ზმნის მრავალპირიანობაა: ორპირიან ზმნასთან მორფოლოგიურად ორი მთავარი წევრია დაკავშირებული (გარდამავალთან – ქვემდებარე და პირდაპირი დამატება, გარდაუვალთან – ქვემდებარე და ირიბი დამატება), სამპირიანთან – სამი. მაშასადამე, წინადადების მაორგანიზებელი წევრებია არა მარტო ქვემდებარე და შემასმენელი; არამედ პირმიმართი დამატებებიც. ამიტომაა, რომ ქართულში გვაქვს არა მარტო ერთ- და ორმთავარწევრიანი მარტივი წინადადება, არამედ სამ- და ოთხმთავარწევრიანიც (§123). ზმნის მრავალპირიანობით არის გამოწვეული, რომ ორპირიანი და სამპირიანი ზმნებით გადმოცემულ ერთგვარ შემასმენელთა საზიარო მთავარი წევრი შეიძლება იყოს არა მარტო ქვემდებარე, არამედ მასთან

ერთად პირმიმართი დამატებაც (ერთ-ერთი ან ორივე). სათანადო ნიმუშები განხილულია ზემოთ (§144).

არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა შემასმენლებს თავ-თავისი ქვემდებარე აქვთ, ხოლო პირმიმართი დამატება (მეტწილად ირიბი) მათი საზიარო წევრია. მაგ.: **დედოფალს** ისევ ცრემლი მოეძალა და ხმა აუკანკალდა. (გრ. აბ., 645). ირიბი დამატებაა „დედოფალს“, რომელიც დასახელებულია პირველ შემასმენელთან და ამავე წევრად იგულისხმება მეორესთანაც. როგორია ეს წინადადება აგებულების მიხედვით? შერწყმულია თუ რთული თანწყობილი? ამგვარ წინადადებათა ჩვენეული კვალიფიკაცია მოცემულია ქვემოთ, აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ამ ტიპის წინადადების სიახლოვე იმდენად დიდია ორივესთან, რომ ერთმა იგი შეიძლება შერწყმულად დაასახელოს, მეორემ – რთულ თანწყობილად.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა მცირეოდენი ცვლილებით რთული თანწყობილი წინადადება შერწყმულად იქცევა, შერწყმული – რთულ თანწყობილად. მაგალითად, რთული თანწყობილი წინადადებაა „მარეხიც მეფეებს შუა იდგა და **ისიც** სხვებივით ღელავდა“. (არაგვ.). ამ წინადადებიდან რომ ამოვიღოთ „ისიც“ ნაცვალსახელი, წინადადება შერწყმული გახდება: მარეხიც მეფეებს შუა იდგა და სხვებივით ღელავდა. ცხადია, განსხვავება დასახელებულ რთულ თანწყობილსა და მისგან მიღებულ შერწყმულს შორის უფრო ფორმალურია და არა არსებითი, რადგანაც მესამე პირის ნაცვალსახელი „ღელავდა“ ზმნასთან დაუსახელებლადაც იგულისხმება.

შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებით ცოტა რამ როდია პრობლემატური. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები მნიშვნელოვანია. ამ მხრივ საყურადღებოა **ან. კიზირიას, რ. ჭიკაძის, გ. ბურჭულაძის, ლ. ენუქიძისა** და **ვ. იმნაიშვილის** გამოკვლევები. არაერთი საკითხი კვლავ მოითხოვს ჩაღრმავებულ კვლევასა და დაზუსტებას. აქ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით ფასეულია **რ. ჭიკაძისა** და **გ. ბურჭულაძის** გამოკვლევებში გატარებული თვალსაზრისი. ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებად, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ისეთი შემთხვევები იყო მიჩნეული, როცა ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე შემასმენელი. დასახელებულ მკვლევართა აზრით, ერთგვარ შემასმენელთა მიმართება უნდა განიხილებოდეს არა მარტო ქვემდებარესთან, არამედ პირდაპირ და ირიბ დამატებასთან დაკავშირებითაც. ამ თვალსაზრისს იზიარებს **ლ. ენუქიძე** და ეს სათანადოდ არის გათვალისწინებული წინამდებარე შრომაშიც.

ცნობილია, რომ ყოველი პირიანი ზმნა თავისთავად წინადადებაა (და ეს არა მარტო ქართულ ენაში), რის გამოც ერთგვარშემას-

მენლიანი წინადადება რთულად წარმოგვიდგება და შემთხვევითი არ არის, რომ **ლ. ენუქიძე** მას რთული თანწყობილი წინადადების ქვეტიპად მიიჩნევს.

ერთგვარ შემასმენლიანი წინადადება რთული თანწყობილი წინადადების შეკუმშული სახეა, **იგი თანწყობილ შემასმენლიანი** წინადადებაა, რთული თანწყობილი წინადადება კი ყველა საკუთარი მთავარი წევრის მქონე მარტივ და თანწყობილწევრებიან წინადადებათა თანწყობით მიღებული სინტაქსური ერთეულია. მაგ.: მუხა გმინავს, წიფელი ბურტყუნებს, თელა კვნესის, იფანი შიშინებს, ხმელი ხე ჭრიჭინებს და ნედლი ოხრავს (ჯავ.); ტურა-მელები ფრინველებს იპარავდნენ, მგლები ოთხფეხს იტაცებდნენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა. (წერ.). პირველი წინადადება ექვსი მარტივისაგან შედგება, მეორე – ორი მარტივისა და თანწყობილწევრებიანი (შერწყმული) წინადადებისაგან.

რთული თანწყობილი წინადადების შეკუმშვით თავიდან არის აცილებული ერთი და იმავე სიტყვის განმეორება. ეს რომ უფრო ნათელი გახდეს, შევუპირისპიროთ ერთმანეთს თანწყობილ შემასმენლიანი წინადადება და მისი გაშლილი, შეუკუმშავი სახე:

1. *ქალი* გაჩუმდა, გაყუჩდა, დანაზდა, დაპატარავდა, დასუსტდა. (ლორთქ.).
2. *ძიძია* გადმოვიდა ღორღებზე, დადგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან. (ყაზ.).
3. ჩაიფურჩულა ბებიამ, ნელა წამოდგა, გაიბერტყა მატყლის ბეწვი მუხლებიდან და წავიდა კარებისაკენ. (ევდ.).

1. *ქალი* გაჩუმდა, (ქალი) გაყუჩდა, (ქალი) დანაზდა, (ქალი) დაპატარავდა, (ქალი) დასუსტდა.
2. ძიძია გადმოვიდა ღორღებზე, (ძიძიამ) დადგა კალათა და (ძიძია) ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან.
3. ჩაიფურჩულა *ბებიამ*, ნელა წამოდგა (ბებია), გაიბერტყა მატყლის ბეწვი მუხლებიდან (ბებიამ) და წავიდა კარებისაკენ (ბებია)[245].

რთული თანწყობილი წინადადების შეკუმშულ სახედ გვესახება ისეთი შემთხვევებიც, როცა შემასმენლებს აქვთ საზიარო სიტყვა (სიტყვები) სხვადასხვა პირმიმართი წევრის გადმოსაცემად. საერთო, საზიარო სიტყვა ჩვეულებრივ დასახელებულია პირველ შე-

[245] განმეორება, როგორც სტილისტიკური ხერხი, დამახასიათებელია მხატვრული მეტყველებისათვის, იგი აზრის ცხოვლად გადმოცემისა და ემოციის გამაძლიერებელი საშუალებაა. მაგ.: თერგი რბის, თერგი დრიალებს... (გრ. ორბ.); გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი. (ტაბ.). ზოგჯერ სიტყვის განმეორება აუცილებელია. ასეა, მაგალითად, როცა შემასმენელთა საზიარო სიტყვა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია. მაგ.: ზოგი იჯდა, ზოგიც იდგა, ზოგი ნიჩბებს იმარჯვებდა (გვეტ.); ზოგი წიოდა, ზოგი სტვენდა, ზოგი ღმუოდა. (დ. შენგ.).

მასმენელთან. საილუსტრაციოდ დავასახელებთ მრავალშემასმენლიანი წინადადების რამდენიმე შემთხვევას.

I. წინადადება ორშემასმენლიანია. საზიარო სიტყვა მათთან სხვადასხვა პირმიმართი წევრია:

1. S-O^{i}: **საათმა** სასაცილოდ გაიჟღარუნა და მაშინვე ჩაუწყდა ხმა (ა. სულაკ.); **მეფემ** ბარათი ჩაიკითხა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა. (გრ. აბ.).

2. O^{i}-S: **თორელს** ცრემლი წასკდა და თვალებზე ხელი აიფარა (გრ. აბ.); **ქედანს** სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდან და თვალები დახუჭა (ვაჟა); **ხოსიტას** კავი შეუტოკდა და უფრო დააწვა სახნისს. (ლ. გოთ.).

პირმიმართ წევრებად იშვიათად საზიაროა ორი სიტყვა. მაგ.: რამდენჯერმე შეეკითხა **ირემა,** მაგრამ **მახარემ** პასუხი არ გასცა. (არაგვ.). ორივე საზიარო სიტყვა ქვემდებარეა. პირველი საზიარო სიტყვა ირიბ დამატებად იგულისხმება მეორე შემასმენელთან, მეორე – ამავე წევრად პირველ შემასმენელთან.

II. წინადადება სამშემასმენლიანია. საზიარო სიტყვა ორ შემასმენელთან ერთი და იგივე წევრია:

1. S-O^{i}-S: ლოყაზე პირველი ცრემლის დაცემისთანავე შეინძრა **ლაშა,** სახე შეერხა და თვალი გაახილა (გრ. აბ.); მე შევკრთი, შემაურეოლა და პასუხი ვერ გავეცი. (ო. იოს.).

2. O^{i}-S-O^{i}: **იას** შიშით ფერი ეცვალა, ათრთოლდა და მთელი ტანი აუკანკალდა. (რაზ.).

3. O^{i}-O^{i}-S: **ავადმყოფს** ერთბაშად სახე დაეპრანჭა, შუბლი შეეჭმუხნა და მწარედ დაიგმინა. (ყაზ.).

4. O^{i}-S-S: მშობლიურმა ჰაერმა **თორელს** სული ჩაუბრუნა, გამოცოცხლდა და გახალისდა (გრ. აბ.); **ხელმწიფეს** წამწამზე ცრემლი მოსწყდა, თვალი უღონოდ მოხუჭა და ისევ მიიძინა (გრ. აბ.); **დედას** თვალზე ცრემლი მოადგა, მერე ხელი აიფარა და მეორე ოთახში გავიდა. (გ. რჩ.).

5. S-S-O^{i}: ამ სიტყვების დროს **გელა** ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა და თვალებში სისხლი ერეოდა. (ყაზ.).

6. O^{d}-S-S: **ფხოველი** შეაკრთო მეფის ნათქვამმა, წუთით დაიბნა და პასუხი ვეღარ მოძებნა (გრ. აბ.); სალომეს მოთქმამ **რეზო** შეაშინა, ატირდა და დედისკენ გაიქცა. (გ. შატბ.).

III. წინადადება ოთხშემასმენლიანია. საზიარო სიტყვის სხვადასხვა პირმიმართ წევრად გამოყენების ძირითადი შემთხვევებია:

1. S-O^{i}-S-S: **ნაგაზი** ერთიანად გაიფოფრა, ყალყზე დაუდგა

ქინჩი, ღობეს ყეფა-ყეფით გამოჰყვა და ყველა სარი მოსინჯა კბილით. (ო. იოს.).

2. O^{i}-O^{i}-S-S: მოულოდნელად შეუტევლად საფეთქლები **კოლონკელიძეს** წვერი გაუჭაღარავდა, უცნაურად მოტყდა და დაშინდა (გამს.); **ლაშას** ტანში გააჟრჟოლა, თმები აებურძგნა, ერთი კიდევ ამოიოხრა და თვალი ისევ ლამაზად ნაწერ სტრიქონებს გააყოლა. (გრ. აბ.).

3. O^{i}-S-S-S: **მამამზეს** მუხლი მოეკვეთა, პაპისეულ ლოდზე ჩამოჯდა, ხელის გულზე ყბა დააყრდნო და მიწას დააჩერდა მდუმარედ. (გამს.).

4. O^{i}-O^{i}-O^{i}-S: **თარაშ ემხვარს** თვალთ დაუბნელდა, მუხლები მოეჭრა, ყურებმა წივილი დაუწყეს, ხელების ფათურით მისწვდა სავარძელს. (გამს.).

IV. წინადადება ხუთშემასმენლიანია. საერთო, საზიარო სიტყვის სხვადასხვა პირმიმართ წევრად გამოყენების ერთ-ერთი შემთხვევა ასეთია: O^{i}-O^{i}-O^{i}-S-S: ცხენს მძიმე ხურჯინი ჰკიდია, კისერი დაგრძელებია, დიდი ხმით ქშინავს და ჯიქური ნაბიჯით ამოსდევს აღმართს. (რ. ინან.).

V. წინადადება ექვსშემასმენლიანია. საერთო, საზიარო სიტყვა პირველ შემასმენელთან ქვემდებარეა, დანარჩენებთან ირიბ დამატებად იგულისხმება. მაგ.: **ნიკა** ხელს ვედარ ანძრევდა, თვალები დაუშავდა, ჩაუცვივდა, ცხვირი დაუწვრილდა, ყბებიც ჩაუვარდა და ენაც დაება. (ჯავ.).

აქ დამატებით შეიძლება აღინიშნოს:

1. პირველ შემასმენელთან ჩვეულებრივ დასახელებულია ყველა სავარაუდო პირმიმართი წევრი, რომელთაგანაც ერთ-ერთი საერთო, საზიარო სიტყვით არის გადმოცემული, მომდევნო შემასმენელთან თუ შემასმენლებთან კი ამ სიტყვით გადმოსაცემი პირმიმართი წევრი იგულისხმება.

2. საზიარო სიტყვით გადმოსაცემი წევრები ჩვეულებრივ ქვემდებარე და ირიბი დამატებაა, იშვიათად – ქვემდებარე და პირდაპირი დამატება.

საერთო, საზიარო სიტყვა ზოგჯერ არ არის დასახელებული. მაგ.:

1. პირველი (და მეორე) პირის ნაცვალსახელები დაუსახელებლადაც იგულისხმება ზმნა-შემასმნელთა მიხედვით. მაგ.: ვიცხოვრე, ვიარე, ვნახე და გავიგე. (ჯავ.).

2. იგულისხმება კონტექსტის (და სიტუაციის) მიხედვით. მაგ.: სვეს, ჭამეს, გაძღნენ და დაიშალნენ. (ჯავ.). კონტექსტის მიხედვით

იგულისხმება ქლეხის მონაწილენი.

ქვემოთ მოკლედ აღვნიშნავთ, რა მსგავსება და განსხვავებაა ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებასა და რთულ თანწყობილ წინადადებას შორის. დავასახელებთ რამდენიმე ისეთ შემთხვევასაც, როცა ძნელდება წინადადების ამა თუ იმ ტიპისათვის მიკუთვნება.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებასა და რთულ თანწყობილ წინადადებას შორის შემდეგი ძირითადი მსგავსებაა:

1. როგორც შერწყმულ, ისე რთულ თანწყობილ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია. გვაქვს წინადადების ნაწილთა თანწყობა.

2. თანწყობილ წევრთა (შემასმენელთა) და თანწყობილ წინადადებათა შეერთება უკავშიროა ან კავშირიანი. მსგავსია წინადადებათა ინტონაცია.

3. საზიაროა მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი.

თქმულის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ამ ორი ტიპის წინადადებებს ერთმანეთთან შეპირისპირებით:

შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება
1. გარეთ ქარი ზმუის, კვნესის. (ჯავ.).	1. გუგუნებდა სუფრა, ღუღუნებდა ბუხარი. (ლეონ).
2. მზე ჩაიწურა **და** მოეფარა მთებს. (ვაჟა).	2. იდგა ზამთარი **და** მოდიოდა თოვლი. (გ.რჩ.).
3. მზე ხან გამოაშუქებს, **ხან** თვალებს ხუჭავს. (ევდ.).	3. გარეთ **ხან** ბარდნის, **ხან** წვიმა სცრის. (მიხ. მრევლ.).
4. **ან** უნდა მოვკვდე, **ან** უნდა შევაკვდე. (წერ.).	4. **ან** მონადირე წამომადგება თავს, **ან** მგელს შევეფეთები. (ევდ.).
5. მფრინავი წაბარბაცდა, **მაგრამ** არ წაქცეულა. (თ. ჭილ.).	5. დღე იყო, **მაგრამ** მზე გამქრალიყო. (ვაჟა).
6. თეკლა-ბიჭი დამშვიდდა, **ხოლო** მერიქიფეობა აღარ იკისრა. (ვაჟა).	6. ენა ადამიანისა სველია, **ხოლო** გული მისი მგელია. (ჯავ.).
7. ჩემს ლექსს მღეროდი, შინაარსი კი არ იცოდი. (გრიშ.).	7. ყველგან ცივა, აქ **კი** ცხელა. (გ. რჩ.).

4. აზრობრივი მიმართება შემასმენლებს შორის მსგავსია: ორივე ტიპის წინადადებაში შეიძლება იყოს გადმოცემული მოქმედებათა ერთდროულობა, თანამიმდევრობა, მიზეზშედეგობრიობა, თანამიმდევრობა და მიზეზშედეგობრიობა, დაპირისპირება, მოქმედებათა მონაცვლეობა და სხვ. მაგ.:

შერწყმული წინადადება	რთული თანწყობილი წინადადება

მოქმედებათა ერთდროულობა

1. ჭიშკართან პატარა გოგო იდგა **და** ზლუქუნებდა. (გრ. აბ.). 2. სახელოსნოს წინ კაცი იჯდა, ჩონგურს აჩხაკუნებდა **და** ბუბუნებდა. (გრ. აბ.).	1. სიცხე დგას **და** ცხელ ქვიშაში ღმუის მძაფრი ქარი. (ტაბ.). 2. წვიმას არ იკლებდა **და** არ ცხრებოდა ქარი. (ო. იოს.).

მოქმედებათა თანამიმდევრობა

1. არწივმა აიწია, აფრინდა **და** დაიწყო ჰაერში ტრიალი. (ვაჟა). 2. ვაჟა ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე წამოდგა **და** სიარული დაიწყო. (გ.რჩ.).	1. მარულა გათავდა **და** ყაბახი დაიწყო. (გრ. აბ.). 2. ერთ ადგილს რაღაც შეინძრა **და** წუთს შემდეგ ვიღაც კაცი გამოჩნდა. (ყაზ.).

თანამიმდევრობა და მიზეზშედეგობრიობა

1. ჩალა დასველდა **და** დამძიმდა. (ო. იოს.). 2. ხეობიდან ნისლი დაიძრა **და** მთელი ქედი გადაბურა. (გ. რჩ.).	1. ციოდა **და** ამის გამო პალტო შემოვიჭუჭკე. (არაგვ.). 2. ცა მოიწმინდა **და** მზის შუქმა იქაურობა გაანათა. (ყაზ.).

მოქმედებათა დაპირისპირება

1. ნინიამ დაახალა თოფი დათვს, **მაგრამ** ააცდინა. (ვაჟა).	1. მოურავი მართლაც საძაგელი რამ იყო, **მაგრამ** მამაჩემი მაინც არ ელეოდა. (წერ.).

მოქმედებათა მონაცვლეობა

1. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე **ხან** გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, **ხან** ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა. (ჭავ.).	1. მის შორიახლოს **ხან** შევარდენი გამოინავარდებდა, **ხან** ქორი გამოიქროლებდა (ვაჟა).

შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა განსხვავება მოკლედ ასეთია:

1. შერწყმული წინადადების შემასმენლები საზიარო, საერთო მთავარ წევრთან არიან დაკავშირებული, რთული თანწყობილი წინადადების შემასმენლებს თავ-თავისი მთავარი წევრები აქვს.

2. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ შემასმენელთა თანწყობაა, რთულ თანწყობილ წინადადებაში კი – მასში შემავალი წინადადებებისა.

3. მაერთებელი კავშირები შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ

წევრებს აერთებენ, რთულ თანწყობილ წინადადებაში კი მასში გაერთიანებულ წინადადებებს.

4. მართალია, შემასმენლებით გამოხატულ მოქმედებათა ერთნაირი მიმართება (ერთდროულობა, თანამიმდევრობა და სხვ.) გვაქვს ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებასა და რთულ თანწყობილ წინადადებაში, მაგრამ განსხვავებაც არსებითი ხასიათისაა: შერწყმულ წინადადებაში შემასმენლებით გამოხატული მოქმედებანი და ამ მოქმედებათა მიმართება ერთ ქვემდებარეს მიეწერება, რთულ თანწყობილ წინადადებაში კი – რამდენიმეს. მაგ.: ამ თვალსაზრისით შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წინადადება: „დათო იჯდა და ფიქრობდა“ (გ. რჩ.) და „დათო წიგნს კითხულობდა და ნინო რა/დიოს უსმენდა“. ორივე წინადადებაში ორ-ორი შემასმენელია და გამოხატულია მოქმედებათა ერთდროულობა, მაგრამ პირველ მაგალითში ყველაფერი ეს ერთ ქვემდებარეს მიეწერება, მეორეში – ორს.

ასეთია მოკლედ რთულ თანწყობილ და შერწყმულ (ერთგვარშემასმნელიან) წინადადებათა მსგავსება და განსხვავება, მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა წინადადების სინტაქსური კვალიფიკაცია ასე მარტივად ვერ გადაწყდება. ერთმა შეიძლება შერწყმულ წინადადებად ჩათვალოს, მეორემ – რთულ თანწყობილად. ასეთი შემთხვევებია:

1. შემასმენელთა საერთო წევრია ირიბი დამატება, ხოლო ქვემდებარე ყოველ შემასმენელს საკუთარი აქვს: **თეიმურაზს** გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია (ჯავ., 2, 288); ქალს თვალები აუციმციმდა და ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა (ო. იოს., 220); თორელს გატეხილი გაუმთელდა, დათეთქვილი დაუამდა და წყლულები მოუშუშდა (გრ. აბ., 658); ვაჩეს სახე წამოენთო და გულმა ბაგაბუგით დაუწყო ცემა (გრ. აბ., 437); მურიას ფერდი ფერდზე მიეკრა, მუხლები მოეჭრა, თვალებში სინათლე დაეკარგა, ბეწვი აებურძგნა (რაზ., 68); ქალს ლოყებზე სიმკრთალე დაჰკრავდა, ხოლო ღაწვებზე ოდნავ ლალი უჭვიოდა. (გვეტ., 277).

ირიბი დამატება, როგორც ვიცით, წინადადების მთავარი წევრია. დასახელებულ მაგალითებში ყოველ შემასმენელს საკუთარი ქვემდებარე აქვს,, ხოლო ირიბი დამატება საზიარო წევრია. დაისმის კითხვა: როგორია ეს წინადადებები აგებულების მიხედვით – შერწყმული თუ რთული თანწყობილი? იმის გამო, რომ ირიბი დამატება მთავარი წევრია და ყველა შემასმენელი მასთან არის დაკავშირებული, შეიძლება ვთქვათ, რომ დასახელებული წინადადებები შერწყმულია.

2. ზმნები უსუბიექტოდ არიან წარმოდგენილი და მათ არც დამატება ახლავს: გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს. (ო. ჭილ.).

ამ ზმნებთან ერთი და იგივე სუბიექტია დაკარგული, ასე რომ წინადადება შერწყმულად უნდა დასახელდეს. ასევე შერწყმულად უნდა ჩავთვალოთ წინადადება, სადაც გარდამავალი ზმნებით გადმოცემულ შემასმენლებთან ერთი და იგივე სუბიექტი ივარაუდება დაკარგულად: ... ცივი წვიმები გადააბა, მერე თოვლი მოაყოლა. (ო. იოს.).

3. ზმნები უქვემდებაროდ არიან ნახმარი. მათთან წარმოდგენილია (ან იგულისხმება) ირიბი დამატება: კაჭკაჭს გააცივა და გააცხელა შიშისაგან (ვაჟა, 6, 26); მას ბინაში ახლაც უწვიმს და უთოვს (განაგონი); ახლა აქ, ტყეში, მაწვიმს და მათოვს. (ნონ., 54). პირველი წინადადების შემასმენლებთან ერთი და იგივე ქვემდებარე ივარაუდება დაკარგულად, მომდევნო წინადადებათა შემასმენლებთან კი სხვადასხვა. მაგრამ შემასმენელთა საერთო-საზიარო წევრია ირიბი ობიექტი, ამიტომ ორივე წინადადება თანწყობილწევრიანი ანუ შერწყმული წინადადებაა.

XII. რთული ქვეწყობილი წინადადება

§169. რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილები. მათი ზოგადი დახასიათება

რთული ქვეწყობილი წინადადება, როგორც ვიცით (§161), მთავრისა და დამოკიდებული წინადადებისაგან შედგება. მთავარი გაბატონებული, წამყვანი წინადადებაა, დამოკიდებული კი – დაქვემდებარებული. მაგ., რთული ქვეწყობილი წინადადებაა: სოფელმა კარგად იცოდა, **რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა**. (ჭავ., 425). აქ მთავარია „სოფელმა კარგად იცოდა“, ხოლო მომდევნო წინადადება დამოკიდებულია. მთავარ წინადადებაში არ არის აღნიშნული, თუ რა იცოდა სოფელმა კარგად. ამის შესახებ საჭირო ცნობას დამოკიდებული წინადადება გვაწვდის.

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთობა ანალოგიურია იმისა, რაც გვაქვს ჩვენ სიტყვათა დაქვემდებარებითს შეკავშირებაში, სადაც ერთი სიტყვა მთავარია, მეორე კი დამოკიდებული, წამყვანი სიტყვის ამხსნელი (§6).

ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება სხვადასხვა სინტაქსური საშუალებით ხორციელდება, ე.ი. დაქვემდებარებას აქვს თავისი ნიშნები, რომელთა უმეტესობაც გარეგნულად არის გამოხატული, ზოგი კი მის შინაგან ნიშანს წარმოადგენს:

ა) დამოკიდებული წინადადების მთავრისადმი დაქვემდებარების ძირითადი საშუალება საგანგებო სიტყვებია: მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, თუ, რათა, თუმცა...) და მიმართებითი სიტყვები:

მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, საიდანაც, როგორც...); ეტყობოდა, **რომ** წელს კარგი ღვინის მოსავალი იქნებოდა (ლომ., 29); ქალმა იგრძნო, **რაც** მომხდარიყო (ბარნ., 3, 111); ცოტა მოშორებით ორმო იყო, **სადაც** საქონლის სასმელი წყალი გუბდებოდა. (გვეტ., 40).

მაქვემდებარებელი კავშირი მხოლოდ დამოკიდებული წინადადების გადაბმის, მისი მთავრისადმი დაქვემდებარების საშუალებაა (ის წინადადების წევრს არ წარმოადგენს), მიმართებითი სიტყვა კი არა მარტო დაქვემდებარების საშუალებაა, არამედ ერთ-ერთი წევრიც დამოკიდებული წინადადებისა. მაშასადამე, **მიმართებითი სიტყვა წინადადების წევრიც არის და მაქვემდებარებელი კავშირის როლსაც ასრულებს**, ე.ი. **წევრ-კავშირია**. მაგ., პირველ მაგალითში დამოკიდებულს მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“, მეორეში – მიმართებითი ნაცვალსახელი „რაც“, მესამეში კი – მიმართებითი ზმნიზედა „სადაც“. ამათგან „რაც“ დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა, „სადაც“ – ადგილის გარემოება, ხოლო „რომ“ წინადადების წევრი არ არის (§160).

მაქვემდებარებელი კავშირი და მიმართებითი სიტყვა მეტწილად იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ (უფრო პოეზიაში) დამოკიდებული წინადადების შიგნითაა; ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად **რომ** ამოსულიყო (წერ.); მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი **ვისაც** დაზარებია! (ჭავ., 43).

მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს, ის დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანია: თუ რთული წინადადების რომელიმე ნაწილში წარმოდგენილია მაქვემდებარებელი კავშირი ან მიმართებითი სიტყვა, – ეს იმის მანიშნებელია, რომ წინადადება მთლიანად რთული ქვეწყობილია, ხოლო თვით ასეთი სიტყვის შემცველი წინადადება – დამოკიდებული.

ბ) მთავარ წინადადებაში ხშირად არის ისეთი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გვავარაუდებინებს. ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედებია, რომელთა ზოგად მნიშვნელობასაც აკონკრეტებს და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებული წინადადების მისათითებელ სიტყვებს, რომლებიც მთავარშია, საკორელაციო სიტყვები ჰქვია (§160,4). ასეთი სიტყვები რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების დაკავშირების ერთ-ერთი გარეგნული საშუალებაა. ამასთანავე, ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით გადმოცემული კორელატები ამა

თუ იმ წევრადაც შედიან მთავარ წინადადებაში. მაგ.: ტყეში **ისეთი** სიჩუმე ჩამოწვა, **რომ** ღრმა ხევიდან წყაროს ჩურჩულიც კი მოისმა. (ჯავ., 4, 339): აქ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“; ამასთანავე, მთავარი წინადადების ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელი „ისეთი“, რომელიც საკორელაციო სიტყვაა და დამოკიდებულ წინადადებას მოითხოვს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ამ ნაცვალსახელის ზოგად მნიშვნელობას ხსნის და განმარტავს. მაშასადამე, რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში ხშირად გვაქვს ორორი სიტყვა (ერთი – მთავარში, მეორე – დამოკიდებულში), რომლებიც ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს აკავშირებენ. ასეთი წყვილწყვილი სიტყვებია: **ისე – რომ, ისეთი – რომ, იმიტომ – რომ, იმისთვის – რომ, ისეთი – როგორიც, იქ – სადაც, მაშინ – როცა** და სხვ. მაგ.: **ისე** ცხელა, **რომ** მზეზე კვერცხი მოიხარშება (ჯავ., 4, 293); ზოგჯერ ტყეში **ისეთი** სიმშვიდე ჩამოვარდებოდა, **რომ** საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა (ჯავ., 1, 116); [მგლები] თავს **იმიტომ** იყრიდნენ ერთად, **რომ** ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ (ვაჟა, 6, 8); მე ჩონგური **მისთვის** მინდა, **რომ** სიმართლეს მსახურობდეს (წერ.); კაკალმაც **ისეთი** პასუხი მომცა, **როგორიც** მუხამ (რაზ., 90); **სადაც** ჭალა თავდება, ფშაც **იქ** ერეოდა მდინარეში (ვაჟა, 5, 311); **მაშინ** თორმეტის წლისა ვიყავი, **როცა** ბატონმა სახლს მომაშორა. (ჭავ., 152).

ხშირად მთავარში მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვა თუ საპირისპირო კავშირი არ არის, მაგრამ ასეთი სავარაუდო სიტყვა შეიძლება აღვადგინოთ: შემცდარია [ის], ვინც გულს იტეხს (წერ.); თუმცა მაისი დადგა, [მაგრამ] მათს ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა (ჯავ., 3, 447); თედომ იარა, იარა და მივიდა [იქ], სადაც მელიას სორო იყო. (რაზ., 343).

ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა მთავარში არ არის კორელატი და ასეთად არც შეიძლება ვივარაუდოთ რომელიმე სიტყვა: მაიკო თანდათან ცივი ხმით ჰკიოდა, რაც თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა (გვეტ., 113); ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა გოჩა, **რომელსაც** თეთრი თმა გაშლოდა. (ყაზ., 1, 306).

მისათითებელი სიტყვა, როცა ის მთავარი წინადადების ბოლოს მოხვდება, ზოგჯერ იცვლის ადგილს, დამოკიდებულ წინადადებას ეკედლება და რთულ კავშირს ვღებულობთ: **იმიტომ რომ, ისე რომ, ასე რომ, ისე როგორც, მაშინ როცა**... მაგ.: ლუარსაბი წამოხტა, მიეგება ძმას, ვერაფერი კი ვერა ჰკითხა, **იმიტომ რომ** რცხვენოდა (ჭავ., 336); მშვენიერი საღამო იყო, **ასე რომ** იმ ღამეს იქ დავრჩი (ჭავ., 255); დავამზადებ ყველაფერს, **ისე რომ** მაინცდამაინც

ბევრს არ შეგაწუხებ. (ბარნ., 1, 181).

დაკავშირება რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის ცალმხრივია ან ორმხრივი. ცალმხრივია, როცა მთავარ წინადადებაში საკორელაციო სიტყვა არ მოიპოვება, და ორმხრივია, როცა მთავარში ასეთი სიტყვაა. ამის გამო კავშირი მთავარსა და დამოკიდებულს შორის, მათი ერთმანეთთან შერწყმის პროცესი ყოველთვის ერთნაირი არც არის. კავშირი ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის, საზოგადოდ, უფრო მჭიდროა მაშინ, როცა მთავარში წარმოდგენილია მისათითებელი სიტყვა, რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გვავარაუდებინებს. მთავარი წინადადება, რომელიც მისათითებელ სიტყვას არ შეიცავს, უფრო თავისთავადია, უფრო დამოუკიდებულია (როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსითაც), ვიდრე ისეთი მთავარი წინადადება, რომელიც ასეთ სიტყვას შეიცავს. მართლაც, შევადაროთ ერთმანეთს ეს ორი წინადადება: ისინი მე ყურს არ მიგდებენ, როგორც არ უგდებს დიდი სალი კლდე ყურს ქარის გრიალს, ფრინველის ფრთის შეხებას (ვაჟა, 5, 307); მამაჩემი ისე უვლიდა ვენახსა, **როგორც** დედა უვლის თავის შვილსა. (გოგ., 138). ამ მაგალითებში მთავარი წინადადებებია: „**ისინი მე ყურს არ მიგდებენ**“ და „**მამაჩემი ისე უვლიდა ვენახს**“. პირველში მისათითებელი სიტყვა არ არის და უფრო დამოუკიდებულია, ვიდრე მეორე, რომელშიც ნახმარი „ისე“ ზმნიზედა გვანიშნებს, რომ მას დამოკიდებული წინადადება უნდა მოჰყვეს.

თუ მთავარში მისათითებელი სიტყვა დასახელებულია, ჩვეულებრივ დამოკიდებულშიც არის მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი. მაგრამ იშვიათად გვხვდება ამ წესიდან გადახვევის შემთხვევაც: მთავარში წარმოდგენილია მისათითებელი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა, დამოკიდებულში კი მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი არ მოიპოვება და რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა შეერთების გარეგნული ნიშანი მხოლოდ კორელატია. მაგ.: **ისეთი** ლხინი გავმართოთ, ჩვენ დაგვნატროდეს ყველაო (რაზ., 338); კაკბის კალათა ზევიდან წნელით გავწან-გამოვწან **ისე**, ბუზიც ძლივს გაძვრება შიგა. (ვაჟა, 6, 145). აქ, დამოკიდებულ წინადადებებში, შეიძლება ჩავსვათ „რომ“ კავშირი, მაგრამ მაქვემდებარებელი სიტყვის ასეთი აღდგენა ზოგჯერ შეუძლებელია ან ერთობ ხელოვნური: მე არაფერი აღარ მესმოდა, **ისე** შორს ვიყავ. (ჭავ., 278).

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს ხშირად საერთო სიტყვაც აქვთ, რომელიც დასახელებულია ერთ ნაწილში და იგულისხმება მეორეში იმავე ან სხვა წევრად, ან კიდევ იგულისხმება ორივე ნაწილში ზმნის პირიანი ფორმებისა თუ იმ კონტექსტის მიხედვით, საიდანაც რთული ქვეწყობილი წინადადებაა ამოღებული. მაგალითად: „პირი რომ დაიბანა **ნუშომ**, ჩაიდანს მოუჯდა“.

(ბანბ., 1, 148). „ნუშოშ“ ქვემდებარეა დამოკიდებულ წინადადებაში და ქვემდებარედვე იგულისხმება მე-2 (მთავარ) წინადადებაში. „ეს რომ წავიკითხე, ელდა მეცა“. (ბარნ., 1, 328); იგულისხმება „მე“: დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან – ქვემდებარედ, მთავრის შემასმნელთან – ირიბ დამატებად. ჯაყომ ისე დაიხვიხვინა, რომ მისი ხმა ლიახვის ჭალას ჩასწვდა. (ჯავ., 2, 337): აქ პირველ ნაწილში დასახელებულ არსებითს მეორე ნაწილში ნაცვალსახელი ცვლის.

თუ რთული წინადადების ნაწილებში არ არის მაქვემდებარებელი და მისათითებელი სიტყვები, მაგრამ ამ ნაწილების ურთიერთმიმართება დაქვემდებარებითია, საქმე გვაქვს უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან. მაგ.: რაიბულს იმედი ჰქონდა, ღვინოს იაფად შილდაში იყიდდა. (ვაჟა, 6, 433).

§170. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ფუნქციის მიხედვით

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია. დამოკიდებულ წინადადებათა ფუნქციები თავიდანვე გათანაბრებულ იქნა წინადადების წევრთა ფუნქციებთან: დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, ის ამა თუ იმ წევრის გაფართოებული სახეაო.

წინადადების წევრი მრავალია. ამის შესაბამისად გამოიყო დამოკიდებული წინადადების მრავალი სახე: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა), აგრეთვე შედეგობითი, პირობითი, დათმობითი. ცალკე სახედ გამოყოფენ ზოგჯერ შემასმენლურსა და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებებსაც. დამოკიდებულ წინადადებათა სახელწოდებანიც მეტწილად წინადადების წევრთა სახელებისაგან არის ნაწარმოები. მაგ.: გვაქვს „ქვემდებარე“, აქედან – „ქვემდებარული“, „დამატება“ – „დამატებითი“, „განსაზღვრება“ – „განსაზღვრებითი“ და ა.შ. დამოკიდებულ წინადადებათა ამგვარი კლასიფიკაცია ფართოდ გავრცელდა სამეცნიერო ლიტერატურაში და დამკვიდრდა სასკოლო გრამატიკაში.

დამოკიდებულ წინადადებათა უმეტესობა ამა თუ იმ კითხვაზე მოგვიგებს. კითხვაში შედის მთავარი წინადადება, პასუხს კი დამოკიდებული წინადადება იძლევა. დამოკიდებული წინადადების კითხვა იგივეა, რაც მისი შესაბამისი წევრისა. მაგ.: განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრების კითხვებზე მოგვიგებს, დამატებითი – დამატებისა და ა.შ., რაც დამოკიდებული წინადადების დაქვემდებარების შინაგანი ნიშანია. მაგ.: ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო. (ყაზ., 2, 266). კითხვა: რა ვერ მოიაზრა ონისემ ერთბაშად? პასუხი: – რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო. მთავარი წინადა-

დების შემასმენელი (მოიაზრა) ორპირიანი გარდამავალი ზმნით არის გადმოცემული. მასთან ქვემდებარე წარმოდგენილია (ონისემ), პირდაპირი დამატება კი აკლია, რომლის სინტაქსურ ფუნქციასაც დამოკიდებული წინადადება ასრულებს. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: მაგ.: ტუსაღს ისე სძინავს, რომ ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს. (ჯავ., 3, 397). კითხვა: ტუსაღს როგორ სძინავს? – ისე. „ისე", მაგრამ სახელდობრ როგორ? – რომ ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს. დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ზმნიზედით გადმოცემულ ვითარების გარემოებას, კითხვაც ვითარების გარემოებისა დაესმის. მაშასადამე, ის ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა.

კითხვების ხერხს ფართოდ იყენებენ სკოლაში დამოკიდებულ წინადადებათა სწავლების დროს. მაგრამ ის ხშირად არ არის საიმედო ხერხი დამოკიდებულ წინადადებათა ფუნქციის გამოსარკვევად: დამოკიდებული წინადადების ზოგიერთ სახეს სრულებით არ დაესმის კითხვა, ან კიდევ კითხვის დასმა მეტად ხელოვნურია, ნაძალადევი, ხოლო ზოგჯერ ერთსა და იმავე კითხვაზე სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც მოგვიგებს.

დამოკიდებულ წინადადებათა სახეებსა და წინადადების წევრებს შორის სრული პარალელიზმი არა გვაქვს: დამოკიდებულ წინადადებებში ისეთი სახეებიც მოიპოვება, რომელთაც შესაბამისი წევრი არ გააჩნიათ. ასეთებია, მაგალითად: შედეგობითი, მთავრის მიმართი და სხვ. სრული პარალელიზმი არა გვაქვს მაშინაც კი, როცა დამოკიდებულ წინადადებას შესაბამისი წევრი აქვს. დამოკიდებული წინადადება ხშირად აზრის ნათლად და ზუსტად გამოხატვის უფრო მოქნილი და სრულყოფილი საშუალებაა, ვიდრე წინადადების წევრი, ასე რომ, მათი გამომსახველობითი ძალა ერთნაირი არ არის. ამასთანავე, ქვეწყობილ წინადადებებში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, რომლებიც ახლო დგას რთულ თანწყობილთან. მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ უკუვაგდოთ დამოკიდებულ წინადადებათა ტრადიციული კლასიფიკაცია.

რთული ქვეწყობილი წინადადების შესწავლა-განხილვისას ზოგჯერ ყურადღებას ერთ-ერთ მხარეს აქცევენ – სტრუქტურულს ან ფუნქციურს, ზოგჯერ კიდევ ორივეს. მესამე თვალსაზრისს მეტი გამართლება აქვს, განსაკუთრებით პრაქტიკული თვალსაზრისით. ქვეწყობილი წინადადების სრული, ყოველმხრივი განხილვა გულისხმობს სტრუქტურული და ფუნქციური მხარის მთლიანობაში გათვალისწინებას, აღნიშნვას იმისას, თუ რას მიემართება დამოკიდებული წინადადება, რა ფუნქციას ასრულებს ის და რა საშუალებით უერთდება მთავარ წინადადებას. ამის შესაძლებლობას უფრო მარჯვედ სწორედ დამოკიდებულ წინადადებათა ტრადიციული კლასიფიკაცია იძლევა.

***

მოძღვრება დამოკიდებული წინადადების სახეებზე XIX ს. პირველ ნახევარში შემუშავდა.

დამოკიდებული წინადადებები ჩვენს სინამდვილეში პირველად **არ. ქუთათელაძის** გრამატიკაშია (1888) წარმოდგენილი, სადაც შემდეგი სახეებია განხილული: განმარტებითი, დამატებითი და გარემოებითი: დროისა, ადგილისა, ვითარებისა (ავტორის ტერმინით „მოქმედების-გვარი დამოკიდებული წინადადება"), მიზეზისა და მიზნისა. **თ. ჟორდანიას** გრამატიკაში (1889) დამატებით დასახელებულია პირობითიც. **სილ. ხუნდაძისა** და **მ. ჯანაშვილის** გრამატიკებში, გარდა ზემოთ დასახელებული **სახეებისა**, შესულია **დათმობითი** დამოკიდებული წინადადება. ამასთანავე, **მ. ჯანაშვილი** ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების განხილვისას ცალკე გამოყოფს **ვითარებით-შედარებითს. ი. ნიკოლაიშვილისა** და **მ. კელენჯერიძის** გრამატიკებში იგივე სახეებია წარმოდგენილი, რაც **სილ. ხუნდაძისა** და **მ. ჯანაშვილისაში**, ოღონდ ერთი განსხვავებით: **ი. ნიკოლაიშვილის** გრამატიკაში (მოკლესა თუ ვრცელში) არ არის შესული პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები.

ფორმალისტური თვალსაზრისით შედგენილ გრამატიკებში წინადადების არამთავარი წევრების ერთ ჯგუფში (ამხსნელ სიტყვებში) გაერთიანებას, ე.ი. წინადადების წევრებზე ტრადიციული მოძღვრების უკუგდებას, ბუნებრივად მოჰყვა დამოკიდებულ წინადადებათა სახეების უგულებელყოფა. ჩვენს სინამდვილეში ამის ნათელი დადასტურებაა ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვება" (1927), ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვება" (1929), „ქართული ენა" (1932) და ქართული ენის გრამატიკა" (1935).

მაშასადამე, დამოკიდებულ წინადადებათა სახეების განხილვის ტრადიცია, რომელიც ჩვენში XIX საუკუნის 80-იან წლებში დამკვიდრდა, შეწყდა XX საუკუნის 20-იან წლებში, ეს ტრადიცია კვლავ აღდგა **ა. შანიძის** „ქართული ენის გრამატიკაში" (1939). ამ სახელმძღვანელოში, გარდა მანამდე ნაცნობი სახეებისა, დამატებით (ჩვენს სინამდვილეში პირველად) შეტანილია ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება.

ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკამ" არსებითი ცვლილება განიცადა მეოთხე გამოცემისას (1948). წიგნი ორად გაიყო, მეორე ნაწილი (სინტაქსი) ავტორმა დიდად გადაამუშავა და შეავსო. ცვლილება შეეხო, კერძოდ, დამოკიდებულ წინადადებათა სახეებსაც. ამ გამოცემაში დამატებით განხილულია დამოკიდებული წინადადების ორი სახე — **შედეგობითი** და **მთავრის მიმართი**. ამასთანავე, დამატებითი დამოკიდებული წინადადების განხილვისას გამოყოფილია **პირდაპირ, ირიბ** და **უბრალო** დამატებათა გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადებანი.

ჩვენს წიგნში („ქართული ენის სინტაქსი", 1956), გარდა იმ სახეებისა, რომლებიც **ა. შანიძის** გრამატიკაშია განხილული, შესულია შემასმენლური დამოკიდებული წინადადება, ხოლო უფრო ადრე დამოკიდებული წინადადების ეს სახე) – „რთული წინადადების სწავლების მეთოდიკაში" (1950).

ასეთია მოკლედ, ზოგადად დამოკიდებულ წინადადებათა განხილვის ისტორია ქართული ენის გრამატიკების მიხედვით.

ქართული რთული ქვეწყობილი წინადადების წარმოქმნისა და განვითარების დადგენა, რასაც დიდი მეცნიერული ინტერესი ახლავს, ისტორიული სინტაქსის ერთი ურთულესი საკითხია. ამ პრობლემის ჯეროვნად გამოკვლევა მოითხოვს ქართულისა და მისი მონათესავე ენების მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის გულმოდგინედ შესწავლას, სხვადასხვა თვალსაზრისით მიდგომასა და ღრმა მეცნიერულ ანალიზს, ამ მიმართულებით ჩვენში საკმაოდ დიდი კვლევა-ძიებაა ჩატარებული და საგულისხმო შედეგებიც არის მოპოვებული.

რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისის თაობაზე ქართულ სალინათმეცნიერო ლიტერატურაში საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული,ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა **კ. დონდუას, შ. ძიძიგურის, გ. როგავასა** და **ფ. ერთელიშვილის** გამოკვლევები.

მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ქართული რთული ქვეწყობილი წინადადების დასაბამი მწერლობამდელ ქართულშია საგულვებელი. „ძველი სამწერლობო ენა უკვე თავიდანვე კარგად იცნობს ჰიპოტაქსის საკმაოდ მდიდარ ფორმებს და, საერთოდ, წინადადებათა დამაქვემდებარებელ საშუალებებს. თავისთავად ეს მოვლენაც უფლებას მისცემდა მკვლევარს, ევარაუდებინა, რომ ჩვენი თუნდაც ყველაზე უფრო უტყუარი ადრინდელი ძეგლები ქართული სამწერლობო ენის მერმინდელი მდგომარეობის გამომსახველნი არიან და რომ ქართული ენის დასაწყის საფეხურებზე ჰიპოტაქსის ძალა გაცილებით უფრო სუსტი და განსაზღვრული იქნებოდა“[246].

თუ რა ცვლილებები განიცადა ქართული ენის ჰიპოტაქსურმა კონსტრუქციამ, როგორი უნდა ყოფილიყო მისი ადრინდელი სახე და როგორი სახე მიიღო მან მერმინდელ სამწერლობო ენაში, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად **კ. დონდუა** განიხილავს ისეთ მოვლენებს, რომელთაც ის ქართული ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გარდამავალ საფეხურებად მიიჩნევს. ეს მოვლენებია: ნაცვალსახელთა სემანტიკური და ფუნქციური დაუზუსტებლობა, ე.წ. „სინტაქსური ასიმილაცია“, ჩვენებითი ნაცვალსახელის პლეონასტურად ხმარება მთავარ წინადადებაში და ასიდენტურობა პირდაპირ მეტყველებაში და რიგ ზმნებთან, მეტადრე გრძნობისა (verba sentiendi) და თქმის (verba decearandi) სემანტიკის ზმნებთან. **კ. დონდუას** მოსაზრებები იმ მოვლენებთან დაკავშირებით მოკლედ ასეთია:

ასიდენტურობა ანუ რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტთა უკავშიროდ შეერთება, რომლის მოქმედების არეც განსაზღვრულია ძველ ქართულში, გარდამავალი საფეხურის მკრთალი მაჩვენებელია.

ძველ ქართულში გვხვდება ჩვენებითი ნაცვასახელის პლეონასტურად ანუ ლოგიკური და გრამატიკული თვალსაზრისით ზედმეტად ხმარება მთავარ წინადადებაში. იგულისხმება ამ ტიპის მაგალითები: **„ტალანტი** სიბრძნისაი, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე **იგი**“. ჩვენი დღევანდელი თვალსაზრისით ნაცვალსახელის (იგი) ხმარება მთავარ წინადადებაში გაუმართებელია, მაგრამ „უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პლეონაზმი ანარეკლია ქართული წინადადების განვითარების იმ საფეხურისა, როდესაც ჰიპოტაქსური კონსტრუქცია იქმნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული“[247].

კ. დონდუა სპეციალურ გამოკვლევაში[248], ვრცლად განიხილავს რთული ქვეწყობილი წინადადების ისეთ კონსტრუქციას, რომელიც ცნობილია „სინტაქსური ასიმილაციის“ ანუ „ატრაქციის“ სახელით და რომელთანაც, ავტორის თქმით, მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაცვალსახელის პლეონასტურად ხმარება. „სინტაქსური ასიმილაცია“ გულისხმობს ისეთ კონსტრუქციას, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი მისამართი სიტყვის ბრუნვის ფორმას იღებს („პროგრესული ასიმილაცია“) ან (უფრო ხშირად) თვითონ ის „დაიმსგავსებს“ ბრუნვაში მთავარი წინადადების მისამართ სიტყვას („რეგრესული ასიმილაცია“), და ეს მაშინ, როცა ენაში შემუშავებილი ნორმების მიხედვით ერთ-ერთი მათგანი (დამსგავსებული) სხვა ბრუნვაშია მოსალოდნელი.

ავტორი ასახელებს „სინტაქსური ასიმილაციის“ ასეთ ნიმუშებს:

1. იყოს **ქალწულსა** (უნდა იყოს: ქალწული), **რომელსა** ვჰრქუა...

2. ხიყოს მე ვინ თქუენგანი **კაცი, რომელი** (უნდა იყოს: რომელსა) სთხოვდეს ძმე მისი პურსა[249]...

კ. დონდუამ ნათელყო, რომ ეს მოვლენა ასიმილაციის კანონით ვერ აიხსნება. ამ

---

[246] **კ. დონდუა**, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში: თსუ-ს შრომები, ტ. 37, 1949, გვ. 193.

[247] იქვე, გვ. 196.

[248] **კ. დონდუა** მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: ენიმკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 329-336.

[249] მისივე, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, გვ. 198.

მოვლენის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თავდაპირველად, როცა ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადება „ქალიბდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო. მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართს სიტყვასაც უნდა კუთვნებოდა და საკუთრივ – დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მიმართებითი ნაცვალსახელი** წარმოადგენდა **მისამართი** სიტყვის (Bezugswort) ატრიბუტს“[250]. ეს კი ამ ნაცვალსახელის ადრინდელი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, მიმართებითობის გამოხატვა კი მეორეულ ფუნქციას წარმოადგენს. მიმართებითი სიტყვები კითხვითი ნაცვალსახელებისაგან მომდინარეობენ. ქართული სამწერლობო ენის პირველ საფეხურზე მათ შორის ჯერ კიდევ არ იყო ფორმალური გარჩევა[251].

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის შეთანხმება ბრუნვაში ირიბი მაჩვენებელია იმისა, რომ მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა გამოყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა“[252], მაშასადამე, ესაა გარდამავალი საფეხური რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქციის გამომუშავების გზაზე.

სამწერლობო ენის განვითარებას უნდა გამოეწვია ქვეწყობის საშუალებათა დიფერენციაცია, რთული ქვეწყობილი წინადადების „სტრუქტურის მეტი სიმძლავრით განმტკიცება“[253]. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ჩვენებითი ნაცვალსახელის როლი. ჩვენებითი ნაცვალსახელით (ნაწევრით) გართულებული მაქვემდებარებელი ერთეულები (ოდეს იგი, სადა იგი, რა იგი, რომელი იგი...) „ნამდვილ რელატიურობას იჩენენ, უნაცვალსახელონი კი თანდათან ირიბ კითხვათა ფორმებად იქცევიან“[254]. მაგრამ „მაკავშირებელ სიტყვათა და მაქვემდებარებელ კავშირთა ფორმალური გამოყოფა მათზე ჩვენებითი ნაცვალსახელის დართვით არ მთავრდება.

ძველი ქართულის ტექსტებში საკმაოდ ადრე გამოჩნდება ენკლიტიკური ნაწილაკი – ცა, რომელიც მოწოდებული იყო აბსოლუტურად დაემკვიდრებინა ჰიპოტაქსური წყობა, განსაკუთრებით ახალ ქართულში“[255].

დასასრულ, **კ. დონდუას** აზრით, დამოკიდებულ წინადადებათა განვითარების ადრინდელ საფეხურებზე უნდა მიუთითებდეს საკავშირებელ ერთეულთა (ვიდრე, ვითარ, რა, რომელ) სემანტიკური და ფუნქციური დაუზუსტებლობა.

კ. დონდუა აღნიშნავს, რომ მაკავშირებელი სიტყვების მიმართებით ნაცვალსახელებად და ზმნიზედებად „გარდაქმნას თავისი ისტორია აქვს. ასეთი ევოლუცია მიმართებითი სიტყვების კითხვით, resp. ჩვენებით ნაცვალსახელთაგან მკვეთრ გამოყოფასა და მათ მიერ საკუთარი სინტაქსური ფუნქციების გამომუშავებას გულისხმობს. უკვე დიდი ხანია, ცნობილია ის ფაქტი, რომ მიმართებითი სიტყვები კითხვითი (resp.ჩვენებითი) ნაცვალსახელებისაგან წარმოიშვა“[256]. **კ. დონდუა** დასძენს, რომ „ქართული სამწერლობო ენის პირველ საფეხურზე ჯერ კიდევ არ იყო ფორმალური გარჩევა მიმართებითს და

---

[250] მისივე, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, გვ. 335.
[251] მისივე, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, გვ. 201-202.
[252] მისივე, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მისამართ სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში, გვ. 336.
[253] მისივე, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, გვ. 203.
[254] იქვე. გვ. 203.
[255] იქვე. გვ. 205.
[256] იქვე. გვ. 201-202.

კითხვითს ნაცვალსახელებს შორის“[257]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი არ მიიჩნევს, რომ დამოკიდებული წინადადება კითხვითისაგან მომდინარეობს.

შ. ძიძიგური რთული ქვეწყობილი წინადადების წარმოქმნისა და განვითარების საკითხს განიხილავს კავშირის კატეგორიასთან დაკავშირებით.

ქართული ენის რთული ქვეწყობილი წინადადების კონსრუქცია, შ. ძიძიგურის აზრით, ძირითადად აღმოცენებულია თანწყობის კონსტრუქციების საფუძველზე. იგი ერთ ადრინდელ გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ „პირობითი დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია გამომუშავებულია კითხვითი სიტყვის შემცველი წინადადებისაგან, რომელიც თავდაპირველად დამოუკიდებელ კითხვითს წინადადებას წარმოადგენდა, ხოლო დროთა ვითარებაში ეს კითხვითი სიტყვა კარგავს „მორფოლოგიურ თავისთავადობას“, სინტაქსური კავშირი ხდება და ამით ქვეწყობის კონსტრუქცია მუშავდება“[258].

შ. ძიძიგურის ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული არა მარტო პირობითის, არამედ სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათა წარმოქმნის თაობაზე მონოგრაფიაში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“ (1959, გვ. 356 -364). ასე, მაგალითად, მიმართებითი ნაცვალსახელის შემცველ კონსტრუქციებთან დაკავშირებით იგი წერს: „ენის განვითარების იმ უძველეს საფეხურზე,როდესაც ჰიპოტაქსური“ შეხამებანი ჯერ კიდევ არ არსებობდა, მიმართებითი ნაცვალსახელიანი კონსტრუქციის დასაბამ კონსტრუქციად უნდა მივიჩნიოთ პარატაქსული შეწყობა ორი წინადადებისა, რომელთაგანაც ერთი კითხვითს წინადადებას წარმოდგენდა. კითხვითს წინადადებაში მოცემული იყო კითხვითი ნაცვალსახელი, მისამართი სიტყვა და შემასმენელი, როგორც აუცილებელი ელემენტები; კითხვითი ნაცვალსახელი (რომელი...) ივარაუდება, როგორც მისამართი სიტყვის (სახელის) ატრიბუტი“[259].

რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა **გ. როგავამ**, რომლის აზრითაც, ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება ქართულში კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს. **გ. როგავა**, წერს: გასული საუკუნის ცნობილი სლავისტების მიერ გარკვეულია, რომ კერძოდ რუსულ ენაში, დამოკიდებული წინადადება წარმოშობილია კითხვითი წინადადების საფუძველზე. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი ერთი კომპონენტის – კითხვითი წინადადების (resp. დამოკიდებული წინადადების) კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნისართები გადაიქცნენ დამოკიდებული წინადადების კავშირებად, მიმართებით ნაცვალსახელად და მიმართებით ზმნისართად.

...ქართული ჰიპოტაქსიც ასეთივე აგებულებისაა,დამოკიდებული წინადადება აქაც კითხვითი წინადადებისაგან მომდინარეობს. ქვეწყობილი წინადადება სტრუქტურულად წარმოადგენს კითხვითი წინადადებისა და მისი საპასუხო წინადადების შეერთების შედეგს. ოღონდ, ამ შეერთების საფუძველზე კითხვითს წინადადებას (resp. დამოკიდებულ წინადადებას) უკვე დაკარგული აქვს კითხვითი შინაარსი“[260].

---

[257] იქვე, გვ. 202.

[258] **შ. ძიძიგური**, პირობითი და დამატებითი დამოკიდებული წინადადების ჩამოყალიბების საკითხისათვის ძველსა და საშუალ ქართულში: საქ. სსრ. მეცნ, აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების VI სამეცნიერო სესია. 1942 წლის 24-25, აპრილი მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1942, გვ. 13.

[259] მისივე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, გვ. 365.

[260] **გ. როგავა**,ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები; ტ. VIII, 1948, გვ. 356.

გ. როგავა აღნიშნავს, რომ ქართულში ექვსი ძირითადი კითხვითი სიტყვაა: ვინ, რა, რომელი, სად, ოდეს, თუ. ეს სიტყვები, მეტწილად ნაწილაკდართული, გამოყენებულია რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირებად[261].

„...ყოველი სახის დამოკიდებული წინადადება ქართულში, წარმოშობით, წარმოადგენს კითხვით წინადადებას. შემაერთებელ კავშირებად ასეთ წინადადებებს მხოლოდ კითხვითი წინადადების აღმნიშვნელი საშუალებანი აქვს გამოყენებული. განსაკუთრებით კი კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნისართები, რომელთაც შემდეგში დართვიათ სათანადო ნაწილაკები – ესე, ეგე, იგი, ცა“[262].

ფ. ერთელიშვილი ეჭვს ქვეშ აყენებს დამოკიდებული წინადადების კითხვითი წინადადებისაგან წარმომავლობას და გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს[263].

ფ. ერთელიშვილი კითხვით სიტყვებთან დაკავშირებით წერს: „...ძველსავე ქართულში შეიმჩნევა, რომ **ვინ, რა** ნაცვალსახელებისათვის კითხვითობის გამოხატვა არ წარმოადგენს მათ ერთადერთ ფუნქციას. **ვინ, რა** ნაცვალსახელები იხმარება აგრეთვე მნიშვნელობით „ვინმე“, „რამე“[264], ასეთივე ორგვარი მნიშვნელობა უჩანს **ოდეს** და **სადა** ზმნიზედებს. „...კითხვითობის პარალელურად ეს ნაცვალსახელები და ზმნიზედები განუსაზღვრელობითი შინაარსის შემცველი ნაცვალსახელები იყვნენ. მიმართებითად კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები კი არ არის გამოყენებული, არამედ ნაცვალსახელები და ზმნიზედები, რომლებიც ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა კითხვითი და მეორე შემთხვევაში განუსაზღვრელობითი შინაარსისანი ყოფილიყვნენ[265]. ჭირს **თუ**-ს სპეციფიკურ კითხვით სიტყვად მიჩნევა[266].

დამოკიდებული წინადადების გენეზისი ავტორს სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი. მიმართებით ნაცვალსახელებში, აღნიშნავს ფ. ერთელიშვილი, ორი ფუნქციაა შეთავსებული: იგი განსაზღვრავს მისამართ სიტყვას მითითების საშუალებით და თანაც მისი ნაცვალია დამოკიდებულ წინადადებაში[267]. ახალი თვისებრიობის მქონე ნაცვალსახელის (ე.ი. მიმართებითი ნაცვალსახელის) გაჩენას, **ფ. ერთელიშვილის** აზრით, საფუძვლად უნდა ჰქონდეს გამეორებათა მოშლის ტენდენცია[268]. ავტორი აღნიშნავს, რომ არც **თუ** და **ოდეს** კავშირიანი დამოკიდებული წინადადება მომდინარეობს კითხვითი წინადადებისაგან[269].

ასეთია მოკლედ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისის თაობაზე.

ირკვევა, რომ ენის განვითარების ძველ საფეხურზე მარტივი წინადადებები ერთმანეთს უკავშირდებოდა ლოგიკური მიმართების საფუძველზე ასიდენტურად. მათ ერთ ენობრივ მთლიანობად შემკვრელ საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. ასეთი შეერთება გვხვდება ენის განვითარების შემდგომ საფეხურებზედაც. იგი არც ახალი ქართულისათვის არის უცხო.

ქართული რთული ქვეწყობილი წინადადების სიდენტური ანუ კავშირიანი კონსტრუქცია ჩამოყალიბდა უფრო გვიან, ენის ისტორიის შემდგომ საფეხურებზე. ქართული სალიტერატურო ენის უძველეს საფეხურებზე იგი უკვე ჩამოყალიბებულია. მისი წარმოქმნის დასაბამი მწერლობამდელ ქართულშია საგულვებელი.

---

[261] იქვე, გვ. 367.
[262] იქვე, გვ. 366.
[263] **ფ. ერთელიშვილი**, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, 1, ჰიპოტაქსის საკითხები, გვ. 195-214.
[264] იქვე, გვ. 196.
[265] იქვე, გვ. 210.
[266] იქვე, გვ. 203.
[267] იქვე, გვ. 206.
[268] იქვე, გვ. 207-208.
[269] იქვე, გვ. 213.

საკავშირებელი ერთეულები ძირითადად ზმნიზედურ-ნაცვალსახელური წარმომავლობისაა. სიტყვები, რომელთაგანაც შემდგომ საკავშირებელი ერთეულები წარმოიქმნა, თავდაპირველად დამოუკიდებელი მარტივი წინადადების წევრები იყო. ბევრი ფაქტი უჭერს მხარს იმას, რომ ისინი კითხვითი სიტყვები იყო, ხოლო მათი შემცველი წინადადება – კითხვითი. მიმართებითობის გამოხატვა მათ განუვითარდათ, თუმცა თავდაპირველად მიმართებითი სიტყვები (resp. მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები) გარეგნულად იმეორებენ შესაბამის კითხვითს სიტყვებს, ე.ი. ფორმობრივ ისინი ერთმანეთისაგან არ იყო გარჩეული. კითხვითი სიტყვებისაგან მიმართებითი სიტყვები გარეგნულად გარჩეულ იქნენ ენის განვითარების შემდგომ საფეხურებზე მათზე ჩვენებითი ნაცვალსახელისა (ნაწევრის) და ნაწილაკის დართვით, რაც რთული ქვეწყობილი წინადადების მეტი სიმძლავრით განმტკიცების მაჩვენებელია. ამასთანავე, დამოკიდებული წინადადების ყველა სახე ერთი ხნოვანებისა არ არის: ზოგი მათგანი უფრო ადრე ჩამოყალიბდა, ზოგიც – უფრო გვიან. მათი წარმომავლობაც არ უნდა იყოს ერთგვარი.

ირკვევა საერთო კანონზომიერებაც: ქართული რთული ქვეწყობილი წინადადების გენეზისს ბევრი რამ აქვს საერთო სხვა ენების ამავე ტიპის წინადადების გენეზისთან.

§171. დამოკიდებული წინადადების ადგილი

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ სამგვარია: დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას, ანდა მთავარ წინადადებაშია მოქცეული. მაგალითად.:

ა) დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს: **როცა დავითი შინ მივიდა,** საღამო ხანი იყო (ჭავ., 366); **გიორგი რომ შინ მივიდა,** ყველაფერი უამბო დედას. (ჭავ., 436).

ბ) დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს: მზე გადახრილი იყო, **როდესაც ავიშალენით** (ბარნ., 1, 21); ისეთი ბნელი ღამე იყო, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო.** (წერ., 147).

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარშია: ის ქუჩა, **სადაც არსენა იყო ჩასაფრებული,** სიგრძით ორასი ნაბიჯიც ძლივს იქნებოდა (ჯავ., 4, 451); კოხტა ლამაზი ქუჩი, **რომელიც ცირცელის ფესვებთან იდგა,** წერაქვის წვერმა მოგლიჯა და უფსკრულში გადაუძახა. (რაზ., 137).

დამოკიდებული წინადადების ნაწილები ზოგჯერ გათიშულია ერთმანეთისაგან. მაგ.: **უკეთესი მასპინძლობა,** უნდა ვთქვათ, **რომ არ იქნება** (წერ.); **ამას,** იცით, **ჩვენი დათვი როდის ამბობდა**? (ვაჟა); **შენ,** ვგონებ, **რომ ღობემძვრალასაც ვერ გაუმკლავდები** (ვაჟა); **ავი და კარგი გარჩევით,** ვხედავ, **რომ ახლო მიწყვია.** (გურ.).

ხშირად „რომ“ არ არის ნახმარი და წინადადების ნაწილების გამთიშავი ზმნა-შემასმენელი ჩვეულებრივ ჩართულად აღიქმება, მაგ.: სემინარიაში, **მითხრეს,** გლეხკაცის შვილს არ მიიღებენ სახელმწიფო ხარჯზეო (ჭავ.); აგარაკზე ფიჭვნაძვნარში, **მახსოვს,** ბევრნი ვსეირნობდით (გრიგ.); მხცოვან პოეტს, **ეტყობა,** შეებრალა სალამურა. (ა. სულაკ.).

დამოკიდებული წინადადების ადგილი სქემებით ასე შეიძლე-

ბა გამოიხატოს[270].



რთული წინადადების ნაწილების წყობას, მათს რიგს, როგორც ვიცით (§160, 5), დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნაწილებს შორის ურთიერთმიმართების დასამყარებლად. ეს ითქმის, კერძოდ, რთული ქვეწყობილი წინადადების შემადგენლობაში შემავალ წინადადებათა შესახებაც. შეინიშნება, რომ მთავრისა და დამოკიდებული წინადადებისათვის ადგილების შეცვლა ხშირად არ იწვევს მათ შორის დამყარებული მიმართების შეცვლასა თუ დარღვევას. დასახელებული შემთხვევებიდან სამივეა შესაძლებელი, ოღონდ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს სიტყვათა წყობის შეცვლა, მათი გადასმა მთავარსა თუ დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად: მამალს, **დახოცილი ფრინველები რომ დაინახა**, ცახცახი დააწყებინა. (ვაჟა, 6, 209). აქ დამოკიდებული წინადადება მთავარშია, მაგრამ შეიძლება მათ ადგილები შევუნაცვლოთ: **დახოცილი ფრინველები რომ დაინახა**, მამალს ცახცახი დააწყებინა. ან: მამალს ცახცახი დააწყებინა, **დახოცილი ფრინველები რომ დაინახა**. თუ მთავარი წინადადება ერთი სიტყვით ან სიტყვათა ისეთი ნაერთით არის გადმოცემული, რომლის გაკვეთაც არ შეიძლება, დამოკიდებული წინადადება შეიძლება უსწრებდეს მთავარს, ან მოსდევდეს მას. მაგალითად: უკვე ბნელოდა, **როცა აკაკიმ თვალი გაახილა**. (გვეტ., 360). აქ დამოკიდებული მოსდევს მთავარს, მაგრამ შეიძლება მთავრის წინაც: **როცა აკაკიმ თვალი გაახილა**, უკვე ბნელოდა.

ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: ხშირი ბურუსი, **რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო და კუნთ-კუნთად იდო დედამიწაზე**, ძალზე აბნელებდა იქაურობას. (ყაზ., 1, 344). დამოკიდებული წინადადება, რომელიც აქ მთავარშია, შეიძლება გადავსვათ მთავრის შემდეგაც: იქაურობას ძალზე აბნელებდა ხშირი ბურუსი, **რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო და კუნთ–კუნთად იდო დედამიწაზედ**. დამოკიდებული წინადადება რომ მთავრის წინ გადავსვათ, კავშირი ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის გაწყდება და მთელი წინადადება უაზრო გახდება.

მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა წყობა ხშირად მყა-

[270] ოთხკუთხედი მთავარ წინადადებას აღნიშნავს, წრე – დამოკიდებულს.

რია, ე.ი. დამოკიდებული წინადადებისათვის ადგილის შეცვლა შეუძლებელია. ამისათვის მნიშვნელობა აქვს როგორც დამოკიდებული წინადადების ტიპს, მის სინტაქსურ ფუნქციას, ისე მის მთავართან შეერთების საშუალებასაც. მაგალითად, დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება რთული კავშირებით „იმიტომ რომ", „ასე რომ", „ისე რომ", ყოველთვის მთავარი წინადადების შემდეგაა: ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, **იმიტომ რომ** შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის (ჭავ., 250); გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, **ასე რომ** პირისახე კესოსაკვნა ჰქონდა. (ჭავ., 460).

მყარია ჩვეულებრივ უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ნაწილების წყობა: დამოკიდებული წინადადება თავშია ან ბოლოში. ასე, მაგალითად, თუ უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებული წინადადება დროზე მიუთითებს, ის თავშია, თუ მიზეზზე – ბოლოში. მაგალითად: **წყალში ჩავაგდე** – წყლად გადაიქცა, **ცეცხლში ჩავაგდე** – ხმად გადაიქცა (გამოცანა: მარილი). იგულისხმება: **როცა წყალში ჩავაგდე**, წყლად გადაიქცა, **როცა ცეცხლში ჩავაგდე**, ხმად გადაიქცა. აქ დამოკიდებული წინადადება დროზე მიუთითებს და მისი ადგილი მთავარი წინადადების წინაა. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა: **მტერმა გული მოსტაცა იმას**. (ბარნ., 1, 127). აქ იგულისხმება: ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა, რადგანაც (ან: იმიტომ რომ) მტერმა გული მოსტაცა იმას. დამოკიდებული წინადადება მიზეზზე მიუთითებს, მისი ადგილი ბოლოშია.

ქვეწყობილი წინადადების ნაწილებისათვის ადგილების შეცვლა, როცა ეს შესაძლებელია, ხშირად სტრუქტურული ხასიათის ცვლილებას იწვევს. მაგალითად: **თუმცა ღამე იყო, მაგრამ** ქუჩაში ისევ ირეოდა ხალხი. (ბარნ., 1, 177). დამოკიდებული წინადადება რომ მთავრის შემდეგ გადავსვათ, მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ" ამოვარდება: ქუჩაში ისევ ირეოდა ხალხი, **თუმცა ღამე იყო**. სტრუქტურული ხასიათის ცვლილება ზოგჯერ უფრო დიდია: იცვლება სიტყვათა წყობა ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში, რამდენადმე ამ ნაწილების მიმართება და მთლიანად რთული წინადადების გამომსახველობითი ძალაც. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა დამოკიდებული წინადადების პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ არ არის მყარი და მას შეიძლება ადგილი შევუნაცვლოთ, ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ყველა შესაძლო წყობა ერთნაირი ღირებულებისა არა არის სინტაქსურად და სტილისტიკურად: ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ნაწილების განლაგების რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან უპირატესობა ერთ-ერთს ეძლევა.

§172. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან ან კონკრეტული შინაარსით ავსებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას. მაგ.: **ვინც ძმა არ გაიტანოს**, იყოს წყეული უკუნითი უკუნისამდე. (ჯავ., 4, 356).

მთავარი წინადადების შემასმენელს (იყოს წყეული) ქვემდებარე აკლია. ნაკლული ქვემდებარის როლს აქ დამოკიდებული წინადადება ასრულებს. კითხვა: ვინ იყოს წყეული? პასუხი: ვინც ძმა არ გაიტანოს. ახლა ვნახოთ ასეთი წინადადება: წმინდაა იგი, **ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება**! (ჭავ., 129). აქ მთავარი წინადადების შემასმენელთან ქვემდებარე ნაცვალსახელით (იგი) არის გადმოცემული, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის და განმარტავს დამოკიდებული წინადადება. კითხვა: ვინ არის წმინდა? – იგი. „იგი", მაგრამ კონკრეტულად ვინ? – **ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება**.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს ქვემდებარის კითხვებზე: ვინ? ვის? რა? რამ? რას? ამ კითხვებზე (გარდა „რამ" კითხვისა) მოგვიგებს დამატებითი დამოკიდებული წინადადებაც. კითხვების საშუალებით რომ ამოვიცნოთ დამოკიდებული წინადადების სახე, უნდა დავადგინოთ კითხვითი სიტყვის სინტაქსური ფუნქცია: რა წევრიც არის კითხვითი სიტყვა, მისი შესაბამისი იქნება დამოკიდებული წინადადება. მაგალითად, დასახელებული მაგალითების დამოკიდებულ წინადადებათა მიმართ დასმული კითხვებია: **ვინ** იყოს წყეული? **ვინ** არის წმინდა? „**ვინ**" ქვემდებარეა, ასე რომ, დამოკიდებული წინადადება რომ ორივე მაგალითში ქვემდებარულია, ეს კითხვის დასმითაც დადასტურდა.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება შესაძლებელია როგორც ერთპირიან, ისე ორ- და სამპირიან ზმნებთანაც, მაგრამ არა ყოველგვარ პირიან ფორმასთან. ნაცვალსახელი, რომლის კონკრეტულ შინაარსსაც დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს, შეიძლება იდგეს ქვემდებარის ერთ-ერთ ბრუნვაში (ამა თუ იმ რიცხვში). ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების კორელატებად გამოყენებულია ჩვენებითი და განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: მოხდა **ის, რაც** ფშავში ხშირად ხდება (ვაჟა, 6, 423); **ვინც** ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს, **ის** მკვდრად არ ჩაითვლება (გ. შატბ., 444); **ვისაც** ენა აქვს, შენ **ყველა** გაქებს (ჭავ., 151); **რაც მოხდა, ყველაფერი** სიზმარივით ეჩვენებოდა. (ბარნ., 1, 183).

ქვემდებარულია დამოკიდებული წინადადება მაშინაც, როცა განსაზღვრებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელები ერთადაა წარ-

მოდგენილი მთავარ წინადადებაში: განვითარებულს ადამიანს ეზიზღება **ყველა ის**, ვინც შიშსა ჰბადებს, ვინც თავის ძალით სხვას იმორჩილებს, სხვის ნებას თავის ნებაზე ათამაშებს (ვაჟა, 6, 366); ამ სამარეებში მარხია **ყოველივე ის**, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. (ჭავ., 419).

დამოკიდებული წინადადების მისათითებელი ნაცვალსახელი შეიძლება აღვადგინოთ, როცა არ არის ის მთავარში, და ზოგჯერ გამოვტოვოთ კიდეც. მაგ., წინადადება „შემცდარია, ვინც გულს იტეხს“ (წერ.) შეიძლება ასეც ვიხმაროთ: შემცდარია ის, ვინც გულს იტეხს. ამით აიხსნება, რომ ერთსა და იმავე შემასმენელთან მისათითებელი ნაცვალსახელი ხან არის და ხან არა. მაგალითად: რასაც არ მოელოდნენ, **ის** მოხდა (ვაჟა, 6, 9), მაგრამ: რაც მოხდა, მოხდა! (ჯავ., 2, 175).

თუ მთავარში ქვემდებარე განსაზღვრებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მისი გამოტოვება არ შეიძლება: რაც აქამდის ვთქვი, **ყველაფერი** გამართლდა. (ჯავ., 3, 344). „ყველაფერი“ რომ გამოვტოვოთ, მთავარი წინადადების შემასმენელთან შეიძლება ვივარაუდოთ არა ეს ნაცვალსახელი, არამედ ჩვენებითი „ის“. ეს ორი ნაცვალსახელი კი მნიშვნელობით ერთი და იგივე არ არის. ასევე, როცა მთავარში არ არის მისათითებელი ნაცვალსახელი, აქ შეიძლება აღვადგინოთ ჩვენებითი ნაცვალსახელი და არა განსაზღვრებითი.

მთავარი წინადადება, რომელშიც არ არის ქვემდებარე ან ასეთად ჩვენებითი ნაცვალსახელია, უახლოვდება ქვემდებარეგაუჩინარებულ წინადადებას.

ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: ა) მაქვემდებარებელი კავშირები: **რომ**, თუ; ბ) მიმართებითი ნაცვალსახელები: **ვინც, რაც, რომელიც** (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით); გ) მიმართებითი ზმნიზედები: **სადაც, როცა**... ამათგან გავრცელებულია „რომ“, „ვინც“ და „რაც“, ხოლო დანარჩენი სიტყვები შედარებით იშვიათად გვხვდება.

„ვინც“ მაშინ იხმარება, როცა მთავარი წინადადების ქვემდებარედ ადამიანი იგულისხმება, ხოლო „რაც“ მაშინ, როცა ასეთად სხვა რამ არის ნაგულისხმევი. „სადაც“ ყურადღებას ადგილზე ამახვილებს, „როცა“ – დროზე და ა.შ. მაგ.: გვადისათვის ცხადი იყო, **რომ ამაღამინდელმა შეხვედრამ სამუდამოდ ჩატეხა ხიდი არჩილ ფორიასა და მას შორის** (ქიაჩ., 3, 250); წინა ფანჯრიდან მოჩანდა, **თუ როგორ უხვად ცვიოდა თოვლის ფანტელები** (გვეტ., 91); მკვდრად იგი თქმულა, **ვისაც აქ სახელი არ დარჩენია** (ჭავ.); **ვინც ეგრე იქცევა**, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს (ყაზ., 2, 427). მოხდა **ის, რასაც იქ არავინ მოელოდა** (ქიაჩ., 3, 101); ცხელს ცრემლს **ისინი** ღვრიდნენ, **რომელთაც მკვდარი დათვი არ დაინდეს და**

იმის ლეშს გიახლნენ (ვაჟა, 6, 260); **თუკი რამ კარგი გადამრჩენია, ისიც** სამშობლოს დროშად ანთია (გრიშ.); სირცხვილი **ის** არის, **როცა შენ შენდათავად არ ვარგიხარ** და **არ ცდილობ სწავლას** (წერ., 51); **სადაც კი ღობეებში რამ კაჭკაჭები მსხდარიყვნენ**, აიშალნენ და კუდამოძუებულებმა ვენახებს შეაფარეს თავი. (რაზ., 293).

ქვემდებარულად უნდა იქნეს გაგებული დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარში რიცხვითი სახელით გამოხატული ქვემდებარის მნიშვნელობას აზუსტებს (უახლოვდება განსაზღვრებითს); იმათ **ორი, რომლებიც უნდა გამოსცლოდენ ...გვერდზე უდგნენ** (ვაჟა, 5, 147); **ერთი, რომელსაც ჩერქეზული ქუდი ეხურა**, იქნებოდა ჩვიდმეტ-თექვსმეტი წლისა... (ჭავ., 485).

მთავრისა და დამოკიდებულის შემასმენლები ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნით ან ერთი ძირისაგან ნაწარმოები ფორმებით გადმოიცემა. ამ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება შეერთებულია მთავართან მიმართებითი ნაცვალსახელით „რაც“. მაგ.: **რაც მოხდა, მოხდა!** (ბარნ., 2, 65); **მე რაც მომივა**, მომივა (გვეტ., 319). **რაც მართალია**, მართალია! (ჯავ., 3, 324); **რაც მოსახდენია**, მოხდეს! (ჯავ.).

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მოსდევს მთავარს ან უსწრებს მას. მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში შეიძლება იყოს და შეიძლება არა (ორივე შემთხვევაში). დამოკიდებული წინადადება იშვიათად მთავარშია. ამ შემთხვევაში ყოველთვის წარმოდგენილია მისათითებელი ნაცვალსახელი, რომლითაც იწყება რთული წინადადება, ხოლო მთავარი წინადადების დანარჩენი ნაწილი დამოკიდებულის შემდეგ არის მოთავსებული: **ის, ოთხ ბოძზე რომ სპილენძის ხუფივითა დგას**, საზარე იყო (ბარნ., 1, 17); **ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა**, არც სიხარულს ჰგვანდა და არც ნაღველსა (ჭავ., 294); **ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს**, კურდღელს ემუქრება. (ვაჟა, 5, 58).

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი არ არის, მაგრამ დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულად უნდა იქნეს გაგებული. აქ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა:

ა) მთავარ წინადადებაში არ არის შემასმენელი, მაგრამ ის შეიძლება ვივარაუდოთ კონტექსტისა თუ სხვა ვითარების მიხედვით: **მტერს, რომ მე წუხელ ვიტანჯე** (ვაჟა, 4, 53); **ის** შენ მტერს, **რაც იქ ჩვენ დაგვხვდა** (რაზ., 44); – ეგ რა მოგსვლია? – **ის**, ჩემო კარგო, **რაც თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის.** (ჭავ., 450).

ბ) მთავარში წარმოდგენილი ზედსართავი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია: **კარგი, რომ იმათი მამა მომეშველა.** (ვაჟა, 5, 209); „კარგი“ ხშირად გაძლიერებულია ნაწილაკით „კიდევ“: კიდევ კარგი, **რომ ამ სიარულმა ტყუილად არ ჩაგვიარა...** (ვაჟა, 5, 169).

გ) მთავარი წინადადება გადმოცემულია შორისდებულით, რომელიც წინადადების ბადალია და მასთან დამოკიდებული წინადადება შეერთებულია მაქვემდებარებელი კავშირით: **აფსუს, რომ არ განვაგრძე სწავლა**! (ბარნ., 3, 434); **ვაი,** რა ცარიელია ეს ქვეყანა უადამიანოდ! (ჭავ.); **ყოჩაღ, რომ არ შემარცხვინე**! (ვაჟა); **ვაი, რომ ყველა ეს მაგონდება მხოლოდ გაკვრით**. (ბარნ., 2, 266).

შორისდებული შეიძლება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად იქცეს: **აფსუსია,** რომ წაიღოს, – შეახალისა ეკამ. (ბარნ., 1, 146).

დასახელებულ შემთხვევებში, როგორც წესი, დამოკიდებული წინადადება ბოლოშია.

§173. დამატებითი დამოკიდებული წინადადება

დამატებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასრულებს დამატების როლს მთავარი წინადადების რომელიმე წევრთან (ჩვეულებრივ შემასმენელთან) ან ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გადმოცემული დამატების მნიშვნელობას.

დამატება, როგორც ვიცით, თავისი ფორმითა და შინაარსით სხვადასხვა სახისაა. ამის შესაბამისად დამატებითი დამოკიდებული წინადადებაც სხვადასხვაგვარია: შეიცავს ერთ-ერთი დამატების გაგებას: პირდაპირისას, ირიბისას, ან უბრალო დამატებისას.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება შესაბამისი დამატების კითხვებზე მოგვიგებს. მთავარ წინადადებასთან მას იგივე მაქვემდებარებელი კავშირები და წევრ-კავშირები აერთებენ, რომლებიც ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას. საერთოა მთავარში მისათითებელი ნაცვალსახელებიც.

1. **პირდაპირდამატებითი** დამოკიდებული წინადადება ასრულებს პირდაპირი დამატების როლს მთავარი წინადადების შემასმენელთან, ან ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული პირდაპირი დამატების მნიშვნელობას. ამ ტიპის დამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი გარდამავალი ზმნით (ორპირიანით თუ სამპირიანით) არის გადმოცემული. მეტწილად მთავარი წინადადების შემდეგაა.

პირდაპირი დამატების ბრუნვებია მიცემითი და სახელობითი. ამიტომ მისათითებელი ჩვენებითი თუ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მთავარში, აგრეთვე კითხვითი „ვინ“ და „რა“ წარმოდგენილი იქნება მიცემითის ფორმით (როცა მთავრის ზმნა პირველ სერიაშია) ან სახელობითისა (როცა მთავრის ზმნა მეორე ან მესამე სერიის რომელიმე მწკრივის ფორმაა): ბარამმა უეცრად დაინახა, **რომ ნეშოებს შორის იას ამოეყო თავი**. (დად., 169). მთავარი წინადადების შემასმენელი ორპირიანი გარდამავალი ზმნით არის გადმო-

ცემული, რომელსაც აკლია პირდაპირი დამატება. ნაკლული პირდაპირი დამატების მაგივრობას აქ დამოკიდებული წინადადება ასრულებს. კითხვა: რა დაინახა ბარამმა? პასუხი: რომ ნეშოებს შორის იას ამოეყო თავი. „ნუ მომაგონებ **იმას, რაც არ მინდა მოვიგონო**.“ (ვაჟა, 5, 309): მთავარი წინადადების შემასმენლად აქ სამპირიანი გარდამავალი ზმნაა. მასთან ნაცვალსახელით გადმოცემული პირდაპირი დამატება მიცემითში დგას. დამოკიდებული წინადადება ხსნის ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობას. კითხვა: **რას ნუ მომაგონებ? – იმას**. „იმას“, მაგრამ სახელდობრ რას? ამის პასუხს დამოკიდებული წინადადება იძლევა: რაც არ მინდა მოვიგონო. „იმ ღამეს გავიგე **ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია**“. (ვაჟა, 6, 4): მთავარი წინადადების ზმნა აქ მეორე სერიის (წყვეტილის) ფორმაა და ამიტომ ნაცვალსახელით გადმოცემული პირდაპირი დამატება სახელობითშია. კითხვა: რა გავიგე იმ ღამეს? – ის. „ის“, მაგრამ სახელდობრ რა? – რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია.

მაშასადამე, ორ უკანასკნელ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გადმოცემული პირდაპირი დამატების მნიშვნელობას. ამასთანავე, კითხვითი სიტყვა (რას? რა?) პირდაპირი დამატებაა. მაშასადამე, როგორც მისათითებელი სიტყვის, ისე კითხვის მიხედვითაც დამოკიდებული წინადადება ორივე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში პირდაპირდამატებითია.

პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში იშვიათად გვხვდება. ასეთი ნაცვალსახელით, თუ ის არ არის განსაზღვრებითი (ყველა, ყველაფერი, ყოველივე...), ჩვეულებრივ შეიძლება ამოვიღოთ კიდეც, ან აღვადგინოთ ზმნის პირდაპირობიექტური პირის მიხედვით (როცა ის არ არის მთავარ წინადადებაში). ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ბოლოშია ან თავში (უფრო იშვიათად). როცა თავშია, საკავშირებლად ჩვეულებრივ „ვინც“ და „რაც“ ნაცვალსახელებია გამოყენებული. პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება მთავარშიც მოექცეს, მაგრამ ეს პოზიცია მისთვის არ არის დამახასიათებელი. ირმამ ვერ გაარკვია, **თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა** (გვეტ., 204); გამიგონია, **რომ ამირანი გაბედვისათვის მისცეს წამებას** (გ. შატბ.); **ტასიას მოტყუილება რომ ადვილი საქმე იყო**, ეს კარგად იცოდა გოჩამ (ქიაჩ., 3, 161); სპირიდონმა ყოველივე მოსპო, რაც ამირანს მოაგონებდა, გარდა ავეჯეულობისა (ჯავ., 2, 30); [ბაბუცამ] მეორე დღესვე ყველაფერი შეიტყო, **რაც კი იმის კეთილს სულსა და გულსა სწყუროდა** (ლომ., 473); ყინულის პაპამ მშვენივრად იცის, **რანიც არიან პატარა ბიჭები** (რ. ინან.); **რაც სიძულვილმა გააცამტვერა**, მას სიყვარული აღადგენს ისევ (გრიშ.); ასე დასაჯა ბუნებამ ის, **ვინც**

ამ ბუნებას ყველაზე დიდი სილამაზე წაართვა (კ. ლორთქ.); **ვინც ჩამოგვრჩა, დაგვიხოცეს** (ბარნ., 1, 127); რისთვის ივიწყებთ **იმათ, რომელთაც მამულის სახელს თავი შესწირეს.** (წერ., 2, 49);

2. **ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება** ასრულებს ირიბი დამატების როლს მთავრის შემასმენელთან, ან ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ნაცვალსახელით გადმოცემული ირიბი დამატების მნიშვნელობას. ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი ორპირიანი გარდაუვალი ან სამპირიანი გარდამავალი ზმნით არის გადმოცემული (გარდაუვალთან სამივე სერიაში, გარდამავალთან – პირველსა და მეორეში).

ირიბი დამატების ბრუნვა, როგორც ვიცით, მუდამ მიცემითია. ამიტომ მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში და კითხვითი ნაცვალსახელებიც ყოველთვის მიცემითში დგას. მაგალითად: **მას** დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, **მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!** (ჭავ., 43): დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული ირიბი დამატების მნიშვნელობას. კითხვა: ვის შერგებია დედის ძუძუ შხამად? – მას. – ვის მას? – მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია. ქალი ვერ მიმხვდარიყო, **თუ რას ნიშნავდა იმისი საუბარი.** (ყაზ.); მთავარში არ არის მისათითებელი ნაცვალსახელი და დამოკიდებული წინადადება თვითონ ასრულებს ირიბი დამატების როლს მთავრის შემასმენელთან. კითხვა: **რას** ვერ მიმხვდარიყო ქალი? პასუხი: თუ რას ნიშნავდა იმისი საუბარი.

ირიბდამატებითი დამოკიდებული წინადადება, ისევე, როგორც პირდაპირდამატებითი, ჩვეულებრივ ბოლოშია ან თავში. მისათითებელი ნაცვალსახელი აქაც შეიძლება იყოს მთავარ წინადადებაში და შეიძლება არა. განსხვავება მათ შორის არ არის მაქვემდებარებელი კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების გამოყენების თვალსაზრისითაც. მაგ.: მოზრდილი შიუნა მიხვდა, **რომ მისი პატარა მეგობარი მეტად გულუბრყვილო იყო** (ჯაფ., 164); **გაჭირვებული მტერიც რომ შეჰფარებოდათ,** იმასაც არ მოაკლებდნენ ზრუნვას (ბარნ., 1, 353); ჩხიკვი სულაც არ მოელოდა, **თუ იმისი სტუმრობა ასეთ თავზარს დასცემდა ბედიანიძის ეზოში გაშლილ ქათმებს** (რაზ., 217); **ვისაც არ შეუძლიან მუშაობა,** არც გასამჯელო ეკუთვნის (ბარნ., 3, 181); მოვესწრები, **რაც მინდოდა ზამთრისაგან დაჩაგრულსა** (წერ.); ვემუქრებოდი იმათ, **რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ უკუღმართობას...** (ლომ., 140); რა შეედრება, **როცა სვანეთში მატარებელი ატორტმანდება.** (პ. იაშვ., „პოეზიის ინჟინრებს“).

ცალკე ჯგუფს ქმნის ისეთი შემთხვევები, როცა მთავარი წინადადება უშემასმენლოა (ის უნდა ვიგულისხმოთ). დამოკიდებული

წინადადება, როგორც წესი, ბოლოშია და მთავარ წინადადებასთან მიმართებითი ნაცვალსახელით არის შეერთებული. მთავარი წინადადება სტრუქტურულად განსაზღვრულია: შედგება ირიბი დამატებისა და ქვემდებარისაგან. პირველი მისათითებელი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მეორე კი სახელით ან გაარსებითებული ნატვრითი ნაწილაკითა თუ შორისდებულით: სიცოცხლე და გახარება **მას**, ვინც ამ განსაცდელის დროს გულს სიხარული და იმედი მოგვფინა! (ქიაჩ., 3, 425); ნეტავ **იმასა**, ვინაცა პირნათლად სოფლად იარა (ვაჟა, 4, 132); ნეტავ **იმასა**, ვინც ღია გულით კაცსა კაცური უთხრა სიმღერა (ლ. ასათ.); **ვაი იმასა**, ვინც მურიას არ მოერიდება (რაზ., 12); **ვაი იმას**, ვისაც აღარ ახსოვს დედა-მშობელი. (გრიშ.).

მთავარში ზოგჯერ რომელიმე არამთავარი წევრიც არის წარმოდგენილი: ვაი **მაშინ** იმას, ვინც ცოდვილია. (ვაჟა, 5, 84).

3. **უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება** ასრულებს უბრალო დამატების როლს მთავარი წინადადების რომელიმე წევრთან (ჩვეულებრივ შემასმენელთან), ან ხსნის მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემული უბრალო დამატების მნიშვნელობას, უბრალო დამატება, როგორც ვიცით, სხვადასხვა შინაარსისაა. ამის შესაბამისად უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადებაც სხვადასხვაგვარია. ის შეიძლება ასრულებდეს მოქმედების ობიექტის, საჭურველის ან სხვა სახის დამატების როლს.

უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს იმავე კითხვაზე, რაზედაც შესაბამისი უბრალო დამატება. მისათითებელი ნაცვალსახელიც, რომელიც მეტწილად წარმოდგენილია მთავარ წინადადებაში, დგას უბრალო დამატების რომელიმე ბრუნვაში (თანდებულით ან უთანდებულოდ). ამ ტიპის დამატებითი დამოკიდებული წინადადება შესაძლებელია როგორც გარდაუვალ (ერთ- და ორპირიან), ისე გარდამავალ (ორ- და სამპირიან) ზმნებთან: გვადი... **იმაზე** ფიქრობდა, **თუ საით წასულიყო: ქალაქში, ბაზრობაზე** თუ **შინისაკენ.** (ქიაჩ., 3, 33): დამოკიდებული წინადადება ხსნის ნაცვალსახელით გადმოცემულ უბრალო დამატებას. კითხვა: რაზე ფიქრობდა გვადი? – იმაზე. „იმაზე“, მაგრამ სახელდობრ? – თუ საით წასულიყო: ქალაქში, ბაზრობაზე თუ შინისაკენ. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: მე დარწმუნებული ვარ, **რომ ეგ ცრემლი გულწრფელია**. (ჭავ., 479): მთავარში არ არის ნაცვალსახელი და დამოკიდებული წინადადება თვითონ ასრულებს უბრალო დამატების როლს. კითხვა: **რაში** ვარ მე დარწმუნებული? პასუხი: რომ ეგ ცრემლი გულწრფელია. ორივე შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება უშუალოდ თუ ნაცვალსახელის მეშვეობით მთავარი წინადადების შემასმენელთან არის დაკავშირებული. მაგრამ უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება, გარდა შემასმენლისა, ისეთი

სიტყვებით გადმოცემულ წევრებთანაც არის შესაძლებელი, რომელთაც შეიძლება დაუკავშირდეს უბრალო დამატება (მაგ.: უპირო ზმნებთან, ხარისხის ფორმებთან). მაგ.: მე მხოლოდ **იმის** თქმა მინდოდა, **რომ მაგ ბავშვის გვერდით მეც მეკუთვნის პატარა ადგილი. მეტი არაფერი.** (ჯავ., 2, 23). აქ დამოკიდებული წინადადება ხსნის ნაცვალსახელს, რომელიც საწყისთან არის დაკავშირებული (იმის თქმა) და პირდაპირისებრი უბრალო დამატებაა. „ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, **რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ,** სადილზე გამხიარულდნენ“. (ჭავ., 385): აქ უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება – „რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ“ – ახლავს მიმღეობას (დაჯერებულნი), რომელიც განკერძოებული განსაზღვრებაა ქვემდებარისა. ამ ტიპისაა შემდეგი წინადადებაც: დარწმუნებულნი, რომ იმათ არავინ ხედავდა, ისინი წყნარად, სიფრთხილით მიიპარებოდნენ ბუჩქებს შუა (ყაზ., 31).

ახლა გავაანალიზოთ წინადადება: **შენ რომ გუშინ კაცი გაგაცანი, იმაზე** უკეთესი მეგობარი მე არ მყავს. „უკეთესი“ უფროობითი ხარისხის ფორმაა, რომელიც სინტაქსურად განსაზღვრებაა; „უკეთესი მეგობარი“. უფროობითი ხარისხის ფორმას ახლავს უბრალო დამატება (იმაზე უკეთესი), რომლის მნიშვნელობასაც ხსნის დამოკიდებული წინადადება: შენ რომ გუშინ კაცი გაგაცანი.

უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უმეტესად მაქვემდებარებელი კავშირით (რომ, თუ) უერთდება (და მთავრის შემდეგაა), უფრო იშვიათად – მიმართებითი სიტყვებით.

უბრალოდამატებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც ზემოთ ითქვა, ხსნის ამა თუ იმ ბრუნვაში დასმულ უბრალო დამატებას, რომელიც ნაცვალსახელით არის გადმოცემული ან ასრულებს ასეთი დამატების როლს. დავასახელოთ სათანადო მაგალითები:

ა) დამოკიდებული წინადადება ხსნის მიცემითში დასმულ უბრალო დამატებას, ნაცვალსახელით გადმოცემულს ან ასრულებს ასეთი დამატების როლს. იმათი [სანთლების] მადლი მხოლოდ **იმაში** მდგომარეობს, **რომ ცოცხალს და მკვდარს ერთნაირად უნათებენ** (ვაჟა, 5, 90); ამის შემდეგ ილაპარაკეს **მასზე, თუ რის გაგება სურდათ ამ მკითხაობით** (ლომ.); მე დარწმუნებული ვარ [იმაში], რომ **ეს საქმე სრული გაუგებრობაა.** (ჭავ., 2, 174).

ბ) დამოკიდებული წინადადება ხსნის ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებას, ან ასრულებს ასეთი დამატების როლს: ...შექმნეს გაცხარებული ბჭობა **იმის შესახებ,** თუ სად უფრო შეიძლებოდა ბევრი სოკოს შოვნა (გვეტ., 148); ქალები გაყუჩდნენ იმის გასაგებად, **თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ცარა მათზე** (გვეტ., 370); **ვინც საქართველოს შემუსრავს, იმისთვის** ადვილი იქნება სპარსე-

თის დამცირებაც. (ბარნ., 1, 80).

გ) დამოკიდებული წინადადება ხსნის მოქმედებითში დასმულ უბრალო დამატებას, ან ასრულებს ასეთი დამატების როლს: ვგალობ და ვგალოდ და **იმით** ვხარობ, **რომ მე ქვეყანას გალობით ვატკბობ** (ჭავ.); ...ნათესავების დახმარებით ჯაყო მალულად ვაჭრობდა... **ყველაფრით, რაც ხელში მოჰხვდებოდა.** (ჯავ., 2, 270).

დამატებითი და ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ კითხვით სიტყვას შეიცავს, მაგრამ წინადადება არ გამოხატავს კითხვას. ასეთი დამოკიდებული წინადადება მთავართან „თუ“ კავშირით არის შეერთებული: წინა ფანჯრიდან მოჩანდა, **თუ როგორ უხვად ცვიოდა თოვლის ფანტელები** (გვეტ., 91); ელიკო უკვე მიმხვდარიყო, **თუ რისთვის მოსულიყვნენ მასთან სტუმრები** (ქიაჩ., 3, 158); ივანემ სწრაფად წარმოიდგინა, **თუ რა ჯოჯოხეთი მოელოდა მის ოჯახს დაობლების შემდეგ.** (ნინ., 223).

მაქვემდებარებელი კავშირი („თუ“) ხშირად გამოტოვებულია: მე ის მაფიქრებდა, **როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს** (ბარნ., 2, 272); ქალი ვერ მიმხვდარიყო, **რა მიზეზით არ ეძინებოდა...** (ყაზ., 2, 435).

ქვემდებარულისა და დამატებითის მთავართან შესაერთებლად ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი (ვინც, რაც) და მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“ ერთდროულად არის გამოყენებული: ის მხდალია, **ვინც რომ შიშით გაინაბა, დაიძინა** (ევდ., 1, 145); ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთნაირად დაახოცინა, **რაც რომ მამლები და ყვინჩილები** ჰყავდა. (ლომ., 62). პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია, მეორეში – დამატებითი. დასაკავშირებლად საკმარისია მიმართებითი ნაცვალსახელი.

მთავარსა და დამატებით (აგრეთვე ქვემდებარულ) დამოკიდებულ წინადადებაში ჩვეულებრივ ერთი და იმავე დროის ფორმებია ნახმარი (უმეტესად წარსული დროისა). ხშირად მათი მწკრივიც ერთი და იგივეა. გვაქვს დროის ფორმათა როგორც აბსოლუტური, ისე მიმართებითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები (ერთდროულობა და უწინარესობა-შემდგომობა). მაგ.: შორიდან კარგად **ვხედავდი,** რომ კურდღლის ბურტყლი ნარის ბუმბულივით მაღლა **მიმოჰქონდა** ქარსა. (ვაჟა, 5, 59): მთავარსა და დამოკიდებულში ერთი და იმავე დროისა და მწკრივის ფორმებია ნახმარი. გვაქვს მოქმედებათა ერთდროულობა. მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ზმნით გამოხატული მოქმედება უწინარესია, მეორისა – შემდგომი. მაგალითად: ბარამმა უეცრად **დაინახა,** რომ ნეშოებს შორის იას **ამოეყო** თავი. (დად., 169): აქ მთავარ წინადადებაში ზმნა წყვეტილის ფორმაა (დაინახა), დამოკიდებულში – II თურმეობითისა. მართალია, ორივე ზმნა წარსულის ფორმაა, მაგრამ ერთმანეთის

მიმართ ამ ზმნებით გამოხატულ მოქმედებათაგან ერთი უწინარესია (ამოეყო), მეორე კი – შემდგომი (დაინახა). „უწინარესობა დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება და II თურმეობითის საშუალებით გადმოიცემა ქართულში, შემდგომობა კი – წყვეტილით. ოღონდ, თუ დამოკიდებული წინადადება დამატებითია, ან ქვემდებარული, შემდგომობის აღსანიშნავად მთავარში სულ რამდენიმე ზმნა შეიძლება იყოს გამოყენებული: ვნახე, შევნიშნე, დავინახე, დავრწმუნდი, აღმოჩნდა, გამოირკვა და მისთანანი“[271].

§174. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება

განსაზღვრებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს, ან გადმოგვცემს ასეთ წევრთან განსაზღვრებად დაკავშირებული მისათითებელი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს. მოგვიგებს განსაზღვრების კითხვებზე; რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი?... (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით). მაგალითად: ხალხი თავს დაჰბრუნავდა გაშოტილ **ხარ-ირემს, რომელიც ამ დილით მონადირეებს მოეკლათ.** (ვაჟა, 6, 337). მთავარი წინადადების ირიბ დამატებას აქ ორი განსაზღვრება ახლავს: ერთი – ატრიბუტული განსაზღვრების სახით (გაშოტილ ხარ-ირემს), ხოლო მეორე – დამოკიდებული წინადადების სახით (ხარ-ირემს, რომელიც ამ დილით მონადირეებს მოეკლათ). კითხვა: რომელ გაშოტილ ხარ-ირემს დაჰბრუნავდა ხალხი? პასუხი: რომელიც ამ დილით მონადირეებს მოეკლათ. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი; ზოგჯერ ტყეში **ისეთი** სიჩუმე ჩამოვარდებოდა, **რომ საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა.** (ჯავ., 1, 116): აქ მთავარი წინადადების ქვემდებარეს (სიჩუმე) ახლავს განსაზღვრებად ჩვენებითი ნაცვალსახელი (ისეთი), რომლის შესაბამის კონკრეტულ შინაარსსაც დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს. კითხვა: **როგორი** სიმშვიდე ჩამოვარდებოდა ზოგჯერ ტყეში? – ისეთი. „ისეთი“, მაგრამ სახელდობრ როგორი? – რომ საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა. მთავარსა და დამოკიდებულს შორის აქ რამდენადმე მოქმედებათა მიზეზ-შედეგობრივი მიმართებაცაა გამოხატული.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარ წევრსაც. მაგალითად: ოთახში შემოვიდნენ **ხახუა,** ვიღაც მოხუცებული **კაცი, ონისე** და ყმაწვილი **ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას.** (ყაზ., 701).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება იშვიათად განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებსაც (დანართს, მიმართვას...) ახლავს: მარჯვენაკლები, ე.ი. **ის კაცები, რომელთაც დედუფალი მოიყვანეს,** მოსძებნიან ნეფეს, მოიყვანენ და სათავეში დასმენ (ვაჟა, 7, 155); ...მარტოობაშიც არსად

[271] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 218.

მარტო არა ხარ, ჰოი, **ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან**. (ჭავ., 256).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაკუთრებით ახლოს დგას განკერძოებულ განსაზღვრებასთან, ისე ახლოს, რომ ხშირად სინონიმური მნიშვნელობის წინადადებებს ვღებულობთ. ამ სიახლოვის გამო განკერძოებული განსაზღვრების ნაცვლად ზოგჯერ შეიძლება ვიხმაროთ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და პირუკუ, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ნაცვლად – განკერძოებული განსაზღვრება. მაგალითად: ამ სახლს მარჯვნივ **წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა**. (ჭავ., 427). განკერძოებული განსაზღვრება რომ დამოკიდებული წინადადებით შევცვალოთ, მივიღებთ: ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, რომელიც ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა იყო. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება აზრის ზუსტად და მრავალფეროვნად გამოხატვის უფრო დიდი შესაძლებლობით არის აღჭურვილი, ვიდრე განკერძოებული განსაზღვრება.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: ა) **მიმართებითი ნაცვალსახელები**: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით). ბ) **მიმართებითი ზმნიზედები;** სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც (როცა)..., გ) **მაქვემდებარებელი კავშირები**: რომ, თუკი, სანამ, ვითომ, თითქოს (თითქო)... საზღვრულ წევრს მთავარ წინადადებაში შეიძლება ახლდეს შემდეგი ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ის, იმ, ისეთი, იმდენი, იმისთანა**... ამათგან ზოგიერთი „ვე“ ნაწილაკის დართვითაც იხმარება: **ისეთივე, იმდენივე**... „ისეთი“ მისათითებლად იშვიათად მრავლობითის ფორმითაც გვხვდება. მაგ.: უცნობო მეგობარო, მუდამ ერიდეთ **ისეთ** ადამიანს, **ვინც მუდამ სდუმს და თითქმის არასოდეს** არ იცინის (ჯავ., 3, 567); ძაღლიკა ხიმაკაურს იმ ვაჟკაცობისა და ერთგულებისათვის, **რაც მან ასპინძის ომში გამოიჩინა**, მეფე ერეკლემ სიგელით დიდი მამული უბოძა (ვაჟა, 6, 55); **ის** ცრემლი, **რომელიც თვალთ მომადგა მაშინ**, ნეტარების ცრემლი იყო (ბარნ., 1, 300); ათასში ერთხელ მოუვა ადამიანს **იმისთანა ბედი, როგორშიაც მე ჩავვარდი მაშინ** (ბარნ., 1, 309); ...დაახლოებით **ისეთივე** ბაასი გავმართეთ იმავე სასადილოს დარბაზში, **რანაირიც ზაფხულში მე და ჩემს წინამორბედს გვქონდა** (ჯავ., 1, 225); **იმდენი** ნიჭი არა მქონდა, **რამდენიც სურვილი** და **ბეჯითობა** (წერ., 1, 47); **ის** ქუჩა, **სადაც** არსენა იყო ჩასაფრებული, სიგრძით ორასი ნაბიჯიც ძლივს იქნებოდა (ჯავ., 4, 450); მალე ოქროპირი იმ ოთახში გავიდა, **საიდანაც შეუწყვეტლივ ისმოდა ირმას კისკისი** (გვეტ., 192); არის ხოლმე **ისეთი** წამები, **როდესაც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში** (ყაზ.); **ის** დრო წავიდა, **როცა ქმარი ტირანი იყო ოჯახში!** (ჯავ., 2,

506); **ისეთი** ჟრიამული ასტყდა, **რომ ტყე ზანზარებდა** (ვაჟა, 6, 353); **თუკი ჩემი საყვარელი გოგონა თვალცრემლიანი ივლის, ისეთი** სკოლა და სწავლა რაში მეპრიანება? (ვაჟა, 6, 341); ასე მიდიოდა მოხუცის დღეები **იმ** დრომდის, **სანამ ერთს ზამთარს თოვლს ვიწრო ხევში არ ჩაეჩუმქრა** (ყაზ., 2, 314); ხმა დავყარეთ, **ვითომ უძოში მიბრძანდებით სალოცავად** (ბარნ., 1, 89); **ისეთი** სიჩუმე ჩამოვარდა, **თითქოს ყველა და ყოველივე ქვად გადაქცეულიყო** (ჯავ., 4, 112); **ისეთი** ხმაურობა დადგა, **თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა**. (ვაჟა, 5, 13).

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას მთავარ წინადადებასთან აერთებს აგრეთვე **რომელ** ნაცვალსახელისაგან წარმოქმნილი წევრ-კავშირები: ურომლოდაც, ურომლისოდაც, ურომლისობაც, ურომელთოდაც... მაგ.: სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისამებრ გაუღვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, **ურომლოდაც** ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად (ჭავ., 5, 365); შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვპოვებ, **ურომლისოდაც** განმიმარტოებს მხოლოდღა შიში, მომიცავს სრულად (ა. კალანდაძე); გამოთქმის გაადვილების მიზნით ენამ ხელი აიღო ისეთ ელემენტზე, **ურომლისობა** აზრის გაგებას ხელს არ უშლის (ა.შ., 70). უნდა მიეთითებინა ერთ-ერთ იმ ატრიბუტზე, **ურომლისობაც** ხელს უშლის იმის დაჯერებას („მნათობი", №6, 1971, გვ. 91); ჩვენ წინა წერილში ჩამოვთვალეთ ის ოთხნი უმთავრესი დედა-აზრნი, **ურომელთოდაც** თვითმმართველობა თვითმმართველობად არ უნდა იხსენიებოდეს. (ჭავ., 6, 47).

როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენლად იგივე ზმნაა, რაც მთავარი წინადადებისა, ის დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება გამოტოვებულ იქნეს. მაგალითად: კაკალმაც **ისეთი** პასუხი მომცა, **როგორიც მუხამ** (რაზ., 90); **იმდენი** ნიჭი არა მქონდა, **რამდენიც სურვილი და ბეჯითობა**. (წერ., 1, 47).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად მაქვემდებარებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად გამოყენებულია „რომ", მიმართებით ნაცვალსახელთაგან – „რომელიც", ხოლო მიმართებით ზმნიზედათაგან – „სადაც", „როცა" ... განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება კონსტრუქციულად ხშირად ემთხვევა სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებს. მაგალითად: „ვინც" და „რაც" ნაცვალსახელები (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით), გარდა განსაზღვრებითისა, მთავართან აერთებს ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებს; თანაც ერთი და იგივე დამოკიდებული წინადადება ერთ შემთხვევაში შეიძლება ქვემდებარული იყოს, მეორე შემთხვევაში – დამატებითი, მესამე შემთხვევაში კი – განსაზღვრებითი. თუ როდის რა სახის დამოკიდებულ წინადადებად უნდა ჩავთვალოთ ის, ამას მთავარი

წინადადების შედგენილობა, მისი კონსტრუქცია განსაზღვრავს. მაგალითად: **ის, ვინც ეს ამბავი მითხრა**, აქ არის. „ის“ ქვემდებარეა, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია. **ის, ვინც** ეს ამბავი მითხრა, აქ მომიყვანეთ. „ის“ პირდაპირი დამატებაა, დამოკიდებული წინადადება დამატებითია. **ის კაცი, ვინც ეს ამბავი მითხრა**, აქ არის. ამ მაგალითში „ის“ განსაზღვრებაა, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია: ერთი ჯგუფი იძლევა მთავარი წინადადების საზღვრული წევრით აღნიშნული საგნის თვისებრივ დახასიათებას. ამ ჯგუფის დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს „როგორიც“, „რანაირიც“, „თითქოს“ (თითქო), ხოლო მთავარში მისათითებლად გვაქვს „ისეთი“ (ისეთივე), „იმისთანა“. მაგალითად: კობამაც მიიხედა იქით და დაინახა **ისეთივე** გალაღებული ხარი, **როგორიც იდგა კლდის წვერზე** (ყაზ., 349): **როგორიც ავთანდილიშენ იყავ**, მეც **იმისთანა** შერმადინობა გაგიწიე. (ჭავ., 319). „ისეთი (ისეთივე) – როგორიც“, „ისეთი (ისეთივე) – რანაირიც“, „იმისთანა – როგორიც“ აღნიშნავს ნიშან-თვისებათა თანხვდომას, იგივეობას. **„ისეთი** სიჩუმე ჩამოვარდა, **თითქოს სუფრაზე მიცვალებული დაასვენესო**“. (ჯავ., 2, 257). „თითქოს“ აღნიშნავს მსგავსებას, სიახლოვეს, მაგრამ რაც ნამდვილად არ არის. ყველა დასახელებულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა საგნის თვისებრივ დახასიათებას.

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებათა მეორე ჯგუფი გამოყოფს საზღვრული სიტყვით აღნიშნულ საგანს ამავე სიტყვით აღნიშნულ საგანთაგან. ამ ჯგუფს საკავშირებლად აქვს მიმართებითი სიტყვები, ხოლო მთავარში მისათითებლად – ის (იმ). სამიკიტნოს ის პაწია ოთახი, **სადაც აკაკის ჯდომა** უყვარდა, მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს (გვეტ., 357); მოიტანეთ აქ იმ კენჭების ფქვილი, **ამ ავსულმა რომ წისქვილს დააყარა** (ვაჟა, 5, 112); ბუს დალოცვისა კოდალას ნამეტნავად ის ნაწილი მოეწონა, **რომლითაც პირველი მას მრავლად საზრდოს მოპოვებას უქადდა**. (ვაჟა, 6,94).

გარდა აღნიშნულისა, შეინიშნება სხვა ნიუანსებიც. მაგ.: განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავართან „რომ“ კავშირით არის შეერთებული, ხოლო მთავარში მისათითებლად გვაქვს „ისეთი“, ხშირად აღნიშნავს ერთგვარ შედეგსაც. მაგალითად: ისეთი ბნელი ღამე იყო, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო**. (წერ., 1, 147). აქ ამ მაგალითში, დამოკიდებული წინადადება ერთგვარ შედეგს გადმოგვცემს, რითაც ის მთავარი წინადადების საზღვრული წევრის თვისებრივ დახასიათებასაც იძლევა.

თუ მისათითებელი ნაცვალსახელი არ არის მთავარში, ზოგჯერ შეიძლება აღვადგინოთ, მაგრამ ხშირად ის არაა საჭირო და

ამის გამო არც ჩასმა შეიძლება მთავარი წინადადების საზღვრული წევრის წინ. მაგალითად: საუკუნო იყოს ხსენება გმირებისა, **რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი ჰპოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს.** (ქიაჩ., 3, 264). აქ შეიძლება აღვადგინოთ მისათითებელი ნაცვალსახელი **იმ** (საუკუნო იყოს ხსნება **იმ** გმირებისა). ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: ყველანი სიხარულით მიეგებნენ **ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზედ მეტს მხიარულებდა**... (ყაზ., 709). მთავარში მისათითებელი ნაცვალსახელი არ არის და არცაა შესაძლებელი, რომ ვიხმაროთ. მართლაც, არ ითქმის: „იმ ონისეს“ ან ისეთ ონისეს“. ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადება არ გამოყოფს საზღვრულ საგანს სხვა საგანთაგან და არც მის თვისებრივ დახასიათებას იძლევა, არამედ გადმოგვცემს რაიმე დამატებით ცნობას საზღვრული წევრით გადმოცემული საგნის შესახებ.

მთავარი წინადადება, რომელსაც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ახლავს, იშვიათად უშემასმენლოა. ასეთი მთავარი წინადადება შეიცავს გასუბსტანტივებულ შორისდებულს „ვაი“, ან ჩვენებით ნაწილაკს „აგერ“. **ვაი იმ ოჯახს**, საცა ის შევა (გვეტ., 123); **ვაი მისი ბრალი**, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა! (წერ., 46); **აგერ** ცის კამარაზე შეფენილი გამჭვირვალე **ღრუბელი**, რომლისთვის[აც] დახრილ მზეს ვარდისფერი კუწუბი შემოურტყამს გარს. (ბარნ., 3, 98).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება უფრო ხშირად მოსდევს მთავარს ან მთავარშია, ხოლო მთავრის წინ იშვიათად გვხვდება. მნიშვნელობა აქვს საკავშირებელ სიტყვას. ასე, მაგალითად, დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარს უერთდება „რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელით ან მიმართებითი ზმნიზედით, ჩვეულებრივ მთავარშია ან მთავრის შემდეგ (უფრო ხშირად). მაგ.: ამ მშვენიერ მიდამოს ზევიდამ დასცქერის ის სახლი, **რომელშიაც აკაკი დაიბადა** (ევდ., 3, 144); მონადირემ, **რომელიც ირმებს მისდევდა**, გაბრიყვებულს მგელს თვალი შეასწრო (ვაჟა, 6, 51); მწყემსიც გამოემშვიდობა და მიმართა იმ მთას, **სადაც ცხენებს საზაფხულო საძოვარი ჰქონდათ** (ყაზ., 567); ის ქუჩა, **სადაც არსენა იყო ჩასაფრებული**, სიგრძით ორასი ნაბიჯიც ძლივს იქნებოდა. (ჯავ., 4, 450).

ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება მთავრის წინ იშვიათია: **რომელი კუნთიც შემენძრევა**, რუსიკოსაც ის კუნთი აუთამაშდება. (ჯავ., 6, 441).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოშია, როცა ის მთავართან შეერთებულია სიტყვებით: რომ, თითქოს, როგორც, ვითომ; თავშია ან ბოლოში, თუ ის მთავარს უერთდება მიმართებითი ნაცვალსახელით „როგორიც“. „ვინც“ და „რაც“ ნაცვალსახელებით შეერთებული დამოკიდებული წინადადების ად-

გილი არ არის მყარი: ის თავშიც გვხვდება, შუაშიც და ბოლოშიც.

მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები, როგორც ვიცით, წევრ-კავშირებია; ისინი ერთ-ერთ წევრად შედიან დამოკიდებულ წინადადებაში და ამავე დროს აერთებენ მას მთავარ წინადადებასთან. მიმართებითი ზმნიზედები ენაცვლებიან მიმართებით ნაცვალსახელს („რომელიც“), როცა მთავრის მისამართი სიტყვა უნდა განისაზღვროს ადგილის ან დროის მიხედვით. მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, როდესაც...) დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან არიან დაკავშირებული, მიერთვიან მას, ხოლო მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით იხმარება და, გარდა შემასმენლისა, შეიძლება დაუკავშირდნენ დამოკიდებული წინადადების სხვა წევრსაც (თუმცა უმეტესად ესენიც დამოკიდებული წინადადების შემასმენელთან არიან დაკავშირებული). მიმართებით ნაცვალსახელთაგან „რომელიც“ იხმარება **ებ**-იანი და **ნარ**-თანიანი მრავლობითი რიცხვის ფორმითაც. ამიტომ ყველაზე მეტი თავისებურება სწორედ ამ ნაცვალსახელთან არის დაკავშირებული, რაც საგანგებო განხილვას მოითხოვს.

„რომელიც“ სინტაქსურად ორ წევრს უწევს ანგარიშს. რიცხვში ეს ნაცვალსახელი მთავარი წინადადების იმ წევრს ეწყობა„ რომელსაც მიემართება, ხოლო ბრუნვაში – დამოკიდებული წინადადების იმ წევრს, რომელთანაც ის სინტაქსურ კავშირშია. (§10, §159). მაგალითი: **ცა მოიცვა ღრუბლებმა, რომლებსაც ქარი აქანებდა**... (ბარნ., 1, 65). „რომლებსაც“ მიცემით ბრუნვაში დგას, რადგანაც ის პირდაპირ დამატებად არის შეწყობილი გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმასთან (რომლებსაც აქანებდა), ხოლო რიცხვში ის მთავარი წინადადების ქვემდებარეს ეთანხმება (ღრუბლებმა, რომლებსაც, მაგრამ: ღრუბელმა, რომელსაც). სინტაქსური ასიმილაცია პროგრესულია.

„რომელიც“ საკავშირებლად ყველა ბრუნვის ფორმით იხმარება, გარდა ვითარებით-წოდებითისა[272], მაგრამ უფრო ხშირად ეს ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწყობა ქვემდებარედ ან ერთ-ერთი სახის დამატებად და პირველ სამ ბრუნვაში დგას. ამ ნაცვალსახელით, როცა ის მიცემითში, ნათესაობითსა ან მოქმედებითში დგას, შეიძლება გადმოიცეს უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება.

ა) მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობითშია: ელისო, **რომელიც** წყაროსთან **იჯდა**, ეძლეოდა თავის მწუხარებას... (ყაზ., 195); ხალხი თავს დაჰბრუნავდა გაშოტილ ხარ-ირემს, **რომელიც** ამ დილით მონადირეებს **მოეკლათ**. (ვაჟა, 6, 337).

---

[272] „რომელიც წევრ-კავშირი იშვიათად შეიძლება ვითარებითშიც შეგვხვდეს. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში ასეთი წინადადებაა: „[სანსკრიტმა]... გრამატიკულ ფორმათა ნამდვილ წყობას მიაღწია იმ ზომამდე, რომელამდეც გვიან ძალიან ცოტა ენა მივიდა“. აჯობებდა, ამ წინადადების ბოლო ნაწილი სხვაგვარად გაფორმებულიყო.

მიმართებითი ნაცვალსახელი პირველ მაგალითში ქვემდებარეა, მეორეში – პირდაპირი დამატება.

ბ) მოთხრობითშია: კრულ არს კაცი, **რომელმაც დაამყაროს** იმედი თვისი მხოლოდ სხვაზე! (ბარნ., 2, 148); „რომელმაც“ ქვემდებარეა.

გ) მიცემითშია (და სხვადასხვა წევრად შედის დამოკიდებულში): ბუჩქებს ამოფარებული მენახირეები, **რომელთაც** მთაზე საქონელი ადრიანად **აერეკათ**, ჩუმად ადევნებდნენ თვალს იქაურობას (გვეტ., 12); ქალი პასუხის მაგივრად გადაეხვია თავის მშობელს, **რომელსაც** სიტყვა **გააწყვეტინა** პირში ამ შემთხვევამ (ყაზ., 200); ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, **რომელზედაც** უბრალო თოკი ქამრად **შემოეჭირა**, რაღაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს (ყაზ., 718); კესო დედით ქუთაისში ესტუმრა შორეულ ნათესავს, **რომელთანაც ბინადრობდა** ოქროპირი. (გვეტ., 131).

დ) ნათესაობითშია: გმირის ტირილი გამწარებული ვეფხვის რუხრუხსა ჰგავდა,**რომლისთვისაც** ვიღაც თავხედ მონადირეს ლეკვები **მოუპარავს** (ვაჟა, 6, 389); ველს მდინარე ჩამოუდიოდა, **რომლის ხევსაც** ტირიფები ანიშნებდნენ: ორივე მხარეს მოსჯროდნენ იგინი (ბარნ., 1, 309); ძოწენიძე გაფაციცებული დასცქეროდა ვიწრო ბილიკს, **რომლის იქით** თვალუწვდენი წკვარამი იყო. (გვეტ., 180).

მიმართებითი ნაცვალსახელი პირველ მაგალითში უბრალო დამატებაა, მეორეში – მართული განსაზღვრება, ხოლო მესამეში – ადგილის გარემოება (თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნიზედასთან ერთად).

ე) მოქმედებითშია: ამ ადგილს ახლო-მახლოდ არა აქვს სათალი ქვა, **რომლითაც** ტაძარი **აშენებული არის**. (ყაზ., 717). აქ მიმართებითი ნაცვალსახელი უბრალო დამატებაა.

ნათესაობითში დასმულ ნაცვალსახელს ნაწილაკი ც (ცა) შეიძლება სულ ჩამოსცილდეს ან მომდევნო სიტყვაზე (საზღვრულზე, ცალკე მდგომ თანდებულსა თუ თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნიზედაზე) იქნეს გადატანილი. მაგ., ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვაქვს ასეთი შემთხვევები: „რომლის ხევსაც“, „რომლის იქით“. „ც“ ჩამოშორდება და მომდევნო სიტყვაზე გადავა, როცა ნაცვალსახელი განსაზღვრებად არის გამოყენებული სხვა ბრუნვის ფორმით. მაგალითად: **რომელი** წიგნიც მე გათხოვე, სწორედ ის წიგნი უნდა დამიბრუნო. ასეთი ნაცვალსახელები მაინც მიმართებითია (და არა კითხვითი).

„რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც ითქვა, რიცხვში ანგარიშს უწევს მთავარი წინადადების იმ წევრს, რომელსაც დამოკიდებული წინადადება მიემართება. მიმართებითი ნაცვალსახელის მთავარი წინადადების საზღვრულ წევრთან შეწყობის ძირითადი შემთხვევებია:

ა) თუ მთავარი წინადადების საზღვრული წევრი მხოლობითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლობითშია: დიდი **კოდი, რომელიც** მეორე კუთხეში იდგა, სავსე იყო სიმინდის ფქვილით. (ლორთქ., 2, 219).

ბ) თუ მთავარი წინადადების საზღვრული სახელი მრავლობითშია, მიმართებითი ნაცვალსახელიც მრავლობით რიცხვში დაისმის: **ფრინველები, რომელნიც** ტკბილის ჭიკჭიკით დღეს ესალმებოდნენ, გაჩუმდნენ (ყაზ.); საუკუნო იყოს ხსენება **გმირებისა, რომლებმაც** თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი პოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს (ქიაჩ.); მე **ჭიები მიყვარს,** ჭიები, რომლებსაც მხოლოდ გამხმარი, დაყანთრებული, დაფუტურებული ხე ბადებს (ვაჟა); ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი **ფრინველებისა, რომელთაც** მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ. (ყაზ., 711).

გვხვდება დასახელებული წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. მაგალითად, მრავლობითში დასმულ მისამართ სახელთან მოქმედებით ბრუნვაში დასმული მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლობითშია. მაგ.: ეს **ხელები, რომლითაც** დაიწერა „არმაზის მსხვრევა“ და „ისნის ცისკარი“, უკვე აღარ ემორჩილებიან პატრონს (ლ. ასათიანი); ყოველთვის მაგონდება **სიტყვები, რომლითაც** მან თავისი ყრმობისდროინდელი ერთ-ერთი მასწავლებელი დახატა. (თ. ჭილაძე).

გ) თუ მთავრის საზღვრულ წევრს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობაც ერთზე მეტს გულისხმობს (რიცხვითი სახელები: ორი, სამი... ბევრი, მრავალი; ნაცვალსახელები: რამდენიმე, ყველა...), საზღვრული სახელი მხოლობითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელი კი მრავლობითშია: ვიწროებში ცის ტატნობზე გამოჩნდა **ორი კაცი, რომლებიც** გულადად და შეუპოვრად მოდიოდნენ (ყაზ.); ქოხის ქვევით ფერდობზე გამოჩნდა **რამდენიმე კაცი, რომელნიც** გამოქვაბულისაკენ მიდიოდნენ. (ყაზ., 2, 436).

დ) როცა მიმართებითი ნაცვალსახელი მთავარი წინადადების რამდენიმე ერთგვარ წევრს მიემართება, ის მრავლობითში დაისმის: წუთიც და გზაზედ **ქალი** და **კაცი** გამოჩნდა, **რომელთაც** ერთი დატვირთული ვირი მოჰყავდათ (ყაზ., 738).

თუ მისამართი სიტყვა ტოლად-შერწყმული სახელით არის გადმოცემული, მიმართებითი ნაცვალსახელი მრავლობითშია: უხმოდ მიჰყვებოდა ბილიკს **ქალ-ვაჟი, რომელთაც** ჯერაც წარმოუთქმელი სასიყვარულო სიტყვები უყვაოდათ გულში. (გამს.).

შენიშვნა: ერთგვარ წევრთაგან მიმართებითი ნაცვალსახელი ზოგჯერ მხოლოდ უკანასკნელს მიემართება და მხოლობითშია (როგორც მისამართი სიტყვა); აქ იყვნენ ბარონესა და **ბაბო გავ-**

ლენიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დაბრუნებულიყო თბილისს (დად. 505); შიგ **სანდრო აბრიძე, იმისი ცოლი** და მოხუცებული **დედაკაცი** ისხდნენ, **რომელიც** წელან კოტეს მიჰყავდა (ჯავ., 1, 283); ასე დიდხანს გასცქეროდა ის ნიავისაგან ზღვასავით ატოკებულ, სიმწიფემორეულ **ყანას,** ლურჯი ქათიბით შემოსილ **მთებს, მტკვარს, რომლის** ზედაპირზე მზის აცურებული შუქი ელვარებდა. (გვეტ., 40).

„რომელიც“ მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც ვიცით, ჩვეულებრივ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას[273]. ამიტომ დამოკიდებულ წინადადებაში პირველ ადგილს სწორედ ის წევრი იკავებს, რომელიც ამ ნაცვალსახელით გადმოიცემა. ეს ნაცვალსახელი მეტწილად უშუალოდ მოსდევს მთავარი წინადადების საზღვრულ წევრს, მაგრამ ზოგჯერ მათ შორის ჩამდგარია მთავრის სხვა სიტყვა თუ სიტყვები. გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა, სახელდობრ:

ა) თუ დამოკიდებული წინადადება მთავარშია, მიმართებითი ნაცვალსახელის წინ ყოველთვის მთავარი წინადადების საზღვრული წევრი დგას: პაწაწინა კოხტა ეზო, რომელიც ბოძებზე შეყენებული ერთსართულიანი სახლის წინ გაშლილიყო, ცოლიკაურის ტალავერს დაეჩრდილა. (ჯაფ., 94).

ბ) თუ დამოკიდებული წინადადება ბოლოშია, მიმართებითი ნაცვალსახელის წინ ჩვეულებრივ მაშინაც მთავარი წინადადების საზღვრული წევრი დგას: აცახცახებულმა ირმამ შეამჩნია ქვევიდან ბანდალით მომავალი **მგზავრი, რომელიც** მისგან კარგა მოშორებით ტალახში კოჭებამდე ჩაეფლო. (გვეტ., 204).

გ) როცა დამოკიდებული წინადადება ბოლოშია, მიმართებითი ნაცვალსახელისა და მთავარი წინადადების საზღვრული სახელის გათიშვა სხვა სიტყვითა თუ სიტყვებით არ იწვევს ორაზროვნებას, თუ:

1. მიმართებით ნაცვალსახელსა და საზღვრულ სახელს შორის მთავრის შემასმენელია: მზის ამოსვლისას **კურდღელს** წააწყდა, **რომელიც** გზის პირას ბალახსა ჰკიკნიდა. (ბარნ., 1, 294).

ასეთ შემთხვევაში შეიძლება განმეორდეს მთავარი წინადადების საზღვრული წევრი: იმ სიმაღლე დედაკაცი ხანდახან მარტო **ჯუბას** ჩაიცვამდა, **ჯუბას, რომელიც** ერთი-ორად სიმაღლეს უმატებდა. (ვაჟა, 5, 43).

2. მთავარი წინადადების საზღვრულ წევრს ახლავს მისათითებელი ნაცვალსახელი: **ხოსრო** თანდათან **იმ რაინდად** ესახებოდა კესოს, **რომელზედაც** ხშირად უოცნებია მას (გვეტ., 131); ...სანარიელი **იმ კომისიის** წევრებს ასახელებდა, **რომელსაც** მშენებლობისათვის თვალყური უნდა ედევნებინა, წესი დაეცვა და შეჯიბრების შედეგები შეემოწმებინა. (ქიაჩ., 3, 206).

[273] იშვიათად შეიძლება შეგხვდეს ისეთი შემთხვევა, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.: ახლა ყეფა უმწეო წკავწკავით შეცვალეს იმ ძაღლებმა, ჭიშკრისაკენ რომელნიც უტევდნენ. (გამს.).

ზოგჯერ მთავარი წინადადების საზღვრულ წევრსა და მიმართებით ნაცვალსახელს შორის მისამართი სიტყვის განკერძოებული განსაზღვრებაა: აქეთ მარაოსავით იშლებოდა ქართლის ბარაქიანი **ველი,** ვრცელი და უბორცვო, **რომელსაც** მტკვარი ტაშის მთებიდან ჰყოფდა და ნაპირზე ვერცხლის ქობასავით უვლიდა. (გვეტ., 75).

თუ მთავარი წინადადების საზღვრულ წევრს მისათითებელი ნაცვალსახელი არ ახლავს, მიუღებელია მთავარში სიტყვათა ისეთი განლაგება, როცა მიმართებით ნაცვალსახელსა და მთავარი წინადადების იმ სიტყვას შორის, **რომელსაც** დამოკიდებული წინადადება მიემართება, ჩამდგარია არსებითი სახელით გადმოცემული სხვა წევრი. მაგალითად: ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს **ონისეს** გული, **რომელსაც** სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა... (ყაზ., 701). საჭიროა სიტყვების გადასმა: გული ონისესი, რომელსაც... ან კიდევ ასეთი მაგალითი: ცოცხალი **გოჭები** უკანა ფეხებით ეჭირათ, **რომლებიც** საშინლად ჭყვიტინებდნენ (არაგვ.). უმჯობესია ეს წინადადება სხვაგვარად გაიმართოს, თუნდაც ასე: ცოცხალი გოჭები, რომლებიც უკანა ფეხებით ეჭირათ, საშინლად ჭყვიტინებდნენ, ან: უკანა ფეხებით ეჭირათ ცოცხალი **გოჭები, რომლებიც** საშინლად ჭყვიტინებდნენ.

„ვინც“ ნაცვალსახელი, რომელიც მთავარ წინადადებასთან სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებას აერთებს (ქვემდებარულს, დამატებითს, განსაზღვრებითს), ერთნაირად მიემართება მხოლობითსა თუ მრავლობითში დასმულ სახელს, როცა „ვინც“ დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეა ან ირიბი დამატება და მრავლობითში დასმულ სახელს (ნაცვალსახელსა თუ არსებითს) მიემართება, მასთან შემასმენელი ზოგჯერ მრავლობითის ფორმითაა ნახმარი, ე.ი. მთავარი წინადადების მისამართი სიტყვის ფორმას ეთანხმება, რაც სინტაქსური ასიმილაციის ერთ-ერთი შემთხვევაა. მაგ.: **ყველანი, ვინც** დათვზე **ემზადებოდნენ,** ფეხზე დადგნენ (ვაჟა, 5, 122); მივმართავ **იმათ, ვინც** ეხლა **მძმობენ** (პ. იაშ.); ...იმ **გლეხებს** კი, **ვინც** ყველაზე ბეჯითად **ცდილობდნენ** მათი დაჭერის დროს, არაფერი აღარ შეარჩინეს (ჯავ., 1, 101); თავიანთ ლექსებში აძაგებდნენ იმ **პოეტებს, ვინც** სიყვარულის, მთვარისა და ბულბულის ქებას კიდევ **ბედავდნენ** (გამს, 1, 103); ცრუობენ **ისინი, ვისაც ჰგონიათ,** რომ სიკეთე არ ფასდება („ახ. კომ“. №90. 28.07. 1977). ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მხოლობითში უნდა დაისვას.

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით დაახლოებით აქაც ისეთი სურათი გვაქვს, როგორიც ქვემდებარულისა და დამატებითის შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში. ზმნის ფორმები ხშირად ერთი და იმავე დროისაა (უმეტესად წარსულისა); მწკრივის მიხედვით ეს ფორმები ერთი და იგივეა ან სხვადასხვა. თანამიმ-

დევრობის მიხედვით გვაქვს ერთდროულობაც და უწინარესობა–შემდგომობაც. მაგ.: ტყეში ისეთი სიჩუმე **ჩამოწვა,** რომ ღრმა ხევიდან წყაროს ჩურჩულიც კი მოისმა. (ჯავ., 4, 339). „ჩამოწვა“ და „მოისმა“ წარსული დროის ფორმებია წყვეტილის მწკრივისა. მეორე ზმნით გადმოცემული მოქმედება უშუალოდ მოსდევს პირველისას. ამასთანავე, აქ მიზეზშედეგობრიობაც არის გამოხატული: ტყეში რომ „სიჩუმე ჩამოწვა“, მიზეზია იმისა, „რომ ღრმა ხევიდან წყაროს ჩურჩულიც კი მოისმა“. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: ბუჩქებს ამოფარებული მენახირეები, რომელთაც მთაზე საქონელი ადრიანად **აერეკათ,** ჩუმად **ადევნებდნენ** თვალს იქაურობას. (გვეტ., 12). მთავარში უწყვეტლის ფორმაა ნახმარი (ადევნებდნენ), დამოკიდებულში – II თურმეობითისა (აერეკათ). ერთი მოქმედება (აერეკათ–უწინარესია, მეორე (ადევნებდნენ) – შემდგომი. უწინარესობა-შემდგომობა გვაქვს ამ მაგალითშიც: ამ დროს ძაღლმა ყვავი **დაინახა, რომელიც გზაზედ ჩამომჯდარიყო**... (ყაზ., 535). უწინარესობა აქაც II თურმეობითის ფორმით არის გადმოცემული (ჩამომჯდარიყო),შემდგომობა კი – წყვეტილისა (დაინახა).

§175. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება

გრამატიკულ ლიტერატურაში ხშირად ცალკე ტიპად გამოყოფენ ე.წ. შემასმენლურ დამოკიდებულ წინადადებას. ასეთი დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელს, რომლის სახელადი ნაწილიც ჩვენებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული და მოითხოვს ახსნა-დაზუსტებას. მაგალითად: მე **როგორიც დავიბადე, ისეთი ვარ** მუდამ წამს, მუდამ ჟამს, ყოველ შემთხვევაში. (ვაჟა, 5, 309). მთავარი წინადადების შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ჩვენებითი ნაცვალსახელია (ისეთი), რომლის ზოგად მნიშვნელობასაც კონკრეტული შინაარსით ავსებს დამოკიდებული წინადადება: „როგორიც დავიბადე“. კითხვა: როგორი ვარ მე? – ისეთი. „ისეთი“, მაგრამ სახელდობრ როგორი? პასუხს დამოკიდებული წინადადება იძლევა: როგორიც დავიბადე. მაშასადამე, შემასმენლურად იწოდება ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელში შემავალი ნაცვალსახელის კონკრეტულ შინაარსს გადმოგვცემს.

მთავარი წინადადების შედგენილ შემასმენელში შემავალი ნაცვალსახელი (ის, იგი, ისეთი, ისეთივე, ამისთანა, იმისთანა...) ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო მეშველად ჩვეულებრივ „ვარ“ და მისი მონაცვლე ზმნათა ფორმებია გამოყენებული. დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს კითხვებზე: როგორია? ვინ არის? რა არის? და მისთ. მთავარს უერთდება მაქვემდებარებელი კავშირით „რომ“ და მიმართებითი ნაცვალსახელებით: ვინც, რაც, როგორიც, რომელიც. დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს (უფრო

ხშირად) ან უსწრებს მას. მაგ.: მე მარტო **ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ** (ჭავ., 5, 425); დროება მაშინ **იმისთანა** იყო, **რომ ამგვარს ხმებს გასავალი ექნებოდა უმეცარს ხალხში** (ვაჟა, 5, 25); ...ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ **ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს სწრთვნის, ავარჯიშებს** (წერ., 9); შუბლის მოყვანილობაც სწორედ **ისეთი** მაქვს, **როგორიც** უნდა **ჰქონდეს ნიჭიერ ადამიანს**. (ბარნ., 3, 434).

შემასმენლური დამოკიდებული წინადადებისა და მისი მთავრის მიმართება ძირითადად ორგვარია:

ა) გამოხატულია თანხვდომა, იგივეობა: **როგორიცაა მცენარე, ისეთივეა** ნაყოფი. (ანდ.).

ბ) მთავარში უარყოფაა იმისა, რაც დამოკიდებულშია ნათქვამი: ის **ადარა ვარ**, რაც ვიყავ. (წერ.).

დასახელებული ტიპის წინადადებები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შეკუმშულ სახეობად გვესახება. რომ აღვადგინოთ სავარაუდო საზღვრული სახელი, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითად გადაიქცევა. მაგ.: მე მარტო ის [კაცი] ვარ, რომ ... დროება მაშინ იმისთანა [დროება], იყო, რომ... ყოველგვარი სათამაშო სწორედ ისეთი [სათამაშო] არის, როგორიც...

გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი

§176. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ადგილის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოების მნიშვნელობას ან ასრულებს მთავარში გამოტოვებული ადგილის გარემოების როლს. ის მოგვიგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდე? მთავარ წინადადებასთან მას აერთებს მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“ და მიმართებითი ზმნიზედები: სადაც, საიდანაც, საითკენაც, საითაც... მთავარში ჩვეულებრივ არის მისათითებელი ზმნიზედა: იქ, იქვე, იქით, იქითკენ, იქიდან, ყველგან, მუნ... მაგალითად: **სადაც ჭალა თავდებოდა**, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში. (ვაჟა, 5, 311). ადგილის გარემოება მთავარში გადმოცემულია მისათითებელი ადგილის ზმნიზედით („იქ“), რომლის მნიშვნელობასაც ხსნის დამოკიდებული წინადადება. კითხვა: **სად** ერეოდა ფშა მდინარეში? – იქ, „იქ“, მაგრამ სახელდობრ სად? – სადაც ჭალა თავდებოდა. ახლა ვნახოთ ასეთი მაგალითი: **სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება**, თავყვითელა ყვავილს და დათვის ტერეფას ამოეყოთ თავი. (რაზ, 195): მთავარში არ მოიპოვება მისათითებელი ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოება, ის გამოტოვებულია. დამოკიდებული წინადადება თვი-

თონ ასრულებს მთავარში გამოტოვებული ადგილის გარემოების როლს, ცვლის მას. კითხვა: **სად** ამოეყოთ თავი თავყვითელა ყვავილს და დათვის ტერეფას? პასუხი: სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება. მთავარ წინადადებაში ყოველთვის შეიძლება აღვადგინოთ გამოტოვებული ზმნიზედები. მაგ., დასახელებულ წინადადებაში გამოტოვებულია „იქ“. რომ აღვადგინოთ, მივიღებთ: სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება, **იქ** თავყვითელა ყვავილს და დათვის ტერეფას ამოეყოთ თავი.

„რომ“ კავშირით შეერთებული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია, იშვიათად კი მთავარშია მოქცეული. მთავარ წინადადებაში, როგორც წესი, წარმოდგენილია ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოება, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის და კონკრეტული შინაარსით ავსებს დამოკიდებული წინადადება: **ეზოში რომ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი,** იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული (ვაჟა, 6, 169); მე და დედაჩემი, **აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა** და **აქეთ-იქით ხევები** ჩაუდის, **იქ** ვცხოვრობდით... (ვაჟა, 5, 10).

როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია, ზმნიზედით გამოხატული ადგილის გარემოება შეიძლება იყოს არა მარტო მთავარი წინადადების იმ ნაწილში, რომელიც უსწრებს დამოკიდებულს, არამედ იმ ნაწილშიც რომელიც მოსდევს მას. მაგალითად: ყველანი **იქვე, ყანის პირში რომ პანტა დგას, იქ** მოქუჩდნენ. (ვაჟა, 5, 217).

მიმართებითი ზმნიზედით შეერთებული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უმეტესად თავშია ან ბოლოში. მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედის გამოტოვება იშვიათად ხდება და ისიც უფრო მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადება თავშია. ზოგიერთი ზმნიზედა, მაგალითად, „ყველგან“ ყოველთვის წარმოდგენილია, მისი გამოტოვება შეუძლებელია. როცა მთავარ წინადადებაში გამოტოვებულია მისათითებელი ზმნიზედა, ის შეიძლება აღვადგინოთ.

სადაც (ვარიანტებითურთ: სადაც კი, საცა, სად) მიუთითებს ადგილზე, სადაც არის საგანი ან ხდება მოქმედება. **საითაც** და **საითკენაც** გვიჩვენებს მოძრაობის მიმართულებას, **საიდანაც კი** — გამოსვლის პუნქტს. მაგ.: **საცა ჰაერი ორთქლით ღარიბია, იქ** თხელი ნამი იცის (გოგ., 208); ძერა აფრინდა და გასწია **იქით, სადაც მტრედები ასწავლა მელმა** (ვაჟა, 5, 105); **იქ, სადაც ლომის ტოტი ვეღარას** სთესავს, მელიის კუდმა უნდა მოიმკოსო! (წერ., 1, 241); პავლიამ... ღიღინით გასწია **იქითკენ, სადაც კაჭკაჭები ისხდნენ** (რაზ., 293); მსხალს თვალი დარჩა **იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა** (რაზ., 95); ნელი ნიავი **იქით** უბერავდა, **საიდანაც დათვი უნდა გამოსულიყო**... (ჯავ., 1, 117); ...ხშირად მოჩანდნენ **ყველგან, სადაც კი ბლომად მოიბოვებოდა** ახალგაზრდა **მოქეიფე ხალხი**... (ჯავ., 3, 107); აბდია და რამდენიმე

მოხუცი სტუმარს გამოეგებნენ **გარეთ, სადაც მიესალმნენ სვიმონს** (ყაზ., 103); **სადაც აქამდის ხმლით** და **ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ** სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი. (ბარ.).

როცა დამოკიდებული წინადადება მთავარშია, დამოკიდებული წინადადების წინ ყოველთის ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოებაა, ხოლო მთავარი წინადადების დანარჩენი ნაწილი მოსდევს დამოკიდებულ წინადადებას: იქ, **სადაც პირველად შევხვდი შაშვს**, ხომ არ ეგულება რამე საუნჯე? (ვაჟა); იქ, **სადაც მახვილი ვერა ჭრის**, პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს. (წერ., 1, 296).

მთავარში ზოგჯერ ორი ზმნიზედაა ნახმარი: ერთი – დამოკიდებული წინადადების წინ, მეორე – შემდეგ: **ზოგან**, სადაც ცული ვერ გამოდგება, **იქ** პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს ხოლმე! (წერ., 1, 241).

ადგილის გარემოებას შეიძლება მოსდევდეს მისათითებელი ზმნიზედა, რომელსაც ხსნის დამოკიდებული წინადადება. ამ შემთხვევაში ზუსტდება, იფარგლება და ამით უფრო კონკრეტდება იმ ადგილის გარემოების მნიშვნელობა, რომელიც სახელით არის გადმოცემული და უსწრებს მისათითებელ ზმნიზედას: გურიის დასავლეთს, **იქ, სადაც მდინარე სუფსა ერთვის შავს ზღვას**, ძევს ერთი მოზრდილი ვაკე ადგილი, **რომელსაც** ეწოდება გრიგოლეთი. (ნინ., 85).

მიმართებითი ზმნიზედით შეერთებული ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება კონსტრუქციულად არ განსხვავდება ამავე საკავშირებლებით შეერთებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებისაგან. განსხვავებას ქმნის მთავარი წინადადების შედგენილობა, სახელდობრ ის, თუ რას მიემართებიან ეს ზმნიზედები მთავარ წინადადებაში – სახელსა თუ ზმნიზედას. პირველ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მეორე შემთხვევაში კი – ადგილის გარემოებითი. მაგალითად: ვიწრო დარიალის ხეობაში, **სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის** და შავ **კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება**, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო (ყაზ., 5). აქ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მაგრამ დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებითია, როცა ვამბობთ: **იქ, სადაც** ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო.

§177. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს, გამოხატულია იმ ამბებისა თუ მოვლენა-შემთხვევების მიმართება დროის თვალსაზრისით, რაზედაც მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაშია საუბარი. თანაც ისე, რომ ერთი წინადადება მეორისადმია დაქვემდებარებული. დამოკიდებული წინადადება, რომელიც ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილს წარმოადგენს, დროის გარემოებითია. მოგვი-

გებს დროის გარემოების კითხვებზე. მაგალითად: **როცა ირემი წაიქცა,** მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიმავალი ვეფხვი. (ვაჟა, 6, 134). ამ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის დროის მიხედვით გარკვეული მიმართებაა გამოხატული, სახელდობრ ის, რომ „როცა ირემი წაიქცა“, მაშინ შენიშნა მონადირემ ირმის გასწვრივ მიმავალი ვეფხვი. კითხვა: როდის შენიშნა მონადირემ ირმის გასწვრივ მიმავალი ვეფხვი? პასუხი: როცა ირემი წაიქცა. მაშასადამე, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ემსახურება მთავარ წინადადებაში გადმოცემული ამბის, მოვლენისა თუ შემთხვევის ახსნასა და გარკვევას დროის თვალსაზრისით.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: როდესაც, როცა, რომ, სანამ, თუ არა, რაწამს, რა, რაკი, როგორც კი, ვიდრე, რაც, როს, ოდეს, მთავარში ზოგჯერ შეიძლება იყოს: მანამ, მაშინ, მაშინვე... „როს“ და „ოდეს“ ამჟამად იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს, ისიც პოეზიაში. მაგ.: **როცა დავითი შინ მივიდა,** საღამო ხანი იყო (ჭავ., 366); დილის ათი საათი იქნებოდა, **როდესაც მატარებელი ქალაქის სადგურის წინ გაჩერდა** (ლომ., 482); **ჩიტებმა რომ დაგვინახეს,** ჟივილით აიშალნენ და **მოედვნენ ტყეს** (ვაჟა, 5, 170); **სანამ მოხუცი სამგზავრო ტანისამოსს იცვამდა,** მაყვალა ტყავის პატარა ჩანთაში ულაგებდა წამლებს და ჭრილობისათვის საჭირო იარაღს (ყაზ., 615); უძრავად გავშეშდი ერთს ადგილას, **სანამ ორის დარბაისელის მუსაიფმა არ გამომაფხიზლა** (წერ., 8, 76); **წავიდა თუ არა აკაკი, მაშინვე** წავედი იაკობის სანახავად (ნაკ., 145); **რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჰკრა, მაშინვე** თოფი ჰაერში გაისროლა (ყაზ., 117); **რა გაიგეს გვრიტის საქმე,** მოინდომეს მათაც შველა (მღვ.); **რაკი მზე გადაიხრებოდა,** გამოწყობილი გავიდოდა სასეირნოდ (ბარნ., 3, 121); **როგორც კი კოდალა გაიგუდა სხვაგან,** გუგული **მაშინვე** იმის ბუდესთან დაერჭო (რაზ., 122); **ვიდრე მირზა გონს მოვიდოდა,** ცხენი უკვე მინდორზე მიჰქროდა (გვეტ., 41); ერთი თვე შესრულდა, **რაც უშანგიმ სიკვდილს გადამარჩინა** (გვეტ., 315); **როს გაზაფხული დადგება,** გავიფოთლები მწვანედა (ვაჟა, 5, 210); **ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,** იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა. (ჭავ., 188).

მისათითებელი ზმნიზედა ზოგჯერ დამოკიდებულში გადადის და რთულ კავშირს ეღებულობთ: ბევრს თავის ნებით ყელი გამოუშვერია ჩემთვის, **მაშინ როდესაც ხელში მახვილი მჭერია** (წერ., 7, 299). ჩემი განსაცდელი რა სახსენებელია, შენი ჭირიმე, **მაშინ როდესაც მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი?!** (წერ., 1, 228).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში, მთავარი წინადადების შიგნით კი იშვია-

თად გვხვდება. დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს: რომელი კავშირითაა ის მთავართან შეერთებული, როგორია დროული მიმართება მთავარსა და დამოკიდებულში გადმოცემულ მოქმედება-მოვლენებსა თუ ამბებს შორის...

დროის დარემოებით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს ხშირად აქვთ საერთო სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია ორივეში და იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ ზმნის პირიან ფორმათა მიხედვით, ან კიდევ დასახელებულია ერთ-ერთში (ჩვეულებრივ იმაში, რომელიც პირველ ადგილზეა) და იგულისხმება მეორეში იმავე ან სხვა წევრად: **წინანაურის წყაროსთან რომ მივიდა,** პირზე წყალი შეისხა (ბარნ., 1, 233); **ვაშლოვნის ხევს რომ გავცდით,** მაშინღა ამოვისუნთქეთ თავისუფლად (ბარნ., 2, 38); **ფრინველნი რომ ამ გაზიდულობაში იყვნენ,** მელა მოჰპარვოდათ ახლო. (ვაჟა, 5, 290).

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარში გადმოცემულ მოქმედება-მოვლენათა დროული მიმართება და ამ მიმართების გამოხატვის საშუალებანი მრავალფეროვანია. მიმართების ძირითადი სახეებია: 1) მოქმედებათა ერთდროულობა და 2) თანამიმდევრობა. თითოეული მათგანი გულისხმობს რამდენიმე სახესხვაობას, კერძოობითი ხასიათის შემოხვევებს, რომლებიც საერთო ნიშნის მიხედვით ერთ-ერთ ძირითად სახეში ერთიანდებიან. ამა თუ იმ მიმართების გამოხატვის საშუალებაა კავშირები, ზმნათა დროისა და მწკრივის ფორმები, მთავრისა და დამოკიდებულის წყობა, აგრეთვე მისათითებელი სიტყვები მთავარში და სხვა ლექსიკური საშუალებანი, რომლებიც მთავრისა და დამოკიდებული წინადადების ამა თუ იმ მიმართებას უფრო თვალნათლივ გახაზავენ.

ერთდროულობა, რომელიც „ჩვეულებრივ მხოლოდ წარსულშია გამოხატული“[274], გულისხმობს მთავარსა და დამოკიდებულში გადმოცემულ მოქმედებათა ისეთ შეფარდებას, როცა ორივე მოქმედება ერთ დროს ხდება, ე.ი. ერთმანეთს ემთხვევა დროის თვალსაზრისით. შეინიშნება ერთდროულობის რამდენიმე შემთხვევა:

ა) ის, რაც მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაშია გადმოცემული, გულისხმობს ორ ისეთ გრძლივსა და უწყვეტ მოქმედებას (მდგომარეობას, ნიშან-თვისებას), რომლებიც სავსებით ერთდროულად ხდება: მამა და შვილი რომ ბულბულის იუბილეზე **ბჭობდნენ,** ეს უკანასკნელი კეთილხმოვნებას **ჰფენდა** მთელ არე-მარეს (ვაჟა, 6, 353); ისინი რომ სანთლებს **აკეთებდნენ,** მე და ჩემი ამხანაგები შვინდაწლის ისრებს **ვაწებებდით**... (ვაჟა, 5, 175).

სრული ერთდროულობის გადმოსაცემად ჩვეულებრივ უწყვეტლის ფორმებია ნახმარი, დასაკავშირებლად – **რომ, როდესაც, როცა, სანამ**...

---

[274] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 217.

ბ) ის, რაც მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაშია გადმოცემული, პერიოდულად მეორდება ერთსა და იმავე დროს: როდესაც თამარი **ტიროდა**, უსულო საგნებიც კი ბანს **ეუბნებოდნენ** (ვაჟა, 5, 26); როცა თქვენს სამეფოში სანადიროდ **დაბრძანდები**, მე მუდამ თვალს **გადევნებ**. (ვაჟა, 6, 85).

ამგვარი მიმართება შეიძლება გადმოიცეს ერთი და იმავე მწკრივის ფორმებით (უწყვეტლისა, ხოლმეობითისა...), ზოგჯერ სხვადასხვა მწკრივითაც. კავშირებია: **როდესაც, როცა, რომ...**

გ) მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული ერთგზისი მოქმედება ემთხვევა დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული განგრძობილი მოქმედების ერთ მომენტს. მაგალითად: **არაგვს რომ გამოვდიოდით**, გაღმა ნაპირიდამ იხვების გუნდი **აფრინდა** და ყიჟინით გასწია თავქვე. (ვაჟა, 5, 62).

მოქმედებათა თანამიმდევრობა გულისხმობს უწინარესობასა და შემდგომობას. აქ გასარჩევია ორი ძირითადი შემთხვევა:

ა) ის, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია გადმოცემული, უსწრებს იმას, რაზედაც მთავარშია საუბარი. ასეთი მიმართება ზოგჯერ დამატებითი ლექსიკური საშუალებითაც არის აღნიშნული: **როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა**, ხალხს **გამოუცხადა** ნუგზარ ერისთავის სურვილი (ყაზ., 2, 277); **პირი რომ დაიბანა ნუშომ**, ჩაიდანს **მოუჯდა** (ბარნ., 1, 148); **რთველი რომ მოთავდება, მერე** რაღაც უცნაური სიჩუმე ჩადგება ჭალებსა და ბაღ-ვენახებში. (კ. ლორთქ.).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში თანამიმდევრობასთან ერთად ხშირად გამოხატულია ერთგვარი პირობა და მისი შედეგი. ასეა, მაგალითად, წინადადებაში: პატარა ქალები რომ კლასიდან გამოვიდოდნენ **სწავლის შემდეგ** დასასვენებლად, ის **მაშინვე** გაირეკავდა თავის ჯუჯულებს და საჩქაროდ მიაფარებდა სადმე. (რაზ., 31) აღნიშნულთან ერთად აქ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში მრავალგზისობაც არის გამოხატული.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომლის მოქმედებაც უსწრებს მთავრისას, ჩვეულებრივ თავშია. ორივე ნაწილში უმეტესად წყვეტილის ფორმებია ნახმარი. კავშირები მრავალფეროვანია გამოყენებული, სახელდობრ: როდესაც, როცა, რომ, რაკი, რა, რაც, რაწამს, როგორც კი, თუ არა. უკანასკნელ სამს სინონიმური მნიშვნელობა აქვს. ამათგან პირველი ორი (რაწამს, როგორც კი) იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, „თუ არა“ კი მოსდევს დამოკიდებული წინადადების შემასმენელს. ესენი მიგვითითებენ, რომ მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედება სწრაფად, ე.ი. უშუალოდ, მოსდევს დამოკიდებული წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების დამთავრებას. მთავარში შეიძლება იყოს ამის მისათითებლად ზმნიზედა **მაშინვე**. მაგ.: **რაწამს ფრინველები** და **პატარა ცხოველები გაიგონებენ არწივის ხმას, მაშინვე** აქეთ-იქით გულგა-

ხეთქილები იფანტებიან (გოგ., 146); **როგორც კი** კოდალა გაიგუდა სხვაგან, გუგული **მაშინვე** იმის ბუდესთან დაერჭო (რაზ., 122). **მზემ გამოანათა თუ არა, მაშინვე** აღმოსავლეთისაკენ ცას მშვენიერი ფერადი რკალი გადაეკრა. (გოგ., 206).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს **რაც**, გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების დასაწყისს, ხოლო მთავარი წინადადება იმას, თუ რა მოხდა დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებული მოქმედების შემდეგ. მაგალითად: ერთი თვე შესრულდა, **რაც უშანგიმ სიკვდილს გადამარჩინა**. (გვეტ.,315). ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოშია. მთავარ წინადადებაში შეიძლება იყოს **მას შემდეგ** (ან: **მას აქეთ**): თითქმის ერთი წელიწადი გავიდა **მას შემდეგ, რაც ის ქალი აღარ მენახა** (ჯავ., 3, 547); **კარგა ხანი გავიდა მას აქეთ, რაც პირველად მიაქცია თებერამ ეონას ყურადღება**. (ბარნ., 2, 422).

ასეთსავე დროულ მიმართებას გამოხატავს იშვიათად ისეთი დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც მთავართან შეერთებულია კავშირით **რაკი**. მაგალითად: **მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!** (ჭავ., 72).

ბ) ის, რაც მთავარშია გადმოცემული, უსწრებს იმას, რაზედაც დამოკიდებულშია საუბარი. მთავართან აერთებს: **რომ, როცა, ვიდრე, სანამ**: ამისი თქმა ძლივ გაათავა არჩილმა, **რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ** (ჭავ., 451); **ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა**, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა (ვაჟა, 6, 163); **სანამ ეს თოფს ხელმეორედ გასტენდა**, ჯიხვი კლდეზე ავიდა და მარდად გაუსვა მაღლა ფრიალოებისაკენ. (რაზ., 200).

სანამ და **ვიდრე** კავშირებით შეერთებული დამოკიდებული წინადადება დასახელებულ მაგალითებში უსწრებს მთავარს, მაგრამ იშვიათად შუაშია ან ბოლოში: მგლებმა, **ვიდრე დათვს ქებას შეასხამდნენ**, ლომი და ვეფხვი დაჰგმეს (ვაჟა, 6, 251); ადამიანი, **სანამ რასმეს გადაწყვეტდეს**, კარგად უნდა დაფიქრდეს (გ. ჩიქ); არზაყან ვაშლის ხესთან იდგა, **ვიდრე ძაღლების გნიასი არ მიწყნარდა** (გამს.); **იქამდე** ჩასცქეროდა ერთ წერტილს, **სანამ ვინმე არ გამოაფხიზლებდა**. (ჯავ., 1, 131).

დამოკიდებელ წინადადებაში მეტწილად ნახმარია ხოლმეობითის ფორმა, მთავარში – წყვეტილისა, მაგრამ გვხვდება სხვა მწკრივების ფორმათა შეხამებაც, როგორც ეს დამოწმებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. სხვა კავშირებით (რომ, როცა...) შეერთებისას ორივე ნაწილში წყვეტილის ფორმაა, ან დამოკიდებულში წყვეტილია, ხოლო მთავარში შეიძლება სხვა მწკრივის ფორმაც შეგვხვდეს (მაგ., II თურმეობითისა); ოღონდ აქ ქვეწყობილი წინა-

დადების ნაწილების დროული მიმართების უფრო თვალნათლივ გამოსახატავად მთავარში შეიძლება იყოს ნაწილაკი „უკვე“, რომელიც მიუთითებს, რომ მოქმედება შესრულებულია. მაგალითად: **ბაბო რომ ადგა დილას,** სარდიონი უკვე სამსახურში იყო წასული (კლდ., 1, 99); **როცა უკანკვე გამოვიდნენ,** კოხტა გორის უკან **უკვე** მზე ამოსულიყო. (ჯავ., 2, 51).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მთავარი წინადადების დროის გარემოებას მიემართება და აზუსტებს მას (მსგავსად განკერძოებული დროის გარემოებისა). მაგ.: **ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,** შუაღამე იწვის, დნება (ტაბ.); **ბოლოს, როცა კვლავ მოესმა დედის უსასოო ძახილი,** კარისაკენ მოგონილი სიმშვიდით გაემართა (გვეტ., 215); **ხშირად, როდესაც ყმაწვილი ვეღარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს,** უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე (წერ., 1, 7); **ხანდახან, როცა ქვაბის სარქველს ორთქლი შეათამაშებდა,** ოხშივარი პირდაპირ ცხვირში ეცემოდათ (ვაჟა, 6, 273); **წინათ-კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე,** ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას (ვაჟა, 5, 87); **ერთხელ, ზამთარი რომ დადგა,** მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდ-კოდლების კეთება დავიწყეთ. (წერ., 1, 38).

როდესაც (როცა) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი ძირითადი საკავშირებელია. მაგრამ თუ „როდესაც“ (როცა) მიემართება მთავარში სახელით გამოხატულ წევრს, დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია (და არა დროის გარემოებითი): არიან ადამიანის ცხოვრებაში **იმისთანა წუთნი** მარტოობისა, **როცა** ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს (ჭავ., 256); არის ხოლმე **ისეთი წამები, როდესაც** სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში (ყაზ.). **ის ძველი დრო** მოაგონდა, **როცა** დახუნდარა მისი მესაიდუმლე იყო. (კ. ლორთქ.).

დამოკიდებული წინადადება იშვიათად ერთდროულად ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ადგილისა და დროის მისათითებელი ზმნიზედების მნიშვნელობას, თვითონ კი მთავართან შეერთებულია ადგილისა და დროის მიმართებითი ზმნიზედებით. მთავარი და დამოკიდებული – ორივე არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადებაა (§148). მაგალითი: ყველა მის ქვეშევრდომს შეეძლო აერჩია გულის სწორი **იქა** და **მაშინ, სადაც** და **როდესაც** ჰპოვებდა მას ბედნიერი. (ბარნ., 3, 249). ასეთი დამოკიდებული წინადადება ერთდროულად ორ ფუნქციას ასრულებს.

§178. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში პირობით ვაერთიანებთ ისეთ დამოკიდებულ წინადადებებს, რომლებიც

გამოხატავენ მსგავსება-შედარებას ან კიდევ გვიჩვენებენ როგორობას, ზომა-ოდენობას და ჯერობას იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. ასეთი დამოკიდებული წინადადებები ანალოგიურია საკუთრივ ვითარების, აგრეთვე ზომა-ოდენობისა და ჯერობის გამომხატველი გარემოებებისა, რომლებიც ასევე პირობით ვითარების გარემოებაში გვაქვს გაერთიანებული და მოგვიგებენ იმავე კითხვებზე, რომლებზედაც დასახელებული ტიპის გარემოებანი (როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ?).

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში გაერთიანებული დამოკიდებული წინადადებები როგორც სტრუქტურულად, ისე მთავართან მიმართების თვალსაზრისით მრავალფეროვანია. ისინი გამოხატავენ უფრო რთულსა და მრავალფეროვან მიმართებას, ვიდრე დასახელებული ტიპის გარემოებანი. მაშასადამე, ტერმინში „ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება“ ჩვენ ვგულისხმობთ სტრუქტურულად და ფუნქციურად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულ დამოკიდებულ წინადადებებს.

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მაქვემდებარებელი კავშირები და მიმართებითი სიტყვები (ჩვეულებრივ მიმართებითი ზმნიზედები): რომ, ისე რომ, თუ, თითქოს, თითქო, ვითომც, რამდენადაც, რამდენჯერაც, რაც (რაც უფრო), როგორც, ვითარცა. მთავარში ჩვეულებრივ წარმოდგენილია ვითარების, ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნიზედები: ისე, იმდენად, ისეთნაირად, იმგვარად; ესოდენ, უფრო (მით უფრო) ...ერთმანეთთან შეპირისპირებით ვლებულობთ ასეთ წყვილებს: ისე – რომ, იმდენად – რომ, ისეთნაირად – რომ, იმგვარად – რომ, ისე – თუ, ისე – როგორც, ისე – თითქოს (ისე – თითქო), რამდენადაც – იმდენად, რამდენჯერაც – იმდენჯერ, ისე – ვითომც, ვით – ისე, რაც – ისე, რაც უფრო – მით უფრო... დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში, რისთვისაც მნიშვნელობა აქვს, რომელი კავშირითა თუ საკავშირებელი სიტყვით არის ის მთავართან შეერთებული და ამის შესაბამისად როგორი მიმართებაა გამოხატული რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის.

„რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მეტწილად ბოლოშია. მისათითებელი ზმნიზედა, რომლის გამოხატვაც იშვიათად ხდება, უმეტესად მთავარი წინადადების შემასმენელს ახლავს, მაგრამ ზოგჯერ ის შეიძლება ახლდეს ზედსართავი სახელითა და უპირო ზმნით გადმოცემულ ვითარების გარემოებას, განსაზღვრებას, აგრეთვე ადგილისა და დროის ზმნიზედას (ისე ახლოს, ისე ადრე...). ყველა დასახელებულ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს საკორელაციო ზმნიზედის მნიშვნელობას: დაბლად ჩამოწოლილი ნისლი... **ისე აბნელებდა** იქაურობას, **რომ კაცი თვალთან მიტანილს**

თითს ვერ გაარჩევდა (ყაზ., 217); ...თეიმურაზმა **ისე** **მძლავრად** ამოიოხრა, **რომ** **გვერდით მდგომმა** **გლეხებმა** **გაოცებით** **გადმოჰხედეს** (ჯავ., 2, 407); მოხუცმა **ისე** **გადაკვრით** დაუწყო ლაპარაკი, **რომ** **კობასთვის** **გამოაშკარავდა** **იმისგან** **თავის** **დაფარვის** **სურვილი** (ყაზ., 421); ის ბიჭი **ისე** **გამოშტერებული** იდგა, **რომ** **სიტყვის** **განმეორებას** **ვერ** **ახერხებდა** (წერ., 33); **სწორედ** **კაცს** **რომ** **წყალი** **მოსწყურდება**, **ისე** **მოსწყურდა** იმის სიტყვების გაგება (ჭავ.); **წვეთი** **რომ** **მოსწყდება** **ვერცხლის** **წყალს**, **ისე** **ერთბაშად** მოსწყდა [ბიჭი] ამხანაგებს და კოშკისაკენ გასწია. (კ. ლორთქ.).

ექსპრესიულობის გასაძლიერებლად ზოგჯერ მეორდება მთავარი წინადადების შემასმენელი თუ ზმნიზედა მისათითებელი ზმნიზედითურთ: **ისე** **შემეშინდა**, **ისე** **შემეშინდა**, რომ წამს სუყველაფერი დამავიწყდა (ლომ., 459); ეს ყველა **ისე** **სწრაფად** მოხდა, **ისე** **სწრაფად**, რომ კაცი ძლივს მოასწრებდა თვალს. (ყაზ., 212).

მისათითებელი ზმნიზედა შეიძლება მხოლოდ განმეორებულს ახლდეს ან მარტო განმეორდეს: ამ დროს ცამ **საშინლად** დაიჭექა, **ისე** **საშინლად**, რომ მთელმა სახლმა ზანზარი დაიწყო (ვაჟა, 6, 77); **ისე** **ხარხარებდა**, **ისე**, **ისე**, რომ... (რაზ., 74).

ბოლო მაგალითში დამოკიდებული წინადადება არ არის წარმოდგენილი, ის იშვიათად შეიძლება მარტო შორისდებულით გადმოიცეს, რომელიც მთავართან **რომ** კავშირით არის შეერთებული: აქებდნენ, **ისე** აქებდნენ, რომ **ჰა!** (ლომ.). ყველაფერი ეს, რასაც სტილისტიკური მიზნით მიმართავენ, დამახასიათებელია დასახელებული ტიპის ქვეწყობილი წინადადებისათვის.

„რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (როცა მთავარშია „ისე“), გარდა ვითარებისა, ხშირად ერთგვარ შედეგსაც გამოხატავს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი: ჩემი თოფი **ისე** გაცხელდა, რომ ხელსა მწვავს (ჯავ., 3, 327). დამოკიდებული წინადადება „რომ ხელსა მწვავს“ ხსნის და აზუსტებს მთავარი წინადადების ვითარების ზმნიზედას და თანაც გადმოგვცემს იმ შედეგს, რომელიც მოსდევს თოფის გაცხელებას.

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარ შემასმენელს, რომელთაც ცალ-ცალკე უძღვის მისათითებელი ზმნიზედა: თინანომ **ისე** შეიგნო ეს თავის მოვალეობა, **ისე** შეუწყო ხელი ავადმყოფს, **ისე** შეუწონა მის ხასიათს, **რომ** **სენი** **გაუადვილა** **ვაჟკაცს**. (ბარნ., 1, 354). „რომ“ კავშირი ზოგჯერ გამოტოვებულია. დამოკიდებულ წინადადებასა და მის სახეს გვანიშნებს მთავარში ნახმარი მისათითებელი ზმნიზედა. ასეთი დამოკიდებული წინადადება მთლად უკავშიროდ ვერ ჩაითვლება, რამდენადაც მთავარ წინადადებაში ნახმარი ზმნიზედა რთული

წინადადების ნაწილების გადაბმის საშუალებაცაა: **ისე** მძლავრად გაისმა ძაღლის ღრიალი ამ სიჩუმეში, **მკვდარს წამოახტუნებდა** (ბარნ., 2, 375); ყაფლანი **ისე** იყო აღელვებული, **ხმის ამოღება გაუჭირდა** (გვეტ., 95); კაკბის კალთა ზევიდან წნელით ისე გავწან-გამოვწან, **ბუზიც ძლივ გაძვრება შიგ.** (ვაჟა).

მისათითებელი ზმნიზედა იშვიათად დამოკიდებულს ეკედლება და ვლებულობთ რთულ კავშირს „ისე რომ“ (ასე რომ): აკაკიმ გაზეთებს დაუწყო თვალიერება, **ისე რომ** საუბარი არ გაუწყვეტია (გვ. 357); ხელმწიფემ ამოიოხრა, **ისე რომ** გულ-ღვიძლი თან ამოატანა... (წერ., 8, 120); ახლა სხვები გამოვიდნენ, ახლა კიდევ სხვები რიგრიგობით, **ასე რომ** წესი არავის დაურღვევია. (წერ., 1, 249).

„რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, როგორც უკვე ითქვა, ჩვეულებრივ მოსდევს მთავარ წინადადებას. მთავარსა და დამოკიდებულს რომ ადგილები შეუნაცვლოთ, „რომ“ კავშირი ხშირად ამოვარდება. მაგალითად: ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, **რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა**... (ყაზ., 2, 290), მაგრამ: **მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, ისე** ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი. ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება იშვიათად გეხვდება. მაგალითად: ყვინჩილამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, **ისე** უცებ მოექცა ქორს კლანჭებში (რაზ., 313); **მე არაფერი აღარ მესმოდა, ისე** შორს ვიყავ (ჭავ., 278); **ბიჭს უკან არ მოუხედავს, ისე** გაიარა რიყე. (ა. სულაკ.).

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი გადმოცემულია მეორე კავშირებითის ან მეორე თურმეობითის ფორმით (III კავშირებითის მნიშვნელობით), დამოკიდებული წინადადების პირველ ადგილზე დასმისას „რომ“ შეიძლება არ ამოვარდეს (შეიძლება არ ამოვარდეს ზოგჯერ მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობითი კილოს ფორმაა): **ისე** როგორ მოსცდება შვინდი, რომ ყვითლად აღარ გამოიჭყიტოს გაღმა პირმზითიდამ (ვაჟა, 5, 155) – **ყვითლად რომ აღარ გამოიჭყიტოს გაღმა პირმზითიდამ, ისე როგორ მოსცდება შვინდი; ისე** არსად გავიდოდა სიდონია წაღვერიდან, **რომ ჯუანისთვის ერთი კონა ზამბახი არ მოეტანა** (ჯავ., 2, 78) – **ჯუანისთვის რომ ერთი კონა ზამბახი არ მოეტანა, ისე** არსად გავიდოდა სიდონია წაღვერიდან.

ვითარების ზმნიზედათაგან, გარდა „ისე“ ზმნიზედისა, მთავარში შეიძლება იყოს ზოგიერთი სხვაც: ასე, აგრე, იმდენად, ისეთნაირად... მაგ.: შენ რომ **გგონია, ასე** უბრალოდ არ არის ეგ ნათქვამი (დად., 330); **აგრე** ხომ არ არის მართლა ქვეყანა მომართული, **რომ ერთმა იმუშაოს** და სხვამ იქეიფოს! (ჯავ., 2, 154); ეს **ისეთნაირად** მითხრა, რომ... **მაშინვე გამოვტრიალდი** (ჭავ.); უნდა **იმგვარად** დავ-

ლეწოთ თქვენთა ციხეთა ბურჯები, **რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი.** (ლ. ასათ.).

მთავარ წინადადებაში, რომელთანაც დამოკიდებული წინადადება „რომ“ კავშირით არის შეერთებული, მისათითებლად შეიძლება იყოს ზომა-ოდენობის ზმნიზედა „იმდენად“. ეს ზმნიზედა მთავარ წინადადებაში შეიძლება ახლდეს არა მარტო პირიან ზმნას, არამედ უპიროსაც, აგრეთვე ზედსართავსა და თვით ზმნიზედასაც. დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს ნიშან-თვისებისა თუ მოქმედების ზომა-ოდენობის ხასიათს, მის ხარისხს და თანაც გვიჩვენებს ერთგვარ შედეგს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. მაგ.: წისქვილმა **იმდენად გააკვირვა** ყველანი, **რომ კარებსაც კი ... და შეშით დახურულს ჭერს გაცვიფრებულნი სინჯავდნენ** (ვაჟა, 5, 110); **იმდენად დაღმეჭილი** სახე ჰქონდა წამებისაგან, **რომ მისი გარკვევა და დახსომება თითქმის შეუძლებელი იყო** (ჯავ., 3, 518); ... მისი რწმენა **იმდენად ძლიერი იყო, რომ მორწმუნე მამულიშვილს ყველგან ერთსა** და **იმავეს ალაპარაკებდა**... (ჯავ., 3, 347).

„იმდენად“ ზმნიზედის მნიშვნელობით მთავარში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ზმნიზედა „იქამდის“ (იქამდე): კოდალა ეხლა **იქამდის** გათამამდა, **რომ მეფესაც აუხირდა** (ვაჟა, 5, 290); აი, ამ პაპას გონება **იქამდე შეზღუდული** აქვს, რომ დღესაც სჯერა და ჰგონია... (ვაჟა, 6, 76).

როცა მთავარ წინადადებაში მისათითებლად გვაქვს ზომა-ოდენობის ზმნიზედა „იმდენად“ (იმდენადვე), დამოკიდებულ წინადადებას ჩვეულებრივ იწყებს მიმართებითი ზომა-ოდენობის ზმნიზედავე „რამდენადაც“. ასეთი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია. ზომა-ოდენობის მისათითებელი ზმნიზედა მეტწილად წარმოდგენილია წინადადებაში (თუ გამოტოვებულია, მისი აღდგენა ადვილად შეიძლება). ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს ზღვარს იმ ზომა-ოდენობისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი: **რამდენადაც უფრო მრავლდებოდნენ ბეღურები, იმდენად** უკეთესი მოსავალი მოდიოდა (გოგ.); **რამდენადაც ღონე და სიმარდე ემატებოდათ ჩვენს პატარა თევზებს,** იმდენად უფრო გულადნი ხდებოდნენ (გოგ., 195); **რამდენადაც მოხუცი მეტს უყურებდა დაჭრილ ვაჟკაცს, იმდენად** მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა. (ყაზ., 49).

მისათითებელ ზმნიზედას შეიძლება ახლდეს რაოდენობითი რიცხვითი სახელი: **რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი.** (ჭავ., 247).

გვხვდება სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული წესიდან გადახვევის შემთხვევები:

1. მისათითებელი და საკავშირებელი ზმნიზედები სახელობით

ბრუნვაშია: **რამდენიც** სიცხე უჭერდა, **იმდენი** მწვავდებოდა ბრძოლა ბესოსა და ცეცოს შორის (ევდ., 3, 272); **რამდენიც** უფრო მეტს კითხულობდა, **იმდენი** უფრო ნათლად ხედავდა. (ბარნ., 1, 46).

2. საკავშირებელი სიტყვა სახელობით ბრუნვაშია, მისათითებელი – ვითარებითში: **რამდენიც** მეტს ლაპარაკონდა, **იმდენად** უფრო ანჩხლდებოდნენ. (დ. შენგ., 2, 291).

როცა დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს მიმართებითი ზმნიზედა „რამდენჯერაც“, მთავარ წინადადებაში მისათითებლად გვაქვს (ან იგულისხმება) „იმდენჯერ“. ეს ზმნიზედები ჯერობას, მოქმედების განმეორებას გადმოგვცემენ. ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთმიმართება ისეთია, რომ დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული ყოველი განმეორებული მოქმედების შესაბამისად მეორდება ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. მაგ.; **რამდენჯერაც ახალი წელი დგება, იმდენჯერ** მეც განახლებას ვგრძნობ (ვაჟა); **რამდენჯერაც ნიავის შებერვაზე სიმინდის ფუჩეჩი გაიშრიალებდა**, მუცელასაც **იმდენჯერ** ტანი **აუცახცახდებოდა** (ვაჟა, 5, 350); **რამდენჯერაც ტახი კბილს გაჰკრავდა**, დათვი თვითეულს ჭრილობას ბღავილით ამოწმებდა. (ვაჟა, 6, 259). ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, უსწრებს მთავარს.

ზოგჯერ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს „რაც“ ან „რაც უფრო“, მთავარში კი საპირისპიროდ დასახელებულია ერთერთი ამათგანი: უფრო, მით უფრო, იმდენად, იმდენად უფრო... ამ შემთხვევაში რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების ურთიერთმიმართება ასეთია: იმის შესაბამისად, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია გადმოცემული, ძლიერდება და უფრო ინტენსიური ხდება მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედება: **რაც დრო გადიოდა**, ის **უფრო** მხეცდებოდა... (გვეტ., 317); **რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო** ძლიერდებოდა უიმედო ტრფობის ალი (ბარნ., 2, 235); **რაც უფრო ზევით მიიწევდნენ**, ჰაერი **უფრო** გამჭვირვალე და მსუბუქი ხდებოდა (გ. შატბ.); **რაც უფრო მეტი ამაგი დასდო მან თავის მამულს, იმდენად უფრო** დაუახლოვდა მას, გაიცნო და დაუკავშირდა (ბარნ., 3, 152); სადილი **რაც უფრო** გრძელდებოდა, **უფრო** და **უფრო** ეტყობოდა მხიარულება ყველას. (წერ., 1, 16).

ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია ნახმარი. (ჩვეულებრივ უწყვეტლისა). დამოკიდებული წინადადება, საზოგადოდ, მთავარი წინადადების წინაა, მაგრამ იშვიათად შეიძლება მოსდევდეს მას, როგორც ეს ამ მაგალითში გვაქვს: [ბესიკს] **მით უფრო** შეჰკვნესოდა გული, **რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს**. (ბარნ., 2, 319).

ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია ნახმარი ჩვეულებრივ რთუ-

ლი ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადება მთავართან შეერთებულია მიმართებითი ზმნიზედით „რამდენჯერაც“, ხოლო მთავარ წინადადებაში მისათითებლად დასახელებულია (ან იგულისხმება) „იმდენჯერ“. სხვა შემთხვევებში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება როგორც ერთი და იმავე, ისე სხვადასხვა მწკრივის ფორმები.

კავშირები „თითქოს“ (თითქო), „ვითომც“ სიახლოვეს, ვარაუდს გამოხატავენ, მაგრამ რაც ნამდვილად არ არის. მთავარში ჩვეულებრივ არის მისათითებელი ზმნიზედა „ისე“[275]. დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს, მაგრამ იშვიათად მთავარი წინადადების წინაც გვხვდება. მაგ.: **ისე გვექცეოდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით** (ბარნ., 2, 134). ცა **ისე** მოიწმინდა, **თითქო ცოცხით დაუგვიათო** (რაზ., 130); **თითქო ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანო, ისე** მოჩანდა არწივის ლაშქარი (ვაჟა, 6, 35); **მე ისე** მეჩვენება, **ვითომც სახის მეტყველება შესცვლოდა** (ჭავ., 267); ვირი ხალხს **ისე** აჩვენებდა თავს, **ვითომდა უნაგირი ჯერ არ ენახა და ყალყზე დგებოდა, ფრუტუნებდა**. (ვაჟა).

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც უკვე ითქვა, პირობით შეგვაქვს ისეთი დამოკიდებული წინადადებაც, რომელიც შედარებას გამოხატავს. ასეთ დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს „როგორც“ ან „ვით“, ხოლო მთავარში არის „ისე“ ზმნიზედა, რომელიც იშვიათად შეიძლება გამოვტოვოთ. მთავარში საუბარია იმაზე, რაც უნდა იქნეს შედარებული, დამოკიდებულში კი იმაზე, რასაც უნდა შევადაროთ. დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში. მაგ.: როგორც **ერთია ქვეყანა მთელი, ისე** ერთია გალაკტიონი (ტაბ.); პირველი რიგი მტრის ჯარისა **ისე** დაემხო დედამიწაზე, **როგორც ცელით ძირში მოჭრილი გამხმარი ყანა იქცევა ძირს** (გოგ., 257); **როგორც გველს ეჯავრება გოგირდი, ისე** მეზობლებს ეჯავრებოდათ მამაშენი (წერ., 267); ვით წყვდიად ღამეს გაანათებს ელვა, ისე მოულოდნელად ჩემი შავი ჭერი შენ განანათლე (ლორთქ, 2, 301); მამაჩემი **ისე** უვლიდა ვენახს, **როგორც დედა უვლის შვილს**. (გოგ.).

„როგორც“ ზმნიზედის მნიშვნელობისაა „ვითარცა“, რომელიც ახალ ქართულში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს. მაგ.: კინაღამ თავის გმირი თავი არ დასდო მდელოსა ზედა, **ვითარცა** ჰშვენის ნამდვილს მამულიშვილს (ვაჟა); **ვითარცა** გედი ზღვისა სივრცეში მიმომცურავი იკვეთავს გზასა, **ისე** მეც ვტოპავ გრძნობათა ზღვაში და მივაცურებ სიცოცხლის ნავსა. (ტაბ.).

შედარების გამომხატველი დამოკიდებული წინადადება ხში-

[275] მთავარ წინადადებაში კორელატად ზოგჯერ ნაცვალსახელია ნახმარი, უნდა იყოს ვითარების ზმნიზედა: სთქვა და ისეთი ამოიხვნეშა, თითქოს გულ-ღვიძლი ამოატანაო! (წერ., 7, 135).

რად უსრულია: მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (უმეტესად შემასმენელი). ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას აქვთ საერთო სიტყვები, რომლებიც დასახელებულია მთავარში, ხოლო დამოკიდებულში ადვილად იგულისხმება. ასეთი უსრული დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მოსდევს მთავარს. მაგ.: მთის კალთებს შვენის ცხვარძროხა, **როგორც ლამაზ ქალს ხალები** (ვაჟა); ჩვენი არწივი **ისე** დასცურავს სივრცეში, **როგორც შავი ნაფოტი უზარმაზარ ლურჯ მორევში** (ჯავ., 2, 525); მტერი პირდაპირ **ისე** საშიში არ არის, **როგორც მოყვრულად** შინ მელასავით შემოპარული (წერ., 1, 232); ჩემი ფანჯრიდან მთვარე **ისე** ჩანს, **როგორც** ვეებერთელა ლიმონის ნაჭერი უზარმაზარ ჭიქაში (გვეტ., 311); მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები, **ვით მოცურავე თეთრი ქალები**. (პ. იაშ., „თბილისი“).

ამ ტიპის უსრული დამოკიდებული წინადადება იშვიათად უსწრებს მთავარს ან მთავარშია, მაგრამ ისე, რომ მას უშუალოდ მოსდევს მისათითებელი ზმნიზედა „ისე“. მაგალითები: **როგორც გრიგალი ქარიშხლისა, ისე** გაქანდა რაზმი ქართველებისა (ლომ., 434); გამხნევებული ამირანა, **როგორც ვეფხვი, ისე** დატრიალდა. (ლომ., 172).

მისათითებელი ზმნიზედა ზოგჯერ დამოკიდებულში გადადის: ისინი ვერ არჩევენ თავისიანს და სხვისიანს, ხშირად სასიკვდილოდაც იმეტებენ შინაურს, ოღონდ გარეულის გული კი მოიგონ, **ისე როგორც** ფატმანმა ჭაშნაგირის განწირვით მოიგო უცხო მოყმის გული. (წერ., 8, 157).

დამოკიდებული წინადადება ერთდროულად შეიძლება იყოს ვითარების გარემოებითი და განსაზღვრებითი, ან ვითარების გარემოებითი და ადგილის გარემოებითი. ასეა მაშინ, როცა მთავარ წინადადებაში დასახელებულ დამოკიდებულ წინადადებათა კორელატებია, ხოლო დამოკიდებულს მთავართან აერთებს მათი შესაბამისი მაქვემდებარებელი კავშირები თუ წევრ-კავშირები: თეიმურაზმა ამ გუჯრებსა და წიგნებში **ისე** ღრმად ჩაჰყო ცხვირი და **ისეთის** გულმოდგინებით ჰქექავდა ნაგავს, **რომ** კინაღამ თვითონაც დალპა, გაჩრჩილდა და გაჭიავდა (ჯავ., 2, 239); ჩვენ კი **ისევ** ვყიდულობთ და **იქიდან, როგორც** და **საიდანაც** სხვებიც ყიდულობენ. (ბარნ.).

„ვიდრე“ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან, იშვიათად – ვითარების გარემოებითსაც. გამოხატავს შედარებას. მაგ.: ტკბილი სიტყვით და კეთილი გულით **უფრო მეტს** მოიგებ, **ვიდრე** მუქარით და ძალით (ჯავ.); ლომები და ვეფხვები **უფრო მეტად** გაფრთხილებულნი არიან, **ვიდრე** ვირთხები და თრიტინები. (გამს.).

ვითარების გარემოებითად უნდა იქნეს გაგებული „თუ არ“,

„თუგინდ“ კავშირებით შეერთებული დამოკიდებული წინადადებები რომელთა კორელატია „ისე“ ზმნიზედა. მაგ. **თუ არ მოხერხეთ, ის**ე სხვაგვარად ის არ მოელის კეთილსა ბოლოს (წერ.); ახლა **ის**ე წავალ შინ, **თუგინდ ფრთები მჭონდეს**. (კლდ.).

გვხვდება კორელატებისა და წევრ-კავშირების მცდარად ხმარების შემთხვევებიც. მაგალითად, **როგორიც** მიმართებითი ნაცვალსახელია, **როგორც** – მიმართებითი ზმნიზედა. პირველის შესაბამისი კორელატია **ისეთი** (ისეთივე), მეორისა – **ისე (ისევე)**, ასე რომ, ერთმანეთთან შეპირისპირებით გვაქვს ასეთი წყვილები: **ისეთი** (ისეთივე) – **როგორიც, ისე** (ისევე) – **როგორც**. არცთუ იშვიათად ან კორელატი არ არის სწორად შერჩეული, ან წევრ-კავშირი: ეს ნაწნავები **ისე** (?) გრილი და შავი ეჩვენა, **როგორიც** იყო იმ წუთში თვით დედამიწა (გამს., 1, 458); **ისეთი** სიჩუმე იდგა, **როგორც** (?) უფრინველო ტყეში (ლეონ., 87); კესანეც **ისეთივე** სუსტი იყო, როგორც (?) ია. (რაზ.).

როგორც ზოგჯერ **რამდენიც** წევრ-კავშირის ნაცვლად არის ნახმარი: არც ერთ თემას არ შთაუნერგავს **იმდენი** კარგი ლექსი, მოთხრობა თუ რომანი, **როგორც** (?) ხალხთა მეგობრობას. (კ. ლორთქ., 3, 383).

იშვიათად ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავართან შეერთებულია მიმართებითი ნაცვალსახელით (რომელიც, რამდენიც, რაც) ან მაქვემდებარებელი კავშირით „თუ“, მთავარში კი მისათითებლად გვაქვს ვითარების ან ზომა-ოდენობის ზმნიზედა. მაგ.: ისინიც, მთის ჩვეულებისამებრ, ძაღლს **ის**ე უჯავრდებოდნენ, **რომელიც** (?) უფრო წაქეზება იყო... (ყაზ., 286); **რამდენსაც** (?) იმხიარულებთ, **იმდენად** წუთის სოფელს დაამუნათებთ (ვაჟა, 5, 5); **რასაც** (?) შენ გვეტყვი და გვირჩევ, ჩვენც **ის**ე მოვიქცევით (ვაჟა, 5, 128); კვაჭი **ის**ე როგორ დაიძინებს, **თუ** რულეტს ერთი საათით მაინც არ მიუჯდეს, **თუ** რამდენჯერმე რვა და ცხრა არ გადაშალოს, **თუ** მაძღრად არ ივახშმოს, ზედლიკიორი არ დააყოლოს (ჯავ., 3, 366); ძველად საქართველოში არც ერთი ეკლესია არ აშენდებოდა **ის**ე, **თუ** უკან საქალებოც არ ექნებოდა მოდგმული. (წერ., 1, 128). პირველ სამ წინადადებაში საკავშირებელი სიტყვა ვერ არის სათანადოდ შერჩეული.

§179. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზეზის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. ის მოგვიგებს მიზეზის გარემოების კითხვებზე: **რატომ? რის გამო**? (რა მიზეზით?). მთავარ წინადადებასთან მას აერთებს: რომ, იმიტომ რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი, რახან, რაღაი მთავარში მისათითებელი მიზეზის ზმნიზედებია: მიტომ, იმიტომ, ამიტომ, იმის გამო, ამის გამო. ერთმანეთთან შეპირისპირებით გვაქვს ასეთი წყვილები: იმიტომ – რომ, მიტომ – რომ, იმის გამო – რომ

რაკი – ამიტომ, რაკი – ამის გამო.

„რომ“ კავშირით შეერთებული მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოშია. მთავარ წინადადებაში თითქმის ყოველთვის არის მისათითებელი ზმნიზედა „მიტომ“, „იმიტომ“ ან „იმის გამო“. მაგ.: სხვისი სახელით წიგნს **მიტომ** გწერდი, **რომ შეგხვედროდი მარტოს ფარულად** (წერ.); გარეთ **იმიტომ** გამოვიდა, **რომ შინ ჯდომა აღარ შეეძლო** (ჯავ., 2, 27); ბედნიერება უფრო **იმის გამო** მიათკეცდება, **რომ გზა-გზა რამდენსამე ხიფათს გადავრჩით უვნებლად, მშვიდობიანად.** (ვაჟა, 6, 328).

როცა „იმიტომ“ (ამიტომ) მთავარი წინადადების ბოლოში მოხვდება, ზოგჯერ ის ინტონაციურად დამოკიდებულ წინადადებას ეკედლება და რთულ კავშირს ვღებულობთ: „იმიტომ რომ“ (ამიტომ რომ). ასეთ შემთხვევებში მძიმე რთული კავშირის წინ დაისმის და მთავარ წინადადებას მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებს: ამას „სუტ-კნეინას“ ეძახოდნენ, **იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა** (ჭავ., 352); ამათშიაც ყველაზე უპირველესი ფუტკარია, **ამიტომ რომ მარტო კაცის მუშა კი არ გახლავსთ, ღვთის მოსამსახურეც არი.** (წერ., 8, 114).

როცა დამოკიდებული წინადადება პირველ ადგილზეა, მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედაა „ამიტომ“ (ან: ამის გამო): **მაშ სევერიანს რომ პაპიროსის ყიდვა და ყბედობა მოუნდეს, ამის გამო** ადამიანი უნდა მოკვდეს? (ჯავ., 2, 32).

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავართან შეერთებულია მიზეზის კავშირებით „რადგანაც“ და „ვინაიდან“, მოსდევს მთავარს (უმეტესად) ან უსწრებს მას. როცა ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ბოლოშია, მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედა არ მოიპოვება, ხოლო როცა თავშია, მთავარში მისათითებლად შეიძლება იყოს „ამიტომ“ ან „ამის გამო“: წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში, **რადგანაც გამძღარი მიწა ვეღარ ისრუტავდა** (ყაზ., 214); **რადგანაც ძილიც გატეხილი მქონდა,** წიგნის კითხვა დავიწყე (წერ., 1, 125); უმცროსმა უფროსს უნდა გაუგონოს, **ვინაიდან უფროსს მეტი ჭკუა აქვსო** (ვაჟა, 6, 72); **ვინაიდან ჯუანშერის სიკვდილი თქვენ გედებათ, ამიტომ** დარდიც თქვენივე უნდა აიკიდოთ. (ჯავ., 2, 72).

„რადგანაც“ და „ვინაიდან“ კავშირებით შეერთებული დამოკიდებული წინადადება ი'შვიათად მთავარშიც გვხვდება: ...ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, **რადგანაც სულ ერთად იყვნენ,** არა ჰკოცნიდნენ ხელზე. (წერ., 1, 28).

დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავართან შეერთებულია **რახან** ან **რაღაი** კავშირით, ჩვეულებრივ პირველ ადგილზეა: **რახან ეგრეა,** ჩვენებურ ღვინოს დაგალევინებ (კ. ლორთქ.); **რაღაი თხოვება-გათხოვებაზე ჩამოვარდა სიტყვა,** მართლა უნდა გაგიმ-

ჟღავნოთ ჩემი წადილი. (გვეტ.).

„რაკი“ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადები საკავშირებელია (§175), მაგრამ ზოგჯერ ის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. ამ ტიპის მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია, ხოლო მთავარში მისათითებლად შეიძლება იყოს „ამიტომ“ „ამის გამო“. თუ მთავარ წინადადებაში მისათითებელი ზმნიზედა არ არის, მიზეზშედეგობრივი ურთიერთობა ისე მკვეთრად არ გამოიხატება და დამოკიდებული წინადადება უფრო ხშირად დროის და პირობა-მიზეზის გაგებას იძლევა. მაგ.: **რაკი ბინდი ახლოვდებოდა**, ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა (რაზ.); **რაკი ერთმანეთს ელაპარაკებიან და სალამსაც აძლევენ, ამიტომ** მილოცვასაც უბრალო თავაზიანობად ჩასთვლიან (ჯავ., 2, 30); **რაკი თვით ეკლესიასთან ურმით არ შეიძლება ასვლა, ამის გამო** ყოველი მლოცავი აყენებს ურემს სოფელში, სტოვებს აქ საქონელს და თვით ბარგი ბარხანით მიდის ზემოთკენ. (ლომ., 71).

როცა დამოკიდებული წინადადება თავშია, ის ჩვეულებრივ მიზეზსა და პირობას გამოხატავს, ხოლო მთავარ წინადადებაში შედგია გადმოცემული. მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ერთი და იმავე ან სხვადასხვა მწკრივის ფორმებია ნახმარი.

მიზეზის კავშირია **რამეთუ**, რომელიც დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის, ხოლო ახალ სალიტერატურო ენაში იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს: გულისწყრომას ნუ მიეცემი, **რამეთუ** იტყვის ბრძენი: „გულისწყრომა წიაღსა შინა უგნურთასა განისვენებს“ (ქიაჩ.); მე მსაჯოს მარტო, **რამეთუ** მე ვარ ცოდვილ უფროის ყოველთა (გრ. აბ.). **რამეთუ** კავშირის ხმარება დასახელებულ მაგალითებში კანონზომიერია, მაგრამ გაუმართლებელია **რადგანაც** კავშირის უგულებელყოფისა და მის ნაცვლად **რამეთუ**-ს განუკითხავად ხმარების ტენდენცია, რაც შეინიშნება ახლანდელ ჟურნალ-გაზეთებში.

§180. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება

მიზნის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გადმოგვცემს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზან-დანიშნულებას. ის მოგვიგებს კითხვებზე რისთვის? რა მიზნით? მთავარს უერთდება „რომ“ და „რათა“ კავშირების საშუალებით. ამათგან საყოველთაოდ გავრცელებულია პირველი (რომ), „რათა“ კი უფრო წიგნის ენისათვის არის დამახასიათებელი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში შედარებით იშვიათად იხმარება. მთავარ წინადადებაში მისათითებლად შეიძლება იყოს (თუმცა იშვიათად) ნაცვალსახელური წარმოშობის მიზნის ზმნიზედები: **იმისთვის, მისთვის...**

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებ

რივ ბოლოშია, თავში კი იშვიათად გვხვდება: თვალმიუწდომელი სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, **რომ ახალი გზა გაეკვლია!**... (წერ., 221); ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, **რათა გამშრალი პირი გაესველებინა** (ყაზ., 319); მე ჩონგური **მისთვის** მინდა, **რომ სიმართლეს მსახურებდეს** (წერ.); **რათა თვალზე მომდგარი ცრემლი დაემალნა**, მარაბდელი გატრიალდა და ნელი ნაბიჯით წავიდა ბინისაკენ. (ჯავ., 4, 501).

მთავარსა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში ზმნის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით გარკვეული კანონზომიერებაა[276]. მთავარ წინადადებაში ჩვეულებრივ თხრობითი კილოს ფორმაა ნახმარი, იშვიათად კავშირებითისა, დამოკიდებულში კი – კავშირებითისა ან თხრობითისა კავშირებითის მნიშვნელობით. დროის მიხედვით ორივე ერთი და იმავე ან სხვადასხვა დროისაა. მთავარსა და დამოკიდებულში ჩვეულებრივ სხვადასხვა მწკრივის ფორმებია ნახმარი, იშვიათად – ერთი და იმავე მწკრივისა. გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

ა) მთავარ წინადადებაში აწმყოს მწკრივის ფორმაა ნახმარი, დამოკიდებულში – II კავშირებითისა. ამ შემთხვევაში ამოსავალია ახლანდელი დროის თვალსაზრისი, დამოკიდებული წინადადების შემასმენლით გამოხატული მოქმედება, რომელიც მიზანს გადმოგვცემს, უნდა შესრულდეს მომავლში: ბარტყები ნისკარტს **სცემენ ნაჭუჭსა, რომ გამოამტვრიონ და გამოვიდნენ გარეთ.** (გოგ., 120).

როცა მთავარი წინადადების შემასმენელი აწმყოს მწკრივის ფორმაა, მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება იყოს პირველი კავშირებითის ფორმაც: მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს **მსახურებდეს.** (წერ.).

ბ) დამოკიდებულ წინადადებაში II თურმეობითის ფორმაა (III კავშირებითის მნიშვნელობით), მთავარში კი – თხრობითი კილოს ფორმა წარსული დროისა. მწკრივის მიხედვით ეს ფორმა ჩვეულებრივ წყვეტილისაა, უფრო იშვიათად – უწყვეტლისა, ხოლმეობითისა, თურმეობითისა. ამ შემთხვევაში ამოსავალია წარსული დროის თვალსაზრისი. მიზანი, რომელიც დამოკიდებულ წინადადებაშია გადმოცემული, უნდა შესრულდეს წარსულში. მაგ.: მე მაშინვე კარები **მიგხურე, რომ** ძაღლები შინ არ **შეჰყოლოდნენ** (ვაჟა, 5, 59); მოწაფეები ცერებზე **დგებოდნენ,** ან ბაღის მოაჯირებზე **ადიოდნენ,** რომ უფრო კარგად **დაენახათ** პოეტი (გვეტ., 357); ათასში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ **დაჰკრავდა** სადმე, რომ შეცივებული სხეული **შეეთბო** და გათოშილი სისხლი მოძრაობაში **მოეყვანა** (ყაზ., 530); პატარას თავის სახლიდან მთელი ქალაქი უნდა **გაევლო,** რომ სკოლაში **მისუ-**

[276] **შ. ძიძიგური,** ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1959, გვ. 260.-279.

ლიყო. (ბარნ., 2, 303).

გ) მთავარში წყვეტილის ფორმაა, დამოკიდებულში – II კავშირებითისა. დამოკიდებული წინადადების ასეთი კონსტრუქცია მაშინ გვაქვს, როცა მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულება უსწრებს თქმის მომენტს, მაგრამ დამოკიდებულის ზმნით გადმოცემული მოქმედება უნდა შესრულდეს მომავალში, ე.ი. თქმის მომენტის შემდეგ: ქორი აღელვებულ-აღშფოთებული **გამოუდგა** კოდალას, რათა იგი **დასაჯოს** ღირსეულად. (ვაჟა, 6, 95).

დ) რთული ქვეწყობილი წინადადების ორივე ნაწილში II კავშირებითის ფორმაა, ოღონდ მთავრისას ახლავს **უნდა** ნაწილაკი. ამ შემთხვევაში ამოსავალი მომავლის თვალსაზრისია. მთავარი წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედება უნდა შესრულდეს მომავალში, **რასაც** უნდა მოჰყვეს დამოკიდებული წინადადებით გამიზნული მოქმედების შესრულება: **უნდა მოგანანიებინოთ** ცოდვები, **რომ** მართლა ღირსეული ადამიანი **დადგე** (ვაჟა, 5, 334); ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით **უნდა ნახოს** კაცმა, რომ სრულიად **გაიგოს** და **იგრძნოს** მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება. (ყაზ., 524).

თანამედროვე ქართულში „ამისთვის“, „იმისთვის“, „მისთვის“ მიზნის ზმნიზედებია, „ამიტომ“, „იმიტომ“, „ამის გამო“, „იმის გამო“ – მიზეზისა. ამიტომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მისათითებლად მთავარში მიზნის ზმნიზედა უნდა ვიხმაროთ, მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში კი – მიზეზისა. მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით ამ ზმნიზედების ერთიმეორის ნაცვლად გამოყენებას, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმათა მიხედვით შეცდომაა. მაგ.: **რადგანაც** მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდათ, **ამისათვის** (?) იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისათვის და ისე გასცქეროდნენ (ყაზ.); იმის ფიქრით, მწყემსი **იმიტომ** (?) იყო გაჩენილი, რომ სვავისთვის ცხვრები დაეზარდნა (რაზ., 102); იქნებ გუთნის დედად მომღერალი **იმიტომ** (?) მიჰყავდა, რომ მძიმე და უმადლო შრომას ხალისი მიმატებოდა (კ. ლორთქ.); მწერლები კი ქვეყანაზე **იმიტომ** (?) გაჩნდნენ, რომ კაცი თავის სიმართლის გზას გაიყოლონ. (კ. ლორთქ.).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია, სხვებში – მიზნისა; ამის გამო დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით პირველის მთავარში „ამიტომ“ უნდა (და არა „ამისთვის“). მომდევნო სამის მთავარში კი – „იმისთვის“ (და არა „იმიტომ).

§181. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება

შედეგობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. შედეგობითი დამოკიდებული წინადადების მთავარისადმი დაქვემდება-

რება სუსტად არის გამოხატული: ის უფრო თავისთავადია, დამოუკიდებულია, ვიდრე, მაგალითად, ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და ზოგიერთი სხვა სახის დამოკიდებული წინადადება. ეს აიხსნება იმით, რომ ის მთავარ წინადადებას მიემართება მთლიანად და არა მის რომელიმე წევრს: წინადადების წევრებში მას შესაბამისი წევრი არ გააჩნია და არც მისათითებელი სიტყვა მოეპოვება მთავარში. ამიტომ დაუმთავრებლობას მხოლოდ მთავრის ინტონაცია გვაგებინებს.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარია: პირველ ადგილზე ჩვეულებრივ მთავარი წინადადებაა, მეორეზე – დამოკიდებული, ათასში ერთხელ შეიძლება მთავარში მოექცეს. მთავარ წინადადებასთან მას აერთებს შემდეგი კავშირები: ასე რომ, რის გამოც, თორემ, რის შედეგადაც: ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, **ასე რომ ბირისახე აღარ უჩანდა** (ჭავ., 412); ცეცხლი კი ოდნავ ბჟუტავდა კერაზე და დრჩოლავდა, **რის გამოც ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა** (არაგვ., 33); ერთადერთი, **რის გამოც სიცოცხლე კიდევ სურდა**, შურისძიება იყო (გრ. აბ.); ზვორიკინამ რატომღაც არ მოისურვა ამ გზას გაჰყოლოდა, **რის შედეგადაც დაისაჯა – წააგო პარტია.** (კომ., 22. 01. 1962)[277].

შედეგობითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავარ წინადადებასთან შეერთებულია **თორემ** კავშირით. მაგ.: ერთი ბარტყი გადმომიგდე, **თორემ** შავ დღეს დაგაყენებ (ხალხ.); ნურც დააწახვებ შენს ქურან ცხენსა, **თორემ** ის ბიჭი განანებს ბევრსა. (ჭავ.).

დამოკიდებული წინადადება მიუთითებს, რა შედეგიც შეიძლება მოჰყვეს მთავარ წინადადებაში დასახელებული მოთხოვნის შეუსრულებლობას.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადებისა და მისი მთავრის ურთიერთმიმართება დაახლოებით ისეთივეა, როგორიც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის, ოღონდ შემდეგი განსხვავებით: მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მიზეზს გადმოგვცემს, შედეგი კი მთავარშია დასახელებული, აქ კი პირიქით, მიზეზი მთავარშია დასახელებული, შედეგი – დამოკიდებულში.

შედეგი, გარდა შედეგობითი დამოკიდებული წინადადებისა, ზოგჯერ გამოხატულია განსაზღვრებითისა და ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებშიც. მაგალითად: **ისეთი** ბნელი ღამე იყო, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო.**

[277] გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ასე რომ“, „რის გამოც“ და მისთანანი კორელატებია, ხოლო მათი შემცველი წინადადება – მთავარი, რაც, ჩვენი აზრით, არ არის გასაზიარებელი. იხ. უშ. ყორღანაშვილი, ერთი ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადების გაგებისათვის: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1–2, 1985, გვ. 134.

(წერ., 1, 147). დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია. „ისე ბნელოდა, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო**“. აქ დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია. ორივე შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება შედეგზედაც მიგვითითებს; მაგრამ აქ ეს მნიშვნელობა არ არის ძირითადი: მას დამატებითი ხასიათი აქვს. შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში შედეგის ჩვენება ძირითადია, რომელიც ჩვეულებრივ არაა გართულებული სხვა მნიშვნელობით. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა ერთი და იმავე კავშირით შეერთებული დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა მნიშვნელობის შეერთებით არის გართულებული. ერთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითად უნდა იქნეს მიჩნეული, მეორე შემთხვევაში – შედეგობითად. ასეთი რამ მაშინ გვაქვს, როცა დამოკიდებული წინადადება შეერთებულია რთული კავშირით „ისე რომ“, მაგალითად: – მაშვალი ვინ დაგიდის? – ღიმილით კითხა სოლომანმა, **ისე რომ თავი არ მიუბრუნებია ბესარიონისაკენ.** (კლდ., 1, 68). დამოკიდებული წინადადება აქ ვითარების გარემოებითია. სამეფო კარავი მაღლობზე დაპკრეს, **ისე რომ თავს დაჰყურებდა ეკლესიის მიდამოს**. (ბარნ., 2, 150); შედეგის ჩვენება აქ ძირითადია, ასე რომ დამოკიდებული წინადადება უფრო შედეგობითია, ვიდრე ვითარების გარემოებითი.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება სინონიმურია ისეთი რთული თანწყობილი წინადადებისა, რომლის მეორე ნაწილსაც იწყებს ზმნიზედა „ამიტომ“ ან „ამის გამო“. ამ ზმნიზედების წინ შეიძლება მაჯგუფებელი კავშირიც (“და“) იქნეს ნახმარი: კნეინას მუდმივ სამიოდე მომვლელი და მოსამსახურე ჰყავდა, **ამიტომ** იგი მალე უსაქმობის ჭაობმა ჩაითრია და ჩასწუწნა (ჯავ., 2, 251); ქიტუას მხრივ ამნაირი ქცევა პირველი იყო და **ამის გამო** სოფიო გონს ვერ მოსულიყო... (არაგვ., 137). ამ რთულ თანწყობილ წინადადებათა პირველ ნაწილში მიზეზია დასახელებული, მეორეში – შედეგი, ე.ი. აზრობრივი მიმართება აქაც ისეთივეა, როგორიც შედეგობით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს შორის. ამიტომ არის, რომ ამ ტიპის რთული თანწყობილი წინადადება ადვილად გადაკეთება შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებად, ხოლო ეს უკანასკნელი – რთულ თანწყობილად. მაგალითად, ზემოთ დასახელებულ რთულ თანწყობილ წინადადებათა აზრი რთული ქვეწყობილით ასე გადმოიცემა: კნეინას მუდმივ სამიოდე მომვლელი და მოსამსახურე ჰყავდა, **ასე რომ** იგი მალე უსაქმობის ჭაობმა ჩაითრია და ჩასწუწნა; ქიტუას მხრივ ამნაირი ქცევა პირველი არ იყო, **რის გამოც** სოფიო გონს ვერ მოსულიყო.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადებისაგან უნდა გარჩეულ იქნეს **შემდგომობითი** დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთა-

ვართან შეერთებულია სიტყვებით „რის შემდეგაც“. მაგალითად: მიტრუამ ...ჯალაში გარეცხა და კარავზე გაფინა, **რის შემდეგაც** კარვის წინ ოჰანეზას გვერდით ჩამოჯდა (არაგვ., 53); თედომ ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა, **რის შემდეგაც ლოგინს მიაშურა.** (არაგვ., 81).

შემდგომობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს ისეთ ამბავს, რომელიც ხდება მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედების შესრულების შემდეგ. ასეთი დამოკიდებული წინადადება ყოველთვის ბოლოშია. მოქმედების შემდგომობა აქ დაქვემდებარების საშუალებით არის გადმოცემული. შემდგომობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება სინონიმურია ისეთი შერწყმული თუ რთული თანწყობილი წინადადებისა, სადაც მოვლენათა თანამიმდევრობა (უწინარესობა და შემდგომობა) არის გამოხატული.

§182. პირობითი დამოკიდებული წინადადება

პირობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს პირობას, რომელზედაც არის დამოკიდებული იმის შესრულება, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. ურთიერთობა პირობით დამოკიდებულ წინადადებასა და მის მთავარს შორის ჩვეულებრივ ასეთია: დამოკიდებულ წინადადებაში პირობაა დასახელებული, მთავარში კი — შედეგი. მაშასადამე, ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება პირობით-შედეგობითია. პირობით დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება დავუსვათ კითხვა: რა შემთხვევაში? (ან: რა პირობებში?). მაგ.: კოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის. (ანდ.). რა შემთხვევაში წააქცევს კოლოც კი ცხენსა? პასუხი დამოკიდებულშია მოცემული: **თუ დიდი მგელი უშველის.**

პირობითი დამოკიდებული წინადადება გარემოებითის შინაარსისაა, თუმცა მისი შესაბამისი წინადადების წევრი ქართულში ცალკე სახედ არა გვაქვს გამოყოფილი (§92).

პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: თუ, რომ, თუკი, უკეთუ, თორემ, როდესაც (როცა)... ამათგან უმეტესად პირველი ორია გამოყენებული, ხოლო სხვები შედარებით იშვიათად იხმარება. მთავარში კორელატად შეიძლება იყოს „მაშინ“. დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს, თუ ის რომელი კავშირით არის შეერთებული მთავარ წინადადებასთან.

პირობითი დამოკიდებული წინადადება, საზოგადოდ, უსწრებს მთავარს ან მოსდევს მას, მაგრამ ზოგჯერ მისი ადგილი განსაზღვრულია, მყარია.

სხვადასხვა კავშირით შეერთებული პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ყურადღებას იქცევს ზმნის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისითაც, ამიტომ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე იქნება განხილული.

„თუ“-თი შეერთებული პირობითი დამოკიდებული წინადადება თავშია (უმეტესად) ან ბოლოში. ეს კავშირი იწყებს ჩვეულებრივ დამოკიდებულ წინადადებას, იშვიათად კი დამოკიდებულშია მოქცეული: **თუ არწივი მთებში ცხოვრობს**, თავის ბუდეს მაღალსა და მიუვალს კლდეებში აკეთებს. **თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს**, მაშინ ბუდეს მაღალსა და მიუდგომელს ხეებზე იშენებს (გოგ., 147); **ვაჟკაცობა თუ სისულელესთან არის დაკავშირებული**, ჩალად არა ღირს (ვაჟა, 6, 474); გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, **თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა** (ჭავ., 425); **თუ აქ მერცხლები გამრავლდნენ, მაშინ** ჭივჭავებს საზრდო გამოელევათ! (წერ., 7, 281).

მთავარსა და დამოკიდებულში ერთი და იმავე ან სხვადასხვა მწკრივის ფორმებია ნახმარი. უფრო გავრცელებული შემთხვევებია:

ა) დამოკიდებულში წყვეტილის ფორმაა, მთავარში – მყოფადისა; **თუ მთელ ღამეს ასე ითოვა,** ხვალ ვერც ერთი ავტომობილი გარაჟიდან ვერ გამოვა (გვეტ., 241); **თუ მტერს ის გორაკი დაუთმეს**, ერთი კაციც ველარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან. (ჯავ., 3, 265).

წყვეტილი, როგორც ვიცით, დროის მიხედვით წარსულია, მაგრამ აქ ის (როცა მთავარში მომავლის ფორმაა ნახმარი) წარსულში მომხდარ მოქმედებას კი არ გადმოგვცემს, არამედ ისეთს, რომელიც თქმის შემდეგ, ე.ი. მომავალში, არის სავარაუდო მთავარში დასახელებული მოქმედების შესასრულებლად, როგორც პირობა. მაგალითად, როცა ვამბობთ **„მთელ ღამეს ასე ითოვა“**, იგულისხმება წარსულში მომხდარი მოქმედება, მაგრამ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში: **„თუ მთელ ღამეს ასე ითოვა“** იგივე ზმნა (ითოვა) მომავლის გაგებას გვაძლევს. ანალოგიური ვითარებაა მაშინაც, როცა დამოკიდებულში I თურმეობითის ფორმაა ნახმარი: **თუ ხელი გაგინძრევიათ**, აქვე გაგათავებთ. (ჯავ., 3, 288).

ბ) დამოკიდებულში აწმყოს მწკრივის ფორმაა ნახმარი, მთავარში – აწმყოსავე ან მყოფადისა. ასეთ შემთხვევებში ზმნის ფორმა შეიძლება დაცლილი იყოს ამა თუ იმ კონკრეტული დროის გაგებისაგან: **თუ კაცსა ცოდნა არა აქვს**, გასტანჯავს წუთისოფელი (გურ.); **თუ ძალიან მოგწონს**, გაჩუქებ. (ჯავ., 2, 577).

როცა დამოკიდებულში აწმყოს მწკრივის ფორმაა, მთავარში შეიძლება იყოს II კავშირებითის ან წართქმითი ბრძანებითისა, რომელიც ფორმობრივ არ განსხვავდება წყვეტილისაგან და დროის მიხედვით მომავალია: მაგ.: **თუ დამის გათევა გინდა მუქთად**, ჯერ რაიმე უნდა **დააშაო** (გვეტ., 365); თუ განათლებულებში სდებ თავს, განათლებულად **იცხოვრე**! (ბარნ., 1, 321).

გ) დამოკიდებულში მყოფადის ფორმაა, მთავარში – მყოფადისავე ან II კავშირებითისა, რომელიც დროის მიხედვით მომავალია (იშვიათად აწმყოსიც): **თუ** მაღლა ხეებს **ახედავ**, მრავალგვარ ფრინველს **შენიშნავ** (გოგ., 57); თუ **ვაჟი იტყვის** სიტყვას, ქალი **იქნეს**

მოკლული, თუ ქალს **წამოსცდება** სიტყვა, ვაჟს **მოეკვეთოს** თავი! (ლორთქ., 2, 328).

დასახელებული შემთხვევები ძირითადია, გავრცელებული, მაგრამ გვხვდება სხვა მწკრივის გამოყენების შემთხვევებიც. ასე, მაგალითად, დამოკიდებულში შეიძლება იყოს ხოლმეობითის ფორმა, მთავარში – ხოლმეობითისავე ან უწყვეტლისა, ან კიდევ მთავარში ხოლმეობითის ფორმაა, დამოკიდებულში – III კავშირებითისა და სხვ. მაგ.: **თუ** ვინმე **გაბედავდა** აუგის თქმას, **ენას მოჰკვეთდნენ** (ბარნ., 3, 67) რაღა **მიჭირდა, თუ** მტრისას გაუსტეტას **გავიგონებდი** (ვაჟა, 3, 174); **დამენანებოდა** იგი წარსული, **თუ** ცოდვად არ **მიმაჩნდეს** სინანული (ბარნ. 2, 34); **მოკვდეს** ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ხელში **ჩაუვარდეს** (ვაჟა, 6, 169); ...ჩემს ვინაობას არ **გეტყოდი**, თუ ჩემი აღსასრული არ **მოახლოებულიყოს**. (ჭავ.).

„თუ“ კავშირისა და ნაწილაკების შეერთებისაგან არის წარმომდგარი პირობითის კავშირები „თუკი“ და „უკეთუ“ (<უკუეთუ), რომლებიც დღევანდელ ქართულში იშვიათად იხმარება: **თუკი სახლი დაცარიელდება**, ცარიელმა კედლებმა და ქამარ-ხანჯალმა რა **მიშველოთ**? (ვაჟა); **უკეთუ ღრმად ჩაუკვირდი** და **ფესვებიდან გასინჯე**, არ შეიძლება არ მოიწონო. (ვაჟა, 6, 72).

„რომ“ კავშირი, როგორც უკვე ითქვა, პირობითი დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი ძირითადი კავშირია. ამ კავშირით შეერთებული პირობითი დამოკიდებული წინადადებაც უმეტესად თავშია, იშვიათად – ბოლოში. მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში მწკრივის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით შემდეგი ძირითადი შემთხვევები გვაქვს:

ა) დამოკიდებულში II თურმეობითის ფორმაა, მთავარში კი – ხოლმეობითისა. პირველი პირობას გადმოგვცემს, მეორე – შედეგს. ერთიცა და მეორეც წარსული დროის ამბავს შეიცავს. პირობის გამომხატველი ზმნა, როგორც წესი, საწინააღმდეგო ფორმით არის გადმოცემული: თუ პირობა დადებითია, ზმნის ფორმა უკუთქმითია („არ“ ნაწილაკი ახლავს) და თუ უარყოფითია, ზმნის ფორმა წართქმითია (ე.ი. არ ახლავს „არ“ ნაწილაკი): ეს კეთილი და გონიერი ფინია **რომ არ შესწრებოდა**, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი **დაიხრჩობოდა** (გოგ., 169); მე **რომ** დღიური **მეწერნა**, მაგაზე უკეთესს **ვერ დავწერდი**. (ჯავ., 3, 395). პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადების ზმნას ახლავს „არ“ ნაწილაკი (რომ **არ** შესწრებოდა), ე.ი. ფორმა უკუთქმითია, მაგრამ ძაღლის მოქმედება დადებითია, ე.ი. ფინია შეესწრო. მეორე მაგალითში დამოკიდებული წინადადების ზმნა წართქმითია (რომ მეწერნა), მაგრამ პირობა უარყოფითად არის გადმოცემული (ე.ი. არ მიწერია). პირველი მაგალითის ანალოგიური წინადადებაა: კლდის თავზე **რომ ხშირი დეკა არ დახვედროდა**, ნა-

ნადირევი კლდეზე **გადავარდებოდა** და მონადირეს აღარაფერს არგებდა. (ვაჟა, 6, 462).

ბ) დამოკიდებულ წინადადებაში I ან II კავშირებითის ფორმაა ნახმარი, მთავარში კი ხოლმეობითისა ან მყოფადისა: მამაჩემი რომ არ მატანდეს ძალას, სამჭედლოში სულაც **არ შემოვადგამდი** ფეხს (რაზ., 358); **შენ რომ მხარში ამომიდგებოდე**, ჩვენს ბედს **ვერ შეარყევდა** ეს მოულოდნელი ქარიშხალი (ბარნ., 2, 242); მერცხალი შემოდგომაზეც ჩვენთან **დარჩებოდა**, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ჭამა შეეძლოს. (გოგ., 119).

გ) დამოკიდებულში II კავშირებითის ფორმაა, მთავარში – მყოფადისა: მე რომ თქვენი **ხელმწიფე არ ვიყო**, ერთი წლის განმავლობაში ბელურეთი სულ **ამოვარდება** (რაზ., 246); კაცი რომ სულელის კბილთა **ღრეჭას აჰყვეს**, სად **წავა!** (ჭავ., 447).

დ) ქვეწყობილი წინადადების ორივე ნაწილში იშვიათად ერთი და იმავე მწკრივის ფორმებია ნახმარი (მაგ., მყოფადისა): გულში რომ შური **შევა**, მაშინ სულიც **დასნეულდება**! (წერ., 7, 148).

„თუ“ და „რომ“ ზოგჯერ ერთდროულად არის გამოყენებული პირობითი დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად: ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, **თუ რომ** ოთახი ნათელი იყოს (ჭავ., 325); ...კიდევ დიდხანს დავრჩებოდით ასე, **თუ რომ** ჩვენს ავადმყოფსავე არ გამოვეყვანეთ ამ მდგომარეობიდამ (ლომ., 22); გამიქვავდეს მე ეს ენა, **თუ რომ** ვისმე მოვეფერო. (წერ.).

ორივე კავშირის ერთდროულად გამოყენება არ არის საჭირო, მაგ., დასახელებულ მაგალითებში საკმარისია „რომ“ კავშირი.

დამოკიდებულ წინადადებას, რომელსაც მთავართან აერთებს „როცა“ (როდესაც), ზოგჯერ პირობითის შინაარსი ახლავს: ლუკმა **მაშინ** არის ტკბილი, **როცა** კაი კაცობით არის ნაშოვნი (ჭავ., 278); დედალი მაიმუნები ბრძოლაში მხოლოდ **მაშინ** გაერევიან, **როცა** იმათი სიცოცხლე და იმათი შვილები ხიფათში ჩავარდება (გოგ., 190); ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ **მაშინ** გაჩნდება, **როცა** დღისით ძლიერ თბილა და ღამით კი მეტად გრილა. (გოგ., 209).

„თუ“ კავშირისა და „არა“ ნაწილაკის შეერთებისაგან არის წარმომდგარი პირობით-შედეგობითის კავშირი „თორემ“[278]. ეს კავშირი იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც ყოველთვის ბოლოშია, ე.ი. მოსდევს მთავარს. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[279], წარმოადგენს ნაზავს ისეთი ქვეწყობილი წინადადებისას, რომელიც შეიცავს პირობით დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.: მოსპე, **თორემ მოგსპობს** (ბარნ., 3, 58); დიდი დარდისთვის და სიხარულისათვისაც

---

[278] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 626.

[279] გ. როგავა, პოტაქსის საკითხისათვის ქართულში, გვ. 376; შ. ძიძიგური, დასახელებული წიგნი, გვ. 185-189.

ადამიანი წინდაწინვე უნდა შეამზადოთ, თორემ მოულოდნელად ჭირიც და ლხინიც ადვილად **გაჭყლეტენ** მას. (ჯავ., 1, 412).

დამოკიდებული წინადადება „თორემ მოგსპობს“ შინაარსით იგივეა, რაც: „თუ არ მოსპობ, მოგსპობს“; მეორე მაგალითში დამოკიდებული წინადადებით ის აზრია გამოხატული, რომ „თუ არ შეამზადებთ, ჭირიც და ლხინიც ადვილად გაჭყლეტენ მას“. მაშასადამე, **თორემ** კავშირიანი დამოკიდებული წინადადება პირობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი ქვეწყობილი წინადადების შინაარსს გადმოგვცემს. იგი გვიჩვენებს, თუ რა შედეგი მოჰყვება მთავარ წინადადებაში დასახელებული ამბის შეუსრულებლობას.

„თორემ“ ზოგჯერ აპირისპირებს ერთ წინადადებას მეორესთან: ფიცხი კაცია სამსონი, **თორემ** გული კეთილი აქვს. (ჯაფ., 142).

მთავარი წინადადება, რომელსაც ახლავს პირობითი დამოკიდებული წინადადება, შეიძლება იყოს: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა, კითხვით-ძახილისა: ოფიცერი რომ ქვეითად ყოფილიყო, **ჯარისკაცებისაგან ვერავინ ვაარჩევდა** (ს. კლდ., 29); თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, **ქალი რადად მოიტაცე**? (ყაზ., 27); თუ ტყუილი გამოდგეს, **დამსმენს თავი გააგდებინე**! (ბარნ., 1, 372); თუ მაგ ბავშვის გაყვინიზებას ახლავე თავი არ დაანებე, **ინანებ!** (ბარნ., 1, 143); აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ **არ დაემართებოდათ ეგ უბედურება**? (ვაჟა, 6, 39).

მთავარი წინადადება, რომელსაც პირობითი დამოკიდებული წინადადება ახლავს, ზოგჯერ უზმნოა. ამ შემთხვევაში მთავარი წინადადება სახელით ან წინადადების ტოლფასი გაარსებითებული შორისდებულით არის გადმოცემული, ან კიდევ ის მთავარ წევრად (ქვემდებარედ...) ივარაუდება ასეთ წინადადებაში. ამ ტიპის მთავარი წინადადება ჩვეულებრივ ძახილისაა: **ვაი**, თუ მაგისი გარეგანი სიწყნარე შავი დღის მომასწავებელი იყოს ჩვენთვის! (ბარნ., 3, 70); თუ მოყვარე ხარ, **მაშ გამარჯობა**! (ჭავ., 149); თუ ეს ამბავი შეუტყვია ვისმე, **ვაი თქვენი ბრალი**! (ჭავ., 365); **კარგი**, თუ შაჰიც დაგვეთანხმა (ბარნ., 1, 53); **ვაიმე**, თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს (ვაჟა, 5, 14); **ვაი იმის დედას**, თუ მეორეჯერ ჩამივარდა ხელში! (ჯავ., 2, 168); თუ ტყუილი აღმოჩნდეს ჩემი ნათქვამი, **აჰა ჩემი კისერი და შენი ხმალი**, — უთხრა თევდორემ (ბარნ., 2, 213; თუ მინდორ- მინდორ სიარული დედ-მამას გირჩევნია, **ჰა ბუროთი და ჰა მოედანი**. (მ. მრევლ.).

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა დამოკიდებულ წინადადებაში გამოტოვებულია შემასმენელი. მაგალითად: **შენ რომ არა**, ახლა ან ტყვედ ვიქნებოდი, ან სადმე მკვდარი ვეგდებოდი. (გვეტ., 443).

№183. დათმობითი დამოკიდებული წინადადება

დათმობითია დამოკიდებული წინადადება, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაც მთავარ წინადადებაშია

აღნიშნული. მაგალითად: **მზეს თუმცა უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები, მაგრამ** ჯერ კიდევ გრილოდა. (მეგრ.). პირველი წინადადება დამოკიდებულია, მეორე – მთავარი. თუ „მზეს უხვად მოეფინა დედამიწაზე თავისი სხივები“, არ არის მოსალოდნელი, რომ „ჯერ კიდევ გრილოდეს“. მთავარი წინადადების შინაარსი უპირისპირდება და უგულებელყოფს იმას, რაც დამოკიდებულ წინადადებაშია ნათქვამი.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება ზოგი ნიშნით ემსგავსება პირობით დამოკიდებულ წინადადებას: ორივე დამოკიდებული წინადადება პირობას გამოხატავს, მაგრამ მთავარში გამოთქმული ამბის მიმართება პირობისადმი სხვადასხვაგვარია, სახელდობრ: როცა დამოკიდებული წინადადება პირობითია, მთავარში ამ პირობის შესაბამისი მოქმედებაა გადმოცემული, ხოლო როცა დათმობითია, მთავარში გადმოცემული ამბავი საპირისპიროა დამოკიდებული წინადადებით დათქმული პირობისა. ერთმანეთს რომ შევუპირისპიროთ ამ ორი ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადებები, შემდეგს შევნიშნავთ:

ა) მთავარ წინადადებაში გადმოცემული ერთი და იმავე მოქმედების შესასრულებლად ამ ორი ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში ერთმანეთის საპირისპირო პირობაა დასახელებული: თუ გამოიდარა, სანადიროდ წავალ – თუნდაც არ გამოიდაროს, სანადიროდ მაინც წავალ.

ბ) დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული ერთი და იგივე მოვლენა, მოქმედება ერთ შემთხვევაში განაპირობებს მთავარში გადმოცემული მოქმედების შესრულებას, მეორე შემთხვევაში კი საპირისპიროა და კონტრასტული პირველისა: რომ გაწვიმდეს, სანადიროდ ვეღარ წავალ – თუნდაც (ან: რომც) გაწვიმდეს, სანადიროდ მაინც წავალ.

დათმობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება უახლოვდება მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელში არ არის გამოხატული პირობა და დაპირისპირება უფრო მკვეთრად ჩანს, თანაც რთულში შემავალი წინადადებები ერთიმეორის მიმართ უფრო თანასწორია, მაგალითად: დაუშალეს, მაგრამ არ დაიშალა – **თუმცა** დაუშალეს, **მაგრამ** მაინც არ დაიშალა.

დათმობითის შემცველ რთულ წინადადებაში ზოგჯერ მაპირისპირებელი კავშირიც გვხვდება, ასე რომ ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება ახლო დგას თანწყობილთან, უფრო ზუსტად, მას გარდამავალი საფეხური უჭირავს თანწყობილსა და ქვეწყობილს შორის. ამის გამო მას თანწყობილ-ქვეწყობილადაც მიიჩნევენ, თანწყობილად – სტრუქტურულად, ქვეწყობილად – ლოგიკურად.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება შინაარსობრივ და სტრუქტურულად სხვადასხვაგვარია. მასში გამოყოფენ ორ ძირითად ჯგუფს. პირველი ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს რეალურად არსებულ შემაფერხებელ პირობას, რის მიუხედავადაც სრულდება გადმოცემული მოქმედება: თუმცა **ღამე იყო**, მაგრამ ქუჩებში ისევ ირეოდა ხალხი (ბარნ., 1, 117); **მზეს თუმცა კარგა დაბლა დაეწია დასავლეთისაკენ, მაგრამ მაინც** საშინელი სიცხის ბუღი ტრიალებდა ჰაერში. (ლომ., 83).

მეორე ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს არა რეალურად არსებულ შემაფერხებელ პირობას, არამედ შესაძლებელ დაშვებას ისეთი პირობისას, რომელიც ჩვეულებრივ ზღვარდაუდებელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ დააბრკოლებს იმ მოქმედების შესრულებას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი. **რაც უნდა ჭირი მომკერძო**, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა (ვაჟა, 1, 118); **რაც უნდა შორიდან ამოეღო მიზანში ნადირი**, ისარს არ ააცდენდა. (გოგ., 91).

პირველი ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადებისათვის დამახასიათებელია ზმნის თხრობითი კილოს ფორმა, მეორისათვის – კავშირებითისა.

დათმობითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია: თუმცა (თუმც, თუმცაღა); მიუხედავად იმისა, რომ; გინდ (გინდაც), თუნდ (თუნდა, თუნდაც), რომ, რაგინდ, თუგინდ, აგრეთვე „უნდა“ ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები: რაც უნდა, ვინც უნდა (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით); სადაც უნდა, როგორც უნდა, როდესც უნდა, რამდენჯერაც უნდა.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს ან მოსდევს მას.

პირველი ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადების ძირითადი კავშირია „თუმცა“ (თუმც, თუმცაღა), რომელიც ჩვეულებრივ იწყებს მას, იშვიათად კი თვით დამოკიდებული წინადადების შიგნით არის. როცა დამოკიდებული წინადადება თავშია, მთავარ წინადადებაში, როგორც წესი, არის მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“, რომლის წინაც მძიმე დაისმის. ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება ემსგავსება მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ ან შერწყმულ წინადადებას. მაგ: **თუმცა მამას გული მოუგიდა, მაგრამ** სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა (გოგ. 38); **ქალი თუმცა დაიღალა, დასუსტდა, მაგრამ** ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია. (ყაზ., 534).

მთავარში ხშირად წარმოდგენილია ნაწილაკი „მაინც“ (<მაშინაც), რომელიც კორელატის როლს ასრულებს, აგრეთვე – ნაწილაკი „კი“, რომელიც აძლიერებს დაპირისპირებას. ლოგიკური მახვი-

ლის მქონე სიტყვას მთავარში ჩვეულებრივ დაერთვის ნაწილაკი „ც“. მაგ.: **თუმცა გზა ნაცნობი იყო, მაგრამ** ბუნების სიდიადე-მშვენიერებამ **მაინც მომტაცა თვალი** (ბარნ., 1, 307); **თუმცა შემოდგომა იყო, მაგრამ მაინც** საგრძნობლად ცხელოდა (რ. ჯაფ., 246); **თუმცაღა წინა** ღამით თოვლი **მოვიდა,** მაგრამ იმ დილას კი ცა მოიწმინდა (ნინ., 132); **თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი, მაგრამ** ერთგულთან მეც ვიცი ძმობა. (ჭავ., 151).

„მაგრამ“ ზოგჯერ გამოტოვებილია. შეიძლება იყოს „კი“ ან „მაინც კი“ ... მაგ.: **თუმცა ისმაილას ქარი მოუმიზნა,** ნამდვილად **კი** სხვა იყო მიზეზი ასე უეცრივ ურმის შებმისა (არაგვ., 72); **თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე, მაინც კი** ხელი შემოუბრუნა (ჭავ., 159); **თუმც მგელს ორივე თვალი ცისაკენ ჰქონდა ამართული,** მასთან ერთი თვალით **მაინც** ალმაცერად იცქირებოდა (ვაჟა, 6, 49); **თუმცა მაისი დადგა,** მათს ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა. (ჯავ., 3, 447).

„თუმცა“-ს ზოგჯერ „კი“ ეხმარება: **თუმცა კი შერჩა წადილი ძველი, შრომის სურვილი იმ უბედურსა, მაგრამ** არც ღონე და აღარც წელი აღარ მოსდევდა დროგარდასრულსა. (ჭავ., 155).

როცა დამოკიდებული წინადადება ბოლოშია, მაპირისპირებელი კავშირი არ იხმარება: არა ცხელოდა, **თუმცა მთლად მოწმენდილი იყო ცა** (ბარნ., 3, 96); მის აწ გაქვავებულ სახეს არავითარი ღელვა აღარ ეტყობოდა, **თუმცა მის გულში ორი მძლავრი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს.** (ბარნ., 2, 151).

მთავარ წინადადებაში, როცა ის პირველ ადგილზეა, იშვიათად შეიძლება იყოს „მაინც“: სროლა **მაინც** არა წყდებოდა, **თუმცა** ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა და პირდაპირ თავის დანიშნულებას ვეღარ ასრულებდა. (ყაზ., 1, 32).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში, როგორც წესი, თხრობითი კილოს ფორმებია ნახმარი (წარსული ან ახლანდელი დროისა, უმეტესად პირველისა). ეს ფორმები ერთი და იმავე მწკრივისაა (წყვეტილი – წყვეტილი, უწყვეტელი – უწყვეტელი, აწმყო – აწმყო) ან სხვადასხვასი (უწყვეტელი – წყვეტილი და სხვა)[280].

განხილული ტიპის დათმობითი დამოკიდებული წინადადების შინაარსისაა რთული ქვეწყობილი წინადადების პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ჩართულ სიტყვას „მართალია“, ხოლო მომდევნო წინადადებაში (მთავარში) წარმოდგენილია მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“. „მართალია“ მიღებულია მთავარი წინადადებისაგან, რომელიც ამჟამად ჩართულად არის ქცეული, წინადადებაში

[280] „თუმცა“ წინათ პირობითის კავშირიც იყო: თუმც უნდოდათ გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა. (რუსთ., 914, 4). შ. **ძიძიგური,** დასახელებული წიგნი, გვ. 180-182.

გამოიყოფა მძიმით (როცა თავშია) ან მძიმეებით (როცა დამოკიდებულის შიგნითაა) და რამდენადმე კავშირის როლს ასრულებს და გვანიშნებს კიდეც, რომ პირველ ნაწილს, რომელსაც დათმობითის შინაარსი აქვს, უნდა მოჰყვეს საპირისპირო შინაარსის წინადადება. მაგ.: **მართალია, ერთმანეთის ცნობა არა ჰქონდათ, მაგრამ** შორიდან პოეტების ფხიზელ ყურამდისაც მისულიყო ქართველი რაინდის ჭექა–ქუხილი (ჯავ., 3, 338); **გაბრიელი, მართალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ** გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება (ჭავ., 307); **ჩვენ ყვე-ლანი, მართალია, ბულბულს ვაქებთ, მაგრამ** გარდა ბულბულისა, აქ სხვა მგალობლებიც გახლავანთ. (ვაჟა, 6, 352).

ამ ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება კიდევ უფრო ახლოს დგას მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებასთან. „მართალია“-ს შეიძლება შევუნაცვლოთ „თუმცა“, წინადადების შინაარსი ამით არ შეიცვლება (შდრ.: მართალია, ერთმანეთის ცნობა არა ჰქონდათ, მაგრამ... – თუმცა ერთმანეთის ცნობა არა ჰქონდათ, მაგრამ...), მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: „თუმცა“ დათმობითის ძირითადი კავშირია, „მართალია“ კი ჩართულია, რომელიც რამდენადმე კავშირის როლსაც ასრულებს და „ჩვენს გრამატიკულ ცნობიერებაში ჯერ კიდევ არა აქვს მას დაკარგული ურთიერთობა დამოუკიდებელ წინადადებასთან, რომლის გადაგვარებასაც იგი წარმოადგენს და რომლისაგან მას ასხვავებს მხოლოდ რიტმომელოდიკა“[281].

პირველ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე დათმობითი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც იწყებს მთელი გამოთქმა „მიუხედავად იმისა, რომ“ ... **მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სხვა საქმეებით ვიყავი გატაცებული**, მარიამმა დამაინტერესა და დამაწერინა საბავშვო მოთხრობა „დამეგობრდნენ“ (ნაკ., 17); არ ყოფილან მიწვეული აგრეთვე ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, **მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს დიდძალ ეროვნულ კავშირებს**...

„მიუხედავად იმისა, რომ“ შეიძლება შეიცვალოს კავშირით „თუმცა“.

მეორე სახეობის ანუ ჯგუფის დათმობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს: რომ, გინდ, თუნდ (თუნდა, თუნდაც) და „უნდა“ ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები.

კავშირი „რომ“ მრავალ სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან, ის გამოყენებული აქვს მეორე სახეობის დათმობით დამოკიდებულ წინადადებასაც (ეს კავშირი შედის აგრეთვე გამოთქმაში „მიუხედავად იმისა, რომ“, რომელიც კავ-

[281] **შ. ძიძიგური**, დასახელებული წიგნი, გვ. 202.

შირია პირველი ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადებისა). „რომ“ კავშირს დამოკიდებულში ეხამება ნაწილაკი „ც“, მთავარში კი შეიძლება იყოს „მაინც“, „მაშინაც“. მაგ.: ტოროლას **მაინც** არ მოვკლავ, **ბევრიც რომ მჭონდეს წამალი** (ხალხ.); ადრე რომ მონდომებოდა სადილი, **მაინც არა სჭამდა** (წერ., 1, 20); **ქვეყანამაც რომ გამწიროს, დამიკეტონ ყველგან კარი, მაინც** არ მსურს, შენ რომა გყავს, იმისთანა მეგობარი. (წერ.).

„გინდ“ და „თუნდ“ მაცალკევებელია შერწყმულსა და რთულ თანწყობილში, სადაც ეს კავშირები მეორდება. ერთგვარ წევრებსა და რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის შეიძლება „და“-ც ვიხმაროთ. რთულ ქვეწყობილში ეს კავშირები იწყებენ დათმობით დამოკიდებულ წინადადებას. მთავარში შეიძლება იყოს „მაინც“. მაგ.: უკეთეს ბინას ვერ ნახავ, **გინდ მოვლო კიდით-კიდეო** (წერ.); ჩაიხედე, გამოჩნდება ყველა ნათლად, უტყუარად, **გინდ იხმარონ მელის ტყავი ბირბადედ** და **ხელში ფარად** (წერ.); **თუნდ სრულად მოსწყდნენ ვარსკვლავნი, მზემ ტანთ ჩაიცვას შავები**, ისეც მზეობას მიზამენ შენი ფოფინა თვალები! (ვაჟა, 1, 4).

ზოგჯერ „რომ“ კავშირიც არის ნახმარი: **„თუნდაც რომ მოვცდე, რა ცუდი საქმისთვის მოვცდები?!** (ჭავ.). დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად ამ შემთხვევაში საკმარისია „თუნდაც“.

მეორე ჯგუფის დათმობითი დამოკიდებული წინადადების გავრცელებული კავშირია „უნდა“ ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით) და მიმართებითი ზმნიზედები: რაც უნდა, რასაც უნდა, რადაც უნდა, ვინც უნდა, ვისაც უნდა, როგორც უნდა, სადაც უნდა... „უნდა“-ს ნაცვლად ზოგჯერ „გინდ“ გვხვდება. მთავარ წინადადებაში აქაც შეიძლება იყოს „მაინც“. ამ კავშირებს, ისევე როგორც II ჯგუფის სხვა კავშირებს, ზმნა ეწყობა პირველ ან მეორე კავშირებითში, ან კიდევ მეორე თურმეობითში (III კავშირებითის ნაცვლად), მაგრამ აუცილებლად წართქმითი ფორმით, ე.ი. არ უნდა ახლდეს „არ“ ნაწილაკი: **რაც უნდა ცუდს გუნებაზე იყოს კაცი**, შოშია დარდს უქარვებს (გოგ., 124); **რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდ იქმნეს**, უნდა გადარჩეს ორივე (ლორთქ., 2, 338); **ვინც უნდა დამარცხდეს**, ჩვენ **მაინც** გავიმარჯვებთ (ჯავ., 3, 308); **სადაც უნდა ვყოფილიყავი**, ძმადნაფიცი შორიახლოს მეგულვებოდა (ჯავ., 2, 461); **რაც გინდ ითოვლო-იწვიმოთ, ვინიც მოიკლათ გულისა**, მაინც ვერაფერს დაგვაკლებთ, მადლი ჩანს გაზაფხულისა. (მღვ., 263).

არცთუ იშვიათად „არ“ ნაწილაკსაც ხმარობენ. მაგ.: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი უნდა ვქნა (დ. შენგ., 1, 221); რაც არ უნდა ჩაეცვა, ყველაფერი უხდებოდა. (დ. შენგ., 2, 143).

პირობით-დათმობითის შინაარსისაა დამოკიდებული წინადა-

დება, რომელიც მთავარს უერთდება კავშირით „ოღონდ“ (ოღონც, ოღონდაც, ოღონდ კი): მიქელა ჯანს არ იზოგავდა, **ოღონდ** თავისი გაწყობილი ოჯახი არ დანგრეოდა (გვეტ., 128); ვირმა ფეხით სიარული მოინდომა, **ოღონდ** გზა გაეკვლიათ იმისთვის (ვაჟა,5, 262); [დედოფალმა] ყველაფერი აღუთქვა, **ოღონდ კი** მალე ეთქვა სათქმელი. (ბარნ., 2, 191).

ამ ტიპის წინადადება უახლოვდება მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებას: იგი, შეიძლება ითქვას, შუალედური ტიპის რთული წინადადებაა.

„ოღონდ“ (ოღონდ კი...) ზოგჯერ მთავარშია და რამდენადმე მაპირისპირებელი კავშირის მნიშვნელობა აქვს, დამოკიდებული კი შეერთებულია კავშირებით „თუნდ“ (თუნდა), „თუ გინდ“: **თუნდ ჩემს სიცოცხლეს სულ იქ დავლევ, ოღონდ** ჩემ სიმონას ეშველოს რამე (ლომ., 70); **თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი** დავითს ნუ გაახარებ. (ჭავ., 373).

„ოღონდაც“ ზოგჯერ სიტყვა-წინადადების (მთავარი წინადადების) როლს ასრულებს: **ოღონდაც**, რომ წავიდა! (ჯავ., 2, 517); **ოღონდაც**, რომ ცარიელი დარჩები (ჭავ., 475); **ოღონდაც**, რომ ვიცი. (ჭავ., 476).

§184. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება

მთავრის მიმართად იწოდება ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთელ მთავარ წინადადებას მიემართება და გამოხატავს მთქმელის დასკვნას, შეფასებასა თუ რაიმე სახის შენიშვნას იმის შესახებ, რაც მასში (resp. მთავარში) არის გადმოცემული. მაგალითად: ბორბლები რაღაც უცნაურად ხმაურობდნენ, **რაც თეოს წინათ არასოდეს შეუმჩნევია**. (გვეტ., 67). პირველი წინადადება მთავარია, მეორე – მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მთავარი წინადადების რომელიმე წევრის ახსნა-განმარტებას, არ გადმოგვცემს მთავარი წინადადების რაიმე შემავსებელ ცნობას, არამედ გამოხატავს ავტორის შენიშვნას, რომ ის, რაც მთავარ წინადადებაშია გადმოცემული, „თეოს წინათ არასოდეს შეუმჩნევია“.

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება მოსდევს ყოველთვის მთავარ წინადადებას, რომელთანაც მას აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი „რაც“ (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით). მთავარ წინადადებაში არ მოიპოვება იმის რაიმე მანიშნებელი, რომ მას მოსდევს დამოკიდებული წინადადება. მხოლოდ მთავრის ინტონაცია გვიჩვენებს, რომ წინადადება არ არის დასრულებული. მაგ.; მაიკო თანდათან ცივი ხმით ჰკიოდა, **რაც თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა** (გვეტ., 113); ამ მოგზაურობის შედეგი, ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან სამწუხარო გამოდგა, **რამაც ძალიან დაგვაღონა და დაგვაფიქრა** (ვაჟა, 7, 351); მაშინვე მოვედი სასწავლებლი-

დან, **რითაც ყველა გავაკვირვე**... (წერ., 7, 77).

მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ახლო დგას ისეთ რთულ თანწყობილთან, რომლის მეორე ნაწილი გადმოგვცემს დასკვნასა თუ შეფასებას იმისას, რაზედაც პირველ ნაწილშია საუბარი. მაგალითად: გავარდა ერთბაშად თოფი **და ეს** ნიშანი იყო საერთო იერიშისა. (ყაზ.). „და ეს“ რომ შევცვალოთ მიმართებითი ნაცვალსახელით „რაც“, წინადადება მთავრის მიმართად გადაკეთდება: გავარდა ერთბაშად თოფი, **რაც ნიშანი იყო საერთო იერიშისა**. ასევე, „რაც“-ს რომ შევუნაცვლოთ ჩვენებითი ნაცვალსახელი „ეს“ (თუ მიმართებითი ნაცვალსახელი სხვა ბრუნვაშია, შენაცვლებული ნაცვალსახელიც იმ ბრუნვაში დგება), რთული ქვეწყობილი წინადადება თანწყობილად გადაიქცევა: მაიკო თანდათან ცივი ხმით კიოდა და ეს თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა; ამ მოგზაურობის შედეგი, ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან სამწუხარო გამოდგა და ამან ძალიან დაგვაღონა და დაგვაფიქრა. თუ „და“-ს არ ვიხმართ, მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება დამოუკიდებელ წინადადებად გადაკეთდება, რომელიც წინა წინადადებას წერტილ-მძიმით გამოეყოფა: „მაიკო თანდათან ცივი ხმით კიოდა; ეს თეოფილეს გულზე ლურსმანივით ეჭდობოდა“. „ამ მოგზაურობის შედეგი, ჩვენდა საუბედუროდ, ძალიან სამწუხარო გამოდგა; ამან ძალიან დაგვაღონა და დაგვაფიქრა“.

შენიშვნა: ტერმინი „მთავრის მიმართი“ მეტად პირობითია: მთავარს მიემართება ზოგიერთი სხვა სახის დამოკიდებული წინადადებაც (მაგ., შედეგობითი), რომელთაგანაც ის გამოირჩევა. ქართულში ეს ტერმინი პირველად **ა. შანიძის** სასკოლო გრამატიკაში გვხვდება[282].

§185. რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა განმარტოება

ზოგჯერ მარტო დამოკიდებული წინადადებაა წარმოდგენილი, მთავარი კი იგულისხმება კონტექსტის მიხედვით. ასეთი რამ უმეტესად გვხვდება კითხვა-მიგების დროს, დიალოგებში. თუ გვინდა დავადგინოთ დამოკიდებული წინადადების სახე, საჭიროა აღვადგინოთ სავარაუდო მთავარი წინადადება. მაგალითები:

1. – მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

– **რომ არ იყოს ორმოცი**?

– ჯარიმა გადამახდევინე. (ჭავ, 331).

იგულისხმება: რომ არ იყოს ორმოცი, მაშინ რას იზამ? (ან: ...„მაშინ რა გიყო“ და მისთ.), მაშასადამე, დამოკიდებული წინადადება პირობითია.

2. – რა მოგცე?

– **რაც შენი ნებაა**. (ჭავ., 444).

აქ იგულისხმება: ის მომეცი, რაც შენი ნებაა. დამოკიდებული

[282] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 165.

წინადადება პირდაპირდამატებითია.

3. – ჩემს ნამუსზედ აგდებ, რაღა?

– რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

– **ჩემი ნამუსი რომ შენს კაიკაცობას არ გასწვდეს**?!

– არა უშავს-რა! (ჭავ., 444).

დამოკიდებული წინადადება პირობითია. იგულისხმება: „ჩემი ნამუსი რომ შენს კაი-კაცობას არ გასწვდეს, მაშინ...

4. – რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

– ორივენი ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

– **ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ**? (ჭავ., 259).

აქ იგულისხმება: ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ, რომელს ამჯობინებდი? (ან: რომელს ირჩევდი?) დამოკიდებული წინადადება აქაც პირობითია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კითხვა, როგორც წესი, მთავარს ეხება, მაგრამ როცა მთავარი წინადადება გამოტოვებულია, მაშინ კითხვითია თვით დამოკიდებული წინადადება (1-ლი, მე-3 და მე-4 მაგალითი).

მთავარი წინადადება შეიძლება გამოტოვებულ იქნეს გაბმულ მეტყველებაშიც, ე.ი. არა კითხვა-მიგების დროს. მაგალითად: სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად. (ჭავ., 424). პირველი წინადადება დამოკიდებულია, მეორე კი გარეგნულად თითქოს მთავარია, მაგრამ სინამდვილეში ეს წინადადებაც დამოკიდებულად უნდა იქნეს გაგებული, მიუხედავად იმისა, რომ მასში დამოკიდებული წინადადების გარეგნული ნიშანი (მაქვემდებარებელი კავშირი) არ მოიპოვება. მთავარი რომ აღვადგინოთ, მივიღებთ: სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, [გიპასუხებდათ, რომ] ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად. მსგავსი მაგალითებია: სხვა ხეებს რომ უყუროთ, დატვირთულნი დგანან ბუნების მონიჭებულის სარჩოთი (ვაჟა, 5, 86); თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენ ვართ ლაჩრები. (ყაზ.). პირველში შეიძლება აღვადგინოთ „შენიშნავთ, რომ“, მეორეში – „ნახავთ, რომ (ან: გაიგებთ, რომ).

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში განმარტებული მთავარი წინადადებებია: „ჯარიმა გადამახდევინე“, „რა ცუდი თამასუქი ეგ არის“, „არა უშავს-რა!“ დავასახელებთ უფრო ნათელ მაგალითს: – რომ მართლა ეშმაკები იყვნენ, რას მიზამენ? – **ჭკუისაგან შეგშლიან**. – მოშიში არ გახლავარ! – რომ მოგახრჩონ? – დაამატა სიცილით. – **არც ის მენაღვლება კიდევ!** (წერ., 7, 205). „რომ მოგახრჩონ“ განმარტებული დამოკიდებული წინადადებაა, **„ჭკუისაგან შეგშლიან“** და „არც ის მენაღვლება კიდევ“ – მთავარი. ამ უკანასკნელთ სავარაუ-

დო დამოკიდებული წინადადებები რომ შევუწყოთ, მივიღებთ: „რომ მართლა ეშმაკები იყვნენ, ჭკუისაგან შეგშლიან“ და „რომ მომახრჩონ, არც ის მენაღვლება კიდევ!“

რთული თანწყობილი წინადადების ერთ ნაწილს იშვიათად დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს, მისი მთავარი კი გამოტოვებულია: ადგილი კარგია, მაგრამ **ტყე რომ შორსა გაქვსთ**? (ყაზ., 175).

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევა, როცა წინადადება შეიცავს მაქვემდებარებელ კავშირს, ე.ი. გარეგნულად თითქოს დამოკიდებულია, მაგრამ მთავარი არაა და არც გამოტოვებულად ივარაუდება. ასეთ წინადადებაში წარმოდგენილია **„სწორედ რომ“** ან **„მართლა რომ“** და იგი კატეგორიულს ხდის ნათქვამს, აძლიერებს მას: იმის კბილები **სწორედ რომ** ალმასია (გოგ., 177); სპარსული ქუდი **სწორედ რომ** არ უნდა მეხუროს მე (გოგ., 269); **მართლა რომ** შესაბრალისია ეგ საწყალი (ჭავ., 286); **მართლაც რომ** ძაღლის ხევია! (ჯავ., 3, 359).

ამ ტიპის წინადადება ზოგჯერ რთული თანწყობილი წინადადებისა თუ შერწყმულის ნაწილადაც არის წარმოდგენილი: ფრინველს **მართლაც რომ** აბრაზებდა იმათი ყოფაქცევა და დროს ელოდა ორივესთვის დღე დაებნელებინა (ვაჟა, 6, 610, მერმე გაამშვენიერა და **სწორედ რომ** კეკლუცად მოაწყო თავისი ბადი. (ბარნ., 1, 177).

როცა „მართლა“ და „სწორედ“ იწყებენ წინადადებას, ისინი ზოგჯერ მთავარ წინადადებად არიან გაგებული და მომდევნო სიტყვებისაგან მძიმით გამოყოფილი: **მართლა**, რომ ცისკარია (ბარნ., 1, 360); **სწორედ**, რომ კარგი ჰაერია. (ყაზ., 2, 43).

მთავარი წინადადება, როგორც ეს დამოკიდებულ წინადადებათა განხილვისას არის აღნიშნული, ზოგჯერ შორისდებულით, ნაწილაკით არის გადმოცემული... აკლია ზმნა. აქ დამატებით შეიძლება შევნიშნოთ:

ა) მთავარ წინადადებად ზმნური წარმოშობის ნაწილაკია, დამოკიდებულს იწყებს „რომ“, ხოლო შემასმენლად II კავშირებითის ფორმაა ნახმარი[283]. ლამის, რომ არ შაეწიროს (ვაჟა, 3, 246); ლამის, რომ ჩემი სამეფო შეარცხვინოს. (ვაჟა, 5, 344).

ბ) მთავარი წინადადება გადმოცემულია ქვემდებარის ბრუნვაში დასმული სახელით (მარტო ან მსაზღვრელითურთ), ხოლო ზმნა-შემასმენელი არ არის და ამჟამად არც ივარაუდება: **შენმა მზემ, რომ** კარგია! (ჭავ., 348); ლომისის **მადლმა, რომ** კარგად არის (ყაზ., 59); **ძმობამ, რომ** კარგა ჰყოლია. (ვაჟა, 3, 178).

ზოგიერთი ფიცილისა და თხოვნის ფორმულა დასმულია მოთხრობითში ან მიცემითში და დამოკიდებულ წინადადებად სავარაუდო ნაწილი უკავშიროდ არის წარმოდგენილი: **დედაშვილობამ**, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო (წერ.); ბიჭო, მახარე, არიქა,

[283] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 635.

მამაშვილობას, ცეცხლი მომიტანე! (ვაჟა); მოიცა, ქალო, **და-ძმობას**, ცოტას იარე წყნარადა. (ვაჟა). შეიძლება ვივარაუდოთ: დედაშვილობამ იცის, რომ... მამაშვილობას გაფიცებ, რომ... და-ძმობას გაფიცებ, რომ... მოთხრობითი საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა, მიცემითი – დამატება–ობიექტებისაც. მოთხრობით ბრუნვაში დასმული ფორმულები ქვემდებარისაგან არიან წარმომდგარი, მიცემითში დასმული – პირდაპირი დამატებისაგან.

იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა მთავარ წინადადებად მხოლოდ ქვემდებარეა წარმოდგენილი, ხოლო დამოკიდებულ წინადადებად სავარაუდო ნაწილი უკავშიროდ არის მასთან შეერთებული: – **ქალბატონმა**, სახლის ქირა გამოგზავნეთო! – რაო? (არაგვ.); – შენ სადღა მიხვალ?– მე თქვენთან. **მამაჩემმა**, მამაშენი ჩვენსა გადმოვიდესო, ბახაც წამოიყვანოსო. (რ. ინან.).

§186. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება

რთულ უკავშირო წინადადებათა ერთი წყება აზრობრივ და სტრუქტურულად ახლოს დგას რთულ კავშირიან ქვეწყობილ წინადადებასთან. ამ ტიპის რთული უკავშირო წინადადების ერთი ნაწილი მოგვაგონებს მთავარ წინადადებას, მეორე კი დამოკიდებულს, რომელიც, საზოგადოდ, იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც კავშირიანი დამოკიდებული წინადადება: **მე ის** მაფიქრებდა, **როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს**. (ბარნ., 2, 272). მეორე წინადადება ხსნის და აზუსტებს პირველ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემული ქვემდებარის ზოგად მნიშვნელობას და ავსებს მას კონკრეტული შინაარსით ისევე, როგორც კავშირიანი ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება: **მე ის** მაფიქრებდა, **თუ როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს**. კიდევ მაგალითი: დარწმუნებული ვარ, **არავინ დაიზარებს მოსვლას**. (გვეტ., 273). აქ შეიძლება ჩავსვათ კავშირი „რომ“. დარწმუნებული ვარ, **რომ არავინ დაიზარებს მოსვლას**. მეორე წინადადება ორსავე შემთხვევაში უბრალო დამატებითია, ე.ი. ერთი და იმავე ფუნქციისა. მაშასადამე, როცა უკავშირო რთული წინადადების ერთი ნაწილი მეორის მიმართ ამა თუ იმ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების ფუნქციისაა, მას შეიძლება შევუნაცვლოთ რთული კავშირიანი ქვეწყობილი წინადადება. მაგრამ უკავშირო რთულ წინადადებებში ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, რომელთაც, მართალია, უკავშირო ქვეწყობილთ ვაკუთვნებთ, მაგრამ მათ კავშირიან ქვეწყობილ წინადადებებს ვერ შევუნაცვლებთ. ასეთ შემთხვევაში უკავშირო რთული წინადადების ნაწილთაგან ერთი მეორის მიმართ აზრობრივ დაქვემდებარებითს მიმართებაშია, ე.ი. დამოკიდებული წინადადების როლში გვევლინება, მაგრამ არ ასრულებს ამა თუ იმ კავშირიანი დამოკიდებული წინადადების სინტაქსურ ფუნქციას. ასეთ უკავშირო წინადადებებს არ მოეპოვებათ პარა-

ლელი რთულ კავშირიან წინადადებებში, ამდენად მათი ქვეწყობილი წინადადებისადმი მიკუთვნება პირობითია.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა შეერთებისა და მათ შორის გარკვეული ლოგიკური მიმართების დამყარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას **ინტონაცია** წარმოადგენს, ხოლო ნაწერში ამას, თუ სრულად არა, რამდენადმე მაინც სათანადო სასვენი ნიშნების დასმით გამოვხატავთ. მაგრამ უკავშირო ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა ურთიერთმიმართების გამოსახატავად, გარდა ინტონაციისა, მნიშვნელობა აქვს შემდეგ მომენტებს: 1) წინადადებათა წყობას, რაც ჩვეულებრივ მყარია: დამოკიდებული წინადადება ან თავშია, ან ბოლოში, მისთვის ადგილის შეცვლა შეუძლებელია; 2) მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში ზმნის ფორმათა ხმარების გარკვეული კანონზომიერებაა.

უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებში სამი ძირითადი შემთხვევა გამოიყოფა:

ა) მთავარ წინადადებაში საკორელაციო სიტყვაა, რომელიც გარკვეული სახის დამოკიდებულ წინადადებას გვავარაუდებინებს, როგორც მის ამხსნელსა და დამაზუსტებელს, თვით დამოკიდებულში კი არ მოიპოვება საკავშირებელი სიტყვა, მაგრამ მისი აღდგენა ადვილია. მაგალითად: **ისე** იყო ხე წაწოლილი, მარჯვე ბიჭები უხელოდ გავდიოდით ზედ. (ბარნ., 2, 72). პირველი წინადადება მთავარია, რომელსაც ახლავს მისათითებელი ვითარების ზმნიზედა „ისე“, რომელიც გვავარაუდებინებს ამ ზმნიზედის ზოგადი მნიშვნელობის კონკრეტული შინაარსით შემავსებელ დამოკიდებულ წინადადებას. ამ ტიპის რთული წინადადება, რომელიც მთლად უკავშიროდ არ ჩაითვლება, ადვილად გადაკეთდება მაქვემდებარებელკავშირიან ქვეწყობილ წინადადებად: **ისე** იყო ხე წაწოლილი, **რომ** მარჯვე ბიჭები უხელოდ გავდიოდით ზედ.

ბ) არც მთავარშია საკორელაციო (მისათითებელი) სიტყვა და არც დამოკიდებულშია მაქვემდებარებელი კავშირი: არა მგონია, თბილისის ბადალი ქალაქი სადმე იყოს. (გვეტ., 241). აქ შეიძლება ჩავსვათ მაქვემდებარებელი კავშირი „რომ“. არა მგონია, **რომ** თბილისის ბადალი ქალაქი სადმე იყოს.

დასახელებული ტიპის უკავშირო წინადადებებში ხშირად „გამოტოვებულია“ „რომ“ ან „თუ“. „თუ“-ს გამოტოვება ჩვეულებრივია, როცა დამოკიდებული წინადადება შეიცავს კითხვით სიტყვას: ვანომ და ცაცამ არ იცოდნენ, [თუ] როგორ გადაეხადათ ამ კეთილის კაცისათვის მადლობა. (ევდ., 3, 15). თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენლად კავშირებითის ან კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი II თურმეობითის ფორმაა, „რომ“ კავშირი ჩვეულებრივ გამოტოვებულია: მეშინიან, [რომ] რამე უბედურება **არ აუტეხოს** თავის

თავს (ბარნ., 3, 80); ნაბრძანები იყო, [რომ] სწრაფად **გაემაგრებინათ** ეს ადგილები. (ბარნ., 1, 341).

ასეთივეა შემდეგი წინადადებაც: დაიხსომეთ ერთხელ და სამუდამოდ: ამ ქვეყნად სასწაული ათას თუ ორი ათას წელიწადში ერთხელ მოხდება ხოლმე. (ჯავ., 1, 150).

„რომ“-ის „გამოტოვება“ ხშირად გვხვდება მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელი თხრობითი კილოს ფორმით არის გადმოცემული: რუსუდანი დარწმუნდა, [რომ] ირაკლი აღარ **ხუმრობდა** (გვეტ., 93); რაიბულს იმედი ჰქონდა, [რომ] ღვინოს იაფად შილდაში **იყიდდა**. (ვაჟა, 6, 433).

გ) უკავშირო რთულ წინადადებათა ერთი წყება ისეთია, რომ „გამოტოვებული“ არაფერი ჩანს, ოღონდ ერთი წინადადების მეორისადმი მიმართება დაქვემდებარებითია, ემსახურება მისი მნიშვნელობის ახსნა-განმარტებას, აზრის უფრო სრულად და დაწვრილებით გადმოცემას... მაგ.: პავლეს პირისახეს არეულობა დაეტყო: იისფერი ფარჩის ანაფორა გადაიკეცა (ჯავ., 1, 185); უცებ გიორგის თავში რაღაც მოხდა: თავზარი დაესხა, თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. (ჯავ., 1, 492).

ქვემოთ პირველად განვიხილავთ ისეთ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებებს, რომელთაც აქვთ პარალელი კავშირიან ქვეწყობილ წინადადებებში, ხოლო შემდეგ – ისეთებს, რომელთაც ასეთი პარალელი არ გააჩნიათ.

1. უკავშიროდ შეერთებული ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მოსდევს მთავარს, რომელიც სტრუქტურულად არ განსხვავდება კავშირიანი ქვეწყობილი წინადადების მთავრისაგან: მთავარში ქვემდებარე არ არის ან ის გადმოცემულია ნაცვალსახელით: ცხადად ეტყობოდა, **ყველა ძაღლი სცნობდა ცოფიანს და ერიდებოდა** (რაზ., 354)); კიდევ კარგი, **ცოცხალს გხედავ** (გვეტ., 319); **მე ის** მაფიქრებდა, **როგორი თვალით შეხედავდა მიხა ქეთეთოს.** (ბარნ., 2, 272).

პირველსა და მეორე მაგალითში შეიძლება ჩავსვათ „რომ“, მესამეში – „თუ“.

2. უკავშიროდ შეერთებული დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც აგრეთვე ყოველთვის მთავრის შემდეგაა, შეიძლება იყოს: პირდაპირი, ირიბი და უბრალო. მთავარს აკლია დამატება, რომლის მაგივრობასაც უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებული წინადადება ასრულებს.

ა) დამოკიდებული წინადადება პირდაპირდამატებითია: ხალხმა დაინახა, **ირემი როგორ ჩაიღუპა ზღვაში**... (ვაჟა).

ბ) დამოკიდებული წინადადება ირიბდამატებითია: ქალი ვერ მიმხვდარიყო, **რა მიზეზით ეძინებოდა**... (ყაზ., 2, 4350.

გ) დამოკიდებული წინადადება უბრალო დამატებითია: დარწმუნებული ვარ, **არავინ დაიზარებს მოსვლას.** (გვეტ., 273).

როცა დამატებითი დამოკიდებული წინადადება (აგრეთვე ქვემდებარული) კითხვითს სიტყვას შეიცავს, შეიძლება ჩავსვათ „თუ“, სხვა შემთხვევებში კი – „რომ“. მთავრის შემდეგ ჩვეულებრივ მძიმეს წერენ, ი შ ვ ი ა თ ა დ კი – ორწერტილს (ან ტირეს): უნდა გამოვტყდე: **შალვა მაინც მიყვარდა – თავისებურად, დროგამოშვებით, უცნაურად, ახირებულად** (ჯავ., 1, 479); აკაკის ნირად ჰქონდა – ამ დროს ქუთაისს უთუოდ წავიდოდა. (გვეტ., 354).

3. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია. მთავარში ზოგჯერ არის მისათითებელი ნაცვალსახელი „ისეთი“, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის და აზუსტებს მომდევნო წინადადება: **ისეთი** ლხინი გავმართოთ, **ჩვენ დაგვნატროდეს ყველა.** (რაზ.).

4. დამოკიდებული წინადადება **დროის გარემოებითია**, რომელიც უსწრებს მთავარს და ამ უკანასკნელს ნაწერში ტირეთი გამოეყოფა. ეფარდება ისეთ წინადადებას, სადაც კავშირად გამოყენებულია „როდესაც“ („როცა“), გამოხატავს მოქმედებათა ერთდროულობას ან თანამიმდევრობას: [ყვავი] **ზის** – ჩხავის, **დაფრინავს** – ჩხავის (ვაჟა, 6, 353); **კახური ვთქვი** – ვერავინ მომყვა. **ღვინო დავლიე** – ყველა გავლახე. **ჯირითში გავველ** – უკან დავყარე. **სროლა გავმართეთ** – ყველას ვაჯობე. **ქალებს გავხედე** – ცეცხლი დავანთე. (ჯავ., 3, 531).

5. დამოკიდებული წინადადება **ვითარების გარემოებითია**, რომელიც მოსდევს მთავარს ან უსწრებს მას. მთავარში ჩვეულებრივ წარმოდგენილია მისათითებელი ზმნიზედა „ისე“. ამ ტიპის წინადადებებში შეიძლება ჩავსვათ „რომ“ კავშირი: აქლემის საპალნე ისე არ დაპატარავდება, [რომ] **ვირისა აღარ გამოვიდესო** (ანდ.); **ისე** მაინც დაადგი ფეხები, [რომ] **ყვავილები არ გასთელო** (ვაჟა, 6, 301); ხშირად ოთხი თვე [ისე] გავა, [რომ] კაცს ვერ დავინახავ თვალით. (ვაჟა, 5, 27).

6. დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია, იგი მოსდევს მთავარს და ნაწერში მისგან ორწერტილით გამოიყოფა: ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა: **მტერმა გული მოსტაცა იმას** (ბარნ., 1, 127); ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს **ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედა-მიწის გულზე.** (ვაჟა, 5, 30). შეიძლება ჩავსვათ კავშირი „რადგანაც“ (ან: „იმიტომ რომ“), თუმცა სტილისტიკურად უპირატესობა უკავშირო შეერთებას ეძლევა.

7. დამოკიდებული წინადადება **მიზნის გარემოებითია**: წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: **ჩვენს იას არ შეგვიცივდეს ან არაფერმა არ აწყინოსო.** (ვაჟა, 5, 31).

8. დამოკიდებული წინადადება **შედეგობითის შინაარსისაა**: ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ველარ გაძლო და

გაჟრჟოლებულს ცახცახი დააწყებინა (ყაზ.); მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: **მიკუნჭულან ზოგნი ბარდებში, სხვები – ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან.** (ვაჟა, 6, 351).

9. დამოკიდებული წინადადება პირობითის შინაარსისაა, ყოველთვის პირველ ადგილზეა და ნაწერში მთავრისაგან ტირეთი გამოიყოფა: **მიწამ ყანა გაგიკეთოს** – ნუ ჩამოეკიდები, **მოგიცდინოს** – ნუ შემოსწყრები (ხალხ.); **მისცემ** – მადლობას გეტყვის, **არ მისცემ** – არაფრად შეიმჩნევს. (ლორთქ., 2, 175).

პირობითის შემცველი უკავშირო ქვეწყობილი წინადადება ანალოგიურია დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი უკავშირო ქვეწყობილი წინადადებისა: ერთნაირია წინადადებათა წყობა, ინტონაცია, ზმნის ფორმათა გამოყენება, ნაწერში სასვენი ნიშანი. ამით აიხსნება, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ზოგჯერ ჭირს კიდეც.

უკავშირო რთული წინადადებები მრავალფეროვანია. ზემოთ განხილულ შემთხვევებში უკავშიროდ შეერთებული წინადადების სინტაქსური ფუნქცია შედარებით კარგად ჩანს. მათ შეიძლება შევუნაცვლოთ კავშირიანი ქვეწყობილი წინადადებები, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. უკავშირო რთულ წინადადებებში ისეთებიც გვხვდება, რომლებიც ქვეწყობილ წინადადებას უფრო განეკუთვნება, ვიდრე რთულ თანწყობილს, მაგრამ ამა თუ იმ ტიპისადმი მიკუთვნება ძნელდება. ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა უკავშირო რთული წინადადების მეორე ნაწილი, რომელიც წინადადებისა თუ წინადადებათა წყებისაგან შედგება, წარმოადგენს პირველი ნაწილის ახსნა-განმარტებას, მისი შინაარსის გაშლილად და დაწვრილებით გადმოცემას: ორბი ძვალს ათამაშებდა: ჩამოაგდებს დედამიწაზე და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს, წავა, წავა მაღლა, გაუშვებს კლანჭებიდამ და ჩამოჰყვება თვითონაც თანა. (ვაჟა, 5, 30); ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარა ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხრამებში ხრიალით და უგზო-უკვლოდ გააქანა. (ყაზ., 710).

§186ბ. კავშირების წყვილ-წყვილად ხმარების შემთხვევები

ტექსტებში არცთუ იშვიათად გვხვდება კავშირების წყვილ-წყვილად ხმარების შემთხვევები:

ა) მაერთებელი–მაქვემდებარებელი: მაგრამ თუ; მაგრამ რადგანაც; მაგრამ სანამ; მაგრამ როცა; მაგრამ როდესაც; ხოლო როცა...

ბ) მაქვემდებარებელი-მაქვემდებარებელი: რომ თუ; რომ როცა; რომ ვისაც; რომ რადგანაც; რომ რაც...

ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ მოზრდილი ლექსია, სადაც კავშირები წყვილ-წყვილად ორჯერ არის ნახმარი

1. **მაგრამ თუ:**

მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს.

თუ მაქვემდებარებელი კავშირია, **მაგრამ** – მაერთებელი – მაპირისპირებელი, რომელიც რთულ ქვეწყობილ წინადადებას მიუერთებს და უპირისპირებს ლექსის შემდეგ ადგილს:

„თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული,
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევად თვის სახელი შთამომავლობას“.

2. **მაგრამ რადგანაც:**

ა) ამ ლექსის ბოლო სტროფი **მაგრამ** კავშირით იწყება, რომლითაც მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მიერთებულია და დაპირისპირებული წინა ნათქვამთან, სადაც მკვეთრად არის ნაჩვენები, რომ პოეტისათვის ცხოვრება „იყო ფუჭი და ამაოება“, წუთისოფელი – „საწყაული აღუვსებული“.

ბ) რა პასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს? იმას რომ ესმოდეს მწერლობის მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცოდეს, ამას არ იტყოდა. **მაგრამ რადგანაც** არ იცის და არ ესმის, ამბობს გულწრფელად სისულელეს. (ვაჟა).

3. **მაგრამ სანამ:**

ა) ლაშა ლაზარე კვდებოდა, **მაგრამ სანამ** მოკვდებოდა, ერთხელ კიდევ მიიძინა. (ჯავ.).

მაგრამ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას უერთებს და უპირისპირებს თავკიდურ წინადადებას.

ბ) რა დაერქმევა ჩვენს ურთიერთობას? ოცდაოთხი დღის შემდეგ ის მოსკოვში დაბრუნდება, მე – თბილისში და ამით დამთავრდება ყველაფერი. **მაგრამ სანამ** ეს მოხდებოდა, ბევრჯერ შემეძლო მისი ნახვა. (რ. ინან.).

ამ მაგალითში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება მიერთებულია და დაპირისპირებული წინა ნათქვამთან.

4. **მაგრამ როცა:**

1. ოქრო ნივთიერებათა სახელია და პირდაპირი მნიშვნელობით მრავლობითი არ ეწარმოება, **მაგრამ როცა** ეს სიტყვა ფულს

აღნიშნავს, მრავლობითშიც დაისმის. (ა. შან.).

2. ჩემთვის ყველაზე ადვილი ჭადრაკის თამაშია, **მაგრამ როცა** ამ საქმიანობას მთელ ქვეყანაში პრობლემები ექმნება, ვალდებული ვარ საორგანიზაციო საქმიანობაზეც არა ვთქვა უარი. (ნ. გაფრინ.).

ანალოგიურია იმისა, რაც „მაგრამ სანამ“ კავშირებთან დაკავშირებით ითქვა.

5. **ხოლო როცა:**

ვანო **ისე** დაწვა ლოგინში, **რომ** მთელ იმ სადამოს ხმა არ ამოუღია, **ხოლო როცა** მიწვა და საბანი წაიხურა, ღრმად **მაშინ** ამოიოხრა. (ვაჟა).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებას **ხოლო** კავშირი აერთებს და აპირისპირებს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან.

6. **რომ როცა:**

ხალხმა ვერ გაიგო, **რომ როცა** არაფერს ვაკეთებ, სწორედ მაშინ ვაკეთებ რაღაცას (ზ. ალექსიძე).

ეს რთული წინადადება ორმაგად არის ქვეწყობილი: **რომ** კავშირის მომდევნო ნაწილი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომელიც მთლიანად პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადებაა, რომელიც **რომ** კავშირით არის შეერთებული მთავარ წინადადებასთან. ასეთივეა შემდეგი წინადადებაც: აქ ისიც არის აღსანიშნავი, **რომ როცა** სასხვისოში პირდ. ობიექტად I პირია და ირიბად III (II სასხვისო), ქცევის ნიშნად **ი** არის და არა **უ**: და–მ–ი–ყენა (მან **მას** მე). და–გ–ი–ყენა (მან მას შენ). (ა. შან.).

7. **რომ რადგანაც:**

არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ილუზია, **რომ რადგანაც** აბაშიძე წარმომადგენლად დაინიშნა, რაღაც მაშინვე მოგვარდება. (გაზ. „ახალი თაობა“). **რომ** კავშირის მომდევნო ნაწილი მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომელიც მთლიანად განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა, მთავარ წინადადებასთან **რომ** კავშირით შეერთებული.

8. **რომ თუ:**

1. ზემორე თქმულიდან ცხადია, **რომ თუ** წოდებითის ფორმიანი სიტყვა ხელმეორედ ვაბრუნეთ, ეს არ ნიშნავს, თითქოს **ო** იყოს არა ბრუნვის ნიშანი, არამედ ფუძის საწარმოებელი ფორმანტი. (ა. შან.).

2. პრეზიდენტმა თქვა, **რომ თუ** ეს პროცესი ამდაგვარი მასშტაბით განვითარდება, სამართლიან არჩევნებზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება. (გაზეთიდან).

ორივე მაგალითში **რომ** კავშირის მომდევნო ნაწილი რთული ქვეწყობილი წინადადებაა, მაგრამ დამოკიდებულია **რომ** კავშირით მთავართან შეერთებული. პირველ მაგალითში დამოკიდებულ წინადადებად დაკავშირებული ქვეწყობილი წინადადება ქვემდებარულია, მეორეში – პირდაპირდამატებითი.

9. **რომ ვისაც:**

ნაძღვენი ნაწარმოები როგორ შეიძლება დაიწეროს ისე, **რომ ვისაც** უძღვნი, მათი დახასიათება არ გაერიოს. (ვაჟა). პირველი (რომის წინა) წინადადება მთავარია აქაც, მომდევნო – რთული ქვეწყობილი წინადადება, რომელიც მთავართან მიმართებით ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა.

10. **რომ რაც:**

სვავი ცდილობს ლაპარაკში არწივს მიბაძოს, კილო არწივის მიიღოს... ჰმ! მაგათ როდი იციან, თქვენ გარდა, დიდებულო არწივო, **რომ რაც** მარტოკა ჩემ თავში ტვინია, ყველა მაგათ თავში იმის ნახევარიც არ მოიძევება. (ვაჟა).

რომ კავშირის მომდევნო წინადადება ←ცალკე აღებული, რთული ქვეწყობილი წინადადებაა, რომელიც აქ პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადებაა, მთავარია „მაგათ როდი იციან“.

შენიშვნა: რომ კავშირის შემდეგ ზოგჯერ მძიმეა დასმული, რაც შეცდომაა.

11. **ვინც რომ:**

მისი გამჩენის ჭირიმე, **ვინც რომ** შენ გამოგჭედაო (წერ. „ხანჯალს“); ისინი, **ვინც რომ** ერთი წუთის წინათ მხეცივით სისხლით ვერა ძღებოდნენ, ახლა იმ კვნესას ყურს რომ უგდებდნენ, იმათი ცოდვით იდაგებოდნენ. (წერ.).

12. **რაც რომ:**

მშვიდობიანი აღარა მაქვს ცხადი და ძილი,
რაც რომ ერთმანეთს ჩვენ დავშორდით ცხოვრების გზაზე,
რაც რომ მე შენი არ მინახავს კარგი ღიმილი. (გალაკტიონი).

ლექსი რომ არა, დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად საკმარისია მიმართებითი ნაცვალსახელი.

XIII. რამდენიმე დამოკიდებული მთავართან და ნარევი სახის რთული წინადადება

§187. რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება ერთ მთავართან.

რთული ქვეწყობილი წინადადება ხშირად შეიცავს რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას, რომელთა დაქვემდებარებაც ორგვარია: **თანადაქვემდებარება** და **თანამიმდევრული დაქვემდებარება**. თანადაქვემდებარება გვაქვს მაშინ, როცა რამდენიმე დამოკიდებული წინადადება უშუალოდ არის დაკავშირებული მთავარ წინადადებასთან. მაგალითად: **რომ დაასრულა ეს ნატვრა**, ნახა, **რომ ფრთები ესხმება**. (წერ.). მთავარი წინადადებაა **ნახა**, რომელსაც ორი დამოკიდებული წინადადება უშუალოდ ახლავს. ამათგან პირველი (რომ დაასრულა ეს ნატვრა) დროის გარემოებითია და უსწრებს მთავარ წინადადებას, ხოლო მეორე (რომ ფრთები ესხმება) პირდაპირდამატებითია და მოსდევს მას. მაშასადამე, აქ გვაქვს დამოკიდებულ წინადადებათა თანადაქვემდებარება, ე.ი. პირველი და მესამე **თანადამოკიდებული** დამოკიდებული წინადადებებია.

თანამიმდევრულია დაქვემდებარება, როცა მთავარი წინადადების დამოკიდებულს ახლავს თავისი დამოკიდებული, დამოკიდებულის დამოკიდებულს თავისი დამოკიდებული. მაგ.: მოხუცი გაუდგა წითლოვანის ბილიკს (1), **რომელსაც** პირდაპირ იმ ადგილს უნდა მიეყვანა (2), **სადაც** იმისი ცხვარი იდგა (3). (ყაზ.). პირველი წინადადება მთავარია, მე-2 წინადადება მასზეა დამოკიდებული, ხოლო მესამე დამოკიდებული წინადადების დამოკიდებულია, ე.ი. დამოკიდებულ წინადადებათა დაქვემდებარება თანამიმდევრულია.

ასეთივეა შემდეგი წინადადებაც: იგი დაჯდა მთის პირად ერთ ხეზე (1), **საიდანაც** მოჩანდა სოლჭა და ის ქორაფი (2), **რომელზედაც** მტრედს ბუდე ჰქონდა გაკეთებული (3). (ვაჟა). პირველი წინადადება აქაც მთავარია, მე-2 – მასზე დამოკიდებული, მესამე – დამოკიდებულის დამოკიდებული.

თანადაქვემდებარებისა და თანამიმდევრული დაქვემდებარების შემთხვევები ხშირად გვხვდება მხატვრულ პროზაულ თხზულებებში.

თანადამოკიდებული ანუ მთავართან უშუალოდ დამოკიდებული წინადადებები ორი სახისაა: **ერთგვარი** და **არაერთგვარი**.

ერთგვარია ერთ მთავართან დაკავშირებული დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც ერთნაირი არიან ფუნქციის მიხედვით (მაგალითად, ყველა ქვემდებარულია ან დამატებითი, ან განსაზღვრებითი, ან კიდევ ადგილის გარემოებითი და ა.შ.) და ერთნაირად მიემართებიან მთავარი წინადადების ერთსა და იმავე წევრს (ან

მთლიანად მთავარს). საერთოა მათი პოზიციაც; უსწრებენ მთავარ წინადადებას ან მოსდევენ მას, ან კიდევ ყველა მთავარ წინადადებაშია მოქცეული. ჩვეულებრივ საკავშირებელი სიტყვაც ერთნაირია, იშვიათად სხვადასხვაც, მაგრამ ერთი და იმავე ფუნქციისანი. ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ძირითადი შემთხვევებია:

1. მთავარს მოსდევს რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება: 1. იგი ვერა ჰხედავდა (1), **რომ** ჩვენ მაშინ მიწაში ცრემლსა ვღვრიდით (2), **რომ** ჩვენმა ცოდვა-მადლმა დედამიწაც აატირა (3).(ვაჟა, 5, 255). 2. განა არ იცის აკმიამ (1), **რომ** დიდი დოვლათია საჭირო (2), **რომ** ნაომარ ქვეყანას გამოკვება სჭირდება (3), **რომ** უხვი მოსავალი გამარჯვების საწინდარია (4). (მიხ. მრევლ., 34). პირველ მაგალითში მთავარს ორი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება მოსდევს, მეორეში – სამი. ამ წინადადებათა სქემები ასეთია:



2. ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები უსწრებენ მთავარ წინადადებას: 1. **რაც უფრო** ცვდებოდა მისი ეტლი (1), **რაც უფრო** ხანში შედიოდა თვითონ **ტანტალა** (2), მით უფრო გულღრძუ და ხარბი ხდებოდა იგი (3). (მიხ. მრევლ. 179). 2. **სადაც** უსამართლობა მძვინვარებს (1), **სადაც** აჯამობა დაყიალებს (2), **სადაც** უაზრობა და უგრძნობლობაა (3), ნამდვილი ხოლერაც იქა ბუდობს (4). (ვაჟა, 7, 208). ამ წინადადებათა სქემებია:



3. ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები მთავარ წინადადებაშია მოქცეული: ანზორა მოხუცებული, დავრდომილი (1), **რომელმაც** მთელი ყმაწვილკაცობა გაატარა მამულის დასაცავად ბრძოლაში (2), **რომელმაც** შესწირა სამი შვილი სამშობლოს თავისუფლებას (3), აწ თავის მარტო ერთი ქალითღა ესალმებოდა თავის ქვეყანას (1) (ყაზ., 194). მთავარი წინადადების ქვემდებარეს ორი

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ახლავს, სქემა ამ წინადადებისა ასეთია:



ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთის მიმართ თანწყობილი არიან. ამიტომ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი ერთხელ არის ნახმარი, დამოკიდებული წინადადებები მაერთებელი კავშირით არიან შეერთებული, ან კიდევ დამოკიდებული წინადადებები მაერთებელი კავშირით (ჩვეულებრივ და-თი) მაშინაც არიან შეერთებული, როცა ყველა ერთგვარი დამოკიდებული წინადადება მაქვემდებარებელი კავშირით თუ წევრ-კავშირით უერთდება მთავარ წინადადებას. დავასახელებთ ამ ტიპის წინადადების ორიოდე შემთხვევას:

1. თანწყობილი წინადადება, რომელიც ორი დამოკიდებული წინადადებისაგან შედგება, ერთმანეთთან მაერთებელი კავშირით არის შეერთებული, მთავართან – ერთი მაქვემდებარებელი კავშირითა თუ წევრ-კავშირით: ვიცოდი (1), **რომ** ისინი ბატონები იყვნენ (2) და მე მათი შვილი ვიყავი (3). (წერ). 2. როცა მტრედისფრად აყვავდა ცა (1) **და** მარიხი ჩაქრა (2), მხოლოდ მაშინ ჩასთვლიმა ოდნავ (3). (გამს, 2, 486). 3. დიდ დარბაზში (1), **სადაც** სხვა დროს ფართალი ელაგა (2) და ნოქარ-მუშტრის ჟრიამული იდგა (3), ახლა დიდი სუფრა იყო გაშლილი (1). (ლ. გოთ.).

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების განლაგება და დაკავშირება კარგად ჩანს მოცემულ სქემებში:



2. ორზე მეტი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება ერთმანეთთან მაერთებელი კავშირით არის შეერთებული, მთავართან – ერთი მაქვემდებარებელი კავშირით ან წევრ-კავშირით: **როცა** წვიმ-

და (1) და ქუხდა (2), ან თოვდა (3) და ქარბუქი ტრიალებდა (4), მურია თვალმოუხუჭავი იჯდა ხოლმე ფარეხის კარებზე (5). (რაზ., 13). სქემა ამ წინადადებისა ასეთია:



3. ორზე მეტ ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათაგან ბოლო წინას მაერთებელი კავშირით უერთდება, სხვები მთავარს – მაქვემდებარებელი კავშირით თუ წევრ-კავშირით: **როცა** სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარი (1), **როცა** საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა (2) და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა (3), – მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული (4). (ჭავ., 336).

ამ წინადადების სქემა ასეთია:



4. ყოველი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება უშუალოდ უკავშირდება მთავარ წინადადებას მაქვემდებარებელი სიტყვით. ამასთანავე, ბოლო დამოკიდებული წინადადება წინასთან მაერთებელი კავშირით არის შეერთებული. თუ მაქვემდებარებელი სიტყვა მიმართებითი ნაცვალსახელია, ის შეიძლება სხვადასხვა ბრუნვაში იდგეს. მაგ.: 1. ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ (1), **სადაც** თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო (2), **სადაც** თემის საბჭო იყო გამართული (3) **და სადაც** ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა (4). (ყაზ., 716). 2. კარგი სანახავია ახალგაზრდა ბიჭი (1), **რომელსაც** ჯერ ცხოვრების ტალღა არ მოხვედრია (2), **რომლის** გულიც დროთა ვითარებისაგან არ გაქსუებულა (3), **რომლის** სინდისი ქვეყნის

უკუღმართ ბრუნვას არ შეუბღალავს (4), **რომელიც** მძიმე ტვირთის ქვეშ არ მოხრილა (5) და **რომლის** ოცნებანიც ვარდისფრად იფანტებიან ლაჟვარდოვან უფსკრულში (6). (წერ., 8, 285). ამ წინადადებათა სქემებია:





5. ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებებს შეიძლება აერთებდეს მაცალკევებელი ან მაპირისპირებელი კავშირიც: აჩქარებულ ხელს ყველაფერი ჩაუწერია (1), **რაც** საკუთარი თვალით მინახავს (2) **ან რაც** სხვისგან გამიგონია (3). (კ. ლორთქ., 3, 285). 2. ერთი საათის შემდეგ (1), **როცა** ოთახი დაულაგეს და ხელცარიელი მონა ხევრე შეიყვანეს (2), **როცა** თევდორე კისერგადაჭრილივით ბადრიჯხის მოსარწყავად წავიდა (3), **ხოლო** მაკრინე ბოსტნის მეორე კუთხეში ხელახლად მოირკალა (4), იმ ოთახში ერთხელ კიდევ შეიხედა ბულულა თავმა და ახალმოსულს ჰკითხა... (1). (ჯავ., 2, 150).

როცა მაერთებელი კავშირის შემდეგ დამოკიდებული წინადადებების მთავარ წინადადებასთან შესაერთებლად არ არის ნახმარი მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი, იგი ჩავარდნილია, ე.ი. გამოტოვებულია, მისი აღდგენა შეიძლება, მაგრამ ეს წინადადებას არ მოუხდება.

არაერთგვარია ერთ მთავართან დაკავშირებული რამდენიმე დამოკიდებული წინადადება, რომლებიც სხვადასხვა ტიპს განეკუთვნებიან, ან კიდევ ერთი ტიპისანი არიან, მაგრამ მიემართებიან მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს. გასარჩევია არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა რამდენიმე ძირითადი შემთხვევა:

1. მთავარი წინადადების ერთსა და იმავე წევრთან (შემასმენელთან) დაკავშირებულია ორი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება: **მოხუცებულისათვის რომ ამ წამს თვალი გედევნებინათ** (1), უეჭველად შეამჩნევდით (2), თუ **იგი როგორ უძრავად იწვა** (3). (არაგვ., 11). მთავარია „უეჭველად შეამჩნევდით“, რომელსაც ორი დამოკიდებული წინადადება ახლავს. ამათგან პირველი (მოხუცებულისათვის რომ თვალი გედევნებინათ) პირობითია, მეორე კი (თუ იგი როგორ უძრავად იწვა) – პირდაპირდამატებითი. დამოკიდებულ წინადადებათა პოზიცია მთავარი წინადადების მიმართ სხვადასხვაგვარია: ერთი უსწრებს მთავარს, მეორე კი მოსდევს მას.

სქემა



არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათაგან ზოგჯერ პირველი მაქვემდებარებელი კავშირითაა შეერთებული, მეორე კი – უკავშიროდ. მაგალითად: **რომ ფრინველებისათვის გაბედულება მიეცა**, არწივმა უბრძანა, **შთაებერათ ბუკ-ნაღარისათვის.** (ვაჟა, 5, 290). მთავარს უძღვის მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, მოსდევს პირდაპირდამატებითი. ეს უკანასკნელი უკავშიროდაა შეერთებული.

2. მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს ახლავს არაერთგვარი (სხვადასხვა ტიპის) დამოკიდებული წინადადებები. მაგალითად: **რაწამს ნუნუ მოეფარა სახლებს,** მახიამ მოუთმენლად დაუწყო ძახილი ერთ პატარა ბიჭს, **რომელიც იქვე კოჭებს თამაშობდა.** (ყაზ., 270). მთავარი წინადადების შემასმენელთან (დაუწყო) დაკავშირებულია დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (რაწამს ნუნუ მოეფარა სახლებს), ხოლო მთავრის ირიბ დამატებასთან (ბიჭს) – განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (რომელიც იქვე კოჭებს თამაშობდა). ამ მაგალითში არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთი თავშია, მეორე – მთავრის შემდეგ. გვხვდება ამ ტიპის არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა სხვაგვარი განლაგებაც, სახელდობრ:

ა) ერთი დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს, მეორე კი მთავარშია: **როდესაც გონს მოვედი და არე-მარეს თვალი გადავავლე** (1), უზარმაზარი მთა-ხრიოკი (2), **რომლის წვერზედაც ნანგრევი ციხეა** (3), წინ მქონდა ამართული (2). (არაგვ., 184).

სქემა



ბ) პირველი დამოკიდებული წინადადება მთავარშია, მეორე – მთავრის შემდეგ: ყმაწვილი ბიჭი (1), **რომელიც იქვე იჯდა** (2),

გამოეკიდა ძაღლს (1), **რათა მოეშორებინა ჩვენკენ მომავალის კაცისათვის** (3). (ყაზ., 165).



3. მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართება ერთი და იმავე ტიპის წინადადებები. მაგალითად: კობა, **რომელიც ბაზარში ასცდა თავის ამხანაგებს**, მოულოდნელად შეხვდა ერთ მოხუცს გლახაკს, **რომელიც მოწყალებას ითხოვდა.** (ყაზ., 421). აქ მთავარს ახლავს ორი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელთაგანაც ერთი მთავარშია, მეორე კი – მთავრის შემდეგ. პირველი განსაზღვრავს მთავრის ქვემდებარეს (კობას), მეორე – ირიბ დამატებას (გლახაკს). მსგავსი მაგალითია: **სადაც დიტო სწავლობდა**, იმ გიმნაზიაში ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი იყო, **რომელიც** სხვებს არა ჰგავდა. (წერ. 1, 285).

4. უფრო რთულია ისეთი შემთხვევები, როცა მთავარი წინადადება შერწყმულია, რომლის ერთგვარ წევრებს ან სხვადასხვა წევრს ახლავს არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები. მაგალითი: ნახა ჩემმა ყურშიამ, რომ ტიღუნა აღარ ხუმრობდა, ეძგერა, წააქცია და, მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუკმა-ლუკმა დაგლეჯდა. (ვაჟა, 5, 27).

მთავრის პირველ შემასმენელთან (**ნახა**-სთან) დაკავშირებულია პირდაპირდამატებითი დამოკიდებული წინადადება (რომ ტიღუნა აღარა ხუმრობდა), მეოთხესთან (**დაგლეჯდა**-სთან) – პირობითი დამოკიდებული წინადადება (მე რომ არ მივშველებოდი). შერწყმული წინადადების სხვადასხვა წევრს ახლავს არაერთგვარი დამოკიდებული წინადადებები შემდეგ მაგალითში: ამ დროს ძაღლმა, **რომელიც შორიახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაში,** დაიყეფა, მაგრამ **რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი,** ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაჰყო. (ჭავ., 339). მთავარია: ამ დროს ძაღლმა დაიყეფა, **მაგრამ** ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით მოთხრილ მიწაში ჩაყო. ეს წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. მთავარში ორი დამოკიდებული წინადადებაა: პირველი – განსაზღვრებითი (რომე-

ლიც შორიახლო იწვა), მეორე – დროის გარემოებითი (რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი). განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ახლავს მთავრის ქვემდებარეს (ამ დროს ძაღლმა, რომელიც...), შერწყმული წინადადების პირველ ნაწილშია, დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება კი – მეორე ნაწილში. შერწყმული წინადადების ნაწილებს, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებებს შეიცავს, აერთებს მაპირისპირებელი კავშირი „მაგრამ“.

სამი არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება ახლავს მთავარ წინადადებას შემდეგ მაგალითში: როცა ისაკამ ზურგი მოიმაგრა (1), თავის ამხანაგს (2), **რომელმაც** აღზარდა და გაწვრთნა (3), ისეთი მოგვერდი უგდო (2), **რომ** ცარიელზე გაიყვანა (4). (არაგვ.). სქემა ამ წინადადებისა ასეთია:



მთავარ წინადადებას უსწრებს ორი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება და მოსდევს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მაგ.: **როცა** ის უცნაური ზამთარი გათავდება (1), **როცა** მაჭარივით ადუღდება და აიმღვრევა წყალი იორში (2), მწყემსები იწყებენ მზადებას (3), **რომ** იქაურ გაუძლის ზაფხულს დროზე გაეცალონ (4). (გ. ნატრ). სქემა:



მთავარ წინადადებას შეიძლება ახლდეს ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა ორი წყება, რომლებიც ერთმანეთის მიმართ არაერთგვარებია: ეგრე **რომ** იყოს (1), ეგ ზნე **რომ** არ ვიცოდე

კაცისა (2), დღესვე მთელი ქვეყნის თვალწინ გავფენდი (3), **რაც** კაცობრიობას ცოდვა ჩაუდენია (4), **რაც** შეცდომა მოჰსვლია (5), **რაც** საცოდაობა დატრიალებულა დედამიწის ზურგზე... (6). (ვაჟა, 6, 22). აქ მთავარ წინადადებას უძღვის ორი ერთგვარი (პირობითი) დამოკიდებული წინადადება, ხოლო მოსდევს სამი ერთგვარი (პირდაპირდამატებითი) დამოკიდებული წინადადება. ამ რთული ქვეწყობილი წინადადების შედგენილობა და მის ნაწილთა ურთიერთმიმართება კარგად ჩანს თანდართულ სქემაში:



§188. თანამიმდევრული დაქვემდებარება.

მთავრის დამოკიდებულს შეიძლება ახლდეს თავისი დამოკიდებული, ამას თავისი და ა.შ. ასეთ დაქვემდებარებას, როგორც უკვე ითქვა (§187), თანამიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება. მაგალითი: არყის ბრჭყვიალა ზეთიან ფოთლებს ნიავზე გაჰქონდათ შრიალი, **როგორც ყინვისაგან დამზრალი თოვლის ფიფქი შრიალებს ხოლმე, როცა ქარი უბერავს და ერთმანეთს აყრის შაქრის ფერფლსავით თეთრსა და ბრჭყვიალა ფიფქსა.** (რაზ., 136). პირველი წინადადება მთავარია, მეორე (როგორც...) – მასზე დამოკიდებული, ხოლო მესამე (როცა...) დამოკიდებულის დამოკიდებულია. თანამიმდევრულად დაქვემდებარებული წინადადებები შეიძლება ორზე მეტიც იყოს: მაგ.: ხმისკენ მობრუნებული მთისკაცი გაოცებული დარჩა, **როცა დაინახა, რომ ოთახში მისდა შეუმჩნევლად იგივე ყმაწვილები შემოსულიყვნენ, რომლებიც ამას წინათ კართან და დერეფანში შეეგებნენ.** (ქიაჩ., 3, 346). აქ სულ ოთხი წინადადებაა, რომელთაგანაც პირველი მთავარია, ხოლო დანარჩენები თანამიმდევრულად დაქვემდებარებული დამოკიდებული წინადადებებია.

მთავარი წინადადებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ წინადადებას 1-ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადება ჰქვია; 1-ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადებისადმი დაქვემდებარებულს – მე-2 ხარისხის დამოკიდებული, მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადების დამოკიდებულს – მე-3 ხარისხის დამოკიდებული და ა.შ. მეორე მაგალითი სქემის სახით ასე შეიძლება გამოვხატოთ:

□ – მთავარი წინადადება: ხმისკენ მობრუნებული მთისკაცი გაოცებული დარჩა.
o – 1-ლი ხარისხის დამოკიდებული: როცა დაინახა.
↓
o – მე-2 ხარისხის დამოკიდებული: რომ ოთახში მისდა შეუმჩნევლად იგივე ყმაწვილები შემოსულიყვნენ.
↓
o – მე-3 ხარისხის დამოკიდებული: რომლებიც ამას წინათ კართან და დერეფანში შეეგებნენ.

თანამიმდევრული დაქვემდებარებისას ერთმანეთის მომდევნო სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც მთავარსა და მის დამოკიდებულს შორის. ასე, მაგალითად, 1-ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულია მთავარი წინადადებისათვის, მაგრამ მთავარი წინადადების როლს ასრულებს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადების მიმართ; მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება დამოკიდებულია 1-ლი ხარისხის დამოკიდებულის მიმართ, ხოლო მე-3 ხარისხის დამოკიდებული წინადადებისათვის მთავარია; მე-3 ხარისხის დამოკიდებული წინადადება მხოლოდ დამოკიდებულია მე-2 ხარისხის დამოკიდებულის მიმართ, რადგანაც მომდევნო ხარისხის დამოკიდებული წინადადება არ ახლავს. ამიტომ არის, რომ ამა თუ იმ ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაში, გარდა უკანასკნელისა, შეიძლება იყოს კორელატები ანუ მისათითებელი სიტყვები.

სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებები შეიძლება უსწრებდეს მთავარს (იშვიათად მთავარშიცაა): **როცა მდინარე ბროლიასაკენ გადაუხვია, რომლის გადაღმა ანტონია ბუკაძის სახლი ეგულებოდა,** მდინარის შხუილთან ერთად ხალხის ხმაურობასაც მოჰკრა ყური. (ქიაჩ.). პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება თავშია; მას მოსდევს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება, მთავარი კი ბოლოშია.

ამა თუ იმ ხარისხის დამოკიდებული წინადადება შეიძლება თავის მთავარში იყოს მოქცეული: [მთისკაცს] ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი (1), **როცა ანაზდეულად შენიშნა (2), რომ საძოვრის ერთი კუთხე (3), საიდანაც ბზიფის მთების მიღმა კავკასიონის მაღალი მწვერვალების ხედი უფრო ფართოდ იშლებოდა (4), უცებ ცეცხლის ალმა დაფარა** (3). (ქიაჩ., 2, 293). „მთისკაცს ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი“ მთავარია, რომელსაც მოსდევს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (როცა ანაზდეულად შენიშნა), რომელიც პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადებაა. მე-2 ხა-

რისხის დამოკიდებული წინადადება (რომ საძოვრის ერთი კუთხე უცებ ცეცხლის ალმა დაფარა) დამატებითია (პირდაპირი); მე-3 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (საიდანაც ბზიფის მთების მიღმა კავკასიონის მაღალი მწვერვალების ხედი უფრო ფართოდ იშლებოდა) განსაზღვრებითია, რომელიც მე-2 ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული.



მთავარსა და ამა თუ იმ ხარისხის დამოკიდებულ წინადადებას შეიძლება ახლდეს ერთი და იმავე ხარისხის რამდენიმე ერთგვარი ან არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება: დიდმა ხანმა აღარ გაიარა (1), **როდესაც მოისმა ტყის გამხმარი ტოტების ლაწალუწი (2) და გამოჩნდა ამაყად მომავალი ხარი ირემი (3), რომელსაც ყურები დაეცქვიტა** (4). (ყაზ., 1, 243). მთავარს (დიდმა ხანმა აღარ გაიარა) ახლავს ორი 1-ლი ხარისხის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (როდესაც მოისმა გამხმარი ტოტების ლაწალუწი და [როდესაც] გამოჩნდა ამაყად მომავალი ხარი ირემი), რომელთაგანაც მეორის ქვემდებარეს ახლავს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი: რომელსაც ყურები დაეცქვიტა). თანდართულ სქემაზე კარგად ჩანს ამ რთული ქვეწყობილი წინადადების შედგენილობა და მისი ნაწილების განლაგება.



ორი ერთგვარი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ახლავს 1-ლი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებას შემდეგ მაგალითში: ბოლოს გამოჩნდა, **რომ იგი თვალყურ-მადევარიც ყოფილა**

იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა. (ჭავ., 258). ორი არაერთგვარი მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება ახლავს 1-ლი ხარისხის დამოკიდებულს ამ მაგალითში: წინა ურმის კოფოზე ესკუპა შვიდი-რვა წლის სოფლელი ბავშვი, **რომელსაც**, თუ კარგად დააცქერდებოდით, შეატყობდით, რომ მეტად მგრძნობიარე იყო. (გოგ.). „წინა ურმის კოფოზე ესკუპა შვიდი-რვა წლის სოფლელი ბავშვი“ მთავარი წინადადებაა. „რომელსაც შეატყობდით“ 1-ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადებაა (განსაზღვრებითი), რომელსაც ახლავს ორი მე-2 ხარისხის არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება (პირობითი: „თუ კარგად დააცქერდებოდით“, და დამატებითი: „რომ მეტად მგრძნობიარე იყო“). ამათგან ერთი (პირობითი) 1-ლი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაშია, მეორე (დამატებითი) კი – მოსდევს მას.

ამ ტიპის წინადადება უფრო გართულებული სახითაც გვხვდება. მაგალითი: საიდან წარმოიდგენდა ავთანდილ იშხნელი (1), **რომ** თეონა (2), **რომელიც** სადღაც შემთხვევით ნახა (3) და **რომელმაც** მართლა მოხიბლა ვაჟკაცი თავისი სათნო სილამაზით (4), სწორედ ის ობოლი გოგონა იყო (2), **რომლის** სამსახურში მოწყობასაც ასე დაჟინებით სთხოვდა თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში ვიღაც ხელმოკლე მეეტლე მას (5). (მიხ. მრევლ., 185). „საიდან წარმოიდგენდა ავთანდილ იშხნელი“ მთავარი წინადადებაა, რომელსაც ახლავს დამატებითი დამოკიდებული წინადადება (რომ თეონა სწორედ ის ობოლი გოგონა იყო); პირველი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებას ახლავს სამი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელთაგანაც პირველი ორი ერთგვარია და პირველი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული, ხოლო მესამე („რომლის სამსახურში“...) მოსდევს მას. სქემა ამ წინადადებისა ასეთია:



რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთდროულად შეიძლება იყოს თანადაქვემდებარებაც და თანამიმდევრული დაქვემდებარებაც. ასეთი დაქვემდებარების ძირითადი შემთხვევებია:

1. პირველი ხარისხის არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთ-ერთს ახლავს მომდევნო ხარისხის დამოკიდებული

წინადადება (წინადადებანი): **როცა ბავშვთან მივიდა** (1), **დაინახა** (2), **რომ მას ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი** (3), **რომელნიც ხის ფუღუროში გაკეთებული ბუდიდან ამოესხა** (4). (გოგ., 44). მთავარია „დაინახა“, რომელსაც ახლავს ორი არაერთგვარი 1-ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადება (დროის გარემოებითი: „როცა ბავშვთან მივიდა“, და დამატებითი: „რომ მას ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი“). ამათგან მთავარი წინადადების მომდევნო 1-ლი ხარისხის დამოკიდებულს ახლავს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი: „რომელნიც ხის ფუღუროში გაკეთებული ბუდიდან ამოესხა“).

სქემა



ამავე ტიპისაა შემდეგი წინადადებაც (იმ განსხვავებით, რომ მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება 1-ლი ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული); **როდესაც** მარხილი გაუსწორდა, დაინახა, **რომ** ონისეს, **რომელიც** თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. (ყაზ., 2, 258).

2. პირველი ხარისხის არაერთგვარ წინადადებათაგან ორივეს ახლავს მეორე ხრისხის დამოკიდებული წინადადება: **როდესაც** ონისემ გაიგო (1), **რომ** ბეჟია შინიდამ მოდიოდა (2), ყურები აცქვიტა (3), **რადგანაც** იცოდა (4), **რომ** ეს კაცი მწყემსად გელას უდგა (5). (ყაზ., 574).

სქემა



3. თანადაქვემდებარებისა და თანამიმდევრული დაქვემდებარების მაგალითია შემდეგი წინადადებაც: **ვინც** საქართველოს კარგად იცნობს (1), **ვინც** ჩვენი ერის წარსულს ხანგრძლივად დაჰკვირვებია (2), **ვისაც** აუწონ-დაუწონია გუშინდლიდან დღევანდელ დღეში გად-

მოსული ტრადიცია (3), **ვისაც** ფხიზელი თვალით გაუზომავს დღევანდელობა (4), მისთვის გასაგები უნდა იყოს (5), **რომ** ჩვენში ქალაქისა და სოფლის ურთიერთობას ძველთაგანვე ჰქონდა თავისი განუმეორებელი სპეციფიკა, თავისი ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე და ელფერი (6), **რაც** კიდევ უფრო მკაფიოდ წამოსწია და გამოაჩინა ჩვენმა დიდმა დრომ (7.) (კ. ლორთქ. 3, 307). „მისთვის გასაგები უნდა იყოს“ მთავარი წინადადებაა, რომელსაც უძღვის ოთხი ერთნაირი (უბრალო დამატებითი) დამოკიდებული წინადადება, მოსდევს ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება, რომელსაც ახლავს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი).

სქემა



4. 1-ლი ხარისხის ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათაგან ერთ-ერთს ახლავს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება: **როდესაც** პურმარილმა, **რომელსაც** ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში, რამდენიმედ დააკავშირა ისინი, **როდესაც** ყალიონებს მოუკიდეს, ფარჩომ პირველმა დაიწყო. (ყაზ., 335). „ფარჩომ პირველმა დაიწყო“ მთავარი წინადადებაა, რომელსაც ახლავს ორი ერთგვარი 1-ლი ხარისხის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელთაგანაც პირველს (როდესაც პურმარილმა რამდენიმედ დააკავშირა ისინი) ახლავს მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი: რომელსაც ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში).

სქემა



§189. ზერთული წინადადება.

რთული წინადადება ხშირად ერთდროულად თანწყობილიც არის და ქვეწყობილიც. ასეთ რთულ წინადადებას **ზერთული** ანუ **ნარევი** სახის რთული წინადადება ჰქვია.ამ ტიპის რთული წინადა-

დების ნაწილები ჩვეულებრივ შეერთებულია მაჯგუფებელი ან მაპირისპირებელი კავშირით (და, მაგრამ, ხოლო...), იშვიათად – უკავშიროდაც. ზერთული წინადადების ძირითადი შემთხვევებია:

1. ზერთული წინადადების მეორე ნაწილი ქვეწყობილია: ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა **ისეთი** სიმშვიდე, **რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით** (ყაზ., 690); შემოდგომის ცა მოიწმინდა და **ისეთი** კაშკაშა მთვარე დაადგა სვეტიცხოველს, **როგორიც მაისში მინახავს ხოლმე** (გამს., 2, 463); ორი კაცი ჭიშკრის უკან აიტუზა, ექვსი **კი ისე** აცოცდა აივანზე, **რომ ხის კიბეს ერთხელაც არ დაუკვნესია** (ჯავ., 4, 493); ხეობა დავიწროვდა, ხოლო ალაზანი ისე დაილია, **რომ მისი ჩიფჩიფი ძლივსღა ისმოდა.** (ჯავ., 2, 449). პირველ ორ მაგალითში **ზერთული** წინადადების მეორე ნაწილი შეიცავს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას, მესამე და მეოთხე კი – ვითარების გარემოებითს.

სქემა



ზერთული წინადადების მე-2 ნაწილი შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას: ხშირი და გაერთებული შავი წარბები, ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად, უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, **რომელ[ნ]იც თვალის კილოებიდგან სხვადასხვა მხარეს შუქსავით იბნეოდნენ, აშკარად გვიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო** (ყაზ., 728); ელგუჯამ ქალი წაიყვანა, გაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში, **სადაც უნდოდა ძვირფასი სტუმრისათვის თავი მოექონა, რათა, ცოტაც არის, უფრო იაფად დაესვა ახლად მოყვანილი ქალი.** (ყაზ.,8).

პირველ მაგალითში **ზერთული** წინადადების მეორე ნაწილი შეიცავს ორ არაერთგვარ დამოკიდებულ წინადადებას (განსაზღვრებითსა და დამატებითს), მეორე კი – სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებებს.

2. ზერთული წინადადების პირველი ნაწილი ქვეწყობილია: ყველა დარწმუნებული იყო, **რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა, მაგრამ** იმ ღამესვე ელიზბარმა და შალვამ მხარი უქციეს და საიდუმლოდ კახეთისკენ მიემართნენ (წერ., 1, 269); ჭიაღუაც საზრდოს ხიდავს, **რომ გაავსოს თავის ბინა,** და ფუტკარიც მიზუზუნებს ყვავილისკენ თაფლისთვინა. (ერ.).

პირველ მაგალითში ზერთული წინადადების პირველი ნაწილი შეიცავს უბრალო დამატებით დამოკიდებულ წინადადებას, მეორეში კი – მიზნის გარემოებითს.

3. ზერთული წინადადების ორივე ნაწილი ქვეწყობილია, ე.ი. ნარევი სახის რთული წინადადება მიღებულია ქვეწყობილ წინადადებათა თანწყობით: **რა გაძლიერდა**, ცეცხლისა შუქმა ბნელი სენაკი სინათლით მორთო, **ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა**, გასაოცარი რაღაც შვენება განდეგილს თვალწინ წარმოედგინა. (ჭავ., 191).

ამ წინადადების პირველ ნაწილში მთავარია „ცეცხლისა შუქმა ბნელი სენაკი სინათლით მორთო“, რომელსაც ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (რა გაძლიერდა). მეორე ნაწილში მთავარი წინადადებაა „გასაოცარი რაღაც შვენება განდეგილს თვალწინ წარმოედგინა“, რომელსაც ახლავს აგრეთვე დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (რა შუქი იმა ცეცხლისა სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა). რთული წინადადების ნაწილებს (ქვეწყობილ წინადადებებს) აერთებს მაპირისპირებელი კავშირი „ხოლო“. ქვეწყობილ წინადადებათა თანწყობა გვაქვს შემდეგ წინადადებაშიც: ის ჭოტი, **ღამღამობით რომ იმ ჭალაში გაჰკიოდა**, ფრთოსან ღრინას ჰგავდა, **ხოლო** ტურა და მაჩვი, **რომელნიც სიმინდებში ჩხაოდნენ და წრიპინებდნენ**, უზარმაზარ ნანუას ემსგავსებოდნენ. (ჯავ., 1, 314).

ამ ტიპის რთული წინადადების ერთ–ერთი ან ორივე ნაწილი შეიძლება შეიცავდეს ერთზე მეტ დამოკიდებულ წინადადებას. განვიხილოთ ორიოდე მაგალითი: კიდევ ბევრს ლაპარაკობდა ონისე, **რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას** ყურს აღარავინ უგდებდა, **რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარებაში იყვნენ და იმ ადგილისაკენ მიისწრაფოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.** (ყაზ., 742). ამ რთული წინადადების პირველ მთავარს (კიდევ ბევრს ლაპარაკობდა ონისე) ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (**რომელიც** თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა), ხოლო მეორე მთავარს (იმას ყურს აღარავინ უგდებდა) – მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარებაში იყვნენ და იმ ადგილისაკენ მიესწრაფებოდნენ), ამ უკანასკნელს კი – განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება (სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო). მაშასადამე, ამ ზერთული წინადადების პირველი ნაწილი შედგება მთავრისა და დამოკიდებული წინადადებისაგან, მეორე ნაწილი კი – მთავრისა და 1-ლი და მე-2 ხარისხის დამოკიდებულ წინადადებათაგან. რთული წინადადების ნაწილებს აერთებს მაპირისპირებელი კავშირი „**მაგრამ**“.

კიდევ მაგალითი: **მელამ რა ნახა, რომ ჩემი საქმე** ცუდად **არისო,** მიაშურა თავის სოროს, **მაგრამ** ერთი გულადი, ყველაზე უკეთესი მხედარი წამოეწია და, **მანამ სრულ შეეფარებოდა სოროში,** კუდში ხელი სტაცა. (ვაჟა, 5, 190). აქ პირველ მთავარს (მიაშურა თავის სოროს) ახლავს 1-ლი და მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადებანი, მეორე მთავარს კი – 1–ლი ხარისხის დამოკიდებული წინადადება.

რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას შეიცავს ზერთული წინადადების ორივე ნაწილი შემდეგ მაგალითში: ექიმი (1), **რომელიც დაუყენეს იაგოს (2), იმედობდა (1), რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზე წამოაყენებდა ავადმყოფს (3),** და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს (4), **რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ (5), რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში** (6). (ყაზ., 1, 284). ამ რთული წინადადების პირველ ნაწილს (პირველ მთავარს: ექიმი იმედობდა) ახლავს ორი არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება: განსაზღვრებითი (რომელიც დაუყენეს იაგოს) და დამატებითი (რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზედ წამოაყენებდა ავადმყოფს), რომელთაგანაც პირველი მთავარშია, მეორე კი მოსდევს მას. ზერთული წინადადების მე-2 ნაწილს (მეორე მთავარს: იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს) უშუალოდ უკავშირდება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ, (ხოლო ამ უკანასკნელს – მე-2 ხარისხის დამოკიდებული წინადადება (განსაზღვრებითი: რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში). მაშასადამე, პირველ ნაწილში თანადაქვემდებარება გვაქვს, მეორე ნაწილში კი – თანამიმდევრული დაქვემდებარება. ქვეწყობილ წინადადებებს აქ აერთებს მაჯგუფებელი „და“ კავშირი.

სქემა



4. გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ზერთული წინადადების ყველა ნაწილს (ყველა მთავარს) ან რამდენიმეს ახლავს ერთი ან რამდენიმე საერთო დამოკიდებული წინადადება. განვიხილოთ ამ ტიპის რთული წინადადების რამდენიმე შემთხვევა:

ა) თქმულა და მართალიც არის, **რომ ბავშვობა და ყრმობა**

ადამიანის ცხორების უბედნიერესი დროა. (ქიაჩ., 1, 44). აქ ორი მთავარი წინადადებაა: 1) „თქმულა“ და 2) „მართალიც არის“; დამოკიდებული წინადადება (რომ ბავშვობა და ყრმობა ადამიანის ცხოვრების უბედნიერესი დროა) განეკუთვნება ორივე მთავარს და ორივესთვის ქვემდებარულია.

ბ) **როცა ქარი უბერავს,** სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა (ვაჟა, 5, 87): აქ ორ მთავარს უძღვის საერთო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ამგვარია ეს მაგალითებიც: **ერთი რომ სჭრიდა და ჰკაფავდა,** მეორე სხლავდა და მორებად ხერხავდა, მესამე კი მინდორზე ეზიდებოდა და იქ აწყობდა (ქიაჩ., 3, 54); **როცა ზამთარი დადგება,** ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზეც მიწაში ჩადნება. (ვაჟა, 5, 238). საერთო დამოკიდებული წინადადება დასახელებულ მაგალითებში მოსდევს ან უსწრებს მთავარ წინადადებებს. იგი შეიძლება მთავარშიც მოექცეს: **იქ, სადაც მარიტას მამისეული სახლი იდგა,** ახლა ქერის ბურდო ეყარა და ქათმებისაგან გარს მტვერი და ბუნგალი ირეოდა. (ლეონ., 170). საერთო ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მოქცეულია პირველ მთავარში.

გ) ზაფხულის პაპანაქებაში უდაბნოში მყოფს ირემს **ისე არ** ენატრება დაწაფება ცივი წყლისა, მშიერს კატას ისე ძლიერ არ მისდის სული თევზის შესუსვნისათვის, დამშეული კაჭკაჭი **ისე არ** ეტანება წიწილის ჩაგდებას თავის კლანჭებში, **როგორც მე მინდოდა კალმახის დაჭერა,** მაგრამ ვერ იქნა და ვერა. (გოგ., 215). პირველ სამ მთავარ წინადადებას ახლავს საერთო ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მსგავსი მაგალითია: უცაბედად მოვარდნილი კოკისპირული წვიმის თქვში **ისეთი** გამეტებით სხეპავდა ჭადრებს, **ცაზე ისეთი** მრისხანებით იკლაკნებოდა ელვა, ქარი **ისეთი** გაშმაგებით აწყდებოდა ხის კენწეროებს, რომ ყველაფერი ერთად თითქოს განგებ ამეტყველებულიყო მარტოხელა ქალის შესაშინებლად და გასაფრთხილებლად. (მიხ. მრევლ., 53). აქ სამ მთავარს ახლავს საერთო განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება.

დ) **იმდენად** გახუნდა, ისეთმა რამემ მოდრიკა, რომ **ეხლა ჩემი თავიც იკადრა.** (ჯავ., 3, 548). აქ ორ მთავარ წინადადებას ახლავს საერთო დამოკიდებული წინადადება, რომელიც პირველისათვის (**იმდენად** გახუნდა) ვითარების გარემოებითია, მეორისათვის (**ისეთმა** რამემ მოდრიკა) – განსაზღვრებითი.

ე) **როცა დროს ატარებენ, ისეთი** მოღუშული სახე აქვთ, **ისე** მწყრალად გამოიყურებიან, **რომ თვით მზეს დაუკარგავენ სიცოცხლეს და ეკალს გაახმობენ.** (ლორთქ., 2, 345). აქ სულ ოთხი წინადადებაა: ამათგან ორი მთავარია და ორი დამოკიდებული. პირველი დამოკიდებული (როცა დროს ატარებენ) საერთო დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა ორივე მთავრისათვის. მეორე

დამოკიდებული წინადადება (რომ თვით მზეს დაუკარგავენ სიცოცხლეს და ეკალს გაახმობენ) საერთოა აგრეთვე ორივე მთავრისათვის, მაგრამ სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციისა: პირველისათვის (**ისეთი** მოღუშული სახე აქვთ) – განსაზღვრებითი, მეორისათვის (ისე მწყრალად გამოიყურებიან) – ვითარების გარემოებითი.

ვ) ორ მთავარ წინადადებას ახლავს საზიარო დამოკიდებული წინადადება, რომელიც პირველისათვის განსაზღვრებითია, მეორისათვის ვითარების გარემოებითი: ზამთარში **ისეთი** ზვავი ჩამოწვა, **ისე** მოთოვა, **რომ** გვერდზე სოფელშიც კი არ შეიძლებოდა გასვლა. (გ. რჩ.).

სქემა



ზ) სამ მთავარ წინადადებას ახლავს საზიარო განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; უცაბედად მოვარდნილი კოკისპირული წვიმის თქვში **ისეთი** გამეტებით სხეპავდა ჭადრებს, **ისეთი** მრისხანებით იკლაკნებოდა ელვა, ქარი **ისეთი** გამეტებით აწყდებოდა ხის კენწეროებს, რომ ყველაფერი ერთად თითქოს განგებ ამეტყველებულიყო მარტოხელა ქალის შესაშინებლად და გასაფრთხილებლად. (მ. მრევ.).

სქემა



შენიშვნა: ამა თუ იმ ტიპის რთული წინადადების ნაწილებში შეიძლება იყოს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც ზოგჯერ შეიძლება დამოკიდებული წინადადებაც ახლდეს.

XIV. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა – რთულით

§190. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის წესები

დამოკიდებულ წინადადებათა უმეტესობა, როგორც ვიცით, იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც წინადადების წევრები. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება ან ხსნის და აზუსტებს მთავარში მისათითებელი სიტყვით (კორელატით) გადმოცემული წევრის ზოგად მნიშვნელობას და ავსებს მას კონკრეტული შინაარსით, ან კიდევ ასრულებს მთავარი წინადადების ნაკლული წევრის როლს წინადადების სახით (§161, 169). ასე, მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს, დამატებითი – დამატებისას, განსაზღვრებითი – განსაზღვრებისას, გარემოებითი – გარემოებისას (§170). ამიტომ არის, რომ წინადადების წევრი და მისი შესაბამისი დამოკიდებული წინადადება ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებს, ამასთანავე, დამოკიდებულ წინადადებას ხშირად შეიძლება შევუნაცვლოთ შესაბამისი წინადადების წევრი, წინადადების წევრს კი – შესაბამისი დამოკიდებული წინადადება. **შიმშილით შეწუხებული** მგლები ღმუოდნენ (რაზ.); „შეწუხებული“ ვნებითი გვარის მიმღეობით გადმოცემული განსაზღვრებაა, რომელსაც ახლავს მიმყოლი სიტყვა „შიმშილით“. ამ წინადადების შინაარსი რთული ქვეწყობილი წინადადებით ასე გადმოიცემა: მგლები, **რომლებიც შიმშილით იყვნენ შეწუხებული,** ღმუოდნენ. როგორც ვხედავთ, განსაზღვრება თავისი მიმყოლი სიტყვითურთ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად გადაკეთდა, მაგრამ წინადადების შინაარსი იგივე დარჩა. ახლა ავიღოთ ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადება: **ვინც წამსვლელია,** წავიდეს. დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია. მარტივი წინადადება რომ შევუნაცვლოთ, მივიღებთ: „წამსვლელი წავიდეს“. „ვინც წამსვლელია, წავიდეს“ და „წამსვლელი წავიდეს“ შინაარსით ერთნაირია.

მარტივი წინადადებით იშვიათად შეიძლება გადმოვცეთ ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსი, რომელიც შეიცავს რამდენიმე დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითად: **„გავაღე თუ არა კარი, დავინახე** ძაღლი, **რომელიც სისხლში იყო მოსვრილი“**. აქ მთავარ წინადადებას (დავინახე ძაღლი) ახლავს ორი არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება: დროის გარემოებითი: „გავაღე თუ არა კარი“ და განსაზღვრებითი „რომელიც სისხლში იყო მოსვრილი“. ამ რთული წინადადების აზრი მარტივით ასე შეიძლება გადმოიცეს: „კარის გაღებისთანავე დავინახე სისხლში მოსვრი-

ლი ძაღლი“ (ან: კარის გაღებისთანავე დავინახე ძაღლი, **სისხლში მოსვრილი**). თქმული იმასაც გულისხმობს, რომ ზოგჯერ მარტივი წინადადების აზრი შეიძლება გადმოვცეთ ისეთი რთული წინადადებით, რომელიც რამდენიმე დამოკიდებულს შეიცავს. მაგალითად; „გათენებისთანავე მამა ტყეში წავიდა შეშის მოსატანად“. ამ მარტივი წინადადების აზრი რთულით შეიძლება ასეც გადმოიცეს: **როგორც კი გათენდა**, მამა ტყეში წავიდა, **რომ შეშა მოეტანა.**

როცა მოცემული გვაქვს მზამზარეული რთული ქვეწყობილი წინადადება და მას მარტივს ვუნაცვლებთ, ჩვენ, არსებითად, საქმე გვაქვს ერთი აღნაგობის წინადადების სხვა ტიპის წინადადებად გადაკეთებასთან. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლა ჩვეულებრივ მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. ასეთებია: ქვემდებარული, დამატებითი (სხვადასხვა სახისა), განსაზღვრებითი და გარემოებითი (სხვადასხვა სახისა). იშვიათად ისიც არის შესაძლებელი, რომ სხვა ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ წინადადებასაც შევუნაცვლოთ მარტივი წინადადება. პირველად განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როცა დამოკიდებული წინადადება ამა თუ იმ წევრის როლს ასრულებს. ამ ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილის მარტივით შეცვლა შემდეგნაირად ხდება:

1. დამოკიდებული წინადადების კავშირი თუ წევრ-კავშირი ამოვარდება.

2. ამოვარდება აგრეთვე მთავარი წინადადებიდან მისათითებელი ანუ საკორელაციო სიტყვა (თუ მასში ასეთი არის);

3. დამოკიდებული წინადადების ზმნა საწყისად ან მიმღეობად გადაკეთდება და დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად მთავარს შეუერთდება, ხოლო დანარჩენი სიტყვები იმავე წინადადებისა მას მიმყოლ სიტყვებად გადაჰყვება.

მაშასადამე, შენაცვლების დროს მოიშლება დაქვემდებარება და ამის შედეგად, თუ მთავარი და დამოკიდებული მარტივი წინადადებებია, მივიღებთ მარტივ გავრცობილ ან გაუვრცობელ წინადადებას. მაგალითად: ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, **რათა გამშრალი პირი გაესველებინა.** (ყაზ., 319). დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია. მარტივი რომ შევუნაცვლოთ, მივიღებთ: ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა **გამშრალი პირის გასასველებლად**. მთავარი წინადადება უცვლელი დარჩა, დამოკიდებული წინადადების ზმნა კი მიმღეობად გადაკეთდა და მიზნის გარემოებად შეეწყო მთავრის შემასმენელს. პირდაპირი დამატება (პირი) პირდაპირისებრ უბრალო

დამატებად გადაიქცა (**პირის** გასასვლებლად), ხოლო პირდაპირი დამატების განსაზღვრება (**გამშრალი** პირი) პირდაპირისებრ დამატებას განსაზღვრებადვე გადაჰყვა. ამ შემთხვევაში რთული ქვეწყობილი წინადადების ნაცვლად მარტივი გავრცობილი წინადადება მივიღეთ. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: **ვინც მოითმენს**, ის მოიგებს. ამის შესაბამისი მარტივია: მომთმენი მოიგებს. მარტივად გადაკეთებისას მიმართებითი ნაცვალსახელი „ვინც“ და კორელატი „ის“ ამოვარდა; დამოკიდებული წინადადების ზმნა მიმღეობად გადაკეთდა და ქვემდებარედ შეეწყო მთავრის შემასმენელს. გადაკეთების შედეგად მარტივი გაუვრცობელი წინადადება მივიღეთ.

თუ რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთი (ან ორივე) ნაწილი შერწყმულია, შენაცვლებისას შერწყმულ წინადადებას მივიღებთ. მაგალითად: **ვინც კარგ საქმეს აკეთებს**, ის საერთო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. აქ დამოკიდებული წინადადება მარტივია, მთავარი კი – შერწყმული პირდაპირი დამატების მიხედვით. გადაკეთებისას მივიღებთ ამავე ტიპის შერწყმულ წინადადებას: კარგი საქმის მკეთებელი საერთო **სიყვარულსა და პატივისცემას** იმსახურებს. თუ ერთგვარი წევრები დამოკიდებულ წინადადებაშია, გადაკეთებისას შეიძლება შეიცვალოს შერწყმული წინადადების ტიპი. მაგალითად: **ვინც დროზე ხნავს და თესავს**, ის კარგ მოსავალს იღებს. დამოკიდებული წინადადება, რომელიც ქვემდებარულია, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებაა. შენაცვლებისას დამოკიდებული წინადადების ზმნები მიმღეობებად გადაკეთდება და ქვემდებარეებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს, ე.ი. შეიცვლება შერწყმული წინადადების ტიპი: დროზე **მხვნელი და მთესველი** კარგ მოსავალს იღებს.

შერწყმული წინადადება ენაცვლება ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებასაც, რომელიც შეიცავს რამდენიმე ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითად: კარგა გვიანი იყო, **ნადიმი რომ გათავდა და სტუმრები** [რომ] **წავიდნენ** (კლდ., 119) – კარგა გვიანი იყო ნადიმის გათავებისა და სტუმრების წასვლის დროს.

თქმულის მიხედვით იგულისხმება, რომ, თუ შერწყმულ წინადადებას რთული ქვეწყობილი შევუნაცვლეთ, მთავარი ან დამოკიდებული, ანდა ორივე (იმის მიხედვით, თუ რა ტიპის შერწყმული წინადადების გადაკეთებას მივმართავთ) შერწყმული იქნება. მაგალითად: ჯაფისაგან დაღლილი ფუტკარი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა. (გოგ.). ეს წინადადება, რომელიც შემასმენლის მიხედვით არის შერწყმული, ქვეწყობილად ასე გადაკეთდება: ფუტკარი, რომელიც ჯაფისაგან იყო დაღლილი, წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა.

მთავარი წინადადება შერწყმულია, დამოკიდებული – მარტივი.

რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლა ზოგჯერ რამდენადმე განსხვავებულად ხდება, ვიდრე ეს ზემოთ არის ნაჩვენები, სახელდობრ:

ა) თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია, გადაკეთებისას მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო სახელადი ნაწილი დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად გადავა მთავარ წინადადებაში. მაგალითად: მეურმეებმა მორეკეს საქონელი, **რომელიც სიცხის გატეხაზე მინდვრად იყო გასული** → მეურმეებმა მორეკეს საქონელი, **სიცხის გატეხაზე მოინდვრად გასული** (ან: მეურმეებმა მორეკეს **სიცხის გატეხაზე მინდვრად გასული საქონელი**): ვინც **ჭკვიანია და გონიერი**, იმას უნდა მოვჰყვეთ კვალზეო (ვაჟა) → **ჭკვიანსა და გონიერს** უნდა მიეჰყვეთ კვალზეო.

ასე ხდება მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მარტივია, მაგრამ რთული ფორმით არის გადმოცემული (შეიცავს ვნებითი გვარის მიმღეობასა და მეშველ ზმნას): მეურეებმა მორეკეს საქონელი, **რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო** (ჭავ.) – მეურმეებმა მორეკეს საქონელი, **სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასული** (ადგილის შეცვლით: მეურმეებმა მორეკეს **სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასული** საქონელი).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ საწყისური წარმოშობის აბსტრაქტულ სახელად იქცევა: ეს ყველამ ვიცით, **რომ მგლები გაუმაძღარნი არიან** (ცახელი) → ყველამ ვიცით **მგლების გაუმაძღრობა**; ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვანო **გულადია** → ჩვენ კარგად ვიცით ვანოს **გულადობა**.

ბ) რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს, როგორც ვიცით, ზოგჯერ რომელიმე სიტყვა საერთო აქვთ, რომელიც დამოკიდებულ წინადადებაშია ნახსენები და იმავე ან სხვა წევრად იგულისხმება მთავარ წინადადებაში. თუ დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან დამატება (პირდაპირი, ირიბი) მთავრშიც ქვემდებარედ ან დამატებად იგულისხმება (ან აქ ის პირის ნაცვალსახელით არის გადმოცემული). შენაცვლება-გამარტივებისას მიმყოლ სიტყვად კი არ გადაკეთდება, არამედ უშუალოდ დაუკავშირდება მთავრის შემასმენელს ერთ-ერთ დასახელებულ წევრად. მაგალითად: როგორც კი **დალია ავადმყოფმა** წამალი, მაშინვე დამშვიდდა → ავადმყოფი წამლის დალევისთანავე **დამშვიდდა**; **დაიძინა თუ არა ბავშვმა**, მაშინვე ლოგინში ჩავაწვინე – დაძინებისთანავე **ბავშვი** ლოგინში ჩავაწვინე; სოფლიდან რაც **ხორაგი** წამოვიღეთ, მესამე

დღეს გამოგველია (ჭონქ.) → სოფლიდან წამოღებული ხორაგი მესამე დღეს **გამოგველია.**

გ) შენაცვლება-გამარტივებისას ზოგჯერ ემატება ახალი სიტყვა. რომელიც საჭიროა რთული წინადადების შინაარსის გადმოსაცემად. მაგალითად: თუ გაწვიმდა, სასეირნოდ ვერ წავალთ → გაწვიმების **შემთხვევაში** სასეირნოდ ვერ წავალთ; რადგანაც გაწვიმდა, სასეირნოდ ვეღარ წავედით – **გაწვიმების გამო** სასეირნოდ ვეღარ წავედით.

რთულ ქვეწყობილ წინადადებას ყოველთვის ვერ შევცვლით მარტივით. მაგალითად: ისეთი ბნელი ღამე იყო, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო.** (წერ., 147). დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, მაგრამ მისი განსაზღვრებად გადაკეთება არ შეიძლება, ე.ი. ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებას მარტივი წინადადებით ვერ შევცვლით. ხშირად ასევე შეუძლებელია, რომ მარტივ წინადადებას რთული ქვეწყობილი წინადადება შევუნაცვლოთ. მაგალითად, „მზეს უმღერიან ჩიტები“ (ა.კალან.) რთულ ქვეწყობილ წინადადებად არ გადაკეთდება.

რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლა, საზოგადოდ, მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენლისაგან ადვილად იწარმოება უპირო ფორმა – საწყისი ან მიმღეობა (იმის მიხედვით, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი მათგანია საჭირო).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინადადების წევრებსა და შესაბამის დამოკიდებულ წინადადებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: დამოკიდებული წინადადება აზრის სრულად და ზუსტად გამოხატვის უფრო მდიდარსა და მრავალფეროვან საშუალებას წარმოადგენს, ვიდრე შესაბამისი წინადადების წევრი. ეს ბუნებრივიცაა. დამოკიდებული წინადადების პირიან ფორმას მარტივში უპირო ენაცვლება. პირიანი ფორმა მდიდარია გრამატიკული კატეგორიებით; ის ერთდროულად მრავალ ცნებას გამოხატავს; მისი გამომსახველობითი ძალა დიდია; უპირო ფორმა მას ვერ შეედრება; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარტივი წინადადება ხშირად აზრის გამოხატვის უფრო მოქნილი საშუალებაა, ვიდრე რთული ქვეწყობილი წინადადება. ცხადია, რთული ქვეწყობილი და მისი შესაბამისი მარტივი წინადადება სტილისტიკურად ერთნაირი ღირებულებისა არ არის. ამიტომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამათგან ერთ-ერთს ეძლევა უპირატესობა (იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო ნათლად, ზუსტად და ბუნებრივად გამოხატავს გადმოსაცემის შინაარსს).

§191. სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის შემთხვევები

1. **ქვემდებარული** დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით შემდეგნაირად ხდება: ა) მისათითებელი ნაცვალსახელი (თუ ასეთი არის) და მაქვემდებარებელი კავშირი თუ წევრ-კავშირი ამოვარდება. ბ) დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი საწყისად ან შესაბამისი გვარის მიმღეობად გადაკეთდება და ქვემდებარედ შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს, ხოლო დანარჩენი წევრები იმავე წინადადებისა მიმყოლ სიტყვებად გადაჰყვება მას: გურიელს **ის აწუხებდა, რომ ქალი უსიამოვნოდ შეეგება ამ სასიამოვნო ამბავს** (ბარნ., 3, 220) – გურიელს აწუხებდა **ქალის უსიამოვნოდ შეგებება ამ სასიამოვნო ამბისადმი; ვინც ეს დაწერა,** გენიოსია – **ამის დამწერი** გენიოსია; **რაც დაიკარგა,** აღარ დაგვიბრუნდება – **დაკარგული** აღარ დაგვიბრუნდება.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია, გადაკეთების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო სახელადი ნაწილი ან საწყისური წარმოშობის აბსტრაქტულ სახელად იქცევა, ან კიდევ არ შეიცვლება და ისე დაუკავშირდება ქვემდებარედ მთავრის შემასმენელს: მე ძალიან მახარებს, **შენ რომ ასეთი გულადი ხარ** – მე ძალიან მახარებს **შენი ასეთი გულადობა;** ეტყობა, **რომ ქართველია!** (ჭავ., 325) – ეტყობა **ქართველობა; ვინც** ვაჟკაცია, წამოვიდეს (ჯავ.) – **ვაჟკაცი** წამოვიდეს.

თუ შეერთება უკავშიროა, ცხადია, მაქვემდებარებელი სიტყვის ამოვარდნა არ მოხდება. მაგალითად: ვაჟკაცობა ის არის, **კაცმა მტერი მოკეთედ გაიხადოს** (ვაჟა, 6, 73) – ვაჟკაცობა არის **კაცის მიერ მტრის თავის მოკეთედ გახდომა.**

2. **დამატებითი** დამოკიდებული წინადადება, როგორც ვიცით, სხვადასხვაგვარია. პირდაპირი, ირიბი და უბრალო. მარტივად გადაკეთების წესი დაახლოებით აქაც ისეთივეა, როგორიც ქვემდებარულისა: დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი საწყისად ან მიმღეობად გადაკეთდება და მთავრის შემასმენელს შეეწყობა ერთ-ერთი სახის დამატებად (იმის მიხედვით, თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება):

ა) პირდაპირ დამატებად: მთელმა სოფელმა გაიგო, **რომ ვანომ ტყეში დათვი მოკლა** – მთელმა სოფელმა გაიგო **ვანოს მიერ ტყეში დათვის მოკვლა; ვინც ეს გააკეთა,** დააჯილდოვეს – **ამის გამ-**

კეთებელი დააჯილდოვეს; **რაც დამაბარეს**, სიტყვასიტყვით გადავეცი → **დაბარებული** სიტყვასიტყვით გადავეცი.

ბ) ირიბ დამატებად: რა შეედრება, **როცა სვანეთში მატარებელი ატორტმანდება** (პ. იაშვ.) – რა შეედრება **სვანეთში მატარებლის ატორტმანებას**; შენი ცოდვა მიეცეს, **ვინც შენ ეგრე გამოგზარდაო** (წერ.) – შენი ცოდვა მიეცეს **შენს ეგრე გამომზრდელსაო**; შენი ცოდვა მიეცეს, **ვინც შენ ეგრე გამოზარდეო** – შენი ცოდვა მიეცეს **შენ მიერ ეგრე გამოზრდილსაო**.

გ) უბრალო დამატებად: ექიმი დარწმუნებული იყო, **რომ ავადმყოფი მალე განიკურნებოდა** – ექიმი დარწმუნებული იყო **ავადმყოფის მალე განკურნებაში**; დიდხანს ფიქრობდა კრუხი იმაზე, **რაც ჩხიკვმა უამბო** – დიდხანს ფიქრობდა კრუხი **ჩხიკვის ნაამბობზე**. (რაზ.).

თუ შემასმენელი შედგენილია, მეშველი ზმნა ჩამოშორდება, სახელადი ნაწილი კი ან არ შეიცვლება, ან აბსტრაქტულ სახელად გადაკეთდება და დამატებად შეეწყობა მთავრის შემასმენელს. მაგალითად: **ვინც მოწინავეა**, იმას ყველა აქებს – **მოწინავეს** ყველა აქებს; ყველამ ვიცით, **რომ ზოგიერთი ბავშვი გულმავიწყია** – ყველამ ვიცით **ზოგიერთი ბავშვის გულმავიწყობა**; **ვინც ჭკვიანია და გონიერი**, იმას უნდა მივჰყვეთ კვალზეო (ვაჟა) – **ჭკვიანსა და გონიერს** უნდა მივჰყვეთ კვალზეო; მე დარწმუნებული ვარ, **რომ ეგ ცრემლი გულწრფელია** (ჭავ., 479) – მე დარწმუნებული ვარ **მაგ ცრემლის გულწრფელობაში**; შენვე დარწმუნდები, რომ **მე ცამდე** მართალი ვარ (ჯავ., 2, 197) – შენვე დარწმუნდები ჩემს ცამდე **სიმართლეში**.

დამოკიდებული წინადადების I და II პირის (ზოგჯერ მესამისაც) ნაცვალსახელთა ადგილს მარტივში სათანადო კუთვნილებითი (ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი, თავისი...) დაიჭერს: ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ მე სანადიროდ წავედი** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **ჩემი სანადიროდ წასვლა**; ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ შენ სანადიროდ წახვედი** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **შენი სანადიროდ წასვლა**; ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ ჩვენ სანადიროდ წავედით** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **ჩვენი სანადიროდ წასვლა**; ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ თქვენ სანადიროდ წახვედით** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **თქვენი სანადიროდ წასვლა**; ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ ის სანადიროდ წავიდა** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **მისი სანადიროდ წასვლა**; ბავშვებმა ვერ გაიგეს, **რომ ისინი სანადიროდ წავიდნენ** – ბავშვებმა ვერ გაიგეს **მათი სანადიროდ წასვლა**.

„თუ დამოკიდებული წინადადების ზმნა სასხვისო ქცევით არის ნახმარი, სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელი უნდა: დედას

შეატყობინეს, რომ **შვილი** მშვიდობით **დამიბრუნდა** – დედას შეატყობინეს **ჩემი შვილის** მშვიდობით დაბრუნება"[284].

3. **განსაზღვრებითი** დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადების მარტივით შეცვლა ჩვეულებრივ მაშინ არის შესაძლებელი, როცა დამოკიდებულს აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი ან კავშირი „რომ". შენაცვლებისას დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი მიმღეობად გადაკეთდება და განსაზღვრებად შეეწყობა მთავრის ასახსნელ წევრს (კორელატი და კავშირი თუ წევრ-კავშირი აქაც ამოვარდება). მაგალითად: აი აქ არის ის კაცი, **ვინც ეს ამბავი თქვა** – აი აქ არის **ამ ამბის მთქმელი კაცი**. ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, **რომელიც მკვდართა სამფლობელოს მოგაგონებდათ**, ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წყნარი ხმა (ყაზ., 189) – **ამ მკვდართა სამფლობელოს მომგონებელ** საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წყნარი ხმა. მოყვანილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადების ზმნა მოქმედებითი გვარის მიმღეობად გადაკეთდა. ასე ხდება, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა მოქმედებითი გვარის ზმნისა.

თუ მიმართებითი ნაცვალსახელი პირდაპირი დამატებაა ან ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნისა, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა ვნებითი გვარის მიმღეობად გადაკეთდება. მაგალითად: ხალხი თავს დაჰბრუნავდა... ხარ-ირემს, **რომელიც** (პირდ. დამ.) ამ დილით მონადირეებს მოეკლათ (ვაჟა, 6, 337) – ხალხი თავს დაჰბრუნავდა მონადირეების მიერ ამ დილით **მოკლულ** ხარ-ირემს; ხშირმა ბურუსმა, **რომელიც** (ქვემდ. ვნებითისა) **უცებ ჩამოწვა**, ძალზე დააბნელა იქაურობა – უცებ **ჩამოწოლილმა** ხშირმა ბურუსმა ძალზე დააბნელა იქაურობა.

თუ დამოკიდებული წინადადების შედგენილ შემასმენელში მეშველად „არის" (ან მისი მონაცვლე ერთპირიანი) ზმნაა და სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელით ან მიმღეობით არის გადმოცემული, გადაკეთების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო სახელადი ნაწილი მთავრის მისამართ სიტყვას განსაზღვრებად შეეწყობა: ბავშვი, რომელიც **ბეჯითია**, ყველას უყვარს – **ბეჯითი** ბავშვი ყველას უყვარს; მეფე გაუმასპინძლდა ჯარს, **რომელიც დაბანაკებული იყო** მტკვრის გაღმა (ბარნ., 1, 100) – მეფე გაუმასპინძლდა მტკვრის გაღმა **დაბანაკებულ ჯარს**.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი III სერიის რთუ-

[284] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II სინტაქსი, 1948, გვ. 174.

ლი ფორმითაა გადმოცემული, მასში შემავალი მიმღეობა არ შეიცვლება და ისე დაუდგება განსაზღვრებად მთავარი წინადადების მისამართ წევრს. მაგალითად: ხშირი ბურუსი, რომელიც დაბლა **ჩამოწოლილიყო**..., ძალზე აბნელებდა იქაურობას (ყაზ., 1, 344) – დაბლა **ჩამოწოლილი** ხშირი ბურუსი ძალზე აბნელებდა იქაურობას; ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ **ამოსულიყო** (წერ.) – ეკალში ობლად ამოსული ვარდი შევნიშნე[285].

თუ დამოკიდებული წინადადების შედგენილი შემასმენელი „აქვს" ზმნისა და ვნებითი გვარის მიმღეობისაგან შედგება, შენაცვლების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ფუძის სახით შეუერთდება შედგენილ შემასმენელში შემავალ მიმღეობას და ორივე ერთად დაუდგება განსაზღვრებად მთავარი წინადადების საზღვრულ წევრს. მაგალითად: კედელზე ეკიდა ძველი ხმალი, რომელსაც **ჟანგი** ჰქონდა **მოკიდებული** – კედელზე ეკიდა **ჟანგმოკიდებული** ძველი ხმალი; ეზოში შემოვიდა პატარა ბიჭი, რომელსაც თვალებზე **ქუდი** ჰქონდა **ჩამოფხატული** – ეზოში შემოვიდა თვალებზე **ქუდჩამოფხატული** პატარა ბიჭი.

დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატება ფუძის სახით შეიძლება შეუერთდეს დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენლისაგან მიღებულ ვნებითი გვარის მიმღეობასაც. მაგალითად: ამოვაღებინე სკივრიდან ჩემი ხანჯალი, რომელსაც **ჟანგი** (ქვემდებარე) **მოჰკიდებოდა**... (ვაჟა, 5, 66) – ამოვაღებინე სკივრიდან ჩემი **ჟანგმოკიდებული** ხანჯალი; არწივი, რომელსაც **ფრთები** (პირდ. დამ.) **შეეკუმშა**, ისარივით მიჰქროდა თავისი მსხვერპლისაკენ – **ფრთებშეკუმშული** არწივი ისარივით მიჰქროდა თავისი მსხვერპლისაკენ.

როცა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მრავალსიტყვიანია და მთავრის ასახსნელ წევრს ახლავს განსაზღვრება, უფრო ბუნებრივი ჩანს, რომ ის განკერძოებულ განსაზღვრებად გადაკეთდეს. მაგალითად; ქალაქში მიმავალი პეტრე, **რომელიც გაკვირვებული იყო უცნობის ვინაობით**, ხმას არ იღებდა – ქალაქში მიმავალი პეტრე, **უცნობის ვინაობით გაკვირვებული**, ხმას არ იღებდა.

განსაზღვრება (ჩვეულებრივი თუ განკერძოებული), თავის მხრივ, შეიძლება გადაკეთდეს განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. მაგალითად: **არწივისაგან შეშინებული წეროები** სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ.) – წეროები, **რომლებიც არწივისაგან იყვნენ შეშინებული**, სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ; კესოს

[285] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, 1948, გვ. 175.

ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, **სხვადასხვაფერად აჭრელებული** (ჭავ.) – კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, **რომელიც სხვადასხვაფერად იყო აჭრელებული.**

4. **ადგილის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა ჩვეულებრივ საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და დაერთვის „ადგილას“ (ან „ადგილიდან“, „ადგილისაკენ“, „ადგილამდე“) და ორივე ერთად ადგილის გარემოებად შეეწყობა მთავრის შემასმენელს. მაგალითად: **საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს** (ბარ.) – **დაღამების ადგილას გამითენდეს; სადაც დაიბადა, იქიდან** ჩამოვიდა – **დაბადების ადგილიდან** ჩამოვიდა; **სადაც დათვი მოეკლათ,** ბავშვებიც **იქითკენ** გარბოდნენ, – ბავშვებიც **დათვის მოკვლის ადგილისაკენ** გარბოდნენ; **სადაც ცხვარი დაეკლათ,** მწყემსმა **იქამდე** ძლივს მიაღწია – მწყემსმა **ცხვრის დაკვლის ადგილამდე** ძლივს მიაღწია.

5. **დროის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება და სათანადო ფორმით, ცალკე თუ სხვა სიტყვის დართვით, დროის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. საკავშირებელი სიტყვა და კორელატი, როგორც წესი, აქაც ამოვარდება. მაგალითად: **დაირეკა თუ არა ზარი,** ბავშვები კლასებში შევიდნენ – **ზარის დარეკვისთანავე** ბავშვები კლასებში შევიდნენ.

საწყისი დროის გარემოებად, როგორც ვიცით (§§ 70, 71, 73), ნათესაობითში ან ვითარებითში დაისმის. ნათესაობითში დასმულს დაერთვის „თანავე“, „შემდეგ“, „დროს“, ხოლო ვითარებითში – „მდე“ („მდის“). იგი ზოგჯერ ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმით არის წარმოდგენილი, რომელიც „დროს“-დართული ნათესაობითის ბადალია და წარმომდგარია ამ უკანასკნელის ჩამოშორების შედეგად. რა შემთხვევაში როგორ უნდა გადაკეთდეს დამოკიდებული წინადადების ზმნა, – ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მთავრისა და დამოკიდებულის ზმნებით გადმოცემული მოქმედების მიმართება დროის თვალსაზრისით: ერთდროულია თუ ერთისა უსწრებს მეორეს. გასარჩევია სამი ძირითადი შემთხვევა:

ა) თუ მთავრისა და დამოკიდებულის ზმნათა მოქმედება ერთდროულად ხდება, მარტივად გადაკეთებისას საწყისი ნათესაობითში დაისმის და დაერთვის „დროს“ ან ნათესაობით-მიცემითის რთულ ფორმას მიიღებს. მაგალითად: **სოფელში რომ შევდიოდით,** ძაღლები ყეფდნენ – სოფელში **შესვლისას** (ან: შესვლის დროს) ძაღლები ყეფდნენ; **როცა გაზაფხული დადგა,** ჩიტები ბუდის კეთებას შეუდგნენ – **გაზაფხულის დადგომისას** ჩიტები ბუდის კეთებას

შეუდგნენ.

თუ დამოკიდებული წინადადების ზმნით გადმოცემულ მოქმედებას უშუალოდ (ცხელ კვალზე) მოსდევს მთავარი წინადადების ზმნის მოქმედება, საწყისი ნათესაობითში დაისმის და „თანავე" დაერთვის. ასეთ შემთხვევაში კორელატია „მაშინვე", ხოლო დამოკიდებულ წინადადებას ჩვეულებრივ აერთებს „როგორც კი", „თუ არა", „რაწამს"... მაგალითად: **როგორც კი ხალხი ახმაურდა,** იგი ფეხზე წამოხტა... (ლორთქ., 2, 65) – **ხალხის ახმაურებისთანავე** იგი ფეხზე წამოხტა; **მოვიდა თუ არა თქვენი კაცი,** მაშინვე მახარობელი ვაფრინე დედოფალთან (ბარნ. 1,92) – თქვენი კაცის **მოსვლისთანავე** მახარობელი ვაფრინე დედოფალთან; **რაწამს** ფეხის ხმა **მიწყნარდა,** ტყიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული კაცი (ყაზ.) – **ფეხის ხმის მიწყნარებისთანავე** ტყიდან გამოვიდა ერთი მოხუცებული კაცი.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია, დროის გარემოებად ჩვეულებრივ სახელადი ნაწილი გადაკეთდება: **როცა პატარა ვიყავი,** თევზაობა ძლიერ მიყვარდა – **პატარაობისას** თევზაობა ძლიერ მიყვარდა.

ბ) თუ მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედება უსწრებს დამოკიდებული წინადადების ზმნისას, დამოკიდებული წინადადების ზმნა, საწყისად გადაქცეული, ვითარებითში დაისმის და „მდე" (ან „მდის") დაერთვის. მაგალითად: **სანამ პატრონი მოვიდოდა,** ორიოდე გზა კიდევ ჩამოიტანეს... (რაზ.) – **პატრონის მოსვლამდე** ორიოდე გზა კიდევ ჩამოიტანეს; **ვიდრე მირზა გონს მოვიდოდა,** ცხენი უკვე მინდორზე მიქროდა (გვეტ., 41) – **მირზას გონს მოსვლამდე** ცხენი უკვე მინდორზე მიქროდა.

გ) თუ მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედება მოსდევს დამოკიდებული წინადადების ზმნისას, გადაკეთების დროს საწყისი ნათესაობითში დაისმის და „შემდეგ" დაერთვის. მაგალითად: **ვახშამი რომ გაათავეს,** ისევ ბაქანზე ავიდნენ (ჯავ., 3, 46) – **ვახშმის გათავების შემდეგ** ისევ ბაქანზე ავიდნენ; ვირი მას შემდეგ, **რაც თვალშავასთან დაბინავდა,** მუდამ მაძღარი იყო (ვაჟა, 5, 265) – ვირი **თვალშავასთან დაბინავების შემდეგ** მუდამ მაძღარი იყო.

თუ მთავრისა და დამოკიდებულის საერთო სიტყვა ქვემდებარედ ან პირდაპირ თუ ირიბ დამატებად ნახსენებია დამოკიდებულ წინადადებაში და ერთ-ერთ დასახელებულ წევრად იგულისხმება მთავარი წინადადებისთვისაც, იგი ქვემდებარედ ან დამატებად უშუალოდ შეეწყობა მთავრის შემასმენელს. დამოკიდებულის შემასმენელი აქაც იმავე წესით გადაკეთდება, როგორითაც სხვა შემთხვევა-

ში. მაგალითად: **როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა**, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი (ყაზ., 2, 277) – **დალოცვის გათავების შემდეგ გოჩამ** ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი; **პირი რომ დაიბანა ნუშომ**, ჩაიდანს მოუჯდა (ბარნ., 1, 148) – **პირის დაბანის შემდეგ ნუშო** ჩაიდანს მოუჯდა; **ეს რომ დაინახა მთისკაცმა**, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა (ქიაჩ., 3, 323) – **ამის დანახვისას მთისკაცს** სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება იშვიათად შეიძლება განკერძოებულ დროის გარემოებადაც იქცეს: ხანდახან, **როცა ქვაბის სარქველს ორთქლი შეათამაშებდა**, ოხშივარი პირდაპირ ცხვირში ეცემოდათ (ვაჟა, 6, 273) – ხანდახან, **ქვაბის სარქვლის ორთქლისაგან შეთამაშებისას**, ოხშივარი პირდაპირ ცხვირში ეცემოდათ; ერთხელ, როცა წიგნის კითხვა გავათავე..., მომისვა გვერდით და დაიწყო თავისუფლად ლაპარაკი (ჭავ., 283) – ერთხელ, **წიგნის კითხვის გათავების შემდეგ**, მომისვა გვერდით და დაიწყო თავისუფლად ლაპარაკი; ბოლოს, როცა ერთმანეთის ვინაობა კარგად გაიგეს, დამეგობრდნენ კიდეც – ბოლოს, ერთმანეთის ვინაობის კარგად გაგების შემდეგ, დამეგობრდნენ კიდეც.

6. მარტივი წინადადება შეიძლება შევუნაცვლოთ **ვითარების გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების შემცველ რთული წინადადების ზოგიერთ შემთხვევას. შენაცვლება ჩვეულებრივ მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადება მსგავსებაშედარებას გამოხატავს. გამარტივებისას მაქვემდებარებელი სიტყვა და კორელატი ამოვარდება, ხოლო სხვა მხრივ გასარჩევია რამდენიმე ძირითადი შემთხვევა:

ა) დამოკიდებული წინადადების ზმნა საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის, „ებრ“ (ან: „მებრ“) თანდებული დაერთვის და ვითარების გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს: მონადირე სწორედ ისე მოიქცა, **როგორც ურჩიეს** (გოგ.) – მონადირე სწორედ ისე მოიქცა, როგორც [მათი] **რჩევისამებრ** მოიქცა; კოპალაც **ისე** მოიქცა, **როგორც დევმა დაარიგა** (ვაჟა) – კოპალაც დევის **დარიგებისამებრ** მოიქცა.

ბ) დამოკიდებული წინადადების ზმნა მიმღეობად გადაკეთდება, ვითარებით ბრუნვაში დაისმის და ისე შეეწყობა ვითარების გარემოებად მთავარი წინადადების შემასმენელს. თუ შემასმენელი უარყოფითია, ე.ი. უკუთქმითი ნაწილაკი ახლავს, მიმღეობაც უკუთქმითი შეენაცვლება. მაგალითად: სახელმძღვანელო შედგენილია **ისე, რომ შეესაბამება პროგრამას** – სახელმძღვანელო შედგენილია

პროგრამის შესაბამისად; თედომ სამი წელი დაჰყო ისე, რომ კაცის სახე არ **დაუნახავს** (ვაჟა, 5, 112) – თედომ სამი წელი დაჰყო კაცის სახის **დაუნახავად**; ოთხი წელიწადი ვიცხოვრე დურგალთან ისე, რომ ჩვენს სოფელში **არ მიგბრუნებულვარ** (ლომ., 51) – ოთხი წელიწადი ვიცხოვრე დურგალთან ჩვენს სოფელში **მიუბრუნებლად**; აკაკიმ გაზეთებს დაუწყო თვალიერება, ისე რომ საუბარი **არ გაუწყვეტია** (გვ. 357) – აკაკიმ გაზეთებს დაუწყო თვალიერება საუბრის **გაუწყვეტლად**.

გ) თუ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც მსგავსება-შედარებას გამოხატავს, შემასმენლად მთავარი წინადადების ზმნის ფორმაა ან შემასმენელი გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება, გამარტივებისას შესადარებელი სიტყვის (ქვემდებარის თუ დამატების) სახელობითის ან მიცემითის ფორმას „ვით“ თანდებული დაერთვის და ვითარების გარემოებად შეეწყობა მთავრის შემასმენელს. მაგალითად: **როგორც ის ცხოვრობს**, ისე ვიცხოვრებ (ჭავ., 148) – **მასავით ვიცხოვრებ**; [ლახტი] ბოლსა და ჭვარტლს ისე გაუშავებია,**როგორც ყორნის ბოლო** (ვაჟა,6,120) – ლახტი ბოლს და ჭვარტლს **ყორნის ბოლოსავით** გაუშავებია; მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები, **ვით მოცურავე თეთრი ქალები** (პ. იაშვ., „თბილისი“) – მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები მოცურავე თეთრი **ქალებივით**; მისი ცხოვრება ისე წაუკითხეს, როგორც კარგი **რომანი** (ჯავ., 3, 395) – მისი ცხოვრება **კარგი რომანივით** წაუკითხეს; ყბედს ისე სჯიან, როგორც **მოღალატეს და ჯაშუშს** (ჯავ., 3, 373) – ყბედს **მოღალატესა და ჯაშუშსავით** სჯიან.

საერთო სიტყვა, რომელიც დასახელებულია მთავარში და დამოკიდებულში გამოტოვებულია, მარტივად გადაკეთებისას აღდგება: იასეს სახლი არ იყო ისე გაოხრებული, როგორც იოთამესი (ბარნ., 1, 386) – იასეს სახლი არ იყო გაოხრებული იოთამეს **სახლივით**.

„ვით“ თანდებულიან ფორმებს შეიძლება შევუნაცვლოთ „ებრ“ თანდებულიანი: მისებრ, ყორნის ბოლოსებრ და მისთ., მაგრამ პირველი („ვით“ თანდებულიანი) უფრო ბუნებრივი ჩანს.

აქ ნაჩვენებია შენაცვლება–გადაკეთების ძირითადი შემთხვევები, ასე რომ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ზოგჯერ შეიძლება რამდენადმე განსხვავებულადაც გადაკეთდეს მარტივად.

შენიშვნა: – **ვით** (და **–ებრ**) თანდებულიანი სახელი რომ უფრო ვითარების გარემოებაა (ვიდრე უბრალო დამატება), ამას ადასტურებს ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემ-

ცველი რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის მარტივი წინადადების შენაცვლების ზემოთ დასახელებული მაგალითები (§82).

7. **მიზეზის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის, „გამო“ თანდებული დაერთვის და მიზეზის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. მაქვემდებარებელი კავშირი და კორელატი, საერთო წესის თანახმად, ამოვარდება. მაგალითად: ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ, **რომ სახრდოს შოვნა** გაძნელდა (ვაჟა, 6, 17) – ყველას აშინებდა სიკვდილი **სახრდოს შოვნის გაძნელების გამო**; რადგანაც გაწვიმდა, სასეირნოდ ვეღარ წავედით – **გაწვიმების გამო** სასეირნოდ ვეღარ წავედით; **რაკი ბინდი ახლოვდებოდა**, ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა (რაზ.) – ბინდის **მოახლოების გამო** ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა.

8. **მიზნის გარემოებითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა–შემასმენელი ჩვეულებრივ მომავალი დროის მიმღეობად გადაკეთდება, ვითარებით ბრუნვაში დაისმის და მიზნის გარემოებად შეეწყობა მთავრის შემასმენელს, კავშირი და მისათითებელი ზმნიზედა (თუ ასეთი არის) ამოვარდება. მაგალითად: ჭიაღუაც საზრდოს ზიდავს, **რომ გაავსოს თავის ბინა** (ერ.) – ჭიაღუაც საზრდოს ზიდავს **თავის ბინის გასავსებად**; ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, **რათა გამშრალი პირი გაესველებინა** (ყაზ., 319) – ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა **გამშრალი პირის გასასველებლად**.

მიზნის გარემოება, როგორც ვიცით (§ 91), საწყისის „თვის“ თანდებულიანი ნათესაობითითაც გადმოიცემა. ამიტომ მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი შეიძლება საწყისად გადაკეთდეს, ნათესაობითში დაისვას და „თვის“ თანდებული დაერთოს. მაგალითად: ქართველნი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ, რომ სამშობლო **დაეცვათ** – ქართველნი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს **დაცვისათვის.** (გოგ.). მიმღეობის გამოყენება უფრო ბუნებრივია, ასე რომ მიზნის გარემოების გადმოსაცემად უმჯობესია, დამოკიდებული წინადადების ზმნა ვნებითი გვარის მიმღეობად გადაკეთდეს (და არა საწყისად): ქართველი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს **დასაცავად**.

დამოკიდებული წინადადების ზმნა ზოგჯერ **სა—ო** თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილ სახელად გადაკეთდება და ვითარებით ბრუნვაში დაისმის: ბიძაჩემი ხშირად მიდიოდა მთაში, **რათა ჯიხვებსა და არჩვებზე ენადირნა** – ბიძაჩემი ხშირად მიდიოდა მთაში

ჯიხვებსა და არჩვებზე სანადიროდ; ბავშვები ეზოში შეკრებილიყვნენ, **რომ ბურთი ეთამაშნათ** – ბავშვები ეზოში შეკრებილიყვნენ **ბურთის სათამაშოდ**.

რთულ წინადადებას, რომელიც შეიცავს ამა თუ იმ წევრის შესაბამის დამოკიდებულ წინადადებას, როგორც განხილული მასალიდან ჩანს, მეტ-ნაკლებად შეიძლება შეენაცვლოს მარტივი წინადადება, მარტივს კი – რთული წინადადება. შესანაცვლებელი წინადადების აზრს შენაცვლებული წინადადება, ცხადია, მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემს.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებას, როგორც ვიცით (§ 70), ან სრულიად არ მოეპოვება შესაბამისი წინადადების წევრი, ანდა არ არის კარგად გამოკვეთილი და ცალკე წევრად გამოყენებული. ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსი ზოგჯერ შეიძლება მარტივითაც გადმოვცეთ დაახლოებით. გადაკეთების წესები ზოგჯერ ანალოგიურია იმისა, რაც ზემოთ გვაქვს მოცემული, ზოგჯერ კი არსებითად განსხვავებულიც, სახელდობრ: ანალოგიურია პირობითისა და დათმობითის შემცველ რთულ წინადადებათა გადაკეთება, განსხვავებული – შედეგობითისა და მთავრის მიმართ დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული წინადადებისა. განვიხილოთ ეს შემთხვევები ცალ-ცალკე:

1. **პირობითი** დამოკიდებული წინადადების ზმნა საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის, დაერთვის „შემთხვევაში“ და ორივე ერთად, როგორც წინადადების წევრი, პირობის გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული. კავშირი (და კორელატი) ამოვარდება. მაგალითად: აქ **რომ ყოფილიყვნენ**, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! (ვაჟა, 6, 39) – **აქ ყოფნის შემთხვევაში** ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?!; **თუ მტერს ის გორაკი დაუთმეს**, ერთი კაციც ველარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან (ჯავ., 3, 265) – **მტრისთვის იმ გორაკის დათმობის შემთხვევაში** ერთი კაციც ველარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უარყოფითია („არ“ ნაწილაკი ახლავს), მაშინ ის უკუთქმითი მიმღეობისაგან „ობა“ სუფიქსით წარმოქმნილ სახელად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და „შემთხვევაში“ დაერთვის. მაგალითად: **ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ**, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაღწევდა? (ჭავ., 4530 – **ჩხუბის მოუსვლელობის შემთხვევაში** ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაღწევდა? **ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა**, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა (გოგ., 168) –

ამ კეთილი და გონიერი ფინიას შეუსწრებლობის შემთხვევაში, რა-საკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა.

2. **დათმობითი** დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და დაერთვის თანდებული „მიუხედავად“. კავშირი ამოვარდება. მაგალითად: **თუმცა მაისი დადგა**, მათს ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა (ჯავ., 3, 447) – **მიუხედავად მაისის დადგომისა**, მათს ბაღში ერთი მწვანე ბალახიც არ მოჩანდა; **ქალი თუმცა დაიღალა, დასუსტდა**, მაგრამ ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია (ყაზ., 534) – **მიუხედავად დაღლისა და დასუსტებისა**, ქალმა ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია; **მიუხედავად იმისა, რომ ღრმად მოხუცდა**, თავს მაინც კარგად გრძნობდა – **მიუხედავად ღრმად მოხუცებულობისა**, თავს მაინც კარგად გრძნობდა.

თუ შემასმენელი შედგენილია, მეშველი ზმნა ჩამოშორდება, სახელადი ნაწილი კი აბსტრაქტულ სახელად იქცევა. მაგალითად: **თუმცა მოხუცებული იყო**, მაგრამ თავს კარგად გრძნობდა – **მიუხედავად მოხუცებულობისა**, თავს კარგად გრძნობდა; **თუმცა მსჯელობა დამაჯერებელი იყო**, მაგრამ ზოგმა მაინც არ გაიზიარა მისი მოსაზრება – **მიუხედავად მსჯელობის დამაჯერებლობისა**, ზოგმა მაინც არ გაიზიარა მისი მოსაზრება. ასეთივეა შენაცვლების ხასიათი, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელი უარყოფითია: ონისე, **თუმცა ლაბარაკში მონაწილეობას არ იღებდა**, მაინც იმათ არ შორდებოდა და გაჩუმებული ყურს უგდებდა (ყაზ., 568) – **მიუხედავად ლაბარაკში მონაწილების მიუღებლობისა**, ონისე იმათ არ შორდებოდა და გაჩუმებული ყურს უგდებდა.

3. **შედეგობითი** დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ წინადადებას იშვიათად ენაცვლება მარტივი. მაგალითად: **ცეცხლი... ხრჩოლავდა**, რის გამოც ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა (არაგვ.). მარტივი იქნება: **ცეცხლის ხრჩოლვის გამო** ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა. დამოკიდებული წინადადებიდან ამოვარდა საკავშირებელი (რის გამოც), სხვა მხრივ იგი უცვლელი დარჩა. ცვლილება შეეხო მთავარს, რომლის ზმნაც საწყისად გადაკეთდა, ნათესაობითში დადგა, „გამო“ დაერთო და მიზეზის გარემოებად შეეწყო დამოკიდებული წინადადების შემასმენელს. მაგრამ ამგვარი მარტივი შეიძლება შეენაცვლოს მიზეზშედეგობრიობის გამომხატველ რთულ თანწყობილ წინადადებასაც: **ცეცხლი ხრჩოლავდა** და **ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა.** შენაცვლებისას, საერთო წესის თანახმად, სახელზმნად უნდა იქცეს დამოკიდებული წინადა-

დების ზმნა და არა მთავრისა, ასე რომ რთული წინადადების მარტივად გადაკეთების ზოგადი წესი აქ დარღვეულია. მაგრამ ამის გამო იმის მტკიცება, რომ რთული წინადადების პირველი ნაწილი იყოს დამოკიდებული, მაქვემდებარებელკავშირიანი – მთავარი, როგორც ზემოთაც აღინიშნა (გვ. 444), მოკლებულია მყარ საფუძველს. მარტივი წინადადება **„ცეცხლის ხრჩოლვის გამო** ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა“ სინამდვილეში ბადალია მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეყობილი წინადადებისა: **რადგანაც ცეცხლი ხრჩოლავდა**, ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა (და არა წინადადებისა: ცეცხლი ხრჩოლავდა, რის გამოც ისეც ბნელი ფარეხი კვამლით იბურებოდა). მაშასადამე, შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადებისათვის მარტივის შენაცვლება პირობითია.

4. მსგავსი ვითარებაა **მთავრის მიმართი** დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადებისათვის მარტივის შენაცვლების მხრივაც. მაგალითად: გაზაფხული დადგა, **რამაც ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა.** მთავარია „გაზაფხული დადგა“, ხოლო „რამაც ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა“ მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებაა. ამ რთული წინადადების აზრი თითქოს შეიძლება გადმოვცეთ შემდეგი მარტივით: **გაზაფხულის დადგომამ** ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა. როგორც ვხედავთ, წევრ-კავშირი (რამაც) ამოვარდა, სხვა მხრივ დამოკიდებულიო წინადადება უცვლელი დარჩა ცვლილება განიცადა მთავარმა: პირიანი ფორმა (დადგა) საწყისად გადაკეთდა და ქვემდებარედ შეეწყო დამოკიდებულის შემასმენელს, ხოლო ქვემდებარე (გაზაფხული) ნათესაობითში გადადგა და ქვემდებარისებრი დამატება გახდა. გადაკეთების ზოგადი წესი აქაც დარღვეულია. მარტივი წინადადება „გაზაფხულის დადგომამ ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა“ სინამდვილეში ფარდი ჩანს ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადებისა: **გაზაფხული რომ დადგა**, ამან ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: გემმა ორი საათით დააგვიანა, **რასაც არავინ მოელოდა**. დამოკიდებული წინადადება აქაც მთავრის მიმართია. ამ რთულ წინადადებას თითქოს ენაცვლება შემდეგი მარტივი წინადადება: გემის ორი საათით დაგვიანებას არავინ მოელოდა. მიმართებითი ნაცვალსახელი ამოვარდა, მთავრის შემასმენელი კი, საწყისად გადაქცეული, ირიბ დამატებად შეეწყო დამოკიდებული წინადადების შემასმენელს. გადაკეთების ზოგადი წესი აქაც დარღვეულია. მარტივი წინადადება „გემის ორი საათით დაგვიანებას არავინ

მოელოდა“ შესაბამისი ჩანს ისეთი რთული წინადადებისა, რომელიც შეიცავს დამატებით დამოკიდებულ წინადადებას: გემმა რომ ორი საათით დაიგვიანა, ამას არავინ მოელოდა. მაშასადამე, მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული წინადადების მარტივით შეცვლაც პირობითი ჩანს.

რთულ ქვეწყობილ წინადადებას ზოგჯერ შეიძლება შევუნაცვლოთ რთული თანწყობილი წინადადება, რომელიც შესანაცვლებელი წინადადების აზრს თითქმის ზედმიწევნით გადმოგვცემს. ასეთი შენაცვლება მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადება დათმობითია, ან შედეგობითი, ან კიდევ მთავრის მიმართი.

ა) დათმობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი შემთხვევა, როგორც ვიცით, ახლოს დგას მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებასთან (§183). ამის გამო მცირეოდენი ცვლილების შედეგად რთული ქვეწყობილი წინადადება ადვილად გადაკეთდება რთულ თანწყობილად, თანწყობილი კი – ქვეწყობილად. მაგალითად, რთული ქვეწყობილია წინადადება: **თუმცა მამას გული მოუვიდა, მაგრამ** სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა. (გოგ., 38). დათმობის კავშირი (თუმცა) რომ ამოვიღოთ, წონადადება თანწყობილი გახდება: მამას გული მოუვიდა, **მაგრამ** სიცილის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა.

ბ) შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგი შემთხვევა, როგორც ზემოთაც არის აღნიშნული (§181), სინონიმურია მიზეზშედეგობრიობის გამომხატველი რთული თანწყობილი წინადადებისა. ამის გამო აღნიშნული ტიპის რთული ქვეწყობილი წინადადება და რთული თანწყობილი წინადადება შეიძლება შევუნაცვლოთ ერთმანეთს. მაგალითად: რთული ქვეწყობილი წინადადებაა: შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება, **რის გამოც ისინი შეიარაღდნენ აბჯარ-აბგრით** (ვაჟა, 5, 305). სინონიმური თანწყობილი წინადადებაა: შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება **და ამის გამო** ისინი შეიარაღდნენ აბჯარ–აბგრით.

გ) სინონიმური რთული თანწყობილი წინადადება აქვს მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილ წინადადებასაც (§§163; 184); მაგალითად, ქვეწყობილია: [სვავი] თავისთავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის, **რაიც ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია** (ვაჟა, 6, 349). შესაბამისი რთული თანწყობილია: სვავი თავისთავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის **და ეს** ფრინველთა უგუნურებას ღირსეულად ვერ დაუფასებია.

სხვადასხვა ტიპის წინადადებათა გადაკეთება-შენაცვლების შემთხვევები ხშირია მწერალთა თხზულებების შავად ნაწერებსა და ვარიანტებში. აქ ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა შერწყმულია შეცვლილი მარტივით: მაგ.: ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ საბო-

ლოოდ მიღებული ტაეპი „ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა“, რომელიც მარტივი წინადადებაა, ორ ავტოგრაფში ერთგვარ-შემასმენლიან წინადადებად არის წარმოდგენილი: „ლურჯად **მოდე-ლავს** და **დუდუნებს** მტკვარი ანკარა“[286]. მარტივი წინადადება შეიძ-ლება შეენაცვლოს რთულ თანწყობილსაც. მაგ.: ბნელოდა და ოთახ-ში ვერავინ გავარჩიე – სიბნელის გამო ოთახში ვერავინ გავარჩიე.

* * *

რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის მარტივის შენაცვლებას ენაში დიდი ხნის ისტორია აქვს. „აღსანიშნავია, რომ ორივე ტიპის წინა-დადება – რთული და მისი ბადალი (თუ შეიძლება ითქვას, მისი შემცვლე-ლი) მარტივი წინადადება – ძველ ქართულშივე გვხვდება. მაგ., IX-X საუკუნის ერთსა და იმავე ტექსტის ორ სხვადასხვა რედაქციაში გვაქვს პარალელური წინადადებები“[287].

გრამატიკულ ლიტერატურაში რთული ქვეწყობილი წინადადები-სათვის მარტივის შენაცვლებაზე მოძღვრება თან დაჰყვა დამოკიდებულ წინადადებათა სახეებზე მოძღვრებას, მაგრამ შენაცვლების ხასიათი და ამ ორი ტიპის წინადადების ერთმანეთისადმი მიმართების საკითხი სხვადას-ხვაგვარად იყო გაგებული.

რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში კარგა ხანს იყო გავრცელე-ბული მოსაზრება, რომ დამოკიდებული წინადადება „მოკლდება“ და ამის შედეგად რთული ქვეწყობილი წინადადება იქცევა მარტივ წინადადებად.

„მეორე, ამის საპირისპირო მიმართულების თანახმად, რთული წინა-დადება **არ მოკლდება** და არც შეიძლება შემოკლდეს მარტივად. ერთისა და იმავე შინაარსის მარტივი და რთული წინადადება წარმოიშვა ერთმა-ნეთისაგან დამოუკიდებლივ და სხვადასხვა დროს და ამდენად არ შეიძ-ლება ვილაპარაკოთ რთული წინადადების გადაქცევაზე მარტივად და პირიქით. აქ სხვადასხვა ტიპის წინადადების **შენაცვლებაა** და **არა შემოკლება.** მკვეთრად აქვს გამოთქმული ეს მოსაზრება **დ. ოვსიანი-კო-კულიკოვსკის**. ...სასკოლო სახელმძღვანელოში: „სრულებით არ არის სწორი და არც უნდა გავიგოთ ეს ფორმა, როგორც შემოკლება მიმართე-ბითი ნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადებისა. რუსული ენის ისტორია გვიჩვენებს, რომ კონსტრუქციები 1. „Люди, которие были крепостными...“ („ადამიანები, რომლებიც იყვნენ ყმები...“) და 2. „Люди, бывшие крепостными...“ („ადამიანები, ყოფილნი ყმებად...“) წარმოიშვა ერ-თმანეთისაგან დამოუკიდებლად ძველი ენის ცნობილი კონსტრუქციები-საგან და მეორე სრულებით არ წარმოადგენდა პირველის „შემოკლების“ შედეგს. ამჟამად ისინი ადვილად ენაცვლებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს კიდევ არ გვაძლევს უფლებას მიმღეობიან ფორმას ვუწოდოთ „შემოკლე-

[286] **გრ. კიკნაძე**, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 210.

[287] **ვ. თოფურია**, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული, X-XI, 1960, გვ. 23.

ბული დამოკიდებული წინადადება"[288].

დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი ამ შემთხვევაში ემყარება ა. პოტებნიას საენათმეცნიერო მოძღვრებას. ა. პოტებნიამ გააკრიტიკა „შემოკლების" თეორია, ნათელყო დამოკიდებული წინადადების თანდათანობითი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი, რომ ერთი და იმავე შინაარსის მარტივი და რთული წინადადება წარმოიშვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ და სხვადასხვა დროს. „შემოკლების" თეორიის კრიტიკა ა. პოტებნიას სკოლის უდავო დამსახურებად ითვლება[289].

ა. პეშკოვსკის სასკოლო გრამატიკის ერთ-ერთ ნაკლად ენობრივ მოვლენებზე ისტორიული თვალსაზრისის უქონლობა მიაჩნდა[290]. სინტაქსიდან ამის ერთ მაგალითად „შემოკლებას" ასახელებს. ტერმინი „შემოკლებული დამოკიდებული წინადადება", ა. პეშკოვსკის თქმით, უნებლიეთ ბადებს აზრს, რომ რაღაც „შემოკლდა" ან „მოკლდება", რაც არ არის სწორი როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე სინტაქსური ცნობიერების თვალსაზრისით[291].

როგორც **ვ. თოფურია** აღნიშნავს, „ამგვარი შეხედულების შედეგია უთუოდ, რომ ახალი რუსული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში რთული წინადადების **შემოკლებაზე, მარტივად გადაქცევაზე** კი არაა ლაპარაკი, არამედ **შენაცვლებაზე** (замена-ზე)"[292].

ტერმინი, როგორც ვიცით, პირობითია. ამოტომ, როცა ამჟამად რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლასა თუ შენაცვლებაზე, ან კიდევ პირველის (რთული ქვეწყობილის) მეორედ (მარტივად) გადაკეთებაზე ვსაუბრობთ, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ შენაცვლებული და შესანაცვლებელი ერთმანეთის ეკვივალენტია და ისტორიულად ერთი მეორისაგან არის მიღებული.

რუსულის „...მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ქართულშიც"[293]. **არ ქუთათელაძის** და **თ. ჟორდანიას** გრამატიკებში, სადაც პირველად არის წარმოდგენილი დამოკიდებულ წინადადებათა სახეები ჩვენს სინამდვილეში, ლაპარაკია დამოკიდებული წინადადების „შემოკლებაზე". მაგალითად, არ. ქუთათელაძეს დამოკიდებულ წინადადებათა განხილვის შემდეგ ცალ-ცალკე წარმოდგენილი აქვს შემოკლების ნიმუშები დამატებითი, განმარტებითი[294], აგრეთვე მოქმედების-გვარის[295], მიზეზისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისა[296], ხოლო შემდეგ – შემოკლების წესი; „დამოკიდებული წინადადება შემოკლდება ამგვარად: ან ჩამოიც-

---

[288] **ვ. თოფურია**, დასახელებული წერილი, გვ. 5.

[289] **С.И. Абакумов**. О придаточных предложениях, გვ. 89.

[290] **А. М. Пешковский**. Школьная и научная грамматика, გვ. 46.

[291] იქვე, გვ. 48.

[292] **ვ. თოფურია**, დასახელებული წერილი, გვ. 6.

[293] იქვე, გვ. 10.

[294] ე.ი. განსაზღვრებითი.

[295] ე.ი. ვითარების.

[296] **არ. ქუთათელაძე**, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, მე-4 გამოცემა, 1894, გვ. 25-29.

ლის კავშირს, რომლის ძალითაც ის თავ-წინადადებას[297] უერთდება, ან წინადადებაში ზმნა ზმნისაგან ნაწარმოებ ზედ-შესრულად[298] იქცევა, ანდა უბრალო ამსხნელი სიტყვების სახეს მიიღებს"[299]. როგორც ამ წესიდან ჩანს, არ. ქუთათელაძეს კავშირგამოტოვებული რთული წინადადებაც შემოკლებულად მიაჩნია, რის გამოც რთულ ქვეწყობილ წინადადებას ზოგჯერ ორი „შემოკლებული" წინადადება უდგას გვერდით. მაგ.:

„მოსე ცდილობდა, რომ **ებრაელები ეგვიპტელებისაგან გამოეხსნა**".

„მოსე ცდილობდა **ებრაელები ეგვიპტელებისაგან გამოეხსნა**".

„მოსე ცდილობდა **ებრაელების გამოხსნას ეგვიპტელებისაგან**"[300].

თ. ჟორდანია ჯერ საუბრობს მარტივი წინადადების რთულად გადაქცევაზე[301], მერე – დამოკიდებულის შემოკლებაზე. მისი აზრით, დამოკიდებული წინადადება, რომელიც საზღვრავს მთავრის ქვემდებარეს, განმარტებითია, რომელიც – მთავრის შემასმენელს – დამატებითი (აქ შემოდის გარემოებითიც). „უკანასკნელ, თუ დამატებითნი წინადადებანი საზღვრენ შესმენილის გარემოებათა: დროს, მიზეზსა, მიზანსა და სხვ., მაშინ იგინი იწოდებიან დამატებით-წინადადებად გარემოებითად"[302] და ასახელებს უკანასკნელის სახეებს მაგალითებითურთ, ხოლო შემდეგ (§21), განხილულია „შემოკლება დამატებითთა წინადადებათა". თ. ჟორდანია, რომელსაც „შემოკლებული" წინადადება ენის ღირსებად მიაჩნია, წერს: „უკეთესი ქართველი მწერლები და თჳით ხალხიც სცდილობენ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქვას", რადგან „გრძელი სიტყვა საწყინოა" და ამის გამო არ უყვართ დამატებითი წინადადებანი, რომელნიც მეტად აგრძელებენ სიტყვას და აბნელებენ ჰაზრსა"[303]. ამ პარაგრაფის დასასრულს ნათქვამია: „რუსთველის, ბესიკის და ჩხეიძის ნაწერებში მოკლე-სიტყვაობა ქართული (ლაკონიზმი) მაღალ წერტილამდი აღყვანილია. არა ვგონებთ, რომ ქართული სხვა ენას დაუვარდეს ამ მხრივ[304].

მოცემულია შემოკლების ასეთი წესი, „შემოკლება შემოღებულია ორგვარი: ა) გამოკლება თანდებულ-კავშირთა, რომლითაც დამოკიდებულნი წინადადებანი ეკავშირებიან მთავართა, მაგ., **ხამს** (რომ) **მამაცი გულოვნობდეს"; „ისეთმა ფურმა დამწიხლოს,** (რომ) **ჩემზედ მეტს იწველვიდეს"**... ბ) გარნა უფრო ხშირად დამატებითი წინადადება სიტყვათა გარდი-გარდმოსხმითა დამატებით-სიტყვებად გარდაიქცევა ხოლმე, მაგ., **„გვესმა, რომ კარგი სანადირო არის" = „კარგი გვესმა სანადირო"; „ავთანდილს უთხრა, რომ იგი დამჯდარიყო" = „ავთანდილს უთხრა**

---

[297] ე.ი. მთავარ წინადადებას.

[298] ე.ი. ზედსართავად.

[299] **არ. ქუთათელაძე**, დასახელებული შრომა, გვ. 29,

[300] იქვე, გვ. 25.

[301] **თ. ჟორდანია**, ქართული გრამატიკა, 1889, §20, გვ. 38-39.

[302] იქვე, გვ. 40.

[303] იქვე, გვ. 41.

[304] იქვე, გვ. 42

დაჯდომა"; ხრმალი მისთჳს გჳკიდია, რომ მტერს პასუხი გავსცეთ" = **„ხრმალი მტრის პასუხის გასაცემად გჳკიდია"**[305]. აქვე წარმოდგენილია მარტივის რთულად გადაქცევის ორიოდე მაგალითიც.

სილ. ხუნდაძე, რომელიც კავშირებისა და წევრ-კავსირების ამოღებით „შემოკლებაზე" არაფერს ამბობს, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთების წესებს უფრო სრულად წარმოგვიდგენს. ამ გადაკეთებას სილ. ხუნდაძეც „დამოკიდებულ წინადადებათა შემოკლებას" უწოდებს. იგი წერს; „დამოკიდებული წინადადება შეიძლება შევამოკლოთ ხოლმე და მთავარი წინადადების რამე ნაწილად ვაქციოთ: თუ დამატებითი დამოკიდებულია – **დამატებათ**, თუ განსაზღვრებითია – **განსაზღვრებათ**, და თუ გარემოებითია – იმ **გარემოებით სიტყვათ**, რა გარემოებისაც არის თვით დამოკიდებული წინადადება (ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის თუ ვითარების")[306]. შემდეგ დასახელებული რიგითვე წარმოდგენილია „შემოკლების" ნიმუშები, ოღონდ პირველ ორთან მარტივად მოცემულია შემოკლების წესებიც: „როცა შემასმენელი ზმნაა, დამატებითი დამოკიდებული წინადადება **სახელზმნით შემოკლდება**" („სწავლულნი ამტკიცებენ, რომ ქართული წერა-კითხვა პირველად ფარნაოზის დროს შემოიღეს" = „სწავლულნი ამტკიცებენ **ქართული წერა-კითხვის ფარნაოზის დროს შემოღებას**"), მაგრამ თუ „დამატებითი დამოკიდებული წინადადების **შემასმენელი შედგენილია**, მაშინ დამოკიდებული წინადადება **არსებითი სახელით შემოკლდება**"[307] და ეს არსებითი სახელი შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისაგან იწარმოებაო („ვიცი, რომ შენ გულკეთილი ხარ" = „ვიცი **შენი გულკეთილობა**"). „**განსაზღვრებითი** დამოკიდებული წინადადება **მიმღეობით** შემოკლდება, როცა შემასმენელათ ზმნა ზის"[308] („კაცი, რომელსაც საწყალი ხალხი ებრალება, პატივისცემის ღირსია" = **„საწყალი ხალხის შემბრალებელი კაცი პატივისცემის ღირსია"**), მაგრამ „თუ დამოკიდებული წინადადების **შემასმენელი** შედგენილია, მაშინ დამოკიდებული წინადადება **ამ შემასმენლის სახელით შემოკლდება** ხოლმე:

ის კაცი, რომელიც **კეთილი და პატიოსანია**, ყველას უყვარს: – ასე შემოკლდება: **კეთილი და პატიოსანი** კაცი ყველას უყვარს"[309].

მ. ჯანაშვილის გრამატიკაში „შემოკლებაზე" არაფერია ნათქვამი, ოღონდ დამოკიდებულ წინადადებათა განხილვისას მოცემულია თითოროლა მაგალითი დამატებითი, აგრეთვე დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებათა „შემოკლებისა"[310].

განმარტებითი (განსაზღვრებითი) დამოკიდებული წინადადების გან-

---

[305] **თ. ჟორდანია**, ქართული გრამატიკა, გვ. 41.

[306] **სილ. ხუნდაძე**, ქართული გრამატიკა, მე-5 გამოცემა, ქუთაისი, 1917, გვ. 124.

[307] იქვე, გვ. 124.

[308] იქვე, გვ. 125.

[309] იქვე.

[310] **მ. ჯანაშვილი**, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 145-150.

ხილვისას „შემოკლების“ მაგალითები არის დასახელებული, თანაც აქ, გარდა საკუთრივ განსაზღვრებითისა, ისეთი მაგალითებიც არის შესული, რომლებიც ამჟამად ქვემდებარულად, დამატებითად და ვითარების გარემოებითად არის გაგებული.

ი. ნიკოლაიშვილის მოკლე გრამატიკაში წერია: „წინადადების მეორე ხარისხის წევრები გამოითქმის არა მარტო ცალკე სიტყვებით, არამედ მთელი წინადადებითაც. მგლების გაუმაძღრობა ყველამ ვიცით. ამ წინადადებაში დამატება ერთი სიტყვითაა გამოთქმული **„გაუმაძღრობა“**, იგივე წინადადება ჩვენ შეგვიძლია ასე გამოვთქვათ: ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმაძღარნი არიან. უკანასკნელ წინადადებაში დამატება მთელი წინადადებითაა გამოთქმული: **„რომ მგლები გაუმაძღარნი არიან“**. ამნაირადვე შეიძლება წინადადებით გამოითქვას განსაზღვრებაც და გარემოებითი სიტყვებიც“[311]. დამოკიდებული წინადადების „შემოკლებასა“ და „შენაცვლებაზე“ ამ ავტორის მოკლესა თუ ვრცელ გრამატიკებში არაფერია ნათქვამი.

მ. კელენჯერიძის გრამატიკაში ჯერ განხილულია „დამოკიდებულ წინადადებათა წარმოშობა და კლასიფიკაცია“, შემდეგ დამოკიდებულ წინადადებათა სახეები[312].

დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაციის დროს ავტორისათვის ამოსავალია მათი წარმომავლობა, რომელიც მას ასე აქვს წარმოდგენილი: რთული წინადადება კეთდება მარტივისაგან კავშირების დახმარებით ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი წევრის გავრცობით დამოკიდებულ წინადადებად, რომელიც იგივეა, რაც მარტივი წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, ოღონდ უფრო განვითარებული. „რადგან ვრცელი წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, ოღონდ უფრო განვითარებული. „რადგან ვრცელი წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებია განსაზღვრა, დამატება და გარემოება (ადგილისა, დროისა, მიზეზისა, მიზნისა და ვითარებისა), ამიტომ მათგან ნაწარმოები დამოკიდებული წინადადება შეიძნაირია: განსაზღვრებითი, დამატებითი, გარემოებითი, ადგილისა, დროისა, მიზეზისა, მიზნისა და ვითარებისა“[313]. ყველაფერ ამას უსწრებს მარტივისა და მისგან „მიღებული“ სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მაგალითები. შემდეგ, დამოკიდებული წინადადების ცალკეული სახეების განხილვისას, საუბარია მათს „შემოკლებაზედაც“, ოღონდ ზოგიერთ სახესთან (პირობითთან, დათმობითთან) ნათქვამია, რომ არ შემოკლდებაო[314].

ი. სიხარულიძის „ენის დაკვირვებასა“ (1929) და „ქართულ ენაში“ (1932). ამ საკითხთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი. ამავე ავტორის „ქართული ენის გრამატიკაში“ (1936), მართალია, დამოკიდებული წინადადების სახეების ტრადიციული გაგება უკუგდებულია, მაგრამ ლაპარაკია

---

[311] **ი. ნიკოლაიშვილი**, ქართული მოკლე გრამატიკა, მე-4 გამოცემა, თბ., 1919, გვ. 45.
[312] **მ. კელენჯერიძე**, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 71-81.
[313] **მ. კელენჯერიძე**, დასახელებული გრამატიკა, გვ. 73. (§157).
[314] იქვე, გვ. 81.

მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაზე, როგორც რთული წინადადების კომპონენტებზე, და წარმოდგენილია ერთი ტიპისათვის მეორის შენაცვლება ასეთი დასათაურებით „მარტივი წინადადების აზრის გამოხატვა რთული წინადადების საშუალებით“ და „რთული წინადადების შინაარსის გადმოცემა მარტივი წინადადებით“[315]. თითოეულთან გარჩეულია შენაცვლების ორიოდე შემთხვევა (ცხადია, დამოკიდებული წინადადების სახის დაუსახელებად) და მოცემულია განხილული მაგალითების შესაბამისი წესებიც ერთობ ზოგადად: ასე, მაგალითად, მარტივისათვის რთულის შენაცვლებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მარტივი წინადადების ქვემდებარე და შემასმენელი უცვლელად გადადის მთავარი წინადადების ქვემდებარედ და შემასმენლად, ხოლო ამხსნელი სიტყვა, რომელიც სახელზმნით არის გამოხატული, დამოკიდებული წინადადების შემასმენლად იქცევა“[316]. რთულისათვის მარტივის შენაცვლების წესი ასეა წარმოდგენილი: „მთავარი წინადადების ქვემდებარე – შემასმენელი მარტივ წინადადებაში გადადის, ხოლო დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მარტივ წინადადებაში გადასვლის დროს სახელზმნად იქცევა და ამხსნელ სიტყვად გვევლინება“[317].

ა. შანიძის სასკოლო გრამატიკის მე-3 გამოცემაში (1946) რთული ქვეწყობილი წინადადებისათვის მარტივის შენაცვლება ცალკე თავად არის შესული ასეთი სათაურით: „რთულ ქვეწყობილ წინადადებათა შემოკლება“[318]. აქ პირველად აღნიშნულია რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთების ხასიათი და შედეგი, ხოლო შემდეგ თანამიმდევრულად განხილულია დამატებითი, განსაზღვრებითი, აგრეთვე დროისა და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გადაკეთება. საკმაოდ სრულად არის დადგენილი და მოცემული დასახელებულ დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთების წესები (გვ. 162–164). ამ გრამატიკის მე-4 გამოცემაში (1948) დამატებით შესულია ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების გადაკეთება (გვ. 173). სახელმძღვანელოს ბოლო გამოცემებში „გადაკეთება“ აღნიშნულ სახეთა განხილვას უკავშირდება.

ჩვენს წიგნში („ქართული ენის სინტაქსი“, 1958) ცალკე თავად არის შესული „რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა – რთულით“ (გვ. 265-281); შეცვლის შემთხვევები და წესები აქ კიდევ უფრო სრულად არის წარმოდგენილი.

საკითხის ისტორია, შენაცვლების წესები, საერთოდ, ამ პრობლემასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხები განხილულია ვ. თოფურიას სპეციალურ წერილში „რთული ქვეწყობილი წინადა-

---

[315] **ი. სიხარულიძე**, ქართული ენის გრამატიკა, 1936, გვ. 128.

[316] იქვე, 1936, გვ. 128.

[317] იქვე, გვ. 129.

[318] **ა. შანიძე**, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო V-VII კლასებისათვის, 1946, გვ. 161.

დების მარტივი წინადადებით შენაცვლებისათვის ქართულში“[319].

§192. რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა მსგავსება და განსხვავება

რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი, როგორც ვიცით, რთული წინადადების ორი სხვადასხვა სახეა. მსგავსება მათ შორის ის არის, რომ ერთიცა და მეორეც, „შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან და ერთმანეთთან შეკავშირებულია ან ინტონაციით (და პაუზით), ან ინტონაციასთან ერთად კავშირით, ხოლო **განსხვავება** მათ შორის სტრუქტურულთან ერთად **ფუნქციურიცაა**“[320]. ეს განსხვავება მოკლედ ასეთია:

თანწყობილში გაერთიანებული წინადადებები ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად თანასწორია, ქვეწყობილი კი წარმოდგება ერთმანეთის მიმართ არათანასწორუფლებიან წინადადებათა შეერთებისაგან: ერთი გაბატონებულია, მთავარია, მეორე კი მასზეა დაქვემდებარებული. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ასრულებს ამა თუ იმ წევრის სინტაქსურ ფუნქციას, მიუგებს შესაბამისი წევრის კითხვაზე. თანწყობილი წინადადება ანალოგიურია ერთგვარი წევრებისა, ქვეწყობილი კი სიტყვათა დაქვემდებარებითი დამოკიდებულისა, სადაც ერთი სიტყვა წამყვანია, მთავარია, მეორე კი – მისი ამხსნელი (შაგ., **მადალი სახლი**). ეს განსხვავება ნათლად ჩანს წინადადებათა ასეთი შეპირისპირებისას: ცა მოიწმინდა და გამოჩნდა მზე (ლორთქ., 2, 228). ამ რთულ თანწყობილს რომ ქვეწყობილი შევუნაცვლოთ, მივიღებთ: **როცა ცა მოიწმინდა,** გამოჩნდა მზე. თანწყობილში „ცა მოიწმინდა“ თავისთავადი დამოუკიდებელი წინადადებაა, ქვეწყობილში კი ის დაქვემდებარებულია და კითხვაზე მიუგებს: როდის გამოჩნდა მზე? პასუხს დამოკიდებული წინადადება იძლევა: „როცა ცა მოიწმინდა“.

რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთმანეთისაგან განსხვავდება სტრუქტურულად, მათში გამოყენებული გრამატიკული საშუალებების მიხედვით. ძირითადი ნიშნები, რომლებითაც რთული წინადადების ეს ორი ტიპი განსხვავდება ერთმანეთისაგან, შემდეგია:

1. რთულ თანწყობილში გამოყენებულია მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი და მაპირისპირებელი, რთულ ქვეწყობილში კი – მაქვემდებარებელი კავშირები. გარდა ამისა, რთულ

[319] ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული X–XI, 1960, გვ. 3–26.

ვ.თოფურიას წერილს ახლავს შენიშვნა: „წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის (გამგე პროფ. ა. შანიძე) საჯარო სხდომაზე 1944 წლის 22 მაისს. იბეჭდება ოდნავ გავრცობილად“ (გვ. 3).

[320] **ვ. თოფურია,** მშობლიური ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში, III, კრებულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, X-XI, თბ., 1960, გვ. 3.

ქვეწყობილ წინადადებაში საკავშირებლად გამოყენებულია მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები, რომლებიც ასრულებენ კავშირის ფუნქციას და ამავე დროს ერთ-ერთ წევრადაც შედიან დამოკიდებულ წინადადებაში, ე.ი. წევრ-კავშირებია. რთულ თანწყობილ წინადადებაში წევრ-კავშირები არ იხმარება.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ერთგვარ წევრებს შორის შერწყმულ წინადადებებში, რთული ქვეწყობილი წინადადების კომპონენტ წინადადებათა მიმართება კი წამყვანი და მიმყოლი სიტყვების ურთიერთობას მოგვაგონებს.

2. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კავშირი შედის დამოკიდებულ წინადადებაში, მისი ნაწილია. ამიტომ დამოკიდებული წინადადებისათვის ადგილის შეცვლისას კავშირი მას გადაჰყვება. ის იწყებს დამოკიდებულს ან დამოკიდებულ წინადადებაშია. მაგალითად: ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, **რომ** ფიფქ თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო (ყაზ.) — **რომ** ფიფქ თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო, ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა.

რთულ თანწყობილ წინადადებაში კავშირი მხოლოდ აერთებს და ამყარებს გარკვეულ მიმართებას შეკავშირებულ წინადადებებს შორის, ჩვეულებრივ შეერთებულ წინადადებებს შორის არის მოთავსებული და არ განეკუთვნება რომელიმე წინადადებას, თუმცა ფონეტიკურად ის მომდევნოს ეკედლება. ამით არის გამოწვეული, რომ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებისათვის ადგილის შენაცვლებისას (როცა ეს შესაძლებელია აზრობრივი მიმართების დაურღვევლად) კავშირი თავის ადგილას რჩება. მაგალითად: კოდალა ხეს უკაკუნებს **და** ტოროლა ცაში გალობს (ერ.) — ტოროლა ცაში გალობს **და** კოდალა ხეს უკაკუნებს.

რთულ თანწყობილში ზოგი კავშირი მეორდება მასში შემავალ წინადადებებთან, რაც მიუთითებს მათს ერთგვარობაზე, ქვეწყობილში კი ასეთი რამ შეუძლებელია.

3. მთავარ წინადადებაში ხშირად არის მისათითებელი სიტყვა (კორელატი), რომელიც დამოკიდებულ წინადადებას გვავარაუდებინებს: ბნელა **ისე**, რომ აღარ ჩანს თითი, თვალთან მიტანილი (წერ., 2, 239); იქნებ აკვანში **ის** ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი (ჭავ., 101). ასეთი მისათითებელი სიტყვა თანამიმდევრული დაქვემდებარების დროს შეიძლება იყოს დამოკიდებულშიც, რომელიც მომდევნო ხარისხის დამოკიდებული წინადადებისათვის მთავრის როლს ასრულებს.

რთული თანწყობილი წინადადება ამ მხრივ არსებითად განსხვავდება რთული ქვეწყობილისაგან.

4. რთულ თანწყობილ წინადადებაში ერთი წინადადება მოსდევს მეორეს: ცხელი ზაფხული გათავდა და გრილი შემოდგომა

მოვიდა. (ჯავ., 1, 268).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთი წინადადება (დამოკიდებული) ხშირად მეორეში (მთავარში) არის მოქცეული: საძაგელი ჩხიკვი, **რომელიც ისე მაშინებდა წინათ**, ეხლა სრულებით არ მეჩვენება ისე საზარელი. (ვაჟა, 5, 13).

5. რთული ქვეწყობილი წინადადების აზრი შეიძლება გადმოიცეს მარტივი (ან: შერწყმული) წინადადებით: ეკალ'ში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო (წერ.) – ეკალ'ში ობლად ამოსული ვარდი შევნიშნე.

რთულ თანწყობილ წინადადებას, საზოგადოდ, ვერ შევუნაცვლებთ მარტივ წინადადებას.

6. რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილს შორის განსხვავებაა მათში გაერთიანებულ წინადადებათა რაოდენობის თვალსაზრისითაც. რთულ თანწყობილში ხშირად ორზე მეტი (სამი, ოთხი...) წინადადებაა: ჩამობნელდა, ჩამოცხა და მოისმა ჭექა-გრიალი (ყაზ., 2, 354); მუხა ჰგმინავს, წიფელი ჰბურტყუნებს, თელა ჰკვნესის, იფანი შიშინებს, ხმელი ხე ჭრიჭინებს და ნედლი ოხრავს. (ჯავ., 4, 185). ქვეწყობილი წინადადება ყოველთვის ორი წინადადების – მთავრისა და დამოკიდებულის – შეერთებისაგან წარმოდგება[321].

7. რთული თანწყობილისაგან რთული ქვეწყობილი განსხვავდება ინტონაციურადაც. თანწყობილისათვის დამახასიათებელია ჩამოთვლისა და დაპირისპირების ინტონაცია, ქვეწყობილისათვის – დაქვემდებარებისა...

8. რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში ზმნის დროის ფორმები ჩვეულებრივ ძირითადი (აბსოლუტური) მნიშვნელობით იხმარება. შემასმენლებით გამოხატული მოქმედება, საზოგადოდ, ერთ ფიზიკურ დროს გულისხმობს. მაგალითად: თავმჯდომარემ ზარი **დააწკარუნა** და დარბაზში სიჩუმე **ჩამოვარდა**. (დად., 507); მე ჭერს **შევსცქეროდი**, დათიკო კი ისევ ქუჩას **ათვალიერებდა** (ჯავ., 3, 457); ირაკლის სიფიცხე **იბყრობდა, მაგრამ** თავს **იკავებდა** (გვეტ., 96); ირმა ტარანს ძრიან საწებელში **აწყობდა, ხოლო** ეფროსინე კეცებზე ჭადებს **აკრავდა** (გვეტ., 160); მოწმენდილმა ცამ უცებ **დაიქუხა** და ჩემს სულში ცეცხლის გრიგალი **შემოიჭრა**. (ჯავ., 1, 480).

რთულ ქვეწყობილში გვხვდება დროის ფორმათა მიმართებითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები. ამის მიხედვით არის შემუშავებული უწინარესობა და შემდგომობა. „უწინარესობა დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება და II თურმეობითის საშუალებით გადმოიცემა ქართულში, შემდგომობა კი – წყვეტილით“[322]. მაგალითად: ბარამმა უცებ **დაინახა**, რომ ნეშოებს შორის იას

[321] **А.Н. Гвоздев**, დასახელებული წიგნი, გვ. 183.

[322] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 264, გვ. 218.

ამოეყო თავი. (დად., 169).

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში მწკრივის ფორმათა გამოყენების ისეთი შემთხვევები გვხვდება, რაც თანწყობილში არა გვაქვს. (§§180; 182). სხვათა შორის, პირობითი და შედეგობითი კილოს ფორმები მარტო ქვეწყობილის ნაწილებში გვხვდება. „ეს კილოები“ უერთმანეთოდ არ გვხვდება, არამედ მუდამ ერთად, მაგრამ რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში: ერთი – დამოკიდებულში, მეორე – მთავარში[323].

9. რთულ თანწყობილში, როგორც წესი, პირველი წინადადებაა სრულად წარმოდგენილი, მომდევნოში კი შეიძლება გამოტოვებულ იქნეს სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება, რომელიც ადვილად იგულისხმება პირველი წინადადების მიხედვით. მაგალითად: ყორანი იჯდა მუხის ერთს ხმელს ტოტზე და თვალებიდან ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. (ვაჟა). მეორე წინადადება უსრულია, აკლია ირიბი დამატება – „ყორანს“, რომელიც დასახელებულია პირველ ნაწილში და ამის გამო ადვილად იგულისხმება.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარს, თუნდაც ის პირველ ადგილზე იყოს, ხშირად აკლია ესა თუ ის წევრი. მაგალითად: ქალმა იგრძნო, რაც მომხდარიყო. (ბარნ., 2, 111). მთავარს აკლია პირდაპირი დამატება, ნაკლული წევრის მაგივრობას დამოკიდებული წინადადება ასრულებს.

ასეთია მოკლედ ის თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებს რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილს ერთმანეთისაგან. ეს თავისებურებანი, ერთად აღებული, ნათლად ადასტურებს, რომ თანწყობა და ქვეწყობა სხვადასხვა სინტაქსური კატეგორიებია და ამგვარად, რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი რთული წინადადების სხვადასხვა ტიპია, ერთმანეთისაგან ფუნქციურად და სტრუქტურულად განსხვავებული.

ცხადია, თანწყობილსა და ქვეწყობილში გაერთიანებულ ყველა შემთხვევას ერთნაირად არ ახასიათებს აღნიშნული თავისებურებანი; თანაც თანწყობილსა და ქვეწყობილს შორის ზოგჯერ ძნელდება მკვეთრი ზღვარის დადება, უახლოვდებიან ერთმანეთს მათში გაერთიანებულ წინადადებათა აზრობლივი მიმართების თვალსაზრისით; ისინი სინონიმური მნიშვნელობის სინტაქსური ერთეულებია. თქმულის საილუსტრაციოდ ორ შემთხვევას დავასახელებთ:

ა) ორივე ტიპის რთული წინადადების მეორე ნაწილი მიემართება პირველ ნაწილს: რთულ თანწყობილ წინადადებაში „და“ კავშირს მოსდევს პირველ ნაწილზე მიმთითებელი ნაცვალსახელი. დამოკიდებული წინადადება მთავრის მიმართია.

[323] იქვე, §257ა, გვ. 213.

რთული თანწყობილი	*რთული ქვეწყობილი*
1. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაყროდა *და ეს* მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა. (ჭავ.).	1. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაყროდა, *რაც* მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა.
2. ერთბაშად გავარდა თოფი *და ეს* ნიშანი იყო საერთო იერიშისა. (ყაზ.).	2. ერთბაშად გავარდა თოფი, *რაც* ნიშანი იყო საერთო იერიშისა.
3. მაზუთის გუბეს ცეცხლი მოსდებოდა *და ამან* ცოტა გაუძნელა მანძილის გამოცნობა. (კ. ლორთქ.).	3. მაზუთის გუბეს ცეცხლი მოსდებოდა, *რამაც* ცოტა გაუძნელა მანძილის გამოცნობა.
4. ხალხი ამ მოთხოვნაზე უფრო ახარხარდა *და ამან* ბოქაული კიდევ უფრო გააანჩხლა.	4. ხალხი ამ მოთხოვნაზე უფრო ახარხარდა, *რამაც* ბოქაული კიდევ უფრო გააანჩხლა (დ. შენგ.).

ბ) რთულ თანწყობილ და ქვეწყობილ წინადადებათა ნაწილების აზრობრივი მიმართება მიზეზშედეგობრივია. რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი პირველს მიემართება სიტყვებით **„და ამის გამო“**, რთულ ქვეწყობილში დამოკიდებული მთავარს – წევრ-კავშირით **„რის გამოც“**.

1. ზაფხულობით საჭმელი ბევრი აქვს მგელს *და ამის გამო* ადამიანს არ ეტანება. (ვაჟა).	1. ზაფხულობით საჭმელი ბევრი აქვს მგელს, *რის გამოც* ადამიანს არ ეტანება.
2. მრავალ ცხარე ბრძოლაში მორჩაძე გაუკაწრავი დარჩენილა *და ამის გამო* სოფლად არაკად ლაპარაკობდნენ. (გვეტ.).	2. მრავალ ცხარე ბრძოლაში მორჩაძე გაუკაწრავი დარჩენილა, *რის გამოც* სოფლად არაკად ლაპარაკობდნენ.
3. შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება *და ამის გამო* ისინი შეიარაღდნენ აბჯარ-აბგრით.	3. შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება, *რის გამოც* ისინი შეიარაღდენ აბჯარ-აბგრით. (ვაჟა).

აზრობრივი სიახლოვე რთული წინადადების ტიპებს შორის თქმულით არ ამოიწურება. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ძნელდება მათი რთული წინადადების ამა თუ იმ ტიპისათვის მიკუთვნება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევებშიც შეინიშნება სტრუქტურული თავისებურება, რომლის მიხედვითაც რთული წინადადება შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე ტიპს – თანწყობილს ან ქვეწყობილს.

XV. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

§193. პირდაპირისა და ირიბი ნათქვამის რაობა

ისეთ ნათქვამს, რომელიც სხვას ეკუთვნის და ავტორს ჩართული აქვს თავის ნათქვამსა თუ ნაწერში, **სხვათა სიტყვა** ანუ **სხვათა ნათქვამი** ჰქვია. სხვათა სიტყვას განეკუთნება აგრეთვე ავტორის მიერ წინათ ნათქვამი (თუ განაზრახი), რომელსაც ის იმეორებს და ჩაურთავს თავის ნათქვამში.

სხვათა სიტყვა ორგვარია: **პირდაპირი** და **ირიბი.**

თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) მოლაპარაკისა თუ დამწერის მიერ სიტყვასიტყვით (ე.ი. უცვლელად) არის გამეორებული, ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია. მაგ.: შოთა წერს; „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია". აქ პირველი წინადადება ავტორის სიტყვებია, მეორე კი სხვათა სიტყვა ანუ სხვათა ნათქვამია.

პირდაპირ ნათქვამს ჩვეულებრივ ახლავს ავტორის შენიშვნა, თუ ვის ეკუთვნის, ვისი მისამართით ან რა პირობებშია ის თქმული და სხვ. ავტორის სიტყვები უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, მოსდევს მას ან პირდაპირ ნათქვამშია მოქცეული. მაგ.: — **როგორ მოგეწონა ეს ამბავი?** — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ (ჭავ., 452); ბოლოს ჰკითხა მან: „**ვინა ხარ, შვილო? ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?** (ჭავ., 192); — **მე, სწორედ მოგახსენოთ,** — დაიწყო ხელახლად გლახამ, — **ჩემს ვინაობას არ გეტყოდი, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულიყოს.** (ჭავ., 268).

თუ ვისიმე ნათქვამი (ან განაზრახი) ავტორის მიერ არ არის უცვლელად გამეორებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისი თვალსაზისით, ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია. მაგ., პირველი წინადადება რომ ირიბად გადავაკეთოთ, მივიღებთ: როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, **თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი.** გადაკეთებისას შეიცვალა ზმნის ობიექტური პირი: „მოგეწონა"-ში ობიექტური პირი მეორეა, „მოეწონა-ში კი მესამე. პირდაპირმა ნათქვამმა, რომელიც დამოუკიდებული, თავისთავადი კითხვითი წინადადებაა, დაკარგა კითხვითობა, დამატებით დამოკიდებულ წინადადებად გადაკეთდა და „თუ" კავშირით შეუერთდა ავტორის სიტყვებს — მთავარ წინადადებას.

თუ პირდაპირი ნათქვამი თხრობითია (ან ბრძანებითი), შესაბამისი ირიბი ნათქვამი „რომ" კავშირით შეუერთდება მთავარს (ე.ი. ავტორის სიტყვებს): „მე არა ვარ მტაცებელი ფრინველი", - თქვა ბულბულმა — ბულბულმა თქვა, **რომ ის არ არის მტაცებელი ფრინველი.**

ირიბი ნათქვამი ისტორიულად მეორეულია. იგი პირდაპირი ნათქვამის გადამუშავება-გადაკეთების შედეგად არის მიღებული. ირიბი ნათქვამი, როგორც წესი, მეორე ადგილზეა, ავტორის ნათქვამი კი — პირველზე. ირიბი მეტყველება საკმაოდ გავრცელებულია ახალ ქართულში, მაგრამ იგი არც ძველი ქართულისათვის არის

უცხო მისი გამოყენების შემთხვევები გვხვდება ქართული ენის უძველეს ძეგლებშიც[324].

ირიბი ნათქვამი რომ პირდაპირად გადავაკეთოთ, მაქვემდებარებელი კავშირი ამოვარდება და აღდგება იმ სახით, როგორც ის ითქვა (ან შეიძლებოდა თქმულიყო) იმ პირის მიერ, ვისაც ის ეკუთვნის:

ირიბი ნათქვამი	პირდაპირი ნათქვამი
1. ბატონმა გვიბრძანა, *რომ კამეჩები შეგვერეკა ხანჯხეში.* (წერ., 1, 30).	1. — *კამეჩები შერეკეთ* საჩეხეში! — გვიბრძანა ბატონმა.
2. დედაჩემმა ურჩია [მამაჩემს], *რომ მეც წავყვანე ქუთაისში და ექიმებისათვის ეჩვენებინა ჩემი თავი.* (წერ., 1, 38).	2. დედაჩემმა ურჩია [ჩემზე მამაჩემს]. *„ესეც წაიყვანე ქუთაისში და აჩვენე ექიმებს“.*
3. მერე უბრძანა, *რომ გარეთ გაეიდეს.* (ჭავ., 359).	3. „*გადი გარეთ*“, — უბრძანა მერე.

ირიბი ნათქვამი ზოგჯერ საწყისით არის გადმოცემული: მერმე უბრძანა **დაჯდომა** და **ჭამა პურისა.** (საბა. 20). ამისი შესაბამისი ირიბი ნათქვამი დამოკიდებული წინადადების სახით: მერმე უბრძანა, **რომ დამჯდარიყო** და **პური ეჭამა**. ამათი შესაბამისი პირდაპირი ნათქვამია: მერმე უბრძანა: „დაჯექი და პური ჭამე“.

პირდაპირი ნათქვამი, რომლის საშუალებითაც ავტორს შეუძლია გადმოგვცეს სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამი თუ ნაფიქრ-ნაგრძნობი, აზრის გამომხატველობითი საშუალებებით მდიდარია, ირიბ ნათქვამთან შედარებით ცხოველი, ზუსტი და ემოციური. მასში ხშირად გვხვდება მიმართვა. შორისდებული, მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, რომელნიც შესაბამის ირიბ ნათქვამს არ გადაჰყვებიან, ან იცვლიან როლს. ირიბი ნათქვამი ასეთ შემთხვევაში, პირდაპირთან შედარებით, უფერულია და არაზუსტი. ამასთანავე, პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთება ყოველთვის არ შეიძლება (და არცაა სასურველი). როცა ორივე კონსტრუქციაა შესაძლებელი, არჩევანი კეთდება ერთ-ერთზე.

პირდაპირი ნათქვამი ხშირად დიალოგის სახით არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში პირდაპირ ნათქვამს შეიძლება არ ახლდეს ავტორის სიტყვები, როგორც ეს გვაქვს, მაგალითად, დრამატულ

[324] მცდარია, გრ. შანიძის მოსაზრებები, თითქოს ირიბი ნათქვამი უცხო იყოს ძველი მწერლობისა და ხალხური შემოქმედებისათვის, რომ იგი „ქართული ენის ბუნების საწინააღმდეგო ფორმაა და მისი განვითარებისათვის უნდა ვიბრძოლოთ“ (ჟურნ. „ცისკარი“. 1965, №3, გვ. 128). გრ. შანიძის თვალსაზრისის საფუძვლიანი კრიტიკა მოცემულია შ ძიძიგურის წერილში: „ირიბი მეტყველების“ დასაცავად (ჟურნ. „ცისკარი“, 1965, №7)

თხზულებაში (და რამდენადმე სხვა ტიპის ნაწარმოებშიც).

– რა ამბავია?

– რაღაც ჩხუბი მოსლვიათ.

– ვისა და ვის?

– გიორგისა და მეჯინიბეს.

– რაზედ?

– სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვა და შეკიტყობთ. (ჭავ., 451).

ხშირად პირდაპირ ნათქვამს ახლავს ავტორის შენიშვნა.

– სად მიხვალ? – **ჰკითხა ნოდარმა.**

– შენ სადღა მიხვალ? – **მიუგო სარდიონმა.** (ჯავ., 2, 196).

§194. სიტყვასიტყვითი ნაწილაკები პირდაპირ ნათქვამთან

პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამის განმეორებას. ესენია: -ო, -თქო (<თქვა), -მეთქი (<მე ვთქვი).

ო მესამე პირის ნათქვამს (ან განზრახის გამომხატველ სიტყვებს) დაერთვის, ამიტომ მას სხვათა სიტყვის ნაწილაკი ჰქვია: თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, – ამბობდა ხოლმე [ოთარაანთ ქვრივი]. (ჭავ., 427); ლუარსაბი გაიწურა: ეს რა წამოვროხეო,– თქვა გულში. (ჭავ., 331).

სხვათა სიტყვას **ო** ხშირად დაერთვის ანდაზებს, რადგანაც ანდაზების მთქმელად მესამე პირი იგულისხმება: მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო; კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო. აქ იგულისხმება: თქმულა, ამბობენ, ნათქვამია... ეს სიტყვები ზოგჯერ არის კიდეც: საწყალ კაცს ქვა აღმართში მისწევიაო, ნათქვამია. (რაზ.).

„სხვათა სიტყვის **ო** ჩვეულებრივია აგრეთვე „თითქოს“ (თითქო“) სიტყვასთან, რომელიც წარმოშობით ზმნის ფორმას შეიცავს“[325]. მძიმე და განიერი მხარბეჭი ისე მოემარჯვა, **თითქოს** საშიში მტრის დასახვედრად მომზადებულაო (ქიაჩ.); **თითქოს** ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი. (ვაჟა, 6, 35).

-მეთქი აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამის (ან განზრახ–ნაფიქრალის) განმეორებას: ამ ერთმა შაშმა როგორ შემაშინა-**მეთქი**, – ვჯავრობდი. (რაზ.); ახ, ერთი ის საკრავი ჩემი იყოს-**მეთქი**, – ვიფიქრე. (რაზ.).

ნათქვამი, რომელსაც **–მეთქი** დაერთვის, ჩვეულებრივ უცვლელადაა განმეორებული: – ტყუილია! **ტყუილია-მეთქი!** (ჭავ., 2, 307); – კმარა! **კმარა-მეთქი!** (იქვე, 409); – მაგას ნუღარ მკითხავ, **კალმით ნახატია**. ცოტა ქვემოთ: – გითხარ – **კალმით ნახატია-მეთქი** (ჭავ., 357); – რა გაყვირებს? – ჰკითხა და სიჩუმის შემდეგ გაიმეორა: – **რა**

[325] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, 1948, გვ. 179.

გაგვარებს-მეთქი. (ჭავ., 1, 46).

პირდაპირი ნათქვამი შეიძლება ერთგვარი ცვლილებითაც გადმოირდეს: მაგრამ თეიმურაზი ჯერ არ მომკვდარა! არც მოკვდება ასე ადვილად“ დიაღ, **არ მოკვდება-მეთქი**! (ჯავ., 2, 410); – იცი, რა იყო გიორგი!... გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდგაღმა დაწერილი. **გიორგი წიგნია-მეთქი**, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. (ჭავ., 468).

თუ ზმნის პირველი პირის ფორმა მრავლობითი რიცხვისაა, **-ო** იხმარება: ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებსო! – **ვამბობდით** ჩვენ. (ვაჟა). **ვამბობდით** რომ მხოლობითში დავაყენოთ, **-ო**-ს **–მეთქი** შეცვლის: ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებს-**მეთქი**! – ვამბობდი მე.

-თქო (თქვა) დაერთვის პირველი პირის ისეთ ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს: დარეჯანმა... ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედ-დატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-**თქო** (ჭავ., 341); უთხარი, ძალიან დიდი საქმე აქვს, უეჭველად ამაღამ ჩამოდი-**თქვა** (ნინ.). სალიტერატურო ენაში **-თქვა** ნაწილაკის ხმარება შეცდომად ითვლება.

-მეთქი ნაწილაკის ნაცვლად ზოგიერთ კილოში, მაგ., იმერულში, **-თქვა** (-თქო) იხმარება[326]: მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-**თქვა** და ამა და ამ კაცის შვილი-**თქვა** (კლდ.); სიტყვა მიეცი პატიოსანი, თქვენი შვილის მეთვალყურე **ვიქნები-თქვა**, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი **შეხვდა-თქვა** (კლდ., 1, 36); დავპირდი, რომ მსაჯულს მე თვითონ **მოველაპარაკები-თქო**. (წერ., 8, 102).

სალიტერატურო ქართულის მიხედვით უნდა იყოს: ...ვარ-**მეთქი**, შვილი-**მეთქი**, ვიქნები-**მეთქი**, შეხვდა-**მეთქი**, მოველაპარაკები-**მეთქი**.

-ო უშუალოდ დაერთვის ნათქვამს, **-მეთქი** და **თქო** კი დეფისით გამოეყოფა.

ნაწილაკი მარტივ წინადადებაში ერთხელ იხმარება, შერწყმულსა და რთულში კი შეიძლება რამდენჯერმე იქნეს ნახმარი. იგი ჩვეულებრივ ზმნა-შემასმენელს დაერთვის, იშვიათად – სხვა წევრსაც. ნაწილაკიანი სიტყვა მეტწილად წინადადების ბოლოშია.

§195. სიტყვათა განლაგება ავტორისეულ წინადადებაში

ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც პირდაპირ ნათქვამს ახლავს, სიტყვათა განლაგება რამდენადმე მყარია. აქ რამდენიმე შემთხვევაა გასარჩევი:

1. ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, შემასმენელი ჩვეულებრივ ქვემდებარის შემდეგ დგას: პატარა **ნუცამ თქვა**: „ჩემს დედოფლებს უთუოდ კითხვა უნდა ვას-

[326] ეს გარემოება აღნიშნული აქვს ზოგიერთ ძველ გრამატიკოსსაც. იხ. პ. კვიცარიძე. ქართული სწორმეტყველება, 1888, გვ. 146.

წავლოო“. (გოგ.).

ირიბი დამატება უსწრებს შემასმენელს ან მოსდევს მას: ვა-ნომ **ჩიტებს** შესძახა: „ჰე, ჩიტებო ჩიორებო, მალხაზნო და ნაცარებო! სად ყოფილხართ, რა გინახავთ, დედაჩემი არ გინახავთ?“ (გოგ.); მგზავრმა ჰკითხა **მეურმეს**: „ძმობილო, ვისია ის ხარიო?“ (გოგ.).

ამ ტიპის წინადადებაში ვითარების გარემოება ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას, ხოლო დროისა და ადგილისა იწყებს წინადადებას. მერცხალმა **ალერსიანად** ჩამოსჭიკჭიკა: „თქვენი სახლის ერთ კუთხეში ბუდე მქონდა ანაშენი და ყოველთვის თვალწინ მედგა მხნე,გარჯილი დედაშენი“ (გოგ.); **პატარა ხანს უკან** ლუარსაბმა წამოიძახა: – დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის? (ჭავ., 330).

შენიშვნა: იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ქვემდებარისა და შემასმენლის შებრუნებული წყობაც (ისიც უფრო პოეზიაში); ბოლოს **ჰკითხა** მან: – „ვინა ხარ, შვილო? ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა? (ჭავ.).

2. ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც სხვათა ნათქვამშია ჩართული ან მოსდევს მას, შემასმენელი ქვემდებარის წინ დგას: – მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე! – **მიუგო პეტრემ.** (ჭავ.).

თუ წინადადებაში ირიბი დამატებაცაა, ჩვეულებრივ წყობა ასეთია: **შემასმენელი – ირიბი დამატება – ქვემდებარე**: – ეს რა ამბავია? – ჰკითხა დას არჩილმა. (ჭავ.).

გვხვდება ამ წევრთა ასეთი წყობაც: **შემასმენელი – ქვემდებარე – ირიბი დამატება**: – ჩხუბი მოგივიდა? – **ჰკითხა არჩილმა გიორგის.** (ჭავ.).

შენიშვნა: თუ ავტორისეული წინადადება ახლავს მოუბრისაგან დასმულ კითხვაზე თანამოუბრის მიერ კითხვითვე გაცემულ პასუხს, ქვემდებარე ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას: – შენი სახელი, ძმობილო? – მკითხა იმან. – გაბრიელ. შენი? – **ეხლა მე ვკითხე** (ჭავ.); – აბა, როგორ? – ჰკითხა ლუარსაბმა,– ხომ სტიროდი სიზმარშია? – ეხლა **დარეჯანმა ჰკითხა.** (ჭავ.).

ვითარების გარემოება შემასმენლის წინ დგას ან მოსდევს მას: – ვა!... – **უფრო გაკვირვებით** შეჰყვირა ლუარსაბმა (ჭავ.); – სად ბრძანდებოდი, ჩემო შერმადინ? – მითხრა **დაცინვით** დათიკომ. (ჭავ.).

გარემოება მთავარი წევრების შემდეგ, ე.ი. ავტორისეული წინადადების ბოლოშიც გვხვდება: – ისა ვთქვი, რაც შენ გაიგონე: – მითხრა იმან **ნაღვლიანად**, – უარესსა ეგა სჯობია (ჭავ.); – გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, – თქვა სულელმა **თავის გასამართლებლად**. (ჭავ.).

ზოგჯერ შემასმენელს ერთდროულად ახლავს რამდენიმე გარემოება (მაგ.: დროისა და ვითარებისა, ადგილისა და ვითარებისა),

რომლებიც უსწრებენ შემასმენელს ან მოსდევენ მას, ან კიდევ ერთი შემასმენლის წინ დგას, მეორე კი – შემდეგ... მაგ.: – შვილო! – **ცოტა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით** დაიწყო **ისევ** ონოფრემ (ყაზ.); – ვუი, ვუი, ვუი! – გაისმა **ოთახში ბღავილსავით** ვიღაცის ტირილის ხმა (ჭავ.); – ქმარი არ **მოსვლია? – კარგა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით** დაიწყო **ისევ** ონოფრემ. (ყაზ.).

§196. დამოკიდებული წინადადების ადგილი ავტორისეულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ავტორისეული წინადადება, ცალკე აღებული, შეიძლება იყოს რთული ქვეწყობილი. მაგ.: – დედი, დედი! ეს რა ამბავია? – **ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა.** (ჭავ.). პირდაპირი ნათქვამი აქ თავშია, ხოლო ავტორის სიტყვები მოსდევს მას. დამოკიდებული წინადადება (როცა ეს სამზადისი დაინახა) მოსდევს მთავარს. პირდაპირ ნათქვამსა და ავტორისას რომ ადგილები შევუნაცვლოთ, მივიღებთ: როცა ეს სამზადისი დაინახა, შვილმა გაცინებით ჰკითხა: „დედი, დედი! ეს რა ამბავია? პირდაპირ ნათქვამსა და ავტორისეულს რომ ადგილები შევუნაცვლეთ, ამის შედეგად ავტორისეულ წინადადებაში შეიცვალეს ადგილები მთავარმა და დამოკიდებულმა წინადადებებმაც. მაშასადამე, ავტორისეულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს, პირდაპირ ნათქვამსა და ავტორისეულს რა პოზიცია უჭირავს ერთმანეთის მიმართ:

1. თუ ავტორისეული რთული ქვეწყობილი წინადადება მოსდევს პირდაპირ ნათქვამს ან მასშია მოქცეული, დამოკიდებული წინადადება მთავრის შემდეგაა: – რა გქვიან, მეგობარო? – ვკითხე მას, **როდესაც სახლში შევდიოდი** (ევდ.); – როგორ მოგეწონა ეს ამბავი? – ჰკითხა არჩილმა დას, **როცა ოთახში შევიდნენ.** (ჭავ.).

2. თუ ავტორისეული რთული ქვეწყობილი წინადადება უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, დამოკიდებული წინადადება თავშია: **თავს რომ წაადგა,** უთხრა: გიორგი!... შვილო!... არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? (ჭავ.); **რაზმეულის ხელმძღვანელმა რომ გაიგო ეს ამბავი, თქვა:** „რას ცხარობთ, ყმაწვილებო, დაანებეთ კამათს თავი“. (გრიშ.).

ავტორისეულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება მეტწილად დროის გარემოებითია ან განსაზღვრებითი.

დამოკიდებული წინადადება შეიძლება მთავარშიც მოექცეს, მაგრამ ისე, რომ მთავრის შემასმენელი მაინც ქვეწყობილის ბოლოში იქნება: შემოვიდა გიორგი და, **ქუდმოხდილი გაჩერდა რა კარებთან,** სთქვა: – საღამო მშვიდობისა (ჭავ., 443); **რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა,** კბილების **კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს** ეძახდა, სთქვა; – დალახვრა ღმერთმა – ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს! (ჭავ., 331).

პირველ მაგალითში მთავარი წინადადება შერწყმულია შე-

მასმენლის მიხედვით. დამოკიდებული წინადადება სინტაქსურად მეორე შემასმენელთან (სთქვა) არის დაკავშირებული და მის წინ დგას. მეორე მაგალითში მთავარს ორი დამოკიდებული წინადადება ახლავს, რომელთაგანაც ერთი უსწრებს მას, ხოლო მეორე მთავრის შეგნითაა მოქცეული.

XV[ა]. გაბმული მეტყველება და წინადადება

§196[ა]. გაბმული მეტყველების სინტაქსისათვის

გაბმულ მეტყველებაში წინადადება წინადადებასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ცალკე გამოყოფილ წინადადებაში ზოგი რამ ხშირად აუხსნელი და გაუგებარი დარჩება იმ კონტექსტის გაუთვალისწინებლად, საიდანაც ის არის ამოღებული. აზრობრივად და სტრუქტურულად ერთმანეთთან დაკავშირებული წინადადებები ქმნიან ერთ მთლიან რთულ სინტაქსურ ერთეულს, დამოუკიდებლად კი მოკლებულნი არიან იმ აზრობრივ სისრულეს, სიცხადესა და კონკრეტულობას, რაც მათ კონტექსტში ეძლევა. მაგ.: ტყეში ერთი **მუხა** იდგა. **ამ მუხას** შუა წელში ერთი **ნუჟრი** ჰქონდა. **ნუჟრში** რაღაც ფრინველი მოჩანდა. (ვაჟა). ამ ნაწყვეტში სამი სრული მარტივი წინადადებაა, მაგრამ პირველი წინადადების გარეშე მეორე, ხოლო პირველისა და მეორის გარეშე მესამე მოკლებულია საჭირო სიცხადესა და კონკრეტულობას.

ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ წინადადებათა ნაერთი, რომელსაც პირობით გაბმული მეტყველების სინტაქსურ ერთეულს ვუწოდებთ, შეიძლება იყოს მთელი აბზაცი ან მისი ნაწილი.

გაბმული მეტყველების სინტაქსი ამჟამად სერიოზული კვლევა–ძიების საგანია. ცოტა რამ ზოგიერთი საკითხის განხილვისას ამ წიგნშიც არის გათვალისწინებული. (§§ 124; 185; 193).

გაბმული მეტყველების სინტაქსის პრობლემათა სათანადოდ გაშუქებას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ტექსტის ენათმეცნიერულ შესწავლას „ტექსტის ლინგვისტიკის“ სახელწოდებით ამჟამად ენათმეცნიერების ცალკე დარგადაც გამოყოფენ. ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით ეს პრობლემა განხილულია ვ. სერგიას ნაშრომში („ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ., „განათლება“, 1989).

§196[ბ]. გაბმული მეტყველების სინტაქსურ ერთეულთა სახეები

გაბმული მეტყველების სინტაქსური ერთეულები სტრუქტურულად და სემანტიკურად სხვადასხვაგვარია. ჩვეულებრივ ორ სახეს გამოყოფენ – ჯაჭვურკავშირიანსა და პარალელურკავშირიანს[327].

---

[327] **Р.Н. Нонов, Д.И. Валькова, Л.Я. Маловицкий, А.К. Федоров.** Современный русский язык, М. 1978. стр. 441.

გაბმული მეტყველების ჯაჭვურკავშირიან სინტაქსურ ერთეულში წინადადებები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული აზრობრივად და სტრუქტურულად. აზრი ვითარდება თანდათან. ახასიათებს ლექსიკურ ერთეულთა განმეორება, ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ხმარება, სინონიმთა მონაცვლეობა, გამოტოვება სიტყვისა, რომელიც იგულისხმება წინა ნათქვამის მიხედვით. მაგ.: თეიმურაზი მთელ ზაფხულს გარინდული დადიოდა. **მისი** თავი, გული და ნებისყოფა **შუაზე** გაიხლიჩა. დანიშნულმა **ხევისთავმა** იცოდა, იმის სიცოცხლეში და ხევისთავთა მილეული გვარის ისტორიაში უდიდესი გარდატეხა ხდებოდა. (ჯავ., 2, 248). ამ ნაწყვეტში სამი წინადადებაა. ამათგან პირველი მარტივია, მეორე – შერწყმული, მესამე – რთული ქვეწყობილი. პირველ წინადადებაში დასახელებული **თეიმურაზი** მეორეში ნაცვალსახელით არის შეცვლილი, ხოლო მესამე წინადადებაში ის გვარით არის მოხსენიებული. ამასთანავე, მეორე და მესამე წინადადებათა მიხედვით უფრო გასაგები ხდება, რატომ დადიოდა თეიმურაზი მთელ ზაფხულს გარინდული. სიტყვის გამოტოვების ნიმუშია; „კაიშაური კვდება. განწირულია. ფეხები გუშინვე მოსწყდა. სიდამბლე ქვევიდან ეპარება. დღეს თუ ხვალ გულშიც წასწვდებაო. (ჯავ., 2, 143). აქ პირველ წინადადებაში დასახელებული **კაიშაური** მომდევნოებში გამოტოვებულია და იგულისხმება ქვემდებარედ ან ირიბ დამატებად.

გაბმული მეტყველების პარალელურკავშირიან სინტაქსურ ერთეულში წინადადებები უფრო დამოუკიდებელი ნაწილებია. პირველი წინადადება განმაზოგადებელი შინაარსისაა, მომდევნოები სხვადასხვა კუთხით ავსებენ და სრულყოფენ მის შინაარსს. არ ახასიათებს ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა ხმარება, სინონიმთა მონაცვლეობა, სიტყვათა გამოტოვება... მაგ.: „მზემ თავი ამოყო, მიდამო გაანათა, გაათბო და გააცოცხლა. დილის ნისლით შემოსილი სოფელი და კაშკაშა მზე ერთმანეთს უცინოდნენ. დიდი არხის წყალი ღიღინებდა, მოუსვენარი ლიახვი ზღაპარს მღეროდა“. (ჯავ., 2, 419). ან კიდევ: „ბნელი და თბილი ღამეა. მთის ნიავი ჭალას აშრიალებს. ლიახვი შხუის. შორიდან ხანდახან ტურის ჩხავილი და ჭოტის კივილი ისმის. აქვე ჭალაში ზოგჯერ ღამის ფრინველი ფართხალებს. წვრილფეხა ცხოველი ბუჩქებში ფაჩუნებს“. (ჯავ., 2, 283).

§196°. მაპირისპირებელ კავშირთა ხმარების შემთხვევები გაბმულ მეტყველებაში

მაერთებელი კავშირები თანწყობილ წევრებსა და წინადადებებს აერთებენ და გარკვეულ მიმართებას ამყარებენ შეერთებულ ნაწილებს შორის. ზოგიერთი კავშირის გამოყენების სფერო ამით არ ამოიწურება: გაბმული მეტყველების მეტ-ნაკლებად მოზრდილი მონაკვეთების კავშირადაც გამოიყენება. მაგალითად, „მაგრამ“ არ-

ცთუ იშვიათად გაბმული მეტყველების მოზრდილი თუ მცირე მონაკვეთის მისაერთებლად არის გამოყენებული. მაგ., მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ:

1. „ექიმმა დარიგება მისცა და წავიდა. სიდონია კი უგონო შვილს კვლავ გვერდით მიუწვა, მისი გახურებული თავი ისევ მკლავზე დაიდო, მეორე მხრით ზამბახები მიუწყო და წელანდელივით აჩურჩულდა.

– ეხლა კი მალე მორჩები, გენაცვალოს დედა... ტყუილად შევშინდით... ერთ კვირაში წამოდგები და ისევ ბაღში გახვალ სათამაშოდ, ჩემო ბიჭიკო... შენი კატუნი, ფხაჭია და ცუგრია ძაღლიც გამოგყვებიან. ჯერ კი დაისვენე, ჩემო ფუნთუშავ. ორივენი დაღლილები ვართ... დაიძინე, გენაცვალოს დედიკო. დავიძინოთ... დავიძინოთ.

მაგრამ ძილის მაგივრად ისევ ლაპარაკობს, რადგან მხოლოდ ლაპარაკითღა ჰლამობს შიშისა და ლანდების დაფრთხობას, რომლებიც ბუზებივით ეხვევიან და ფუტკრებივით ჰკბენენ“. (2, 84).

2. – ეგ ეგრეა, მართალს ბრძანებ, მაგრამ...

– **მაგრამ** რა?

– **მაგრამ** ისა, შენი ჭირიმე, რომა...

– მესმის, რისი თქმაც გინდა... (ჯავ.).

3. – რა იყო, ხალხო? – იძახდა ხან ვინა და ხან ვინ. ხალხი არა ხართ? დაიწიეთ უკან!

– **მაგრამ** უკან არავინ იწევდა. (რ. ინან.).

4. დაბალი და გამხდარი ოფიცერი აქეთ-იქით გარბოდა, ხმალს იქნევდა და წვრილი ხმით ყვიროდა: შესდექით-მეთქი! **მაგრამ** მისი სუსტი ხმა ხალხის საერთო გრგვინვაში იკარგებოდა. (ჯავ.);

5. მართლაც რა საბრალო იქნებოდა კაცობრიობა და მისი ცხოვრება ამ დედამიწის ზურგზე, რომ გამოთაყვანებული თეორიების მკითხველების გეგმაზე მიმდინარეობდეს?!

მაგრამ არა! ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლის არჩეულ გზაზე სვლას. (ვაჟა).

გაბმულ მეტყველებაში „მაგრამის“ მსგავსად, ოღონდ უფრო იშვიათად „ხოლო“ კავშირიც გვხვდება.

1. პატარა წკეპლაც რომ მოიჭრას, ისიც გულს გატკივებს, ჩემი ოჯახის წევრნიც ზოგნი უდროოდ იხოცებიან, ჭლექდებიან, ხდებიან და რამდენი კიდევ კაცის ხელით ისპობა, ბევრი მაქვს ჩაფიქრებული, ბევრი მაქვს სატირელი.

ხოლო დიდი შავი კოდალა, კლდისავე შვილი, ამას როდი ფიქრობდა. კოდალა დღე გაჰკიოდა და მთელ ტყეს ახმაურებდა, ხოლო ღამღამობით ბუ ეწეოდა მის მაგივრობას. ეს ორი დარაჯი ჰყავს

ტყვეა: ერთი – ღამისა, მეორე – დღისა. (ვაჟა).

2. მოთვინიერებული ჯაყო ჭიშკრის კართან ზის, ჩიბუხს აბოლებს და სევდიანად შესცქერის გიბას, ქეშელას და მთელ თავის საგვარეულოს, რომელიც სასახლიდან კოშკსა და გომურში ეზიდება ნაფარ-ნუყარს – ვარცლებს, გოდრებს, ძველ ლოგინს, მატყლს და ათასნაირ გლეხურს წვრილმანებს.

ხოლო ნინიკა მთავარსარდალივით დადის დარბაზებში. (ჯავ.).

XVI. პუნქტუაცია

§97. პუნქტუაციის დანიშნულება

დამწერლობის მქონე ენებში მეტყველება ორგვარია: ზეპირი და წერითი. პირველი სმენით აღიქმება, მეორე – მხედველობით. „წერითი მეტყველება ფართოდ არის გამოყენებული ურთიერთობისა და აზრთა გაცვლის საშუალებად ზეპირმეტყველების გვერდით“[328].

წერის დანიშნულებაა, პირობითი ნიშნებით გამოვხატოთ ზეპირი მეტყველების სიტყვები. ამისთვის ვიყენებთ გრაფიკულ ნიშნებს – ასოებს, რომლებიც გამოსახავენ ცალკეულ სამეტყველო ბგერებს. ამ ნიშნებით გადმოვცემთ ენაში არსებულ ყველა სიტყვას თუ სიტყვათა შეკავშირებას. მაგრამ „წერითი მეტყველება ვერასოდეს ვერ ასახავს ზეპირ მეტყველებას ისეთი სიზუსტით, რომ გასწიოს ნამდვილი ცოცხალი ზეპირი მეტყველების მაგივრობა“[329]. მიუხედავად ამისა, წერითი მეტყველების შექმნა-შემუშავება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, მისი მნიშვნელობა კულტურის ისტორიაში განუზომელია.

ზეპირი მეტყველების სიტყვათა ასოების საშუალებით გამოხატვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაწერილი იყოს ნათელი, ადვილად წასაკითხი და გასაგები. ამიტომ წერის დროს ვიცავთ გარკვეულ წესებს და ვიყენებთ დამატებითს გრაფიკულ ნიშნებს. ასე, მაგალითად, სიტყვასა და სიტყვას შორის ვტოვებთ თავისუფალ არეს; ახალი აზრების შემცველ წინადადებასა თუ წინადადებათა წყებას ახალი შეწეული სტრიქონით (აბზაცით) ვიწყებთ; წინადადების ბოლოს თუ წინადადების შიგნით ვხმარობთ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: წერტილი (.), კითხვის ნიშანი (?), მძიმე (,), ძახილის ნიშანი (!), წერტილ-მძიმე (;), მრავალწერტილი (...), ორწერტილი (:), ტირე (-), ფრჩხილები (?!), ბრჭყალები („“). ამ ნიშნებს სასვენი ნიშნები ჰქვია, რომელთა გამოყენება ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებში გარკვეულ სისტემას ქმნის.

პუნქტუაცია (გერ. Puntkuation < ლათ. სიტყვისაგან punctum –

---

[328] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 175.

[329] იქვე.

წერტილი) არის სასვენ ნიშანთა გამოყენებისა და დასმის წესების ერთობლიობა ხელნაწერსა თუ ნაბეჭდ ტექსტებში.

პუნქტუაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წერითი მეტყველების სრულყოფისათვის. თუ რაოდენ დიდია სასვენ ნიშანთა გამოყენების მნიშვნელობა, – ეს ერთ მაგალითზედაც შეიძლება დავინახოთ თვალნათლივ. მაგალითად, რომ შეგვხვდეს სიტყვები: **მაშ ბალახი მწვანეა მწვანეა ჩალა ჩალისფერი ცა ცისფერი** სასვენი ნიშნების დაუსმელად, გაგვიძნელდება დადგენა იმისა, თუ რისი თქმა სურდა დამწერს კონკრეტულად. მაგრამ ამ სიტყვებით გადმოცემული აზრები ნათელია და გასაგები, როცა ვკითხულობთ:

–მაშ ბალახი მწვანეა?
– მწვანეა.
– ჩალა?
– ჩალისფერი.
– ცა?
– ცისფერი. (ჯავ., 1, 308).

სიტყვები ქაღალდზე უცვლელი დარჩა. არ შეგვიცვლია აგრეთვე არც სიტყვათა რიგი და არც მათი ფორმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განსხვავება ადვილად შესამჩნევია.

სასვენი ნიშნები მიგვითითებენ, როგორ ნაწევრდება ტექსტი წინადადებებად, წინადადებები – შემადგენელ ნაწილებად, რომელთა სასვენი ნიშნებით გამოყოფასაც მნიშვნელობა აქვს როგორც აზრის ნათლად გადმოცემისათვის, ისე დაწერილის სწორად გაგებისათვის. პუნქტუაციის ძირითადი დანიშნულება სწორედ ესაა[330]. მაგრამ სასვენ ნიშნებს დამატებითი ფუნქციაც აქვთ. ასე, მაგალითად, კითხვის ნიშანი წინადადების ბოლოს დაისმის და მას გამოყოფს მომდევნო წინადადებისაგან, მაგრამ იგი, ამასთან ერთად, მიგვანიშნებს, რომ წინადადება, რომელსაც ის ბოლოში უზის, კითხვითია. ზოგი ნიშანი გამოყოფს წინადადების ერთ ნაწილს მეორისაგან და თანაც აღნიშნავს მათს ლოგიკურ მიმართებას. მაგ.: ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა: მტერმა გული მოსტაცა იმას. (ბარნ. 1, 127). აქ ორწერტილი აღნიშნავს არა მარტო რთული წინადადების დანაწევრებას ორ შემადგენელ ნაწილად, არამედ იმ ნაწილების ლოგიკურ მიმართებასაც: მეორე ნაწილში დასახელებულია მიზეზი იმისა, რაზედაც პირველშია ლაპარაკი, ე.ი. მნიშვნელობით ეს უკავშირო რთული წინადადება ეფარდება შემდეგს კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებას: ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა, **რადგანაც** მტერმა გული მოსტაცა იმას.

პუნქტუაცია, გრაფიკასა და ორთოგრაფიასთან ერთად, წერითი მეტყველების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. იგი დამწერს ეხმა-

[330] **С. И. Абакумов.** Методикп пунктуаций. М. 1954. В. 5.

რება, რომ მან ნათლად და ზუსტად გადმოსცეს წერილობით ის, რის გადმოცემაც მას სურს, ხოლო წამკითხველს – დაწერილი წაიკითხოს და გაიგოს ისე, როგორც ეს დამწერს ესმის. ამ მხრივ პუნქტუაციის მნიშვნელობა ძალიან დიდია. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ პუნქტუაციის წესების ცოდნა და სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ადამიანის წიგნიერების მაჩვენებელია.

პუნქტუაცია არ არის გრამატიკის ნაწილი, მაგრამ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული გრამატიკასთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სინტაქსთან. პუნქტუაციის წესების გააზრებულად შესწავლა ძირითადად სწორედ სინტაქსის კურსის შესწავლასთან დაკავშირებით არის შესაძლებელი: სინტაქსური კონსტრუქციების შესწავლა აადვილებს პუნქტუაციის წესების შეგნებულად დაუფლებასა და მათს გამოყენებას წარმატებით.

პუნქტუაციის საფუძველი ლოგიკურ-სინტაქსურია.

§198. ქართული პუნქტუაციის ისტორიიდან

პუნქტუაციის ის სისტემა, რომელიც ამჟამად გვაქვს, ახალია. იგი ჩვენში XIX საუკუნეში დამკვიდრდა, რასაც, როგორც საერთოდაც, წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვის გავრცელებამ შეუწყო ხელი. ეს სისტემა არ არის საკუთრივ ქართული, იგი საერთო-ევროპულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასვენ ნიშანთა გამოყენება სხვადასხვა ენაში რამდენადმე სპეციფიკურიცაა და, ამდენად, შეიძლება ვილაპარაკოთ სხვადასხვა ენის პუნქტუაციურ სისტემებზედაც.

პუნქტუაცია, საზოგადოდ, გაცილებით გვიან შემუშავდა, ვიდრე დამწერლობა. შემდეგაც ყველა პუნქტუაციური ნიშანი ერთბაშად არ შექმნილა. იგი დროთა ვითარებაში იცვლებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. თავდაპირველად კი, როცა ანბანური დამწერლობა შემუშავდა, რაც, თავისთავად, კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მონაპოვარია, „ადამიანი ჯერ იმდენად განვითარებული და დახელოვნებული არ იყო, რომ წერისა თუ წარწერის ამოჭრის დროს სიტყვებისა და წინადადებათა დაყოფაზე ეფიქრა. მაშინ ის მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ასოები სწორად გამოეყვანა. ამიტომ ყველგან და ყველა ენაზე უძველესი წარწერები ისეა შედგენილი, რომ ასო ასოს მისდევს და არც სიტყვები და არც, მით უმეტეს, წინადადებები ერთიმეორისაგან დაშორებულიც კი არ არის. სად თავდება ერთი სიტყვა და სად იწყება მეორე, არა ჩანს. არც ის ჩანს, სად თავდება ერთი წინადადება და სად იწყება მომდევნო. ეს თვით მკითხველმა უნდა გამოარკვიოს. მხოლოდ შემდეგში მიუხვდა ადამიანი სიტყვების ერთიმეორისაგან განცალკევების მნიშვნელობას და საამისოდ ნიშნები იქნა შემოღებული. მაგრამ ეს სასვენი ნიშნები კი არ ყოფილა, რომელთა საშუალებით წინადადება წინადადებისაგან იმიჯნება და თვით ერთს წინადადებაშიაც წევრთაშორისი გრა-

მატიკულ-ლოგიკური დამოკიდებულება გამოიხატება ხოლმე, არამედ მხოლოდ სიტყვათა მექანიკური განცალკევება იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იმ დროს არამც თუ სიტყვებს ყოფდნენ ნიშნებით ერთიმეორისაგან, არამედ რთულ სიტყვებსაც ანაწილებდნენ... რთული სიტყვების ნაწილებს შორისაც იმგვარადვე იყო ხოლმე ნიშანი ჩასმული, როგორც დამოუკიდებულ სიტყვებს შორის.

„დიდ ხანს, საუკუნეთა განმავლობაში, კაცობრიობას განკვეთილობისა და სასვენი ნიშნების საჭიროებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა და უმათოდ წერდა და კითხულობდა. ამიტომ შედარებით ძალიან გვიან გაჩნდა განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები. მათი აუცილებლობის აზრიც ნელ-ნელა განმტკიცდა და მხოლოდ თანდათანობით ჩამოყალიბდა მათი ხმარების წესრიგიც“[331].

პუნქტუაციის სათავე დაკავშირებული არის გრამატიკის შექმნასთან, გრამატიკისა, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა როგორც „საწერაკითხვო ხელოვნება“. „გრამატიკა დამუშავდა ალექსანდრიაში ჯერ კიდევ ჩვენ ერამდე (ე.ი. ქრ. წინ) რამდენიმე საუკუნით ადრე. მისი შექმნა გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით: წინანდელი წერილობითი ძეგლების (ჰომიროსისა და სხვების ნაწარმოებთა) ენა უკვე ძნელი გასაგები გახდა ბერძენთათვის. აუცილებელი იყო თხზულებათა ენის შესწავლა და სათანადო კომენტარების შედგენა, რაც ალექსანდრიელმა მეცნიერებმა გააკეთეს“[332]. პუნქტუაციურ ნიშანთა შემოღებაც, რაც აგრეთვე პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული, ამ მეცნიერთა სახელებთან არის დაკავშირებული (III-II სს. ჩვენს ერამდე). ტრადიციის მიხედვით პუნქტუაციის პირველ შემქმნელად ითვლება ალექსანდრიელი ფილოლოგი **არისტოფანე ბიზანტიელი** (დაახლ. 257-180 ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელმაც სხვადასხვა ნიშანი გამოიყენა ჰომიროსის ტექსტებში[333].

1-ლი საუკუნის დასაწყისში ჩვენს ერამდე სასვენ ნიშანთა სისტემა გააზრებულია თეორიულადაც. **დიონისე თრაკიელის** „ტექნე გრამმატიკე“-ში, რომელშიც ჩამოყალიბებულია ალექსანდრიელ მეცნიერთა მუშაობის შედეგი, წარმოდგენილია წერტილის ხმარების გარკვეული სისტემა (დაახლოებით დღევანდელი მძიმის, წერტილისა და მრავალწერტილის ფუნქციით)[334]. IX საუკუნეში ბერძნებს მძიმეც აქვთ გამოყენებული (როგორც სასვენი ნიშანი).

როგორია ამ მხრივ საქმის ვითარება ქართულში? „სახარების ხანმეტი ტექსტები ცხად-ყოფენ, რომ როგორც განკვეთილობისა,

---

[331] **ი. ჯავახიშვილი**, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 144.

[332] **გ.თოფურია**, მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში, ჟურნ., „ახალ სკოლისაკენ“, 1929, №11-12, გვ. 92.

[333] **В. Ф. Иванов**. История в принципы русской пунктуации, 1962, გვ. 4.

[334] «Дионисий различал три знака препинания: 1) точку _ знак законченной мысли. 2) среднюю точку, которая ставится для того, чтобы передохнуть, и 3) малую точку – знак мысли, еще не законченной, но нуждающейся в продолжений». В.Ф. Иванов, დასახელებული შრომა,გვ. 8.

იხვევე სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს-ში უხმარიათ. შემდეგ არაბთა ბატონობაში VII-VIII სს.-ში მომხდარი შედარებითი დაქვეითების წყალობით, სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და მხოლოდ განკვეთილობის ნიშნები-ღა უხმარიათ“[335].

ძველად ქართულში წერტილების სისტემა იყო გამოყენებული. „თავდაპირველად წერტილს ხმარობდნენ მხოლოდ **„განსაკუთებულად სიტყვისა“**, რომ სიტყვები ერთიმეორისაგან გაეყოთ და მათი წაკითხვა გაეადვილებინათ. საამისოდ ორი ან სამი წერტილი იყო მიღებული. ამ დროს არც ავტორები, არც გადამწერელნი მოთხრობის აზრთა ერთიმეორისაგან გამოყოფაზე არ ფიქრობდნენ, ისე რომ თვით წამკითხველის საქმე იყო და მის ცოდნასა და მიხვედრილობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გაეგო თხზულების სინტაქსური აგებულება და ავტორის აზრი“[336].

ეფრემ მცირემ (XI ს. II ნახევარი) საფუძვლად წერტილი აიღო და პუნქტუაციის მთელი სისტემა შეიმუშავა. ეს სისტემა ფართოდ გავრცელდა ჩვენში. ეფრემ მცირე წერტილს (.) ხმარობს **„მცირედ სახუნად“, ორწერტილს (:) – განსაკუთელად სიტყვისა“**, ე.ი. ფრაზების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად, სამწერტილს (:.) – **„დიდად სახუნად“** და ექვსწერტილს (:..:) – „სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებელად სიტყვისა“. ექვსწერტილი ზოგჯერ ხმის საქცევად ანუ საინტონაციო ნიშნადაც აქვს ნახმარი[337].

XV-XVI სს-ში შეინიშნება გარკვეული ცვლილება სასვენ ნიშანთა გამოყენების საქმეში. ასე, მაგალითად, ანა დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“, რომელიც XV ს-ის ბოლო წლებშია გადაწერილი, სასვენ ნიშნად ნახმარია მძიმე (,) ხოლო ყოველი სიტყვის შემდეგ, ე.ი. განკვეთილობის ნიშნად, სამი წერტილი (:) ზის[338]. სულხან-საბა ორბელიანს მძიმე საინტონაციო ნიშნად მიაჩნია (და არა სასვენ ნიშნად). იგი წერს: „სადა სიტყუას ქუეით უჯდეს, მუნ ჴმისა დადაბლება ჴამს“[339].

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩვენში მიღებულ იქნა ანტონ I-ის მიერ შემუშავებული წესები: **მძიმე** სასვენ ნიშნად წინადადების შიგნით, წერტილი – წინადადების ბოლოს, ხოლო „დასასრულ სიტყვისა“ – ორწერტილი. ანტონ I კითხვის ნიშანსაც ხმარობს. იგი წერს: „ყოველნი კითხუანი, რომელ არიან ძიებანი მიგებისანი, სათანადო არიან მახჳლ ყოფად, მაგალითებრ: ვინ ხარ შენ? ილია ხარ?“[340].

---

[335] **ი. ჯავახიშვილი**, ქართული პალეოგრაფია, გვ. 144.

[336] იქვე, გვ. 145.

[337] იქვე, გვ. 145-146. აგრეთვე: „О знаках препинания при изданий древнегрузинских текстов“, 1961, გვ. 1-2;

[338] იქვე, გვ. 3. აგრეთვე: ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი: ქართლის ცხოვრება, 1942, გვ. XVIII.

[339] **სულხან-საბა ორბელიანი**, ქართული ლექსიკონი, 1928, გვ. 116.

[340] ქართული გრამმატიკა, 1885, §62, გვ. 296.

XIX ს-ში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, პუნქტუაციის ახალი, საერთო-ევროპული სისტემა დამკვიდრდა ჩვენში. ეს სისტემა დროდადრო განიცდიდა ერთგვარ ცვლილებას. ეხამებოდა ქართული ენის სინტაქსურ წყობას და უფრო სრულყოფილი ხდებოდა, თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვნება დღესაც არ არის მიღწეული: გვხვდება სხვადასხვა ნიშნის ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენების შემთხვევები, ან კიდევ ერთსა და იმავე წინადადებაში ერთნი რომ სასვენ ნიშანს წერენ, მეორენი სასვენი ნიშნის ხმარებას გაუმართლებლად თვლიან. ასე, მაგალითად, **ს. გორგაძე**, რომელიც სპეციალურად ეხებოდა სასვენ ნიშანთა ხმარების საკითხს. აღნიშნავდა, რომ კავშირიან რთულ წინადადებაში მძიმის ხმარება, ერთი მხრივ, ზედმეტია და, მეორე მხრივ, აბსურდიო[341]. ს. გორგაძის ეს აზრი არ იქნა გაზიარებული: ამჟამად კავშირიანი რთული წინადადების ნაწილებს შორის მძიმე იწერება, თუ ისინი არ არიან შეერთებული „და“ კავშირით.

სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები

§199. წერტილი

წერტილი უძველესი ნიშანია, რომელიც იხმარებოდა განკვეთილობისა და სასვენ ნიშნად. ამჟამად სასვენი ნიშანია. ტერმინი **წერტილი** „ზმნა“ „წერტვა-საგან ნაწარმოები მიმღეობაა, რაც ჩხვლეტასა ნიშნავდა“[342]. ეს ნიშანი მონაწილეობს ორწერტილში (:), მრავალწერტილში (...), წერტილ-მძიმეში (;), იხმარება აგრეთვე კითხვისა და ძახილის ნიშნებთან (?!). წერტილი, როგორც სასვენი ნიშანი, დაისმის:

1. დამთავრებული თხრობითი წინადადების ბოლოს, რომელიც აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი (სრული თუ უსრული, გავრცობილი თუ გაუვრცობელი), შერწყმული და რთული. მაგ.: დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთს გრძელი ძილის შემდეგ. ირგვლივ ათასნაირი მწერები აირივნენ. ჩიტებმაც მოძებნეს ადგილი ბუდეებისათვის, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ და გამოეჩეკათ ბარტყები (რაზ., 5).

ამ ნაწყვეტში ხუთი თხრობითი წინადადებაა. ამათგან პირველი, მეორე და მეოთხე მარტივია, მესამე – შერწყმული, მეხუთე – რთული.

2. ისეთი ბრძანებითი წინადადების ბოლოს, რომელიც თხრობითისებრ მშვიდ წარმოთქმას გულისხმობს: შენ აქ მოიცადე. ჯერ

[341] **ს. გორგაძე**, ქართული მართლწერა, ქუთაისი, 1961, გვ. 58-59.
[342] **ი. ჯავახიშვილი**, ქართული პალეოგრაფია, გვ. 145.

მე წავალ და მერე შენც წამოდი. (ჯავ., 1, 60). ჯერ დაწყნარდი და მერე ერთხელ კიდევ მოვიფიქროთ. (ჯავ., 1, 137).

წინადადებას, რომელსაც ბოლოში წერტილი უზის, ზოგჯერ მოსდევს მაპირისპირებელი კავშირით დაწყებული წინადადება (ან წინადადებათა წყება). მაგ.: ვერხვს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლო-მახლო რომ იშლებიან და იზრდებიან. **ხოლო** ვერხვისათვის ეს იყო გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა ჰქონდათ. (ვაჟა, 6, 39). – ვინ გტანჯავს? ვინ გაწვალებს, ის უღმერთო? შენ რა გმართებს ვისი? – ვუთხარი მე. – არაფერი. **მაგრამ** არიან ისეთნი, რომ სხვისა ტანჯვით და დაღონებით თითონა ხარობენ (ვაჟა, 6, 14).

შენიშვნა: წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლებისას (ამ შემთხვევაში ის სასვენი **არ** არის): ა.წ. (=ამა წლის), ა.შ. (=ასე შემდეგ), ე.ი. (=ესე იგი).

§200. კითხვის ნიშანი

კითხვის ნიშანი წინადადების ბოლოს დაისმის, გამოყოფს მას მომდევნოსაგან და თანაც მიგვითითებს, რომ წინადადება ან სიტყვა-წინადადება, რომელსაც ის ბოლოში უზის, კითხვითია. თუ წინადადება რთულია, კითხვითი შეიძლება იყოს ყველა მასში შემავალი წინადადება ან ზოგიერთი მათგანი. მაგ.: რას გალობდა შაშვი? ნუთუ არ არის სიტყვები მის გალობაში? (ვაჟა, 6, 344); არის სადმე განა ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულბულის გალიბა და არ დამტკბარიყოს მისი ტკბილხმოვანებით? (ვაჟა, 6, 347); ვინ არის შენთვის იგი, ან რა ხარ შენ იმისთვის? (ჯავ., 3, 350); გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია დანიშნულს ადგილს? (ყაზ., 218); – შენი სახელი, ძმობილო? – მკითხა იმან. – გაბრიელ, შენი? - ეხლა მე ვკითხე. – გლახუკა. – სადაური ხარ? – რაჭველი. შენა? (ჭავ., 271); არჩილმა გამოგაგზავნა, არა? (ჯაფ., 47); ჰოო? მაიკოს ეეჭვება ლევანის ნამბობი? კეთილი და პატიოსანი. (ჯავ., 1, 143).

თუ დამოკიდებული წინადადება კითხვითს სიტყვას შეიცავს, მაგრამ მთავარი არაა კითხვითი, წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი არ დაისმის: ირმამ ვერ გაარკვია, თუ **რომელი** მხრიდან მოდიოდა ხმა (გვეტ.); ქალი ვერ მიმხვდარიყო, **რა** მიზეზით არ ეძინებოდა (ყაზ.).

იშვიათად კითხვითია დამოკიდებული წინადადება, მთავარი კი ბრძანებითია ან თხრობითი. ამ შემთხვევაში რთული წინადადების

ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის: მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა, რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება? (ბარ.); ერთხელ მაინც მკითხე: „ეგრე რათა ხარ?“ (გ. ორბ.); ვფიქრობდი: მაშ რისთვის მორთო ესე ლამაზად წუთისოფელი? (ჭავ.).

§201. ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშნის ფუნქციაა, აღნიშნოს წინადადების ემოციური იერი. ამასთანავე, რაკი ის წინადადებისა თუ სიტყვა-წინადადების ბოლოს დაისმის, გამოყოფს მას მომდევნოსაგან (წერტილთან ერთად). ძახილის ნიშანი იხმარება მრავალ შემთხვევაში, იგი დაისმის:

1. ძახილის წინადადების ბოლოს, რომელიც მრავალფეროვან გრძნობითს იერს გამოხატავს, მაგრამ ეს მითითება ზოგადია და კონკრეტულად არ გვიჩვენებს, რა ხასიათისაა წინადადების ემოციური იერი. თურმე წყალი არ დაჰკლებია! (ვაჟა, 5, 116); არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არაა! (ყაზ.); ვიშ, რა დილაა, რა დილა! (ლორთქ., 2, 318).

2. ბრძანებითი წინადადების ბოლოს (მაგრამ არა ყოველთვის. §199): გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე! (წერ.); ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი! (ჭავ.); გაიყვანეთ! – უბრძანა მან შემსრულებელს. (კლდ.).

3. ცალკე მდგომი ან წინადადებისაგან გამოყოფილი მიმართვის ბოლოს (რომელიც ზოგჯერ მეორდება): ლუარსაბ! – დაუძახა ძმას დავითმა. (ჭავ.,367); ლუარსაბ! ლუარსაბ! – დაუძახა [დარეჯანმა] ქმარსა. (ჭავ., 337); შვილო გაბრიელ! ნუ მიწყენ კი და მე სიარული აღარ შემიძლიან. (ჭავ., 313).

4. შორისდებულის ბოლოს, რომელიც ცალკე დგას ან მომდევნო წინადადებისაგან ინტონაციურად მკვეთრად არის გამოყოფილი: ჰმ! – წაიდუდუნა როსტომელამ. (ვაჟა); რა რიგად ჩამოცხა! უჰ! (ჭავ., 371). უჰ! ეგრეც კარგია. (ჭავ., 348). **ვა!** მე რაღა ჩავიცვა? (ჭავ., 314); **სუთ! სუთ!** – დაიძახა რამდენიმე ბიჭმა ერთად. (რაზ., 125); **ბიჭოს!** შენ აღარა ჰხუმრობ. (ჭავ., 435).

შენიშვნა: კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვისა და ძახილისა. ზოგჯერ ეს ნიშნები ამ თანამიმდევრობითაც გვხვდება (!?). დათვმა როგორ უნდა დამბეგვოს!? (ვაჟა). სად გაგონილა, სად თქმულა!? (ვაჟა); აჰუ! მაგას როგორ ამბობ?! (ყაზ.).

§202. მრავალწერტილი

მრავალწერტილით აღინიშნება:

1. სათქმელის დაუმთავრებლობა, შეწყვეტა, წინადადებისა თუ სიტყვის ნაწილ-ნაწილ (ნაწყვეტ-ნაწყვეტად) გამოთქმა, მოულოდნე-

ლი გადასვლა ერთი საგნიდან მეორეზე და სხვ., რასაც იწვევს ...ტორის მღელვარება, მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა, მოზღვა... ...ული გრძნობა, სხვათა ჩარევა და სხვ. ჩვეულებრივ იწერება სამი წერტილი ერთმანეთზე მიყოლებით. მრავალწერტილი იწერება კით... ...სა და ძახილის ნიშნებთან ერთადაც. მაგ.: – ეგ აგრეა, მართალ... ...ი ბრძანებ, მაგრამ... – მაგრამ რა? – მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ... – მესმის რისი თქმაც გინდა. (ჭავ., 290); – კიდევ!... კიდევ! მუსიკის!... დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!... მოვდი... ...ვარ, მოველიარ!... – (ჭავ., 471); – ვინ არის იმის საყვარელი? – ჩვენი ...ებრო. – გაბრო!! (ჭავ., 300); თებრო სიტყვებს ნახევარს ჰყლაპავდა ...ან თუთქლებს იწუწუნდა: – მას... მას... წაველე... ბელი... როგორც ...ყო, გამოაგნო. (ჯაფ.).

მრავალწერტილი დაისმის ენის მოკიდების, ბორძიკის აღსა... ნიშნადაც: ს...სსაკვირველია! ს...საოცარია! არაფერი არ მ...მესმის (ჯავ.).

2. სიტყვისა თუ სიტყვების გამოტოვება ციტირებისას, რაც კით... ხეის დროს ინტონაციურად არ აღინიშნება. მაგ.:

ის როგორა სწერს, ავთანდილი, როსტევანსა?

„მე იგი ვარო...

ვის სიკვდილი მოყვრისათვის

თამაშად და მიჩანს მღერად“.

კარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანსა (ჭავ.).

პირველ ტაეპში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. სრულად ეს ტაეპი ასე იკითხება: მე იგი ვარ, **ვინ სოფელსა არ ამოვკრეს კიტრად ბერად**.

§203. მძიმე

მძიმე, როგორც სასვენი ნიშანი, მრავალ შემთხვევაში იხმარება, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია ორგვარია:

ა) იგი მიჯნავს ანუ აცალკევებს წინადადებაში შემავალ ერთგვარ ენობრივ ელემენტებს, სახელდობრ:

1. ერთგვარ წევრებს შერწყმულ წინადადებაში, თუ ისინი არ არიან შეერთებული „და“ და „თუ“ კავშირებით:

ქუჩები, ბაღები და ჭალები მოყვითალო ფოთლით არის დაფარნილი. (ჯავ., 1, 277); ქვა, მდელო, ჯაგი **თუ** ბუჩქნარი სალამს აძლევდა მას. (ბარნ., 2, 351); ღრუბლიანი, **მაგრამ** წყნარი დღე იყო (ევდ., 3, 33

ხოსრომ თუთის ნაწილი გალიაში ჩაყარა, **ხოლო დანარჩენი** პეშვით თვითონ შეჭამა. (გვეტ., 108).

2. რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს, რომლებიც **და**-თი არ არიან ერთმანეთთან შეერთებული: ენკენისთვე გაიწურა, გადაყვითლდა მთა და ველი, ღვინობისთვემ მოატანა, სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი. (მღვ.); ბეჟანი რაღას ფიქრობდა, ან დაობლებულს ბატკანს რა დაემართა? (ვაჟა, 6, 288); **არც** მე ვერჩი, **ნურც** მე მერჩიან. (ჯავ., 3, 343); მე ჭერს შევცქეროდი, დათიკო კი ისევ ქუჩას ათვალიერებდა. (ჯავ., 3, 457); ანუსი ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა, **ხოლო** ირმამ მოკლე კომბალი და ტაშტი მოიმარჯვა. (გვეტ., 102); ფრთოსნებში ყველაზე თვალწარმტაცი ხოხობი იყო, **მაგრამ** მას კეკლუცობაში არც კაკაბი ჩამოუვარდებოდა. (ევდ., 3, 316).

3. ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებებს, თუ ისინი არ არიან **და**-თი შეერთებული: ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, **სადაც** თემის საბჭო იყო გამართული **და** სადაც ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკვითხველად ასრულებდა. (ყაზ., 716).

ბ) გამოყოფს წინადადებაში შემავალ სხვადასხვა ელემენტს – სიტყვას, სიტყვათა შეკავშირებასა თუ წინადადებას. ამ შემთხვევაში მძიმე დაისმის წყვილად (გამოსაყოფი ელემენტის წინ და შემდეგ). ეს ორი მძიმე ერთ ფუნქციას ასრულებს და ყოველთვის ერთად იხმარება. მაგრამ თუ გამოსაყოფი ელემენტი წინადადების თავშია ან ბოლოში, მაშინ ერთი მძიმე იწერება, რომელიც კიდეც მიჯნავს და კიდეც გამოყოფს წინადადებისაგან ამა თუ იმ ენობრივ ელემენტს. მძიმეებით ან მძიმით გამოიყოფა.

1. განკერძოებული განსაზღვრება: იას, **ბნელს ხევში მოსულსა,** დიდი ჭანდრები ფარავდა. (ვაჟა, 1, 82); მაისის ღამე იყო, **ბადრი მთვარით გაბრწყინებული.** (ბარნ., 2, 7); **მუყაითის ხელით სუფთად გამარგლილი,** სავსე იყო ის ყოველგვარი მწვანილეულითა. (ლომ., 354).

2. განკერძოებული გარემოება: გამოღმა, **მარაბდის ზემოთ,** ორიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა. (ჯავ., 4, 142); მეორე დღეს, **კვირას,** ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა. (ვაჟა, 6, 180); ახლა გაღმიდან დაუწყო შენობას თვალიერება, **რიყის მხრიდან.** (ბარნ., 2, 223).

3. დანართი (მაგრამ არა ყოველთვის, §206, 5): ერთხელ ლომს, **ნადირთ მეფესა,** ხარი მოეკლა ირემი. (ვაჟა, 3, 211); **როგორც ფრთხილი კაცი,** როსტომი შესდგომოდა თადარიგს. (ბარნ., 2, 166); თქვენმა სიძემ გაახლათ ჩემი თავი, **ბიძინა ჩოლოყაშვილმა.** (წერ., 1, 229).

4. მიმართვა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმართვის შემდეგ ძახილის ნიშანია საჭირო): მარად და ყუველგან, **საქართველოვ**, მე ვარ შენთანა!... (ჭავ., 128); ოჰ, რა კარგი ხარ, **ოცნებავ ტკბილო**! (ვაჟა, 6, 293); **ბუნების ძალნო**, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა (ვაჟა, 5, 256).

5. ჩართული სიტყვა-გამოთქმა თუ წინადადება: მტერი, **რასაკვირველია**, არ აშორებდა თვალს ბრძოლის ველს. (ევდ., 3, 173): **რასაკვირველია**, ჩემი ბრძანება მყისვე ასრულდა. (ვაჟა, 5, 279); იქ დღეს საცოლო არ აჩვენეს, **რასაკვირველია**. (ჭავ., 366); სახლი, **როგორც ვთქვით**, ფიცრულია. (იქვ, 427).

6. შორისდებული (გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი მოითხოვს ძახილის ნიშანს): **უუჰ**, რამდენი ნისლია! (ჯავ., 2, 100); **ახ**, ვინ გვიმტრო, **ახ**, ვინ არის? (გრიშ.).

7. მიგებითი „სიტყვა-წინადადება" მომდევნო (იშვიათად წინა) წინადადებისაგან: – განა დიდი ხანია, რაც მელი? – **არა**, მაგრამ ლოდინი, თუნდ ერთის წუთისა, მაინც მოსაწყენია (ჭავ., 503); ანდრია მოვიდა თიანეთიდან? – **დიაღ**, გუშინ მოვიდა (ბარნ., 1, 13).

8. დამოკიდებული წინადადება მთავრისაგან: ის ქუჩა, სადაც **არსენა იყო ჩასაფრებული**, სიგრძით ორასი ნაბიჯიც ძლივს იქნებოდა. (ჯავ., 4, 451); **როცა დავითი შინ მივიდა**, საღამო ხანი იყო (ჭავ. 366); ისეთი ბნელი ღამე იყო, **რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო**. (წერ., 1, 147).

§204. წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმე ყოვლთვის ერთნაირი ენობრივი ელემენტების – ერთგვარი წევრებისა თუ ერთგვარი წინადადებების გამმიჯნავი სასვენი ნიშანია, რომელსაც საშუალი ადგილი უჭირავს საკუთრივ წერტილსა და მძიმეს შორის. წერტილ-მძიმის ხმარების ძირითადი შემთხვევებია:

1. წერტილ-მძიმე დაისმის, როცა წინადადებები რამდენადმე დამოუკიდებელი არიან და მათ შორის აზრობრივი კავშირი არაა ისე მჭიდრო, როგორც მძიმის დასმის შემთხვევაში, ან წინადადებები მეტად გავრცობილია, განსაკუთრებით თუ წინადადების (ან წინადადებათა) შიგნით მძიმეც არის ნახმარი:

ბინდი შეთხელდა; ცამ ფერი შეიცვალა; ბაღში ჩიტებმა ჟივილ-ხივილი ასტეხეს; სადღაც კაკაბი კაკანებს; მარგო კი ისევ ვიღაც უჩინარს ებრძვის და თანდათან ბრძოლის ველს თითო ნაბი

ჯით უთმობს. (ჯავ., 2, 300); მზე დასავლეთისკენ გადიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალები ურემში ჩალაგდნენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ. (ვაჟა, 6, 339).

2. წერტილ-მძიმე დაისმის მრავალ ვრცელ ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა გასამიჯნავად, მით უმეტეს მაშინ, თუ დამოკიდებულ წინადადებათა შიგნით მძიმეა ნახმარი: დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა შეჩვენებულმა [ჩხიკვმა] შაშვს ბუდეში გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადუსანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით, რამდენჯერ გაამწარა, ააშფოთა იქამდის, რომ შაშვის საცოდაობით ტყეც-კი ტიროდა. (ვაჟა, 6, 343).

3. ვრცელ შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა ერთი მთლიანი მონაკვეთის ასეთივე მონაკვეთისაგან გასამიჯნავად.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს,
გამღერებს და ამღერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი;
ხან რბის ველად, მარტო გალობს,
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

ი.ჭავჭავაძე

ორწერტილი იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში. ის მიგვითითებს, რომ მომდევნო ნაწილი ახსნა-განმარტებასა თუ გაშლილად გადმოცემას წარმოადგენს იმისას, რაც წინ არის ნათქვამი.

ორწერტილი დაისმის:

1. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა წინ, როცა განმაზოგადებელი ანუ გამაერთიანებელი სიტყვა მიმყოლი სიტყვებითურთ თავშია: ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი **ფრინველნი**: ნბიკენი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემტვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი. (ვაჟა, 5, 284); სხვა **ყველაფერი** მდუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მინდორი. (ვაჟა, 6, 15).

შენიშვნა: 1. თუ განმაზოგადებელ სიტყვას მოსდევს ისეთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე (მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა), ასეთი სიტყვის წინ მიმე იწერება, შემდეგ კი – ორწერტილი: აქა-იქ ოთახის სამკაულად ეჭარა სხვადასხვანაირი **ნივთები, მაგალითებრ**: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი **წაღები**, პირმოტეხილი სპილენძის **თუნგი**, ქონიანი **შანდალი**, სპილენძის საჩაიეში მოხარშული **მყრალა ბალახი**, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი. (ჭავ., 326).

შენიშვნა 2. ერთგვარ წევრთა წინ ორწერტილი შეიძლება მაშინაც დაისვას, როცა წინადადებაში არ არის განმაზოგადებელი სიტყვა, მაგრამ დამწერს სურს მითითება ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე: თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... (ვაჟა, 5, 66); აქ იყო: მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი, პატარა, ქალი და დედაკაცი (რაზ., 257); ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, დიკა, მუხუდო, შვრია, ფეტვი, უგრეხელი და სხვ. (ლომ., 346).

2. უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების პირველი ნაწილის შემდეგ, თუ მეორე ნაწილი პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს გამოხატავს, ან კიდევ გაშლილად გადმოგვცემს პირველი ნაწილის ან მისი რომელიმე წევრის მნიშვნელობას:

ზამთრობით [ვერხვი] ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით... (ვაჟა, 6, 38); წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდან, თვითონ თავშიშ-

ველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყენინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლია ერთბაშად ჩამომაცილოს ფოთლები. (ვაჟა, 5, 31); ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარეები, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარა ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზო – უკვალოდ გააქანა. (ყაზ., 710).

3. ავტორის სიტყვების შემდეგ, თუ მას პირდაპირი ნათქვამი მოსდევს: ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგ–ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. (ჭავ., 248); მარწყვმა თქვა: „მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს ხილია“. (ხალხ.).

§206. ტირე

ტირე, რომელიც წინადადების შიგნით დაისმის, ფუნქციის მიხედვით მრავალფეროვანია. ეს ნიშანი ზოგჯერ იქაც გვხვდება, სადაც ორწერტილი, მძიმე და ფრჩხილები იხმარება. ტირე წყვილადაც გამოიყენება – გამოსაყოფი ენობრივი ელემენტის წინ და შემდეგ. ტირესთან ერთად შეიძლება ნახმარ იქნეს სხვა სასვენი ნიშანიც (მაგ., მძიმე).

ტირე დაისმის:

1. შემასმენლის გამოტოვებისას:

სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას – ტირილი დისაო,
ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო,
ვაჯკაცსა – ომში სიკვდილი,
ხელში ნატეხი ხმლისაო,
ომს – ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.

ვაჟა

2. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის (მეშველი ზმნის) გამოტოვებისას: სიტყვა თესლია, საქმე – ნაყოფი. (წერ.).

3. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა შემდეგ, თუ შემკრები (განმაზოგადებელი) სიტყვა მომდევნოა: იხვსა, ბატსა და ქათამსა – **ყველას** გავჰკარი კბილია (ხალხ.); დამჭკნარი დიყი, შუპა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძანი – **ყველანი** ერთად შფოთავდნენ (ვაჟა, 5, 61).

4. **ეს** (და **ეგ**) ნაცვალსახელის წინ, რომელიც მოსდევს და ცვლის სახელობითში დასმულ ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას: ხელოვნება – ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული. (ტაბ.); ნაკადული – **ეს** შენა ხარ! (გრიშ.); უხასიათობა – **ეგ** ერთგვარი ხასიათი არისო. (დად.).

შენიშვნა: ტირე დაისმის ჩვეულებრივ ამ ნაცვალსახელების წინ მაშინაც, თუ ისინი მოსდევენ და ცვლიან მთელ წინადადებას ან მის წევრს, რომელიც შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, მაგრამ ივარაუდება: ლეშს ედვა ზევით თავთან მხარი, – **ეს** ყველამ იხილა. (ვაჟა); ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია, ბელტს აბრუნებს – **ეს** ნიკორა ხარია (კალან.); მე მიყივლია და გათენდება თუ არა, – **ეგ** ღმერთმა იცის! (ჭავ.).

5. დანართისა თუ ამხსნელ-დამაზუსტებელი სიტყვების გამოსაყოფად (რომ იგი არ იქნეს გაგებული ერთგვარ წევრად). როცა გამოსაყოფი ელემენტი წინადადებაშია, ის შეიძლება ორივე მხრიდან ტირეთი გამოიყოს; ბრწყინავს ქართლი – **ვარდის ბაღი.** (ლეონ.); [ვანოს] თვალწინ უდგია თავის სახლი, პატარა ძმა, რომელიც ძალიან უყვარს, ძროხა – **ოჯახა,** ცხენი – **ნიშა,** ტახი – **ნისლა,** ძაღლი – **აფთარა** და წარმოიდგინეთ, მამალიც-კი. (ვაჟა); ირჩევს დასაწოლად მოხერხებულ ადგილს, ადვილად გაიგოს მტრის – **ადამიანის** და **მგლის მოახლოება.** (ვაჟა); ჩემი ბალღები – **შალვა** და **ნენე** – წინ მომეგებნენ. (ვაჟა).

6. რამდენიმე მომდევნო განკერძოებული განსაზღვრების წინ: ძაღლებმა ისევ ყმუილი გააბეს – **ხანგრძლივი** და **შესაზარი.** (ჯავ., 1, 132); ისევ დუმილი ჩამოწვა – **ხანგრძლივი,** ცივი და **უხერხული.** (ჯავ., 3, 459); საცოდავია მასთან უდაბნოს ხირხატა მიწა – **დარბეული, გამოფიტული** და **გამოქარული.** (ლეონ.); შეხვალ შიგნით, ნახავ დარბაზს – **სადას, ნათელს, კეთილშობილს.** (პ. იაშვ., „თეატრი").

ასეთ განსაზღვრებათა წინ ზოგჯერ ორწერტილსაც წერენ:

პირისახე თითქო მარმარილოსაგან აქვს გამოკვეთილი: **მშვიდი, უძრავი და სავსე.** (ჯავ., 2, 26).

7. უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებს შორის, თუ პირველი ნაწილი (წინადადება) მეორის მიმართ პირობითის ან დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შინაარსისაა: **მომცემ ჯავარს** – დავგრეხ ბაწარს (მდვ.); (ყვავი)... ზის – ჩხავის. **დაფრინავს** – ჩხავის. (ვაჟა); წყალში **ჩავაგდე** – წყლად გადაიქცა, **ცეცხლში ჩავაგდე** – ხმად გადაიქცა. (გამოცანა – მარილი).

8. ზოგჯერ ჩართული სიტყვებისა თუ წინადადების გამოსაყოფად (ნაცვლად მძიმეებისა და ფრჩხილებისა): იმ წუთებში ბეჟიას – **ასე ეძახდნენ მწყემსს** – ფრინველად გადაქცევა უნდოდა. (ყაზ.): ხელი ხელს დაჰკრეს, დავითი – **მეორე დღეს პატარძალი** აღარ **აჩვენეს** – შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა. (ჭავ., 363).

9. რამდენიმე ერთგვარ ადგილისა თუ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარს შორის (მძიმესთან ერთად):

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან;
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან;
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია;
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია, –
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.

ი.ჭავჭავაძე

10. დიალოგის მონაწილეთა ყოველი ნათქვამი ჩვეულებრივ ტირეთი (და აბზაცით) იწერება.

– გამარჯობა, გიორგი!
– გაგიმარჯოს, არსენ!
– გეძებდი და კიდეც შეგხვდი.
– გერიდებოდი და მაინც შეგხვდი, ეხლა რა გინდა?
– ეხლა ის მინდა, რომ ცხენიდან ჩამოხვიდე და სუფრა დამილოცო.

– რა სუფრა! რომელი სუფრა!... (ჯავ., 4, 547).

11. ავტორის სიტყვების გამოსაყოფად პირდაპირი ნათქვამისაგან.

– ქალაქისაკენ! – **ყვიროდნენ ზოგიერთები.**

– იმერეთისაკენ! – **იძახოდნენ მეორენი.**

– მარაბდისაკენ! – **ბღაოდნენ მესამენი.** (ჯავ., 4, 26).

12. ტირე დაისმის ორ სიტყვასა თუ ციფრს შორის, რომლებიც აღნიშნავენ რაოდენობას მიახლოებით: ჭალის ბოლოს, ასე 4–5 ვერსის მანძილზე, პატარა სოფელი მოჩანდა. (ვაჟა); დარეჯანი იქნებოდა 50 წლისა, მაგრამ 30–35 წლისას ჰგავდა. (ვაჟა); [ღვთისოს] 600–700-მდე ცხვარი ეყოლებოდა. (ვაჟა).

§207. ფრჩხილები

ფრჩხილები ერთი ნიშანია. ფრჩხილებში ჩაისმის:

1. სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება, რომელიც წინა სიტყვის ახსნა-განმარტებას შეიცავს: სირა (ჩიბუხის ტარი) დააქუცმაცეს და აქეთ იქით გადაყარეს. (ვაჟა); შემოდგომით არაგვი წმინდება (წმინდავდება) და ამ ორმოებს გამოცდილი თვალი ადვილად იპოვნის წყალში. (ვაჟა).

2. ჩართული წინადადება (განსავუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია), როცა ავტორი იძლევა გზადაგზა დამატებითს ცნობას, ახსნას თუ შენიშვნას სხვათა შორის, გაკვრით: საყვარელო დედავ და მამავ! პირველად მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ (დასაწყისი სახლის პატრონმა უკარნახა) და ვთხოვ... (ვაჟა); ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბს), ძლივს. (ჭავ., 334); დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ). – დიაღ, შენი ჭირიმე (ჭავ., 332).

3. ზოგჯერ ფრჩხილებში ჩაისმის წინადადების ნაწილი (მაგ., დამოკიდებული წინადადება), წინადადებასთან გრამატიკულად დაკავშირებული სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება: ...შუბლზე მუქ ლურჯი თავსაკრავი ადგას, რომელზედაც პაწაწა მსხლის მსგავსი მარგალიტი კიაფობს (**მზითევში მონაყოლი**), გათეთრებულ თავზე ხორასნის ფარჩის მანდილი აქვს მოხვეული. (ჯავ., 4, 46); ეზოს ბოლოში, უზარმაზარი ჭანდრის ქვეშ, სამპირა სუფრა იშლება, ფიცრებსა და მაგიდებზე (**რუსული წესით**) – ალგეთელ თავად-აზნაურთათვის, მიწაზე გაშლილ ფარდაგებსა და ქეჩებზე (**ქართული ადა-**

თით) –ზაალის ყმებისთვის. (ჯავ., 4, 45); ...თვითონ ალექსანდრემ უნდა მოსპოს, თორემ რუსის მომხრე თავადაზნაურები პირს შეჰკრავენ, ქვეყანას გაჰყიდიან (**როგორც მრავალჯერ გაუყიდიათ**) და მაშინ... (ჯავ., 4, 66); ერთხელ ერთ ყვავსა შავ-ჭრელსა, ავსა (**რომელიც არის წიწილის მტერი**) სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი. (წერ.).

შენიშვნა: ფრჩხილებში ჩაისმის ნაწერებში მოყვანილი (დამოწმებული) ადგილის წყაროს ჩვენება: ასეთსავე ქება-დიდებას ასხამს ბერი ხელაშვილი თუშებს. (**„კალმასობა“**, გვ. 410); აი ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ წერის დროს... (ვაჟა, 7, 334).

§208. ბრჭყალები

ბრჭყალების გამოყენების ძირითადი შემთხვევებია:

1. ბრჭყალებში ჩაისმის უცვლელად, სიტყვა-სიტყვით მოყვანილი სხვათა ნათქვამი. ამ შემთხვევაში ეს ნიშანი აღნიშნავს, რომ ის, რაც ბრჭყალებშია ჩასმული, ავტორს კი არ ეკუთვნის, არამედ სხვას. ხშირად ავტორი სიტყვიერადაც მიუთითებს, თუ ვის ეკუთვნის ბრჭყალებში ჩასმული ნათქვამი, ზოგჯერ კი არ არის ავტორის სიტყვიერი მითითება ამის შესახებ და მხოლოდ ბრჭყალები გვანიშნებენ, რომ ნათქვამი სხვას ეკუთვნის. მაგ.:

წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკივლა: **„მითხარ, ვინა ხარ შენა?**
რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრადა?“
(ჭავ., 149).

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარს, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. (ჭავ., 255).

შენიშვნა: ბრჭყალებში ჩაისმის ავტორისავე წინანდელი ნათქვამი, რომელიც სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი: რედაქტორს სა-

ხეზე სასოწარკვეთილება დაეტყო, მაგრამ ისევ მე მიეუბრუნდი და დიდის ბოდიშით მოვახსენე: „მშვენიერი, საუცხოო ლექსებია, მაგრამ ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებს-მეთქი!“ (წერ., 1, 101).

2. ბრჭყალებში ჩაისმის ირონიულად, აგრეთვე ჩვეულებრივისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა (თუ სიტყვები), სახელწოდებანი წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, თხზულებათა... მაგ.: თვით მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენი“. (ვაჟა); ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნის „სტუმარ-მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“. (ვაჟა, 3, 451); „ლიმონათი“ პირველად ლიმნის წვენით შეზავებულ შუშხუნა სასმელს აღნიშნავდა.

შემოკლებანი

გრ. აბ. – გრ. აბაშიძე
ირ. აბ. – ირ. აბაშიშე
ანდ. – ანდაზა
არაგვ. – შ. არაგვისპირელი
არდ. – ლ. არდაზიანი
ლ. ასათ. – ლადო ასათიანი
„ახ. კომ“. – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“
გ. ახვლ. – გ. ახვლედიანი
ბარ. – ნ. ბარათაშვილი
ბარნ. – ვ. ბარნოვი
ბაჩანა – ნიკოლოზ რაზიკაშვილი
გაბ. – ე. გაბაშვილი
გამს. – კ. გამსახურდია
გვეტ. – რ. გვეტაძე
გოგ. – ი. გოგებაშვილი
ლ. გოთ. – ლ. გოთუა
ა. გომ. – ა. გომიაშვილი
გრიშ. – ი. გრიშაშვილი
გურ. – დ. გურამიშვილი
დად. – შ. დადიანი
დავ. – ი. დავითაშვილი
თ. დონჟ. – თ. დონჟაშვილი
ნ. დუმბ. – ნ. დუმბაძე
ევდ. – ი. ევდოშვილი
ერ. – რ. ერისთავი
ვაჟა – ვაჟა-ფშაველა
„თბ.“ – გაზ. „თბილისი“
პ. იაშვ. – პ. იაშვილი
რ. ინან. – რ. ინანიშვილი
ო. იოს. – ო. იოსელიანი
კალან. – ა. კალანდაძე
კეცხ. – ნ. კეცხოველი
კლდ. – დ. კლდიაშვილი
ს. კლდ. – ს. კლდიაშვილი
„კომ“. – გაზ. კომუნისტი“
მ. ლებ. – მ. ლებანიძე
ლეონ. – გ. ლეონიძე
ი. ლის. – ი. ლისაშვილი
„ლიტ გაზ“. – „ლიტერატურული გაზეთი“
ლომთ. – ჭ. ლომთათიძე
ლომ. – ნ. ლომოური

კ. ლორთქ. – კ. ლორთქიფანიძე
ლორთქ. – ნ. ლორთქიფანიძე
რ. მარგ. – რ. მარგიანი
მ. მაჭ. – მ. მაჭავარიანი
ლ. მეგ. – ლიდია მეგრელიძე
დ. მეგრ. – დ. მეგრელი
მიხ. მრევლ. – მიხ. მრევლიშვილი
ლ. მრელ – ლ. მრელაშვილი
მღვ. – შ. მღვიმელი
ნ. ნად. – ნ. ნადირაძე
ნაკ. – ნ. ნაკაშიძე
ნინ. – ე. ნინოშვილი
ნონ. – ი. ნონეშვილი
გრ. ორბ. – გრ. ორბელიანი
რაზ. – თ. რაზიკასვილი
გ. რჩ. – გ. რჩეულიშვილი
რუსთ. – შ. რუსთაველი
საბა – სულხან-საბა ორბელიანი
„საქ. ისტ.“ – „საქართველოს ისტორია“
ლ. სულ. – ლ. სულაბერიძე
ა. სულაკ. – ა. სულაკაური
ტაბ. – გ. ტაბიძე
ტ. ტაბ. – ტ. ტაბიძე
გ. ფანჯ. – გ. ფანჯიკიძე
ქიაჩ. – ლ. ქიაჩელი
რ. ქორ. – რ. ქორქია
ქუჩ. – გ. ქუჩიშვილი
ა. ღლ. – ა. ღლონტი
ყაზ. – ა. ყაზბეგი
ა. შ. – ა. შანიძე
შან. – ს. შანშიაშვილი
გ. შატბ. – გ. შატბერაშვილი
შდრ. – შეადარე
დ. შენგ. – დ. შენგელეია
გ. ჩიქ. – გ. ჩიქოვანი

წერ. – ა. წერეთელი
ჭავ. – ი. ჭავჭავაძე
თ. ჭილ. – თ. ჭილაძე
ხალხ. – ხალხური
ხევს. – ხევსურული
ჯავ. – მ. ჯავახიშვილი
ჯაფ. რ. ჯაფარიძე

საილუსტრაციო-საანალიზო მასალასთან ნაჩვენებია წყარო (თუ ჩვენ არ გვეკუთვნის). ზოგიერთი მაგალითი აღებულია **ა. შანიძის** სასკოლო გრამატიკებში შესული სავარჯიშოებიდან, აგრეთვე **ალ. ღლონტის** „ქართული წინადადებიდან“ (1961), **ა. კიზირიას** წიგნიდან „ქართული ენა“ (I, ფონეტიკისა და მორფოლოგიის პრაქტიკუმი, 1960) და ჩვენსავე „ქართული ენის სინტაქსში“ (1958) წარმოდგენილი საილუსტრაციო და სავარჯიშო მასალიდან. ასეთ მაგალითებთან ჩვეულებრივ მხოლოდ ავტორია დასახლებული. ორიოდე მაგალითი ამოღებულია თარგმნილი თხზულებიდან. ასეთი მაგალითები მიწერილი აქვს მთარგმნელს. სადაც „დედა ენა“ არის დამოწმებული, იგულისხმება **ი. გოგებაშვილის** „დედა ენა“ (ნაწ. II, 1914). გამოტოვებული ადგილები მრავალწერტილით არის აღნიშნული (თუმცა არა ყოველთვის), ხოლო აღდგენილი სავარაუდო სიტყვები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. ზოგიერთი მაგალითი დამოწმებულია ოდნავი ცვლილებით (მართლწერის თვალსაზრისით).

როცა ავტორთან ერთად ფრჩხილებში ნაჩვენებია გვერდი ან ტომი და გვერდი, იგულისხმება შემდგი გამოცემები:

არაგვისპირელი შ., რჩეული ნაწერები, თბ., 1927.
ასათიანი ლ., რჩეული ლექსები და პოემები, თბ., 1956.
ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
ბარათაშვილი ნ., ლექსები, პოემა, წერილები, თბ., 1939.
ბარნოვი ვ., ტ. I, 1961; ტ. II, 1961; ტ. III, 1961.
ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ი., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნ. I, 1946.
გაბაშვილი ე., რჩეული ნაწერები, მოთხრობები, 1932; რჩეული ნაწერები, I, 1953.
გამსახურდია კ., დავით აღმაშენებელი, I, 1942.
გვეტაძე რ., პროზა, თბ., 1946.
გოგებაშვილი ი., მოთხრობები, თბ., 1940, თხზულებანი, ტ. II, 1954.
გურამიშვილი დ., დავითიანი, თბ., 1931.
დადიანი შ., ,გვირგვილიანების ოჯახი, თბ., 1956.
ევდოშვილი ირ., ტ. I, ლექსები, თბ., 1935, მოთხრობები, ტ. III, თბ. 1937.
ვაჟა-ფშაველა, ტ. I. თბ., 1923; ტ. II, 1950; ტ. III, 1930; ტ. IV, 1932; ტ.

V, 1936, ტ. VI, 1939, ტ. VII, 1956.
იაშვილი პ., ლექსები, პოემა, მოთხრობები, თარგმანები, თბ., 1957.
იოსელიანი ო., ნოველები, ვარსკვლავთ ცვენა, თბ., 1965.
კლდიაშვილი დ., ტ. I, თბ., 1933.
კლდიაშვილი ს., ახალი მოთხრობები, თბ., 1950.
ლომოური ნ., მოთხრობები, თბ., 1926.
მეგრელიძე ლ., „ნანა“, თბ., 1961.
მრევლიშვილი მიხ., მოთხრობები, ტ. I, თბ., 1971.
ლორთქიფანიძე ნ., რჩეული თხზულებანი ტ. II., 1953.
მღვიმელი შ., ლექსები I, თბ., 1936.
ნაკაშიძე ნ., მოგონებები, თბ., 1956.
ნინოშვილი ე., თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1954.
ნონეშვილი ი., ამბავი ერთი ქალიშვილისა, თბ., 1956.
ორბელიანი გრ., ლექსები, თბ., 1935.
ორბელიანი სულხან-საბა, „სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1938.
რაზიკაშვილი თ., საბავშვო მოთხრობები, თბ., 1947.
ქიაჩელი ლ., ტ. I, თბ. 1946; ტ. III, 1950.
ლლონტი ალ., ქართული წინადადება, თბ., 1961.
ყაზბეგი ა., რჩეული ნაწერები, თბ., 1937; ტ. I, თბ. 1948; ტ. II, 1948.
შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.
შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931.
ცურტაველი იაკობ, მარტყლობაჲ შუშანიკისი, თბ., 1938.
წერეთელი ა., ტ. I თბ., 1925, ტ. II, 1926, ტ. VI, 1956.
ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, I, თბ., 1937.
ჯავახიშვილი მ., ტ. I, თბ., 1958; ტ. II, 1959; ტ. III, 1960, ტ. IV, 1961.
ჯაფარიძე რ., ხევის პატარძალი, თბ., 1951.

ბოლოსიტყვაობა

I გამოცემისათვის

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთათვის. იგი შედგენილია ამ სასწავლებელთა ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების თანამედროვე ქართული ენის პროგრამების შესაბამისად, თუმცა შინაარსისა და თვალსაზრისის მიხედვით მათ შორის ერთგვარი განსხვავებაცაა. აღნიშნული პროგრამისაგან არსებითად არ განსხვავდება უნივერსიტეტის ქართული ენის პროგრამა (რედაქტორი ვ. თოფურია). ამდენად, ჩვენი აზრით, ეს სახელმძღვანელო გარკვეულ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტის სტუდენტობასაც; იგი დაეხმარება აგრეთვე ქართული ენის მასწავლებლებს და ყველას, ვინც ამ ენის სინტაქსის საკითხებით არის დაინტერესებული.

ქართული ენის გრამატიკული წყობა, როგორც ცნობილია, რთულია და თავისებური. მისი ფონეტიკური და მორფოლოგიური სისტემა შედარებით კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ქართული ენის სინტაქსის მიმართ. მართალია, ისტორიული და თანამედროვე სინტაქსის საკითხებზე არა ერთი და ორი საყურადღებო გამოკვლევა არსებობს, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ არ არის მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული. დღემდე არა გვაქვს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სინტაქსის სახელმძღვანელო. აღსანიშნავია ისიც, რომ სინტაქსის სფეროში საერთოდაც ბევრია სადავო საკითხი. ყოველივე ეს, ერთად აღებული, ნათლად გახაზავს იმ სირთულესა და პასუხისმგებლობას, რაც უმაღლესი სასწავლებლებისათვის სინტაქსის სახელმძღვანელოს შედგენა-შემუშავებასთან არის დაკავშირებული.

წიგნში განხილული ზოგიერთი საკითხი არის წმინდა სინტაქსური. ისინი უფრო სტილისტიკის სფეროს განეკუთვნებიან. ეს არ არის შემთხვევითი: სინტაქსთან ორგანულად არის დაკავშირებული სტილისტიკა, რომელიც მისი მონათესავე დარგებისაგან ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად გამიჯნული და გამოკვეთილი სამეცნიერო დისციპლინა.

სინტაქსი საიმედო საფუძველია პუნქტუაციის შეგნებულად შესწავლისათვის. ამიტომ სინტაქსის სახელმძღვანელოებში ჩვეულებრივ პუნქტუაციის საკითხებსაც ეხებიან. ეს ასეა ამ წიგნშიც: პუნქტუაცია წიგნის ბოლოს, ისევე როგორც „ქართული ენის სინტაქსში“, ცალკე თავად არის წარმოდგენილი. ამ თავში პუნქტუაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხები საკმაოდ ვრცლად არის განხილული, თვით წინადადების ტიპებსა და განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებზე მსჯელობისას კი მხოლოდ ზოგადი მითითებაა

ამა თუ იმ სასვენი ნიშნის ხმარების შესახებ.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა მიმართებაშია წინამდებარე წიგნი ჩვენსავე „ქართული ენის სინტაქსთან“, რომელიც პირველად 1956 წელს დაიბეჭდა, ხოლო მეორედ, გადამუშავებული და შევსებული, 1958 წელს გამოიცა?

„ქართული ენის სინტაქსი“, როგორც ამ წიგნის ბოლოსიტყვაობაში გვაქვს აღნიშნული, დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკაში (ნაწ., II, სინტაქსი, 1948 წ.) განხილული მასალის უფრო ვრცლად და სრულად გადმოცემას და განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგიურ სასწავლებელთათვის. მასში სინტაქსის საკითხები განხილულია მარტივად, მოკლედ; თეორიულ ნაწილს ახლავს სავარჯიშოები (აგრეთვე სასვენ ნიშანთა ხმარების წესები ცალკე პარაგრაფებად), რომელთაც დაახლოებით წიგნის მეხუთედი ნაწილი უჭირავს. ამასთანავე, „ქართული ენის სინტაქსში“ ზოგიერთი საკითხის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი ან მხოლოდ გაკვრით არის ლაპარაკი.

წინამდებარე წიგნი „ქართული ენის სინტაქსისაგან“ არსებითად განსხვავდება. აქ თეორიულ მასალას არ ახლავს სავარჯიშოები და არც სასვენ ნიშანთა ხმარების წესებს აქვს დათმობილი ცალკე პარაგრაფები (წინადადების ტიპების განხილვისას); მოიცავს საკითხთა უფრო ფართო წრეს, თანაც საკითხები განხილულია უფრო ვრცლად, ღრმად და საფუძვლიანად საგანგებოდ შერჩეული საილუსტრაციო-საანალიზო მასალის მოხმობითა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით (თუმცა არასრულად). „ქართული ენის სინტაქსიდან“ უცვლელად აქ მხოლოდ მცირე ნაწილი თუ არის გადმოსული, ასე რომ წინამდებარე სახელმძღვანელო, საერთოდ, ახლად არის დაწერილი.

შრომა, რომელიც დიდ ნაწილში ავტორის ხანგრძლივი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს, ძირითადად ქართულ-რუსულ გრამატიკულ ლიტერატურას ემყარება. ქართული წყაროებიდან მთავარია პროფ. **ა. შანიძის** შრომები, განსაკუთრებით ზემოთ დასახელებული გრამატიკა (ნაწილი II, სინტაქსი, 1948 წ.) და „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელნიც საიმედო საფუძველს ქმნიან უმაღლესი სასწავლებლებისათვის სინტაქსის სახელმძღვანელოს შესადგენად.

წინამდებარე წიგნი ამ ტიპის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. იგი, ალბათ, არ იქნება უნაკლო. თუ რამდენად არის მიღწეული მიზანი, ამისი განსჯა პირუთვნელი მკითხველისათვის მიგვინდვია. ჩვენ კი ჩვენდა თავად დიდი მადლობით მივიღებთ ყოველ შენიშვნას, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის შინაარსის გაუმჯობესებასა და სრულყოფას.

1966წ.

II გამოცემისათვის

„თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“ რამდენადმე გადამუშავებულია წინამდებარე გამოცემისათვის. დაემატა ორი პარაგრაფი: „სიტყვათა დაქვემდებარებითი შეკავშირების ტიპები“ (§11ა) და „წყვილების შედგენილობა მეტყველების ნაწილთა მიხედვით ცალმხრივი დაქვემდებარებისას“ (§11ბ). ახლად დამატებულ პარაგრაფს ნომერი უმეორდება, ოღონდ წინა პარაგრაფისაგან გასარჩევად ასო აქვს დართული: ა, ბ. არაერთი პარაგრაფი შეივსო დამატებითი ცნობებითა და მარჯვე მაგალითებით: განმეორებული მაგალითები ბევრგან შეიცვალა ახლით: გასწორდა შემთხვევით გაპარული შეცდომები; დაზუსტდა და რედაქციულად დაიხვეწა ზოგიერთი ადგილი; შეიცვალა ორიოდე დასათაურება და ტერმინი. ამასთანავე, ზოგი რამ გამოტოვებულ იქნა.

წიგნის გამოსაცემად გამზადებისას გავითვალისწინეთ პროფ. ი. იმნაიშვილის, პროფ. ა. კიზირიას და პროფ. ი. ქავთარაძის შენიშვნები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ნაშრომის გაუმჯობესებას. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია სამივე მკვლევარს გულითადი მადლობა მოვახსენოთ.

1977 წ.

III გამოცემისათვის

მე-3 გამოცემა საგრძნობლად განსხვავდება მეორე გამოცემისაგან. დაემატა ერთი თავი (XV ს. გაბმული მეტყველება და წინადადება) და ორი პარაგრაფი: 1. „§14-მა ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით“; 2. „§168ა. შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა მსგავსება და განსხვავება“. განმეორებულ პარაგრაფს აქაც ნომერი უმეორდება, ხოლო წინა პარაგრაფისაგან გასარჩევად ა ასო დაერთვის. მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა წიგნის არაერთმა სხვა განყოფილებამაც. ამასთანავე, პირველად ამ გამოცემაშია წარმოდგენილი რთულ სინტაქსურ კონსტრუქციათა სქემები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ მათს შედგენილობას, კომპონენტთა განლაგებას, დაკავშირების საშუალებებსა და სასვენ ნიშანთა დასმის წესებს.

ავტორი

5. 05. 1988

IV. გამოცემისათვის

ამ გამოცემაში ზოგიერთი საკითხი უფრო სრულად, საფუძვლიანად არის განხილული, ზოგიც შეივსო საჭირო დამატებითი ცნობით, რამაც გამოიწვია წიგნის მოცულობის გაზრდა რამდენიმე

თაბახით. საკითხები, რომელთაც მეტ-ნაკლებად შეეხო ამა თუ იმ სახის ცვლილება, არასრულად შემდეგია: სინტაქსური დამოკიდებულების სახეები (მართვა, შეთანხმება); ქვემდებარე და შემასმენელი; სუბსტანტიური განსაზღვრებისა და გენეტიური დამატების მიმართება მაქვემდებარებელ სახელთან; წინადადების მოდალური სახეები; **ვით** თანდებულიანი სახელის სინტაქსური ფუნქცია და მასთან დაკავშირებული ასიმილაციის შემთხვევები; **კენ** თანდებულიანი სახელის სინტაქსური ფუნქცია; მარტივ წინადადებაში მთავარ წევრთა განლაგების შემთხვევათა სიხშირე ორპირიან გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა შემცველ წინადადებებში; უქვემდებარო და უდამატებო წინადადებათა შემთხვევები; შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადება; ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადება და მისი მიმართება რთულ თანწყობილ წინადადებასთან; არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება...

გასწორდა შემჩნეული ბეჭდური ცდომილებანი და ზოგიერთმა ადგილმა განიცადა მცირეოდენი რედაქციული ცვლილება.

ლოკალურ ბრუნვათა შესახებ ამ გამოცემაშიც არაფერია ნათქვამი. ცხადია, თუ მათ ბრუნვებში ჩავრთავთ, მაშინ უბრალო დამატებისა და გარემოების გადმოცემაც ამას მიესადაგება და გვექნება: უბრალო დამატება და გარემოება (ადგილისა, დროისა) სადაობითს ბრუნვაში; გარემოება (ადგილისა, დროისა) გამოსავლითსა და მიწევნითს ბრუნვაში.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, გულითადი მადლობა მოვახსენო ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის გამომცემლობა „რუბიკონს“, პირადად ბატონ **იოსებ მაჭარაშვილს**, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ამ წიგნის გამოცემას.

ლ. კვაჭაძე
10.09.96

V გამოცემისთვის

ეს გამოცემა წინა გამოცემისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღვნიშნავთ მთავარს:

1. დაემატა სამი ახალი პარაგრაფი:
§11°. პრედიკატული განსაზღვრების შესწავლის ისტორიიდან;
§186°. კავშირების წყვილ-წყვილად ხმარების შემთხვევები;
§196ბ. მაპირისპირებელ კავშირთა ხმარების შემთხვევები გაბმულ მეტყველებაში.
2. დიდად შეივსო დამატებითი ცნობებით:
§11°. სიტყვათა დაქვემდებარებითი შეკავშირების ტიპები. აქ

დამატებით მოცემულია მტკიცება იმისა, რომ სახელი კი არ მართავს ზმნას პირში, არამედ ითანხმებს პირსა და რიცხვში;

§53. სათავისო, სასხვისო ქცევებისა და შუალობითი კონტაქტის ფორმებთან მთავარ წევრთა შეწყობის იშვიათი შემთხვევები;

3. მეტ-ნაკლებად მცირედ შეივსო დამატებითი ცნობებით შემდეგი პარაგრაფები:

§21. წინადადების მოდალობის გამოხატვის საშუალებანი;

§25. მთავარ წევრთა რაოდენობა წინადადებაში სერიათა მიხედვით.

§187. დამოკიდებულ წინადადებათა თანადაქვემდებარება.

§196ბ. გაბმული მეტყველების სინტაქსური ერთეულები.

გათვალისწინებულ იქნა რედაქტორის არა ერთი და ორი შენიშვნა-სურვილი. გასწორდა რამდენიმე ბეჭდური ცდომილება, ზოგიერთი სიტყვის მართლწერა, ჩაერთო რთული ქვეწყობილი წინადადების იშვიათი შემთხვევები შესაბამისი სქემებითურთ. ზოგიერთმა ადგილმა განიცადა მცირე რედაქციული ცვლილება.

ლ.კვაჭაძე
1 აგვისტო,
2007.

შინაარსი

I. წინადადება. სიტყვათა შეკავშირება 3
§1. სინტაქსი როგორც გრამატიკის დარგი. სინტაქსის საგანი. 3
§2. წინადადება როგორც სინტაქსური ერთეული. 7
§3. სინტაქსური კავშირი. 9
§4. სინტაქსური კავშირის გამოხატვის ძირითადი საშუალებანი. .. 10
§5. წყვილები. წყვილთა რაოდენობა წინადადებაში. 15
§6. სიტყვათა მიმართების ტიპები წინადადებაში. 16
§7. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების სახეები. 18
§8. შეთანხმება. 18
§9. მართვა. 22
§10. სინტაქსური დაქვემდებარება ერთი სიტყვისა ორი სხვადასხვა სიტყვისადმი ერთდროულად. 30
§11. მირთვა. 30
§11ა. სიტყვათა დაქვემდებარებითი შეკავშირების ტიპები. 32
§11ბ. წყვილების შედგენილობა მეტყველების ნაწილთა მიხედვით ცალმხრივი დაქვემდებარებისას. 37
II. წინადადების ტიპები მოდალობის (რაგვაროვნობის) მიხედვით 41
§12. წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით. 41
§13. წინადადება მოდალობის მიხედვით. 43
§14. თხრობითი წინადადება. 44
§15. კითხვითი წინადადება. 45
§16. კითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადება. 46
§17. კითხვითნაწილაკიანი წინადადება. 48
§18. კითხვითი წინადადება, რომელიც არ შეიცავს კითხვითს სიტყვას. 51
§19. ბრძანებითი წინადადება. 55
§20 ძახილის წინადადება. 59
§21. წინადადების მოდალობის გამოხატვის საშუალებანი. 63
§22. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით. 64
მარტივი წინადადების სინტაქსი 67
III. წინადადების მთავარი წევრები 67
§23. წინადადების წევრის რაობა. 67
§24. წინადადების მთავარი და არამთავარი (მეორეხარისხოვანი) წევრები. 68

§26, არამთავარი წევრები მთავარ და არამთავარ წევრებთან. 71
§27. მეტყველების ნაწილები სინტაქსური თვალსაზრისით. 72
შემასმენელი 74
§28. შემასმენლის რაობა. კითხვები. 74
§29. მარტივი შემასმენელი. 75
§30. შედგენილი შემასმენელი. 77
§31. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის გადმოცემა. 78
§32. სახელადი ნაწილის ბრუნვა. 78
§33. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი. 79
§34. აღწერილობითი ვნებითი შემასმენლად. 83
ქვემდებარე 86
§ 35. ქვემდებარის რაობა. 86
§ 36. ქვემდებარის გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. 87
§37. ქვემდებარის ბრუნვები. 88
§38. ქვემდებარის კითხვები. 89
§39. ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთან. 90
§40. ქვემდებარე გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან. 92
§41. ქვემდებარე პირველი და მეორე პირის ფორმებთან. 94
§42. ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან. 95
დამატება-ობიექტები 96
§ 43. დამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი. 96
§ 44. დამატება-ობიექტების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. 97
§45. დამატება-ობიექტების ბრუნვები და კითხვები. 98
§46. პირდაპირი დამატება. 98
§47. ირიბი დამატება. 100
§48. დამატება-ობიექტების შეხვედრა ბრუნვაში. 102
§49. დამატება-ობიექტები პირველი და მეორე პირის ფორმებთან. 103
§50. ქვემდებარე და პირდაპირი დამატება „იცის“ და „უწყის“ ზმნებთან. 105
§51 ბრუნვაუცვლელი დამატება პირდაპირი დამატების მნიშვნელობით. 106
§52. ქვემდებარისა და დამატების საკითხი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან. 108
§53. ქვემდებარე და დამატება გარეგნულად მსგავს შემასმენლებთან. 116

შემასმენლის ურთიერთობა ქვემდებარესა 121
და დამატება-ობიექტებთან რიცხვში 121
§54. შემასმენლისა და მასთან შეწყობილი მთავარი წევრების სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი საკითხები. 121
ქვემდებარე და შემასმენელი 124
§55. შემასმენელი მხოლობითში დასმულ ქვემდებარესთან. 124
§56. შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან. 126
§57. შედგენილი შემასმენელი მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან. 131
§58. შემასმენლის რიცხვი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან. 132
§59. პირდაპირი დამატება და შემასმენელი. 133
§60. ირიბი დამატება და შემასმენელი. 135
§61. მსგავსება და განსხვავება ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის. 137
IV. წინადადების არამთავარი წევრები 138
უბრალო დამატება 138
§62. ზოგადი ცნობები უბრალო დამატების შესახებ. 138
§63. უბრალო დამატება მიცემითში. 139
§64. უბრალო დამატება ნათესაობითში. 142
§65. უბრალო დამატება მოქმედებითში. 149
§66. უბრალო დამატება ვითარებითში. 153
გარემოება 154
§67. გარემოების რაობა, სახეები და გადმოცემის საშუალებანი. 154
ადგილის გარემოება 155
§68. ადგილის გარემოების რაობა. კითხვები. 155
§69. ზმნიზედა ადგილის გარემოებად. 156
§70. მიცემითი ადგილის გარემოებად. 157
§71. ნათესაობითი ადგილის გარემოებად. 159
§73. ვითარებითი ადგილის გარემოებად. 163
დროის გარემოება 165
§74. დროის გარემოების რაობა. კითხვები. 165
§75. ზმნიზედა დროის გარემოებად. 165
§76. მიცემითი დროის გარემოებად. 166
§77. ნათესაობითი დროის გარემოებად. 168
§78. მოქმედებითი დროის გარემოებად. 169
§79. ვითარებითი დროის გარემოებად. 171

ვითარების გარემოება 172
§80. ვითარების გარემოების რაობა. კითხვები. 172
§81. ზმნიზედა ვითარების გარემოებად. 173
§82. მიცემითი და სახელობითი ვითარების გარემოებად. 174
§83. ნათესაობითი ვითარების გარემოებად. 177
§84. მოქმედებითი ვითარების გარემოებად. 177
§85. ვითარებითი ბრუნვა ვითარების გარემოებად. 178
მიზეზის გარემოება 179
§86. მიზეზის გარემოების რაობა. კითხვები. 179
§87. ზმნიზედა მიზეზის გარემოებად. 180
§88. ნათესაობითი მიზეზის გარემოებად. 180
§89. მოქმედებითი მიზეზის გარემოებად. 181
§90. მიზნის გარემოების რაობა. კითხვები. 181
§91. მიზნის გარემოების გამოხატვის საშუალებანი. 182
პირობისა და დათმობის გარემოებანი 183
§92. პირობისა და დათმობის გარემოებათათვის. 183
განსაზღვრება 184
ატრიბუტული განსაზღვრება 186
§95. ატრიბუტული განსაზღვრების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. 186
§96. ზედსართავი სახელი (და მიმღეობა) განსაზღვრებად. 187
§97. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად. 188
§98. ნაცვალსახელი განსაზღვრებად. 189
§99. არსებითი სახელი ატრიბუტულ განსაზღვრებად. 191
§100. განსაზღვრება წინადადების სხვადასხვა წევრთან. 191
§101. განსაზღვრების ადგილი. 193
§102. რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან. 194
განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობა წინადადების საზღვრულ წევრთან 197
§103. ძირითადი მომენტები წინადადების საზღვრულ წევრთან განსაზღვრების სინტაქსური ურთიერთობისა. 197
§104. ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული. 198
§105. მომდევნო ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული. 203
§106. გათიშული ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული. 205
§107. სუბსტანტიური განსაზღვრება და საზღვრული. 206
§108. სუბსტანტიური განსაზღვრების გარჩევა უბრალო დამატებისაგან. 211

პრედიკატული განსაზღვრება 211
§109. პრედიკატული განსაზღვრების რაობა. 211
§110. პრედიკატული განსაზღვრების ძირითადი ნიშნები. 214
§111. პრედიკატული განსაზღვრების გადმოცემა. 216
§112. პრედიკატული განსაზღვრების მიმართება ატრიბუტულ განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებასთან. 217
§113. პრედიკატული განსაზღვრების ადგილი წინადადებაში. 220
№113ა. პრედიკატული განსაზღვრების შესწავლის ისტორიიდან. 221
V. ბრუნვათა ფუნქციები 227
§114. წინასწარი შენიშვნები. 227
§115. სახელობითი ბრუნვის ფუნქციები. 228
§116. მოთხრობითი ბრუნვის ფუნქცია. 229
§117. მიცემითი ბრუნვის ფუნქციები. 229
§118. ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები. 231
§119. მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები. 232
§120. ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები. 233
§121. წოდებითი ბრუნვის ფუნქცია. 234
VI. მარტივი წინადადების ტიპები 235
§122. მარტივი წინადადება მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით. 235
§123. გაუვრცობელი და გავრცობილი წინადადება. 236
§124. სრული და უსრულო წინადადება. 238
§125. უქვემდებარო წინადადება. 241
§126. განუსაზღვრელპირიანი (ქვემდებარეგაუჩინარებული) წინადადება. 244
§127. განზოგადებულპირიანი წინადადება. 245
§128. სახელდებითი წინადადება. 246
VII. სიტყვათა განლაგება მარტივ წინადადებაში 248
§129. სიტყვათა განლაგებისათვის ქართულში. 248
§130. სიტყვათა განლაგება უქვემდებარო წინადადებაში. 250
§131. უბრალო დამატებისა და გარემოების ადგილი სახელზმნით გადმოცემულ წინადადების წევრთან. 250
§132. სიტყვათა განლაგება ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში. 251
§133. სიტყვათა განლაგება ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებაში. 254
§134. სიტყვათა განლაგება ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში. 255

§135. სიტყვათა განლაგება სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში. 256
შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადების სინტაქსი 259
VIII. შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადება 259
§136. შერწყმული წინადადების რაობა. 259
§137. ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადების ტიპები. 262
§138. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი. 266
§139. კავშირიანი შერწყმული წინადადება. 267
§142. პირდაპირდამატებიანი შერწყმული წინადადება. 279
§143. რამდენიმე ერთგვარი ირიბი დამატება წინადადებაში. 280
§143ა. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით. 281
§144. რამდენიმე ერთგვარი უბრალო დამატება. 284
§145. რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება წინადადებაში. 284
§146. რამდენიმე ერთგვარი გარემოება წინადადებაში. 288
§147. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან. 291
§148. არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება. 295
IX. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები 297
§149. განკერძოების რაობა და პირობები. 297
§150. განკერძოებული განსაზღვრება. 301
§151. განკერძოებული დანართი. 308
§152. განკერძოებული გარემოება. 312
§153. განკერძოებული (დამაზუსტებელი) შემასმენელი 317
§154. ორიოდე დამატებითი ცნობა არამთავარ წევრთა განკერძოების შესახებ. 318
წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები 319
§155. მიმართვა. 319
§156. ჩართული. 329
§157. შორისდებული. 333
§158. მიგებითი ნაწილაკები. 334
რთული წინადადების სინტაქსი 338
X. რთული წინადადების შედგენის საშუალებანი და ტიპები 338
§159. რთული წინადადების რაობა. 338

§160. რთულში გაერთიანებულ წინადადებათა დაკავშირების საშუალებანი. 341
§161. რთული წინადადების ძირითადი ტიპები. 343
XI. რთული თანწყობილი წინადადება 349
§162. თანწყობილ წინადადებათა შეერთების საშუალებანი. 349
§163. მაჯგუფებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. 349
§164. მაცალკევებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. 354
§165. მაპირისპირებელკავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. 356
§166. მაიგივებელკავშირიანი რთული წინადადება. 360
§167. უკავშირო რთული წინადადების ზოგადი დახასიათება. 361
§168. უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება. 362
§168ა. შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებათა მსგავსება და განსხვავება. 364
XII. რთული ქვეწყობილი წინადადება 372
§169. რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილები. მათი ზოგადი დახასიათება. 372
§170. დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია ფუნქციის მიხედვით. 376
§171. დამოკიდებული წინადადების ადგილი. 383
§172. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება. 386
§173. დამატებითი დამოკიდებული წინადადება. 389
§174. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. 395
§175. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება. 405
გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი 406
§176. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. 406
§177. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. 408
§178. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. 413
§179. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. 421
§180. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. 423
§181. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება. 425
§182. პირობითი დამოკიდებული წინადადება. 428
№183. დათმობითი დამოკიდებული წინადადება. 432
§184. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება. 438
§185. რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილთა განმარტოება. 439
§186. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება. 442

§186ა. კავშირების წყვილ-წყვილად ხმარების შემთხვევები. 446
XIII. რამდენიმე დამოკიდებული მთავართან და ნარევი სახის რთული წინადადება 450
§187. რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება ერთ მთავართან. 450
§188. თანამიმდევრული დაქვემდებარება. 458
§189. ზერთული წინადადება. 463
XIV. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა – რთულით 469
§190. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის წესები. 469
§191. სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის შემთხვევები. 474
§192. რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებათა მსგავსება და განსხვავება. 493
XV. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი 498
§193. პირდაპირისა და ირიბი ნათქვამის რაობა. 498
§194. სიტყვასიტყვითი ნაწილაკები პირდაპირ ნათქვამთან. 500
§195. სიტყვათა რიგი ავტორისეულ წინადადებაში. 501
XVა. გაბმული მეტყველება და წინადადება 504
§196ა. გაბმული მეტყველების სინტაქსისათვის. 504
§196ბ. გაბმული მეტყველების სინტაქსურ ერთეულთა სახეები. 504
§196გ. მაპირისპირებელ კავშირთა ხმარების შემთხვევები გაბმულ მეტყველებაში. 505
XVI. პუნქტუაცია 507
§197. პუნქტუაციის დანიშნულება. 507
§198. ქართული პუნქტუაციის ისტორიიდან. 509
სასვენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები 512
§199. წერტილი. 512
§200. კითხვის ნიშანი. 513
§201. ძახილის ნიშანი. 514
§202. მრავალწერტილი. 514
§203. მძიმე. 515
§204. წერტილ-მძიმე. 517
§205. ორწერტილი. 519
§206. ტირე. 520

§207. ფრჩხილები. 523
§208. ბრჭყალები. 524
შემოკლებანი 526
ბოლოსიტყვაობა 530
I გამოცემისათვის 530
II გამოცემისათვის 532
III გამოცემისათვის 532
IV გამოცემისათვის 532
V გამოცემისათვის 533

ლეო კვაჭაძე

თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი

მეხუთე შევსებული გამოცემა

ტექ. რედაქტორი – დ. ჩხაიძე

საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 68 (1/8)
ტირაჟი 500

გამომცემლობა „ცოტნე“
თბილისი, ქავთარაძის 21ა